აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზურაბ ლიპარტია

ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია

დამტკიცებულია მონოგრაფიად: აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის (ოქმი N12, 8.12.2017) და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებებით (ოქმი N10, 29.11.2017).

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2017

უაკ. 336.1
ლ 652

ლიპარტია ზ. ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია: მონოგრაფია. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2017. 506 გვ.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესის ეფექტიანი წარმართვისთვის ჩვენმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით ახალგაზრდობამ, მსოფლიო მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნისა და ქვეყნის ეროვნული თავისებურებებიდან გამომდინარე უნდა გაითავისოს მენეჯმენტის მეცნიერების ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება – **ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია**, როგორც ფუნდამენტური მეცნიერება და ხელოვნება. რამდენადაც სამეწარმეო-ბიზნესსტრუქტურების **ფინანსურ მენეჯერების** გადაწყვეტილებების უმრავლესობა ორიენტირებულია ეკონომიკური სუბიექტების (საწარმოს, კორპორაციის) მომავალ წარმატებაზე, ის უნდა ეფუძნებოდეს მენეჯერების პროფესიონალიზმის მაღალ დონესა და უზრუნველყოფდეს მართვის ხელოვნების სიღრმისეულ ცოდნას, ფინანსური პოლიტიკის წარმატებულ რეალიზაციას.

მონოგრაფიაში შემოთავაზებულია: თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური მიდგომები, კონცეფციები (ეკონომიკური სუბიექტების) ფინანსური მენეჯმენტის პრაგმატული, გამოყენებითი ასპექტები, საბანკო-საკრედიტო სისტემის ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის სტრატეგიული მექანიზმი და მოკლე ეკონომიკურ-ფინანსური ენციკლოპედიური ლექსიკონი. წიგნი ორიენტირებულია აკადემიური წრეებისთვის და პრაქტიკოსი ფინანსური მენეჯერებისა და ეკონომიკური პროფილის სხვა პირებისათვის ფინანსური მენეჯერების მომზადების სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ასათვისებლად.

მეცნიერი რედაქტორები:

რევაზ ბასარია – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;
გიორგი ცაავა – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტები:

იური პაპასქუა – ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი;
ვასილი მოსიაშვილი – ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი;
თათია ღურწკაია – ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

© აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
© ლიპარტია ზ. 2017.

გამომცემლობა „უნივერსალი", 2017
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge

ISBN 978-9941-26-180-0

Abkhazian National Academy of Sciences
Sokhumi State University

Zurab Lipartia

FINANCIAL MANAGEMENT PHILOSOPHY

Publishing House "UNIVERSAL"
Tbilisi 2017

UAK 336.1.
L.652

Lipartia Z. Financial Management Philosophy: Monograph. the Abkhazian National Academy of Sciences, Sokhumi State University,. –Publishing "Universal". Tbilisi. 2017. .... p.

At the present stage of the transformation process in Georgia's market economy, efficient management of our society, especially young people, in the world of science and knowledge of the features of the management science is important to understand one of the key areas of financial management philosophy, as Fundamental Science and Art. Because from entrepreneurial businesses most of the financial managerial decisions are focused on future success of the economic subject (corporation) of which is based on the nature and professional's of managers in the management of in-depth knowledge of art, to ensure the successful implementation of the country's financial policy.

In the monograph is offered: theoretical and methodological approaches of modern financial management, concepts, financial aspects of financial managers (corporation, firm), as well as strategic and applied aspects of financial management of the banking system.

Scientist Editors:

Revaz Basaria – Doctor of Economic Sciences, Professor;
Giorgi Tsaava – Doctor of Economic Sciences, Professor.

Reviewers:

Yuri Papaskua – Doctor of Economics, Professor;
Vasili Mosiashvili – Doctor of Economics, professor;
Tatia Ghurtskaia – Doctor of Economics, Professor.

© Abkhazian National Academy of Sciences, Sokhumi State University.
© Lipartia Z. 2017.

Publishing House "UNIVERSAL", 2017
19, I. Chavchavadze Ave., 0179, Tbilisi,Georgia ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-180-0

Абхазская национальная академия наук
Сухумский государственный университет

Зураб Липартия

ФИЛОСОФИЯ ФИНАНСОВОГО МЕНЕДЖМЕНТА



Издательство „Универсал“
Тбилиси 2017

УАК. 336.1.
Л.652

Липартия З. Философия финансового менеджмента: монография. Абхазская национальная академия наук, Сухумский государственный университет, –Publishing Издательский дом «Универсал». Тбилиси. 2017. .... стр.

На современном этапе эффективного ведения процесса трансформации рыночной экономики в Грузии наше общество, особенно молодежь, на основе накопленных знаний в мировой экономике и исходя из национальных особенностей страны, должна овладеть одним из узловых направлений науки менеджмента – "философией финансового менеджмента", как основополагающей частью науки и искусства управления. Поскольку большинство решений финансового менеджера по предпринимательской бизнес-структуре риентировано на будущее успехи, они должны ориентироваться на высокий уровень професионализма менджеров и глубоком знании искусства управления, и обеспечивать успешную реализацию финансовой политики страны.

В монографии предложены: теоретические и методологические подходы современного финансового менеджмента, концепции, прагматические и прикладные аспекты финансового управления экономическим субъектом (корпорацией, фирмой), а также стратегический механизм улучшения финансового управления банковской системой и экономико-финансовый короткий словарь.

Научные Редакторы:

Реваз Басария – доктор экономических наук, профессор;
Георгий Цаава – доктор экономических наук, профессор.

Рецензенты:

Юрий Папаскуа – доктор экономики, профессор;
Василий Мосиашвили – доктор экономики, профессор;
Татия Гурцкая – доктор экономики, профессор.

© Абхазская национальная академия наук, Сухумский государственный университет.
© Липартия З.2017.

Издательство "УНИВЕРСАЛ", 2017

Тбилиси, 0179, пр. И.Чавчавадзе №19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge; universal505@ymail.com

ISBN 978-9941-26-180-0

საქართველოში ეფექტური ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკა მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზეა და ამ პროცესს აფერხებს გარდამავალი პერიოდის ობიექტური ეკონომიკური სიძნელეები და პროფესიონალების კრიზისულ პირობებში მუშაობის არასაკმარისი გამოცდილება. ქვეყნის შემდგომი წინსვლა საბაზრო რეფორმების გზაზე და კრიზისული ეკონომიკური ტენდენციების დაძლევა საშუალებას იძლევა სრულად იქნეს გამოყენებული ფინანსური მენეჯმენტის თეორიული შედეგები და მსოფლიო პრაქტიკული გამოცდილება.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული **ამოცანები** იკვეთება ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობის ორგანიზაციის ასპექტით. კერძოდ, ძირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს ფინანსური მენეჯმენტის შემდეგ საკითხებზე: ფინანსურ გარემოზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ლიკვიდურობაზე. კერძოდ: ა) რომლებიც არ არის დამოკიდებული კორპორაციულ საქმიანობაზე, როგორიცაა: კრედიტის საპროცენტო განაკვეთი, ვალუტის კურსი, მოგების დაბეგვრის ნორმა, ფასები, შრომის ანაზღაურება და სხვა. და ბ) რომლებიც დამოკიდებულია ეკონომიკური სუბიექტის (კორპორაცია, ფირმა) საქმიანობაზე. როგორიცაა: პროდუქციის მოცულობა და ასორტიმენტული სტრუქტურა, ინდივიდუალური ხელფასები და გასაყიდი საქონლის ფასები, და სხვა.

ცნობილია, რომ გლობალიზაციის პირობებში ფინანსური მენეჯმენტის განვითარება ეკონომიკაში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ფინანსების როლის კოლოსალურ გაძლიერებას, ფინანსური ურთიერთობების მასშტაბების ზრდას უკავშირდება. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი გაბატონებული ეკონომიკური სისტემა ფინანსური ეკონომიკა, მასში მთავარ როლს ასრულებს არა კაპიტალი, როგორც ასეთი, არამედ ფინანსური კაპიტალი. რაც განაპირობებს კიდეც ფინანსური მენეჯმენტის პერსპექტიულობას.

ფინანსური მენეჯმეტი უაღესად რთული პროცესია და განსაკუთრებით რთული იგი ჩვენი ქვეყნისთვის, რამდენადაც არ გაგვაჩნია სრულყოფილი თეორიულ მეთოდოლოგიური და არც პრაქტიკული საფუძვლები. ამიტომ აუცილებელია ინტენსიურად გამოვიყენოთ, როგორც განვითარებული ქვეყნების, ასევე წარმატებული გარადამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ძალიან რთული იქნება საბაზრო ეკონომიკის წარმატებული მშენებლობა.

ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე სისტემა ასახავს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური საქმიანობის მართვის მექანიზმის უმჭიდროეს კავშირს ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისა და ინსტრუმენტების მექანიზმებთან, რომელიც მოიცავს ამერიკული, ევროპული, და სხვა ეროვნულ სკოლათა თეორიული მიდგომების თავისებურებებს. თანამედროვე სისტემის ფორმირება ძირითადად დაფუძნებულია თეორიულ კონცეფციებისა და მოდელების სისტემას, რომელებიც პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

ა) მიდგომები, რომლებიც განსაზღვრავენ კორპორაციის ფინანასური საქმიანობის მიზნებსა და ძირითად პარამეტრებს: მესაკუთრეთა ეკონომიკური ინვესტირების პრიორიტეტების კონცეფცია; თანამედროვე პორტფელური და დივიდენდური პოლიტიკის თეორიები; კაპიტალის ღირებულებისა და სტრუქტურის კონცეფციები და სხვ.

ბ) მიდგომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ საბაზრო შეფასებას: ფულის ღირებულების კონცეფცია დროში; რისკის დონისა და შემოსავლიანობის ურთიერთკავშირის კონცეფცია; ფინანსური აქტივების, ოფციონების, აქციებისა და ობლიგაციები შეფასების მოდელები და სხვ.

გ) მიდგომები, რომლებიც ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ინფორმაციულ უზრუნველყოფასა და საბაზრო ფასების ფორმირებასთან დაკავშირებულ კონცეფციათა სისტემას მოიცავენ: ბაზრის ეფექტიანობის ჰიპოთეზა, ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფცია, სააგენტო ურთიერთობებისა და ფასწარმოქმნის საარბიტრაჟო თეორიები და სხვ., რომლებშიც აისახება მათი

პრაქტიკული გამოყენების მექანიზმი და რომლებიც თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის პარადიგმის ფორმირების საფუძვლებს წარმოადგენენ.

ამრიგად, ზემოთ განხილულ ფუძემდებელი კონცეფციების გააზრება, ცოდნა ნებისმიერი პირისთვის, რომელიც ფინანსების სფეროში იმუშავებს, რამეთუ ფინანსური მენეჯერის პრაქტიკული საქმიანობა ამ კონცეფციების გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. მენეჯერმა უნდა იცოდეს ფულის ღირებულებაზე დროის ფაქტორის ზემოქმედება, საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ღირებულების გამოთვლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი მართვა (დაზღვევა, პეჯირება, დივერსიფიკაცია) და ა.შ. ეს ცოდნა ყველაზე მეტად სჭირდება ფინანსურ მენეჯერს, რაც კორპორაციის ფინანსური აქტივების წარმატებული ეფექტიანი მართვის წინაპირობად გვევლინება, რომელიც განაპირობებს კიდეც თანამედროვე კორპორაციული მენეჯმენტის პერსპექტიულობას.

წინამდებარე მონოგრაფიის – **ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია** (თეორია, პრაქტიკა, სტრატეგიები)“ – **მიზანია** თანამედროვე ფინანსური მართვის თეორიული მიდგომების განზოგადება ცალკეულ პრობლემათა აგებისა და შესწავლის ლოგიკური თანმიმდევრობის განსაზღვრა, ეკონომიკური სუბიექტის (კორპორაციის, ფირმის) მენეჯერთა გათვიცნობიერება **ფინანსური ფილოსოფიისა და ფინანსური კულტურის** (ხელოვნება) საკვანძო საკითხებში, რომლებიც დაეხმარება მეცნიერ-მკვლევარებს, სტუდენტ-ახალგაზრდობას გამოიმუშაონ ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების ლოგიკა და ფინანსური სტრატეგიების შემუშავება–რეალიზაციის ძირითადი მეთოდოლოგიური მიდგომები. სიღრმისეულად ასევე გაეცნონ თანამედროვე ფინანსურ ტექნოლოგიებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც გამოიყენებიან კომპანიების, სერვისული ორგანიზაციების, აქტივებისა და კაპიტალის ფინანსური წყაროების, საინვესტიციო მენეჯმენტის, ფინანსური რისკების ანტიკრიზისული ფინანსური მართვის პროცესებში და ა.შ.

ჩვენი აზრით, ავტორმა თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად შეძლო, მაღალ აკადემიურ დონეზე მონოგრაფიული ნაშრომის მომზადება, რომელთა მიწოდება სამეცნიერო-კვლევითი წრეებისათვის და ასევე საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებულ განხორციელებას ეროვნული კადრების მომზადების საქმეში, რომელიც ერთ-ერთი აუცილებელ კომპონენტად გვევლინება ქვეყნის შემდგომი აღორძინება-განვითარებისათვის. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მონოგრაფია რეკომენდებულია გამოსაცემად.

რევაზ ბასარია

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გიორგი ცაავა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი.

„ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია“, რომელსაც მკითხველი ახლა ეცნობა, პრაგმატული და ინოვაციური მონოგრაფიაა ახალ ეკონომიკურ ლიტერატურაში.

ნაშრომის სტრუქტურასა და განხილული საკითხების თანახმოვანებაზე წარმოდგენას სარჩევზე თვალის ერთი გადავლებაც კი ქმნის. შთამბეჭდავია ნიგნის მოცულობაც, რაც ავტორის ხანგრძლივ და დაუღალავ ძალისხმევაზე მიუთითებს. სამეცნიერო რედაქტორებმა სარწმუნოდ აღნიშნეს ნაშრომის შინაარსობრივი დატვირთვის შესახებ, სავსებით სწორად შენიშნეს დასახული ამოცანები, მათი აქტუალობა და სამიზნე აუდიტორია. ამიტომ, რომ არ განვმეორდე, რეცენზიის შაბლონურ წყობას ავერიდები.

ჩვეულებრივ, წიგნს არ ურთავენ უარყოფით შეფასებას. არც ეს შემთხვევაა გამონაკლისი. ნაშრომის სტამბური ვერსია ვიდრე მკითხველამდე მოვიდოდა, გარკვეული ფილტრები მან უკვე გამოიარა, დაიხვეწა. გათვალისწინებულია ჩემი კეთილგანწყობილი კრიტიკული მინიშნებები და თუ მაინც გამოაღნია ხარვეზმა, შენიშვნებზე მეტად, წარდგენის ნაწილში, ვამჯობინე, ყურადღება მივაპყროთ უპირატესობებს, რაც ამ გამოცემას ჭარბად აქვს.

მენეჯმენტი – ბიზნეს-ორგანიზაციული მოქმედების, საქმიანობის კრეფსითი აღმნიშვნელი ეს უცხოური შესატყვისი, ორი ათეული წელია, ქართულ ეკონომიკურ ლექსიკაში მკვიდრდება. **ფინანსური მენეჯმენტი,** როგორც ნარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციის, მეთოდების, ტექნიკის და ტექნოლოგიის, ადამიანურ ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ ცოდნის სისტემის საკვანძო მიმართულება, აქტიურად შემოჰყვა საბჭოთა ეკონომიკის ტრანსფორმაციულ პროცესებს. საქართველო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის დინებაში აღმოჩნდა. ფინანსური კაპიტალი ახალი ეკონომიკური სისტემის ფორმირების უმთავრესი შემადგენელი გახდა. **ფინანსური მენეჯერის** გადაწყვეტილებები ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ეკონომიკური სუბიექტების (კორპორაციების) მართვაში უკვე გადამწყვეტ პოზიციას იკავებს. პოსტსაბჭოთა საქართველოში ფინანსური მენეჯმენტი საგრძნობლად განვითარდა, რაშიც ქართველი მეცნიერების როლი უდავოდ დიდია, თუმცა მაღალი რანგის მენეჯერები ჯერ კიდევ ცოტანი არიან. ქართულ რეალობას, ეკონომიკურ განვითარებას, საწარმოთა ზომით კატეგორიებს მორგებული ფინანსური მართვის თეორიულ-მეთოდოლოგიური და შესაბამისი პრაქტიკის უზრუნველყოფის სისტემა არა აქვს.

ფინანსური მენეჯერების ჩამოყალიბება მყარ ცოდნას, მიზანდასახულ და მიზან-მიმართულ შრომას მოითხოვს. ამ სწორუპოვარი სიმდიდრისკენ მხოლოდ წიგნებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, განსაკუთრებით კი ეკონომიკური ურთიერთობების თეორიებსა და გამოცდილებას უნდა დაემგზავრო.

ამ მხრივ, ზურაბ ლიპარტიას **„ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია“** საუკეთესო მეგზურია მართვის ხელოვნების სამყაროსკენ და ეს ამ წიგნის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსებაა. ავტორი პასუხისმგებლობით მოეკიდა დასახული ამოცანის გადაწყვეტას და დამჯერებლად, გასაგებად წარმოადგინა მმართველობითი აზროვნების ევოლუცია ჩანასახიდან თანამედროვე მიღწევების ჩათვლით. თეორიულ წანამძღვრებში განხილულია **ნეოკლასიკური, კეინზური, ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური** მიმართულებები; აგრეთვე, თანამედროვე თეორეტიკოსთა, მათ შორის, ქართველ მეცნიერთა შეხედულებები. თეორიულ გადაწყვეტილებებთან ერთად, ნაშრომში გადმოცემულია ფინანსების მართვის ევროპული და ამერიკული გამოცდილება.

განსაკუთრებით რაც საყურადღებოა და გამოარჩევს ამ წიგნს სხვა გამოცემებისგან, ისაა, რომ ფინანსური მენეჯმენტით მოცული საკითხების წრე უშუალოდ საქართველოს, მის ტერიტორულ მოწყობას, საბიუჯეტო და საგადასახადო სისტემას, საინვესტიციო გარემოს, მაკრო და მიკროეკონომიკურ განზომილებებს უკავშირდება, მის თავისებურებებს ასახავს, კრიტიკულად განიხილავს.

აღნიშნულ უპირატესობათა გამო, ნაშრომი საქართველოსთვის ფინანსური მენეჯმენტის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სრულყოფას და ფინანსური მენეჯერების ახალი ნაკადის შევსებას უთუოდ წაადგება.

ბატონი ზურაბი სათავეებიდანვე ჩართულია მენეჯმენტის თეორიის, კონცეფციების, წესებისა და ფორმების კვლევა-ძიებაში. ხანგრძლივვადიანი და ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგად, მას მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა. ეს მისი მეცნიერული მოღვაწეობის ერთგვარი შემა-

ჯამებელი ნაშრომია (შემთხვევითი არაა, რომ ეს სქელტანიანი წიგნი მისი 70 წლის იუბილის აღნიშვნამდე გამოდის). ამდენად, მონოგრაფიაში რაფინირებულად თავს იყრის ზურაბ ლიპარტიას ადრე გამოცემული კვლევებიდან, სტატიებიდან, წიგნებიდან და სხვა პუბლიკაციებიდან ფინანსური მენეჯმენტის ყველა შემადგენელი, ფაქტობრივად, ყველა დეტალი და სიტუაციური შემთხვევა. ამ წიგნში წარმოდგენილია გამოცდილება, რომლითაც თითქმის ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივ სუბიექტს, შესაძლოა, კრიტიკული თუ კრიზისული ვითარება განარიდო და მიმდინარე პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტის დროს იხელმძღვანელო; ეს ყოველივე წიგნს **პრაგმატულ, გამოყენებით მნიშვნელობას** ანიჭებს.

პრაგმატულია აგრეთვე და დაინტერესებულ პირს ერთგვარ მოხერხებულობას უქმნის ნაშრომის თითოეული ნაწილისთვის მოკლე რეზიუმეს, გამოცემისთვის **სტრატეგიული ბიზნეს-გეგმის ნიმუშისა** და **ეკონომიკურ-ფინანსური მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონის** დართვა. მკითხველს ერთ სივრცეში შეუძლია, მოიძიოს მისთვის საინტერესო საკითხზე მნიშვნელოვანი დასკვნა, სპეციფიკური საძიებო სიტყვის განმარტება და პრაქტიკული საქმიანობისთვის დამხმარე ინსტრუმენტი. ასევე, საინტერესო და ფინანსური მენეჯერის ბიზნეს – კარიერის ფორმირებისთვის სასარგებლოა ნაშრომისთვის თანდართული ავტორის **ნარკვევი** დიდი ქველმოქმედის, **ენდრიუ კარნეგის** მიღწევებზე.

მაქვს შინაგანი განცდა და წიგნის რეცენზიაზე მუშაობამ მეტად დამარწმუნა, რომ აწ უკვე თქვენამდე მოღწეული **„ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია“**, ავტორს – ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა და აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, **ბატონ ზურაბ ლიპარტიას** წარმოაჩენს, როგორც მაღალი რანგის მკვლევარს, მეცნიერს, შემოქმედსა და მოქალაქეს; მისი მდიდარი პროფესიული გამოცდილება საქართველოში ახალი ეკონომიკური სისტემის, მომავალი თაობის მკვლევარების და ფინანსური მენეჯერების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

იური პაპასქუა

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, სსუ ეკონომიკისა და ბისნესის ფაკულტეტის პროფესორი. საქართველოს აუდიტორთა ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი. სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ – „ბიზნესი და კანონმდებლობა-ს“ მთავარი რედაქტორი


ვასილი ჭოსიაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ეროვნული უნუვერსიტეტის პროფესორი

თათია ღურწკაია

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი, სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი

წიგნი ეძღვნება უფროსი ძმის თამაზ (შაირი) შალვას ძე ლიპარტიას (1946 წ. 22 მარტი – 2017 წ. 09 მაისი) ნათელ და მარადიულ ხსოვნას



თამაზ (შაირი) შალვას ძე ლიპარტია
ცათა შინა სასუფეველი დაუმკვიდრე შაირის სულს, უფალო...
Тамаз (Шаири) Шалвович Липартия
(22 марта 1946 года – 9 мая 2017 года)
Tamaz (Shairi) Lipartia (March 22, 1946 – May 9, 2017)

შესავალი

ტერმინი „ეკონომიკა“ ძველბერძნულად ნიშნავს – **„საოჯახო მეურნეობის წესების კრებულს“.** მაგრამ, ეკონომიკა თანამედროვე გაგებით უფრო ფართო ცნებაა. ჩვეულებრივ **ეკონომიკური საქმიანობის** (სამეწარმეო) ქვეშ განიხილება ადამიანთა წარმოებრივი საქმიანობა – არსებული რესურსებიდან სხვადასხვა დოვლათის (სიკეთის) შექმნა, მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ადამიანთა ურთიერთობის **ერთობლიობა ეკონომიკური საქმიანობის პროცესში,** რომელიც **ეკონომიკური თეორიის** შესწავლის **საგანს** შეადგენს, შეიძლება **სისტემატიზირებულ** იქნეს რამდენიმე **კრიტერიუმის** მიხედვით:

1) რესურსებისა და პროდუქტების მოძრაობის კრიტერიუმით. წარმოებიდან მოხმარებისაკენ ადამიანთა ურთიერთობების ასპექტი აისახება მატერიალური დოვლათის (საქონელი, მომსახურება) წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების სფეროში;

2) რაციონალური ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმით. ეკონომიკური სუბიექტების წინაშე წარმოებისათვის რესურსების შეზღუდულობის პირობები ეკონომიკური არჩევნის დასაბუთებულობა და მათი რეალიზაცია, რომელიც გადაწყვეტილებათა რაციონალური არჩევნის ძიების პროცესში აისახება, წარმოშობს **ეკონომიკურ ურთიერთობათა კლასიფიკაციის** აუცილებლობას მოქმედების ობიექტურ ლოგიკურ ფაქტორებიდან გამომდინარე;

3) ეკონომიკური სისტემების განვითარებაზე ამა თუ იმ ფაქტორთა ზემოქმედების ხასიათის კრიტერიუმით. ეს ასპექტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკონომიკის განვითარების ასპექტით ანალიზის წარმოებისას.

ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოებრივ მეცნიერებაში წარმოდგენილია, კერძოდ:

პირველი ჯგუფი, როგორც **ტექნიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები,** როდესაც წარმოება და ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განისაზღვრება შრომის საშუალებით ტექნიკური დონით. ბუნებრივია, ტექნოლოგიური პირობების ჩამორჩენილობა, მისი დაბალი დონე **ზღუდავს რაციონალურ გადაწყვეტილებათა არჩევნის თავისუფლებას.**

მეორე ჯგუფი ურთიერთობებისა, რომლებიც განსაზღვრავენ სისტემის სოციალურ-ეკონომიკურ ხასიათს, მის წინააღმდეგობისა თუ განვითარების სტიმულებს, წარმოდგენილია საკუთრებითი ურთიერთობებით ანუ დოვლათის (სიკეთის) მითვისების ურთიერთობით.

მესამე ჯგუფი კი მოიცავს საორგანიზაციო-ეკონომიკურ (მმართველობის) ურთიერთობებს, ეკონომიკის დამოკიდებულებას მისი ინსტიტუტებისაგან, ორგანიზაციისა და მართვისაგან. სწორედ ისინი წარმოადგენენ ინსტიტუციონალური ეკონომიკის ფორმირების ბაზას. რამდენადაც ეკონომიკური ურთიერთობები საზოგადოებაში ერთიან სისტემად გვევლინება.

ეკონომიკური თეორია არის მეცნიერება ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემის შესახებ საზოგადოებაში და, როგორც მეთოდოლოგიური მეცნიერება, იგი მოწოდებულია გამოიკვლიოს წარმოების და გაცვლის პრობლემები საზოგადოების განვითარებაში, განსაზღვროს ეკონომიკური ზრდის ფაქტორები, როგორც კვლავ წარმოების დინამიკის (წარმოება, განაწილება, გაცვლა და მოხმარება), ასევე საზოგადოებრივი განვითარების სამომავლო ეტაპებზე.

ქვეყნის ეკონომიკის გარდამავალი პერიოდისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური საქმიანობის ეფექტური ფუნქციონირება, რაც წარმოების მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღებაში გამოიხატება. რამდენადაც **ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის** თეორიულ საფუძველს **ეკონომიკური თეორია** წარმოადგენს, მონოგრაფიაში განვიხილავთ **ეკონომიკური აზრის განვითარების ასპექტებს,** ეკონომიკური საქმიანობის პროცესში ადამიანთა ურთიერთობების კრიტერიუმების, ეკონომიკური ზრდის კანონზომიერებებისა და ფაქტორების ერთობლიობას, რომელიც ფართოდ არის გაშუქებული **მსოფლიოს ეკონომიკურ ლიტერატურაში.** აქვე, მოგვყავს მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებული **ეკონომიკური თეორიის ორგანიზალური განმარტება** (ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური თეორიის საზოგადოდ მიღებული განმარტება არ არსებობს), რომლის თანახმად, იგი არის ცოდნის ერთობლიობა, რომელიც პასუხობს ნებისმიერი საზოგადოებრივი სისტემისათვის დამახასიათებელ პრობლემათა **„ტრიადას“,** კერძოდ: **1. რა უნდა ვაწარმოოთ**

და რა რაოდენობით? 2. როგორ უნდა ვაწარმოოთ? 3. ვისთვის იწარმოება?

ეკონომიკური მეცნიერების გამოჩენილი ქართველი წარმომადგენლების სახელმძღვანელოებში, კერძოდ, პროფესორების: **ვლადიმერ და რევაზ ბასარიების** სახელმძღვანელო – **„ეკონომიკის პრინციპები“** – ეკონომიკურ თეორიაში ორ ნაწილად: მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკაში – „განზოგადებულია: **ეკონომიკური თეორიის** ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ აღმოაჩინოს კანონები, რომლებიც მართავს ეკონომიკას – წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას (ე. ი. მთლიანად კვლავწარმოებას), და ხელი შეუწყოს ადამიანების მიერ მათ შეგნებულ გამოყენებას. ამის აუცილებლობა იმით არის განპირობებული, რომ ეკონომიკური კანონები სამეურნეო საქმიანობის აუცილებელ, ობიექტურ, განმეორებად მიზეზობრივ-შედეგობრივ კავშირებს **გამოხატავს [1, გვ. 15]“.**

თანამედროვე ეკონომიკური თეორიები, რომლებიც ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში წარმოდგენილია შემდეგი მიმართულებით: **ნეოკლასიკური; კეინზური; ინსტიტუციონალურ-სოციოლოგიური.**

ეკონომიკური თეორიის **ნეოკლასიკური** მიმართულება ძირითადად ჩამოყალიბებულია ინგლისელი ეკონომისტის **ალფრედ მარშალის** ნაშრომებში. ა. მარშალი (1842-1924) ფართოდ ცნობილია როგორც **ფასების თეორიის** ფუძემდებელი. იგი ცდილობდა რა ზღვრული სარგებლიანობისა და წარმოების ხარჯების თეორიათა გაერთიანებას იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არც მოთხოვნას და არც მიწოდებას არ გააჩნიათ პრიორიტეტი ფასის განსაზღვრაში. მოთხოვნა და მოწოდების კატეგორიები საბაზრო ფასწარმოქმნის თანაბარუფლებიანი ელემენტები არიან. კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერების **ნეოკლასიკური** მიმართულება წარმოდგენილია:

ა) მონეტარიზმისა ამერიკელი სწავლული ეკონომისტი ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში (1976 წ.) წიგნის „არჩევანის თავისუფლება“-ს ავტორი **მილტონ ფრიდმენი** თვლის, რომ ყველა უდიდესი ეკონომიკური რყევა ფულადი პოლიტიკის შედეგებით აიხსნება და არა მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის არასტაბილურობით, ამიტომ სახელმწიფოს ჩარევა საბაზრო ურთიერთობებში უნდა იყოს ძალიან ფრთხილი და იშვიათი.

ბ) ნეოლიბერალიზმის (ლუდვიგ ფონ მიზესი და ფრიდირიხ კონ ჰაიეკი) თანამედროვე თეორიებით. ნეოლიბერალიზმის თეორიაზე დაყრდნობით გერმანელმა სახელმწიფო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ლუდვიგ **ერჰარდმა** (1897-1977 წწ.) შექმნა და პრაქტიკაში დანერგა საბაზრო მეურნეობის სოციალურად ორიენტირებული თეორია (იგი გამოცემულია ნიგნში „კეთილდღეობა ყველასათვის“ რომელიც 1956 წელს გამოიცა).

ეკონომიკური თეორიის **კეინზური** მიმართულება, რომლის ფუძედემდებელია **ჯ. მ. კეინზი** (1883-1946 წწ.) მის მთავარ ნაშრომში „დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია“ (1936) გადმოცემულია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების პროგრამა. ჯ. მ. კეინზმა ჩამოაყალიბა ერთობლივ მაჩვენებელთა – ეროვნულ შემოსავლის, ინვესტიციების, მოხმარების, დანაზოგების და სხვა ურთიერთგანპირობებულობის **მაკროეკონომიკური ანალიზი.** იგი გამოაცხადეს „კაპიტალიზმის გადამრჩენელად“, ხოლო მისი თეორია – „კეინზურ რევოლუციად პოლიტიკურ ეკონომიკაში“.[1]

ეკონომიკური თეორიის ინსტიტუცინალურ-სოციოლოგიური მიმართულებების ყველა წარმომადგენლები (ტ. **ვებლერი, ჯ. კომონსი, უ. მიტჩელი, ჯ. გელბრეითი.**) ეკონომიკას განიხილავს როგორც სისტემას, სადაც ურთიერთობები მეურნე სუბიექტებს შორის ეკონომიკური და არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენით ყალიბდება, რომელთა შორის მნიშვნელოვანია ტექნოლოგიურ-ეკონომიკური ფაქტორები ამ მიმართულებაში, რომელიც გამოდის სხვადასხვა მოდიფიკაციით (სოციალურ-ფსიქოლოგიური (ტ. ვებლერი), სოციალურ-სამართლებრივი, (ჯ. კომონსი), კონიუნქტურა-მცოდნეობა (უ. მიტჩელი), განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე საზოგადოების გარდაქმნის, ტრანსფორმაციის პრობლემას.

თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მთავარ კომპონენტად **„ეკონომიკსი“** გვევლინე-

---

[1] **ბასარია ვლ., ბასარია რ.** ეკონომიკის პრინციპები. სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში ორ ნაწილად: მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. „საქართველოს აკადემიური გამომცემლობა“ თბილისი, 2017. – გვ. 362.

ბა, რომელიც იძლევა „რეცეპტს", თუ როგორ შეიძლება ყველაზე ეფექტურად გადაიჭრას საზოგადოების ეკონომიკური განვითარების, ზემოთ აღნიშნული „ტრიადას" – რა, როგორ, ვის-თვის? – საკითხები.

ამჟამად, „ეკონომიკის" მრავალრიცხოვანი სახელმძღვანელოები გამოდის. მათ შორის ყველაზე პოპულარულია პოლ ა. სამუელსონის „ეკონომიკისი"[2] (პირველად 1948 წელს გამოვიდა), რომელიც ახასიათებს:

1) სპეციალურ მეცნიერებას მიკრო – მეზო და მაკროდონეზე, ეკონომიკის საბაზრო ფუნქციონირების პრინციპებს;

2) მეცნიერებას, რომელიც უფრო გამოყენებით ხასიათს ატარებს მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიასთან შედარებით;

3) სასწავლო დისციპლინათა ციკლს აშშ-ის, დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში, რომელიც მოიცავს ასევე ეკონომიკურ თეორიას, ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიას, სპეცკურსებს ეკონომიკური პრობლემების მიხედვით.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური ლიტერატურის ანალიზი მიუთითებს, მოითხოვს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრინციპების სისტემის აღიარებას, რომლებსაც მიეკუთვნება: 1. პიროვნების ეკონომიკური თვითგამორკვევა. 2. მესაკუთრის უფლება (მიწაზე, მოძრავ და უძრავ ქონებაზე). 3. კონკურენტულ პირობებში საქმიანობის უზრუნველსაყოფად იურიდიული და ფიზიკური პირების ეკონომიკური თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა. 4. მეწარმის ეკონომიკური თავისუფლება; 5. შრომის, საქონლისა და კაპიტალი ბაზრის არსებობა. 6. საბაზრო ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება (საგადასახადო და საინფორმაციო პოლიტიკა, სოციალური დარგების დოტაცია, ფულადი სისტემის სტაბილიზაცია და ა. შ.). 7. სოციალური დაცვის სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს:

შემოსავლების რეგულირებას გადასახადების მეშვეობით, შრომის ანაზღაურების მინიმალური ზღვრის დაწესებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცვას.

საქართველოს ეკონომიკის გადასვლა საბაზრო ურთიერთობებით რელსებზე დღის წესრიგში აყენებს ეკონომიკური პროცესებისა და საზოგადოებაში მომდინარე მოვლენების ახლებურად გააზრების საჭიროებას. მრავალგზის შესწავლილი და პრაქტიკაში გამოყენებად სხვადასხვა ეკონომიკური კანონებისა თუ კატეგორიების ახლებურ გააზრებას, ახალ გარემოში ფუნქციონირებისათვის ეკონომიკურ საქმიანობისათვის საჭირო სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმების შექმნას, რომელიც შესაძლებელია ეკონომიკური ანალიზის წარმოებით.

მენეჯმენტის (managment) განვითარება, რომელიც მართვის პრინციპების, მეთოდების, საშუალებების და ფორმების ერთობლიობას წარმოადგენს, დაკავშირებულია ამერიკელი ინჟინრის ფ. ტეილორის სახელთან. მენეჯმენტი ინტენსიურად განვითარდა 1950-1970-იან წლებში.

ადამიანთა საზოგადოების განვითარებასთან ერთად სრულყოფილი ხდება მეცნიერული ცოდნა საზოგადოებრივ მოვლენების კანონზომიერებებთა შესახებ. დაგროვილი ცოდნის დიალექტიკური დიფერენციაციისა და ინტეგრაციის ნიადაგზე

ეკონომიკურ თეორიას (პოლიტიკურ ეკონომიას) გამოეყო სპეციალური მეცნიერებები: ორგანიზაცია და მართვა, ეკონომიკური სტატისტიკა, ბუღალტრული აღრიცხვა, ფინანსები და კრედიტი, ეკონომიკური კიბერნეტიკა, ეკონომიკური ანალიზი და სხვა. სპეციალურ მეცნიერებებს გააჩნიათ კვლევის კონკრეტული საგანი, ისინი სწავლობენ რა საერთო კანონების მოქმედებას დარგის სპეციფიკურ პირობებში, იხილავენ ეკონომიკის ცალკეულ არსებით მხარეებს (ნიშნებს) უფრო დაწვრილებით თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტში.

ეკონომიკური ანალიზის როლი საზოგადოებაში წარმოშობილი ეკონომიკური მოვლენების შემეცნების უმნიშვნელოვანესი მომენტია, რომელიც მოიცავს მოვლენებისა და პროცესების

---

[2] პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდაუსი „ეკონომიკა" (economics). მეთხუთმეტე გამოცემა. პირველად ქართულ ენაზე N 1 წიგნი ბისნესის სამყაროში (სრული თარგმანი) ეკონ. მეცნ. დოქტორის, პროფესორ ჯ. ი. ღურწკაიას მიერ. გამოიცა 4 ტ., სტუ, თბილისი. 2000 წ. და სახელმძღვანელოს, ჯ. მაკონელისა და ს. ბრიუს– „ეკონომიკისის" თარგმნა და გამოცემა 4 ტ.; ს. ფიშერის, რ. დორნბუშის და რ. შმალენზის– „ეკონომიკის" თარგმნა და გამოცემა ოთხ ტომად.); უილიამ ბომოლი, ალენ ბლაინდერი – „ეკონომიკისი: პრინციპები და პოლიტიკა", 3 ტ., სტუ, თბილისი 2006.

ცოცხალ **განჭვრეტას, აბსტრაქტულ აზროვნებას და განზოგადებული დასკვნების** საფუძველზე პრაქტიკული წინადადებების შემუშავებას საკვლევი მოვლენების შემდგომი განვითარებისათვის. **ეკონომიკური**

ანალიზის მეშვეობით შეისწავლება ეკონომიკურ მოვლენებზე ცალკეული ცალკეული ფაქტორების გავლენა, მათ ეძლევათ რაოდენობრივი დახასიათება, რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლით ხდება ახლის, პროგრესულის აღმოცენება და ამ ნიადაგზე შესაძლებელი ხდება მოვლენის განვითარების პროგნოზირება.

საბაზრო მექანიზმებთან ადაპტირებული ეკონომიკური ანალიზისა და ანალიზურ-შემფასებელი სისტემებით **მართვის პრობლემების** განხილვისას თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **აკადემიკოსი გიორგი პაპავა მონოგრაფიაში – „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია"**[3] აღნიშნავს, რომ – „დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოთა საბაზრო ეკონომიკების ურთიერთობანი ჰორიზონტალური საბაზრო კავშირების გამო მოიცავს არა მარტო ქვეყნის შიგა, არამედ სხვა ქვეყნებთან საბაზრო საინვესტიციო და საწარმოო-ტექნიკურ კავშირებსაც. ეს ურთიერთობები მოითხოვენ მართვის განხორციელებას თანამედროვე მარკეტინგის პოზიციებიდან" **(3, გვ. 14).**

მსოფლიო გლობალური პროცესების ჭრილში, საქართველოში ეკონომიკური სისტემის გარდაქმნების მიმდინარე მაკროეკონომიკური პოლიტიკა, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და ღვაწმოსილი პროფესორის, **ქალბატონი როზეტა ასათიანის**[4] ანალიზი-შეფასებით, ორიერტირებულიქნა **ორთოდოქსული („ძვირი ფულის")** ტიპის, ე. წ. ლიბერალურ-მონეტარულ პოლიტიკაზე. შესაბამისად, „საქართველოს ხელისუფლებამ ეკონომიკის რეფორმირების თანამედროვე ეტაპზეც, თავი ვერ დააღწია შეზღუდულ მენტალურ აზროვნებას. საქართველოს სჭირდება არა ნეოკლასიკურ თეორიაზე აგებული მკაცრი ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, (ისიც თავისებური შოკია), არამედ ისეთი ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ეტაპობრივად, ევოლუციური განვითარების გზით, ენდოგენური ფაქტორების ეფექტიანი გამოყენებით მიგვაახლოებდა ცივილიზირებულ ქვეყნებს" (4 გვ. 97).

ქართველი მეცნიერ-ეკონომისტი, პროფესორი **მერაბ ჯიქია**[5], განიხილავს რა **ფინანსურ ანალიზს,** როგორც კომპანიის **ფინანსური სტრატეგიის** შემუშავების ინსტრუმენტს, მიუთითებს, რომ კონკრეტული საქმიანობის სფეროში წამყვანი პოზიციის დაკავება გულისხმობს გარკვეული მიზნების მიღწევას ფინანსების, წარმოების, პერსონალის მართვისა და საქმიანობის სხვა წამყვან სფეროებში. შესაბამისად, **სტრატეგიული ანალიზი** იძლევა შესაძლებლობას დავადგინოთ დასახული მიზნის მისაღწევად კომპანიას საკმარისი ფინანსური რესურსები გააჩნია თუ არა, აირჩიოს გზები მიზნის მისაღწევად, განსაზღვროს რისკ-ფაქტორები და თავიდან აიცილოს **არაეფექტური** ფინანსური გადაწყვეტილებების შედეგები, რასაც შეიძლება ჰქონდეს შეუქცევადი ხასიათი. კომპანიის სტრატეგიული და ოპერატიული მართვის ურთიერთკავშირის წარმოდგენილ სქემაში აღნიშნავს, „სტრატეგიული მართვის ფარგლებში **ფინანსური ანალიზის როლი** მდგომარეობს დასახული მიზნობრივი ამოცანების მიღწევის დასაბუთებულობაში, ხოლო ოპერატიული მმართველობის მიხედვით – კონკრეტულ საანალიზო პერიოდში დასახული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასებაში" (5, გვ. 13).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში აუცილებელი ხდება მრავალი ძირითადი ეკონომიკური კატეგორიების ტრადიციული გაგების გადასინჯვა, მართვის სამეუნეო მექანიზმის რადიკალური გარდაქმნა. შესაბამისად, ეკონომიკური ანალიზის **მოქმედი მეთოდიკის გარდაქმნა** და აღრიცხვაში მიმდინარე რეფორმების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე მათი აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პროცესში, რომელიც წარიმართება ეკონომიკური ინ-

---

[3] **პაპავა გ. ვ.** ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2011. -323 გვ.

[4] **როზეტა ასათიანი.** XXI საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი. თბილისი, გამომცემლობა „სიახლე". 2017. – 140 გვ.

[5] **მერაბ ჯიქია.** ფინანსური ანალიზი (საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით). ლექციების კურსი. (რედაქტორი აკადემიკოსი რევაზ გოგობია) გამომცემლობა „მერიდიანი". თბილისი, 2011. -284 გვ.

ფორმაციის სისტემის მაჩვენებელთა შესწავლა-შეფასებით, კერძოდ საგეგმო, სააღრიცხვო, საანგარიშო და სხვა წყაროების საფუძველზე, შეისწავლება ობიექტური და სუბიექტურ ფაქტორების ზემოქმედება საწარმოთა სამეურნეო პროცესების და საქმიანობის საბოლოო შედეგებზე, რომელიც მოიცავს მათში შემავალი ცალკეული ერთეულების (ფილიალების), რგოლების სამეურნეო საქმიანობებსაც. ეკონომიკური ანალიზის საშუალებით შესაძლებელი ხდება **დასაბუთდეს მმართველობითი გადაწყვეტილების ოპტიმალურობის დონე** და შეფასდეს საწარმოოს საქმიანობის შედეგები წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის პოზიციებიდან. აზროვნების განვითარებასთან ერთად ვითარდება და თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურ ანალიზს აქვს განვითარებული მეთოდოლოგიური სისტემა, რომელიც შემდგომ დახვეწასა და გაღრმავებას მოითხოვს.

ეკონომიკაში ცნობილია **რეზერვების ორი სახე**: ა) კორპორაციის (საწარმოს) სარეზერვო მარაგები, რომელიც შეადგენს განსაზღვრულ (ნორმატიულ) მარაგს. საწარმოს შეუფერხებელი ფუნქციონირების მიზნით და ბ) გამოუყენებელი (ფარული) რეზერვები, რომლებიც ექვემდებარებიან „ამოცნობას" და მათი გამოყენებით გაუმჯობესდება საწარმოს საქმიანობის ხარისხობრივი მახასიათებელი ტექნოლოგიური ციკლის სტადიების, მარკეტინგის ფუნქციების მიხედვით, ნაკეთობათა ხარჯების შემცირებისა და ა. შ.

ამრიგად, **განვითარების თანამედროვე ეტაპზე** ქვეყნის ეკონომიკის, მისი ყველა დარგის, საკუთრების ფორმების შესაბამისად სამეურნეო სუბიექტებისა და ყველა რგოლის მართვის რთული ფუნქციების შესრულებისათვის ეკონომიკური ანალიზი მოწოდებულია შეიმუშაოს კონკრეტული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნები, რომლებსაც უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ სწორი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის, ოპტიმალური ვარიანტების შერჩევისათვის და პროგნოზირებისათვის.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგიული და ოპერატიული (მიმდინარე) გეგმების შედგენის მოთხოვნილება საკმაოდ იზრდება. ანალიზური ეკონომიკური გაანგარიშებიდან გამომდინარე საფუძვლიანი ანალიზით მიღებული შედეგები წარმოადგენს **ბიზნეს-გეგმის შედგენის აუცილებელ მასალას** და პერსპექტიული **პროგნოზირების** წყაროს შესაბამისად, იზრდება ეკონომიკური ანალიზის როლიც ეკონომიკური სუბიექტების განვითარების ობიექტური პროპორციებისა და საქმიანობის საბოლოო სამეურნეო-საფინანსო შედეგების ფორმირებაში, რომლებიც ყალიბდება ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით და შეისწავლება ეკონომიკური ინფორმაციის სისტემის საფუძველზე.

კორპორაციული **საქმიანობის ანალიზის ობიექტებია** ყველა მხარე: პროდუქციის, სამუშაოების, მომსახურების წარმოება და რეალიზაცია, დანახარჯები წარმოებაზე და რეალიზაციაზე, მოგება, რენტაბელობა და საფინანსო მდგომარეობა. ასევე, **ანალიზის ობიექტია** კომპანიის მიერ სანარმოო სიმძლავრეების გამოყენების, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლოესი მიღწევების დანერგვის, ენერგიის ხარჯვის პროგრამული ნორმების, მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისა და სხვა საკითხები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპანიის სამეწარმეო საქმიანობის მიზნების გაუმჯობესებას. შესაბამისად, საბაზრო ურთიერთობებზე გადავლის პირობები გაზრდილ მოთხოვნილებას უყენებს ეკონომიკურ ანალიზს, რადგან იგი კორპორაციათა ფუნქციონირების შესწავლის, მართვისა და კონტროლის, შიდა ფარული რეზერვების გამოვლენისა და ამოქმედების კომპლექსური **გამოკვლევის ინსტრუმენტს** შეადგენს.

ფინანსური მენეჯმენტის მიზანია კორპორაციების (საწარმოთა) ეფექტიანი საქმიანობის მიღწევის უზრუნველსაყოფად, მეცნიერულად დამუშავებულ ღონისძიებათა შემუშავება და რეალიზაცია, მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება და კორპორაციების (დარგის, ქვეყნის) ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება, ფინანსური სტაბილიზაციის უზრუნველყოფა, აქტივების სტრუქტურის ოპტიმიზაცია, კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სხვ.

ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი **ობიექტებია** ფინანსური ნაკადები, რაც უშუალოდაა დაკავშირებული ანგარიშსწორების ანგარიშსა და სხვა ანგარიშებში ფინანსური საშუალებების უწყვეტ ნაკადებსა და მათ გონივრულ ხარჯვასთან. შესაბამისად, ფინანსური მენეჯმენტის ყურადღების ცენტრშია საწარმოთა (კორპორაციების) ფინანსური რესურსები და მათი ყველა ფი-

ნანსურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება მეწარმეობის ყველა სხვა **სუბიექტთან.**

ფინანსური მენეჯმენტის განხორციელებისთვის საჭირო **ინფორმაციების** წყაროა: ოფიციალური ბუღალტრული და სტატისტიკური ანგარიშები (ანგარიშგებები); შიდამეურნეობრივი საწარმოო (მმართველობითი) და ფინანსური აღრიცხვა; ფინანსური ანალიზი; ბიზნესგეგმის კომპონენტები; ფასების დინამიკის შესახებ ფინანსური და საბანკო ორგანიზაციების მონაცემები (ინფორმაციები) და სხვა. ყოველივე ეს, კვალიფიციური დამუშავების შემდეგ, ქმნის ფინანსური მენეჯმენტის მყარ და მდიდარ **საინფორმაციო საფუძველს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად, მომავალი წარმატებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად.**

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში კორპორაციათა **ფინანსური მენეჯმენტის გარემოს** და საერთოდ საქმიანობის ასპექტით გამოიყოფა მათი ზოგიერთი **უპირატესობა.** კერძოდ:

1. კორპორაციათა საქმიანობის განუსაზღვრელი ვადა;

2. მფლობელთა საკუთრების მაღალი ლიკვიდურობა;

3. შეზღუდული პასუხისმგებლობა, რაც ნიშნავს, რომ აქციონერთა ზარალის შეზღუდვას მხოლოდ მათ მიერ ინვესტირებული სახსრების ფაქტიური მოცულობით ანუ იმის მაქსიმუმით, რაც შეიძლება დაკარგოს კორპორაციამ გაკოტრების დროს.

ფინანსური მენეჯმენტის გარემოს მაკომპლექტებელი სტრუქტურის სისტემაში მნიშვნელოვანია საერთოდ **რისკის,** და კერძოდ, **ფინანსური რისკის** კატეგორია, **რომელიც** ყველაზე რთული სტრუქტურის მქონე რისკია, რაც წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის გაცვლითი კურსის, ლიკვიდობის, აქციისა და საქონლის (მომსახურების) ფასის, ვალის გასტუმრებისა და კრედიტუნარიანობის მერყეობის შედეგად და პირდაპირ მოქმედებს კორპორაციების ბიზნეს საქმიანობაზე.

ფინანსური მენეჯმენტის პროცესში ხშირია **გაურკვევლობასა და განუსაზღვრელობასთან** დაკავშირებული სირთულეები, რაც არსებითად ორი სახისაა: 1) შეუძლებელია ფინანსური სისტემის მიმდინარე მდგომარეობის დაზუსტება მისაღები სირთულით; 2) უცნობია (ან ვერ დგინდება მოთხოვნათა სიზუსტე) მომავალი პერიოდის ფინანსური მაჩვენებლები და მათი თანამდევი პარამეტრები.

გამოჩენილი ქართველი **მეცნიერ-ფინანსისტის რევაზ კაკულიას**[6] შეფასებით – „წარმოიშვა ეკონომიკის ვირტუალური სტრუქტურირება: მატერიალური ფასეულობათა შექმნილი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქვემდებარებს პირველს თავის შემოსავლებით და ისეთ დონემდე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე დიდი როლი დაეკისრა. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი გაბატონებული ეკონომიკური სისტემა **ფინანსური ეკონომიკა,** რომელსაც თან ახლავს ფინანსური რევოლუცია. ეს გადატრიალება სინამდვილეში უკვე განხორციელდა. ეკონომიკა სულ სხვა გახდა და მასში მთავარ როლს ასრულებს არა კაპიტალი, როგორც ასეთი, არამედ **ფინანსური კაპიტალი**" (1, გვ. 5-6).

ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის ფორმირება ძირითადად დაფუძნებულია თეორიულ-კონცეფციებისა და მოდელების სისტემაზე, კერძოდ:

პირველი ჯგუფი, როგორიცაა: 1. მესაკუთრეთა ეკონომიკური ინვესტირების პრიორიტეტის კონცეფცია; 2. თანამედროვე პორტფელური თეორია; 3. კაპიტალის ღირებულების კონცეფცია; 4. კაპიტალის სტრუქტურის კონცეფცია; 5. დივიდენდური პოლიტიკის თეორია.

მეორე ჯგუფი, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ საბაზრო შეფასებას, როგორიცაა: 1. ფულის ღირებულების კონცეფცია დროში; 2. რისკის დონისა და შემოსავლიანობის ურთიერთკავშირის კონცეფცია; 3. აქციებისა და ობლიგაციების შეფასების მოდელები; 4. ფინანსური აქტივებისა და 5. ოფციონების შეფასების მოდელი.

მესამე ჯგუფში გამოიყოფა: 1. ბაზრის ეფექტიანობის ჰიპოთეზა; 2. სააგენტო ურთიერთო-

[6] კაკულია რ. ფინანსური ეკონომიკა-თბილისი 2007.

ბების თეორია; 3. ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფცია; 4. ფასნარმოქმნის საარბიტრაჟო თეორია.

კორპორაციის ფინანსური საქმიანობის **ეფექტური მართვა** მიიღწევა **რიგი პრინციპების** რეალიზაციით, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

1) კომპანიის მენეჯმენტის საერთო სისტემასთან ინტეგრირება საქმიანობის, რომელ სფეროშიც არ უნდა ღებულობდეს საწარმოო მმართველობით გადაწყვეტილებას, იგი პირდაპირ, ან ირიბად გავლენას ახდენს ფულადი ნაკადების ფორმირებაზე და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. **ფინანსური მენეჯმენტი** უშუალოდაა დაკავშირებული საწარმოო, ინოვაციურ, პერსონალის მენეჯმენტებთან და ფუნქციონალური მენეჯმენტის ზოგიერთ სხვა სახეებთან. ეს განსაზღვრავს ფინანსური მენეჯმენტის შეზღუდული ინტეგრირების აუცილებლობას საწარმოს მართვის საერთო სისტემასთან.

2) მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების კომპლექსური ხასიათი. ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების სფეროში და კომპანიის ფულადი ბრუნვის ორგანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და პირდაპირ, ან ირიბ გავლენას ახდენს მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. ამიტომ **ფინანსური მენეჯმენტი** განხილული უნდა იქნას, როგორც კომპლექსური მმართველობითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთდამოკიდებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომელთაგანაც თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის საერთო შედეგიანობაში.

3) მართვის მაღალი დინამიზმი. ყველაზე ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებაც კი ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების და ფულადი ბრუნვის ოპტიმიზაციის დარგში, რომელიც შემუშავებული და რეალიზებულია საწარმოში წინა პერიოდში, არ შეიძლება ყოველთვის განმეორებით იქნას გამოყენებული მისი ფინანსური საქმიანობის მომდევნო ეტაპებზე. პირველ რიგში ეს დაკავშირებულია გარე სამყაროს (გარემოს) ფაქტორების მაღალ დინამიკასთან საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ სტადიაზე და – **ფინანსური ბაზრის** კონიუნქტურის ცვლილებასთან. ამის გარდა, დროში იცვლება საწარმოს ფუნქციონირების შიდა პირობები, განსაკუთრებით მისი სასიცოცხლო ციკლის მომდევნო ეტაპებზე გადასვლისას, ამიტომ, **ფინანსურ მენეჯმენტს** უნდა მიენიჭოს მაღალი დინამიზმი, რომელიც გაითვალისწინებს გარე სამყაროს (გარემოს) ფაქტორების ცვლილებას, რესურსულ პოტენციალს, საწარმოო და ფინანსური საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებს, ფინანსურ მდგომარეობას და საწარმოს ფუნქციონირების სხვა პარამეტრებს.

4) ცალკეული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისადმი **მიდგომების ვარიანტულობა.** ამ პრინციპის რეალიზაცია გულისხმობს, რომ ყოველი მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადება ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების სფეროში და ფულადი ბრუნვის ორგანიზაციაში უნდა ითვალისწინებდეს ქმედების **ალტერნატიულ** შესაძლებლობებს. მმართველობითი გადაწყვეტილებების ალტერნატიული პროექტების არსებობისას მათი შერჩევა რეალიზაციისათვის უნდა ემყარებოდეს კრიტერიუმების სისტემას, **რომელიც განსაზღვრავს ფინანსურ ფილოსოფიას, ფინანსურ სტრატეგიას,** ან კომპანიის კონკრეტულ **ფინანსურ პოლიტიკას.** ასეთი კრიტერიუმის სისტემა დგინდება ეკონომიკური სუბიექტის მიერ.

5) კორპორაციის განვითარების **სტრატეგიულ მიზნებზე ორიენტირებულობა.** მმართველობითი გადაწყვეტილების საფუძველზე შემუშავებული ესა თუ ის პროექტები, მიუხედავად მათი ეფექტიანობისა უნდა გადაიდონ თუ კი ისინი ეწინააღმდეგებიან კორპორაციის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებსა და შეუძლიათ ზიანი მიაყენონ საკუთარი ფინანსური რესურსების ფორმირებას მიმდინარე პერიოდში.

ფინანსური მენეჯერი, რომელსაც გააჩნია მაღალი კვალიფიკაცია, შემოქმედებითი აზროვნების უნარ-ჩვევები და ზუსტად ურთიერთმოქმედებს სხვა მენეჯერებთან ერთად, ერთ-ერთ მთავარ ფიგურას წარმოადგენს კორპორაციაში (ფირმაში). მის მიერ შესრულებული ფუნქციები მეტად რთული, შრომატევადი და მრავალმნიშვნელოვანია. ფინანსური მენეჯერი, როგორც ანალიტიკოსი და ერუდიტი პასუხისმგებელია კორპორაციაში მიღებულ მნიშვნელოვან

ტექნიკურ და სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. ასევე, ფულადი ნაკადების მართვის ორგანიზაციაზე, კაპიტალის ეფექტიანად გამოყენებასა და შესაბამისად, მოგების მაქსიმალიზაციაზე.

ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციონირების პროცესი ეყრდნობა ორ ძირითად მექანიზმს, რომელიც შედგება ორი ქვეჯგუფისაგან: ა) მართვის სუბიექტი და ბ) მართვის ობიექტი. ფინანსური მექანიზმის ძირითადი ელემენტებია: 1) ფინანსური ურთიერთობები, როგორც ფინანსური მართვის ობიექტი; 2) ფინანსური მეთოდები; 3) ფინანსური ინსტრუმენტები; 4) ფინანსურ ურთიერთობათა სამართლებრივ-საინფორმაციო უზრუნველყოფა.

ფინანსური ურთიერთობები მოიცავს: ურთიერთობებს სხვა სამეწარმეო სამეურნეო სუბიექტებთან; საბანკო სისტემასთან; სასაქონლო, სანედლეულო და საფონდო ბირჟებთან; საინვესტიციო ინსტიტუტებთან; საგადასახადო სამსახურებთან; საუდიტორო ფირმებთან; სადაზღვევო კომპანიებთან; კორპორაციის პერსონალთან; აქციონერებთან და სხვა სუბიექტებთან.

ფინანსურ მეთოდებს მიეკუთვნება: ფინანსური აღრიცხვა; ფინანსური ანალიზი; დაგეგმვა; პროგნოზირება; ფინანსური კონტროლი; ფინანსური რეგულირება; ანგარიშსწორებათა სისტემა; დაკრედიტება; საგადასახადო დაბეგვრა; ფინანსური ლიზინგი; მატერიალური სტიმულირება; დაზღვევა და ა. შ. ხოლო **ფინანსურ ინსტრუმენტებს** მიეკუთვნება დოკუმენტები, რომლებსაც გააჩნიათ ფულადი ღირებულება და რომლითაც ხორციელდება ოპერაციები ფინანსურ ბაზარზე.

ფინანსური მართვის სამართლებრივი უზრუნველყოფა მოიცავს მოქმედ კანონმდებლობას: საგადასახადო კოდექსი, კანონი სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და ა. შ., რომლებითაც რეგულირდება სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობა, ხოლო კორპორაციის ფინანსური საქმიანობის **საინფორმაციო უზრუნველყოფა** ნარმოადგენს საინფორმაციო მაჩვენებელთა მიზანმიმართულ, განუწყვეტელ პროცესს, რომლების აუცილებელია მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ყველა საკითხში. ამასთან ინფორმაცია უნდა იყოს: დროული, უტყუარი, ობიექტური, მარტივად გასაგები. სწორედ ასეთი ინფორმაციის გამოყენებით (ანალიზით) ფინანსური მენეჯერი შეძლებს კორპორაციის მაღალ ეფექტიან მართვას.

კორპორაციის ფინანსური საქმიანობის მართვის ასპექტებს შორის ერთ-ერთი მთავარი და საპასუხისმგებლო სფეროს წარმოადგენს **ფინანსების სტრატეგიული მართვა**, რომლითაც მიიღწევა მართვის შემდეგი **მთავარი ამოცანების** გადაწყვეტა: გაკოტრებისაგან თავის არიდება; კორპორაციის კონკურენციულ ბრძოლაში ნარმატების მიღწევა, საბაზრო ღირებულების მაქსიმალიზაცია; ნარმოებისა და რეალიზაციის მოცულობის ზრდა; ხარჯების მინიმიზაცია; მოგების მაქსიმალიზაცია; ძირითადი საქმიანობის რენტაბელობის აუცილებელი დონის უზრუნველყოფა და სხვა.

ფინანსური მენეჯერის ძირითადი ფუნქციებია:

1. ფინანსური ანალიზი და დაგეგმვა ფინანსური ანგარიშგების ძირითადი კომპონენტების მაჩვენებელთა საფუძველზე;
2. გრძელვადიანი ინვესტიციური გადაწყვეტილებების მიღება, ფასიანი ქაღალდების პორთფელების მართვა, აქტივებისა და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა. კომპანიისათვის კაპიტალის მოზიდვისა და საკუთარი და ნასესხების სახსრების ეფექტიანი თანაფარდობის (ლევერიჯის) პოლიტიკის შემუშავება;
3. კორპორაციის საბრუნავი აქტივების მართვა;
4. კომერციულ ბანკებთან ინვესტიციურ კომპანიებთან, საფონდო ბირჟებთან და სხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან ურთიერთობის ოპტიმალური მოდელის ფორმირება;
5. კორპორაციის (ფირმის) მდგომარეობის სისტემატური შესწავლა ბაზარზე და ოპერატიული მართვის უზრუნველყოფა;
6. დივიდენდური პოლიტიკისა და გაცემის პრაქტიკის შემუშავება;
7. კორპორაციის მყარი შემოსავლებისა და მეწარმეობის რისკის შემცირების უზრუნველყოფა;

8. მთელი რიგი სხვა ფუნქციები რომელიბიც დაკავშირებულია აქტივების მართვასთან, საგადასახადო დაბეგვრასთან, შიდა კონტროლთან, ინფორმაციული სისტემის შექმნის უზრუნველყოფასთან, კომპამნიის რეორგანიზაციასთან და სხვ.

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც საქართველო ისტორიული შემობრუნების ეპოქაში გარდაუვალ გარდაქმნებს ახორციელებს სოციალურ-პოლიტიკურ **ცხოვრებაში – ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიაში გადასვლა, ხოლო ეკონომიკაში ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას,** ჩვენმა საზოგადოებამ, **განსაკუთრებით ახალგაზრდობამ**, მსოფლიო მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნისა და ეროვნული თავისებურებურებებიდან გამომდინარე უნდა გაითავისოს მენეჯმენტის მეცნიერებისა და ხელოვნებაში ჩაწვდომის აუცილებლობა, **ისტორიულად უპრეცედენტო „გამოწვევების“ დასაძლევად. შესაბამისად, ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფიაში გაცნობიერება, რომელიც, ერთის მხრივ, არის მეცნიერება** ვინაიდან ნებისმიერი ფინანსური გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს არამარტო კორპორაციის (ფირმის) ფინანსური მართვის კონცეფციური საფუძვლების და მათი რეალიზაციის მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდების ცოდნას, არამედ საბაზრო ეკონომიკის განვითარების ზოგადი კანონზომიერების, აგრეთვე სხვა მონათესავე დისციპლინების ცოდნასაც და **მეორეს მხრივ, არის ხელოვნება,** ვინაიდან ფინანსური გადაწყვეტილებათა უმრავლესობა ორიენტირებულია კომპანიის მომავალ წარმატებაზე, რაც ზოგჯერ გულისხმობს ფინანსური მენეჯმენტის მეთოდების წმინდა ინტუიციურ კომბინაციას და რაც ეფუძნება მაინც პროფესიონალიზმის მაღალ დონეს და საბაზრო ეკონომიკის სიღრმისეულ ცოდნას, უდაოდ წაგადგებათ საგზურად წარმატებული XXI საუკუნის ფინანსური მენეჯერად ჩამობალიბების მეტად რთულ, მაგრამ საზოგადოებრივად აუცილებელი, ფრიად საპასუხისმგებლო პროფესიის, მართვის ხელოვნების სამყაროში დასამკვიდრებლად. წარმატებებს გისურვებთ!

ნაწილი პირველი.

თანამედროვე ფინანსური მენჯმენტის თეორიულ-კონცეფციური და მეთოდოლოგიური მიდგომები

თავი 1.

თანამედროვე მენჯმენტის (მართვის) მეცნიერული პრინციპების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

„სტრატეგიული მენეჯმენტი არ არის ინსტრუქციების ნაერთი, ეს არის ანალიზური აზროვნება და რესურსების ეფექტიანი გამოყენება"
პიტერ დრუკერი

1.1. მმართველობითი აზროვნების ევოლუციისა და მენეჯმენტის ძირითადი თეორიების მახასიათებლები

მმართველობითი აზროვნების ევოლუციის მრავალსაუკუნოვანი პროცესის შედეგად მართვა, როგორც მეცნიერება და მენეჯმენტი – ადამიანის დამოუკიდებელი საქმიანობის სფერო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. მართვის მეცნიერების ევოლუციის განვითარების ანალიზი მოწმობს, რომ მენეჯმენტი ცარიელ ადგილზე არ წარმოშობილა, მას წინ უძღოდა სოციალური მართვის აზროვნებისა და პრაქტიკის თანდათანობითი პროგრესი.

პირველი მმართველობითი რევოლუცია, როგორც ცნობილია, უკავშირდება ძველ შუმერებში დამწერლობის აღმოცენებას, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა ძველი საზოგადოების განვითარებაზე, გამოიწვია კომერსანტების განსაკუთრებული კასტის წარმოქმნა, რომლებიც ახორციელებდნენ სავაჭრო ოპერაციებს, საქმიან მიმოწერას და კომერციულ გარიგებებს.

მეორე მმართველობითი რევოლუცია უკავშირდება **ბაბილონის მმართველის – მეფე ჰამურაბის** მოღვაწეობას (ჩვენს ნელთაღრიცხვამდე1792-1750 წწ.), რომელმაც გამოსცა კანონების კრებული, რომელიც აწესრიგებდა სახელმწიფოს მართვის წესებს და ცნობილია საერო-ადმინისტრაციულის სახელწოდებით.

მესამე მმართველობითი რევოლუცია, სანარმოო-სამშენებლო მმართველობითი რევოლუციაა (ჩვენსერამდე 605-562 წწ.) რომელიც, **ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის** მმართველობის ეპოქას მოიცავს, რომლის ძირითადი შედეგი გამოიხატებოდა სახელმწიფოებრივი მმართველობის მეთოდების ინტეგრაციაში წარმოებისდა მშენებლობის სფეროში საქმიანობის კონტროლსა და რეგულირებასთან.

მეოთხე მმართველობით რევოლუცია დაკავშირებულია კაპიტალიზმის ჩასახვასა და ევროპული ცივილიზაციის ინდუსტრიული პროგრესის დაწყებასთან (XVII-XVIII საუკუნეებში), რომლის არსი მდგომარეობდა წარმოების საშუალებებზე მესაკუთრეების მიერ მმართველთა გუნდის გამოყენებაში და პროფესიონალური მართვის აღმოცენება-განვითარებაში.

მეხუთე მმართველობითი (ბიუროკრატიული) რევოლუცია განხორციელდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, რომლის თეორიულ ბაზად იქცა რაციონალური ბიუროკრატიის კონცეფცია, რამაც გამოიწვია მსხვილი იერარქიული სტრუქტურების ფორმირება, შრომის დანაწილება, ორგანიზაციული რეგლამენტირება და ა. შ.

ჩვენი აზრით, **მმართველობითი აზროვნების ევოლუციის** ზემოთ მოყვანილი **მიდგომა** ყველაზე მეტად პასუხობს სახელმწიფოებრივი მმართველობის შესახებ მეცნიერების მოთხოვნილებასა და საჭიროებას, თუმცა საშუალებას არ იძლევა გაანალიზებულ იქნას მართვის საერთო თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ყველა ეტაპი. შესაბამისად, მართვის განვითარების ისტორიის შესასწავლად ყველაზე ადეკვატურად გვეჩვენება **სოციალური მიდგომა,** სადაც შე-

საძლებელია საზოგადოების განვითარების **ოთხი ძირითადი ეტაპის – პირველყოფილ თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტურის განსხვავება.**

ისტორიულად მართვის აუცილებლობა წარმოიშვა ადამიანების საქმიანობის სამ განსხვავებულ სფეროში, კერძოდ: 1) უსაფრთხოების; 2) მთლიანობის; 3) რესურსების უზრუნველსაყოფად. სავარაუდოდ, საწყის სტადიაზე მართვა ატარებდა ინდივიდუალურ ანუ პერსონალურ ხასიათს. პირველყოფილი ადამიანების ჯგუფის ხელმძღვანელობას ახორციელებდა ჯგუფის მეთაური ან ბელადი. საზოგადოების განვითარებისა და შესასრულებელი ფუნქციების თანდათანობით გართულების კვალობაზე, წარმოიშვა მმართველობითი შრომის დანაწილების ობიექტური აუცილებლობა. საბოლოო ჯამში, ფუნქციონალური დიფერენციაციის პროცესს მივყავართ:

პირველი უძველესი სახელმწიფოების წარმოშობამდე, რომლებიც, უპირატესად, მონათმფლობელურნი იყვნენ. ადამინთა საზოგადოების განვითარების მონათმფლობელურ პერიოდს ემთხვევა პირველი მცდელობა-ფიქსირებულ და სისტემატიზირებულ იქნას ცოდნა მართვის შესახებ. მართვის საკითხებს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ძველი ბერძნები ანიჭებდნენ. ასაბუთებდა რა შრომის სპეციალიზაციის აუცილებლობას, **პლატონი** მართვას მიიჩნევდა მეცნიერებად და თვლიდა, რომ იგი უნდა ეფუძნებოდეს საყოველთაო გააზრებულ კანონებს. **სოკრატე** მართვას განიხილავდა, როგორც ადამიანთა საქმიანობის განსაკუთრებულ სფეროს, რომლის მთავარი მიზანი იყო საჭირო ადამიანების საჭირო ადგილზე დაყენება და მათ წინაშე დასახული ამოცანების შესრულების მიღწევა.

ამრიგად, როგორც კვლევები უჩვენებს, **შუა საუკუნეებში მართვის თეორია** სუსტად ვითარდებოდა. ძირითადად, ეს დაიყვანებოდა და გამოიხატებოდა მმართველებს, რელიგიურ მოღვაწეებს და სამხედრო მხედართმთავრებს შორის გამოცდილების გაზიარებაში.

მმართველობითი აზრის განვითარებაში არსებითი წვლილი შეიტანა **ნიკოლო მაკიაველიმ**, რომელიც თავის გამოკვლევებში დიდ ყურადღებას უთმობდა ხელმძღვანელის მუშაობის სტილის ფორმირების პრობლემებს, მისი შრომის ორგანიზაციას, ხელმძღვანელებსა და მასზე დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთობებს.

ცნობილი ქართველი მეცნიერები, პროფესორები: **ე. ბარათაშვილი, ლ. თაკალანძე, ა. აბრალავა მართვის ევოლუციურ განვითარებაში** გამოყოფენ ერთმანეთისაგან **განსხვავებულ ოთხ პერიოდს**[7], კერძოდ:

პირველმა პერიოდმა მიიღო „სამრეწველო კაპიტალიზმის" სახელწოდება. ეს იყო წარმოების მართვის სპეციალისტების ეპოქა. მეცნიერ-თეორეტიკოსებს, პრაქტიკოსებს შორის დომინირებდა აზრი, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობას, შეუზღუდავ ჯანსაღ კონკურენციას შეუძლია უზრუნველყოს ეკონომიკის გარანტირებული ნორმალური ფუნქციონირება და საზოგადოება ყველა აუცილებელი რესურსით, საქონლითა და მომსახურებით.

მეორე პერიოდს (1890-1933 წლები) აღნიშნავენ ტერმინით „ფინანსური კაპიტალიზმი". ამ პერიოდში დომინირებდნენ ფინანსისტები, რომლებიც უშუალო მონაწილეობას არ იღებდნენ წარმოების პროცესში, მაგრამ კონცენტრირებული იყვნენ ფინანსების მართვაზე, ფინანსური რესურსების გამოყენების პრობლემებზე.

მესამე პერიოდი (1933-1950 წლები) ატარებს „ნაციონალური კაპიტალიზმის" სახელს. იგი ხასიათდება ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში უამრავი სამთავრობო პროგრამის შემუშავებითა და რეალიზაციით, რაც უმთავრესად გამოიხატება მთავრობის მიერ ეროვნული ეკონომიკის განვითარებისა და ფუნქციონირების რეგულირებაში.

მეოთხე პერიოდი მართვის განვითარების თანამედროვე კაპიტალისტური ეტაპი ცნობილია **კოლეგიალური მართვის** ფართოდ გავრცელებით.

ამრიგად, მართვის თანამედროვე მეცნიერების **ევოლუცია** დასავლეთ ევროპაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იღებს სათავეს (ადამ სმიტი, დავით რიკარდო და სხვანი). იგი იწყებს განვითარებას მეოცე საუკუნის დასაწყისში (რაც ეკონომიკურ ურთიერთობათა ინდუსტრიულ ერას ემთხვევა), განსაკუთრებით აშშ-ში, ძლიერდება გამოკვლევები სოციალური სისტემების სფეროში. ამ მოძრაობას ბიძგი მისცა ფ. ტეილორის, გ. განტტის, ფ. გალბერტისა და სხვათა გამოკვლევებმა. საგულისხმოა, რომ ეკონომიკის განვითარების ინფორმაციულ ერაში საკმაოდ ნათლად გამოიკვეთა მენეჯმენტის (მართვის) თეორიის თანამედროვე მიმართულებები.

[7] **ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, „ინოვაცია", თბ., 2007. – გვ. 39-40.**

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილია **მართვის თეორიის ზოგადი კლასიფიკაცია**, კერძოდ: 1) „მეცნიერული მენეჯმენტი“, (ფ. ტეილორი, ა. ფაიოლი, მ. ფოლეტტი და სხვ.); 2) „ადამიანურ ურთიერთობათა დოქტრინა“ (ე. მეიო, ფ. ლოტრიბერგერი, დ. მაკგრეგორი და სხვ.); 3) „ემპირიული სკოლა“ (პ. დრუკერი, რ. დევისი, უ. ნიუმენი და სხვ.); 4) „სოციალურ სისტემათა სკოლა“ (ჩ. ბერნარდი, გ. სეიმონი, ფ. სელზნიკი და სხვ.); 5) „მართვის მეცნიერების ახალი სკოლა“ (ი. ტინბერგენი, ლ. კლაინი, გოლდბერგერი და სხვა) და მოკლედ არის მიმოხილული მენეჯმენტის ძირითადი თეორიების ასპექტები. განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი, კერძოდ:

პირველი. ფ. ტეილორის რაციონალიზაციის თეორია. XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში მართვის თეორიამ „მეცნიერული მენეჯმენტის“ სახელწოდება მიიღო, რომლის მამამთავრად ფ. ტეილორი (1856-1915 წწ.) ითვლება. ტეილორმა ჩამოაყალიბა მართვის ოთხი მეცნიერული პრინციპი, კერძოდ: 1) მუშაობის (შრომის) ეკონომიკური მეთოდების დანერგვა; 2) კადრების პროფესიონალური შერჩევა, სწავლება; 3) კადრების რაციონალური განლაგება; 4) ადმინისტრაციისა და მუშაკების თანამშრომლობა. ტეილორის სისტემამ დიდი გაქანება პოვა მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებში. ამ მოძღვრების გამოჩენილი მიმდევრები იყვნენ გ. განტტი, ფ. გილბერტი, გ. ემერსონი, ა. ჩერჩი, ა. ფაიოლი და სხვები.

მეორე. ა. ფაიოლის ადმინისტრირების თეორია. მართვის ადმინისტრაციული სკოლის აღმოცენება უმთავრესად **ანრი ფაიოლის** სახელს უკავშირდება (1825-1925), რომელიც ე. წ. „ადმინისტრაციის თეორიის“ შემქმნელად არის მიჩნეული. ა. ფაიოლის შეხედულებებს საფუძვლად უდევს დებულება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი საწარმო შედგება ორი ძირითადი მატერიალური და სოციალური სისტემისაგან. შესაბამისად, ფაიოლმა ჩამოაყალიბა მართვის **თოთხმეტი ძირითადი პრინციპი**: 1) შრომის დანაწილება; 2) უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა; 3) დისციპლინის პრინციპი; 4) ერთმმართველობის პრინციპი; 5) ხელმძღვანელობის ერთიანობა; 6) პირადი ინტერესების საერთო ინტერესებისადმი დაქვემდებარების პრინციპი; 7) წახალისების პრინციპი; 8) ცენტრალიზაცია; 9) სკალარული ჯაჭვის (იერარქიის) პრინციპი; 10) წესრიგი; 11) სამართლიანობა; 12) პერსონალისათვის სამუშაო ადგილის სტაბილურობის მიღწევის პრინციპი; 13) ინიციატივა, გეგმის შემუშავება და მისი წარმატებით რეალიზაციის პრინციპი; 14) კორპორაციული სულის პრინციპი. ფაიოლისა და მისი მიმდევრების მეცნიერული დამუშავების ძირითად შედეგებს წარმოადგენს ორგანიზაციის ადმინისტრაციული (კლასიკური) მოდელი, რომელიც ოთხ ძირითად პრინციპზეა აგებული: შრომის ფუნქციონალური დანაწილება; გუნდების სკალარული ჯაჭვი; განმკარგულებლობის ერთიანობა; კონტროლის დიაპაზონი.

მესამე. ე. მეიოს „ადამიანურ ურთიერთობათა“ თეორიაში შესწავლილია ადამიანთა მართვის საკითხები, როგორებიცაა შრომის მორალური და სოციოლოგიური ფაქტორები, ადამიანთა ჯგუფური ურთიერთობანი, „შრომის ჰუმანიზაციის საკითხები“ და ა. შ. რომელიც წარმოადგენდა „კლასიკური“ თეორიის ალტერნატივას, რომლის ჩამოყალიბებაში ძირითადი წვლილი შეიტანეს ასევე დ. მაკგრეგორმა, ა. მასლოუმ, რ. ლაიკერტმა, ფ. ჰერცბერგმა, ფ. როტლისბერგმა.

მეოთხე. ფ. ჰერცბერგის მოტივაციის ორფაქტორული თეორია. ა. მასლოუს იდეებმა შემდგომი განვითარება პოვა ფრედერიკ ჰერცბერგის მოტივაციის ორფაქტორულ თეორიაში, რომელიც 1950 წელს იქნა შემუშავებული, სადაც ემპირიული გამოკვლევების შედეგად ფ. ჰერცბერგმა შეძლო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ფაქტორთა ორი ჯგუფის აღმოჩენა, რომლებიც თანაბარი სიძლიერით ახდენენ ზეგავლენას ადამიანების ქცევაზე ორგანიზაციაში.


მეხუთე. დ. მაკგრეგორის ხელმძღვანელობის სტილის თეორია. არანაკლებ ფართო აღიარება მოიპოვა დუგლას მაკგრეგორის „თეორია X“ და „თეორიაYY“ მა, რომლებიც მან 1957 წელს შეიმუშავა. მისი „თეორია X“ აღწერს ავტორიტარული ხელმძღვანელობის სტილის ნიშნებს და პირიქით, „თეორია Y“ მიუთითებს ხელმძღვანელობის დემოკრატიულ სტილზე. მაკგრეგორის თეორიის დამახასიათებელი განსხვავება მასლოუსა და ჰერცბერგის კონცეფციებთან შედარებით იმაში გამოიხატება, რომ მას არ შეუძლია იყოს მეცნიერული გამოკვლევის საფუძველი. იგი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს და მეტყველებს იმაზე, თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს.

მეექვსე. ლიდერის ქცევის სკალა. ორგანიზაციის თანამედროვე სოციოლოგია აღიარებს, რომ არ არსებობს ლიდერობის (ხელმძღვანელობის) ერთადერთი სწორი სტილი, რომელიც მიე-

სადაგება ყველა სიტუაციას. ამერიკელი მეცნიერები რ. ტანენბაუმი და ვ. შმიდტი შეეცადნენ განსხვავებული სტილის რანჟირებას და შედეგად მიიღეს ხელმძღვანელობის ავტორიტარული და დემოკრატიული ტიპის ლიდერის ქცევის სკალა

მეშვიდე. რ. ლაიკერტის ხელმძღვანელობის სტილის თეორია. დოქტრინა „ადამიანურ ურთიერთობათა" მიმდევარმა, პერცებერგისა და მაკგრეგორის კოლეგამ, **რენსის ლაიკერტმა** შეიმუშავა ხელმძღვანელობის სტილის საკუთარი თეორია. მან განაზოგადა მართვის რეალური მეთოდები და ისინი მოდელების სახით განათავსა კონტინიუმზე 1-დან 4-მდე.


მერვე. ორგანიზაციის ეფექტიანობის თეორია. ორგანიზაციების მენეჯმენტში მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ორგანიზაციათა ეფექტიანობის განსაზღვრა. ლაიკერტმა დაადგინა გრძელვადიანი ეფექტურობის განმსაზღვრელი ცვლადი მოდელების სამი ტიპი (იხ. ნახ. 1.1-ლაიკერტის გრძელვადიანი ეფექტიანობის მოდელის სქემა):



ნახ.1.1 ლაიკერტის გრძელვადიანი ეფექტიანობის მოდელი.

ნახ. 1.1-ის ანალიზი მოწმობს, რომ კომპანიისათვის მიყენებული ზიანი, რომელიც წარმოიქმნება რ. ლაიკერტის მოდელის დარღვევის შედეგად, აშკარაა. ხელმძღვანელი ცდილობს ნებისმიერ ფასად აამაღლოს ნაყოფიერება ან მიიღოს მოგება (შემაჯამებული ცვლადები), რისთვისაც ზენოლას ახდენს მუშაკების ქცევაზე (შუალედური ცვლადები), თუმცა წინასწარ არ უზრუნია შრომის ორგანიზაციისა და პირობების გაუმჯობესებაზე, სოციალური პრობლემების გადაწყვეტაზე, კვალიფიციური კადრების შერჩევაზე (მიზეზობრივი ცვლადები).

მეცხრე. მოდიფიკაციის სტრატეგია. მენეჯმენტში ფართო გამოყენება პოვა ე. წ. მოდიფიკაციის სტრატეგიამ, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციაში ადამიანების ქცევაზე. გამოყოფენ მოდიფიკაციის (ცვლილების) დონეს, როგორებიცაა ცოდნა, მითითებები, ქცევა და ჯგუფური (ორგანიზაციული) საქმიანობა. ძალადობრივი ინოვაცია, რომელიც ეყრდნობა პოზიციური ძალაუფლების ინსტრუმენტებსა და სიმბოლოებს (იხ. ნახ. 1-2) ქცევების ძალდატანებითი ცვლილების სქემა), იშვიათად აღწევს სასურველ შედეგებს, რამდენადაც იგი იწყებს მოქმედებას ყველაზე რთული უბნიდან (ჯგუფური საქმიანობიდან). შედეგად, ირევა ბუნებრივი წესრიგი, ციკლების ცვლილებათა რიგითობა, პროგრესულის ნაცვლად შეიმჩნევა და ჩნდება რეგრესული პროცესები, ვლინდება წინააღმდეგობების ფარული ფორმები.



ნახ.1.2 ქცევის ძალდატანებითი ცვლილება.

ამრიგად, როგორც მართვის მეცნიერების განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, თანამედროვე ეტაპზე თანდათან უფრო მეტ აქტუალობას იძენს **მენეჯერიზმი – პროფესიონალ მმართველთა თეორია,** რომელიც უფრო კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს მმართველობით ურთიერთობათა არა მარტო წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ, არამედ ეკონომიკურ, **ფილოსოფიურ,** ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც. მნიშვნელოვანია მენეჯმენტში სისტემური ანალიზის მეთოდების, მათემატიკური მოდელირების, პროგნოზირების, შრომის მოტივაციისა და ინტენსიფიკაციის გაძლიერების ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენება. ეკონომიკურად განვითარებულ, მსხვილ სამრეწველო ქვეყნების ბიზნეს-პრაქტიკაში საწარმოთა მართვა გადადის მენეჯერ-ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მეცნიერთა ხელში, რომლებიც დომინირებენ, იქმნება მენეჯერ-სპეციალისტთა განსაკუთრებული პროფესია, იმიჯნება საწარმოს მესაკუთრეთა ფუნქციები, რომლებიც იწვევენ მაღალი რანგის მენეჯერებს წარმოების გაძღოლისათვის სხვადასხვა სფეროში.

1.2. მენეჯმენტის ფილოსოფია და ეკონომიკური სუბიექტის მართვის საფუძვლები

მენეჯმენტი შეისწავლის ურთიერთობათა როგორც ეკონომიკურ, ასევე კიბერნეტიკულ, ფილოსოფიურ, სამართლებრივ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, ეთიკურ და სხვა ასპექტებსაც. მენეჯმენტის ამოცანაა, ახსნას კანონზომიერებანი, რომელიც აღნიშნული ურთიერთობების პროცესში ვლინდება და ამის საფუძველზე დაამუშაოს კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტის ხერხები და მეთოდები. თუმცა, იგი მიზნად არ ისახავს „მზა რეცეპტების“ ფორმულირებას ნებისმიერი საწარმოო სიტუაციისათვის ოპტიმალურ გადაწყვეტილებათა შესამუშავებლად.

მენეჯმენტის სისტემა ოთხი ძირითადი ელემენტისაგან შედგება: 1) მენეჯმენტის თეორიისაგან; 2) მენეჯმენტის მეთოდებისაგან; 3) მენეჯმენტის ორგანიზაციისაგან; 4) მენეჯმენტის ტექნიკისა და ტექნოლოგიისაგან.

საგულისხმოა, რომ მეცნიერულ-მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში მართვის საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს ტერმინ **„მენეჯმენტის“** ერთიანი და ერთადერთი განმარტება. მართვის და ორგანიზაციის სფეროში ერთ-ერთი წამყვანი თეორეტიკოსი, **პ. დრუკერი** მართვას განსაზღვრავს როგორც „საქმიანობის განსაკუთრებულ[8] სახეს, რომელიც არაორგანიზებულ ბრბოს აქცევს მიზანმიმართულ და მწარმოებლურ გუნდად. მენეჯმენტის, როგორც მეცნიერების ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: მმართველობითი შრომის ბუნების ახსნა, მმართველობით პროცესებში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, იმ პირობების გამოვლენა, როდესაც ადამიანების ერთობლივი შრომა ეფექტიანი აღმოჩნდება. სისტემატიზირებული მეცნიერული ცოდნის დაუფლება, რომელიც საშუალებას იძლევა დროულად და ხარისხიანად ვმართოთ ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობა და პროგნოზირებულ იქნას ვითარების შესაძლო განვითარების ვარიანტები. შესაბამისად, შესაძლებელი იქნება ფუნქციონირების სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება, რათა გონივრულად განხორციელდეს სუბიექტის დასახული მიზნები და ამოცანები. შესაბამისად, მენეჯმენტი არის წარმოების (მომსახურების) მართვა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომელიც მოიცავს:

ა) საწარმოს ორიენტაციას ბაზრის მოთხოვნებზე, მომხმარებელთა მოთხოვნებზე;

ბ) მუდმივი მისწრაფება წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ასამაღლებლად;

გ) სამეურნეო დამოუკიდებლობას, რომელიც უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას;


დ) მიზნებისა და პროგრამების მუდმივ კორექტირებას საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით;

ე) მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ მაქსიმალურად სრული ინფორმაციის მიღება-გადამუშავებისათვის თანამედროვე საინფორმაციო ბაზის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით მონყობას.

---

[8] **P. F. Drucker. The Practice of Management.** Butterworth-Heinemann, 2007 – Business & Economics – p. 155. (8, 38გვ.)

რომელიც უკვე აღინიშნა, თანამედროვე მენეჯმენტს არ გააჩნია მართვის ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ნაკრები. პრაქტიკულად ყოველ მკვლევარს, რომელიც სწავლობს მართვის პრობლემებს, ამ სფეროში თავისი მიდგომა გააჩნია. **ჩვენი აზრით**, მართვის პრინციპების კლასიფიკაციის ყველაზე ოპტიმალურ სახედ უნდა მივიჩნიოთ მათი დაყოფა სამ ჯგუფად შემდეგი სქემის სახით (იხ. ნახ 1-3). როგორც ნახ. 1-3-ის ანალიზი უჩვენებს, მართვის ყველა არსებული პრინციპი იყოფა სამ ჯგუფად. **პირველ ჯგუფს** განეკუთვნება მართვის ზოგადი პრინციპები, რომლებიც ეხებიან მართვის მთლიან სისტემას; **მეორე ჯგუფს** განეკუთვნება მართვის პრინციპები, რომლებიც ეხებიან მართვის სისტემის ცალკეულ კომპონენტებს; **მესამე ჯგუფს** განეკუთვნება პრინციპები, რომლებიც ახდენენ საქმიანობის კონკრეტული სახეების მართვის რეგლამენტირებას.



ნახ. 1.3. მართვის პრინციპების კლასიფიკაციის სქემა.

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე მართვის ზოგადი პრინციპების სისტემაში ძირითადი ადგილი უჭირავს მართვის მეცნიერული დასაბუთების პრინციპს, მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტისადმი სისტემური მიდგომის პრინციპს, აგრეთვე მართვის ოპტიმალურობის, მოქნილობისა და დემოკრატიზაციის პრინციპებს. ადმინისტრირების თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მართვის რეგლამენტაციისა და ფორმალიზაციის პრინციპები.

ცნობილია, რომ XX საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროში მართვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდები გამოიყენებოდა, რაც თავის ასახვას პოულობდა მართვის სპეციალურ პრინციპებში. კერძოდ, სოციალისტური წარმოების მართვის მნიშვნელოვან პრინციპებს მიეკუთვნებოდა: ა) დემოკრატიული ცენტრალიზმი; ბ) ერთმმართველობა და კოლეგიალობა; გ) პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ერთიანობა; დ) დარგობრივი და ტერიტორიული მიდგომები; ე) მეურნეობრიობის გეგმიური წარმართვა; ვ) შრომის მატერიალური და მორალური სტიმულირება; ზ) მეცნიერულობა; თ) პასუხისმგებლობა; ი) კადრების შერჩევა და განაწილება წარმოების საჭიროებათა შესაბამისად; კ) ეკონომიურობა და ეფექტიანობა; ლ) სამეურნეო გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობა.

შესაბამისად, ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების საფუძველზე ხორციელდებოდა კონკრეტული მიდგომების შემუშავება სტრუქტურების ფორმირებისა და მართვის პროცესების ორგანიზაციისათვის. დიდი ნოვატორი მეცნიერ-პროფესორ გიორგი პაპავას შეფასებით – „ქვეყანაში პოლიტიკური წყობის შეცვლამ მოითხოვა წარმოების მართვის პრინციპის შინაარსში არსებითი ცვლილებების შეტანა“.[9]

---

[9] **Георгий Папава.** Методология познания качеств реалий смешаной рыночной экономики паралогизмы. Стокгольм, CA&CC Press[R], 2009, стр. 344. Данная монография представляет собой научно-фундаментальное и прикладное иследование в области методологии познания качеств реалий смешанной рыночной экономики. Её применение позволяет предупреждать возможности допущения экономических паралогизмов в ходе нормализации экономических процессов. Таким образом, она служит достижению функционирования социально здоровой смешанной рыночной экономики, исключающей возможности

მართვის კერძო პრინციპებად განიხილება ის პრინციპები, რომლებიც განეკუთვნებიან მართვის სისტემის ცალკეულ ელემენტებს. სამეცნიერო ლიტერატურაში მართვის კერძო პრინციპების ჯგუფში პირობითად გამოყოფენ ორ ქვეჯგუფს, კერძოდ: 1) დაგეგმვის, ორგანიზაციის, აღრიცხვის, კონტროლის, მარკეტინგული გამოკვლევებისა და ღონისძიებების ჩატარების პრინციპები და ა. შ. 2) მმართველობით პრინციპები, რომლებიც დაკავშირებული არიან მართვის სოციალურ, ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ და, აგრეთვე, მართვის დონეებთან. მართვის **სპეციალურ პრინციპებად** მიჩნეულია ის პრინციპები, რომლებიც მიეკუთვნებიან საქმიანობის კონკრეტულ სახეებს.

თანამედროვე ეტაპზე წარმოების მართვის პრინციპების სისტემაში გამოვყოფთ **სამ ძირითად ჯგუფს,** როგორებიცაა: 1) ინვესტირება; 2) ტექნოლოგიების მართვა;

3) წარმოების ეფექტიანი მართვის სტრუქტურების შექმნა. **შესაბამისად,** წარმოების მართვის სისტემის მექანიზმების სრულყოფით შესაძლებელი გახდება ეკონომიკური სუბიექტის ორიენტაცია გრძელვადიან კონკურენციულ უპირატესობათა მიღწევაზე, მარკეტინგული გამოკვლევების განხორციელებაზე, ინოვაციურ საქმიანობაზე, რაც მიმართულია წარმოების დივერსიფიკაციაზე, პერსონალის რაციონალიზატორული საქმიანობის სტიმულირებაზე.

როგორც ცნობილია, ნებისმიერი საწარმო ასრულებს საზოგადოების განვითარების მთავარ ეკონომიკურ ფუნქციას, რომელიც საქონლითა და მომსახურეობის საშუალებით მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში მდგომარეობს. შესაბამისად, მენეჯმენტის ფუნქციები (ფუნქცია ლათინურიდან – საქმიანობას, მოვალეობას ნიშნავს) უზრუნველყოფენ წარმოების მომსახურეობის მართვის განსაზღვრულ, მიზანმიმართულ საქმიანობას, რომლებიც მართვის პროცესის ყველა ელემენტის ურთიერთგანპირობებულ და ურთიერთდამაკავშირებელ რგოლებს წარმოადგენენ. მართვის პრინციპებისა და საწარმოო-ეკონომიკური პროცესების ლოგიკური თანმიმდევრობიდან გამომდინარე, მართვის ფუნქციები იყოფა: მართვის საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის, წარმოების მართვის ეკონომიკურ და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ფუნქციებად. მართვის საწარმოო ამოცანების დასმის, ფუნქციების განსაზღვრისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ურთიერთკავშირის საკითხები ასახულია ცხრილ 1.1-ში, რომლის ანალიზი გვიჩვენებს, წარმოების მართვის ფუნქციების ლოგიკურ თანმიმდევრობას, კერძოდ: ტექნიკური, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, ტექნოლოგიური, შრომის ორგანიზაციის, მზა პროდუქციის რეალიზაციის, სატრანსპორტო და სამეურნეო მომსახურეობის ფუნქციებს. ეს ფუნქციები მოიცავენ საკუთრივ წარმოების პროცესს, წარმოებაში მონაწილე შემსრულებლის საქმიანობას, მასალების, ნედლეულისა და მზა პროდუქციის მოძრაობასა და მოხმარებას. როგორც უკვე აღინიშნა, ეკონომიკური ხასიათის ამოცანების გადაწყვეტისას მენეჯერი თვითონვე განსაზღვრავს კომპანიის ეკონომიკურ პოლიტიკას (სტრატეგიას, ტაქტიკას), როგორც შიგნით, ასევე მის გარე ეკონომიკურ სისტემასთან ურთიერთობაში. ამ ფუნქციების განხორციელებისთვის საჭიროა ოპერატიული გადაწყვეტილებანი განვითარების სტრატეგიის, საფინანსო დისციპლინის დაცვისა და სხვათა შესახებ.

ეკონომიკური სუბიექტის (საწარმო ფირმის) სტრატეგიული დაგეგმვა, მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგნოზირება მოიცავს საწარმოო, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენების ოპტიმალური ვარიანტების ძიებასა და მართვას. კორპორაციის (წარმოების) სტრატეგიის ფორმირების პრობლემები და მექანიზმი ფართოდ არის გაშუქებული **დასავლეთის ქვეყნების ცნობილ მეცნიერთა გამოკვლევებში.** კერძოდ, ი. ანსოფის, პ. დრუკერის, გ. მენქიუს, ა. ჯ. სტრიკლენდის, არ. ტომპსონის-უმცროსის, გარეთ რ. ჯონსის, ჯ. მ. ჯორჯის და სხვა ნაშრომებში, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში მათი **მექანიკური გადმოტანა** თანამედროვე გარდამავალ ეკონომიკურ პირობებში შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგანაც საწარმოების (ფირმების) საქმიანობაში სტრატეგიული დაგეგმვის ე. წ. „დასავლეთის" ეკონომიკური მექანიზმი ადაპტირებულია უკვე ფორმირებულ საბაზრო ეკონომიკასთან მიმართებაში. ბუნებრივია, იგი ვერ იქნებოდა პოსტსოციალისტური ეკონომიკისადმი მისადაგებული.

допущения экономических паралогизмов и появления условий для негативных поведений экономических субъектов, мешающих истинной демократизации общества.

სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის თეორიების ფუძემდებელი რუსი წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ი. ანსოფი[10] მიუთითებს, რომ ფირმის სტრატეგიის შემუშავება გარდაუვალად მიმდინარეობს არასრული ინფორმაციის პირობებში, როცა შეუძლებელია გაითვალოს ყველა შესაძლო ალტერნატივა. იმ შემთხვევაში, თუ ფირმის გარესამყაროს ანალიზი უჩვენებს, რომ განვითარების ისტორიული ლოგიკის მეშვეობით (გრძელვადიანი დაგეგმვა ემყარება გარესამყაროს მოვლენების სავარაუდო, თანდათანობითი ლოგიკური განვითარების თეორიას) შეუძლებელია გარე სფეროს განვითარების ზუსტი პროგნოზირება, მაშინ უნდა იქნას გამოყენებული ფირმის სამომავლო განვითარების ახალი ლოგიკა. აქედან გამომდინარე, „ფირმის ტრადიციული საქმიანობის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით, ფირმის განვითარებას უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც უნდა გაფართოვდეს სტრატეგიულ მენეჯმენტამდე, რომელსაც აქვს არსებობის უფლება და მისი სწორად გამოყენებისას მიიღწევა მნიშვნელოვანი შედეგები".

მართვის საწარმოო ამოცანების დასმის, ფუნქციების განსაზღვრისა და მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ურთიერთკავშირი

ცხრილი.1.1

№	მართვის საწარმოო ამოცანები	მართვის საწარმო ფუნქციები	გადაწყვეტილებები
1	წარმოების ტექნიკური აღჭურვა, შრომის ახალი საშუალებების დანერგვა, არსებული მოწყობილობების მოდერნიზაცია და მისი სამუშაო მდგომარეობაში მზადყოფნა. სანარმო შენობა-ნაგებობათა მოწყობა, მშენებლობა და რეკონსტრუქცია, წარმოების ენერგეტიკული ბაზის უზრუნველყოფა	მართვის ტექნიკური ფუნქციები. 1. საკონსტრუქტორო საქმიანობა 2. სარემონტო მომსახურეობა, 3. საინსტრუმენტო მომსახურეობა 4. კაპიტალური მშენებლობა, ენერგეტიკული მომსახურეობა	1. ახალი სახის პროდუქციის ნიმუშების შექმნის გეგმა. 2. შრომის საშუალებათა განახლების პროექტი, 3. საწარმო ქვედანაყოფებისათვის ინსტრუმენტებზე მოთხოვნილების გრაფიკი, 4. კაპიტალური მშენებლობის გეგმა, 5. ენერგიის ხარჯვის გრაფიკი
2	განსაზღვრული ხარისხის მზა პროდუქციის მიღება შრომის საშუალებების შრომის საგნებზე რაციონალური ზემოქმედებისა და შრომის კოოპერირებისა და სპეციალიზაციის გაღრმავების გზით.	მართვის ტექნოლოგიური ფუნქციები: 1. წარმოების ტექნოლოგიის განსაზღვრა, 2. ნორმირების ტექნოლოგიური პროცესის ორგანიზაცია. 3. მოცემული ხარისხის პროდუქციის წარმოებისათვის ტექნოლოგიური რეჟიმის დაცვაზე კონტროლი.	1. ტექნოლგიური პროცესის ნორმატივების მიღება. 2. წარმოების პროცესის ტექნოლგიური რუკის დამტკიცება. 3. დამზადებული პროდუქციის მიღებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
3	რთული საწარმოო კავშირების დამყარებამოწესრიგება, კეთილსაიმედო სოციალურ–ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა, შემსრულებელთა განაწილება საწარმოო ქვედანაყოფების მიხედვით, რითმულობის, სინქრონულობის უზრუნველყოფა ქვედანაყოფებსა და ცალკეულ შემსრულებელთა შორის, მუშაობის რაციონალური ილეთების შესწავლა. შრომის უსაფრთხოებისა და მაღალი საწარმოო კულტურის პირობების შექმნა.	შრომის ორგანიზაცია 1. შრომითი პროცესის ორგანიზაცია 2. შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია 3. საწარმოოინსტრუქტაჟი 4. შრომის ნორმალური ფსიქოფიზიოლოგიური და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა.	1. საწარმოო უბნების, სამუშაო ადგილების მიხედვით სამუშაოთა გრაფიკის დამტკიცება. 2. შემსრულებლებზე თანრიგების მინიჭება 3. შემსრულებელთა მუშაობის პროცესის ქცევის წესების დამტკიცება. 4. შრომისა და დასვენების რეჟიმის განხილვა.

[10] **Ансофф И. Новая корпоративная стратегия** Санкт-Петербург. 1999. (10, 407გვ.).

4	წარმოების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა (მასალებით, ნედლეულით, საწვავით, შრომის საშუალებებით და ა. შ.) მზა პროდუქციის რეალიზაცია.	1. წარმოების შეუფერხებელი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება. 2. მზა პროდუქციის რეალიზაციის (გაყიდვის) ორგანიზაცია	1. მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის კავშირების შესახებ დებულებათა მიღება. 2. მასალების, მოწყობილობათა და ა. შ. სამომხმარებლო (საბაზრო) ფასების ნორმატივების დამტკიცება.
5	მასალების შემოზიდვა და გადაზიდვა. მათი შენახვა საწყობებში, შენობის სამუშაო მდგომარეობაში შენახვა	1. სატრანსპორტო მეურნეობის ორგანიზაცია. 2. წარმოების სამეურნეო მომსახურება	1. სატრანსპორტო მარშრუტების, განრიგისა და ტრანსპორტზე მოთხვნილების შემუშავება და დამტკიცება. 2. მასალების კომპლექტაციის, შენახვისა და გაცემის დებულებათა მიღება.

მიკროეკონომიკურ დონეზე სტრატეგიული დაგეგმვა ემყარება განსაზღვრულ ლოგიკას და მოიცავს შემდეგ პრინციპებს: 1) სტრატეგიული დაგეგმვის სუბიექტისათვის საგეგმო პერიოდში მიზნის (მიზნების სისტემის) განსაზღვრასა და ფორმირებას; 2) წინასაგეგმო პერიოდისათვის დაგეგმარების ობიექტის მიერ მიღწეული დონის, სტრუქტურის დაზუსტება და მისი განვითარების სასტარტო პარამეტრების ანალიზს; 3) სტრატეგიული დაგეგმარების შესაბამისი ობიექტების ფუნქციონირების შედეგებიდან გამომდინარე საზოგადოებრივი მოთხოვნის სტრუქტურისა და მოცულობების განსაზღვრას; 4) საგეგმო პერიოდში არსებული და შემდგომში შესაქმნელი საწარმოსათვის რესურსების სტრუქტურისა და მოცულობების გამოვლენას; 5) საწარმოო მოთხოვნებისა და რესურსების დაბალანსებას, შესაძლო წინააღმდეგობრივი მომენტების შეთანხმებას და მმართველობით გადაწყვეტილებათა მომზადებას სტრატეგიული პროგნოზირებისა და პროგრამების ფორმით. შესაბამისად, სუბიექტის განვითარების დაგეგმვა-პროგნოზირების მეთოდოლოგიური პრინციპების შემუშავება, ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევები უზრუნველყოფენ მენარეობითი საქმიანობისთავის აუცილებელი ინფორმაციების მოპოვებას და ბიზნეს-პროექტების ფორმირებას.

მართვის დონეებისა და სტრუქტურული ქვედანაყოფების **თანაფარდობის პრინციპიდან** გამომდინარე ორგანიზაციული სტრუქტურების ორ ტიპს გამოყოფენ, კერძოდ: ა) ტრადიციული, ანუ **ბიუროკრატიული** (გერმანული სოციოლოგის **მაქს ვებერის** კონცეფციით განსაზღვრული); ბ) ადაპტიური, ანუ ორგანული (ტ. ბერნსისა და სტალკერის – „ინოვაციების მართვის“ კონცეფციით განსაზღვრული). მართვის ბიუროკრატიული სტრუქტურების ძირითად სახეებად გვევლინება ხაზობრივი, ფუნქციონალური, ხაზობრივ-ფუნქციონალური სტრუქტურები, ხოლო ორგანულს შეიძლება მივაკუთვნოთ პროგრამულ-მიზნობრივი, მატრიცული და მატრიცულ-საშტაბო ორგანიზაციული სტრუქტურები. მართვის სტრუქტურის ორ ტიპს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავების შედარებითი ანალიზი მოცემულია **ცხრილ 1.2-ში.**

სიტუაციური მიდგომის თეორიისა და მართვის სისტემის **ორგანიზაციის პრაქტიკიდან** გამომდინარე მენეჯერების მიერ ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპის თუ ორგანიზების მეთოდის შერჩევას განაპირობებს შემდეგი ოთხი ფაქტორის არსებობა: 1) ორგანიზაციული გარემო: 2) ორგანიზაციის სტრატეგიის ტიპი; 3) ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ტექნოლოგია და 4) ორგანიზაციის ადამიანური რესურსების თავისებურებანი.

ამრიგად, ორგანიზაციული გარემო, სტრატეგია, ტექნოლოგია და ადამიანური რესურსები წარმოადგენენ ფაქტორებს, რომლებიც მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ ორგანიზაციისათვის საუკეთესო სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, სტრუქტურის დიზაინის ასაგებად.

ორგანიზაციული სტრუქტურის დიზაინის ჩამოყალიბება დამოკიდებულია მენეჯერის მიერ განხორციელებულ შემდეგ ორგანიზაციულ არჩევანზე. კერძოდ:

1. სამუშაოს დაჯგუფება დავალებად და დავალების განაწილების არჩევანი; სამუშაოს მახასიათებლების მოდელი განხილული აქვთ ჯ. რ. ჰეკმანსა და გ. რ. ოლდჰემს, სადაც დეტალურად აღწერილია, თუ რა გზით შეუძლიათ მენეჯერებს გახადონ სამუშაო უფრო მოტივირებული

და მასტიმულირებელი. ჰეკმანისა და ოლდჰემის მოდელის[11] (იხ. ნახ. 1-4.) მიხედვით, ყოველ სამუშაოს აქვს ხუთი მაჩვენებელი: უნარ-ჩვევების მრავალფეროვნება, დავალების ინდივიდუალურობა.

მართვის ორგანიზაციული სტრუქტურების ტიპების შედარებითი ანალიზი

ცხრ. 1-2.

ბიუროკრატიული ტიპი	ორგანული ტიპი
მკაფიოდ განსაზღვრული იერარქია (ინდივიდუალის ან ჯგუფურის)	ლიდერების უწყვეტი ცვლა გადასაწყვეტ პრობლემებზე დამოკიდებულებით
მოვალეობების და უფლებების სისტემა	ნორმებისა და ფასეულობების სისტემა, რომელიც ფორმირდება განხილვებისა და შეფასებების პროცესში
თითოეული ამოცანის დაყოფა რიგ პროცედურებად	პრობლემის გადაწყვეტისადმი პროცესუალური მიდგომა
გაუცხოება ურთიერთდამოკიდებულებებში	თვითგანვითარების, თვითწარმოსახვის შესაძლებლობა
შრომითი მოვალეობების მკაცრი დაყოფა	სამუშაოებისა და ფუნქციების დროებითი მიმაგრება ინტეგრირებული საპროექტო ჯგუფებისადმი

დავალების მნიშვნელობა, ავტონომიურობა, უკუკავშირი, რომლებიც განსაზღვრავენ რამდენად მასტიმულირებელია და თუ რა რეაქცია აქვთ თანამშრომლებს თავიანთ სამუშაოზე, რომელიც აისახება ისეთ მაჩვენებლებზე, როგორებიცაა, მაღალი მწარმოებლურობა და შესრულებული სამუშაოთა კმაყოფილება, სამუშაოზე არგამოცხადების და კადრების გადინება და სხვ.;


2. სამუშაოს ფუნქციონალური და სტრუქტურული დაჯგუფების განსაზღვრა;

3. დანაყოფური ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირება პროდუქტის გეოგრაფიისა და ბაზრის მიხედვით;

4. მატრიცისა და პროდუქტის შემუშავების ჯგუფის სტრუქტურა;

5. ინტეგრაციული მექანიზმების გამოყენება.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეფორმირების პირობებში აქტუალურ პრობლემად გვევლინება მიკროეკონომიკურ დონეზე მართვის ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტის– წარმოების (ფირმის) საერთო მიზნების განვითარებას.



ნახ.1.4. სამუშაოს მახასიათებლების მოდელი.

[11] წყარო: ჯ. რ. ჰეკმანისა და გ. რ. ოლდჰემის ვორკ რედესინდის ადაპტირებული ვერსია, (გვ. 161-162).

ამრიგად, მენეჯმენტი – ეს არის საქმის წარმართვის, ამა თუ იმ ობიექტის, მართვის ხელოვნება, მართვის ეფექტური პრინციპების დახმარებით, პროფესიული ოსტატობის დაუფლება, მესაკუთრის გრძნობა, რომელიც შეხამებულია როგორც ადამიანებისადმი სათუთ დამოკიდებულებასთან, ასევე იმ პრინციპების გამოყენებასთან, რომლებიც გამორიცხავენ უხეშ ადმინისტრირებას, ამასთან ისწრაფიან დასახული მიზნის განხორციელებისაკენ. შესაბამისად, მენეჯმენტი, რომელიც შედარებით რაციონალური ბიზნესის განხორციელებისაკენ მიმართული საქმიანობაა, შემდეგი ფუნქციების დახმარებით ხორციელდება, კერძოდ: 1) გეგმების შემუშავება; 2) სამუშაო პროგრამების ფორმირება; 3) სამუშაოს შემსრულებლების განსაზღვრა; 4) შემსრულებლების განუწყვეტელი სწავლება და სამუშაოს ორგანიზება მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის; 5) მიზანდასახული ინოვაციური ძიება.

კვლევები მოწმობს, რომ დასავლეთის ფირმების მრავალი წლის მოღვაწეობის მანძილზე მარკეტოლოგებისა და მენეჯერების რეკომენდაციებით შემუშავებულია, ფირმის მართვის სტრუქტურის საერთო პრინციპები, როგორიცაა: 1) ხაზობრივი. ამ სტრუქტურის განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს პირდაპირი ზემოქმედება წარმოებაზე და მართვის ყველა ფუნქციების ერთ ხელში თავმოყრა; 2) ასევე, ყველა სამმართველო სტრუქტურიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა **მცირე საწარმოების** (ფირმების) სტრუქტურამ (მცირე საწარმოს ფენომენი), როგორც ე. წ. „დიდი ბიზნესის სინდრომის" გარკვეულმა შხამსაწინააღმდეგო საშუალებამ. „დიდი ბიზნესის სინდრომი" კერძო მეწარმეობის ეს სენი, ევროპაში იწოდება „ინგლისურ" ანუ „ფრანგულ" ავადმყოფობად, იგი აშშ-იც ფართოდ არის გავრცელებული.

მცირე საწარმოების ეფექტის ორი მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში რომ:

ა) ადმინისტრაცია დაუახლოვდეს წარმოებისა და გასაღების საქმიანობის რეალურ პირობებს.

ბ) შეიქმნას წვრილი საწარმოების გონივრული სისტემა, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სრული დამოუკიდებლობა.

მენეჯმენტის ამერიკული სისტემა ფართოდ და წარმატებით იყენებს ისეთ სერიოზულ რგოლს, როგორიცაა პერსონალის შრომის მოტივაცია, რომელიც გულისხმობს მუშაობის შედეგიანობის მიღწევის პირობების შექმნას. შრომის მოტივაციის ამაღლებისა და ინოვაციის დანერგვის შედარებით გავრცელებულ ხერხებს მიეკუთვნებიან:

ა) მართვაში პერსონალის მონაწილეობის მიღების სხვადასხვა ფორმების გამოყენება;

ბ) შრომითი ოპერაციების ე. წ. „ჰორიზონტალური შევსების" გაფართოება. ე. ი. პერსონალის მუშაობაში ნაირსახეობის შეტანა, ერთგვაროვანი ფუნქციების ჭრილში;

გ) ნებისმიერი რანგის მომუშავის მოვალეობების „ვერტიკალური შეკრების" გაფართოება. ე. ი. მეტი ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის (კერძოდ პერსონალურის) უზრუნველყოფა. დაკისრებული საქმის შესრულებაში მის მოვალეობებში დაგეგმვისა და ძირითადი პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის ზოგიერთი ფუნქციის ჩართვა. მომუშავეების საწარმოო როტაცია: ე. ი. პროფესიის შეცვლა შრომის მონოტონურობის შემცირების მიზნით;

დ) ავტონომიური სამუშაოს ჯგუფების შექმნა, რომლებიც მოწოდებულია გადაწყვიტონ კონკრეტული საწარმოო ამოცანები და ა. შ.

ამერიკელი მეცნიერი ფ. გერცბერგი იყენებს რა შრომის სფეროში „მოტივირებულ" (მასტიმულირებელ) მოთხოვნილებებს მაღალ-ეფექტური შრომისადმი, გამოყოფს შრომითი დაკმაყოფილების ორ ფაქტორთა ჯგუფს.

1. შინაგანი (ანუ ნამდვილი) მოტივატორები მოიცავენ მოცემული (ყველა) სახის შრომის მნიშვნელობის აღიარებას. მისი ეფექტურობის შეფასების უნარს, სამუშაოს შესრულებისადმი პასუხისმგებლობას, პიროვნების განვითარება-სრულყოფას, კომპეტენტურობას.

2. გარეგანი ფაქტორები მოიცავენ: ფირმის სოციალურ-შრომით პოლიტიკას; მენეჯერების მუშაობის სტილს; შრომის პირობებს; შრომის სტატუსს; თანამდებობას; პიროვნებათაშორის ურთიერთობის ხასიათს; შრომის ანაზღაურების დონეს; დასაქმების გარანტიას.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი უჩვენებს, რომ შრომის თანამედროვე ორგანიზაციას და მოტივაციას სხვა საკითხებთან ერთად მიაკუთვნებენ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატის კომფორტაბელურობის განმსაზღვრელ **ფაქტორებს**, როგორიცაა: კოლექტივში თანამშრომ-

ლობის დონე, ლოიალურობა და კორპორაციული სიამაყე საკუთარი ფირმისადმი, დისციპლინის საკითხები დამსახურებების დაფასება, სამართლიანი ურთიერთობები, ფირმის წარმატებაში მონაწილეობის გრძნობა და სხვ.

ამრიგად, მენეჯმენტის ფილოსოფიის (არსი) დადის შემდეგამდე: იდეალური სამუშაო ადგილის დამახასიათებელი ნიშნები, მენეჯმენტის მთავარი პრინციპები: ძირითადი მოკლევადიანი მიზნები და ოპერატიული საქიანობის პრინციპები. ჩვენი აზრით, ეს არის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ ქვეყნებში წარმოების მართვის პრაქტიკაში, და არიან მეტწილად ტიპიურნი და ეფექტურნი. მმართველობის პრობლემის მოგვარებაში გადამწყვეტს წარმოადგენს მმართველი გუნდის (მენეჯერების) ფორმირება, რამდენადაც მმართველ გუნდს შეუძლია უზრუნველყოს იდეის, რომელიც აისახება ფირმის ბიზნეს-გეგმაში: განვითარება და დანერგვა წარმატებულ ბიზნესში.

1.3. სამეცნიერო სტატია: „დროის მენეჯმენტის ძირითადი საკითხები“ (ინგლისურ ენაზე: „Main Principles of Time-Management")

სტატია: ლიპარტია ზ. პროფესორი; შერაზადიშვილი ბ. ასოც. პროფესორი
Lipartia Zurab Doctor of Economic Sciences, Professor of Sokhumi State University
Sherazadishvili Besik – Georgian Technical University assot. professor

სამეცნიერო სტატია „დროის მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები“ რეზიუმე[*]

შრომითი პროცესების დასაგეგმად და ეფექტურად განსახორციელებლად, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი არის დრო, რომელიც ისეთივე მნიშვნელობის მქონეა, როგორც მაგალითად: მატერიალური რესურსი, ინფორმაცია, ტექნიკა, პერსონალი. სამუშაო დროის არაეფექტურმა მართვამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი, ვინაიდან ადამიანის შრომითი ენერგიის არარაციონალურმა გამოყენებამ შეიძლება მინიმუმამდე შეამციროს ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობა. ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელიც სათანადოდ ვერ აფასებს დროის ფაქტორს და არ შეუძლია მისი (დროის) ეფექტური მართვა, ვფიქრობთ, ფაქტობრივად განწირულია წარუმატებლობისთვის. ორგანიზაციის უმაღლესი რგოლის მენეჯერი ახდენს არამხოლოდ საკუთარი, არამედ დაქვემდებარებული თანამშრომლების სამუშაო რეჟიმის დაგეგმვას.

Resume:

Everyone has valuable capital – time. It's attribute is ireversibility, which means, that the time comes in only one direction – from the past to the future. Recovery of time capital is impossible. Time can never be gained, saved, accumulated, multiplied or sold under any transaction. The only thing we can do, is to use our most valuable resource rationally. The fundamental knowledge of Time Management control of what, how and when we do, will help us to increase our efficiency. At the same time it should be mentiond, that control does not indicate a strict mode of life, according to which even the unimportant corrections are not permitted.

Keywords: Time management, management, organization, effectiveness, working time.

---

[*] შენიშვნა: იხ. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის – „განვითარების ეკონომიკა და ინოვაციები: გამოწვევები, გადაწყვეტის გზები“ მასალების კრებული. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი 29– 30 სექტემბერი 2017. გვ 86-87.

Note: Sokhumi State University Faculty of Economics and Business Research Institute of Economics and Management Development Economics and Innovation: Challenges and Solutions of 4th International Scientific and Practical Conference. Tbiliai. 29-30 September 2017. P. 86-87.

With the need for legal services increasing and staff and resources becoming even more limited, legal services workers are continually faced with having to organize their time efficiently to produce the maximum benefit for their program and its clients. This is not an easy task; people on staff are required to plan ahead, to judge priorities against personal and program goals, and to determine the most effective and efficient methods to reach objectives. Being overwhelmed or swamped by such work usually creates a feeling of powerlessness. The principles involved in time management education attempt to reduce this reaction and pave the way for individuals to take control of their time and their lives.

Objectives in Time Management: 1. Analyze the issues that affect your use of time. 2. Identify the significant time problems that impact your work. 3. Develop practical strategies for solving these problems. 4. Use selected time management principles to improve youreffectiveness. 5. Establish goals that reflect personal and/or organizational decisionsabout the benefits to be derived from future action. 6. Set priorities more effectively.

More effective use of time depends upon your decision to manage time – instead of letting it manage you. This perspective is the first step to gaining control of your time. In attempting to manage your time, you may discover that the way in which you handle crises creates some of your time management problems. Establish deadlines for each objective. Determine by what time of the day you will have completed each objective. This serves as a reminder throughout the day and provides a major force to overcome procrastination, indecision, and distractions.

Record all significant actions in terms of results during each 15-minute period. Do not wait until noon or the end of the day, or a major benefit-tracking interruptions-will be lost. Comment on each action. Include reference to its disposition, its possible delegation (identify and set deadline for completing delegation, or other steps to improve time utilization.

Wasting time at work can mean surfing the net, idle chat, using Twitter, and spending too much time with e-mail. Of these, the Internet is probably the worst culprit. Therefore, first and foremost–curb the real time wasters. However, the Timewasters that follow are those that interfere with the work day of theworker who is seriously trying to concentrate, be productive, and be efficient. Timewasters such as these can be sneaky. Indeed, you can be unaware of some of them. Check out all 14 of the Timewasters that follow. Identify those that apply to you and take action to remedy the situation. You will become more productive and efficient – and you will

have less stress on the job. Be honest in your analysis of those you need to work on.

Consolidate Similar Tasks – Group or consolidate similar tasks. This step will not only minimize interruptions but also will economize on the utilization of resources and efforts. For example, instead of making calls throughout the day, group and make out-going calls at specific times each day. Frequent callers can also be told that the best time to reach you is during certain hours. You can thus sensitize callers and help them to develop a habit of calling you when you can be most effective for them. [Benchmark Institute. „Time Management Manual". 2010.]

Tackle Tough Jobs First – A tendency exists to work on petty chores first with the idea of working up to bigger projects. What often happens, however, is that the tough jobs simply don't get done because too much time is spent doing the unimportant tasks. By the time you get to the tough jobs, you are too tired to work on them. The solution is to reverse the process. Start your day with the important work when your energy level is high and work your way down your list of priorities. If time is available at the end of the day, the low level priority items can be completed.

Delegate and Develop Others – If you think that the only way to get something done right is to do it yourself, then you are probably overwhelmed with work while your staff enjoys less harried work schedules. Try to break the „do-it-myself" habit. Delegate work whenever possible. Delegation does not mean „dumping" a task on someone else but rather carries with it the responsibility of making sure that the individual has the requisite skills and knowledge to do the job. The time devoted to training and motivating people to do tasks which you usually perform will reduce your time burdens in the future and enrich the jobs

of others. [Stephen R. Covey – „The 7 Habits of Highly Effective People". 1988. P. 23]

Don't Be a Perfectionist – There is a difference between striving for excellence and striving for perfection. The first is attainable, gratifying, and healthy. Striving for perfection that is unattainable is frustrating. Constant revision of letters and papers for trivial reasons not only wastes time but also takes its toll on relationships as well. Some might profit from a new look at the original Declaration of Independence. The writer made several errors and omissions. Letters and works were inserted between the lines. Perfection is not the standard of excellence for a document or letter to be glanced at briefly en-route to another person, file cabinet, or wastebasket.

Take Breaks – To work for long periods of time without taking a break is not effective time use. Energy decreases, boredom sets in, stress and tension accumulate, and attention wavers. Switching for a few minutes from a mental task to something physical (stand up or walk around the office – or change positions) can provide needed stimulation and relief. Rest is not a waste of time. It improves health and efficiency.

Get Started Immediately on Important Tasks – Putting things off until tomorrow is easy. In fact, people generally do the things they enjoy first and procrastinate on the tasks they dislike. Self-discipline is needed to overcome procrastination. Avoid not doing a job because it seems\ overwhelming. Try breaking the task into bite-sized pieces that are more palatable to digest. By following this „Swiss cheese" technique, you will soon find that poking holes in the project makes it less overwhelming. Unfinished work is more of a motivator than unstarted work. By having started a job, you have made an investment of your time and are more likely to complete the task.

Reduce Meeting Time – Many meetings should not take place. Sometimes the only reason for a weekly staff meeting is because a week has passed since the last one. Such meetings disrupt your work. Reduce the number of meetings–and follow an agenda on those you do have, saving time. If needed meetings are too long, schedule the next meeting to bump up against the lunch hour or quitting time. Most people will want to leave. Also, a standup meeting helps to guarantee a short meeting. Take Time to Plan – A paradox of time is that by taking time to plan, you end up saving time. Instead of spending the day „fire fighting", develop a schedule for doing the things that must be done in the available time.

თავი 2.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები

2.1. რეგიონული კონკურენტუნარიანობის ფორმირების ასპექტები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში

თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესების შედეგად ფორმირებადი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების, ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას წარმოადგენს, რომელიც მსოფლიო თანამედროვეობის მიერ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს ემყარება, გლობალური ეკონომიკური სისტემის განვითარების მიმართულებებს და დინამიზმს განსაზღვრავს. გლობალიზაციის პროცესი ზემოქმედებს არა მარტო ეკონომიკურ სუბიექტებს შორის ურთერთობებზე, არამედ იგი მოიცავს ადამიანისეული საქმიანობის ყველა სფეროს – პოლიტიკურ, სამართლებრივ, სოციალურ, კულტურულ და ა. შ. ურთიერთობებს და მათ შორის ურთიერთგანპირებულებობის დამოკიდებულების ზრდას განაპირობებს. ამასთანავე ცალკეულ სახელმწიფოს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების აღიარებისა და დამკვიდრების საფუძველზე, საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად განვითარების შესაძლებლობას აძლევს. გლობალიზაციის პროცესის შედეგად ფორმირებული ეკონომიკა გულისხმობს სახელმწიფოთა შიგნით და სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ურთიერთობების ერთიანი პრინციპის პოლიტიკურ-ეკონომიკური დემოკრატიის მსოფლიო მასშტაბებით დამკვიდრებას.

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერ-მკვლევარისა და პედაგოგის **აკადემიკოს რევაზ გოგოხიას** განმარტებით –„მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს მსოფლიო მომცველი ეკონომიკური ურთიერთობების ქსელის წარმოშობას და განვითარებას უფრო კონკრეტულად, გლობალიზაცია არის სახელმწიფოებს შორის საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორების მათ შორის განსაკუთრებით – შრომის, კაპიტალის და ცოდნის თავისუფალი მოძრაობა“[12].

ცნობილი ქართველი მეცნიერისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის **აკადემიკოს ნოდარ ჭითანავას** აზრით –„გლობალიზაცია არის ისტორიული პროცესი მისთვის დამახასიათებელი ეტაპებით, თავისებურებებით, ტენდენციებით, კანონზომიერებით... იგი ადეკვატურად ასახავს, ერთი მხრივ, შრომის დანაწილების მრავალმხრივ პროცესს, სცილდება ეკონომიკურ ჩარჩოს, მოიცავს საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა მხარეს (პოლიტიკას, იდეოლოგიას, კულტურას, რელიგიას) ერთმანეთთან უშუალო კავშირში აერთიანებს ინტეგრაციისა და ავტონომიზაციის პროცესებს, დამოუკიდებლობას, ხოლო, მეორე მხრივ კი, ალიანსების შექმნისაკენ მისწრაფება. ამიტომ სწორედ უნდა მივიჩნიოთ, რომ გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა“.[13]

განვითარების თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის პროცესების ახალი რეგიონალიზმი, რომელიც უნდა განვიხილოთ როგორც გლობალიზაციის რეგიონული განზომილება. საქართველო განეკუთვნება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას. საქართველო და სამხრეთ კავკასია, საზოგადოდ, უნდა განვიხილოთ ევრაზიული კონტინენტის საკუთრივ ევროპულ ნაწილში მდებარე რეგიონად, რომლის განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანს მისი ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს, რაც შესაბამის მოთხოვნებსა და ამოცანებს უყენებს ქვეყანას სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში. უპირველეს ყოფლისა, ამოცანა მდგომარეობს ევროკავშირში გაწევრიანების ე. წ. „კოპენჰაგენის კრიტერიუმებით“ განსაზღვრული პარამეტრების მიღწევის უზრუნველყოფაში.

„ევროპული რეგიონალიზმი“ ვითარდება ევროკავშირის გაფართოების ხარჯზე აღმოსავ-

---

[12] გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბილისი, 1996. – 127გვ.

[13] ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ესპასკი, შრომების კრებული ტ 6., თბილისი, 2005. გვ. 278.

ლეთისაკენ და სამხრეთით. ევროპული რეგიონალიზმის გაფართოება მიმდინარეობს „სიერცობრივადაც" ევროკავშირის მიერ ინტეგრაციულ ურთიერთქმედებათა დალაგებით ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, აგრეთვე, აზიასა და აფრიკაში ფორმირებად ერთიან ბაზრებთან.

გლობალიზაციის როგორც მიზნის შინაარსის გაგება უკავშირდება ადამიანების, სახელმწიფოთა ლიდერების, მსხვილი ბიზნესის ხელმძღვანელების, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების, ეროვნული და საერთაშორისო ჩინოვნიკების მოღვაწეობას. გამოყოფენ ასეთი მოღვაწეობის სამ დონეს: გლობალურს, რეგიონულს და ეროვნულს, რომელიც ზემოთ აღნიშნულ დონეებზე თითოეული ქვეყანა წყვეტს ეროვნულ ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მოთხოვნებთან ადაპტაციის თავის სპეციფიკურ ამოცანებს.

გლობალიზაცია, როგორც ტერმინი წარმოჩინდა XX საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდში და მას უკავშირებენ ტ. ლევიტის სახელს, რომელმაც 1983 წელს „ჰარვარდ ბიზნეს-რევიუში" გამოქვეყნებულ სტატიაში დააფიქსირა ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის ფენომენი, რომელსაც ახდენენ უმსხვილესი ტრანსნაციონალური კორპორაციები, ხოლო ტერმინმა „გლობალიზაციამ" გავრცელება დაიწყო ამერიკელი სოციოლოგის, **რ. რობერტსონის** დამსახურებით, რომელმაც 1985 წელს მოგვცა გაგება „Globalization", ხოლო 1990 წელს იაპონელმა **კ. ომაემ** გამოაქვეყნა წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე".[14]

გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, აუცილებელია განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში ინტეგრაციული **ფაქტორების** გათვალისწინება კერძოდ:

1. საჭირო და აუცილებელია გლობალიზაციის სწორი გაგება და მის მიმართ გაწონასწორებული და გონიერი დამოკიდებულება;

2. გლობალიზაცია რეგიონის ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს) უქმნის შესაძლებლობას, მოახდინოს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის ადაპტირება გლობალიზაციის დინამიკასთან მიმართებაში, თავიანთი ეკონომიკის სტრატეგია შეუხამონ ევროპული და აზიური რეგიონალიზმის განვითარებას, აგრეთვე, ყველა დონის ინტეგრაციულ პროცესებს – რეგიონულს, სუბრეგიონულს, ორმხრივს;

3. გლობალიზაციისადმი, როგორც მიზნისადმი მიდგომა, რომელსაც თავის თავის წინაშე აყენებენ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები, საშუალებას იძლევა გლობალიზაციის პროცესი წარიმართოს მდიდრებისა და ღარიბების ინტერესების შეხებებისაკენ, მათ შორის მდიდრების სტრატეგიულ ინტერესებში გათვალისწინებისაკენ.

4. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საქონელ-წარმოების დაცვის პრობლემის გათვალისწინება, რომელიც საჭიროებს ძალიან აწონილ-დაწონილ მიდგომას;

5. შეფასდეს თუ როგორ იქნეს გამოყენებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასთან და აზიის რეგიონთან მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობები;

6. გასათვალისწინებელია, ასევე თუ როგორ იქნება გამოყენებული დასავლეთ ევროპისა და აზიის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის უსაფრთხოებისა და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან;

7. ინტერნაციონალური ძალისხმევით როგორ გამოვაცოცხლოთ საქართველოს სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალი და როგორ გამოვიყენოთ ის გლობალური და რეგიონული ცოდნის კონტექსტში.

ამრიგად, საქართველოს საშუალოვადიანი საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გამომდინარე და განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში, ქვეყნის გარეთ – საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საქართველოსათვის გლობალიზაციის მიმართულებით **გასატარებელ ამოცანებად** გვესახება:

[14] **Ohmae K., The Borderles s World** 1990. – (გვ. 41).

ა) საქართველოს და მთელისამხრეთ კავკასიის გეოსატრანსპორტო მდგომარეობის გამოყენება (როგორც **ბუნებრივი ხიდის**) ევროპასა და აზიას შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების სისტემის შექმნით;

ბ) საქართველოს ან მთლიანად კავკასიის სამეცნიერო პოტენციალის გამოყენებით მოხდეს აღნიშნული პოტენციალის გაერთიანება აზიის კაპიტალთან და მათი მოთხოვნილებების გაერთიანება ჩვენს ცოდნაში;

გ) საქართველოს დიპლომატიის ამოცანა მდგომარეობს აზიური ინტეგრაციისა და აზიური ეკონომიკის შესაძლებლობათა (თანაბრად როგორც ევროპულისა) გამოყენებაში რეფორმების განხორციელებისა და საქართველოს აღორძინების მიზნით;

დ) ბუნებათსარგებლობა და რესურსული პრობლემები: ბუნებრივი რესურსების გამოყენების ახალი ტექნოლოგიები;

ე) რეგიონთაშორისი ინტეგრაცია და საქართველოს ფედერალიზმისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცება-უზრუნველყოფა;

ვ) საქართველოში სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის განხორციელება ადამიანისეული კაპიტალის განვითარების კონცეფციის საფუძველზე.

შესაბამისად, საქართველოს **სტრატეგიული მიზანია** საქართველო გადაიქცეს ეკონომიკური, საფინანსო, კომუნიკაციური, კულტურული, ცივილიზებული მიმართულებებით ევროპული და აზიური რეგიონის დამაკავშირებელ რგოლად.

ქვეყანაში დღეს გლობალიზაციასთან დაკავშირებით არსებობს ის შეხედულებაც, თითქოს მას ჩვენთვის მოაქვს მეტი ცუდი და უბედურება, ვიდრე გვთავაზობს შესაძლებლობებს. მაგრამ ამასთან ერთად იწყებს ჩამოყალიბებას სხვანაირი პოზიციის ფორმულირება: საქართველოს ეროვნული ინტერესების ფორმულირება გლობალიზაციის შუქზე ჩვენს ქვეყანას აძლევს მძლავრ ორიენტაციას იმაზე, რომ დაამყაროს მჭიდრო თანამშრომლობა მსოფლიო გლობალურ ეკონომიკასთან.

ჩვენი აზრით, **გლობალიზაციის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით,** საქართველოს ინტერესებს უდავოდ პასუხს გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ახალ პირობებთან, ახალ შესაძლებლობებთან და გლობალიზაციის **ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია**.

პროფესორი ე. ეთერია გლობალიზაციის პირობებში ეროვნული ეკონომიკის ადაპტაციის პრობლემების კვლევის პროცესში აღნიშნავს, რომ „გლობალიზაციის პირობებში მიმდინარეობს სახელმწიფო ფუნქციების ტრანსფორმაციის პროცესი. შედეგად, სახელმწიფო იძენს ახალ ფუნქციებს, რომელთა შორის უმთავრესი სწრაფად ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია და გლობალურ, ურთიერთდამოკიდებულ მსოფლიოში სახელმწიფო ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განხორციელება წარმოადგენს“.[15]

კონკურენტუნარიანობის შეფასების მეთოდიკის ფორმირების აქცენტს მისთვის პროგნოზირებადი ხასიათის მინიჭებაზე ამახვილებენ. ამასთანავე ყველაზე გავრცელებული მიდგომა **ჰ. ამსტრონგის კონკურენციის კრიტერიუმთა განხილვა** საზოგადოების პროგრესის უზრუნველყოფის მიმართულებით მთლიანად ქვეყნის მასშტაბებით წარმოადგენს. ხოლო რეგიონს, განიხილავენ როგორც ფირმათა კონკურენციის ფორმირებისათვის მნიშვნე¬ლოვან გარემოს.

ნაშრომში შემოთავაზებულია **რეგიონის კონკურენტუნარიანობაზე** მოქმედი ფაქტორების კლასიფიკაცია (იხ. ნახ. 1.5), საიდანაც გამომდინარეობს, რომ კონკურენტუნარობაზე ზემოქმედების ფაქტორებს ყოფენ: ა) პოზიტიურ და ბ) ნეგატიური ზემოქმედების ფაქტორებად.

საშინაო ბაზრების შედარებით სივიწროვე, შრომის შიგა დანაწილების შეზღუდული შესაძლებლობები, ბუნებრივი რესურსების სუსტი დივერსიფიკაცია, რომელიც ზღუდავს წარმოების დარგების განვითარების შესაძლებლობებს, მნიშვნელოვან მასტიმულირებელ საშუალებებს წარმოადგენს ცალკეული ეროვნული მეურნეობების საერთაშორისო ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობისათვის, აძლიერებს საგარეო ბაზარზე ორიენტირებული წარმოების სპეციალიზაცი-

[15] იხ. ეთერია ე., „გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა“. გამომც.: „უნივერსალი“. თბ., 2009. გვ. 303.

ის მნიშვნელობას. ყალიბდება ახალი თეორიული შეხედულებები ეკონომიკურ განვითარებაში **საერთაშორისო ვაჭრობის როლის** შესახებ. იგი გულისხმობს, რომ ყოველგვარი შეზღუდვებისაგან თავისუფალი საგარეო ვაჭრობა შეიძლება ხელსაყრელი იყოს მასში მონაწილე ყველა ქვეყნისათვის. იმ უპირატესობების თეორიული დასაბუთება, რომელიც მოაქვს საერთაშორისო ვაჭრობას ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, მოგვცეს ჯერ ა. სმითმა, შემდეგ კი – დ. რიკარდომ, რომელიც შემდგომში არსებითად განვითარდა და განახლდა მთელი რიგი ეკონომისტების შრომებში, რომლებმაც შეიტანეს მასში საწარმოო ხარჯების ანუ წარმოების ფაქტორების (შრომის გარდა) ახალი კომპონენტები, კერძოდ კი, კაპიტალის მცნება.

ამჟამად, მეცნიერ-ეკონომისტები, ძირითადად მუშაობენ **საერთაშორისო ვაჭრობის თეორიის** ორ მთავარ მიმართულებაზე:

პირველი. ხორციელდება უკვე არსებული თეორიული წარმოების მსხვილი ფაქტორების შემდგომი მიდგომების სრულყოფა, სადაც უფრო ვრცლად იქნება გათვალისწინებული **ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ)** როლის ზრდა მსოფლიო ეკონომიკასა და საგარეო ეკონომიკურ კავშირებში.

მეორე. მუშავდება ახალი თეორიული მოდელები, რომლიდანაც ყველაზე მეტად ცნობილია ტექნოლოგიური ხასიათის სხვადასხვა თეორია (მაგალითად, **რ. ვერნონის „საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორია“**). აგრეთვე, ისეთი იდეები, როგორიცაა „მასშტაბის ეფექტის“ თეორია, რომლის მიხედვითაც ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს საფუძვლად უდევს დარგობრივი სპეციალიზაციით მიღებული მოგება, რომელიც ხასიათდება წარმოების მასშტაბებიდან მიღებული ეკონომიით. ასევე საგულისხმოა, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მიმდინარე თეორიულ კვლევებში სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკასთან და მის საგარეო ვაჭრობასა და ეკონომიკური ურთიერთგაცვლის სხვა ფორმებზე არსებულ გავლენასთან.

საგარეო ვაჭრობაში შეზღუდვების არსებობა ამცირებს ან საერთოდ სპობს წარმოების სპეციალიზაციისაგან მიღებულ მოგებას, ვინაიდან ასეთ პირობებში ქვეყანა იძულებულია, გადაისროლოს რესურსები ეფექტიანად (მინიმალური ხარჯებით) მისი გამოყენების არაეფექტიანად მოხმარებაზე საკუთარი რესურსების ხარჯზე მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილების მიზნით. ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობისაგან მიღებული არაპირდაპირი მოგება შიგაეკონომიკურ ჭრილში აცოცხლებს კონკურენციას და ზღუდავს მონოპოლიზაციის ტენდენციებს, მართვის დამახასიათებელი ზედმეტი ხარჯებით.

კონკურენცია როგორც შიგა, ასევე მსოფლიოს ბაზარზე უბიძგებს ეროვნულ მწარმოებლებს გადავიდნენ, ახალ საწარმოო ტექნოლოგიებზე, გაზარდონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ასორტიმენტი, მეტი ყურადღება დაუთმონ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვას და ამით ხელი შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მომხმარებლისათვისაც, ვინაიდან მისაღებ ფასებში პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტის შეძენის საშუალებას აძლევს მას. ამავე დროს, გადიდებული საბაჟო ტარიფების გამოყენება თითქმის ყოველთვის ამცირებს კეთილდღეობის დონეს მოვაჭრე ქვეყნებში. თუმცა ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ პირობებში ისეთი **ინსტრუმენტების** გამოყენება, როგორიცაა გადიდებული საბაჟო ტარიფები, საგარეო ვაჭრობის არასატარიფო განსხვავებული ფორმები, მათ შორის, კვოტირება და ლიცენზირება შეიძლება აუცილებელიც შეიქნას. ტრადიციულად, ეკონომიკური ინტეგრაციის სუბიექტად განიხილება ეროვნული ეკონომიკა, ხოლო ინტეგრაციის განვითარება უკავშირდება საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას და ურთიერთგაცვლის სხვა ფორმებს, აგრეთვე, ცალკეულ ეროვნულ ეკონომიკას შორის კულტურული, საინფორმაციო, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა სახის შეზღუდვის თანდათან მოსპობას.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოადგენს სამეურნეო მოღვაწეობის გლობალიზაციის ობიექტურ და მრავალგანზომილებიან პროცესს, რომელიც გამოხატულებას პოულობს ეროვნული სანარმოო ძალების მოდერნიზაციისა და განვითარების, საერთო ბაზრების შექმნის, ერთიან მარკეტინგსა და ა. შ. ძალისხმევის კოოპერაციაში.

ინტეგრაციული კავშირების განვითარების პროცესის თვისებრივ თავისებურებას სპეციფიკური რეგიონული ინტერესების გამოცალკავება წარმოადგენს, როდესაც სახელმწიფოთა ამა თუ იმ ჯგუფს გამოყოფენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების საერთო სუბიექტე-

ბის რიცხვიდან და გადააქცევენ ამ ინტერესებს რეგიონული პოლიტიკისა და ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად, სადაც გამოიყოფა **საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თანამიმდევრული საფეხურები, რომლიდანაც უმთავრესია:**

1) პრეფერენციული სავაჭრო შეთანხმებები, რომლებიც ითვალისწინებენ დაბალ ტარიფებს იმპორტირებულ საქონელზე იმ იმპორტული პროდუქციის ტარიფებთან შედარებით, რომლებიც შემოდის მესამე ქვეყნიდან;

2) თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნა, როდესაც უქმდება ტარიფები ზონის მონაწილე ქვეყნების საქონელზე და გამოიყენება ინდივიდუალური ტარიფები მესამე ქვეყნების მიმართ;

3) საბაჟო კავშირი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფალ ვაჭრობას ინტეგრაციული შეთანხმების მონაწილე ქვეყნებს შორის და ერთიანი საბაჟო ტარიფების შემოღებას მესამე ქვეყნებს მიმართ;

4) საერთო ბაზარი, რომლის შექმნისას ხდება შეთანხმება საწარმოო ფაქტორების, მათ შორის, კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გატარებას, არამედ შეთანხმებულ მაკრო და მიკროეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლას.

ცნობილია, რომ წამყვან როლს მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში თამაშობს **კერძო სექტორი**, უწინარეს ყოვლისა, ტრანსნაციონალური კორპორაციები, მიუხედავად ამისა, თანაფარდობა „ზემოდან" მომდინარე ინტეგრაციასა (ცალკეული ქვეყნების სამეურნეო დაახლოების დაჩქარება სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების გზით) და „ქვემოდან" მომდინარე ინტეგრაციათა შორის (კერძო საწარმოო სექტორის ტრანსნაციონალური კომერციული ოპერაციების აქტივიზაციის გზით) პლანეტის ცალკეულ რაიონებში არათანაბარია.

კვლევები მიუთითებენ, რომ ეროვნულ ეკონომიკათა დაახლოების დაჩქარების მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ფეთქებადი ზრდა, რომელიც დროში ფაქტობრივად, **„ცივი ომის დამთავრებას"** დაემთხვა. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ პირდაპირი კერძო ინვესტიციები წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის დაჩქარების პროცესის ერთ-ერთ მთავარ უმთავრეს მამოძრავებელ ძალას, რომელიც იწვევს მსოფლიოში მნიშვნელოვან ცვლილებებს წარმოების განთავსებაში, იცვლება საგარეო ვაჭრობის ნაკადები და სტრუქტურა, იქმნება თვისებრივად ახალი შრომის საერთაშორისო დანაწილების ტიპი ინტეგრირებული საწარმოო კომპლექსების ფარგლებში, რომლებიც კვეთენ ეროვნულ საზღვრებს.

ამრიგად, გლობალიზაციას საფუძვლად უდევს მაკროეკონომიკური ფაქტორები, კერძოდ კი, **ეკონომიკის კორპორაციული სექტორის მოღვაწეობის გლობალიზაცია.** საერთაშორისო საწარმოების ობიექტი ხდება მთელი მსოფლიოს ბაზარი. შესაბამისად, თანამედროვე მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი მახასიათებელია სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის (გლობალიზაციის) გაღრმავება, რომელიც ბევრადაა დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნოლოგიური რევოლუციის განვითარებასთან. ამასთანავე, საგულისხმოა, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის ერთ-ერთი ძირითადი წარმმართველი სუბიექტები **ტრანსნაციონალური კომპანიებია,** რომელთა რაოდენობამ XXსაუკუნის 90-იანი წლების ბოლოსათვის 40 ათასს მიაღწია. ფაქტობრივად, სახეზეა „ახალი რეგიონალიზმის" ფორმირების პროცესები, მის მონაწილე სუბიექტებად, სახელმწიფოებთან ერთად გამოდიან სხვა ინსტიტუტებიც. იგი, ეკონომიკური პრობლემების გადაჭრასთან ერთად, მოიცავს ეკოლოგიური და უსაფრთხოების ამოცანების გადაწყვეტას. რაც მთავარია, „ახალ რეგიონალიზმს" ახასიათებს რეგიონული გაერთიანებების (ინსტიტუტების) მონაწილეთა გლობალურ პროცესებში ადაპტირებისათვის შესაბამისი ოპტიმალური საშუალებების ძიება.

ზემოთ გაანალიზებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე ტენდენციების ფონზე, მით უფრო, რომ ეს პროცესები განსაკუთრებით გააქტიურდა XX საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში, უხდება მსოფლიო მეურნეობაში თავისი (ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით) ადგილის დამკვიდრებისათვის შესაბამისი მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია.

შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია, მით

უფრო თუ გავითვალისწინებს დღეისათვის საქართველოში ჩამოყალიბებულ არასასურველ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოს და ამასთან, მსოფლიო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენს ქვეყანას გააჩნია იმის სერიოზული პოტენციალი, როგორიც გეოპოლიტიკური (ვგულისხმობთ საქართველოში ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის ფორმირების წარმატებით გაგრძელებას), ასევე რესურსული (ვგულისხმობთ ინტელექტუალურ, შრომით, ეკონომიკურ და ბუნებრივ რესურსებს) თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და, ამავე დროს, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით შეინარჩუნოს ეროვნული **თვითმყოფადობა.**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და სახელოვანი მამულიშვილი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ბატონი **ზურაბ ლომთათიძე** აღნიშნავს საქართველოში – „დღეს, როგორც არასდროს, ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული პროგრესი და ზოგადად, საზოგადოების განვითარება ქვეყნის უსაფრთხოება მთლიანად დამოკიდებულია და პირდაპირ კავშირშია მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან, მეცნიერული მიღწევების გამოყენებასთან. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, სწორედ, მეცნიერებათა და ხელოვნებათა აკადემიები და უმაღლეს საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო დაწესებულებები წარმოადგენენ იმ ძირითად სამჭედლოს, სადაც ხდება მეცნიერული აზროვნების ჩამოყალიბება და განვითარება. თანამედროვე მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება განვითარებული ქვეყნები, სადაც მეცნიერებათა აკადემიები ხელს არ უწყობენ მეცნიერებისა და ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკურ განვითარებას. დღეს ჩვენ ვამაყობთ ქართული მათემატიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, გეოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა სამეცნიერო სკოლებით, აგრეთვე, საქართველოში არსებული მეცნიერებათა აკადემიებით და მსოფლიოში აღიარებული იმ მეცნიერებით, როგორებიც იყვნენ: ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიკაშვილი, დიმიტრი უზნაძე, ალექსანდრე ჯანელიძე, შალვა ნუცუბიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი წერეთელი.... ყოველივე ეს ქმნის ყველა საფუძველს, იმის გარანტიას, რომ გავაფართოვოთ ურთიერთთანამშრომლობა, ერთობლივი კვლევები განვახორციელოთ და ავითვისოთ უახლესი ტექნოლოგიები ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის გამტკიცების, ეკონომიკური აღორძინების, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული სფეროების გაუმჯობესებისათვის".[16]

როგორც ცნობილია, რეგიონულ ინტეგრაციას, დადებით მომენტებთან ერთად, ახლავს მთელი რიგი პოტენციური წინააღმდეგობები, რომლებიც თავს იჩენენ თანაცხოვრების ახალი მჭიდრო ფორმების ჩამოყალიბების პროცესში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს განვითარების პერსპექტივების ხედვა არა მხოლოდ ევრაზიული სატრანსპორტო დერეფნის კონტექსტში (თუმცა უდავოა, რომ ქვეყნის განვითარებისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრაციის პროცესში ამ პროექტს პრინციპულად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება), არამედ სხვა ალტერნატიული მიმართულებების რეალიზაციის თვალსაზრისითაც. შესაბამისად, არსებითია საქართველოს ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ტრანსნაციონალურ კომპანიებთან ინტეგრაცია, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციების შესაბამისად ეროვნული მეურნეობის ტრანსფორმაცია, ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი მოთხოვნების (ე. წ. „კოპენჰაგენის" კრიტერიუმების) ეტაპობრივი რეალიზაციის გზით ამ კავშირში გაწევრიანების უზრუნველყოფა. ამასთან აუცილებელია, რომ საქართველოს გლობალიზაცია-ლოკალიზაციის პროცესში მონაწილეობის პერსპექტივები, მიზნები, ამოცანები და ფორმები გააზრებული უნდა იქნეს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის კონტექსტში.

ცნობილი ნოვატორ-მეცნიერი და კეთილშობილი პიროვნება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი (2008 წ.-დღემდე) ბატონი **დავით ჯალალონია** სამეცნიერო სტატიაში – **„ტრანს-ენგურის სავაჭრო გზა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში"** აღნიშნავს, რომ **„ქართულ-აფხაზური**

---

[16] **ზ. ლომთათიძე,** აფხაზეთის მეცნ. ეროვნული აკადემიისა და საქ. მეცნ. ეროვული აკადემიის აჭარის ა/რ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის – „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა საკითხები – ისტორია და თანამედროვეობა", 2016 წლის 10-12 ივნისის მასალები. გვ. 6-7.

პრობლემის" მშვიდობიანი გზით მოგვარებაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს ქართველებსა და აფხაზებს შორის ეკონომიკურმა ურთიერთობებმა. ასეთი ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია ქართულ-აფხაზური პერსპექტივის შემდგომი განვითარება. ამ მიმართულებით ტრანს-ენგურის ეკონომიკური სავაჭრო გზა, რომელიც გადის გალის ტერიტორიაზე, განსაკუთრებული შესწავლის ობიექტი ხდება, როდესაც **აფხაზეთი** „დე-ფაქტო" უკვე ორ ათეულ წელზე მეტია მოწყვეტილია საქართველოს ერთიან ეკონომიკურ სივრცეს. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორი ეყრდნობა ბრიტანული ორგანიზაციის „International Alert"-ის მიერ ჩატარებულ კვლევის შედეგებს, რომელიც ეხება ტრანს-ენგურის სავაჭრო ურთიერთობების საკითხების შესწავლას (იხ. მასალები – www. international-alert. org. გვ 10.) ". ავტორის მოსაზრებით ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ახალი ტექნოლოგიები, მათი სწორად ორგანიზება. **აფხაზეთში დატრიალებული ომის (1992-93 წწ.)** შედეგად საქართველოს და მათ შორის აფხაზეთის ა/რ ეკონომიკა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ომის შედეგად **განადგურდა აფხაზეთის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი**, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, სამშენებლო და აგროსამრეწველო კომპლექსი, კავშირგაბმულობის ობიექტები და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობა. ისტორიის და არქიტექტურის ძეგლები, მოიშალა ქალაქების ურბანული განვითარება, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში შეწყდა კვლევები, სასწავლო დაწესებულებებში შეფერხდა სასწავლო პროცესი, დაზიანდა და სანარმოებების უდიდესმა ნაწილმა შეწყვიტა ფუნქციონირება. ორივე მხარემ დაკარგა ინტელექტუალური გენოფონდი.

საქართველოს ეკონომიკის ძლიერების მნიშვნელოვანი გარანტი იყო და არის **ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადი**, რომლის საპროექტო სიმძლავრეა 1640 ათ. კვტ. (რომელიც მოიცავს: ენგურჰესს – სიმძლავრე 1300 ათ. კვტ; ვარდნილჰესი N1 – სიმძლავრე 220 000 ათ. კვტ; და სამი 40 ათ. კვტ.-იანი სიმძლავრის ჰესი) და საშუალოდ წელიწადში გამოიმუშავებს 5, 46 მლრდ. კვტ. საათს. ენგურის წყალსაცავი რომელიც უზრუნველყოფს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის წყლით მომარაგებას, წარმოადგენს 271, 5 მ სიმაღლის უნიკალურ თაღოვან კაშხალს 1 მილიარდი მ^3 წყლის და 30 კმ. სიგრძის მოცულობით, რომელსაც აკონტროლებს ქართული მხარე. წყალსაცავთან დაკავშირებული სპეციალური სადერივაციო გვირაბი, რომლის დიამეტრია 9 მ, სიგრძე კი-15 კმ. 451 მ სიგრძის 5 სადაწნეო გვირაბის საშუალებით წყლით კვებავს აფხაზეთის ტერიტორიაზე დამონტაჟებულ და სოხუმის კონტროლს დაქვემდებარებულ ჰიდროაგრეგატებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თითქმის ნახევარი მიეწოდება სოხუმს, ხოლო ამ ელექტროენერგიის 20 პროცენტი თავის მხრივ ექსპორტის სახით მიეწოდება რუსეთის ფედერაციის კრასნოდარის მხარეს, რაც მნიშვნელოვანია აფხაზეთის ბიუჯეტისათვის. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ აფხაზეთის ელექტროგადამცემი ხაზები „საქენერგოს" საშუალებით დაკავშირებულია საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზების ერთიან სისტემასთან, რაც ასევე დამატებითი მოტივაციაა ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნისათვის.[17]

კვლევები მოწმობს, რომ პოსტსოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ლიტერატურაში კონკურენტუნარიანობის შეფასების ამჟამად არსებულ მეთოდიკათა უმრავლესობა გათვალისწინებულია მთლიანად ქვეყნის მასშტაბზე, ხოლო რეგიონის კონკურენტუნარიანობის კვლევისადმი ორი ძირითადი მიდგომა დომინირებს: 1) რეგიონს განიხილავენ, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედ გარემოს; 2) განიხილება თვით რეგიონის, როგორც კონკურენციის სუბიექტის კონკურენტუნარიანობა.

ამასთანავე, მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის რეგიონების, როგორც ფირმის კონკურენტუნარიანობაზე ზემოქმედი გარემოს განხილვას და ამ მიმართულებით მისი ბუნებრივ-რესურსული, სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პირობების ანალიზს. რიგ შრომებში ასევეა ჩამოყალიბებული რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ცალკეული ასპექტები. ჩვენი შეფასებით, საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ყურადღება უნ-

[17] ჯალაღონია დავით, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქ. მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ა/რ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის – „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა საკითხები – ისტორია და თანამედროვეობა", 2016 წლის 10-12 ივნისის მასალები. გვ. 135-140.

და დაეთმოს რეგიონის რესურსული პოტენციალის, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეგიონის ეკონომიკის განვითარების რაციონალური მიმართულებების განხილვის საკითხებს, როგორიცაა: ა) გლობალიზაციის პროცესის მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზი; ბ) ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრა; გ) რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შეჯერება; დ) კლასტერების კონცენტრაციის თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და რეგიონის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის განსაზღვრა და ე) რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეაფასება და სხვ.

რეგიონული კონკურენტუნარიანობის გამოთვლის მეთოდიკა, რომელიც მიოცავს მაჩვენებლების შერჩევის, მონაცემთა შეგროვების, მონაცემთა შკალირების და კომპლექსური ინდექსის საფუძველზე რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ეტაპებს, უზრუნველყოფს შესაბამისი იმ მონაცემთა ბაზის შექმნას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდება კონკურენტუნარიანობაზე მოქმედი ფაქტორების რაოდენობრივი შეფასება. აგრეთვე იმ მაჩვენებელთა გათვლა, რომელიც არ არის ოფიციალურ სტატისტიკაში.

ამრიგად, საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა ფორმირების პირობებში, ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მის საბაზრო სპეციალიზაციასა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში რაციონალური და დაბალანსებული ეფექტიანი მექანიზმების გამოყენებაზე.

2.2. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდექსები ეკონომიკურ უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის კონტექსტში

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ფორმირებადი გლობალური ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მექანიზმი, რომელიც მსოფლიო დონეზე ეკონომიკური სუბიექტების, ურთიერთობების, ეკონომიკური პროცესების რეგულირების ფორმებისა და მეთოდების განმსაზღვრელ სისტემას წარმოადგენს და ემყარება საერთაშორისოდ აღიარებულ სამართლებრივ ნორმებს, გლობალური ეკონომიკური სისტემის განვითარების მიმართულებებსა და დინამიზმს განსაზღვრავს. გლობალიზაციის არსი უკავშირდება ადამიანების, სახელმწიფოთა ლიდერების, მსხვილი ბიზნესის ხელმძღვანელების, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების, ეროვნული და საერთაშორისო ჩინოვნიკების მოღვაწეობას. გამოყოფენ ასეთი მოღვაწეობის სამ დონეს: გლობალურს, რეგიონულს და ეროვნულს, რომელიც ზემოთ აღნიშნულ დონეებზე თითოეული ქვეყანა წყვეტს ეროვნულ ეკონომიკისა და პოლიტიკური სისტემის გლობალიზაციისა და რეგიონალიზმის მოთხოვნებთან ადაპტაციის თავის სპეციფიკურ ამოცანებს.

ამჟამად, მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესები ახალ შესაძლებლობებს ქმნის ადამიანის მოთხოვნილებების ფორმირებისა და გაჯერებისათვის. იგი საშუალებას იძლევა დაძლეულ იქნეს წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს მოთხოვნილების ხედვის ობიექტურ დონესა და ობიექტურად არსებულ შესაძლებლობას შორის – აამოქმედოს ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკური ინიციატივის შესაბამისი წყაროები. გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, აუცილებელია განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში ინტეგრაციული ფაქტორების გათვალისწინება და ასევე თუ როგორ იქნეს გამოყენებული დასავლეთ ევროპისა და აზიის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან. ზემოთთქმულიდან გამომდინარეობს, რომ **საქართველოს სტრატეგიულ მიზნად** საქართველოს ეკონომიკური, საფინანსო, კომუნიკაციური, კულტურული, ცივი-

ლიზებული მიმართულებებით ევროპული და აზიური რეგიონის დამაკავშირებელ რგოლად გადაქცევა გვეელინება.

შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა-რეალიზება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი რეგიონულ მრავალფეროვნებას, ცალკეული რეგიონების კონკურენტუნარიანობას განსაზღვრა-გამოყენებას ენიჭება და გამოთქვამს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ „ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებას იყენებს ესა თუ ის ქვეყანა ახალ პირობებში რისკის შემცირებისა და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესების შესაბამისად ეროვნული უსაფრთხოების მიზნების განხორციელება".[18]

კონკურენტუნარიანობის **შეფასების მეთოდიკის** ფორმირების აქცენტს მისთვის პროგნოზირებადი ხასიათის მინიჭებაზე ამახვილებენ. ამასთანავე ყველაზე გავრცელებული მიდგომა **ჰ. ამსტრონგის** კონკურენციის კრიტერიუმთა განხილვა საზოგადოების პროგრესის უზრუნველყოფის მიმართულებით, მთლიანად ქვეყნის მასშტაბებით წარმოადგენს. ხოლო რეგიონს, განიხილავენ როგორც ფირმათა კონკურენციის ფორმირებისათვის მნიშვნელოვან გარემოს. კონკურენცია როგორც შიგა, ასევე მსოფლიოს ბაზარზე უბიძგებს ეროვნულ მწარმოებლებს გადავიდნენ, ახალ საწარმოო ტექნოლოგიებზე, გაზარდონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები და ასორტიმენტი, მეტი ყურადღება დაუთმონ მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის დანერგვას და ამით ხელი შეუწყონ ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანობის უფრო მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. ამავე დროს, თავისუფალი ვაჭრობა მომგებიანია მომხმარებლისათვისაც, ვინაიდან მისაღებ ფასებში პროდუქციის უფრო ფართო ასორტიმენტის შეძენის საშუალებას აძლევს მას. შესაბამისად, ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანის გადაწყვეტა საკმაოდ რთულია, მით უფრო თუ გავითვალისწინებს დღეისათვის საქართველოში ჩამოყალიბებულ არასასურველ სოციალურ-ეკონომიკურ და ამასთან, მსოფლიო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებს. მიუხედავად ამისა, ჩვენს ქვეყანას გააჩნია იმის სერიოზული პოტენციალი, როგორიც გეოპოლიტიკური (ვგულისხმობთ საქართველოში ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის ფორმირების წარმატებით გაგრძელებას), ასევე რესურსული (ვგულისხმობთ ინტელექტუალურ, შრომით, ეკონომიკურ და ბუნებრივ რესურსებს) თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და, ამავე დროს, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა.

საქართველოს სინამდვილეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონის რესურსული პოტენციალის, რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების, რეგიონის ეკონომიკის განვითარების რაციონალური მიმართულებების განხილვის საკითხებს, როგორიცაა: ა) გლობალიზაციის პროცესის მიზეზებისა და მამოძრავებელი ძალების ანალიზს; ბ) ტერიტორიულ ერთეულებთან მიმართებაში კონკურენტუნარიანობის არსის განსაზღვრას; გ) რეგიონული კონკურენტუნარიანობის შესწავლის სხვადასხვა მეთოდებისა და მიდგომების შეჯერებას; დ) კლასტერების კონცენტრაციის თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და რეგიონის კონკურენტუნარიანობაში მათი როლის განსაზღვრას და ე) რეგიონის ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე რეგიონების კონკურენტუნარიანობის შეაფასებას.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, რომელიც დიდ ზეგავლენას ახდენს მის საბაზრო სპეციალიზაციასა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ კომპლექსში რაციონალური და დაბალანსებული ეფექტიანი მექანიზმების გამოყენება-დამკვიდრებაზე ქვეყნის ბიზნეს პრაქტიკაში. ამასთანავე, **სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში**, საჭიროა განხორციელდეს

[18] **იხ. ბარათაშვილი ე., ზარანდია ჯ.** საქართველოს რეგიონული ეკონომიკა, თბილისი. 2007., გვ. 41

ეროვნული უსაფრთხოების მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ინსტიტუტების გამოყენებით, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედებით, რომელიც მიმართული უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, საქართველოს კონსტიტუციური წყობის საფუძვლების განსამტკიცებლად, საერთო სახელმწიფოებრივი ფასეულობების და ინტერესების ფორმირების მდგრადი სისტემის შესაქმნელად.

შესაბამისად, გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფოებრივი რეგულირება, შიდა და გარე საშიშროებათა თავიდან აცილება, ან დაძლევა. საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონკრეტული ინსტრუმენტის განსაზღვრისას, გავითვალისწინებელია ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროებანი, მოქმედების ხასიათი და მათი თავიდან აცილების შესაძლებლობანი. ჩვენი აზრით, სახელმწიფომ ქვეყნის უსაფრთხოებისუზრუნველსაყოფად უნდა განახორციელოს შემდეგი ღონისძიებები: 1) შექმნას ინფორმაციული ბაზა ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნითშიგა და გარე საშიშროების გამოვლენა-პროგნოზირების საფუძველზე; 2) ოპერატიული და გრძელვადიანი ზომების შემუშავება შიგა და გარე საშიშროების გამოვლენა-ნეიტრალიზების მიზნით; 3) სახელმწიფო ზომების კომპლექსის რეალიზება.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, მომავალში განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. ამასთანავე, საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფასების კრიტერიუმებისა და მაჩვენებელთა სისტემის გამოყენებით ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შიდა და გარე მუქარების ანალიზისა და მათი ნეგატიური მოქმედების შენელების სტრატეგიული ღონისძიებების პრაქტიკაში დამკვიდრებით შესაძლებელი იქნება რეგიონის სოციალ-ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების გაძლიერება არსებული დისპროპორციების გამოთანაბრებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების პირობებში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკურ განმტკიცებას.

2.3. სამეცნიერო სტატია: პროფ. ზურაბ ლიპარტია; პროფ. როლანდ სარჩიმელია „საქართველოს რეგიონებში ფუნქციონირებადი ფირმების პატრიოტული საფუძვლებით წარმართული კონკურენცია და მისი ინერცია“

პატრიოტიზმი ფირმებს შორის კონკურენციას აძლიერებს და მას კეთილსინდისიერ ენერგიისმატარებლად ხდის, იგი უკეთესი პირობების მოსაპოვებლად განასახიერებს სამართლიან ბრძოლას, წარმართავდა იმ რეგიონიდან დაწყებით, სადაც კონკურენციის განმაპირობებელი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობს და მოღვაწეობს. ყოველივე ეს ძლიერდება თავისი ქვეყნის თავდადებული ადამიანების სასიკეთო ზრუნვით, პროდუქციის წარმოების მიზნით მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემების გათავისებით და გენეტიკურად თაობიდან თაობაზე ინერციით გადამცემი კონკურენციაში ასახული პატრიოტიზმის დამკვიდრებით.

ამგვარი თვალსაზრისის მრავალმხრივობით კეთილსინდისიერ პატრიოტიზმის დამკვიდრებას რეგიონში განვიხილავთ როგორც კონკურენციის შემადგენელ ნაწილს, რომელიც სოციალურ-ეკონომიკურ და ეროვნულ-კულტურულ პირობებს მოიცავს. იგი ჰუმანური ეკონომიკის შემადგენლადაც მოიაზრება და კეთილთვისებიან კონკურენციაში პოულობს საერთოს. რაც ქვეყანაში ვლინდება მისი რეგიონების სხვადასხვა სისტემების გააქტიურებითა და ადამიანების პოტენციალის გაძლიერებით, ამასთან რთულია და განსაკუთრებული სიმძიმის მატარებელიცაა.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკამ, გლობალიზაციასთან შესაბამისობაში ქვეყნებს შორის ამოქმედებული მშვიდობიანი კონკურენციის ანალოგები და წინააღმდეგობები პოლიტიკური საფუძვლების მოწესრიგებით თავისი მიზნების მისაღწევად გააერთიანა. ეს კი მაშინაა სინერგიული დონის შესაძლებლობის მქონე, როდესაც ადამიანები ერთმანეთთან შეთანხმებით საქ-

მიან ურთიერთობას პატრიოტიზმით იწყებენ და კონკურენცია რეგიონებიდან ქვეყანაში ინერციით ვრცელდება, ხოლო საზოგადოდ სხვა ქვეყნებთანაც კეთილმეზობლური ურთიერთობა უმჯობესდება. იგი რეგიონებში, როგორც ქვეყნის ცალკეულ უჯრედებში ქმნის კონკურენტუნარიანობით ბრძოლის სიცოცხლისუნარიან თვისებას, წარმართულს საწარმოთა ასამოქმედებლად და ფუნქციონირების დასამკვიდრებლად, მისი ნაწარმის გასაღების ბაზრის შესაქმნელად და გასაფართოებლად, საბაზრო ეკონომიკაში საპატიო ადგილის მოსაპოვებლად.

მამულის ფანატიკური სიყვარულით განმტკიცებული პატრიოტიზმი რეგიონში მეტწილად კეთილთვისებიანი პოტენციური ენერგიის მატარებელია. რომლის გარდაქმნა მოძრავი სხეულის ენერგიად ამჟამად შესაბამისი ფინანსური ბერკეტების ამოქმედებას მოითხოვს. ეს პირველ რიგში გულისხმობს რეგიონის რესურსებზე ზემოქმედებისათვის წარმართულ ინვესტიციების სახით შემოსულ კაპიტალდაბანდებებს, მიმართულს რეგიონში ცალკეული ობიექტის ასამოქმედებლად, რომლის მხოლოდ რისკის ანაბარა დატოვება სახიფათოა, სხვა დამცავი ღონისძიების გარეშე. ეს ძირითადად ეხება რეგიონში დამკვიდრებული მაცხოვრებელ მოსახლეობის მდიდარი ფენის იმედზე დატოვებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი ამ მდიდარი მაცხოვრებლის საქმიანობა მხოლოდ მომხვეჭელობაა, რომლებისათვის პატრიოტიზმი საეჭვო და გაუგებარია. ყოველივე ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ გასათვალისწინებელია მოსახლეობის სიმდიდრისადმი მფლანგველობითი ხარჯვითი დამოკიდებულებებისადმი მიდრეკილების შემთხვევაც, რომელიც ფეოდალური საქართველოსაგან მემკვიდრეობით „გადმოყოლილი ძველი ავადმყოფობაა". ასევე საშიშია რეგიონის სიმდიდრის მოვლა-პატრონობის პატრიოტული სულისკვეთებით თავდადებული ზემოქმედებების ნაცვლად, მათი სხვისი იმედად დატოვება და დაუცველობა სხვადასხვა ჯურის ნაძირალებისაგან.

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა წინააღმდეგობები მრავალმხრივია, რომლებიც რეგიონის საწარმოთა მიხედვით დაკონკრეტდებიან. ამასთან ერთად აუცილებელია დამაიმედებელი შემთხვევების გამოყოფა და რისკის მომგებიანობის მოშველიება, რათა ეკონომიკური რისკის შიშმა ხელი არ აგვაღებინოს ფირმის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით აუცილებელი გადაწყვეტილების მიღებაზე. აქედან გამომდინარე, არსებითი ხდება ცალკეული რეგიონების მიხედვით დახასიათდეს კონკრეტული შემთხვევების შესაბამისად ფირმის ოპტიმისტური და პესიმისტური პროგნოზები, მათზე როგორც ხელშემწყობი, ასევე ხელშემშლელი ფაქტორების ზეგავლენა, რაც პირველ რიგში ეხება ეკონომიკური რისკის გათვალისწინებას და დაზღვევის მოშველიებას, ბუნებრივი კონკურენციის ფენომენზე დაყრდნობას და ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისადმი პატრიოტიზმის სიკეთის საიმედოდ წარმართვის დეტალიზებას.

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ფირმებში ადგილობრივი რესურსების გამოყენებით წარმოებულ პროდუქტებზე პრესტიჟის შექმნის მიმართ პატრიოტიზმი რეგიონის მოსახლეობისათვის სიკეთის მომტანია. ყოველი რეგიონისათვის დამახასიათებელი შრომითი პროცესების თავისებურება უკავშირდება კონკრეტული პროდუქციის წარმოებასა და მომსახურებას. იგი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შესაბამისად ახლებურად წარიმართება შემოქმედებითი უნარის მქონე გამოცდილი და მაღალ-კვალიფიცირებული ადამიანთა გუნდის ერთობლივი მუშაობისათვის პირობების შექმნით: დასაწყისიდან კონკურენციის გარეშე, ხოლო შემდგომ პატრიოტიზმის გაღვივებითა და დიდი ინტერესით, კონკრეტული შრომისადმი შემოქმედებითი მიდგომით და ა. შ.

უკეთესის შექმნის თვალსაზრისით, ამ საქმეში კონკურენციას ძალა აქვს, განსაკუთრებით, მაშინ თუ კი კონკურენტები ღირსეული და სამართლიანი სუბიექტები აღმოჩნდებიან, ამისათვის გარემო პირობები თავისთავად არ წარმოიქმნება; XX საუკუნის 90-იანი წლების სინამდვილეს პოსტსაბჭოთა საქართველოში უფრო მეტად მათი ხელშემშლელი პირობები იქმნებოდა და აქტიურდებოდა, როგორც მისი წინამორბედი.

მაგალითის სახით შეიძლება დავახასიათოთ შემთხვევა, როდესაც ყოფილმა საბჭოთა კავშირმა, ჯერ აღმავლობიდან, ხოლო შემდგომ ნგრევის ათეული წლების პერიოდი გაიარა. იგი მიმდინარეობდა ქვეყანაში „ქურდული ფსიქოლოგიის" შემდგომი ფორმირებითა და მომხვეჭელობის მცდელობების გაძლიერებით. ამან შექმნა კეთილსინდისიერი შრომისადმი მოსახლეობის გაუცხოების და პატრიოტიზმის დათრგუნვის პირობები. ხოლო პატრიოტიზმის გარეშე კონკურენციას სასიკეთოდ წარმართველი ძალა არ გააჩნია. ამისათვის საჭიროა დამკვიდრდეს რეგიონში ეკონომიკური სისტემა კარგად დამუხტული, შრომისადმი შემოქმედებითი მიდგომით

და წარმოების სამეურნეო პირობებისათვის ხელსაყრელი ენერგიის შექმნით. ამაში მას შორიდან ცენტრი უწყობს ხელს. მაშინ ფინანსური ბერკეტების მოზომილი ამოქმედებით აქვე შეიქმნება ფირმების ფორმირებისა და განვითარების პირობები.

ყოველივე ამას, თავის მხრივ, სჭირდება ლიდერთან ერთად თავიდანვე მძიმე პირობების ამტანი შრომითი კოლექტივი, განსაკუთრებით პოსტსაბჭოთა საქართველოს გარემო პირობებში. ამას მაღალი ხელფასები ვერ შექმნის, თუმცა დროებით მშრომელთა ყოფით პირობებს აუმჯობესებს და რომლის იმედი მოსახლეობის მდიდარ საზოგადოებას შეცდომით აქვს. ჰატრიოტიზმის გარეშე გაძლიერებული კონკურენტუნარიანობის წარმომქმნელი კონკურენცია მას ძვირი დაუჯდება, იმაზე მეტიც კი, ვიდრე იგი მას მოგებას მოუტანს, ხოლო ასეთ ზარალზე მდიდარი საზოგადოება არ წავა. საერთო საქმისათვის თავდადებული ფანატიკოსი ლიდერი პატრიოტიზმის გაღვივებით რეგიონის მოსახლეობაში შესძლებს ორგანიზებას ისე, რომ ქვეყანა გაიყვანოს განვითარების მაგისტრალურ გზაზე, რომელშიაც ბუნებრივად საბაზრო ეკონომიკაში ჩაირთვება ან აისახება უცხოეთის გამოცდილება.

კიბერნეტიკის თვალსაზრისით ეკონომიკურ სისტემაში ჯერ არამდგრადი მდგომარეობა იქმნება ისე, რომ იგი მისი უკეთეს მდგომარეობაზე გადაყვანის საფუძველი გახდეს, რათა ნაკლები ენერგიის დაკარგვით შეიქმნას ძველი სტრუქტურის ნგრევის პირობები. ხოლო თუ კი შესაბამისი გარემო კარგადაა ორგანიზებული, მოსალოდნელია ახალ, უკეთეს სისტემაში კატასტროფის გარეშე გადასვლა, რომლის საფუძველი იქნება შემართული პატრიოტიზმი და სამართლიანობის ფარგლებში ამოქმედებული კონკურენცია, უკეთეს შემთხვევაში, პატრიოტიზმით გამაგრებული კონკურენცია შესაბამისი დარგის მენეჯერების მოღვაწეობით გაძლიერებული და ლიდერის მიერ განვითარების მაგისტრალურ გზაზე გადაყვანითა და კონტროლით.

ყოველივე ამას ეკონომიკური თავისუფლება და მისი პოლიტიკისაგან შორს დგომა სჭირდება. რადგან მასში არ ჩაირთოს მთავრობის ძალისმიერი წინააღმდეგობები. იგი არ უნდა მოიცავდეს ქვეყნის გლობალურ სისტემაზე უშუალო ზემოქმედებას და მხოლოდ ეხება ქვეყნის შიგნით როგორც სისტემის ცალკეულ სტრუქტურების ცვლილებებზე გავლენას. მაგალითად, მიგვაჩნია, რომ მცირე მეწარმეობის გაძლიერების პირობების შექმნას პოსტსაბჭოთა საქართველოს ამჟამინდელი სინამდვილეში თავისთავად და თვითდინებით სახელმწიფოს მხრივ მცირე დახმარებითა და მოსახლეობაში პატრიოტიზმის გაღვივების გარეშე შეუძლებელია. ასეთ პროცესში ადამიანთა იმედისა და უიმედობის შემთხვევების გამოვლინება ადამიანთა საზოგადოების შემოქმედების შედეგია და მას ახლავს მცირედი გადახრები, ისიც იმ შეცდომების გამო, რომლებიც ადამიანების ერთმანეთთან შეუთანხმებლობით წარმოიშობიან.

საერთოდ მომავლის განჭვრეტა შესაძლებელია და შესაბამისი პროგნოზები გენეტიკური ხასიათისაა, რომელიც კანონზომიერებაში გარკვევით ისევ ადამიანების მიერ ზუსტდება და პროგნოზირებით დაიძლევა. მაშინ იქმნება შესაძლებლობა ვიმსჯელოთ მომავალზე. ხოლო თუ კი ადამიანთა საზოგადოებას არ ყოფნის ძალა თვითორგანიზებაში შემოქმედების გასააღრმავებლად და იგი ქაოსურ მდგომარეობაშია, მაშინ მისგან კეთილი შედეგი შეიძლება არ იქნეს მიღებული და ესეც ამ მხრივ პროგნოზია, თუმცა მასში კეთილი გამოსავალი შეიძლება არ ჩანდეს.

ყველაფერი, მათ შორის ეკონომიკური პროგნოზების ოპტიმიზმი ადამიანთა სოციალური ენერგიის ოპტიმალურ გამოყენებაზეა დამოკიდებული. მომავლის იმედსა და შესაძლოა ნაწილობრივ რისკის დონეზე უიმედობას, ადამიანები წარსულის გამოცდილების საფუძველზე აწმყოს ანალიზის საფუძველზე გონების თვალით პერსპექტივას ქმნიან და კეთილდღეობისაკენ წარმართავენ. ყოველი ადამიანის, მათი ჯგუფის, ოჯახის, საზოგადოების, რეგიონის, სახელმწიფოს მომავალი გარემოს ცვლილებების დინამიკისა და მისგან ჩაურევლად თავისთავად არ ფორმირდება. ასე მაგალითად, როდესაც ადამიანები ქალაქს აშენებენ, მდინარეზე ხიდი გაყავთ, სახელმწიფოს აძლიერებენ. მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი მომავალი განუსაზღვრელია, ადამიანები მიზანდასახული, ძლიერი შემოქმედებით მომავალს მთლიანობაში გლობალური მასშტაბით განსაზღვრულად მომგებიანს ხდიან, ამაშია ადამიანების ერთიანობაში წარმოშობილი და თვითორგანიზებით გაძლიერებული სოციალური ენერგიის სინერგიული დონე სოციალური ენერგიის სახით, რომელიც წარსულიდან იღებს სათავეს, აწმყოში იხვეწება და მომავალში რეალურად ელინდება, კონკრეტიზირდება და სიცოცხლის უნარიანობას ამჟღავნებს.

განვითარების მიღწეული დონის შენახვის კანონთან ერთად სოციოგენეტიკურიკანონის გამოყენებას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ საერთოდ ქვეყნის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკის და სოციალური სფეროს აღორძინებისათვის.

კაპიტალის საწარმოო ნივთობრივი მარაგის დაგროვება, ბუნების ენერგიის ადამიანის ძალისხმევით რაციონალური გამოყენების შედეგად, როგორიცაა მიწის წიაღისეულის, ჰიდრო, წყლის რესურსების მარაგების ათვისება და ა. შ. [გ. მალაშხია. საქართველოს ეკონომიკა, საუკუნოვანი პანორამის შტრიხები. თბილისი 2002გვ. 195-200]. და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორები ქვეყნის განვითარებისათვის კოლოსალურშესაძლებლობას მოგვცემდა, რომ არა რიგი უარყოფითი გამოვლინებები, ფაქტორები, მათ შორისაა ისიც, რომ აქტიური შრომის უნარის მქონე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უცხოეთში სამუშაოს საძებნელად არის გადახვეწილი.

ჩვენი აზრით, არ იქნება სამართლიანი ის, რომ საქართველოს ეკონომიკა შეფასდეს მხოლოდ მისი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, ერის ინტელექტის, დაგროვილი მატერიალური სიმდიდრის, თავისი რეგიონების და ბარის სიგრძე-სიგანის, ბუნებრივი სიმდიდრის, სიუხვის მიხედვით. იგი თავისი ყველა მონაცემებით და ამასთან მისწრაფებებით დიდი ქვეყნებისაკენ იხრება. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ფასეულობის შემქნელი პოტენციალის, სოციუმში მოძრაობის ზოგადი ზომის გამომსახველი კატეგორია, როგორიცაა სოციალური ენერგია. მასში მთავარია ენერგიის წყარო ადამიანის პოტენციალი, როგორც ამოსავალი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ამ ენერგიის ყველა წყაროს ამოქმედების მასშტაბებს, სადაც იგი წარმოგვიდგება ისტორიული განვითარების ნაყოფად. ადამიანისვე მეცადინეობის, გამოცდილების, წრთვნა-დაოსტატების პროდუქტად. ამაში მთავარია სოციალური ენერგიის ეკონომიკური ბუნება ადამიანთა შორის ურთიერთობის მიმართულებით, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ადამიანთა დოველათშემქმნელი პოტენციალის ფორმირებასა და ზრდაში. ამათში თავისი განსაკუთრებულობით გამოვყოფთ ადამიანის გამომგონებლური, ნოვატორული, ახალი აზრის, იდეების და ა. შ. შემოქმედი ელიტის და მეცნიერთა მოღვაწეობის შედეგებს თავისი უზარმაზარი ბიძგით საზოგადოების ცხოვრებაზე გამოხატულს თაობების მიერ დაგროვებულ ცოდნის მარაგში და ცხოვრების კვლავწარმოების საშუალებებში.

პოსტსაბჭოთა საქართველოს XX საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრის სინამდვილის შესაბამისად, ნააზრევის მიხედვით გამოქვეყნებულ სტატიაში იყო ხაზგასმა შემდეგ გამონათქვამზე „სოფელს ხელს ნუ შეუშლი, შეუქმენი მას თვითგანვითარებისათვის გარემო პირობები" [რ. სარჩიმელია, კ. ხარებავა ეკონომიკურად რომ არ დავძაბუნდეთ. ჟურნალი, მაკრომიკროეკონომიკა. თებერვალი 1999. გვ. 29-31]. ასეთ გაფრთხილებას იმ დროის საქართველოსათვის აზრი ქონდა იმის გამო, რომ მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ქვეყანაში ბოლომდე დათრგუნული პატრიოტიზმის იდეები და მასთან დაკავშირებით კონკურენციის შესაძლებლობები. მაგრამ მას მაშინაც აგრესიულობის გავლენა აჩნდა, რაც შემდგომ გამოვლინდა უსისტემო პრივატიზებაში. ამაში კი თავი იჩინეს სიმდიდრის ხარჯვისადმი მფლანგველობითმა დამოკიდებულებამ, მომჭირნეობის უგულებელყოფამ და მისი გადატანის მცდელობამ მოსახლეობის საშუალო და ღარიბ ფენებში, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ისედაც მომჭირნეობით ცხოვრობენ.

მიგვაჩნია, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოს ამჟამინდელ სინამდვილეში რეგიონის განვითარებაზე ყურადღების გაძლიერების დაგვიანების მიუხედავად, მაინც მნიშვნელოვანია და ამდენად საიმედო გახდება პატრიოტიზმით განმტკიცებული კონკურენცია, რომელიც პროდუქტების კონკურენტუნარიანობას გააძლიერებს და აისახება მცირე მეწარმეობის განვითარებაში, ყოველივე ეს საფუძვლიან მზრუნველობას მოითხოვს, მანამ სანამ ახალი თაობებისათვის არ დაგეჭირვებია თავიდან იმის სწავლება, თუ რა არის ქვეყნის პატრიოტიზმი და სამშობლოს სიყვარული.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სინამდვილის XX საუკუნის 60-იანი წლების უბადრუკი მთავრობის პოლიტიკის ზეგავლენით საქართველოში გაძლიერდა ნეკროეკონომიკის წარმოშობის მიზეზების მოქმედება, როგორც ცუდად განვითარებული ეკონომიკის შედეგი, რომლისაგან თავის დახსნა ქვეყნისათვის მხოლოდ პატრიოტული სულისკვეთებით აღჭურვილ და მისთვის თავდადებულ მოსახლეობას შეუძლია.

ყოველივე ამის გამოვლინებით და შემდგომი გაძლიერების გზაზე, მეოცე საუკუნეში იდგა აფხაზეთი, თავისი ბუნებრივი სიმდიდრითა და ინფრასტრუქტურით. მოსახლეობის პატრიოტული შემართებით ცენტრთან კავშირში და ა. შ. რომ არა ყოფილი საბჭოთა კავშირის გაძლიერებული აგრესიული გენერალიტეტის „დეგენერატიული შემოქმედება". ეს იყო ის, რომ ამ სამხედროებს აღმოსავლეთ ევროპიდან (გერმანია, პოლონეთი...), გადმოენაცვლათ, აფხაზეთის

*დაპყრობა და სამართლიანობის ანგარიშის გაუწევლობა რომ არა, აფხაზეთი ამჟამადაც დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენელი და აჭარასთან ერთად მისი ერთ-ერთი მშობლიური მზრუნველობაში მოქცეული ეკონომიკურად აყვავებულ **ავტონომიად** დარჩებოდა. მიგვაჩნია, რომ ფირმებისათვის კონკურენციის პირობების შექმნა საქართველოში და მათ შორის აფხაზეთში აუცილებელია და აღსადგენია ამ მხრივ **მკვიდრი მოსახლეობის პატრიოტული შემართება** და მისი შემდგომი ეკონომიკური განვითარებისაკენ სწრაფვა საქართველოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ, მათთან ერთად აფხაზეთში ცხოვრების პირობების ამაღლებით და **აფხაზეთიდან ძალაუნებურად გადაადგილებულთა აფხაზეთში დაბრუნებით აფხაზეთის დაპყრობა**. ამასთანავე, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და განმტკიცებასთან ერთად, აუცილებელია ქვეყნის ეროვნული იდეოლოგიის, პატრიოტიზმის, მამულიშვილობის, კუთხის სიყვარულის დამკვიდრება. [იხ. ზ. ლიპარტია – **„აფხაზეთში დაბრუნება და აღმშენებლობის კონცეფცია“**. პირველი საერო უმაღლეს სასწავლებელთა კონფერენციის მასალები, „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, **„დიოსკურია“** №17, 2004].*

*ამ ეტაპზე ერთ-ერთ გამართულ ნაბიჯად მიგვაჩნია აფხაზეთის ადგილ-გადაადგილებულთა (ლტოლვილთა) თავმოყრა დროებითი დამკვიდრებით საქართველოს სხვა ტერიტორიაზე, როგორიცაა მაგალითად სამეგრელო და ზემო სვანეთის მხარე მისი ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერებით იმ დონეზე, რომ **აშკარად შესამჩნევი და სანატრელი გახდეს მეზობელი აფხაზებისათვის** ეკონომიკურად ძლიერ საქართველოში ცხოვრება. სამეგრელომ და ზემო სვანეთმა თავის თავზე საბოლოოდ უნდა იტვირთოს აფხაზეთიდან ლტოლვილების დაბრუნებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონე¬ბის დახმარებითა და თანამონაწილეობით.*

*როგორც ცნობილია, შვედეთში მიიჩნევენ, რომ ქვეყანაში ფართო მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის უწყვეტი ზრდა შესაძლებელია კონკურენტუნარიანი და დინამიურად განვითარებადი ეკონომიკის პირობებში. ამის ერთ-ერთი გამაძლიერებელი ფაქტორი არის ის, რომ **შვედური მოდელი** უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის მაღალ დონეს და პირადი შემოსავლების ნაკლებ დიფერენციაციას. იგი გამორიცხავს მასიურ სიღარიბესა და მასიურ უმუშევრობას, ხოლო ის, რაც ჩვენი თვალსაზრისით და წინამდებარე სტატიის მიხედვით არსებითია, გამოხატავს მოსახლეობის ფართო ფენების ერთგულებას სოციალური სამართლიანობისა და სოლიდარობის იდეალებისადმი [**ვ. სანთელაძე**. საბაზრო ეკონომიკის მოდელები. თბილისი, 1993. გვ. 30-34. გვ. 30]. მათი პატრიოტიზმი ყოველგვარი სიკეთისადმი მაღალია (თვით სიკეთის ჰუმანური გაგებით) ამიტომ გასაკვირი არ არის ის, რომ იმ სოციალურ პრობლემებს შორის, რომელთა გადაწყვეტას ემსახურება საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შვედური მოდელი, ძირითადად იყოს ჩათვლილი თანასწორობის პრინციპების შემოქმედებითად გატარება, როგორიცაა, კეთილდღეობის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის პირობების შექმნა საზოგადოების ყველა წევრისათვის; სოციალური გარანტიების საიმედო სისტემის შექმნა ადამიანებისათვის; მათ შორის შრომისუნარიანი მოსახლეობის სრული დასაქმება.*

გარდა ამისა, გვმართებს დაფიქრება რეგიონების კეთილმოწყობაზე თუ როგორი მოდელი შეიძლება იყოს მათთვის მისაღები. ამასთან დაკავშირებით გამოვყოფთ სკანდინავიის ქვეყნების სამაგალითო გამოცდილებას. შვედური მოდელის დედააზრი, დინამიკური ბაზრის ორგანული შერწყმაა სოციალური მიზნების მიღწევასთან: წარმოდგენილი სოციალური უზრუნველყოფის განვითარებული სისტემით, მოსახლეობის მომსახურებისა და ფულადი დახმარების მრავალფეროვანი ფორმებით, ფასების ინდექსების დროდადრო გადასინჯვით და ა. შ. მაგრამ ჩვენი აზრით არსებითია ისიც, რომ კარგად გააზრებული სოციალურად სამართლიანი განაწილებისა და გადანაწილების პოლიტიკა არაა საკმარისი ფართო მასების მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად, თუ კი საზოგადოებაში არ წარმოიქმნება თვითგანვითარების ავტომატურად ფუნქციონირებადი პირობები. ეს თავის მხრივ ემყარება, მაგალითად როგორც შვედეთშია, „სოციალური მომსახურების“ სფეროს, რომელსაც საზოგადოებრივი სექტორი განაგებს, და მას არაფერი აქვს საერთო რესურსების ადმინისტრაციულ საკომანდო განაწილებასთან.

ის, რაც საბჭოთა კავშირის „უკიდეგანო ეკონომიკური სისტემის“ ნგრევას მოყვა, მომავლის გამოცდილების სახით უნდა გამოვიყენოთ. ამ მიმართულებით პოსტსაბჭოთა საქართველოში

აშკარა ნეგატიური რეალობის შესაბამის შეუფასებლობას კომუნისტურ იდეებთან მათი მისადაგებით, ხოლო ზომაზე მეტად ძაგებითა და უმისამართო შეფასებებით, შეიძლება მოყვეს უარესი შედეგები ქვეყნისათვის ვიდრე იმასთან შედარებით, რაშიაც ამჟამად ვიმყოფებით. ამიტომ ასეთი და მსგავსი საშიშროების რეგიონის ეკონომიკაში თავიდანვე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რაც ოპტიმისტურ ვარიანტებთან ერთად წესულებრივად ეკონომიკური რისკის პესიმისტური ვარიანტების ჩართვით იქნება განხორციელებული.

საგულისხმოა, ასევე სახელმწიფოში რეგიონების ეკონომიკური გამოთანაბრების იდეის მიმზიდველობა დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარების სრულყოფაში. გასათვალისწინებელია სინამდვილეში ჩვენი შეხედულება იმაზე, რომ მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ჭკვიანი და აქტიურად მშრომელი ადამიანი არ შეიძლება იყოს ღარიბი, ხოლო პოსტსაბჭოთა საქართველოში თუ კი ადამიანი მდიდარია, მაშინ საეჭვოა ამ ადამიანის კეთილსინდისიერება. ასეთი თვალსაზრისი ყალიბდება იმ გარემოს ზეგავლენით, რომელიც „მბრძანებლური ეკონომიკის" ნგრევიდან პოსტსაბჭოთა საქართველოში საბაზრო ეკონომიკაზე მოუმზადებელი გადასვლით კორუფციის პირობებში განაპირობა. მაშინ კეთილსვისებიან კონკურენციას არ გააჩნდა სათანადო პირობები, რომ პატრიოტიზმით წარმართულიყო ფირმებს შორის კონკურენცია და ამიტომ თითქმის გამოუსადეგარი იყო ქვეყნის არამდგრად მდგომარეობაში ყოფნას დროული ანალიზი სჭირდება, რადგან მისგან ცუდი შედეგებია მოსალოდნელი, თუმცა მდგრადი მდგომარეობა შეიძლება საშიშიც იყოს მასზე დიდი ძალის მოქმედებისას.

კეთილსინდისიერი ურთიერთგავლენის ძლიერებისადმი გონიერი ადამიანებისა და მათი უმრავლესობით ფორმირებულ სახელმწიფოებს მსოფლიო განვითარებისაკენ მიჰყავს, რაც ნიშნავს გონიერი და კეთილსინდისიერი მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ურთიერთგაგებით გამოწვეულ ერთსულოვნებას, პირადი გამორჩენის წინ საზოგადოების კეთილდღეობის დაყენებას, ზრუნვას ამ მხრივ წარმატებების მისაღწევად გლობალიზაციის სიკეთეში გამოვლინებით, პატრიოტიზმი ასახული თვითორგანიზმის კონკურენტუნარიანობაში და ა. შ.

კაპიტალიზმის მთავარი ნაკლია სიკეთის უთანაბრო განაწილება. სოციალიზმის მთავარი უპირატესობა გაჭირვების თანაბარი განაწილებაა – ***უინსტონ ჩერჩილის*** ასეთ გონივრულ აზრს დასკვნების სახით სხვადასხვა გაგრძელებას დავუმატებთ:

1. სოციალიზმის მიზანია კეთილსინდისიერი შრომის საფუძველზე განხორციელებული შედეგების მოღება, სიმდიდრის თანაბარი განაწილების აფიშირება და მისი საჭვენებელი რეალიზება მოსახლეობაში ცალკეულ გაჭირვებულ ადამიანებს შორის, რომლის განზოგადება საზოგადოებაში მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით შეიძლება, თუმცა მაინც სასარგებლოა, რადგან ადამიანებს სიკეთის ჭეშმარიტების იმედს აძლევს.

2. კაპიტალიზმის დროს მოსახლეობაში სიმდიდრის უთანაბრო განაწილება კონკურენციული ბრძოლის შედეგია და იგი ამ მხრივ სტიმულირების მამოძრავებელია, ამიტომ არის იგი ძლიერი და მიმზიდველიც. მათი გავლენით ადამიანები „თითქმის შეუძლებელსაც კი აღწევენ". ამიტომ არის კაპიტალიზმი როგორც ძლიერი და იმავდროულად სხვადასხვა ჭრილით სუსტიც კი, კერძოდ:

2. 1. ძლიერი იმიტომ, რომ კაპიტალდაბანდებას სინერგიული ძალა აქვს და კოლოსალური ენერგიის მიცემა შეუძლია ადამიანების გააქტიურებით, შრომის დაფასებით, თვითორგანიზების მაღალი დონით, სტიმულირების ახალი შესაძლებლობის წარმოშობითა და გაღრმავებით.

2.2. „სუსტია კაპიტალიზმი" იმიტომ, რომ იგი შეიცავს ცხოვრებისეულ პირობებიდან ვულგარულ ნაწილსაც, როდესაც ადამიანთა გამდიდრებას სხვების გაღარიბება მოსდევს. რაც ქმნის არამდგრად ეკონომიკას და მოსალოდნელია მისი გამოსწორება. გონიერ ადამიანთა საზოგადოების ძალისხმევით კაპიტალიზმის გაკეთილშობილება მისი დაყენებით სოციალური განვითარების გზაზე შესაძლებელია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ იგი სახიფათოა კატასტროფის გამოწვევის მოსალოდნელობით. რადგან გონივრული საზოგადოება, მიუხედავად მაღალი თვითორგანიზებულობისა, ადამიანთა თაობების ცვლილებისას ვერ ითვალისწინებს იმასაც, რომ „სუსტი ადგილები" გამოავლენს მომხვეჭველობის შემთხვევებსაც კი და ა. შ.

3. კაპიტალიზმი საზოგადოების ყოფის სხვადასხვა ვარიანტებს მოიცავს, მათ შორისაა სოციალიზმი. თუმცა იგი კაპიტალიზმის უკიდურესი ფორმაა. სოციალიზმის განმახორციელებელი ძალები დიდი კაპიტალის მქონე ძლიერი ადამიანებისაგან შედგებიან, სხვანაირად ისინი სოციალიზმს ვერ გაუწევენ საქმიან დახმარებასა და „პროპაგანდას" იმისათვის, რომ მოიმხრონ

და გააბრიყვონ ადამიანთა ფართო ფენები. ხოლო თუ კი სოციალიზმის ორგანიზატორები ფანატიკოსებად დარჩებიან, მაშინ მათგან შემდგარი სისტემა დიდხანს ვერ იარსებებს. ხოლო თუ კი ღრმად ჩავაკვირდებით სოციალიზმს, რომელიც რეალურად გაძლიერდა, მაშინ აღმოჩნდება, რომ სახეზეა სახელმწიფო კაპიტალიზში ვულგარული ფორმითა და გაბრუებული მოსახლეობით.

4. ადამიანთა თაობების მიმდინარე ცვლილებებისას ცივილიზაციის შესაბამისად ეკონომიკის შესაძლებლობები ფართოვდება და სათუთი მოსავლელი ხდება, წინააღმდეგობები წარმოიშობა და ღრმავდება, რომლებიც შეიძლება გახდნენ კატასტროფის მიზეზიც, რომლის რეალობას ამჟამინდელი მსოფლიო უახლოვდება. ამიტომ დედამიწაზე საჭიროა ერთმანეთთან მშვიდობიან მეტოქეობაში მყოფი სოციალისტური ეკონომიკა, კაპიტალიზმის ძლიერი ძალები სოციალური გამოთანაბრების პრინციპებითა და შემოქმედებაში გადაზრდილი სტიმულირების დოზით.

5. როდესაც ქვეყანაში დიდი მასშტაბებით ეკონომიკური უთანასწორობაა, ხოლო თავისუფლება თვითდინებაზეა მიშვებული, მაშინ თავს იჩენს ეკონომიკური თავისუფლების შეზღუდვით გამოწვეული მოუწესრიგებლობა და ადვილი მოსალოდნელია არეულობაც, რომლის საფუძველია ბიუროკრატთა ზედა ფენებში აგორებული ინტრიგის ტალღა, რომელსაც პოლიტიკურთან ერთად ეკონომიკური შინაარსი თუ მიეცემა, მაშინ „ცალტვინა აგრესორების“ (ნორმალური ადამიანი თავის სამშობლოს დასაქცევად არ გაიმეტებს) შემოქმედებითი აღმავლობის დროს დგება და არამდგრად ქვეყანაში არეულობის ფეთქებადი სიტუაცია ყალიბდება. ამას გაბრიყვებული ფანატიკოსები ქვეყანას რევოლუციისაკენ წარმართავდნენ და ხელოვნურად ამძიმებდნენ მის მდგომარეობას, ხოლო ნაძირალები ძველის ნგრევით, ისეთ ახალ სისტემებს აყალიბებდნენ, რომლებიც მათ პირად კეთილდღეობას განაპირობებდა [რ. სარჩიმელია, მ. ქებურია თავისუფლების რთული ხასიათი სოფლად მოსახლეობის გაღარიბების პირობებში. სამეცნიერო შრომათა კრებული. ტ. XXX თბილისი 2005. გვ. 237-241 გვ. 239]. ეს წარსულში იყო, ამჟამად მდგომარეობა უფრო ნათელია და სწორდება. იმდენად, რომ ქვეყნის დაქცევაში ხელმოცარული ნაძირლების ამოცნობა შესაძლებელი ხდება კანონდარღვევისა და ჩადენილი ბოროტების გამო ისინი ისჯებიან პირველ რიგში საკუთარი უსინდისობით, მათ მიმართ მოსახლეობის უნდობლობით, სიძულვილით. ყოველივე ამის წარმართველი და კეთილსინდისიერების ფარგლებში მომყვანია პოლიტიკური ხასიათის კონკურენცია, რომლის ინერცია ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს.

თავი 3.

ფინანსური მენეჯმენტის სისტემის ადგილი და როლი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის მართვაში

3.1. ფინანსური მენეჯმენტის თეორიულ-კონცეფციური და მეთოდოლოგიური ასპექტები

ფინანსური მენეჯმენტის განვითარება ეკონომიკაში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ფინანსების როლის კოლოსალურ გაძლიერებას, ფინანსური ურთიერთობების მასშტაბების ზრდას და გლობალიზაციას უკავშირდება.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფინანსისტის **რევაზ კაკულიას** შეფასებით – „წარმოიშვა ეკონომიკის ვირტუალური სტრუქტურირები: მატერიალური ფასეულობათა შექმნილი რეალური ეკონომიკიდან ალმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქცემდებარებს პირველს თავისი შემოსავლებით და ისეთ დონემდე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე დიდი როლი დაეკისრა. მსოფლიოში ჩამოყალიბდა ახალი გაბატონებული ეკონომიკური სისტემა-ფინანსური ეკონომიკა, რომელ მოვლენას თან ახლავს **ფინანსური რევოლუცია**. ეს გადატრიალება სინამდვილეში უკვე განხორციელდა. ეკონომიკა სულ სხვა გახდა და მასში მთავარ როლს ასრულებს არა კაპიტალი, როგორც ასეთი, არამედ **ფინანსური კაპიტალი**. ეკონომიკის ნაცვლად, საქმე გვაქვს **ფინანსურ ეკონომიკასთან**". ამის დასტურად ავტორი მიუთითებს, რომ კორპორაციების ფინანსების ნებისმიერ უცხოურ სახელმძღვანელოში პირველი თუ არა მეორე თავი უკვე ეძღვნება არა კორპორაციის ძირითად, საოპერაციო საქმიანობას, მის დანახარჯებს და მოგებას ან მასთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ოპერაციებს, არამედ **ფასიან ქაღალდებს** და კორპორაციის მუშაობას საფონდო ბირჟაზე–ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირებას, პორტფელის შემოსავლიანობის დადგენას, ფასიანი ქაღალდების კურსის პროგნოზირებას და მრავალ სხვას... „ეს ყველაფერი იმიტომ აღვნიშნეთ, რომ განვითარების ამ ეტაპზე როგორც მთლიანად ქვეყნების, ისე კომპანიების დონეზე კაპიტალს თანდათან ენაცვლება ფინანსური კაპიტალი, ფინანსური აქტივები. ეს პროცესი თანდათან ღრმავდება და უფრო მასშტაბური ხდება, რაც განაპირობებს კიდეც **ფინანსური მენეჯმენტის პერსპექტიულობას**" (იხ. წყარო ზემოთ მითითებული **N6 კაკულია რ.** ფინანსური ეკონომიკა-თბილისი, 2007. – გვ 132-133.)

თვალსაჩინო ქართველი მეცნიერი, ტექნიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საბანკო და საფინანსო სფეროების ცნობილი მკლევარი, აკადემიკოსი, ბატონი გიორგი ცაავა მონოგრაფიაში – „საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი"[19] გვთავაზობს – საქართველოში გეგმიანი მეურნეობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებულ საბანკო მენეჯმენტის პრობლემებისა და სრულყოფის გზების თეორიულ-მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ საკითხებს. გამოკვეთილი აქვს: კომერციული ბანკების როლი და ადგილი გარდამავალი ეკონომიკის პირობებში; საბანკო რესურსების ფორმირებისა მართვის სტრატეგიის დამუშავების პრობლემები; საბანკო-საკრედიტო სექტორის საინვესტიციო ფუნქცია და პოლიტიკა; ბანკის საქმიანობის ეფექტურობის შეფასების მეთოდოლოგია; ბანკების ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის პრობლემები; ეკონომიკური გარდაქმნების აუცილებლობის დასაბუთება და სხვ. **ფინანსური მენეჯმენტის საკვანძო საკითხებიდან** განხილული აქვს: ფინანსური მათემატიკა; ფინანსური ანალიზის რაოდენობრივი მეთოდები; ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგია და ტაქტიკა; ფინანსური მენეჯმენტი ინფლაციის პირობებში და ა. შ.

თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის **ახალი პარადიგმის** (რომელიც კორპორაციული ფასეულობის მოდელირების, კერძოდ, მოდელების: დამატებული აქციონერული ფასეულობის, დამატებული საბაზრო ფასეულობაზე, დამატებული ეკონომიკური ფასეულობა, ფულადი ნაკადი ინვესტიციების ერთეულზე, საფუძველზე განისაზღვრება) მთავარი **მიზანია**-ფასეულობის ნაზარდის მაქსიმილიზაცია (**აქციონერებისათვის ფასეულობის ნაზარდზე** ორიენტაცია,

[19] გიორგი ცაავა. საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი. მონოგრაფია: ორ ტომად. თბილისი. „სს პირველი სტამბა". 2002. (ტომი 2. -129 გვ.).

ბუნებრივია, **ფინანსისტებისაგან** აქციონერების მიერ მათი კაპიტალის ღირებულებაზე მეტი შემოსაელიანობის მიღებისათვის მიმართულ შესაბამის ქმედებებს მოითხოვს.

ამრიგად, ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე სისტემა ასახავს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური საქმიანობის მართვის მექანიზმის უმჭიდროვეს კავშირს ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისა და ინსტრუმენტების მექანიზმებთან, რომელიც მოიცავს ამერიკულ, ევროპულ და სხვა ეროვნულ სკოლათა თეორიული მიდგომების თავისებურებებს.

კვლევები უჩვენებს, რომ თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის სისტემის ფორმირება ძირითადად დაფუძნებულია თეორიულ, კონცეფციებისა და მოდელების სისტემას, რომელებიც პირობითად შეიძლება დაიყოს **შემდეგ ჯგუფებად:**

1) კონცეფციები და მოდელები, რომლებიც განსაზღვრავენ საწარმოს (კორპორაციის) ფინანსური საქმიანობის მიზანსა და ძირითად პარამეტრებს და შესაბამისად, მათ მართვასაც;

2) კონცეფციები და მოდელები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ საბაზრო შეფასებას მათი შერჩევის პროცესში;

3) კონცეფციები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან და საბაზრო ფასების ფორმირებასთან.

ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფებში მოცემული თეორიული კონცეფციებისა და მოდელების **მოკლე შინაარსი** ქვემოთ არის შემოთავაზებული.

ჯგუფი პირველი. თეორიული კონცეფციებისა და მოდელების სისტემაში, რომლებიც განსაზღვრავენ კორპორაციის საწარმოს ფინანსური საქმიანობის მიზნებსა და ძირითად პარამეტრებს, შედარებით მნიშვნელოვანია შემდეგი:

1. მესაკუთრეთა ეკონომიკური ინვესტირების პრიორიტეტის კონცეფცია. პირველად იგი წამოაყენა ამერიკელმა ეკონომისტმა ჰერბერტ საიმონმა (Harbert Simon). მან შეიმუშავა კომერციულ ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების თეორია, რომლებიც ცნობილია„შეზღუდული რაციონალურობის თეორიის" სახელწოდებით. ამ თეორიამ უარყო კლასიკური და ნეოკლასიკური წარმოდგენები ფირმაზე, როგორც ორგანიზაციაზე, რომელიც გამიზნულია მაქსიმალურ სარგებლიანობაზე და მოგებაზე. მან ჩამოაყალიბა ფირმის ეკონომიკური ქცევის ალტერნატიული მიზნობრივი კონცეფცია, რომელიც მდგომარეობს მესაკუთრეთა ინტერესების დაკმაყოფილების პრიორიტეტულობის აუცილებლობაში. ეს თეორიული კონცეფცია გაზიარებული იქნა ფინანსური მეცნიერების წარმომადგენელთა მიერ და თანდათან ტრანსფორმირდებოდა ფინანსურ მენეჯმენტში. საწარმოს მესაკუთრეთა კეთილდღეობის მაქსიმიზაციაში იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც „საწარმოს საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაცია". 1978 წელს **გ. საიმონს** მიენიჭა **ნობელის პრემია ეკონომიკის დარგში.**

2. თანამედროვე პორტფელური თეორია. მისი ფუძემდებელია ჰარი მარკოვეცი (HHarry Markovitz), რომელმაც აღნიშნული კონცეფციის ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა 1952 წელს შრომაში „პორტფელის შერჩევა" (Portfolion selection). ფინანსური მენეჯმენტის ამ უმნიშვნელოვანესი თეორიული კონცეფციის საფუძველია სტატისტიკური ანალიზის მეთოდოლოგიური პრინციპები. ასევე ფინანსური ინვესტირების რისკიანი ინსტრუმენტების (რისკის დონისა და შემოსავლიანობის) თანაფარდობის ოპტიმიზაცია საინვესტიციო პორტფელის ფორმირებისას. ამ თეორიის შემდგომ განვითარებაში არსებითი წვლილი შეიტანეს **ჯეიმს ტობინმა** (James Tobin) და **უილიამ შარპმა** (William Sharpe). **სამივე მკვლევარი ნობელის ლაურეატია** ეკონომიკის დარგში.

3. **კაპიტალის ღირებულების კონცეფცია** (Cost of Capital Conception). ამ თეორიის პირველსაწყისი თეორიული კვლევები განხორციელდა 1938 წელს ამერიკელი ეკონომისტის **ჯონ უილიამსის** (John Williams) მიერ, რომელიც მან გადმოსცა შრომაში: „საინვესტიციო ღირებულების თეორია" (The Theoru of Investment Vaiue). შედარებით სისტემური სახე Fფინანსური მენეჯმენტის მიერ მიზანთან კავშირში ამ კონცეფციამ მიიღო 1958 წელს ცნობილი ამერიკელი მკვლევარების ფრანკო მოდელიანისა (Franco Modigliany) და **მერტონ მილერის** (Merton Miller) შრომაში „კაპიტალის ღირებულება, კორპორაციული ფინანსები და ინვესტიციების თეორია" (The Cost of Capital, Corporate Finance and the Theory of Investment). ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოს დანახარჯები კაპიტალის (ფინანსური რესურსების) მოზიდვისა და მომსახურების ხაზით არსებითად განსხვავდება სხვადასხვა წყაროების ჭრილში. ამასთან

დაკავშირებით აქტივების ფინანსირების ალტერნატიული წყაროების შერჩევისას მოზიდული კაპიტალის ღირებულების მინიმიზაცია სხვა თანაბარ პირობებში უზრუნველყოფს მესაკუთრეთა კეთილდღეობის მაქსიმიზაციას. **ორივე ეს მეცნიერი არის ნობელის ლაურეატი ეკონომიკის დარგში.**

4. **კაპიტალის სტრუქტურის კონცეფცია** (Capital Structure Conception). ფინანსური მენეჯმენტის ეს ერთ-ერთი მთავარი ძირითადი კონცეფცია წამოწყებული იქნა ჩვენთვის უკვე დასახელებული ცნობილი ავტორების ფრანკო მოდელიანისა და **მერტონ მილერის** მიერ და გადმოცემულია მათ **შრომაში** „კაპიტალის ღირებულება, კორპორაციული ფინანსები და ინვესტიციების თეორია" (1958 წ.). ამ კონცეფციის საფუძველია საწარმოს საკუთარი და ნასესხები კაპიტალების დამოკიდებულების მექანიზმის გავლენა მის საბაზრო ღირებულებაზე. კაპიტალის ღირებულების კონცეფციასთან მიმართებაში ამ კონცეფციის თეორიულ დებულებებს საფუძვლად დაედო **„ფინანსური ლევერიჯის ეფექტის შეფასების მოდელის"** შემუშავებას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში.

5. **დივიდენდური პოლიტიკის თეორია** (Dividend Policy Theory). ამ პრობლემის თეორიული დამუშავების საფუძვლები ჩამოყალიბდა 1956 წელს ამერიკელი ეკონომისტის **ჯონ ლინტნერის** (John Lintner) მიერ შრომაში „კორპორაციული შემოსავლის განაწილება დივიდენდებს, კაპიტალიზაციასა და გადასახადებს შორის" (Distribution of Income of Corporations Among Dividents, Retained Earnings and Taxes), Dმაგრამ ამ პრობლემის შესახებ უფრო არსებითი თეორიული დასკვნები გაკეთებული იქნა უკვე აღნიშნული ამერიკელი მეცნიერების ნობელის პრემიის ლაურეატების **ფრანკო მოდელიანის და მერტონ მილერის** შრომაში „დივიდენდური პოლიტიკა, აქციების ღირებულების ზრდა" (Dividend Policy, Growht and the Valuation of Shares), რომელიც გამოქვეყნდა 1961 წელს. დივიდენდური პოლიტიკის თეორიული საფუძვლები განიხილავენ მისი გავლენის მექანიზმს კომპანიის საბაზრო ღირებულებაზე და მისი აქციების ფასზე, რაც შესაძლებელს ხდის მოხდეს მიმდინარე დივიდენდების სიდიდის ოპტიმიზაცია სხვადასხვა ფაქტორის გავლენის გათვალისწინებით.

6. **საწარმოს მდგრადი ზრდის ფინანსური უზრუნველყოფის მოდელი** (Substalpadle Growth Models). ასეთი მოდელირების განხორციელებისადმი პრინციპული მიდგომები და პირველი ასეთი მოდელები შემუშავდა 1988 წელს ეკონომისტის **ჯეიმს ვან ხორნის** (James Van Horne) მიერ და გადმოცემული იქნა მის შრომაში „მდგრადი ზრდის მოდელირება" (Substainable Growth Modelling). საწარმოს მდგრადი ზრდის უფრო გართულებული მოდელები შემუშავებული იქნა **რობერტ ჰიგინსის** (Robert Higgins) მიერ. ისინი განხილულია „როგორი ზრდის ტემპით არის წარმოდგენილი ფირმა" (How Much Growth Can a Firm Afford), რომელიც გამოქვეყნდა 1997 წელს.

ჯგუფი მეორე. თეორიულ კონცეფციებსა და მოდელებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის რეალურ საბაზრო შეფასებას და მათი შერჩევის პროცესში პრველხარისხოვან როლს ასრულებენ:

1. **ფულის ღირებულების კონცეფცია დროში** (Time Value of Money, TVM). ამ კონცეფციის ძირითადი თეორიული დებულებები ჩამოაყალიბა 1930 წელს **ივრინ ფიშერმა** (Irving Fisher) შრომაში „პროცენტის თეორია, როგორ განვსაზღვროთ რეალური შემოსავალი საინვესტიციო გადაწყვეტილებების პროცესში" (The Theory of Interest: as Derermined by impatience to spend Income and Opportunity to Invest). მოგვიანებით, 1958 წელს, ამ კონცეფციის უფრო სრული მექანიზმი განხილული იქნა **ჯონ ხილშლეიფერის** შრომაში „ოპტიმალური საინვესტიციო გადაწყვეტილებების თეორია" (On the Theory of Optimal Investment Deciison). ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფულის თანამედროვე ღირებულება ყოველთვის მეტია მის სამომავლო ღირებულებაზე მისი ინვესტირების შესაძლო ალტერნატივის გამო, ასევე ინფლაციისა და რისკის ფაქტორების გავლენით. ამ კონცეფციის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა ფულადი ნაკადების **დისკონტირების** სხვადასხვა მოდელებიD (Discounted Cash Flow, DCF), რომლებიც ფართოდ გამოიყენება ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში.

2. **რისკის დონისა და შემოსავლიანობის ურთიერთკავშირის კონცეფცია** (Risk and Return Conneception). ამ კონცეფციის თეორიული საფუძვლები პირველად ჩამოყალიბებული იქნა 1921 წელს ფრენკ ნაიტის (Frank Knight) F– ეკონომიკური თეორიის ჩიკაგოს სკოლის ფუძემდებლის

მიერ – წიგნში „რისკი, განუსაზღვრელობა და მოგება" (Risk, Uncertainty and Profit). ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსალოდნელ შემოსავალსა და მის თანმდევ რისკის დონეს შორის არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება. ამ კონცეფციის ბაზაზე აგებული იქნა **ფინანსური აქტივების შეფასების** (ინვესტირების ფინანსური ინსტრუმენტების) მრავალი მოდელი, ასევე ინვესტიციური ანალიზის მეთოდიკა პორტფელური თეორიის სისტემაში.

3. **აქციებისა და ობლიგაციების შეფასების მოდელები** (Stocks and Bonds Valuation Models). ეს ინვესტირების ისეთი ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების უმარტივესი მოდელებია, რომლებიც აქციები და ობლიგაციები მათი შემოსავლიანობის (დივიდენდები, პროცენტები) მონაცემების საფუძველზე, ეს პირველად სისტემატიზებული იქნა ჯონ უილიამსის (John Williams) მიერ ჯერ კიდევ 1938 წელს მის შრომაში „საინვესტიციო ღირებულების თეორია" (The Theory of Investment Value). შემდგომში, ამ ფინანსური ინსტრუმენტების ახალი სახესხვაობების ჩამოყალიბებასთან ერთად ამ სახის მოდელების სისტემა შეივსო **მაირონ გორდონის** მიერ შრომაში „ინვესტირება, ფინანსირება და კორპორაციის ღირებულების შეფასება" (The Investment, Finansing and Valuation of the Corporation), რომელიც გამოქვეყნდა 1962 წელს, და **სკოტ ბუმანის** (Scott Bauman) მიერ შრომაში „საინვესტიციო შემოსავალი და ახლანდელი ღირებულება" (Investment Returns and Present Value), რომელიც გამოქვეყნდა 1969 წელს. ყველა ამ სახის მოდელის შეფასების საფუძველია ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი შემოსავლიანობის ღირებულების **დისკონტირება** მათი რისკის შესაბამის დონეზე.

4. **ფინანსური აქტივების შეფასების მოდელი** სისტემური რისკის გათვალისწინებით ([Capital Asset Pricing Model, CAPM). ამ მოდელის ავტორია ამერიკელი მკვლევარი **უილიამ შარპი** (William Sharpe), რომელიც მან გამოქვეყნა 1964 წელს შრომაში „ფინანსური აქტივების ფასები" (Capital Asset Prices), მისი საფუძველია ინვესტირების ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის აუცილებელი შემოსავლიანობის დონის განსაზღვრა მათი სისტემური რისკის გათვალისწინებით. ამ მოდელის საფუძველზე ყალიბდება ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის წრფის გრაფიკი (Security Market Line), რომელიც განსაზღვრავს დამოკიდებულებას ინვეტირების ფინანსური ინსტრუმენტების სისტემური რისკის დონესა და მათგან მიღებულ აუცილებელი შემოსავლიანობის დონეს შორის. მოგვიანებით ეს მოდელი სრულყოფილი იქნა **ჯონ ლინტერის** (Jhon Lintner) მიერ 1965 წელს, **იან მოსინის** (Jan Ossin) მიერ 1966წელს და სხვა მკვლევარების მიერ.

5. **ოფციონების შეფასების მოდელი** (Option Prising Models). ეს მოდელი პირველად შემოთავაზებული იქნა ამერიკელი ეკონომისტების **ფიშერ ბლეკის** (Fisher Black) და **მაირონ სკოულზის** (Myron Scholes) M მიერ 1973 წელს შრომაში: „კორპორაციულ ვალდებულებათა ფასწარმოქმნა (The Prising of Corporate Liadilities). იგი შემუშავებული იქნა ევროპული „კოლოფციონების" – იმ დროისათვის ყველაზე მეტად გავრცელებული ფასიანი ქაღალდების – შეფასებისათვის. მოდელი ასახავს ავტორთა თეორიულ კონცეფციას ასეთი სახის ფინანსური აქტივების ფასწარმოქმნის პირობების შესახებ. მათი მიმოქცევის რეალური პირობების მიდგომების ძიებაში შემუშავებული იქნა ამ სახის ალტერნატიული მოდელები, კერძოდ, რობერტ მერტონის (Robert Merton) მოდელი შრომაში „ოფციონების ფასწარმოქმნის რაციონალური თეორია" (The Theory Option Pricing), რომელიც გამოქვეყნდა 1973 წელს; **ჯონ კოკსის და სტეფან როსის** მოდელი შრომაში „ოფციონების ფასწარმოქმნა ალტერნატიულ სტოჯასტიკურ პროცესში" (The Valvation of Option for Alternative Stochastic Processc), რომელიც გამოქვეყნდა 1976 წელს და სხვა.

ჯგუფი მესამე. ფინანსური ბაზრის მონაწილეთა ინფორმაციულ უზრუნველყოფასთან და საბაზრო ფასების ფორმირებასთან დაკავშირებულ თეორიულ კონცეფციათა კომპლექსში გამოიყოფა შემდეგი:

1. **ბაზრის ეფექტიანობის ჰიპოთეზა** (Efficient Market Hypothesis, EMH). ეს ჰიპოთეზა წამოყენებულ იქნა 1970 წელს ამერიკელი ეკონომისტის **იუჯინ სფამის** (Eugene Fama) Eმიერ შრომაში „კაპიტალის ეფექტიანი ბაზრები, თეორიული და პრაქტიკული კვლევების მიმოხილვა (Efficint Capital Markets: A Roview of Theiry and Empirical Work). ეს ჰიპოთეზა ასახავს საფონდო ბაზრის ფასისმიერი ეფექტიანობის დამოკიდებულებას მის მონაწილეთა ინფორმაციულ უზ-

რუნველყოფაზე. ამ ჰიპოთეზის შესაბამისად ფასების ჩამოყალიბების პროცესი გულისხმობს, რომ ფასიანი ქაღალდების მოსალოდნელი შემოსავლიანობა არის შემთხვევითი სიდიდე, რომელიც ასახავს ბაზრის მონაწილეთა ინფორმაციულობის შესაბამის დონეს. ინფორმაციული უზრუნველყოფის პირობებზე დამოკიდებულებით მონაწილეებმა ერთიმეორისგან უნდა განასხვავონ საფონდო ბაზრის სუსტი, საშუალო და ძლიერი ფასისმიერი ეფექტიანობა. მონაწილეთაგან ისინი, რომლებიც ფლობენ სათანადო ინფორმაციას, პრიორიტეტი აქვთ იმ ფინანსური აქტივების (ინვესტირების ფინანსური ინსტრუმენტების) ძიებასა და შეძენაში, რომელთა კვოტირების ფასები განსხვავდება მათი რეალური საბაზრო ღირებულებისაგან. ამ ჰიპოთეზამ იმპულსი მისცა მრავალრიცხოვან კვლევებს იმ ფასიანი ქაღალდების ცალკეულ სახეობათა გაზრდილი შემოსავლიანობის პროგნოზირების დარგში, რაც დაკავშირებულია ბაზრის მხრიდან მათ შეუფასებლობასთან.

2. **სააგენტო ურთიერთობების თეორია** (Agency Costs Conception). ამ კონცეფციის ავტორებია ამერიკელი მკვლევარები **მაიკლ ჯენსონი** (Michael Jensen) და **უილიამ მეკლინგი** (William Mackling), რომელთაც გამოაქვეყნეს 1976 წელს შრომა **„ფირმის თეორია: მმართველობითი ქცევები, სააგენტო დანახარჯები და მესაკუთრეთა სტრუქტურა"** (Theory of the Firm: Ownership Stucture). განხილული კონცეფცია გულისხმობს, რომ მესაკუთრეებს (კომპანიების აქციონერებს), მენეჯერებს და ნდობით აღჭურვილ პირებს (მესაკუთრეთა აგენტებს) შორის შეიძლება იყოს **ინტერესთა კონფლიქტი** მესაკუთრეთა კეთილდღეობის მაქსიმიზაციის უზრუნველყოფაში. ამ კონცეფციით მტკიცდება, რომ მენეჯერთა (აგენტების) საქმიანობა მხოლოდ მაშინ შეიძლება მიმართული იყოს ფინანსური მართვის მთავარი მიზნის რეალიზაციისაკენ, თუკი იგი შეიძლება დამატებით სტიმულირებული იქნეს მოგებაში მათი მონაწილეობით და შესაბამისად ეფექტიანად აკონტროლონ მესაკუთრეები. ეს სტიმულირება და მონიტორინგი დაკავშირებულია სახსრების დამატებით ხარჯებთან, რომლებიც ობიექტურადაა განპირობებული საკუთრების უფლებისა და სანარმოს მართვის გამიჯვნით. თავის მხრივ, სააგენტო დანახარჯები გავლენას ახდენენ მოგების ფორმირებასა და განაწილებაზე, დივიდენდურ პოლიტიკაზე და, შესაბამისად, კომპანიის ბაზარზე მიმოქცევაში მყოფი აქციების ფასზე.

3. **ასიმეტრული ინფორმაციის კონცეფცია** (Asymetrical Informatin Conception). ამ კონცეფციის ავტორები არიან ამერიკელი ეკონომისტები **სტიუარტ მაიერსი** (Stewart Myers) და ნიკოლას მაიჯლაფი (Nicolas Maijluf), რომელთაც 1989 წელს გამოაქვეყნეს შრომა **„კორპორაციული ფინანსირება და საინვესტიციო გადაწყვეტილებები პირობებში, როცა ფირმები ფლობენ იმ ინფორმაციას, რაც ინვესტორებს არ გააჩნიათ"** (Corporate Financing and Investment Decosion When Rirms IIave Information That Investors Do Not Have). ამ კონცეფციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ პოტენციური ინვესტორები – კომპანიის ფასიანი ქაღალდების შესაძლო მყიდველები-გაანაგებენ მათი საქმიანობის შესახებ მცირე ოდენობის ინფორმაციას, მათ მენეჯერებთან შედარებით. ამიტომ იმ პერიოდებში, როცა კომპანიების ფასიანი ქაღალდების ღირებულება „ბაზრის მიერ გადაფასებულია", მენეჯერები ამ ფასიანი ქაღალდების **ემისიას** ინიციირებენ, რის შედეგადაც მათი პროგნოზული შემოსავლიანობა ხელოვნურად მაღლდება. ასიმილირებული ინფორმაციის შედეგად ინვესტორები განიცდიან გარკვეულ ფინანსურ დანაკარგებს. ასიმეტრიული ინფორმაციის მექანიზმი სხვადასხვაგვარად ვლინდება აქციებისა და ობლიგაციების ემისიისას.

4. **ფასწარმოქმნის საარბიტრაჟო თეორია** (Arbitrage Pricinge Theory, APT). იგი შემუშავებული იქნა ამერიკელი პროფესორის **სტენფორდ როსის** მიერ 1976 წელს და გადმოცემულია მის შრომაში: **„ფინანსური აქტივების ფასწარმოქმნის საარბიტრაჟო თეორია"** (The Arbitrage Theory of Capital Asset Pricina). მოცემული თეორია არის უ. შარპის თეორიული მოსაზრებების ალტერნატივა, რომელიც შემუშავებულია ფინანსური აქტივების შეფასების ადრე განხილულ მოდელში. ამ თეორიის საფუძველია დებულება იმის შესახებ, რომ კონკრეტულ ფინანსურ ბაზრებზე არბიტრაჟი (სპეკულაციურიმ ოპერაციები, რომლებიც დაფუძნებულია ცალკეულ ბაზრებზე საბაზრო ფასებს შორის სხვაობაზე) უზრუნველყოფს ცალკეულ ფინანსური აქტივების რეალური საბაზრო ფასების გამოთანაბრებას მათი რისკისა და შემოსავლიანობის დონის შესაბამისად, სხვა სიტყვებით, **არბიტრაჟის მექანიზმი** უზრუნველყოფს ფასისმიერი წონასწორობის აღდგენას სხვადასხვა ფინანსურ ბაზრებზე. **ფასწარმოქმნის** საარბიტრაჟო თეორიის ავტორების მი-

ერ შემოთავაზებული იქნა რიგი მოდელები ფინანსური აქტივების რეალური შემოსაელიანობის შეფასებისათვის ცალკეული ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით. მოგვიანებით (1984 წელს) ამ ფაქტორების კონკრეტიზაციის საფუძველზე შეფასების მოცემული მოდელები დაზუსტებული იქნა **რიჩარდ როლის** (Richard Roll) და **სტეფან როსის** (Stephan Ross) მიერ შრომაში „არბიტრაჟული ფასწარმოქმნის თეორიის გამოყენება საინვესტიციო პორტფელის სტრატეგიული დაგეგმვის დროს" (The Arbitrage Princing Theory Appoach to strategic Portfolio Planning). **შესაბამისად,** ზემოთ აღნიშნული კონცეფციებისა და მოდელების სისტემაში აისახება მათი **პრაქტიკული გამოყენების მექანიზმი,** რომელიც თანამედროვე **ფინანსური მენეჯმენტის პარადიგმის ფორმირების საფუძვლებს წარმოადგენს.**

3.2. ფინანსების არსი, ფუნქციები და ფინანსური პოლიტიკა

როგორც უკვე აღინიშნა, მართვის მეცნიერების ევოლუციის განვითარების ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ მენეჯმენტის წარმოშობას წინ უძღოდა სოციალური მართვის აზროვნებისა და პრაქტიკის თანდათანობითი პროგრესი. კერძოდ, **მენეჯმენტი,** როგორც მეცნიერება და ადამიანის დამოუკიდებელი საქმიანობის სფერო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა.

პირველი მმართველობითი რევოლუცია, უკავშირდება ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულს. ამ დროიდან დასტურდება ძველი შუმერების საზოგადოებაში მართვის პრაქტიკის არსებობა, რომელმაც მიიღო რელიგიურ-კომერციული სახელწოდება, რადგანაც წარმოქმნა ისეთი ადამიანების წრე (კასტა), რომლებიც სავაჭრო ოპერაციებს და კომერციულ გარიგებებს ახორციელებდნენ.

მეორე მმართველობითი რევოლუცია ცნობილია როგორც საერო-ადმინისტრაციული, რადგანაც აწესრიგებდა სახელმწიფოს მართვის წესებს. იგი უკავშირდება (ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1792-1750 წწ) ბაბილონის მმართველის – მეფე ჰამურაბის მოღვაწეობას.

მესამე, საწარმოო-სამშენებლო მმართველობითი რევოლუცია უკავშირდება წარმოებისა და მშენებლობის სფეროში საქმიანობის კონტროლსა და რეგულირებას. იგი მოიცავს (ჩვენს ერამდე 605-562 წწ), ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მმართველობის ეპოქას.

მეოთხე მმართველობითი რევოლუცია დაკავშირებულია (XVII-XVIII საუკუნეებში), კაპიტალიზმის ჩასახვასა და წარმოების საშუალებებზე მესაკუთრეების მიერ მმართველთა გუნდის გამოყენებაში. ასევე პროფესიონალური მართვის განვითარებასთან.

მეხუთე მმართველობითი (ბიუროკრატიული) რევოლუცია განხორციელდა XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, რამაც გამოიწვია შრომის დანაწილება და მსხვილი იერარქიული სტრუქტურების ფორმირება.

მმართველობითი აზროვნების ევოლუციის ზემოთ მოყვანილი მიდგომა საშუალებას არ იძლევა გაანალიზებულ იქნას მართვის საერთო თეორიისა და პრაქტიკის განვითარების ყველა ეტაპი, მაგრამ ყველაზე მეტად პასუხობს სახელმწიფოებრივი მმართველობის შესახებ მეცნიერების მოთხოვნილებასა და საჭიროებას. აქედან გამომდინარე, **სოციალური მიდგომა** ყველაზე ადეკვატურია მართვის განვითარების ისტორიის შესასწავლად, რადგანაც შესაძლებელია საზოგადოების განვითარების ოთხი ძირითადი ეტაპის – (პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური და კაპიტალისტური) – განსხვავება.


ადამიანების საქმიანობის სამ განსხვავებულ სფეროში წარმოიშვა მართვის აუცილებლობა, კერძოდ: **1) უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; 2) მთლიანობის უზრუნველსაყოფად; 3) რესურსების უზრუნველსაყოფად.**

ცნობილია, რომ მმართველობითი შრომის დანაწილების ობიექტური აუცილებლობა წარმოიშვა საზოგადოების განვითარებისა და შესასრულებელი ფუნქციების თანდათანობით გართულების კვალობაზე. ფუნქციონალური დიფერენციაციის პროცესს მივყავართ პირველი უძველესი სახელმწიფოების წარმოშობამდე (მეცნიერები ამ პერიოდს ათარიღებენ შვიდი ათასწლეუ-

ლით ჩვენს წელთაღრიცხვამდე), რომლებიც უპირატესად მონათმფლობელურნი იყვნენ.

ფინანსურ ურთიერთობათა წარმოშობა დაკავშირებულია პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და მონათმფლობელური საზოგადოების წარმოშობის პერიოდთან. ამ დროიდან დაიწყო საზოგადოების ფენებად დაყოფა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის ჩამოყალიბება. ფულადი რესურსების მობილიზაცია, მათი განაწილება-გადანაწილება და გამოყენება აუცილებელი გახდა სახელმწიფო ფუნქციების შესასრულებლად, წარმოქმნილი სახელმწიფოების მიერ.

ფინანსები ლათინური სიტყვაა **(finatio an finansio)** და იგი ფულის სავალდებულო გადახდას ნიშნავს, რომელთა საშუალებით ფულადი ფონდების შექმნა, განაწილება, გადანაწილება და გამოყენება ხორციელდება. **ბიუჯეტის საშუალებით** ფულადი თანხების განაწილება-გადანაწილება **ფულს აქცევს ფინანსებად,** ვინაიდან ყველა ფული თავისთავად ფინანსები არ არის. **ფინანსები** ასრულებს განმანაწილებელ ფუნქციას, ხოლო ბიუჯეტის საშუალებით ფულადი ფონდების ხარჯვის პროცესში – საკონტროლო ფუნქციას. ასევე მარეგულირებელ და უკუკავშირის არხის ფუნქციებს. (იხ. ნახაზი1-5).



ნახ . 1-5. ფინანსების ძირითადი ფუნქციების სქემა.

ფინანსების ფუნქციების რეალიზება ფინანსური მექანიზმის როგორც სამეურნეო მე ქანიზმის ნაწილის სახით ხორციელდება. ფინანსური მეთოდებისა და ბერკეტების, ფინანსების მართვის ფორმებისა და ფინანსური სისტემის, ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობა არის – **ფინანსური მექანიზმი.**

სახელმწიფოს ფინანსური სისტემა, რომელთა პროცესში ფულადი სახსრების ფონდების შექმნა და გამოყენება ხორციელდება – არის სხვადასხვა სფეროს ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა.

საქართველოში **ფინანსური სისტემა** ხუთი რგოლისაგან შედგება, კერძოდ: 1) სახელმწიფო საბიუჯეტო სისტემა; 2) ბიუჯეტგარეშე სპეციალური ფონდები; 3) სახელ მწიფო კრედიტი; 4) დაზღვევის ფონდები; 5) კორპორაციის (საწარმოს) ფინანსები საკუთრების სხვადასხვა ფორმებისათვის.

ქვეყნის საბიუჯეტო სისტემა მოიცავს:

ა) ცენტრალურ ბიუჯეტს,

ბ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული (რეგიონალური) წარმონაქმნების ბიუჯე ტებს,

გ) ადგილობრივ ბიუჯეტებს, რომლებიც ავტონომიურად ფუნქციონირებენ.

სახელმწიფო ბიუჯეტი საბიუჯეტო სისტემის წამყვანი რგოლია და იგი სახელმწიფოს **ფინანსურ გეგმას** წარმოადგენს. ქვეყნის ბიუჯეტს პარლამენტი ამტკიცებს. საქართველოში ფინანსების მართვას კანონმდებლობით პარლამენტი ახორციელებს, **აღმასრულებელის სახით – ფინანსთა სამინისტრო** და ადგილებზე მისი ორგანოები, კონტროლს კი – შემოსავლების დეპარტამენტი და ფინანსური პოლიციის სამსახური, საბაჟო კანონმდებლობის აღსრულების უზრუნველყოფას სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტი ახორციელებს, ბიუჯეტგარეშე ფონდების ხელმძღვანელობას კი მათი სამმართველოები და აღმასრულებელი დირექციები, სადაზღვევო ორგანიზაციების საქმიანობაზე ზედამხედველობას – ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში არსებული შესაბამისი სამმართველოები ახორციელებენ.

ბიუჯეტის მეშვეობით ხორციელდება მეურნე სუბიექტებისა და მოსახლეობის სახსრების მობილიზაცია სახელმწიფოს მიერ მართვის ფუნქციების უზრუნველყოფის, თავდაცვისუნარიანობის მხარდაჭერის, სახელმწიფო ვალის დაფარვის, სახელმწიფო რეზერვების შექმნის მიზნით.

ბიუჯეტის ფუნქციებია:

1) მთლიანი შიდა პროდუქტისა (მშპ) და ეროვნული შემოსავლის (ეშ) **გადანაწილება;**

2) ეკონომიკის სახელმწიფოებრივი **რეგულირება და სტიმულირება;**

3) სოციალური პოლიტიკის **ფინანსური უზრუნველყოფა;**

4) ფულადი სახსრების ცენტრალიზებულ ფონდზე **კონტროლი.**

ბიუჯეტის შემოსავლები მეურნე სუბიექტებთან და მოქალაქეებთან საბიუჯეტო ფონდის ფორმირების პროცესში წარმოიშობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში შემოსავლების შევსება **საგადასახადო სისტემაზეა** დაფუძნებული.

ბიუჯეტის ხარჯები საბიუჯეტო ფონდის განაწილებისას და ფულადი სახსრების სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციების შესაბამისობაში ყალიბდება. ბიუჯეტის ხარჯების მის შემოსავლებთან მეტობას **საბიუჯეტო დეფიციტი** ეწოდება, რომლის დაფარვის მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც შიდა, ასევე დაფინანსების გარე წყაროებიც.

ფინანსური რესურსების შეზღუდულობა **მათ გადანაწილებაში დამატებით მოთხოვნილებებს** იწვევს ამიტომ მნიშვნელოვანია შემოსული სახსრების მიზნობრივი გამოყენება იქნეს უზრუნველყოფილი. ასეთი ამოცანის გადაწყვეტა შესაძლებელია ბიუჯეტიდან მიზნობრივი ნაწილის, მაგალითად, მიზნობრივი დანიშნულების ბიუჯეტგარეშე ფონდის შექმნით ბიუჯეტგარეშე ფონდების შექმნისა და გამოყენების წესი ფინანსური სამართლით რეგულირდება.

ბიუჯეტგარეშე ფონდები გასახარჯი ფინანსური რესურსების გადანაწილებისა და მიზნობრივი გამოყენების ფორმას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ გარკვეული საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაფინანსების მიზნით.

მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ბიუჯეტგარეშე ფონდებს განეკუთვნება სოციალური და ეკონომიკური, ხოლო **მართვის დონის** მიხედვით კი – სახელმწიფოებრივი და რეგიონალური.

სახელმწიფო კრედიტი. საზოგადოებრივი წარმოების პროცესში – სახელმწიფოს ერთი მხრივ და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის მეორე მხრივ – შეიძლება ისეთი სახის ეკონომიკური ურთიერთობები ჩამოყალიბდეს, რომლებშიც სახელმწიფო შეიძლება **მსესხებლის, კრედიტორის,** ან **გარანტორის** როლებში გამოდიოდეს. **მსესხებლის** სახით გამოსვლისას, სახელმწიფო ნასესხებ სახსრებზე მოთხოვნას ადიდებს და ამით კრედიტის ფასის ზრდას უწყობს ხელს, რაც თავისთავად წარმოებაში ინვესტიციების მოცულობას ამცირებს, მაგრამ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შეძენის ფორმით, დანაზოგების სტიმულირებას ახორციელებს. **სახელმწიფო კრედიტის მართვას** ფინანსთა სამინისტრო და ეროვნული ბანკი ახორციელებენ.

სახელმწიფო სესხები შეიძლება იქნეს კლასიფიცირებული:

ა) განთავსების ადგილის მიხედვით – შიდა და გარე განსათავსებელი;

ბ) სუბიექტების მიხედვით – ცენტრალური და ტერიტორიალურ ხელისუფლების ორგანოების მიერ განთავსებადები;

გ) ვადიანობის მიხედვით – მოკლე, საშუალო და გრძელვადიანებად;

დ) შემოსავლის განსაზღვრის მეთოდის მიხედვით – ვალდებულებებზე მყარი ან მცურავი შემოსავლით.

დაზღვევის ეკონომიკური კატეგორია **ფინანსების კატეგორიის შემადგენელ** ნაწილს წარ-

მოადგენს, და მხოლოდ გადამანაწილებელი ურთიერთობების სფეროს მოიცავს. დაზღვევის ქვეშ იგულისხმება შეკრული გადამანაწილებელი ურთიერთობების ერთობლიობა ფიზიკური და იურიდიული პირების ქონებრივი ინტერესების დაცვის მიზნით მიზნობრივი ფულადი ფონდების ფორმირებასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით და მათ მიერ სადაზღვევო შემთხვევების შედეგებთან დაკავშირებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. ფორმის მიხედვით დაზღვევა შეიძლება იყოს **სავალდებულო და ნებაყოფლობითი.** სავალდებულო ხორციელდება კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ნებაყოფლობითი კი – კანონის შესაბამისად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

დაზღვევის დარგებს განეკუთვნება: ა) პირადი დაზღვევა; ბ) პასუხისმგებლობის დაზღვევა; გ) ქონებრივი დაზღვევა.

პირადი დაზღვევა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, მოქალაქეთა შრომისუნარიანობისა და მათი სოციალური დაცვის ფორმას წარმოადგენს. **სამედიცინო დაზღვევას** ამ სფეროში განსაკუთრებული ადგილი უკავია. **პასუხისმგებლობის დაზღვევა** იცავს როგორც თვით დაზღვევის ინტერესებს, ასევე მესამე პირების ინტერესებსაც, რომელთაც გარანტია ეძლევათ დამზღვევის ქმედების შედეგად მათთვის მიყენებული შესაძლო ზარალის გადახდაზე. ასეთი დაზღვევის ყველაზე უფრო გავრცელებულ სახეობას – სატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა წარმოადგენს. **ქონებრივი დაზღვევა დამზღვევის ინტერესების** – ქონების ფლობასთან, გამოყენებასთან და განაწილებასთან დაკავშირებული უფლებების დამცველია.

ფინანსური რესურსების მოძრაობის სპეციფიკა დაზღვევაში იმასთან არის დაკავშირებული, რომ დამზღვევის განკარგულებაში იმყოფება ვალდებულებებისაგან დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები, რომლებიც დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნებისათვის შეიძლება იქნეს ინვესტირებული, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროის განმავლობაში.

საქართველოში სადაზღვევო ორგანიზაციებს შეუძლიათ თავიანთი სახსრები დააბანდონ სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში საბანკო შენატანების სახით, სააქციო საზოგადოებების ფასიან ქაღალდებში, უძრავ ქონებაში და სავალუტო ფასეულობებში.

ამრიგად, საწარმოს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსები – ეკონომიკური და ფულადი ურთიერთობებია, რომელიც უშუალოდ ფულის მოძრაობის შედეგად წარმოიშობა და მის საფუძველზე საწარმოებში სხვადასხვა სახის ფულადი ფონდები იქმნება.

ფინანსური პოლიტიკის არსი. პოლიტიკა, როგორც წესი, განსაზღვრული ინსტრუმენტების გამოყენებით დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას ან მათ ხელშეწყობას ითვალისწინებს. განსაკუთრებული როლი ფინანსური პოლიტიკის ფორმირება-გახორციელებაში საბაზრო ეკონომიკის პირობებში, სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს ენიჭება. ქვეყნის ძირითადი ინსტიტუციონალური სტრუქტურა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მართვა და კონტროლი დეცენტრალიზებული გზით წარიმართოს, **ფინანსური პოლიტიკა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და სახელმწიფოს მიერ თავისი ფუნქციებისა და ამოცანების გახორციელების უზრუნველსაყოფად შემუშავებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური რესურსების მობილიზაციასა, და ეროვნული ეკონომიკის, პრიორიტეტული სტრუქტურული დარგების და ქვეყნის ტერიტორიული ერთეულებს (რეგიონებს) შორის განაწილება-გამოყენებაში ვლინდება.**

ცნობილია, რომ **ნებისმიერი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა** – შესაბამისი ფინანსური რესურსებით სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამა თუ იმ პროგრამით უზრუნველყოფა წარმოადგენს. ფინანსური პოლიტიკა მიმართულია იქეთკენ, რომ ფინანსები გამოყენებულ იქნეს გაფართოებული კვლავწარმოების შეუფერხებელი წარმართვისათვის ობიექტური ეკონომიკური კანონების შეგნებული გამოყენების საფუძველზე. ამასთან ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს იმ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებათა ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფას, რომლებიც დგას კონკრეტულ ისტორიულ პერიოდში ქვეყნის წინაშე.

ეროვნული შემოსავლისა (ეშ) და **ერთობლივი ეროვნული პროდუქტის** (ეეპ) ოპტიმალური განაწილება, ფინანსური რესურსების მობილიზაცია და მათი ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფულად საშუალებათა ფონდების რაციონალური გამოყენება ხორციელდება ეკონომიკური განვითარების ყველა ფაქტორების ეფექტიანად გამოყენების გზით, ფინანსური

პოლიტიკის გახორციელების პროცესში. რომლის საფუძველზე მიიღწევა ქვეყნის საზოგადოებრივი წარმოების მყარი ზრდის ტემპები, სტრუქტურული სრულყოფა, დარგთაშორისი კავშირების და დაბალანსებული განვითარება.

სახელმწიფოს მიერ ფინანსური პოლიტიკის გახორციელების კონკრეტული **მეთოდები** დამოკიდებულია ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიულ პირობებზე, ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ეროვნულ ტრადიციებსა და სხვა ფაქტორებზე. საქართველოს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ ფინანსური რესურსები შესაძლებლობის ფარგლებში მიიმართება ეკონომიკის განვითარების მაღალი ტემპების, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების, საგარეო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების განმტკიცების უზრუნველსაყოფად.

საქართველოში, ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის (1921 წ.) შემდეგ, უკანასკნელი სამოცდაათი წლის მანძილზე, მისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ტარდებოდა ისეთი სახის ფინანსური პოლიტიკა, რომელიც მიმართული იყო კაპიტალისტური ეკონომიკის გამოდევნა-შევიწროებისაკენ, სახელმწიფო წყობილების და მისი ეკონომიკის ძირის გამოსათხრელად, რომელიც ხორციელდებოდა როგორც კოლონიური ქვეყნის მიმართ იმპერიული პოზიციიდან გამომდინარე საბჭოთა კავშირის მიერ.

საქართველომ **მეორედ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში**, შეიმუშავა ახალი ფინანსური პოლიტიკა, რომლის განხორციელების ფორმები და მეთოდები, ექვემდებარება პერიოდულ დაზუსტებას, ეკონომიკური ურთიერთობების შეცვლა-გარდაქმნის შესაბამისად. რამდენადაც ფინანსური პილიტიკის მთავარი მიზანია ეროვნული სამეურნეო ცხოვრების სტაბილიზაცია, საკუთრივ ფინანსებსა და ფულის მიმოქცევის არსებული დისპროპორციების ლიკვიდაცია, პირველი ეტაპის ფინანსურ პოლიტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ახალი ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში ზემოთ აღნიშნული მიზნის მიღწევა უნდა მოხდეს შემდეგი **ძირითადი მიმართულებებით:** ბიუჯეტის დეფიციტის იმ დონემდე შემცირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავნერგოთ საბაზრო ეკონომიკა; საფინანსო და საბიუჯეტო სისტემის გარდაქმნა; ოპტიმალური და აქტიური საგადასახადო პოლიტიკის გახორციელება; ფინანსური ბაზრის განვითარება.

საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის პოზიტიური შეცვლის შედეგად ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურა ძირფესვიანად შეიცვალა. ყველა საერთო სახელმწიფოებრივი და სოციალური ხარჯები იფარება ცენტრალური ბიუჯეტიდან.

ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის ახალი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა **ფინანსური ბაზრის** შექმნა, რომლის გარეშე შეუძლებელია ფულადი საშუალებების თავისუფალი მოძრაობა ქვეყნის მეურნეობრიობის ერთი სფეროდან მეორეში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ფინანსური ბაზრის ფორმირებას და მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფორმირება უზრუნველყოფს თავისუფალი ფულადი საშუალებების მობილიზაციასა და ეროვნული მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე მის გადანაწილებას. წარმოების განვითარების მოთხოვნები ფასიანი ქაღალდების კურსში პოვებს ასახვას და იგი ხელს უწყობს ფინანსური რესურსების გადანაწილებას დარგებს შორის. კორპორაციების (საწარმოების), ორგანიზაციების, კოოპერატივების, სააქციო საზოგადოებების და ბანკების მიერ ფართოდ განხორციელდება აქციებისა და ობლიგაციების გამოსყიდვა. რაც შესაბამისად საშუალებას მისცემს სახელმწიფოს ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენების საქმეში. შედეგად კი დაიწყება საზოგადოებრივი საკუთრების დეცენტრალიზებული მართვის მექანიზმის თანდათანობითი ფორმირება. ფასიანი ქაღალდების ოპერაციებისათვის შეიქმნება საფონდო ბირჟები, ბროკერული და საინვესტიციო კომპანიები.

კაპიტალის ბაზრის ფორმირება წარმოადგენს ეკონომიკის დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროს და არის საბაზრო ეკონომიკის ფორმირების მთავარი ელემენტი. როგორც ცნობილია, კაპიტალის ბაზრი განისაზღვრება ორი ძირითადი – **დროებითი** და **ინსტიტუციონალური** ნიშნით. **პირველი ნიშნის** პირობებში ბაზარი იყოფა ორ ელემენტად: **ფულადი ბაზარი,** ან მოკლევადიანი კაპიტალის ბაზარი (ფულადი საშუალებები გამოდის საგადასახდელო საშუალებად) და საშუალოვადიანი და გრძელვადიანი კაპიტალის ბაზარი. რაც **შეეხება ინსტიტუციონალურს,** აქ აუცილებელია გამოყენებულ იქნეს მსოფლიო გამოცდილება, სადაც ჩამოყალიბდა კაპიტალის, გავრცელებული და მრავალსაფეხურიანი სტრუქტურა. განვითარებული საბაზრო

ეკონომიკის ქვეყნების ბაზრის სტრუქტურა შედგება საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტებისაგან (ბანკები და სხვა დაწესებულებები) და ფასიანი ქაღალდების ბაზრისაგან.

საქართველოს, ბაზრის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებიდან დღეს გააჩნია მისი ერთადერთი ელემენტი – **საბანკო სისტემა**, რომელიც ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. ქვეყნის კანონში, ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების შესახებ, ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ფართოდ უნდა განვითარდეს სახელმწიფო და კერძო კომერციული ბანკები.

ამრიგად, საქართველოს ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანა, საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე გარდაქმნები უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალურად, არამედ მაქსიმალურად შერბილდეს ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის პრობლემები, რათა სოციალური დაძაბულობა იქნეს აცილებული თავიდან. **ფინანსური პოლიტიკა** უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებაში და ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას. განსაკუთრებით მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში.

პირველი ნაწილის – „თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის თეორიულ-კონცეფციური და მეთოდოლოგიური მიდგომები". რეზიუმე:

საკვანძო სიტყვები: მმართველობითი აზროვნების ევოლუცია, მენეჯმენტის ფილოსოფია, ფინანსური მენეჯმენტი, სისტემური მიდგომის პრინციპი, კორპორაციის ფინანსები, ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური მექანიზმი, ფინანსური ეკონომიკა, ფინანსური კაპიტალი, კონკურენტუნარიანობის ინდექსი

დასკვნა. როგორც მართვის მეცნიერების განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, თანამედროვე ეტაპზე თანდათან უფრო მეტ აქტუალობას იძენს მენეჯერიზმი–პროფესიონალ მმართველთა თეორია, რომელიც უფრო კომპლექსური ხასიათისაა და მოიცავს მმართველობით ურთიერთობათა არა მარტო წარმოების ორგანიზაციულ-ტექნიკურ, არამედ ეკონომიკურ, ფილოსოფიურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებსაც. მნიშვნელოვანია მენეჯმენტში სისტემური ანალიზის მეთოდების, მათემატიკური მოდელირების, პროგნოზირების, შრომის მოტივაციისა და ინტენსიფიკაციის გაძლიერების ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენება. ეკონომიკურად განვითარებულ, მსხვილ სამრეწველო ქვეყნების ბიზნეს-პრაქტიკაში საწარმოთა მართვა გადადის მენეჯერ-ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მეცნიერთა ხელში, რომლებიც დომინირებენ, იქმნება მენეჯერ-სპეციალისტთა განსაკუთრებული პროფესია, იმიჯნება საწარმოს მესაკუთრეთა ფუნქციები, რომლებიც იწვევენ მაღალი რანგის მენეჯერებს წარმოების გაძღოლისათვის სხვადასხვა სფეროში.

როგორც კვლევები უჩვენებს, შუა საუკუნეებში მართვის თეორია სუსტად ვითარდებოდა. ძირითადად, ეს დაიყვანებოდა და გამოიხატებოდა მმართველებს, რელიგიურ მოღვაწეებს და სამხედრო მხედართმთავრებს შორის გამოცდილების გაზიარებაში. მმართველობითი აზრის განვითარებაში არსებითი წვლილი შეიტანა **ნიკოლო მაკიაველიმ**, რომელიც თავის გამოკვლევებში დიდ ყურადღებას უთმობდა ხელმძღვანელის მუშაობის სტილის ფორმირების პრობლემებს, მისი შრომის ორგანიზაციას, ხელმძღვანელებსა და მასზე დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთობებს.

თანამედროვე ეტაპზე მართვის **ზოგადი პრინციპების სისტემაში** ძირითადი ადგილი უჭირავს მართვის მეცნიერული დასაბუთების პრინციპს, მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტისადმი **სისტემური მიდგომის პრინციპს**, აგრეთვე მართვის ოპტიმალურობის, მოქნილობისა და დემოკრატიზაციის პრინციპებს. ადმინისტრირების თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მართვის რეგლამენტაციისა და ფორმალიზაციის პრინციპები. **წარმოების მართვის პრინციპების** სისტემაში გამოვყოფთ სამ ძირითად ჯგუფს, როგორებიცაა: 1) ინვესტირება; 2) ტექნოლოგიების მართვა; 3) წარმოების ეფექტიანი მართვის სტრუქტურების შექმნა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმდინარე ეტაპზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეფორმირების პირობებში აქტუალურ პრობლემად გვევლინება მიკრო-კონომიკურ დონეზე მართვის ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება,

რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკური სუბიექტის – წარმოების (ფირმის) საერთო მიზნების განვითარებას. **მენეჯმენტი** – რომელიც შედარებით რაციონალური ბიზნესის განხორციელებისაკენ მიმართული საქმიანობაა, შემდეგი ფუნქციების დახმარებით ხორციელდება: 1) გეგმების შემუშავება; 2) სამუშაო პროგრამების ფორმირება; 3) სამუშაოს შემსრულებლების განსაზღვრა; 4) შემსრულებლების განუწყვეტელი სწავლება და სამუშაოს ორგანიზება მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის; 5) მიზანდასახული ინოვაციური ძიება.

მენეჯმენტის ფილოსოფია (არსი) დადის შემდეგამდე: იდეალური სამუშაო ადგილის დამახასიათებელი ნიშნები, მენეჯმენტის მთავარი პრინციპები: ძირითადი მოკლევადიანი მიზნები და ოპერატიული საქიანობის პრინციპები. მმართველობის პრობლემის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესია მმართველი გუნდის (მენეჯერების) ფორმირება, რამდენადაც მმართველ გუნდს შეუძლია უზრუნველყოს იდეის, რომელიც აისახება ფირმის ბიზნეს-გეგმაში, განვითარება და დანერგვა წარმატებულ ბიზნესში.

ნაწილი მეორე.

სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა და ტერიტორიულ-რესურსული პოტენციალის ადმინისტრირება საქართველოში

თავი 4.

სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის რეგულირების მექანიზმი

4.1. სახელმწიფო (საჯარო) საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა

ნებისმიერ სახელმწიფოში **ფინანსური ურთიერთობების სრულყოფა** და **განვითარება** შეუძლებელია ეფექტიანი **საგადასახადო სისტემის** შემუშავების გარეშე, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია სახელმწიფოს განვითარებასთან. საგადასახადო სისტემა წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ამოსაღები გადასახადების, ამ სისტემის აგების და მეთოდების ერთობლიობას. საგადასახადო სისტემა ეროვნულ ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების ერთ-ერთი ძლიერი მექანიზმია, თეორიულად და პრაქტიკულად დასაბუთებულ საგადასახადო სისტემას შეუძლია ეროვნულ ეკონომიკაზე მოახდინოს პოზიციური ზემოქმედება, აღმოფხვრას ნეგატიური მოვლენები და დაამკვიდროს ჭეშმარიტ სამართლებრივ ბაზაზე აგებული საგადასახადო დაბეგვრა, ტრანსფორმაციულმა ეკონომიკამ უნდა გადაწყვიტოს ფისკალურ ურთიერთობათა ერთ-ერთი მთავარი წინააღმდეგობა, ერთ მხარეს გვაქვს სახელმწიფო ბიუჯეტის პერგამენტული დეფიციტი, ხოლო მეორე მხარეს – მეწარმეობის განვითარებისა და საქმიანი აქტივობის ზრდის აუცილებლობა. გადასახადებისაგან განთავისუფლება ან ნაწილობრივი შემცირება იმ შემოსავლებზე, რომლებიც გამიზნულია საინვესტიციოდ, ან შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკის რეკონსტრუქციის, ან სოციალური პრობლემების მიზნობრივი პროგრამების დასაფინანსებლად.

თუ პირველი პროცესი მოითხოვს დამატებით საგადასახადო შემოსავლებს, ვინაიდან ბიუჯეტის უფრო მნიშვნელოვანი წყარო არ არსებობს, მეორეს მხრივ მეწარმეობრივი აქტივობის სტიმულირება პირიქით მოითხოვს გადასახადების შემცირებას, სხვაგვარად ვერ მოხერხდება ეკონომიკური ზრდის სტიმულირება. პასუხი უნდა გაეცეს ურთულეს კითხვებს: როგორ შეიძლება ამ წინააღმდეგობის დაძლევა? როგორ უზრუნველვყოთ სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების გადიდება საქმიანი აქტივობის პირობებში. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა საჭიროა საგადასხადო დაბეგვრის მექანიზმის შეცვლა.

ამრიგად, როდესაც ვიხილავთ საგადასახადო სისტემის არსს, აუცილებელია შევეხოთ სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის მარეგულირებელ ფუნქციას. საგადასახადო შემოსავლები უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ჩარევის მაშტაბებს საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესში.

ევროკავშირისწევრი უმეტესი ქვეყნების კანონმდებლობაში, გასული საუკუნის 50–იან წლებში, ჩაიდო დებულება იმის შესახებ, რომ გადასახადებს, გარდა ფისკალურისა, შეიძლება ჰქონდეს სხვა მიზანი. კერძოდ, გამოიყენება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის განვითარებისათვის. სახელმწიფოს საგადასახადო მექანიზმის მეშვეობით აქტიურად შესაძლებელია ზემოქმედება ეკონომიკური განვითარების მიმართულებებზე.

საგადასახადო პოლიტიკა, როგორც სამეურნეო ურთიერთობათა სახელმწიფო რეგულირების ინსტიტუტი, მიკროეკონომიკურ დონეზე ასრულებს შემდეგ **ძირითად ფუნქციებს**: ფისკალურ ფუნქციას, მასტაბილირებელ ფუნქციას, მარეგულირებელ ფუნქციას.

მსოფლიო განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემების ტრანსფორმაციის გა-

მოცდილების **შედარებითი ანალიზი** ცხადყოფს, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოიყოფა ორი ძირითადი ეტაპი, რომლებიც ბაზარზე ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების განსხვავებულ **კონცეპტუალურ მიდგომებს** შეესაბამება, კერძოდ: 1) 1950-70-იან წლებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი საბოლოოდ მოითხოვდა საგადასახადო სისტემებში საგადასახადო დაბეგვრის ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციების უპირატეს რეალიზაციას; 2) 1980-90-იან წლებში გლობალიზაციის პროცესმა, ეკოლოგიზაციამ და მეცნიერულტექნიკური პროგრესის დაჩქარებამ, უპირატესად სოციალური სტაბილურობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოითხოვა თანამედროვე საგადასახადო სისტემებში **ფისკალური მასტაბილიზებელი და მარეგულირებელი ფუნქციის კომპლექსური რეალიზაცია**. პრიორიტეტთა შეცვლა საინვესტიციო აქტივობის სტიმულირების მეთოდებში, წარმოადგენდა საშემოსავლო დაბეგვრის ლიბერალიზაციის ერთ-ერთ მიმართულებას, რომელმაც მიგვიყვანა საგადასახადო განაკვეთების საერთო დაცემამდე, აგრეთვე საგადასახადო ტვირთის უფრო სამართლიანი გადანაწილების უზრუნველყოფამდე – პრინციპით თანაბარი გადასახადი თანაბარ შემოსავლებზე.

მოსახლეობის შემოსავლების საგადასახადო დაბეგვრის ამგვარი გათანაბრება ხორციელდებოდა **კორპორაციათა** შემოსავლების მიმართაც პირდაპირი და არაპირდაპირი დაბეგვრის სისტემათა ევოლუციის პროცესების შედარებამ ცხადყო მჭიდრო კავშირის არსებობა საგადასახადო პოლიტიკის ორ პრიორიტეტულ მიმართულებას შორის. მეწარმეთა საინვესტიციო აქტივობის სტიმულირების და მოქმედების სფეროს თანმიმდევრული გაფართოების პარალელურად, თანდათან იზრდებოდა მოხმარებაზე დანესებული გადასახადები (პირველ რიგში, დღგ). ისწრაფვოდნენ რა საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, აგრეთვე ინვესტიციების ზრდის წასახალისებლად, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანათა მთავრობები თანმიმდევრულად აცხადებდნენ მწარმოებლებზე საგადასახადო წნეხის შესუსტების პოლიტიკას, ხოლო ინვესტორებისათვის-საგადასახადო შეღავათების სისტემის რეფორმირებას. ამ სიტუაციაში ბიუჯეტის დანაკარგის გარკვეული კონპენსირება კი საშუალებას იძლეოდა, რომ თანდათანობით გაზრდილიყო განაკვეთები და გაფართოებულიყო მთლიანად არაპირდაპირი საგადასახადო დაბეგვრის ბაზა, პირველ რიგში, კი დღგ-ზე მწარმოებლისათვის. საგადასახადო განაკვეთების თანმიმდევრული კლებით, მოქმედების სფეროს გაფართოებითა და დღგ-ს ხარჯზე, ასევე სხვა არაპირდაპირი გადასახადებით. ბიუჯეტის შემოსავლების ზრდით სახელმწიფომ შექმნა ეროვნული კაპიტალის ინვესტირების პოტინციურ შესაძლებლობათა ზრდისა და კერძო ინიციატივის სტიმულირების მძლავრი მექანიზმი.

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ჩამოყალიბდა **საგადასახადო შემოსავლების ერთიანი სტრუქტურა,** რომელიც რამდენიმე ძირითად შემადგენელს მოიცავს: ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი; კორპორაციათა მოგების გადასახადი; სოციალური დაზღვევის შენატანები; საკუთრებაზე გადასახადი; ასევე აქტიურად ვითარდებოდა საპროცენტო შემოსავლების საგადასახადო დაბეგვრის სისტემა.

მეორე და მესამე ათასწლეულის მიჯნაზე საგადასახადო რეგულირების პრინციპულად ახალი მიმართულება გახდა საგადასახადო მექანიზმების პროცესი, რომელმაც ხელი შეუწყო ცენტრალურ-გეგმიანი მეურნეობიდან საბაზრო ეკონომიკურ სტრუქტურებზე გადასვლას. სამეურნეო სუბიექტების საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში ჩართვის შემდეგ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისაგან **საგადასახადო სისტემის** უმნიშვნელოვანესი პრინციპული **განსხვავება** მდგომარეობს შემდეგში:

საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგადასახადო სისტემები ბიუჯეტის შევსების ფისკალური ფუნქციის გარდა, წარმატებით ასრულებს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და საგარეო-ეკონომიკური კავშირების რეგულირების ფუნქციებს. განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემის წამყვან როლს სახელმწიფოებრივი გადასახადები ასრულებენ, ხოლო ადგილობრივი გადასახადები დამხმარეს, თუმცა მათი მნიშვნელობა სხვადასხვა ქვეყნებში ძალზე განსხვავებულია, მაგალითად აშშ-სა და ნიდერლანდებში საერთო სახელმწიფოებრივ გადასახადებად გამოდის პირდაპირი გადასახადები, რომელთა შორის მთავარია ფიზიკურ პირთა საშემოსავლი გადასახადი, კორპორაციათა მოგების გადასახადი. აღნიშნულ გადასახა-

დებს ბიუჯეტში ტრადიციულად მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. ამ სახის გადასახადების რეფორმირებას საფუძვლად დაედო „ერთობლივი მიწოდების" კონცეფციის დებულება, რომელიც ითვალისწინებს ფისკალური პოლიტიკის ლიბერალიზაციას. ნეოკონსერვატიული მიდგომით საგადასახადო რეფორმების განხორციელებისას, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იანი წლების შუა პერიოდიდან 90-იანი წლებამდე გაგრძელდა. შემოსავლებზე გადასახადების უკიდურესად მაღალი განაკვეთები შემცირდა.


ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმის და მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს რეფორმები ფისკალურ სფეროში, ახალი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება, რომლის ძირითად მიზნებს წარმოადგენს: 1) ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესება საქართველოში; 2) უცხოური ინვესტიციების მოზიდვა; 3) ფისკალური დისციპლინის გამტკიცება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ამ მიმართულებით. განხორციელდა რადიკალური ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, შემცირდა გადასახადების ოდენობა (იხ. ნახ. 2.1. საქართველოს გადასახადების ინდექსების დინამიკა).

გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის გადამხდელების მიმართ გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები, შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. მნიშვნელოვანია ის, რომ საგადასახადო კოდექსით არსებული 21 გადასახადიდან დღესდღეობით მოქმედებს მხოლოდ 6 გადასახადი. ამასთან, ინვესტიციებისთვის ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად განახლდა საქართველოსათვის მისაღები მოდელი „შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთის შესახებ".

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა საჭიროა ახალი სტრატეგიული ცვლილებები ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და ქვეყნის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, რამაც უნდა უზრუნველყოს: ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნება; მაკროეკონომიკურ სტაბილურობა; ხარჯების ზრდა პრიორიტეტულ მიმართულებებზე; საფინანსო წესრიგის გაძლიერება. ამ მიზნით, ფისკალურ პოლიტიკაში განსახორციელებელია შემდეგი ღონისძიებები: შემცირდეს სახელმწიფოს ხვედრითი წილი ეკონომიკაში – შემცირდეს ბიუჯეტის ხარჯების წილი მშპ-თან მიმართულებით 28, 2%-დან 18% -მდე მაინც; ბიუჯეტები გახდეს ნაკლებად დეფიციტური;

დიაგრამა. 2-1. საქართველოს საგადასახადო ინდექსების დინამიკა



შესაბამისად, ასეთ პირობებში საგადასახადო დაბეგვრის მარეგულირებელი ფუნქცია შეასრულებს საბაზრო ეკონომიკაში კონკურენტული ძალების სტიმულირების როლს, ხოლო დაბალი და ნეიტრალური საგადასახადო განაკვეთები მოწოდებული იქნება დადებითი ზემოქმედება მოახდინოს: ა) სამეწარმეო აქტივობის ზრდაზე; ბ) ინფლაციური პროცესების შეჩერებასა და ფასების სტაბილურობაზე; გ) დაუბეგრავი შემოსავლის მოცულობების ზრდის ხარჯზე; დ) ერთობლივი მოხმარების მატებაზე;

სახელმწიფოს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების აუცილებობა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

პირველი. მეცნიერულად დასაბუთებული ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე ეკონომიკის ახლად შექმნა და მისი გაძლოლა ემსგავსება უკომპასო გემის მართვას. იგი იმის რაციონალური განსაზღვრაა თუ საით წავიდეს მთლიანად ქვეყანა და მისი ცალკეული რეგიონი, რა მიმართულებით ვფიქრობთ განვითარებას. ვიდრე ასეთნაირად არ დაისმება და გადაწყდება საკითხი, მანამდე ვერ ვიქნებით დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენი ძალისხმევა სწორი მიმართულებისაა.

მეორე. მეცნიერულად დასაბუთებული ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებელი ინსტრუმენტია ქვეყნის რესურსების მსოფლიო ეკონომიკურ ბრუნვაში მოსაქცევად და პირიქით, დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში არც ერთი ქვეყანა არ არსებობს, რომელსაც შეეძლოს დაიკმაყოფილოს თავისი მრავალმხრივი მოთხოვნილებები მხოლოდ საკუთარი რესურსებით.

მესამე. ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის დამუშავების ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია მთლიანად ქვეყნის და მისი **რეგიონების უსაფრთხო განვითარების** უზრუნველყოფის ამოცანებიდან.

როგორც ცნობილია, **ეკონომიკის უსაფრთხო განვითარება** მრავალფაქტორული და მრავალმასშტაბიანი ამოცანაა. მას ჩვენ განვიხილავთ როგორც ქვეყნისა და რეგიონების ეკონომიკური ინტერესების ერთობლიობას, ამ ინტერესთა დაბალანსებულობას, ჰარმონიულ შეთანაწყობას. ქვეყნის უსაფრთხო განვითარება უნდა ითვალისწინებდეს მისი ცალკეული რეგიონების უსაფრთხო განვითარებას და პირიქით. გაუმართლებელია ზრუნვა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე და ვერასოდეს ვერ მოგვიტანს იგი დადებით შედეგებს, თუ მასში ორგანულად არ იქნება ასახული **ცალკეული რეგიონების უსაფრთხო განვითარების ამოცანები და მიზნები.** ასევე უშედეგო იქნება ნებისმიერი ზრუნვა რეგიონის უსაფრთხო განვითარებაზე. თუ იგი არ ითვალისწინებს მთელი ქვეყნის ერთიან ეროვნულ ინტერესებს. როდესაც ვასაბუთებთ, რომ ფინანსურ-ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს ჯანსაღი **კონკურენციული** გარემოს ფორმირებას, ვგულისხმობთ, რომ მან უნდა უზრუნველყოს რესურსების გამოყენების ან განაწილების ეფექტიანობის მაღალი ხარისხი. შესაბამისად, ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების რეგულირება, რეგიონებს შორის, თვით რეგიონების შიგნით, რეგიონების ურთიერთობა ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან და სხვა ამგვარი რეგიონთაშორისი და რეგიონული ურთიერთობანი საჭიროებენ, (განსაკუთრებით ამ ურთიერთობათა ფორმირების თანამედროვე ეტაპზე), სახელმწიფოს მიერ ეკონომიკური რეგულაციის როლის შესრულების მაღალ დონეს. სწორედ სახელმწიფომ უნდა შექმნას ამ ურთიერთობათა შეხამების, მათი სრულყოფისა და განვითარებისათვის აუცილებელი გარემო, მან უნდა შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა და ამ პოლიტიკის განხორციელებისა და რეალიზაციის ისეთი ტაქტიკური ხერხები (შესაბამისი ორგანიზაციულ-მმართველობითი სტრუქტურებით, საკანონმდებლო ბაზით და სხვა), რომელიც რეგიონის შეთანაწყობილი განვითარების საფუძველზე უზრუნველყოფს ეროვნული მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანას და მსოფლიო მეურნეობის დონეზე განვითარებას. ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაში უფრო იზრდება და მეტ დატვირთვას იძენს **რეგიონულ დონეზე,** განსაკუთრებით ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორიცაა **ინოვაციური** და **ინვესტიციური პროცესების დაჩქარება;** რეგიონებში უმუშევრობის დონეების შორის განსხვავების შემცირება, სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების დაახლოების გზით, ქალაქიგიგანტების (თავკომბალების) ზრდის შეზღუდვა, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის განსხვავების შერბილება, ქვეყნის მთიანი, განაპირა მხარეების გაუკაცრიელების პროცესების შეჩერება და სხვა.

კვლევები მოწმობს, რომ საქართველოში დღეს ყველა პირობაა იმისათვის, რომ შემუშავე-

ბული და რეალიზებული იქნეს მეცნიერულად დასაბუთებული, მაღალეფექტური **სოციალურად** ორიენტირებული **ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა**. სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზნით საჭირო იქნება დაძაბული, კოორდინირებული მუშაობა, უნდა განხორციელდეს ეკონომიკურ ურთიერთობათა მექანიზმის ფორმირება საკუთრებით ურთიერთობათა სფეროში. ეს უკანასკნელი კი საჭიროებს მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელებას. კერძოდ: ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე სახელმწიფო საკუთრების (მათ შორის ბუნებრივ რესურსებზე საკუთრების) **კონცეფციის** დამუშავება; საკუთრებითი ურთიერთობის ზოგადი პრინციპებისა და ეკონომიკური საფუძვლის განვითარების განსაზღვრა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს სახელმწიფო საკუთრება და მუნიციპალური საკუთრება; პრივატიზაციის პროცესის დეცენტრალიზაციის საკითხის გადაწყვეტა და სხვა. პრივატიზაციის სახელმწიფო პროგრამა უნდა მოიცავდეს მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას და სხვა შემთხვევებში ატარებდეს სარეკომენდაციო ხასიათს.

საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, როგორც ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი მისი დამუშავება მოიცავს, სრულიად ახალ პრინციპებზე საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და მის პრაქტიკაში წარმატებით დანერგვას. საქმე ეხება სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტის რეგიონულ ბიუჯეტთან და, პირიქით, რეგიონული ბიუჯეტების ერთიმეორესთან ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამ ურთიერთობათა საფუძველზე ისეთი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ერთნაირად შეუწყობს ხელს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების (მხარეების) ეფექტიან ფუნქციონირებას. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს და ამ პოლიტიკის ერთ-ერთი რთული, მრავალასპექტიანი და მრავალფაქტორიანი ფენომენია. იგი არის შესაბამისი სახელმწიფოებრივი დონის სისტემების ნაკრები, ერთიანი ნაწილი, რომელიც ამ სახელმწიფო სისტემებთან როგორც გენეტიკურად, ისე სტრუქტურულად არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, თუ ავტონომიურობის რა ზომით არის წარმოდგენილი. იგი, სწორედ რომ მთლიანის, ერთიანის ნაწილია და თავისებურად ასახავს ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის თანაფარდობას, მიმდინარე ცენტრიდანულ და ცენტრისკენულ ტენდენციებს.

ეკონომიკური პროტექციონიზმი უნდა ხორციელდებოდეს სუსტად განვითარებული რეგიონების (პირველ რიგში მთის რეგიონების) მიმართ. გათანაბრების ისეთი პოლიტიკის განხორციელება, რომელიც, ჯერ ერთი, ეფექტურად მუშაობის სტიმულს არ დაუკარგავს ეკონომიკურად ძლიერ რეგიონს და მეორე, მუდმივად სხვის კმაყოფაზე ცხოვრების სურვილს არ გაუჩენს ეკონომიკურად დაბალი დონის განვითარების რეგიონს. იმის მიხედვით თუ რამდენად მოფიქრებულად, მეცნიერულ დონეზე გადაწყვეტილად იქნება ჩამოთვლილი ფუნქციები და რამდენად ლოგიკურად იქნება ისინი ჩამჯდარი საერთო სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის სტრუქტურაში, ბევრად არის დამოკიდებული საერთო სახელმწიფო და რეგიონული ინტერესების რეალური ბალანსის მიღწევა და მაშასადამე, სახელმწიფოს მთლიანობა, საზოგადოების მდგრადობა, მისი შემდგომი აღმავლობა.

სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, ისევე როგორც ყველა ქვეყანაში უკმაყოფილებისა და კრიტიკის საგანია. იმისათვის, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი უკმაყოფილების მიზეზები, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ მთელ რიგ **მოთხოვნებს**, რომელთაგან გამოვყოფთ შემდეგს: ა) უნდა იყოს მიზნობრივი რეგიონული ორიენტაციის; ბ) ამის გარეშე იგი გადაიქცევა ტოტალიტარულ-სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო მეურნეობის დანამატად, ჩვეულებრივ, დაბალ დონედ; გ) უნდა ემყარებოდეს სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემასთან თანაარსებობის მკაცრ და სტაბილურ წესს; დ) თავის თავში უნდა ასახავდეს ყველაფერ იმას, რაც კი კანონით ეკუთვნის, მეურნე სუბიექტებს, რეგიონებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე; ე) გარდა აღნიშნული მოთხოვნებისა, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა უნდა იყოს: მარტივი (ადვილად შესრულებადობის მოთხოვნა); ვ) გასაგები (სისტემის აგების ლოგიკურობისა და ლაკონურობის მოთხოვნა სახსრების ფორმირებისა და ხარჯვის დასაბუთებულობის პრინციპი); ზ) სამართლიანი (რეგიონული და სახელმწიფო ინტერესების, მოსახლეობის ცალკეული სოციალური ჯგუფების მოთხოვნილებების ურთიერთ-გათვალისწინების, შეხამების მოთხოვნა); თ) ადვილად მართვადი და სტაბილური (კაპიტალდაბანდებათა ფართო მასშტაბე-

ბით განხორციელებისა და ბიზნეს-გეგმების საფუძველზე წინასწარი დაგეგმვის მოთხოვნა);

როგორც, **ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილება** გვიჩვენებს, რომ დემოკრატიული პროცესების განვითარების დონის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ-რეგიონულ, სამხარეო, ტერიტორიულ ორგანოებს შორის ურთიერთმიმართების, მათ შორის უფლებებისა და მოვალეობის გამიჯვნის ხარისხი, უწინარეს ყოვლისა ფინანსურ-ეკონომიკურ სფეროში. ეს იმას ნიშნავს, რომ რეგიონული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად აღჭურვილნი არიან განსაზღვრული ქონებრივი, ეკონომიკური, საფინანსო-ბიუჯეტური, იურიდიული და სხვა უფლებებით. აღნიშნული იმაში გამოიხატება, რომ ქვეყნის განვითარების რეგულირების ფუნქციები ერთიანი სახელმწიფო ცენტრალური ორგანოებიდან სულ უფრო მეტად ინაცვლებს ადგილობრივ, რეგიონულ (სამხარეო) დონეზე. თეორიულად დასაბუთებულია და განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაც ამას გვიდასტურებს, რომ რეგიონებისათვის და მისი ქვემდგომი დონეებისათვის მეტი უფლებებისა და პასუხისმგებლობის გადაცემა დემოკრატიის განვითარების პირობაა. **შესაბამისად,** რეგიონალიზაციის პროცესების გაღრმავება მსოფლიოში კანონზომიერ მოვლენად არის ჩამოყალიბებული. საქართველოში მისი განხორციელებისთვის საჭიროა თანმიმდევრული, სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებად ქცეული, საზოგადოების ყველა ფენასთან შეთანხმებული ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის დაუღალავი მუშაობა.

4.2. საქართველოს რეგიონების განვითარების მაჩვენებელთა სისტემის დახასიათება

თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების მსოფლიო პროცესის კონტექსტში საქართველომ თავისი **გეოპოლიტიკური მდგომარეობის** გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ეროვნული ეკონომიკის განვითარების სამომავლო და გრძელვადიანი **სტრატეგიული მიზნების** განხორციელების კონცეფცია, რომელიც მეცნიერულ საფუძვლებზე განსაზღვრავს ეკონომიკის ძირითად მიმართულებებს, რეგიონული განვითარების პრიორიტეტებსა და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების ეტაპებს. ამ მიზნით, აუცილებელია შესაბამისი თეორიების გააზრება, ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ქვეყნის განვითარების პროგნოზირებისა და რეგიონული პოლიტიკის შემუშავება არსებული მწვავე პრობლემების გადასაწყვეტად.

გეოპოლიტიკა თანამედროვე მსოფლიოში წარმოადგენს ხელისუფლებისთვის სახელმძღვანელოს, რომელშიც გათვალისწინებულია ისეთი გლობალური გადაწყვეტილებების მიღება, როგორიცაა კავშირების დამყარება, ომის დაწყება, რეფორმის განხორციელება, საზოგადოების სტრუქტურული გარდაქმნა, პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების დაწესება და ა. შ. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს როლისა და ადგილის გარკვევა მსოფლიო თანამეგობრობაში, იმ გეოპოლიტიკური ძალების ცვლილების კონტექსტში, რომელიც ბოლო წლებში მოხდა. საქართველო, როგორც ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა კავკასიის რეგიონში, მდებარეობს მსოფლიო მნიშვნელობის სტრატეგიულ ინტერესთა გადაკვეთის გზაჯვარედინზე, რაც განაპირობებს იმ ფუნქციას, რომელიც ქვეყანამ შეიძინა თავისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

მსოფლიო სამეურნეო კავშირ-ურთიერთობების თანამედროვე გლობალურ სისტემაში ჩამოყალიბდა **მაკროეკონომიკური განვითარების შემდეგი მოდელები**:

1) ანგლო-საქსონური ტიპის ნეოლიბერალური ეკონომიკა;

2) სოციალური საბაზრო ეკონომიკა;

3) აღმოსავლეთ-აზიური ეკონომიკა;

4) ჩინეთის ეკონომიკა და ა. შ.

მაგრამ ქვეყნების განუმეორებელი თავისებურებებიდან გამომდინარე არ არსებობს საერთო „იდეალური მოდელი", ამიტომ **საქართველომ** უნდა აირჩიოს ის რეალური მოდელი, რომელიც ქვეყნის თავისებურებების ადექვატური იქნება და უნდა ითვალისწინებდეს როგორც დასავლურ, ასევე აღმოსავლურ ცივილიზაციებში არსებულ მიღწევებს და პროგრესულ იდეებს.

შესაბამისად საქართველოში უნდა შემუშავდეს სათანადო **ნეოეკონომიკური სტრატეგია**. უნდა მოხდეს ქვეყანაში ტექნოლოგიური უპირატესობის მიღწევა ცალკეულ სფეროებში და მსოფლიო ბაზარზე ამა თუ იმ პროდუქციის საკუთარი სეგმენტის მოპოვება. ევროკავშირში გაწევრიანებისათვის აუცილებელი იქნება სერიოზული ინსტიტუციური ცვლილებების გატარება და ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურის გამოსწორება: სოფლის მურნეობის ხვედრითი წილის დაყვანა მშპ-ის **8-9%-მდე**, მრეწველობის ხვედრითი წილის ამაღლება **22-25%-მდე** და მომსახურების სფეროს წილისა – **65-70%-მდე**.

როგორც ცნობილია, კავკასიის რეგიონში საქართველოს ცენტრალური მდებარეობა განაპირობებს მთელ რიგ უპირატესობას გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ნამდვილი სუვერენიტეტის, მაქსიმალური პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამიტომ საქართველომ უნდა შეიმუშაოს საფუძვლიანი, რეალისტური და პერსპექტიული სტრატეგია მსოფლიო პოსტინდუსტრიალიზმზე გადასვლის პირობებში.

თანამედროვე გეოსტრატეგიული პოტენციალის გამოყენება უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის უსაფრთხო განვითარებას, მისი როლის ამაღლებას კავკასიასა და მთლიანად მსოფლიოში. აუცილებელია განისაზღვროს საქართველოს **გეოსტრატეგია** მრავალსცენარიანი და მრავალვარიანტიანი მიდგომით მსოფლიოს გეოსტრატეგიული ტრანსფორმაციის გათვალისწინებით.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, წინმსწრები სტრატეგიის განხორციელება, რომელიც იქნება აქტიური, პროფილაქტიკური, რათა თავიდან ავიცილოთ ეკონომიკური საფრთხის შედეგები, დესტაბილიზაციის ფაქტორები. შესაბამისად, საქართველომ უნდა მონახოს თავისი ადგილი მსოფლიო განვითარებასა და უსაფრთხოებაში, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში.

უსაფრთხოება – ეს არის ობიექტის, მისი კავშირების მდგრადობა-გადარჩენის და განვითარების უნარის თვალსაზრისით შინაგანი და გარეგანი მუქარის, საშიშროების, აგრეთვე, შეუცნობადი და ძნელად პროგნოზირებადი ფაქტორების პირობებში სტაბილურობის შენარჩუნება.

საქართველოსათვის უსაფრთხო განვითარების პრინციპებად გვევლინება:

1) საშიშროების აღმოფხვრა მთელი სპექტრით – საქართველოს მთავარი ეროვნული ინტერესი;

2) ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა;

3) სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნება, თავისუფლების პრინციპების რეალიზება საქართველოში არსებულ სახელმწიფო ინსტიტუტებსა და კანონებში;

4) საქართველოს ინტერესების დაცვა პოლიტიკურ სფეროში. მათ შორის:

ა) უსაფრთხო განვითარების გრძელვადიან ინტერესებს: მსოფლიოში საერთო სტაბილურობის შენარჩუნება, შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობის გაწევა ლოკალური შეიარაღებული კონფლიქტებისადმი; საქართველოს ტერიტორიის სიახლოვეს დაძაბულობის კერების აღმოფხვრა; ყველა სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება და მათი გარდაქმნა პარტნიორობის დონეზე; საქართველოს საშუალოვადიანი ინტერესები – ნორმალიზება და სტაბილიზაცია როგორც შიგა, ისე ახლო გარემოში;

ბ) მოკლევადიან ინტერესებს: აფხაზეთსა და შიდა ქართლში ქვეყნის იურისდიქციის აღდგენა; კონფლიქტების დარეგულირება კავკასიის რეგიონში;

5) საქართველოს სასიცოცხლოდ აუცილებელ ინტერესების დაცვა: სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა კონსტიტუციური წყობის საფუძველზე; ქვეყნის ეკონომიკური აღორძინება და მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება; საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება კანონების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საფუძველზე.

ამრიგად, საქართველომ სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დასაძლევად და გლობალური უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად უნდა შეიმუშაოს **მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა ეროვნული პრიორიტეტების ფორმირებით,** ქვეყნის ინტერესების დაცვის უზრუნველმყოფელი **საიმედო სისტემის** შექმნით. აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემის განხილვა შიგა და გარე ეკონომიკურ პორბლემებთან მიმართებაში, აგრეთვე ისეთ სფეროებში, როგორიცაა: სამხედრო-ეკონომიკური, ქვეყნის სამეც-

ნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალის დაცვა; საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა (ჩრდილოვანი ეკონომიკის პრობლემები, ეკონომიკაში ორგანიზებული დანაშაულები და კორუფცია; ეკონომიკური თაღლითობა განხორციელებული კანონის ჩარჩოებში და ა. შ.); ბუნებისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების სფერო და ა. შ.

საქართველოს **ეკონომიკური უსაფრთხოების ობიექტს** განეკუთვნება: სახელმწიფო მისი სისტემით და ყველა ბუნებრივი რესურსით; საზოგადოება მისი ინსტიტუტებით, დაწესებულებებით, ფირმებითა და მოთხოვნებით, ხოლო საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების **სუბიექტებად** გვევლინება: ფუნქციურ-დარგობრივი სამინისტროები და უწყებები, საგადასახადო და საბაჟო სამსახურები, ბანკები, ბირჟები, ფონდები და სადაზღვევო კომპანიები, ასევე, პროდუქციის მწარმოებლები და გამყიდველები, მუშათა, მოსამსახურეთა და მომხმარებელთა საზოგადოებები, რომლებმაც **უნდა უზრუნველყონ**::

ა) ფაქტორთა სისტემის განსაზღვრა, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური სისტემის მდგრადობას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;

ბ) ისეთი ეკონომიკური პოლიტიკისა და ინსტიტუციური გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც ააცილებს, ან შეარბილებს ამ ფაქტორების საზიანო მოქმედებას ეკონომიკური რეფორმის ჩარჩოებში;

გ) ეკონომიკის მდგომარეობის ისეთი კრიტერიუმების და პარამეტრების განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ უსაფრთხოებას და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას.

სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში, საჭიროა განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოების მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ინსტიტუტების გამოყენებით, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედებით, რომელიც მიმართული უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, საქართველოს კონსტიტუციური წყობის საფუძვლების განსამტკიცებლად, საერთო სახელმწიფოებრივი ფასეულობების და ინტერესების ფორმირების მდგრადი სისტემის შესაქმნელად.

გარდამავალ პერიოდში აუცილებელია ეკონომიკური უსაფრთხოების სფეროში **სახელმწიფოებრივი რეგულირება**, შიდა და გარე საშიშროებათა თავიდან აცილება, ან დაძლევა. კერძოდ:

ა) რეალურ შიდა საშიშროებად გვევლინება: ა) წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული ეკონომიკის დეფორმირებული სტრუქტურა; ბ) მრეწველობის და, საერთოდ, ეროვნული ეკონომიკის დაბალი კონკურენტუნარიანობა (გამოწვეული ტექნოლოგიური ბაზის უქონლობით, მაღალი ენერგო და რესურსტევადობით, პროდუქციის დაბალი ხარისხითა და წარმოების მაღალი ხარჯებით); გ) მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გაუარესება, პოზიციების დაკარგვა მეცნიერების ცალკეულ დარგებში. შედეგად კადრების გადინება საზღვარგარეთ და საქმიანობის სხვა სფეროებში; დ) ეკონომიკის მონოპოლიზაციის მაღალი დონე; ე) დაბალი ინვესტიციური აქტივობა საშუამავლო და საფინანსო საქმიანობაში, მეწარმეობის საზიანოდ; ვ) მოსახლეობის ქონების განადგურება, სოციალური პრობლემების გამწვავება, უმუშევრობა, ნარკომანია, ორგანიზებული დანაშაული, სოციალური სფეროს დაწესებულებების დეგრადაცია, ნაკლებანაზღაურებადი პირებისათვის ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის სფეროს ხელმიუწვდომლობა, რის შედეგადაც გაუარესდა მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა; ზ) რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების განსხვავებული დონე. ამის შედეგად ტრადიციული საწარმოო-ტექნოლოგიური კავშირების რღვევა ცალკეულ რეგიონების საწარმოებს შორის, ცენტრსა და რეგიონებს შორის ნორმალური ეკონომიკური ურთიერთობების მოშლა, ეკონომიკის დარგთაშორისი ბალანსის დარღვევა, შიგა ვალის უკონტროლოდ გაზრდა; თ) ეკონომიკის კრიმინალიზაცია; კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულობების ზრდა, მისი შეღწევა ეკონომიკის წამყვან დარგებში, რის შედეგადაც შესუსტდა სახელმწიფოებრივი კონტროლი; ეკონომიკის მართვის კრიმინალიზაცია და კორუმპირებულობა; ადეკვატური კანონმდებლობის და სასამართლო სისტემის არარსებობა; საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი ინსტიტუტების შეუქმნელობა; ი) პრივატიზების სფეროში პოლიტიკის გატარება, რაც გამოიხატება საპრივატიზაციო ობიექტების ღირებულების მკვეთრად შემცირებაში და სხვა.

ბ) რეალურ გარე საშიშროებად განიხილება: ა) საქართველოს შინაგანი ბაზრის დაპყრობა უცხოური ფირმების მიერ და შესაბამისად, მრავალი სახის საქონლის იმპორტის მოზღვავება; ბ) ტრადიციული ბაზრების დაკარგვა ნედლეულის ექსპორტის ზრდა; გ) უცხოური ფირმების მხრიდან ქვეყნის საწარმოთა მისაკუთრება, ეროვნულ მეწარმეთა ბაზრებიდან გაძევების მიზნით; დ) საგარეო ვალების ზრდა ამასთან დაკავშირებით ბიუჯეტის სახსრების გადინება მის დასაფარავად; ე) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა იმპორტ-ექსპორტის ოპერაციების შესასრულებლად; ვ) არასაკმარისი საექსპორტო-საბაჟო კონტროლი და საზღვრების მოუწყობლობა.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების შესაფასების პრაქტიკაში გამოიყენება შემდეგი მეთოდები:

1) ძირითად მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე ყურადღების მიქცევა და მათი შედარება სხვა მაჩვენებლებთან, რომლის ხარისხობრივ მაჩვენებლადაც ითვლება საერთო მსოფლიო მაჩვენებლები;

2) ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპის შეფასება ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით და მათი დინამიკა;

3) ექსპერტული შეფასების მეთოდები, რომლებიც გამოიყენება გამოსაკვლევი პროცესების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისათვის, რისთვისაც იყენებენ გადაწყვეტილების მიღების ლოგიკურ წესებს, რომლებსაც აყალიბებენ ექსპერტები საკუთარი შეხედულებებისა და ცოდნის მიხედვით რომელიმე დარგის პროგრამის საფუძველზე.

4) კრიზისული დონის შეფასებისა და ტერიტორიების რანჟირება ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროების მიხედვით ეფუძნება ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტობრივი კომპლექსური **ინდიკატორების** ანალიზს, რომელიც მიიღება ეკონომიკური უსაფრთხოების შემსწავლელი ინდიკატორების ერთიანობით.

ამრიგად, ეკონომიკის ფუნქციონალური უსაფრთხოების **ინდიკატორთა სისტემა** მოიცავს: ა) ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების ინდიკატორებს; ბ) სოციალური უსაფრთხოების ინდიკატორებს; გ) ფინანსური უსაფრთხოების ინდიკატორებს, რომლებიც მხოლოდ საფრთხის ხარისხის განსაკუთრებით გამწვავების პირობებში გადაიქცევა სერიოზულ მუქარად სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისათვის.

სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი ინდიკატორებია: ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი; მოსახლეობის რაოდენობა და დინამიკა; მშპ-ს მოცულობა; მშპ მოსახლეობის ერთ სულზე; ინვესტიციები ადამიანისეულ კაპიტალში; ინვესტიციები ძირითად კაპიტალში; სიღარიბის დონე, დეცილური და ჯინის კოეფიციენტი; მინიმალური ხელფასი საარსებო მინიმუმთან მიმართებით; ხელფასის წილი მშპ-ში; უმუშევრობის დონე; ინფლაციის ტემპი; ეკონომიკური ზრდის ტემპი; ეკონომიკური ზრდის კონკურენტუნარიანობა; ტექნოლოგიური კონკურენტუნარიანობა; ტექნოლოგიური მიღწევების ინდექსი; ინტერნეტიზაციის ინდექსი; ინფორმაციული სექტორის წილი მშპ-ში; სამრეწველო ეფექტიანობის დონე; სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი; საშინაო და საგარეო ვალის წილი მშპ-ში; საგადასახდელო ბალანსის სალდო; იმპორტის წილი შიგა მოხმარებაში; ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მდგრადობის ხარისხი; ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ში; თავისუფლების ინდექსი და სხვ.

ეკონომიკური უსაფრთხოების მართვისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისი პარამეტრების პესიმისტური და ოპტიმისტური ზღვრული სიდიდეების განსაზღვრას. პესიმისტური ზღვრული სიდიდე გულისხმობს იმ მინიმალურ ზღვარს, რომლის გადაჭარბების შემთხვევაში ეკონომიკა მძიმე კრიზისულ ვითარებაში აღმოჩნდება, მისი სრული ან ნაწილობრივი ნგრევა, დეგრადაცია და ფუნქციონირების მოშლა იწყება. ოპტიმისტური ზღვრული სიდიდე გულისხმობს იმ ობიექტურ ზღვარს, რომლის დროსაც, (ან გადაჭარბების შემთხვევაში) ეკონომიკა მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ტრაექტორიაზე გადადის და ეკონომიკის დამანგრეველი, ღრმა და ხანგრძლივი კრიზისული პროცესები გამოირიცხება თვითგანვითარების მძლავრი უნარისა და მექანიზმების არსებობის შედეგად.

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების **კონკრეტული ინსტრუმენტის** განსაზღვრისას, გავითვალისწინებელია ზემოთ ჩამოთვლილი ეკონომიკური უსაფრთხოების საშიშროებანი, მოქმედების ხასიათი და მათი თავიდან აცილების შესაძლებლობანი. შესაბამისად, სახელმწი-

ფომ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად უნდა განახორციელოს შემდეგი **ღონისძიებები:**

ა) შექმნას ინფორმაციული ბაზა ეკონომიკური უსაფრთხოების მიზნით შიგა და გარე საშიშროების გამოვლენა-პროგნოზირების საფუძველზე;

ბ) ოპერატიული და გრძელვადიანი ზომების შემუშავება შიგა და გარე საშიშროების გამოვლენა-ნეიტრალიზების მიზნით;

გ) სახელმწიფო ზომების კომპლექსის რეალიზება.

შესაბამისად, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მის მდგრად და უსაფრთხო განვითარებას, რომლის მიღწევა შესაძლებელი იქნება ისეთი გააზრებული სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებით **ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში,** როგორიცაა: 1) გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში არსებული რესურსების გამოყენება; 2) კრიზისის ინტენსიური დაძლევა და ქვეყნის ადაპტაცია გლობალურ პროცესებთან; 3) უცხოური ინვესტიციების მასშტაბური მოზიდვა; 4) პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის სწრაფი მიღწევა; 5) განათლების, მეცნიერების და ინფორმაციული კომპლექსის განვითარების დაჩქარება; 6) ჩამორჩენილობის დაძლევის ტემპის დაჩქარება.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, მომავალში განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე. შესაბამისად, საქართველოში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებითა და განხორციელებით მიღწეულ უნდა იქნას მთლიანად ქვეყნის და მისი ცალკეული რეგიონების დაბალანსებული განვითარება, ასევე, რეგიონთაშორისი ცივილიზებული ეკონომიკურ-ფინანსური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, დემოგრაფიულ-ეკოლოგიური კლიმატის ფორმირება და სახელმწიფოსა და ეროვნული მეურნეობის განვითარების წარმატებული სისტემის ფორმირება-დამკვიდრება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქართველოს ერთმანეთისაგან განსხვავებული რეგიონების ერთიანი სტრატეგიით განვითარება.

თავი 5.


ფინანსური ინსტიტუტების განვითარების პრობლემები საქართველოში

5.1. თანამედროვე ფინანსური ბაზრის სტრუქტურისა და განთავსების ორგანიზაცია საქართველოში

საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი და განუყოფელი ნაწილია საფონდო ბაზარი, რომელიც ფართო გაგებით არის ფასიანი ქაღალდების ბაზარი, სადაც მიმდინარეობს დაგროვების ინვესტიციებად გარდაქმნის პროცესი. საფონდო ბაზრის მდგომარეობაში აისახება მიმდინარე მაკროეკონომიკური კონიუნქტურა, რის საფუძველზეც განსაზღვრავენ **საფინანსო** (ფისკალური) და **ფულად-საკრედიტო** (მონეტური) პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

ფინანსური (ფასიანი ქაღალდების) ბაზარი მრავალი თვალსაზრისით ეკონომიკური ზრდის დაფინანსების მარტივი და საუკეთესო წყაროა ნებისმიერ ეკონომიკაში, მის ერთ პოლუსზე წარმოიქმნება ფულადი დაგროვება, მეორეზე არსებობს დამატებითი ფულადი სახსრების ინვესტიციებში ჩართვის მოთხოვნილება. შესაბამისად, არსებობს წინაპირობა ეკონომიკაში გადამანაწილებელი მექანიზმის წარმოებისათვის.

ფულადი დანაზოგების მოძრაობის მექანიზმს აქვს შემდეგი სახე (იხ. ნახ. 2-2)



ნახ.2-2. ფულადი დანაზოგების მოძრაობის გადამანაწილებელი მექანიზმი

ფინანსური ბაზარი, რომელიც რეგულირდება **მოთხოვნა-მიწოდების კანონის** მეშვეობით, წარმოადგენს როგორც ფულად ბაზარს (სადაც ხორციელდება დაგროვების მოკლევადიანი მოძრაობა), ისე კაპიტალის ბაზარს (სადაც ხორციელდება დაგროვების საშუალო და გრძელვადიანი მოძრაობა), რომლებიც ასევე მოიცავენ პირდაპირი საბანკო კრედიტების მოძრაობას, შიდასაწარმოო (საფირმო) კრედიტებს, ფულადი რესურსების გადანაწილებას სადაზღვევო დარგის მეშვეობით და ა. შ.

პირველადი ბაზარი გულისხმობს ახლად გამოშვებული ფასიანი ქაღალდების განთავსებას ემიტენტისათვის ფინანსური რესურსების მიღების მიზნით. ემიტენტის როლში (მიწოდების ბაზარზე) გამოდიან მთავრობის, ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოები, სხვადასხვა ფირმები და ა. შ. მოთხოვნას ფასიან ქაღალდებზე ახორციელებენ (მყიდველი ბაზარზე) ინდივიდუალური და ინსტიტუციური ინვესტორები (სახელმწიფო დაწესებულებები, საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ბანკები, ტრანსკომპანიები და ა. შ.) პირველად ბაზარზე განთავსებული ფასიანი ქაღალდები ხდება გაყიდვის ობიექტად, რომელთა ხელახალი გაყიდვა ხორციელდება **ე. წ. მეორად ბაზარზე.**


საფონდო ბირჟა (ინგ. *exchange*) არის ფასიანი ქაღალდებისა და სხვა საფინანსო ინსტრუმენტების ორგანიზებული, რეგულარულად ფუნქციონირებადი ბაზარი, სადაც ხორციელდება საბირჟო შუამავლების მონაწილეობა და სავაჭრო გარიგებები საფონდო ფასეულობების მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ბირჟის წესდების განსაზღვრული ოფიციალური წესით. აღსანიშნავია, რომ საფონდო ბირჟა და მისი პერსონალი არ ახორციელებს ფასიანი ქაღალდებით გარიგებას, არამედ იგი ემსახურება ამ გარიგებების დადებას, ეწევა საკონსულტაციო და საარბიტრაჟო, აგრეთვე ტექნიკურ მომსახურებას. ამასთანავე, ბირჟა თავის კლიენტებს აძლევს განსაზღვრულ გარანტიებს (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ხარისხსა და უტყუარობასთან

მიმართებაში). **მსოფლიო პრაქტიკაში** არსებობს სამი ტიპის **საფონდო ბირჟა**: 1) საჯარო უფლების (იმყოფება სახელმწიფოს მუდმივი კონტროლის ქვეშ); 2) კერძო; 3) შერეული.

კერძო საფონდო ბირჟები, როგორც კერძო კომპანიები, იქმნება სააქციო საზოგადოებების სახით. თანამედროვე პირობებში მსოფლიოში ითვლიან 200-მდე საფონდო ბირჟას.

ამრიგად, საფონდო ბირჟა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნა – მიწოდების კონცენტრაცია და მათი დაბალანსება საბირჟო ფასწარმოქმნის საფუძველზე. სასესხო ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება ყველა სახის ობლიგაცია და თამასუქი ემიტენტისა და მათი არსებობის ხანგრძლივობისაგან დამოუკიდებლად და მასში ნაგულისხმევია ემიტენტის ვალდებულება დაფაროს ძირითადი თანხა და გადაიხადოს პროცენტი (სარგებელი) შეთანხმებული საპროცენტო განაკვეთისა და ვადების მიხედვით. **საინვესტიციო ფასიან ქაღალდს** მიეკუთვნება ყველა სახის აქცია და იგი მის მფლობელს აძლევს ემიტენტის აქტივების ნაწილზე საკუთრების უფლებას (იხ. ნახ. 2.3).

ემიტენტი არის სახელმწიფო, სანარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, რომელიც უშვებს მიმოქცევაში ფულად ნიშნებს, ფასიან ქაღალდებს, საგადასახდელო-საანგარიშებო დოკუმენტებს. ეროვნული ბანკი ახდენს ფულადი ნიშნების, სახაზინო თამასუქების ემიტირებას. კომერციული ბანკები იყენებენ ფასიანი ქაღალდების, აკრედიტივებისა და სხვა საგადასახადო დოკუმენტების ემისიას. ზემოთ მოყვანილი ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ობლიგაციები და აქციები, რომლებზეც უფრო დეტალურად შეეჩერდებით.



ნახ. .2-3 ფასიანი ქაღალდების კლასიფიკაციის სქემა

ფასიანი ქაღალდების კატეგორიების მახასიათებლები:

ობლიგაცია იურიდიული, სტანდარტიზირებული დოკუმენტია, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის საგანს წარმოადგენს. იგი სავალო მოწმობაა, რომელიც მოიცავს ორ მთავარ ელემენტს:

1. ემიტენტის ვალდებულებას, დაუბრუნოს ობლიგაციის მფლობელს დათქმული ვადის გასვლის შემდეგ თანხა, რომელიც მან მიიღო მოცემული ობლიგაციის გამოშვების დროს;

2. ემიტენტის ვალდებულებას, გადაუხადოს ობლიგაციის მფლობელს რეგულარული ფიქსირებული შემოსავალი ობლიგაციაზე აღნიშნული ნომინალური ღირებულებიდან პროცენტის სახით.

ობლიგაციების კლასიფიკაციას აწარმოებენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ემიტენტის სტატუსის; გამოშვების მიზნის; ვადების; გამოშვების ფორმის საიმედოობის; შემოსავლების გადახდის; დაფარვის წესის მიხედვით.

როგორც წესი, ობლიგაციების ბაზარზე **ემიტენტებად** გევლინებიან: 1. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალური ან ადგილობრივი ორგანოები; 2. კერძო კომპანიები; 3. საგარეო მსესხებლები, რომლებიც, თავის მხრივა ა) სახელმწიფო და ბ) კერძო მსესხებლებად იყოფა.

სესხის ობლიგაციები გამოშვების მიზნის მიხედვით დაიყოფა:

1. ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია იმ ახალი პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა განხორციელებასაც ემიტენტი აპირებს,

2. ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია ემიტენტის დავალიანების რეფინანსირებისათვის,

3. ობლიგაციები, რომლებიც გამოშვებულია იმ ღონისძიებათა დასაფინანსებლად, რომელთაც ემიტენტის საქმიანობასთან კავშირი არა აქვს.

საფონდო ბაზრების მოქმედების პრაქტიკაში შემუშავებულია ობლიგაციების გამოშვებისა და მათი **დამცავი მექანიზმის მეთოდი**, რომელიც უზრუნველყოფს იმათი ინტერესების დაცვას, ვინც თავის სახსრებს ობლიგაციაში აბანდებს. უფრო ეფექტიანი მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ობლიგაციის გამოშვება შეიძლება შედგეს, თუ თითოეულ გამოშვებას ეყოლება პრაქტიკაში ნდობით აღჭურვილი პირი. ასეთად ჩვეულებრივად გვევლინება ბანკი, რომელიც ასრულებს ობლიგაციების გამოშვების პირობებისა და მათ დაცვაზე კონტროლის ფუნქციებს.

აშშ-ში არსებული კანონმდებლობით ნდობით აღჭურვილი პირის არჩევა ფასიანი ქაღალდებისა და ბირჟების შესახებ კომისიის მიერ უნდა იქნეს დაშვებული. ეს უკანასკნელიც ნდობით აღჭურვილ პირთან ერთად ჩართულია კონტროლის მექანიზმში ემიტენტის მიერ ობლიგაციის მფლობელთა ვალდებულებების დაცვაზე.

საიმედოობის თვალსაზრისით ობლიგაციები იყოფა: ა) მატერიალური აქტივების საწინდრით (საგირავნო) უზრუნველყოფილი; ბ) საწინდრით არაუზრუნველყოფილი. როგორც წესი, საწინდრის ხასიათი დაითქმება ემისიის დროს და იგი შეიძლება იყოს „ღია“ (ე. ი. შესაძლებელია მათი განმეორებითი დაგირავება) და „დახურული“. საწინდრის „ხარისხი“ მაღალია, თუ იგი მატერიალური აქტივებით (შენობები, ნაგებობები, მოწყობილობები) არის წარმოდგენილი.

ობლიგაციის ნომინალური ღირებულება არის ვალის თანხა ობლიგაციის მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში, რომელიც შემდგომში დაფარვას ექვემდებარება. იგი დაფიქსირებულია ობლიგაციის გამოშვებისას (დასაწყისშივე) და არ იცვლება მთელი ვადის განმავლობაში. ამასთან ერთდროულად ნომინალი არის მნიშვნელოვანი ათვლის წერტილი, სავალო მოთხოვნის მიერ გამომუშავებული შემოსავლისათვის. ყოველწლიურად ობლიგაციის ვადის განმავლობაში ობლიგაციის მფლობელობასთან დაკავშირებული ფიქსირებული თანხის მიღების უფლებას **ანუიტეტი** ეწოდება. წლის განმავლობაში მიღებული სარგებლის თანხის (პროცენტის) თანაფარდობას ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან **ობლიგაციის შემოსავლიანობა** (კუპონის შემოსავლიანობა) ეწოდება. როგორც წესი, იმ პერიოდის გასვლის შემდეგ, რა პერიოდითაც ობლიგაცია იყო გამოშვებული, წარმოებს მისი დაფარვა – ე. ი. ობლიგაციის მფლობელისათვის ნომინალური ღირებულების დაბრუნება.

როგორც უკვე აღინიშნა, სასესხო ფასიან ქაღალდს მიეკუთვნება ასევე თამასუქი (ინგ. Note), რომლის გამოყენება ქვეყანაში შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება. პრაქტიკაში გამოიყენება მარტივი (ჩვეულებრივი) და გადასაპირებელი თამასუქები. თამასუქების დაფარვამდე დარჩენილი პერიოდის გათვალისწინებით ისინი დაიყოფა მოკლევადიან (1 წლით) და გრძელვადიან თამასუქებად. თამასუქის ვადა განისაზღვრება დღეთა იმ რაოდენობით, რომელშიც თამასუქი მოქმედებს. ამ ვადის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია თამასუქის რეკვიზიტებიდან თამასუქის გაცემისა და დაფარვის თარიღი. თამასუქის დანარჩენი აუცილებელი რეკვიზიტებიდან აღვნიშნავთ თამასუქის დასახელებას (მარტივი ან გადასაპირებელი), ნომინალურ ღირებულებას (გასანაღდებელ თანხას), საპროცენტო განაკვეთს, თამასუქის მიღების (რემიტენტი), თამასუქის მიმცემის დასახლებას და მის ხელმოწერას.

თამასუქის პროცენტი არის რემიტენტისათვის თამასუქის გამცემის მიერ თამასუქის ნო-

მინალს ზევით გადასახდელი თანხა, რომელიც გამოიანგარიშება თამასუქში აღნიშნული საპროცენტო განაკვეთიდან გამომდინარე.

$$P = N \cdot I \cdot T \,, \qquad (2.1)$$

სადაც N – არის თამასუქის ნომინალური თანხა, I – საპროცენტო განაკვეთი, T – თამასუქის ვადის წილი წელიწადში (დღეებში).

დივიდენდი (ინგ. Dividend) არის საანგარიშო პერიოდში სააქციო საზოგადოების მიერ მიღებული მოგების ნაწილი, რომელიც აქციონერთა შორის უნდა გადანაწილდეს.

ამრიგად, აქციები წარმოადგენს მაღალორგანიზებული, კოლექტიური საკუთრების ფორმის ინსტრუმენტს, რომელიც დომინირებს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. ცნობილია კოლექტიური საკუთრების სამი ძირითადი იურიდიული ფორმა. ესენია: ა) სრული ამხანაგობა; ბ) შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და გ) სააქციო საზოგადოება. ჩვენ აქ არ განვიხილავთ ზემოთ მოტანილი კოლექტიური საკუთრების ფორმების არსს, არამედ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას იმაზე, რომ სააქციო საზოგადოების ჩამოყალიბება ხდება მრავალრიცხოვანი ადამიანის დანაზოგთა გაერთიანებით და ეს მსხვილი კოლექტიური საკუთრების ფორმის საზოგადოება (მონაწილეთა შეთანხმებით) შესაძლებელია იყოს დახურული სააქციო საზოგადოება (ანუ ამერიკული ტერმინოლოგიით – „კერძო კორპორაცია") და ღია სააქციო საზოგადოება, ანუ „საჯარო კორპორაცია".

ჩვეულებრივი აქცია არის სტანდარტული მოწმობა (ინგ. Ordinaru Share), რომელიც გამოშვებულია მოცემული სააქციო საზოგადოების ფორმირების შემდეგ. იგი გაიცემა ყველაზე, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ საზოგადოების კაპიტალის შექმნაში. ამასთან, გაცემული აქციების რიცხვი შეტანილი პაის (წილის) პირდაპირპროპორციულია, მაგრამ აქციის მესაკუთრეს მისი შეტანილი წილის (პაის) უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება არა აქვს (აქციის მფლობელს საკუთრების უფლება აქვს საზოგადოების შესაბამისი კაპიტალის ნაწილზე).

აქციები განკარგვის მიხედვით დაიყოფა ა) სახელობით და ბ) წარმომადგენლობით (მფლობელის გვარის მითითების გარეშე) აქციებად. წარმომადგენლობითი აქცია ყიდვა-გაყიდვის ობიექტია. აქციებზე ფასების სიდიდის განსაზღვრას ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეშვეობით არეგულირებენ.

აქციის ნომინალური ღირებულება (აქციაზე აღნიშნული ღირებულება) მხოლოდ სააქციო საზოგადოების ფორმირების პირველი აქტის დასაწყისში გვევლინება რეალური სახით (აქციების ნომინალურ ღირებულებათა ჯამი სააქციო კაპიტალის სიდიდის ტოლია, სხვა შემთხვევაში აქციის ნომინალური ღირებულება პირობითია. ეს კი იმით დასტურდება, რომ მრავალ ქვეყანაში დაშვებულია აქციის ემისია ნომინალური ღირებულების აღნიშვნის გარეშე (მაგალითად, აშშ-ში ასეთი აქციები ჭარბობს). როგორც წესი. აქცია განასახიერებს საპაიო შენატანს არა მისი პირველდაწყებითი თანხით, არამედ დინამიკაში. აქციას გააჩნია აგრეთვე სხვა საინტერესო თვისებებიც, რომლებიც ფართოდ არის გაშუქებული ეკონომიკურ ლიტერატურაში. მაგალითად, სააქციო საზოგადოების მართვაში აქციასთან დაკავშირებულ ხმის უფლებას აქვს, ერთი მხრივ, რაოდენობრივი მხარე (ერთი ჩვეულებრივი აქცია თავის მფლობელს აძლევს ერთ ხმას) და, მეორე მხრივ, ხარისხობრივი (ხმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აქციონერთა საერთო კრებაზე, რომელიც წარმოადგენს სს მართვის უმაღლეს ორგანოს და რომელზეც ირჩევენ საზოგადოების დირექტორთა (სამეთვალყურეო) საბჭოს. მთავარი და ერთადერთი, რისთვისაც რიგითი მოქალაქეები იძენენ აქციებს და რითაც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს აქციის მფლობელის მიერ გაღებული კაპიტალის (აქციების შეძენისათვის) უკუგება, არის აქციიდან შემოსავალი (დივიდენდი). აქცია არის მოწმობა საკუთრებაზე უფლების შესახებ, რომელიც ფორმით არის საქონელი, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის საგანი. ამდენად, მნიშვნელოვანია აქციის ფასის განსაზღვრა.

ცნობილია, რომ მსოფლიო პრაქტიკაში აქციის ფასს ტრადიციულად **კურსი** ეწოდება. აქციის კურსის გამოთვლას, რომელიც იწოდება დივიდენდის კაპიტალიზაციად, საფუძვლად უდევს **სარგებლის ნორმასა** (აქციების კურსის საწყისი საზომი) და **სასესხო სარგებელს** (საპროცენტო განაკვეთი – ბანკში სადეპოზიტო ანგარიშზე ფულად საშუალებათა მოთავსების დროს) შორის თანაფარდობის პრინციპი, რომელიც გამოისახება **კლასიკური ფორმულით:**

აქციის კურსი = დივიდენდი / სარგებლის საბაზრო განაკვეთი x 100 (2.2)

ე. ი აქციის კურსი პირდაპირპროპორციულია მის მიერ მოტანილი დივიდენდისა და უკუპროპორციულია სარგებლის განაკვეთის დაბანდების მიხედვით.

ამრიგად, აქციების თვისებების განხილვა, მათი საბაზრო კურსის განსაზღვრა, რომელიც ზემოთ ნარმოვადგინეთ, არის ე. წ. ჩვეულებრივი აქციებისთვის დამახასიათებელი. მაგრამ, იმისათვის რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ აქციებზე, აუცილებელია ობლიგაციების მსგავსი აქციების განხილვა.

განვიხილოთ ე. წ. **პრივილეგირებული აქციები** (ინგლისურიდან Preperence Share სიტყვასიტყვით „უპირატესი აქციები"). არსებობს პრივილეგირებული აქციების შემდეგი სახეები: 1) კონვერტირებადი პრივილეგირებული აქციები (ჩვეულებრივ აქციებზე გადაცვლის ფიქსირებული კურსის უფლებებით); 2) პრივილეგირებული აქციები სხვა ქაღალდებზე გაცვლის უფლებით (ობლიგაციებზე); 3) პრივილეგირებული აქციები კორექტირებადი დივიდენდით; 4) პრივილეგირებული აქციები დივიდენდით. შესაბამისად, აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვით ფასიანი ქაღალდების ბაზარზე წარმოიშობა სააქციო საზოგადოების აქციონერული კაპიტალის ზრდა, რომელიც შეადგენს მის საკუთრებას მთლიანობაში და არა მისი ცალკეული წევრების კაპიტალს.

ფინანსური ბაზრების ფუნქციონირება, როდესაც საქმე გვაქვს **გრძელვადიან დაფინანსებასთან, უმთავრესად საფონდო ბირჟის** მეშვეობით ხორციელდება.

ფინანსურ ბაზარზე ბრუნვადი **ფასიანი ქაღალდების უმთავრესი ტიპებია:** კერძო სექტორისა და უცხოური აქციები; კომპანიების ფასიანი ქაღალდები; ევროობლიგაციები.

განვიხილოთ საზღვარგარეთის **ქვეყნების საფონდო ბირჟების ტიპები**

ქვეყანას შეიძლება ჰქონდეს ფასიანი ქაღალდების ერთზე მეტი მოქმედი ბაზარი. ქვემოთ ილუსტრაციისთვის განხილულია დიდ ბრიტანეთში მოქმედი საფონდო ბირჟის ტიპები.

ლონდონის საფონდო ბირჟა – ფასიანი ქაღალდების უმთავრესი ბაზარი დიდ ბრიტანეთში, რომელზეც კოტირებულია დიდი კერძო კომპანიების აქციები და ხდება მათზე გარიგებები. ამ ბირჟაზე მოხვედრისათვის საჭირო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ანგარიშგების რეგულირებისათვის აუცილებელი დანახარჯები მაღალია;

ალტერნატიული ინვესტიციების ბაზარი (AIM) – განცალკევებული ბაზარი უფრო მცირე კომპანიების ფასიანი ქაღალდებისათვის. ამ ბირჟაზე მოხვედრისა და რეგულირებისათვის საჭირო მოთხოვნები მნიშვნელოვნად ნაკლებია ლონდონის საფონდო ბირჟასთან შედარებით;

ოფექსი (off exchange) – ბაზარი, რომელზეც ხდება ზოგიერთი კერძო კომპანიის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, მაგრამ ეს ხორციელდება სპეციალიზებული საბროკერო ფირმების და არა საფონდო ბირჟის მეშვეობით.

საფონდო ბირჟის როლი მდგომარეობს იმაში რომ ხელი შეუწყოს ისეთი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობას, როგორებიცაა: კერძო კომპანიების მიერ ემიტირებული აქციები; კორპორაციული ობლიგაციები; სახელმწიფო ობლიგაციები; ადგილობრივი მმართველობის სესხები; დაადგინოს ვაჭრობაში მყოფი აქტივების პატიოსანი ფასი. ბაზარზე სპეკულაციურმა ვაჭრობამ შეიძლება ხელი შეუწყოს: ფასების მერყეობის შემცირებას (" გლუვ" ცვლილებებს): აქციების მარტივად ყიდვა-გაყიდვის უზრუნველყოფას. ინარჩუნებს კოტირებული კომპანიების ფასიანი ქაღალდების გარკვეულ მოცულობას; უწყვეტად ახორციელებს ფასიანი ქაღალდების ყიდვისა და გაყიდვის ფასების კოტირებებს (მოთხოვნის და შეთავაზების ფასებს); მოგებას იღებს მოთხოვნისა და შეთავაზების ფასებს შორის განსხვავებისგან.

ქვეყანაში არსებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი წარმოადგენს **ინსტიტუტს,** რომელიც ახორციელებს კაპიტალის ბაზრის ბევრ პროცესს. არსებითად იგი წარმოადგენს კერძო კომპანიების მიერ ემიტირებული ფასიანი ქაღალდების, სახელმწიფო ობლიგაციების, ადგილობრივი მმართველობისა და კერძო საკუთრებაში არსებული სხვა ინსტიტუტების ემიტირებული სესხებისა და სხვა უცხოური ფასიანი ქაღალდების ბაზარს. რომ არ არსებობდეს გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდის ადვილად გაყიდვის შესაძლებლობა, მხოლოდ ადამიანების მცირე რაოდენობა იქნებოდა მზად, რომ გაერისკათ და თავიანთი ფულადი სახსრები ხელმისაწვდომი გაეხადათ კომპანიებისა და საჯარო მმართველობისათვის.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი ხელს უწყობს კაპიტალის განთავსებას და განაწილებას ეკონომიკის დარგებში. თუ ბაზარი კომპანიას მაღალ შეფასებას აძლევს, ამ კომპანიის აქციების

ღირებულება გაიზრდება და მას შეეძლება ახალი ემისიების ბაზრის საშუალებით ახალი კაპიტალის მოზიდვა შედარებით ნაკლები დანახარჯებით. მეორე მხრივ, ნაკლებად პოპულარულ კომპანიებს პრობლემები შეექმნებათ ახალი კაპიტალის მოზიდვაში. ამგვარად, წარმატებულ ფირმებს გაეწევათ დახმარება, რომ გაზარდონ, ხოლო წარუმატებლებს შეეზღუდებათ კაპიტალის მოზიდვის შესაძლებლობები.

აქციების ან სასესხო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა

ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვისთვის ინვესტორი უკავშირდება ბროკერს. ბროკერმა შეიძლება იმოქმედოს, როგორც ინვესტორის აგენტმა, და დაუკავშირდეს ბირჟის მოვაჭრეს ("მარკეტმეიქერს"). ან იმოქმედოს, როგორც პრინციპალმა, თუ იგი თავად არის ბირჟის მოვაჭრე (ე. ი. ყიდულობს და ყიდის საკუთარი სახელით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი იქნება ბროკერ-დილერი).

ბირჟის მოვაჭრეები ინახავენ სხვადასხვა კოტირებული კომპანიების ფასიანი ქაღალდების გარკვეულ მოცულობას ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის მოცულობების პროპორციულად და მათი შემოსავალი აკუმულირდება ამ ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული გარიგებებიდან მიღებული მოგებებიდან. ბირჟის მოვაჭრე შესყიდვისა და გაყიდვის ფასების (მოთხოვნისა და შეთავაზების ფასები) უწყვეტი კოტირებით ინარჩუნებს აქციების აქტიურ ბაზარს (რომ ხდებოდეს ამ აქციებით ვაჭრობა). როდესაც ფასიანი ქაღალდების ფასები არ იცვლება, მარკეთმეიქერების მოგება გროვდება მოთხოვნისა და შეთავაზების ფასებს შორის განსხვავებიდან. ეს მოგება მიახლოებით წარმოადგენს კონკრეტული ფასიანი ქაღალდისთვის მოთხოვნისა და შეთავაზების ფასებს შორის განსხვავებას – ფასი, რომლითაც ბირჟის მოვაჭრე მზადაა იყიდოს ფასიანი ქაღალდი, და ფასი, რომლითაც იგი მზად იქნებოდა, რომ იგი გაეყიდა.

დიდ ბრიტანეთში **ბროკერ-დილერები** თავიანთი კლიენტებისათვის მოქმედებენ როგორც ბროკერები და საკუთარ ანგარიშზეც ვაჭრობენ, როგორც დილერები; აქ მათი საქმიანობა კომპანიების აქციებთან დაკავშირებით შეზღუდულია მხოლოდ იმ აქციებით, რომლებიც კოტირებულია და რომელი აქციებით ვაჭრობაც ხდება **ლონდონის საფონდო ბირჟის ელექტრონულ სავაჭრო ნიგნში** (SETS).

ამრიგად, საფონდო ბირჟა საშუალებას იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოთხოვნამიწოდების კონცენტრაცია და მათი დაბალანსება საბირჟო **ფასწარმოქმნის** საფუძველზე. ფასიანი ქაღალდის ძირითად რაოდენობრივ მახასიათებლად მისი **ფასი** გვევლინება. განსახვავებენ: ა) ნომინალურ და ბ) საბაზრო ფასებს.

ნომინალური ფასის სიდიდეს ფასიან ქაღალდზე განსაზღვრავს ემიტენტი და იგი, ფასიანი ქაღალდის ტიპიდან გამომდინარე, ასრულებს სხვადასხვა ფუნქციას. როგორც წესი, ნომინალური ფასი გამოიყენება სააღრიცხვო მიზნით.

საბაზრო ფასები წარმოიშობა სავაჭრო გარიგებების პროცესში. საფონდო ბირჟაზე სავაჭრო დღის განავლობაში შესაძლებელია დაფიქსირდეს (ე. ი. მოხდეს ფასების კოტირება-განსაზღვრა) საუკეთესო ფასები: შესყიდვის, გაყიდვის ან უკანასკნელი გარიგების, რომელთა საფუძველზეც ხდება გაყიდვებსა და შესყიდვებზე საშუალო ფასების კოტირება, სავაჭრო დღის საშუალო ფასების დაფიქსირება და ა. შ. მათი გამოყენებით ხდება ბაზრის (ბირჟის) შემაჯამებელ მაჩვენებელთა გამოანგარიშება.

ფასიანი ქაღალდების სტატისტიკაში გამოითვლება თითოეული ფასიანი ქაღალდის ინდივიდუალური მაჩვენებლები და მათი საბაზრო კოეფიციენტები. მაგ., **აქციებზე** გამოიანგარიშება კოეფიციენტები: ა) ერთ აქციაზე აქციის ფასის შეფარდება კომპანიის საერთო მოგებასთან მიმართებაში; ბ) ერთი გაცემული დივიდენდის სიდიდის შეფარდება აქციის ფასთან მიმართებაში.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ქვეყანაში ყოველკვირეულად აწარმოებენ სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების განთავსებას ბაზარზე, შესაბამისად, ერთდროულად ბაზარზე განთავსებულია რამდენიმე ფასიანი ქაღალდი სხვადასხვა დაფარვის ვადებით. იმისათვის, რომ განსაზღვრონ სახელმწიფო მოკლევადიანი ობლიგაციების შემოსავლების შემაჯამებელი მაჩვენებელი მეორად ბაზარზე, ყოველ სავაჭრო დღეზე გაიანგარიშება საშუალო შემოსავლების


დროზე შეწონილი არითმეტიკული საშუალოს მეშვეობით. იგი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$Y = \frac{\sum Q_i P_i t_i y_i}{\sum Q_i P_i t_i} \qquad (2.3)$$

სადაც Q_i – ფასიანი ქაღალდების რაოდენობაა, P_i – დღეში ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გარიგებებზე დადებული საშუალო ფასია, t_i – ვადა ფასიანი ქაღალდების დაფარვამდე, y_i – შემოსავლების სიდიდე ფასიანი ქაღალდების დაფარვისათვის. ე. ი. საშუალო შემოსავლიანობის დონე არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთის (სარგებლის) შემაჯამებელი მაჩვენებელი, ხოლო ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია დაფარვის ვადებთან (კრედიტის გამოყოფა ხდება შესაბამის ვადაზე). აქედან გამომდინარე საჭიროა გამოითვალოს დამატებითი მაჩვენებლებიც, რომლებიც უჩვენებს დაფარვამდე საშუალო ვადის სიდიდეს, ეს მაჩვენებელი იწოდება **ბაზრის დიურაციად.**

დაფინანსების წარმოდგენილი წყაროების ხანგრძლივობაა: ფულადი რესურსები შეიძლება დაიყოს მოკლევადიან და გრძელვადიან რესურსებად (იხ. ნახ. 2.4).

ნახ. 2.4. დაფინანსების წყაროების დაყოფის სქემა



კაპიტალის საერთაშორისო ბაზრები

კაპიტალის საერთაშორისო ბაზარი არსებობს, როდესაც ან ადგილობრივი რესურსების მიწოდება ხდება უცხოელი მომხმარებლისთვის ან უცხოური რესურსების მიწოდება ხდება ადგილობრივი მომხმარებლისთვის. ამ პროცესში არ უნდა გამოიყენებოდეს არც მსესხებლის და არც გამსესხებლის ვალუტა.


ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ბაზრებია: 1. ევრობაზრები; 2. უცხოური ობლიგაციების ბაზრები. მასში გაერთიანებულია ევრობაზრის მოკლე და საშუალოვადიანი სეგმენტები. იგი წარმოადგენს ევროვალუტის სესხად აღების და გასესხების ბაზარს. ხელმისაწვდომია მრა-

ვალი ტიპის დეპოზიტები და სესხები (იხ. ნახაზი 2.5). დეპოზიტების ვადები იცვლება ერთი დღეღამიდან ხუთ წლამდე. დეპოზიტის ფორმა შეიძლება იყოს ერთგვაროვანი პირობებით, როდესაც ხდება რესურსების განთავსება ბანკში ფიქსირებული ვადითა და ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, თუმცა პრობლემატურია მასში ჩადებული ჯარიმების პირობა ვადამდელი დაფარვის მოთხოვნის შემთხვევაში.

ევროვალუტის ბაზარის ტიპები

ალტერნატიული ვარიანტია **დეპოზიტები**, რომელთა ყიდვა-გაყიდვაა შესაძლებელია და მათ სადეპოზიტო სერტიფიკატები ეწოდება. მათზე არსებობს აქტიური მეორადი ბაზარი და, საჭიროების შემთხვევაში, ინვესტორს ხელი ადვილად მიუწვდება საკუთარ რესურსებზე. დეპოზიტები შეიძლება იყოს ერთ რომელიმე ვალუტაში ან ჰქონდეს „სავალუტო კოქტეილის“ ფორმა, რაც დეპოზიტარებს დივერსიფიცირებული სავალუტო პოზიციის საშუალებას აძლევს. ერთი საერთო კოქტეილია სესხების სპეციალური უფლება (Special Drawing Right), რომელიც მოიცავს აშშ დოლარს, იაპონურ იენს, ევროს და გირვანქა სტერლინგს.

ნახ.2- 5.ევროვალუტის ბაზარის ტიპები



ევრობაზრის სესხები შეიძლება იყოს პირდაპირი საბანკო სესხი, საკრედიტო ხაზები (ოვერდრაფტის მსგავსი) და განმეორებადი კრედიტები (მოკლევადიანი სესხების სერია მოცემულ პერიოდში საპროცენტო განაკვეთის რეგულარული გადახედვით). მცირე სესხები შეიძლება გაიცეს ცალკეული ბანკების მიერ, მაგრამ უფრო დიდი სესხები ჩვეულებრივ გაიცემა საბანკო სინდიკატების მიერ.

ევროვალუტის ბაზრის საქმიანობის უმეტესობა შიდასაბანკოა, მაგრამ მასში აგრეთვე მრავლად არიან ჩართულები სახელმწიფოები, ადგილობრივი ხელისუფლებები და საერთაშორისო კომპანიები. ფირმას, რომელსაც სურს ბაზრის გამოყენება, უნდა ჰქონდეს საუკეთესო საკრედიტო რეპუტაცია და დიდი მოცულობით თანხების სესხად აღების (დეპოზიტზე განთავსების) სურვილი.

ევროობლიგაცია არის ერთდროულად ერთზე მეტ ქვეყანაში გამოშვებული ობლიგაცია, ჩვეულებრივ, საერთაშორისო საბანკო სინდიკატის მიერ, რომელთა ეროვნული ვალუტები განსხვავდება ემიტენტის ეროვნული ვალუტისგან. იგი გამოსახავს ევრობაზრის გრძელვადიან სეგმენტს.

ობლიგაციები შეიძლება კონფიდენციალურად განთავდეს ბანკების მეშვეობით ან მოხდეს საფონდო ბირჟაზე მისი კოტირება. მათი ხანგრძლივობა შეიძლება იცვლებოდეს სამიდან ოც წლამდე და შეიძლება ჰქონდეს როგორც ფიქსირებული, ისე ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი. გამოიყენება აგრეთვე, კონვერტირებადი ევროობლიგაციები (რომლებიც ადგილობრივი კონვერტირებადი სასესხო ფასიანი ქაღალდების მსგავსია) და ეროობლიგაციები ოფციონით (რომლებიც მფლობელს აძლევს უფლებას, შეცვალოს პროცენტისა და ძირითადი თანხის გადახდის ვალუტა).

უმთავრესი მსესხებლები არიან დიდი კომპანიები, ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტები, როგორიცაა მსოფლიო ბანკი და EC. ყველაზე ფართოდ გამოყენებული ვალუტებია აშშ დოლარი, ევრო, შვეიცარიული ფრანკი და, შედარებით ნაკლებად, გირვანქა სტერლინგი.

ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების როლი

ფინანსური შუამავლობა. შუამავლობა ნიშნავს პროცესს, როდესაც მესამე მხარის (შუამავლის) მიერ ხდება პოტენციური მსესხებლებისა და პოტენციური სესხის გამცემების ერთმანეთთან დაკავშირება. არსებობენ სხვადასხვა ტიპის ინსტიტუტები და ორგანიზაციები, რომლებიც მოქმედებენ, როგორც შუამავლები და ფინანსების მოზიდვის მსურველ ფირმებსა და ფიზიკურ პირებს აკავშირებენ ინვესტორებთან.

საკლირინგო ბანკები. ცენტრალურ ქუჩაზე მდებარე ბანკები უზრუნველყოფენ გადახდებისა და ჩეკების კლირინგის მექანიზმს, ისინი ინვესტორებს სთავაზობენ სხვადასხვა ანგარიშებს და კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს უზრუნველყოფენ დიდი მოცულობით მოკლე და საშუალოვადიანი სესხებით. ისინი თავიანთ მომხმარებლებს სთავაზობენ აგრეთვე მრავალგვარ ფინანსურ მომსახურებას.

საინვესტიციო ბანკები (იხ. ნახ. 2.6), რომლებსაც ხანდახან სავაჭრო ბანკებს უწოდებენ, კონცენტრირებულია შემდეგზე:

ა) კომპანიებისთვის ფინანსური კონსულტაციების გაწევა

ნებისმიერი ზომის მწარმოებელი ან კომერციული კომპანიებიდან დღეს მხოლოდ ცოტას თუ შეუძლია იმოქმედოს სავაჭრო ბანკების კონსულტაციების გარეშე. ამგვარი კონსულტაციები აუცილებელია საინვესტიციო კაპიტალის მისაღებად, ნამეტი ფინანსური რესურსების ინვესტირებისათვის, სხვა კომპანიების მიერ შთანთქმისაგან თავდასაცავად ან სხვა კომპანიების შთანთქმისათვის. სავაჭრო ბანკები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან მათი საქმიანი კლიენტების ფინანსურ მართვაში და მათ გავლენა აქვთ ამ კლიენტების საქმიანობის მიმართულებებზე.

ბ) კომპანიების უზრუნველყოფა ფინანსებით

სავაჭრო ბანკები კონკურენციას ეწევიან აგრეთვე ლიზინგის, ფაქტორინგის, განვადებით შესყიდვისა და, ზოგადად, სესხების გაცემაში; ისინი წარმოადგენენ კაპიტალის ბაზრის კარიბჭეს გრძელვადიანი რესურსებისათვის, ვინაიდან მათ, სავარაუდოდ, ექნებათ სპეციალიზებული განყოფილებები (ე. წ. „საემისიო სახლები"), რომლებიც კაპიტალის მოსაზიდად წარმართავენ ემისიებს.


გ) საერთაშორისო ვაჭრობა

ზოგიერთი სავაჭრო ბანკი საქმიანობს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაზე, უზრუნველყოფს რა საზღვაო დაზღვევებს, კრედიტებს, დახმარებას უცხოელი აგენტების შერჩევაში და საერთაშორისო გადახდების ორგანიზებას.

ყველა სავაჭრო ბანკი არ არის მსხვილი და თავის კლიენტებს არ სთავაზობს მომსახურების ასეთ ფართო სპექტრს. ამჟამად ეს ტერმინიც საკმაოდ არასწორადაა გამოყენებული. ამასთან, მოსალოდნელია, რომ სავაჭრო ბანკი თავის საქმიანობას განახორციელებს საკლირინგო ბანკისთვის აუცილებელი ფილიალების ფართო ქსელის გარეშე. იგი იმოქმედებს თავის საქმიან კლიენტთან მჭიდრო კონტაქტში და საკლირინგო ბანკზე უფრო მომზადებული იქნება საქმია-

ნობის რისკის საკუთარ თავზე ასაღებად და წარმოებისთვის ხელშეწყობისათვის. სავარაუდოდ, სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ სავაჭრო ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სიმდიდრის დაგროვება და იმ პირებისთვის დახმარება, რომლებიც გამოავლენენ წარმატებული საქმიანობის უნარს.

ნახ. 2.6 საინვესტიციო ბანკები.



შემნახველი ბანკები

საჯარო სექტორის შემნახველი ბანკები (მაგ., დიდი ბრიტანეთის ეროვნული შემნახველი ბანკი) გამოყენებულია წვრილი ფიზიკური მეანაბრეებისაგან რესურსების მოსაგროვებლად, რომლებიც შემდგომში უმთავრესად ინვესტირდება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში.

სამშენებლო ასოციაციები

ისინი იღებენ დეპოზიტებს სახლის მფლობელთაგან და შემდეგ სესხად აძლევენ სხვა პირებს საკუთარი ბინების შესაძენად. ისინი თავიანთ კლიენტებს ბევრ ისეთ მომსახურებასაც სთავაზობენ, რასაც საკლირინგო ბანკები. თუმცა ისინი არ უზრუნველყოფენ ფინანსებით სამეწარმეო სექტორს.

ფინანსური კომპანიები სამი სახისაა: ფინანსური სახლები; სალიზინგო და ფაქტორინგული კომპანიები.

საპენსიო ფონდები

ეს ორგანიზაციები ახდენენ დამქირავებლებისა და დაქირავებულებისაგან ფულადი სახსრების აკუმულირებას, მათი პენსიით უზრუნველსაყოფად, პენსიაზე გასვლის ან სიკვდილის შემთხვევაში.

სადაზღვევო კომპანიები

ეს ორგანიზაციები, იყენებენ ძირითადად, პოლისის მფლობელთა მიერ გადახდილ პრემიებს ისეთ გრძელვადიან აქტივებში ინვესტირებისათვის, როგორიცაა: ობლიგაციები, აქციები და უძრავი ქონება. მათი ფულადი გასავლები გრძელვადიანი საქმიანობიდან (სიცოცხლის დაზღვევა და პენსიები) და მათი მოკლევადიანი საქმიანობებიდან (ხანძარი, უბედური შემთხვევა, მანქანების დაზღვევა და ა. შ.) შედარებით ადვილად პროგნოზირებადია და ამიტომ სადაზღვევო კომპანიებს შეუძლიათ მათი რესურსების დიდი მოცულობის გრძელვადიანი ინვესტირება.

საინვესტიციო და საპაიო კომპანიები

საინვესტიციო კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიებს, რომლებიც საკუთარი აქციებისა და ობლიგაციების გაყიდვით ახორციელებენ რესურსების აკუმულირებას და შემდეგ ახდენენ ამ შემოსავლების ინვესტირებას უმთავრესად სხვა კომპანიების ჩვეულებრივ აქციებში. მათი რესურსები შეზღუდულია მათ მიერ ემიტირებული აქციებისა და გაუნაწილებელი მოგების ჯამური მოცულობით; ამიტომ მათ ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „დახურული ტიპის ფონდებს“. მეორე მხრივ, საპაიო კომპანიები, მიუხედავად იმისა, რომ იმავე სახის ინვესტიციებს ახორციელებენ, მათი რესურსები იცვლება იმის შესაბამისად, ინვესტორები ყიდულობენ ახალ პაიებს თუ ფულს დებენ ძველებში. ორივე შემთხვევაში, ინვესტორს დივერსიფიკაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ეძლევა.

საფონდო ბაზრის მახასიათებელი ინდექსები (საფონდო ინდექსები)

საფონდო ბაზრის საერთო მდგომარეობის დასახასიათებლად აუცილებელია განისაზღვროს **საფონდო (აგრეგირებული) ინდექსები,** რომლებიც ზოგადად განსაზღვრული დროის მომენტისათვის (მაგალითად, სავაჭრო დღის ბოლოს) უჩვენებენ ფასიანი ქაღალდების კოტირების დონეს.

საშუალო სიდიდეების მეთოდით გამოთვლილ საფონდო ინდექსებს განასხვავებენ: ა) კომპანიების ერთობლიობით (ე. ი. საწარმოთა ჩამონათვალი, რომელთა აქციებიც არის ჩართული ინდექსის გაანგარიშებაში); ბ) გამოყენებული საშუალოების სახეების მიხედვით; გ) შეწონილი საშუალოების გამოყენებისას წონების განსაზღვრის ხერხების მიხედვით.

საფონდო ინდექსის გამოთვლის გაანგარიშებაში რომელიმე საწარმოს აქციების ჩართვის ძირითად კრიტერიუმად აღიარებულია მოცემული ფასიანი ქაღალდის **სავაჭრო აქტიურობა,** რომელიც განისაზღვრება სავაჭრო დღის განმავლობაში საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საშუალოდ განხორციელებულ გარიგებათა რაოდენობით. გაანგარიშების ერთობლიობაში ჩაირთვება მხოლოდ ის აქციები, რომელთა სავაჭრო აქტიურობა უსწრებს დადგენილ მინიმალურ დონეს.

მეორე მნიშვნელოვან კრიტერიუმად აღიარებულია **რეპრეზენტატულობა** (წარმომადგენლობის დაცვა). ერთი მხრივ, ერთობლიობაში უნდა იყოს შესული იმ კომპანიების აქციები, რომლებიც წარმოადგენენ ეკონომიკის ძირითად დარგებს (რაც საშუალებას იძლევა გამოითვალოს ასევე დარგობრივი ინდექსებიც) და, მეორე მხრივ, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ფასების დონე, რომლებიც წარმოიშობა გარიგების დროს ძირითად სავაჭრო ადგილებზე. მაგალითად აშშ-ში ინდექსის სტანდარტ (Standart) კომპანიის გათვლების ერთობლიობა რომელიც, მოიცავს 500 კომპანიის აქციებს, იქმნება იმ აქციების შერჩევის გზით, რომელთა კოტირებაც ხდება ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე (NYSE), ამერიკის საფონდო ბირჟაზე (AMEX) და ფასიანი ქაღალდების დილერების ეროვნული ასოციაციის ელექტრონული სისტემის არასაბირჟო ბაზარზე (NASD).

საშუალოების სახეების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იქმნება ერთობლობის მოცულობა. როგორც წესი, ეს ხდება ჯამური წესით, ამიტომ უფრო ხშირად გამოიყენება საშუალო არითმეტიკული სიდიდე, ამასთანავე გაითვალისწინება, საშუალო არითმეტიკული მარტივი იქნება თუ შეწონილი, და, თუ შეწონილია, მაშინ დგინდება, რამ უნდა შეასრულოს წონების როლი.

ეკონომიკურ ლიტერატურაში[20] აღწერილია ანალოგიური ფორმულის გამოყენებით რუსეთის არასაბირჟო ბაზარზე **რუსეთის** სავაჭრო სისტემის ინდექსის – **ინდექსი PTC (Российской торговой системы)**, რომლის გამოთვლის ერთობლიობაში ჩართული იყო 24 კომპანიის აქციები. ასევე ინდექსი A, AKSM და ASP (სააგენტო „სკაი" პრესის) გამოანგარიშების მაგალითები.

სტატისტიკაში ძირითადი მასივის მეთოდის გამოყენებით გამოთვლილი საყოველთაოდ ცნობილი **„დოუ-ჯონსის"** (djia dow jones industrial average) **ინდექსი** (იწოდება მრეწველობის საშუალო ინდექსად), რომელიც 1898 წლიდან ქვეყნდება, გამოითვლება 30 მსხვილი კომპანიის აქციებით შემდგარი ერთობლიობის საფუძველზე, რომელთა კოტირება (განსაზღვრა) ხდება ნიუიორკის საფონდო ბირჟაზე. ასევე შესაძლებელია მოვიყვანოთ საფონდო ინდექსების გამოთვლის მაგალითები მარტივი საშუალო გეომეტრიული ფორმულის გამოყენებით. კერძოდ, ინდექსი VLA (*Value Line Average*), რომელიც გამოთვლილია 1961 წელს კომპანია *Arnold Bernhard Co. C* მიერ, და ინდექსი *SOBI*, გამოთვლილი რუსეთის საკონსულტაციო სააგენტო „Соболев" ის მიერ.

ზოგადად, სტატისტიკაში საფონდო ინდექსები გამოითვლება საფონდო ბაზარზე ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ფასების შეფარდებითი დონისა და მათი დინამიკის (შეფასების) მიზნით, აგრეთვე ფასიან ქაღალდებზე ფასების კოტირებისა და ფასწარმოქმნის პოლიტიკის ფორმირებისათვის.

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც რეგულირდება **მოთხოვნა-მიწოდების კანონის** მეშვეობით, მოიცავს როგორც ფულად ბაზარს, სადაც ხორციელდება დაგროვების მოკლევადიანი მოძრაობა, ისე კაპიტალის ბაზარს. იგი მრავალი თვალსაზრისით ეკონომიკის ზრდის დაფინანსების წყაროა. მისი მეშვეობით ხორციელდება დაგროვილი ფულადი მასის ჩართვა ფულადი სახსრების ინვესტიციებში, ეკონომიკაში ე. წ. გადამანაწილებელი მექანიზმის ამოქმედება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბაზრის) მდგომარეობაში აისახება ქვეყანაში მიმდინარე მაკროეკონომიკური პროცესები. ამდენად, მისი სტატისტიკური შეფასებით განისაზღვრება საფინანსო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

5.2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები საქართველოში

როგორც უკვე აღინიშნა, ფინასური ბაზარი წარმოადგენს საბაზრო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომელთა მეშვეობითაც წარმოებს ფულადი ნაკადების გადადინება მესაკუთრეებიდან მსესხებლებისაკენ.

ფინანსური ბაზარი ახორციელებს ბუნებრივ ეკონომიკურ ფუნქციას– მოახდინოს სახსრების გადაადგილება იმ ეკონომიკური ერთეულებიდან, რომელთაც დააგროვეს საჭიროზე მეტი თანხა იმის გამო, რომ ნაკლებს ხარჯავენ იმასთან შედარებით რასაც გამოიმუშავებენ, იმ ადამიანებისაკენ, რომლებიც სახსრების ნაკლებობას განიცდიან, რადგან მათ უფრო მეტის დახარჯვა უხდებათ ვიდრე აქვთ. აღნიშნული გადაადგილება ხორციელდება სხვადასხვა არხების დახმარებით. ეს არხები იყოფა ორ ჯგუფად.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება პირდაპირი დაფინანსების არხები. ეს ისეთი არხებია, რომლებითაც ფულადი საშუალებები გადადის უშუალოდ დანაზოგთა მესაკუთრეებისაგან მსესხებლებისაკენ.

პირდაპირი დაფინანსების არხში შესაძლებელია გამოყოფილი იქნას ორი ქვედანაყოფი:

1) **ინვესტიციები,** ანუ **კაპიტალური დაბანდებები** ე. ი. ნებისმიერი შეთანხმება რომლითაც ფირმა ღებულობს ფულად საშუალებებს ინვესტიციების განსახორციელებლად, ამ ფირმისათვის საკუთრებაში წილობრივი მონაწილეობის მიღების ნაცვლად. აღნიშნულის თვალსაჩინო

[20] Алан Рот, Александр Захаров, Яков Миркин, Ричард Бернард, Пётр Баренбойм, Брюсли Боря. Основы государственного регулирования финансового рынка. – М.: ЗАО" Юридический Дом" Юстицинформ", 2002. – 512с. Авторы предлагаемого пособия ставят перед собой задачу выявить место и роль государственных органов в регулировании рынков на разных этапах развития национальных экономических систем.

მაგალითს წარმოადგენს **მარტივი აქციების გაყიდვა.** ჩვეულებრივი მარტივი აქცია (ფასიანი ქაღალდი) კორპორაციის საკუთრებაში წილობრივი მონაწილეობის სერთიფიკატია, რომელიც მფლობელს უფლებას ანიჭებს მიიღოს კორპორაციის მირ მისაღები მოგების წილი.

2) პირდაპირი დაფინანსების არხის მეორე ქვეჯგუფია **სესხების მიღების გზით დაფინანსება.** აქ შედის ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც ფირმა იღებს ფულად საშუალებებს ინვესტიციების განსახორციელებლად იმ ვალდებულებათა სანაცვლოდ, რითაც აღნიშნული სახსრები მომავალში ანაზღაურებული უნდა ყოფილიყო წინასწარ შეთანხმებული პროცენტის სახით. აღსანიშნავია, რომ საკუთრებაში წილობრივი მონაწილეობის უფლებას ფირმის კრედიტორი არ იღებს.

ამ ქვეჯგუფის საილუსტრაციო მაგალითს წარმოადგენს **ობლიგაციების** გაყიდვა, ანუ იმ სერთიფიკატების გაყიდვა, რომელიც წარმოადგენს **ვალდებულებას,** ანაზღაურდეს ვალი სარგებლის სახით წინასწარ დაწესებული გრაფიკით განსაზღვრული წლების მანძილზე.

ფინანსური ბაზრის არხების **მეორე ჯგუფს** მიეკუთვნება ასევე არაპირდაპირი

დაფინანსების არხები, როდესაც ფულადი საშუალებები ოჯახური მეურნეობებიდან ფირმებისაკენ მიემართება, ამასთან გაივლის განსაკუთრებულ **ინსტიტუტებს,** როგორიცაა: ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და ა. შ. ამ ორგანიზაციებს **ფინანსურ შუამავლებს** უწოდებენ.

ფინანსური ბაზრის სტრუქტურა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებს – საბანკო დანესებულებებს, სადაზღვევო კომპანიებს, საფონდო ბირჟებს, რომელთაგან ამ უკანასკნელს განსაკუთრებული როლი ენიჭება. **ფულადი ბაზრების ინსტრუმენტებია:** სახაზინო თამასუქი, საბანკო გადასაყვანი დეპოზიტური სერთიფიკატი, კომერციული ფასიანი ქაღალდი, საბანკო აქცეპტი, შეთანხმებები უკან გამოსყიდვის შესახებ, ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრი სახსრები, ევროდოლარი. ამასთან, აღსანიშნავია რომ, ფულად ბაზარზე ყალიბდება 4 სახის **საპროცენტო განაკვეთი:** საბაზისო, ბანკთაშორისი კრედიტის, სახაზინო თამასუქებისა და საბინაო მშენებლობის კრედიტის.

კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებია: აქცია, გირავნობის სიგელი, კორპორაციული ობლიგაციები, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ობლიგაციები, სამომხმარებლო და კომერციული სესხები, გირავნობის სიგელით უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი წაროადგენს ფინანსური ბაზრის ნაწილს და იკავებს შუალედურ ადგილს კაპიტალის ბაზრებსა და ფულად ბაზრებს შორის. ფასიანი ქაღალდების ბაზრების მთავარი **ამოცანებია:** ა) დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების მობილიზაცია კომერციული ინვესტიციაების განხორციელების მიზნებისათვის; ბ) მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი საბაზრო ინფრასტუქტურის შექმნა; გ) ახალი სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვება და მიმოქცევა; დ) საბაზრო მექანიზმის, მართვის სისტემისა და ფასწარმოქმნის სრულყოფა ე) სახელმწიფო, საბირჟო რეგულირების გზით რეალური კონტროლის განხორციელება ვ) თვითრეგულირებადი ორგანიზაციების სრულყოფა, რომლებიც თავის მხრივ ბაზრის პროფესიონალ მონაწილეთა საქმიანობას არეგულირებენ; ზ) პორთფელურ სტრატეგიათა შემუშავება; თ) საინვესტიციო რისკის შემცირება ი) მარკეტინგული კვლევების ჩატარება, რომელთა საფუძველზე ხორციელდება ბაზრის განვითარების პერსპექტიული მიმართულებების პროგნოზირება.

მსოფლიო პრაქტიკაში ფინანსური შუამავლების საბანკო და არასაბანკო ხასიათიდან გამომდინარე ფასიანი ქაღალდების ბაზრების **სამი მოდელია ცნობილი:**

1) **არასაბანკო მოდელი** – ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში შუამავლების როლში გამოდიან არასაბანკო კომპანიები. (ასეთი მოდელი დამახასიათებელია აშშ-ში).

2) **საბანკო მოდელი** – შუამავლებად გამოდიან ბანკები. (ეს მოდელი დამახასიათებელია გერმანიისათვის);

3) **შერეული მოდელი.** სადაც შუამავლების როლში გამოდიან ბანკებიც და არასაბანკო კომპანიებიც. (მსგავსი მოდელი დამახასიათებელია იაპონიისა და რუსეთისათვის).

ფასიანი ქაღალდების **პირველადი ბაზარი** – ეს არის ბაზარი, რომელიც ემსახურება ფასიანი ქაღალდების გამოშვებას **(ემისიას) და პირველად განთავსებას.** პირველადი ბაზრის ამოცანებს წარმოადგენს: დროებით თავისუფალი რესურსების მოზიდვა, ფინანსური ბაზრის აქტივიზაცია, ინფლაციის ტემპების შემცირება.

ფასიანი ქაღალდების **პირველადი ბაზარი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:** 1) ფასიანი ქაღალდების გამოშვების ორგანიზაცია; 2) ფასიანი ქაღალდების განთავსება; 3) ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა; 4) მოთხოვნისა და მიწოდების ბალანსის შენარჩუნება.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზარი – ეს არის ბაზარი, სადაც მიმდინარეობს ადრე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა, ყიდვა-გაყიდვა ყველა აქტის განხორციელებით ან ფასიანი ქაღალდის ერთი მფლობელიდან მეორე მფლობელის ხელში გადასვლის სხვა ფორმების შესრულება ფასიანი ქაღალდის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ამ აქტივის ყიდვა-გაყიდვის პროცესში განისაზღვრება მისი ნამდვილი კურსი, ე. ი. ხდება ფინანსური აქტივის კურსის კოტირება.

ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ამოცანებია: სამეურნეო სუბიექტებისა და ფიზიკური პირების ფინანსური აქტივობის ამაღლება; ფინანსური პრაქტიკის ახალი ფორმების განვითარება; ნორმატიულ-სამართლებლივი ბაზის სრულყოფა; ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება; მიღებული წესებისა და სტანდარტების დაცვა.

ფასიანი ქაღალდების მეორადი **ბაზრის ფუნქციებია:** 1) ერთიმეორეს შეახვედროს მყიდველი და გამყიდველი (უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების ლიკვიდობა); 2) ხელი შეუწყოს მოთხოვნისა და მიწოდების ნონასწორობას.

მესამე ბაზარს უწოდებენ იმ ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო ვაჭრობას, რომელთა კოტირება ნიუ-იორკის, ამერიკის და სხვა საფონდო ბირჟებზე ხდება. იგი არსებობს ისეთი მსხვილი ინსტიტუციონარული ინვესტორების საჭიროებათა მომსახურებისათვის, როგორიცაა თანაზიარი და საპენსიო ფონდები, სიცოცხლის დაზღვევის კომპანიები და ა. შ. და ეხმარება მათ დანახარჯების არსებითად შემცირებაში ფასიან ქარალდებზე მსხვილი ოპერაციების ჩატარების დროს. „მესამე" ბაზარზე გარიგებათა დადებას, ჩვეულებრივ, ის ფირმები და დილერები ემსახურებიან, რომლებიც **საფონდო ბირჟის წევრები არ არიან.** არასაბირჟიო ბაზარზე დილერები უფრო დაბალი განაკვეთით იღებენ საკომისიო გასამრჯელოს, ვიდრე ეს საფონდო ბირჟებზეა მიღებული. „მესამე" ბაზრის მნიშვნელობა რამდენადმე დაეცა მას შემდეგ რაც 1975 წელს საფონდო ბირჟებზე შემოიღეს სახელშეკრულებლო საკომისიო გასამრჯელო ბროკერებისათვის.

ნებისმიერ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, კაპიტალის ბაზრის განვითარების ერთ-ერთი **წინაპირობაა მოწესრიგებული ცენტრალიზებული და ორგანიზებული სისტემის ჩამოყალიბება, სადაც ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის მონაწილეების ერთმანეთთან დაკავშირება შუამავლების მეშვეობით იწარმოება.** კაპიტალის ორგანიზებული ბაზრის შექმნა მოითხოვს სრულყოფილი თამაშის წესებს, მაღალი დონის ინფრასტრუქტურის ინსტიტუტებს და პირებს, რომელთაც გააჩნიათ ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე მუშაობის გამოცდილება.

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბება უკავშირდება ქვეყნის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რადგანაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი **ინსტრუმენტია** საბაზრო ეკონომიკის არსებობის პირობებში. გარკვეულწილად იგი წარმოადგენს საბანკო სისტემის ალტერნატივას, **განვითარებულ ქვეყნებში ფასიანი ქაღალდების ბაზარი** გაცილებით მიმზიდველია და ეფექტურია დამატებითი დაფინანსების მოსაპოვებლად.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი **წარმოდგენილია „საქართველოს საფონდო ბირჟის" (სსბ)** სახით, რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 8 იანვარს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალთა ბირთვის, მოწინავე ქართული ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების ინიციატივით.

1999 წლის 18 ოქტომბერს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება – ბირჟაზე დადებული გარიგებების სწრაფი, ეფექტიანი და საიმედო კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის ბირჟის მიერ დაფუძნდეს ორგანიზაცია, რომელიც გადაწყვეტს ამ პრობლემას.

2000 წლის 14 იანვარს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ სსბ-ზე გაიცა საფონდო ლიცენზია N 90001, ხოლო 18 იანვარს კომისიის მიერ სსბ აღიარებულ იქნა თვითრეგულირებად ორგანიზაციად.

2000 წლის 1 მარტს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეროვნული კომისიის მიერ „საქრთველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარზე" გაიცა ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია და აღიარებული იქნა თვითრეგულირებად ორგანიზაციად.

2000 წლის 23 მარტიდან დღემდე ბირჟაზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები რადგანაც სწორედ 23 მარტს ჩატარდა პირველი ვაჭრობა „გაერთიანებული ქართული ბანკის" აქციებზე.

სსბ 2000 წლის 15 სექტემბერს ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის (FEAS) გენერალურ ანსამბლეაზე-მაკედონიაში მიღებული იქნა ნამდვილ წევრად.

20 ივნისს სს „საქართველოს ბანკისა" და სს ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანია „ინდუსტრია-ინვესტის" აქციები დაშვებულ იქნა ბირჟის ლისტინგში.

მაშასადამე, 2001-2002 წლები საქართველოს საფონდო ბირჟის ჩამოყალიბებისა და ამოქმედების წლებია, რასაც ხელი შეუწყო ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის შექმნამ და ფუნქციონირებამ, აგრეთვე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის დახმარებით საქართველოს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში ანგარიშვალდებულ საწარმოთა ფასიანი ქაღალდების მასობრივმა დაშვებამ, რის შედგადაც ბირჟის სავაჭრო სისიტემაში დაშვებულ იქნა **282 საწარმოს ფასიანი ქაღალდები,** რომელზეც 2192 გარიგება დაიდო და გარიგების ჯამურმა ღირებულებამ 18969570 ლარი შეადგინა. საშუალო დღიური ბრუნვა – 104228 ლარი იყო. 2000 წელს დადებული გარიგებების ღირებულების მიხედვით ლიდერობდა „გაერთიანებული ქართული ბანკის" (76%) და „საქართველოს ბანკის" (19%) აქციები. 2001 წელს კი „საქართველოს ბანკის" (37%) და უნივერმალი „თბილისის" (43%) აქციები.

სსბ-ის ისტორიაში 2004 წელი მიჩნეულია გარდატეხის წლად, რადგანაც მისი ფინანსური მაჩვენებლები წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგალითად: საკუთარი კაპიტალი 202, 913 ლარამდე და წმინდა მოგებამ 39, 600 ლარი შეადგინა. ვაჭრობის შედეგები კი ასეთი იყო: გარიგებების რაოდენობა – 1094; გაყიდული აქციების მოცულობა-30, 510783; ჯამური ღირებულება 46676135.46. აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წლთან შედარებით 4, 2-ჯერ მეტია.

სსბ-ის 2004 წლის წარმატებები განაპირობა **თესალონიკის საბირჟო ცენტრისა და სსბ-ის შორის ურთიერთთანამშრომლობამ და საპრივატიზაციო აუქციონების** ჩატარებამ. 24 თებერვლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების ბირჟაზე დაშვებამ, სომხეთის საფონდო ბირუასა და სსბ-ს შორის თანამშრომლობამ და სფქცდ-ის გაწევრიანებამ ევრაზიის ქვეყნების ცენტრალური დეპოზიტარების ასოციაციაში, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელიც ის გახდა იმავე წელს.

2004 წლის ბოლოსათვის 16 საბროკერო კომპანია იყო ლიცენზირებული, რომელშიც გაერთიანებული იყო 37 ლიცენზირებული ბროკერი, სავაჭრო სისტემაში დაშვებული იყო 11 კომპანია. სსბ-ს ვაჭრობაში სესიაზე დაშვებული იქნა 227 კორპორაციული ფასიანი ქაღალდი, მათ შორის 22 სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი იყო. ლისტინგში დაშვებულ იქნა მხოლოდ ერთი ემიტენტის – „საქართველოს ბანკის" აქციები, რამაც განაპირობა კომპანიის პრესტიჟის ამაღლება ინვესტორთა თვალში და გაიზარდა ბანკის აქციების რეიტინგი.

2005 წლის განმავობაში ბირჟის სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების რაოდენობამ შეადგინა 1358, გარიგების ჯამურმა მოცულობამ – 32, 385 მლნ. აქცია, ხოლო ჯამურმა ღირებულებამ – 62, 362 მლნ ლარი. ამ პეროიოდში სულ ჩატარდა 99 სავაჭრო სესია.

2006 წელს სსბ-ზე გასაყიდად წარდგენილი იყო 242 ემიტენტის აქციები და 2 ემიტენტის ობლიგაციები (" პროკრედიტ ბანკისა" და საქართველოს ბანკის"). ვაჭრობაში მონაწილეობდა 16 საბროკერო კომპანია, რომელთა შორის ლიდერობდა „გალთ ენდ თაგგარტ სექიურითი", რომელმაც 5557 გარიგება შეასრულა 106521755 აქციაზე და საერთო ღირებულებამ შეადგინა 305181471.71 ლარი. სსბ-ს 2006 წლის საფონდო ბირუის ინიციატივით ჩამოყალიბდა ტრენინგ-ცენტრი – FOREX – მისი ძირითადი მიზანია საბირჟო ვაჭრობის პოპულარიზაცია და საინვესტიციო გარემოს სრულყოფა. კერძოდ, საბირჟო საქმიანობის განვითარება, საბირჟო კომპანიების ინტერესების დაცვა, მოსახლეობისათვის გამოცდილების გაზიარება. ასევე სპეციალური პროგრამების, პროექტების, კვლევებისა და პუბლიკაციების მეშვეობით საბირჟო საქმიანობისადმი ინტერესის გაღრმავება.

2007 წელს სსბ-ზე ოპერაციებში მონაწილეობდა 17 საბროკერო კომპანია, რომლებმაც 161 ემიტენტის აქციებზე დადეს 405 გარიგება. გაყიდული ფასიანი ქაღალდების მოცულობამ შეადგინა 75771738 აქცია, ხოლო მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 59667059 ლარი.

საქართველოს კანონში „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" 2007 წლის 31 მარტიდან ძალაში შევიდა შემდეგი **ცვლილება** – ფასიანი ქაღალდების კანონის მე-18 მუხლის 1 და 5 პუნქტების შესაბამისად გარიგება **საჯარო ფასიანი ქაღალდებით** შესაძლებელია დაიდოს ბირჟაზე და მის გარეთ, საბროკერო კომპანიების მონაწილეობით ან მათ გარეშე. ამასთან 100 ლარზე მეტი ღირებულების გარიგების შესახებ ინფორმაციას უნდა იქნას დაფიქსირებული საჯარო ინფორმაციის მიზნით. ამავე კანონის მე-19-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად სამსახურის მიერ შემუშავებულია წესი – დადგენილება N 25 „საჯარო ფასიანი ქაღალდების არასაბირჟო გარიგების შესახებ", 22.02.2008 წ. მდგომარეობით. სწორედ ამან განაპირობა სსბ-ზე სავაჭრო გარიგებების შემცირება.

რაც შეეხება 2008 წელს, სსბ-ის ვაჭრობაში მონაწილეობდა 16 საბროკერო კომპანია. რომლებმაც გარიგება დადეს 157 ემიტენტის აქციაზე და ერთი ემიტენტის – „აუტო ფაინენსის" ობლიგაციაზე. აქედან A კატეგორიის ლისტინგი გავლილი ჰქონდა მხოლოდ სს „საქართველოს ბანკის" აქციას და B კატეგორიის სალისტინგო კომპანიები იყვნენ: „ლიბერთი კონსუმერი", „ყაზბეგი", „კაუკასუს ენერჯი ენდ ინფრასთაქჩა" და „თელიანი ველი". დანარჩენი კი წარმოადგენდა არასალისტინგო კომპანიებს. მთელი წლის განმავლობაში დაიდო 859 გარიგება 79669291 აქციაზე, რომლის მთლიანმა ღირებულებამაც 245981042 ლარი შეადგინა.

სახელმწიფო ობლიგაციები. საქართველოს მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2006 წლის 20 მარტს გააფორმეს შეთანხმება „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ", რომლის საფუძველზე, 2006 წლის 17 მაისს საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ არსებული საქართველოს მთავრობის 832.9 მლნ. ლარის დავალიანებიდან 48.0 მლნ. ლარი ყოველწლიურად გადაფორმდება „ობლიგაციებად", რომელთა ვადიანობა არის 16-60 თვე. დავალიანება სრულად დიფარება 2030 წელს. აღნიშნული ობლიგაციები, ეროვნულ ბანკს შეუძლია გამოიყენოს ღია ბაზრის ოპერაციებისათვის.

სახელმწიფო ობლიგაციების საჯარო შეთავაზება ხორციელდება სახელმწიფო ობლიგაციების აუქციონის მეშვეობით. აუქციონში მონაწილეობის უფლება აქვთ კომერციულ ბანკებს და მათი მეშვეობით რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვება ხდება ეროვნულ ვალუტაში. აუქციონის ჩატარება ეფუძნება **მრავალი ფასის** მეთოდს.

სადეპოზიტო სერთიფიკატები. 2006 წლის სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და გამოუშვა ახალი მონეტარული ინსტრუმენტი – საქართველოს ეროვნული ბანკის ერთ წლამდე ვადიანობის **სადეპოზიტო სერტიფიკატი,** რომელიც უფრო მოსახერხებელი და მისაღებია ბანკებისათვის და, ამავე დროს, ხელს უწყობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას. საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავდა დებულება „საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სადეპოზიტო სერტიფიკატის გამოშვების, გაყიდვის, მიმოქცევის, რეგისტრაციისა და დაფარვის შესახებ", რომელიც დამტკიცებულ იქნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N238 (5.09.06) ბრძანებით.

2010 წლის 21 იანვარს, ეროვნული ბანკი 91 დღიან N3, სადეპოზიტო სერტიფიკატების აუქციონზე 15 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა. ფასიანი ქაღალდები შეიძინა ოთხმა კომერციულმა ბანკმა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 3.09%-ით, მაქსიმალური 4.67%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი 4.29%-ით განისაზღვრა.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო ვალის შესახებ" შესაბამისად, ფინანსთა სამინისტრომ ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით 2009 წლის 5 აგვისტოდან განახორციელა ფინანსთა სამინისტროს **სახაზინო ვალდებულებების ემისია.**

სახაზინო ვალდებულება არის ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული მოკლევადიანი დისკონტური ფასიანი ქაღალდი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გამოშვება ხდება ეროვნული ვალუტით, არამატერიალიზებული ფორმით. ერთი სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის ნო-

მინალური ღირებულებაა 1000 ლარი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის გამოშვება ხდება ერთ წლამდე დაფარვის ვადით, დისკონტით და იფარება ნომინალური ღირებულებით. სახაზინო ვალდებულებები იყიდება აუქციონის მეშვეობით. აუქციონი ტარდება საქართველოს ეროვნულ ბანკში. ფასიანი ქაღალდების მფლობელი შეიძლება გახდეს როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები, რეზიდენტები და არარეზიდენტები. სახაზინო ვალდებულებების შეძენა რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შეუძლიათ საქართველოში მოქმედი ნებისმიერი კომერციული ბანკის მეშვეობით.

როგორც უკვე აღინიშნა, მსოფლიო პრაქტიკაში ცნობილია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების ოთხი ძირითადი ფორმა: ა) სახელმწიფო რეგულირება, ბ) საბირჟო რეგულირება, გ) თვითრეგულირება, დ) საზოგადოებრივი რეგულირება.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის საქართველოს საფონდო ბირჟაზე ზემოქმედების გაანალიზება შესაძლებელია 2008 წლის მონაცემების მიხედვით: თითქმის განახევრდა განხორციელებული გარიგებების ოდენობა წინა წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით. საბროკერო კომპანიების მონაცემებით, 2010-2012 წლებში ინვესტორები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ ისეთ აქციებს, რომელთა ემიტენტებსაც საკუთრებაში მიწის ნაკვეთი ან მრვალსართულიანი უძრავი ქონება გააჩნდათ. გახშირდა შემთხვევები, როდესაც აქციების ყიდვა-გაყიდვები არაკონკურენტულ გარემოში და საბროკერო კომპანიების მონაწილეობის გარეშე ხორციელდება, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას ახდენს ბირჟის შედეგებზე არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოში ფინანსური კრიზისის გამო საფონდო ბირჟების მუშაობა დაბალი მაჩვენებლებით მიმდინარეობს. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ ამ ეტაპზე საქართველოს საფონდო ბირჟაზე სავალალო მდგომარეობაა, რადგანაც: არ ხორციელდება ფასიანი ქაღალდების ემისია; საფონდო ბირჟაზე ან ერთი ემიტენტის აქცია არის წარმოდგენილი სარეალიზაციოდ და ეს არის „საქართველოს ბანკის" აქციები, ან საერთოდ არ დგება ვაჭრობა; რელიზებული აქციების ფასი სისტემატურად კლებულობს; საქართველოს საფონდო ბირჟის ინდექსი – **„gait end Taggart" 2008 წლის თებერვლიდან სისტემატურად ეცემა; 2009 წლის 17 თებერვლის მონაცემებით განახევრდა საბროკერო კომპანიების მონაცემები. შესაბამისად, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზა წარმოდგენილია „საქართველოს საფონდო ბირჟის /სსბ/ „სახით, რომელიც დაფუძნდა 1999 წლის 8 იანვარს** საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის პროფესიონალთა ბირთვის, მოწინავე ქართული ბანკების, საინვესტიციო და სადაზღვევო კომპანიების ინიციატივით.

მსოფლიო ფინანსური კრიზისის, (რომელიც 2008-2009 წელს აშშ-ში დაიწყო და შემდეგ ევროპასა და აზიაშიც გავრცელდა) კომპლექსური მიზეზების კვლევის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე საკვანძო მომენტი, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშეს 2008-2009 წლების კრიზისის ფორმირებაში, კერძოდ:

1. აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის (ფსს) პოლიტიკა;
2. რისკიანი იპოთეკური ბაზარი;
3. დერივატივების ბაზარი. კერძოდ – საკრედიტო დეფოლტური სვოპ-ის (CDS) **ბაზარი.**

ქვემოთ განხილულია თითოეული მათგანი:

1. აშშ. ფედერალური სარეზერვო სისტემის პოლიტიკა: ეკონომიკაში რეცესიის დადგომის ერთ-ერთი კრიტერიუმი უმუშევრობის ბუნებრივი დონიდან გამოსვლაა, თუმცა, თუ ეკონომიკა უმუშევრობის ბუნებრივ დონეზე იმყოფება მაგრამ ამასთან უმუშევრობის ბუნებრივი დონე იზრდება, მაშინ ამბობენ, რომ ეკონომიკა რეცესიაში გადადის, რაც ნიშნავს, რომ ტენდენცია რეცესიისაკენ არის მიმართული და გარდატეხის წერტილი მისი დაწყების წერტილიცაა (მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკა არ არის უმუშევრობის ბუნებრივი დონის საზღვრებიდან გამოსული). 1994 წელს აშშ-ს ეკონომიკა შევიდა სრული დასაქმების ფაზაში და უმუშევრობის დონე მერყეობდა 5-5.8%-ის ფარგლებში. 1996 წელს კი დაიწყო შესვლა რეცესიაში (თუმცა ეკონომიკა უმუშევრობის ბუნებრივი დონის ფარგლებში იმყოფებოდა). ეკონომისტი **როჯერ ჰარისონი** ამ თარიღს კრიტიკულ თარიღად მიიჩნევს. სწორედ ამ წელს ფედერალური სერეზერვო სისტემის ხელმძღვანელმა, **ალან გრინსპინმა,** გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა მაკროეკონომიკურ თეორიას და უფრო მეტად დაფუძნებული იყო პოლიტიკურ მოტივებზე. მან


რეცესიის შესამუსბუქებლად და ეკონომიკის სტიმულირებისათვის ჯერ 1995 წელს და შემდგომ 1996 წლის იანვარში დასწია **საპროცენტო განაკვეთი.** როცა ეკონომიკა სრული დასაქმების პირობებში იმყოფება, ასეთ ზომებს უმუშევრობის კიდევ უფრო შემცირებისაკენ მივყავართ. მართლაც, უმუშევრობა 1997-2000 წლებში 4% ფარგლებში ჩამოყალიბდა და 3.9%-საც მიაღწია. ალან გრინსპინმა ამ მოვლენას რეალური ეკონომიკური ზრდა, ხოლო ეკონომიკას უმუშევრობის 4%-იანი დონით „ახალი ეკონომიკა“ უწოდა.

ამრიგად, **ვასკვნით,** რომ სინამდვილეში მსგავს გადაწყვეტილებას მივყავართ საკრედიტო რესურსების მიწოდების ზრდისკენ. მაგრამ მსგავსი ტიპის ზრდა აღარ არის დაფუძნებული დანაზოგების ზრდაზე (აღარ არის უზრუნველყოფილი) და მას, გარდა სახელმწიფო გარანტიისა, არაფერი უდგას უკან (გარანტიის საკითხებს ქვემოთ დავუბრუნდებით). ასეთი პოლიტიკა მხოლოდ საწყის მომენტში იძლევა შედეგს: მაშინ, როცა ფულის მიწოდება იზრდება საპროცენტო განაკვეთი მცირდება, ინვესტირების ზრდა ხდება დანაზოგების შემცირების კვალად, რადგან საპროცენტო განაკვეთის შემცირებისას „რეალური დანაზოგების ფუნქცია“ არ იცვლება ხოლო „ნომინალური დანაზოგების ფუნქცია“ გადაადგილდება და როდესაც ეკონომიკაში ცოტას ზოგავენ, მოთხოვნა საინვესტიციო რესურსზე მაღალია.

შესაბამისად, ადგილი აქვს სასესხო კაპიტალის ბაზარზე ეკონომიკური ინფორმაციის დამახინჯებას, რაც შემდგომში გაურკვევლობის მიზეზი ხდება. შედეგად, ერთ მხარეს დგანან ინვესტორები, რომლებმაც ბევრი ინვესტიციები გაიღეს უფრო გრძელვადიანი პერსპექტივის და მოლოდინების გამო, ხოლო მეორე მხარეს მომხმარებლები, რომლებიც ამ ინვესტიციების გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფის შესაძლებლობას შეუძლებელს ხდიან, და თან პირიქით ზრდიან მიმდინარე მოხმარებას. ამავე დროს, ინვესტორები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გათვლილია რესურსული ფონდის მეტ სიდიდეზე – ეს გარემოება ეკონომიკას განაწყობს საკუთარი თავის წინააღმდეგ და როდესაც ნათელი ხდება, რომ დაწყებული საინვესტიციო პროექტების დასრულება ვეღარ იქნება შესაძლებელი (რადგან საინვესტიციო რესურსების გრძელვადიანი კვების წყარო არ არსებობს), ეკონომიკა ეშვება **რეცესიაში** და იწყება **ვარდნა.** ზემოთ განხილული სიტუაცია არის საკრედიტო რესურსების ზრდის მიზეზების ერთი მხარე (რომელმაც განსაკუთრებულად მწვავე სახე იპოთეკურ ბაზარზე მიიღო). თუმცა ეს არ არის საკმარისი მიზეზი იმისათვის რომ აიხსნას ბანკების ლიკვიდობის შემცირება და არ იძლევა სრულ სურათს.

2. **რისკიანი იპოთეკური ბაზარი:** თავად იპოთეკური ბაზრის კრიზისი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მიმდინარე ფინანსურ კრიზისთან და, როგორც ცნობილია, ამ უკანასკნელმა მსოფლიო ეკონომიკა კატასტროფის წინაშე დააყენა. რა შეიძლება ითქვას იპოთეკური ბაზრის კრიზისზე? როგორც **ე. ჰანსენი** განსაზღვრავს, აშშ-ს იპოთეკური ბაზარი ხასიათდება ე. წ. სამშენებლო ციკლებით.

ნახაზი 2.7. უმუშევრობის დონე აშშ-ში



მისი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ როცა იზრდება მოთხოვნა ბინებზე, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება საკმაოდ დიდი ლაგის შემდეგ ხორციელდება, რის გამოც ამ ბაზარზე უპირველეს ყოვლისა ადგილი აქვს **ჭარბწარმოებას.** მეორეს მხრივ, სანამ ბინათმშენებლობის ბაზარი ფაქტის წინაშე არ აღმოჩნდება, იგი ასტიმულირებს სხვა დარგებშიც ჭარბწარმოებას (ზოგან პირდაპირი, ზოგან – ირიბი კავშირით). ჭარბწარმოების შედეგი იპოთეკურ ბაზარზე ფასების მკვეთრ დაცემაში გამოიხატება. შედეგად კოტრდებიან სამშენებლო კომპანიები, უძრავი ქონებით მოვაჭრენი და სხვა ამ ბაზრის მონაწილე აგენტები. ამ ბაზარზე არსებული კრიზისი, გადაეცემა მთელ ეკონომიკას. მაშასადამე, ერთის მხრივ ფედერალური სარეზერვო სისტემა ეკონომიკაში სტიმულირებული ბუმის განმახორციელებლად გვევლინება, მეორეს მხრივ კი აშშ-ს ეკონომიკაში არსებობს **სამშენებლო ციკლის მექანიზმიც.** მაგრამ თანამედროვე კრიზისის მასშტაბურობა მხოლოდ ამ გარემოებით არ აიხსნება.

3. საკრედიტო დეფოლტური სვოპ-ის (CDS) ბაზარი: მეოცე საუკუნის ბოლოს განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად განვითარდა დერივატივების ბაზარი, რომელიც უამრავი ინოვაციით ხასიათდებოდა. განსაკუთრებით საყურადღებოა **საკრედიტო დეფოლტური სვოპ-ის (CDS) ბაზარი.** თავად CDS არის კრედიტული დერივატივი ან შეთანხმება ორ მხარეს შორის: პირველი მხარე ახორციელებს რეგულარულ შენატანებს მეორის ანგარიშზე, რომელიც იღებს პასუხისმგებლობას დაფაროს გაცემული კრედიტი მესამე მხარის დეფოლტის შემთხვევაში, შედეგად პირველი მხარე იღებს გაცემული კრედიტისათვის ერთგვარად დაზღვევას. პირველ მხარეს ეწოდება მყიდველი, მეორეს – გამყიდველი, მესამეს კი მევალე. დერივატივებს არ გააჩნიათ გარანტიები და უზრუნველყოფა. ისინი ფასდება კონტრაგენტების გადახდისუნარიანობის მიხედვით. უკანასკნელ წლებში CDS ძალიან პოპულარული გახდა, რაც აშშ-ში რისკების ზრდით იყო გამოწვეული. ბანკები ამტკიცებდნენ რომ მათი საშუალებით ისინი რისკებს გაანაწილებდნენ მთელს მსოფლიოში. CDS – ის მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ არ არსებობს მისი ფლობის აუცილებელი მოთხოვნა, რის გამოც ისინი შეიძლება სპეკულაციური მოტივით გამოიყენებოდეს, რის შედეგადაც ბაზარი რეგულაციების არარსებობის პირობებში ფართოვდებოდა. 2000 წელს CDS-ის ბაზარის მოცულობა 100 მილიარდ დოლარს შეადგენდა, 2007 წელს კი – 62 ტრილიონ დოლარს (რაც აშშ მთლიანი შიდა პროდუქტს 4-ჯერ აღემატება). ყველაზე მსხვილი გამყიდველი ამ ბაზარზე იყო ამერიკული საინვესტიციო ბანკი Lehman Brothers (700 მილიარდი დოლარის გარანტია, 2008 წელს ეს ბანკი გაკოტრდა).

თავად დერივატივების ბაზარი, ამ ბაზარზე რეგულაციების არარსებობის გამო იქცა ვირტუალურ მრავალტრილიონიან ბაზრად. მაგრამ კრიზისის მიზეზად ის იქცა მას შემდეგ, რაც, ამ ვირტუალურმა ბაზარმა მოითხოვა **რეალური ფულის გიგანტური მოცულობა.** ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება ფედერალური სარეზერვო სისტემის მხრიდან გაუმართლებელია (ძალიან ცუდი პრეცენდენტი იქნებოდა) და შეუძლებელიც. ამიტომაც დღეს ეს ბაზარი განიცდის შეკუმშვას და **კრიზისის ხანგრძლივობაც ამ შეკუმშვის სიჩქარეზეა დამოკიდებული.**

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში არსებული გლობალური პოლიტიკური სისტემა, როგორც **ჯორჯ ფრიდმენი** მიუთითებს, ცდილობს მსოფლიო გლობალური ფონდის გამოყენებით ხელში აიღოს გლობალური ფინანსური სისტემის მართვის სადავეები. რიგმა ქვეყნებმა ამ მიზნით გამოთქვეს გლობალური ფინანსური სისტემის ნანგრევების ნაციონალიზაციის სურვილი. ფრიდმენის აზრით, ეს პირველ რიგში ეხებოდა აშშ-სა და ევროპას, სადაც გაჩაღდა ლიკვიდურობის კრიზისი. ფრიდმენის აზრით, პრობლემა არა ფულის არარსებობაში, არამედ ფინანსურ ინსტიტუტებში იყო, რომლებიც ამ ფულის ბრუნვით იყვნენ დაკავებულნი და რომლებმაც დაკარგეს ერთმანეთისა და თავად **სისტემის ნდობა.** როგორ გაიცეს კრედიტები, როცა უეცრად გაკოტრდნენ ისეთი გიგანტები, როგორიც იყო Lehman Brothers და ყველა მათი ვალდებულება გაქრა? როცა საუბარია ფინანსურ სექტორში პრობლემის მოგვარებაზე მთავარი ნდობის დაბრუნებაა.

აშშ, ეროვნული იდეოლოგიიდან გამომდინარე, გამოიკვეთა თავისუფალ **ბაზარზე მოქმედების ძირითადად სამი მიმართულება,** კერძოდ:

1. იპოთეკასთან დაკავშირებული აქტივების შესყიდვა;

2. ისეთი ფინანსური ინსტიტუტების წილების შესყიდვა, რომლთა აქტივებიც თანამედროვე ბაზრის პირობებშიც არასაკმარისად არის შეფასებული და ჯანსაღ ეკონომიკურ საფუძველს ფლობენ;

3. თავად სახელმწიფო დაიწყებს მნიშვნელოვანი როლის თამაშს ბანკთაშორის ბაზარზე, სადაც ის შესთავაზებს უზრუნველყოფის პირობებში ნებისმიერ ბანკს ფულს.

არსებობს პრობლემის გადაწყვეტის შესახებ **სხვა მოსაზრებაც**, რომლის მიხედვითაც საჭიროა **ფინანსური ინსტიტუტების** განვითარებამ ხელი შეუწყოს ციკლს, რომელიც გამოიხატება მსხვილი კომპანიების გადარჩენის მიზნით სახელმწიფო გარანტიებით კრედიტების უზრუნველყოფაში. ამისათვის მნიშვნელოვანია არაგადახდისუნარიანი ბანკებისა და გადახდისუნარიანი ბანკების გამიჯვნა. კლიენტების მასობრივი გადაყვანა ამ უკანასკნელში, შესაძლოა პირველის მეორეთათვის მიყიდვის გზით. შემდეგ საჭიროა ამ ბანკების რესტრუქტურიზაცია და საჭიროა უომედო ვალების ნაწილობრივი ჩამოწერა. შემდეგ კი შესაძლებელი იქნება საკრედიტო ურთიერთობების აღდგენა „სუფთა მინდორზე". თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ უარი უნდა ეთქვას პოტენციურ გადახდისუნარიან სუბიექტებს საკრედიტო რესურსებზე, მათთვის ლიკვიდობის უკმარისობა შესაძლოა მომაკვდინებელიც აღმოჩნდეს. ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ **სტრატეგიული დარგების სახელმწიფო მხარდაჭერა** მნიშვნელოვანია, **მაგრამ არ წყვეტს პრობლემას.**

როგორც ცნობილია, **საბანკო სექტორი საქართველოში** ერთ-ერთი ყველაზე მეტად განვითარებული და სწრაფად მზარდია. ამიტომ, სწორედ საბანკო სექტორი იძლევა ინოვაციებისა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საშუალებას, რაც თანამედროვე საბანკო სისტემაში მიჩნეულია მნიშვნელოვან ორიენტირად გარკვეული პროცესების სამართავად ან დასარეგულირებლად. **(იხილეთ წინამდებარე მონოგრაფიის ნაწილი მეოთხე – „საბანკო ბიზნესის მენეჯმენტის სრულყოფის ფინანსური მექანიზმი საქართველოში").**

როგორც ცნობილია, გამართულად ფუნქციონირებადი **საბანკო სისტემა** უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური განვითარებისათვის. სწორედ ამიტომ არის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ღერძია, თუმცა შიდა დანაზოგებისა და კაპიტალის მობილიზების ალტერნატიული საშუალებების გაჩენა უფრო მნიშვნელოვანია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შიდა დანაზოგების დეფიციტის შევსების წყაროდ უნდა განიხილებოდეს და არა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალად. ამჟამად ქვეყანაში დანაზოგების სიმცირის პრობლემა ეკონომიკას იმდენად დამოკიდებელს ხდის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე, რომ ვითარება ძალიან არასტაბილურია. საბანკო სისტემაში ანაბრებსა და სესხებს შორის ნეგატიური ბალანსია, რაც განსაკუთრებით საბიფათოა, ვინაიდან საშუალო სესხი საშუალო ანაბარს თითქმის 2, 5-ჯერ აღემატება.

ამ ეტაპზე, ისე, როგორც მთელს მსოფლიოში 2008-2010 წლები საკმაოდ მძიმე იყო ქართული **საბანკო სისტემისათვისაც.** საქართველოს საბანკო სექტორი 2010 წელს იდგა რამოდენიმე გამოწვევის წინაშე. მთავარი გამოწვევა იყო 2009 წლის ზარალიანი ტრენდის დაძლევა და შეუქცევად მოგებაზე გადასვლა. 2009 წელი საბანკო სექტორისათვის უმძიმესი გამოდგა, რაც დაკავშირებული იყო 2007 წლის რეცესიული პრობლემების მემკვიდრეობასთან. მართალია, ქვეყანამ მიიღო სოლიდური საერთაშორისო დახმარება, მაგრამ საბანკო სექტორზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენდა 2008 წლის ბოლოდან მოყოლებული, ვადაგადაცილებული სესხების ზრდის ტენდენცია, რამაც საბოლოო ჯამში სისტემის ზარალი გამოიწვია (ზარალი 65 მილიონი ლარი).

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა საბანკო სექტორში არსებული პრობლემები, მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ადრე ნაკლები ყურადღება ექცეოდა, როგორც ბანკების, ისე მარეგულირებელი ორგანოების მიერ. სერიოზული პრობლემები გააჩნია საქართველოს კომერციულ ბანკებს საოპერაციო რისკების მართვაში, რომელიც უშუალო კავშირშია კადრების შერჩევასთან, სადაც დაშვებული ნაკლოვანებები ცუდ ფინანსურ შედეგს იძლევა. ამჟამად საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე და ბანკის რისკის ინსტრუმენტებით ვაჭრობის ბაზრის ფაქტიურად არარსებობა ქმნის **ლიკვიდობის რისკის მართვის პრობლემებს.** ქართული ბანკები ნაკლებად იყენებენ უცხოურ საბანკო პრაქტიკაში აპრობირებულ რისკების მართვის **ინსტრუმენტებს,** როგორიცაა: ჰეჯირება, სესხებით ვაჭრობა, დერივატებით ბაზარზე მუშაობა და სხვა აღნიშნული ინსტრუმენტების ბაზრის სუსტი განვითარება, რამეთუ მათი მეშვეობით განხორციელებული ოპერაციები ვერ ახდენენ რეალურ გავლენას საბანკო რისკების მართვის შედეგებზე.

ამრიგად, კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე და ფულად ბაზრებზე **ლიკვიდობის პრობლემა** წარმოიქმნა, რომელიც განპირობებული იყო:

ფედერალური სარეზერვო სისტემის მონეტარული პოლიტიკით, აშშ-ს ბაზრის თავისებურებებით და უმეტეს წილად კი – ფინანსური ბაზრების ინსტიტუციური ნაკლოვანებებით. ანალიზიდან, ასევე გამოიკვეთა, რომ ძველი ტიპის ურთიერთობის მოდელის შენარჩუნება ფინანსურ ბაზრებზე აღარ არის შესაძლებელი. ამის გათვალისწინებით ამ ბაზარზე მნიშვნელოვანი **ინსტიტუციური ცვლილებები** უნდა მოხდეს, ამასთან სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდვებმა შეიძლება ეკონომიკის მობილურობის ხარისხი შეამციროს (ხისტი გამოსავალი). ამიტომ საჭიროა რეგულაციების და ურთიერთობების მოდელის მოდიფიცირება, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ისეთი ინფრასტრუქტურული რგოლის შესანარჩუნებლად როგორიცაა „საქართველოს საფონდო ბირჟა“ აუცილებელია განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებანი და საქართველოს მთავრობის მიერ გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით.

თავი 6.

ქვეყნის ტერიტორიულ-რესურსული პოტენციალის შეფასებისა და რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ასპექტები

6.1. საქართველოს ტერიტორიულ-რესურსული პოტენციალის ფაქტორული ანალიზი

ცნობილია, რომ საქართველოში საბაზრო ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრებისათვის აუცილებელია **რეგიონული** რესურსული, ტექნოლოგიური, სოციალური, საკანონმდებლო და სხვა **პრიორიტეტების გამოვლენა,** რომელიც უნდა დაეფუძნოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზსა და თანამედროვე მდგომარეობის შეფასებას, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით. იგიმიმართული უნდა იყოს შემდეგი **ძირითადი ამოცანების** გადაწყვეტაზე, კერძოდ:


1) რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მდგომარეობის ანალიზი-შეფასება;
2) რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საწარმოო ინფრასტრუქტურა) შეფასება;
3) რეგიონის ძირითადი სამეურნეო დარგების ჭრილში შრომითი რესურსების გამოყენების შეფასება და უმუშევრობის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა;
4) მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება;
5) რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი;
6) რეგიონების რეგიონთაშორისი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი;
7) წარმოების საექსპორტო რეზერვის გამოვლენა და სხვა.

ქვეყანაში ფინანსური კრიზისის შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა, სახელმწიფო ბიუჯეტის გაჯანსაღებამ, მეწარმეობრივი აქტივობის გაძლიერებამ, უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდამ და სხვა პოზიტიურმა ფაქტორებმა გარკვეული სტიმული მისცა რეგიონული ეკონომიკის გამოცოცხლებას. რეგიონებში ამ ბოლო წლებში საკმაოდ მაღალი ტემპით იზრდება ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა, რომლებიც მეწარმეობის (ბიზნესის) სხვადასხვა სფეროში საქმდებიან. საგულისხმოა, რომ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში წინა პლანზე წამოიწია **მომსახურების სფეროს** დარგებმა (ტურიზმი, სოციალური ინფრასტრუქტურა, ფინანსური შუამავლობა და ა. შ.) და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა **რეალურ სექტორს,** განსაკუთრებით კი მრეწველობას.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის მხრიდან მრეწველობის ზოგიერთი სახეების განვითარების მიმართულებით ამ ბოლო წლებში ძალისხმევის გააქტიურება შეინიშნება. მრეწველობის საწარმოების პრივატიზაციამ და კერძო სექტორში გადასვლამ ხელი შეუწყო ეკონომიკურ განვითარებას ქვეყნის რეგიონებში.

მოკლევადიან მიზანთა კომპლექსში შედის პირველი რიგის, გადაუდებელი ამოცანების რეალიზაცია, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობის აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნასთან: სურსათი, საცხოვრისი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების მიღება, კომუნალური მეურნეობის ფუნქციონირება.

გრძელვადიან მიზანთა სისტემამ კი უნდა მოიცვას სამუშაო ადგილების შექმნა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, მოსახლეობის სასიცოცხლო სოციალური სტანდარტებით უზრუნველყოფა, მაღალი სტანდარტების სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა, ხელსაყრელი გარემოს შექმნა სამოქალაქო აქტივობისა და თითოეული ინდივიდის ნიჭის გამოვლენისათვის. საბოლოო ჯამში რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის გრძელვადიან მიზანთა ერთობლიობა დაიყვანება რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეთა გამოთანაბრების ამოცანამდე.



ნახ. 2.8. რეგიონის სტრატეგიული განვითარების კონცეფციალური ბლოკ-სქემა.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რაოდენობრივი მახასიათებლების **ანალიზიდან** ჩანს, რომ ადგილი აქვს **რეგიონთაშორისი უთანაბრობის ზრდას**, როგორც მატერიალური წარმოების დარგების განვითარებაში, ასევე დასაქმების სფეროში, ცხოვრების დონეში და სხვა სფეროებში, რაც ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მოითხოვს რადიკალური ღონისძიებების გატარებას რეგიონთაშორისი უთანაბრობის დაძლევის მიმართულებით.

საქართველოს რეგიონების ბიზნეს-სექტორების (დარგების) **სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულობის** ფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **სახელმწიფო პოლიტიკას** ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. ამ მიზნით მონოგრაფიის მოცემულ ქვეთავში **შემოთავაზებულია** ქვეყნის **ეროვნული უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების პრიორიტეტები**, საგარეო და საშინაო პოლიტიკის ასპექტები. საქართველოში ტერიტორიების (რეგიონების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთის კვალობაზე მნიშვნელოვანია ქვეყნის მუნიციპალური წარმონაქმნის, ფედერაციის სუბიექტების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და მათი რეალიზაციის მექანიზმების სრულყოფა **(იხ. ნახ. 2-8).**

ამასთანავე, ჩვენი აზრით, ფრიად მნიშვნელოვანია **საზღვარგარეთული ქვეყნების გამოცდილებათა გააზრება** და მათი გათვალისწინებით თანამედროვე ეტაპზე საქართველოში რეგიონების განვითარების არსებული კონტრასტული დისპროპორციების აღმოფხვრისა და რეგიონების (მუნიციპალიტეტების) შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის კონკრეტული ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება-დამკვიდრება ქვეყნის **სამეწარმეო-ბიზნეს პრაქტიკაში.**

რეგიონი განიხილება, როგორც სოციალური კონსტრუქცია, რომელიც ხასიათდება ბუნებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ეროვნულ-კულტურული და სხვა ნიშნების ერთობლიობით, რო-

მელიც წარმოადგენს ეკონომიკურ აგენტს და კონკურენტული ურთიერთქმედების სუბიექტს რომელსაც გააჩნია ფართო შესაძლებლობანი რათა გაატაროს დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკა რეგიონის კონკურენტული პოზიციების განსამტკიცებლად და რეგიონის მოსახლეობის კეთილდღეობის ხარისხის ასამაღლებლად.

რეგიონული თეორიების პრიორიტეტულ მიმართულებებად რეგიონების ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირების თეორიის, რეგიონების ეკონომიკური ზრდისა და რეგიონული განთავსების თეორიის საფუძვლები გვევლინება, რომელთა კვლევების ძლიერი ეროვნული სკოლები საზღვარგარეთის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში, დიდ ბრიტანეთში, შვედეთში, აშშ-სა და საფრანგეთში ჩამოყალიბდა.

„საბიუჯეტო ფედერალიზმის" სრულყოფა პირდაპირ უკავშირდება საქართველოს რეგიონების სოციალური უთანაბრობის პრობლემების გადაწყვეტასა (შერბილებასა) და ტერიტორიული სამართლიანობის და ეკონომიკური ეფექტიანობის ოპტიმალური თანაფარდობის უზრუნველყოფას, ამასთან აღნიშნულის რეალიზაციის პროცესში წამოჭრილი წინააღმდეგობების დაძლევა და თითოეული მოქალაქისათვის (მოქალაქეთა ჯგუფებისათვის, ფენებისათვის) გარკვეული მოცულობის სოციალური მომსახურებითი უზრუნველყოფისსაკითხიც „საბიუჯეტო ფედერალიზმის" ერთ-ერთი **პრიორიტეტული მიზანია,** მით უმეტეს იმ პირობებში, როცა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო-ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების პრიორიტეტულობა დეკლარირებული და დაფიქსირებულია საქართველოს მთავრობის მიერ, ბოლო პერიოდში მიღებულ თითქმის ყველა სამთავრობო დოკუმენტში აღნიშნავს ცნობილი რეგიონალისტი **პროფესორი ევგენი ბარათაშვილი** და მიუთითებს, რომ, **„საბიუჯეტო ფედერალიზმის"** პირობებში შესაძლებელი იქნება საბიუჯეტო სამართლიანობის პრინციპის დაცვა, ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ხელისუფლების ყველა დონეს შორის უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა საფინანსო რესურსების განკარგვაზე (ხარჯვაზე): სხვადასხვა სახელისუფლებო დონეებისათვის მინიჭებული (გადაცემული) უფლებამოსილებათა რეალიზაციისათვის; მათი შესაბამისი საფინანსო რესურსებით უზრუნველყოფა სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დისბალანსის შერბილება ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერტების გამოყენებით, მკაფიოდ განსაზღვრული ნორმების (წესების) ფარგლებში.

დიდ ბრიტანეთში რეგიონული თეორიების ყველა მიმართულებით კვლევას წარმატებით ანხორციელებდნენ ა. სმიტი, ჰ. რიჩარდსონი, ე. რობინსონი, გ. კამერონი და სხვა მრავალი მეცნიერი. კერძოდ, **გ. კამერონმა** გამოყო სამი ძირითადი მიმართულება:

1) ნეოინტერვენაციონალისტები, რომლებიც უგულველყოფდნენ სახელმწიფოს როლს რეგიონულ განვითარებაზე;

2) „ადაპტორები", რომლებიც აყენებდნენ საკითხს სტიქიურად მოქმედ საბაზრო ძალებზე ზემოქმედების შერბილების, რეგიონული განვითარების პროცესში სამუშაო ძალის მიგრაციისა და ინვესტიციების სტიმულირების თაობაზე;

3) „რადიკალური გარდამქმნელები", რომლებიც მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს რეგულირების პოლიტიკის აქტივიზაციას.

„ადაპტირების" იდეაში სახელმწიფოს რეგულირების არსი და მიზანი გამოიხატება რეგიონებში ბუნებრივად მიმდინარე პროცესების დაჩქარებაში, სადაც სახელმწიფომ უნდა შეასრულოს კატალიზატორის როლი და რეგიონების განვითარების საერთო ტენდენციებიდან გამომდინარე კერძო კომპანიების ინტერესების გათვალისწინებით, გაატაროს ეფექტიანი პოლიტიკა. ამავე დროს მან ხელი უნდა შეუწყოს შედარებით ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში **ინვესტიციური პოლიტიკის** წახალისებას.

გერმანიაში ეკონომისტთა და ეკონომისტ-გეოგრაფების თვალსაჩინო წარმომადგენლების ა. ვებერის, ა. ლოშის, ჰ. გროცის, ი. ფონტუნინის და სხვათა შრომებში რეგიონების კლასიკური **განლაგების თეორია** საფუძვლიანად არის განვითარებული, **ავტორთა მეორე ჯგუფმა,** ჰ. ზიბერტმა, ჰ. გირშმა, კ. კროგენბოდენმა მნიშვნელოვანი წვლილი **რეგიონული ზრდის თეორიის** განვითარებაში შეიტანეს, ხოლო კრისტალერმა და ა. ლოშმა **ტერიტორიების განვითარების** რეგულირების პრიორიტეტები გამოიკვლიეს. ა. ლოში მხარს უჭერდა სახელმწიფოს ზომიერად ჩარევას რეგიონული განვითარების პროცესებში, ე. ი. აღრმავებდა „ადაპტირების" თეორიას, მაშინ, როდესაც მისი ბრიტანელი თანამოაზრე ს. დენისონი განიხილავდა რა რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების ფართო სპექტრის მექანიზმს, მხარს უჭერდა „რადიკა-

ლური გარდაქმნების“ თეორიას, თუმცა იგი რეგიონულ ეკონომიკურ პროცესებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საბაზრო თვითრეგულირების ინსტიტუტებსაც.

შვედეთში მეცნიერმა ტ. ჰეგერსტრანდმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც რეგიონული განლაგების, ასევე ტერიტორიების განვითარების რეგულირების თეორიების განვითარებაში.

საფრანგეთში რეგიონალური თეორიების კვლევის პროცესში მეცნიერების – ფ. პერუს, ჟ. ბუდვილის და პ. პოტიეს ინტერესები ძირითადად აისახებოდა სოციალურ საკითხებში, კერძოდ, მათ ურბანისტული კონცეფციის „ზრდის პოლუსები“ და „განვითარების ღერძების“ მიმართულებები განავითარეს.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში **ქართველ მეცნიერ-მკვლევარების** (რ. აბესაძის, ა. აბრალავას. ე. ბარათაშვილის, რ. ბასარიას, რ. გოგოხიას, დ. მოურავიძის, ჯ. ზარანდიას, ი. მესხიას, ვლ. პაპავას, კ. ღურწკაიას, ნ. ჭითანავას, რ. ხარებავას, და სხვ.) შრომებში **რეგიონული ზრდის თეორიების** ფორმირების ზოგადად ორი ძირითადი ცნობილი მიდგომა არის გამოყენებული. კერძოდ:

• **პირველი მიდგომა** გულისხმობს ქვეყნის ზოგადეროვნული ზრდის მაჩვენებლის მოდელის გამოყენებას რეგიონების ზრდის მოდელირებაში;

• **მეორე მიდგომა** ეფუძნება ცალკეულ საწარმოთა ან ფირმების ქცევის ანალიზს, რამდენადაც სწორედ მათი საქმიანობის შედეგებით განისაზღვრება ძირითადად რეგიონების (ტერიტორიების) განვითარება. მიზეზები, რომლებიც განაპირობებენ ფირმის (კომპანიის) არჩევანს ამა თუ იმ რეგიონისა და/ან საქმიანობის განხორციელებლად რეგიონების განლაგების თეორიის ასპექტებში.

მსოფლიო რანგის ცნობილი, დიდი ქართველი მეცნიერი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი **ნოდარ ჭითინავა** აღნიშნავს, რომ „რეგიონალურ პოლიტიკაში აუცილებელია ტერიტორიულ და საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს შორის ისეთი პროპორციების განსაზღვრა, რომელიც, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს ინტერესების სრულად გათვალისწინებას, მათ სწორად შეთანაწყობის, რეგიონის საწარმოო ძალების განვითარების სტიმულირებას, მეორე მხრივ, გაზრდის რეგიონის წვლილს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში“.[21]

ცნობილია, რომ საზღვარგარეთული ქვეყნის სამეურნეო პრაქტიკაში უნივერსალობისა და შესაძლებლობათა სივრცის ხარისხის მიხედვით რეგიონული განვითარების რეგულირების **ინსტრუმენტებს** ორ ჯგუფად ყოფენ:

1) საერთო ეკონომიკური რეგულირების მაკროინსტრუმენტები, ეკონომიკური ზრდის სტიმულირების მიზნით წარმოადგენენ რეგიონების მიხედვით დიფერენციალურ ზოგიერთ პარამეტრს (დაბეგვრის, დაკრედიტების, საინვესტიციო, სოციალურ და სხვა მიმართებით), რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ გარკვეული ტერიტორიის სუბიექტებზე;

2) სამისამართო ზემოქმედების რეგულირების მიკროინსტრუმენტები, რომლებიც გამოიყენებიან სამეურნეო სუბიექტებზე უშუალო ზემოქმედებისათვის (კადრების მომზადება, სუბსიდიების მიცემა, მიზნობრივი კრედიტის გამოყოფა). საგულისხმოა, სხვა საბაზრო ინსტრუმენტებიდან **ადმინისტრაციული** ხასიათის ღონისძიებების გამოყენებასაც. (მაგალითად, გადატვირთულ ქალაქებში ახალი საწარმოს აგების ან ძველის გაფართოების აკრძალვა, ან პირიქით, ნაკლებად განვითარებულ რეგიონებში საწარმოთა დისლოკაციის შეცვლა). ასევე, რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტიმულირების, კრიზისული სიტუაციის დაძლევისა და სპეციფიური ლოკალური პირობების ეფექტიანად გამოყენების მიზნით რეგიონების ორიგინალური სტილის გამოყენება, რომელიც მიიღწევს ეკონომიკური მოღვაწეობის რეგულირების განსაკუთრებულ ფორმებსა და მექანიზმებს. ამ მხრივ პრაქტიკულად უფრო მეტად არის გავრცელებული ე. წ. პრობლემური რეგიონები, სპეციალური ზონები (მათ შორის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, მეწარმეობისა და ტექნიკურ-დანერგვითი).

ასევე, მნიშვნელოვანია გასულ საუკუნეში ინტეგრაციული პროცესების შედეგად წარმოქმნილი ევროკავშირის **ევოლუციის გააზრება,** რომელიც, ფასეულია ქვეყნების (რეგიონების) ეკონომიკური ინტეგრაციისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეების დაახლოების თვალსაზრისით. ასევე სასარგებლოა ევროკავშირის ერთიანი რეგიონული პოლიტიკა იმ

[21] ნ. ჭითანავა – „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები“. თბილისი. ივერიონი. 2012 წ

თვალთახედვითაც, თუ როგორ ხორციელდება მის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ეროვნულ პოლიტიკასთან **ჰარმონიზაცია.**

ქვემოთ შემოთავაზებულია **ევროპული ინტეგრაციის იდეოლოგიის** – პარტნიორობის, სუბსიდირებისა და ურთიერთშევსების პრინციპები, სადაც:

1) პარტნიორობის პრინციპი ნიშნავს რეგიონულ პოლიტიკასთან მიმართებაში ევროკავშირს, ეროვნულ მთავრობებს, რეგიონულსა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის მოქმედებათა მჭიდრო კოორდინაციას;

2) სუბსიდირების პრინციპი, ნიშნავს, რომ პრობლემები უნდა გადაწყდეს იქ, სადაც ისინი აღმოცენდებიან, ხოლო ცენტრალურ მთავრობას გადაეცემა მხოლოდ ის უფლებამოსილებანი, რომლებიც „ქვევით" ვერ შესრულდება ან ნაკლებ ეფექტიანად განხორციელდება.

3) ურთიერთშევსების პრინციპი გამოიყენება რეგიონის მხარდასაჭერად რესურსების აკუმულირებისას. რესურსები აქ ყალიბდება ერთმანეთს დამატებული წყაროების შეკრებით: ევროკავშირისა და ეროვნული (საზოგადოებრივის და კერძოს) ინვესტიციების შერწყმით.

ცნობილია, რომ საერთო ევროპული რეგიონული პოლიტიკის მთავარ ფინანსურ **ინსტრუმენტს** წარმოადგენს რეგიონული განვითარების **ევროპული ფონდი.** რეგიონული მიმართულებები აქვს აგრეთვე ორ სხვა ფონდსაც – **ევროპის სოციალურ ფონდს და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის საგარანტიო ფონდს.** უფრო მოგვიანებით შექმნილი შეკავშირების ფონდიც, რომლის თანხებიც გამოიყენება ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარებისათვის ერთობლივი განვითარების გეგმებისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

ევროკავშირის მოღვაწეობაში რეგიონული მიმართულების როლი სულ უფრო იზრდება. ამას ადასტურებს **ევროკავშირის ბიუჯეტში** რეგიონულ განვითარებაზე გამოყოფილი სახსრების ხვედრითი წილი, რამაც შეადგინა 1988 წელს 17,5%, 1993 წელს – 21,3% და 1999 წელს – 36,0%.

ინტეგრაციის პროცესის გაღრმავების პირობებში ევროკავშირის ძირითად **იდეოლოგიურ პრინციპს** მაინც წარმოადგენს ყველა ქვეყნის კულტურულ-ეროვნული მემკვიდრეობის, ევროპის ყველა ქვეყნის და ხალხის მრავალსახეობათა შენარჩუნება.

ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ სფეროებში მიმდინარე პროცესების სახელმწიფოებრივ **რეგულირებასთან** დაკავშირებით სამეცნიერო პრაქტიკაში გამოყოფენ ორ ძირითად მიმართულებას:

1) ეტატიზმი, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივი ურთიერთობების პროცესებსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ითვალისწინებს;

2) ანტიეტატიზმი, რომელიც ცნობილია ლიბერალური მიდგომით და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სივრცეში სახელმწიფოს ჩარევის მინიმალიზაციას ემხრობა.

ზოგადად ცნობილია, რომ რეგიონების განვითარების **სახელმწიფო რეგულირების მთავარ მიზნად** განიხილება არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდა, არამედ განვითარება. ამდენად, საგულისხმოა პოლ **სამუელსონის** მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ვისწრაფოდეთ მხოლოდ **წარმოების რაოდენობრივ ზრდაზე, თუნდაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით,** არამედ, აუცილებელია, საზოგადოების მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური **შიდა სტრუქტურის** განვითარების მიღწევა. შემდგომში სხვა აღიარებული მეცნიერებიც მიუთითებდნენ, რომ **წარმოების უკონტროლო რაოდენობრივი ზრდა** შეუქმნის ცივილიზაციის განვითარებას საშიშროებას, რამდენადაც ის წარმოქმნის ეკოლოგიურ, ენერგეტიკულ, ნედლეულისა და მრავალ სხვა გლობალურ პრობლემებს.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების თავისებურებანი განსაზღვრულ დამოკიდებულებაში იმყოფება **სახელმწიფო მოწყობის ტიპებთან.** ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოში, უნიტარულისაგან განსხვავებით, ფედერაციის რეგიონულ სუბიექტებს უფრო ფართო უფლებამოსილებანი გააჩნიათ, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ რეგიონული ხელისუფლების მიერ საკუთარი რეგიონული პოლიტიკის გატარებაზე.

ტერიტორიების (რეგიონების) განვითარების სახელმწიფოებრივი რეგულირება რეგიონების მიმდინარე და **საინვესტიციო მხარდაჭერის მექანიზმებს** მოიცავს. კერძოდ, **მიმდინარე მხარდაჭერა** ძირითადად ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების რაიონულ (ქვემდგომ) ბიუჯეტებზე ფინანსური დახმარების გაწევას გულისხმობს. ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ეს

მექანიზმი პირდაპირ რეგიონულ განვითარებაზე ვერ ახდენს ზემოქმედებას, რამდენადაც რეგიონები ან/და მუნიციპალიტეტები ღებულობენ რა მიმდინარე დაფინანსებას, ეძლევათ ფართო შესაძლებლობები ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისთვის სოციალური მომსახურეობის გაზრდისათვის, რაც განაპირობებს ტერიტორიების ინვესტირების მიმზიდველობის ხარისხის განმტკიცებას.

რეგიონების საინვესტიციო მხარდაჭერის მექანიზმი, როგორც წესი, განიხილება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის **არსებით ინსტრუმენტად**, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს რეგიონების (ტერიტორიების) სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ჩვენი აზრით, კონკრეტულ პირობებში რეგიონების **დამოუკიდებლობის ხარისხის** გაზრდა ხელს შეუწყობს ეროვნული, სახელმწიფო, ადგილობრივი პროგრამების ეფექტიან კოორდინაციას. შესაბამისად, შექმნის პირობებს, რათა ადგილობრივი მოსახლეობა აქტიურად მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელმწიფო და რეგიონული პოლიტიკა უნდა იყოს დაბალანსებული, რაც განაპირობებს ქვეყნის მთავრობის ეფექტიან და შედეგიან ფუნქციონირებას. შესაბამისად, რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი **ფინანსურ ურთიერთობათა მართვასა და რეგულირებაზე**, სახელმწიფოსა და რეგიონალური ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობაზე, მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის, მათი დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მაღალშემოსავლიანი ინვესტიციების სტიმულირების მექანიზმების შემუშავებასა და რეალიზაციაზე, სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე და სხვ.

გლობალიზაციის მეთოდოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყნის (რეგიონის) განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში **ინტეგრაციული ფაქტორების** გათვალისწინება კერძოდ:

1. საჭირო და აუცილებელია გლობალიზაციის სწორი გაგება და მის მიმართ გაწონასწორებული და გონიერი დამოკიდებულება;

2. გლობალიზაცია რეგიონის ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს) უქმნის შესაძლებლობას, მოახდინოს თავიანთი ეროვნული ეკონომიკის სტრატეგიის ადაპტირება გლობალიზაციის დინამიკასთან მიმართებაში, თავიანთი ეკონომიკის სტრატეგია შეუხამონ ევროპული და აზიური რეგიონალიზმის განვითარებას, აგრეთვა, ყველა დონის ინტეგრაციულ პროცესებს – რეგიონულს, სუბრეგიონულს, ორმხრივს;

3. გლობალიზაციისადმი, როგორც მიზნისადმი მიდგომა, რომელსაც თავის თავის წინაშე აყენებენ მსოფლიოს ლიდერი ქვეყნები, საშუალებას იძლევა გლობალიზაციის პროცესი წარიმართოს მდიდრებისა და ღარიბების ინტერესების შეხებებისაკენ, მათ შორის მდიდრების სტრატეგიულ ინტერესებში გათვალისწინებისაკენ;

4. გლობალიზაციის პირობებში ეროვნული საქონელ-წარმოების დაცვის პრობლემის გათვალისწინება, რომელიც საჭიროებს ძალიან აწონილ-დაწონილ მიდგომას;

5. შეფასდეს თუ როგორ იქნეს გამოყენებული სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ დასავლეთ ევროპის გაერთიანებასთან და აზიის რეგიონთან მრავალმხრივი ურთიერთობის შესაძლებლობები.

ასევე გასათვალისწინებელია, თუ როგორ იქნება გამოყენებული დასავლეთ ევროპისა და აზიის ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესაძლებლობები საქართველოსა და მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საფინანსო რყევების წარმოქმნასთან, ელექტრონული ვაჭრობის გავრცელებასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და აზიაში ინვესტიციებთან.

ამრიგად, საქართველოს პრიორიტეტული საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გამომდინარე და განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში, **ქვეყნის გარეთ** – საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში. **გლობალიზაციის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით,** საქართველოს ინტერესებს უდავოდ პასუხს გლობალიზაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ჩვენი ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ახალ პირობებთან, ახალ შესაძლებლობებთან და გლობალიზაციის ახალ გამოწვევებთან ადაპტაცია.

შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა-რეალიზება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი რეგიონულ მრავალფეროვნებას, ცალკეული რეგიონების **კონკურენტუნარიანობის განსაზღვრა-გამოყენებას ენიჭება**. ცალკეული ქვეყნის მიდგომა კონკურენტუნარიანობის მიმართ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდებსა და საშუალებას იყენებს ესა თუ ის ქვეყანა ახალ პირობებში რისკის შემცირებისა და არსებული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების დროს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმას თუ რამდენად შეესაბამება მიღებული ეკონომიკური შედეგი ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პოტენციალს.

დასკვნა. ზემოთ გაანალიზებული გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის თანამედროვე ტენდენციების ფონზე, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რადიკალური ტრანსფორმაციის პირობებში, უხდება მსოფლიო მეურნეობაში თავისი (ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით) ადგილის დამკვიდრებისათვის შესაბამისი **მექანიზმების შემუშავება და რეალიზაცია**. საქართველოს გააჩნია იმის სერიოზული პოტენციალი, როგორიც **გეოპოლიტიკური** (ვგულისხმობთ საქართველოში ევროპა-აზიის დამაკავშირებელი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო კვანძის ფორმირების წარმატებით გაგრძელებას), ასევე **რესურსული** (ვგულისხმობთ ინტელექტუალურ, შრომით, ეკონომიკურ და ბუნებრივ რესურსებს) თვალსაზრისით, რათა აქტიური მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში და, ამავე დროს, ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის რეალიზაციით **შეინარჩუნოს ეროვნული თვითმყოფადობა**. შესაბამისად, რეგიონული განვითარების თეორიებისა და რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებათა განზოგადებასა და საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე **ვასკვნით**, რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია:

1) სახელმწიფო მოწყობისა და რეგიონების როლის განსაზღვრა;

2) რეგულირების ინსტიტუტების სამართლებრივი საფუძვლების დამკვიდრება;

3) მარეგულირებელი ინსტრუმენტების (დაგეგმვა-პროგნოზირება, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და სხვ.) ფორმირება და დამკვიდრება სამეწარმეო-ბიზნეს პრაქტიკაში;

4) განსაკუთრებული რეგიონული ფორმების (თავისუფალი ეკონომიკური ზონების) განვითარება და სხვ. შესაბამისად, საქართველოში ეფექტიანი რეგიონული ეკონომიკური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის რეგიონების ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის თავისებურებათა გათვალისწინება, რომელიც არსებით ზეგავლენას ახდენს რეგიონის სპეციალიზაციისა და შრომის ტერიტორიულ დანაწილებაზე, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რაციონალური და დაბალანსებული ეფექტიანი მექანიზმების გამოყენება-დამკვიდრებაზე მეწარმეობრივი საქმიანობის პრაქტიკაში.

6.2. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების მართვა

საქართველოში განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე მთლიანად და მათ შორის რეგიონებში, მართვის ბიუროკრატიული სტილი აშკარად სჭარბობს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის საბაზრო სტილს, მიუხედავად ცენტრალური ხელისუფლების მცდელობისა რეგიონული მეურნეობის მთელი სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის ასამაღლებლად რეგიონული ეკონომიკის ამაღლებაში არ არის გამოკვეთილი **მეწარმეობისა და მეცნიერების სინთეზი**, სუსტად არის განვითარებული **საბაზრო ინფრასტრუქტურა, საბირჟო ურთიერთობები, აუქციონები, დაბალია კაპიტალის მოზიდვის მცდელობა, მაღალია რისკ ფაქტორების ხარისხი უცხოეთის ბაზრობაზე თავისუფლად გასასვლელად და სხვა**, რომლებიც რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან **დისპროპორციებს** განაპირობებენ.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს რეგიონების პერსპექტიული განვითარებისა და მათი დონეების გამოთანაბრების კონცეფციულური ხედვა რეგიონების თანამედროვე ეკონო-

მიკურ განვითარების **ფაქტორულ ანალიზს** უნდა დაეფუძნოს და საბაზრო ურთიერთობების წარმატებულად დამკვიდრებისათვის, ობიექტური აუცილებლობით არის ნაკარნახევი რეგიონული რესურსული, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, სოციალური და პრიორიტეტებისა და სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალური განლაგების **პრობლემების გამოვლენა**, კერძოდ: რეგიონების რაციონალური სპეციალიზაციის დასაბუთება, სტრუქტურული გარდაქმნები, რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება, შიდა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და სხვა.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური დიფერენციაციის მიზეზებია:

1. პოსტსოციალისტური პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული წარმოების მეტისმეტი კონცენტრაცია მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, განსაკუთრებით კი, თბილისში, სადაც კონცენტრირებულია ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც განაპირობებს ეკონომიკური აქტიურობის შედარებით მაღალ დონეს და რეგიონებიდან რესურსების შემდგომ მოზიდვას, რაც იწვევს რეგიონებიდან მათი განვითარებისათვის აუცილებელი რესურსების გადინებას, რითაც კიდევ უფრო ამწვავებს მათში არსებულ კრიზისულ ვითარებას.

2. საყოველთაო ხასიათის ეკონომიკური კრიზისი, რომელსაც გააჩნია რეგიონული სპეციფიკური თავისებურებანი. მაგალითად, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სპეციფიკა გარკვეულწილად განპირობებულია გარე ძალების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის შედეგად **აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკასთან** გამყოფი საზღვრის ძალდატანებითი დადგენით, რის შედეგადაც, ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი სატრანსპორტო-ეკონომიკური და კულტურული კავშირი გაწყდა, როგორც აფხაზეთის რეგიონთან, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის მოსაზღვრე მხარეებთან (იხ. ნაწ. 1, თავი 2.1).

3. ეკონომიკურმა სისტემამ, რომლის ეკონომიკაც ცალმხრივად დამოკიდებულია ერთ-ორ დარგზე (მაგალითად მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაზე რუსთავში და ქვანახშირის მრეწველობაზე ტყიბულში), პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის განვლილ პერიოდში გარე გარემოს ცვლილებების მიმართ გამოავლინა სუსტი ადაპტაციის უნარი.

4. ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის ცვლილებით რეგიონული განვითარების დესტაბილიზაციის შიგა და გარე ფაქტორების გამწვავება.

5. რეგიონული ეკონომიკური პრობლემებით დასაქმებულ სახელისუფლო სტრუქტურებს შორის კომპეტენციის აღრევა, რაც ხელს უშლის ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირებასა და ქვეყნის და რეგიონების ჰარმონიულ, დაბალანსირებულ განვითარებას. ქვეყნის ტერიტორიაზე გამწვავებული **ეთნოკონფლიქტების** შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა არსებობა, რომლებიც განსაკუთრებით მრავლად არიან განსახლებულნი სამეგრელოს ტერიტორიაზე, რაც იწვევს იქ არსებული ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და კრიმინოგენული ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან რეგიონული ეკონომიკური პრობლემისადმი არაადეკვატური დამოკიდებულება, რაც ძირითადად, განპირობებულია ყურადღების ძირითადი გამახვილებით მაკროეკონომიკური და **ფინანსური პრობლემების** მიმართ (მონეტარიზმის თეორიულ პოსტულატებზე დაყრდნობით), რის შედეგადაც, სტრუქტურულ ცვლილებებსა და რეგიონულ პოლიტიკას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება;

6. ეკონომიკის სტრუქტურის დაუბალანსებლობა, როგორც ქვეყნის, აგრეთვე რეგიონების მასშტაბით საქართველოს ეკონომიკის არსებული სტრუქტურა წარმოადგენს არაეფექტიანსა და დისპროპორციულს;

7. მძიმე მრეწველობის იმ დარგებში სპეციალიზაცია, რომლებიც დაკავშირებულნი არ არიან შიგა ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან;

8. სტრუქტურული და ტექნოლოგიურ-ინოვაციური ინერციულობა;

9. სასოფლო-სამეურნეო რაიონებში სოციალურ-კულტურული ინფრასტრ-უქტურის სრული მოშლა და ა. შ.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ საქართველოს რეგიონებს, ფინანსური რესურსების უკმარისობის, სათანადო ინსტიტუციური გარემოს არარსებობისა და ინფრასტრუქტურის განუვითარებლობის შედეგად არ შეუძლიათ **ევოლუციური** განვითარების გზით, მხოლოდ საბაზრო მექანიზმებზე დაყრდნობით, არსებული მძიმე ეკონომიკური კრიზისისაგან

თავის დაღწევა და მათ შორის არსებული დისპროპორციების უმოკლეს ვადებში დაძლევა, საერთაშორისო პრაქტიკის გაუთვალისწინებლად.

საზღვარგარეთული გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ რეგიონებში ეკონომიკური სიტუაციების დასახასიათებლად იყენებენ: 1) მთლიან რეგიონულ პროდუქტსა **(მრპ)**, და 2) მოსახლეობის დასაქმების დონეს.

სადაც **ქვეყნის რეგიონების განვითარების** პერსპექტივის **შეფასებისას** კერძოდ, გამოყოფენ:

ა) ინვესტიციებს ძირითად კაპიტალში (მათი მოცულობები, დინამიკა სტრუქტურა) და

ბ) უცხო ინვესტიციების სიდიდეს (პირდაპირი, პორთფელური). ჩვენი აზრით, შეფასების მოცემულ მოჩვენებათა საქართველოში პრაქტიკაში ანალიზის პროცესში გამოყენება პრობლემურად გვესახება, რადგან საქართველოში დღეისათვის ოფიციალურ სტატისტიკაში არ არსებობს 90-იანი წლებიდან შესადარ მონაცემთა მწკრივები რეგიონული დიფერენციაციების და ფასების დონეების მიხედვით, ასევე მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების მიხედვით (იმ გამონაკლისია, როცა არსებობს ხელფასის დონის მონაცემები, რომლებიც ტერიტორიების მიხედვით არიან არსებითად დიფერენცირებული).

საქართველოს რეგიონების პერსპექტიული განვითარებისა და მათი დონეების გამოთანაბრების ამოცანების გადაწყვეტის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს **სამრეწველო საწარმოთა ოპტიმალური** განლაგების პრობლემამ. მხედველობაში გვაქვს რეგიონების რაციონალური სპეციალიზაციის დასაბუთება, სტრუქტურული გარდაქმნები, რეგიონთაშორისი ურთიერთობების განვითარება, შიგა და მსოფლიო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და სხვ.

რეგიონების სოციალური მდგომარეობის ანალიზის თვალსაზრისით მეტად საინტერესო ფაქტორს წარმოადგენს **მოსახლეობის დასაქმების** ეფექტიანობის კოეფიციენტის გათვლა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{დე}} = 1 - \frac{\sum_{1}^{i} H + H_{\text{უ}}}{H_{\text{ეკ}}}, \qquad (2.5)$$

სადაც: $K_{\text{დე}}$ – მოსახლეობის დასაქმების ეფექტიანობის კოეფიციენტია; i – მოსახლეობის ჯგუფების რაოდენობა დასაქმების ნიშნის მიხედვით; H – მოსახლეობის რაოდენობა დასაქმების არახელსაყრელი პირობებით; $H_{\text{უ}}$ – მოსახლეობის ნაწილი, რომელიც შედგება უმუშევარი მოქალაქეებისაგან; $H_{\text{ეკ}}$ – ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა.

ზემოთ მოყვანილი ფორმულიდან (იხ. 2.5) გამომდინარეობს, რომ მოსახლეობის **დასაქმების ეფექტიანობა** განპირობებულია ორი ძირითადი მომენტით: 1) დასაქმების არახელსაყრელი პირობების მინიმიზაციით და 2) უმუშევრობის შემცირებით. მთლიანობაში კი საქართველოს **შიგა მიგრაციის** პრობლემებსა და დამახასიათებელი ტენდენციების გაანალიზების კვალობაზე, **ვასკვნით**, რომ ყველაზე მეტად ეკონომიკურმა კრიზისმა დააზარალა სამრეწველო ქალაქები და ის მცირე ქალაქები და მათი მიმდებარე სოფლები, რომლებისთვისაც დასაქმებას იძლეოდა მრეწველობის ერთი დარგი ან ერთი-ორი დიდი საწარმო.

საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს **მთიანი რეგიონების** სპეციფიკის გათვალისწინება. ქვეყანაში აღნიშნული პრობლემების გარკვეულწილად შეზღუდვის თვალსაზრისით მიღებულ იქნა კანონი „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებულ იქნა სერიოზული შეღავათიანი სოციალურ-ეკონომიკური გარემოს შექმნა **მაღალმთიან რეგიონებში**. საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის სფეროში არსებულმა კრიზისმა შეუძლებელი გახადა მათი ამოქმედება და აქედან გამომდინარე, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ამ რეგიონებში არსებული ვითარების გამოჯანსაღება. ამდენად, მიგვაჩნია, რომ არსებული პირობების გათვალისწინებით მიზანშეწონილია (აუცილებელი) ხსენებულ კანონში ასახული სამართლებრივი ნორმების სრულფასოვანი ამოქმედებისათვის გადადგმულ იქნას შესაბამისი ნაბიჯები, რამაც, უწინარეს ყოვლისა, კანონის რეალიზაციის ინსტრუმენტარიუმის სრულყოფის კვალობაზე მისი განუხრელი მოქმედება უნდა განაპირობოს.

ამრიგად, ჩვენს მიერ ზემოთ გაანალიზებული საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკო-

ნომიკური განვითარების თანამედროვე მდგომარეობიდან გამომდინარე, **რეგიონული ასიმეტრია** შესაძლებელია გაცნობიერებულ იქნას, როგორც ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე **ნეგატიურად მოქმედი ფაქტორი**. ამდენად, ეროვნული პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებად რეგიონების განვითარების დონეებს შორის არსებული დისპროპორციების ნიველირება უნდა განისაზღვროს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ტერიტორიული ერთეულების შეწონასწორებული ეკონომიკური და სოციალური განვითარება. რეგიონის განვითარების **ფაქტორული ანალიზის** ჭრილში ასევე მნიშვნელოვანია რეგიონების ეკონომიკური ინტერესებისა და მათი გამოვლინებების თავისებურებათა საფუძვლიანი შესწავლა. რეგიონული ეკონომიკური ინტერესები მჭიდროდ უკავშირდება კვლავწარმოების ეფექტიანი პირობების შექმნას, რადგანაც შიგარეგიონული მოხმარების მოცულობა გვევლინება კვლავწარმოების ახალი ციკლისათვის აუცილებელი რესურსული უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფაქტორად. ასევე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს რეგიონის კვლავწარმოებით პროცესებზე არის რეგიონული დაგროვების მოცულობა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ქართველი მეცნიერების თვალსაზრისით[22]. მაგ., სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდე (რეგიონის დონეზე), რომელიც შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$\mathbf{R_{ეე}=R_{ნე}-B_{ა}+B_{ტრ}} \qquad (2.6)$$

სადაც, $\mathbf{R_{ეე}}$ – რეგიონის ინტერესების ამსახველი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის სიდიდეა, რომელიც შიგა რეგიონული მოხმარების მოცულობას უდრის; **$\mathbf{R_{ნე}}$** – რეგიონში შექმნილი წმინდა პროდუქტია, რომლებიც წარმოადგენს სხვაობას მთლიანი რეგიონული პროდუქციისა და რეგიონში საამორტიზაციო ანარიცხების ჯამისა; **$\mathbf{B_{ა}}$** – რეგიონის ანარიცხები, რომელიც მიემართება ცენტრალურ ბიუჯეტში; **$\mathbf{B_{ტრ}}$** – რეგიონზე ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერტები.

ასევე, მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შიგარეგიონული მოხმარების მოცულობის თანაფარდობით მიმდინარე დანახარჯებთან შეიძლება კვლავწარმოებისათვის ჩამოყალიბებული პირობების გამოვლენა.

შესაბამისად, რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის გაანგარიშება შეიძლება შემდეგი ფორმულით გამოითვალოს:

$$R_{ს.ეე} = \frac{R_{შპ}}{R_{მდ}}, \qquad (.2.7)$$

სადაც, $R_{ს.ეე}$ – რეგიონის ინტერესების ამსახველი სოც-ეკ. ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებელია; **$R_{მდ}$** – რეგიონში კვლავწარმოებით პროცესებზე დანახარჯები.

აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებით შესაძლებელი იქნება ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების (რეგიონების) ეკონომიკური ინტერესების ამსახველი სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობის დონის საკმაოდ **ობიექტური შეფასება**, რაც ხელს უწყობს შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სწორი ორიენტირების განსაზღვრისა და რეგიონების განვითარების დონეებს შორის დისპროპორციების მინიმუმამდე დაყვანის საქმეს.

შესაბამისად, ზემოთ წარმოებული ფაქტორული ანალიზიდან გამომდინარე რეგიონების განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები მიზნად ისახავს საქართველოს ცალკეულ რეგიონების შორის არსებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების დონეებს შორის მკვეთრი განსხვავების შემცირებას, რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას, მათი ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის განმტკიცებას. თითოეულ რეგიონში არსებული ბუნებრივი, შრომითი, ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ინვესტორების მოზიდვას. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონებს შორის, ბუნებრივ-კლიმატური პირობების განსხვავების გარდა, ადგილი აქვს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მხრივ და ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის არაიდენტურობა. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა აუცილებლად უნდაგახდეს **პრიორიტეტული, პროტექციონისტული და დიფერენციული,** ცალკეული რეგიონების მიხედვით.

---

[22] ბარათაშვილი ე, აბრალავა ა, ზარანდია ჯ, ფარესაშვილი ნ, იაშვილი გ, იაშვილი თ, „სტრატეგიული მენეჯმენტი. თბ. 2013.

საქართველოში სწორი რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ქმედითი ინსტრუმენტის უნარიან გამოყენებას, როგორიცაა **პროგნოზირება და დაგეგმვა**. რეგიონული განვითარების რეგულირების დაგეგმვამ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დაგროვილი გამოცდილების ის ელემენტები უნდა გამოიყენოს, რომლებიც მოერგება საქართველოს სინამდვილესა და ტრადიციებს. ქვეყნის ცალკეული რეგიონებისა და მთლიანად სახელმწიფოს მასშტაბით ეკონომიკის განვითარებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება **სანედლეულო რესურსების** მომჭირნეობით და რაციონალურად გამოყენებას, რაც ხელს შეუწყობს წარმოებული პროდუქციის მასალატევადობის შემცირებას. ამასთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის მეორადი სანედლეულო რესურსების გამოყენებას, რაც გამოშვებული პროდუქციის რესურსშემცველობის შემცირებისა და რესურსდაზოგვის საუკეთესო რეზერვად გვესახება.

რეგიონების განვითარების რეგულირების მნიშვნელოვანი საკითხია წარმოების **რესტრუქტურიზაციის პოლიტიკის** შემუშავება რეგიონების ეკონომიკის ბაზრისათვის მორგება-შეხამების მისაღწევად. შესაბამისად რესტრუქტურიზაცია საქართველოს თითოეულ რეგიონში უნდა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერულად დასაბუთებული კვლევისა და ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ამასთანავე სტრუქტურიზაციისა და სიმძლავრეების რეკონსტრუქციის პროცესების განსახორციელებლად, რეგიონების ხელისუფლებამ ქვეყნის ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივად უნდა განახორციელოს ღონისძიებები აღნიშნული მიღწევისათვის ინვესტიციების მოსაზიდად. საქართველოს თითოეულ რეგიონში რესტრუქტურიზაციამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უზრუნველყოს შემდეგ ძირითად მიზნების განხორციელება: რეგიონის მოთხოვნათა დაკმაყოფილება, რესურსების გამოყენება, მოსახლეობის მაქსიმალურად დასაქმების მიღწევა და ა. შ. ასავე, კონკრეტულ რეგიონში საინვესტიციოდ გამოსაყენებელი **ფინანსური რესურსების** შექმნის საქმეში სერიოზული წვლილი შეუძლია შეიტანოს რეგიონში **საბანკო სისტემის** განვითარებამ.

6.3. საქართველოში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების მოდელირება

საქართველოში სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესის დაჩქარებისა და ცალკეული რეგიონების ჭრილში ეკონომიკის გამოცოცხლებისა და შემდგომი განვითარების მიღწევის თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში სახელმწიფოებრივი ტერიტორიული მოწყობის მოდელის არჩევანსა და რეგიონების სტრატეგიული განვითარების მიმართულების კვლევა-ძიებაში რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების, უცხოური გამოცდილების გამოყენებას საქართველოს პირობებთან მისადაგებაში.

ჩვენი აზრით, დღევანდელი საქართველოს რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც საქართველოში რეგიონები (მხარეები) ფაქტიურად არსებობს, როგორც ისტორიულად, ისე ეკონომიკურად და პოლიტიკურად, მაგრამ ხელისუფლების მხრივ კონსტიტუციურად არ არის ჩამოყალიბებული ქმედითუნარიანი რეგიონული და მუნიციპალური (საკრებულო) სტრუქტურები და განსაზღვრული მათი უფლებამოსილებები. შესაბამისად, სახელმწიფოს მოწყობის ორიენტაცია **ფედერალურ პრინციპებზე** ობიექტურად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც უნდა განხორციელდეს **შემდეგი პრინციპების** დაცვით, კერძოდ:

ა) ქვეყნის სახელმწიფოებრივი მთლიანობის შენარჩუნება;

ბ) ქვეყნის დაცვა საგარეო საფრთხეებისაგან და ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა;

გ) საკუთრების განაწილება ფედერალურ და სუბფედერალურ დონეებზე;

დ) ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების განვითარება;

ე) ქვეყნის ფედერალურ კანონმდებლობასთან რეგიონების კანონმდებლობის სრული შესაბამისობაში მოყვანა;

ვ) ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფორმირება

ზ) სახელმწიფოს მართვის სისტემის ვერტიკალის ფორმირება;

თ) ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესში მმართველობის ცენტრალური (ფედერალური) ორგანოების ფუნქციებისა და უფლებამოსილებათა გადანაწილება და გამიჯვნა;

ი) ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა.

კ) ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის უნიფიცირებული სისტემის ფორმირება;

ლ) ადგილობრივი თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა იქნას მიღწეული ფედერალურ (ცენტრალურ) და ადგილობრივ ხელისუფლებათა
ინტერესების ჰარმონიზაცია;

მ) ცენტრალური ხელისუფლების ისეთი უფლებამოსილებით აღჭურვა, რომელიც საშუალებას მისცემს ჩაერიოს ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაში იმ საგანგებო სიტუაციებში, როდესაც საფრთხე ექმნება ქვეყნის კონსტიტუციური წყობის საფუძვლებს და ერთიანობას.

სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ქვეშ იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ორგანოებში, სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებს, ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ურთიერთობა.

პრაქტიკიდან ცნობილია, რომ ათწლეულების მანძილზე საქართველოში თვითმმართველობის ორგანოები ითვლებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლების იერარქიული სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად, ამიტომ თვითმმართველობის ჩამოყალიბების პროცესში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ფუნქციათა და უფლებათა გამიჯვნა. არსებობს კომპეტენციების გამიჯვნის ორი შესაძლებლობა: კანონით ზუსტად არის განსაზღვრული თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციები, ხოლო ყველა სხვა უფლებამოსილება რჩება სახელმწიფოს გამგებლობაში; კანონით გათვალისწინებული (გარანტირებული) კომპეტენციების გარდა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა კომპეტენციას მიეკუთვნება ყველა ის ადგილობრივი საკითხი, რომელიც კანონმდებლობით ცენტრალური, რეგიონული ხელისუფლების კომპეტენციაში არ შედის.

ქვეყანაში ამჟამად შექმნილი ვითარების გამო იკვეთება ტერიტორიული მოწყობისადმი ორი ძირითადი **მიდგომა:**

პირველი – მკვეთრად ცენტრალიზებული სახელმწიფო წყობილების ფორმა (როცა ცენტრალური ხელისუფლების ხელში იქნება თავმოყრილი ყველა სახელწმიფო ფუნქცია);

მეორე – უნდა მოხდეს უფლებამოსილებათა გადანაწილება ხელისუფლების ცენტრალურ, რევგიონულ და ადგილობრივ დონეებს შორის. ორივე ეს პირობა მოითხოვს შესაბამის კონსტიტუციურ ცვლილებათა შეტანას მოქმედ კანონმდებლობაში. დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეფექტური მმართველობა, ადამიანის უფლებების დაცვა, ქვეყნის სტაბილურობა დაკავშირებულია ხელისუფლების დანაწილებაზე სახელმწიფო სისტემაში.

შესაბამისად, ყოველივე ზემოთქმული საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ, მომავალი კონსტიტუციური კანონი უნდა ითვალისწინებდეს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის შემდეგ **საკითხებს:**

ა) ტერიტორიული ერთეულების ჩამონათვალი, მათი ტერიტორია და საზღვრები;

ბ) ტერიტორიული ერთეულების სტატუსი;

გ) ტერიტორიული ერთეულების ხელისუფლების ორგანოთა სტრუქტურა, მათი უფლებამოსილება, შექმნის და საქმიანობის წესი;

დ) ტერიტორიული ერთეულების განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები;

ე) ტერიტორიული ერთეულების და ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა ურთიერთობის ფორმები.

ქვეყანაში დეცენტრალიზაციის პროცესების მიმდინარეობის ფონზე არსებითი მნიშვნელობა ენიჭება **ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების** უფლებამოსილებათა გაფართოებას, ადგილობრივი ინტერესების გამოყენებას და ადგილებზე ინიციატივის სრულად გამოვლენის პირობების შექმნას. კონკრეტულ პირობებში რეგიონების დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე კონცენტრაციას, რომე-

ლიც უფრო ეფექტიან კოორდინაციას ეროვნულ, სახელწმიფო, მიზნობრივ და ადგილობრივ პროგრამებს და შექმნის უკეთეს პირობებს ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების პროცესში.

ამრიგად, აღნიშნულის გაანალიზებისა და განზოგადების საფუძველზე **ვასკვნით,** რომ საქართველოში მიმდინარე რეგიონული პროცესების ერთიან, კომპლექსურ მიმართულებად ჩამოყალიბებისა და წარმართვის მიზნით, ქვეყანაში რეგიონების საბოლოო ფორმირებისა და მათი საზღვრების მომავალი დაზუსტების პროცესის განხორციელებისას საჭიროდ მიგვაჩნია, გარდა ადმინისტრაციულისა, აუცილებლად გათვალისწინებული იქნეს აგრეთვე ისეთი გარემოებებიც, როგორიცაა: ა) ისტორიული მემკვიდრეობითობის პრინციპი; ბ) გეოგრაფიული პრინციპი; გ) რეგიონის კვლავწარმოებითი მიდგომის პრინციპი.

საქართველოს რეგიონების სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულობის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს პოლიტიკას ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის კონტექსტში, საქართველოში ტერიტორიების (რეგიონების) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთას ფედერაციის სუბიექტების (რეგიონების, ტერიტორიების, რაიონების) კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებებისა და რეალიზაციის მექანიზმების სრულყოფას.

წინამდებარე ნაშრომში დღეისათვის არსებული აქტუალური პრობლემების გათვალისწინებით წარმოდგენილია სახელმწიფოს **ფედერალური მოწყობის** კონტექსტში რეგიონის (ტერიტორიის) თეორიული **მოდელი** და რეგიონების სტრატეგიული, კომპლექსური განვითარების კონცეპტუალური ბლოკ-სქემა (იხ. ნახ. 2.9).

რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის არჩევა და შესაბამისი კონცეფციის შემუშავება შემდეგი თანმიმდევრობით (ეტაპებად) უნდა განხორციელდეს. კერძოდ:

1) უნდა ჩატარდეს რეგიონის განვითარების სტრატეგიული ანალიზი, რომლის შედეგად გამოვლინდება პრობლემური სიტუაციების შექმნის მიზეზები, განვითარების ტენდენციები და თავისებურებები;


2) უნდა შემუშავდეს გრძელვადიანი პერიოდისთვის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტიული მოდელი, რომელიც დაეფუძნება მეცნიერების თანამედროვე მიღწევების პრაქტიკული რეალიზაციის ამოცანებს;

3) უნდა ჩამოყალიბდეს რეგიონების კომპლექსური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების სისტემა;

4) უნდა განხორციელდეს რეგიონის ეკონომიკის განვითარების ფინანსური და ორგანიზაციული მექანიზმებით უზრუნველყოფა, (როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯზე, ასევე ინვესტიციების მოზიდვით). **ორგანიზაციულ მექანიზმებად** განიხილება რეგიონული პოლიტიკა, ადმინისტრაციული, საკანონმდებლო და ეკონომიკური რეგულირების მეთოდები, კონკურენტუნარიანობის შეფასების პროგნოზირებისა და პროგრამირების ასპექტები.

ბუნებრივ-რესურსული ბაზის სტრატეგიული და ეკოლოგიური რეგულირების სისტემის გამოყენებით უნდა იქნას მიღწეული ბუნებრივ-რესურსული კომპლექსის, როგორც ეკონომიკური სისტემის განვითარების პროცესში ჰარმონიულად ფუნქციონირება შიგა და გარე სამყაროსთან, მას უნდა ჩამოუყალიბდეს **საბაზრო კონიუნქტურის** შესაბამისად ტრანსფორმირების უნარი და შეძლოს არსებულ პირობებთან ადაპტირება. **სტრატეგიული** მიზნებიდან გამომდინარე, უნდა შემუშავდეს მისი რეალიზაციის **სტრატეგიები,** კერძოდ: ა) ბაზისური; ბ) ფუნქციონალური სტრატეგიები.

ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მისაღწევად რეკომენდებულია ექსპორტზე ორიენტირებული წარმოების ზრდის სტრატეგიის შემუშავება რაც მიღებული შემოსავლების ქვეყნის შიგა ბაზარზე ორიენტირებულ საწარმოებზე წარმართვას უზრუნველყოფს. ხოლო სხვა შემთხვევაში კი მუშავდება ისეთი სტრატეგიები, რომლებიც ორიენტირებული იყო ახალი სახეობის პროდუქციისა და ტექნოლოგიების წარმოებაზე.




ნახ. 2.9. რეგიონის კომპლექსური განვითარების კონცეპტუალური ბლოკ-სქემა.

მენეჯერული გადაწყვეტილება გულისხმობს გადაწყვეტილებათა მომზადების, მიღების, შესრულებისა და კორექტირების პროცესს. იგი, რისკის პირობებში მოითხოვს მენეჯერისაგან მართვის მეცნიერებისა და პრაქტიკის ცოდნის სინთეზს, პრაქტიკულ-ლოგიკურ აზროვნებას, ფანტაზიას, კარგად გათვლილი **რისკის** ელემენტებს, ამიტომ მმართველობითი გადაწყვეტილება მენეჯერის მუშაობის ხარისხის ძირითადი მაჩვენებელია, რომლის ფორმირების პროცესი დაკავშირებულია მართვის პროცესის **ციკლურობასთან, რომელიც,** თავის მხრივ, სამი სტადიისაგან შედგება: 1) მიზნის დასახვა-დაგეგმვა; 2) სამართავი სისტემის მომზადება დასახული მიზნის განსახორციელებლად; 3) აღრიცხვა, კონტროლი, მოქმედების კორექტირება-რეგულირება და კოორდინაცია.

მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადების, მიღებისა და რეალიზაციის პროცესი, მისი შემადგენელი ელემენტების **ლოგიკური თანმიმდევრობის ალგორითმი** წარმოდგენილია **ნახ. 2.10. -ში.**

მენეჯერული გადაწყვეტილების მიღების **პროცესი** მოიცავს შემდეგ ეტაპებს: 1) სანარმოო სიტუაციის ანალიზი და პრობლემის გამოვლენა; 2) პრობლემის გადაწყვეტის მიზნების დასახვა; 3) გადაწყვეტილების ინფორმაციული უზრუნველყოფა; 4) გადაწყვეტილების ალტერნატიული ანუ შესაძლებელი ვარიანტის შემუშავება; 5) გადაწყვეტილებათა ვარიანტების ანალიზი და შეფასება; 6) პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტის გზების შერჩევა.

ფინანსური რისკის შემცირების ერთ-ერთ არსებით ელემენტად **დაზღვევა** შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაძლებელ მნიშვნელოვან დანაკარგთა თავიდან აცილების გზა მცირე დანახარჯების გაწევის სანაცვლოდ. კერძოდ: **1. ქონების დაზღვევა; 2. სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან დაზღვევა; 3. სიცოცხლის დაზღვევა; 4. ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვ.**



ნახ.2.10. მმართველობითი გადაწყვეტილების მომზადებისა და რეალიზაციის ალგორითმი.

ამრიგად, საქართველოში დღეს არსებული ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში მნიშვნელოვანია საწარმოთა **გადარჩენის სტრატეგიის** ფორმირება, ანუ **ქმედითუნარიანობის შენარჩუნება** და **სტრატეგიული დაგეგმვის** უპირატესობის გამოყენება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სწრაფი რეაგირება საბაზრო შესაძლებლობებზე, რისკის პრობლემებსა და უსაფრთხო განვითარებაზე.

საინვესტიციო პროცესის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში

7.1. საინვესტიციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეფციები

ტერმინი „ინვესტიცია“ (გერმანულად – investition) ყველაზე ფართო გაგებით წარმოებაში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას ნიშნავს. ინვესტიციებით აღნიშნავენ რეალურ აქტივებს, რომლებიც საჭიროა გარკვეული საქონლის წარმოებისა და რეალიზაციისათვის. იგი მოიცავს ასევე ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაცი ების) შეძენას ფინანსურ შედეგებზე გათვლით.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ინვესტიციების ცნებაში აღნიშნული ორი სხვადასხვა მხარის, რესურსებისა და ამ რესურსების დაბანდების დიალექტიკურ ერთიანობაში განხილვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. როგორც ეკონომიკური კატეგორია, „ინვესტიცია“ ძალზე ტევადი ცნებაა. საინვესტიციო პოლიტიკა მოიცავს საინვესტიციო სფეროს ფუნქციონირების და რეგულირების კანონზომიერებების განმსაზღვრელ ელემენტებს, კერძოდ:

1. სამეწარმეო (ბიზნეს) საქმიანობაში ჩადებული რესურსები და ფასეულობები, სადაც ინვესტიციები შეიძლება განხორციელედეს შემდეგი სახით: ა) ფულადი სახსრები, კრედიტები, აქციები, საბანკო ანაბრები და სხვა გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება (შენობა – ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა); გ) საავტორო უფლებებიდან გამომდინარე ქონებრივი უფლებები, ლიცენზიები, ინტელექტუალური ფასეულობები და სხვა.

2. რესურსების დაბანდებით მოცულობისა და დინამიკის ნარმმართველი შემოსავლები.

შესაბამისად, „ინვესტიციების“ კატეგორიის განსაზღვრისას ყველაზე გავრცელებული მიდგომების ანალიზი და შეჯერება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ინვესტიციას ახასიათებს კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდისთვის მატერიალური, ტექნოლოგიური, ფინანსური და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკური საქმიანობის სფეროებში მოგების (შემოსავლების) ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით.

ინვესტიციების სიდიდის განსაზღვრას განსაკუთრებული და უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გამართლებულია ინვესტიციების ის მოცულობა, რომელიც მოცემული პერიოდისათვის უზრუნველყოფს დადებითი წმინდა დისკონტირებული ღირებულების ან შემოსავლების შიდა განაკვეთის მიღებას. **წმინდა დისკონტირებული ღირებულების** გათვლა ხორციელდება მოსალოდნელი შემოსავლების დისკონტირებული ღირებულებიდან მოსალოდნელი საინვესტიციო ხარჯების დისკონტირებული ღირებულების გამოქვითვით.

ცნობილი მეცნიერის **ჯონ მეინარდ კეინზის** სახელთან არის დაკავშირებული შემოსავლების შიდა განაკვეთის (ინვესტიციების ზღვრული ეფექტიანობის) ეკონომიკაში შემოღება, რომელიც არის დისკონტის ის განაკვეთი, რომელსაც შეუძლია კაპიტალის აქტივიდან შექმნას წმინდა შემოსავლების დისკონტირებული მნიშვნელობა.

საინოვაციო საქმიანობის მართვა წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების დამოუკიდებელ სფეროს, რომელიც მიმართულია იქითკენ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების რაციონალური გამოყენების გზით უზრუნველყოს ინოვაციური მიზნის მიღწევა. ქვეყნის ეკონომიკის ძირეული რეფორმირების პირობებში, როდესაც ინოვაციები როგორც მიკრო, ისე მეზო და მაკრო დონეზე ყველა სტრუქტურის საქმიანობის განუყოფელი ელემენტია. საინოვაციო საქმიანობის მართვაში მეცნიერული მეთოდების გამოყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს ფუნქციას იძენს.

საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირებას განპირობებს ინოვაციების მზარდი მნიშვნელობა ეკონომიკისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის. ეკონომიკური ზრდა დაფუძნებულია ექსტენსიური და ინტენსიური ფაქტორების კომპლექსზე. თანამედროვე ეტაპზე, პროდუქციის გამოშვების ზრდა, წარმოებაში შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმების გაზრდისა და ეკონომიკურ ბრუნვაში ახალი ბუნებრივი რესურსების ჩართვის საფუძველზე სულ უფრო შეზღუდული ხდება.

საინოვაციო საქმიანობის გავლენა იწვევს ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებას. რესურსების ეფექტიანი გამოყენების კვალობაზე ხდება მათი ნაწილის გამოთავისუფლება და ეკონომიკური საქმიანობის სხვა სფეროებში გადანაწილება. ინოვაციები ცვლის ასევე საზოგადოების ეკონომიკურ ორგანიზაციას. ჩნდება სამეურნეო სტრუქტურის ახალი ელემენტები (მაგალითად, ვენჩურული ფირმები) და მიმდინარეობს ცვლილებები საკუთრების სხვადასხვა ფორმათა სტრუქტურასა და რეალიზაციაში, ვითარდება საინოვაციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეპციები.

თანამედროვე ეტაპზე **საინოვაციო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების** შემდეგი ძირითადი მიმართულებები შეიძლება გამოვყოთ:

1) სახსრების აკუმულირება სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დასაფინანსებლად; 2) საინოვაციო საქმიანობის კოორდინაცია; 3) ინოვაციური პროცესის სამართლებრივი ბაზის შექმნა; 4) ინოვაციების საკადრო უზრუნველყოფა; 5) მეცნიერულ-ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფორმირება; 6) ინოვაციური პროცესების ინსტიტუციური უზრუნველყოფა; 7) ინოვაციების სოციალური და ეკოლოგიური რეგულირება; 8) ინოვაციური პროცესების რეგიონული რეგულირება; 9) ინოვაციური პროცესების საერთაშორისო ასპექტების რეგულირება.

ეკონომიკის ფართომასშტაბიანი სტრუქტურული რეორგანიზაცია, სიღრმისეული მიკროეკონომიკური გარდაქმნები და ფუნდამენტური ინსტიტუციური რეფორმები წარმოადგენს არა მარტო საბაზრო გარემოს ფორმირების გადამწყვეტ პირობას, არამედ მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და მთლიანად ეკონომიკის ცივილიზებული განვითარების ფაქტორს. გრძელვადიან პერსპექტივაში ზრდა ობიექტურად შეუძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, მეცნიერებატევად და რესურსდამზოგი წარმოებების, მატერიალური წარმოებისა და მომსახურების სფეროს ინტეგრაციის ახალი მექანიზმების შექმნის, მრავალნაირი პერსპექტიული კორპორაციული ოგანიზაციის და მართვის მეთოდების ათვისების გარეშე.

წარმოების ინფორმაციული ბაზისა და მეცნიერულ-ტექნიკურ ცვლილებებთან მიმართებაში მართვის ხარისხობრივი გარდაქმნის ერთ-ერთ გამოვლინებაა ცოდნის ახალი ფუნქციისა და მართვის მექანიზმის წარმოქმნა საუბარია **ინტელექტუალური კაპიტალის** აკუმულირებაზე. სანარმოო და ინფორმაციული ტექნოლოგიების რევოლუციური ცვლილებების პირობებში, ინტელექტუალური კაპიტალის გამოყენება და მზარდი პროფესიონალური კომპეტენცია უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ცხოველქმედობასა და წარმატებულ განვითარებას.

ადამიანური კაპიტალის თეორიის აღმოჩენამ, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში არანივთობრივი დაგროვების მზარდი როლი განაპირობა. ადამიანური კაპიტალის ქვეშ იგულისხმება ადამიანის ყველა მწარმოებლური უნარის ერთობლიობა, მაშასადამე, ეს ცნება მოიცავს ცოდნისა და ჩვევების შეძენას, აგრეთვე ეკონომიკური კეთილდღეობის საწარმოებლად გამოყენებულ ენერგიასა და მოტივაციას.

ადამიანურ კაპიტალში ინვესტიციების ძირითად ფორმებს მიაკუთვნებენ **განათლებას,** აღზრდას, ჯანდაცვას, აგრეთვე დანახარჯების მთლიან კომპლექსს, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის მოსამზადებლად წარმოებაში ჩართვისთვის. ფიზიკური კაპიტალის მსგავსად, მისი ფორმირება მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს როგორც თვით ადამიანისგან, ასევე მთლიანად საზოგადოებისგან. ბუნებრივია, რომ ამგვარი დანახარჯები არ იქნებოდა გაწეული, თუ იგი ვერ უზრუნველყოფდა ადამიანის უფრო მაღალ შემოსავლებს. ამგვარად, ადამიანური კაპიტალი განიხილება როგორც მარაგი, რომელიც შეიძლება დაგროვდეს და მომავალში უფრო მაღალი შემოსავლის წყარო გახდეს.

საქართველოში **საინოვაციო საქმიანობის მართვის პოლიტიკის** ფორმირებისა და რეალიზაციის პირობებში, ჩვენი აზრით უწინარეს ყოვლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და შემდგომი სრულყოფის აუცილებლობა. განათლება, ჯანდაცვა, პერმანენტული ინვესტიციები სპეციალისტების გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში – ეს ის ძირითადი ინსტრუმენტებია, რომელთაც შეუძლიათ ოპტიმალურ პერიოდში მოახდინონ ძირეული გარდატეხა ქვეყნის ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაფართოებისა და მდგრადი ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით.

საინოვაციო საქმიანობის პროცესის მართვა

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საინოვაციო

პროცესების მართვა ქვეყნაში, სადაც მიმდინარეობს ეკონომიკის საბაზრო რელსებზე ტრანსფორმაცია, ადგილი აქვს წარმოების ეკონომიკური ზრდის დაბალ დონეს, კორპორაციების (ფირმების) **ინტერესების** დაქვეითებას საინოვაციო ღონისძიებებისადმი და, რაც არსებითია, არ არსებობს გამართული **სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკაც**. აღნიშნულის გათვალისწინებით, საინოვაციო პროცესების მართვაში მნიშვნელოვანია მსოფლიო გამოცდილების გამოყენება ზოგადად მართვის საკითხებში და კონკრეტულად საინოვაციო პროცესების მართვაში.

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ეფექტიანი მართვისა და ინოვაციური მენეჯმენტის უზრუნველსაყოფად **აუცილებელია:**

1) ინვესტიციური საქმიანობის ორგანიზაციის სრულყოფა და ინვესტიციების მოზიდვის ღონისძიებათა განხორციელება;
2) ინვესტიციური პროგრამების და პროექტების რეალიზაციის კოორდინაციის და კონტროლის სისტემის შექმნა;
3) ინვესტიციების მუდმივად გარანტირებული დაცვის სრულფასოვანი მექანიზმის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
4) ინვესტიციური სიტუაციის მონიტორინგის განხორციელება და შედეგების გამოყენება მეცნიერულად დასაბუთებული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის;
5) საკანონმდებლო ნორმების მისადაგება მსოფლიო სტანდარტებთან;
6) ინვესტიციების საბანკო დაკრედიტების გაფართოება;
7) შეიქმნას მდგრადი და რაციონალური სადაზღვევო სისტემა რომელიც უზრუნველყოფს არასაბიუჯეტო ინვესტიციების დაცვას რისკებისაგან;
8) საინვესტიციო მიმზიდველობის სტიმულირების მიზნით ინვესტიციებზე შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის დანესება.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი განვითარების, გლობალიზაციის და ბაზრის ინტერნაციონალიზაციის, კონკურენციის გამძაფრების პირობებში ინოვაციები წარმოადგენს წარმატების უმთავრეს ფაქტორს, მათი **სტრატეგიული მართვა კი – ანტიკრიზისული პოლიტიკის მთავარ ამოცანას.** საწარმოო და საინვესტიციო მოთხოვნა პრაქტიკულად განსაზღვრავს ეკონომიკის სტრუქტურას. ამდენად, მნიშვნელოვანია აღნიშნული სტრუქტურის ფორმირების ტენდენციებისა და ზოგიერთი ფაქტორის, (როგორიცაა იმპორტჩანაცვლება, ეკონომიკის შესაძლო ორიენტაცია ექსპორტზე, საქონელსა და მომსახურების შიგა მოთხოვნების დონე და საინვესტიციო აქტივობა) განხილვა ინვესტირებაზე მათი გავლენის გამოსავლენად.

საინოვაციო პოლიტიკის ძირითად **მიზანს** ინოვაციათა სტიმულირება და სამეცნიერო-ტექნოლოგიური ბაზის ფორმირება წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს თანამედროვე ტექნოლოგიების შექმნასა და გამოყენებას კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნებისათვის, პროექტის განხორციელების მეთოდების ეფექტიანობას.

ინოვაციის აუცილებელი თვისებაა სამეცნიერო-ტექნოლოგიური სიახლე, სამრეწველო გამოყენება და კომერციული რეალიზებადობა. ინოვაციების კლასიფიკაცია სიახლეთა ტიპის, ცვლილებების სიღრმის და ტექნოლოგიური პარამეტრების შესაბამისად ხორციელდება.

ინოვაციური **„პროექტით მართვის" მეთოდი** საფუძვლიანად არის აღწერილი ეკონომიკურ ლიტერატურაში. **პროექტის მართვის** (Project Manajment) **ძირითადი ფუნქციების,** საფუძველზე განისაზღვრება პროექტის უმნიშვნელოვანესი კატეგორიები, კერძოდ: ა) ტექნიკური განხორციელებადობა; ბ) კონკურენტუნარიანობა (განისაზღვრება ხარისხით, დროით და ღირებულებით); გ) შრომატევადობა; დ) სიცოცხლისუნარიანობა; ე) პროექტის განხორციელების ეფექტიანობა.

ქვემოთ შემოთავაზებულია მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული **ეფექტური მენეჯმენტის –** მმართველობითი საქმიანობის მთავარი რეზულტატის შეფასების **ძირითადი კრიტერიუმები,** კერძოდ: ა) ქმედობაუნარიანობა ბ) ეკონომიურობა; გ) ხარისხი; დ); ე) პროდუქტიულობა; ვ) შრომის ხარისხი; ზ) ინოვაციური აქტიურობა.

შესაბამისად, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემების საერთო კომპლექსში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მიეკუთვნება საინოვაციო პოტენციალის გან-

ვითარებას და ამ პროცესის აქტიური სახელმწიფო მხარდაჭერის პრობლემას, ქვეყნის წინაშე მდგარი ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექნოლოგიური საქმიანობის მკვეთრ გააქტიურებაზე. შესაბამისად, აუცილებელია ობიექტურად აღქმული და ღრმად გააზრებული ერთიანი სახელმწიფო საინოვაციო პოლიტიკის გატარება, შემდგომი ინსტიტუციური რეფორმების განხორციელება, მტკიცე კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, ერთ-ერთი უმთავრესი ქვაკუთხედია მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული და, ამასთან, მაღალ სახელმწიფო-საზოგადოებრივ პასუხისმგებლობასთან შერწყმული ეკონომიკური პოლიტიკა.

ინოვაციების არსის მიმართ ყველაზე მეტად გავრცელებულია **ორი მიდგომა:** პირველ შემთხვევაში სიახლეთა დანერგვა განიხილება როგორც შემოქმედებითი პროცესის შედეგი, რომელსაც თან სდევს ახალი პროდუქციის (ტექნიკის, ტექნოლოგიისა და ა. შ.) შექმნა. მეორე შემთხვევაში ეს არის ახალი ნაკეთობების, მიდგომების და პრინციპების დანერგვა ძველის სანაცვლოდ.

ინოვაციების სისტემური აღწერის მეთოდოლოგია დაფუძნებულია საერთაშორისო სტანდარტებზე, რომელთა შესახებ რეკომენდაციები მიღებულია 1992 წელს ქალაქ ოსლოში. ისინი შემუშავებულია ტექნოლოგიურ ნოვაციებთან მიმართებაში და მოიცავენ ახალ პროდუქტებსა და პროცესებს, აგრეთვე მათ მნიშვნელოვან ტექნოლოგიურ სახეცვლილებებს. ინოვაცია ითვლება განხორციელებულად იმ შემთხვევაში თუ იგი დანერგილია ბაზარზე ან საწარმოო პროცესში. შესაბამისად, განასხვავებენ ტექნოლოგიური ინოვაციების ორ ტიპს: **პროდუქტიულს** და **პროცესულს.** ინოვაციების ყველა არსებითი განსაზღვრების კლასიფიცირება შეიძლება შემდეგი **ძირითადი მიდგომის საფუძველზე:** ობიექტური; პროცესული; ობიექტურ-უტილიტარული; პროცესულ-ფინანსური.

ობიექტური მიდგომის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ინოვაციის სახით გამოდის ობიექტი-მტპ-ის შედეგი: ახალი ტექნიკა, ტექნოლოგია. ამ თვალსაზრისით, განასხვავებენ საბაზისო ინოვაციებს, გამაუმჯობესებულ ინოვაციებს და ფსევდოინოვაციებს.

პროცესული მიდგომის ფარგლებში, ინოვაციების ქვეშ იგულისხმება კომპლექსური პროცესი, რომელიც მოიცავს ახალი სამომხმარებლო ფასეულობების – საქონლის, ტექ ნიკის, ტექნოლოგიის, ორგანიზაციული ფორმების და ა. შ. შემუშავებას, წარმოებაში დანერგვასა და მათ კომერციალიზაციას.

ობიექტურ-უტილიტარული მიდგომა ხასიათდება ორი ძირითადი მომენტით. **პირველი,** ინოვაციის ქვეშ იგულისხმება ობიექტი – ახალი სამომხმარებლო ღირებულება, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებზე. **მეორე,** აქცენტი კეთდება სიახლეთა უტილიტარულ მხარეზე – ინოვაციების შესაძლებლობაზე დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილებები დიდი სასარგებლო ეფექტით.

პროცესულ-უტილიტარული მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მოცემულ შემთხვევაში ინოვაცია წარმოდგენილია როგორც კომპლექსური პროცესი ახალი პრაქტიკული სახსრების შექმნის, გავრცელებისა და მოხმარებისათვის.

პროცესულ-ფინანსური მიდგომის ფარგლებში ინოვაციების ქვეშ იგულისხმება ინვესტირების პროცესი ნოვაციებში, სახსრების დაბანდება ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიის, სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისათვის.

ინოვაციების მნიშვნელობის პრინციპული ზრდა გამოწვეულია **საბაზრო სიტუაციით:** კონკურენციის ხასიათით, ჩვეული სტატიკური კონკურენციიდან დინამიკურზე გადასვლით. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად განაპირობა ინოვაციებისა და ბაზრის თავისებურებათა ურთიერთქმედება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინოვაციური **საქმიანობა ფინანსური ინვესტიციების** ამოქმედებით იწყება, რომელიც **ფულადი კაპიტალის** გარდასახული ფორმაა. სწორედ ფულადი კაპიტალი იწყებს და ამთავრებს კვლავწარმოების პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, **საინოვაციო საქმიანობა ინვესტიციების ტრანსფორმირების პროცესს წარმოადგენს,** რომელიც ფულადი სახსრების აკუმულირების მომენტიდან კაპიტალურ ქონებაში ავანსებული ღირებულების რეალურ ანაზღაურებამდე მოძრაობას მოიცავს.

ინოვაციური პროცესი მოიცავს **სამ ძირითად სტადიას (ეტაპს):** 1. გამოკვლევის დაწყებიდან მისი შედეგების პირველ ათვისებამდე; 2. სიახლეთა დანერგვიდან, ამ პროცესის უზრუნველ-

ყოფის ჩათვლით (ორგანიზაციული, ფინანსური, საკადრო, მატერიალურ-ტექნიკური და სხვა) სასარგებლო ეფექტის მიღებამდე; 3. ბიზნესის ორგანიზების ეფექტიანი ფორმების დანერგვას.

საგულისხმოა, რომ ინოვაციური პროცესი ციკლური ხასიათისაა, რომელიც, მეტწილად, განპირობებულია სიახლის ეკონომიკური ბრუნვის (სიცოცხლის) ხანგრძლივობით. საუბარია **საქონლის სასიცოცხლო ციკლზე** საქონლის სასიცოცხლო ციკლის არსის უკეთ გაგებისათვის, განვიხილოთ მისი შემადგენელი ნაწილები, რომლებიც რამდენიმე **ეტაპის ჯაჭვს** წარმოადგენს. კერძოდ:

პირველი ეტაპის არსი მდგომარეობს მეცნიერული კვლევების შედეგების პრაქტიკულ რეალიზაციაში – ახალი საქონლის ნიმუშის შექმნაში, საქონლის ბაზარზე შესვლის პირობების შეფასებაში. ამასთან, სწორედ პირველ ეტაპზე ხდება ახალი საქონლის საცდელი პარტიის გაყიდვა, მაშასადამე, მარკეტინგული კვლევა.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია წარმოების ათვისებასთან, გასაღების ზრდასთან და პირველი ეკონომიკური შედეგების მიღებასთან. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ეტაპზე იქმნება ციკლის მატერიალურ-ნივთობრივი საფუძველი.

მესამე ეტაპის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ფართო მასშტაბით ახალი პროდუქციის წარმოების ხანგრძლივობა ორმაგ ზეგავლენას ახდენს ეფექტიანობაზე. ერთი მხრივ, გამოშვების (წარმოების) ხანგრძლივი პერიოდი უზრუნველყოფს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და კვლავწარმოებისათვის კაპიტალის დაგროვებას, ხოლო, მეორე მხრივ, საჭიროებს მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებას, პროდუქციის განახლება-გაუმჯობესებას, რაც თანამედროვე კონკურენციულ გარემოში საკუთარი ადგილის შენარჩუნების წინაპირობაა.

მეოთხე ეტაპის დადგომის მაუწყებელია ეფექტიანობის ზრდის ტემპის შენელება, რის შემდეგაც აუცილებელია ან წარმოების დანახარჯების შემცირება, ან საქონლის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესება. ამ პოზიტიურ ცვლილებებს შეუძლიათ გაახანგრძლივონ საქონლის სასიცოცხლო ციკლი, თუმცა მათი ეკონომიკური პოტენციალი ყოველთვის შეზღუდულია.

მეხუთე ეტაპი პროდუქტის მორალური მოძველება გარდაუვალია, ვინაიდან ბაზარზე ჩნდება პრინციპულად ახალი საქონელი, რომელიც თავისი ხარისხობრივი და სამომხმარებლო თვისებებით ამცირებს მის წინამორბედზე მოთხოვნილებას და ამთავრებს საქონლის სასიცოცხლო ციკლს.

საქართველოში საინოვაციო პროცესის განხორციელების ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია საწარმოებში საკუთარი საშუალებების (როგორც საბიუჯეტო, ისე არასაბიუჯეტო) წყაროებით ფინანსირების უკმარისობასთან, მათ შორის მოზიდული სახსრების შეზღუდულობასთან. წარმოების მოცულობების შემცირებისა და საწარმოების დაფინანსების მუდმივი დეფიციტის პირობებში შეუძლებელი ხდება ფულადი რესურსების გამოყოფა საინოვაციო საქმიანობისათვის.

ცნობილია, რომ საინოვაციო აქტივობის განსაკუთრებით დაბალი დონით გამოირჩევა ის დარგები, რომლებიც ორიენტირებული შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, როგორიცაა მსუბუქი და კვების მრეწველობა, საშენ მასალათა და ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სამამულო სამომხმარებლო საქონლის დაბალი კონკურეტუნარიანობის გამო, რომელსაც თან ახლავს **იმპორტის ინტერვენცია**, მეტად დაბალია ნარმოების, მისი ტექნოლოგიურობის, ტექნიკური გადაიარაღებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროცესის დონე.

საინოვაციო საქმიანობის მდგომარეობა და მისი აქტივობის დაქვეითების **მიზეზები** მეტნაკლებად ანალოგიურია საქართველოს ეკონომიკის სხვა სფეროებშიც. ფინანსური საშუალებების დეფიციტი საინოვაციო აქტივობის დაქვეითების მთავარი, მაგრამ არა ერთადერთი ფაქტორია. არსებობს აგრეთვე სამართლებრივი და ორგანიზაციული ხასიათის პრობლემები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და გადაცემა, ლიცენზირება და სერთიფიცირება და ა. შ. მეტ ყურადღებას და სრულყოფას საჭიროებს საინოვაციო საქმიანობის საინვესტიციო მექანიზმიც.

ამრიგად, საქართველოში აუცილებელია არსებითად გააქტიურდეს ინოვაციური საქმიანობა, რაც სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკის ფორმირებითა და ეტაპობრივი რეალიზაციით უნდა განხორციელდეს. ხელისუფლების მიერ ქმედითი ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ეკონომიკურ მაჩვენებელთა სწრაფ ზრდას, რაც, საბოლოო ჯამში, განაპირობებს სახელმწიფოს ეკონომიკურ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა ფაქტორთა კომპლექსი. მათ შორის მნიშვნელოვანი **ფაქტორია ინვესტიციები ნოვაციებში.**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი-ფინანსისტის, აკადემიკოს **ლამარა ქოქიაურის** მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოცემული პრაგმატული **მონოგრაფიული** სახელმძღვანელო – **„ინოვაციები"**[23] ცხადყოფს, რომ სიახლეთა ინვესტირება ეფექტიანია, ინოვაციური ცვლილებები ეკონომიკურ სისტემაში ქმნის ეფექტიანი ზრდის შინაგან ენერგიას, ინოვაციები უზრუნველყოფენ ეკონომიკური სისტემის ახალ წონასწორობით მდგომარეობაში გადასვლას.

ფართოდ ცნობილი **კობ-დუგლასის** საწარმოო ფუნქცია და ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის გამოყენებული **ვ. ლეონტიევის** ფუნქცია ყველაზე უკეთ აღწერენ რეალურ მოვლენებს, თუმცა სამეცნიერო პროგრესის ზემოქმედების განსაზღვრისათვის აუცილებელია სანარმოო ფუნქციისათვის შესაბამისი კოეფიციენტების დადგენა. **ვ. ლეონტიევის დიფერენციალურმა მოდელმა** სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კანონზომიერების დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. იგი თვლიდა, რომ დონორი ქვეყნებიდან გადინებული კაპიტალის მასშტაბები პირდაპირ კავშირშია ეკონომიკური ზრდის ტემპებთან. აღნიშნულ მოდელში ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციები მიჩნეულია თანაბარეფექტიანად. ვ. ლეონტიევს მიაჩნდა, რომ უცხოური კაპიტალი მხოლოდ დამატებითი ფინანსური რესურსია, რომლის უკუგება განისაზღვრება **„რეციპიენტი"** ქვეყნის კვლავწარმოების ეროვნული პირობებით. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში უცხოური კაპიტალის მოზიდვის ღრმა ეკონომიკური აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ეროვნულ ეკონომიკაში, კაპიტალთან ერთად, შემოდის ახალი ტექნოლოგიები, წარმოების ახალი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც, ადგილობრივი წარმოებისაგან განსხვავებით, გაცილებით მაღალ ეკონომიკურ ეფექტს იძლევა.

სწრაფად განვითარებად სამყაროში სტატისტიკური მოდელები სულ უფრო არასაიმედო ხდება, ვინაიდან არ ითვალისწინებენ ადამიანის ცოდნის ფაქტორს და მის აქტივობას ეკონომიკური პროცესების მოდელირების დროს. 1911 წელს **ი. შუმპეტერმა** თავის ნაშრომში „ეკონომიკური განვითარების თეორია" ტექნიკური ინოვაცია წარმოადგინა როგორც ეკონომიკური სიმდიდრის განვითარების მეშვრმე უფრო მაღალი მოგების მიღების მიზნით. ნახევარი საუკუნის განმავლობაში შუმპეტერის სიახლემ ვერ ჰპოვა აღიარება ეკონომიკურ მეცნიერებაში. ჟ. ნეიმანის ეკონომიკური ზრდის თეორიაში ტექნოლოგიური პროგრესისათვის ადგილი არ იქნა განკუთვნილი **ჰაროდის** მოდელში კი ძირითად ფაქტორებს წარმოადგენდა ეფექტიანი მოთხოვნა და სამუშაო ძალა. შემდგომში **სოლოუმ და აბრამოვიჩმა** აჩვენეს ტექნოლოგიური ცვლილებების უპირატესი ეკონომიკური ზემოქმედება. მის შემდეგ ინოვაციებს და მათ გამომწვევ ფაქტორებს სულ უფრო მეტი ადგილი დაეთმო ეკონომიკურ მეცნიერებაში.

მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იანი წლების შუახანამდე ეკონომიკურ მეცნიერებაში გამეფებული იყო **ნეოკლასიკური თეორიის შემადგენელი კონცეფცია ტექნიკური პროგრესის ეგზოგენური ბუნების შესახებ.** ეს კონცეფცია დასაბუთებული იყო **ი. თინბენგენის, რ. სოლოუს, რ. ჰაროდის, დ. ხიკსის** შრომებში. ამ გარემოებამ განაპირობა ახალი მოდელების ძიება ენდოგენური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დასაბუთების მიზნით. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი თეორიული გამოკვლევები ჩაატარეს **პ. რომელმა, რ. ლუკასმა, ფ. აგიონმა, პ. ხოუვიტმა** და სხვებმა, რომლებმაც დაასაბუთეს კონკრეტულ მაკროეკონომიკურ სისტემაში მისთვის დამახასიათებელი **(ენდოგენური)** ტექნოლოგიური ცვლილებები, ტრადიციული **ფაქტორების** – შრომისა და კაპიტალის ერთი და იგივე შეფარდებისას. ეს გარემოება ახსნილია ადამიანის კაპიტალის დაგროვებით, რომელიც განაპირობებს ეფექტის ზრდას წარმოების მასშტაბიდან გამომდინარე.

ეკონომიკური ზრდის ახალი კლასის მოდელების შექმნამ **ენდოგენური ტექნოლოგიური** პროგრესის გათვალისწინებით, გამოიწვია ინტერესის გაზარდა ეკონომიკური დინამიკის საკითხისადმი; გამოიკვეთა რამდენიმე პრაქტიკული შედეგი ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდისათვის, კერძოდ: სათანადო სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებით ადამიანის კაპიტალის დაგროვების სტიმულირება, რესურსების ზრდა ადამიანის კაპიტალის დაგროვებისათვის და ეკონომიკური სივრცის როლის განსაზღვრის აუცილებლობა.

---

[23] ქოქიაური ლ. ქოქიაური ნ. „ინოვაციები". მონოგრაფიული სახელმძღვანელო. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი. 2015. – 688 გვ.

ეკონომიკური ზრდის ახალ მოდელებს ჰყავდა როგორც მომხრეები, ისე კრიტიკოსებიც. მაგ., **რ. სოლოუს** აზრით, აღნიშნულ მოდელებში გამოყენებული იყო მომავალი სპეციალური და ხშირად დაუსაბუთებული დაშვებები იმ ტექნოლოგიური პროცესების დახასიათებისათვის, რომლეთა მოდელირებაც ხდება სამეცნიერო მოღვაწეობის ბუნების, ადამიანური კაპიტალის ფორმირებისა და გამოყენების, ბაზრის სტრუქტურისა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. მას მიაჩნდა, რომ საჭიროა ამ დაშვებების ემპირიული დადასტურება და დასკვნების დაზუსტება.

ნეოკლასიკური, ისევე როგორც **ნეოკეინზური მოდელები,** არსებითი განსხვავების მიუხედავად, ეფუძნება მსგავს **მეთოდოლოგიას.** მათგან განსხვავებით **ინსტიტუციონალიზმი** ემყარება ხარისხობრივად სხვა თეორიულ ფუნდამენტს. ინსტიტუციონალიზმს საფუძვლად უდევს გერმანული „ისტორიული სკოლის", ინგლისელი ფაბიანელებისა და ფრანგი სოციოლოგების ტრადიციები. განსაზღვრული ზემოქმედება ინსტიტუციონალიზმის განვითარებაზე მოახდინა აგრეთვე **მარქსისტულმა თეორიამაც.** ინსტიტუციონალიზმის თეორიის ფორმირებაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის **შვედ მეცნიერს,** სტოკჰოლმის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს, გაეროს ექსპერტს **გუნარ მიურდალს, რომლის** მიხედვით სუსტად განვითარებულობისა და დაბალი ეკონომიკური ზრდის ტემპის **მთავარი მიზეზია არა კაპიტალის ნაკლებობა, არამედ შრომითი რესურსების, ინტელექტუალური პოტენციალის ბოლომდე გამოუყენებლობა.** იგი წერდა, რომ ხალხი არ არის დაინტერესებული თავისი საქმიანობით, ადამიანები არ მუშაობენ ინტენსიურად და მწარმოებლურად, მორღვეულია კავშირი სამეცნიერო შრომით საქმიანობასა და პრაქტიკას შორის. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა სულ უფრო მეტადაა დამოკიდებული სამეცნ.-კვლევით სამუშაოებსა და ტექნოლოგიურ პროგრესზე. საქმიანობის ამ სფეროში ინვესტიციების ოდენობის დადგენა საკმაოდ რთულია. ეკონომიკაში სამეცნიერო კვლევების მასშტაბების დასადგენად მიზანშეწონილია სამეცნ.-კვ. სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების **შეფარდება მშპ-თან.** ამ მაჩვენებლით მსოფლიოში შვეცია ლიდერობს – 3.85%. ევროგაერთიანებაში იგი საშუალოდ 1.83%-ს შეადგენს, აშში – 2.79%-ს, იაპონიაში – 2.92%-ს.

7.2. საინოვაციო მენეჯმენტის მოდელირება

საინოვაციო მენეჯმენტი წარმოადგენს პრინციპების, მეთოდებისა და მართვის ფორმების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება საინოვაციო საქმიანობაში ჩართულ საორგანიზაციო სტრუქტურებში. მისთვის დამახასიათებელია მიზნის ჩამოყალიბება, სტრატეგიის შერჩევა, განხორციელების პირობებისა და ორგანიზების სისტემის განსაზღვრა, შესრულება და მართვა.

საინოვაციო მენეჯმენტის პრაქტიკაში, ტექნოლოგიური და საბაზრო პოზიციებიდან გამომდინარე, გამოიყენება სტრატეგიის განსაზღვრის შემდეგი მატრიცა (იხ. ცხრ. 2.2.).

საინოვაციო სტრატეგიის განსაზღვრის მატრიცა

ცხრ. 2.2.

საბაზრო პოზიცია	ძლიერი	სხვა ფირმასთან კოპერირება	ლიდერის პოზიციის განმტკიცება	ლიდერობის შენარჩუნება ინოვაციათა აქტივაციით
	ხელსაყრელი	რაციონალიზაცია		ტექნოლგიათა გამოყენების სფეროს მოძებნა
	სუსტი	ბიზნესის ლიკვიდაცია	რაციონალიზაცია	„სარისკო" პროექტის ორგანიზაცია
		სუსტი	ხელსაყრელი	ძლიერი
ტექნოლოგიური პოზიცია				

საინოვაციო სტრატეგიის განსაზღვრის ძირითად ფაქტორებს წარმოადგენს კორპორაციის (ფირმის) სამეცნიერო-ტექნიკური პოლიტიკა და მისი საბაზრო პოზიცია. საინვესტიციო პროექტის შერჩევის პროცესს აწარმოებენ **სტრატეგიული ანალიზის მეთოდების – „SWOT“, „PEST“** ის გამოყენებით, რომლის მეშვეობით პროექტზე ზემოქმედების გარე და შიგა ფაქტორების გავლენა განსაზღვრება. შეზღუდული შესაძლებლობების პირობებში სტრუქტურული გარდაქმნისთვის, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს განვითარების **სამ ეტაპობრივი სტრატეგია.** კერძოდ:

პირველი ეტაპის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის ინვესტიციური შესაძლებლობების მკვეთრი ამაღლება: რაციონალური საექსპორტო და შელავათიანი საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით; ინვესტიციებისათვის შიდა რესურსების მოზიდვით, მ. შ. მოსახლეობის რესურსებისა.

მეორე ეტაპის ძირითადი ამოცანაა დარგების და ქვედარგების გადასვლა მეცნიერებატევად წარმოებაზე რესურსდამზოგავი ტექნოლოგიებით.

მესამე ეტაპის ძირითადი ამოცანაა განხორციელებული ინვესტიციური შესაძლებლობების გამოყენება სიახლეების (ინოვაციის) სტიმულირებისათვის.

ერთიანი ინვესტიციური სივრცის არსებობის პირობებში ქვეყნისათვის დამახასიათებელი ტენდენციები ინვესტიციურ სფეროში ადეკვატურია რეგიონების დონეზე. მიუხედავად ამისა, ინვესტიციურ საქმიანობაში რეგიონებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა. მთლიანად ქვეყანაში ინვესტიციური აქტივობის მკვეთრი შემცირების პირობებშიც კი ეს პროცესი არაერთგვაროვნად წარიმართა მსხვილ რეგიონებშიც კი.

ინვესტიციური უსაფრთხოების პროგრამის ფორმირება ხანგრძლივი პერიოდისათვის გასათვალისწინებელია ზემოთ აღნიშნული არასასურველი ტენდენციების მნიშვნელოვნად აღმოფხვრისა და ფაქტობრივად ქვეყნის ყველა რეგიონის მდგრადი და უსაფრთხო განვითარებისთვის სათანადო ინვესტიციური ფონის შექმნისათვის. ამავე დროს მიზანშეწონილია ქვეყნის ინვესტიციური პროგრამა ჩამოყალიბდეს რეგიონული პროგრამების ბაზაზე მათი ერთობლივი დაფინანსებით ნილობრივ საფუძველზე, რეგიონებში განხორციელდეს ინვესტიციური სიტუაციის სისტემური დაკვირვება და მისი შედეგები გამოყენებულ იქნეს როგორც ბაზა ქვეყნის და რეგიონების დონეზე მეცნიერულად დასაბუთებული ინვესტიციური პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციისათვის.

პირველ რიგში, საჭიროა **ფინანსური რესურსების მოძებნა წარმოების სწრაფი აღდგენის პროცესისა და ახალი ერთობლივი წარმოების დასაფინანსებლად.** იმ სიძნელეებიდან გამომდინარე, რომლებიც თან ახლავს საბანკო და საფინანსო სექტორს, წარმოების ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს **კრედიტით** უზრუნველყოფა, რომელიც გამიზნული იქნება ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბიზნესის სექტორის კონკრეტულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

საინვესტიციო პროექტების შემუშავების მოდელირების (იხ. ნახ. 2-11) დასაწყისად ითვლება იდეის დაბადების მომენტი. საქმიანი ადამიანისთვის პროექტის დასაწყისი დაკავშირებულია მისი რეალიზაციის დასაწყისსა და ფულადი სახსრების დაბანდების საწყის პერიოდთან, ხოლო პროექტის დასასრული შეიძლება იყოს: ყველა იმ სამუშაოს დამთავრება, რომელიც წინ უძღოდა პროექტის რეალიზაციას, ანუ მოქმედებას; მოცემული შედეგების მიღწევა პროექტით; პროექტის დაფინანსების შეწყვეტა; პროექტის ობიექტების ექსპლუატაციიდან გამოყვანა ან ლიკვიდაცია.

სახელმწიფოს მიერ აუცილებლად უნდა იყოს შემუშავებული საინვესტიციო პროგრამების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის (დაფინანსების, შეღავათიანი დაკრედიტების, საგარეო-ეკონომიკურ კავშირებში პროტექციონიზმის) ღონისძიებათა კომპლექსი სტრატეგიული სახელმწიფო გეგმის ფარგლებში და მისი მხარდაჭერის საგადასახადო და საბაჟო სისტემა. სახელმწიფოს სტრატეგიულ გეგმაში შეტანილი საინვესტიციო პროგრამების განხორციელება ხდება როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და შერეული სტრუქტურების მიერ. იგივე ეხება მათ დაფინანსებასაც, რასაც ფინანსური საინვესტიციო რესურსების მობილიზაცია უნდა ედოს საფუძვლად.

ინვესტიციების ფინანსური წყაროებია: 1) სახელმწიფოს სრული მონოპოლია ალკოჰოლისა და თამბაქოს პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვაზე; 2) ქვეყნის ბუნებრივი რესურსებიდან მთელი აბსოლუტური და დიფერენციული რენტის ამოღება ბიუჯეტში; 3) სახელმწიფოს სრული მონოპოლია უცხოეთში ვალუტის გადარიცხვის განხორციელებაზე, ფსევდოუცხოური

საწარმოების ფუნქციონირების აკრძალვა ქვეყნის ტერიტორიაზე, განსკუთრებით თუ ისინი ოფშორულ ზონებშია დარეგისტრირებული (რომლებიც შირმის როლს თამაშობენ ადგილობრივი მეწარმეებისათვის). 4) ქვეყნის საკუთრების ეფექტიანად გამოყენება საზღვარგარეთ; 5) რეალური ბრძოლა დამნაშავეთა სამყაროსთან და ფასეულობათა შესაბამისი კონფისკაცია. მასშტაბური საინვესტიციო პროცესის განვითარებისათვის უნდა მოხდეს ქვეყანაში არსებული წარმოების ყველა ფაქტორის ერთმანეთთან დაკავშირება და კომბინირება, რაც სწორედ რეალურ საინვესტიციო პროცესს წარმოაჩენს.

1. საინვესტიციო პროექტის კონცეფციის შემუშავება	იგი ითვალისწინებს მის წინასწარ დასაბუთებას. პროექტის მიზნის განსაზღვრას და მისი მიღწევის გზებს, ტექნიკური გადაწყვეტის ინოვაციურ და ეკოლოგიურ ანალიზს. ინვესტირების იდეის ადგილობრივ მმართველობით ორგანოსთან შეთანხმებას და ინფორმაციული მემორანდუმის მომზადებას.
2. პროექტის წინასწარი მომზადება	ამ ეტაპზე წარმოებს პროექტის ტექნიკური დასაბუთება. ჩვეულებრივად განიხილება წინამდებარე ეტაპზე შემუშავებული რამოდენიმე ალტერნატივა. თითოეული ალტერნატივა ფასდება ღირებულებისა და მოგების კრიტერიუმების მიხედვით, ფორმდება კონკრეტული მიზნები და შეზღუდვები.
3. პროექტის საბოლოო ფორმირება, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური და ფინანსური შეფასება	ამ ეტაპზე საბოლოოდ წყდება ყველა იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც უკავშირდება მომზადებული პროექტის მთელ ტექნიკურ, ფინანსურ და კომერციულ ასპექტებს. ამ ეტაპზე მთავრდება პროექტის შემუშავება-რეალიზაციის საბოლოო გეგმა, რომელიც მოწონებული და გადაცემული უნდა იქნეს ყველა მონაწილეზე. ექსპერტთა ჯგუფი აფასებს სახსრების მოცულობას და იწყებს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნის სამუშაოებს. ბოლოს მტკიცდება პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება.
4. პროექტის ფინანსური განხილვისა და მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების ეტაპი	ამ ეტაპზე იხილება ფაქტორთა კომპლექსი: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და სხვა, რომლებიც მჭიდრო კავშირშია საინვესტიციო პროცესის ფინანსურ ასპექტებთან.

ნახ. 2.11 საინვესტიციო პროექტის შემუშავების მოდელირების სქემა.

საინვესტიციო მენეჯმენტში ეს ფორმულა პირდაპირ მნიშვნელობას იძენს, რადგან მმართველურ გადაწყვეტილებათა მიღებისას გამოყენებული ინფორმაციის ხარისხზეა დამოკიდებული საინვესტიციო რესურსების ხარჯვის მოცულობა, საინვესტიციო მოგების დონე, კომპანიის საბაზრო ღირებულება და ეკონომიკური განვითარების ტემპები.

ინფორმაციით მოსარგებლე შიდა და გარეშე წრეების ინტერესები განსხვავებულია, რადგანაც გარეშე მოსარგებლენი ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილს იყენებენ, რომელიც კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის შედეგებსა და საინვესტიციო პოზიციაზე მის გავლენას ახასიათებს. ასეთი ინფორმაციის უდიდესი ნაწილი კომპანიის მიერ წარდგენილ ოფიციალურ ანგარიშგებაშია ასახული. შიდა მოსარგებლენი, გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანიის საინვესტიციო საქმიანობის შესახებ იმ ინფორმაციის მნიშვნელოვან მოცულობასაც იყენებენ, რომელიც კომერციული საიდუმლოებაა.

საინფორმაციო სისტემაში შემავალი ინფორმაციის ძირითადი ნიშან-თვისებებია: 1) **დანიშნულება;** 2) **სისრულე;** 3) **სარწმუნოება;** 4) **თავისდროულობა;** 5) **რელევანტობა;** 6) **შესადარისობა;** 7) **ეფექტიანობა.**

საინვესტიციო მენეჯმენტის საინფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის შინაარსს, მის სიღრმეს და სივრცეს განსაზღვრავს კომპანიის (საწარმოს) საქმიანობის დარგობრივი თავისებურებები, მათი ფუნქციონირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საინვესტიციო საქმიანობის დივერსიფიკაციის და მთელი რიგი სხვა ფაქტორები. ამ სისტემის კონკრეტულ მაჩვენებლებს აყალიბებს ინფორმაციის როგორც გარე (კომპანიის გარეთ არსებული), ისე შიდა წყაროები. საინფორმაციო მაჩვენებლების სისტემა, რომელიც ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას ახასიათებს საინვესტიციო საქმიანობის (რეალური და ფინანსური ინვესტიციე-

ბის, საინვესტიციო რესურსების ფორმირების პოლიტიკის, საინვესტიციო მენეჯმენტის პერსპექტიული მიზნობრივი მაჩვენებლების სისტემის შემუშავების) დარგში სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მიღებისას, კომპანიის (საწარმოს) გარე საინვესტიციო სფეროს პირობების ანალიზისა და პროგნოზირების ჩატარების საფუძველია. ამ ჯგუფის მაჩვენებელთა სისტემის ფორმირება ორ ბლოკად განიხილება. კერძოდ:

პირველ ბლოკი. მაკროეკონომიკური განვითარების მაჩვენებლები-მათში შედის ისეთი საინფორმაციო მაჩვენებლები, რომლებიც ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ახასიათებს და რომლებსაც კომპანიის (საწარმოს) საინვესტიციო საქმიანობის მართვის პროცესში იყენებენ, კერძოდ: მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) და ეროვნული შემოსავლის (ეშ) ზრდის ტემპი; ეროვნული შემოსავლის განაწილება მოხმარებასა და დანაზოგზე; კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა; ძირითადი საშუალებების ამოქმედება; ინფლაციის ინდექსი; ცენტრალური ბანკის სააღრიცხვო პროცენტი და სხვა.

მეორე ბლოკი. დარგის განვითარების მაჩვენებლებში შედის იმ დარგის მაჩვენებლები, რომელასაც კომპანია (საწარმო) ეკუთვნის: წარმოებული (რეალიზებული) პროდუქციის მოცულობა, მისი დინამიკა; კაპიტალურ დაბანდებათა დინამიკა; კომპანიის (საწარმოს) აქტივების, მათ შორის არასაბრუნავის, მთლიანი ღირებულება, მათი ასაკი; კომპანიის (საწარმოს) საკუთარი კაპიტალის თანხა; კომპანიის (საწარმოს) საბალანსო მოგების თანხა, მათ შორის – ძირითადი (საოპერაციო) და საინვესტიციო საქმიანობიდან; ძირითადი და საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული მოგების დაბეგვრის განაკვეთი; განხილულ პერიოდში დარგის პროდუქციაზე ფასების ინდექსი და სხვა. თითოეული ბლოკის საინფორმაციო მაჩვენებელთა შემადგენლობას განსაზღვრავს ინვესტიციების მართვის კონკრეტული ამოცანები, საინვესტიციო საქმიანობის მოცულობა, პარტნიორულ ურთიერთობათა ხანგრძლივობა და სხვა პირობები.

საინფორმაციო მაჩვენებლების სისტემა, რომელიც ახასიათებს მთლიანად კომპანიის (საწარმოს) აქტივობის დონეს, ფართოდ გამოიყენება როგორც შიდა, ისე გარე მოსარგებლეების მიერ კომპანიის (საწარმოს) საინვესტიციო პოზიციის შეფასებისას და საინვესტიციო ანალიზისა და კონტროლის პროცესში. იგი წარმოდგენას ქმნის კომპანიის (საწარმოს) ფინანსური მდგრადობის დონეზე. გეგმების მაჩვენებელთა მთელი ერთობლიობა.

ამრიგად, გარე და შიდა წყაროებიდან ჩამოყალიბებული ყველა საინტერესო მაჩვენებლის გამოყენება საშუალებას იძლევა ყველა კომპანიაში (საწარმოში) შეიქმნას საინვესტიციო საქმიანობის საინფორმაციო უზრუნველყოფის ისეთი მიზანმიმართული სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც სტრატეგიული საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე, ისე საინვესტიციო საქმიანობის მიმდინარე ეფექტიან მართვაზე.


7.3. საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმები

საქართველოს კანონში „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ" ინვესტიციები განმარტებულია, როგორც „ყველა სახეობის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში".

საქართველოში ოფიციალური სტატისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არაფინანსურ აქტივებში ინვესტიციების აღრიცხვას, რომელიც მოიცავს ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას, ფასეულობათა წმინდა შეძენასა და მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილებას. ეკონომიკური დონის ზრდისა და მისი შემდგომი შენარჩუნებისათვის, რაც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების წინაპირობაა, საინვესტიციო პროცესების განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს მსგავსი პატარა, რესურსებით არც თუ ისე მდიდარი ქვეყნებისათვის.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიღებული ყველაზე გავრცელებული მიდგომით **საინვესტიციო აქტივობა** გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკაში გრძელვადიანი, სარისკო დაბანდებების განხორციელების დინამიკურ პროცესს, რომელიც როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ სფეროებზე აქტიურად ზემოქმედებს და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება დამო-

კიდებულია ამ წარმატებულობაზე. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ არსებითი ხასიათის ურთიერთდამოკიდებულება შეიმჩნევა ქვეყნის საინვესტიციო აქტივობას და საინვესტიციო მიმზიდველობის ფორმირებას შორის. ქვეყნის საინვესტიციო კლიმატს კი ერთობლიობაში ქმნიან საინვესტიციო აქტივობა და საინვესტიციო მიმზიდველობა (იხ. ნახ. 2.12).



ნახ. 2.12. ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ფორმირების პროცესი.

ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობა, თავის მხრივ დამოკიდებულია ისეთ **სისტემურ** მახასიათებლებზე, როგორიცაა: ა) ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი და ბ) საინვესტიციო რისკები.

ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალში (წარმოადგენს რაოდენობრივ მახასიათებელს) აკუმულირებულია ქვეყნის ისეთი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორიცაა მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნა, წარმოების ფაქტორებით უზრუნველყოფა და ა. შ., ხოლო **საინვესტიციო რისკებს** წარმოადგენს საინვესტიციო პროექტებში მონანილეთათვის დასახული მიზნის სრული ან ნანილობრივი მიუღწეველობის საფრთხე.

საინვესტიციო აქტივობა კი მრავალ **ფაქტორზეა** დამოკიდებული (იხ. ნახ2. 13) მათ შორის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია: ა) საინვესტიციო კაპიტალის კონცენტრაცია და განაწილება; ბ) საწარმოო საქმიანობის ინტეგრაცია; გ) ახალი საწარმოო სიმძლავრეების შემოსვლის აქტივიზაცია; დ) პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების განვითარება; ე) საინვესტიციო პროგრამის რეალიზაციის ორგანიზაციული ფაქტორები.


საინვესტიციო აქტივობის ამაღლებაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს აღნიშნული ფაქტორები, როგორც ცალ-ცალკე, ასევე ერთობლივად. აუცილებელ პირობას ქვეყნის საინვესტიციო აქტივობის ამაღლებისათვის წარმოადგენს აღნიშნულ ფაქტორთა კომპლექსურობა, რადგანაც ერთ-ერთი ფაქტორის პოზიტიური ცვლილება შესაძლებელია გაანეიტრალოს მეორე ფაქტორის ნეგატიურმა ცვლილებამ.

საინვესტიციო აქტივობის ძირითადი მაჩვენებლებია: ა) კომპანიების ეკონომიკური პოტენციალის ზრდა; ბ) ახალი სიმძლავრეების შემოყვანის ზრდა; გ) საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის ინტენსიურობის ზრდა; დ) კაპიტალის კონცენტრაციის ზრდა; ე) ენერგორესურსებისა და მასალების ზღვრული მოხმარების შემცირება; ვ) ზღვრული საინვესტიციო დანახარჯების შემცირება.

წარმოდგენილი მაჩვენებლებიდან ზოგიერთი სრულ რაოდენობრივ დახასიათებას არ ექვემდებარება და ნანილობრივ ტრანსცედენტური ბუნებით გამოირჩევა. ამიტომ საინვესტიციო აქტივობის დახასიათებისას აუცილებელია სხვა მაჩვენებლების ანალიზიც.

საინვესტიციო აქტივობის საშედეგო მახასიათებელია საინვესტიციო კლიმატი, რომელიც წარმოადგენს სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სხვა გარემოთა ერთობლიობას.

საინვესტიციო კლიმატზე მოქმედ ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება (იხ. ნახ. 2.14): საინვესტიციო; საფინანსო – საკრედიტო; მაკროეკონომიკური; ბუნებრივ-რესურსული; ინოვაციური; ინფრასტრუქტურული; სოციალურ-კულტურული; საბაზრო ფაქტორები და საკადრო პოტენციალის მახასიათებლები.



ნახ 2.13 საინვესტიციო აქტივობის ფაქტორები და მაჩვენებლები

შესაბამისად, საინვესტიციო კლიმატის ფაქტორებისა და მაჩვენებელთა სისტემის მიმართ არსებობს ერთიანი მიდგომა და იგი სამ ძირითად მახასიათებლამდე შეიძლება დავიყვანოთ: ვიწრო, გაფართოებული და რისკული.

რისკული მიდგომის მიმდევრები, საინვესტიციო კლიმატის შეფასებისათვის ორ ძირითად კრიტერიუმს იყენებენ: ა) საინვესტიციო პოტენციალისა და საინვესტიციო რისკების მართვა; ბ) სოციალურ-ეკონომიკური პოტენციალის მდგომარეობა.


აღნიშნული მაჩვენებელი დამოკიდებულია განსხვავებულ ფაქტორებზე, ამიტომ საინვესტიციო კლიმატის შეფასება დახასიათებისათვის აუცილებელია სამივე მიდგომის გათვალისწინება.

საინვესტიციო გარემოს ანალიზის სფეროში პირველ მკვლევარებად **ჰარვარდის სკოლის წარმომადგენლები** ითვლებიან. მათ მიერ შეფასებისათვის გამოყენებული საექსპერტო სკალა მოიცავდა შემდეგ მონაცემებს: უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის საკანონმდებლო პირობები; ეროვნული ვალუტის მდგრადობა; კაპიტალის გატანის შესაძლებლობა; ინფლაციის დონე; პოლიტიკური ვითარება. აღნიშნულ მიდგომებთან ერთად, ასევე მიღებულია საინვესტიციო გარემოს შეფასების სხვა მაჩვენებლებიც. მაგალითად, აშშ-ში სხვადასხვა ფაქტორის ანალიზის ბაზაზე ქვეყნდება ყველა შტატის „ყოველწლიური სტატისტიკური რუკა", რომელიც მოიცავს საინვესტიციო კლიმატის შეფასების განზოგადებულ მაჩვენებელებს, კერძოდ: ა) ტერიტორიის განვითარების საქმიანი სიცოცხლისუნარიანობის პოტენციალი; ბ) ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობა; გ) ფისკალური პოლიტიკის მახასიათებლები.

როგორც ცნობილია, საინვესტიციო წინადადებების მიღება დაკავშირებულია კომპანიის **ბიზნეს რისკთან,** გამომდინარე აქედან, საჭიროა პროექტის შეფასება-შერჩევა მოხდეს ალტერნატიული მეთოდებით: კერძოდ, პროექტის შეფასების და შერჩევის **ალტერნატიული მეთოდებია:**


1. გამოსყიდვის პერიოდი (Payback period-PBP);

2. უკუგების შიდა განაკვეთი (linternal rate of return-IRR);
3. წმინდა ახლანდელი ღირებულება (Net present value -NPV).



ნახ. 2.14. საინვესტიციო გარემოს სტრუქტურა და მისი ფორმირების ფაქტორები

ფინანსურმა მენეჯერმა უნდა განასხვაოს რისკი და გაურკვევლობა, ასევე, პროექტის ხანგრძლივობა; პროგნოზირებული ფულადი ნაკადები და მასთან დაკავშირებული ალბათობები; გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი. (იხ. ნახ. 2.15)



ნახ.2.15

ინფლაციის ფაქტორის გავლენის შეფასების ინსტრუმენტები

ცნობილია, რომ ფინანსურ მენეჯმენტში მუდმივად საჭიროა **ინფლაციის ფაქტორისათვის** ანგარიშის გაწევა, რომელიც დროის მსვლელობაში აუფასურებს მიმოქცევის პროცესში არსებულ ფულად სახსრებს. ინფლაციის გავლენა მრავალი ასპექტით აისახება კორპორაციის ფინანსურ საქმიანობაზე. **ინფლაცია** არის ობიექტური, მუდმივად მოქმედი ფაქტორი, რომე-

ლიც დამახასიათებელია პრაქტიკულად მსოფლიო თანამეგობრობის ყველა ქვეყნისათვის. ისეთ ქვეყნებშიც კი, რომელთათვის დამახასიათებელია განვითარებული და შედარებით მდგრადი ეკონომიკა – აშშ, იაპონია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ, ინფლაციური პროცესები გამუდმებით არსებობს, თუმცა მათი ინტენსივობა შედარებით დაბალია. **თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში** მიღებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფასების ზრდის დონე წელიწადში 10%-ის ფარგლებში არის ნორმალური ეკონომიკური მოვლენა.

ინფლაციური პროცესების ინტენსივობის **შეფასებისათვის გამოიყენება ორი ძირითადი მაჩვენებელი: ინფლაციის ტემპი და ინდექსი.** კერძოდ, **ინფლაციის ტემპი** ახასიათებს მაჩვენებელს, რომელიც აღნიშნავს ფულის გაუფასურების სიდიდეს (მსყიდველობითი უნარის შემცირებას) განსაზღვრულ პერიოდში, რომელიც გამოიხატება ფასების საშუალო დონის ზრდით %-ში პერიოდის დასაწყისში მის ნომინალთან შედარებით.

ინფლაციის ინდექსი ახასიათებს მაჩვენებელს, რომელიც ასახავს ფასების დონის საერთო ზრდის განსახილველ პერიოდში, რომელიც განისაზღვრება მათი საბაზო დონეების პერიოდის დასაწყისში (მიღებული ერთეულად) და ინფლაციის ტემპის შეჯამებით ამავე პერიოდში (გამოხატული ათწილადით).

ზოგადად, გათვლების დროს, რაც დაკავშირებულია ფულის ღირებულების კორექტირებასთან ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით, გამოიყენება **ორი ცნება** – ფულადი სახსრების ნომინალური და რეალური სიდიდე.

ფულადი სახსრების ნომინალური სიდიდე ასახავს ფულადი აქტივების სიდიდის შეფასებას შესაბამის ფულად ერთეულებში ფულის მსყიდველობითი ღირებულების ცვლილების გათვალისწინების გარეშე განსახილველ პერიოდში.


ფულადი სახსრების რეალური სიდიდე ასახავს ფულადი აქტივების სიდიდის შეფასებას ფულის მსყიდველობით ღირებულებას დონის ცვლილების გათვალისწინებით განსახილველ პერიოდში, რაც გამოწვეულია ინფლაციით.

ფულადი სახსრების ამ სიდიდეების გათვლისათვის ფულის ღირებულების ზრდის, ან დისკონტირების პროცესში დროის ფაქტორის გათვალისწინებით შესაბამისად გამოიყენება ნომინალური და რეალური საპროცენტო განაკვეთი. კერძოდ:

ნომინალური საპროცენტო განაკვეთი ახასიათებს პროცენტ ის განაკვეთს, რომელიც დადგენილია ფულის მსყიდველობითი უნარის ცვლილების გათვალისწინების გარეშე ინფლაციასთან დაკავშირებით.

რეალური საპროცენტო განაკვეთი ახასიათებს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც დადგენილია ფულის ღირებულების მსყიდველობითი უნარის ცვლილების გათვალისწინებით განსახილველ პერიოდში ინფლაციასთან დაკავშირებით.

ეს მეთოდური ინსტრუმენტარი დიფერენცირება შემდეგი ძირითადი გათვლების ჭრილში (ნახ. 2.16).



ნახ. 2.16. ინფლაციის ფაქტორის აღრიცხვისადმი ძირითადი მეთოდური მიდგომების სისტემატიზაცია საწარმოს ინვესტიციური საქმიანობის მართვის პროცესში

ამრიგად, განხილული საბაზო ცნებების გათვალისწინებით ყალიბდება კონკრეტული **მეთოდური ინსტრუმენტარი,**[***] რომელიც შესაძლებელს ხდის გათვალისწინებული იქნას ინფლაციის ფაქტორი კორპორაციის ფინანსური საქმიანობის მართვის პროცესში.

[***] **შენიშვნა: უფრო ვრცლად იხ. სტატია, ზ. ლიპარტია, რომელიც წაკითხულ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე (თბილისი, 2011, 15-16 აპრილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი) რუსულ ენაზე: Инвестиционные решения в условиях инфляции в экономике Грузии („საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციური გადაწყვეტილებები ინფლაციის პირობებში").**

თავი 8.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფინანსური მექანიზმი

8.1. საქართველოში ბიზნესის (კომპანიების) მდგრადი განვითარების სტრატეგიები

როგორც უკვე აღინიშნა (იხ. წინამდებარე ნაშრომის ნაწილი მეორე, თავი 6), საქართველოში საბაზრო ურთიერთობების წარმატებით დამკვიდრებისათვის აუცილებელია რეგიონული რესურსული ტექნოლოგიური, სოციალური, საკანონმდებლო და სხვა პრიორიტეტების გამოვლენა, რომელიც უნდა დაეფუძნოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ანალიზს, განვითარების თანამედროვე მდგომარეობის შეფასებას, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივი თვალსაზრისით, და მიმართული უნდა იყოს შემდეგი **ძირითადი ამოცანების** გადაწყვეტაზე, როგორიცაა: ა) რეგიონის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის მდგომარეობის ანალიზი-შეფასება; ბ) რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიღწეული დონის შეფასება; გ) რეგიონის ძირითადი სამეურნეო დარგების ჭრილში შრომითი რესურსების გამოყენების შეფასება და უმუშევრობის სპეციფიკური თავისებურებების გამოვლენა; დ) მოსახლეობის ცხოვრების დონის შეფასება; ე) რეგიონის ფინანსური მდგომარეობის ანალიზი; ვ) რეგიონების რეგიონთაშორისი და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი; ზ) წარმოების საექსპორტო რეზერვის გამოვლენა და სხვა. კვლევები უჩვენებს, რომ ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ სტრატეგიაში წინა პლანზე წამოიწია **მომსახურების სფეროს** დარგებმა (ტურიზმი, სოციალური ინფრასტრუქტურა, ფინანსური შუამავლობა და ა. შ.) და შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა **რეალურ სექტორს**, განსაკუთრებით კი მრეწველობას.

ქვემოთ შემოთავაზებულია **ევროპული ინტეგრაციის იდეოლოგიის** – პარტნიორობის, სუბსიდირებისა და ურთიერთშეკვეთების **პრინციპები**, სადაც:

- **პარტნიორობის პრინციპი** ნიშნავს რეგიონულ პოლიტიკასთან მიმართებაში ევროკავშირს, ეროვნულ მთავრობებს, რეგიონულსა და ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს შორის მოქმედებათა მჭიდრო კოორდინაციას;
- **სუბსიდირების პრინციპი**, ნიშნავს, რომ პრობლემები უნდა გადაწყდეს იქ, სადაც ისინი აღმოცენდებიან, ხოლო ცენტრალურ მთავრობას გადაეცემა მხოლოდ ის უფლებამოსილებანი, რომლებიც „ქვევით" ვერ შესრულდება ან ნაკლებ ეფექტიანად განხორციელდება.
- **ურთიერთშეკვეთების პრინციპი** გამოიყენება რეგიონის მხარდასაჭერად რესურსების აკუმულირებისას. რესურსები აქ ყალიბდება ერთმანეთს დამატებული წყაროების შეკრებით: ევროკავშირისა და ეროვნული (საზოგადოებრივის და კერძოს) ინვესტიციების შერწყმით.

ზოგადად, ცნობილია, რომ საერთო ევროპული რეგიონული პოლიტიკის მთავარ ფინანსურ **ინსტრუმენტს** წარმოადგენს რეგიონული განვითარების **ევროპული ფონდი**. რეგიონული მიმართულებები აქვს აგრეთვე ორ სხვა ფონდსაც – **ევროპის სოციალურ ფონდს და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის საგარანტიო ფონდს**. უფრო მოგვიანებით შექმილი შეკავშირების ფონდიც, რომლის თანხებიც გამოიყენება ჩამორჩენილი ქვეყნების განვითარებისათვის ერთობლივი განვითარების გეგმებისა და მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ქვეყანაში რეგიონების განვითარების სახელმწიფო რეგულირების **მთავარ მიზნად** განიხილება არა უბრალოდ ეკონომიკური ზრდა, **არამედ განვითარება**. ამდენად, საგულისხმოა **პოლ სამუელსონის** მოსაზრება იმის თაობაზე, რომ არ შეიძლება ვისწრაფოდეთ მხოლოდ **წარმოების რაოდენობრივ ზრდაზე, თუნდაც ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით**, არამედ, აუცილებელია, **საზოგადოების მთლიანი სოციალურ-ეკონომიკური შიდა სტრუქტურის განვითარების მიღწევა**.

რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების თავისებურებანი განსაზღვრულ დამოკიდებულებაში იმყოფება **სახელმწიფო მოწყობის ტიპებთან**. ფედერაციული მოწყობის სახელმწიფოში, უნიტარულისაგან განსხვავებით, ფედერაციის რეგიონულ სუბიექტებს უფრო ფართო უფლებამოსილებანი გააჩნიათ, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ რეგიონული

ხელისუფლების მიერ საკუთარი რეგიონული პოლიტიკის გატარებაზე. რეგიონების საინვესტიციო მხარდაჭერის მექანიზმი, როგორც წესი, განიხილება რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის **არსებით ინსტრუმენტად,** რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს რეგიონების (ტერიტორიების) სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ამრიგად, რეგიონების ეკონომიკური პოტენციალის სრულად გამოვლენა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი **ფინანსურ** ურთიერთობათა მართვასა და რეგულირებაზე, სახელმწიფოსა და რეგიონალური ინტერესების ოპტიმალურ შეთანაწყობაზე, მოსახლეობის ცალკეულ ფენებს შორის, მათი დასაქმებისა და ცხოვრების დონის ამაღლებაზე, მაღალშემოსავლიანი ინვესტიციების სტიმულირების მექანიზმების შემუშავებასა და რეალიზაციაზე, სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნაზე და სხვ.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად **პრიორიტეტული** მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს **მცირე ბიზნესის დარგობრივ და რეგიონულ განვითარების,** საინოვაციო სამრეწველო პოლიტიკას, კერძო სექტორის ხვედრითი წილის ცვლილებას ინვესტიციებში, რეგიონებში ინვესტიციურ-სამშენებლო აქტივების ამაღლებას, რაც გულისხმობს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა პროცესების დარეგულირებისათვის კლიმატის შექმნისა და თავის მხრივ, განსაზღვრავს ინვესტიციების მიზანშეწონილობას მოცემულ ტერიტორიებზე.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში **მცირე ბიზნესის** ფორმირებისა და განვითარებისათვის გატარებული ღონისძიებების დონე დღეისათვის მაინც დაბალია, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობაში 10%-ს არ აღემატება, მცირე ბიზნესის როგორც დარგობრივი, ისე რეგიონული სტრუქტურა არაპროგრესულია. სახელმწიფოს მხრიდან მისი განვითარებისადმი მხარდაჭერის გარეშე ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს განვითარების სასურველი დონის მიღწევა შეუძლებელია. ქვეყანის რეგიონებში **მცირე ბიზნესის** განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად გვევლინება: მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმის ფორმირება მცირე ბიზნესის მხარდაჭერის მიზნით, რომელმაც უნდა მოიცვას: ა) რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული უზრუნველყოფა; ბ) რეგულირების ინდიკატორთა და ღონისძიებათა სისტემა; გ) რეგულირების ინსტრუმენტები და მეთოდები; დ. მცირე ბიზნესის მხარდამჭერი მაკროეკონომიკური ინფრასტრუქტურა; ე. მცირე ბიზნესში სახელმწიფო მეწარმეობა, პრივატიზება ნაციონალიზაცია; ვ) მცირე ბიზნესისადმი საერთაშორისო დახმარების რეგულირება; ზ) მცირე ბიზნესის უსაფრთხოება რისკების გათვალისწინებით; თ) მცირე ბიზნესის განვითარებაზე რეგულირების კონტროლი.

ჩვენი აზრით, ობიექტური აუცილებლობით არის განპირობებული საქართველოში მცირე ბიზნესის **მხარდამჭერი სახელმწიფო ორგანოს ფორმირება,** რომელმაც უნდა უზრუნველყოს თავისუფალი კონკურენციის შენარჩუნების პირობებში შემდეგი ღონიოსძიებათა შემუშავება-განხორციელება, კერძოდ:

1. სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მცირე ბიზნესის განვითარების სფეროში;
2. შესაბამისი სახელმწიფო დაფინანსების განსაზღვრა;
3. მცირე ბიზნესის ინფრასტრუქტურის პრიორიტეტების განსაზღვრა და მუშაობის კოორდინაცია;
4. მცირე ბიზნესის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
5. მცირე და მსხვილ ბიზნესს შორის კონტაქტების დამყარების ორგანიზება;
6. ინვესტორის მოძიება მცირე ბიზნესისათვის;
7. სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, რომლებიც მიმართული იქნება მოქმედ მცირე საწარმოთა გაფართოებასა, რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაზე;
8. დახმარების აღმოჩენა კრედიტების მოძიების პროცესში;
9. მცირე ბიზნესის განვითარების სხვა მასტიმულირებელ ღონისძიებათა შემუშავება და სამეურნეო პრატიკაში განხორციელება და სხვ.

შესაბამისად, საქართველოში რეგიონულ ჭრილში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ფინანსური რესურსების მიზნობრივი პროგრამების, საინვესტიციო პროექტებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება **მცირე ბიზნესის** განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდის დაწესებას, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ხელშემ-

წყობი **ინფრასტრუქტურის** – მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდის დაწესებას, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის ხელშემწყობი ინფრასტრუქტურის ფორმირებას, როგორიცაა: მცირე ბიზნესის განვითარების ტექნოპარკი; ბიზნეს-ინკუბატორი; მარკეტინგული მომსახურეობის ცენტრი; ლიზინგური კომპანია; აუდიტორული და კონსალტინგური მომსახურეობის ცენტრები; მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სასწავლო-საინფორმაციო ცენტრი და სხვ.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, **პროფესორი გენადი იაშვილი** განიხილავს რა მცირე და საშუალო საწარმოებში ბიზნესის დაგეგმვის გამოყენების თეორიულ საფუძვლებს, აყალიბებს საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების **სტრატეგიული დაგეგმვის** ორ ძირითად თეორიულ მიმართულებას, კერძოდ: ა) სტრატეგიის შემუშავების რაციონალურობისა და ბ) ინტუიციურ მოდელებს.[24]

ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარებისათვის **უნდა შეიქმნას „კრედიტორთა კავშირი"** (შედგება ნებაყოფლობითი წევრებისაგან, კონტროლისა და გარანტიის ქვეშ) და ფართოდ უნდა დაინერგოს ვენჩერული კაპიტალი და ფრანჩაიზინგი. ასევე, პრაქტიკა მოწმობს, რომ რეგიონების ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ აპრობირებულ **ინსტრუმენტად თავისუფალი ეკონომიკური ზონა** გვევლინება. 2006 წლის მონაცემებით მსოფლიოს 120 ქვეყანაში 2000-ზე მეტი თავისუფალი ეკონომიკური ზონა მოქმედებდა.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების მოქმედების სფეროს განსაზღვრისათვის მიღებულია ორი სხვადასხვა **კონცეპტუალური** მიდგომა:

ა) ტერიტორიული მიდგომის დროს ზონა განიხილება, როგორც სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია, სადაც მოქმედებს პრეფერენციათა სამეურნეო რეჟიმი;

ბ) ფუნქციონალური (სარეჟიმო) მიდგომის დროს კი, ზონა განიხილება როგორც განსაკუთრებული პრეფერენციული რეჟიმი, რომელიც ადგილ-მდებარეობის მიუხედავად, ვრცელდება სამეურნეო სუბიექტის განსაზღვრულ სამეწარმეო საქმიანობაზე.

ასევე, მსოფლიო პრაქტიკაში წარმატებით არის აპრობირებული კომპლექსური, საწარმოო ხასიათის **თავისუფალი ეკონომიკური ზონები**. ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე საქართველოში გადაიდგა პირველი ნაბიჯები ქვეყანაში თავისუფალი ეკონომიკური ზონების ფორმირების საქმეში (საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში დაფიქსირებულია ქვეყანაში განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის საკითხები: საქართველოს პარლამენტის 2006 წლის ივნისის კანონი თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ; საქართველოს საბაჟო კოდექსი), რომელიც საქართველოს რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკის ქმედითუნარიანობის ამაღლების ერთგვარ ინსტრუმენტად განიხილება.

რეგიონული პოლიტიკის მთავარი მიზანი მდგომარეობს სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებაში, რაც მიიღწევა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ბერკეტებით. რეგიონული პოლიტიკის ეკონომიკური მხარე ძირითადად ორიენტირებულია ადგილობრივი (რეგიონული) რესურსების (სამუშაო ძალა, ბუნებრივი რესურსები, მიწა და ა. შ.) ეფექტიანი გამოყენებისაკენ. რეგიონული პოლიტიკა უნდა იყოს მიმართული რეგიონთაშორისი განსხვავებების შედარებით გამოთანაბრებისაკენ შემოსავლების, დასაქმების, სოციალური ინფრასტრუქტურის, სატრანსპორტო ქსელის, კომუნიკაციების, გარემო პირობების და სხვა სფეროებში.

ამრიგად, საქართველოს პრიორიტეტული საგარეო პოლიტიკური ინტერესები, გამომდინარე და განხილული სტრატეგიული ამოცანების კონტექსტში, მდგომარეობს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საგარეო პირობების უზრუნველყოფაში, საქართველოს საზოგადოებრიობის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში, ქვეყნის გარეთ – საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მოქალაქის გარანტირებული უფლებისა და თავისუფლების დაცვაში. შესაბამისად, რეგიონული განვითარების თეორიებისა და რეგულირების საერთაშორისო გამოცდილებათა განზოგადებასა და საქართველოს რეგიონული განვითარების თანამედროვე ტენდენციებიდან გამომდინარე **ვასკვნით,** რომ რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია: ა) სახელმწიფო მოწყობისა და რეგიონების რო-

[24] **გენადი იაშვილი, სტატია** – „სტატეგიული დაგეგმვის თეორიული საფუძვლები მცირე ბიზნესში". საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" – მასალები. თბილისი. გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი", 2011. – 387-391 გვ.

ლის განსაზღვრა; ბ) რეგულირების ინსტიტუტების სამართლებრივი საფუძვლების დამკვიდრება; გ) მარეგულირებელი ინსტრუმენტების (დაგეგმვა-პროგნოზირება, საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა და სხვ.) ფორმირება და დამკვიდრება სამეწარმეო-ბიზნეს პრაქტიკაში; დ) განსაკუთრებული რეგიონული ფორმების (თავისუფალი ეკონომიკური ზონების) განვითარება და სხვ.

8.2. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი

სამეცნიერო სტატია: ლიპარტია ზ. – საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 29-30 სექტემბერი 2017.

რეზიუმე

სამეცნიერო ნაშრომში შემოთავაზებული მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისადმი ხელშემწყობი სახელმწიფო მხარდაჭერის საკანონმდებლო მარეგულირებელი მექანიზმისა და შესაბამისი მართვის ინსტიტუტის მაქსიმალურად ამოქმედება და მეწარმეობრივი საქმიანობის პრაქტიკაში მათი ადაპტირება-დამკვიდრებით მიიღწევა ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის ფუნქციონირების ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომელიც საქართველოში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სრულყოფას, საკუთრების ყველა ფორმის კანონიერებასა და რესურსების ეფექტური გამოყენების რეალიზაციას უზრუნველყოფს.

საკვანძო სიტყვები: *მეწარმეობრივი საქმიანობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, საკანონმდებლო-ნორმატიული რეგულირების მექანიზმი, სახელმწიფო მხარდაჭერის ფინანსური მექანიზმი. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები.*

Lipartia Z. Doctor of Economic Sciences, Professor of Sokhumi State University

Financial mechanism for the development of small and medium business in Georgia

Resume

The legislative regulatory mechanism and relevant management institution to facilitate the development of small and medium Businesses proposed in the research paper as far as possible and the advancement of entrepretional practice is achieved by the effectiveness of small and medium business functioning in the country Improvement, which promotes social-economic relations in Georgia, provides the realization of all forms of ownership and effective use of resources.

Keywords: *Entrepreneurial activity, development of small and medium business, legislative-regulatory mechanism, financial support of state, International Financial Reporting Standards (IFRS).*

პრობლემის დასმა. *ნებისმიერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ბიზნესის განვითარება, რომელზეც დაფუძნებულია ქვეყნის ეკონომიკა. განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარეობს, რომ ბიზნესის ფორმებს შორის მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების რეგულირების მეთოდებისა და სახელმწიფო მაკრომარეგულირებელი მექანიზმის დანერგვა მთლიანობაში განსაზღვრავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წარმატებას, უმუშევრობის შემცირებასა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შესაბამისად, საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემის კვლევა **აქტუალობას** იძენს თანამედროვე ეტაპზე, რომელიც ეხმიანება პარტნიორი ქვეყნების მიმართ ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის დანერგვას **ევროკავშირის** ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნის შესაბამისად.*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ევროინტეგრაცია ქვეყნის სტრატეგიულ მიმარ-

თულებადაა მიჩნეული, თანამედროვე ეტაპზე ეროვნულ ეკონომიკაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის არ არის დამკვიდრებული ევროკავშირის პოლიტიკის პრინციპები და ეკონომიკურ-ფინანსური ინსტრუმენტები. შესაბამისად, დღეს, ქვეყანას ეძლევა უდიდესი შესაძლებლობა, მცირე და საშუალო ბიზნესისადმი სახელმწიფო მხარდაჭერის ხელშემწყობი ინსტიტუტების შექმნით, ასოცირების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელებით, შეძლოს ბიზნესის განვითარების უპირატესობათა რეალიზაციის უზრუნველყოფა.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების არსებული მდგომარეობის მიმოხილვა – ანალიზი. როგორც ცნობილია, მცირე და საშუალო ბიზნესი თავისი მოცულობით ეკონომიკის ერთ-ერთ მსხვილ აგრეგატს წარმოადგენს. იგი როგორც ბიზნესსისტემის, ასევე მთელი ეკონომიკური სისტემის ფორმირების, განვითარებისა და სტაბილურობის ერთ-ერთი პირველწყაროა. განვითარებული ქვეყნების მონაცემები მოწმობს, რომ ამ სფეროების ბიზნესში ინვარმოება ქვეყნების მშპ-ს 50%-ზე მეტი და დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტს მოიცავს.

მსოფლიო სამეწარმეო ბიზნეს პრაქტიკაში იკვეთება მცირე და საშუალო კომპანიათა ეკონომიკური სტრატეგიის სხვადასხვა ტიპები, რომლებიც განსაზღვრავს მათ ადგილს ეროვნული ეკონომიკის აღწარმოებაში. კერძოდ:

1. ვიოლენტური სტრატეგიები-ეყრდნობა კონკურენციას დაბალი წარმოების დანახარჯების საფუძველზე;

2. პატენტური სტრატეგიები, რომელსაც ირჩევენ მცირე კომპანიები, მაღალი ხარისხის პროდუქციის საწარმოებლად, ორიენტაციას აკეთებენ სპეციფიკურ მოთხოვნაზე და დომინირებენ ბაზრის ვიწრო სეგმენტზე;

3. კომუტანტური სტრატეგიის შერჩევისას მცირე კომპანიები ორიენტაციას იღებენ მცირე მოცულობის ხანმოკლე მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, მათი ცვლილებების პირობებში, ხშირად უწევთ საქმიანობის სახეობის შეცვლა;

4. ექსპლერენტული სტრატეგია დამახასიათებელია ინოვაციური კომპანიებისათის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ახალი პროდუქციისა და ტექნოლოგიის შემუშავებაზე, მათ დანერგვასა და ამის საფუძველზე მაღალი მოგების მიღებაზე.

ამრიგად, ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ამოცანაა, ხელი შეუწყოს საქონლისა და მომსახურების სრულყოფილი ბაზრის ჩამოყალიბებას. იგი არის საბაზრო ეკონომიკის ბიზნესსისტემის პირველწყარო, რომელიც ფუნქციონირებს ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, მთლიანი ეროვნული პროდუქციის ხარისხს, სტრუქტურასა და ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. მცირე და საშუალო ბიზნესს აქვს შემდეგი კონკურენტული უპირატესობანი: დინამიკურობის მაღალი დონე; გადაწყვეტილების მიღების ოპერატიულობა, კაპიტალის სწრაფი გადასროლის შესაძლებლობა; მცირე ანაზღაურებად დანაკარგები; კაპიტალზე დაბალი მოთხოვნილება და ა. შ. ეს მოვლენა თანამედროვე ბაზრის ინფრასტრუქტურის შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს შეადგენს.

როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილების მიმოხილვა უჩვენებს, რომ ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში მცირე ბიზნესს არსებითი როლის შესრულება შეუძლია. მაგალითად, აშშ-ში სამეწარმეო ბიზნეს პრაქტიკაში განასხვავებენ სამი ტიპის მცირე კომპანიებს (საწარმოს). კერძოდ: ა) მცირე საწარმოებს, რომელთაც გაფართოების შესაძლებლობა არ აქვთ; ბ) საწარმოებს, რომლებიც ნელ-ნელა ვითარდება; გ) მცირე საწარმოებს, რომლებიც საწყის ეტაპზე იქმნება მცირე კაპიტალის დაბანდებით, შემდგომ მისი სწრაფი გაფართოების მიზნით.

აშშ-ში ამჟამად მცირე კომპანიები ძირითადად ორი კრიტერიუმებით ფასდება: დასაქმებულთა რაოდენობით და წლიური ბრუნვის მოცულობით. დასაქმებულთა რაოდენობა იცვლება 1-დან 500 კაცამდე, ხოლო წლიური ბრუნვა 3-დან 12 მილიონ დოლარამდე. ასევე, აშშ-ში შექმნილი სამუშაო ადგილების ნახევარზე მეტი მოდის იმ კომპანიებზე, სადაც დასაქმებულთა რიცხვი არ აღემატება 100 კაცს. ჯერ კიდევ 1990 წელს სამუშაო ძალის საერთო მოცულობაში მცირე ბიზნესს ეჭირა აშშ-ში 40, ხოლო გერმანიაში-49 პროცენტი.

ამერიკის სამეწარმეო პრაქტიკაში მთელ რიგ უმსხვილეს კომპანიათა სტრუქტურაში დიდი

ადგილი უკავია მცირე კომპანიებთან ურთიერთობას. მცირე კომპანიები ხელს უწყობს მსხვილ კომპანიებს იყვნენ მოქნილნი და უბიძგებს მათ უახლესი ტექნოლოგიების დანერგვისაკენ.

იაპონიაში ურთიერთობა მცირე და დიდ კომპანიებს შორის განსხვავებულ ხასიათს ატარებს. იაპონიაში მცირე ბიზნესი მსხვილი ბიზნესისათვის მოქნილობისა და შემოქმედებითი ფხიანობის წყაროს წარმოადგენს. აქ მათი ურთიერთობა შეთანხმების საფუძველზე არის აგებული და მიმართულია მთელი ეკონომიკისა და მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის სრულყოფისაკენ.

კვლევები მოწმობს, რომ მცირე ბიზნესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს მსხვილი კორპორაციების საქმიანობაში მათი მომარაგებით, პროდუქციის გასაღებით და მათთვის მომსახურების გაწევით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხშირად არსებობს მცირე და მსხვილი ბიზნესის ინტეგრაციის ობიექტური აუცილებლობა. განვითარებულ ქვეყნებში მცირე და მსხვილი ბიზნესის ურთიერთობების ძირითადი ფორმებია: ლიზინგი, სუბარენდა, ფრანჩაიზინგი, ლიცენზიური შეთანხმებანი და ვენჩურული დაფინანსებანი.

მცირე ბიზნესი ხელს უწყობს მსხვილ კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას და ამით მთელი ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო არენაზე. შესაბამისად, მას შესწევს უნარი ფართო მასშტაბებით უზრუნველყოს შრომითი რესურსების გამოყენება. ასევე, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, მცირე კომპანია შეუცვლელია ეკონომიკის ინოვაციური განვითარების სფეროში. იგი ორიენტირებულია ტექნოლოგიური, ტექნიკური და ორგანიზაციული სიახლეების შემუშავება-დანერგვაზე, რის გარეშეც შეუძლებელია ბაზარზე გასვლა და კომპანიების ეფექტიანი ფუნქციონირება.

მცირე (საშუალო) ბიზნესის ფორმირება-განვითარების პრაქტიკის შეფასება. როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველო საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზას დაადგა. ბუნებრივია, ქვეყანა ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: საჭირო იყო ეროვნული ეკონომიკის ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბება, საბაზრო ტიპის ინსტიტუტების შექმნა, ქვეყანაში სრულიად უცხო ფენომენის ბიზნესის ფორმირება და ა. შ. თავდაპირველად მოსახლეობამ, სტიქიურად, გაუცნობიერებლად, ლეგალურად თუ არალეგალურად, ხელი მოჰკიდა მცირე ბიზნესს, მაგრამ ეროვნული ეკონომიკის გაუმჯობესების საქმეში მან დღემდე ვერ შეძლო თავისი ადგილის დამკვიდრება.

საქართველოში ***მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების პირველ ეტაპად*** განიხილება *1991-1999* წწ-ის პერიოდი, როცა ქვეყანაში *1991* წელს მიღებული კანონით „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ“ და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე *1992* წლიდან დაიწყო სახელმწიფო ქონების პრივატიზება.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეორე ეტაპი იწყება *1999* წლიდან და გრძელდება *2002* წლის პირველ ნახევრამდე. *1999* წლის *23* ივლისს საქართველოში ძალაში შევიდა კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მიხედვით კომპანიების შეფასების კრიტერიუმად დასაქმებულთა რიცხოვნობასთან ერთად, აღიარებულ იქნა კომპანიის წლიური ბრუნვის მაჩვენებელი.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მესამე ეტაპი *2002* წლის მეორე ნახევრიდან *2006* წლის პირველ ნახევრის ჩათვლით. *2002* წელს მიღებული იქნა კანონი „მცირე ბიზნესის მხარდაჭერის შესახებ“, რომელმაც როგორც პრაქტიკამ აჩვენა დროის მოთხოვნებს ვერ უპასუხა – მთავრობის სტრატეგიას, ბიზნესის ყველა ფორმა ჩაეყენებინათანაბარ მდგომარეობაში. შესაბამისად, აღნიშნული კანონი გაუქმდა *2006* წლის ივლისში.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეოთხე ეტაპი მოიცავს *2006* წლის მეორე ნახევრიდან *2011* წლის პერიოდს. კანონში „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოების ცნება, კერძოდ „მცირე საწარმო არის ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება *20* დასაქმებულს, ხოლო წლიური ბრუნვა *500, 000* ლარს“.

მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მეხუთე ეტაპი მოიცავს *2011*-დან *2014* წლამდე პერიოდს. *2011* წელს ახალი საგადასახადო კოდექსით რეგლამენტირებულია მიკრო და მცირე ბიზნესი. ამასთან, მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომე-

ლიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი კი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს. მიკრო ბიზნესი საქართველოში ბიზნესის ახალი ფორმაა. დღეისათვის საქართველოში არსებული ბიზნესფორმები ევროკავშირის ბიზნესფორმების ადეკვატურია, თუმცა ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი თვალსაზრისით ამას ვერ ვიტყვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია აღმოიფხვრას ის ნაკლოვანებები, რაც არსებობს მცირე ბიზნესის სტატუსის განსაზღვრასთან მიმართებაში. მიღებულ იქნეს „კანონთა პაკეტი" მცირე ბიზნესის სამართლებრივი, ადმინისტრაციული, ეკონომიკური თუ სახელმწიფო მხარდაჭერის დარეგულირების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მცირე ბიზნესის სტატუსს და შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის მოთხოვნებთან, რასაც ითხოვს „საქართველო-ევროკავშირის ასოცირება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების" ხელშეკრულება. *2014 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოსათვის მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების მიმართულებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მეექვსე პერიოდი იწყება. 2014 წლის 1 სექტემბერს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების დიდი ნაწილი, ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება წინასწარ ამოქმედდა.*

პრაქტიკა მოწმობს, რომ განსაკუთრებით დიდია მცირე ბიზნესის როლი ეკონომიკური სისტემის ტრანსფორმაციის დროს, ვინაიდან იგი არის უმუშევრობის შემცირებისა და ეკონომიკური სტაბილიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. მცირე ბიზნესის ამ შესაძლებლობამ განაპირობა, რომ საქართველოში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პერიოდში ეკონომიკის დაცემას არ მოჰყოლია სოციალური ხასიათის გამოსვლები.

საქართველოში მცირე და საშალო ბიზნესის განვითარების პრობლემატიკას სწავლობს და განიხილავს ქართველ მეცნიერთა, პრაქტიკოსთა და მკვლევართა დიდი ნაწილი. მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების საქმეში არსებული დადებითი თუ უარყოფითი საკითხების კვლევების შედეგების განზოგადება უჩვენებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესმა ქვეყნის ეკონომიკაში ჯერ კიდევ ვერ დაიმკვიდრა საკუთარი ადგილი. კერძოდ, მცირე კომპანიების წილი ბრუნვასა და გამოშვებაში ჯერ კიდევ შესაბამისად 9 და 10%-ს ბევრად ვერ ასცდა (იხ. ცხრილი 1 – 2-3). „ბრუნვა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2012 წელს კომპანიათა მთლიანმა საქონელბრუნვამ 42048.0 მლნ ლარი შეადგინა. ამასთან მთლიანი ბრუნვის 83% მსხვილ ბიზნესზე მოდის; 7, 7% – საშუალო ბიზნესზე, მცირე ბიზნესის წილი კი 9, 3%-ია. დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობა კომპანიის ზომის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: მსხვილი ბიზნესი 57, 1%; საშუალო ბიზნესი 13, 8%; მცირე ბიზნესი 29. 1%. აქვე ნათლად ჩანს პროდუქციის გამოშვების, განაწილების სურათი. მსხვილ, საშუალო და მცირე ბიზნესზე იგი შესაბამისად შეადგენს: 82, 3%; 7, 5% და 10, 2%. შესაბამისად, ზემოთაღნიშნული 2014 წლის სტატისტიკა ადასტურებს, რომ საქართველოში მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარებისათვის ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ოფიციალურად დეკლარირებული მონაცემებით, 2014 წელს საწარმოთა მთლიანმა ბრუნვამ 50. 1 მლრდ ლარი, ხოლო პროდუქციის მთლიანმა გამოშვებამ 26. 1 მლრდ ლარი შეადგინა.

*საქართველოში საბაზო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პირობებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ფინანსური მექანიზმის სისტემა განიხილება, რომელიც არსებით ზემოქმედებას ახდენს სამეწარმეო (კომერციული) სუბიექტის საწარმოო-მარკეტინგული პროცესების რეგულირების უზრუნველყოფაში. ფინანსური მექანიზმის სისტემის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს, როგორიცაა: ფინანსური მეთოდი და ბერკეტები; სამართლებრივი, ნორმატიული და ორგანიზაციულ-ინფორმაციული უზრუნველყოფა **(იხ. ნახ. 2.17).***

***ფინანსური მეთოდი** როგორც ფინანსური ურთიერთობების ზემოქმედების საშუალება სამეურნეო პროცესებზე, რომელიც ფინანსური ფონდების ფორმირებასა და გამოყენებაში გამოიხატება, მიეკუთვნება: დაგეგმვა; პროგნოზირება; ინვესტირება; დაკრედიტება; თვითდაფი-*

ნანსება; საგადასახადო დაბეგვრა; და ზღვევა და ა. შ ფინანსური მეთოდები მოქმედებენ: ა) ფინანსური რესურსების მოძრაობის მართვასა და ბ) საბაზრო კომერციული ურთიერთობების ანგარიშგების განსაზღვრაში, რომელიც წარმოადგენს ღირებულებით ფორმაში გამოხატულ სამეწარმეო საქმიანობის შედეგებსა და დანახარჯებს კონკურენციული ბრძოლის პირობებში.

ცხრილი N 2.3. საქონელბრუნვა და პროდუქციის გამოშვება საქართველოს კომპანიათა ზომების მიხედვით (2010-2014 წწ.)

წლები		ბრუნვა		პროდუქციის გამოშვება		დასაქმება		ხელფასი	შრ. მწარ.
		მლნ ლარი	%	მლნ ლარი	%	კაცი	%	ლარი	ლარი
2010	სულ	24400.7	100	13303.7	100	397 806	100	592.7	33 443
	მსხვილი	20469.2	83.9	10859.6	87.6	224 354	56.4	755.2	48 404
	საშუალო	2350.3	9.6	1461.5	11.0	91 943	23.1	395.0	15 895
	მცირე	1981.2	6.5	982.6	7.4	81 500	20.5	312.9	12 055
2011	სულ	36726.2	100	19239.1	100	503 236	100	622.6	38 232
	მსხვილი	29435.0	80.1	15437.8	80.2	273 581	54.4	820.7	56 429
	საშუალო	3839.6	10.5	2095.1	10.9	103 004	20.5	457.0	20 342
	მცირე	3451.6	9.4	1706.9	8.9	126 651	25.1	283.1	13 477
2012	სულ	42048.0	100	23096.0	100	534 340	100	714.3	43 219
	მსხვილი	34919.1	83.0	19002.5	82.3	305 340	57.1	928.2	62 234
	საშუალო	3223.6	7.7	1740.2	7.5	73 661	13.8	528.1	23 624
	მცირე	3905.3	9.3	2353.3	10.2	155 396	29.1	338.1	12 144
2013	სულ	44327.9	100	23553.6	100	55088.5	100	750.1	42 756
	მსხვილი	36240.3	81.8	19031.0	80.8	315 447	57.3	969.9	60 330
	საშუალო	4295.6	8.7	2242.3	9.5	97 090	17.6	565.8	23 095
	მცირე	3792.1	8.6	2280.3	9.7	134 348	25.1	372.2	16 482
2014	სულ	50064.7	100	26068.6	100	592 147	100	800.5	44 024
	მსხვილი	41026.2	81.9	20901.8	80.2	332 731	56.2	1029.5	62 819
	საშუალო	4378.0	8.7	2489.0	9.5	90 937	15.4	636.9	27 371
	მცირე	4660.6	9.3	2677.8	10.3	168 480	28.9	375.2	15 894

პროდუქციის გამოშვება საქართველოს კომპანიათა ზომების მიხედვით (2010-2014 წწ.)

ფინანსური მეთოდის გამოყენებით ინსტრუმენტებად განიხილება: მოგება, შემოსავლები, საამორტიზაციო ანარიცხები, მიზნობრივი დანიშნულების ეკონომიკური ფონდები, ფინანსური სანქციები, საარენდო გადასახადი, საპროცენტო განაკვეთები სესხებზე, დეპოზიტებსა და ობლიგაციებზე, საწესდებო კაპიტალში შენატანი, პორტფელური ინვესტიციები, დივიდენდები, დისკონტირება, ეროვნული ვალუტის კურსის ქვოტირება და ა. შ. [7]


ფინანსური მექანიზმის **სამართლებრივი უზრუნველყოფა** მოიცავს: საკანონმდებლო აქტებს, როგორიცაა: საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ; საგადასახადო კოდექსი; ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ; მცირე ბიზნესის განვითარების შესახებ და სხვ., დადგენილებებს, საცირკულარო წესებსა და მმართველობითი ორგანოების სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს.

ფინანსური მექანიზმის **ფუნქციონირების ნორმატიული უზრუნველყოფა** ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, მეთოდოლოგიური ინსტრუქციების, ნორმატივების, მეთოდური მითითებებისა და ა. შ. პრაქტიკაში ადაპტირებით მიიღწევა.

ფინანსური მექანიზმის ფუნქციონირების **ინფორმაციული უზრუნველყოფა** შედგება სხვადასხვა სახის ეკონომიკური, კომერციული და ფინანსური ინფორმაციებისაგან, როგორი-

ცაა: ინფორმაცია პარტნიორებისა და კონკურენტების, ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის შესახებ, ფასთწარმოქმნის, სავალუტო კურსების, დივიდენდების, საპროცენტო განაკვეთებისა სასაქონლო, საფონდო, სავალუტო ბაზრებზე და ა. შ. ასევე, მოიცავს: ა) ინფორმაციული ცნობების მოპოვებას საბირჟო და არასაბირჟო ბაზრობებზე; ბ) ნებისმიერ მნიშვნელოვან კომერციულ სუბიექტზე საფინანსო და კომერციული საქმიანობის შესახებ და სხვადასხვა ინფორმაციულ მაჩვენებლებზე; გ) ინტელექტუალური საკუთრების სახეს „ნოუ ჰაუ", რომელსაც მიეკუთვნება სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ღირებულებები და სხვა ფინანსური სტრატეგიების შესამუშავებლად სამომხმარებლო პერსპექტივის „მმართველობითი ანალიზის" უზრუნველყოფის განვითარება.

ნახ.N .2- 17. ფინანსური მექანიზმის სისტემის სტრუქტურის სქემა



სამეცნიერო კვლევის სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. *ქართული ეკონომიკის განვითარებისათვის, მაშინ როცა იგი გლობალიზაციის პირობებში ამკვიდრებს ეკონომიკის საბაზრო მექანიზმს, აუცილებელია ქვეყნის მეწარმეობრივ საქმიანობაში შეიქმნას მცირე ბიზნესის რაოდენობრივი და ხარისხობრივი განვითარების ხელშემწყობი ერთიანი, მუდმივმოქმედი სახელმწიფო მექანიზმი. ქვეყანაში ამ მიმართულებით სახელმწიფოს მხრიდან გატარებული, ინექციური და ლოკალური ხასიათის ღონისძიებანი ვერ იძლევა სასურველ შედეგს. ამის ნათელი მაგალითია საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობის და სიღარიბის მაჩვენებლის მაღალი დონე.*

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესში არსებული მდგომარეობით შეფასება-ანალიზიდან იკვეთება, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ხარისხობრივი და რაოდენობრივი განვითარების მაღალი პოტენციალი გააჩნია ქვეყანას. დღეს მცირე ბიზნესს ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქციაში უკავია მხოლოდ 9-10%, მაშინ როცა განვითარებულ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი ხასიათდება 60-70%-ით. შესაბამისად, ქვეყანაში იგრძნობა: ა) მცირე ბიზნესის სამართლებრივი ვაკუუმი, ბ) სახელმწიფო მხარდამჭერი ორგანიზაციების არ არსებობა, გ) აუცილებლობა ქვეყნის მცირე ბიზნესის სტრუქტურის სრულყოფა ეკონომიკური საქმიანობისა და რეგიონების მიხედვით.

დასკვნა. *ქვეყანაში მცირე ბიზნესის განვითარების მიმართულებით არსებული სიძნელეების დაძლევის მიზნით მიგვაჩნია, შემდეგი* ***ღონისძიებების განხორციელება:***

1. უნდა შეიქმნას მცირე ბიზნესის განვითარების ერთიანი სახელმწიფო მექანიზმი, რომელმაც უნდა მოიცვას ინსტიტუციური-სამართლებრივი, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ხასიათის ღონისძიებანი;

2. მცირე ბიზნესის განვითარების მაკროეკონომიკური რეგულირების მექანიზმი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრული არ იქნება მცირე ბიზნესის განვითარების შეფასების კრიტერიუმები და მცირე კომპანიების ზომები.

შესაბამისად, *რეკომენდებულია, საქართველოსათვის მცირე ბიზნესის განვითარების* ***შეფასების კრიტერიუმად*** *მიღებულ იქნეს: ა) რეალიზებული პროდუქციის წლიური მოცულობა; ბ) ბრუნვა; გ) დასაქმებულთა რაოდენობა; დ) მცირე საწარმოთა საერთო რაოდენობა; ე) მცხოვრებთა რაოდენობა ერთ მცირე სანარმოზე; ვ) ათას მცხოვრებზე მცირე საწარმოთა რაოდენობა. ხოლო, ეკონომიკაში მისი როლის განსაზღვრისათვის მცირე ბიზნესის ხვედრითი წილი: მშპ-ში, დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, სანარმოთა საერთო რაოდენობაში: მცირე ბიზნესის კომპანიებში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი. ამასთან, მცირე ბიზნესის განმარტება და მათი კრიტერიუმების სტატისტიკური სიდიდეების შეფასებისას მიგვაჩნია, რომ მცირე ბიზნესზე კომპანიების მიკუთვნებისას გასათვალისწინებელია ქვეყნის მასშტაბები და მისი ეკონომიკური განვითარების დონე, ასევე დარგობრივი თავისებურებებიც;*

3. საქართველოში უნდა შეიქმნას ***ინსტიტუტები:*** *მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ადმინისტრაცია; მცირე და საშუალო განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი; მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მხარდამჭერი ფინანსური მექანიზმების სრულყოფისათვის საჭიროა შეიქმნას განშტოებული* ***ინფრასტრუქტურა,*** *რომელიც მოიცავს ბანკებს, სადაზღვევო, ლიზინგურ, ფაქტორინგურ, კონსალტინგურ, ვენჩურულ, აუდიტორულ კომპანიებს, ბიზნესინკუბატორებს, სამრეწველო ტექნოლოგიურ ცენტრებს, საარბიტრაჟო სასამართლოს და სხვა;*

4. საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის მიზნით უნდა მომზადდეს საქართველოს ***კანონთა შემდეგი პაკეტი, როგორიცაა:*** *„მცირე ბიზნესის შესახებ"; „მცირე კომპანიათა ინოვაციური საქმიანობის შესახებ"; „მცირე ბიზნესის სახელშეკრულებო ურთიერთობათა რეგულირების შესახებ"; „მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ".*

ამრიგად, *საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესწავლა-ანალიზიდან იკვეთება, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არცთუ ისე მცირე სამუშაოებია ჩატარებული, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფონდების მიერ.* ***შესაბამისად,*** *სახელმწიფო მხარდაჭერის საკანონმდებლო-ნორმატიული მარეგულირებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა მართვის სრულყოფილი ინსტიტუტების ფორმირება, ქვეყანაში საკუთრების ყველა ფორმის კანონიერების, შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.*

თავი 9.

საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები

9. 1. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემო და ორგანიზაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფინანსური პოლიტიკის ფორმირება-განხორციელებაში განსაკუთრებული როლი სახელმწიფოს ცენტრალურ საფინანსო ორგანოებს ენიჭება. ქვეყნის ძირითადი ინსტიტუციონალური სტრუქტურა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მართვა და კონტროლი დეცენტრალიზებული გზით წარიმართოს, ამით სამინისტროებისა და უწყებების ქვეყნის ეკონომიკური სისტემის შესაბამისი ფინანსური ურთიერთობათა სიმკაცრისა, თუ ლიბერალიზაციის გზით მაღალი ეფექტიანობა მიიღწევა.

როგორც უკვე აღინიშნა, **ფინანსური პოლიტიკა** – სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომლებიც მიმართულია ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და სახელმწიფოს ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად, მათი განაწილებისა და გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლის მთავარი ამოცანაა – შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ესა თუ ის პროგრამა, ფინანსური ბაზრის, მისი ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებისა და კაპიტალის ბაზრის ფორმირებით.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია **კონტროლის** სუბიექტების რაობა, მათი ინსტიტუციური მოწყობა და კომპეტენციის ფარგლები, მაგრამ არაა ურთიერთგამიჯნული კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა, მკაფიოდ დადგენილი არაა კონტროლის სხვადასხვა სუბიექტების როლი და ადგილი. ყოველივე ეს იწვევს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის არაეფექტიან ფუნქციონირებას, თუმცა სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განხორციელებაზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა **საქართველოს კონტროლის პალატას ეკისრება.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, **საჯარო სახსრების** კანონიერად და ეფექტიანად ხარჯვის შეფასებისათვის აუცილებელია **სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის შექმნა**, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ფინანსური კონტროლის ორგანიზაციის განსაზღვრა, საფინანსო კონტროლის სუბიექტების უფლებამოსილების და ამ უფლებამოსილებათა განხორციელების წესების დადგენა და სახელმწიფო საფინანსო სტანდარტების განსაზღვრა. მაგრამ ამასთან, საფინანსო კონტროლი არა მხოლოდ საჯარო სახსრების მიღებაგამოყენების პასიური მეთვალყურე უნდა იყოს, არამედ მან საფინანსო დარღვევის აღკვეთის მიზნით გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები, რითაც კონტროლის სუბიექტების პასუხისმგებლობა მათივე უფლებებთან შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი. კონტროლის სუბიექტებმა პასუხი უნდა აგონ საფინანსო დარღვევების აღკვეთაზე, რისვისაც მათ უნდა ჰქონდეთ საფინანსო ადმინისტრირების გამოყენების უფლება საჯარო დაწესებულებების მიმართ.

საგალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობას, რომელსაც უშუალოდ ახორციელებს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი. შიდა საფინანსო კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას.

საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე, **საფინანსო კონტროლის განხორციელების ფორმებსა და წესებს.** მისაღებად უნდა ჩაითვალოს საფინანსო კონტროლის განხორციელების შემდეგი **ფორმები:** საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება, რაც საფინანსო კონტროლის სუბიექტებმა უნდა განა-

ხორციელონ საქართველოს კონტროლის პალატის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა, შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს, ხოლო შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების შექმნამ არ უნდა გამოიწვიოს დამატებითი საშტატო ერთეულების შემოღება, არამედ უნდა მოხდეს სტრუქტურული რეორგანიზაცია და ამით გამოირიცხოს ამ მხრივ დამატებითი საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

კონტროლის როლი და მისი კავშირი მართვის სხვა ფუნქციებთან ვლინდება მიღებულ მმართველობით გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში. სწორედ სამართავი ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის კონტროლი იძლევა საშუალებას მართვის სუბიექტმა თავისდროულად მოახდინოს რეაგირება მიმდინარე ცვლილებებზე და აუცილებლობის შემთხვევაში კი, მმართველობით გადაწყვეტილებაში შეიტანოს სათანადო კორექტივები. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ კონტროლის პროცესში ვლინდება მმართველობით გადაწყვეტილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შედარებით დაშვებული ცდომილებები, ამ გადახრათა გამომწვევი მიზეზები, დგინდება დამნაშავე პირები და ისახება ღონისძიებები არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და მთელი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

კონტროლის ფუნქციები, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფაქტების უბრალო კონსტანტაციით, საკმაოდ მრავალფეროვანია, კერძოდ:

ა) შესამოწმებელი ობიექტის ფაქტობრივი მდგომარეობის განსაზღვრა და ანალიზი;

ბ) ობიექტის ფაქტიური მდგომარეობის დასახულ მიზნებთან და ამოცანებთან შედარება;

გ) კონტროლს დაქვემდებარებული ობიექტების საქმიანობის შეფასება, მათ საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევებისა და ნაკლოვანებების გამომწვევი სუბიექტური და ობიექტური მიზეზების ფაქტობრივი დადგენა და შეფასება;

დ) გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის ღონისძიებათა შემუშავება, რათა ობიექტის მომავალ საქმიანობაში არ განმეორდეს და თავიდან იქნეს აცილებული ადრე დაშვებული ხარვეზები.

ე) მისცეს კონტროლს დაქვემდებარებულ ობიექტს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დავალება, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად;

ვ) კომპეტენტური ორგანოების წინაშე დასვას დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი;

ზ) რიგ შემთხვევებში უშუალოდ განახორციელოს სახელმწიფოებრივი იძულების ღონისძიებები.

სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. ეს ადგილი უპირველესად **კონტროლის ობიექტით** ანუ **სახელმწიფო ფინანსებით** განისაზღვრება.

სწავლულ ეკონომისტთა მიერ შემოთავაზებულია ფინანსური კონტროლის სხვადასხვა განმარტებები, რომელთაგან უდაო ყურადღებას იმსახურებს იმ სპეციალისტთა მოსაზრება, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ფინანსური კონტროლი არის კონტროლის სუბიექტების კანონით გათვალისწინებული საქმიანობა – დადგენილი სტანდარტებისა და პროცედურების შესაბამისად შეამოწმონ, გამოავლინონ და ობიექტურად შეაფასონ საჯარო სახსრების მიღება-გამოყენების კანონიერება, მიზანშეწონილობა, ეფექტიანობა და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით მიიღონ გადაწყვეტილება საჯარო სახსრების უკანონოდ, მიზანშეუწონლად ან არაეფექტურად მიღება-გამოყენების აღკვეთის თაობაზე, შეიმუშაონ რეკომენდაციები მათ აღმოსაფხვრელად.

ფინანსური კონტროლი ობიექტურად აუცილებელია ნებისმიერ საზოგადოებაში სადაც ფულად-სასაქონლო ურთიერთობები არსებობს. დიდია მისი **როლი** საზოგადოებაში, სადაც ჭარბობს სახელმწიფო საკუთრება, რომელიც იმართება ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში – მეურნეობრიობის საბაზრო ფორმების პირობებში, მისი როლი არსებითად იზრდება.

ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეწარმეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა. კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო-სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი დაცვა პირველ რიგში სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში **ფინანსური კონტროლის ძირითად არსს წარმოადგენს:** ა) სახელმწიფოებრივი მმართველობის ეფექტიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური ურთიერთობის სუბიექტების მიერ საფინანსო კანონმდებლობის დაცვის შემოწმება; ბ) ქვეყნის საფინანსო სისტემის განმტკიცება; გ) სახელმწიფოსადმი ერთიანი საფინანსო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებაში ხელშეწყობა; ე) საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების, განაწილებისა და მოხმარების ყველა ეტაპზე ფინანსური რესურსების გამოყენების შიდა რეზერვების გამოვლენა.

ფინანსური კონტროლის ძირითადი მიზანია სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფინანსური სახსრებისა და სახელმწიფო საკუთრების კანონიერი, მიზნობრივი და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა. უნდა აღინიშნოს რომ მართვა გულისხმობს პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია კი წარმოადგენს საზოგადოებრივი ფინანსური რესურსების მართვის სავალდებულო ელემენტს.

ფინანსური კონტროლის ძირითადი ამოცანებია: 1) სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის სტატიების თავისდროულ შევსებაზე კონტროლის ორგანიზაცია და განხორციელება მოცულობის, სტრუქტურისა და მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით; 2) სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ექსპერტიზა და წლიური საბიუჯეტო კანონის კონტროლი; 3) სახელმწიფო სახსრების მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის კონტროლი; 4) სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის სტატიების დასაბუთების შეფასება; 5) სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის დამტკიცებული მაჩვენებლებიდან გამოვლენილი გადახრების ანალიზი, ასევე მათი აღმოფხვრისა და მთელი საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის წინადადებათა მომზადება; 6) სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების ბიუჯეტის სახსრების ბანკებში და სხვა საკრედიტო-საფინანსო დაწესებულებებში თავისდროული მოძრაობის და კანონიერების კონტროლი; 7) სახელმწიფო ბიუჯეტისა და არასაბიუჯეტო ფონდების სახსრების გამოყენების კუთხით სამინისტროებისა და უწყებათა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება; 8) ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების სწორად წარმოების კონტროლი; 9) საგადასახადო და საბიუჯეტო დისციპლინის განმტკიცება; 10) სხვადასხვა დონის ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზის ზრდის რეზერვების გამოვლენა; 11) ფინანსური ექსპერტიზა იმ კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან; 12) ხელისუფლების ორგანოებისათვის ჩატარებული საკონტროლო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება; 13) უცხოეთის სახელმწიფოების სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანიზაციებთან და საერთაშორისო კონტროლის ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; 14) ფინანსური დისციპლინის განმტკიცების მიზნით პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ჩატარება და სხვა.

ფინანსური კონტროლის ამოცანების წარმატებით რეალიზაციისათვის კონტროლი ხორციელდება შემდეგი მიმართულებით: ა) საგადასახადო სფეროში მოქმედი კანონმდებლობის დაცვაზე; ბ) სახელმწიფო დოტაციების, საგადასახადო შეღავათებისა და სხვა უპირატესობების გამოყენების კანონიერებაზე; გ) საფინანსო დისციპლინის დაცვაზე; დ) ბუღალტრული აღრიცხვის სწორად წარმოებაზე; ე) მატერიალური და ფულადი სახსრების შენახვაზე; ვ) სახელმწიფო რესურსების ეკონომიურად გამოყენებაზე; ზ) ბანკებში და სხვა საფინანსო-საკადრო

დაწესებულებებში სახელმწიფო სახსრების მოძრაობაზე; **თ)** საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ და ეკონომიკურ ხარჯვაზე; **ი)** სახელმწიფო ქონების გამოყენების ფინანსურ ეფექტიანობაზე; **კ)** პრივატიზაციის სისწორესა და კანონიერებაზე; **ლ)** სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების ფინანსური, შრომითი და მატერიალური რესურსების მდგომარეობაზე და გამოყენებაზე.

შესაბამისად, ფინანსური კონტროლის ***მიზან–ამოცანები*** განსაზღვრავენ მის ძირითად **ფუნქციებს,** რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება განხორციელდეს ორი ნიშნით: პირველი – ფინანსური კონტროლის სოციალური და საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე და მეორე – საკუთრივ, კონტროლის ფუნქციების შინაარსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

კონტროლის ფუნქციების პირველი ნიშნით კლასიფიკაცია გულისხმობს სოციალურ მართვას, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, დემოკრატიას და სამართლებრივ რეგულირებას, მაგრამ ფინანსური კონტროლის აქტიური როლი სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ვლინდება მის სპეციფიკურ ფუნქციებში, რომლებიც მთელი სოციალური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფენ. **ფინანსური კონტროლის სპეციფიკური ფუნქციებია: 1) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა; 2) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი; 3) კონტროლის ობიექტების საქმიანობის კორექცია; 4) საფინანსო დარღვევათა პრევენცია; 5) სამართალდაცვა.**

ფინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპებიდან უნდა გამოიყოს:

გეგმიურობის, სისტემურობის, უწყვეტობის, დემოკრატიული ცენტრალიზმის, კანონიერების, პასუხისმგებლობის, ობიექტურობის, საჯაროობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

ფინანსური კონტროლის გარემო აერთიანებს შემდეგ ელემენტებს, კერძოდ:

პატიოსნება და ზნეობრივი ფასეულობების ინფორმირება თანამშრომელთათვის და პრაქტიკაში გატარება. შიდა კონტროლის ეფექტიანობის მიღწევა წარმოუდგენელია იმ ადამიანთა პატიოსნებისა და ზნეობრივი ფასეულობების გარეშე, რომლებიც მას ქმნიან, ასრულებენ და მონიტორინგს უწევენ. პატიოსნება და ზნეობრივი ფასეულობები კონტროლის გარემოს არსებითი ელემენტებია, რომლებიც გავლენას ახდენს შიდა კონტროლის სხვა ელემენტების კონსტრუქციაზე, ადმინისტრირებისა და მონიტორინგის პროცესებზე. პატიოსნება და ზნეობრივი ყოფაქცევა წარმოადგენს კომპანიის ზნეობრივი და ქცევის ნორმების პროდუქტს, კერძოდ, როგორ ხდება ამ ნორმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება თანამშრომლებზე და როგორ ტარდება პრაქტიკაში. ამაში შედის ხელმძღვანელობის ქმედებები, რომლებიც მიმართულია ისეთი მაიძულებელი და მაცდუნებელი პირობების აღმოფხვრასა და შემცირებაზე, რამაც შესაძლოა თანამშრომლებს უბიძგოს უპატიოსნო, კანონსაწინააღმდეგო ან უზნეო საქციელისკენ. ასევე, ზემოაღნიშნული ნორმები ითვალისწინებს კომპანიის ფასეულობებისა და ყოფაქცევის სტანდარტების ინფორმირების საკითხს თანამშრომელთათვის კომპანიის პოლიტიკის შესახებ დადგენილებების და ქცევის კოდექსისა და პირადი მაგალითის მეშვეობით;

აუდიტორი, კონტროლის გარემოს ელემენტების გაცნობისას, ასევე განიხილავს დანერგილია თუ არა ელემენტები პრაქტიკაში. აუდიტორი შესაფერისი **აუდიტორული მტკიცებულებების** მოსაპოვებლად ერთობლივად მიმართავს გამოკითხვებსაც და რისკის შესაფასებელ სხვა პროცედურებსაც, მაგალითად, დამამტკიცებელი გამოკითხვების ჩატარება დაკვირვების ან დოკუმენტების დათვალიერების გზით. ზოგადად, ხელმძღვანელობისა და თანამშრომელთა გამოკითხვებით აუდიტორმა შესაძლოა გაიგოს, რა მეთოდს იყენებს ხელმძღვანელობა ბიზნესის წარმართვის პრაქტიკული მეთოდებისა და ეთიკური ქცევის შესახებ თავისი მოსაზრებების დასაყვანად თანამშრომლებამდე. აუდიტორი განსაზღვრავს დანერგილია თუ არა კონტროლის პროცედურები და ამ მიზნით განიხილავს, დადგენილი აქვს თუ არა ხელმძღვანელობას ოფიციალური **ქცევის კოდექსი** და როგორ ამოქმედებს მას – ხელს უწყობს კოდექსის დაცვას თუ პატიობს დარღვევებს ან ნებადართულ გადახრებს კოდექსიდან.

კონტროლის გარემოს შესახებ **აუდიტორული მტკიცებულებები** შესაძლოა არ არსებობდეს დოკუმენტური ფორმით, განსაკუთრებით შედარებით **მცირე საწარმოებში,** სადაც ხელმძღვანელობასა და სხვა პერსონალს შორის ურთიერთობას, შეიძლება არაოფიციალური, მაგრამ ეფექტური სახე ჰქონდეს. მაგალითად, ხშირად ხელმძღვანელობის მიერ ზნეობრივი ღირებულებებისა და კომპეტენტურობის ვალდებულების შესრულება ხდება იმ საქციელისა და პო-

ზიციის მეშვეობით, რომლის დემონსტრირებასაც თავად ახდენენ საწარმოს ბიზნესის მართვის პროცესში, ნაცვლად იმისა, რომ იყენებდნენ დაწერილ ქცევის კოდექსს. შესაბამისად, ხელმძღვანელობის პოზიცია, ინფორმირებულობა და ქმედებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე სიდიდის საწარმოების კონტროლის გარემოში.

კომპანიის კონტროლის გარემოსათვის დამახასიათებელი თავისებურებები ყოვლისმომცველ გავლენას ახდენს **არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებაზე.** მაგალითად, მენეჯერის კონტროლის პროცედურებმა შესაძლოა შეარბილოს მოვალეობების დანაწილების სიმწირე მცირე საწარმოში, ან აქტიურმა და დამოუკიდებელმა დირექტორთა საბჭომ შედარებით დიდ კომპანიებში შესაძლოა გავლენა იქონიოს მაღალი რანგის ხელმძღვანელობის ფილოსოფიასა და საქმიანობის სტილზე.

კონტროლის გარემო თავისთავად არ აღკვეთს, არც ავლენს და ასწორებს არსებით უზუსტობას **ოპერაციების** კატეგორიებში, **ანგარიშთა ნაშთებსა** და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებსა და შესაბამის მტკიცებებში. ამდენად, აუდიტორი, როდესაც აფასებს არსებითი უზუსტობების რისკებს, როგორც წესი, ითვალისწინებს სხვა კომპონენტების გავლენასაც, ძირითადად კონტროლის პროცედურების მონიტორინგის პროცესს და როგორ სრულდება კონკრეტული სახის მაკონტროლებელი საქმიანობა. მცირე კომპანიებმა, შესაძლოა დანერგონ შედარებით დიდი კომპანიებისგან განსხვავებული **კონტროლის გარემოს ელემენტები,** მაგალითად, მცირე კომპანიებს ქცევის კოდექსი შეიძლება არ ჰქონდეთ დაწერილი, მაგრამ, სამაგიეროდ მიაღწიონ ისეთ კულტურას, რომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდეს პატიოსნებისა და ზნეობრივი ყოფაქცევის მნიშვნელობას.

ამრიგად, სახელმწიფო კონტროლის საერთო სისტემაში ფინანსურ კონტროლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. როგორც უკვე აღინიშნა, ეს ადგილი უპირველესად კონტროლის ობიექტით ანუ სახელმწიფო ფინანსებით განისაზღვრება, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებისა და გამოყენების სფეროებს, ასევე, იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებული მმართველობითი საქმიანობას უკავშირდება და როგორც წესი, მოიცავს ბუნებრივ რესურსებს, წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროებს სუბიექტების საწარმოო და ფინანსურ საქმიანობას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში **სახელმწიფო ფინანსური კონტროლის** არეალი არსებითად ფართოვდება და მისი ობიექტები ხდება არა მარტო ის ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს ხარჯავენ, არამედ ის ორგანიზაციებიც, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ეროვნულ სიმდიდრეს იყენებენ. კერძოდ: მიწას, ტყეს, წყალს, ბიოლოგიურ რესურსებს, სახელმწიფო საკუთრებას და ა. შ.

შესაბამისად, ქვეყანაში ფინანსური კონტროლის დიდი როლი საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეწარმეო საქმიანობის მაღალი **ეფექტიანობის** აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტიანი გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა. ფინანსური კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო-სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი დაცვა პირველ რიგში სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას.

ცნობილია, რომ სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: კონტროლის სუბიექტი (ვინ ამოწმებს); კონტროლის ობიექტი (ვის ამოწმებენ); კონტროლის საგანი (რა მოწმდება); კონტროლის პრინციპები; კონტროლის მეთოდები; კონტროლის მექანიზმი; კონტროლის სისტემა.

კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტი, რაზედაც დამოკიდებულია ჩატარებული საკონტროლო-სარევიზიო ღონისძიებათა ეფექტიანობა, კონტროლის სუბიექტები, ანუ მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე შემმოწმებელი პიროვნებები (რევიზორები, კონტროლიორები, აუდიტები და ა. შ.) მათი საქმიანობა რეგლამენტირებულია ნორმატიული იურიდიული აქტებით და მთლიანობაში ქმნიან ფინანსურ სამართალს.

ფინანსური კონტროლის სუბიექტები არიან ის ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ფინანსურ კონტროლს. ეს ორგანიზაციები იყოფიან კონტროლის სახეებისა (გარე და შიდა) და მართვის დონის (სახელმწიფო, რეგიონალური, ადგილობრივი) მიხედვით. მაგალითად, საქართველოში გარე კონტროლის სუბიექტს წარმოადგენს საქართველოს კონტროლის პალატა.

ყველა სახისა და დონის კონტროლის სუბიექტების საქმიანობა უნდა იყოს კოორდინირებული და ერთიან მეთოდოლოგიურ საფუძველზე აგებული.

ფინანსური კონტროლის ობიექტი – ეს ის ორგანიზაციებია (სამინისტრო, უწყება), რომლებიც იყენებენ სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებს, სახელმწიფო ქონებას, ბუნებრივ რესურსებს ან გააჩნიათ შეღავათი დაბეგვრის, ექსპორტის, იმპორტის და ა. შ., სფეროში.

რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე კონტროლის ობიექტებს შესაბამისად წარმოადგენს ის ორგანიზაციები, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საბიუჯეტო სახსრებს იყენებენ.

ცნობილია, რომ **სახელმწიფო ფინანსური კონტროლი** მოიცავს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო სექტორს, მაგრამ იგი, როგორც მისი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალიდან ჩანს, ვრცელდება **კერძო სამენარმეო** (ბიზნესის) საქმიანობაზეც.

ამრიგად, ფინანსური კონტროლის ობიექტი არის არა მარტო საგადასახადო-საბიუჯეტო სფერო და საბიუჯეტო პროცესი, არამედ საბაზრო ურთიერთობის მონაწილე სუბიექტების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მთელი პროცესი. სწორედ ამითაა განპირობებული ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფო მართვისა და კონტროლის უმნიშვნელოვანესი ელემენტის, უაღრესად დიდი როლი და მნიშვნელობა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ობიექტებია:

1) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები;
2) სახელმწიფო სანარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები;
3) სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები;
4) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
5) საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და სახეებისა, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ ან იყენებენ სახელმწიფო სახსრებს ან საგადასახადო, საბიუჯეტო ან სხვა სახის შეღავათებით სარგებლობენ;
6) საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასახელმწიფო ფონდები და სხვა არასახელმწიფო კომერციული ორგანიზაციები იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ამ ორგანიზაციებისათვის საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის შეღავათებსა და უპირატესობების მინიჭებას;
7) სამეწარმეო სტრუქტურები და ფიზიკური პირები საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან და რეგულირდება სახელმწიფოს მიერ.

ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციათა შემადგენელი ნაწილის და მართვაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღის, საგანს შეადგენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაფართოებული კვლავწარმოების (პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და მოხმარების სფეროები) პროცესის გარკვეული მონაკვეთის შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის, მართვის მეთოდების სრულყოფით მასზე ზემოქმედებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. **მეთოდის** ზოგად ცნებაში იგულისხმება კონტროლის ფუნქციების განხორციელების მიზნით განსაზღვრული თანმიმდევრობით გამოყენებული მეთოდებისა და ხერხების ერთობლიობა, რითაც დგინდება მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ხარჯვის კანონიერება და ეკონომიკური მიზანშეწონილობა.

შემოწმების საერთო მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ შემოწმდეს და შესწავლილ იქნეს საწარმოს (დაწესებულების, ორგანიზაციის) სუსტი ადგილები. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის დეტალური მეთოდით შემოწმების დროს პირველადი დოკუმენტების საფუძველზე დაწერილებით უნდა იქნეს შესწავლილი შესამოწმებელი საწარმოს მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა (ამ დროს თითოეული სახის დოკუმენტი გულდასმით უნდა გაისინჯოს და გაკეთდეს სათანადო ნიშანი – „გასინჯულია“). არითმეტიკული მეთოდით შემოწმების არსი მდგომარეობს იმაში, რომ დოკუმენტებში შემოწმდეს გაანგარიშებებისა და შეტანილი ციფრების

სისწორე (განსაკუთრებით ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციები).

დოკუმენტების **შემხვედრი მეთოდით** რევიზიის დროს ამოწმებენ სამეურნეო პროცესებით გამოწვეული ორი მოპირდაპირე მხარის დოკუმენტებს. საკონტროლო ინვენტარიზაციით, რომელიც ინიშნება ჩატარებული ინვენტარიზაციის უტყუარობაში დარწმუნების მიზნით, ახდენენ საწარმოო საშუალებების ფაქტიურ შემოწმებას. იგი ინიშნება ზემდგომი ორგანოს, პროკურატურის, საგამოძიებო ან სხვა მოთხოვნით.

ლაბორატორიული ანალიზი და საექსპერტო შემოწმება ხდება მაშინ, როცა ჩატარებული სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიის გადასამოწმებლად იწვევენ ექსპერტს, ასევე, რომელიმე მატერიალურ ფასეულობათა კუთრი წონის, ხარისხის და ა. შ. დასადგენად.


ცნობებსა და ახსნა-განმარტებებს შემმოწმებლები მოითხოვენ ობიექტების ხელმძღვანელებისაგან და დამრღვევთაგან რევიზიის შედეგად გამოვლენილი დარღვევების, მითვისებების, გაფლანგვების ან სხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ დარღვევის ფაქტებზე.

დოკუმენტების ამოღება ხდება იმ შემთხვევაში, როცა უსწორო და საეჭვოა დოკუმენტები, რომლებიც შეიძლება გაიგზავნოს საექსპერტოზოდ, მოხდეს მისი შემხვედრი შემოწმება (საგამოძიებო ორგანოებისათვის გადასაცემად იღებენ დოკუმენტის დედანს და მის მაგივრად ტოვებენ ასლს). რევიზიის მასალების სისტემატიზაციისთვის შემმოწმებელი აწარმოებს დღიურს, რათა შეადგინოს შემოწმების შედეგებზე შესაბამისი აქტი.

საქართველოს სახელმწიფო შიდა აუდიტის სუბიექტის მიერ განხორციელებული შემოწმება, რომელიც მოიცავს დაწესებულების ფუნქციონირებისა და მართვის პროცედურების მწარმოებლურობის, სამართლებრივი, ტექნიკურიდა ფუნქციური ხარვეზების, დაწესებულების საქმიანობაში მოსალოდნელი დარღვევების ან/და სამსახურებრივი გადაცდომების პრევენციას ან/და მათი რისკ-ფაქტორების გამოვლენასა და ანალიზს, აგრეთვე სახსრების, სხვა მატერიალური ფასეულობების, ქონებრივი ღირებულებების არამატერიალური სიკეთეების ხარჯვის, გამოყენების, მიზნობრიობის, მიზანშეწონილობის, ეკონომიურობისა და შედეგიანობის შესწავლასა და ანალიზს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების შემოწმებას მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის დადგენის მიზნით.

სამეწარმეო სუბიექტში ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგება გამომდინარეობს პრეზიდენტის ბრძანებით **„კანონი საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“** და ემყარება გარკვეულ **პრინციპებს,** რომელთაგან ძირითადია შემდეგი (იხ. ნახ. 2.18):

ნახ.2.18 საწარმოს ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგების ძირითადი პრინციპების შემადგენლობა.



1. **ფინანსური კონტროლინგის სისტემის წარმართვა საწარმოს მიერ შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციაზე.**
2. **ფინანსური კონტროლინგის მრავალფუნქციონალურობა.**
3. **ფინანსური კონტროლინგის ორიენტირებულობა რაოდენობრივ სტანდარტებზე.**
4. **კონტროლინგის ოპერაციების თავისდროულობა. კონტროლინგის აგების მოქნილობა.**
5. **კონტროლინგის აგების სიმარტივე.**
6. **კონტროლინგის ეკონომიკურობა.**

საწარმოში ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგების ეტაპების შინაარსი და თანმიმდევრობა (იხ. ნახ. 2.19)


1) კონტროლინგის ობიექტის განსაზღვრა. ეს არის საერთო მოთხოვნები საწარმოში ნებისმიერი სახის კონტროლინგის ასაგებად მის მიზნობრივი ორიენტაციის პოზიციებიდან. ფინანსური კონტროლინგის ობიექტია მმართველობითი გადაწყვეტილება საწარმოს ფინანსური საქმიანობის ძირითადი ასპექტების მიხედვით.

2) კონტროლინგის სახეებისა და სფეროების განსაზღვრა. კონტროლინგის სისტემის აგების კონცეფციის შესაბამისად, იგი იყოფა შემდეგ ძირითად სახეებად: სტრატეგიული კონტროლინგი, ოპერატიული კონტროლინგი, მიმდინარე კონტროლინგი. თითოეული კონტროლინგი, ჩამოთვლილი სახეებიდან, უნდა შეესაბამებოდეს თავის განსაზღვრულ სფეროსა და ფუნქციების განხორციელების პერიოდულობას.

3) კონტროლირებული მაჩვენებლების პრიორიტეტების სისტემის ფორმირება. მაჩვენებელთა მთელი სისტემა, კონტროლინგის ცალკეული სახის სფეროში რანჟირდება მნიშვნელობის მიხედვით. ასეთი რანჟირების პროცესში თავდაპირველად პირველი დონის პრიორიტეტების სისტემაში შეირჩევა შედარებით მნიშვნელოვანი კონტროლირებადი მაჩვენებლებიდან მოცემული სახის კონტროლინგის მიხედვით. შემდეგ ყალიბდება მეორე დონის პრიორიტეტების სისტემა, რომლის მაჩვენებლები ფაქტორინგულ კავშირში იმყოფება პირველი დონის პრიორიტეტების მაჩვენებლებთან. ანალოგიურად ყალიბდება მესამე და მომდევნო დონეების პრიორიტეტების სისტემა. კონტროლინგის კონტროლირებადი მაჩვენებლების სისტემების ჩამოყალიბებისადმი ასეთი მიდგომა ამარტივებს მათი დაშლისადმი მიდგომას მიზეზების ახსნასთან მიმართებაში, როცა სახეზეა ფაქტიური სიდიდეების გადახრა გათვალისწინებული შესაბამისი ამოცანებიდან.

4) კონტროლის რაოდენობრივი სტანდარტების სისტემის დამუშავება. იმის შემდეგ, რაც განისაზღვრება და რანჟირდება გასაკონტროლებელი ფინანსური მაჩვენებლების ჩამონათვალი, აუცილებელი ხდება თითოეული მათგანისათვის რაოდენობრივი სტანდარტების დადგენა. ასეთი სტანდარტები შეიძლება დადგინდეს, როგორც აბსოლუტურ ასევე შეფარდებით მაჩვენებლებში. ამის გარდა, ასეთი რაოდენობრივი სტანდარტები შეიძლება სტაბილური და მოძრავი ხასიათის მატარებელი იყოს. მოძრავი სტანდარტებად გამოდიან მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივები. მიმდინარე გეგმებისა და ბიუჯეტების მაჩვენებლები, სახელმწიფო ან საწარმოს მიერ შემუშავებული ნორმებისა და ნორმატივების სისტემა და ა. შ.

5) ფინანსურ კონტროლინგში ჩართული მაჩვენებლების მონიტორინგის სისტემის აგება. მონიტორინგის სისტემა, (ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ გამსვლელი სისტემა) შეადგენს ფინანსური კონტროლინგის საფუძველს, მისი მექანიზმის ყველაზე აქტიურ ნაწილს. ფინანსური მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს საწარმოში შემუშავებულ, მუდმივი დაკვირვების, მექანიზმს ფინანსური საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე, გათვალისწინებულიდან ფაქტიური შედეგების გადახრის სიდიდის განსაზღვრის და ამ გადახრის მიზეზების გამოვლენას.



ნახ. 2.19. საწარმოში ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგების ეტაპების შინაარსი და თანმიმდევრობა

ამრიგად, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემოს ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს, ფინანსური კონტროლის სუბიექტებისა და ობიექტებისათვის შემუშავდეს საფინანსო კონტროლის ერთიანი სისტემა, რომელიც შესაძლებელს გახდის ფინანსური კონტროლის მიზან-ამოცანების რეალიზაციისთვის კონტროლის ფუნქციების ეფექტიანი განხორციელების, შემოწმების მეთოდების და ხერხების ერთობლიობით საწარმოს მიერ შემუშავებული ფინანსური სტრატეგიების განხორციელებას დანახარჯების ეკონომიურობისა და შედეგიანობის ხარისხის გაზრდის უზრუნველყოფით.

9.2. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობა განვითარებულ ქვეყნებში

საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სახელმწიფო (საჯარო) კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული მოწყობის პროცესების მართვაში ფინანსური კონტროლის სისტემაში **შიდა აუდიტის** მექანიზმის ადაპტირება-დამკვიდრების პრობლემების კვლევა ფრიად აქტუალურია, რამეთუ იგი საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირების ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს და მთლიანობაში ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნისა და განაწილების პროცესში საკუთრების ყველა ფორმის დაცულობას, კანონიერებასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას უზრუნველყოფს.


როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ, საკონტროლო, მარეგულირებელ და უკუკავშირის არხის ფუნქციებს. ფულადი ფონდების განაწილება-გადანაწილების პროცესში ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ ფუნქციას, ხოლო ბიუჯეტის საშუალებით ფულადი ფონდების ხარჯვის პროცესში კი – საკონტროლო ფუნქციას. **ფინანსების ფუნქციების** რეალიზება **ფინანსური მექანიზმის,** როგორც სამეურნეო მექანიზმის ნაწილის სახით ხორციელდება. **ფინანსური მექანიზმი** არის ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური მეთოდებისა და ბერკეტების, ფინანსური დაგეგმვის მეთოდების, ფინანსების მართვის ფორმებისა და ფინანსური სისტემის, ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობა.

კორპორაციების (საწარმოს) ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი ფუნქციების სისტემაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის კორპორაციაში **ფინანსური კონტროლის** განხორციელებას. მათ შორის უმნიშვნელოვანესია **მმართველობითი (შიდა) კონტროლის** სისტემის ფუნქციონირება. **შიდა ფინანსური კონტროლი** წარმოადგენს საწარმოს მიერ ორგანიზებულ ყველა მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულებისა და რეალიზაციის უზრუნველყოფის შემოწმების

პროცესს: ფინანსური საქმიანობის სფეროში ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის და კრიზისული სიტუაციის გაფრთხილების მიზნით, რაც მის გაკოტრებას განაპირობებს.

კორპორაციის შიდა ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია შემდეგი ძირითადი ფორმებით ხორციელდება: ა) წინასწარი ფინანსური კონტროლი; ბ) მიმდინარე ფინანსური კონტროლი; გ) მომავალი ფინანსური კონტროლი. **შიდა ფინანსური კონტროლის** ფუნქციების რეალიზაციის ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უწყობს კომპანიაში ეფექტიანი კომპლექსური **მმართველობითი სისტემის დანერგვა**, რომელიც კონტროლინგის სახელწოდებითაა ცნობილი.

კონტროლინგის კონცეფცია შემუშავებული იქნა გასული საუკუნის 80-იან წლებში, როგორც კრიზისული სიტუაციების თავიდან აცილების აქტიური საშუალება, რაც საბოლოოდ საწარმოს გაკოტრებას იწვევს. ამ კონცეფციის პრინციპი, რომელმაც მიიღო „გადახრების მართვის" სახელწოდება, არის ძირითადი საგეგმო (ნორმატიული) და ფაქტიური მაჩვენებლების ოპერატიული შედარება მათ შორის გადახრების გამოვლენის მიზნით და ამ გადახრების ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრა საწარმოში საქმიანობის ნორმალიზაციის საკვანძო ფაქტორებზე ზემოქმედების მიზნით. კონტროლინგის სისტემა დანერგვას იწყებს ჩვენს პრაქტიკაშიც. კონტროლინგის საერთო სისტემაში, რომელიც ყალიბდება კომპანიაში, გამოიყოფა მისი ერთ-ერთი ცენტრალური ბლოკი – **ფინანსური კონტროლინგი** (იხ. ნახ. 2.20).



ნახ. 2.20. ფინანსური საქმიანობის მაჩვენებლების საკონტროლო სისტემის ძირითადი ეტაპები

ფინანსური კონტროლინგი ეს არის რეგულატორული მმართველობითი სისტემა, რომელიც ახდენს ურთიერთკავშირის კოორდინაციას, ინფორმაციული ბაზის ფორმირებას, ფინანსური ანალიზის, ფინანსური დაგეგმვის და შიდა ფინანსურ კონტროლს შორის, რომელიც უზრუნველყოფს საკონტროლო ქმედებების კონცენტრაციას საწარმოს ფინანსური საქმიანობის უფრო პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მისი ფაქტიური შედეგების გათვალისწინებულიდან გადახრის თავისდროულ გამოვლენას და ოპერაციული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც მათ ნორმალიზაციაზეა მიმართული.

ფინანსური მაჩვენებლების საკონტროლო სისტემის აგება მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან ეტაპებს (იხ. ნახ. 2.20).

საანგარიშგებო მაჩვენებელთა საინფორმაციო სისტემის აგება ფინანსური კონტროლინგის ცალკეული სახეობის მიხედვით ეფუძნება ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის მო-

ნაცემებს. ეს სისტემა წარმოადგენს ე. წ. „დაკვირვების პირველად საინფორმაციო ბაზას“, რაც საჭიროა საწარმოსათვის აგრეგირებული ცალკეული ანალიტიკური აბსოლუტური და შეფარდებითი ფინანსური მაჩვენებლების თანმიმდევრული გაანგარიშებისათვის, რომელიც ახასიათებს საწარმოს ფინანსური საქმიანობის შედეგებს.

ევროკავშირის ქვეყნებში შეიძლება გამოიყოს **უმაღლესი საფინანსო კონტროლის ორ**განოების **ოთხი ძირითადი ტიპი,** როგორიცაა: 1) სასამართლო იურიდიული ფუნქციებით; 2) კოლეგიალური სტრუქტურა იურიდიული ფუნქციების გარეშე; 3) აუდიტის დამოუკიდებელი ოფისი გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით; 4) აუდიტის ოფისი, გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით (მთავრობის სტრუქტურაში).

უნდა აღინიშნოს, რომ ავსტრიის **საანგარიშო პალატა** არის უმაღლესი საფინანსო კონტროლის მკვეთრად გამოხატული მოდელი, რომელსაც ხელმძღვანელობს პრეზიდენტი და, რომელიც ახორციელებს შემოწმებას როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე.

შვიდ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი) უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები შეიძლება მივაკუთვნოთ **პირველ ტიპს – „სასამართლო იურიდიული ფუნქციებით“**. მაგალითად, საბერძნეთსა და პორტუგალიაში ეს ორგანოები სასამართლო სისტემის შემადგენელი ნაწილებია, ნიდერლანდებსა და გერმანიაში – შეიძლება განეკუთვნოს **მეორე ტიპს („კოლეგიალური სტრუქტურა იურიდიული ფუნქციების გარეშე“)**. მოდელი – **„აუდიტის ოფისი გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით იურიდიული ფუნქციების გარეშე“**, მოქმედებს დიდ ბრიტანეთში, ირლანდიასა და დანიაში, აგრეთვე, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში, ინდოეთში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასა და სხვა ქვეყნებში, რომლებზეც სახელმწიფო მართვისა და ფინანსური კონტროლის ბრიტანულმა მოდელმა არსებითი გავლენა მოახდინა.

მესამე ტიპი („აუდიტის ოფისი მთავრობის სტრუქტურაში გენერალური აუდიტორის ხელმძღვანელობით“) მოქმედებს შვედეთსა და ფინეთში და იგი წარმოადგენს მთავრობის სტრუქტურულ ორგანოს, ორივე ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორი ორგანო, ერთი პასუხისმგებელია მთავრობის წინაშე, ხოლო მეორე – პარლამენტის წინაშე.

ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების სტრუქტურების მსგავსება შემთხვევითი არ არის – ისინი დაფუძნებულია **ფრანგულ** სისტემაზე. XIX საუკუნეში ევროპაში დაიწყო ფრანგული ადმინისტრაციული პრაქტიკის გავრცელება, ფინური და შვედური მოდელების მსგავსებაც ასევე მიუთითებს მათ საერთო ისტორიაზე.

უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებს ირლანდიაში, შვედეთში, ფინეთში, დიდ ბრიტანეთში, ავსტრიასა და დანიაში ჰყავთ ხელმძღვანელი – გენერალური აუდიტორი, ან პრეზიდენტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მართვის უმაღლეს დონეზე. სხვა ქვეყნების უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოებში გადაწყვეტილებებს ღებულობენ კოლეგიალურად. გერმანიაში უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო ორგანოს შემადგენლობაში 66 წევრია, გადაწყვეტილებას აქ იღებს კოლეგია. ნიდერლანდებში უმაღლეს მაკონტროლებელ ორგანოს ხელმძღვანელობს საბჭო სამი წევრის შემადგენლობით, გადაწყვეტილებას იღებს კოლეგია.

აუდიტორთა ევროპული სასამართლო შედგება 15 წევრისაგან, – თითო წარმომადგენელი ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან.

უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების ხელმძღვანელი პირების მიმართ წაყენებულია სხვადასხვა მოთხოვნები. ფინეთში გენერალურ აუდიტორს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო ხარისხი. ასეთი მოთხოვნებია სხვა ქვეყნებშიც (ესპანეთი, პორტუგალია).

განსხვავებული სტატუსი გააჩნიათ უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების ხელმძღვანელ პირებს, – დიდ ბრიტანეთში გენერალური აუდიტორის სტატუსი განსაზღვრულია, როგორც თემთა პალატის წევრისა, გერმანიაში ფედერალური საანგარიშო პალატის წევრს აქვს მოსამართლის სტატუსი.

ავსტრიაში საანგარიშო პალატის პრეზიდენტის სტატუსი გათანაბრებულია ფედერალური მთავრობის წევრის სტატუსთან.

სხვადასხვა ქვეყანაში უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ხელმძღვანელი პირები და წევრები სხვადასხვა ვადით ინიშნებიან, ბევრი მათგანი – სიცოცხლის ბოლომდე, ან სა-

პენსიო ასაკის მიღწევამდე. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ზოგიერთი ქვეყანა: მაგალითად, დიდ ბრიტანეთში გენერალური აუდიტორი შეიძლება განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან პარლამენტის ორივე პალატის თანხმობით და მონარქის ბრძანებით. უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოების თანამშრომელთა კვალიფიკაცია თითოეულ ქვეყანაში განისაზღვრება **სახელმწიფო კონტროლის** როლისა და ამოცანების შესაბამისად: დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, ფინეთსა და საბერძნეთში უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოთა პერსონალი ძირითადად შედგება კვალიფიციური ბუღალტრებისაგან. სხვა ქვეყნებში კვალიფიციურ ბუღალტრებთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკონომისტები და იურისტები.

უმაღლესი სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები ამოწმებენ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საქმიანობას. ამ ორგანოებს აქვთ ასევე მუნიციპალური ორგანოების საქმიანობის შემოწმების უფლებამოსილება. იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო სახსრები გამოიყენება კერძო სექტორში, სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები ვალდებულნი არიან, შეამოწმონ ამ სახსრების გამოყენება.

ავსტრიასა და გერმანიაში მოწმდება ფონდები, რომლებმაც სპეციფიკური მიზნებისათვის მიიღეს სახელმწიფო სახსრები. ნიდერლანდებში – კორპორაციული საწარმოები, რომელთაც მიიღეს სახელმწიფო სესხები, ან გარანტიები. ანალოგიურ შემოწმებას ექვემდებარებიან კერძო კომპანიები, რომელთა სააქციო კაპიტალის ნაწილი სახელმწიფოს ეკუთვნის.

ევროკავშირის ქვეყნებში სახელმწიფო **საფინანსო კონტროლის** ორგანოები ატარებენ კონტროლის ისეთ სახეებს, როგორიცაა წინასწარი და შემდგომი კონტროლი, შესრულების შემოწმება, აგრეთვე, იურიდიული ფუნქციების შესრულება. წინასწარი კონტროლი განიხილება როგორც ფინანსების მართვის პროცესის არსებითი ნაწილი. წინასწარ კონტროლს ექვემდებარება მთავრობის ნებისმიერი აქტი, რომელმაც შეიძლება რაიმე ცვლილება გამოიწვიოს კანონით დამტკიცებული ბიუჯეტის მაჩვენებლებში.

იტალიის საანგარიშო პალატის საქმიანობაში ხაზგასასმელია ერთი თავისებურება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საკითხთა გარკვეული წრის მიმართ იგი წინასწარი კონტროლის ფორმით მოქმედებს. საანგარიშო პალატა ახორციელებს მთავრობის საფინანსო აქტების კანონიერების წინასწარ კონტროლს და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით მთავრობის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შემდგომ კონტროლს. ამ მიზნით, პალატა წინასწარ იხილავს პრეზიდენტის ყველა დეკრეტს (პოლიტიკური ხასიათის აქტების გამოკლებით), მაგრამ ეს არ არის ფორმალური ფუნქცია. პრეზიდენტის დეკრეტი ძალაში შედის მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი განხილული იქნება საანგარიშო პალატაში, მიიღებს მის ვიზას და გაივლის შესაბამის რეგისტრაციას. წინასწარი სახელმწიფო კონტროლის მექანიზმით იხილება მთავრობის ყველა აქტი, რომელმაც შესაძლოა რაიმე გავლენა მოახდინოს კანონიერ ძალაში შესული ბიუჯეტის მაჩვენებლებზე. მთელ რიგ ქვეყნებში მხოლოდ შემდგომი კონტროლის ფორმით ახორციელებენ შემოწმებებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო კონტროლი დარღვევათა ფიქსირებაზეა ორიენტირებული, ნაცვლად იმისა, რომ აქტიურად იყენებდეს წინასწარი კონტროლის იმ ძირითად უპირატესობას, რასაც დარღვევა-გადაცდომათა პროფილაქტიკის ფუნქცია ჰქვია.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში უმაღლესი საფინანსო კონტროლის ორგანო ერთი მთლიანი **სტრუქტურის** სახით არის ჩამოყალიბებული. მაგ., **გერმანია** იმ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, სადაც სახელმწიფო აღმშენებლობის პროცესში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანიზაციის საქმეს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა დიდი ბრიტანეთის შემდეგ, სადაც სახელმწიფო ხაზინის გენერალური აუდიტორის (კონტროლიორის) თანამდებობა ჯერ კიდევ 1314 წელს იქნა პირველად შემოღებული. გერმანია ის ქვეყანაა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება ქვეყანაში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის დამკვიდრებასა და შემდგომ სრულყოფას. **გერმანიაში** ამჟამად მოქმედი კანონი – **„ფედერალური საანგარიშო პალატის შესახებ“**, მიღებულ იქნა 1985 წლის 11 ივლისს, რომლის თანახმად, ფედერალური საანგარიშო პალატის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებად აღიარებულია კონსტიტუციური გარანტიები, დამოუკიდებლობა და კანონიერება, სახელმწიფო ინტერესების დაცვის პრიმატი, პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტასა და აღმასრულებელი ფუნქციების განხორციელებაში ჩაურევლობა, ადმინისტრაციული აზროვნების სტიმულირება, საქმიანობის ანგარიშგება და საჯაროობა.

მიუხედავად არსებული განსხვავებებისა, განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები განსაკუთრებულ როლს თამაშობენ, რომელთა მნიშვნელობა განუხრელად იზრდება. მაგალითად, მნიშვნელოვანი პროგრამების (ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო, პოლიტიკური) განხორციელებაში ყოველთვის არის ჩართული კონტროლის ქვეისტემა შესაბამისი ასიგნებებით. როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს ყოველთვის გამართლებული ღონისძიებაა – ფინანსურ კონტროლზე გაწეული დანახარჯები თითქმის ყოველთვის რენტაბელურია. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მაკონტროლებელ ორგანოებზე დახარჯული თითოეული დოლარი იწვევს ბიუჯეტში დამატებით ხუთი დოლარის მობილიზებას, ხოლო დიდ ბრიტანეთში – ყოველი დახარჯული ფუნტი სტერლინგი – ცამეტი გირვანქა სტერლინგის მობილიზებას.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, რომ სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ორგანოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ **კორუფციასთან ბრძოლაში**, რაც ხაზგასმით იქნა აღნიშნული ანტიკორუფციისადმი მიძღვნილ მერვე საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც 93 ქვეყნის ათასამდე წარმომადგენლის მონაწილეობით 1997 წლის 11 სექტემბერს პერუს დედაქალაქ ლიმაში გაიმართა. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ **„ზნეობა მარტოოდენ რელიგიისა და მორალის საქმე როდია, ეს არის აგრეთვე დემოკრატიისა და პატიოსანი საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საჭირო პირობა; თუკი ჩვენ კორუფციას მივცემთ გადაიქცეს პოლიტიკურ ინსტიტუტად, – ნათქვამია კონფერენციის მასალებში, მაშინ ლიბერალური დემოკრატიული სახელმწიფოს კრახი გარდაუვალი იქნება“.**

ოთხდღიანი მუშაობის შემდეგ **ლიმას კონფერენციამ** მიიღო დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია: „... დარწმუნებულნი ვართ, რომ კორუფცია: შლის ყოველი საზოგადოების მორალურ სტრუქტურას; არღვევს დაუცველი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს; ძირს უთხრის დემოკრატიას; შლის კანონიერებას, რომელიც ყოველი ცივილიზებული საზოგადოების საფუძველია; აბრკოლებს განვითარებას; ართმევს საზოგადოების ფენებს – განსაკუთრებით ღარიბებს, თავისუფალი და ღია კონკურენციით სარგებლობის უფლებას“. „... თუ არ იქნება აღმოფხვრილი კორუფციის კულტურა, რეფორმის მცდელობები ამაო იქნება“ – ნათქვამია დეკლარაციის დასკვნით ნაწილში.

კორუფცია – ეს ყოველთვის არის სახელმწიფო მმართველობის შესუსტების სიმპტომი. მსოფლიო ბანკი კორუფციას განსაზღვრავს, როგორც სახელმწიფო სამსახურის გამოყენებას პირადი მიზნებისათვის, ასეთი განსაზღვრება მოიცავს თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, საგადასახადო დარღვევებს, რეგისტრაციის, ლიცენზირებისა და ნებართვების სფეროში თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. კორუფციის კიდევ ერთი სახე წარმოიშობა სახელმწიფო საწარმოების პრივატიზებასთან დაკავშირებულ პროცესში. სახელმწიფო ფინანსური რესურსების დატაცება, შემოსავლების მითვისება, კრედიტების დაუბრუნებლობა – ასევე წარმოადგენს კორუფციის სხვადასხვა ფორმებს.

ამრიგად, მოწესრიგებული სახელმწიფო **კონტროლი და აუდიტი** წარმოადგენს მძლავრ იარაღს კორუფციასთან ბრძოლაში. სახელმწიფო საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციები სულ უფრო დიდ ინტერესს ავლენენ კორუფციასთან ბრძოლაში.

9.3. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განვითარება საქართველოში

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციამ ვრცლად განსაზღვრა სახელმწიფო კონტროლის საგანი, მისი მთავარი სუბიექტი და სამართლებრივი საფუძველი. 93-ე მუხლში იგი ნახსენებია, როგორც „ქვეყნის საფინანსო-საბიუჯეტო სისტემის ძირითადი **საგანი“**, ხოლო სახელმწიფო კონტროლიორი – მისი მთავარი **სუბიექტი.**

კონსტიტუციის 91-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება სახელმწიფო ბიუჯეტის სისწორის დადგენა, სახელმწიფოს ყველანაირი შემოსავალ-გასავალი, მთავრობის და სხვა უწყებების ხარჯთაღრიცხვა და ანგარიში და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსები. 92-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო კონტროლი აირჩევა პარლამენტის მიერ და იგი არ არის მინისტრთა კაბინეტის წევრი, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებებით, პა-

სუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე და წარუდგენს მას ყოველწლიურ ანგარიშს.

სახელმწიფო მმართველობაში განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 28 ივნისს მიიღო **„კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ“**, რომლის 1-3 მუხლით განსაზღვრულია, რომ დაარსდა სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა, რომელსაც ირჩევს ეროვნული საბჭო. იგი არ შედის მინისტრთა კაბინეტში და პასუხისმგებელია მხოლოდ ეროვნული საბჭოს წინაშე, უთანხმოებას სახელმწიფო კონტროლიორსა და მთავრობას შორის განიხილავს და წყვეტს ეროვნული საბჭო. ამასთან, გაუქმდა მოქმედი კანონების ის მუხლები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ დებულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ კანონის საფუძველზე ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 6 დეკემბერს დაამტკიცა კანონი **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“**, **„დებულება სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“** და **„რევიზიის წესდება“**. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის შესახებ“ კანონის თანახმად, გაუქმდა ტფილისის საკონტროლო პალატა და ამიერკავკასიის რკინისგზათა კონტროლი და სახელმწიფო კონტროლიორს დაევალა კონტროლის განხორციელება ერთი წლის განმავლობაში, რომელსაც საფუძვლად უნდა დადებოდა კონტროლის დებულება და სახელმწიფო წესდება.

„სახელმწიფო კონტროლისა და მისი უწყების საგანთათვის“ დებულებაში განხილულია შემდეგი საკითხები: სახელმწიფო კონტროლის უწყების საგანთათვის სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობა, სახელმწიფო კონტროლიორის საერთო საკრებულო და სახელმწიფო კონტროლის კანცელარია. მოგვიანებით, დებულების 34-ე მუხლს ამატებენ სახელმწიფო კონტროლის მიერ შემონმებულ ანგარიშთა დაცვის, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დაცვისა და მოსპობის წესებს და სახელმწიფო კონტროლის საქმეთა რიგ-რიგად განაწილების ნუსხას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დებულების პირველი მუხლი განსაზღვრავს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლს, როგორც სახალხო წარმომადგენლობით ორგანოს და სახელმწიფო მმართველობის ცალკე ნაწილს.

საკანონმდებლო ხელისუფლების წარდგენამდე სახელმწიფო კონტროლი ამოწმებდა სამინისტროების ფინანსურ ხარჯთაღრიცხვასა და ფინანსთა მინისტრის მიერ შედგენილ სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასა და ამ აღრიცხვის შესახებ ანგარიშს. ზემოთაღნიშნულ და სხვა საკონტროლო მოვალეობათა შესრულების მიზნით სახელმწიფო კონტროლი იყენებდა წინასწარ, შემდგომ და ფაქტიურ რევიზიას. კონტროლისათვის აუცილებელი ქმედების განხორციელების მიზნით მიღებული იქნა რევიზიის წესდება, რომელსაც უნდა უზრუნველყო სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებულ დაწესებულებათა განკარგულებითი და აღსრულებითი საქმიანობის კანონიერებისა, ეკონომიკურობისა და ფულადი სახსრების დაცვა. ჩატარებული სარევიზიო საქმიანობის შედეგებზე სახელმწიფო კონტროლიორს საკანონმდებლო ორგანოებისათვის ყოველწლიურად უნდა წარედგინა მოხსენებები, რომლებშიც განიხილებოდა სანანგარიშგებო და სახარჯთაღრიცხვო პერიოდის საერთო შემოსავალ-გასავლებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების კანონიერი და უკანონო საქმიანობის შესახებ ცნობები. აქვე ნაჩვენები უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი საქმეები, დასაბეგრი სისტემის ქმედითობის შუქ-ჩრდილები, საბაჟო-საგადასახადო საკითხები და ა. შ.

სახელმწიფო კონტროლის შემადგენლობაში შევიდნენ: სახელმწიფო კონტროლიორი, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი, სახელმწიფო კონტროლის საქმეთა დირექტორი, სექციათა გამგეები, უფროსი რევიზორები, რევიზორები, რევიზორების თანაშემწეები და მოანგარიშე-მოხელეები, საკანცელარიო მუშაკები–მდივანი, უფროსი საქმისმწარმოებელი, საქმისმწაროებელი, რეგისტრატორი, მისი თანაშემწეები და არქივარიუსი.

სახელმწიფო კონტროლიორის თავმჯდომარეობით ჩამოყალიბდა საერთო საკრებულო სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგის, საქმეთა დირექტორის და სექციათა გამგეების შემადგენლობით, ხოლო მომხსენებელის სტატუსითა და ხმის უფლებით – უფროსი რევიზორები, რომელთაც, სხვა ძირითად ფუნქციებთან ერთად, მიეცათ უფლება სხდომებზე სამინისტროებისა და თვითმმართველობის მოხელეების, კერძო, მცოდნე და გამოცდილი პირების მოწვევისა. გარდა ამისა, საერთო საკრებულოს მოქმედი კანონის თანახმად მიეცათ მთელი რიგი უფლებები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდნენ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების მიმარ-

თულებებს, მოქმედების მასშტაბებსა და არეალს. ამასთან, სახელმწიფო ორგანოში შეჰქონდათ სახელმწიფო კონტროლის ის დასკვნები, რომელთა აღსრულება მათ დონეს აღემატებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ **იმ პერიოდისთვის არსებული** საკანონმდებლო ბაზა კონტროლს განსაზღვრავდა არა როგორც ნაკლოვანებათა და დარღვევათა ფიქსაციის იარაღს, არამედ სახელმწიფო კონტროლის მოვალეობათა შესრულებისათვის დაწესებულ წინასწარი, შემდგომი და ფაქტიური კონტროლის მექანიზმს, და ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო კონტროლის არსი დემოკრატიული საქართველოს ხელისუფალთ გააზრებული ჰქონდათ, როგორც ფართო მასშტაბური და ზოგადსახელმწიფოებრივი უფლებებით აღჭურვილი ფენომენი.

ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფის მახასიათებლები

სამართლებრივ გარემოს დიდი მნიშვნელობა აქვს ბიზნესის განვითარებისათვის. სამართლებრივ გარემოში იგულისხმება: ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა ანუ საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი და ეროვნული თავისებურებებზე ნაგები საბაზრო თამაშის წესები (ქვეყნის კონსტიტუცია, კანონი მეწარმეთა შესახებ, საგადასახადო კოდექსი, ლიცენზირების კანონი, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა, პრივატიზების შესახებ კანონი, გაკოტრების შესახებ კანონი, მომხმარებელთა უფლებების დაცვის კანონი და სხვ), მათი მდგრადობა და განუხრელი დაცვა. **სამართლებრივი გარემო სამი ტიპისაა:** ა) ჩვეულებრივი (ტრადიციული), ბ) სამოქალაქო გ) თეოკრატიული. **ჩვეულებრივი** (ტრადიციული) სამართლის სისტემა დაფუძნებულია ტრადიციებზე, პრეცენდენდენტზე, ზნე-ჩვეულებებსა და წეს-ჩვეულებებზე. ამ სამართლით კანონი განიმარტება სასამართლოს მიერ, ამით ეს უკანასკნელი უმთავარეს როლს თამაშობს. ჩვეულებრივი სამართლის ქვეყანათა რიგს წარმოადგენენ შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი. თანამედროვე ფორმულირებით ჩვეულებრივი სამართლის შემქმნელები არიან ინგლისელები და ბრიტანეთის ყოფილი კოლონიები.

სამოქალაქო სამართალი ანუ კოდიფიცირებული სამართლის სისტემა ითვალისწინებს დეტალურად დამუშავებული კანონების კომპლექსს, რომლებიც შედის კოდექსში. ეს კოდექსები წარმოადგენს ბიზნესის წარმართვის საფუძველს.

ჩვეულებითი და სამოქალაქო სამართლის სისტემებს შორის განსხვავება ისაა, რომ პირველი ეფუძნება მოვლენების სასამართლოს მიერ განმარტებას, ხოლო მეორე ფაქტების კანონებთან შესაბამისობას. აღნიშნულ სისტემათა განსხვავების მაგალითია სახელშეკრულებო სამართალი. იმ ქვეყნებში, სადაც მოქმედებს ჩვეულებითი სამართალი, ხელშეკრულებები (კონტრაქტები) უფრო ვრცელი და დეტალიზებულია, ხოლო სამოქალაქო სისტემის ქვეყნებში კი ყველა შესაძლებელი სიტუაცია სამოქალაქო კოდექსშია მოცემული, რის გამოც ხელშეკრულებები უფრო მოკლე და ზოგადია.

თეოკრატიული სამართლის სისტემა დაფუძნებულია რელიგიურ საფუძვლებზე, მისი ნათელი მაგალითია მუსლიმანური სამყარო. მუსლიმანური სამართალი დაფუძნებულია ისლამზე. ისლამის ქვეყნებში არსებობს ასევე ისეთი სამართლებრივი სისტემები, რომლებიც შეიცავენ ისლამური სამართლის და ჩვეულებრივი ან სამოქალაქო სამართლის ნარევს. ამდენად, კანონმდებლობის გავლენა ბიზნესზე ნებისმიერ ქვეყანაში ძალზე მნიშვნელოვანია. დემოკრატიულ ქვეყნებში ყოველგვარი ქმედება, საქმიანი თუ შემთხვევითი, კანონის ფარგლებში უნდა ხდებოდეს.

ეროვნული კანონები ზეგავლენას ახდენენ მართვის ელემენტებზე და არეგულირებენ ქვეყნებს შორის საქმიან ურთიერთობებს. აღნიშნული კანონები მოიცავენ ეკონომიკური საქმიანობის ფართო სპექტრს. კერძოდ: **კომერციული** ანუ სახელშეკრულებო სამართალი. იგი გულისხმობს სავაჭრო ნიშნებისა და საავტორო უფლებების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტული ფორმების გამოყენების უზრუნველყოფასა და სხვ. **ზოგადსამართლებრივი გარემო**. აქ იგულისხმება გარემოს დაცვის კანონები, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და ტექნიკური უსაფრთხოების წესები, **ახალი ბიზნესის შექმნა, შრომითი კანონმდებლობა, კარტელების შესახებ და ანტიტრესტული კანონმდებლობა. ფასწარმოქმნა და საგადასახადო სისტემა.**

სამართლებრივი გარემო მოიცავს **საერთაშორისო სამართალსაც**, რომელიც არეგულირებს დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს. ამ ურთიერთობებ-

ზე გავლენას ახდენს ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო ხელშეკრულებები, რომლებიც არეგულირებენ ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ა). ცალკეულ პირთა უცხო ქვეყნებში გამგზავრება; ბ). ქვეყნებს შორის საქონლისა და მომხსახურების მოძრაობა (საექსპორტო-საიმპორტო ტარიფები და სხვა არასატარიფო ბარიერები) გ). საერთაშორისო მასშტაბით კაპიტალისა და სამუშაო ძალის მოძრაობა დ). სახელმწიფოთა შორის გემების მოძრაობა და ტვირთების გადაზიდვა ე) საზღვარგარეთის ქვეყნებში საკუთრების შეძენა ვ). პიროვნებისა და საკუთრების დაცვა ზ). საზღვარგარეთის ქვეყნებში სახსრების გადაგზავნა და სხვ.

პრაქტიკაში არსებობს კანონები, რომლებიც უშუალო გავლენას ახდენენ ბიზნესზე. კანონსა და ბიზნესს ურთიერთშეხების მრავალი წერტილი გააჩნია, რომელთაგანაც ევროკავშირის ქვეყნებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია: ა) კანონი კომპანიის შესახებ, ბ) კანონი შრომის შესახებ, გ) კანონი კონტრაქტის შესახებ, დ) ევროკავშირის კანონი. კანონები, რომლებითაც კომპანიები ხელმძღვანელობენ, თავისი მოქმედების სათავეს მე-19 საუკუნეში იღებს. შემდგომში ამ კანონების მოქმედება გაფართოვდა ეკონომიკური პირობების შეცვლისა და კომპანიებზე კონტროლის გაძლიერების გამო. კანონმდებლობა კომპანიების მიმართებაში განსაზღვრავს ბიზნეს-ორგანიზაციის ფორმას. სახელმწიფოს მიერ კომპანიების ვალდებულებებზე მიღებული კანონები ითვლება არაპირდაპირ კანონად კომპანიების შესახებ.

ბიზნესში კონტრაქტის რამდენიმე სახე არსებობს. ჩვეულებრივი კონტრაქტებია: გაყიდვაზე, მიწოდებაზე ან მომსახურეთა დასაქმებაზე. **კონტრაქტი** არის შეთანხმება, რომლის შესრულებას მეთვალყურეობას უწევს კანონი. კონტრაქტის შესახებ კანონები საკონტრაქტო შეთანხმების ზოგადი ფორმის რეგულატორებს წარმოადგენენ. ამავე დროს, ეს კანონი აქტების კრებულიცაა. მათ ჩვეულებრივ, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის კანონს უწოდებენ. სახელწოდება იქიდან წარმოიქმნა, რომ ეს კანონი ბიზნესის მომხმარებლებთან წესიერ დამოკიდებულებას კარნახობს.

შრომის კანონი ბიზნესის ოფიციალური გარემოს დიდ ნაწილს წარმოადგენს და მისი სირთულე იმ გარემოებებითაა განპირობებული, რომ იგი მრავალ სფეროზე ახდენს ზეგავლენას. შრომის კანონის ასეთ გავლენას მხარს უჭერს სახელმწიფო, რათა მიღწეულ იქნას დამქირავებელთა მიერ მუშახელის პატიოსანი და ზომიერი გამოყენება, რათა დაკანონდეს შრომის კარგი პირობები. შრომის კანონის მოქმედების ფართო არეალი ნათლად ჩანს მისი გავლენის სფეროების ქვემოთ მოყვანილი სიიდან: მუშახელის შრომის პირობები და მისი მომსახურების დონე, სქესობრივი და რასობრივი დისკრიმინაცია, ნასამართლევ პირთა სამუშაოზე აყვანა, ინვალიდების სამუშაოზე აყვანა, მშობიარე ქალთა უფლებები, გასამჯელოს თანაბრად გაცემა, სამსახურიდან დათხოვა, შტატების შემცირება, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების კანონები და წესები.

სამეწარმეო სამართალი და სამართლის სხვა ნორმები, ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოების განვითარებასა და შესაბამისად, ბიზნესის ცივილურობის დონეზე. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესსა და სამართალს შორის მყარდება ორმხრივი ურთიერთობა, ერთის მხრივ, სამართალი აწესრიგებს, არეგულირებს ბიზნესს, მეორეს მხრივ კი ბიზნესი ახდენს სამართლებრივი ნორმების სრულყოფასა და განვითარებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიზნესის საკანონმდებლო ბაზა ქმნის მის სამართლებრივ სივრცეს, რომელშიც ერთიანდება ბიზნესთან დაკავშირებული კანონები. ბიზნესი, რომელიც მოქცეულია სამართლებრივ სივრცეში, ეფუძნება კანონით დაშვებული მეწარმეობის ნებისმიერ ფორმას. ამასთან, სამართლებრივი საწყისების მიხედვით, ბიზნესი იყოფა კანონიერად და უკანონოდ. კანონიერ ჩარჩოებში, ბიზნესში არსებობს საქმიანი ურთიერთობის სუბიექტების სამართლებრივი დაცვის გარანტიები. ამ ჩარჩოს მიღმა ბიზნესი გადის სამართლებრივი სივრციდან და ექვემდებარება კრიმინალს.

სამართლებრივად მონესრიგებულ ეკონომიკაში არცერთი ეთიკური ადამიანი არ რისკავს საკუთარი საქმის წამოწყებას, თუ არ იცის რისი უფლება აქვს და რისი არა (ვთქვათ, იარაღებისა და ნარკოტიკების წარმოება), საქმიანობის რომელი სახეობა მოითხოვს ლიცენზიას (ნებართვას), რა პასუხისმგებლობა დაეკისრება კანონით აკრძალული საქმის კეთებისას და სხვ.

ბიზნესის სფეროში საქმიანობის, მის სუბიექტებს შორის ურთიერთობის ერთადერთი კრიტერიუმი შეიძლება იყოს **კანონიერების დაცვა**. აქ დაუშვებელია მხოლოდ მორალური თვალ-

საზრისით საზოგადოების დიფერენციაცია ღარიბებად და მდიდრებად, ხოლო თუ ადამიანების ერთი ჯგუფის სიმდიდრეს და მეორეს სიღარიბეს განვიხილავთ სამართლებრივ სივრცეში, ცხადი ხდება, რომ ეს მორალი დადგენილია თვითონ საზოგადოების მიერ.

იმ შემთხვევაში, როდესაც **სამართალი არ შეესაბამება** საზოგადოების მოთხოვნილებებს, ჩამორჩება საზოგადოებისა და ბიზნესის განვითარების დონეს, ეწინააღმდეგება საქმიანი აქტივობის სტიმულებს, სამართლებრივი სივრცე მოითხოვს რეფორმებს, რომლებიც ატარებენ, როგორც რევოლუციურ, ასევე ევოლუციურ ხასიათს. სამართლებრივი სივრცის ევოლუციური გარდაქმნა გულისხმობს მისი სრულყოფის თანმიმდევრულ, ზოგჯერ ეპიზოდურ ან წყვეტილ პროცესს. რევოლუციური გარდაქმნა გულისხმობს სამართლის არსებული სისტემის ძირეულ ცვლას, მისი ფუძემდებლური პრინციპების ნგრევას და ახალ სისტემაზე გადასვლას. ასეთი გარდაქმნები გამომდინარეობს სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მიმდინარე ცვლილებებიდან. აღნიშნულის მაგალითია საქართველო და სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნები. სხვადასხვა მიზეზების გამო, სამართლებრივ დოკუმენტებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს წინააღმდეგობა. ეს შეუსაბამობა ქმნის კვაზისამართლებრივ გარემოს, რის შედეგადაც ბიზნესმენს ექმნება შესაძლებლობა, დაარღვიოს ერთი კანონი, რადგანაც ის იმყოფება სხვა კანონების დაცვის ქვეშ.

გარდა ეკონომიკური კანონებისა, ბიზნესს არეგულირებს სხვა **საკანონმდებლო აქტები,** როგორიცაა:

1) **სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობა**, რომელიც ახდენს მოქალაქეთა საერთო ქცევის ნორმების რეგლამენტაციას, მათ შორის სამეწარმეო და ბიზნესის სფეროებში.

2) **საერთაშორისო სამართლის ნორმები**, დადგენილი საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა ერთ-ერთი ნაწილი ახდენს ცალკეული ქვეყნების სამეწარმეო ქცევის ნორმების რეგლამენტაციას.

ცნობილია, რომ ფინანსურად მძლავრ კომპანიას გააჩნია მაღალი რენტაბელობა, მაღალი მოგება, დაბალი სესხები და სხვ. შესაბამისად ფინანსური რესურსები ბიზნესისთვის აუცილებელ წყაროს წარმოადგენენ. ასევე მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარებისათვის **საგადასახადო სისტემა**, რომელიც ხელს უწყობს ან აფერხებს მეწარმეთა აქტიურობას. ამდენად შევეხებით ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელ ფინანსურ რესურსებსა და საგადახახადო სისტემას.

ბიზნესი ფინანსურ უზრუნველყოფას საჭიროებს, როგორც საწყის, ისე შემდგომ სტადიებზე. კერძოდ, საწყისი ანუ სასტარტო კაპიტალი საჭიროა სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შემუშავებისათვის, მისი რეგისტრაციისათვის, ლიცენზიისათვის, საწესდებო კაპიტალისათვის, საწარმოო და დამხმარე სათავსოების, ოფისის, ავეჯის, მოწყობილობის შესყიდვის ან იჯარით აღებისათვის, საწყისი ნედლეულისა და მასალების შეძენისათვის, მუშაკთა ხელფასისათვის, რეკლამისათვის (სანამ ფირმა საკმარისად არ არის ცნობილი) და სხვ. ფუნქციონირებადი ფირმები, პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგების მიღებამდე, ასევე საჭიროებენ საბრუნავ ფულად კაპიტალს ნედლეულის, მასალების, ნახევარფაბრიკატების, ენერგიისა და ინფორმაციის შეძენაზე, მიღებული მომსახურებისა და ხელფასის გადახდაზე. შეიძლება ითქვას, რომ ბიზნესი მთელი პერიოდის განმავლობაში საჭიროებს საბრუნავ (მიმდინარე) ფულად კაპიტალს შრომის ანაზღაურებისათვის, ნედლეულისა და მასალების მარაგის შექმნის, გადასახადების გადახდისა და (ზედნადები) ხარჯების გაწევისათვის.

საფინანსო რესურსებზე მეწარმეთა მოთხოვნილებები იყოფა გრძელვადიან და მოკლევადიან მოთხოვნილებებად. გრძელვადიანი საფინანსო რესურსები საჭიროა ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირად დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის (მანქანა-დანადგარების, ფაბრიკა-ქარხნების, შენობებისა და სხვ). ასევე ახალი მოწყობილობის პატენტის გამოყენების უფლების შეძენასთან. ძირითადი კაპიტალი ის რესურსებია, რომელსაც მეწარმე იყენებს ერთ წელზე მეტ ხანს. მოკლევადიანი საფინანსო რესურსები საჭიროა მიმდინარე ოპერაციების განსახორციელებლად და დაკავშირებულია საბრუნავი საშუალებების ხარჯებთან. ძირითადი კაპიტალისგან განსხვავებით, საბრუნავი საშუალებანი არის რესურსები, რომელთა გამოყენების ვადა არ აღემატება ერთ წელიწადს.

ბიზნესის ფინანსური უზრუნველყოფისთვის ორგვარი წყარო არსებობს: საკუთარი და ნასესხები. შეიძლება გამოყენებულ იქნეს სუბსიდირებაც. თუმცა ბიზნესის დაფინანსების წყა-

როებს ზოგი ავტორი შიდა და გარე წყაროებს უწოდებს. დაფინანსების საკუთარ ანუ შიდა წყაროებს მიეკუთვნება: პირადი და პარტნიორთა დანაზოგები, ფირმის გაუნაწილებელი მოგება, ამორტიზაციის ფონდი, ზედმეტი ქონების რეალიზაციიდან და არენდიდან მიღებული შემოსავლები.

პირადი და პარტნიორთა დანაზოგი არის საკუთარი წყაროს უმნიშვნელოვანესი ელემენტი. იგი განსაკუთრებით აუცილებელია საქმიანობის საწყის ეტაპზე. მეწარმეს უნდა ჰქონდეს ფულადი რესურსები ან კიდევ უნდა შეეძლოს ისეთი პარტნიორების მოზიდვა, რომელთაც გააჩინათ ნარმოებისათვის საჭირო ფულადი სახსრები. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბიზნესის განვითარება-გაფართოების პირობებში ეს სახსრები უკვე საკმარისი აღარ იქნება.

მოგება საწარმოს (ფირმის) საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებელია. სწორედ მოგების სიდიდეზე აისახება თუ როგორ მუშაობს ფირმა. **განასხვავებენ საერთო მოგებას, დასაბეგრ მოგებას, წლიურ წმინდა მოგებას და გაუნაწილებელ მოგებას.** გაუნაწილებელი მოგება არის ფირმის ერთ-ერთი ფინანსური რესურსი. **დასაბეგრი მოგება** არის სხვაობა ფირმის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის. წლიური **წმინდა მოგება** არის სიდიდე, რომელიც მიიღება დასაბეგრი მოგებიდან გადასახადების (დღგ-ს, სააქციო გადასახადის და ბიუჯეტში გადასახადების) გამოკლების შემდეგ. **წმინდა მოგება** წარმოადგენს საწარმოს განკარგულებაში დარჩენილ მოგებას, რომელიც შეიძლება მიმართული იქნეს რეზერვების შექმნაზე, დივიდენდების გასაცემად, კაპიტალის გაზრდაზე, სხვადასხვა მიზნისათვის განსაზღვრული ფონდების შესაქმნელად და ა. შ. თუ წლიური წმინდა მოგება არ განაწილდა განსაზღვრული მიმართულებით, იგი წლის ბოლოს ბალანსში აისახება გაუნაწილებელი მოგების სახით.

ცნობილია, რომ მოგების განაწილება ყველაზე **პრობლემატური საკითხია**, რადგან აქ ერთმანეთს უპირისპირდება სახელმწიფოს, საწარმოების და მომუშავეთა ინტერესები. სახელმწიფო დაინტერესებულია ბიუჯეტში მიიღოს რაც შეიძლება მეტი შემოსავალი. საწარმოს ხელმძღვანელობა მიისწრაფვის მოგების დიდი ნაწილი მიმართოს წარმოების გაფართოებისათვის. მომუშავეები კი თავის მხრივ დაინტერესებულნი არიან შრომის ანაზღაურების ამაღლებით.

ბიზნესის **გარე დაფინანსების** წყაროები კიდევ უფრო მრავალფეროვანია. მათ ერთობლიობას ყოფენ ორ ჯგუფად. **სავალო ფინანსირება** წარმოადგენს ფულადი თანხის მიღებას ვალით დაბრუნების ვალდებულებით კრედიტისათვის პროცენტის გადახდით. ფაქტობრივად, ასეთი **დაფინანსება სესხია. უნაცვალგებო (მუქთი)** დაფინანსება არის საფინანსო რესურსების შეთავაზება ხელშეწყობის, დახმარების მიზნით საქველმოქმედო შემოწირულობების, სუბსიდიების სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ქველმოქმედთა მიმართ სახელწოდება „სპონსორები" არაკორექტულია. სპონსორები ეს პირებია, რომლებიც ეხმარებიან მეწარმეებს სესხის შეთავაზების საშუალებით. ბიზნესის **სავალო** (ვალდებულების) დაფინანსება არსებობს მრავალი ფორმით, რომელთაგან ძირითადია:

1) საბანკო კრედიტი ბანკის მიერ ფირმებისა და ინდივიდუალურ მეწარმეებზე გაცემული სესხი განსაზღვრული ვადითა და განსაზღვრული საკრედიტო პროცენტით. ასეთი კრედიტები შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი. კრედიტი შეიძლება გაიცეს როგორც სავალო ვალდებულება, რომელიც ცნობილია თამასუქის სახელწოდებით. საბანკო კრედიტის ერთ-ერთი ორიგინალური ფორმა ის არის, რომ ბანკები, როგორც საფინანსო ბიზნესის მონაწილეები, თვითონ იღებენ ფულს კრედიტით თავისი მეანაბრეებისაგან. ამასთან, ისინი უხდიან მეანაბრეებს სადეპოზიტო პროცენტს, რომელიც დაბალია მათ საკუთარ საკრედიტო პროცენტზე, რაზეც აქვთ კიდეც მოგება. ამრიგად საბანკო ბიზნესისათვის დაფინანსების წყარო ხდება ბანკის მეანაბრეების ფულადი სახსრები.

მაშასადამე, საბანკო კრედიტი წარმოადგენს სავალო დაფინანსების განმსაზღვრელ ფორმას თანამედროვე ბიზნესში. ზოგჯერ ბიზნესის კრედიტორების როლში გამოდიან ფირმები ან ცალკეული პირებიც;

2) სავაჭრო კრედიტი, რომელსაც აგრეთვე უწოდებენ კომერციულ კრედიტს, გულისხმობს იმას, რომ მეწარმე იძენს საქონელს ფულადი გადახდის გადავადებით. ეს კი უდრის ვალის აღებას საქონლის გამყიდველიდან საქონლის ღირებულების თანაბარი თანხის ოდენობით. მეწარმე, რომელიც იძენს საქონელს, მყიდველთან დადებული კონტრაქტის თანახმად იღებს ვალდებულებას დაუბრუნოს მას მიღებული საქონლის ღირებულება განსაზღვრულ ვადაში და გადაუხადოს საქონლის სახით გაცემული კრედიტის პროცენტი. სავაჭრო კრედიტს უმეტესად იყენებენ

საქონლის საბითუმო მყიდველები, თუმცა არ არის გამორიცხული მისი გამოყენება საქონლის გაყიდვისას საცალო მყიდველებზეც. ამ შემთხვევაში მიღებულია ითქვას საქონლის შესყიდვის შესახებ განვადებით გადახდის საფუძველზე. სავაჭრო კრედიტი, რომელმაც ფართო გავრცელება ჰპოვა, ორივე მხარისათვის ხელსაყრელია. საქონლის გამყიდველის მწარმოებელი იგებს იმით, რომ აჩქარებს ბრუნვას, ყიდის უფრო მეტ საქონელს და ამით ზრდის თავის მოგებას. მყიდველი კი იძენს საქონელს ადრე, ვიდრე დააგროვებს აუცილებელ სახსრებს შესყიდვისათვის, რაც აგრეთვე აძლევს მას სარგებელს. ბიზნესის დაფინანსებისათვის შეიძლება გამოიყენონ ობლიგაციები, აქციები, სახელმწიფოს სუბსიდიები და სხვა. სუბსიდირება არ ექვემდებარება სესხის ანუ კრედიტის უმთავრეს პრინციპს დაბრუნებადობას.

ბიზნესის ფინანსური მდგომარეობის ანალიზისათვის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: საფინანსო გეგმა, წლიური და კვარტალური ბუღალტრული ბალანსები, ბალანსების ცალკეული მუხლის გაშიფვრა, მონაცემები ძირითადი კაპიტალის და საამორტიზაციო ანარიცხების, პროდუქციის რეალიზაციის, სამეურნეო საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ და ა. შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბიზნესის საგადასახადო დაბეგვრას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, **ოპტიმალურ საგადასახადო სისტემას**, რომელსაც ბიზნესის განვითარებაში ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ. საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ამასთან, ეკონომიკური ზრდის მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა შეუმსუბუქდეს საგადასახადო ზეწოლა მწარმოებლებს. ამ ამოცანით საგადასახადო პოლიტიკა გამოდის ეკონომიკის რეგულირების ინსტრუმენტის როლში.

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი გადასახადების, მათი დაწესების წესის შეცვლის, გაუქმებისა და გადახდევინების პრინციპების, ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობას. საგადასახადო სისტემის პრინციპები წარმოადგენენ იმ ამოსავალ თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელზედაც აიგება ამა თუ იმ ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა. ამასთან, საგადასახადო სისტემის პრინციპები არაა მუდმივი და იგი შეიძლება შეიცვალოს იმისდა მიხედვით, თუ როგორია ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობა, განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი, სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ვალების სიდიდე, საზოგადოებაში შექმნილი სოციალური კლიმატი და ა. შ.

ამჟამად, ეკონომიკური მეცნიერების მიერ შემუშავებულია იმ **ძირითადი პრინციპების** ერთობლიობა, რომელზედაც უნდა აიგოს ცივილიზებული და სამართლიანი საგადასახადო სისტემა. ამ **პრინციპებს** შორის ძირითადი შემდეგია:

ა) ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი ვალდებულია გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი;

ბ) დაუშვებელია ისეთი გადასახადის დაწესება, რომელიც არღვევს ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს;

გ) გადასახადის მიზანი უნდა იყოს საზოგადოების და სახელმწიფოს ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა;

დ) გადასახადი უნდა იყოს სტაბილური, საგადასახადო განაკვეთები და ტარიფები უნდა დადგინდეს ხანგრძლივი დროისათვის;

ე) ყოველი გადასახადი უნდა იყოს კანონით რეგლამენტირებული;

ვ) მაქსიმალურად მარტივი უნდა იყოს გადასახადის დაანგარიშების მეთოდი;

ზ) დაუშვებელია პარალელური (დუბლირებული) გადასახადების დაწესება;

თ) გადასახადების გადახდის სისტემა უნდა იყოს მარტივი და ეკონომიური;

ი) საგადასახადო განაკვეთები უნდა იყოს პროპორციული იმ სარგებელთან, რისი მიცემა სახელმწიფოს შეუძლია გადასახადის გადამხდელებისათვის;

კ) გადასახადის დადგენის და ამოღების წესი უნდა იყოს უნიფიცირებული საგადასახადო ბაზის გეოგრაფიული განლაგების, საკუთრების ფორმის, ეკონომიკური საქმიანობის სახეობის და შემოსავლის წყაროების მიუხედავად;

ლ) მაქსიმალურად უნდა იქნეს დაცული სამართლიანობა საგადასახადო ტვირთის განაწილების დროს ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ჭრილში, ტოლდიდ დასაბეგრ ობიექ-

ტებზე უნდა დაწესდეს თანასწორი გადასახადები.

საგადასახადო სისტემის აღნიშნული **პრინციპები** სავალდებულო და აუცილებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის, ხოლო გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ამოცანაა, მაქსიმალურად ისწრაფოდნენ მათ პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის.

გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა, ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარებისათვის საუკეთესო საგადასახადო მოდელის, არჩევის უპირატესობა უნდა მიენიჭოს **ლიბერალურ მოდელს**, რამეთუ ამ უკანასკნელი მოდელის გამოყენებისას დაბალია საგადასახადო განაკვეთები, შედარებით მეტია საგადასახადო შეღავათების წრე, რის გამოც გადასახადის გადამხდელებს თავიანთ განკარგულებაში რჩებათ შემოსავლების უფრო დიდი ნაწილი და შესაბამისად შესაძლებლობა ეძლევათ წარმართონ იგი ინვესტირებისათვის, საწარმოთა ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ეკონომიკურ ზრდას. რაც შეეხება მკაცრი საგადასახადო მოდელის არსს, იგი გულისხმობს მაღალ საგადასახადო განაკვეთებს და შეღავათების ვიწრო წრეს. ამ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელებს არ რჩებათ საბრუნავი სახსრები წარმოების განვითარებისათვის, მისი ტექნოლოგიური და ტექნიკური გადაიარაღებისათვის, რის გამოც მცირდება სამეურნეო აქტივობა და შესაბამისად ეცემა წარმოების მოცულობა და ვიწროვდება საგადასახადო ბაზა.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის გარემო

შიდა აუდიტის სუბიექტი საქართველოს სახელმწიფო კანონით **„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“** მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს ცენტრთან კოორდინირებულად და ანგარიშვალდებულია ორგანიზაციის (დაწესებულების) ხელმძღვანელის წინაშე. კანონით განსაზღვრულია, რომ შიდა აუდიტის სუბიექტები უნდა შეიქმნას შემდეგ დაწესებულებებში: ა) საქართველოს სამინისტროებში; ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში; გ) იმ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, რომლებიც ფინანსდება ბიუჯეტიდან და რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა; დ) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოებში გამგეობებში (მერიებში) შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

შიდა აუდიტის სუბიექტები შესაძლოა ასევე შეიქმნას საქართველოს კონტროლის პალატაში, კერძო სამართლის იურიდიულ პირებში (რომელთა აქციების ან წილის 50 პროცენტზე მეტს ფლობს სახელმწიფო, ამ უკანასკნელის თანხმობის შემთხვევაში) და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციებში მათივე გადაწყვეტილებების საფუძველზე.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, შიდა აუდიტორთა **ეთიკის კოდექსისა** და შემდეგი **პრინციპების** დაცვით: დამოუკიდებლობა; ობიექტურობა; პროფესიონალიზმი; საჯაროობა; გამჭვირვალობა; კანონიერება.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ფინანსების კონტროლის სფეროში შიდა აუდიტის სუბიექტები თანამშრომლობენ საქართველოს კონტროლის პალატასთან და ამ მიზნით თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ **„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“** საქართველოს კანონით განსაზღვრულ აუდიტის ობიექტებთან კონტროლის პალატის ურთიერთობის კოორდინაციას და კონტროლის პალატის მოთხოვნით შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას.

შიდა აუდიტი უნდა განხორციელდეს ზემოთ მოცემული კანონის მოთხოვნებისა და შიდა აუდიტის სუბიექტების უფროსის მიერ ამ კანონის შესაბამისად გაცემული შიდა აუდიტორული დავალების საფუძველზე, რომლის მიზანსა და მოქმედების სფეროს დაწესებულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით განსაზღვრავს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსი, რომელიც უნდა შედგებოდეს შემდეგი **ეტაპებისგან: აუდიტის დაგეგმვა; აუდიტის განხორციელება; ანგარიშგება; შემდგომი ღონისძიებები შეთავაზებული რეკომენდაციების შესრულებისა და მონიტორინგის მიზნით.**

დაწესებულების ხელმძღვანელმა უნდა უზრუნველყოს შიდა აუდიტორების დამოუკიდებლობა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელების, ანგარიშგების პროცესში და არ უნდა დააკისროს შიდა აუდიტის სუბიექტის უფროსს ან/და შიდა აუდიტორების სხვა ფუნქციების შესრუ-

ლება და საქმიანობის განხორციელება, გარდა იმ საქმიანობისა, რომელიც დაკავშირებულია შიდა აუდიტთან, რისკის მართვასთან და ინსპექტირებასთან.

შიდა აუდიტის განხორციელების შედეგად შიდა აუდიტის მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი მოთხოვნების შესაბამისად უნდა შედგეს **შიდა აუდიტორული დასკვნა**, რომლებიც უნდა მოიცავდეს შიდა აუდიტორის მიერ ცალკეული პროცესის, სისტემის ან შიდა აუდიტისადმი დაქვემდებარებული სხვა საკითხების შესახებ მიღებული ინფორმაციის, დოკუმენტაციის და სხვა მტკიცებულებების ობიექტურ შეფასებას.

შიდა აუდიტორს შიდა აუდიტისა და რისკის შეფასების განხორციელების ფარგლებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებისა, შეუზღუდავი დაშვება აქვს დაწესებულების სისტემის ორგანოს ყველა საქმიანობასთან და დოკუმენტაციასთან.

შიდა აუდიტორი უფლებამოსილია აუდიტის საგანთან დაკავშირებით შიდა აუდიტის ან/და რისკის შეფასების პროცესში მიიღოს მისთვის საჭირო ყველა ინფორმაცია და დოკუმენტი, მიუხედავად მისი ფორმისა (ელექტრონული ვერსია და სხვა), შიდა აუდიტის ობიექტს მოსთხოვოს დოკუმენტაციის სახელმწიფო ენაზე წარდგენა, გადაიღოს დოკუმენტაციის ასლები და სხვა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვებისა. დაწესებულების ხელმძღვანელი და თანამშრომლები ვალდებული არიან თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სათანადო დახმარება გაუწიონ შიდა აუდიტორს შიდა აუდიტის ან/და რისკის მართვის პროცესში.

ფინანსური მართვისა და კონტროლის ზოგად წესს ადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი, რომლის საფუძველზე თითოეულმა დაწესებულებამ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და ცენტრთან შეთანხმებით, არსებული მდგომარეობისა და დაწესებულების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა შეიმუშაოს ფინანსური მართვისა და **კონტროლის საკუთარი სისტემა.** ცენტრმა საქართველოს ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს **ინსტრუქცია** ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესებისა და პროცედურების შესახებ.

ამრიგად, ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება ცალკეული დაწესებულების მიერ მისთვის დაკისრებული შემდეგი **ამოცანების** ჯეროვნად შესრულების მიზნით, კერძოდ:

ა) ფინანსური ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კაონმდებლობასთან, მარეგულირებელ წესებთან, შიდა პოლიტიკასთან, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

ბ) ფინანსური ინფორმაციის სრულიად და დროულად წარდგენა;

გ) საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად, ეფექტურად და ეფექტიანად გამოყენება;

დ) აქტივებისა და სხვა რესურსების დაცვა ზიანისაგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი მართვით, დაუსაბუთებელი ხარჯვითა და არაეფექტური, არაეკონომიური გამოყენებით, ასევე არამართლზომიერი და არამიზნობრივი ხარჯვით. ფინანსური მართვა და კონტროლი ხორციელდება დაწესებულების ყველა სტრუქტურულ ქვედანაყოფში (ერთეულში) და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ყველა ერთეულში.

საქართველოს სახელმწიფოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებს და მოიცავს შემდეგ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტებს, როგორიცაა: **კონტროლის გარემო; რისკის მართვა; კონტროლის ღონისძიებები; ინფორმაცია და კომუნიკაცია; სისტემის მონიტორინგი და შეფასება. კერძოდ,**

1) კონტროლის გარემო მოიცავს:

ა) თანამშრომელთა პირად, პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებს, მართვისა და ხელმძღვანელობის მეთოდს, დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის საქმიანობის მისიებისა და მიზნების განსაზღვრას, ორგანიზაციულ სტრუქტურას, პასუხისმგებლობისა და უფლებამოსილების, უფლებისა და მოვალეობის, ასევე ანგარიშგების დონეების იერარქიულობას; ბ) წერილობითი პროცედურებისა და შრომითი რესურსების მართვის პოლიტიკასა და პრაქტიკას; გ) საჯარო მოსამსახურეთა კომპეტენციას; დ) ადამიანური რესურსების მართვას.

2) რისკის მართვა არის იმ შესაძლო მოვლენებისა და სიტუაციების განსაზღვრის, შეფასების კონტროლისა და მონიტორინგის პროცესი, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს დაწე-

სებულების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან დაწესებულებისადმი დაქვემდებარებული ერთეულის მიზნების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რისკის მართვა უნდა განხორციელდეს დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ყოველწლიურად დამტკიცებული რისკის მართვის სტრატეგიის შესაბამისად.

3) კონტროლის ღონისძიებები უნდა ჩამოყალიბდეს რისკის ოპტიმალურ დონემდე შემცირების მიზნით. კონტროლის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) საქმიანობას, უნდა იყოს დროული და მათი განხორციელების ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს მოსალოდნელ სარგებელს.

კონტროლის ღონისძიებები უნდა მოიცავდეს: ა) უფლებამოსილების მინიჭების პროცედურებს; ბ) მოვალეობების იმგვარ განაწილებას, რომ ერთი და იგივე პირი არ იყოს პასუხისმგებელი უფლებამოსილების განხორციელებისათვის და კონტროლისათვის; გ) ხელმოწერის ორმაგი სისტემის დამკვიდრებას, რაც შეუძლებელს გახდის ვალდებულების აღიარებას და გადახდის განხორციელებას შესაბამისი დაწესებულების სტრუქტურული ქვედანაყოფის (ერთეულის) ან სხვა უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გარეშე; დ) სახსრებისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას; ე) შიდა აუდიტორის მიერ განხორციელებულ წინასწარ და შემდგომ სამართლებრივ კონტროლს; ვ) ფინანსური ოპერაციების სრულად, ზუსტად და რეგულარულად ასახვის პროცედურების დამკვიდრებას; ზ) ცალკეული ფინანსური ოპერაციის ეფექტიანობისა და ეფექტურობის შეფასებას; თ) პროცედურულ ზედამხედველობას; ი) შრომითი რესურსების ეფექტური მართვის პროცედურების დამკვიდრებას.

4) ინფორმაცია და კომუნიკაცია. ამ კანონის მიხედვით დაწესებულების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში სათანადო, ზუსტი და ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაწესებულების ყველა იერარქიულ დონეზე ეფექტური კომუნიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ დაწესებულებებში უნდა შეიქმნას შესაბამისი **საინფორმაციო სისტემა**, რომელიც ყველა თანამშრომელს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ცხადი, ზუსტი მითითებები და ინსტრუქციები თავისი ფუნქციისა და პასუხისმგებლობის შესახებ ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზნით.

5) სისტემის მონიტორინგი და შეფასება. დაწესებულების ხელმძღვანელი პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგისა და შეფასებისთვის მისი ადეკვატურობის, ფუნქციონირების შენარჩუნებისა და დროულად განახლების მიზნით. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება უწყვეტი მონიტორინგის, თვითშეფასებისა და **შიდა აუდიტის** მეშვეობით.

ამრიგად, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, **შიდა აუდიტის სუბიექტის საქმიანობა**, ხორციელდება შიდა აუდიტის სტანდარტების, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების, საქართველოს კანონმდებლობისა და შემდეგი **ძირითადი პრინციპების** დაცვით, კერძოდ: ა) დამოუკიდებლობა; ბ) კეთილსინდისიერება; გ) ობიექტურობა; დ) პროფესიონალიზმი; ე) კონფიდენციალურობა; ვ) კანონიერება; ზ) გამჭვირვალობა. შესაბამისად, საქართველოს კანონით – **„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“** მოთხოვნებიდან გამომდინარე ფინანსური კონტროლის სისტემაში შიდა აუდიტის განხორციელება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) საფუძველზე, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების და ძირითადი პრინციპების დაცვით უზრუნველყოფს შიდა აუდიტის **დაგეგმვას რისკის შეფასების პირობებში**, ორგანიზაციების (დაწესებულებების) სტრატეგიული მიზნების წარმატებულ განხორციელებას და ეფექტიანი კონტროლის სისტემის ფუნქციონირებას საქართველოში.

მეორე ნაწილის – „სახელმწიფო (საჯარო) საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ადმინისტრირება საქართველოში". რეზიუმე:

საკვანძო სიტყვები: მეწარმეობრივი საქმიანობა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, საკანონმდებლო-ნორმატიული რეგულირების მექანიზმი, სახელმწიფო მხარდაჭერის ფინანსური მექანიზმი. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, სახელმწიფო საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, ფისკალური პოლიტიკა, შედარებითი ანალიზი, ეკონომიკური პროტექციონიზმი, სახელმწიფო სტრატეგია, ფინანსური ინსტიტუტები, საბიუჯეტო ფედერალიზმი, საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმები, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პერსპექტივები, სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მეთოდო-ლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები

დასკვნა. საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა როგორც ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილი მისი დამუშავება მოიცავს, სრულიად ახალ პრინციპებზე საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას და მის პრაქტიკაში წარმატებით დანერგვას. საქმე ეხება სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტის რეგიონულ ბიუჯეტთან და, პირიქით, რეგიონული ბიუჯეტების ერთიმეორესთან ცივილიზებული ურთიერთობის ჩამოყალიბებას. ამ ურთიერთობათა საფუძველზე ისეთი საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის გატარებას, რომელიც ერთნაირად შეუწყობს ხელს როგორც მთლიანად ქვეყნის, ისე ცალკეული რეგიონების (მხარეების) ეფექტიან ფუნქციონირებას.

რეგიონალიზაციის პროცესების გაღრმავება მსოფლიოში კანონზომიერ მოვლენად არის ჩამოყალიბებული. საქართველოში მისი განხორციელებისთვის საჭიროა თანმიმდევრული, სახელმწიფოს პრიორიტეტულ მიმართულებად ქცეული, საზოგადოების ყველა ფენასთან შეთანხმებული ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირის დაუღალავი მუშაობა.

სახელმწიფო სტრატეგია ეკონომიკური უსაფრთხოების დარგში, საჭიროა განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოების მიღწევის ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების მთელი ინსტიტუტების გამოყენებით, ეკონომიკური და ადმინისტრაციული ზემოქმედებით, რომელიც მიმართული უნდა იყოს საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ასამაღლებლად, საქართველოს კონსტიტუციური წყობის საფუძვლების განსამტკიცებლად, საერთო სახელმწიფოებრივი ფასეულობების და ინტერესების ფორმირების მდგრადი სისტემის შესაქმნელად.

საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება, კრიზისული მდგომარეობის დაძლევა, მომავალში განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა შეუძლებელია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობების, სოციალურ-ეკონომიკური ტენდენციებისა და პროცესების თავისებურებათა გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ინსტიტუტი – ფასიანი ქაღალდების ბაზარი, რომელიც რეგულირდება **მოთხოვნა-მიწოდების კანონის** მეშვეობით, მოიცავს როგორც ფულად ბაზარს, სადაც ხორციელდება დაგროვების მოკლევადიანი მოძრაობა, ისე კაპიტალის ბაზარს. იგი მრავალი თვალსაზრისით ეკონომიკის ზრდის დაფინანსების წყაროა. მისი მეშვეობით ხორციელდება დაგროვილი ფულადი მასის ჩართვა ფულადი სახსრების ინვესტიციებში, ეკონომიკაში ე. წ. **გადამანაწილებელი მექანიზმის ამოქმედება.** ფასიანი ქაღალდების ბაზრის (საფონდო ბაზრის) მდგომარეობაში აისახება ქვეყანაში მიმდინარე **მაკროეკონომიკური პროცესები.** ამდენად, მისი სტატისტიკური შეფასებით განისაზღვრება საფინანსო (ფისკალური) და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მსოფლიო ფინანსურ ბაზრებზე და ფულად ბაზრებზე **ლიკვიდობის პრობლემა** წარმოიქმნა, რომელიც განპირობებული იყო: ფედერალური სარეზერვო სისტემის მონეტარული პოლიტიკით, აშშ-ს ბაზრის თავისებურებებით და უმეტეს წილად კი – ფინანსური ბაზრების ინსტიტუციური ნაკლოვანებებით.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შესწავლა-ანალიზიდან იკვეთება, რომ ამ მიმართულებით ქვეყანაში არცთუ ისე მცირე სამუშაოებია ჩატარებული, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის წარმომადგენელთა, ასევე ადგილობრივ თუ საერთა-

შორისო ფონდების მიერ. **მიუხედავად ამისა, ქვეყანაში** სახელმწიფო მხარდაჭერის საკანონმდებლო-ნორმატიული მარეგულირებელი სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა მართვის სრულყოფილი ინსტიტუტების ფორმირება, საკუთრების ყველა ფორმის კანონიერების, შრომითი რესურსების ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფს.

საქართველოს კანონით – **„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ"** მოთხოვნებიდან გამომდინარე ფინანსური კონტროლის სისტემაში შიდა აუდიტის განხორციელება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) საფუძველზე, შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსის, შიდა აუდიტის სუბიექტის დებულების და ძირითადი პრინციპების დაცვით უზრუნველყოფს ორგანიზაციების (დანესებულებების) სტრატეგიული მიზნების წარმატებულ განხორციელებას და ეფექტიანი კონტროლის სისტემის ფუნქციონირებას საქართველოში.

თანამედროვე მიკროეკონომიკური (კორპორაციული) ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები

თავი 10.

მენარმეობრივი საქმიანობის ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიური საფუძვლები

10.1. კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა

კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი არის საქმიანობა, რომელიც მოიცავს აქტივების – მოპოვებას, ფინანსირებასა და მიზანმიმართულ ეფექტიან მართვას რაიმე მიზნის მისაღწევად. კორპორაციის (ფირმის) ფინანსურ მენეჯმენტს აქვს სამი **ძირითადი ფუნქცია, კერძოდ:**

1. **გადაწყვეტილება ინვესტირებაზე.** არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომლის საფუძველზე იქმნება ღირებულება. ინვესტირებაზე გადაწყვეტილების მიღება იწყება კომპანიისათვის საჭირო აქტივების მთლიანი რაოდენობის განსაზღვრით. იმის მიხედვით, თუ აქტივების რა რაოდენობა სჭირდება ორგანიზაციას, მოხდება ინვესტირება კონკრეტულ სფეროში ან სფეროებში, და, პირიქით, შეიძლება მოხდეს ინვესტირების პროცესის შეწყვეტა.

2. **გადაწყვეტილება ფინანსირებაზე.** აქ კომპანიის **ფინანსურ მენეჯერს** უხდება დაფიქრება იმაზე, რომ არსებული შეზღუდული რესურსებიდან **(ბუღალტრული ბალანსის მარჯვენა მხარეს არსებულ სტრუქტურა),** რომელ თა გამოყენებაა უფრო უპრიანი. **დივიდენდების პოლიტიკა** განხილული უნდა იქნეს ასევე, კორპორაციის დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღების განუყოფელ ნაწილად აქციონერებისათვის გადახდილი დივიდენდების ღირებულება უნდა იქნეს დაბალანსებული აქციონერების წილის დაფინანსებისთვის შენარჩუნებული შემოსავლების ალტერნატიული ღირებულების საპირისპიროდ. **თანადაფინანსების** არჩევის შემდეგ ფინანსურმა ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს, როგორ მოიზიდოს საჭირო ფინანსური საშუალებები, აიღოს მოკლევადიანი სესხი თუ გრძელვადიანი ლიზინგი გააფორმოს, იქნებ, კორპორაციის ობლიგაციები ან აქციები გაყიდოს.

3. **გადაწყვეტილება აქტივების მართვაზე.** აქტივების შეძენის და შესაბამისი დაფინანსებით უზრუნველყოფის შემდეგ აუცილებელია ამ აქტივების ეფექტიანი მართვა. ფინანსურ მენეჯერს არსებულ აქტივებზე აქვს ოპერაციული პასუხისმგებლობის სხვადასხვა ხარისხი. ეს პასუხისმგებლობები მოითხოვს, რომ ფინანსური მენეჯერი მეტად დაკავდეს მიმდინარე აქტივების მართვით, ვიდრე ფიქსირებული აქტივების მართვით.

ფინანსური მენეჯერი თანამედროვე კორპორაციის განვითარებაში დინამიკურ როლს ასრულებს. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ფინანსური მენეჯერები ძირითადად ფინანსურ საშუალებებს მოიზიდავდნენ და კომპანიების ფულად მდგომარეობებს მართავდნენ. **ფულის ახლანდელი ღირებულების კონცეფციების** ფართოდ გავრცელებამ 1950-იან წლებში ფინანსურ ხელმძღვანელებს უბიძგა გაეფართოებინათ თავიანთი პასუხისმგებლობა და ჩართულიყვნენ კაპიტალდაბანდების პროექტების შერჩევაში.

თანამედროვე ეტაპზე ფინანსურ მენეჯერებზე მზარდი ზეგავლენა აქვს **გარე ფაქტორებს.** ფინანსური საქმიანობა ყოველდღე აწყდება ისეთ პრობლემებს, როგორიც არის გაძლიერებული კორპორაციული კონკურენცია, ტექნოლოგიური ცვლილებები, ინფლაციის და პროცენტული განაკვეთების ცვალებადობა, გაურკვეველი ეკონომიკური განვითარება მთელ მსოფლიოში, ვალუტის გაცვლითი კურსების მერყეობა, საგადასახადო კანონის ცვლილებები და ა. შ. **ფინანსების მართვა,** რომელიც თამაშობს მეტად სასიცოცხლო **სტრატეგიულ როლს** კორპორაციაში, უნდა იყოს მოქნილი, რათა მოერგოს ცვალებად გარემოს საკუთარი კორპორაციის გადასარჩენად. შესაბამისად, იზრდება **ხარისხიანი ინფორმაციის როლი,** რაც აუცილებელია ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად და საბოლოდ მიმართულია ფინანსური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებაზე.

ფინანსური მენეჯმენტის **ინფორმაციული სისტემა** წარმოადგენს **ფუნქციურ კომპლექსს,** რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ინფორმაციული მაჩვენებლების მიზანმიმართული უწყვეტი შერჩევის პროცესს, რაც აუცილებელია ეფექტიანი ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებების ანალიზის, დაგეგმვისა და მომზადებისათვის კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ყველა ასპექტის მიხედვით.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით **რეგულირების საკითხები** ფუნდამენტალურად გაშუქებული აქვს ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორს, საქართველოს პროფესიონალი ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (საქართველოს ბაფი) აღმასრულებელ დირექტორს, მონოგრაფიაში – „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება"[25] – სადაც ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების ტენდენციები და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების მოთხოვნების გაანალიზებით **შემოთავაზებული აქვს** პროფესიის მარგულირებელი ნორმატიული საკანონმდებლო ბაზისა და პროფესიული განათლების სრულყოფის ღონისძიებები.


ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა მონოდებულია უზრუნველყოს საჭირო და აუცილებელი ინფორმაციით არა მარტო მმართველობითი პერსონალი და თვით კომპანიის მესაკუთრეები, არამედ დააკმაყოფილოს მისი გარე მომხმარებლების ფართო წრის ინტერესები. კორპორაციის ფინანსური ინფორმაციის მოსარგებლეთა ძირითადი წრე წარმოდგენილია ნახ. 3.1. ზე. ინფორმაციის გარე და შიდა მომხმარებელთა წრე არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ: 1) **გარე მომხმარებლები** იყენებენ ინფორმაციის მხოლოდ იმ ნაწილს, რაც ახასიათებს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის შედეგებს და მის ფინანსურ მდგომარეობას. ამ ინფორმაციის დიდი ნაწილი მოცემულია ოფიციალურ ფინანსურ ანგარიშგებაში, რასაც კორპორაცია აქვეყნებს; 2) **შიდა მომხმარებლები,** ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, იყენებენ ასევე ინფორმაციის მნიშვნელოვან ნაწილს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს **კომერციულ საიდუმლოს.**

ფინანსური ინფორმაციის მაღალი **როლი** ეფექტიანი გადაწყვეტილებების მომზადებასა და მიღებაში განაპირობებს მაღალ მოთხოვნებს, მისი ხარისხისადმი ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემის ფორმირებისას. შესაბამისად, ინფორმაციას, რომელიც ერთვება ამ სისტემაში, წაეყენება შემდეგი **ძირითადი მოთხოვნები,** კერძოდ: **1. მნიშვნელობა; 2. სისრულე; 3. სანდოობა; 4. თავისდროულობა; 5. გასაგებობა; 6. რელევანტურობა** (შერჩევითობა, ამორჩევითობა); **7. შესადარისობა; 8. ეფექტიანობა.**

ფინანსური მენეჯმენტის **ინფორმაციული უზრუნველყოფის მაჩვენებელთა სისტემა,** რომელიც ყალიბდება გარე წყაროებიდან, იყოფა ოთხ ძირითად **ჯგუფად,** კერძოდ:

პირველი, რომლებიც ახასიათებს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებას. ამ **ჯგუფის** საინფორმაციო მაჩვენებელთა სისტემა არის საფუძველი კორპორაციის ფუნქციონირების გარე ფინანსური გარემოს პირობების ანალიზის ჩატარებისა და პროგნოზირებისათვის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისას ფინანსური საქმიანობის სფეროში. ამ ჯგუფის მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება ეფუძნება **სახელმწიფო სტატისტიკის** გამოქვეყნებულ მაჩვენებლებს. არსებობს **მაკროეკონომიკური განვითარების** მაჩვენებლები, სადაც გაერთიანებულია შემდეგი: **1. ძირითადი ინფორმაციული მაჩვენებლები,** რომლებიც გამოიყენება კორპორაციის ფინანსების მართვის პროცესში: ეშპ-სა და ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი; ფულის ემისიის მოცულობა მოცემულ პერიოდში; მოსახლეობის ფულადი შემოსავლები; მოსახლეობის ანაბრები ბანკებში; ინფლაციის ინდექსი. **2.** დარგობრივი (ბიზნეს სექტორის) განვითარების მაჩვენებლები, სადაც მოცემულია შემდეგი ძირითადი ინფორმაციული მახასიათებლები, იმ დარგში, რომელთაც განეკუთვნება კორპორაცია: წარმოებული პროდუქციის მოცულობა და მისი დინამიკა; კორპორაციის აქტივების, მათ შორის საბრუნავი აქტივების საერთო ღირებულება; კორპორაციის საკუთარი კაპიტალის ოდენობა; კორპორაციის მოგების სიდიდე, მათ შორის ძირითადი საოპერაციო საქმიანობის მიხედვით; მოგების დაბეგვრის განაკვეთი ძირითადი საქმიანობის მიხედვით.

[25] **ჭუმბურიძე ლ. ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება. თბ., გამომცემლობა შპს „დანი". 2014.**



ნახ. 3.1. კორპორაციის ფინანსური ინფორმაციის ძირითად მოსარგებლეთა შემადგენლობა.

მეორე, რომლებიც ახასიათებს ფინანსური ბაზრის კონიუნქტურას. ამ ჯგუფის ინფორმაციული მაჩვენებლების სისტემა გამოიყენება საჭირო მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად გრძელვადიანი **ფინანსური ინვესტიციების პორტფელის** ფორმირების სფეროში, ასევე მოკლევადიანი ფინანსური ინვესტიციების განსახორციელებლად, კრედიტების მოსაზიდად, სავალუტო ოპერაციების ჩასატარებლად და ფინანსური მენეჯმენტის ზოგიერთი სხვა ასპექტებისათვის. ამ ჯგუფის მაჩვენებელთა სისტემის ჩამოყალიბება ემყარება პერიოდული, კომერციული გამოცემების, საფონდო და სავალუტო **ბირჟების,** ასევე ინფორმაციის შესაბამისი **ელექტრონული წყაროების** მონაცემებს. **მაჩვენებლები, რომლებიც შედიან მეორე ჯგუფის შემადგენლობაში, იყოფიან 3 ბლოკად, კერძოდ: ა)** საფონდო ბაზრის ცალკეული სეგმენტის კონიუქტურის დამახასიათებელი მაჩვენებლები, ისინი მოიცავენ შემდეგ ინფორმაციულ მონაცემებს: ცალკეული ძირითადი საფინდო ინსტრუმენტების სახეები, რომლებიც მომიოქცევა საბირჟო და არასაბირჟო საფონდო ბაზრებზე; საფონდო ინსტრუმენტების ძირითად სახეებზე მიწოდების და მოთხოვნის კვოტირების ფასები; საფონდო ინსტრუმენტების ძირითადი სახეების მიხედვით გარიგებათა ოდენობა და ფასები; **ბ)** მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საკრედიტო ბაზრის ცალკეული სეგმენტების კონიუნქტურას; მასში მოცემულია შემდეგი ძირითადი საინფორმაციო მონაცემები: ცალკეული კომერციული ბანკების საკრედიტო განაკვეთი, დიფერენცირებული ფინანსური კრედიტის გაცემის ვალების მიხედვით; ლიზინგური განაკვეთი ლი-

ზინგური აქტივების სახეების მიხედვით; **გ)** მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს სავალუტო ბაზრის ცალკეული სეგმენტის კონიუქტრურას; მასში მოცემულია შემდეგი საინფორმაციო მაჩვენებლები: ცალკეულ ვალუტათა ოფიციალური კურსი, რომლითაც ოპერირებენ კორპორაციები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის პროცესში; შესყიდვის კურსი, რაც დადგენილია კომერციული ბანკების მიერ.

მესამე. რომლებიც ახასიათებს კონტრაჰენტების და კონკურენტების საქმიანობას. ამ ჯგუფის ინფორმაციულ მაჩვენებლთა სისტემა ძირითადად გამოიყენება **ოპერატიული მმართველობითი გადაწყვეტილებების** მისაღებად ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ძირითადი ასპექტების მიხედვით. ამ ჯგუფის მაჩვენებლების წყაროებია: პრესაში საანაგარიშგებო მასალების პუბლიკაციები, შესაბამისი რეიტინგები ძირითადი საშედეგო მაჩვენებლების მიხედვით, ასევე ფასიანი ბიზნესცნობები, რომლებსაც წარმოადგენენ ცალკეული საინფორმაციო კომპანიები.

მეოთხე. ნორმატიულ-მარეგულირებელი მაჩვენებლები. ამ მაჩვენებლების სისტემა გათვალისწინება ფინანსური გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში, რაც დაკავშირებულია კორპორაციის ფინანსური საქმიანობის **სახელმწიფო რეგულირების თავისებურებებთან.** ამ ჯგუფის მაჩვენებლების ფორმირების წყაროა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო მართვის სხვადასხვა ორგანოების მიერ.

ქართველი თვალსაჩინო მეცნიერები: პროფესორი დავით ჯალაღონია., და პროფესორი იური პაპასქუა **სამეცნიერო სტატიაში** „ბუღალტრის პროფესიული სერთიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში“ [იხ. 2016 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“].[26] გამოყოფენ ფინანსური მენეჯმენტის **ინფორმაციული** უზრუნველყოფის მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც **ყალიბდება შიდა წყაროებისაგან,** იყოფა **სამ ჯგუფად:** 1) კორპორაციის ფინანსური ანგარიშგების მაჩვენებლები; 2) კორპორაციის მმართველობითი აღრიცხვის მაჩვენებლები; 3) კორპორაციის ფინანსურ განვითარებასთან დაკავშირებული ნორმატიულ-საგეგმო მაჩვენებლები.

კორპორაციის ფინანსურ განვითარებასთან დაკავშირებული ნორმატიულ-საგეგმო მაჩვენებლები, რომლებიც გამოიყენება ფინანსური საქმიანობის განხორციელების მსვლელობაზე მიმდინარე კონტროლის პროცესში, ყალიბდება უშუალოდ კომპანიაში შემდეგი სახით: **ა) შიდა ნორმატივების სისტემა,** რაც არეგულირებს კორპორაციის ფინანსურ განვითარებას; **ბ) საწარმოს ფინანსური განვითარების საგეგმო მაჩვენებელთა სისტემა.**

ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემის აგება უშუალოდაა დაკავშირებული ორგანიზაციაში ფინანსური საქმიანობის მართვის **ავტომატიზებული ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასთან.** ასეთი ტექნოლოგიების გამოყენება ითვალისწინებს სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფის, ასევე გამოთვლითი ტექნიკისა და კავშირის თანამედროვე საშუალებების გამოყენებას, ინფორმაციის დაგროვების, შენახვისა და გადამუშავების ტერმინალური მოწყობილობების მაქსიმალურ მიახლოვებას **ფინანსური მენეჯერების სამუშაო ადგილებთან.** ამასთან ერთად, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ფინანსური ინფორმაციული სისტემის **ავტომატიზაციის მაღალი დონე** აძლიერებს მისი უსაფრთხოების შემცირების რისკს, აძლიერებს მის კავშირს კონკურენტების და სხვა დაინტერესებული პირების ზემოქმედებასთან. ამასთან დაკავშირებით ინერგება რა კორპორაციაში ფინანსური საქმიანობის მართვის ავტომატიზირებული საინფორმაციო ტექნოლოგიები, აუცილებლად უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი დაცვის შესაბამისი სისტემები.

შესაბამისად, ყველა მაჩვენებლის გამოყენება, რომლებიც ყალიბდება გარე და შიდა წყაროებიდან, ასევე თანამედროვე ავტომატიზებული საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა შესაძლებელს ხდის, რომ ყოველ კორპორაციაში შეიქმნას ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზანმიმართული სისტემა, რომელიც ორიენტირებული იქნება როგორც სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაზე, ასევე ფინანსური საქმიანობის ეფექტიან მიმდინარე მართვაზე.

---

[26] **ჯალაღონიად., პაპასქუა ი. –** სტატია. „ბუღალტრის პროფესიული სერთიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში“. მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის კრებული. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 29-30 სექტემბერი 2017. გვ. 169-173.

ფინანსური მენეჯმენტის პარადიგმის ფორმირების თეორიულ-კონცეფციური ასპექტები. როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური მენეჯმენტის განვითარება ეკონომიკაში მეოცე საუკუნის 70-იანი წლებიდან ფინანსების როლის კოლოსალურ გაძლიერებას, ფინანსური ურთიერთობების მასშტაბების ზრდას და გლობალიზაციას უკავშირდება. ფინანსური მენეჯმენტის თანამედროვე სისტემა ასახავს კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური საქმიანობის მართვის მექანიზმის უმჭიდროვეს კავშირს ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისა და ინსტრუმენტების მექანიზმებთან, რომელიც მოიცავს ამერიკულ, ევროპულ და სხვა ეროვნულ სკოლათა თეორიული მიდგომების თავისებურებებს. თანამედროვე სისტემის ფორმირება ძირითადად დაფუძნებულია თეორიულ კონცეფციებისა და მოდელების სისტემას, რომელიც განხილულია **მონოგრაფიის პირველ ნაწილში (იხ. თემა– 3. 1)**. შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული კონცეფციებისა და მოდელების სისტემაში აისახება მათი პრაქტიკული გამოყენების მექანიზმი, რომელიც თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის პარადიგმის ფორმირების საფუძვლებს წარმოადგენს.

კორპორაციული ფინანსების მართვის ძირითადი პრინციპები და კონცეფციები

კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური საქმიანობის ეფექტიანი მართვა მიიღწევა რიგი **პრინციპების** რეალიზაციით, რომელთაგან ძირითადია შემდეგი:

პირველი. კორპორაციის მართვის საერთო სისტემასთან ინტეგრირება-საქმიანობის, რომელ სფეროშიც არ უნდა ღებულობდეს საწარმოო მმართველობით გადაწყვეტილებას, იგი პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ფულადი ნაკადების ფორმირებაზე და ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. **ფინანსური მენეჯმენტი** უშუალოდაა დაკავშირებული საწარმოო მენეჯმენტთან, ინოვაციურ მენეჯმენტთან, პერსონალის მენეჯმენტთან და ფუნქციური მენეჯმენტის ზოგიერთ სხვა სახეებთან. ეს განსაზღვრავს ფინანსური მენეჯმენტის შეზღუდული ინტეგრირების აუცილებლობას კორპორაციის მართვის საერთო სისტემასთან.

მეორე. მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირების **კომპლექსური ხასიათი.** ყველა მმართველობითი გადაწყვეტილება ფინანსური რესურსების ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების სფეროში და საწარმოს ფულადი ბრუნვის ორგანიზაცია ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებზე. ამიტომ **ფინანსური მენეჯმენტი** განხილული უნდა იქნეს, როგორც კომპლექსური მმართველობითი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთდამოკიდებული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებას, რომელთაგანაც თითოეულს თავისი წვლილი შეაქვს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის საერთო შედეგიანობაში.

მესამე. მართვის მაღალი დინამიზმი. ყველაზე ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებაც კი ფინანსური რესურსების ფორმირება-გამოყენების და ფულადი ბრუნვის ოპტიმიზაციის დარგში, რომელიც შემუშავებული და რეალიზებულია საწარმოში წინა პერიოდში, არ შეიძლება ყოველთვის განმეორებით იქნეს გამოყენებული მისი ფინანსური საქმიანობის მომდევნო ეტაპებზე.

მეოთხე. ცალკეული მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისადმი მიდგომების ვარიანტულობა. მმართველობითი გადაწყვეტილებების **ალტერნატიული** პროექტების არსებობისას მათი შერჩევა რეალიზაციისათვის უნდა ემყარებოდეს კრიტერიუმების სისტემას, რომელიც **განსაზღვრავს ფინანსურ ფილოსოფიას,** ფინანსურ სტრატეგიას ან საწარმოს კონკრეტულ ფინანსურ პოლიტიკას. ასეთი კრიტერიუმის სისტემა დგინდება საწარმოს მიერ.

მეხუთე. კორპორაციის (საწარმოს) განვითარების სტრატეგიულ მიზნებზე ორენტირებულება.

შესაბამისად, ეფექტიანი კორპორაციული ფინანსების მართვა, რომელიც ორგანიზებულია ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, შესაძლებელს ხდის ჩამოყალიბდეს აუცილებელი რესურსული პოტენციალი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი კაპიტალის უწყვეტი ზრდა, ამაღლდეს კორპორაციის კონკურენტული პოზიცია სასაქონლო და საფინანსო ბაზარზე, შესაბამისად, უზრუნველყოფილ იქნეს სტაბილური ეკონომიკური განვითარება სტრატეგიულ პერსპექტივაში. **ფინანსური მენეჯმენტი,** რომელნიც ეფუძნება **რამდენიმე ფუნდამენტურ კონცეფციას, როგორიცაა:**

1). ფულის ნაკადის კონცეფცია (Cash Flow Concept);

2). დროითი ღირებულების კონცეფცია (The Time Value of Money Concept);

3) შემოსავლიანობისა და რისკს შორის კომპრომისის კონცეფცია (Risk and Return Tradeoff Concept);

4) ოპერაციული და ფინანსური რისკების კონცეფციას (Operating Risk and Financial Risk Concept);

5) კაპიტალის ღირებულების კონცეფცია (Cost of Capital Concept)

6) ეფექტიანი ბაზრის კონცეფცია (Capital Market Efficiency);

7) ასიმეტრიული ინფორმაციის კონცეფცია (Asymmetric Information Concept);

8) სააგენტოურთიერთობათაკონცეფცია. (AgencyRelationsConncept)

9) ალტერნატიულიდანახარჯებისკონცეფცია (Opportunity Costs Concept);

10) სამეურნეო სუბიექტის ფუნქციონირების დროში შეზღუდავობის კონცეფცია (Going Concern Concept);

11) სამეურნეო სუბიექტის ქონებრივი და სამართლებრივი განცალკევების კონცეფცია (The Firm and its Owners Separation Concept); და სხვ., ფუძემდებური კონცეფციების გააზრება, ცოდნა აუცილებელია პირისთვის, რომელიც ფინანსების სფეროში იმუშავებს, რამეთუ ფინანსური მენეჯერის პრაქტიკული საქმიანობა ამ კონცეფციების გამოყენებას უნდა დაეფუძნოს. მენეჯერმა უნდა იცოდეს ფულის ღირებულებაზე დროის ფაქტორის ზემოქმედება, საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ღირებულების გამოთვლა, რისკების იდენტიფიცირება და მათი მართვა (დაზღვევა, პეჯირება, დივერსიფიკაცია) და ა. შ. ეს ცოდნა ყველაზე მეტად სჭირდება ფინანსურ მენეჯერს, რაც კორპორაციის ფინანსური აქტივების ნარმატებული, ეფექტიანი მართვის წინაპირობად გვევლინება, რომელიც განაპირობებს კიდეც თანამედროვე კორპორაციული მენეჯმენტის პერსპექტიულობას.

10.2. კორპორაციული ფინანსების მართვის სისტემის ორგანიზაციული საფუძვლები

როგორც უკვე აღინიშნა, **ფინანსები** ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომელთა საშუალებით ფულადი ფონდების შექმნა, განაწილება, გადანაწილება და გამოყენება ხორციელდება. **ფინანსები განსხვავდება ფულისაგან, როგორც შემადგენლობის, ასევე მის მიერ შესრულებადი ფუნქციების** მიხედვითაც. ფინანსების ფუნქციების რეალიზება ფინანსური მექანიზმების, როგორც სამეურნეო მექანიზმების ძირითადი ნაწილის და **ეკონომიკური ინსტრუმენტების** ბერკეტების მეშვეობით ხორციელდება. შესაბამისად, **კორპორაციის (სუბიექტის) ფინანსები** ეკონომიკური და ფულადი ურთიერთობებია, რომლებიც უშუალოდ ფულის მოძრაობის შედეგად წარმოიშობა და რომელთა საფუძველზე საწარმოებში სხვადასხვა სახის ფულადი ფონდები იქმნება. შესაბამისად, **ფინანსების მართვა მოიცავს საქმიანობას, რომელიც ეხება სახელმწიფოს მიერ საერთო საფინანსო პოლიტიკის გატარებას,** ფინანსურ დაგეგმვას, ფინანსური რესურსების კოორდინაციას, ფინანსების ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას, ფინანსური კანონმდებლობის დამუშავებას. აქვე შედის ბიუჯეტის შედგენა-შესრულება, გადასახადების ამოღება, სახელმწიფო სესხების გამოშვება და სახელმწიფო ვალების მართვა.


ნებისმიერი **ეკონომიკური სისტემა,** როგორც წესი, განსაზღვრავს ფინანსურ ურთიერთობათა წრეს, რომელიც უშუალოდ სახელმწიფოს მმართველობითი ფუნქციის სფეროში შედის და წარმოადგენს მის ორგანოს. საყურადღებოა ისიც, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ე. ი. საყოველთაო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების დროს კორპორაციებისა და კერძო მეწარმეების ფონდების წრებრუნვა სხვადასხვა ფულად ფონდებშია მატერიალიზებული. საქმიანობის ასეთ წრეებზე სახელმწიფო ზემოქმედებს კანონით მიცემული **ეკონომიკური უფლებებით** – მხოლოდ საგადასახადო პოლიტიკის მეშვეობით, საკრედიტო ურთიერთობათა რეგლამენტაციით, ფინანსური ბაზრის რეგულირებით, საამორტიზაციო ფონდის შექმნის მეთოდით (დაჩქარებული თუ ჩვეულებრივი ამორტიზაციის ანარიცხების მეშვეობით), აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური მხარდაჭერით (სუბსიდიებით, სუბვენციებით და ა. შ).. აქ ხაზგასასმელია ის გარემოებაც, რომ ასეთი მეთოდებით სახელმწიფოს ზემოქმედება არამც და არამც არ არის სახელმწიფოს მხრივ ფინანსების მართვა, არამედ ის არის ფინანსების მეშვეობით ზემოქმედება, ე. ი. **სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკის რეალიზაცია.** სახელმწიფო ხელი-

სუფლება კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით აძლიერებს ან არბილებს სახელმწიფო ფინანსურ ჩარევას.

ფინანსების მართვაში, როგორც ეს ხდება ნებისმიერ სხვა სამმართველო სისტემაში, გამოიყოფა **მართვის ობიექტები და სუბიექტები.** ფინანსური მართვის ობიექტებად გამოდიან სხვადასხვაგვარი ფინანსური ურთიერთობანი, ხოლო სუბიექტებად – ის ორგანიზაციული სტრუქტურები, რომელთა მეშვეობითაც მართვა ხორციელდება. ცნობილია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოში **ფინანსური მართვის ობიექტების შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: სახელმწიფო ფინანსები, კორპორაციათა ფინანსები და სადაზღვევო საქმე, რომლებსაც მართვის შემდეგი სუბიექტები შეესაბამება:** სახელმწიფო საფინანსო ორგანოები და საგადასახადო სამსახურები, საწარმოებისა და კორპორაციების საფინანსო სამსახურები (სამმართველოები, განყოფილებები, ქვეგანყოფილებები) და სადაზღვევო ორგანოები. ყველა იმ ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლიობას, რომლითაც ხორციელდება ფინანსების მართვა, ეწოდება **საფინანსო აპარატი.**

სახელმწიფო ფინანსების მართვა დასავლეთის ეკონომიკურად მაღალ განვითარებულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულია უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოების მიერ ფინანსური კანონმდებლობების მიღებით, სახელმწიფო **ბიუჯეტის** განხილვა – დამტკიცებით, ბიუჯეტის შესრულების დამტკიცებით, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკისა და ახალი გადასახადების ან შეცვლის შემოღებით, სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის დადგენით და სხვა **ფინანსური ურთიერთობების მოწესრიგებით.** ფინანსური ურთიერთობებიდან ზოგადად შეიძლება გამოყოთ **ექვსი მსხვილი ურთიერთდაკავშირებული სფეროები (იხ. ნახ. 3-2):** სამეურნეო სუბიექტების ფინანსები; სახელმწიფო ფინანსები; დაზღვევის სისტემები; საფინანსო ბაზრები; საბანკო სისტემა და ფიზიკური პირების (მოქალაქეების) ფინანსები.

ამრიგად, კორპორაციული ფინანსების მართვა – არის სისტემა ურთიერთობისა, რომელიც წარმოიშობა ორგანიზაციებში ფინანსური რესურსების მოზიდვის და გამოყენებიდან გამომდინარე. მოცემული სისტემა არის მრავალ ასპექტიანი, იგი მოიცავს ურთიერთობებს როგორც ორგანიზაციის (საწარმო) შიგნით, ასევე მოცემული ორგანიზაციის ურთიერთობებას დანარჩენ კონტრაგენტებთან (სამეურნეო სუბიექტები, სახელმწიფო ორგანოები, საზოგადოებრივი და სხვ).



ნახ.3- 2. ფინანსური ურთიერთობების სფეროების (სისტემის) სტრუქტურა.

ეკონომიკური სუბიექტის (კომერციული ორგანიზაციის) ფინანსების მართვის **საკვანძო საკითხებად გვეელინება, კერძოდ:** 1) რამდენი ფინანსური რესურსია საჭირო საწარმოს წარმატებული საქმიანობისათვის განვითარების პერსპექტივიდან გამომდინარე; 2) რომელი დაფი-

ნანსების წყარო გამოვიყენოთ საჭირო ფინანსური რესურსების მისაღებად და როგორია მოცემული წყაროების ოპტიმალური სტრუქტურა; 3) როგორ მოვაწყოთ სუბიექტის ფინანსების ოპერატიული მართვა, მისი ლიკვიდურობის და გადახდისუნარანობის უზრუნველსაყოფად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, **ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული საქმიანობის** არეალის **ალგორითმი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:**

1. ზოგადი ფინანსური ანალიზი და დაგეგმვა, სადაც ხდება ზემოთ დასმული კითხვების ფორმირება, მათი ფორმალიზება და მათი გადაწყვეტის ხერხების განსაზღვრა;

2. საინვესტიციო საქმიანობის მართვა, რომელიც პასუხობს კითხვაზე: სად დავაბანდოთ ფინანსური რესურსები მაქსიმალური ეფექტის მიღებით;

3. ფინანსური რესურსების წყაროების მართვა, რომელიც პასუხობს კითხვაზე სად მივიღოთ საჭირო ფინანსური რესურსები?

4. მიმდინარე ფინანსური მართვა, რომლის ჩარჩოებში ხორციელდება მიმდინარე საქმიანობის დაფინანსება საწარმოს გადახდისუნარიანიობის უზრუნველსაყოფად.

როგორც უკვე აღინიშნა, **ფინანსების ეფექტიანი მართვა** ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ერთ-ერთ **პრიორიტეტულ მიმართულებად** განიხილება. ფინანსები, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება, მეთვრამეტე საუკუნის შუა პერიოდში გაფორმდა ე. წ. **კამერალურ (ლათინურიდან კამერა – სამეფო ხაზინა და ხაზინის პალატა სახელმწიფო შემოსავლების** თანახმად) მეცნიერებათა შემადგენლობაში. ახალი სამეცნიერო მიმართულების ფუძემდებლად გერმანელი მეცნიერი **იოგან იუსტი** (1720-1771) და **იოზეფ ზონენფელსი (1732-1827) გვევლინება, მათ პირველებმა ჩამოაყალიბეს თავიანთ მონოგრაფიებში** ფინანსების მეცნიერების სისტემატიზებული მიდგომები.

კაპიტალის ბაზრების განვითარებამ და ინტერნაციონალიზაციამ, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლის ზრდამ, წარმოების სფეროებში კონცენტრაციის პროცესებმა ნებისმიერი მეწარმეობის (ბიზნესის) სფეროებში ფინანსური რესურსების, როგორც განმსაზღვრელს რთულ სისტემაში, **ფინანსების ეფექტიანი მართვის თეორიული გააზრების აუცილებლობა** განაპირობა. შესაბამისად, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ქვეყნის ნებისმიერი ეკონომიკური სისტემის საძირკველის ძირითადი უჯრედის – ეკონომიკური ორგანიზაციის (**მეურნეობრიობის სუბიექტის**) – **ზოგადი ფინანსური თეორიული ასპექტების კვლევას აწარმოებდნენ ცნობილი მეცნიერები, როგორიცაა, ფ. ბლეკი, მ. სკოუზი, ი. ფამი, ჯ. ხირშლიფერი და სხვა.**


ბუნებრივია, ფინანსების მართვის თეორიული საფუძვლების ცოდნა მართვის ქვაკუთხედია, მაგრამ არანაკლებად მნიშვნელოვანია **ფინანსების გამოყენებითი (პრაგმატული) ასპექტების** სიღრმისეული შესწავლა, რაც გახდა არსებითი წინაპირობა ფინანსური მენეჯმენტის, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო და პრაქტიკული მიმართულების მეცნიერების, მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან სწრაფი განვითარება.

ფინანსური მენეჯმენტი, რომელიც სამი მეცნიერების: ა) მართვის ზოგადი თეორიის; **ბ)** თანამედროვე ფინანსების თეორიისა და **გ)** ბუღალტრული აღრიცხვის ჯვარედინზე განვითარდა. როგორც სასწავლო დისციპლინა, მჭიდროდ ეკორესპონდენტება – **ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვას.** მოცემული მეცნიერების თეორიის და პრაქტიკის პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი ინგლისურ-ამერიკული სკოლის ცნობადმა წარმომადგენლებმა – **ტონ კოპლენდმა, ჯონ უესტინმა, პოლ ბრეიმა** და სხვ, შეიტანეს.

ამრიგად, ფინანსური მენეჯმენტის, როგორც სასწავლო დისციპლინის სტრუქტურულად ჩამოყალიბება განსაზღვრავს სწორედ **დისციპლინის ლოგიკას,** რომელიც შეიძლება შესრულდეს სხვა ხერხით, მაგრამ ფინანსური ხასიათის **მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების ბლოკ-სქემა (იხ. ნახ. 3-3)** კორპორაციების დონეზე შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:. **ფინანსური მექანიზმი არის ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური მეთოდებისა და ბერკეტების, ფინანსური დაგეგმვის მეთოდების, ფინანსების მართვის ფორმებისა და ფინანსური სისტემის, ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობა.**

კორპორაციული ფინანსების მართვის სისტემის ელემენტები და მეთოდები

კორპორაცია შეიძლება ისეთი სისტემის სახით წარმოვიდგინოთ, რომელიც განსაზღვრული სახეობის პროდუქციის მწარმოებელი და რესურსების მომხმარებელი, შეკრული და მართვადი ელემენტებისაგან შედგება. ტერმინი „მართვა" სხვადასხვა საქმიანობების კოორდინაციის პროცესს ნიშნავს დასახული ამოცანების შესრულების, მათი მიზნების, პირობებისა და ეტაპების გათვალისწინებით. ვსაუბრობთ რა მართვაზე, უნდა განისაზღვროს, თუ რომელი სფეროები წარმოადგენენ კოორდინაციის საგანს და აღნიშნული კოორდინაცია როგორი ხერხით ხორციელდება.



ნახ. 3.3კორპორაციული ფინანსების მართვის სისტემის ბლოკ-სქემა

ფინანსების ფუნქციების რეალიზება ფინანსური მექანიზმის როგორც სამეურნეო კორპორაციის მართვის სისტემის ელემენტებს შეადგენენ, კერძოდ:

1) რესურსები; 2) ტექნოლოგია; 3) სტრუქტურა; 4) მართვა. 5) დაგეგმვა; 6) ფინანსები.

ფინანსურ მენეჯმენტში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა **მეთოდი და მოდულების** სახეები კორპორაციის (საწარმოს) ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აღწერისათვის, მთლიანად საწარმოს ან მისი ცალკეული სახეობის საქმიანობის ფინანსური სტრუქტურების დასახასიათებლად, აქტივებისა და ვალდებულებების კონკრეტული სახეების მართვის, ძირითად ფინანსურ მაჩვენებელთა პროგნოზირებისათვის, ფაქტორული ანალიზისა და სხვა კონკრეტული საქმიანობის შესაფასებლად.

კორპორაციის (კომპანიის) **საბაზრო ღირებულების ზრდის** ძირითად მიმართულებებად განიხილება: 1) მიმდინარე მოგების სტაბილური გენერაცია ისეთ მოცულობებში, რომლებიც საკმარისი იქნებოდა **დივიდენდებად** გასაცემად და პროგნოზირებადი (წარმოების მოცულობის ან მისი გადიდების) **რეინვესტირების** უზრუნველსაყოფად; 2) საწარმოო და ფინანსური რისკების მინიმიზება, კერძოდ: ა) ეკონომიკურად დასაბუთებული ძირითადი საქმიანობის არჩევის; ბ) საერთო საქმიანობის დივერსიფიკაციისა და რესურსების წყაროების სტრუქტურული ოპტიმიზაციის; გ) გამოცდილი მმართველობითი პერსონალის (მენეჯერების გუნდის) მოწვევის საფუძველზე; 3) **„მიზნების ხის"** შედგენით მთავარი მიზნების მიღწევის გზების კონკრეტიზაცია და დეტალიზაცია. ამასთანავე შესაძლებელია შემდეგი მიმართულებები: საბაზრო, საფინანსო-ეკონომიური, საწარმოო-ტექნოლოგიური და სოციალური მიზნების გამოყოფა; 4) მსხვილ კომპანიებში აქციონერების მიერ ბიზნესის მართვაში გამოცდილი მენეჯერების დელეგირება და მმართველობითი პერსონალის საქმიანობის აუდიტორული შემოწმების (კონტროლის) დაწესება და სხვა.

შესაბამისად, კორპორაციის მმართველობით იერარქიაში საკვანძო ადგილი ფინანსური მენეჯმენტის საქმიანობას ეკუთვნის. საწარმოს ფინანსური მენეჯერი უნდა ფლობდეს ფართო სპექტრს საკითხების მეთოდებსა და ხერხებს, რამდენად უნდა შეძლოს მან სწრაფი და არგუმენტირებული პროფესიული შეფასება საკუთარი კომპანიისა და პოტენციური კონტრაგენტების ფინანსური მდგომარეობის, მიღებული ამა თუ იმ გადაწყვეტილების დაფინანსებისა და ინვესტიციების სფეროებში მოსალოდნელი შედეგებისა და კაპიტალის ბაზარზე მოკლე და გრძელვადიანი ხასიათის ფინანსური ოპერაციების მიზან-შეწონილობის თაობაზე. ამასთანავე, მენეჯმენტის საქმიანობაში უმთავრესი ადგილი კომპანიის საქმიანობის დაფინანსებას მყარი წყაროების მოძიებისა და მობილიზაციის საკითხებით უნდა განისაზღვროს.

პრაქტიკაში ცნობილია კორპორაციის (სამეურნეო სუბიექტის) **ფინანსური რესურსების ფორმირების წყაროების** შემდეგი **კლასიფიკაცია:** ა) საკუთარი და მასთან გათანაბრებული რესურსები; ბ) ფინანსურ ბაზარზე ფასიანი ქაღალდების, გასესხება-სესხების ოპერაციების და სხვა საქმიანობის შედეგად მობილიზებული რესურსები; გ) საბიუჯეტო ასიგნაციების სახით გადანაწილებული რესურსების მიღება; დ) სხვა სუბიექტების ფულადი სახსრების დროებითი (როგორც მიმდინარე სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების შედეგი) გამოყენება.

ფინანსური მენეჯმენტის წარმატებული განხორციელება მიიღწევა ზოგად სამეცნიერო და კონკრეტული სამეცნიერო მეთოდების ერთობლივი **სამეცნიერო ინსტრუმენტების** საფუძველზე, რომელიც პრაქტიკულ ჭრილში მოიცავს ფინანსური აპარატის, წესების, მეთოდების და მოდელების ერთობლიობას, რომელთა გამოყენებით შესაძლებელი იქნება კორპორაციის ფინანსების ეფექტიანი მართვის მიღწევა. **ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია** ორი ძირითადი მიმართულებით არის წარმოდგენილი. კერძოდ: **მეთოდები და ხერხები,** რომლებიც ფინანსური მენეჯმენტის არსენალში იმყოფება, **პირობად სამ დიდ ჯგუფად** შეიძლება იყოს წარმოდგენილი. კერძოდ:

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: დაკრედიტება, სასესხო ოპერაციები, საკასო ოპერაციები, საკასო და საანგარიშსწორებო ოპერაციები, დაზღვევის სისტემა, ანგარიშსწორების სისტემა, ფინანსური სანქციების სისტემა, სატრანსპორტო მომსახურების ოპერაციები, სატრანსპორტო ოპერაციები, საგირაო ოპერაციები, ამორტიზაციული ანარიცხების სისტემა, სადაბეგვრო სისტემა და სხვა;

მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: ფინანსური დაგეგმვა, საგადასახადო დაგეგმვა, პროგნოზირების მეთოდური, ფაქტორული ანალიზი, მოდელირება და სხვა;

მესამე ჯგუფს მიეკუთვნება: ფინანსების მართვის სპეციალური მეთოდები, რომლებიც თანდათანობით მკვიდრდება საქართველოს სამეურნეო პრაქტიკაში. მათ საფუძველს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეადგენენ, როგორიცაა დივიდენდების პოლიტიკა, ფინანსური ლიზინგი (არენდა), ფაქტორინგული ოპერაციები, ფრანჩაიზინგი, ფიუჩერსები, სვოპები, ჰეჯირება და ა. შ.

ფინანსურ მენეჯმენტში ფართოდ გამოიყენება **სხვადასხვა მეთოდი და მოდულების** სახეები კორპორაციის (საწარმოს) ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის აღწერისათვის, მთლიანად საწარმოს ან მისი ცალკეული სახეობის საქმიანობის ფინანსური სტრუქტურების დასახასიათებლად, **აქტივებისა** და **ვალდებულების** კონკრეტული სახეების მართვის, ძირითად ფინანსურ მაჩვენებელთა **პროგნოზირებისათვის, ფაქტორული ანალიზისა** და სხვა კონკრეტული საქმიანობის **შესაფასებლად.** ასევე, **პირველადი ინსტრუმენტები:** კრედიტი და სესხები, ობლიგაციები, დანარჩენი ვალდებულებითი ფასიანი ქაღალდები, მიმდინარე ოპერაციების კრედიტორული და დებიტორული დავალებები, წილობრივი ფასიანი ქაღალდები და **მეორადი ინსტრუმენტები** (ე. წ. წარმოებული ფინანსურ სპეციალურ ლიტერატურაში – დერივატივებად ნოდებული) ინსტრუმენტები, როგორიცაა: ფინანსური ოპციონები, ფიუჩერსული ოპერაციები, ფორვარდული კონტრაქტები, პროცენტული სვოპები, სავალუტო სვოპები და სხვ.

კორპორაციული ფინანსების მართვის მექანიზმი

ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციებისა და მექანიზმის დახასიათებისას საჭიროა გავიხსენოთ წინამდებარე მონოგრაფიის ფინანსების მართვის ელემენტები, საფინანსო პოლიტიკის, მართვის ლოგიკა და მეთოდების მახასიათებლები, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს **ფინანსური ურ-**

თიერთობების სისტემის სტრუქტურაში (იხ. ნახ. 3.2). კორპორაციის (საწარმოს) **ფინანსური ურთიერთობები,** რომლებიც ძირითადად ოთხი ჯგუფისაგან შედგება, მოიცავს: 1) **სხვა საწარმოებთან და ორგანიზაციებთან;** 2) **საწარმოს შიგნით;** 3) **ზემდგომ ორგანიზაციასთან, საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებთან,** აგრეთვე ჰოლდინგებთან; 4) **საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან** – საბიუჯეტო და ბიუჯეტგარეშე ფონდებთან, ბანკებთან, სადაზღვევო კომპანიებთან, ბირჟებთან, სხვადასხვა ფონდებთან.

განვიხილოთ თითოეული ჯგუფის ერთეულების არსი, ფინანსური ურთიერთობები სხვა საწარმოებთან ისეთი სახის ურთიერთობებს მოიცავს, როგორებიცაა: მომწოდებლებთან, მყიდველებთან, სამშენებლო-სამონტაჟო და სატრანსპორტო ორგანიზაციებთან, ფოსტასთან და ტელეგრაფთან, საგარეო ვაჭრობისა და სხვა ორგანიზაციებთან, საბაჟოსთან, უცხოეთის ქვეყნების საწარმოებთან, ორგანიზაციებთან და ფირმებთან.

კორპორაციის (სუბიექტის) **შიგნით ფინანსური ურთიერთობები** მოიცავს: ფილიალებთან, საამქროებთან, განყოფილებებთან, ბრიგადებთან და ა. შ. ურთიერთობებს, აგრეთვე მუშებთან და მოსამსახურეებთან ურთიერთობებს. საწარმოს ქვედანყოფებს შორის ურთიერთობები სამუშაოებისა და მომსახურების ღირებულების გადახდასთან, მოგების, საბრუნავი საშუალებებისა და სხვა სახეობის განაწილებასთან არის დაკავშირებული.

ზემდგომ ორგანიზაციებთან ფინანსური ურთიერთობები მოიცავს ცენტრალიზებული ფულადი ფონდების შექმნასთან და გამოყენებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომლებიც საბაზრო ურთიერთობების პირობებში ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. აღნიშნული განსაკუთრებით ეხება **ინვესტიციების დაფინანსებას, საბრუნავი საშუალებების შევსებას, იმპორტული ოპერაციების დაფინანსებას, სამეცნიერო გამოკვლევებს, მათ შორის მარკეტინგულებსაც.** ფულადი სახსრების შიდა დარგობრივი გადანაწილება, როგორც წესი, დაბრუნებადობის საფუძველზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს და იგი სანარმოს საშუალებების ოპტიმიზაციას უწყობს ხელს. საკუთრების პრივატიზაციის პირობებში, როდესაც სახელმწიფოს ხელში პრივატიზებული საწარმოების აქციების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება, სასარგებლოა **მსოფლიო გამოცდილების** როლის გათვითცნობიერება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: მრავალ ქვეყანაში პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების ძირითადი წილი (90%მდე) **პრივატიზებული საწარმოების მხარდაჭერის სპეციალურ ფონდებში აკუმულირდება და მის აღორძინებასა და მოდერნიზაციას ხმარდება.**

4) საფინანსო-სამრეწველო ჯგუფები, როგორც წესი, წარმოების მხარდაჭერისა და განვითარების მიმართულებით ფინანსური ძალისხმევის გაერთიანების, მაქსიმალური ფინანსური შედეგის მიღების მიზნით იქმნება. აქ შეიძლება შეიქმნას ცენტრალიზებული ფულადი ფონდებიც, ერთმანეთზე კომერციული კრედიტიც გაიცეს და უბრალოდ ფინანსური დახმარებაც იქნეს გახორციელებული. იგივე ეხება ჰოლდინგის პირობებში საწარმოებს შორის ურთიერთობებსაც. **საფინანსო-საკრედიტო სისტემასთან** ურთიერთობებიც მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული შემდეგი სახის ურთიერთობებს მოიცავს: სხვადასხვა დონის ბიუჯეტებთან და ბიუჯეტგარეშე ფონდებთან, რაც გადასახადებისა და ანარიცხების გადარიცხვებთან არის დაკავშირებული. ფინანსური **სისტემის სადაზღვევო რგოლთან** ურთიერთობები სოციალურ და სამედიცინო დაზღვევაზე სახსრების გადარიცხვას, აგრეთვე კორპორაციის (საწარმოს) ქონების დაზღვევას ითვალისწინებს. **ბანკთან** კორპორაციის ფინანსური ურთიერთობები აიგება როგორც უნაღდო ანგარიშსწორების ორგანიზაციის, ასევე მოკლევადიანი და გრძელვადიანი კრედიტების მიღებისა და დაფარვის ურთიერთობების ნაწილში. ბანკები თანამედროვე პირობებში კომპანიებს რიგ არატრადიციულ მომსახურებასაც სთავაზობენ, როგორიცაა: **ლიზინგი, ფაქტორინგი, ფორფეიტინგი, ტრასტი და ა. შ.** ამავე დროს შეიძლება ქვეყანაში დამოუკიდებელი კომპანიებიც ფუნქციონირებდეს, რომლებიც აღნიშნული ფუნქციების შესრულებაზე სპეციალიზირდებიან. ამ შემთხვევაში მათი ურთიერთობები შეიძლება ბანკების გარეშეც გახორციელდეს.

საფონდო ბაზრებთან კომპანიის (საწარმოს) ფინანსური ურთიერთობები ფასიან ქაღალდებთან ოპერაციების გახორციელებას ითვალისწინებს.

კორპორაციული ორგანიზაციის **ფინანსურ ფონდებს („დამატებულ კაპიტალს") მიაკუთვნებენ:** 1) ძირითადი ფონდების გადაფასების შედეგებს, 2) სააქციო საზოგადოების საემისიო შემოსავალს (შემოსავალი აქციების ნომინალურ ღირებულებაზე უფრო მაღალი ღირებულებით

გაყიდვისაგან). 3) სამეწარმეო მიზნებისათვის უსასყიდლოდ მიღებულ ფულად და მატერიალურ ფასეულობებს, 4) კაპიტალური დაბანდებების დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან ასიგნებებს, 5) სახსრებს საბრუნავი საშუალებების შესავსებად.

სარეზერვო კაპიტალი არის საწარმოს ფულადი ფონდი, რომელიც მოგებიდან ანარიცხების ხარჯზე წარმოიშობა. მისი ძირითადი დანიშნულებაა ზარალის გადაფარვა, ხოლო აქციონერულ საზოგადოებებში ასევე საზოგადოების ობლიგაციების დაფარვა და მისი აქციების გამოსყიდვა.

დაგროვების ფონდი არის თანხა, რომელიც კომპანიის (საწარმოს) სუფთა მოგებიდან გამოირიცხება და იგი წარმოების განვითარებაზე მიიმართება. ბუნებრივია, რომ მხოლოდ სუფთა მოგება წარმოების განვითარების დაფინანსებისათვის ყოველთვის საკმარისი ვერ იქნება. ასეთ შემთხვევაში **საწარმო საინვესტიციო ფონდს** ქმნის, სადაც ყველა ისეთი სახსრების კონცენტრირება ხორციელდება, რომლებიც წარმოების განვითარებაზე მიიმართება, მათ შორის სუფთა მოგებაც, ძირითადი ფონდების უბრალო კვლავწარმოების დანიშნულების ამორტიზაციის ფონდიც, აგრეთვე მოზიდული და ნასესხები წყაროებიც.

კორპორაციის საქმიანობის ეფექტიანობა როგორც უშუალოდ თვით კორპორაციის შიდა, ასევე კონკურენტებთან, კლიენტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობებზე არის დამოკიდებული. აღნიშნული ურთიერთობების პროცესში კორპორაციის ხელმძღვანელობამ ინტერესების **ექვსი ჯგუფი** უნდა დააკმაყოფილოს, კერძოდ: 1) **ურთიერთობები ინვესტორებთან;** 2) **ურთიერთობები მომწოდებლებთან.** 3) **ურთიერთობები კლიენტებთან.** 4) **კორპორაციის ხელმძღვანელობის ურთიერთობები პერსონალთან.** 5) **ურთიერთობები შუამავლებთან.** მათ მიეკუთვნება: ა) **მარკეტინგული მომსახურების** გამახორციელებელი ორგანიზაციები; ბ) **საკრედიტო-საფინანსო შუამავლები.** კორპორაციის ურთიერთობებთან დაკავშირებულია: 1) ფასიან ქაღალდებთან ანგარიშსწორებისა და ოპერაციების გახორციელებასთან კორპორაციების (ბანკების შუამავლობისას) ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე საკმაოდ აქტიურად მოქმედება. ბანკისათვის საკმაოდ საიმედო დაბანდებას სახელმწიფო ვალდებულებების შეძენა წარმოადგენს; 2) დაფინანსების წყაროების (კრედიტების) მიწოდებას; 3) რისკების დაზღვევას.

ურთიერთობები საკონტაქტო აუდიტორიასთან. აღნიშნული ურთიერთობები კორპორაციის საქმიანობაზე ასევე განსაზღვრულ ზემოქმედებას ახდენენ. **მიღებულია 4 ძირითადი საკონტაქტო ჯგუფი,** რომელთა შორისაა: სხვა კორპორაციები (კონკურენტები); მასობრივი ინფორმაციის საშუალებები; სახელმწიფო დაწესებულებები; საზოგადოება. პრინციპში კორპორაციების საკონტაქტო აუდიტორიებთან ურთიერთობები პრაქტიკულად ბიზნესის სხვა სფეროებში მსგავსი ურთიერთობებისაგან არ განსხვავდება. აქ აუცილებელია: თავიანთი კონკურენტების ცოდნა, სახელმწიფო ორგანოების მიერ განსაზღვრულ ნორმატიული დოკუმენტაციის პირობებთან და საზოგადოებაში მიღებულ ნორმებთან შესაბამისობა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ნეგატიურმა რეზონანსმა კორპორაციის ბიზნესზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს.


ზემოთ აღნიშნული ურთიერთობების გარდა, შეიძლება გამოიყოს კორპორაციის ისეთ ძალებთან ურთიერთობები, რომლებიც **კორპორაციის გარე გარემოს** შეადგენენ, კერძოდ: ა) **ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობა;** ბ) **სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი;** გ) **დემოგრაფიული და სოციალურ-კულტურული სახის ფაქტორები;** დ) **პოლიტიკური ფაქტორები.**

შესაბამისად, ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ, საკონტროლო, მარეგულირებელ და უკუკავშირის არხის ფუნქციებს. ფულადი ფონდების განაწილება-გადანაწილების პროცესში ფინანსები ასრულებს განმანაწილებელ ფუნქციას, ხოლო ბიუჯეტის საშუალებით ფულადი ფონდების ხარჯვის პროცესში კი საკონტროლო ფუნქციას (**იხ. ნახ. 3.4**).

ფინანსების ფუნქციების რეალიზება ფინანსური მექანიზმის როგორც სამეურნეო მექანიზმის ნაწილის სახით ხორციელდება. **ფინანსური მექანიზმი** არის ფინანსური ურთიერთობების, ფინანსური მეთოდებისა და ბერკეტების, ფინანსური დაგეგმვის მეთოდების, ფინანსების მართვის ფორმებისა და ფინანსური სისტემის, ფინანსური კონტროლის ფორმებისა და მეთოდების ორგანიზაციული ფორმების ერთობლიობა.

ფინანსური მექანიზმის **მთავარი ამოცანებია:** ზემოქმედება მოახდინოს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და ამის საფუძველზე უზრუნველყოს ერთობლივი ეროვნუ-

ლი პროდუქტის და ეროვნული შემოსავლის დინამიკური ზრდის ტემპი, წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯების შემცირება, მატერიალური, შრომისა და ფულადი რესურსების რაციონალური გამოყენებისა და დანაკარგების შემცირების მიღწევა.



ნახ. 3.4. ფინანსების ძირითადი ფუნქციების სქემა.

ამრიგად, ფინანსურ მექანიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში. მოქნილი ფინანსური მექანიზმის გარეშე შეუძლებელია საბაზრო ურთიერთობათა განვითარება და წარმატებების მიღწევა ამ სფეროში. ფინანსური მექანიზმის ფორმირებისას სახელმწიფო ცდილობს უზრუნველყოს მისი სრული **შესაბამისობა ფინანსურ პოლიტიკასთან,** რაც დასახული ამოცანებისა და მიზნების სრულად განხორციელების გარანტიას იძლევა. ფინანსური მენეჯმენტის ორგანიზაციული უზრუნველყოფის სისტემის აგება სხვადასხვა ტიპის **პასუხისმგებლობის ცენტრების** შექმნის გზით ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. კერძოდ: კორპორაციის საქმიანობის მასშტაბები, ამ საქმიანობის მრავალფუნქციონალურობა, პერსონალის რიცხოვნობა, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა, საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სხვ., ამიტომ პასუხისმგებლობის ცენტრების რაოდენობა და შემადგენლობის განსაზღვრა მოითხოვს ყოველი ორგანიზაციისათვის ინდივიდუალური კვლევის ჩატარებას. პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებული ცენტრები დაკომპლექტებული უნდა იყოს მაღალკვალიფიციური მენეჯერებით, რომელთაც უნარი შეწევთ არა მარტო შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები, არამედ შეიმუშაონ წინადადებები მართვის ზემდგომ ორგანოებში ფინანსური რესურსების ფორმირებისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების თვალსაზრისით მათ მიერ კონტროლირებად ქვედანაყოფის საქმიანობაში.

10.3. საწარმოს (კორპორაციული) ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული წყაროების (ანგარიშგების) ფორმირების ასპექტები

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსების მართვა ძალზედ მნიშვნელოვანია, რამეთუ კორპორაციაში ეფექტიანი ფინანსების მართვას აუცილებლად მოაქვს კიდეც მოგება. შესაბამისად, **ფინანსური მენეჯმენტი არის საქმიანობა, რომელიც მოიცავს აქტივების – მოპოვებას, ფინანსირებასა და მიზანმიმართულ ეფექტიან მართვას რაიმე მიზნის მისაღწევად.** კორპორა-

ციის ფინანსურ მენეჯმენტს აქვს **სამი ძირითადი ფუნქცია** – მიიღოს გადაწყვეტილებები: ა) ინვესტირებაზე, ბ) ფინანსირებაზე და გ) აქტივების მართვაზე.

მმართველობითი და ფინანსური აღრიცხვის მნიშვნელობა ფინანსურ მენეჯმენტში. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად გართულდა საწარმოს (კორპორაციების, ფირმების) მართვის პროცესი, რომელსაც მინიჭებული აქვს სრული სამეწარმეო და ფინანსური დამოუკიდებლობა. სამეწარმეო თავისუფლება გულისხმობს საწარმოს ორგანიზაციული ფორმის, წარმოების სფეროს, ბიზნესპარტნიორების არჩევის თავისუფლებას და ა. შ. კორპორაციის ფინანსური დამოუკიდებლობა მდგომარეობს მის სრულ თვითდაფინანსებაში, დამოუკიდებელი ფინანსური სტრატეგიის შემუშავებაში და ა. შ. ამასთან ერთად, რთულდება ბუღალტრული აღრიცხვის წინაშე მდგარი ამოცანებიც. ასეთ პირობებში გარდუვალი გახდა **მმართველობითი აღრიცხვის,** როგორც ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულების, წარმოქმნა.

მმართველობითი აღრიცხვა განისაზღვრება, როგორც კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვის დამოუკიდებელი მიმართულება, რომელიც მმართველობით აპარატს უზრუნველყოფს როგორც მთელ კომპანიას, ისე მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულებს დაგეგმვის, მართვის, კონტროლის და შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციით. ეს პროცესი მოიცავს მმართველობითი აპარატის მიერ მისი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გამოვლენას, ცვლილების გაზომვას, ჩაწერას, შეგროვებას, შენახვას, დაცვას, ანალიზს, მომზადებას, ინტერპრეტაციას, გადაცემასა და მიღებას. შესაბამისად, მმართველობითი აღრიცხვა წარმოადგენს კომპანიის მართვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს და ფუნქციონირებს ფინანსური აღრიცხვის სისტემის **პარალელურად**[27] **ფინანსური აღრიცხვის მიზანია** საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შესადგენად საჭირო ინფორმაციის მიღება, რომელიც განკუთვნილია როგორც საკუთარი ადმინისტრაციის, ისე გარეშე მომხმარებლისათვის. ფინანსური ანგარიშგების მონაცემები შესადარისი რომ იყოს, ფინანსური აღრიცხვა უნდა იქნეს წარმოებული მკვეთრად განსაზღვრული მოთხოვნებისა და პრინციპების შესაბამისად. ფინანსური აღრიცხვის ძირითად საფუძველს წარმოადგენს **დარიცხვის პრინციპი,** ე. ი. სამეურნეო ოპერაციები აისახება ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე ოპერაციების განხორციელების მომენტში, როცა საკუთრების უფლება გადავიდა გამყიდველიდან მყიდველზე, კომპანია-გამყიდველი ახდენს პროდუქტის რეალიზაციის და შესაბამისი მოგების მიღების რეგისტრაციას, რაც აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ბუღალტრული საინფორმაციო სისტემა ახდენს ანგარიშების ფორმირებას:

1) ბუღალტრული ინფორმაციის გარე მომხმარებლებისათვის;

2) პერიოდული დაგეგმვისა და კონტროლის მიზნებისათვის;

3) არასტანდარტულ სიტუაციებში გადაწყვეტილებათა მიღებისა და კომპანიის პოლიტიკის შემუშავებისათვის.

ფინანსური აღიცხვის პრეროგატივას წარმოადგენს პირველი ჯგუფის **ანგარიშგების შედგენა.** ხოლო, **მმართველობითი აღრიცხვის ამოცანას** წარმოადგენს მეორე და მესამე ჯგუფის ანგარიშგების შედგენა, რომელთა ინფორმაციაც განკუთვნილია კომპანიის მესაკუთრეებისათვის და მათი მენეჯერებისათვის. მენეჯერები საჭიროებენ ინფორმაციას, რომელიც დაეხმარება მათ გადაწყვეტილებათა მიღებაში, მმართველობითი საქმიანობის კონტროლსა და რეგულირებაში. ასეთ ინფორმაციას შეიძლება მივაკუთვნოთ: გასაყიდი (საბაზრო) ფასები, საწარმოო დანახარჯები, მოთხოვნა, კონკურენტუნარიანობა, საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობა.

მმართველობითი აღრიცხვა ერთმანეთთან აკავშირებს საწარმოს მმართველობასა და საღრიცხვო პროცესს. მმართველობითი **აღრიცხვის საგანს** წარმოადგენს კომპანიის და მისი ცალკეული სტრუქტურული დანაყოფების, ანუ პასუხისმგებლობის ცენტრების, სამეწარმეო საქმიანობა.

მმართველობით აღრიცხვაში გამოყოფენ „პასუხისმგებლობის ცენტრების" ***4 ტიპს:*** **1) დანახარჯთა ცენტრი; 2) შემოსავლის ცენტრი; 3) მოგების ცენტრი; 4) საინვესტიციო ცენტრი.**

---

[27] **ლიპარტია ზ., ზარანდია ც., გელაშვილი. მ. „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი". ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2011წ. – 306 გვ.**

მმართველობითი კონტროლი მოიცავს იმ წესებისა და პროცედურების ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება მენეჯერების მიერ პასუხისმგებლობის ცენტრების საქმიანობის შედეგების გასაზომად და იმის განსასაზღვრავად თუ რამდენად შეესაბამება მიღებული შედეგები დაგეგმილ მონაცემებს. თუ შესაბამისობა არ არსებობს, შეიმუშავებს კორექტირების ფორმებს. მმართველობითი აღრიცხვის საფუძველზე ხდება მენეჯერების მიერ მათ დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში ადეკვატური მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება. ნაწილობრივ, ეს შეიძლება გამოვლინდეს მათ მიერ სამომავლოდ შემუშავებული გეგმების კორექტირებაში. მმართველობითი აღრიცხვის ერთ-ერთი უმთავრესი **ფუნქციაა კალკულაციის ფუნქცია.** მმართველობით აღრიცხვაში შესრულებული გაანგარიშებების ბაზაზე შეიძლება განხილულ იქნეს ერთი და იმავე ამოცანის გადაჭრის განსხვავებული ვარიანტები, არჩეულ იქნეს ოპტიმალური ვარიანტი და მიღებულ იქნეს ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილება.

მმართველობით აღრიცხვაში გამოყენებული მეთოდები: ა) ფინანსური აღრიცხვის მეთოდის ელემენტები; ბ) ინდექსები და კოეფიციენტების მეთოდი; გ) ეკონომიკური ანალიზის მეთოდები; დ) მათემატიკური მეთოდები. ჩამოთვლილი მეთოდები ინტეგრირდება ერთიან სისტემაში და გამოიყენება კორპორაციულ მართვაში. როგორც წესი, მმართველობითი ანალიზის ინფორმაცია ატარებს **კონფიდენციალურ ხასიათს.**

ფინანსური აღრიცხვის წარმოება რეგლამენტირებულია ბასს-ით და საქართველოს კანონმდებლობით. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების წესიდან გადახრა, ბუღალტრული ანგარიშგების დამახინჯება და მისი წარდგენისა და გამოქვეყნების ვადების დაუცველობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება. ფინანსური აღრიცხვა წარმოებს დადგენილი ფორმატით და დადგენილი სიზუსტით საწარმოს ხელმძღვანელების სურვილის მიუხედავად.

ფინანსური აღრიცხვა დაფუძნებულია საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე, რომლებიც არეგულირებენ აღრიცხვას, შეფასებას და ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნებას. საჯარო ფინანსური ანგარიშგება ექვემდებარება აუდიტორულ შემოწმებას. **მმართველობითი აღრიცხვა** კი პირიქით, იწარმოება მენეჯმენტის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე, **არ არის რეგლამენტირებული სახელმწიფოს** მიერ, ემსახურება მხოლოდ საწარმოს (კორპორაციის, ფირმის) ინტერესებს, რაშიც გამოიხატება მისი უპირატესობა ფინანსურ აღრიცხვასთან შედარებით. მმართველობითი აღრიცხვა მეტწილად დაფუძნებულია ლოგიკაზე, გამოცდილებაზე.

დანახარჯების დაჯგუფება

ფინანსურ აღრიცხვაში დანახარჯები ჯგუფდება ეკონომიკური ელემენტების მიხედვით. ეკონომიკური ელემენტების ქვეშ იგულისხმება ფირმების დანახარჯების ერთგვაროვანი სახეები. ელემენტების მიხედვით დანახარჯების დაჯგუფება პასუხობს კითხვას: საანგარიშგებო პერიოდში რა არის წარმოებაში დახარჯული? ამასთან არ გაითვალისწინება, თუ სად და რაზე იქნა სახსრები დახარჯული.

მმართველობით აღრიცხვაში დანახარჯები ჯგუფდება საკალკულაციო ობიექტების მიხედვით საკალკულაციო მუხლების ჭრილში. დანახარჯების საკალკულაციო ობიექტების ქვეშ იგულისხმება საწარმოს პროდუქციის სახეები, რომლებიც განკუთვნილია რეალიზაციისათვის როგორც გარე ბაზარზე, ისე ორგანიზაციის შიგნით. დანახარჯების კლასიფიკაცია საკალკულაციო მუხლების მიხედვით იძლევა პასუხს კითხვაზე: რაზე და სად დაიხარჯა რესურსი? დანახარჯების ჩამონათვალი დგინდება ორგანიზაციის მიერ დამოუკიდებლად.

შესაბამისად, ფინანსურ და მმართველობით აღრიცხვაში დანახარჯების დაჯგუფებისადმი განსხვავებული მიდგომების შედეგად **მოგების ფორმირება სხვადასხვაგვარია.** ფინანსური აღრიცხვის მონაცემების მიხედვით შესაძლებელია გავიანგარიშოთ მთლიანად კომპანიის საქმიანობის **ფინანსური შედეგი.** მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაციიდან შეიძლება გავიგოთ, რამდენად მოგებიანია პროდუქციის ესა თუ ის სახე;

ანგარიშგების შედგენის პერიოდულობა.

ფინანსურ აღრიცხვაში ანგარიშგების შედგენის პერიოდულობა დადგენილია **ფასს-ით (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით).** კომპანიის სრული ფინანსური

ანგარიშგება დგება წლის ბოლოს. მმართველობით აღრიცხვაში ანგარიშგება დგება საჭიროების მიხედვით: ყოველთვიურად, ყოველკვირეულად, ყოველდღიურად და ზოგჯერ სასწრაფოდ. საწარმოს ადმინისტრაცია დამოუკიდებლად ადგენს შიდა ანგარიშგების წარდგენის შემადგენლობას, ვადებს და პერიოდულობას. მთავარი პრინციპია მიზანდასახულობა და ეკონომიურობა;

ინფორმაციის საიმედოობის ხარისხი.

ფინანსური ინფორმაცია დასაბუთებულია **დოკუმენტურად**, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი შეფასებები შეიძლება არ იყოს აბსოლუტურად ზუსტი. მმართველობითი აღრიცხვის ინფორმაცია მეტწილად ატარებს გაანგარიშების ხასიათს და ნაწილობრივ არაა დაკავშირებული ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე მომხდარ ოპერაციებთან. საწარმოს ადმინისტრაციას სჭირდება დროული ინფორმაცია და აქ ხშირად შეიძლება სიზუსტისადმი დათმობაზე წასვლა ოპერატიულობის სასარგებლოდ;

ფინანსურ აღრიცხვაში შესაძლებელია **ორი კონცეფციის** გამოყენება. **პირველი კონცეფცია** მხედველობაში იღებს მოგების გაანგარიშებას, როგორც სხვაობას რეალიზებული პროდუქციის ამონაგებსა და მის სრულ თვითღირებულებას შორის. **მეორე კონცეფცია** მდგომარეობს იმაში, რომ მოგება გაიანგარიშება როგორც სხვაობა პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს, მის საწარმოო თვითღირებულებასა და პერიოდის ხარჯებს შორის. მმართველობით აღრიცხვაში შესაძლებელია ფინანსური შედეგების განსაზღვრისადმი განსხვავებული **მიდგომა;**

ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა უდიდეს როლს თამაშობს კომპანიის განვითარებაში. მმართველობითი აღრიცხვა ყველანაირ მასალას, ინფორმაციას მოიცავს თავის თავში და ამის შედეგად იქნება მიღებული კონკრეტული გადაწყვეტილება და უკვე ამ გადაწყვეტილების შედეგად მიღებული ფინანსური შედეგი აისახება ფინანსურ აღრიცხვაში.

კორპორაციული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) მიხედვით

საქართველოს ეკონომიკაში საბაზრო ფუძემდებლური პრინციპების დამკვიდრების ერთერთი ძირითადი გზა იმ ცივილიზებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლაა, სადაც **ბუღალტრულ აღრიცხვას** (" ბიზნესის ანბანი და ენა") ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამკვიდრებული მენეჯმენტის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფის საქმეში. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ჩამოვაყალიბოთ ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების ძირითადი **მახასიათებლები, ფინანსური ანგარიშგების სართაშორისო სტანდარტების ფასს-ის საფუძველზე, (რომელიც მოიცავს ბასს-ს)**[28], კერძოდ: ბუღალტრული ბალანსი, მოგება-ზარალის უწყისი, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიში, საანრიცხვო პოლიტიკის ფორმირების პრინციპები და ა. შ. ასევე ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავების ანალიზის მეთოდოლოგიური და მეთოდური ასპექტები. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით (ბასს-ს) – ბუღალტრული აღრიცხვა განხილული უნდა იქნეს როგორც ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი წესების" სისტემა.

ბუღალტრული აღრიცხვის ზოგადად მიღებული შემდეგი სტანდარტების (კონცეფციების) გამოყოფა არის შესაძლებელი, კერძოდ:

1) **ბიზნესის ერთეულის კონცეფცია** (Business entity concept);
2) **„გახანგრძლივებული საქმიანობის" კონცეფცია** (going concrn;
3) **ისტორიული ფასის კონცეფცია** (historic cost concept);
4) **რეალიზაციის კონცეფცია** (realization concept;
5) **შესაბამისობის კონცეფცია** (accrual or matchingconsept;
6) **მუდმივობის კონცეფცია** (consistency concept;
7) **ღიადობის პრინციპი** (disclosure principle);
8) **კონსერვატიზმის დოქტრინა** (conservatism doctrine);
9) **ფულადი გაზომვის კონცეფცია** (money measurement concept);
10) **არსებითობის კონცეფცია** (materiality concept).

[28] იხ. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2010წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ორ ნაწილად. თარგმნილი საქართველოს ბაფი-ს მიერ. გამომცემლობა, შპს „დანი" თბილისი, 2011. -1448 გვ.

კორპორაციას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპების არჩევის უფლება აქვს. ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი პრინციპები (კონცეფციები) სახელმწიფო ორგანოების მიერ დგინდება. **აშშ-ში**, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დამუშავება კერძო ორგანიზაციის საქმიანობასთან – ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ფინანსურ სამმართველოსთან (Financial Accounting standards Board FASB) არის დაკავშირებული. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (International Accounting standards, IAS) ბევრად განსხვავდება აშშ-ში გამოყენებადი საერთოდ მიღებული ბუღალტრული პრინციპებისაგან (Generally Accepted Accounting principles, GAAP). აღნიშნული განსხვავებები პრაქტიკულად ფინანსური ანგარიშგების თითოეულ პუნქტში წარმოიშობა: ამორტიზაციის ნორმების, პენსიების აღრიცხვის, განვადებული გადასახადების, რეზერვების აღრიცხვაში, აქტივების შეფასებაში, რეზერვები უფულო ვალებთან მიმართებაში ან დებიტორული დავალიანების და ა. შ. ჩათვლით.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურა, შედგენის პრინციპები და წარდგენის წესი განისაზღვრება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით – **ბასს1; „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“**. როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარდგენა, გარდა წმინდა ფინანსური ანგარიშგების ვალდებულების შესრულებისა, ფირმის მარკეტინგის ზოგადი პოლიტიკის მიზნებსაც ემსახურება და, შესაბამისად, სხვადასხვა სახით და სისრულით მიეწოდება ასევე განსხვავებული ინტერესების მქონე ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელს. ფინანსური ანგარიშგებიდან ჩანს აგრეთვე, ხელმძღვანელობის მიერ რესურსების მართვის შედეგები და პასუხისმგებლობა. **იმ მომხმარებლებს, რომელთაც სურთ შეაფასონ საწარმოს მართვა ან ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულობა, ეს ინფორმაცია აუცილებლად სჭირდებათ,** რათა შეძლონ ისეთი ეკონომიკური გადაწყვეტილების მიღება, როგორიც არის: დაიტოვონ თუ გაყიდონ საწარმოში დაბანდებული კაპიტალი ან შეცვალონ თუ არა საწარმოს ხელმძღვანელობა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია ინფორმაცია საწარმოს აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების, მოგებისა და ზარალის, საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის, აგრეთვე სააღრიცხვო პოლიტიკისა და სხვა დამატებითი მაჩვენებლების შესახებ.

ფინანსურმა ანგარიშგებამ სამართლიანად უნდა წარმოადგინოს კორპორაციის (საწარმოს) რეალური ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური საქმიანობის შედეგები და საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობა. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ინფორმაციის განსაკუთრებულ წყაროს, რომელიც გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების მისაღებად როგორც საწარმოს შიგნით, ისე მის გარეთ. იგი უზრუნველყოფს ისეთი ფუნქციების განხორციელებას, როგორიცაა: დაგეგმვა, კონტროლი და შეფასება.

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია: 1) ბუღალტრული ბალანსი; 2) ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ; 3) ანგარიშგება ფულადი საშუალებების შესახებ; 4) ანგარიშგება საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ; 5) ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. ხოლო **ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:** აქტივები; ვალდებულებები; საკუთარი კაპიტალი; შემოსავლები; ხარჯები. **ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არიან:** ა) **ინვესტორები;** ბ) **მუშაკები;** გ) **კრედიტორები;** დ) **მომწოდებლები;** ე) **მყიდველები;** ვ) **სახელმწიფო, აღმასრულებელი ორგანოების** სახით; ზ) **საზოგადოება.**


ერთ-ერთი მთავარი მომხმარებლები ფინანსური ინფორმაციის არიან მენეჯრები. მათ შეუძლიათ ბუღალტერიიდან მოითხოვონ შემდეგი ინფორმაცია: რამდენია საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება; არის თუ არა საწარმოს მესაკუთრეთა მოგების ნორმა მათი მოლოდინის ადეკვატური; აქვს თუ არა საწარმოს საკმარისი ფულადი სახსრები; რომელი საქონელია უფრო მოგებიანი; როგორია წარმოებული ცალკეული პროდუქციის თვითღირებულება და სხვა. ბუღალტრული აღრიცხვის ერთერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარება. ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების საფუძველს კი წარმოადგენს **შეფასება. შეფასება არის** მომხდარი სამეურნეო ფაქტის ფულად ფორმაში განსაზღვრის პროცესი. **არსებობს შეფასების ოთხი მეთოდი:** 1) პირვანდელი; 2) მიმდინარე; 3) სარეალიზაციო 4) დისკონტირებული ღირებულებით.

ორგანიზაციათა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცედურები

განსხვავებულია საქმიანობის სფეროს მასშტაბის, სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს: 1. შედგენის პერიოდის; 2. დანიშნულების; 3. ინფორმაციის მომცველობისა და; 4. გამოყენებული შეფასების მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უნდა მოხდეს წელინადში ერთხელ მაინც. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით პირველი სამი თვის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგება ემყარება გარკვეულ **პრინციპებს და დაშვებებს,** რომელიც უნდა იცოდეს მომხმარებელმა ანგარიშგების წაკითხვისათვის. ფინანსური მდგომარეობის, ფინანსური საქმიანობის შედეგების და ფინანსურ მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია სქემატურად ასე შეიძლება წარმოვადგინოთ **(იხ. ნახ. 3-5.).**

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მოვალეობაა განსაზღვროს რამდენად შეესაბამება ერთმანეთს წლიური ანგარიშგება და სამეურნეო სუბიექტის რეალური ფინანსურეკონომიკური მდგოამრეობა, ამისათვის კი უნდა გაირკვეს, გამომდინარეობს თუ არა ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებიდან და მისი ზოგადი პრინციპებიდან. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩამტარებელ აუდიტურ ფირმას (აუდიტორს) საშუალებას აძლევს **განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მთავარი მიზანი** – გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, მომზადებულია თუ არა ფინანსური ანგარიშგება სტრუქტურული საფუძვლების შესაბამისად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.



ნახ. 3.5 ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების ურთიერთკავშირის სქემა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლად მიიჩნევა: 1) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები; 2) ბუღალტრული აღრიცხვის ეროვნული სტანდარტები; 3) ფინანსური ანგარიშგების მომზადებას სხვა უფლებამოსილი და ორგანული ჩარჩოების მოხედვით, ან მათი კომბინაციების მიხედვით. აუდიტის ჩატარებამდე აუცილებელია აუდიტორმა წინასწარ, ზოგადად გაანალიზოს ეკონომიკური სუბიექტის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა და დადგენილი საღრიცხვო პოლიტიკა.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების დროს აუცილებელია გამოყენებული იქნეს

შემდეგი ძირითადი **ფინანსური კოეფიციენტები როგორიცაა:** 1) საერთო მოგების რენტაბელობა; 2) სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი; 3) მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი; 4) მარაგის ბრუნვადობის კოეფიციენტი და ა. შ.

ამრიგად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტმა დოკუმენტურ წყაროებზე – პირველადი ბუღალტრულ დოკუმენტებზე და სხვა ეკონომიკურფინანსურ სტანდარტებზე დაყრდნობით – უნდა უზრუნველყოს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის, რეალობის, სისწორისა და ბუღალტრული აღრიცხვის სხვა ზოგადი პრინციპების დაცვის სრული სურათის ჩვენება, ის, თუ რამდენად ზუსტად ასახავს შესამოწმებელი ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური ანგარიშგება მის ფინანსურ მდგომარეობას, ეკონომიკური საქმიანობის შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას.

თავი 11.

თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგიული ანალიზის მეთოდების სისტემა

„გადარჩებიან არა ყველაზე ძლიერები და ჭკვიანები, არამედ ისინი, ვინც ყველაზე სწრაფად მოერგებიან ცვალებად გარემოს"
ჩარლზ დარვინი

11.1. მიკროეკონომიკური ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები

პოსტსოციალისტურ ეკონომიკური საქმიანობის პირობებში, ეკონომიკური **ანალიზის** დაყოფა **შინაგანი და გარეგანი ანალიზის სახეებად** არ გამოიყენებოდა, რამდენადაც მათ შორის პრინციპული სხვაობა არ აღინიშნებოდა. ყველა ის ინფორმაცია, რომელსაც საწარმო, კომპანია, გაერთიანება თუ მისი ზემდგომი ორგანიზაცია იყენებდა ეკონომიკური ანალიზისათვის მისაწვდომი იყო და გამოიყენებოდა **საგეგმო, საფინანსო, საკრედიტო** ორგანოებისა და **სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ.**

საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილება უჩვენებს, რომ **საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრებამ გამოიწვია** მმართველობითი და საფინანსო ანალიზის მიზანი და ამოცანები. **მმართველობითი ანალიზი** (შიგა სამეურნეო) ეს ისეთი ანალიზის სახეობაა, რომელიც მოიცავს კომპანიის (საწარმოს) მმართველობის ყველა საფეხურს, ყველა საწარმო ქვედანაყოფს. იგი მოიცავს მასში შემავალი ერთეულების, საამქროების, რგოლების, ბრიგადების საქმიანობის ანალიზის ჩატარებას. ანალიზის შედეგი ძირითადად განკუთვნილია შინაგანი მომხმარებლისათვის (საწარმოს მესაკუთრეები, მმართველები.

ფინანსური (გარეგანი) **ეკონომიკური ანალიზი** ემყარება ნორმატიული აქტებით დადგენილი ანგარიშების მონაცემებს, რომელიც ექვემდებარება გამოქვეყნებას (საჯარო ინფორმაციაა). როგორც უკვე აღინიშნა (იხ. ნანილი 3. თავი 10.), **ფინანსურ ანგარიშების კომპონენტები** განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (**ბასს-ის**) მოთხოვნების შესაბამისად გარეგანი ინფორმაციის მომხარებელთა წრე უფრო ფართეა. მათ მიეკუთვნება: ინვესტორები, აქციების და ფასიანი ქაღალდის მფლობელები, კრედიტორები, დაქირავებული მუშაკები (პერსონალი), ბანკები, სამთავრობო ორგანოები (საგადასახადო სამსახური), საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა. **ფინანსური ანალიზის** ჩატარებით შესაძლებელი ხდება შესწავლილ იქნეს საკვლევი ობიექტის მოგება და რენტაბელობა, საკუთარი და მოზიდული (ნასესხები) საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობა, ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგომარეობის მაჩვენებლები, კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის დინამიკა და სხვა.

კომპლექსური ანალიზის ტრადიციული მეთოდების (ხერხების) მახასიათებლები. როგორც ცნობილია, ეკონომიკური აზროვნების განვითარებას მსოფლიოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები, რომლებიც კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის იბრძოდნენ და ქმნიდნენ გენიალურ და უკვდავ ნაწარმოებებს, თავიანთი **ბრძნული აფორიზმებით** გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ გავერკვეთ მოვლენებში, მივიღოთ კარგი ცოდნა, რათა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში თავიდან ავიცილოთ შესაძლო შეცდომები და მივიღოთ ეკონომიკური ეფექტის მომცემი რაციონალური გადაწყვეტილება. ამასთან დაკავშირებით, გვინდა შემოგთავაზოთ ეკონომიკურ ლიტერატურაში ნაკლებად შესწავლილი დიდი **ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც ეკონომიკური აზროვნების საუნჯეს** წარმოადგენს. კერძოდ, ილია **ჭავჭავაძეს** განხილული აქვს ეკონომიკური კვლევის ისეთი სპეციფიკური ხერხები, როგორიცაა „შედარების მეთოდი", „საბუთიანობა" და სხვ. **დიდი ილია ქართველი ხალხის დუხჭირი ცხოვრების ძირითად მიზეზად** ბუნებათა სარგებლობის ცოდნის დაბალ დონეს თვლიდა". სხვა ქვეყნებში, სადაც **ცოდნა** აქვს ხალხსა, ოთხი დღის მიწა ისე აცხოვრებს ერთ ოჯახს, როგორც ჩვენში ოცისა და ორმოცი დღის პატრონი ვერ ცხოვრობს. რათა?" – მიმართავდა ილია ჭავჭავაძე 118 წლის წინათ, წინანმძღვრიანმთავრის სასოფლო-სა-

მეურნეო სკოლის საზეიმო გახსნაზე დამსწრე საზოგადოებას, განა იმითი, რომ ისინი მკლავ-ძარღვით ჩვენა გვჯობიანა? არა, იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან **„ხერხი სჯობია ღონესაო"**, – თქვენგანვე თქმულა და მართალიც არის"[29] ამ სიტყვების წარმოთქმიდან დიდი დრო გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ქვეყანა უმძიმეს ეკონომიკურ კრიზის განიცდის. დიდი ილიას მოწოდება დღესაც აქტუალურია, აუცილებელია ისეთი ცოდნა, რომ **ღვთით ნაბოძებ ქვეყანაში არსებული ბუნებრივ რესურსებს მაქსიმალური უკუგებით გამოაყენებინებს** ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური აღმავლობისათვის.

ცნობილია მეცნიერული კვლევის მეთოდები: დაკვირვება და ექსპერიმენტი, ანალიზი და სინთეზი; განზოგადება და აბსტრაქცია; ინდუქცია და დედუქცია და სხვა; ხოლო ყველა მეცნიერებისათვის ძირითად მეთოდს **დიალექტიკური მატერიალიზმი** წარმოადგენს, რომელიც სამყაროს შემეცნების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შედეგია.

ეკონომიკური ანალიზის **მეცნიერული კვლევის** ზოგადი მეთოდი ძირითადად ემყარება **დიალექტიკურ აზროვნებას**, რომლის საფუძველზე მას თავისი სპეციფიკური კვლევის მეთოდი გააჩნია. **მეთოდოლოგია** მეცნიერებაა კვლევის მეცნიერული ხერხების შესახებ. მეთოდი კი არის ხერხების, პრინციპების ერთობლიობაა, რომელთა დახმარებით განისაზღვრება მიზნის მიღწევის გზები. **შემეცნების** სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება. კერძოდ, **პოზიტიური, ნორმატიული, მეცნიერული, აბსტრაქცია, ექსპერიმენტი** და ა. შ.

პოზიტიური მეთოდი გულისხმობს ეკონომიკური მეცნიერების განსაზღვრული ფილოსოფიის შექმნას, ეკონომიკის ეკონომიკური გარემოს კატეგორიებისა და კანონების განვითარების შესახებ ცოდნის ფორმულირებას, ფაქტორთა სისტემატიზებისა და აღწერის, გამოცდილების, საბაზრო დაკვირვებათა და ა. შ. საფუძველზე.

ნორმატიული მეთოდი ითვალისწინებს ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის ანალიზს, რომელიც მაქსიმალური ეფექტიანობის პრინციპს ემყარება და იგი მიმართულია ისეთი შედეგების მიღწევისაკენ, რომელიც სარგებლობას მოუტანს სამეურნეო საქმიანობის მონაწილე სუბიექტს.

აბსტრაქცია საშუალებას იძლევა გამოყოს ის საფუძველი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, რომელიც სიტუაციის მართვის საშუალებას იძლევა. მეცნიერული აბსტრაქცია მოვლენათა არარსებითი მხარეების თვისებებიდან ყურადღების აზრითი გადატანა (აბსტრაგირებაა) და მათში ძირითადის, ყველაზე მთავარის მოძებნაა, რომლის საფუძველზე გამოიყვანება ეკონომიკური კატეგორიები. **აბსტრაქტული აზროვნება წარმოშობს ანალიზისა და სინთეზის მეთოდს.**

ეკონომიკურ მოვლენათა ანალიზი გულისხმობს შესასწავლი მოვლენის დანაწევრებას ცალკეულ ელემენტებად და ყოველი ელემენტის შესწავლას. სინთეზი კი გულისხმობს, რომ მოვლენა თავდაპირველად შეისწავლება, როგორც სხვადასხვა ნაწილებისაგან შემდგარ, ხოლო შემდეგ ელემენტების ერთიან მთლიანობად შეერთებით და კეთდება ზოგადი დასკვნა.

ზემოთ მოყვანილი ანალიზის მეთოდის განსაზღვრების მრავალფეროვნების გათვალისწინებით აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური ანალიზის **მეთოდის** არსი მისი სპეციალური ხერხების, წესებისა და პრინციპების ერთობლიობაში აისახება, რომელიც მიმართულია მოვლენების, პროცესების კვლევისა და შიგა სანარმოო რესურსების ამოქმედების გზების ძიებაში, მათი მეწარმეობითი საქმიანობის პროცესში ჩართვის მიზნით. ანალიზის პროცესში ასევე გამოიყენება შემეცნების ისეთი ლოგიკური მეთოდები, როგორიცაა **„ინდუქცია"** და **„დედუქცია"**. ინდუქცია" წარმოადგენს აზროვნების მეთოდს და ითვალისწინებს კერძო ფაქტებიდან ზოგადი დასკვნების გამოყვანას, ხოლო „დედუქცია", ინდუქციის მეთოდის საპირისპიროდ, გულისხმობს ზოგადიდან კერძო დასკვნების გამოყვანას.

მეცნიერული კვლევის დიალექტიკური მეთოდი ეკონომიკური საქმიანობის ანალიზის პროცესში ემყარება **დიალექტურ** აზროვნებას. აქედან გამომდინარე, ეკონომიკური ანალიზი ყველა ეკონომიკურ მოვლენას განიხილავს განვითარების პროცესში ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობაში. ანალიზის პროცესში გამოვლინდება ის ახალი, განვითარებადი, რაც კი პროგრესულია. **ეკონომიკური ანალიზის მეთოდების და სამუშაო ხერხების კლასიფიკაცია** ეკონომიკურ ლიტერატურაში წარმოდგენილია ორ ჯგუფად, კერძოდ:

---

[29] ილია ჭავჭავაძე, ტომი 5. გამომცემლობა „საქართველო", თბილისი. 1987. -399გვ.

1. ეკონომიკური ანალიზის ტრადიციული ხერხები, რომელსაც მიეკუთვნება: დანაწევრების, დაჯგუფების, შედარების, ჯაჭვური ჩასმის, აბსოლიტური კავშირების, სხვაობის, წინაფაქტორების გავლენის მითვლის ხერხი, ბალანსური კავშირების, ინდექსური, შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების გამოყენების, მაჩვენებელთა კორექტირების და სხვ.

2. ეკონომიკური ანალიზის მათემატიკური მეთოდები, რომელთა გამოყენებით მოვლენების მხოლოდ რაოდენობრივი მხარის გამოკვლევა ხდება, მაგრამ მათი როლი ეკონომიკურ ანალიზში სულ უფრო მეტად იზრდება. ეკონომიკურ მაჩვენებელთა ფაქტორული ანალიზის დროს ცალკეულ ფაქტორთა გავლენის გაზომვისათვის, ასევე პერსპექტიული ანალიზი პროგნოზების სანარმოებლად აუცილებელია მათემატიკური მეთოდების გამოყენება.

ანალიზის სისტემურობა და პროცედურების გამოყენება მონიტორინგის პროცესში

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით კიდევ უფრო იზრდება **„კომერციული ანგარიშის"** ქმედითობა, რამეთუ ფირმის ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური შედეგები ყველაზე მეტად დამოკიდებულია **„კომერციული ანგარიშის" – პრინციპების დაცვაზე. (იხ. ნახაზი 3.5.)** შესაბამისად, ამ პრინციპის დაცვის რეალობის სწორი შეფასებისათვის აუცილებელი გამოსაკვლევი ფაქტორების საწარმოზე დამოკიდებულ (შინაგანი) და დამოუკიდებელ (გარეგანი) ფაქტორებად და მათი განხილვა დეტალურად. ასევე გადამწყვეტია მენეჯერის როლი ფირმის წარმატებული ფუნქციონირების საქმეში. ანალიზის ჩატარების მეთოდოლოგიამ უნდა უზრუნველყოს მმართველობის პროგრესული ფორმების დანერგვა სამეწარმეო პრაქტიკაში.

ბლოკი 1. ობიექტის წარმოშობის ისტორიის გაცნობა, მიღწეული მდგომარეობის და პერსპექტივების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ზოგადი ანალიზი
ბლოკი 2. პროდუქციის, სამუშაოების და მომსახურების მოცულობის სტრუქტურისა და ხარისხის ანალიზი
ბლოკი 3. წარმოების დანახარჯების ანალიზი
ბლოკი 4. ძირითადი ფონდების, საწარმოო სიმძლავრეებისა და არამატერიალური აქტივების ანალიზი
ბლოკი 5. მატერიალური რესურსების გამოყენების ანალიზი
ბლოკი 6. შრომითი რესურსებისა და ხელფასის ფონდის გამოყენების ანალიზი
ბლოკი 7. პროდუქციის რეალიზაციის ანალიზი
ბლოკი 8. ფინანსური შედეგებისა და რენტაბელობის მაჩვენებლების ანალიზი
ბლოკი 9. მიმდინარე აქტივების ანალიზი
ბლოკი 10. დებიტორული დავალიანების ანალიზი
ბლოკი 11. კრედიტორული დავალიანების ანალიზი
ბლოკი 12. საკუთარი კაპიტალის ანალიზი
ბლოკი 13. მოგებისა და ზარალის ანგარიშის ანალიზი
ბლოკი 14. ლიკვიდურობის ანალიზი
ბლოკი 15. ფულადი სახსრების დენადობისა და ფინანსური პროგნოზების ანალიზი
ბლოკი 16. აქტივების გამოყენებისა და ინვესტიციებიდან მიღებული მოგების ანალიზი
ბლოკი 17. ფინანსური მდგომარეობის კომპლექსური ანალიზი.

ნახ. 3.5. კომპლექსური ანალიზის ბლოკ-სქემა.

აკადემიკოსი გ. ვ. პაპავა სამართლიანად თვლის, რომ დეტერმინირებული ეკონომიკური ფაქტორული ანალიზის მეთოდები, როგორიცაა ინდექსური, ჯაჭვური ჩასმის, ინტეგრული და სხვა, ვერ წყვეტს განმაზოგადებელ (შედეგობრივ) მაჩვენებლების ცვლილებაში ცალკეული ფაქტორ-თანამამრავლის წვლილის **ზუსტი რაოდენობრივი შეფასების ამოცანას.** უდიდესი ქართველი თვალსაჩინო მეცნიერ-ეკონომისტი გვთავაზობს ეკონომიკური ანალიზის ჩატარების ახალ მეთოდიკას, რომელიც თავისუფალია ზემოთ აღნიშნული ხარვეზებისაგან და იწოდე-

ბა ეკონომიკურ-პერიოდანტთა სისტემის მეთოდად. რომელიც ეყრდნობა სისტემურ მიდგომას და ეკონომიკური შედეგის ფორმირების ობიექტური პროცესის აღწერას.[30]

ამრიგად, თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური საქმიანობის მაღალეფექტიანი მართვის მიღწევა შესაძლებელი იქნება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაზე და მის უნარიან გამოყენებაზე მენეჯერთა მიერ. რეზერვების ძიების უნიშვნელოვანესი იარაღი იყო და არის ეკონომიკური ანალიზი, ამდენად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მაღალორგანიზებული ანალიზური შემაფასებელი სისტემის ფუნქციონირებას საწარმოს საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ეკონომიკური ანალიზი, რომელიც საბუღალტრო აღრიცხვის ბაზაზე წარმოიშვა მასთან უპირველესად არის დაკავშირებული, რამდენადაც სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ინფორმაციის ძირითად წყაროდ სწორედ ოპერატიული-ტექნიკური (მმართველობითი აღრიცხვის) და ბუღალტრული აღრიცხვის (ფინანსური აღრიცხვის) ინფორმაცია გვევლინება.

ეკონომიკური ანალიზი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაკავშირებულია **მარკეტინგთან** (ინგლ. Market – ბაზარი), რომელიც წარმოადგენს საწარმოთა ეფექტიანი სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და წარმოება-გასაღების საქმიანობის პრინციპებისა და მეთოდების სისტემას. ეკონომიკური ანალიზის საშუალებით შეისწავლება საწარმოს საქმიანობაზე მოქმედი შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ფართო წრე, მყიდველები და მომხმარებლები, ბაზრის მდგომარეობა, კონკრეტული ვითარება, ფასწარმოქმნა, საბოლოო საფინანსო შედეგების შეფასება და სხვა. ამდენად, ეკონომიკური ანალიზის მეშვეობით ხდება საწარმოს (ფირმის) მარკეტინგული პროგრამის ფორმირება და კონტროლის დაწყება მის შესრულებაზე.

სტრატეგიული ანალიზის მეთოდების ადაპტირება სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა მოწმობს, რომ კორპორაციული განვითარების სტრატეგიის ჩამოყალიბების პროცესი მოიცავს მენეჯერების მიერ ორგანიზაციის არსებული მდგომარეობის **ანალიზს,** ხოლო შემდეგ კი **სტრატეგიების შემუშავებას** მისი დანიშნულების განსახორციელებლად და მიზნების მისაღწევად.

სტრატეგიული მენეჯმენტი – ეს არის კომპანიის მენეჯერების მიერ სტრატეგიული ხედვის, მიზნების დასახვის, სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციის ფორმირების პროცესი, ასევე ხედვის, მიზნების, სტრატეგიებისა და რეალიზაციის დროული კორექტირება. შესაბამისად, ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილია **სტრატეგიული მენეჯმენტის 5 ამოცანა,** რომელიც **შედგება ხუთი** ურთიერთდაკავშირებული ნაწილისაგან, როგორიცაა:

1) კომპანიის სტრატეგიული ხედვისა და მისიის ფორმულირება;

2) მიზნების დასახვა;

3) სტრატეგიების შემუშავება.;

4) სტრატეგიების ფორმირება და რეალიზაცია;

5) განხორციელებული საქმიანობის შეფასება– სტრატეგიული ხედვის, გლობალური მიზნების, სტრატეგიისა და მისი რეალიზაციის კორექტირება მიღებული გამოცდილების, ცვალებადი ბიზნეს გარემოს, გამოვლენილი ახალი იდეებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კორპორაციას (ორგანიზაციას) აუცილებელად უნდა ჰქონდეს შემუშავებული **სტრატეგია,** რომელიც საშუალებას მისცემს გაითავისოს მიზნების მიღწევის და მისიის განხორციელების გზები. სტრატეგიის შემუშავებისას ყოველთვის ჩნდება კითხვა როგორ? – როგორ მივაღწიოთ მიზანს? როგორ ჩამოვიცილოთ კონკურენტები? როგორ მოვიპოვოთ უპირატესობა კონკურენტებთან ბრძოლაში? როგორ გავზარდოთ ფირმის პოზიციები გრძელვადიან პერსპექტივაში? როგორ მოვიყვანოთ კომპანიის სტრატეგიული ხედვა რეალობასთან შესაბამისობაში?

სტრატეგია საჭიროა როგორც მთლიანად კომპანიისათვის, ასევე მისი ცალკეული რგოლებისთვისაც – სამეცნიერო კვლევები, გაყიდვები, მარკეტინგი, ფინანსები, ადამიანური რესურ-

[30] იხ. პაპავა გ. ვ. ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011. -323 გვ.

სები და ა. შ. კომპანიის საერთო სტრატეგია გამომდინარეობს ფირმის ქცევის მოდელიდან და მენეჯერების მიერ შემოთავაზებული ახალი იდეებიდან.

კორპორაციული სტრატეგია – არის დივერსიფიცირებული კომპანიის მართვის საერთო გეგმა. კორპორაციული სტრატეგია ვრცელდება მთელს კომპანიაზე და მოიცავს საქმიანობის ყველა მიმართულებას. ის შედგება მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიყენება საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით სხვადასხვა დარგებში, აგრეთვე მოიცავს კომპანიის მართვის მეთოდებს.

დივერსიფიცირებული კომპანიისათვის **კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება ითვალისწინებს ოთხი სახის მოქმედებას, კერძოდ:**

1) ახალ დარგებში პოზიციის ათვისებასა და განმტკიცებას;

2) ყველა ქვედანაყოფის მწარმოებლურობის გაზრდას;

3) ქვედანაყოფებს შორის სინერგიული ეფექტის მიღების გზების ძიებასა და მისი კონკურენტულ უპირატესობად გარდაქმნას;

4) საინვესტიციო პრიორიტეტების შექმნას და კორპორაციის რესურსების გადადინებას უფრო მომგებიან სფეროებში.

კომპანიის სტრატეგიების ფორმირებაზე მოქმედი ფაქტორები, როგორც წესი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ამიტომაც, ვიდრე მენეჯერი დაიწყებს სტრატეგიების არჩევანს, მან წინასწარ უნდა შეაფასოს კომპანიის შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა. სტრატეგიების ფორმირება იწყება მენეჯერების მიერ ორგანიზაციის შიგნით და მის გარეთ არსებული ფაქტორების გაანალიზებით, დასმული ამოცანებისა და საერთო გარემოებების შესწავლით, რაც გაელენას ახდენს, ან შეიძლება მოახდინოს ორგანიზაციის მიერ მისი მიზნების განხორციელების უნარზე აწმყოსა და მომავალში.

„SWOT“ – ანალიზი არის ერთ-ერთი მეთოდი, რომელსაც მენეჯერები იყენებენ შიგა და გარე ფაქტორების ანალიზისათვის. **„SWOT“** – ანალიზის მიზანია – გამოიკვლიოს ბიზნესის ძლიერი და სუსტი მხარეები და საწარმოს წარმატებული ფუნქციონირების შესაძლებლობანი ბაზრის უკვე მიღწეულ და პროგნოზულ პირობებში.

„SWOT“ – ანალიზი წარმოადგენს დაგეგმვის განხორციელების პროცესს, რომლის დროსაც მენეჯერები განსაზღვრავენ ორგანიზაციის ძლიერ მხარეებს (strengths-S), მის სუსტ მხარეებს (weaknesses -W), გარემოში არსებულ შესაძლებლობებსა (opportunities-O) და მოსალოდნელ საშიშროებებს (threats-T). „SWOT“ – ანალიზზე დაყრდნობით, ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე მყოფი მენეჯერები ირჩევენ კორპორაციის, ბიზნესის და ფუნქციონალური დონის სტრატეგიებს, რათა ორგანიზაციას უკეთესი მდგომარეობა შეუქმნან თავისი მისიისა და მიზნების განსახორციელებლად (იხ. ნახ. 3.6).

SWOT ანალიზი – დაგეგმვის განხორციელების პროცესი, რომლის დროსაც განისაზღვრება ორგანიზაციის შიგნით არსებული ძლიერი და სუსტი მხარეები, გარემოში არსებული შესაძლებლობები და მოსალოდნელი საშიშროებები	**სტრატეგია კორპორაციის დონეზე** სამოქმედო გეგმა ორგანიზაციის გაზრდისა და განვითარებისათვის, რომელიც ითვალისწინებს მის მიერ ფასეულობების შექმნის შესაძლებლობების ხანგრძლივობის მაქსიმალურად გაზრდას
	სტრატეგია ბიზნესის დონეზე სამოქმედო გეგმა შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებისათვის და მოსალოდნელ საშიშროებებთან გასამკლავებლად, მოცემულ წარმოებაში კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად
	სტრატეგია ფუნქციონლურ დონეზე სამოქმედო გეგმა ორგანიზაციების დეპარტამენტებისათვის ფასეულობების შექმნის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

ნახ. 3.6. SWOT-ანალიზი სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში

„SWOT“ – ანალიზის მეორე ეტაპი იწყება, როდესაც მენეჯერები შეუდგებიან სრული მასშტაბის **„SWOT“** – ანალიზს, დაგეგმვის განსახორციელებლად, რათა განსაზღვრულ იქნას პოტენციური შესაძლებლობები და საშიშროებები იმ გარემოებებში, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზაციაზე, ან შეიძლება გავლენა იქონიონ მომავალში. პოტენციური შესაძლებლობებისა და მოსალოდნელი საშიშროების ინტერპრეტაციები ჩამოთვლილია ცხრილ 3.1-ში.

„SWOT“ – ანალიზის სიძლიერის, სისუსტის, შესაძლებლობებისა და საშიშროებების დადგენის შემდეგ, მენეჯერები ნარმართავენ დაგეგმვის პროცესს და განსაზღვრავენ სტრატეგიებს ორგანიზაციის დანიშნულებისა და მიზნების განსახორციელებლად.

„SWOT“ – ანალიზის ჩატარების შემდეგ რეკომენდებულია **„PEST“** ანალიზის ჩატარება, ორგანიზაციის შინაგანი გარემოს უფრო სიღრმისეული შესწავლისათვის, რომელიც არის ინსტრუმენტი, გათვალისწინებული: პოლიტიკური (**Polity**), ეკონომიკური (**Economy**), სოციალური (**Society**) და ტექნოლოგიური (**Teqnology**) გარემო პირობების ასპექტების გამოსავლენად, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ეკონომიკური სუბიექტის სტრატეგიასა და ტაქტიკაზე.

ამჟამად, შემუშავებულია მეურნეობრიობის **სტრატეგიული ზონის მიმზიდველობის** შეფასების სხვადასხვა მეთოდიკა, განვიხილოთ:

1) „PEST“ („ПЕСТ“) – ფაქტორების პროგნოზი იმ სტრატეგიული ზონებისათვის, რომლებიც კორპორაციას (ფირმას) აინტერესებს. პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ პირობებში შესაძლო ცვლილებების გამო მიმზიდველობის ხარისხის შეფასებისას გათვალისწინებელია მომავალი არასტაბილურობის დონე.

2) შესაბამის გარემოში მეურნეობრიობის სტრატეგიულ ზონებზე უმნიშვნელოვანესი ტენდენციებისა და მოვლენების ზემოქმედების ხარისხის ანალიზი, რომელიც ემყარება ექსპერტული შეფასების საფუძველზე არასტაბილურობის დონის როგორც გამოვლენილი შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასებას.

3) ზრდისა და რენტაბელობის წინანდელი ტენდენციების ექსტრაპოლაცია, პროგნოზირების რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით.

4) მოთხოვნის განმსაზღვრელი ანალიზი ხანმოკლე და გრძელვადიანი პერიოდისათვის, რომელიც ეყრდნობა მოთხოვნის ჩამოყალიბებულ ტენდენციაში შესაძლო ცვლილებების პროგნოზირების ხარისხობრივი მეთოდით შეფასებას.

5) რენტაბელობის განმსაზღვრელი ფაქტორების ანალიზი.

დარგის სტრუქტურული ანალიზის ინსტრუმენტი – ხუთი კონკრეტული ძალის მოდელი

სტრატეგიების შემუშავება – ანალიზზე დაფუძნებული საქმიანობაა. ამ სფეროში მენეჯერს არ ეძლევა საშუალება მიაღწიოს წარმატებას მხოლოდ მიზანსწრაფულობისა და შემოქმედებითი მიდგომის ხარჯზე.

„SWOT“ – ანალიზისათვის ჩასატარებლად დასმული კითხვების ნუსხა ცხრ. 3.1

პოტენციური ძლიერი მხარეები	**პოტენციური შესაძლებლობები**	**პოტენციური სუსტი მხარეები**	**პოტენციური საშიშროებები**
სტრატეგია კარგად შემუშავდება? ძლიერი იქნება წარმოების ხაზები? როგორი იქნება წარმოების დონე? კარგ დონეზე იქნება სავაჭრო უნარები? კარგ დონეზე იქნება მატერიალური მენეჯმენტის სისტემები?	შესაძლებელია ძირითადი ბიზნესის გაფართოება? ახალი საბაზრო სეგმენტების ათვისება? პროდუქტების სპექტრის გაფართოება? ფასების ან სპეციალიზების გაძლიერება? მრავალფეროვნების შეტანა ახალ, მზარდ ბიზნესში? უცხოურ ბა-	მოსალოდნელია სტრატეგიის სუსტად ჩამოყალიბება? წარმოების მოძველებული და ვიწრო ხაზები? საწარმოო ხარჯების გაზრდა? ნარუმატებლობა კვლევისა და განვითარების სიახლეების მხრივ? მარკეტინგის სუსტი გეგმა? მასალების მენეჯმენტის	მოსალოდნელია შეტევის განხორციელება ძირითად ბიზნეს (ებ) ზე? შიდა კონკურენციის გაზრდა? უცხოური კონკურენციის გაზრდა? მომხმარებელთა გემოვნების შეცვლა? ბარიერების გადალახვის შეუძლებლობა?

როგორი იქნება კვლევისა და განვითარების დონე და ხელმძღვანელობა? როგორი იქნება ადამიანური რესურსების მონაცემები? როგორი რეპუტაციით ისარგებლებს საფირმო მარკა? როგორი იქნება სპეციალიზირებული წარმოების ღირებულება? შესაფერისი იქნება მართვის სისტემები? როგორია სტრატეგიის შეცვლის უნარი? სხვა?	ზარზე გასვლა? კვლევისა და განვითარების (R&D) გამოყენება ახალ სფეროებში? ახალი მონათესავე ბიზნესის წამოწყება? პირდაპირი ვერტიკალური ინტეგრირება? ბარიერების გადალახვა ახალი ბიზნესის წამოსაწყებად? კონკურენტების წინააღმდეგობის შესუსტება? საფირმო მარკასთან დაკავშირებული კაპიტალის გამოყენება ახალ სფეროებში? გზების გამონახვა ბაზრის სწრაფად გასაფართოებლად? სხვა?	სუსტი სისტემები? მომხმარებელთა კეთილგანწყობის დაკარგვა? არაადეკვატური ადამიანური რესურსები? წარუმატებელი სამარკო ნიშანი? უმიმართულებოდ ზრდა? საერთო მიმართულების დაკარგვა? განყოფილებებს შორის შუღლი? ერთიანი მართვის მოშლა? ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის სისტემების შეუსაბამობა? არასასურველი კონფლიქ ტი და პოლიტიკა? სხვა?	ახალი ან შემცვლელი პროდუქტების ზრდა? წარმოების კონკურენციის გამძაფრება? ახალი ფორმის კონკურენციები? პოტენციურად არსებობს კომპანიის შთანთქმის შესაძლებლობა? მოსალოდნელი დემოგრაფიული ფაქტორების ცვლილებები? ეკონომიკური ფაქტორების ცვლილებები? ეკონომიკური ვარდნა? შრომის ფასების გაზრდა? ბაზრის გაფართოების შენელება? სხვა?


გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი სტრატეგია უნდა შევარჩიოთ, მიიღება კომპანიის შიდა და გარე გარემოს ანალიზის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სტრატეგია კარგავს სიცოცხლისუნარიანობას. ძირითადი ყურადღება ეთმობა **ფაქტორების ორ ჯგუფს:** 1) შეისწავლება დარგში არსებული სიტუაცია და კონკურენციის პირობები და 2) კომპანიის შიდა გარემო და საკუთარი კონკურენტუნარიანობა.

დარგში საერთო სიტუაციისა და კონკურენციის ანალიზის დროს გამოიყენება ისეთი ხერხები, რომლებიც გვაძლევს შესაძლებლობას სწორად შევაფასოთ დარგის ცვალებადი პირობები და განვსაზღვროთ კონკურენტული ბრძოლის ხასიათი და დონე. ეს საშუალებას იძლევა, შემუშავდეს დარგში საერთო სიტუაციის შესაბამისი სტრატეგია და განისაზღვროს მისი მიმზიდველობა, კომპანიის კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით. ანალიზი გულისხმობს კომპანიის საქმიანობის გამოკვლევას გარე გარემოსთან კავშირში. **დარგში საერთო სიტუაციისა და კონკურენციის ანალიზის** ქვაკუთხედია კონკურენტული მეტოქეობის საფუძვლიანი შესწავლა, მისი წარმოშობის წყაროების და კონკურენტული ძალების ზემოქმედების დონის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ დარგში კონკურენციის გავლენის დონე მკვეთრად განსხვავდება, უნდა აღინიშნოს, რომ კონკურენციის ხასიათი ერთგვარია, რაც საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ქვემოთ მოყვანილი სქემა იმისათვის, რომ განვსაზღვროთ მისი ბუნება და კონკურენტული ძალების ზემოქმედება.

ჰარვარდის ბიზნესის სკოლის ცნობილმა პროფესორმა **მაიკლ პორტერმა** დაასაბუთა, რომ დარგში არსებული კონკურენციის მდგომარეობა შეიძლება დავახასიათოთ **კონკურენციის ხუთი ფაქტორით ანუ ძალით, კერძოდ:** 1. დარგში კონკურენტებს შორის შეჯიბრი; 2. დარგში ახალი კონკურენტების გამოვლენის საფრთხე; 3. ახალი საქონელის ან მომსახურების – შემცვლელის გამოვლენის საფრთხე სხვა დარგებიდან; 4. მიმწოდებლების ვაჭრობის უნარი; 5. მყიდველების ვაჭრობის უნარი. შესაბამისად, პორტერის კონკურენციის 5 ძალის მოდელი (**ნახაზი 3.7**) გახლავთ ყველაზე ეფექტიანი საშუალება ძირითადი კონკურენტული ძალების ანალიზისათვის, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე და განსაზღვრავს მათი ზემოქმედების ხარისხს. ეს მოდელი ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება და გაცილებით მარტივია.

განსაკუთრებით საყურადღებოა **კონკურენციის ორი პრინციპი:** 1. ერთ-ერთი ფირმის მიერ გამოყენებული ძლიერი კონკურენტული სტრატეგია ზეგავლენას ახდენს დანარჩენ ფირმებზე; 2. კონკურირებადი ფირმები იყენებენ სხვადასხვა სახის „იარაღებს“ უპირატესობის მოსაპოვებლად, განსაზღვრავს დარგში კონკურენციის წესებს და მიგვითითებს, თუ რა უნდა გაკეთდეს წარმატების მოსაპოვებლად.

კონკურენტი ფირმების ზეგავლენის შეფასებისას, სტრატეგიაზე პასუხისმგებელმა მენეჯერებმა უნდა მოახდინონ კონკურენციის წინააღმდეგ გამოსაყენებელი მეთოდების იდენტიფიცირება, რომლის საშუალებითაც განისაზღვრება კონკურენციის განვითარების დონე და მისი ზეგავლენა შემოსავლებზე. კონკურენცია არის ინტენსიური, თუ კონკურენტიფირმების მოქმედებები ამცირებს დარგის საშუალო მოგებას. ზომიერია, როდესაც კომპანიების უმეტესი ნაწილი ღებულობს დასაშვებ ნორმალურ მოგებას და სუსტია, როდესაც კომპანიათა უმეტესი ნაწილი საშუალო დონეზე მაღალი მოგების მისაღებად რესურსებს აბანდებს მხოლოდ საწარმოო ინვესტიციებში. მეტოქეობის ხშირი და მძაფრი გართულება დარგში კონკურენტულ ბრძოლას ამკაცრებს.



ნახ. 3.7. კონკურენციის 5 ძალის მოდელი – კონკურენტული გარემოს ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტი.

შესაბამისად, **კონკურენციის ხუთი ძალის მოდელის ღირებულება** მდგომარეობს იმაში, რომ ის ხელს უწყობს ამ ძალების სტრუქტურის განსაზღვრას. იმისთვის, რომ შევაფასოთ კონკურენტული გარემო, ხელმძღვანელობამ უნდა შეაფასოს თითოეული ამ ძალის შესაძლებლობები. ამ ძალების ერთობლივი ზემოქმედება ზეგავლენას ახდენს ბაზარზე არსებული კონკურენციის ხასიათზე. როგორც წესი, *რაც უფრო ძლიერია კონკურენტული ძალების ზემოქმედება, მით უფრო დაბალია კონკურენტი ფირმების მოგების დონე.* კონკურენცია მძაფრდება მაშინ, როდესაც ეს ხუთივე ძალა ქმნის მკაცრ საბაზრო პირობებს. მოგების თვალსაზრისით, დარგში არსებული კონკურენციის სტრუქტურა აშკარად არ არის მიმზიდველი, თუკი კონკურენცია გამყიდველებს შორის მეტისმეტად მძაფრია, ბაზარზე შეღწევის ბარიერები დაბალია, კონკურენცია საქონელშემცვლელის მხრიდან მაღალია; ასეთ დროს როგორც გამყიდველები, ასევე მყიდველები მნიშვნელოვან სარგებელს ღებულობენ გარიგების შემთხვევაში. მაგრამ თუ კონკურენტული ძალები მთლიანობაში ვერ ახერხებენ მოახდინონ ზეგავლენა დარგში არსებულ ვითარებაზე, მაშინ ეს დარგი მაღალი მოგების მიღების თვალსაზრისით არის ხელსაყრელი და მიმზიდველი.

იმისათვის, რომ კომპანია (ფირმა) წარმატებით გამოვიდეს ბაზარზე და კონკურენციის ძალებმა მასზე უარყოფითად არ იმოქმედოს, მენეჯერებმა უმდა შეიმუშაონ შემდეგი სახის **სტრატეგია:**

1) მოახდინონ კომპანიის იზოლირება კონკურენციის ხუთი ძალისაგან, რამდენადაც ეს შესაძლებელია;

2) ზემოქმედება მოახდინონ დარგში არსებულ კონკურენციის წესებზე და შეცვლონ სასურველი მიმართულებით;

3) უზრუნველყონ მყარი, საიმედო პოზიცია, რომელიც იქნება კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების გარანტი.


ამრიგად, კონკურენციის ხუთი ძალის მოდელი – ეს ის ინსტრუმენტია, რომელიც ხელს შეუწყობს მენეჯერებს დასახული ამოცანის განხორციელებაში, თუ კი ისინი გაანალიზებენ დარგში არსებულ კონკურენტულ გარემოს და განსაზღვრავენ მისი განვითარების პერსპექტივას.

დანახარჯების სტრატეგიული ანალიზი და ფასეულობათა ჯაჭვი

იმისთვის, რომ კომპანია იყოს კონკურენტუნარიანი, მისი დანახარჯები ნაწილობრივად მაინც უნდა შეესაბამებოდეს კონკურენტების დანახარჯებს. იმ დროს, როდესაც განსაზღვრული სხვაობა დანახარჯებს შორის მისაღებია, როდესაც კონკურენტების საქონელი არსებითად დიფერენცირებულია, მით უფრო დაუცველია მაღალი დანახარჯების მქონე ფირმების საბაზრო პოზიცია, რამდენადაც მათი დანახარჯები აღემატება მათი უშუალო კონკურენტების დანახარჯებს. შესაბამისად, რაც უფრო მაღალია კომპანიის დანახარჯები მისი უშუალო კონკურენტის დანახარჯებთან შედარებით, მით უფრო დაუცველია ამ კომპანიის პოზიცია ბაზარზე. რამდენადაც დანახარჯების განსაზღვრა შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის მიხედვით, კომპანია ვალდებულია დაადგინოს, რამდენად შეესაბამება მისი პროდუქციის **ფასი** კონკურენტების ფასებს. ასეთ სიტუაციაში გამოიყენება **დანახარჯების სტრატეგიული ანალიზი,** რომელიც კონცენტრირებულია იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება კომპანიის დანახარჯები მისი კონკურენტის დანახარჯებს.

კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვის კონცეფცია. დანახარჯების სტრატეგიული ანალიზის უმნიშვნელოვანესი ნანილია *ფასეულობათა ჯაჭვი,* რომელიც განსაზღვრავს საქონელის ან მომსახურების შემუშავების, წარმოების, მარკეტინგის, პროდუქციის მიწოდების, მხარდაჭერისა და მომსახურების განსაზღვრულ საქმიანობას, ფუნქციებსა და პროცესს. ფასეულობათა ჯაჭვი, რომელიც ქმნის სხვადასხვა საქმიანობების სახეების ღირებულებას, იწყება ნედლეულის უზრუნველყოფით და შემდგომ გრძელდება სხვადასხვა ნაწილის ან კომპონენტების წარმოების პროცესში, პროდუქციის გამოშვების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ან საბოლოო მომხმარებლების მომსახურების დროს.

კომპანიის ფასეულობათა ჯაჭვი ასახავს ერთმანეთთან დაკავშირებული საქმიანობების მიმართულებებსა და ფუნქციებს, რომლებიც ხორციელდება ფირმის შიგნით (**იხ. ნახ. 3.8**). ეს ჯაჭვი თავისთავში მოიცავს მოგების ზღვარს, რადგანაც, ღირებულების შექმნისათვის ფირმის დანახარჯებზე დანამატი, რომლებიც წარმოიშობა ფასების ჩამოყალიბების პროცესში, ჩვეულებრივ, შედის საბოლოო ფასში (ან სრულ დანახარჯებში), მყიდველების მიერ გადახდილი ფასური – განეულ ხარჯებზე უფრო მეტი შემოსავლის მიღება – **ეს არის ბიზნესის უმთავრესი მიზანი.**



ნახ. 3.8. კომპანიის სტანდარტული ფასეულობათა ჯაჭვი.

ამრიგად, ფასეულობათა ჯაჭვი კომპანიას აძლევს საშუალებას – განსაზღვროს ძირითადი და დამატებითი საქმიანობები, რომლებიც მომხმარებლისათვის ქმნიან გარკვეულ ღირებულებებს. ფასეულობათა ჯაჭვის საფუძველზე შეგვიძლია გავაკეთოთ სტრატეგიული შეფასება საქმიანობის სახეებს შორის კავშირის მიხედვით, რომელიც ხორციელდება კომპანიის შიგნით და გარეთ, რაც მნიშვნელოვანია სტრატეგიის შემუშავებისათვის, აგრეთვე იმის განსაზღვრისათვის, თუ როგორ შეიძლება გავაძლიეროთ არსებული უპირატესობა.

მიკროეკონომიკურ დონეზე სუბიექტების **ეკონომიკური უსაფრთხოების** მიღწევაში მნიშვნელოვანი როლი უკავია **ოპერაციულ-ღირებულებით ანალიზს – ABC (Aqtivity Bazed Costing),** რომელიც არის დანახარჯებისა და მწარმოებლურობის გაზომვის მეთოდი, დაფუძნებული ოპერაციებსა და დანახარჯების მატარებლებზე. ოპერაციულ-ღირებულებითი ანალიზის **(ABC) მიზნებს** წარმოადგენს: 1) დანახარჯების გაანგარიშება ძირეული ოპერაციების შესრულებაზე, მათი ურთიერთკავშირის გათვალისწინებით; 2) დანახარჯების შემცირება და კორპორაციის მუშაობის შედეგიანობის ამაღლება; 3) დანახარჯების ეფექტიანი მართვა; 4) ინფორმაციის შეგროვება და გამოყენება ოპერაციების თვითღირებულებასა და ბიზნესპროცესებზე; 5) დამატებითი ინფორმაციების (რაოდენობრივი, ხარისხობრივი) შეკრება და გამოყენება მმართველობითი გადაწყვეტილების მისაღებად.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული სტრატეგიული ანალიზური კვლევების: **„SWOT“** – ანალიზი, **„PEST“** – ანალიზი, **დარგის** სტრუქტურული ანალიზის **ინსტრუმენტი – ხუთი კონკრეტული ძალის მოდელი, დანახარჯების სტრატეგიული ანალიზი და ფასეულობათა ჯაჭვი, ოპერაციულ-ღირებულებითი ანალიზი – „ABC“** და სხვა მეთოდების გამოყენებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური სუბიექტის უსაფრთხოებისათვის ოპერატიული ღონისძიებების შემუშავებაში სიტუაციური პრობლემების გადასაჭრელად, რათა თავიდან იქნას აცილებული სუბიექტის მიმართ სხვადასხვა სახის გაუთვალისწინებელი და მოსალოდნელი საფრთხეები. სტრატეგიული ანალიზის განხორციელება პროფესიონალურ დონეზე ხელს უწყობს გამოვლინდეს სტრატეგიის უპირატესობები და ნაკლოვანებები, კომპანიის შესაძლებლობები და სისუსტეები, აგრეთვე კომპანიის უნარი, შეინარჩუნოს საკუთარი პოზიციები მკაცრი კონკურენციის პირობებში. ეს ინფორმაცია ხელს უწყობს მენეჯერებს შეიმუშაონ კომპანიის **მოთხოვნების ადეკვატური სტრატეგია.**

11.2. რესურსული პოტენციალის ანალიზი და კონკურენციული უპირატესობის შეფასება

„კომპანიის რესურსების შეფასების დროს დიდი შეცდომაა – არ შეადარო ის კონკურენტების რესურსებს“.
დევიდ კოლინზი და სინტია მონტგომერი

როგორც უკვე აღინიშნა, მაიკლ პორტერის კონკურენციის 5 ძალის მოდელი **(ნახ. 3-7)** ყველაზე ეფექტიან საშუალებად განიხილება ძირითადი კონკურენტული ძალების ანალიზისა და დარგში საერთო სიტუაციის შესაფასებლად. ზოგადად ცნობილია, რომ დარგები ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, შიგა კონკურენციის პირობების მუდმივი ცვალებადობის, განვითარების პერსპექტივის, გარე გარემოს ძალების ცვლილებებით, მოთხოვნილების ცვლილებებით და ა. შ. შესაბამისად, დარგში საერთო სიტუაციისა და კონკურენციის ანალიზის გამოყენება გვაძლევს შესაძლებლობას სწორად შევაფასოთ დარგის ცვალებადი პირობები და განვსაზღვროთ კონკურენტული ბრძოლის ხასიათი და დონე. ეს საშუალებას იძლევა, შემუშავდეს დარგში საერთო სიტუაციის შესაბამისი სტრატეგია და განისაზღვროს მისი მიმზიდველობა, კომპანიის კაპიტალის დაბანდების თვალსაზრისით. ანალიზი გულისხმობს კომპანიის საქმიანობის გამოკვლევას გარე გარემოსთან კავშირში.

დარგში საერთო სიტუაციისა და კონკურენციის ანალიზის ჩატარების **მიზანია,** გაეცეს პასუხი ქვემოთ ჩამოთვლილ **7 კითხვაზე, კერძოდ:**

1. როგორია დარგის დამახასიათებელი ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები?
2. რომელი კონკურენტული ძალები მოქმედებენ დარგში და როგორია მათი ზეგავლენა?

3. რა იწვევს გარე გარემოსა და დარგში კონკურენციის ძალების სტრუქტურაში ცვლილებებს?
4. რომელ კომპანიებს აქვთ ყველაზე ძლიერი ან სუსტი კონკურენტული პოზიციები?
5. როგორია კონკურენტების შესაძლო სტრატეგიული მოქმედებები?
6. რომელია კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების საკვანძო ფაქტორები?
7. როგორია დარგის საერთო მიმზიდველობა და საშუალო დონეზე მაღალი მოგების მიღების პერსპექტივები?

ტერმინი **დარგი** აღნიშნავს იმ ფირმების ჯგუფებს, რომელთა პროდუქციას აქვს მსგავსი სამომხმარებლო თვისებები და გამიზნულია ერთი და იგივე მომხმარებლისათვის. დარგის ეკონომიკური მახასიათებლები მნიშვნელოვანია, რადგანაც ისინი გარკვეულ როლს თამაშობენ სტრატეგიის შემუშავების პროცესში. **ცხრილ 3.2**-ში ნაჩვენებია, როგორ მოქმედებენ დარგისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მაჩვენებლები კომპანიის სტრატეგიებზე.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში მამოძრავებელი ძალების ანალიზს პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. უპირველეს ყოვლისა, მამოძრავებელი ძალები მენეჯერებს აძლევენ საშუალებას განსაზღვრონ, თუ რომელი შიდა ძალები მოახდენენ ზეგავლენას კომპანიის საქმიანობაზე უახლოესი 1-3 წლის მანძილზე. მეორე, იმისათვის, რომ კომპანიები მოერგონ არსებული ძალების ზემოქმედებას, ხელმძღვანელებმა უნდა განსაზღვრონ თითოეული მათგანის ზემოქმედების მასშტაბები და შედეგები. ე. ი. წინასწარ უნდა განსაზღვრონ, თუ რა ზეგავლენას მოახდენენ ისინი დარგზე. მესამე, რაც მთავარია, სტრატეგიის შემმუშავებელმა მენეჯერებმა უნდა მოარგონ ისინი მამოძრავებელ ძალებს.

დარგისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეკონომიკური მახასიათებლები ცხრ. 3.2.

	ფაქტორები სტრატეგიული მნიშვნელობა
ბაზრის სიდიდე	– მცირე ზომის ბაზრები არ იზიდავს მსხვილ ახალ კონკურენტებს; ფართო მასშტაბის ბაზრები მიმზიდველია ისეთი კომპანიებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ისეთი ფირმების შეძენით, რომლებიც მიმზიდველ დარგში ფლობენ კონკურენტულ უპირატესობას.
ბაზრის ზრდის ტემპები	– სწრაფი ზრდა იძლევა ბაზარზე ადვილად შესვლის შესაძლებლობას, ხოლო ზრდის შენელების გამო უფრო სუსტი ფირმები მიდიან ბაზრიდან.
საწარმოო სიმძლავრეების სიჭარბე ან ნაკლებობა	– ჭარბი საწარმოო სიმძლავრეების არსებობა ამცირებს მოგებას და ფასებს, ხოლო საპირისპირო შემთხვევაში ხდება მათი ზრდა.
დარგის მოგებიანობა	– მაღალი მოგებიანობის ზრდა ხელს უწყობს ბაზარზე ახალი კომპანიების გამოჩენას, ხოლო წარუმატებლობა – ამ კომპანიების შემცირებას.
ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის საფრთხეები	– მაღალი ბარიერები იცავს ფირმის პოზიციებს არსებულ ბაზარზე, დაბალი ბარიერები – ხელს უწყობს ახალი კონკურენტების წარმოჩენას.
ფასი – მომხმარებლებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია	– მომხმარებლების უმეტესობა ირჩევს დაბალფასიან პროდუქციას.

სტანდარტული პროდუქცია	– პროდუქციის მაღალი სტანდარტიზაციის პირობებში მომხმარებლები ფლობენ უპირატესობას, რადგანაც მათ აქვთ გამყიდველის არჩევანის საშუალება.
სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები	– იზრდება რისკის ფაქტორი: ინვესტიციები ნაკლებად პროდუქტული ხდება სწრაფი მორალური მოძველების გამო.
აუცილებელი კაპიტალდაბანდების სიდიდესთან დაკავშირებული მოთხოვნები	– მკაცრი მოთხოვნები ზრდის რისკის ფაქტორს, აუცილებელია დროის სწორად განსაზღვრა, იქმნება ბაზარზე შესვლისა და გამოსვლის ბარიერები.
ვერტიკალური ინტეგრაცია	– ზრდის მოთხოვნებს კაპიტალდაბანდების მიმართ ჩნდება განსხვავებები კონკურენტუნარიანობასა და დანახარჯრბში, რომელიც მიმართულია ინტეგრირებული, ნახევრად ინტეგრირებული და არაინტეგრირებული წარმოების შექმნაზე.
ეკონომია წარმოების მასშტაბზე	– ზრდის ბაზრის წილს, რომელიც ხელს უწყობს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებას ხარჯების შემცირებით.
პროდუქციის ასორტიმენტის სწრაფი განახლება	– ამცირებს პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, იზრდება რისკის ფაქტორი, როდესაც კონკურენტებს თავისუფლად შეძლიათ დაიკავონ წამყვანი პოზიციები ახალი პროდუქციის წინსვლით.

კონკურენციის მამოძრავებელი ძალები. იმის ანალიზისათვის, თუ რომელ სტადიაზე იმყოფება არსებული დარგი, განსაზღვრის მნიშვნელობის მიუხედავად, აუცილებელია გამოვავლინოთ ის ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენს დარგში მომხდარ ცვლილებებსა და კონკურენციის დონეზე. დარგში პირობები და კონკურენციის დონე სისტემატურად იცვლება, რადგანაც განსაზღვრული **ძალები მოძრაობაშია** და ხელს უწყობს ცვლილებებს. ძალები, რომლებიც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ და განსაზღვრავენ **ცვლილებების ხარისხს,** ცნობილია, როგორც „მამოძრავებელი" ძალები,. რომელთა ანალიზი მოიცავს **ორ ეტაპს: 1).** ყველაზე მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალის განსაზღვრა; **2).** დარგზე მათი ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა.

მამოძრავებელი ძალები, რომლებიც ყველაზე ხშირად გვხვდება. უმეტესი ფაქტორები იმდენად ძლიერ ზეგავლენას ახდენენ დარგზე, რომ ისინი აღიქმება, როგორც მამოძრავებელი ძალები. ზოგიერთი მათგანი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ზოგიერთი კი შეიძლება გაერთიანდეს რამდენიმე ძირითადი ჯგუფის სახით.

დარგის ეკონომიკური ზრდის გრძელვადიან ტენდენციებში ცვლილება. დარგის ზრდის ტემპების გაზრდა ან შემცირება – მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგანაც ისინი ზეგავლენას ახდენს მოთხოვნა-მიწოდების ურთიერთკავშირზე, ბაზარზე შეღწევისა და იქიდან გასვლის პროცესებზე, იმაზე, თუ რამდენად რთულია ფირმისათვის მიაღწიოს გაყიდვის სასურველ მასშტაბებს. მოთხოვნილების სისტემატური ზრდა, რომელიც გარკვეული დროის მანძილზე გრძელდება, ხშირად ბაზარზე იზიდავს ახალ კომპანიებს და სტიმულს აძლევს ფირმებს ინვესტიციების განხორციელებისათვის. შეზღუდულ ბაზარზე ბევრი კომპანია ღებულობს გადაწყვეტილებას გასვლის შესახებ, დარჩენილები კი ხურავენ ნაკლებად ეფექტიან საწარმოებს და ამცირებენ პროდუქციის წარმოებას.

ცვლილებები მომხმარებელთა რიგებსა და პროდუქციის გამოყენების მეთოდებში. დემოგრაფიული ცვლილებები, ასევე პროდუქციის გამოყენების ახალი მეთოდების წარმოქმნა გამოიწვევს მთელ რიგ ცვლილებებს მომსახურების სფეროში, რომელიც განკუთვნილია მომხმარებლებისათვის (კრედიტი, ტექნიკური დახმარება, რემონტი), ასევე გამოიწვევს ცვლილებებს გასაღების ქსელებში (დილერები, საცალოდ მოვაჭრეები), აიძულებს გამყიდველებს შეამცირონ საწარმოო პროდუქციის რაოდენობა, მთლიანად შეცვალონ მიდგომა რეალიზაციისა და რეკლამის მიმართ.

ახალი პროდუქციის დანერგვა. ახალი პროდუქციის დანერგვამ შეიძლება გამოიწვიოს მომხმარებელთა წრის გაფართოება, კვლავ მისცეს იმპულსი დარგის განვითარებას და კონკურენტ გამყიდველ-კომპანიებში გაზარდოს საქონლის დიფერენციაციის დონე.

ტექნოლოგიური ცვლილებები. ტექნოლოგიური უპირატესობა ძირეულად ცვლის დარგის შიდა გარემოს, რაც გულისხმობს ახალი ან უკეთესი ხარისხის პროდუქციის წარმოებას ნაკლები დანახარჯებით, შესაბამისად, დარგში ჩნდება ახალი შესაძლებლობები. ტექნოლოგიური განვითარება ზეგავლენას ახდენს აუცილებელი კაპიტალდაბანდების მოცულობაზე, საწარმოს სიდიდეზე, რენტაბელობის მინიმალურ დონეზე, სარგებლის მიღებას ვერტიკალური ინტეგრაციის ხარჯზე, ასევე „სწავლება/გამოცდილების“ ეფექტზე.

ცვლილებები მარკეტინგის სისტემაში. ფირმებს, რომლებიც იყენებენ ახალ მარკეტინგულ მეთოდებს, შეუძლიათ გამოიწვიონ მომხმარებელთა დაინტერესება საკუთარი პროდუქციის მიმართ, გაზარდონ მოთხოვნილება დარგში არსებულ ყველა პროდუქტზე, გაზარდონ პროდუქციის დიფერენციაცია ან შეამცირონ ერთეული პროდუქციის თვითღირებულება – ყველაფერმა ამან შეიძლება შეცვალოს კონკურენტი კომპანიების პოზიციები, ან აიძულოს ისინი შეიტანონ ცვლილებები სტრატეგიაში.

მსხვილი კომპანიების ბაზარზე შესვლა ან გასვლა. უცხოური კომპანიების გამოჩენა ბაზარზე, სადაც ადრე დომინირებდნენ ადგილობრივი ფირმები, უმეტეს შემთხვევაში, ცვლის კონკურენციის პირობებს. ზუსტად ისე, როდესაც ადგილობრივი ფირმა გადადის ახალ დარგში და განიზრახავს რომელიმე კომპანიის შესყიდვას ან საკუთარი, სრულიად ახალი საწარმოს შექმნას. საკუთარი გამოცდილებისა და არსებული რესურსების საშუალებით ცდილობს ახალი ელემენტები შეიტანოს კონკურენტულ ბრძოლაში. ბაზარზე მსხვილი კომპანიის გამოჩენა შეიტანს ერთგვარ გარდატეხას არა მარტო მოწინააღმდეგე კომპანიებში, არამედ შეცვლის მთლიანად კონკურენციის ხასიათს. მაშასადამე, მსხვილი კომპანიის გასვლა ბაზრიდან გულისხმობს დარგში **კონკურენციის სტრუქტურის** შეცვლას, მცირდება ლიდერთა რაოდენობა და მძაფრდება ბრძოლა კომპანიებს შორის, დარგიდან გასული კომპანიების მომხმარებელთა მოსაპოვებლად.

„ნოუ-ჰაუს“ გავრცელება. იმის მიხედვით, თუ როგორ ვრცელდება წარმოების მოწინავე მეთოდები, მცირდება „ნოუ-ჰაუს“ მფლობელ ფირმათა კონკურენტული უპირატესობა. ინფორმაციის ასეთი სახით გავრცელება ხდება ტექნიკური ჟურნალების, სარეკლამო გამოცემების საშუალებით, სხვადასხვა დელეგაციის მიერ საწარმოების დათვალიერებით, საუბრებით მიმწოდებელსა და მომხმარებლებს შორის, საწარმოებიდან კვალიფიცირებული სპეციალისტების წასვლით. ტექნოლოგიების გადაცემა ხდება ასევე ლიცენზიის გაყიდვით ან ისეთ კომპანიასთან მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც დაინტერესებულია მსგავსი ტექნოლოგიით.

დარგის მზარდი გლობალიზაცია. დარგის გლობალიზაცია შეიძლება მოხდეს სხვადასხვა მიზეზით. ერთ ან რამდენიმე ნაციონალურ ფირმას შეუძლიათ იმოქმედონ გრძელვადიანი აგრესიული სტრატეგიით, რათა მოიპოვონ წამყვანი პოზიციები საერთაშორისო ბაზარზე. შესაძლებელია, მოულოდნელად უცხოურ ქვეყნებში გაუჩნდეს მოთხოვნა დარგში წარმოებულ პროდუქციაზე. შეიძლება მოიხსნას სავაჭრო ბარიერები. ტექნოლოგიის განვითარება ბევრ უცხოურ კომპანიას აძლევს შანსს სრულფასოვნად შეაღწიონ ახალ ბაზარზე.

ადამიანური რესურსების ღირებულებაში განსხვავებები, რომლებიც შეინიშნება სხვადასხვა ქვეყნის მიხედვით, წარმოშობს ახალი საწარმოების აშენების აუცილებლობას, რომლებიც ორიენტირებული იქნება შრომატევადი პროდუქციის წარმოებაზე დაბალი ან საშუალო ანაზღაურების მქონე ქვეყნებისათვის (კორეა, სინგაპური, ტაივანი). ეკონომია მნიშვნელოვნად იზრდება ასევე წარმოების მასშტაბზე, როდესაც კომპანიის საქმიანობა გადაიტანება ადგილობრივიდან საერთაშორისო ბაზარზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების სწრაფად მზარდი შესაძლებლობაა, ერთი ქვეყნიდან მეორეში პროდუქციის გადატანა, მიიღწევა მარკეტინგული და მმართველობითი „ნოუ-ჰაუ“ უმცირესი დანახარჯებით, ვიდრე ამას შეძლებს ერთ ქვეყანაში მოღვაწე კომპანია, ეს სერიოზულ კონკურენციულ უპირატესობას ანიჭებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებს.

ამრიგად, გლობალიზაცია ცვლის კონკურენციის პირობებს დარგში მოღვაწე წამყვან ფირმებს შორის, რითაც ზოგიერთი კომპანიისათვის შეიქმნება ხელსაყრელი გარემო, ხოლო ზოგიერთისთვის კი – პირიქით. ეს არის გლობალიზაციის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც

უშუალო კავშირშია იმ დარგებთან: ა) რომლებიც დაკავშირებული არიან ბუნებრივ რესურსებთან (ნავთობის, სპილენძის, ბამბის, და ა. შ. წარმოება გაფანტულია მთელ მსოფლიოში), ბ) პროდუქციაზე დაბალი ფასებია – ძირითადი მოთხოვნაა (აუცილებელია საწარმოების ისეთ ქვეყნებში განთავსება, სადაც დანახარჯები დაბალია) და გ) ერთი ან რამდენიმე მზარდი კომპანია ახალი ბაზრების ძიებაში ცდილობს დაიპყროს საბაზრო პოზიციები იმდენ ქვეყანაში, რის საშუალებასაც მათი რესურსები იძლევა.

დანახარჯების სტრუქტურისა და მწარმოებლურობის ცვლილება. დარგებში, სადაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნარმოების მასშტაბის ეკონომიას ან „სწავლება-გამოცდილების“ ეფექტს, ფირმებს დაბალი ფასების საფუძველზე შეუძლიათ მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა. ასეთ შემთხვევაში ფირმები ცდილობენ ბაზარზე გაზარდონ საკუთარი წილი, რადგანაც ეს იქცევა მნიშვნელოვან უპირატესობად, დარგში მთავარი აქცენტი არ კეთდება „ზრდაზე“ და უმეტესი კომპანიები ისწრაფვიან გამოიყენონ წარმოების მოცულობის გაფართოების სტრატეგია. ასევე წარმოების ძირითადი ფაქტორების (ნედლეული, ხელფასები) ფასების სწრაფმა ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ბრძოლა მისაღებ ფასად პროდუქციის საიმედო მიმწოდებელზე ან კომპანიები იძულებულნი გახდებიან ეძებონ საქონელ-შემცვლელები. ხარჯების სტრუქტურაში ან მწარმოებლურობაში მომხდარი ნებისმიერი ცვლილება მყისიერად ცვლის ფირმის პოზიციას კონკურენტულ ბრძოლაში.

სამომხმარებლო მიმზიდველობის გადასვლა დიფერენცირებული პროდუქციიდან სტანდარტულზე (ან პირიქით). ზოგჯერ მომხმარებლები მიიჩნევენ, რომ ხელსაყრელი ფასის სტანდარტული პროდუქცია მათ მოთხოვნილებებს ისევე აკმაყოფილებს, როგორც ძვირად ღირებული მაღალი კლასის საქონელი. მომხმარებელთა გემოვნების ეს ცვლილება მიგვიყვანს მასიური წარმოების პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდისკენ და იზრდება კონკურენცია **ფასებთან** მიმართებაში. მოვლენების ამგვარი განვითარება იმდენად დიდ ზეგავლენას ახდენს ბაზარზე, რომ მწარმოებლებს სხვა არაფერი დარჩებათ, გარდა იმისა, რომ აქტიურად ჩაერთონ დაბალი ფასების კონკურენციაში. მეორე მხრივ, როდესაც გამყიდველებს გააჩნიათ უნარი გაზარდონ მუდმივ მომხმარებელთა რაოდენობა ახალი პროდუქციის ნარმოების საფუძველზე, მისი დიზაინის შეცვლით, საქონელზე ახალი ფუნქციის მინიჭებით, შეფუთვისა და სარეკლამო კამპანიის საშუალებით, საკუთარი პროდუქციის მკვეთრი იმიჯის შექმნით, – ეს საშუალებას მისცემს მათ, თავი დააღწიონ სტანდარტულ პროდუქციას. ამ შემთხვევაში ფირმა ვალდებულია აწარმოოს ისეთი პროდუქცია, რაც განასხვავებს მას კონკურენტებისაგან. **დარგის განვითარება** დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზეგავლენას ახდენენ მასში მოქმედი ძალები დიფერენცირებულ საქონელზე, იზრდება თუ პირიქით, იკლებს მის მიმართ ინტერესი.

კანონმდებლობასა და სამთავრობო პოლიტიკაში ცვლილებების გავლენა. ქვეყანაში არსებულმა კანონებმა და მთავრობის მიერ განხორციელებულმა მოქმედებებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული ცვლილებები ფირმის საქმიანობასა და მის სტრატეგიაში. აშშ-ს პრაქტიკა მოწმობს, რომ სახელმწიფო რეგულირების უარყოფა იყო ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა ისეთ დარგებში, როგორიც არის საბანკო საქმიანობა, ბუნებრივი გაზის მოპოვება, ავიაგადაზიდვები, ტელეკომუნიკაციები. **აშშ-ის მთავრობის** მიერ შემოთავაზებული წინადადება **უნივერსალური სამედიცინო დაზღვევის თაობაზე,** გახლავთ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი ჯანდაცვის სისტემისათვის. **საერთაშორისო ბაზარებზე** სახელმწიფოს მიერ ამოქმედებული **დამცავი მექანიზმები,** რომლებიც მიზნად ისახავს საკუთრი ბაზრის დაცვას უცხოური კომპანიებისაგან, ან პირიქით, მათთვის საზღვრების გახსნა, არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი **კონკურენტულ** ბრძოლაში.

ცვლილებები საზოგადოებრივ ღირებულებებში, ორიენტაციასა და ცხოვრების სტილში. ახალი პრობლემების წარმოქმნა, ის რაც ანუხებს საზოგადოებას, განსხვავებული მიდგომა ზოგიერთი საქონლის მიმართ, ცვალებადი ცხოვრების სტილი, – ყველაფერი ეს იწვევს დარგში სერიოზულ გარდაქმნებს. მომხმარებელთა შეშფოთება პროდუქციაში მარილის, შაქრის, ქოლესტერინისა და სხვადასხვა ქიმიური დანამატის მატებასთან დაკავშირებით, აიძულებს კვების პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებს შემოიტანონ ახალი ტექნოლოგიები და აწარმოონ უფრო ჯანსაღი პროდუქტი. **უსაფრთხოების საკითხებზე ზრუნვას** მოჰყვება ცვლილებები ავტომობილების, სათამაშოებისა და მძლავრი ელექტრო-დანადგარების წარმოების სფეროებში.

ჯანსაღი ცხოვრებისადმი ინტერესის ზრდამ წარმოშვა მთელი რიგი ახალი დარგებისა, რომლებიც აწარმოებს სავარჯიშო დანადგარებს, სპეციალურ ტანისამოსს და ფეხსაცმელს, აგრეთვე ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ აღიარებულ გასახდომ მედიკამენტებს. მოსახლეობის შიში გარემოს დაბინძურების საკითხთან დაკავშირებით დარგზე დიდ ზეგავლენას ახდენს, სადაც წარმოება დაკავშირებულია გადაუმუშავებელ ნარჩენებთან. გრძელვადიან პერსპექტივაში, უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც მიმართულია მოწევის წინააღმდეგ, სერიოზულ საფრთხეს უქმნის თამბაქოს წარმოების სფეროს.

განუსაზღვრელობისა და რისკის ფაქტორების ზეგავლენის შემცირება. ახალი, მზარდი დარგი ჩვეულებრივ ხასიათდება დანახარჯების არცთუ ისე გათვლილი სტრუქტურით და პოტენციური ბაზრის ტევადობის ცნობადობით, ინოვაციებსა და გასაღების არხებზე დანახარჯების სიდიდით. ახალი დარგები, როგორც წესი, უფრო ინიციატივებით სამეწარმეო ტიპის კომპანიებს. თუმცაღა სავსებით შესაძლებელია, თუ კი ფირმა-ახალბედები გარკვეული დროის შემდეგ მიაღწევენ წარმატებას და განუსაზღვრელობა მცირდება, შესაძლებელია მათ რიცხვს შეუერთდნენ კონსერვატიულად განწყობილი ფირმებიც. ხშირად დარგში ახლად შემოსული კომპანიები წარმოადგენენ საკმაოდ სოლიდური **ფინანსური ბაზის კომპანიას.** მათი **მიზანია** – გაიმყარონ პოზიციები მიმზიდველ განვითარებად დარგში. საერთაშორისო ბაზარზე კონსერვატივიზმი დამახასიათებელია გლობალიზაციის პირველი სტადიისათვის. ფირმები მიზნად ისახავენ შეამცირონ რისკის ხარისხი, ექსპორტის, ლიცენზიის გაყიდვისა და **ერთობლივი საწარმოების შექმნის** საფუძველზე. შემდგომ, გარკვეული გამოცდილების ზრდის შედეგად, რისკები მცირდება, კომპანიები იწყებენ უფრო გაბედულ მოქმედებებს, ქმნიან ქალიშვილ კომპანიებს და ანარმოებენ ფართომასშტაბიანი კონკურენციის სტრატეგიას ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში. შესაბამისად, დარგის პოტენციური მამოძრავებელი ძალების დასავლეთის ეკონომიკის პრაქტიკაში გამოყენებული ზემოთ მოყვანილი ჩამონათვალი გვიჩვენებს, რომ მხოლოდ ცვალებადი პროცესების შესწავლა დარგის ზრდის კუთხით, არის ყველაზე **მარტივი მიდგომა** და დარგში წამყვანი პოზიციების მოპოვებისათვის აუცილებელია გამომწვევი **მიზეზების** გარკვევა. **გარემოს კონტროლი** გამოიყენება პერსპექტიული მიმართულების გამოვლენისა და გარემოს ცვლილების განსაზღვრის მიზნით, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ დარგის მდგომარეობაზე, იწვევენ ცვლილებებს და გადაიქცევიან მამოძრავებელ ძალად.

პრაქტიკის ანალიზი უჩვენებს, რომ დარგში კონკურენციის სტრუქტურის კვლევის **შემდეგი ნაბიჯია ბაზარზე კონკურენტი კომპანიების პოზიციების შესწავლა.** დარგში ფირმების კონკურენტული პოზიციების შედარების ერთ-ერთი **ინსტრუმენტია სტრატეგიული ჯგუფების რუკის შემუშავება.** ასეთი სახის ანალიტიკური მიდგომა ერთმანეთთან აკავშირებს როგორც მთლიანად **დარგის ანალიზს,** ასევე, ცალკეული **ფირმის დეტალურ ანალიზს.** მისი გამოყენება მაშინ არის ეფექტიანი, როდესაც დარგში მოქმედებს დიდი რაოდენობის **კონკურენტული კომპანია** და პრაქტიკულად შეუძლებელია თითოეული მათგანის დაწვრილებით შესწავლა.

ზოგადი წარმოდგენა მთავარი კონკურენტების შესახებ შეიძლება მივიღოთ, დარგში მათი საქმიანობის შესწავლის, სტრატეგიული მიზნების, აგრეთვე კონკურენტული ბრძოლის ძირითადი მიდგომების **საფუძველზე. ცხრილში 3.3.** მოცემულია **მარტივად გამოყენებადი სქემა,** რომელიც დანიშნულია მიზნებისა და კონკურენტთა სტრატეგიების კლასიფიკაციისათვის. ჩვეულებრივ, კონკურენტთა სავარაუდო სვლების განსაზღვრისათვის აღნიშნული სქემის გამოყენება **სტრატეგიული ჯგუფების რუკის** პარალელურად სავსებით საკმარისია.

შენიშვნა. რამდენადაც სტრატეგია შეიძლება ორიენტირებული იყოს ბაზრის ნებისმიერ სეგმენტზე, ხოლო დიფერენციაცია ხდება ნებისმიერი პარამეტრის მიხედვით, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, რა მიზნებს ისახავს არსებული **კომპანიის სტრატეგია.** კომპანია ჩვეულებრივ იბრძვის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტისათვის და ახდენს საკუთარი საქონლის დიფერენცირებას სხვადასხვა პარამეტრების მიხედვით.

კონკურენტთა მიზნებისა და სტრატეგიების კლასიფიკაცია ცხრ. 3.3.

კონკურენციის მასშტაბი (გეოგრაფიული ასპექტი):	ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული, მრავალეროვნული, გლობალური
სტრატეგიული მიზანდასახვა	დომინირებადი ლიდერობა დარგში; ამყამინდელი ლიდერის პოზიციების შესუსტება; დარგის ლიდერთა სიაში ყოფნა (პირველი ხუთეული); ლიდერთა ათეულში გადასვლა; დარგში ერთიორი საფეხურით წინსვლა; უპირატესობის მოპოვება კონკრეტული კონკურენტის წინააღმდეგ; არსებული პოზიციების შენარჩუნება; უბრალოდ გადარჩენა.
მიზნები ბაზარზე წილის მოპოვებისათვის	აგრესიული გაფართოება სხვა ფირმების შესყიდვისა და შიდა ზრდის საფუძველზე; გაფართოება შიდა სტრუქტურული ზრდის საფუძველზე; გაფართოება სხვა ფირმების შეძენის საფუძველზე; არსებული საბაზრო წილის შენარჩუნება; მოგების მიღების მოკლევადიანი მიზნების მიღწევისთვის, საბაზრო წილის შემცირება.
მიზნები კონკურენტული პოზიციის მოპოვებისათვის	არსებული პოზიციის გაძლიერება და გაფართოება; არსებული პოზიციის გაძლიერება; შუა რიგებში პოზიციის შენარჩუნება; კომპანია ცდილობს შეცვალოს საკუთარი პოზიცია ბაზარზე; კომპანია იმყოფება კონკურენციის პროცესში; კომპანია ცვლის პოზიციებს ბაზარზე, რათა უზრუნველყოს თავდაცვა
სტრატეგიის სახეები	თავდასხმითი; თავდაცვითი; შერეული სტრატეგიების კომბინაცია; აგრესიული სტრატეგია, რისკის მაღალი ხარისხი; კონსერვატიული, მიბაძვითი
კონკურენტული სტრატეგია	დანახარჯების მიხედვით ლიდერობა; საბაზრო ნიშაზე ფოკუსირება; ტექნოლოგიურად მოწინავე; ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი; გეოგრაფიული; სპეციფიკური მოთხოვნილების მქონე მომხმარებელი და სხვა
პროდუქციის დიფერენციაცია	ხარისხის მიხედვით; მომსახურების მიხედვით; ტექნოლოგიური უპირატესობის მიხედვით; ასორტიმენტის მიხედვით; ფირმის იმიჯისა და რეპუტაციის ხარისხი; სხვა მახასიათებლები, მომხმარებელთათვის დამატებითი სარგებელი

დარგში მომავალი ლიდერების გამოვლენა. საკითხის განხილვისას, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ხელსაყრელი ან არახელსაყრელი პოზიცია აქვს კონკურენტს, საბაზრო პოზიციების მოსაპოვებლად, საჭიროა მოვახდინოთ კონცენტრირება მისი პოტენციური შესაძლებლობების შეფასებაზე სხვა კონკურენტებთან მიმართებაში.

კონკურენტების მოქმედებების პროგნოზი. კონკურენტთა სავარაუდო ნაბიჯების განსაზღვრა ახლო მომავლისათვის ერთი მხრივ რთულია, მაგრამ მათი საქმიანობის ანალიზის მეტად სასარგებლო შემადგენელია. სიტუაციის შესწავლამ, რომელშიც იმყოფებიან კონკურენტი ფირმები – მათი სტრატეგიული გადაწყვეტილებების განსაზღვრამ, ბაზარზე მათი პოზიციების შეფასებამ, დადგენამ იმისა, თუ რამდენად ესაჭიროებათ მათ საკუთარი **ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება**, – შეიძლება არსებითი როლი ითამაშოს კონკურენტთა სავარაუდო მოქმედებების პროგნოზირებისას. **აგრესიული კონკურენტები**, როგორც წესი, სრულიად ახა-

ლი სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციას ახდენენ. იმისათვის, რომ ანალიტიკოსმა გათვალოს კონკურენტების შემდგომი ნაბიჯები, მან მთლიანად უნდა შეისწავლოს **კონკურენტ ფირმაში არსებული ვითარება**. ეს ნამდვილად რთული და ხანგრძლივი სამუშაოა, რამდენადაც ანალიზი კეთდება მცირედი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მიღებულია სხვადასხვა წყაროდან.

ნარმატების საკვანძო ფაქტორები. ცხრ. 3.4.

ტექნოლოგიებზე დამოკიდებული	განხორციელებული სამეცნიერო კვლევების ხარისხი (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფარმაცევტიაში, მედიცინაში, კოსმოსურ ინდუსტრიასა და სხვა მაღალტექნოლოგიურ დარგებში); წარმოების პროცესში ინოვაციების განხორციელება; ახალი საქონლის შემუშავების შესაძლებლობა; არსებული ტექნოლოგიების ფლობის ხარისხი
წარმოებასთან დაკავშირებული	პროდუქციის დაბალი თვითღირებულება (ეკონომია წარმოების მასშტაბებზე და სხვა); პროდუქციის ხარისხი (დეფექტების რაოდენობის შემცირება, სარემონტო სამუშაოებზე მოთხოვნილების შემცირება); საწარმოო ძალების გამოყენების მაღალი ხარისხი (მნიშვნელოვანია კაპიტალტევადი დარგებისათვის); საწარმოს ხელსაყრელი ადგილმდებარეობა, რომელიც ტრანსპორტირების ხარჯების შემცირების საშუალებას იძლევა; კვალიფიცირებული ადამიანური რესურსების მოზიდვის შესაძლებლობა; შრომისნაყოფიერების მაღალი ხარისხი (მნიშვნელოვანია შრომატევადი დარგებისათვის); სხვადასხვა ასორტიმენტის პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა; მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობა
პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული	ბითუმად მოვაჭრე დისტრიბუტორების/დილერების ფართო ქსელი; საცალოდ სავაჭრო ობიექტების არსებობის შესაძლებლობა; საცალოდ სავაჭრო ობიექტების, რომლებიც იმყოფებიან კომპანიის დაქვემდებარების ქვეშ; დაბალი სარეალიზაციო ხარჯები; სწრაფი მიწოდება და მომსახურება
მარკეტინგთან დაკავშირებული	დისტრიბუციის განყოფილების თანამშრომელთა მაღალი კვალიფიკაცია; კლიენტებისათვის ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობა პროდუქციის შეძენის და გამოყენების პროცესში; მომხმარებელთა დაკვეთების ყურადღებით შესრულება (მცირეოდენი შეცდომებით); პროდუქციის სახეობების მრავალფეროვნება; გაყიდვების ხელოვნება; მიმზიდველი შეფუთვა/ დიზაინი; მომხმარებლებისათვის გარანტიების უზრუნველყოფა (მნიშვნელოვანი ფაქტორია ფოსტით შეკვეთებისა და ახალი პროდუქციის რეალიზაციის დროს)
პროფესიულ უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული	განსაკუთრებული ნიჭი (მნიშვნელოვანია პროფესიული მომსახურების სფეროში); ნოუ-ჰაუ ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში; კომპეტენციის ხარისხი დიზაინის სფეროში (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საფეიქრო ინდუსტრიაში); კონკრეტული ტექნოლოგიების ცოდნის ხარისხი; ეფექტიანი რეკლამის შექმნის უნარი; ახალი პროდუქციის დამუშავების ეტაპიდან სამრეწველო წარმოების ეტაპზე სწრაფი გადასვლა

ორგანიზაციულ შესაძლებლობებთან დაკავშირებული	საინფორმაციო სისტემის ხარისხი (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავიაგადაზიდვების სფეროში, საკრედიტო ბარათების ინდუსტრიაში, სასტუმროს ბიზნესში და ა. შ); ცვალებად საბაზრო ვითარებაზე სწრაფი რეაგირების უნარი (გადაწყვეტილების მიღების პროცესის სწორი გადანაწილება, ბაზარზე ახალი პროდუქციის გამოტანას სჭირდება მცირე დრო); დიდი გამოცდილება და ნოუ-ჰაუ მენეჯმენტის სფეროში
წარმატების საკვანძო ფაქტორების სხვა სახეები	მომხმარებლებში ფირმის სასურველი იმიჯი და რეპუტაცია; საერთო დაბალი დანახარჯები (არა მარტო საწარმოო); ხელსაყრელი ადგილმდებარეობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცალო ვაჭრობისათვის); კომუნიკაბელური და კეთილმოსურნე მომსახურე პერსონალი; ფინანსური ბაზრების გამოყენების შესაძლებლობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამწყები კომპანიებისათვის, რომლებიც მუშაობენ სარისკო ან კაპიტალტევად დარგებში): პატენტების არსებობა

ზოგადად, **წარმატების საკვანძო ფაქტორები** სხვადასხვა დარგის მიხედვით განსხვავდება. ამასთანავე, ისინი **ხშირად იცვლება** დარგში არსებული ვითარების ცვლილების შესაბამისად. **ცხრილში 3.4.** ნაჩვენებია წარმატების საკვანძო ფაქტორების სახეები. ძალიან რთულია დროის ერთ რომელიმე კონკრეტულ მომენტში გამოყო ერთდროულად სამი-ოთხი ფაქტორი, რომელიც ზეგავლენას ახდენს დარგში არსებულ კონკურენციაზე. ამასთანავე, ამ ფაქტორებიდან მხოლოდ ერთი ან ორი შეიძლება აღმოჩნდეს მნიშვნელოვანი.

დარგის და კონკურენციის ანალიზი ბოლო ეტაპია – დარგში საერთო სიტუაციის შეფასება და კონკრეტული აზრის ჩამოყალიბება მოცლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, დარგის მიმზიდველობასთან ან არამიმზიდველობასთან დაკავშირებით. დარგის მიმზიდველობის განისაზღვრისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი **ფაქტორები:** დარგის პოტენციალის ზრდა; მოცემულ დარგში ძირითადი მამოძრავებელი ძალების დადებითი და უარყოფითი ზეგავლენა; დარგში მსხვილი ფირმების შემოსვლის (ან, გასვლის) ალბათობა (ახალი ფირმების გამოჩენა ამცირებს დარგის მიმზიდველობას; მსხვილი კომპანიების ან რამდენიმე მცირე ფირმის ერთდროულად ბაზრიდან გასვლა აძლევს სხვა ფირმებს ზრდისა და განვითარების ახალ შესაძლებლობებს); მოთხოვნილების სტაბილურობა, რომელიც დამოკიდებულია წელიწადის დროებზე, ეკონომიკურ ციკლზე, მომხმარებელთა მოთხოვნილებისცვლილებაზე, შემცვლელი პროდუქციის რაოდენობაზე); კონკურენციის ძალების ზეგავლენის გაზრდა ან შემცირება; საერთოდ დარგში არსებული პრობლემური საკითხები; განუსაზღვრელობისა და რისკის ხარისხი, რომელიც უკავშირდება დარგის სამომავლო განვითარებას; დარგში მოგების ზრდა ან შემცირება, როგორც არსებული კონკურენციის პირობების და მამოძრავებელი ძალების შედეგი.

საერთო მიდგომის მიხედვით, თუ დარგში არსებობს მაღალი მოგების მიღების პერსპექტივა, ვიდრე საშუალოდ სხვა დარგებშია, მაშინ ეს დარგი შეიძლება ჩაითვალოს მიმზიდველად. თუ სავარაუდო მოგების დონე დაბალია, ვიდრე საშუალოდ სხვა დარგებში, მაშინ ასეთი დარგი არ არის მიმზიდველი. თუმცა არ არის მართებული დარგები დავყოთ მიმზიდველობის და არამიმზიდველობის ხარისხის მიხედვით. მიმზიდველობა არის შედარებითი ცნება და არა აბსოლუტური, ნებისმიერი გადაწყვეტილება ამა თუ იმ განვითარების გზების შესახებ მიიღება დაკვირვების საფუძველზე. **ცხრილ 3.5-ში** ნაჩვენებია დარგის და მასში არსებული კონკურენციის **სიტუაციური ანალიზი.** აქ თავმოყრილია ყველა ის ძირითადი კონცეფცია და მოსაზრებები, რომლებიც ხელს უწყობს დარგის და მასში არსებული **კონკურენციის შეფასებას.**

შესაბამისად, ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავებისათვის, აუცილებელია დარგში საერთო სიტუაციისა და მასში არსებული კონკურენციის ანალიზი. კომპეტენტურად ჩატარებული გამოკვლევა მენეჯერებს უზრუნველყოფს აუცილებელი ინფორმაციით, უფრო კარგად გაიგონ **მაკროგარემოს არსი,** რომელშიც მოქმედებს ფირმა და ჩამოაყალიბონ კომპანიის გარე გარემოს შესაბამისი სტრატეგია.

ამრიგად, **სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი ინსტრუმენტებს:** SWOT-ანალიზი,

ფასეულობათა ჯაჭვის, დანახარჯებისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზი, რომლის საშუალებითაც გამოვლინდება კომპანიის მდგომარეობის პლიუსები და მინუსები. აჩვენებს, თუ რამდენად მყარია კომპანიის პოზიცია ბაზარზე და საჭიროებს თუ არა არსებული სტრატეგია მოდიფიცირებას. იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად წარმატებულად ხდება არსებული სტრატეგიების რეალიზება, უპირველეს ყოვლისა, მენეჯერმა უნდა გაათვიცნობიეროს სტრატეგიის არსი და უნდა განსაზღვროს: 1) კომპანიის ადგილი კონკურენტებს შორის; 2) კომპანიის კონკურენციის საზღვრები არსებულ დარგში, რომლებზეც ფირმა არის ორიენტირებული. 3) კომპანიის ფუნქციონალური სტრატეგია წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების, ადამიანური რესურსების სფეროში და ამასთან ერთად, კომპანიას შეუძლია მოახდინოს გარკვეული ცვლილებები; 4) სტრატეგიის თითოეული შემადგენლის – კონკურენტებთან შედარებით საკუთარი მდგომარეობის შეცვლის ყოველი ნაბიჯის, ასევე ცალკეული ფუნქციონალური მიდგომის რაციონალურობის შეფასება და სხვა.

დარგის და კონკურენციის ანალიზის მახასიათებლები – ცხრ. 3.5.

დარგის ძირითადი ეკონომიკური მახასიათებლები	(ბაზრის ზრდის ტემპები, ბაზრის გეოგრაფიული მახასიათებლები, დარგის სტრუქტურა, ეკონომია წარმოების მასშტაბებზე", სწავლება/გამოცდილების" მრუდის ეფექტი, კაპიტალ-ტევადობა და ა. შ.)
კონკურენტული გარემოს ანალიზი	გამყიდველებს შორის დაძაბული კონკურენცია (სუსტი, საშუალო, ძლიერი; კონკურენტული ბრძოლის მეთოდები); ბაზარზე ახალი ფირმების გამოსვლის საფრთხე (ძლიერი, საშუალო, სუსტი/ბაზარზე გასვლისათვის არსებული ბარიერების შეფასება); მიმწოდებელთა ზეგავლენის ხარისხი (მაღალი, საშუალო, უმნიშვნელო/მიზეზები); მომხმარებელთა ზეგავლენის ხარისხი (მაღალი, საშუალო, უმნიშვნელო/მიზეზები)
კონკურენციის მამოძრავებელი ძალები	დარგის ეკონომიკური ზრდის ცვლილებებზე ზემოქმედი სხვადასხვა ფაქტორების განსაზღვრა.
ძირითადი ფირმების/სტრატეგიული ჯგუფების კონკურენტული პოზიცია	დადებითი პოზიცია/მიზეზები; არახელსაყრელი პოზიცია/მიზეზები
კონკურენტების ანალიზი	კონკურენტების სტრატეგია/მათი სავარაუდო მოქმედებები მომავალში; ვის უნდა ვადევნოთ თვალყური და რატომ
წარმატების ძირითადი ფაქტორები	ტექნოლოგიების, საწარმოთა, მარკეტინგული, პროფესიული უნარ-ჩვევები და სხვა საკვანძო ფაქტორები
დარგის პერსპექტივები და მისი საერთო მიმზიდველობა	ფაქტორები, რომლებიც ხდის დარგს მიმზიდველს; ფაქტორები, რომლებიც ხდის დარგს ნაკლებად მიმზიდველს; დარგის უმთავრესი პრობლემები; მოგების მიღების პერსპექტივა (ხელსაყრელი/არახელსაყრელი)

ფინანსური და სტრატეგიული მიზნების მახასიათებლები ცხრ. 3.6.

ფინანსური მიზნები	**სტრატეგიული მიზნები**
შემოსავლების სწრაფი ზრდა	ბაზრის წილის გაზრდა
ფულადი სახსრების მიღების სწრაფი ზრდა	დარგში უფრო სტაბილური და სანდო ვითარება

უფრო მაღალი დივიდენდები	პროდუქციის ხარისხის გაზრდა
მოგების მიღების უფრო ფართო მაშტაბები	კონკურენტებთან შედარებით წარმოების დანახარჯების შემცირება
მოგების გაზრდა კაპიტალის დაბანდების პროცესში	პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოვება და გაუმჯობესება
ობლიგაციებისა და კრედიტის სანდოობის ხარისხის ამაღლება	კლიენტთა შორის რეპუტაციის გაზრდა
ფულადი სახსრების მოზიდვის გაზრდა	კლიენტთა მომსახურების გაუმჯობესება
აქციების ფასის გაზრდა	ტექნოლოგიებისა და ინოვაციის სფეროში კომპანიის ლიდერად აღიარება

კომპანიის ძლიერი მხარეების და რესურსული პოტენციალის განსაზღვრა

ცხრილ 3.7. -ში მოყვანილია მთელი რიგი **ფაქტორებისა,** რომლებიც მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს კომპანიის (ფირმის) სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრის პროცესში, ხოლო SWOT – ანალიზის ჩასატარებლად მეთოდიკა განხილულია ზემოთ (იხილეთ ქვეთავი 11. 1. „სტრატეგიული ანალიზის მეთოდების ადაპტირება სტრატეგიული დაგეგმვის სისტემაში“):

კომპანიის ძლიერი მხარეების და რესურსული პოტენციალის განსაზღვრა

ცხრ. 3.7.

პოტენციური ძლიერი მხარეები	სრული კომპეტენტურობა ძირითად საკითხებში; ადეკვატური ფინანსური რესურსები; კომპანიის მაღალი რეიტინგი მომხმარებლებში; ბაზარზე ლიდერის აღიარება; კარგად შემუშავებული ფუქციონალური სტრატეგია; ეკონომია წარმოების მასშტაბებზე; თავდაცვის უნარი კონკურენტთა ძლიერი ზეგავლენისგან; საკუთარი ტექნოლოგია; დაბალი დანახარჯები (უპირატესობა დანახარჯების მიხედვით); საუკეთესო სარეკლამო კამპანია; ახალი პროდუქციის შემუშავების გამოცდილება; გამოცდილი მენეჯმენტი; დიდი გამოცდილება (დაწინაურება სწავლება/გამოცდილების მრუდის შედეგად): წარმოების საუკეთესო შესაძლებლობები; ტექნოლოგიის სრულყოფილად ცოდნა და სხვა
პოტენციური გარე შესაძლებლობები	მომხმარებელთა დამატებითი ჯგუფების მომსახურების უნარი ან გასვლა ახალ ბაზარზე ან ახალ საბაზრო სეგმენტებზე; პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების გზები, რათა დაკმაყოფილდეს მომხმარებელთა უფრო მეტი მოთხოვნილება; ცოდნისა და ტექნოლოგიური ნოუჰაუს გამოყენების უნარი ახალი პროდუქციის წარმოებისას ან უკვე არსებული პროდუქციის განახლებული სახით გამოშვების პროცესში; ვერტიკალური ინტეგრაცია (წინ ან უკან; მიმზიდველ უცხოურ ბაზრებზე სავაჭრო ბარიერების შემცირება; კონკურენტიფირმების პოზიციების შესუსტება; სწრაფი განვითარების შესაძლებლობა ბაზარზე მოთხოვნილებების სწრაფ ცვლილებებთან დაკავშირებით; ახალი ტექნოლოგიების გამოჩენა და სხვა
პოტენციური სუსტი მხარეები	არ არის მკაფიოდ განსაზღვრული სტრატეგიული განვითარების მიმართულება; მოძველებული დანადგარები; მოგების დაბალი დონე; მენეჯმენტის უნარის ან გამოცდილების ნაკლებობა; საქმიანობის ძირითად სფეროებში

	გამოცდილების არქონა; ცუდი რეკომენდაციის მქონე კომპანია; შიდა საწარმოო პრობლემები; კვლევების სფეროში არსებული ჩამორჩენილობა; პროდუქციის შეზღუდული ასორტიმენტი; არასაკმარისი იმიჯი ბაზარზე; ცუდი გასაღების ქსელი; მარკეტინგული საქმიანობის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზება; ფულის არასაკმარისი რაოდენობა სტრატეგიაში აუცილებელი ცვლილებებისათვის; პროდუქციის თვითღირებულება მაღალია, ვიდრე ძირითადი კონკურენტების და სხვა
პოტენციური გარე საფრთხეები	ბაზარზე შედარებით დაბალი დანახარჯებით უცხოელი კონკურენტების გამოსვლა; შემცვლელი პროდუქტების გაყიდვების ზრდა; ბაზრის ნელი ტემპით ზრდა; უცხოური ვალუტის კურსის არახელსაყრელი ცვლილება ან მთავრობის სავაჭრო პოლიტიკის შეცვლა; ძვირადღირებული საკანონმდებლო მოთხოვნები; მაღალი დამოკიდებულება მოთხოვნილების შემცირებასა და ბიზნესის განვითარების სასიცოცხლო ციკლთან მიმართებაში; მომხმარებელთა მოთხოვნილებისა და გემოვნების ცვლილება; არასასურველი დემოგრაფიული ცვლილებები და სხვა

ამრიგად, სტრატეგიის შემუშავების პროცესში საჭიროა ისეთ რესურსზე დაყრდნობა, რომელშიც კომპანიას საუკეთესო კონკურენტული უპირატესობა გააჩნია კონკურენტებთან მიმართებაში, იქნება ეს უნიკალური გამოცდილება, საკმარისი რეზერვი თუ მძლავრი კონკურენტული შესაძლებლობები.

როგორც უკვე აღინიშნა, დანახარჯების სტრატეგიული ანალიზის უმნიშვნელოვანესი ნაწილია **ფასეულობათა ჯაჭვი (იხ. ნახ. 3.8),** რომელიც განსაზღვრავს საქონელის ან მომსახურების შემუშავების, წარმოების, მარკეტინგის, პროდუქციის მიწოდების, მხარდაჭერისა და მომსახურების განსაზღვრულ საქმიანობას, ფუნქციებსა და პროცესს. ფასეულობათა ჯაჭვი, რომელიც ქმნის სხვადასხვა საქმიანობების სახეების ღირებულებას, იწყება ნედლეულის უზრუნველყოფით და შემდგომ გრძელდება სხვადასხვა ნაწილის ან კომპონენტების წარმოების პროცესში, პროდუქციის გამოშვების, საბითუმო და საცალო ვაჭრობის ან საბოლოო მომხმარებლების მომსახურების დროს.

კონკურენციული ძალის შეფასება. შედარებით უფრო ზუსტი განსაზღვრება იმისა, თუ რამდენად ახერხებს ფირმა შეინარჩუნოს საკუთარი კონკურენციული პოზიციები, არის წარმატების ძირითადი **ფაქტორების** რაოდენობრივი შეფასება კონკურენტებთან მიმართებაში, თითოეული წარმატების ძირითადი ფაქტორების და კონკურენციული ძალების მნიშვნელოვანი **ინდიკატორების** მიხედვით. უმეტესწილად, ინფორმაცია კონკურენციის გარეთ არსებული ვითარების თაობაზე მიიღება წინა გამოკვლევების საფუძველზე. დარგისა და კონკურენციის ანალიზის პროცესში ვლინდება წარმატების ძირითადი ფაქტორები და კონკურენციის კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც ბაზარზე მოქმედი სუბიექტები იყოფა **ლიდერებად** და **აუტსაიდერებად.** კონკურენტების გამოკვლევის და მათი შედარებითი შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ძირითადი კონკურენტების **უპირატესობები და შესაძლებლობები.**

სტრატეგიული პრობლემების გამოვლენა. სტრატეგიის შემუშავების ეფექტიანი პროცესი მოითხოვს იმ სტრატეგიული პრობლემების ზუსტ ცოდნას, რომელსაც კომპანია აწყდება. მენეჯერებმა ზუსტად უნდა განსაზღვრონ **პრობლემური** საკითხები და მოახდინონ მათზე რეაგირება. მნიშვნელოვანია მიაქციონ ყურადღება:

ა) მისაღებია თუ არა ფირმის არსებული სტრატეგია მოცემული დარგისათვის, თუ გათვალისწინებული იქნება მამოძრავებელი ძალების ზეგავლენა?

ბ) სამომავლოდ, რამდენად იქნება შესაბამისობაში ფირმის არსებული სტრატეგია დარგში არსებულ წარმატების ძირითად ფაქტორებთან?

გ) უზრუნველყოფს თუ არა არსებული სტრატეგია კომპანიის დაცვას **ხუთი კონკურენციული ძალისაგან** – განსაკუთრებით მათგან, რომელთა ზეგავლენაც შესაძლებელია გაძლიერ-

დეს?

დ) როგორ სიტუაციებში ვერ უზრუნველყოფს სტრატეგია კომპანიის დაცვას, როდესაც საქმე ეხება **შიდა და გარე საფრთხეებს?**

ე) შესაძლებელია თუ არა ერთი ან რამდენიმე მეტოქის მიერ განხორციელებულმა შეტევებმა დააზარალოს კომპანია? თუ კი, სად და როგორ?

ვ) აქვს თუ არა კომპანიას კონკურენციული უპირატესობა, თუ მან აქტიურად უნდა იმუშაოს კონკურენციული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის?

ზ) როგორია არსებული სტრატეგიის ძლიერი და სუსტი მხარეები?

თ) საჭიროა თუ არა დამატებითი მოქმედებების განხორციელება, რათა შესაძლებელი გახდეს დანახარჯების შემცირება, არსებული შესაძლებლობებიდან სარგებლის მიღება, კომპანიის კონკურენციული მდგომარეობის გაძლიერება?

შესაბამისად, ამ კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა უნდა გამოავლინოს, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს **საბაზო სტრატეგიის** რეალიზაცია და შეიტანოს მასში მხოლოდ მცირეოდენი შესწორება ან მთლიანად შეცვალოს ის.

ამრიგად, კომპანიის მდგომარეობის ანალიზი მოიცავს ხუთ ძირითად კითხვაზე შედეგების გამოსავლენად ანალიტიკური პროცედურების განხორციელებას. კერძოდ: 1. *რამდენად ეფექტიანია მოქმედი სტრატეგიები?* 2. *რაში მდომარეობს კომპანიის სუსტი და ძლიერი მხარეები,* როგორი შესაძლებლობები გააჩნია მას და რა წარმოადგენს მისთვის საფრთხეს **(SWOT-ანალიზი)** ? 3. *არის თუ არა კომპანიის ფასები და დანახარჯები კონკურენტუნარიანი?* 4. *რამდენად მყარია კომპანიის კონკურენციული პოზიცია?* 5. *რომელ სტრატეგიულ პრობლემებს აწყდება კომპანია?* რომელთა გადაჭრაც ხელს უწყობს სტრატეგიის ფორმირებას. შესაბამისად, სტრატეგიის შექმნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფირმის მდგომარეობის, დარგის და კონკურენტების სწორი შეფასება. ფირმის ანალიზის განხორციელება პროფესიონალურ დონეზე ხელს უწყობს გამოვლინდეს სტრატეგიის უპირატესობები და ნაკლოვანებები, კომპანიის შესაძლებლობები და სისუსტეები, აგრეთვე კომპანიის უნარი, შეინარჩუნოს საკუთარი პოზიციები მკაცრი კონკურენციის პირობებში. ეს ინფორმაცია ხელს უწყობს მენეჯერებს შეიმუშაონ კომპანიის მოთხოვნების ადეკვატური **სტრატეგია.**

11.3 ფინანსური ანალიზის კოეფიციენტების გამოყენება კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური ანალიზის კვლევის ობიექტად კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური ანგარიშგება გვევლინება, რომლის ანალიზის პროცესში განიხილება:

ა) ბალანსის მონაცემების საფუძველზე გრძელვადიანი და მიმდინარე აქტივების მდგომარეობის დადგენა და მათი ცვალებადობის კოეფიციენტების განსაზღვრა,

ბ) დებიტორული და კრედიტორული დავალიანების დინამიკის გამოკვლევა,

გ) მოგება-ზარალის მაჩვენებლების ცვალებადობაზე მოქმედი ფაქტორების დადგენა და მაით გავლენის შეფასება, დ) კორპორაციის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შეფასება,

ე) ფულადი სახსრების ნაკადების დადგენა და მათი დენადობის დაჩქარების გზების ძიება,

ვ) კომპანიის ლიკვიდურობის (გადახდისუნარიანობის) გამოკვლევა და კომპანიის საერთო ფინანსური მდგომარეობის შეფასება და სხვა.

კომპანიის (საწარმოს) ლიკვიდურობის ქვეშ გაიგება არსებული მოკლევადიანი ვალდებულებების აღსრულების შესაძლებლობა. კომპანია ითვლება ლიკვიდურად, თუ მას მიმდინარე აქტივების ხარჯზე შეუძლია თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის კოეფიციენტები მიუთითებენ, შეუძლია თუ არა მსესხებელს პრინციპში თავისი მოკლევადიანი ვალდებულებების, ასევე დაბრუნების ქვემდებარე, ორგანიზაციის დავალიანების რა ნაწილი შეიძლება ვადაში იქნეს დაფარული **(იხ. ცხრ. 3.8).**

განვიხილოთ თითოეული კოეფიციენტის არსი, კერძოდ

1) **გადაფარვის, ანუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი,** საერთო სახით წარმოადგენს ყველა მიმდინარე აქტივების თანაფარდობას მოკლევადიან დავალიანებასთან. აღნიშ-

ნული მაჩვენებლის ოპტიმალური მნიშვნელობა 2-დან 3-მდე ჩარჩოებში იმყოფება. კომპანიის ლიკვიდურობის უფრო საფუძვლიანად შეფასების მიზნით საჭიროა მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების ლიკვიდურობის სხვადასხვა ხარისხი იქნეს გათვალისწინებული. სწორედ ამიტომ ხორციელდება ლიკვიდურობის სხვა მაჩვენებლების გაანგარიშება.

2) შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც საბრუნავი აქტივების (სასაქონლო-მატერიალური მარაგების გამოკლებით) შეფარდება მოკლევადიან კრედიტორულ დავალიანებასთან. აღნიშნული მაჩვენებელი მიმდინარე ვალდებულებების წილის მახასიათებელია, რომელიც შეიძლება დაფარული იქნეს ნაღდი ფულის და გადატვირთული პროდუქციის, განეული მომსახურებისა და შესრულებული სამუშაოებიდან მოსალოდნელი შემონატანების ხარჯზე. აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური კოეფიციენტი 1-ის ტოლი, ან მეტი უნდა იყოს.

ცხრ. 3.8-ლიკვიდურობის კოეფიციენტი

კოეფიციენტი	გაანგარიშება	გაანგარიშება აგრეგატების მიხედვით	ოპტიმები
K1 – ცდადავარაუდის, ანუ მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	მიმდინარე (საბრუნავი) აქტივებით მოკლევადიანი დავალიანება	A1 / П3	≥ 2; < 3
K2 – შუალედური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	(მიმდინარე აქტივები – სმმ) /მოკლევადიანი დავალიანება	(A1 _ A5) / П3	≥ 1
K3 – აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი	ფულადი სახსრები/ მოკლევადიანი დავალიანება	A2 / П3	≥ 0.2; < 0,3

3) აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება როგორც ფულადი და მასთან გათანაბრებული სახსრების შეფარდება მოკლევადიან დავალიანებასთან. იგი ასახავს კომპანიის მიმდინარე ვალდებულების წილს, რომელიც აქტივების ყველაზე უფრო ლიკვიდური ნაწილის – ფულადი სახსრების ხარჯზე შეიძლება დაიფაროს. ისეთი გარემოების ალბათობის სიმცირის გათვალისწინებით, რომ კომპანიის ყველა კრედიტორები ვალდებულებების ამოღებასთან დაკავშირებით ერთდროულად წაუყენებენ თავიანთ მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე, თეორიულად გამართლებულად არის მიჩნეული აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0, 2-დან 0, 3-მდე დონეზე იქნეს შენარჩუნებული.

ფინანსური მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები მთლიანობაში კლიენტის საკუთარი და ნასესხები კაპიტალების თანაფარდობის მახასიათებელია. მსესხებლის კაპიტალის საერთო მოცულობაში ნასესხები კაპიტალის წილი რამდენად მეტია, იმდენად დაბალია კომპანიის ფინანსური მდგრადობა. თუ კომპანია საკუთარი სახსრების თითოეულ ლარზე ერთ ლარზე მეტ ნასესხებ სახსრებს იზიდავს, აღნიშნული გარემოება მისი **ფინანსური დამოუკიდებლობის სისუსტეზე** მიუთითებს.

განვიხილოთ თითოეული კოეფიციენტის არსი, კერძოდ:

1) საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი კომპანიაში საკუთარი საბრუნავი სახსრების არსებობის მახასიათებელია და იგი გაიანგარიშება როგორც საწარმოს საკუთარ კაპიტალსა და ბრუნვისგარეშე აქტივებს შორის სხვაობის შეფარდებით მისი საბრუნავი აქტივების ფაქტიურ ღირებულებასთან. მოცემული მაჩვენებლის ნორმატიული მნიშვნელობა 0, 1 და მეტის ტოლია.

2) ავტონომიურობის (ფინანსური დამოუკიდებლობის) კოეფიციენტი წარმოადგენს კომპანიის საკუთარი კაპიტალის შეფარდებას პასივების (ბალანსის ვალუტის) საერთო ჯამთან. აღნიშნული კოეფიციენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიის კრედიტორებისათვის და ინვესტორებისათვის, რადგანაც იგი მესაკუთრეების მიერ კომპანიის ქონების საერთო ღირებულებაში ჩადებული სახსრების წილის მახასიათებელია. აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0, 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

3) დაფინანსების კოეფიციენტი, ანუ საკუთარი კაპიტალის თანაფარდობა საერთო კრედიტორულ დავალიანებასთან, მიუთითებს, თუ კრედიტორული დავალიანება რამდენად არის უზრუნველყოფილი საკუთარი კაპიტალით. სიტუაცია, რომლის დროსაც დაფინანსების კოეფიციენტის მნიშვნელობა 1-ზე ნაკლებია, იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიის ქონების უმეტესი ნაწილი ნასესხები სახსრების ხარჯზეა ფორმირებული. ამიტომ აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 1-ის ტოლი ან მეტი უნდა იყოს.

4) სახსრების მანევრირების კოეფიციენტი თავისი ეკონომიკური შინაარსით კომპანიის აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის რეალური შესაძლებლობის მახასიათებელია და იგი გაიანგარიშება, როგორც საბრუნავი (მიმდინარე) აქტივებისა და მოკლევადიანი დავალიანების სხვაობის თანაფარდობა საბრუნავი აქტივების ჯამთან. სახსრების მანევრირების კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0, 2-ის ტოლი, ან მეტი უნდა იყოს.

5) სახსრების მობილურობის კოეფიციენტი აქტივების ლიკვიდურ სახსრებად გარდაქმნის პოტენციალური შესაძლებლობის მახასიათებელია და იგი საბრუნავი და ბრუნვისგარეშე აქტივების თანაფარდობით გაიანგარიშება. აღნიშნული მაჩვენებლის მნიშვნელობა თუ 0, 5-ის ტოლია, ან მეტია, იგი მიუთითებს, რომ ბალანსის აქტიური ნაწილის სტრუქტურა დარღვეული არ არის, და აქედან გამომდინარე კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების საშიშროება არ არსებობს.

თუ კი კომპანიის ფინანსური მდგომარეობა ლიკვიდურობისა და ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების მიხედვით არადამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, მაშინ მიზანშეწონილია გადახდისუნარიანობის აღდგენის კოეფიციენტის (K1. 1) 6 თვის პერიოდისათვის გაანგარიშება გახორციელდეს. ამასთან, ძირითადად მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის მნიშვნელობა გამოიყენება საანგარიშო პერიოდის საწყისი და ბოლო თარიღისათვის, რომელსაც შემდეგი სახე აქვს:

$$K1.1 = \frac{K_{1ფბ} + 6\,(K_{1ფბ} - K_{1ფს})/T}{K_{1ნორ.}}, \qquad (3.1)$$

სადაც: K $K1_{ფგ}$ – არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის; $K1_{ფს}$– არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ფაქტიური მნიშვნელობა საწყისი საანგარიშო პერიოდისათვის; $K1_{ნორ.}$ – არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტის ნორმატიული (ოპტიმალური) მნიშვნელობა ($K1_{ნორ.}$ = 2); 6 – არის გადახდისუნარიანობის აღდგენის პერიოდი, თვეებში; T – არის საანგარიშგებო პერიოდი, თვეებში (T = 3, 6, 9, 12).

თუ აღნიშნული კოეფიციენტის (K1. 1) მნიშვნელობა 1-ზე მეტია, იგი საწარმოს მიერ თავისი **გადახდისუნარიანობის აღდგენის რეალურ შესაძლებლობაზე** მიუთითებს.

თუ საწარმოს ბალანსის სტრუქტურა დამაკმაყოფილებლად იქნა ცნობილი, ხოლო ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის კოეფიციენტები (K1, K4) ნორმატიულ მნიშვნელობებთან შესაბამისობაშია, მაშინ მიზანშეწონილად არის მიჩნეული გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტი (K1.2) იქნეს გაანგარიშებული:

$$K_{1.2} = \frac{K_{1ფბ} + 3(K\,K_{1ფბ} - K\,K_{1ფს})/\,T}{K_{1ნორ.}}, \qquad (3.2)$$

სადაც 3 – არის საწარმოს მიერ გადახდისუნარიანობის დაკარგვის პერიოდი, თვეებში.

თუ გადახდისუნარიანობის დაკარგვის კოეფიციენტის (K1.2) მნიშვნელობა 1-ზე ნაკლებია, იგი იმაზე მიუთითებს, რომ კომპანია უახლოეს პერიოდში შეიძლება გადახდისუნარიანობის დაკარგვის პოტენციური შესაძლებლობის წინაშე აღმოჩნდეს.

საქმიანი აქტიურობის (ბრუნვადობის) კოეფიციენტი კომპანიას აქტივების ცალკეული მუხლების, ასევე მისი ერთობლივი აქტივების ეფექტურად გამოყენების განსაზღვრაში გვეხმა-

რება. კომპანიის საქმიანი აქტიურობის ანალიზი ავსებს ლიკვიდურობისა და ფინანსური მსგრადობის მაჩვენებლების შეფასების მეთოდიკას, ასევე იგი კომპანიის **ფინანსური მდგომარეობის** შესახებ უფრო დასაბუთებული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობასაც იძლევა.

ფინანსური ანალიზის პრაქტიკაში საწარმოს **საქმიანი აქტიურობის ძირითადი მაჩვენებლების** სახით გამოიყენება შემდეგი სახის კოეფიციენტები: სახსრების საერთო ბრუნვადობის, მიმდინარე (საბრუნავი) აქტივების, ძირითადი კაპიტალისა და დებიტორული დავალიანების კოეფიციენტები და სხვ. აქ განვიხილავთ **მოგებიანობის კოეფიციენტების ორი მნიშვნელობის ასპექტს: 1) ოპერაციების იმ ელემენტებს, რომლებიც ქმნიან მოგებას, და 2) მოგებისა და მთლიანი ინვესტიციების თანაფარდობას.**

ცნობილია, რომ მოგება გაყიდვებიდან არის სხვაობა შემოსავლებსა და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას შორის.

მოგება გაყიდვებიდან=ოპერაც. შემოსავალი – რეალიზ. პროდუქ. თვითღირებულება (3.3)

ოპერაციული კოეფიციენტები გამოიყენება იმის დასადგენად, თუ რამდენად ეფექტურია **გასაყიდი ფასი,** ადმინისტრაციული და სხვა დანახარჯები. გარდა ოპერაციების მოგებიანობისა, საწარმოსათვის ასევე საინტერესოა რამდენად ეფექტურია მოგებისა და კაპიტალის შეფარდება:

$$\frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{კაპიტალი}} \text{ და } \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები}}, \qquad (3.4)$$

ეს კოეფიციენტები გვიჩვენებს, თუ რამდენად ეფექტურად იყენებს კომპანია მასში არსებულ დაბანდებებს (კაპიტალს, აქტივებს).

მოგებიანობის კოეფიციენტი – როე (ROE – Return on Equit)

მოგებიანობის მაჩვენებლებს შორის ფინანსისტების უმეტესობა უპირატესობას სააქციონერო კაპიტალზე უკუგების კოეფიციენტს ანიჭებს.

$$\mathbf{ROE} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{სააქციონერო კაპიტალი}}, \qquad (3.5)$$

როე-ს შემადგენელი კომპონენტები. *თავად როე სამი ძირითადი კომპონენტისგან შედგება. ეს კომპონენტებია მოგების ზღვრული კოეფიციენტი (profit margin ratio), აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი (asset turnover) და ფინანსური ლევერიჯი financial leverage):*

$$\mathbf{ROE\ E} = \frac{\text{მოგების აქტივების ფინანსური კოეფიციენტი}}{\text{ზღვრული X ბრუნვადობის X ლევერიჯი კოეფიციენტი}}, \qquad (3.6)$$

ზემოთმოყვანილი ფორმულით წარმოდგენილ როე-ს კოეფიციენტს **დიუპონის ტოლობას** უწოდებენ, ვინაიდან ამ ფორმით როე-ს გამოთვლის პოპულარიზაცია სწორედ კომპანია დიუპონმა მოახდინა. უფრო ვრცლად იხილეთ ქვევით „მიკროეკონომიკური ანალიზის სრულყოფის პერსპექტივები". ამ ფორმულის გაანალიზების შემდეგ ნათელი ხდება, რომ მენეჯმენტს გააჩნია როე-ზე გავლენის **სამ ბერკეტი** მოგების ზღვრული კოეფიციენტი, აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი და ფინანსური ლევერიჯი.

მოგებიანობის კოეფიციენტი – მოგების ზღვრული კოეფიციენტი აჯამებს კომპანიის მოგება/ზარალის უწყისის მდგომარეობას. იგი გვიჩვენებს, თუ რამდენი ლარი რჩება საწარმოს მიერ ნარმოებული პროდუქციის რეალიზაციიდან:

$$\text{მოგების ზღვრული კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{გაყიდვები}}, \qquad (3.7)$$

ეს კოეფიციენტი განსაკუთრებით ყურადსაღებია საოპერაციო მენეჯერებისთვის, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს დაფინანსების წყაროებს და განსაზღვრავს საწარმოს ფასწარმოქმნის პოლიტიკას.

დ) ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის მაჩვენებელი

ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი ზომავს ძირითად ფონდებში დაბანდებულ სახსრებსა და გაყიდვებს შორის არსებულ დამოკიდებულებას:

$$\text{ფიქსირებული აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი} = \frac{\text{გაყიდვები}}{\text{ფიქსირებული აქტივები}}, \quad (3.8)$$

ამ კოეფიციენტით სარგებლობას სიფრთხილე სჭირდება, ვინაიდან ხშირად კომპანიების მიერ ძირითად ფონდებში დაბანდებული ფული, უკუგებას მხოლოდ რამდენიმე წლის მოგვიანებით იძლევა. აქ რამდენიმე დასკვნა შეიძლება გავაკეთოთ:

ა) კომპანიის საქმეები მიდის ცუდად და გაყიდვები მცირდება; ბ) კომპანია ახორციელებს კაპიტალურ დაბანდებებს ფიქსირებულ აქტივებში მომავალში მოგების მიღების მიზნით.

ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ თუკი კომპანია ელოდება გაყიდვების შემცირებას, მან რესტრუქტურიზაციის მიზნით შეიძლება გაყიდოს ზედმეტი ფიქსირებული აქტივები და ამით გაზარდოს ძირითად ფონდების ბრუნვადობის კოეფიციენტი.

ე) აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი – როა (ROA -Return on Assets)

$$\text{ROA} = \frac{\text{წმინდა მოგება}}{\text{აქტივები გაყიდვები}} \text{ X } \frac{\text{წმინდა მოგება გაყიდვები}}{\text{მთლიანი აქტივები}}, \quad (3.9)$$

ვ) ფინანსური ლევერიჯი (Financial Leverage)

$$\text{ფინანსური ლევერიჯი} = \frac{\text{მთლიანი აქტივები}}{\text{სააქციონერო კაპიტალი}}, \quad (3.10)$$

ფინანსური ლევერიჯი არის როე-ს ის მესამე კომპონენტი, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და მიუთითებს თუ რა სიდიდით არის კომპანიის აქტივები დაფინანსებული სესხებით. მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს შეკითხვა, თუ რა კავშირშია ფინანსურ ლევერიჯთან სესხები, როდესაც ფორმულაში მხოლოდ აქტივები და სააქციონერო კაპიტალი ფიგურირებენ.

პასუხი მარტივია: – ფინანსური ლევერიჯის ზრდა მისი მნიშვნელობის შემცირების შედეგი შეიძლება იყოს. მნიშვნელის – სააქციონერო კაპიტალის შემცირება კი ავტომატურად იწვევს პასივების მეორე კომპონენტის – ვალდებულებების ზრდას. შესაბამისად, **რაც უფრო მაღალია ვალდებულებების წილი, მით უფრო დაბალია სააქციონერო კაპიტალი და მაღალია ფინანსური ლევერიჯი და პირიქით, რაც უფრო მცირეა ფინანსური ლევერიჯი,** მით უფრო მაღალია სააქციონერო კაპიტალის წილი პასივების შემადგენლობაში.

როგორც განვითარებული ქვეყნების ბიზნეს-პრაქტიკა უჩვენებს მოგების ზღვრული და აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტებისაგან განსხვავებით კომპანიის ფინანსისტებს მაინცდამაინც არ ახარებთ **ფინანსური ლევერიჯის** ზრდა. როგორც წესი, კორპორაციების (საწარმოთა) ფინანსური მენეჯერები ცდილობენ, გამონახონ ოქროს შუალედი და იპოვონ აუცილებელი ბალანსი მოზიდულ კრედიტებსა და სააქციონერო კაპიტალს შორის.

ამრიგად, კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მეთოდიკის გამოყენებისას გასათვალისწინებელია, რომ: 1) ფინანსური კოეფიციენტები – კორპორაციის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას ემსახურება, მაგრამ იგი ყოველთვის არ იძლევა მსჯელობის შესაძლებლობას კონკურენტებთან შედარებით მისი წარმატებული საქმიანობის შესახებ, 2) დასკვნის გაკეთებამდე შესაბამისი კოეფიციენტის მრიცხველისა და მნიშვნელის მონაცემები უნდა იქნეს გაანალიზებული, 3) კორპორაციის კოეფიციენტების კონკურენტების ანალოგიურ მნიშვნელობებთან შედარებისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებამ შედარების შედეგებზე შეიძლება იქონიოს გავლენა. 4) კოეფიციენტის მნიშვნელობა აზრს იძენს მხოლოდ დარგობრივ სტანდარტთან, აგრეთვე კორპორაციის გასული პერიოდის განმავლობაში საქმიანობის შესაბამის კოეფიციენტებთან, ან გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებისას.

თავი 12.

სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროგნოზირების თავისებურებანი კორპორაციული მენეჯმენტის სისტემაში

12. 1. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების პრინციპები და შეფასების პარამეტრები

როგორც უკვე აღინიშნა, **ფინანსური სტრატეგია** თანამედროვე ეტაპზე ასრულებს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის პერსპექტიული მართვის ეფექტიანი ინსტრუმენტის როლს, რომელიც ექვემდებარება მისი საერთო განვითარების მიზნების რეალიზაციას მაკროეკონომიკური მაჩვენებლების არსებითი ცვლილებების პირობებში, საბაზრო პროცესების სახელმწიფო რეგულირების სისტემებს, ფინანსური ბაზრის კონიექტურას და ყოველივე ამასთან დაკავშირებულ განუსაზღვრელობებს.

ეკონომიკური ორგანიზაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავება თანამედროვე ეტაპზე **ემყარება მართვის ახალი კონცეფციის** – სტრატეგიული მართვის **მეთოდოლოგიურ პრინციპებს,** რომლებიც აქტიურად იქნა დანერგილი გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან აშშ-ს კორპორაციებში და **ევროპის** უმეტეს ქვეყანაში. კერძოდ, **ბოდი ზვის-ბოსტონის** უნივერსიტეტის **ფინანსების პროფესორის და მერტონ რობერტს-ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის ნობელის ლაურეატის**[31] – სტრატეგიული მართვის **კონცეფცია** ასახავს კორპორაციის ზუსტ სტრატეგიულ პოზიციონირებას.

შესაბამისად, **ფინანსური სტრატეგია** ეს არის კორპორაციის ფუნქციონალური სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობა, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფინანსური საქმიანობისა და ფინანსური ურიერთობების განვითარების ყველა ძირითად მიმართულებას გრძელვადიანი ფინანსური მიზნების ფორმირების, მათი მიღწევის შედარებით ეფექტიანი გზების შერჩევის ფინანსური რესურსების ფორმირებასა და გამოყენებას მიმართულებების ადეკვატური კორექტირების გზით გარე პირობების ცვლილებებთან.

კორპორაციის ფინანსური სტარტეგიის შემუშავების საფუძველია ახალი მმართველობითი პარადიგმის-სტრატეგიული მართვის სისტემის **შემდეგი პრინციპები** (იხ. ნახ. 3.9) კერძოდ:

პრინციპი 1. კორპორაციის განხილვა, როგორც თვითორგანიზირებადი უნარის მქონე ღია სისტემად.

პრინციპი2. კორპორაციის ოპერაციული საქმიანობის საბაზრო სტრატეგიის გათვალისწინება. არის რა კორპორაციის ეკონომიკური განვითარების საერთო სტრატეგიის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს, პირველ რიგში, ოპერაციული საქმიანობის განვითარებას.


პრინციპი 3. ფინანსური საქმიანობის სტრატეგიული მართვის სამეწარმეო სტილზე უპირატესი ორიენტაცია. კორპორაციის ფინანსური მართვა სტრატეგიულ პერსპექტივაში ხასიათდება ზრდადი, ანუ სამენარმეო სტილით. სტრატეგიული ფინანსური მართვის სამენარმეო სტილის

საფუძველია ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების აქტიური ძიება ფინანსური საქმიანობის ყველა მიმართულების და ფორმირების მიხედვით.

პრინციპი 4. სტრატეგიული ფინანსური განვითარების დომინირებული სფეროების გამოყოფა ეს პრინციპი კორპორაციის ფინანსური საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების იდენთიფიკაციის საშუალებას იძლევა, რაც უზრუნველყოფს მისი მთავარი მიზნობრივი ფუნქციის – კორპორაციის საბაზრო ღირებულების ზრდას გრძელვადიან პერსპექტივაში – ნარმატებით რეალიზაციას.

---

[31] **Зви Бодя, Мертон Роберт. Финансы.:** Пер. с англ.: Уч. пос. – М.: Издательский Дом „Вильямс" 2013. – 592с. В книги детально проанализировали проблемы: **Первой части–** даётся общий обзор финансовой системы, а так же рассматриваются структура и применение финансовых отчётов корпораций для нужд хозяйственного анализа и прогнозирования, **Части II, III и IV** посвящены концептуальным основам финансов. Упор в них делается на применении финансовых принципов в ходе принятия решений как домохозяйствами (финансовое планирование и вопросы инвестирования на всех этапах жизненного цикла семьи), так и фирмами (экономический анализ, эффективности капиталовложений). **В части V** описана теория и практика оценки активов. **Часть VI** посвящена базовым вопросам корпоративных финансов.



ნახ.3.9 კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების ძირითადი პრინციპები

პრინციპი 5. ფინანსური სტრატეგიის მოქნილობის უზრუნველყოფა. კორპორაციის ფინანსური საქმიანობის სამომავლო განვითარებისთვის ყოველთვის დამახასიათებელია გარკვეული განუსაზღვრელობა, ამიტომ პრაქტიკულად შეუძლებელია შენარჩუნებულ იქნას უცვლელი სახით კორპორაციის შემუშავებული ფინანსური სტრატეგია, მისი რეალიზაციის პროცესის ყველა სტადიაზე. ფინანსური მენეჯერების ალტერნატიული სტრატეგიული ქმედებების საფუძველი ასეთ პირობებში არის შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის მოქნილობის მაღალი დონე. სტრატეგიული მოქნილობა წარმოადგენს კორპორაციის პოტენციურ შესაძლებლობას სწრაფი კორექტირება გაუკეთოს არსებული ფინანსური გადაწყვეტილებების ფინანსური საქმიანობის განხორციელების გარე, ან შიდა პირობების შეცვლისას.

პრინციპი 6. სტრატეგიული ფინანსური არჩევანის ალტერნატიულობის უზრუნველყოფა. სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების საფუძველი უნდა იყოს ფინანსური საქმიანობის განხორციელების მიმართულებების, ფორმებისა და მეთოდების ალტერნატიული ვარიანტების აქტიური ძიება, მათგან საუკეთესოს შერჩევა, ამის საფუძველზე საერთო ფინანსური სტრატეგიის ასაგებად, მისი ეფექტიანი რეალიზაციის მექანიზმების ჩამოყალიბება.

პრინციპი 7. ტექნოლოგიური პროგრესის შედეგების განუწყვეტელი გამოყენების უზრუნველყოფა ფინანსურ საქმიანობაში. ფინანსური სტრატეგიის ფორმირებისას აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ის ფაქტი, რომ ფინანსური საქმიანობა არის ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციის კონკრეტული პოზიციის ზრდის ბაზარზე. ამიტომ კორპორაციის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიზნების რეალიზაცია მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ასახავს მისი ფინანსური სტრატეგია ტექნოლოგიური პროგრესის მიღწეულ შედეგებსდა რამდენადაა იგი ადაპტირებული მისი ახალი შედეგების სწრაფ ათვისებასთან.

პრინციპი 8. ფინანსური რისკის დონის გათვალისწინება სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. პრაქტიკულად ყველა ძირითადი ფინანსური გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება ფინანსური სტრატეგიის ფორმირების პროცესში, ამა თუ იმ ხარისხით ცვლის ფინანსური რისკის დონეს.

პრინციპი 9. ორიენტაცია ფინანსური მენეჯერების პროფესიონალურ აპარატზე ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში. როგორი სპეციალისტებიც არ უნდა იქნან მოზიდული კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის ცალკეული პარამეტრების შემუშავებაზე, მისი რეალიზაცია უნდა მოახდინონ მომზადებულმა სპეციალისტებმა, ფინანსურმა მენეჯერებმა, ეს მენეჯერები უნდა იცნობდნენ სტრატეგიული მართვის ძირითად პრინციპებს, ფინანსური საქმიანობის ცალკეული ასპექტების მართვის მექანიზმებს, უნდა ფლობდნენ სტრატეგიული ფინანსური კონტროლინგის მეთოდებს.

პრინციპი 10. კორპორაციის შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობის უზრუნველყოფა ფინანსური საქმიანობის მართვასთან და ორგანიზაციულ კულტურასთან. ფინანსური სტრატეგიის ეფექტიანი რეალიზაციის მნიშვნელოვანი პირობაა მისი შესაბამისობა მართვის ორგანიზაციული კულტურის ცვლილებებთან.

ამრიგად, ეკონომიკური ორგანიზაციის (კორპორაციის) სტარატეგიის მართვის სისტემის პრინციპების საფუძველზე შემუშავებული ფინანსური სტრატეგია შესაძლებელს ხდის მოხდეს ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური საქმიანობის თავისდროული ადაპტირება მისი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების სამომავლო კარდინალურ ცვლილებებთან, მისი სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიზნების რეალიზაციის მისაღწევად.

ფინანსური სტრატეგიის შეფასება, რომელიც შემუშავებულია კორპორაციის მიერ ხორციელდება შემდეგი ძირითადი პარამეტრების მიხედვით **(იხ. ნახ. 3.10)**, როგორიცაა:

პარამეტრი 1. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შეთანხმებულობა მისი საბაზრო კორპორატიულ სტრატეგიასთან. ასეთი შეფასების პროცესში ვლინდება მიზნების შეთანხმებულობის ხარისხი და ამ სტრატეგიის რეალიზაციის ეტაპები.

პარამეტრი 2. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შესაბამისობა გარე ფინანსური გარემოს შემოთავაზებულ ცვლილებებთან. ამ შეფასების პროცესში განისაზღვრება: თუ რამდენად შეესაბამება შემუშავეული ფინანსური სტრატეგია ქვეყნის ეკონომიკის პროგნოზულ განვითარებას და ფინანსური ბაზრის კონიენქტურის ცვლილებებს მისი ცალკეული სეგმენტების ჭრილში, თუ რა ხარისხით აისახება კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური პოზიციის მოდელში გარე ფინანსური გარემოს გენერირებული შესაძლებლობები და მუქარები, სწორად ასახავს თუ არა ეს მოდელი გარე გარემოს ფაქტორების რყევადობის შესაძლო ვარიაციებს.

პარამეტრი 3. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შესაბამისობა მის შიდა პოტენციალთან. ასეთი შეფასება შესაძლებლობას იძლევა განისაზღვროს, თუ რამდენადაა დაკავშირებული ფინანსური სტრატეგიის მაშტაბები, მიმართულებები და შიდა ფინანსური რესურსების ფორმირების შესაძლებლობებთან, ფინანსური მენეჯერების კვალიფიკაციასთან ფინანსური საქმიანობის მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურასთან, ფინანსური მენეჯერების ორგანიზაციულ კულტურასთან და კორპორაციის შიდა ფინანსური პოტენციალის სხვა პარამეტრებთან.


პარამეტრი 4. ფინანსური სტრატეგიის პარამეტრების შიდა დაბალანსებულობა. ასეთი შეფასების განხორციელებისას განისაზღვრება, თუ რამდენად ეთანხმება ერთიმეორეს წარმოებული ფინანსური საქმიანობის ცალკეული მიზნები და მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივები.

პარამეტრი 5. ფინანსური სტრატეგიის რეალიზებადობა. ასეთი შეფასების პროცესში პირველ რიგში განიხილება კორპორაციის პოტენციური შესაძლებლობები ფინანსური რესურსების საჭირო ოდენობის ფორმირებაში ყველა წყაროებიდან და ყველა ფორმაში; რამდენად ტექნოლოგიურია სარეალიზაციოდ არჩეული საინვესტიციო პროექტები; არის თუ არა ფინანსურ ბაზარზე ფინანსური ინსტრუმენტების საკმარისი სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ ეფექტიან საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას, როგორია შერჩეული ფინანსური სტრატეგიის წარმატებული რეალიზაციის ორგანიზაციული და ტექნიკური შესაძლებლობები.

პარამეტრი 6. რისკების დონის მისაღებლობა, რაც დაკავშირებულია ფინანსური სტრა-

ტეგიის რეალიზაციასთან. ასეთი შეფასების პროცესში აუცილებელია განისაზღვროს კორპორაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პროგნოზირებადი ფინანსური რისკების დონე უზრუნველყოფს საჭირო ფინანსურ წონასწორობას მისი განვითარების პროცესში და შეესაბამება მისი მესაკუთრეების და პასუხისმგებელი ფინანსური მენეჯერების ფინანსურ მენტალიტეტს. ამის გარდა აუცილებლად უნდა შეფასდეს, თუ რამდენად დასაშვებია ამ რისკების დონე მოცემული კორპორაციის ფინანსური საქმიანობისათვის ფინანსურ დანაკარგების შესაძლო სიდიდისა და გაკოტრების მუქარების გენერირების პოზიციებიდან.

პარამეტრი 7. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის ეკონომიკური ეფექტიანობა. ფინანსური სტრატეგიის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ხორციელდება, პირველ რიგში ადრე განხილული ძირითადი ფინანსური კოეფიციენტების და მიცემული მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივების პროგნოზული გათვლების საფუძველზე, რომლებიც უდარდება მათ საბაზისო დონეს.



ნახ. 3.10. კორპორაციის შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის შეფასების პარამეტრები

პარამეტრი 8. ფინანსური სტრატეგიის რეალიზციის საგარეო ეკონომიკური ეფექტიანობა. ასეთი შეფასების პროცესში გათვალისწინებულია კორპორაციის საქმიანი რეპუტაციის ზრდა, მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფინანსური საქმიანობის მართვადობის დონის ამაღლება, ფინანსური მენეჯერების მატერიალური და სოციალური თვითკმაყოფილების დონის ამაღლება.

შემუშავებული საფინანსო სტრატეგიის შეფასების დადებითი შედეგების მიხედვით, რომელიც შეესაბამება შერჩეულ კრიტერიუმებსა და **ფინანსურ ფილოსოფიას**, იგი მიიღება კორპორაციის მიერ სარეალიზაციოდ.

კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების და მისი რეალიზაციის **განხორციელების ალგორითმი** მოცემულია **(იხ. ნახ. 3.11).**

1. ფინანსური სტრატეგიის ფორმირების საერთო პერიოდის განსაზღვრა. ეს პერიოდი რიგ პირობებზეა დამოკიდებული. მისი განსაზღვრის ძირითადი პირობაა იმ პერიოდის ხანგრძლივობა, როცა უნდა მოხდეს კორპორაციის განვითარების კორპორაციული სტრატეგიის ფორმირება. ვინაიდან ფინანსური სტრატეგია არის მის დაქვემდებარებაში მყოფი, იგი არ უნდა გამოვიდეს ამ პერიოდის საზღვრებიდან. მნიშვნელოვანი პირობა კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის ფორმირების პერიოდის განსაზღვრისას არის მთლიანად ეკონომიკის განვითარების წინასწარი განჭვრეტა და ფინანსური ბაზრის იმ სეგმენტების კონიენქტურა, რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული კორპორაციის ფინანსური საქმიანობა. დღევანდელი არასტაბილური ეკონომიკური გარემოს პირობებში ეს **პერიოდი** საშუალოდ უნდა **განისაზღვროს 3-5 წლის ჩარჩოებში.**

2. გარე ფინანსური გარემოს ფაქტორების კვლევა. ასეთი კვლევა განსაზღვრავს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ეკონომიკურ– სამართლებრივი პირობების შესწავლას და მათ შესაძლო ცვლილებებს მომავალ პერიოდში.

3. კორპორაციის ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრა (SWOT ანალიზის წარმოება). რაც განაპირობებს მისი ფინანსური საქმიანობის თავისებურებებს. ასეთი შეფასების პროცესში აუცილებელია განისაზღვროს ფლობს თუ არა კორპორაცია საკმარის პოტენციალს, რათა ისარგებლოს არსებული საინვესტიციო შესაძლებლობებით, ასევე მისი ასეთი შიდა მახასიათებლების გამოვლენა ასუსტებს ფინანსური საქმიანობის შედეგიანობას.

4. კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური პოზიციის კომპლექსური შეფასება. ასეთი შეფასების პროცესში უნდა მიღებულ იქნას ზუსტი წარმოდგენა იმ ძირითად პარამეტრებზე, რომლებიც ახასიათებენ კორპორაციის ფინანსური საქმიანობის განვითარების შესაძლებლობებსა და შეზღუდვებს; კერძოდ როგორია კორპორაციის მართველების და ფინანსური მენეჯერების მესაკუთრეების სტრატეგიული აზროვნების დონე, როგორია ფინანსური მენეჯერების განათლების დონე, გარე გარემოს მნიშვნელოვანი ელემენტების გავლენა არსებული დინამიკის მდგომარეობაზე, როგორია კორპორაციაში მოქმედი ფინანსური ანალიზის, კონტროლისა და დაგეგმვის მოქმედი სისტემების ეფექტიანობა და ა. შ.

5. კორპორაციის ფინანსური საქმიანობის სრატეგიული მიზნების ფორმირება. ამ საქმიანობის მთავარი მიზანია კორპორაციის მესაკუთრეთა კეთილდღეობის დონის ზრდა და მისი საბაზრო ღირებულების მაქსიმიზაცია. სტრატეგიული მიზნების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ფინანსური საქმიანობის უფრო ეფექტიანი მიმართულებების შერჩევას; ფინანსური რესურსების საჭირო ოდენობით ფორმირებას და მათი შემადგენლობის ოპტიმიზაციას, ფინანსური რისკების დონის მისაღებობას კორპორაციის მიერ სამეურნეო საქმიანობის განხორციელების ფროცესში და ა. შ.

6. ფინანსური საქმიანობის მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივების შემუშავება. ფინანსური საქმიანობის მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივების შემუშავება წარმოადგენს ძირითადი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების საფუძველს და განაპირობებს ფინანსური სტრატეგიის განხორციელების კონტროლის უზრუნველყოფას.


7. ძირითადი სტრატეგიული ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება. ამ ეტაპზე ფინანსური საქმინობის მიზნებიდან და მიზნობრივი სტრატეგიული ნორმატივებიდან გამომდინარე განისაზღვრება კორპორაციის ფინანსური **განვითარების მთავარი სტრატეგიები** ცალკეული დომინანტური სფეროების ჭრილში, ფინანსური პოლიტიკა მისი ფინანსური საქმიანობის ცალკეული ასპექტების მიხედვით, ყალიბდება **ალტერნატიული** სტრატეგიული მიდგომის პორტფელი დასახული მიზნების რეალიზციის დროს და ხორციელდება მათი შეფასება და შერჩევა. ეს შესაძლებელს ხდის ჩამოყალიბდეს კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების კომპლექსური პროგრამა.

8. შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის შეფასება. ასეთი შეფასება ხორციელდება სპეციალური ეკონომიკური და არაეკონომიკური კრიტერიუმების სისტემების მეშვეობით, რო-

მელიც დგინდება კორპორაციის მიერ. შეფასების შედეგების მიხედვით შემუშავებულ ფინანსურ სტრატეგიაში შეიტანება აუცილებელი კორექტივა, რის შედეგაც ხდება მისი რეალიზაცია.

9. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის უზრუნველყოფა. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში ადრე გამიზნული სტრატეგიული ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად მზადდება და რეალიზდება ახალი მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც განპირობებულია გარე ფინანსური გარემოს ფაქტორების გაუთვალისწინებელი ცვლილებებით.

10. რეალიზებული ფინანსური სტრატეგიის რელიზაციის კონტროლის ორგანიზაცია. ეს კონტროლი ხორციელდება სტრატეგიული ფინანსური კონტროლინგის საფუძველზე, რომელიც ასახავს კორპორაციის ფინანსური საქმიანობის ძირითადი სტრატეგიული მიზნობრივი ნორმატივების რეალიზაციის მსვლელობას.



ნახ. 3.11 კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესის ძირითადი ეტაპების ალგორითმი.

კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა

კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური მართვის სისტემაში შედარებით მნიშვნელოვანი და რთული ეტაპია შემუშავებული ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის მართვა. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესის ძირითადი ამოცანაა კორპორაციაში აუცილებელი წინაპირობების შექმნა მის საბაზრო კორპორატიული სტრატეგიის გათვალისწინებული ფინანსური მხარდაჭერის განსახორციელებლად და მისი ფინანსური განვითარების საბოლოო სტრატეგიული მიზნების წარმატებული განხორციელება. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესი ხასიათდება შემდეგი **ძირითადი თავისებურებებით:**

1. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა მიმართულია არა ყველა სტრატეგიული გადაწყვეტილების სავალდებულო შესრულებაზე, რაც გათვალისწინებულია კორპორაციის სტარატეგიული ფინანსური განვითარების პროგრამით, არამედ მისი ფინანსური საქმიანობის მთავარი და ძირითადი სტრატეგიული მიზნების მიღწევაზე.

2. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის წარმატებული განხორციელება შესაძლებელს ხდის მიღებული იქნას გათვალისწინებულთან შედარებით დამატებითი ეფექტი, რადგანაც სტრატეგიული პროცესის ამ ეტაპზე შესაძლებელი ხდება თავიდან იქნას აცილებული ყველა შეცდომა და შეუთანხმებლობა, რაც დაშვებულია მისი შემუშავების ეტაპებზე და პირიქით, ძალზე კარგი ფინანსური სტრატეგიის ცუდი რეალიზაციის პირობებში არა თუ არ მიიღნევა მოსალოდნელი ეფექტი, შეიძლება შემცირდეს კორპორაციის შიდა ფინანსური პოტენციალი და შეიქმნას პრობლემები საბაზრო კორპორატიული სტრატეგიის ღონისძიებების შესრულების პროცესში.

3. სტრატეგიული პროცესის ამ ეტაპზე ადგილი აქვს კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური მართვის აქცენტების არსების აღრევას. თუკი წინა ეტაპზე ეს პროცესი ატარებდა ანალიტიკურ ხასიათს, რაც უზრუნველყოფდა კორპორაციის ფინანსური განვითარების ხედვას ჰორიზონტის და სიტუაციის პროგნოზს უზრუნველყოფს, სტრატეგიის რეალიზაციის ამ ეტაპზე ძირითადი მმართველობითი ძალისხმევა იძენს უშუალოდ ქმედებების ხასიათს.

4. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესში წარმატების ძირითად დაბრკოლებად გვევლინება ფინანსური სამსახურების მენეჯერების ეფექტიანი კომუნიკაციური კავშირების აგება სხვა ფუნქციონალური ქვედანაყოფების მუშაკებთან და სტრატეგიული სამეურნეო ერთეულების ხელმძღვანელებთან, ასევე ფინანსური ურთიერთობების დარგში კორპორაციის გარე პარტნიორებთან.

5. ფინანსური სტრატეგიის რელიზაცია არის მმართველობითი საქმიანობის შედარებით სტრუქტურული პროცესი კონკრეტული მმართველობითი გადაწყვეტილებების და ქმედებების მზა ნაკრების პოზიციიდან ამა თუ იმ რეალურ სტრატეგიულ სიტუაციაში. ერთი და იმავე მმართველობითი გადაწყვეტილებები ერთნაირ სიტუაციაში, მიღებული სხვადასხვა კორპორაციების მიერ, ან ერთი და იმავე კორპორაციის მიერ ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის პროცესის სხვადასხვა სტადიაზე შეიძლება ურთიეთსაწინააღმდეგო შედეგების მომტანი აღმოჩნდეს.

კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვის პროცესის ალგოროთმის განხორციელება (**იხ. ნახ. 3.12**) მოიცავს:

I. კორპორაციის ფინანსური საქმიანობის სტრატეგიული ცვლილებების უზრუნველყოფა. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვის პროცესი იწყება მისი ფინანსური საქმიანობის მომავალი სტრატეგიული ცვლილებების მაშტაბების გარკვევით.

II. ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის ცალკეულ ეტაპებზე აღიქმებიან, როგორც დამატებითი შესაძლებლობები, ასევე როგორც დამატებითი მუქარები კორპორაციის ფინანსურ განვითარებაში. გარე გარემოს პირობების **დიაგნოსტიკა**, რომელშიც ხორციელდება კორპორაციის ფინანსური სტარტეგიის რეალიზაცია მის ყოველ ეტაპზე, კორპორაციის შესაძლებლობას აძლევს თავისდროულად შეიმუშაოს აუცილებელი შემტევი, ან თავდაცვითი სტრატეგიული მმართველობითი გადაწყვეტილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი ფინანსური განვითარების მიზნების რეალიზაციას. კორპორაციის გარე გარემოს ასეთი პირობების თავისდროული დიაგნოსტიკა, კორპორაციის სტრატეგიის რეალიზაციის ყოველ ეტაპზე და მათზე ადექვატური რეაგირება მისი განვითარების სტრატეგიული მიზნების მიღწევის საქმეში, შეადგენს სტრატეგიული მენეჯმენტის **თანამედროვე პარადიგმის** საფუძველს.

III. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვის მეთოდების შერჩევა, რომელიც გარე ფინანსური გარემოს პირობების მიმდინარე ცვლილებების ხასიათის ადეკვატურია. სტრატეგიული მენეჯმენტის პრინციპების შესაბამისად კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვის მეთოდების შერჩევა უნდა ხდებოდეს, გარე ფინანსური გარემოს კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე. ეს პირობები შეიძლება იყოს სტაბილური ხასიათის, ან ძალიან ცვალებადი ისე, რომ მისი განჭვრეტა შეუძლებელი იყოს.

IV. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის კონტროლის ეფექტიანი სისტემის აგება. სტრატეგიული ფინანსური კონტროლინგის სისტემის აგების პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ კონტროლის ამ სახის ობიექტი არის არა ცალკეული სტრატეგიული ღონისძიებების რეალიზაციის ხარისხი, რომელიც გათვალისწინებულია კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პროგრამით, არამედ მხოლოდ ამ განვითარების სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის დონე.

V. აუცილებლობის შემთხვევაში კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პროგრამის კორექტირება.

ამრიგად, ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა უნდა ჩაითვალოს წარმატებით დასრულებულად, თუკი მიღწეულია ყველა ძირითადი სტრატეგიული მიზანი კორპორაციის ფინანსური განვითარების ყოველი დომინანტური სფეროს მიხედვით რომელის მიღწევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მონოტორინგის განხორციელება წარმოადგენს.

12.2. სტრატეგიული დაგეგმვა კორპორაციის მართვის სისტემაში

საყოველთაოდ ცნობილია რომ, თანამედროვე მენეჯმენტს არ გააჩნია მართვის ერთიანი და საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ნაკრები. პრაქტიკულად ყოველ მკვლევარს, რომელიც სწავლობს მართვის პრობლემებს ამ სფეროში, საკუთარი მიდგომა გააჩნია. მართვის პრინციპები ზოგადად შეიძლება განისაზღვროს როგორც მართვის პროცესის მიმართ ამოსავალი ნორმები, წესები და კანონზომიერებები, რომელთა დაცვა ხელს უწყობს საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნების მიღწევასა და ამოცანების გადაწყვეტას.[32]

ჩვენი შეფასებით, თანამედროვე ეტაპზე **მართვის ზოგადი პრინციპების სისტემაში** ძირითადი ადგილი უჭირავს მართვის მეცნიერული დასაბუთების, მმართველობითი ამოცანების გადაწყვეტისადმი სისტემური მიდგომის, მართვის ოპტიმალურობის, მოქნილობისა და დემოკრატიზაციის პრინციპებს. **ადმინისტრირების** თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ მართვის რეგლამენტაციისა და ფორმალიზაციის პრინციპები, ხოლო ორგანიზაციის (კორპორაციის) მართვის

პრინციპების სისტემაში გამოვყოფთ სამ ძირითად **ჯგუფს**, როგორებიცაა: 1) ინვესტირების; 2) ტექნოლოგიების მართვის; 3) წარმოების ეფექტიანი მართვის სტრუქტურების შექმნის პრინციპები.

მმართველობით გადაწყვეტილებათა ფორმირების პროცესი დაკავშირებულია მართვის პროცესის **ციკლურობასთან**, რომელიც **3 სტადიისაგან** შედგება: 1) მიზნის დასახვა-დაგეგმვა; 2) სამართავი სისტემის მომზადება დასახული მიზნის განსახორციელებლად; 3) აღრიცხვა, კონტროლი, მოქმედების კორექტირება-რეგულირება და კოორდინაცია.

პ. დრუკერი წიგნში „Management Challenges for the 21st Century" („მენეჯმენტის ამოცანები XXI საუკუნეში") განმარტავს, რომ აუცილებელი ხდება ახალი მენარმეთა საზოგადოების შექმნა. შესაბამისად, საზოგადოების ცხოვრების წესი უნდა დაეფუძნოს **მენეჯერთა ინოვაციური საქმიანობის პრინციპებს**. კერძოდ, ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს სამი ინოვაციური პრინციპის დაცვა:

1) პროდუქციის მუდმივი სრულყოფა;

2) თანამედროვე ცოდნის გამოყენება და

3) სისტემური ინოვაციური საქმიანობა.

---

[32] ლიპარტია ზ. – „კორპორაციების ფინანსური მართვის მექანიზმის სრულყოფის საკითხისათვის". სტატია. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტომი 12, გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015. გვ 136-145.

ამასთან ინოვაცია მის მიერ განიხილება როგორც არა მხოლოდ ტექნიკური საქმიანობა, არამედ როგორც შიდა საფირმო და სოციალური მეწარმეობა.

პ. დრუკერის აზრით, იაპონიის წარმატება მეწარმეობრივ საქმიანობაში განპირობებული იყო სწორედ სოციალური ინოვაციის პრინციპების დამკვიდრებით. კერძოდ, ისეთი ინსტიტუტების განვითარებით, როგორიც არის უმაღლესი და საშუალო განათლება, შრომითი ხელშეკრულებები. მენეჯერი, რომელიც ფლობს ინოვაციის ხელოვნებას ხდება **„მენეჯერი მეწარმე“,** რომელსაც ძალუძს მოახდინოს **რევოლუცია მართვაში,** ეს არის კიდევ ერთი ახალი მოვლენა ცოდნის ეკონომიკაშიბიზნესის ხარისხობრივი, ნახტომისებრი ცვლილება, ოღონდ ისტორიული რევოლუციებისაგან განსხვავებით ეს არის რევოლუცია ნგრევის გარეშე“.[33]

ზემოთ აღნიშნლი მეცნიერის, **პ. დრუკერის** მენეჯმენტის პრინციპების **გააზრებისა** და თანამედროვე მენეჯმენტის **პრაქტიკის მოთხოვნებიდან** გამომდინარე, ცნობილი ქართველი მეცნიერ-მკლევარების, **პროფესორების: გიორგი და ოთარ ბაღათურიების** მიერ საქართველოში ჩამოყალიბებულია **კორპორაციის ეფექტიანი მართვის წესები, კერძოდ:**

1. ეფექტიანი ხელმძღვანელი ფიქრობს და აყალიბებს მიზან-ამოცანებს საწარმოს ინტერესების მისაღწევად;
2. ეფექტიანი ხელმძღვანელი ამზადებს მოქმედების დაწვრილებით გეგმას;
3. ეფექტიან ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას იღებს მიღებულ გადაწყვეტილებებზე;
4. ეფექტიანი ხელმძღვანელი პასუხისმგებლობას იღებს კომუნიკაციის უზრუნველყოფაზე;
5. ეფექტიანი ხელმძღვანელის ძალისხმევა მიმართულია შესაძლებლობებზე და არა პრობლემებზე;
6. ეფექტიანი ხელმძღვანელი ნაყოფიერ შეხვედრებს მართავს;
7. ეფექტიანი ხელმძღვანელი ფიქრობს და ამბობს „ჩვენ“ და არა „მე“;
8. ეფექტიანი ხელმძღვანელი ჯერ ისმენს და შემდეგ ლაპარაკობს.[34]

ამრიგად, ეკონომიკური და მმართველობითი მართვის პროცესი განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება, რომლებიც ახასიათებენ მართვის ორგანოთა სისტემასა და სტრუქტურას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, მენეჯერის ფუნქციებისა და შემსრულებელზე ზემოქმედების მეთოდებს. შესაბამისად, არსებობს წარმოების გაძღოლის მენეჯმენტის ეფექტური ორგანიზაციის რიგი სპეციფიკური კანონზომიერებისა და მათი მოქმედების პრინციპების, წესების ერთობლიობა, რომელთა დაცვითა და პრაქტიკაში გატარებით მიიღწევა წარმატებული მენეჯმენტი. ქვეყნის ეკონომიკის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების მისაღწევად, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მენეჯმენტის ორგანიზაციულეკონომიკური მექანიზმების სისტემის სრულყოფისა და **ბიზნეს-პრაქტიკაში** ადაპტირების ძირითადი ამოცანების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია კორპორაციების (საწარმოთა) რაციონალური ფუნქციონირების პროცესის მეთოდოლოგიის, კერძოდ, ეკონომიკური.... **სუბიექტების სტრატეგიული დაგეგმვის (საპროგნოზო პერიოდისათვის) მეთოდიკისა და საწარმოს ბიზნეს-გეგმის ფორმირების პრაქტიკული ასპექტის დამუშავება.** როგორც ცნობილია, **ეკონომიკური სუბიექტის** (საწარმოს) **ბიზნეს-გეგმა** წარმოების დაგეგმვის, მართვისა და კონტროლის **ინსტრუმენტია.** მისი მეშვეობით ხორციელდება მოვლენებზე არა უბრალოდ რეაგირება, არამედ იგი იძლევა მართვის შესაძლებლობას წინასწარ შედგენილი გეგმის საფუძველზე. კორპორაციის საწარმოს საქმიანობის სტარატეგიული დაგეგმვის მიზანია, შეიმუშაოს საწარმოს (დარგის) განვითარების კომპლექსური გეგმა და შეაიარაღოს საწარმოს მენეჯერებისათანადო ინფორმაციებით საწარმოში არსებული სიტუაციისა და მისი შესაძლო განვითარების შესახებ, რომელიც გამოიხატება საწარმოს ბიზნეს-გეგმაში.

ჩვენ მიერ მონოგრაფიაში **შემოთავაზებულია სტრატეგიული გეგმის სანიმუშო ვარიან-**

---

[33] **Друкер, Питер Ф. Задачи менджмента в XXI веке.:** Пер. с англ.: Уч. Пос. – М.: Издательский дом „Вильямс“, 2007. – 288с. Эта книга классика современного менджмента, посвящена глобальным проблемам, с которыми столкнётся мировая экономика и всё человечество в XXIвеке.


[34] **ბაღათურია გ. ბაღათურია ო.** სტატია „ეფექტიანი მენეჯმენტის პრინციპები პეტერ დრუკერის მიხედვით“. „საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“. (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) N4. თბილისი, 2008. გვ 54-64.

ტი (იხ. დანართი 1.) რომელიც საერთოდ დამახასიათებელია სტრატეგიული ბიზნესდაგეგმვისათვის, კაპიტალდაბანდებათა მოზიდვის (კრედიტის) გამოყენების მაგალითზე. **ბიზნეს-გეგმის სტრუქტურების** ფორმირებას განსაზღვრავენ ისეთი **ფაქტორები,** როგორიცაა: გასაღების ბაზრის მოსალოდნელი სიდიდე, კონკურენტების არსებობა და ორგანიზაციის ზრდის პერსპექტივა.

სიტუაციური მიდგომის თეორიისა და მართვის სისტემის ორგანიზაციის პრაქტიკიდან გამომდინარე მენეჯერების მიერ ორგანიზაციული სტრუქტურის ტიპის თუ ორგანიზების მეთოდის შერჩევას განაპირობებს შემდეგი **ოთხი ფაქტორის** არსებობა: 1) ორგანიზაციული გარემო; 2) ორგანიზაციის სტრატეგიის ტიპი; 3) ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ტექნოლოგია; 4) ორგანიზაციის ადამიანური რესურსების **თავისებურებანი. (იხ. ნახ. 3.13).**

ამრიგად, ეკონომიკური ორგანიზაციის განვითარების მართვის სრულყოფა დიდ სირთულეებს უკავშირდება. სტრატეგიული არჩევანის გაკეთება და მართვის სტილის შეცვლა კორპორაციის საქმიანობის მმართველობით პროცესში შესაძლებელია თუ დავიცავთ მაღალგანვითარებული ქვეყნების სამეწარმეო **პრაქტიკაში აპრობირებულ მეთოდებს.** შესაბამისად, ეკონომიკის მიკროდონეზე სტრატეგიული მენეჯმენტის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფილი სისტემის ფორმირება და ეკონომიკური სუბიექტების (მეწარმეების) პრაქტიკულ საქმიანობაში **ბიზნეს-გეგმის დამკვიდრება,** მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, განამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკველს, მყარად და მაღალი ტემპებით განვითარებადი ეკონომიკის სახით.

სტრატეგიული მართვის პროცესებში, როგორც განვითარებული ქვეყნების **პრაქტიკა** მოწმობს 1980-იან წლებში დაიწყო კორპორაციული დაგეგმვის პროცესების **დომინირება.** ეს, ძირითადად, ხდებოდა მსხვილი კომპანიების ხარჯზე, რომლებსაც კორპორაციული დაგეგმვის სპეციალუტი სამსახურები ჰქონდათ შექმნილი იმ მიზნით, რომ კომპანიის სამომავლო საქმიანობა რაციონალურად ყოფილიყო დაგეგმილი. ამ მოდელების და მეთოდების უმეტესობა სწორედ იმ პერიოდში შეიმნა. თუმცა, ბევრი მოდელი არ პასუხობდა იმ სტატეგიულ პრობლემებს, რომლებსაც ანყდებოდნენ ყველანაირი ფორმისა და ზომის ორგანიზაციები. პროფ. **სქოულსმა** შეაჯამა ის ძირითადი ცვილებები, რომლებიც სტრატებიული მართვის სფეროში დაფიქსირდა 25 წლის მანძილზე.



ნახ. 3.13. ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციულ სტრუქტურაზე.

თანამედროვე ეტაპზე, უმეტესწილად მრავალი კომპანია საერთშორისო მასშტაბით ეწევა საქმიანობას. სახელმწიფო სტრუქტურებსაც კი, რომლებზეც ტრადიციულად თითქოს გავლენას არ ახდენდა საერთაშორისო ფაქტორები, მოუნევთ ახალ კონკურენციას და კონკურენციის

მეთოდებთან ადაპტირება. გარდა ამისა, კორპორაციული დაგეგმვის „ზემოდან ქვემოთ" მიდგომაც, რომელსაც მსხვილი ორგანიზაციები იყენებენ, გზას დაუთმობს ისეთ **სტრატეგიულ მიზნებს,** საჭიროების შემთხვევაში, რომელიც ზუსტად შესაფერისი იქნება ბიზნესის კონკრეტული დონის და, მაშასადამე, იმ კონკურენციული პირობებისა და სხვა ფაქტორების, რომელიც ორგანიზაციასა და მის ბიზნესზე ახდენს გავლენას.

სტრატეგიული დაგეგმვა ორგანიზაციის ზედა დონეზე კონცენტრირებული იქნება, ძირითადად, იმ საზღვრების დადგენაზე, რომლის ფარგლებშიც დამუშავდება **ბიზნესის სტრატეგია.** პერსპექტივაში სტრატეგიული მართვის აქცენტი სულ უფრო მეტად გახდება მიმართული კონკრეტულად იმ ქსელებსა და ამხანაგობებზე, რომლის ფარგლებშიც ორგანიზაცია გადაწყვეტს საქმიანობას. აქცენტი ორგანიზაციის კონკრეტული ღირებულების ჯაჭვიდან გადაიტანება ორგანიზაციის ქსელის შემადგენელი ცალკეულ ნაწილის ღირებულების დადგენაზე. ურთიერთკავშირი და დამოკიდებულება ბიზნესის სტრატეგიასა და რესურსულ შესაძლებლობებს შორის სულ უფრო მჭიდრო გახდება – ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ამ ორმხრივი კავშირის შესახებ.

პრაქტიკა მოწმობს, რომ ბიზნესის სტრატეგიული განვითარების **დაგეგმვის** პროცესი მოიცავს: ბიზნესგეგმის ფორმირების კონცეფციის ფორმულირებას; საბაზრო სიტუაციის სტრატეგიულ ანალიზსა და მარკეტინგულ, პროდუქტიულ (სასაქონლო) ტექნოლოგიურ, მენეჯმენტისა და ფინანსური სტრატეგიების შემუშავებას; ბიზნესგეგმის ექსპერტიზას; პოტენციური პარტნიორების შენიშვნების გათვალისწინებასა და დამტკიცებას; საწარმოო პროგრამებისა და სამუშაოების განხორციელებაზე მონიტორინგის დაწესებას **(იხ. ნახაზი 3.14).**

ბუნებრივია, სტრატეგიული დაგეგმვა უნდა წარიმართოს ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და ბუნებრივ-კლიმატური პირობების გათვალისწინებით, და **მიკროდონეზე ტექნიკურეკონომიკურმა კვლევებმა უნდა უზრუნველყოს კორპორაციის (დარგის) ბიზნესგეგმის ფორმირება,** რომელიც მოიცავს შემდეგი საკითხების გადაწყვეტას:

1. კორპორაციის (დარგის) როლის დადგენა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში და მისი ძირითადი ამოცანების (მიზნების) განსაზღვრა;
2. კორპორაციის მოსალოდნელი ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა ძირითადი სტრუქტურული ქვედანაყოფების (განყოფილებების) მითითებით;
3. საწარმოს პროდუქციაზე არსებულ საბაზრო მოთხოვნათა და მომავალში მათზე მოთხოვნის ზრდის შესაძლებლობათა (სტრატეგიული მიზნის განჭვრეტა) განსაზღვრა;
4. გაყიდვების მოცულობათა პროგნოზირებისა და გასაღების პროგრამების შედგენა მოსალოდნელი შემოსავლებისა და მარკეტინგზე დანახარჯების განსაზღვრით;
5. საწარმოო პროგრამის (პროგნოზის) შემუშავება საწარმოო სიმძლავრეების ოპტიმალურად გამოყენების გათვალისწინებით;
6. წარმოების ფაქტორების (მატერიალური, შრომითი) მოთხოვნათა განსაზღვრა მიმდინარე და მომავალ პერიოდებში მიწოდების უზრუნველსაყოფად;
7. მომავალში ნავარაუდევი ტექნოლოგიებისა და პროცესების გამოყენების განჭვრეტა ინოვაციური დანახარჯების შეფასებით;
8. ფინანსური პროგრამის ფორმირება, რომელშიც აისახება მოთხოვნა აქტივებზე (მუდმივ და საბრუნავ კაპიტალზე), საინოვაციო დანახარჯებზე, საწარმოს საქმიანობის ფინანსური (მოგების ნორმის) მაჩვენებლების შეფასება.

კომპანიების პერსპექტიული **დაგეგმვის ძირითადი ამოცანებად განიხილება:** 1. აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების განსაზღვრა; 2. ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობის შეფასება; 3. უახლოეს პერსპექტივაში საჭირო საწარმოო სიმძლავრეების (ტექნიკური პროგრესის) შეფასება; 4. შესაძლო ინვესტიციების მოცულობების წინასწარი შეფასება.

კომპანიის მთავარი **მიზნის** არჩევის შემდეგ ეტაპზე ბიზნეს-გეგმაში ასახვა უნდა ჰპოვოს **მარკეტინგის სტრატეგიამ,** რომელშიც მნიშვნელოვანია კომერციული სტრატეგია და ფასწარმოქმნის პოლიტიკის განსაზღვრა.

ფასების სტრატეგიის განსაზღვრაში გასათვალისწინებელია ქვეყანაში მიმდინარე ინფლაციის პროცესები. ფასების კორექტირებას, ინფლაციის გათვალისწინებით, ახდენენ მსოფლიო ეკონომიკურ პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდიკის გამოყენებით. ფასების ფორმირების ბოლო ეტაპზე გასათვალისწინებელია საწარმოს რენტაბელობის მაჩვენებელზე ქვეყნის

არაბალანსირებადი ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს მიერ ფასების ლიმიტირებისა, ან ფასების დონის რეგულირების სხვადასხვა ღონისძიების გატარება.

პრაქტიკის შეფასებიდან გამომდინარეობს, რომ ქვეყნის მეწარმეების მიერ ბიზნესის დაგეგმვის პროცესში ერთერთ რთულ კვანძად **საწარმოო პროგრამის** ფორმირება გვევლინება, რასაც განაპირობებს გარდამავალ პერიოდში ნედლეულ-მასალების გაძნელებული მოპოვება, ენერგომატარებლების შეფერხებული მიწოდება და მათზე ფასების მკვეთრი ზრდა, კრიზისული და კონფლიქტური სიტუაციები.

ეკონომიკური სუბიექტების **ოპერატიული,** წლიური და **პერსპექტიული** ოპტიმალური საწარმოო პროგრამის ფორმირების **ორგანიზაციული ასპექტი** მოიცავს: 1. საწარმოების, მისი ცალკეული ქვედანაყოფის (საამქროების, რგოლების) არსებული საწარმოო სიმძლავრეების ანალიზს; 2. მეცნიერულად დასაბუთებული საწარმოო სიმძლავრეების მაჩვენებლების (ნორმატივების) მოპოვებასა და დაგეგმარებაში გამოყენებას; 3. პროდუქციის (მომსახურების) მაქსიმალურად შესაძლო წარმოების (გამოშვების) დასაბუთებაგაანგარიშებას მარკეტინგულ გამოკვლევათა (საბაზრო მოთხოვნის) გათვალისწინებით; 4. არსებული ტექნოლოგიური ნაკადების გამოყენების სრულყოფისა და ახალი მაღალეფექტიანი ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებების შემუშავებას; 5. მანქანადანადგარების სამუშაო დროის, მათი ეფექტიანი დატვირთვის რეჟიმის განსაზღვრას, პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობას; 6. გამოსაშვები პროდუქციის შრომატევადობის ერთეულის განსაზღვრას და სხვ.

საწარმოო პროგრამების ოპტიმიზაცია, საწარმოო დანადგარების მაქსიმალური დატვირთვის საფუძველზე, მიზანშეწონილია, ჩატარდეს შემდეგი მეთოდიკის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს: ა) მოცემული ტექნოლოგიის პირობებში დანადგარის (დანადგარების) მოქმედი (საწყისი) დატვირთვის განსაზღვრას; ბ) ცალკეული ტექნოლოგიური ჯგუფის ჭრილიში და, ასევე, მთლიანად საწარმოში დანადგარების რეზერვის განსაზღვრას; გ) არსებული სიმძლავრის სრული დატვირთვის გათვალისწინებით, რომელიც გაიანგარიშება სამანქანო დროის რეზერვების გამოყენებას შიგა და საწარმოთაშორისო კოოპერირების მეშვეობით შემუშავებული ღონისძიებათა საფუძველზე, საწარმოო პროგრამის ოპტიმალური ვარიანტების ხელახალ შემუშავებას და წარდგენას მენეჯერისადმი.

კორპორაციული სტრატეგიული დაგეგმვის ბოლო ეტაპზე ყალიბდება **ფინანსური სტრატეგია. შესაბამისად, კორპორაციის საფინანსო სტრატეგია (ფინანსური გეგმა) მოიცავს რამდენიმე დოკუმენტს,** რომელთა განსაზღვრა გულდასმით უნდა წარმოებდეს, მათ შორის გამოყოფენ: 1. რეალიზაციის (გაყიდვების) მოცულობის პროგნოზირებას; 2. ფულადი სახსრების შემოსავლებისა და გასავლების ბალანსს; 3. შემოსავლებისა და დანახარჯების ნაერთ ცხრილებს; 4. საწარმოს აქტივებისა და პასივების ნაერთ ბალანსს; 5. მოგების მაჩვენებელთა ფორმირებისა და გამოყენების პრიორიტეტებს; 6. ფასიანი ქაღალდების პორტფელს; 7. საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ეტაპებს; 8. დაინტერესებულ მხარეთა ფინანსური მოლოდინის განჭვრეტასა და ა. შ.

კორპორაციის ფინანსურ სტრატეგიაში მნიშვნელოვანია საინვესტიციო პროექტის ღირებულების მართვა, კერძოდ, ღირებულებისა და დანახარჯების წარმოშობის ადგილის მიხედვით: საინვესტიციო სახსრების მიღების წყარო და ფორმები, კაპიტალურ დაბანდებათა უკუგება და საინვესტიციო დივიდენდების მაჩვენებელი. ბუნებრივია, ეკონომიკური სუბიექტის საფინანსო გეგმა აიგება მარკეტინგული კვლევების, მარკეტინგული გეგმის (პროგნოზირების) საფუძველზე და გამომდინარეობს კორპორაცია (ფირმის) საწარმოო გეგმის შესაძლებლობებიდან. ეკონომიკური სუბიექტის (კორპორაციის) ბიზნესგეგმის მოცულობას (ხარისხს), მის სტრუქტურას განსაზღვრავენ ფირმის სპეციფიკურობა და საქმიანობის სფერო. ბუნებრივია, არ არსებობს ეკონომიკური სუბიექტის ბიზნესგეგმის ფორმირების „მზა რეცეპტები".[35]

ამრიგად, **სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს** (იხ. ნახ. 3.15)

---


[35] იხ. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ. „ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები: სახელმძღვანელო. ტომი 2. – „კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგიები", გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი, 2013. - 554გვ

6.1. ბიზნესის (დარგის) განვითარების ბიზნესგეგმირების პროგრამის (პროექტის) სტრატეგიული დაგეგმვის სქემა.

ნახ. 3-14. დარგის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის სქემა.

როგორ უნდა მოხდეს სტრატეგიული დაგეგმვის ორგანიზება?

1. **დარგის (კორპორაციის) განვითარების პროგნოზირების თავისებურებების გამოვლენა.** ეკონომიკური პროგნოზირება ეკონომიკური პროცესების განვითარების წინასწარმეტყველებას მოიცავს. ცნობილია, რომ კონკრეტულობის დონის, საკვლევი პროცესებისა და მოვლენის მსვლელობაზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით



ნახ. 3-15. სტრატეგიული დაგეგმის პროცესის სქემა.

განასხვავებენ **წინასწარხედვის სამ სახეს: ჰიპოთეზას, პროგნოზსა და გეგმას. პროგნოზის პროცესი (ტერმინი ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს წინასწარგანსაზღვრას)** მოიცავს დროის რომელიმე მომენტისათვის ობიექტის განვითარების ტენდენციების ანალიზის საფუძველზე, ეკონომიკური ობიექტის მომავალი განვითარების ძირითადი მაჩვენებლის, მოვლენათა და პროცესთა განვითარების გზებისა და შედეგების განსაზღვრას.

პროგნოზირების რაოდენობრივ მეთოდს მიეკუთვნება: სტატისტიკური, მათემატიკური ექსტრაპოლაციის, მოდელირების და სხვა მეთოდები. პროგნოზირების თვისობრივ მეთოდებს მიეკუთვნება: **დელფის მეთოდი, „ტვინების შტურმი"-ს სისტემა PATTERN** და სხვები, რომლებიც ეფუძნება პროგნოზირების ობიექტის ლოგიკურ ანალიზს.

დარგობრივი მიკროეკონომიკური სუბიექტის **ეკონომიკური პროგნოზირების ძირითად ობიექტად** გვევლინება: მოთხოვნილება დარგებში (საწარმოში) წარმოებულ პროდუქციაზე (მომსახურებაზე), საწარმოთა რესურსებზე; მეცნიერულტექნიკური პროგრესის ასპექტები; დარგის საწარმოო პოტენციალი და მისი გამოყენება; მართვისა და ორგანიზაციის სრულყოფა და განვითარება და ა. შ.

მართვისა და პროგნოზირების **ამოცანები** განისაზღვრება დარგის (საწარმოს) წინაშე მდგარი მიზნების კომპლექსით: 1) სტრატეგიული მიზნებით (15 წელზე ზევით პერიოდისათვის); 2) საშუალოვადიანი მიზნებით (15 წლიანი პერიოდით) და მოკლევადიანი ანუ ოპერაციული მიზნებით (1 წლამდე პერიოდისათვის).

პროგნოზირების მეთოდოლოგია ორ ნორმატიულსა და საძიების მიდგომას ეფუძნება, რომლის ერთიანობა განსაზღვრავს მიკროეკონომიკური დონეების პროგნოსტიკის შემდეგ თანმიმდევრობას **(ეტაპებს):** 1. მიკროეკონომიკური სფეროს (დარგის) განვითარების აღწერა ანალიზი, წარსულ და მიმდინარე პერიოდებში საპროგნოზო გადაწყვეტილებების შედეგების შეფასებით; 2. დარგის განვითარების ძირითადი მიმართულებების პროგნოზი, საძიებო მიდგომის საფუძველზე; 3. დარგის განვითარების ძირითადი მიზნებისა და ამოცანების დასმა, პროგნოზის შემუშავება ნორმატიული მიდგომის საფუძველზე; 4. „გარღვევის" გამოვლენა, მათი ანალიზი, პრობლემების დასმა და ამ პრობლემების გადაწყვეტის გზების დამუშავება, მათ საფუძველზე დარგის განვითარების ვარიანტების განსაზღვრა შიგა და გარეშე შეზღუდვების გათვალისწინებით; 5. განვითარების ვარიანტის არჩევა და დარგთაშორისი ბალანსისათვის ინფორმაციის დამუშავება.

საშუალო და გრძელვადიანი პერიოდებისათვის პროგნოზირების თავისებურებანი:

საშუალო და გრძელვადიანი პერიოდების პროგნოზირებისათვის, საკმარისად ობიექტურ საფუძველს ქმნის წარსული პერიოდების **ტრენდების** ექსტრაპოლაცია ნორმატიულ პროგნოზებთან შეთანაწყობით.

დარგობრივი ეკონომიკური პროგნოზირების ერთერთ რთულ და საკვანძო საკითხად პროდუქციაზე **მოთხოვნის განსაზღვრა** გვევლინება, რომლის **პროგნოზირების პროცესი** მოიცავს:

1) საპროგნოზო ობიექტის დადგენას, პროგნოზის მიზნების და ამოცანების ფორმულირებას და პერიოდის განსაზღვრას;
2) დარგის (სფეროს) პროდუქციის მომხმარებელთა წრის დადგენას და პროდუქციის მოხმარებაში მათი წილის განსაზღვრას;
3) ობიექტის შესახებ რეტროსპექტული ინფორმაციის შეგროვებასა და შეფასებას სარწმუნოობის, პერიოდულობის, ობიექტურობის და ა. შ. კრიტერიუმებით;
4) ნორმატივების დამუშავება შესაძლო რაოდენობრივი შეფასებისათვის;
5) პროგნოზირების მეთოდის არჩევა;
6) საპროგნოზო პერიოდისათვის დარგის (საწარმოს) პროდუქციაზე მოთხოვნების გაანგრიშება და მისი სტრუქტურის დადგენა.

დარგის საწარმოო რესურსების პროგნოზი მოიცავს მატერიალურ და შრომით რესურსებზე, ძირითად ფონდებსა და საწარმოო კაპიტალდაბანდებებზე მოთხოვნელებების განსაზღვრას. ამ მიზნით უნდა მოხდეს დარგის საწარმოო სიმძლავრის განსაზღვრა და გარკვეულ პერიოდში, მისი შესაძლო გამოყენების დონის შეფასება. გაანგარიშება იწარმოება რესურსტევადობის (მასალათტევადობის, ფონდტევადობისა და შრომატევადობის) კოეფიცინტების პროგნოზით.

ამრიგად, კორპორაციის (დარგის) განვითარების სტრატეგიის შემუშავებისათვის სამეცნიერო-ტექნიკური **განვითარების პროგნოზირების მეთოდებმა** უნდა უზრუნველყოს: გადაწყვეტილებები განსახილველად და მისაღებად მკაფიოდ გამოხატული ვარიანტების ჩამოყალიბება; ლოგიკური დამოკიდებულებების დამყარება გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ყველა ეტაპს, დონესა და ელემენტს შორის, სხვადასხვა ალტერნატივის არჩევისათვის; სხვადასხვა ვარიანტის რაოდენობრივი შეფასება მათი შედარებისათვის და ოპტიმალურის ასარჩევად. შესაბამისად, კორპორაციის მართვის სისტემის **ელემენტებს** შეადგენენ: **1) რესურსები; 2) ტექნოლოგია; 3) სტრუქტურა; 4) მართვა; 5) დაგეგმვა; 6) ფინანსები.** კორპორაციის საქმიანობის ეფექტიანობა, როგორც უშუალოდ თვით კორპორაციის შიდა, ასევე კონკურენტებთან, კლიენტებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობებზე არის დამოკიდებული. აღნიშნული ურთიერთობების პროცესში კორპორაციის ხელმძღვანელობამ ინტერესების ექვსი ჯგუფი უნდა დააკმაყოფილოს, როგორიცაა: **1) ურთიერთობები ინვესტორებთან; 2) ურთიერთობები მომწოდებლებთან; 3) ურთიერთობები კლიენტებთან; 4) კორპორაციის ხელმძღვანელობის ურთიერთობები პერსონალთან; 5) ურთიერთობები შუამავლებთან** (მ. შ. **მარკეტინგული და საკრედიტო-საფინანსო შუამავლები); 6) ურთიერთობები საკონტაქტო აუდიტორიასთან. კორპორაციის ფინანსური დაგეგმვა** (ბიზნეს-გეგმა) ჩვეულებრივად 12 ძირითად განაყოფს მოიცავს (**იხ. დანართი 1.**).

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, განათლების სფეროს დამსახურებული მოღვაწე, **აკადემიკოსი რევაზ ხარებავა,** სახელმძღვანელოში – **„ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები"** კორპორაციის ხელმძღვანელობის ურთიერთობები პერსონალთან მიმართებაში აღნიშნავს, რომ – **„პერსონალის მართვის ფილოსოფია** განიხილავს პერსონალის მართვის პროცესს ლოგიკური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეკოლოგიური, ორგანიზაციული, და ეთიკური პრობლემების თვალსაზრისით. ორგანიზაციის (კორპორაციის) პერსონალის მართვის **ფილოსოფიის არსი** მდგომარეობს შრომითი ცხოვრების გაუმჯობესებაში, კერძოდ: ორგანიზაციის მენეჯმენტმა უნდა შექმნას პირობები, სადაც ყოველი თანამშრომელი სრულად გამოიყენებს თავის უნარ-ჩვევებს; მომუშავეს შეექმნება შესაძლებლობა ითამაშოს აქტიური როლი სანარმოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში; მომუშავე მიიღებს ადეკვატურ და სამართლიან კომპენსაციას; შექმნილი იქნება შრომის უსაფრთხო და ჯანმრთელი პირობები. ასევე, უნდა მოხდეს მომუშავეების მოთხოვნილების სრულფასოვანი დაკმაყოფილებაც, რაც წარმოადგენს უმთავრეს ამოცანას პერსონალის მართვის ფილოსოფიის თვალსაზრისით, რომელის წარმოადგენს ორგანიზაციის **ფილოსოფიის** (მისიის) განუყოფელ ნაწილს, მის საფუძველს".[36]

[36] **რევაზ ხარებავა** „ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. სახელმძღვანელო. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2012. – 632. გვ. (§18-2, გვ. 540-541).

12.3. დივერსიფიცირებული კომპანიის კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება

კორპორაციის სტრატეგია როგორც უკვე აღინიშნა, საჭიროა როგორც მთლიანად კომპანიისათვის, ასევე მისი ცალკეული რგოლებისთვისაც – სამეცნიერო კვლევები, გაყიდვები, მარკეტინგი, ფინანსები, ადამიანური რესურსები და ა. შ. კომპანიის საერთო სტრატეგია გამომდინარეობს **ფირმის ქცევის მოდელიდან** და მენეჯერების მიერ შემოთავაზებული ახალი იდეებიდან. ორგანიზაციის სტრატეგია მუდმივად ვითარდება. ძალიან რთულია ყველაფერი წინასწარ გათვალო და გარკვეული დროის მანძილზე მიჰყვე დადგენილ კურს ისე, რომ მასში არავითარი ცვლილება არ შეიტანო. ცხადია, **სტრატეგიის შემუშავება არის ძალიან მგრძნობიარე პროცესი, კერძოდ:** კონკურენციის გაუთვალისწინებელი ხასიათი, ფასების ზრდა და დაცემა, ცვლილებები ძირითადი კონკურენტების რიგებში, ახალი რეგულირებები, სავაჭრო ბარიერების გაფართოება ან შემცირება და მრავალი სხვა სიტუაციები ხელს უწყობს სტრატეგიის მოძველებას. სწორედ ამიტომ, სტრატეგიის სრულყოფის ამოცანა ხანგრძლივი პროცესია. კომპანიის სტრატეგია უნდა მოიცავდეს თავისთავში წინასწარ გათვლილ და კარგად დაგეგმილ მიმართულებას, ასევე აუცილებელია თვალყური ვადევნოთ ბიზნესის სფეროში წარმოშობილ სიახლეებზე რეაგირებას.

დივერსიფიცირებული კომპანიების სტრატეგიების შემუშავების პირამიდა, რომლის შემუშავებაც ხდება ოთხ სხვადასხვა ორგანიზაციულ დონეზე მოიცავს, **კერძოდ:** 1) კორპორაციული სტრატეგიას; 2) ბიზნესსტრატეგიას; 3) ფუნქციონალურ სტრატეგიასა და 4) ოპერაციულ სტრატეგიას.

კორპორაციული განვითარების სტრატეგია – არის დივერსიფიცირებული კომპანიის მართვის საერთო გეგმა. კორპორაციული სტრატეგია ვრცელდება მთელს კომპანიაზე და მოიცავს საქმიანობის ყველა მიმართულებას. ის შედგება მოქმედებებისაგან, რომელიც გამოიყენება საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით სხვადასხვა დარგებში, აგრეთვე მოიცავს კომპანიის მართვის მეთოდებს. **კორპორაციული დონის უმთავრესი სტრატეგიები, როგორც მსოფლიო პრაქტიკა** მეტყველებს, მდგომარეობს შემდეგში: 1) კონცენტრირების მოხდენა ერთადერთ ბიზნესზე; 2) დივერსიფიკაცია; 3) ექსპანსია საერთაშორისო ბაზარზე და 4) ვერტიკალური ინტეგრირება.

სტრატეგიების შემუშავების განსჯა ბიზნესს დონეზე. მაიკლ პორტერის ცნობილი მიდგომებიდან გამომდინარე, მენეჯერებმა კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად არჩევანი უნდა გააკეთონ ორგანიზაციის მოგების გაზრდის ორ ძირითად მიმართულებას შორის, კერძოდ: ა) პროდუქტის დიფერენცირება (სხვისგან განსხვავება) ღირებულების დამატებით, ბ) წარმოების ხარჯების შემცირება. ასევე, პორტერის მტკიცებით მენეჯერებმა უნდა გააკეთონ არჩევანი, რას უნდა ემსახურონ – მთლიან ბაზარს თუ მხოლოდ ერთ სეგმენტს ან ბაზრის ნაწილს. ამით მენეჯერები არჩევანს აკეთებენ ბიზნესის დონის **ოთხ სტრატეგიას** შორის, კერძოდ: ფასების შემცირება, დიფერენცირება, ფასების ფოკუსირებული შემცირება, ან ფოკუსირებული დიფერენცირება **(იხ. ცხრ. 3.9).**

პორტერის სტრატეგიები ბიზნესს დონეზე ცხრ. 3.9

	მომსახურე საბაზრო სეგმენტების რაოდენობა	
სტრატეგია	ბევრი	მცირე რაოდენობა
ფასების შემცირება	X	
ფასების ფოკუსირებული შემცირება		X
გამორჩევითობა	X	
ფოკუსირებული გამორჩევითობა		X

ამრიგად, ბიზნეს-სტრატეგია მიმართულია ბაზარზე, კომპანიის გრძელვადიანი კონკურენტული პოზიციების მოპოვებასა და გამყარებაზე. ბიზნეს-სტრატეგიის შემუშავებას განაპირობებს: **1.** აუცილებელია მოხდეს რეაგირება მოცემულ დარგში მომხდარ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თუ სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებზე. **2.** კონკურენტუნარიანი სამოქმედო გეგმისა და

საბაზარო მიდგომების შემუშავება, რაც მოგვცემს კონკურენტულ უპირატეოსობას სხვა კომპანიებთან მიმართებაში. 3. აუცილებელი ცოდნისა და წარმოების საშუალებების დაგროვება. 4. ფუნქციონალური განყოფილებების სტრატეგიული ინიციატივების გაერთიანება. 5. კომპანიის კონკრეტული სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტა.

ფუნქციონალურ დონეზე დამატებითი ღირებულების ფასდების ფუნქციები ცხრ. 3.10


ღირებულების შექმნის ფუნქცია	წარმოების ღირებულების შემცირების გზები (დაბალი ღირებულების უპირატესობა)	დამატებითი ღირებულების ფასდების გზები (გამორჩევითობის უპირატესობები)
ვაჭრობა და მარკეტინგი მასალების მენეჯმენტი კვლევა და განვითარება წარმოება ადამიანური რესურსები მენეჯმენტი	ახალი მომხმარებლების პოვნა. დაბალფასიანი სარეკლამო მეთოდების გამონახვა. ინვენტარის დროულად გამოყენება. სისტემური/ კომპიუტრულად უზრუნველყოფილი საწყობი. გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება მომმარაგებლებთან და მომხმარებლებთან. დანადგარებისა და აღჭურვილობის ეფექტურობის გაუმჯობესება. შედარებით იაფი პროდუქტების შექმნა. წარმოების ღირებულების შემცირებისათვის საჭირო უნარების გამომუშავება. დაბნეულობისა და აბსტენციზმის შემცირება. კადრების კვალიფიკაციის ამაღლება.	სამარკო ნიშნის რეკლამირება და მისი პოპულარობის ამაღლება. მომხმარებლის მოთხოვნილებაზე მორგებული პროდუქტები. გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარება მომმარაგებლებთან მაღალხარისხიანი საწარმოო საშუალებების უზრუნველსაყოფად. მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების დროის შემცირება. ახალი პროდუქტების გაუმჯობესება. პროდუქტის ხარისხისა და საიმედოობის გაზრდა. მაღალკვალიფიცირებული კადრების დაქირავება. ინოვაციური სასწავლო პროგრამების შემუშავება.

სტრატეგიების ჩამოყალიბება ფუნქციონალურ დონეზე. ფუნქციონალური დონის სტრატეგია არის სამოქმედო გეგმა ორგანიზაციების განყოფილებებისათვის მოგების მიღების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. ღონისძიებებში გათვალისწინებულია, რომ ცალკეული განყოფილებების (როგორიცაა წარმოება და მარკეტინგი) მენეჯერებს შეუძლიათ გამოიყენონ დამატებითი ღირებულება ორგანიზაციის საქონელსა და მომსახურებაზე და ამ გზით გაზარდონ მომხმარებელთათვის განკუთვნილი საქონლის ღირებულება. თითოეულ საორგანიზაციო ფუნქციას მნიშვნელოვანი როლი აკისრია ფასების შემცირების ან პროდუქტებზე დამატებითი ფასდების პროცესში (იხ. ცხრ. 3.10).

სტრატეგიების ჩამოყალიბება ოპერაციულ დონეებზე განეკუთვნება კიდევ უფრო კონკრეტულ სტრატეგიულ ინიციატივებსა და მიდგომებს ოპერატიულ ერთეულებთან მიმართებაში (ქარხნები, გაყიდვების განყოფილება, დისტრიბუციის ცენტრები), ყოველდღიური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელსაც სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს (სარეკლამო კამპანიები, ნედლეულის შესყიდვა, მარაგების მართვა, პროფილაქტიკური შეკეთება, ტრანსპორტირება).

12.4. კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები

კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის მიზნები შეიძლება მიღწეულ იქნას სხვადასხვა ხერხებით. მათგან ყველაზე ეფექტიანების შერჩევა ხორციელდება სტრატეგიულიფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომლის მიღება წარმოადგენს სტრატეგიული ფინანსური მიზნების მიღწევის შესაძლო საშუალებების განხილვის პროცესს და მათგან შედარებით ეფექტიანობის შერჩევას პრაქტიკული რეალიზაციისთვის კონკრეტული კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური პოზიციების გათვალისწინებით.



ნახ. 3.16. კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პოლიტიკის მახასიათებლები

ფინანსურ მენეჯმენტში ჩვეულებრივ განასხვავებენ კორპორაციის **ფინანსური პოლიტიკის სამ ტიპს, როგორიცაა:** აგრესიულს, ზომიერს და კონსერვატიულს.

კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პროგრამის შედგენა.

ასეთმა პროგრამამ უნდა ასახოს კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური შერჩევის ძირითადი შედეგები და უნდა უზრუნველყოს მათი სინქრონიზაცია დომინანტური სფეროების და

სტრატეგიული ფინანსური განვითარების სეგმენტების მიხედვით (იხ. ნახ. 3.16). ასევე, ცალკეული ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციის ვადების მიხედვით, კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პროგრამის სამაგალითო ფორმატი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში (იხ. 3-11).

კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების დომინანტური სფეროების დასახელება	ფინანსური განვითარების სტრატეგიული მიზნები შესაბამისი დომინანტური სფეროს ფარგლებში	მიზნობრივი სტრატეგიული ფინანსური ნორმატივების და დავალებების სისტემა	ფინანსური პოლიტიკა ცალკეული ასპექტების (ფინანსური საქმიანობის მიხედვით პრესპექტიულ პერიოდში	ქმედებების ძირითადი მიმართულებების სისტემა კორპორაციის ფინანსური განვითარების სტრატეგიული მიზნების რეალიზაციის მიხედვით	გათვალისწინებული სტრატეგიული ქმედებების დასრულების ვადა	ფინანსური ქვეგანყოფილება (ან კონკრეტული ფინანსური მენეჯერი) რომელიც პასუხისმგებელია გათვალისწინებული გადაწყვეტილების განხორციელებაზე
1	2	3	4	5	6	7

ცხრილი 3.11. კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პროგრამის შედგენის სამაგალითო ფორმატი 20 წლამდე პერიოდისათვის.

შესაბამისად, კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების შემუშავებული პროგრამა უნდა დამტკიცებულ იქნას კორპორაციის მესაკუთრეების და უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ, რომელიც გადაეცემა კორპორაციის ფინანსურ მენეჯმენტს განსახორციელებლად (იხ. სტატია)[37].

ამრიგად, სტრატეგიული განვითარების ვარიანტის შერჩევა დიდ სირთულეებს უკავშირდება, მაგრამ კორპორაციული მართველობითი პროცესების სრულყოფა წარმატებით არის შესაძლებელი, თუ იქნება მენეჯერების მიერ გამოყენებული **საზღვარგარეთის ბიზნეს-პრაქტიკაში** კარგად აპრობირებული **6 ოქროს წესი. კერძოდ:**

1) გაარკვიეთ, რისი მიღწევა გსურთ და რატომ? 2) გაითვალისწინეთ წარმატების მიღწევის რვა აუცილებელი ფაქტორი; 3) ეფექტიანად დაგეგმეთ და ეფექიანად მართეთ მათი დაგეგმვის პროცესები; 4) როგორ შეუწყობს ხელს ორგანიზაცია პროექტის პრაქტიკაში განხორციელებას?; 5) ნათლად წარმოიდგინეთ, რის შეცვლა არის საჭირო და ცვლილების განსახორციელებლად გამოიყენეთ შესაფერისი მოქმედების სტილი ოქროს წესი: 6) ორგანიზაციამ უნდა შეისწავლოს, რატომ ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

[37] სტატია– *ზ. ლიპარტია, ნ. მაისურაძე:* „სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვისა და კონტროლინგის პრიორიტეტები საქართველოს სამთო-მომპოვებელი დარგის RMG – ის კომპანიების მაგალითზე". ჟურნალი „გადასახადები" N10-11. 2014 წ. გვ 81-93.

საგადასახადო სისტემის სრულყოფის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე საქართველოში

13. 1. კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა ფინანსური სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში

თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო დაგეგმვის საკითხებში არ არსებობს მწყობრი, ერთიანი მეცნიერულად დასაბუთებული თეორიული მიდგომა. მართვის დონის მიხედვით განასხვავებენ სახელმწიფო, კორპორაციულ (საწარმო) და ინდივიდუალურ **საგადასახადო დაგეგმვის** სახეებს. ამ თავში განვიხილავთ ეკონომიკურ ლიტერატურაში აღწერილ კორპორაციული საგადასახადო დაგეგმვის პრაქტიკიდან გამომდინარე, საგადასახადო დაგეგმვის არსს, ძირითად პრინციპებსა და პროცესის მახასიათებლებს, საგადასახდო ოპტიმიზაციის ხერხებს და „საგადასახდო წნეხის" განსაზღვრის ძირითად **მიდგომებს**, რომლებიც განაპირობებენ **საგადასახდო დაგეგმვის ფუნქციას** კორპორაციის (ორგანიზაციის) **განვითარების ფინანსური სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში**, რომელიც მიმართულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ.

საგადასახადო დაგეგმვის განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომების გამოყენების ანალიზის პროცესში იკვეთება **საგადასახადო დაგეგმვის ძირითადი ნიშნები.** კერძოდ:

1) საგადასახადო დაგეგმვა (სდ) წარმოადგენს მმაართველობითი საქმიანობის ერთ-ერთ ფუნქციას (სახეს) ორგანიზაციის (მეწარმე სუიექტის) საგადასახადო დატვირთვის ოპტიმიზაციის უზრუნველყოფაში;
2) ტერმინები „საგადასახადო ოპტიმიზაცია" და „საგადასახადო მინიმიზაცია" არაიდენტური ცნებებია;
3) საგადასახადო დაგეგმვა ხორციელდება სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვის ჭრილში;
4) საგადასახადო დაგეგმვა სისტემური მიდგომის პრინციპს უნდა ეფუძნებოდეს;
5) საგადასახადო დაგეგმვა ლეგიტიმური ხასიათის საქმიანობას წარმოადგენს;
6) საგადასახადო დაგეგმვამ უნდა მიგვიყვანოს ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, და, როგორც შედეგი – მისი საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებისკენ.

როგორც ცნობილია, საგადასახადო დაგეგმვის არსებობა განპირობებულია კერძო სამართლებრივ და ზოგად, საჯარო სამართლებრივი ინტერესთა კონფლიქტით. ნებისმიერ სახელმწიფოში (მათ შორის საქართველოშიც) კერძო საკუთრება დაცულია კონსტიტუციით, და ნებისმიერი კერძო ქონების იძულებითი გამოყენება სახელმწიფოებრივი საჭიროებისთვის შესაძლებელია მხოლოდ მისი ღირებულების წინასწარი და შესაბამის პირობებში ანაზღაურებით. ამავე დროს გადასახადი წარმოადგენს **დაუბრუნებად გადასახადს,** რომლითაც იბეგრება ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების საკუთრებაში არსებული საშუალებები და გასხვისდება მათი ფულადი საშუალებები სახელმწიფოს სასარგებლოდ (ბიუჯეტის შემოსავლები), რომელიც ასევე გათვალისწინებულია ქვეყნის უმაღლესი კანონმდებლობით.

შესაბამისად, სახელმწიფოს მხრად მეწარმე სუბიექტისგან მისი კაპიტალის, შემოსავლების ნაწილის ამოღება, ყოველთვის შეხვდება მეწარმესაგან გადასახადის შემცირებისაკენ (ან მისი არგადახდის) სწრაფვას. სახელმწიფო ყოველთვის ცდილობს არ დაუშვას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება, იყენებს რა ამისთვის საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებებს, ხოლო გადასახადის გადამხდელი პირი, კი ისწრაფვის თავი აარიდოს დაბეგვრას (ან შეამციროს მისი სიდიდე).

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია **გადამხდელის ქცევის ოთხი ძირითადი მოდელი** გადამხდელის (დაბეგვრის სუბიექტის) მხრიდან გადასახადების გადახდის მიმართებაში. კერძოდ:

1) **სტანდარტული მოდელი** (standart model) – გადასახადის გადახდა საგადასახადო ოპტიმიზაციის ვარიანტის მოძიების გარეშე;

2) **გადასახადების არ გადახდა** (დამალვა) (tox evasion) – შეგნებულად არაკანონიერი ხერ-

ხებით საგადასახადო გადახდების თანხების შემცირება (შემოსავლებისა და ქონების გადამალვა, საგადასახადო ანგარიშების დამახინჯება, ფიქტიური ანგარიშსწორებისა და დოკუმენტების შექმნა და სხვა). რომელზედაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სისხლის სამართლის კანონმებლობით გათვალისწინებული სანქციები;

3) **გადასახადებისაგან თავის არიდება,** (tax evoidace) – საგადასახადო ვალდებულებების შემცირება კანონმდებლობაში არსებული კოლიზიისა და დაუხვეწელობისას (ორმაგი აზროვნება) ცნობილი პრინციპის გამოყენებით „რაც არ არის აკრძალული კანონით, ეს დაშვებულია";

4) **კორპორაციული** (საწარმოს) საგადასახადო დაგეგმვა (Tax. planning). კორპორაციული საგადასახადო დაგეგმვის ელემენტების გამოყენებით შესაძლებელი ხდება ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება-ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს კორპორაციის (ფირმის) ისეთი „საგადასახადო ველის" ფორმირებას, გადასახადების სახეების მიხედვით დაბეგვრის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტად, ბიუჯეტში შენატანების გაზრდას, და საბოლოოდ კომპანიის ინვესტიციური მიმზიდველობის ამაღლებასა და მესაკუთრეობის კეთილდღეობის გაჯანსაღებას.

საგადასახადო დაგეგმვის ძირითად პრინციპებად გვევლინება: კანონიერება; ოპტიმალობა; ოპერატიულობა; სარგებლიანობა; ეკონომიკური დასაბუთებულობა და მართებულობა; საგადასახადო ეკონომიკის და დანაკარგების კომპლექსური აღრიცხვა; ინდივიდუალობა; სისტემურობა.

სამეწარმეო პრაქტიკაში გასათვალისწინებელი ზემოთმოყვანილი ძირითადი პრინციპების გამოყენებაში არსებული შეზღუდვა, რომელშიც იგულისხმევა სამართლებრივი სპეციალური მეთოდების გამოყენების სახელმწიფო პრაქტიკა (საკანონმდებლო შეზღუდვა, ადმინისტრაციული და ფინანსური ზომები, სპეციალური სასამართლო დოქტრინები და კონცეფციები), რომელიც არსებითად ამცირებს საგადასახადო დაგეგმვის ინსტრუმენტის გამოყენებას კორპორაციულ მმართველობის სფეროებში, კერძოდ გადასახადების დამალვის ან/და არგადახდების ფაქტების აღმოსაფხვრელად.

საგადასახადო დაგეგმვის პროცესის ეტაპები (ალგორითმი). საგულისხმოა, რომ ცხრილ 3. 12-ში მოყვანილ საგადასახადო დაბეგვრის ალგორითმი არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სრული და ერთმნიშვნელოვანი თანმიმდევრული ქმედებანი, რომელთა მკაცრად შესრულება აუცილებლად მიგვიყვანს საგადასამხდელო დაბეგვრის თანხის შემცირებამდე. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ მათმა სრულმა იგნორირებამაც შეიძლება გამოიწვიოს საწარმოს (ფირმის) საქმიანობის საგადასახადო ბაზის – დაბეგვრის თანხის მნიშვნელოვნად გაზრდა. შესაბამისად, თანამედროვე ეტაპზე საგადასახადო დაბეგვრის ოპტიმიზაციის პრობლემის გადაწყვეტის, კორპორაციის სადაბეგვრო დატვირთვის და საგადასახადო წნეხის გათვლების უნივერსალური მეთოდიკის ფორმირებას დიდი ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევების გაგრძელება სამომავლოდ ფრიად საშურ საქმედ გვესახება.

ცხრილი 3. 12. საგადასახადო დაგეგმვის პროცესის ეტაპები (ალგორითმი)


კორპორაციული საგადასახადო დაგეგმვის (კსდ) სახეები	ეტაპები	მისაღები გადაწყვეტილებები
სტრატეგიული – კსდ	პირველი	კომპანიის (ფირმის) საქმიანობის სახეებისა და მიზნების შესახებ
	მეორე	ორგანიზაციის ადგილმდებარეობის საუკეთესო ვარიანტის შერჩევა საგადასახადო თვალსაზრისით (მისი მმართველი ორგანოების, ძირითადი საწარმოო და კომერციული ქვედანაყოფებისა და ა. შ.)
	მესამე	კომპანიის (ფირმის) საორგანიზაციო-სამართლებრივი ფორმისა და ორგანიზაციული სტრუქტურის შესახებ
	მეოთხე	საგადასახადო რეჟიმის შერჩევა
ოპერაციული – კსდ	მეხუთე	ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. იქმნება „საგადასახადო ველი" კომპანიის მიერ გადასახადების ძირითადი ელემენტების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საგადასახადო შეღავათებისა და ელემენტების გამოყოფას გადასახადების სიდიდის დადგენაში.

	მეექვსე	კომპანიის (ფირმის) სახელშეკრულებო პოლიტიკის შესახებ
	მეშვიდე	მიღებული მოგებისა და დანარჩენი დანაზოგების საგადასახადო თვალსაზრისით რაციონალური განთავსებისა და მათი ხარჯვის გზებისა და მეთოდების შერჩევა
	მერვე	საგადასახადო დაგეგმვის პროცესის ორგანიზაცია და კომპანიის საქმიანობაზე კონტროლი-მონიტორინგის განხორციელება
შემდგომი – კსდ	მეცხრე	საგადასახადო დაგეგმვის ეფექტურობის შეფასება

ამრიგად, **კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა (კსფ) არის ფინანსური** მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი **ფუნქცია** ორგანიზაციის (ბიზნესის დარგის) განვითარების ერთიან **სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში,** მეურნე სუბიექტების ფინანსურ-სამეწარმეო საქმიანობის სასურველი შედეგის მისაღწევად კანონიერი საგადასახადო დატვირთვის (წნეხის) ოპტიმიზაციის ხერხების, არა „საგადასახადო მინიმიზაციის", არამედ „საგადასახადო ოპტიმიზაციის" გამოყენებით, ორგანიზაციის (კომპანიის) საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებად.

დაბეგვრისა და საგადასახადო სისტემის თეორია მუდამ უნდა იყოს ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრში. ამჟამად, ეკონომიკურ თეორიაში გავრცელებულია **ლაფერის ეფექტი,** რომელიც მიანიშნებს რომ საგადასახადო განაკვეთების კლებას პირველ ხანებში თან სდევს საგადასახადო შემოსავლების შემცირება, მაგრამ შემდგომში მეწარმეთა გააქტიურების მიზნების, ეკონომიკის აღმავლობისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით იზრდება საგადასახადო ბაზად. ამის საფუძველზე საგადასახადო შემოსავლების მოცულობაც, ან კიდევ პირიქით, საგადასახადო განაკვეთების გადიდება გარკვეულ ზომამდეა დიდებს შემოსავლებს, მაგრამ განსაზღვრული საფეხურიდან ეკონომიკის მოდუნების ან კიდევ ჩრდილოვანი დაფარული ეკონომიკის გაცხოველებით, იწყება მათი შემცირება.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ **ლაფერის ეს ეფექტი,** რომელმაც აშშ-ში რ. **რეიგანისა** და ინგლისში მ. **ტეტჩერის** ეკონომიკურ პოლიტიკას წარმატებებიც კი მოუტანა, საგადასახადო განაკვეთების და საგადასახადო ბაზას შორის მხოლოდ კორელაციურ, სტატისტიკურ ურთიერთკავშირზეა დამყარებული და ამ ფაქტორთან ერთად სხვა უარყოფითად მოქმედი ფაქტორების (მონეტარული პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი წესრიგი, კორუფცია და სხვა.) გავლენით შეიძლება საწინააღმდეგო სურათიც მივიღოთ. **ლაფერის ეფექტის** ვარაუდული ხასიათი მისი მრუდიდანაც ჩანს (**იხ. ნახ. 3.17**). ამ მრუდით ძნელია დავადგინოთ საგადასახადო განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე. ამაზე მეტყველებს, აგრეთვე, მეცნიერთა მოსაზრებანიც. მაგალითად, პროფესორი ჯ. კახნიაშვილის აზრით, **კეინზიალები** უარყოფითად მოეკიდნენ



ნახ. 3.17 ლაფერის ეფექტის მრუდი


გადასახადების შემცირების პოლიტიკას, რამდენადაც იგი გამოინვევდა ძალზე მსხვილ ბიუჯეტურ დეფიციტს, რომელიც თავის მხრივ მკვეთრად დააჩქარებდა **ინფლაციის ტემპს.** მაგრამ **მინოდების თეორიის** მიმდევარის **არტურ ლაფერის მტკიცებით,** გადასახადის უფრო აბალი განაკვეთი სავსებით შეთავსებადია ადრინდელ და უფრო მეტ საგადასახადო თანხასთან. მისი იდეა, რომელიც ამჟამად ცნობილია **ლაფერის ეფექტის** (ლაფერის მრუდის) სახელწოდე-

ბით, იმით გამოიხატება, რომ გადასახადის განაკვეთის ზრდის კვალობაზე (ნულიდან 100%-მდე). საგადასახადო შემოსავალი გაიზრდება ნულიდან რომელიღაც მაქსიმალურ დონემდე, ხოლო შემდეგ **შემცირდება** ნულამდე.

ამასთან ერთად, აუცილებელია რენტაბელობის დასადგენად ავიღოთ **საშუალო მოგება,** ვინაიდან სწორედ ამ შემთხვევაშია მოსალოდნელი მაქსიმალური საგადასახადო განაკვეთის (100%) პირობებშიც კი გაჩერდეს არა ყველა წარმოება, არამედ მათი ირითადი ნაწილი და ფუნქციონირება გააგრძელოს მაქსიმალური რენტაბელობის მქონე იურიდიულმა და ფიზიკურმა პირებმა. ასევე, საშუალო მოგების გამოყენების პირობებში **ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების** დადგენა და მათი გამოყენება საგადასახადო სისტემაში წაახალისებს საწარმოებისა და ორგანიზაციების დიდ მასას, აიძულებს ჩამორჩენილებს უარი თქვან რუთინულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებზე და დანერგონ წარმოებაში თანამედროვე სისტემები, შრომის, აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის პროგრესული ფორმები.

მეთოდოლოგიურად დასადგენია აგრეთვე, **ჯამობრივი საგადასახადო განაკვეთის პროცენტული სიდიდე** საბოლოო მოგების მიმართ. როგორც ცნობილია, სხვადასხვა სახის გადასახადის პროცენტული განაკვეთი, საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დაწესებულია სხვადასხვა ბაზის მიმართ. მაგალითად, მოგების გადასახადი თავისთავად მოგების მიმართაა გათვალისწინებული 15%-ის ოდენობით და მას გაანგარიშება არ ესაჭიროება.

დეკარტეს მართკუთხა კოორდინატთა სისტემის ორდინატთა ღერძზე გადავზომოთ გადასახადების ჯამობრივი განაკვეთები, რომლებიც დადგენილია მოგების მიმართ პროცენტობით და აბსცისთა ღერძზე – რენტაბელობის პროცენტებს (მოგება წარმოების დანახარჯების მიმართ გამოსახული პროცენტებით), მივიღებთ შემდეგი სახის გრაფიკულ გამოსახულებას (**იხ. ნახ. 3.18**)



ნახ. 3.18. რენტაბელობისა და გადასახადების წერტილების გრაფიკი

რენტაბელობისა და ჯამობრივი გადასახადების ურთიერთგადამკვეთი წერტილები (K_1, K_2, K_3,..., K_{10}) NK_1 სამკუთხედის ჰიპოტენუზაზე გაივლის. ეს წერტილები იმავდროულად შესაბამისი მართკუთხედების ერთ-ერთ წვეროზეც მდებარეობს. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ გადასახადის ჯამობრივი განაკვეთის ზრდასთან ერთად მცირდება რენტაბელობის დონეც 100%-იდან 0-მდე K_1 წერტილში რენტაბელობის დონე, გადასახადის 0-ოვანი განაკვეთის პირობებში, უდრის 100%-ს), ე. ი. მთლიანად მთელი მოგება N წერტილში, სადაც გადასახადის ჯამობრივი განაკვეთი 100%-ია, რენტაბელობა 0-მდე ეცემა, სადაც უკვე გადასახადის გადამხდელთა მთელი მოგება ბიუჯეტში გადაირიცხება, საწარმოებს აღარ რჩებათ არსებობის საშუალებანი და ჩერდებიან.

განხილული მონაცემების განაწილების მწკრივი ემორჩილება **ნორმალური განაწილების კანონს** და შეიძლება გამოისახოს ნორმალური განაწილების მრუდით:

$$y = \frac{1}{\delta\sqrt{2\pi}} \cdot i^{\frac{t^2}{2}}, \qquad (3.11)$$

სადაც, t არის ნორმირებული გადახრა – $t = \frac{x - \overline{x}}{\sigma}$, π =3, 1415, i = 2, 7182 – საშუალო კვადრატული გადახრა.

ნორმალური განაწილების მრუდი გვიჩვენებს, რომ იგი ასიმეტრიულად უახლოვდება აბსცისთა ღერძს, მაგრამ არასდროს მას არ დაემთხვევა. საწარმოთა დიდი ნანილის გაჩერების პირობებშიაც კი მოწინავე, მაღალრენტაბელური საწარმოები გააგრძელებენ თავიანთ საქმიანობას და არექნება ადგილი ეკონომიკის სრულ კოლაფსს. მრუდი გვიჩვენებს, აგრეთვე, რომ სტატისტიკური ეფექტი ჯერ იზრდება, აღწევს რაღაც მაქსიმალურ მნიშვნელობას და შემდეგ ისევ მცირდება. მაშასადამე, მაქსიმალური ეფექტის მიხედვით უნდა შევარჩიოთ გადასახადის ჯამობრივი განაკვეთის ოპტიმალური სიდიდე, სადაც ორივე მხარის ინტერესები გათანაბრებულია. ასეთია მოგების მიმართ 50%-იანი გადასახადების ჯამობრივი სიდიდე და სწორედ ესაა **ოქროს შუალედი.**

საგადასახადო შემოსავლების დინამიკა, ქრონოლოგიური თარიღების (თვეები, კვარტლები, წლებიდაა. შ.) მიხედვით შეიძლება შევისწავლოთ **საინდექსო მეთოდის** გამოყენებით. ცალკეული საგადასახადო შემოსავლების დინამიკა შეიძლება დაეახასიათოთ **ინდივიდუალური ინდექსით,**

$$i = \frac{q_1}{q_0} \qquad (3\text{-}12)$$

სადაც i ინდივიდუალური ინდექსია, q_1 – საგადასახადო შემოსავალია საანგარიშო პერიოდში, ხოლო q_0 – იგივე მაჩვენებელია საბაზისო პერიოდში.

გადასახადებიდან საერთო შემოსავლის (ცალკეული საგადასახადო შემოსავლების ჯამი) დინამიკაც შეიძლება დავსახოთ ინდივიდუალური ინდექსის გამოყენებით. მაგრამ საერთო შემოსავლის ფაქტორული ანალიზის მიზნისათვის ეს ინდექსი არ გამოგვადგება. ამიტომ უნდა მივმართოთ აგრეგატული ანუ საერთო ინდექსების გამოყენებას. ამ შემთხვევაში გადასახადების საერთო ცვლილებაზე მოქმედ ფაქტორებად უნდა მივიჩნიოთ საგადასახადო ბაზად საგადასახადო განაკვეთი.

საბიუჯეტო შემოსავლების საერთო ინდექსების მსგავსად აქაც **საგადასახადო შემოსავლების აგრეგატული (საერთო) ინდექსი** აიგება შემდეგნაირად:

$$I_{q\lambda} = \frac{\sum q_1 \cdot \lambda_1}{\sum q_0 \cdot \lambda_0} \qquad (3\text{-}13)$$

სადაც, q_1 da q_0 – საგადამხდელო ბაზაა შესაბამისად საანგარიშო და საბაზისო პერიოდში, λ_1 da λ_0 – საგადასახადო განაკვეთია (გამოსახული კოეფიციენტის სახით) შესაბამისად საანგარიშო და საბაზისოპერიოდში.

საგადასახადო ბაზის აგრეგატული ინდექსი გაიანგარიშება შემდეგნაირად:


$$I_q = \frac{\sum q_1 \cdot \lambda_0}{\sum q_0 \cdot \lambda_0} \qquad (3.14)$$

საგადასახადო განაკვეთის აგრეგატული ინდექსი კი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I_\lambda = \frac{\sum q_1 \cdot \lambda_1}{\sum q_1 \cdot \lambda_0} \qquad (3.15)$$

13.2. საქართველოს საგადასახადო სისტემა

საქართველოს საგადასახდო სისტემა მოიცავს – ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას; გადასახადების დაწესების, შემოღებისა და გაუქმების წესებს; საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების, საგადასახადო კონტროლის განხორციელების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ფორმებს, მეთოდებსა და წესებს.



ნახ. 3.19. საქართველოს საგადასახადო კოდექსით დარეგულირებული გადასახადების სქემა.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით რეგულირდება ქვეყანაში მოქმედი **საერთო-სახელმწიფოებრივი** და **ადგილობრივი** გადასახადები.[38] საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადების გადახდა სავალდებულოა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ადგილობრივი გადასახადების გადახდა კი – შესაბამისი სუბიექტის ტერიტორიაზე.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება (ნახ. 3.19): **1) საშემოსავლო გადასახადი; 2) მოგების გადასახადი; 3) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ); 4) აქციზი; 5) საბაჟო გადასახადი. ხოლო, ადგილობრივ გადასახადებს** განეკუთვნება: **1) ქონების გადასახადი.**

საგადასახადო სისტემაში იგულისხმება **გადასახადებისა და მოსაკრებლების,** მათი ამოღების პრინციპებისა და პირობების, საგადასახადო განაკვეთებისა და გადასახადების, მოსაკრებლების ამოღების ორგანიზაციის ერთობლიობა. გადასახადები და მოსაკრებლები ბიუჯეტების ყველა დონის შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

გადასახადი ეს არის სავალდებულო, ინდივიდუალური, აუნაზღაურებადი გადახდა, რომლის ამოღება, დადგენილი წესით, ხორციელდება ორგანიზაციებიდან (იურიდიული პირი) და ფიზიკური პირებიდან, მათ საკუთრებაში არსებული ქონებიდან, რომელიც მიღებულია სამეურნეო საქმიანობით ან ფულადი სახსრების ოპერაციული მართვის შედეგად, სახელმწიფოს ან მუნიციპალური წარმონაქმნების საქმიანობის ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით.

მოსაკრებელი – არის სავალდებულო შენატანი, რომელიც ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან ამოიღება და რომლის გადახდა, გადამხდელების ინტერესებიდან გამომდინარე, წარმოადგენს სახელმწიფო ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების,

[38] მოსიაშვილი ვ. ჭელიძე მ. ფინანსები. (სახელმძღვანელო) -თბილისი, გამომცემლობა" დანი", 2016. -540გვ. (თემა 10-საქართველოს საგადასახადო სისტემა. 267-285გვ.)

სხვა რწმუნებული ორგანოების და თანამდებობრივი პირებისაგან იურიდიულად მნიშვნელოვანი მოქმედებების ჩატარების, მათ შორის განსაზღვრული უფლებების ან ნებართვის (ლიცენზიის) გაცემის ერთ – ერთ აუცილებელ პირობას.

ადგილობრივი გადასახადებით ამოსაკრებლები – ისეთი სახის გადასახადები და მოსაკრებლებია, რომლებიც საგადასახადო კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ნორმატიულ – სამართლებრივი აქტებით დგინდება და მოქმედებაში მოიყვანება.

საქართველოში ადგილობრივ გადასახდს მიეკუთვნება **ქონების გადასახადი**, რომლის შემოღების უფლებამოსილება მხოლოდ ადგილობრივ თვითმმართველობით ორგანოებს აქვთ. მისი გადამხდელია საქართველოს საწარმო, უცხოური საწარმო, ორგანიზაცია, ფიზიკური პირი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიაზე გააჩნია საკუთრებაში ან ლიზინგით ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი. კერძოდ, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა ან გარდაცვლილი პირის საკუთრებაში რიცხული ქონების გადასახდით დაბეგვრის ობიექტი.

გადასახადები იყოფა: პირდაპირ და არაპირდაპირ (ირიბ) გადასახადებად.

1. **პირდაპირი** ეწოდება გადასახადებს, რომლის გადახდისას გადასახადის გადამხდელი უშუალოდ შედის სახელმწიფო ორგანოებთან საგადასახადო – სამართლებრივ ურთიერთობებში, ანუ მათ შორის შუამავალი არ არის. საქართველოში არსებულ პირდაპირ გადასახადებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი ფიზიკურ პირთა **საშემოსავლო და მოგების გადასახადებს** უჭირავს.

საშემოსავლო გადასახადი არის ისეთი პირდაპირი გადასახადი, რომელსაც იხდიან ფიზიკური პირები (რეზიდენტი და არარეზიდენტი) კანონმდებლობით განსაზღვრული განაკვეთით. მისი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი. საქართველოში საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი ერთიანია და ის შეადგენს დასაბეგრი შემოსავლის 20%-ს. ხოლო იმ შემოსავლებისთვის, რომლებიც მიღებულია არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობიდან (ანუ შემოსავლები, რომლებიც 2008 წლის 1 იანვრამდე არ იბეგრებოდა სოციალური გადასახადით), საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12% ს.

მოგების გადასახადი არის საწარმოს მოგების ნაწილი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საწარმოს გასაფართოებლად, საინვესტიციო ღონისძიებების განსახორციელებლად. გადასახადის გადამხდელია საქართველოს საწარმო და უცხოური საწარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას ახორციელებს მუდმივი დაწესებულების მეშვეობით ან/და შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროებიდან. **მოგების გადასახადის განაკვეთი** 2008 წლის 1 იანვრიდან საქართველოში შეადგენს 15%-ს, რაც მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოში ბიზნესის სტიმულირებისათვის.

ამრიგად, ეკონომიკური შინაარსით საშემოსავლო და მოგების გადასახადებს ბევრი მსგავსება გააჩნია, მაგრამ ამასთან განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისაგან. კერძოდ, საშემოსავლო გადასახადით იბეგრება **რეზიდენტი** და არა რეზიდენტიპირები, ხოლო მოგების გადასახადით **იურიდიული პირები.**

2. არაპირდაპირ (ირიბ) გადასახადებს მიეკუთვნება ისეთი გადასახადები, რომელთა ამოღებისას სამართლებრივ ურთიერთობებში სამი სუბიექტი მონაწილეობს: ორი გადამხდელი – ფაქტიური და იურიდიული, და სახელმწიფო ორგანო. ფაქტიურ გადამხდელად იგულისხმება მყიდველი – საქონლის, სამუშაოს, მომსახურების ფაქტიური მომხმარებელი.

იურიდიული გადამხდელი – არის საქონლის მწარმოებელი ან გამყიდველი (სამუშაოს, მომსახურების). შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, გადასახადების გადახდა უშუალოდ საქონლის ფასის მეშვეობით ხორციელდება. **ირიბ გადასახადებს მიეკუთვნება:** დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი, გადასახადი გაყიდვებიდან.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) არის ყველაზე უმნიშვნელოვანესი არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო შემოსავლების ძირითად ნაწილს. საქართველოში დამატებული ღირებულების გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ – ს გადამხდელად. რეგისტრაციის ვალდებულება ეკისრება ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, რომლებიც ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული დასაბეგრი ბრუნვა აღემატება 100 000 ლარს. საქართველოში მოქმედებს დღგ-ს ერთი სტანდარტული განაკვეთი რომელიც შეადგენს 18%-ს. დღგ განეკუთვნება ტერიტორიულ

გადასახადს, რაც გულისხმობს იმას, რომ დღგ-თი იბეგრება მხოლოდ ისეთი მიწოდება, რომელიც განხორციელებულად ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე. ამიტომ საქონლის მიწოდების და მომსახურების გაწევის ადგილის ზუსტ განსაზღვრას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დასაბეგრი პერაციის განსაზღვრისათვის.

აქციზი წარმოადგენს არაპირდაპირი გადასახადების ერთ-ერთ სახეს, რომელიც ამოიღება მასობრივი მოხმარების საქონლისა და მომსახურების გაყიდვისას. იგი შედის ფასში და მომსახურების ტარიფში და იხდის საბოლოო მომხმარებელი. აქციზის გადამხდელად ითვლება პირი, რომელიც ანარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში (თავის მიერ წარმოებულ საქონელზე), ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში (თავის მიერ განხორციელებულ იმპორტზე). აქციზური საქონლის ექსპორტს (თავის მიერ განხორციელებულ ექსპორტზე), ბუნებრივი აიროვანი კონდენსატის ან/და აირის მიწოდებას ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის, აქციზური საქონლის დროებით შემოტანას საქართველოში (თავის მიერ განხორციელებულ დროებით შემოტანაზე). მოცემული სახის გადასახდით დაბეგვრის განაკვეთები ცალკეული სახის საქონილის მიხედვით განსხვავებულია.

არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება ასევე **საბაჟო გადასახადი.** მისი გადამხდელი არის პირი, რომელიც საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებს საქონელს, ხოლო დაბეგვრის ობიექტია საქართველოს საბაჟო საზღვრის გადამკვეთი საქონლის საბაჟო ღირებულება.

მიზნობრივი გადასახადები – არის გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში წინასწარ განზრახული მიზნებისათვის შედის და მხოლოდ მათზე გაიხარჯება. ამჟამად, თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოთა შემოსავლების 80-95% მოდის გადასახადებზე. მსხვილი და მასშტაბური სახელმწიფო პროექტების დაფინანსება შეუძლებელია დროებითი და შემთხვევითი ფინანსური წყაროების მეშვეობით.

საგადასახადო ბაზისა და საგადასახადო სტატისტიკის წაყვანა ქვეყანაში დელეგირებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტს. მოცემული სახის სტატისტიკის სანარმოებლად სტატისტიკური ინფორმაციის ძირითად წყაროებს წარმოადგენს: სანარმოთა ბუღალტრული ბალანსი; დამატებული ღირებულების გაანგარიშების ანგარიში; საშემოსავლო გადასახადის გაანგარიშების ანგარიში; სანარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადის გაანგარიშების ანგარიში და სხვა. თითოეული სახეობის გადასახადის (იქნება ეს საერთო – სახელმწიფოებრივი თუ ადგილობრივი დანიშნულების) მოცულობა განისაზღვრება საგადასახადო ბაზის განაკვეთების მიხედვით.

13.3. საზღვარგარეთის საგადასახადო სისტემის ძირითადი თავისებურებები

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების **შესწავლა** საშუალებას გვაძლევს დავახასიათოთ საგადასახადო მექანიზმების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერება, ასევე გავითვალისწინოთ ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში არსებული გადასახადებით დაბეგვრის გამოცდილება.

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები – ყალიბდებოდნენ სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური პირობების ზემოქმედებით. გადასახადების სახეებით, მათი სტრუქტურით, აკრეფის საშუალებებით, განაკვეთებით, ხელისუფლების სხვადასხვა დონის ფისკალური უფლებამოსილებით, საგადასახადო ბაზით, გადასახადების მოქმედების სფეროთი, საგადასახადო შეღავათებით საგადასახადო სისტემები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

დასავლეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების ორგანიზაციის მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს **ცენტრალური ბიუჯეტისა და სხვა დონის ბიუჯეტების** შემოსავლების მკვეთრი გამიჯვნა, რომელიც შეესაბამება ქვეყნის სახელმწიფო-პოლიტიკური მოწყობის ფორმას.

უნიტარულ სახელმწიფოებში (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია) არსებობს ბიუჯეტების ორი დონე: ცენტრალური და ადგილობრივი, რომლებსაც შეესაბამებიან საგადასახადო შემოსავლების ცალკეული სახეები.

ფედერალურ სახელმწიფოებში (მაგალითად, გერმანია) ორგანიზებულია ბიუჯეტის სამი

დონე და შესაბამისად საგადასახადო შენატანების სამი დონე – ფედერალური, რეგიონალური, ადგილობრივი.

თითქმის ყველა ქვეყანაში საგადასახადო სისტემის რეფორმის ძირითად მიმართულებად გვევლინება **საშემოსავლო გადასახადისა და საწარმოთა მოგების გადასახადის** სისტემების ლიბერალიზაცია. აღნიშნული განხორციელდა საგადასახადო ბაზის გაფართოებასთან ერთად, საგადასახადო განაკვეთებისა და საგადასახადო შეღავათების შემცირების გზით.

დიდ ბრიტანეთში საგადასახადო რეფორმა მიმდინარეობდა დევიზით: „დაბალი გადასახადები ქმნიან ეფექტურ ეკონომიკას". საშემოსავლო გადასახადის მაქსიმალური განაკვეთები ყველაზე მაღალ შემოსავლებზე 98%-დან შემცირდა 60%-მდე. კორპორაციული გადასახადი შემცირდა 52-დან 35%-მდე. მოცემულმა საგადასახადო პოლიტიკამ დიდ ბრიტანეთში გადაწყვიტა ქვეყნიდან შემოსავლების გადინების პრობლემა და გადალახა საგადასახადო ემიგრაციის ნეგატიური შედეგები.

გერმანიის საგადასახადო რეფორმის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ტვირთის შემცირება მოსახლეობისათვის, განსაკუთრებულად კი იმ ოჯახებისათვის, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავდათ არასრულწლოვანი ბავშვები.

გერმანიის საგადასახადო რეფორმამ გარდაქმნა კორპორაციული გადასახადი შემდეგი პრინციპით: „სჯობს დაბალი განაკვეთები და ცოტა შეღავათები, ვიდრე მაღალი განაკვეთები დ ამრავალი შეღავათები".

არაპირდაპირი გადასახადების სისტემაში საგადასახადო რეფორმები განხორციელდა საბიუჯეტო შემოსავლების ნაწილში საგადასახადო მოსაკრებლებისა და აქციზის ფისკალური მნიშვნელობის შემცირებით. ამასთან, გაძლიერდა დამატებული ღირებულების გადასახადის როლი და მას მიენიჭა უნივერსალური მნიშვნელობა. XX საუკუნის 70-80-იან წლებში დამატებული ღირებულების გადასახადმა **შეცვალა ბრუნვის გადასახადი და ზოგიერთი აქციზი.**

XX საუკუნის 80-90-იან წლებში **საზღვარგარეთის ქვეყნებში** გატარებული საგადასახადო რეფორმისშედეგად გამოიკვეთა **ორი ძირითადი ტენდენცია.** სახელმწიფოთა ერთმა ჯგუფმა (**აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია** და სხვა) ძირითადი აქცენტი გადაიტანეს პირდაპირი გადასახადების სისტემის გარდაქმნაზე. ქვეყნების მეორე ჯგუფმაკი (**ევროპის**) ძირითადად არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობის ამაღლებაზე. მიუხედავად აღნიშნულისა, საზღვარგარეთის ქვეყნებში საგადასახადო სისტემის ეფექტურობის ამაღლების ძიების გზები კვლავაც გრძელდება.

საზღვარგარეთის ქვეყნებში დღეისათვის მიმდინარეობს საგადასახადო სისტემის ძირითადი მაჩვენებლებისა და ეროვნული საგადასახადო სამართლის **ჰარმონიზაცია.**

დებულება ეროვნული საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო კანონმდებლობის უნიფიცირების შესახებ პირველად დაფიქსირებული იქნა 1957 წლის 25 მარტის შეთანხმებით რომში. ეს ფაქტიურად ნიშნავდა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის შექმნას, რომელშიც თავდაპირველად გაერთიანდა დიდი ბრიტანეთი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, ბელგია, საბერძნეთი, ნიდერლანდები, პორტუგალია, დანია, ირლანდია და ლუქსემბურგი.

თავდაპირველად საგადასახადო სისტემების უნიფიკაცია ხორციელდებოდა მხოლოდ საბაჟო კავშირის შექმნის ჩარჩოებში, ხოლო შემდგომში ევროპის სახელმწიფოების საგადასახადო სისტემების დაახლოების პირობები ჩამოყალიბდა ერთიანი საფინანსო პოლიტიკის გატარების ჩარჩოებში.

ინტეგრაციული პროცესების ძირითად მიმართულებად XX საუკუნის 60-იან წლებში გვევლინება საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადაჭრა, გადასახადებისაგან თავისარიდების ხელისშემწყობი დებულებების შეცვლა, არარეზიდენტების საგადასახადო დისკრიმინაციის პირობების ლიკვიდაცია და სხვა.

ევროპაში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარების შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბდა იდეა იმის თაობაზე, რომ ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნები საერთო საგადასახადო პოლიტიკის გატარებიდან გადასულ იყვნენ ერთიან **ტერიტორიულ საგადასახადო რეჟიმზე.** აღნიშნული იდეის განხორციელებისათვის ხელი უნდა შეეწყოთ შემდეგ **პრინციპებს,** რომლითაც იხელმძღვანელებდნენ მონაწილე ქვეყნები:

1) ეროვნული საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა უშლიდეს ხელს საქონლის თავისუფალ გადაადგილებას; 2) თითოეული ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა უშლიდეს ხელს პი-

როვნებების თავისუფალ გადაადგილებას; 3) სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის პოლიტიკის მიმართულებებს. აღნიშნული პრინციპების შესრულება გარანტირებულია **ევროპის სასამართლოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობით.**

თანამედროვე ეტაპზე, საგადასახადო სისტემების ჰარმონიზაცია ვლინდება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის წევრი ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობის შეთანხმების პროცესში. ევროპისკავშირის შესახებ ხელშეკრულების თანახმად, შემოღებული იქნა დღგ-ის ახალი საგადასახადო რეგულირება, რომელიც ითვალისწინებდა ამ გადასახადის გამოანგარიშებისა და გადახდის პრინციპების უნიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების განხორციელებისას ერთიანი წესების შემოღებას, ასევე საგადასახადო განაკვეთების დონის მიახლოვებას. პირდაპირი გადასახადების ჰარმონიზაციის მიზნით XX საუკუნის 80-90-იან წლებშ იაქტიურად მიმდინარეობდა საამორტიზაციო ანარიცხების სისტემის ერთიანი წესების დადგენის, შვილობილი კომპანიების დაბეგვრისას ერთიანი განაკვეთების შემოღების და ა. შ. პოლიტიკა.

სახელმწიფო ორგანოდან გამომდინარე, რომლის განკარგულებაშიც ირიცხება საგადასახადო შენატანი, გადასახადები იყოფა ცენტრალურ, ადგილობრივ და სახელმწიფოთაშორისო გადასახადებად. კერძოდ, **ცენტრალური (სახელმწიფო) გადასახადები** იკრიფება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში. **ადგილობრივი გადასახადები** იკრიფება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების სამოქმედო ტერიტორიაზე და მიიმართება ადგილობრივ ბიუჯეტებში. **სახელმწიფოთაშორისო გადასახადები** იკრიფება ეროვნული საგადასახადო ორგანოების მიერ ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მიიმართება ევროკავშირის ბიუჯეტში.

გამოყენების მიზნიდან გამომდინარე გადასახადები იყოფა აბსტრაქტულ და მიზნობრივ გადასახადებად. **აბსტრაქტულ გადასახადებს** მიეკუთვნება უმეტესი გადასახადების სახეები, რომლებიც ირიცხება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში და ხმარდება სახელმწიფო ფუნქციების რეალიზაციას. **მიზნობრივი გადასახადები** ირიცხება სპეციალურ ფონდებში და იხარჯება განსაზღერული პროგრამების დასაფინანსებლად (მაგალითად, კონიუნქტურული გადასახადი გერმანიაში, სოციალური გადასახადები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში).

საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემები განვიხილოთ **გერმანიის** მაგალითზე. **გერმანიის გადასახადები** – ომის შემდგომი გერმანიის ეკონომიკური განვითარება დაკავშირებულია ცნობილი ეკონომისტისა და სახელმწიფო მოღვაწის, მეურნეობის ყოფილი მინისტრის, ხოლო შემდეგ გერმანიის კანცლერის პროფესორ ლუდვიგ ერჰარდის სახელთან. **ლ. ერჰარდის** დროიდან გერმანიაში დამკვიდრდა საგადასახადო სისტემის აგებულების **მნიშვნელოვანი პრინციპები:** ა) გადასახადები უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მინიმალური; ბ) მინიმალური, მინიმალურად საჭირო უნდა იყოს მათი აკრეფის ხარჯები; გ) გადასახადები არ უნდ აუქმნიდნენ წინააღმდეგობას კონკურენციას; დ) გადასახადები უნდა შეესაბამებოდნენ სტრუქტურულ პოლიტიკას; ე) გადასახადები მიმართული უნდა იყოს შემოსავლების სამართლიან განაწილებაზე; ვ) სისტემა უნდა აიგოს პიროვნების პირადი ცხოვრების პატივისცემაზე. საგადასახადო ორგანოს მუშაკს არა აქვს უფლება გამოაქვეყნოს ინფორმაცია გადასახადის გადამხდელის შესახებ. კომერციული საიდუმლოების დაცვა უნდა იყოს გარანტირებული; ზ) საგადასახადო სისტემა უნდა გამორიცხავდეს ორმაგ დაბეგვრას; თ) გადასახადი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო მომსახურების მოცულობას, მათ შორის პიროვნების დაცვას და ყოველივე იმას, რაც მოქალაქეს შეუძლია მიიღოს სახელმწიფოსაგან.

გერმანიის ძირითად კანონში გადმოცემულია ქვეყნის საგადასახადო სისტემის ძირითადი დებულებები. კონსტიტუციის თანახმად, ბიუჯეტი ყალიბდება საბაჟო მოსაკრებლების, აქციზური მოსაკრებლების, სადაზღვევო მოსაკრებლების, კაპიტალის ბრუნვის გადასახადის, საველსილო მოსაკრებელის ხარჯზე (ფედერალური გადასახადები).

ფედერალური მიწების ბიუჯეტები ყალიბდება ქონების გადასახადის, მემკვიდრეობის გადასახადის, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადის, ლუდზე გადასახადის ხარჯზე (ფედერალური მინების გადასახადები). შემოსავლების ერთობლივ წყაროს (როგორც ფედერაციისათვის, ასევე ფედერალური მიწებისათვის) წარმოადგენს **საშემოსავლო გადასახადი**, გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან, დამატებული ღირებულების გადა-

სახადი (ერთობლივი გადასახადები). მაგალითად, დღგ-ის შემოსავლების 56% ირიცხება ფედერაციის შემოსავალში, ხოლო დანარჩენი 44% -შესაბამისი ფედერალური მინების შემოსავალში. **ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს** ეკუთვნით საშემოსავლო გადასახადის შესაბამისი წილი, სარეწაო გადასახადი და გადასახადი უძრავი ქონებიდან.

გერმანიის საგადასახადო სისტემა შედგება **38 სახის გადასახადისაგან**, რომელთა ხარჯზეც ფორმირდება მისი ყველა შემოსავლის 60-დან 80 პროცენტამდე. ამასთან, 54%-ს შეადგენენ არაპირდაპირი გადასახადები (დღგ და აქციზი), ხოლო 46%-ს პირდაპირი გადასახადები. უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადასახადებიდან უმრავლეს გადასახადს ბიუჯეტის შემოსავლების ფორმირებაში არ გააჩნიათ პრინციპული მნიშვნელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა გადასახადი შეიძლება დავყოთ სამ ჯგუფად.

I ჯგუფს მიეკუთვნება მსხვილი გადასახადები (მხოლოდ შვიდი გადასახადის სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 90%-ს. კერძოდ, მათ მიეკუთვნება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, სარეწაო გადასახადი, კორპორაციათა გადასახადი, აქციზი ბენზინზე და თამბაქოს ნაწარმზე.

II ჯგუფს მიეკუთვნება საშუალო გადასახადები, მაგალითად: მიწის გადასახადი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელთა გადასახადი და სხვა (სულ 13 სახე), რომლებიც უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების თითქმის 10%.

III ჯგუფს მცირე გადასახადები შეადგენს (სულ 18 სახის, მ. შ. დარჩენილი შენატანები გაუქმებული გადასახადებიდან) და უზრუნველყოფენ საგადასახადო შემოსავლების დაახლოებით 0, 4% (აქციზი ყავაზე, შაქარზე, მინერალურ ზეთებზე და სხვა). განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი.

პირდაპირი გადასახადების ძირითად სახეებს წარმოადგენენ საშემოსავლო გადასახადი და გადასახადი კორპორაციების შემოსავლებიდან.

კორპორაციათა მოგების გადასახადი წარმოადგენს პირდაპირ გადასახადს დაბეგვრას დაქვემდებარებულ ფაქტიურად მიღებული მოგებიდან. ამ გადასახადის ხვედრითი წილი ბიუჯეტის საერთო შემოსავლებში 6 %-ს შეადგენს. გერმანიაში კორპორაციული მოგების გადასახადის განაკვეთია 25%, რომელსაც ემატება სოლიდარობის გადასახადი 5, 5% და მუნიციპალური სავაჭრო გადასახადი, რომელიც გაიანგარიშება დასაბეგრი შემოსავლიდან. თუ კორპორაციათა მოგების გადასახადს დავუმატებთ სოლიდარობის გადასახადს და მუნიციპალურ სავაჭრო გადასახადს 14–დან 17%-დე, ფაქტიურად მოგების გადასახადი შეადგენს 38-40%-ს. 2008 წლის 1 იანვრიდან გათვალისწინებულია მოგების გადასახადის შემცირება 15%-მდე, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს კორპორაციათა მოგების დაბეგვრას 30-32%-ის ფარგლებში (1990 წლამდე იყო 56 პროცენტი). გერმანიაში ფართოდ გამოიყენება **დაჩქარებული ამორტიზაცია.** მაგალითად, სოფლის მეურნეობაში პირველსავე წელს დასაშვებია მოწყობილობების ღირებულების 50%-ის ჩამოწერა, ხოლო პირველ სამ წელიწადში – 80 %-დე. არ იბეგრება გადასახადით სესხის პროცენტები.

საშემოსავლო გადასახადი გერმანიაში პროგრესირებადია. მისი მაქსიმალური განაკვეთია 45%, ხოლო მინიმალური განაკვეთი – 15%. მოქმედებს ყოველთვიური დაუბეგრავი მინიმუმი. საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები მოცემულია ცხრილში (იხ. 3.13):

ცხრილი 3.13. გერმანიაში მოქმედი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთები

წლიური შემოსავალი (ევრო)	0-7664	7665-52152	52152-250000	250001-ზემოთ
გადასახადის განაკვეთი (%)	0	15%	42%	45%

საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს ფიზიკური პირის მიერ მიღებული ყველა სახის შემოსავლები, მ. შ. შემოსავლები დაქირავებული მუშაობიდან, თავისუფალი პროფესიების მიმდევარი პირების დამოუკიდებელი საქმიანობიდან, სამეწარმეო საქმიანობიდან ან სასოფლო-სამეურნეო და სატყეო-სამეურნეო საქმიანობიდან, კაპიტალიდან, ქონების იჯარიდან ან გაქირავებიდან, აგრეთვე ყველა სხვა სახის შემოსავლები.

დასაბეგრი შემოსავლის განსაზღვრის მიზნით შემოსავლებიდან გამოიქვითება ხარჯები. ამასთან, მხედველობაში მიიღება განსაკუთრებული ხარჯებიც, მაგალითად, ალიმენტი სთანხები, სამედიცინო დაზღვევისა და სიცოცხლის დაზღვევის შენატანები, საეკლესიო გადასახადის თანხები, პროფესიულ განათლებაზე გაწეული ხარჯები და ა. შ. საშემოსავლო (ხელფასიდან) გადასახადის დაკავება დაქირავებული მუშაკებიდან წარმოებს დამქირავებლის მიერ ხელფასის გაცემისას.

ფიზიკური პირის მიერ მიღებული ხელფასიდან გადასახადის გამოანგარიშების მიზნით გამოიყენება „საგადასახადო კლასებისა" და „საგადასახადო სქემების" სპეციალური მექანიზმები. მოცემული მექანიზმები ყოფენ ყველა დაქირავებით მომუშავეს სხვადასხვა ჯგუფად მათი ოჯახური, ფინანსური და ა. შ. მდგომარეობიდან გამომდინარე. მაგალითად, პირველ კლასს მიეკუთვნებიან დაუქორწინებელი პირები, რომლებსაც არ ჰყავდათ შვილები; მეორე კლასს მიეკუთვნებიან დაუქორწინებლები, განქორწინებულები ან ქვრივები, რომელთაც ცმაყოფაზე ჰყავთ ერთი ან მეტი ბავშვი და ა. შ.

ხელფასიდან გადასახადის დაკავება წარმოებს საგადასახადო ბარათის საფუძველზე, რომელსაც გასცემს ადგილობრივი მმართველობის ორგანო ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საგადასახადო ბარათში აღინიშნება საგადასახადო კლასი, ცმაყოფაზე მყოფი შვილების რაოდენობა, მუშაკის სარწმუნოება. იქვე აღინიშნება ასაკი, ინვალიდობა და ა. შ.

სარეწაო გადასახადით იბეგრებიან საწარმოები, ამხანაგობები და ფიზიკური პირები, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო, სავაჭრო და სხვა სახის საქმიანობას. აღნიშნულ გადასახადს მნიშვნელოვანი როლი გააჩნია გერმანიის ფინანსებში და წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემოსავლების მნიშვნელოვან წყაროს. გადასახადი გამოიანგარიშება სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან და კომპანიის კაპიტალიდან გამომდინარე. გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება მუნიციპალური ორგანოების მიერ. მაგალითად, განაკვეთი შეიძლება შეადგენდეს მოგების 5 პროცენტს და ძირითადი ფონდების ღირებულების 0, 2 პროცენტს. ამასთან, მოქმედებს ასევე დაუბეგრავი მინიმუმი.

მიწის გადასახადი წარმოადგენს გადასახადს უძრავ ქონებაზე. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს მიწის ნაკვეთი, აგრეთვე ამ მიწის ნაკვეთებზე განლაგებული შენობა-ნაგებობები. გადასახადის აკრეფას ახორციელებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. მიწის გადასახადის გადახდა არ არის დამოკიდებული გადასახადის გადამხდელის ფინანსურ შედეგებზე ან მის შემოსავლებზე. მიწის გადასახადისაგან თავისუფლდებიან სახელმწიფო საწარმოები, ეკლესია, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები, საავადმყოფოები, ინტერნატები და ა. შ., აგრეთვე მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო მიზნებისათვის. საცხოვრებელი სახლების მშენებლობის სტიმულირების მიზნით, გერმანიაში ახლად აშენებულ საცხოვრებელ სახლებზე, პირველი ათი წლის განმავლობაში, მიწის გადასახადის გადახდა არ წარმოებს.

გადასახადი კაპიტალიდან შემოსავლებზე წარმოადგენს საშემოსავლო გადასახადის ერთ-ერთ ფორმას და მისი გადამხდელები არიან ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ შემოსავლებს დივიდენდებისა და პროცენტების სახით. დაბეგვრას ექვემდებარება დივიდენდის სახით მიღებული თანხები. გადასახადის გადახდა წარმოებს შემოსავლის წყაროს ადგილის მიხედვით. დივიდენდზე გადასახადი (სოლიდარობის გადასახადის ჩათვლით) შეადგენს 21, 1%-ს. 2009 წლიდან გათვალისწინებულია მისი შემცირება 26, 375%-მდე.

ფულადი ანაბრებიდან დასადაზღვევო კომპანიებიდან მიღებული პროცენტები, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული პროცენტები იბეგრება 10 პროცენტიანი განაკვეთით, რომლის ბიუჯეტში გადარიცხვის ვალდებულება აკისრიათ საბანკო დაწესებულებებს.

ქონების გადასახადის გადამხდელები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. პირადი და საწარმოო ქონების დაბეგვრისას გამოიყენება გადასახადის სხვადასხვა განაკვეთები. იურიდიული პირების ქონების გადასახადის განაკვეთია 1, 0 პროცენტი.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **დამატებული ღირებულების გადასახადი.** მისი ხვედრითი წილი ბიუჯეტის შემოსავლების დაახლოებით 28 პროცენტია და უკავია მეორე ადგილი საშემოსავლო გადასახადის შემდეგ. აღსანიშნავია, რომ 2007 წლის 1 იანვრიდან დღგ-ის გადასახადის სტანდარტული განაკვეთი გაიზარდა 16%-დან 19-მდე. ძირითადი საკვები პროდუქტები, წიგნები და ჟურნალები, სამედიცინო საქონელი იბეგრება დღგ-ის შემცირებული განაკვეთით 7%-ით. გადასახადის გადამხდელს წარმოადგენს მეწარმე,

ე. ი. პირი, რომელიც ახორციელებს რაიმე სახეობის საქმიანობას მოგების მიღების მიზნით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დღგ-ის გადამხდელი შეიძლება იყოს როგორც იურიდიული პირი, ასევე ინდივიდუალური მეწარმე. სოფლისა და სატყეო მეურნეობის საწარმოები თავისუფლდებიან გადასახადისაგან. განთავისუფლებულია საქონლის ექსპორტიც.

აქციზი ძირითადად მიიმართება ფედერალურ ბიუჯეტში, გარდა ლუდზე დანესებული აქციზისა, რომელიც წარმოადგენს ფედერალური მიწების ბიუჯეტების შემოსავლის წყაროს. ხაზინის უმნიშვნელო შემოსავლებს უზრუნველყოფს აქციზი მინერალური ზეთებიდან, აგრეთვე აქციზი თამბაქოს ნაწარმიდან.

მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის გადასახადის განაკვეთი დამოკიდებულია ნათესაურ კავშირზე და მემკვიდრეობით ან ჩუქებით მიღებული ქონების ღირებულებაზე. გერმანიაში განასხვავებენ მემკვიდრეთა ოთხ კატეგორიას. პირველ თანრიგში, რომელშიც შედიან მეუღლეები და შვილები, გადასახადის განაკვეთია 3%. მეოთხე თანრიგში იგი იზრდება 70%-მდე, თუ ქონების ღირებულება აღემატება დადგენილ ზღვარს.

სოციალური ანარიცხები შეადგენენ შრომის ანაზღაურების ფონდის 6, 8%-ს. ანარიცხების თანხა, ისევე როგორც **აშშ-ში**, იყოფა თანაბარი პროპორციით დამქირავებელსა და დაქირავებულ მუშაკს შორის.

13.4. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი პრობლემის გამოვლენა

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების რიცხოვნება საკმაოდ მცირეა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედ გადასახადებთან შედარებით, სადაც საგადასახადო სისტემის ერთერთი დამახასიათებელი თავისებურება არის გადასახადების მრავალფეროვნება. საქართველოში კი **გადასახადების შემცირება მიზნად** ისახავდა საგადასახადო სისტემის **ლიბერალიზაციას**. გადასახადების სახეობების შემცირება ძირითადად განხორციელდა სხვადასხვა გადასახადების საგადასახადო ბაზების გაერთიანების ხარჯზე. რამდენიმე სახეობის გადასახადმა ასახვა ჰპოვა ერთ გადასახადში (მაგალითად, ქონების გადასახადი). ამიტომ მხოლოდ გადასახადების რაოდენობის შემცირებით არ შეიძლება საუბარი მთლიანად საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციაზე.

საშემოსავლო გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები

როგორც **ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, პირდაპირ გადასახადებს შორის** დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, პირადი **საშემოსავლო გადასახადების** ხვედრითი წილი საშუალოდ მშპ-ში შეადგენს 10%-ს. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოთა საგადასახადო სისტემების განხილვისას შეიძლება გამოიკვეთოს ერთი საერთო დამახასიათებელი ნიშანი: თითქმის ყველა ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოში ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადი ატარებს პროგრესულ ხასიათს, რათა შენარჩუნებული იქნას **სამართლიანობის პრინციპი**. ასევე, გათვალისწინებულია **დაუბეგრავი მინიმუმი**, რომელიც ძირითადად საარსებო მინიმუმთან არის დაკავშირებული. ამასთან, არსებობს როგორც ინდივიდუალური, ასევე ოჯახის შემოსავლების დაბეგვრა საშემოსავლო გადასახადით, რაც უფრო მეტი სამართლიანობის პრინციპის მატარებელია.

საქართველოში საშემოსავლო გადასახადის გადამხდელები არიან **რეზიდენტი და არარეზიდენტი** ფიზიკური პირები. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის **ობიექტია** დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განსხვავებულად განისაზღვრება რეზიდენტებისა და არარეზიდენტებისათვის.

რეზიდენტად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც საგადასახადო წლის განმავლობაში ფაქტობრივად იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე 183 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ რეზიდენტობის მსგავსი განმარტება თითქმის ანალოგიურია ევროკავშირის სახელმწიფოებში. ისევე როგორც ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, საქართველოშიც საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის მიზნით გამოიყენება რეზიდენტობა არარეზიდენტობის პრინციპი. რეზიდენტის შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტი შედგება მის მიერ საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მიღებული შემოსავლე-

ბისაგან, რომელიც მცირდება კოდექსით ნებადართული ხარჯებით, ხოლო არარეზიდენტის დასაბეგრი შემოსავალი შედგება მხოლოდ საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლებისაგან, რომელიც მცირდება ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული ხარჯებით და რაც ნებადართულია საგადასახადო კოდექსით.

ამრიგად, საშემოსავლო გადასახადის კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის რეზიდენტობის და შემოსავლის მიღების ადგილის განსაზღვრას. შესაბამისად, შემოღებული უნდა იქნას საშემოსავლო გადასახადის პროგრესული შკალა. საშემოსავლო გადასახადმა საზოგადოებაში უნდა უზრუნველყოს სოლიდარული პრინციპის დაცვა ანუ განაწილებისა და გადანაწილების ფუნქცია უნდა შეასრულოს. შესაბამისად, სახელმწიფომ სოციალური პოლიტიკა სწორედ ამ გადასახადის მეშვეობით უნდა განახორციელოს. ამისთვის საჭიროა შეიცვალოს საშემოსავლო გადასახადის დაბეგვრის სტრუქტურა, ის გახდეს პროგრესული გადასახადი დასაწყის ეტაპზე ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად (იხ. ცხრილი 3. 14). საშემოსავლო გადასახადის ასეთი სტრუქტურით ჩამოყალიბება, არ გამოიწვევს ბიუჯეტის შემოსულობების შემცირებას, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სახელფასო ფონდის მნიშვნელოვან შემცირებას. ცალკეული მონაცემების მიხედვით დაუფიქსირებელი ხელფასები და სახელფასთან გათანაბრებული განაცემები, შეადგენს ფაქტობრივად გაცემული ხელფასების 40%-ზე მეტს, რაც დამალული (არა ლეგალური) შემოსავლების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ცხრილი 3.14. საშემოსავლო გადასახადის შემოთავაზებულიგანაკვეთების ცხრილი

დასაბეგრი შემოსავლის ოდენობა კალენდარული წლისგანმავლობაში (ერთ. ლარი)	გადასახადისგანაკვეთი (%)
9600-მდე	8%
9601-დან10800-მდე	10%
10801-დან 30000-მდე	12%
30001-დანზემოთ	15%

საშემოსავლო გადასახადის ზემოთ შემოთავაზებული დაბეგვრის შკალის შემოღებით გადასახადის გადამხდელებს გაუჩნდებათ **სამართლიანობის** განცდა, (მცირე შემოსავლის მქონე გადაიხდის ნაკლებს, მაღალი შემოსავლების მქონე მოქალაქეთა კატეგორიისგან განსხვავებით) რაც აამაღლებს მათი ვალდებულების განცდას საგადასახადო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ფიზიკური პირების არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრას, დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღნიშნული შემთხვევებისათვის გადასახადის განაკვეთი შეადგენს 12%-ს. გადასახადების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია გაუქმდეს განსხვავებულობა სამეწარმეო და არასამეწარმეო ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის წესში და ის მთლიანად დაექვემდებაროს 13.3 ცხრილში მოცემულ დაბეგვრის რეჟიმს.

მოგების გადასახადის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხები

მოგების გადასახადი განეკუთვნება იმ პირდაპირ გადასახადთა კატეგორიას, რომლის ეკონომიკური მიზანშეწონილობა ცალსახად არ არის დასაბუთებული. ამ გადასახადის ირგვლივ არსებობს **ექსპერტთა სხვადასხვა მოსაზრებები,** რომლებიც რადიკალურად განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

საქართველოს საწარმოთათვის მოგების გადასახადის დაბეგვრის **ობიექტია დასაბეგრი მოგება,** რომელიც განისაზღვრება როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამავე პერიოდის განმავლობაში ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული კოდექსით ნებადართულ გამოქვითვებს შორის.

საქართველოს საწარმოთა ერთობლივი შემოსავალი შედგება როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ არსებული წყაროებიდან მიღებული შემოსავლებისაგან, ხოლო უცხოური საწარმოებისათვის მოგების გადასახადს იხდიან იმ შემოსავლებიდან, რომლებიც მიღებულია საქართველოში არსებული წყაროდან. ასეთი შემოსავალი შესაძლებელია მიღებული

იქნას როგორც მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, ასევე მის გარეშეც. **თუ უცხოური საწარმო** შემოსავალს იღებს საქართველოში არსებული წყაროდან, მუდმივი დაწესებულების მეშვეობით, მაშინ მოგების გადასახადის გადამხდელია მუდმივი დაწესებულება, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში დადგენილი წესის მიხედვით და მისთვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის საქართველოში არსებული წყაროდან მიღებული შემოსავლები შემცირებულია ამ შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ნებადართული ხარჯებით.

მოგების გადასახადის **საგადასახადო ბაზის** გაანგარიშებისათვის აუცილებელი მონაცემების შეკრება ხდება საწარმოს საბუღალტრო მონაცემებით. ეს სრულიად შეესაბამება ევრო კავშირის სახელმწიფოებში დადგენილ საგადასახადო ბაზის გაანგარიშების მეთოდს. საწარმოთა საქმიანობის ამსახველი პირველადი დოკუმენტების საბუღალტრო დამუშავება, იგივე სააღრიცხვო რეგისტრებში თავმოყრა და მათ საფუძველზე ფინანსური ანგარიშგების შედგენა არის ის ძირითადი ფუნდამენტი, რომლის საფუძველზეც ხდება საწარმოს დამფუძნებელთა, კრედიტორთა, სახელმწიფოს (საგადასახადო უწყების) და ა. შ. სხვათა საინფორმაციო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქართველოში **საგადასახადო მოგების გაანგარიშებისათვის გამოიყენება საბუღალტრო აღრიცხვის მონაცემები,** რომელთა კორექტირება ხდება საგადასახადო მიზნებისათვის. ხშირ შემთხვევებში საქართველოს საწარმოთა მხრიდან ადგილი აქვს საბუღალტრო აღრიცხვის საგადასახადო მონაცემებამდე (ფინანსური მოგების საგადასახადო მოგებამდე) დაყვანის მცდელობას. მაგალითად, **ამორტიზაციის დარიცხვა** საგადასახადო მიზნებიდან გამომდინარე, თვითღირებულების გაანგარიშება საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესის მიხედვით და არა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, მხოლოდ იმ ხარჯების აღიარება, რომლებიც ნებადართულია საგადასახადო კოდექსით და ა. შ. რაც იწვევს საწარმოს ფინანსური მაჩვენებლების დამახინჯებას და ფინანსური ანგარიშგების არასწორად წარმოდგენას.

თავის მხრივ, საგადასახადო ბაზის გაზრდა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობა, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის სიჩქარე, მუდმივი და ცვალებადი ხარჯების თანაფარდობა და სხვა. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებს გააჩნიათ მკვეთრად გამოხატული დარგობრივი სპეციფიკა. მაგალითად, რენტაბელობა ერთ დარგში შესაძლებელია მაღალი იყოს ვიდრე სხვა დარგში და ა. შ. ამიტომ საგადასახადო განაკვეთის შემცირებამ შესაძლებელია სხვადასხვა დარგებში მოგვცეს განსხვავებული შედეგები. შესაბამისად, ერთ დარგში ადგილი ექნება საგადასახადო ბაზის სწრაფ ზრდას და შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების ზრდას, სხვებში კი პირიქით. თუმცა, საგულისხმოა, რომ თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მოგების გადასახადის შემცირება, გრძელვადიან პერსპექტივაში განაპირობებდა ბიზნესის განვითარებას და საგადასახადო შემოსავლების ზრდას.

ასევე, მიზანშეწონილია განსხვავებულად დაიბეგროს **მცირე საწარმოთა მოგება.** ამისთვის აუცილებელი გახდება საგადასახადო კოდექსით განისაზღვროს „მცირე საწარმოს" ცნება და ის დამოკიდებული იყოს არა დაქირავებულ თანამშრომელთა რაოდენობაზე, არამედ ბრუნვის სიდიდეზე. Mმცირე საწარმოებს უნდა მიეცეთ დაბეგვრის რეჟიმის შერჩევის შესაძლებლობა, რომლის შესახებაც საწარმომ უნდა განაცხადოს საგადასახადო წლის დადგომამდე. რაც შეეხება დაბეგვრის რეჟიმს, უნდა არსებობდეს **მცირე საწარმოთა მოგების გადასახადით დაბეგვრის ორი შესაძლო რეჟიმი:** ა) დასაბეგრი მოგების (ერთობლივ შემოსავალი შემცირებული საგადასახადო კოდექსით ნებადართული ხარჯებით) 10%; ბ) დასაბეგრი ბრუნვის (გამოქვითვების გარეშე) 5%. ამავდროულად, მცირე საწარმო „ბ" დაბეგვრის რეჟიმის შერჩევის შემთხვევაში უნდა გათავისუფლდეს სხვა ყველა სახის გადასახადისაგან. მოცემული დაბეგვრის რეჟიმის არჩევის შემთხვევაში, მცირე მეწარმეს მას არ უნდა მოეთხოვებოდეს აღრიცხვის წარმოება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით, რაც შეამცირებს მის დამატებით ხარჯებს სააღრიცხვო პერსონალის დაქირავებასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მცირე ბიზნესის საწარმოდ არ უნდა განიხილებოდეს საწარმო, რომელიც რეგისტრირებული იქნება **დღგ-ს** გადამხდელად. ასეთი სახის ცვლილებებით მნიშვნელოვნად შეეწყობა ხელი **მცირე ბიზნესის** განვითარებას. ამაღლდება კონკურენცია. მცირე ბიზნესის საწარმოთა რიცხვის ზრდა მნიშვნელოვნად გადაჭრის ქვეყანაში არსებულ **დასაქმების პრობლემებს.**

ცნობილია, რომ საქართველოში მიმდინარე ეტაპზე უდიდესი მნიშვნელობა **ენიჭება ბიზნესის სტიმულირებას, ინვესტიციების ხელშეწყობას.**

მოგების გადასახადი არის საწარმოს მოგების ის ნაწილი რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო საწარმოს გასაფართოვებლად, საინვესტიციო ღონისძიებების განსახორციელებლად. შესაბამისად საწარმოთა მოგების ის ნაწილი, რომელიც არ იქნება განაწილებული დივიდენდების სახით და მოხმარდება რეინვესტირებას, უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადის განსხვავებული განაკვეთით. იმის გამო, რომ საწყის ეტაპზე ეს გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილს, შესაძლებელია მოგების ეს ნაწილი დაიბეგროს 10% განაკვეთით, ხოლო შემდგომ პერიოდებში მოხდეს დივიდენდების სახით გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრა 0% განაკვეთით. ზემოთ აღნიშნული, ხელს შეუწყობს საწარმოთა საინვესტიციო პროექტების გაფართოებას და **მოგების განაწილებას არა დივიდენდის სახით,** არამედ საწარმოში უკან დაბრუნებას და მოხმარდება საწარმოო პროცესებს. აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის შემოღების შემთხვევაში, აუცილებელი გახდება ცალკეული საგადასახადო წესების გამკაცრება, რომ ეს შეღავათი ბოროტად არ იქნეს გამოყენებული ურჩი გადამხდელების მიერ. რაც უფრო ლიბერალურია საგადასახადო სისტემა, შესაბამისად მაღალი უნდა იყოს პასუხისმგებლობის ზომა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის.

დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) სრულყოფის საკითხები. დამატებული ღირებულების გადასახადი არის ყველაზე უმნიშვნელოვანესი **არაპირდაპირი გადასახადი,** რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო შემოსავლების ძირითად ნაწილს. თუ გავითვალისწინებთ **ევროკავშირის გამოცდილებას,** ევროკავშირის დირექტივით, წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა შემოიღონ დამატებული ღირებულების გადასახადის მხოლოდ ორი განაკვეთი: სტანდარტული და შემცირებული. ამასთან, სტანდარტული განაკვეთი არ უნდა იყოს 15%-ზე ნაკლები (ზედა ზღვარი არ არის დაწესებული), ხოლო შემცირებული განაკვეთი – 5%-ზე ნაკლები და ის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ცალკეული კატეგორიის საქონელსა და მომსახურებაზე, როგორებიცაა სამედიცინო საქონელი და მომსახურება, წიგნები, გაზეთები, სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება და სხვა.

ევროკავშირის სახელმწიფოებში **დღგ-თი** იბეგრება როგორც ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები ასევე შიდა მიწოდებაც. საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებით დაბეგვრა წარმოებს დანიშნულების ქვეყნის პრინციპით. ექსპორტი იბეგრება ნულოვანი განაკვეთით, ხოლო იმპორტი დადგენილი განაკვეთით, ანუ იმ ქვეყანაში, სადაც ხდება იმპორტი და აღნიშნული საქონლისმ ოხმარება. ძირითადად ევრო კავშირის სახელმწიფოებში იმპორტირებული და ადგილობრივი პროდუქცია იბეგრება ერთნაირი განაკვეთებით. შესაბამისად, საჭირო იქნება განისაზღვროს პირველადი მოხმარების საქონლის ზუსტი ჩამონათვალი და მათზე დადგინდეს დღგ-ს შემცირებული განაკვეთი 5%-ის ოდენობით. ასევე შემცირებული დღგ-ის განაკვეთით უნდა დაიბეგროს ელ-ენერგიისა და ბუნებრივი აირის მიწოდება საბოლოო მომხმარებლისათვის. ეს თავის მხრივ გამოიწვევს მათზე ფასების შემცირებას გადასახადის ხარჯზე და შესაბამისად, სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

კორპორაციული ფინანსური მართვის პროცესებში შიდა აუდიტის გამოყენების ასპექტები

კორპორაციის ფინანსური კონტროლის სისტემის აგება ემყარება გარკვეულ **პრინციპებს,** რომელთა შემადგენლობა ასახულია წინამდებარე მონოგრაფიის მეორე ნაწილის მე-9 თავში „საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები" (იხ. ნახ. 2.18), კერძოდ:

1. ფინანსური კონტროლის სისტემის წარმართვა კორპორაციის მიერ შემუშავებული ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციაზე, იმისთვის, რომ იყოს ეფექტიანი, **ფინანსური კონტროლი** უნდა ატარებდეს სტრატეგიულ ხასიათს, ანუ უნდა ასახოს კორპორაციის ფინანსური განვითარების ძირითადი პრიორიტეტები. ეს განსაზღვრავს კონტროლინგის მიერ განხილული ფინანსური ოპერაციების მიზანმიმართულ შეზღუდვას. ყველა მიმდინარე ფინანსურ ოპერაციაზე გაფართოებულ კონტროლს აზრი არა აქვს, ვინაიდან მოახდენს ფინანსური მენეჯერების ყურადღების ჩამოშორებას ფინანსური საქმიანობის მართვის უფრო მნიშვნელოვანი მიზნებიდან.

2. ფინანსური კონტროლინგის მრავალფუნქციონალურობა. მან უნდა უზრუნველყოს ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მაჩვენებლების რეალიზაციის კონტროლი არა მარტო საწარმოში მთლიანად, არამედ მისი ცალკეული პასუხისმგებლობის ცენტრების ჭრილში, გაითვალისწინოს საკონტროლო მაჩვენებელთა შედარების შესაძლებლობა საშუალო დარგობრივ მაჩვენებელთან, უზრუნველყოს ურთიერთ კავშირი განხილულ ფინანსურ მაჩვენებლებსა და კორპორაციის სამეურნეო საქმიანობის სხვა მნიშვნელოვან მაჩვენებლებს შორის.

3. ფინანსური კონტროლის ორიენტირებულობა რაოდენობრივ სტანდარტებზე. კონტროლინგის მმართველობითი მოქმედების ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იზრდება, როცა მოქმედების კონტროლირებადი სტანდარტები გამოხატულია რაოდენობრივ მაჩვენებლებში. ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონტროლინგმა არ უნდა მოიცვას ხარისხობრივი ასპექტები – საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ ეს ხარისხობრივი ასპექტები გამოხატული იყოს რაოდენობრივი სტანდარტების სისტემაში, რაც გამოხატავს მათ სხვადასხვა განმარტებას.

4. ფინანსური კონტროლის მეთოდების შესაბამისობა ფინანსური ანალიზისა და ფინანსური დაგეგმვის მეთოდების სპეციფიკასთან. **შიდა ფინანსური კონტროლის** ორგანიზაციის პროცესში აუცილებელია ორიენტირება მთელი ფინანსური დაგეგმვის (კონტროლის სტანდარტების მომზადებისას) და ანალიზის (მაჩვენებლების მომზადებისას, რომლებიც ასახავენ ფაქტიურად მიღწეულ შედეგებს და მათი სტანდარტებისგან გადახრის მიზეზების გამოვლენისას) ადრე განხილული სისტემებისა და მეთოდების მთელ არსენალზე.

5. კონტროლის ოპერაციებისათვის დროულობა. თავისდროულობა ნიშნავს არა მაკონტროლებელი ფუნქციების მაღალ სიჩქარეს, ან სიხშირეს, არამედ საკონტროლო და მაკორექტირებელი ქმედებების ადექვატურობას ცალკეული ოპერაციების განხორციელების პერიოდში, რაც დაკავშირებულია ფინანსური საქმიანობის შედეგების ფორმირებასთან. ფინანსური კონტროლინგის თავისდროულობის მთავარი პირობა მდგომარეობს შემდეგში. მან უნდა „წინასწარ გამოავლინოს კრიზისული განვითარება", ე. ი. შეძლოს თავიდან აიცილოს მიმდინარე გადახრები. მანამ, სანამ ისინი მიიღებდნენ სერიოზულ ხასიათს.

6. კონტროლის აგების მოქნილობა. კონტროლინგი უნდა აიგოს ახალ ფინანსურ ინსტრუმენტებთან შეგუების შესაძლებლობების გათვალისწინებით. ოპერაციული, ინვესტიციური და ფინანსური საქმიანობის ახალ ნორმებსა და განხორციელების ფორმებთან; ფინანსური ოპერაციების განხორციელების ახალ ტექნოლოგიებთან და მეთოდებთან. **მოქნილობის** საჭირო ხარისხის გარეშე კონტროლინგის სისტემა ვერ იქნება ეფექტიანი ფინანსური საქმიანობის მართვის იმ სფეროებშიც კი, რისთვისაც იგი თავდაპირველად აიგო.

7. კონტროლის აგების სიმარტივე. ფინანსური კონტროლინგის უმარტივესი ფორმები და მეთოდები, რომლებიც აგებულია მისი მიზნების შესაბამისად, მოითხოვენ მენეჯერების ნაკლებ ძალისხმევას და როგორც წესი, უფრო ეკონომიურები არიან. ფინანსური კონტროლინგის აგების ზედმეტი სირთულე შეიძლება არც იქნას მიღებული, ან არც იქნას მონონებული მისი ოპერატორების მიერ, ასევე მოითხოვოს ინფორმაციის ნაკადის არსებით გადიდებას მისი განხორციელებისათვის.

8. კონტროლის ეკონომიკურობა. ფინანსური კონტროლინგის განხორციელებაზე გაწეული ხარჯები მინიმიზებული უნდა იქნას ამ სისტემის ეფექტის ადექვატურობის პოზიციებიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ ხარჯების სიდიდე კონტროლინგის ორგანიზაციაზე არ უნდა აღემატებოდეს იმ ეფექტის სიდიდეს, (დანახარჯების შემცირება, შემოსავლების ზრდა, მოგების გადიდება და ა. შ.). რომელიც მიიღწევა მისი განხორციელების პროცესში.

ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით ფინანსური კონტროლინგი საწარმოში (კორპორაციები, ფირმები) აიგება შემდეგი **ძირითადი ეტაპების** მიხედვით (იხ. ნაწ. II, თავი 9, ნახ. 3.19). კერძოდ:

კონტროლის სახეებისა და სფეროების განსაზღვრა (იხ. ცხ. 3.15 სადაც მოტანილია საწარმოში ფინანსური კონტროლის ცალკეული სახეების ძირითადი მახასიათებლები).კონტროლინგის სისტემის აგების კონცეფციის შესაბამისად, იგი იყოფა შემდეგ **ძირითად სახეებად:** სტრატეგიული კონტროლინგი, ოპერატიული კონტროლინგი, მიმდინარე კონტროლინგი. თითოეული კონტროლინგი, ჩამოთვლილი სახეებიდან, უნდა შეესაბამებოდეს თავის განსაზღვრულ სფეროსა და ფუნქციების განხორციელების პერიოდულობას.

ნმინდა მოგების სიდიდის კონტროლირებადი მაჩვენებლის პრიორიტეტული სისტემის ფორმირების მაგალითი ოპერატიული საქმიანობის მიხედვით მოტანილია **ცხრ. 3.16-ში.**

ფინანსურ კონტროლში ჩართული მაჩვენებლების მონიტორინგის სისტემის აგება. მონიტორინგის სისტემა, (ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ გამსვლელი სისტემა) შეადგენს ფინანსური კონტროლინგის საფუძველს, მისი მექანიზმის ყველაზე აქტიურ ნაწილს. ფინანსური მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს საწარმოში შემუშავებულ, მუდმივი დაკვირვების, მექანიზმს ფინანსური საქმიანობის მნიშვნელოვან მაჩვენებლებზე, გათვალისწინებულიდან ფაქტიური შედეგების გადახრის სიდიდის განსაზღვრის და ამ გადახრის მიზეზების გამოვლენას.

ცხრ. 3.15 კორპორაციის ფინანსური კონტროლის ცალკეულ სახეობათა დახასიათება

ფინანსური კონტროლის სახეები	კონტროლის ძირითადი სფერო	ძირითადი საკონტროლო პერიოდი
1. სტრატეგიულიკონტროლი	ფინანსურისტრატეგიის და მისი მიზნობრივი მაჩვენებლების რეალიზაცია	კვარტალი, წელი
2. მიმდინარე კონტროლი	მიმდინარე ინვესტიციური გეგმების კონტროლი	თვე, კვარტალი
3. ოპერატიულიკონტროლი	ბიუჯეტებისკონტროლი	კვირა, დეკადა, თვე

შიდა კონტროლის სისტემის, როგორც კონცეფციის, მოდელის მენეჯერულ ღონისძიებათა და კონტროლის ქსელის შემდგომი განვითარება უშუალოდ იქნება დამოკიდებული კორპორაციული მმართველობის, როგორც შიდა კონტროლის კონცეპტუალური გარსისა და ლიბერალური დემოკრატიის განუყოფელი ატრიბუტის განვითარებაზე.

ცხრ. 3.16. ნმინდა მოგების სიდიდის მაკონტროლებელი მაჩვენებლის პრიორიტეტების სისტემის ფორმირების მაგალითი

პირველი რიგის პრიორიტეტები	მეორე რიგის პრიორიტეტები	მესამე რიგის პრიორიტეტები	და ა. შ.
ნმინდა მოგების სიდიდე	შემოსავლების სიდიდე	ფასების დონე პროდუქციაზე, რეალიზებული პროდუქციის ოცულობა, პროდუქციის რეალიზაციის სტრუქტურა	
	დანახარჯების სიდიდე	ფასების დონე მომსახურების ტარიფებზე. პროდუქციის წარმოების მოცულობა. პროდუქციის წარმოების სტრუქტურა	
	საგადასახადო გადასახადების სიდიდე	გადასახადების სისტემის ცვლილება. საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთების ცვლილება. საგადასახადო შეღავათების სისტემის ცვლილება	

თუ ბოლო დროის ტენდენციებს გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ კორპორაციული მმართველობის იდეა დიდი ხანია გეოგრაფიულ და სექტორულ ექსპანსიას განიცდის და თანაბრად მიმზიდველი ხდება როგორც განვითარებადი სამყაროსათვის, ასევე სახელმწიფო სექტორისათვისაც. მაგალითად, მსოფლიო ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი დიდი ხანია განიხილავს მას, როგორც განვითარებისა და მსოფლიო საფინანსო სისტემის სტაბილურობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

საქართველოში ნაკლებად პოპულარულია შიდა კონტროლის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: **რისკის მართვა** და საინფორმაციო სისტემები. ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ მათი გამოყენება საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

რაც შეეხება ორგანიზაციების **შიდა კონტროლი**, რომელსაც, როგორც ოპერაციული მენეჯმენტის ინსტრუმენტს, საქართველოში მხოლოდ ხელზე ჩამოსათვლელი უცხოური ორგანიზაციები თუ იყენებენ. შედარებით პოზიტიური ძვრები იგრძნობა შიდა აუდიტის ფუნქციისა და საქმიანობის პრაქტიკის მხრივ, რადგან ეს ფუნქცია საქართველოს თითქმის ყველა კომერციულ ბანკში არსებობს და მეტ-ნაკლები წარმატებით ფუნქციონირებს. ამ სფეროში ეროვნულმა ბანკმა 2003 წლის ბოლოს კომერციულ ბანკებს გასაცნობად შესთავაზა **ეუთოს პრინციპები**, როგორც მათი საქმიანობის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმი.

ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემის შესაფასებლად ყველაზე ძირითადი მახასიათებელი მისი ადეკვატურობაა, ანუ იმის ცოდნა, თუ რამდენად სრულად და ზუსტად უზრუნველყოფს შიდა კონტროლი ორგანიზაციის მიზნების რეალიზაციას, მასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობა ავტომატურად იცვლება ორგანიზაციის მიზნებისა და რისკების ცვლილების შემთხვევაში. ამდენად, რეალურ პრაქტიკაში, ორგანიზაციები ყოველთვის უნდა ცდილობდნენ, გადაამონმონ არსებული შიდა კონტროლის ეფექტიანობა. ყველაზე არსებითი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ **შიდა კონტროლის** ადეკვატურობის უზრუნველყოფა, შეიძლება იყოს:


1) ბიზნეს-პროცესების მუდმივი სრულყოფის (ოპტიმიზაციის) აუცილებლობა;
2) ორგანიზაციის რისკისადმი დაქვემდებარების ხარისხის ცვლილება;
3) ორგანიზაციის ინფორმაციული მოთხოვნილებების ცვლილება;
4) სუსტი წერტილების აღმოჩენა და საკანონმდებლო ცვლილებები;
5) გარე აუდიტორებისა და სხვა საზედამხედველო ორგანოების რეკომენდაციები;
6) ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებთან ნდობის გაღრმავების აუცილებლობა;
7) კონტროლის ღონისძიებების არასაკმარისი გამჭვირვალობა;
8) მომხმარებლებისა და მომწოდებლებისათვის რეკომენდაციები და სხვ.

განვითარებული ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მოწოდებული და ორგანიზაციაში აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების, პროცედურების, მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მმართველობას გარკვეული ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში ეხმარება.

პრაქტიკაში შიდა კონტროლის ორგანიზაციული ღონისძიებები და პროცედურები შეიძლება უშუალოდ მიბმული ანუ ინტეგრირებული იყოს სამუშაო პროცესებისა და ორგანიზაციის საქმიანობის ადმინისტრირებასა და რეგულირებასთან (შიდა ადმინისტრირებისა და რეგულირების სისტემა), ან ამ ღონისძიებებისა და პროცედურების დაცვაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს გულისხმობდეს (შიდა მონიტორინგის სისტემა). შიდა კონტროლის ღონისძიებათა ზოგადი კლასიფიკაცია მოცემულია ნახაზ – 3.20-ში.

ბიზნესის შიდა კონტროლისა და რისკის უკეთ შესწავლის მიზნით, აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს (**ამსს-ს**) მიერ შემუშავდა ახალი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებიც (**ასს**). **კერძოდ:** 1) ასს 315– სამეურნეო სუბიექტებისა და მისი გარემოს შესწავლა და არსებითი უზუსტობების რისკების შეფასება; 2) ასს 330– აუდიტის პროცედურები შეფასებულ რისკზე რეაგირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ასს-315 აუდიტორებს კლიენტის შიდა კონტროლის შესაფასებლად პირდაპირ სთავაზობს **„COSO"-ზე** დაფუძნებულ მეთოდოლოგიას, რაც გარე აუდიტოებისათვის არსებითად ახალ მიდგომას წარმოადგენს ბიზნესის კონტროლის გარემოსა და კონტროლის სიტემის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მხრივ.



ნახ. 3.20. შიდა კონტროლის ღონისძიებათა ზოგადი კლასიფიკაციის სქემა

სახელმწიფო სფეროში შიდა კონტროლის სისტემა, ძირითადად რეგულირდება უმაღლესი მაკონტროლებელი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტებისა და რეკომენდაციების მიხედვით, რომელიც ასევე არსებითადაა ორიენტირებული COSO მოდელზე. შიდა კონტროლის სისტემის, როგორც კონცეფცია-მოდელის წარმოშობა პირდაპირ უკავშირდება 1985 წელს აშშ-ში ე. წ **„თრედვეის კომისიის“** მიერ შექმნილ ე. წ სპონსორი ორგანიზაციების კომიტეტის საქმიანობას, რომელიც, ძირითადად მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუციონალური ინვესტორების ინტერესების დაცვას ემსახურება. მათ მიერ 1944 წელს შემუშავებული COSO-მოდელის სახელწოდებით, ყველაზე პოპულარულ მოდელად ითვლება.

COSO-მოდელის მიხედვით, შიდა კონტროლის სისტემა წარმოადგენს პროცესს, რომელსაც ახორციელებს დირექტორთა საბჭო, აღმასრულებელი მენეჯმენტი ან თანამშრომლები და გამიზნულია იმისათვის, რომ მიღებული იქნეს დამატებითი გარანტია ორგანიზაციის შემდეგი მიზნების მიღწევაში: ა) საქმიანობის ეფექტურობა და ეფექტიანობა; ბ) ფინანსური ანგარიშგე-

ბის სანდოობა; გ) კანონებთან და ნორმებთან შესაბამისობა. ამ სამგანზომილებიანი მოდელის პოპულარობა მის მოდიფიცირებადობაში მდგომარეობს, რაც ორგანიზაციას საშუალებას აძლევს, მოდელი თავის სპეციფიკას მოარგოს.

COSO მოდელის მიხედვით, ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა უნდა შეფასდეს ხუთი ელემენტის მიხედვით, ესენია:

1. **კონტროლისა და ადმინისტრირების გარემო** – ეს ელემენტი შიდა კონტროლის სისტემის სხვა კომპონენტებს შორის ყველაზე განმსაზღვრელია, რადგან იგი ფოკუსირებულია ადამიანურ ფაქტორებზე. კერძოდ, ესენის: აღიარებული ღირებულებები, მენეჯმენტის სტილი, დამოკიდებულება როგორც შიდა, ისე გარე კონტროლისა და მონიტორინგის მექანიზმებთან.

2. **კონტროლისა და ადმინისტრირების პროცედურები.** ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დეკლარირებული და ფაქტობრივად არსებული კონტროლის პროცედურები, რომლებიც თავის მხრივ შეიძლება დაიყოს პრევენციულ, აღმომჩენ და მაკორექტირებელ ღონისძიებებად.

3. **რისკის მართვა.** რისკის მართვამ ხელი უნდა შეუწყოს მენეჯმენტს, დროულად აღმოაჩინოს, გაანალიზოს და შეიმუშაოს ადეკვატური კონტროლის ღონისძიებები ყველა იმ არსებითი საფრთხეების (რისკების) მიმართ, რომლების ხელს შეუშლიან ორგანიზაციას კონკრეტული მიზნების მიღწევაში. ამავე დროს, ეფექტიანი რისკის მართვა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ყველა შესაძლო და არსებული შანსის რეალიზაციასაც.

4. **ინფორმაცია და კომუნიკაცია.** რაც უფრო დროულად, სრულად და საიმედო გზებით მიეწოდება ადეკვატური ინფორმაცია სატანადო ადრესატს, მით უფრო მცირდება არასწორი მენეჯერული გადაწყვეტილებებისა და, შესაბამისად, გარკვეული ზარალის მიღების საფრთხე. უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ორგანიზაციის შიგნით მიმდინარე ყველა პროცესისა და ოპერაციის შესახებ ინფორმაციის შეგრო¬ვება, აღრიცხვა, დამუშავება და გადაცემა სწორად ხდებოდეს და არსებობდეს ამ ინფორმაციის დამუშავებისა და განაწილების კონტროლის დამოუკიდებელი მექა¬ნიზმი.

5. **მონიტორინგი.** დირექტორთა საბჭოსათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დარწმუნდეს, რომ ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა ან რისკის მართვის ფუნქცია ადეკვატურია მის მიმდინარე და სტრატეგიულ მიზნებთან. როგორც წესი, ორგანიზაციაში მონიტორინგის ფუნქციას ანიჭებენ დამოუკიდებელ ორგანიზაციულ ერთეულს – შიდა აუდიტს, ან გარედან მოწვეულ გარე აუდიტორს, რომლებიც დირექტორთა საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის მითითებით ახორციელებენ ორგანიზაციაში შიდა კონტროლისა და რისკის მართვის არსებული სისტემების სუსტი წერტილების იდენტიფიკაციას და შესაბამის ადრესატებს აწვდიან ადეკვატურ რეკომენდაციებს. მიღებული პრაქტიკის მიხედვით, საბჭო წელიწადში ერთხელ იღებს ასეთ ანგარიშს.

აღსანიშნავია, რომ COSO-ს შიდა კონტროლის წარმოდგენილი ხუთკომპონენტიანი სტრუქტურიზებული მოდელი საკმაოდ წარმატებითაა აპრობირებული დღევანდელ პრაქტიკაში, რომელსაც წარმატებით იყენებენ ორგანიზაციები და აუდიტური ფირმები. ამასთან, ბოლო ათწლეულში რისკის ფაქტორის დომინირების გამო წარმოიშვა რისკზე დაფუძნებული კონტროლის ისეთი მოდელის ფორმირების აუცილებლობა, რომელიც ყველა სახის რისკის ფაქტორს გააკონტროლებდა. ამ მიზნით, 2001 წელს COSO-ს დავალებით აუდიტურმა და საკონსულტაციო კომპანია **PricewaterhouseCoopers**-მა შეიმუშავა და 2004 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა ახალი გავრცობილი ე. წ. **ERM-მოდელი (ნახ. 3.21),** რომლითაც COSO -ს აქამდე არსებულ სამ მიზანს და ხუთ ელემენტს დაემატა **ერთი მიზნობრივი** (კერძოდ, სტრატეგიული მიზნების რეალიზაცია) და სამი შემდეგი კომპონენტი, კერძოდ:


1) მიზნის განსაზღვრა: სტრატეგიის განსაზღვრა, მზადყოფნა რისკის აღებაზე, რისკის მადა;

2) მომავალი მოვლენების იდენტიფიცირება. სტრატეგიასა და მიზნებზე ზემოქმედი ფაქტორები, მეთოდოლოგია და ტექნიკის ჩამოყალიბება, მოვლენების ურთიერთკავშირი, რისკები და შანსები, მოვლენების კატეგორიზაცია;

3) რისკზე რეაქცია. რისკზე რეაგირების შესაძლო ღონისძიებების იდენტიფიკაცია და შეფასება.

ამ მოდელის თავისებურება ისიცაა, რომ მისი შემქმნელები სტრატეგიულ და ოპერატიულ

ღონისძიებებს შესაბამის რისკთან აკავშირებენ. ეს ეხმარება ორგანიზაციას, რომ რისკის მართვა აღქმულ და შეფასებულ იქნეს კომპლექსურად, რაც მენეჯმენტს საშუალებას აძლევს წინასწარ, ადრეულ ეტაპზევე შეიმეცნოს რისკი, შანსი და მათი პოტენციალი. ამ თვისების გამო ახალ მოდელს შეიძლება ეწოდოს რისკზე ორიენტირებული კონტროლის მოდელი, რომელიც სქემაზეა წარმოდგენილი შიდა კონტროლის სისტემის მოდელის ობიექტურობის ამაღლების შემდეგი კონცეპტუალური პრობლემა შიდა კონტროლის სისტემის შეფასებითი საქმიანობის სტანდარტების შემუშავებაა.



ნახ. 3.21. COSO-ERM მოდელის ელემენტების სქემა.

დღესდღეობით, ასეთ პრაქტიკას ორი არსებითი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მომზადებული სტანდარტები არეგულირებს. ესენია: შიდა აუდიტის ინსტიტუტის (ფლორიდა, აშშ) მიერ 2004 წელს გამოქვეყნებული სტანდარტები და **აუდიტისა და მარწმუნებელი საქმიანობის სტანდარტების საბჭოს (ამსს) მიერ მომზადებული ორი სტანდარტი, რომლებიც 2005 წლის** იანვრიდან ამოქმედდნენ. კერძოდ: 1) მასს 1000 – მარწმუნებელი გარიგების საერთაშორისო სტრუქტურული საფუძვლები და 2) მასს 3000 – მაწმუნებელი გარიგებები გასული პერიოდების საფინანსო ინფორმაციისა აუდიტისა და მიმოხილვის გარდა. ამ სტანდარტების მიღებით, აუდიტორული საქმიანობისგან ფორმალურად გაიმიჯნა ამ უკანასკნელის შედარებით არადეტერმინირებული და არატრადიციული ნაწილი – მარწმუნებელი საქმიანობა (Assurance shervice). აუდიტორული საქმიანობის ასეთმა დეკომპოზიციამ ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო შიდა კონტროლის სისტემის, არამედ კორპორაციული მმართველობის, როგორც შიდა კონტროლის კონკრეტული კონცეფციების შესახებ დამოუკიდებელი და **კომპეტენტური აზრის გამოთქმას.**

აუდიტორიული საქმიანობის სფეროში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შიდა აუდიტს, რომელიც მოიცავს საწარმოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტურობისა და სისრულის, ასევე მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას და შეფასებას.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით – ასს შიდა აუდიტის სამსახურის **ფუნქციაა:**

1) შემოწმდეს წარმოდგენილი ფინანსური და საწარმოო ინფორმაციის სანდოობა და სისრულე. აღნიშნული მოითხოვს ამ ინფორმაციის დადგენის, კლასიფიცირების და ანგარიშგების მიზნით გამოყენებული მეთოდების განხილვასა და ცალკეული მუხლების სპეციალურ გამოკვლევას, მათ შორის აუცილებლობის შემთხვევაში ოპერაციების, ნაშთებისა და პროცედურების დეტალურ ტესტირებას;

2) შემოწმდეს არაფინანსური და საწარმოო აღრიცხვის დოკუმენტაცია მოიცავს თუ არა ზუსტ, სანდო, დროულ, სრულ და სასარგებლო ინფორმაციას;

3) აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოების კონტროლი არის თუ არა საკმარისი და ეფექტური;

4) შემოწმდეს კონტროლის სისტემები, რომლებიც შექმნილია იმ წესების, გეგმების, პრო-

ცედურების კანონიერებისა და ინსტრუქციების დაცვის ზედამხედველობისათვის, რომლებმაც შეიძლება არსებული გავლენა იქონიონ ოპერაციებსა და ანგარიშგებაზე;

5) შიდა აუდიტორიებს დაკისრებული აქვთ განსაზღვრონ ამ სისტემის საკმარისობა და ეფექტურობა, ასევე ექვემდებარება თუ არა ამ მოთხოვნებს შესა¬მოწმებელი სფერო სანარმოს საქმიანობას;

6) ბუღალტრული აღრიცხვის და შიდა კონტროლის სისტემის განხილვა, ადექვატური ბუღალტრული აღრიცხვისა და შიდა კონტროლის სისტემების პასუხისმგებლობა ეკისრება ხელმძღვანელობას, რაც მუდმივად მოითხოვოს სათანადო ყურადრებას.

ჩვეულებრივ შიდა აუდიტის ხელმძღვანელობისაგან დაკისრებული აქვს ამ სისტემის განხილვა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ამ საქმიანობის **გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების** მიცემა. კერძოდ:

1) შემოწმდეს აქტივების შენახვის და დაცვის წესები და საშუალებები, აუცილებლობის შემთხვევაში გადამოწმდეს მათი სახეზე არსებობა.

2) უნდა შემოწმდეს ის გზები და საშუალებები, რომლებიც გამოიყენება აქტივების დასაცავად სხვადასხვა ტიპის დანაკარგებისგან, რომლებიც მოყვება ქურდობას, ხანძარს, მითვისებას, არაკანონიერ და არაგამართლებულ საქმიანობას და ფორს¬მაჟორულ გარემოებას.

3) შეფასდეს რესურსების გამოყენება-გახარჯვის ეკონომიურობა და ეფექტურობა– ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რესურსების ეკონომიკური და რაციონალური ხარჯვის შეფასებისათვის დაადგინოს საწარმოო ნორმატივები. შიდა აუდიტორი პასუხისმგებელია განსაზღვროს:

4) დადგენილი საწარმოო ნორმატივები ეფექტურია თუ არა ეკონომიურობისა და რენტაბელობის შესაფასებლად;

5) დადგენილი საწარმოო სტანდარტები სწორედ არის გაგებული და სრულდება თუ არასაწარმოო სტანდარტებიდან გადახრები დადგენილია, გაანალიზებულია და დარღვევის აღმოფხვრის მიზნით დაყენებულია თუ არა პასუხისმგებლობის საკითხი;

6) მიღებულია თუ არა ზომები დარღვევის შემდგომი აღმოფხვრისათვის.

შესაბამისად, **აუდიტორულმა შემოწმებებმა,** რომლებიც დაკავშირებულია რესურსების ეკონომიკურ და რაციონალურ გამოყენებასთან უნდა **გამოაელინოს ისეთი ფაქტორები,** როგორებიცაა: სამეწარმეო სიმძლავრეების არასრული დატვირთვა; არამწარმოებლური შრომა; გაუმართლებელი დანახარჯ-პროცედურები; არასრული ან ზედმეტად დაკომპლექტებული შტატები. აუდიტორი არ არის ვალდებული დანაკლისებისა და დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიღოს რაიმე სანქციები სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. შეწმოწმების შედეგი, ფორმდება **აუდიტორული დასკვნით,** რომელიც წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის დამადასტურებელ დოკუმენტს. მაქსიმუმი, რაც შეიძლება გააკეთოს აუდიტორმა ფინანსურ ანგარიშგებაში აღმოჩენილი დარღვევების ფაქტზე რეაგირების შესახებ, ეს არის **უარყოფითი დასკვნის** გაცემა.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, რომ აუდიტორული საქმიანობა მნიშვნელოვანი ბერკეტია საწარმოების და ფინანსური დაწესებულებების თვითრეგულირების, კონტროლის, საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების და მიუკერძოებელი შემოწმებისა. შესაბამისად აუდიტორული საქმიანობა ხელს უწყობს ამ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის სრულყოფას და განვითარებას, რაც თავისთავად საფუძველია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის, მისი ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდისა და ამაღლებისა.

შიდა კონტროლის ღონისძიებათა ზოგადი კლასიფიკაციის სქემა:

1. კონტროლინგის ობიექტის განსაზღვრა. ეს არის საერთო მოთხოვნები კომპანიაში ნებისმიერი სახის კონტროლინგის ასაგებად მიზნობრივი ორიენტაციის პოზიციებიდან.

2. კონტროლინგის სახეებისა და სფეროების განსაზღვრა. კონტროლინგის სისტემის აგების კონცეფციის შესაბამისად, იგი იყოფა შემდეგ ძირითად სახეებად (**იხ. ცხრილი 3-17**), როგორიცაა, სტრატეგიული, ოპერატიული და მიმდინარე კონტროლინგი. თითოეულიკონტროლინგი უნდა შეესაბამებოდეს თავის განსაზღვრულ სფეროსა და ფუნქციების განხორციელების პერიოდულობას.

ცხრ. 3-17. კორპორაციის ფინანსური კონტროლინგის სახეების მახასიათებლები

ფინანსური კონტროლინგის სახეები	კონტროლინგის ძირითადი სფერო	ძირითადი საკონტროლო პერიოდი
1. სტრატეგიული კონტროლინგი	ფინანსური სტრატეგიის და მისი მიზნობრივი მაჩვენებლების რეალიზაცია	კვარტალი, წელი
2. მიმდინარე კონტროლინგი	მიმდინარე ინვესტიციური გეგმების კონტროლი	თვე, კვარტალი
3. ოპერატიული კონტროლინგი	ბიუჯეტის კონტროლი	კვირა, დეკადა, თვე

3. კონტროლირებადი მაჩვენებლების პრიორიტეტების სისტემის ფორმირება. მაჩვენებელთა მთელი სისტემა, კონტროლინგის ცალკეული სახის სფეროში რანჟირდება მნიშვნელობის მიხედვით. ასეთი რანჟირების პროცესში პირველი და მეორე დონის პრიორიტეტების სისტემა, რომლის მაჩვენებლები ფაქტორინგულ კავშირში იმყოფება პირველი დონის პრიორიტეტების მაჩვენებლებთან; ანალოგიურად ყალიბდება მესამე და მომდევნო დონეების პრიორიტეტების სისტემა. კონტროლინგის კონტროლირებადი მაჩვენებლების სისტემების ჩამოყალიბებისადმი.

პრიორიტეტების სისტემის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ ისინი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისანი იყვნენ ცალკეული პასუხისმგებლობის ცენტრებისათვის, საწარმოს ფინანსური საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებებისათვის; ფინანსური რესურსების ფორმირებას, განაწილებისა და გამოყენები სხვადასხვა ასპექტებისათვის. ამავე დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნას, როგორც ყველა კონტროლირებადი მაჩვენებლის იერარქიული თანხვედრა მთლიანად საწარმოში, ასევე მათი შესაბამისობა ფინანსური საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებთან.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს კონტროლის პრაქტიკაში ნაკლებად პოპულარულია შიდა კონტროლის ისეთი ელემენტები, როგორიცაა: რისკის მართვა და საინფორმაციო სისტემები. ამ ფაქტის ახსნა იმით შეიძლება, რომ მათი გამოყენება საკმაოდ სერიოზულ ხარჯებთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება ორგანიზაციების შიდა კონტროლინგს, რომელსაც, როგორც ოპერაციული მენეჯმენტის ინსტრუმენტს, საქართველოში მხოლოდ უცხოური ორგანიზაციები თუ იყენებენ.

შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია გამოავლინოს **სარისკო მომენტები,** მაღალი რისკის სეგმენტები და უნდა აკონტროლოს შესაძლო თაღლითობები. ასევე უნდა გაანალიზდეს რამდენად ეფექტურია შიდა კონრტოლის სისტემა, კომპანიის დირექტორატის მუშაობის ხარისხი და შეიმუშაოს რეკომენდაციები სისტემის შესაძლო გაუმჯობესების შესახებ.[39]

ამრიგად, განვითარებული ორგანიზაციის შიდა კონტროლის სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მოწოდებული და ორგანიზაციაში აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების, პროცედურების, მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მმართველობას გარკვეული ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში ეხმარება. პრაქტიკაში შიდა კონტროლის ორგანიზაციული ღონისძიებები და პროცედურები შეიძლება უშუალოდ ინტეგრირებული იყოს სამუშაო პროცესებისა და ორგანიზაციის საქმიანობის ადმინისტრირებასა და რეგულირებასთან (შიდა ადმინისტრირებისა და რეგულირების სისტემა), ან ამ ღონისძიებებისა და პროცედურების დაცვაზე დამოუკიდებელ მონიტორინგს გულისხმობდეს (შიდა მონიტორინგის სისტემა).

[39] იხ. ლიპარტია ზ., ზარანდია ც., გელაშვილი მ. -მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი. სახელმძღვანელო. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 2011. -306გვ.

ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება ფინანსური მენეჯმენტის მექანიზმში

15. 1. ბიზნესის ღირებულების შეფასების პრინციპები და მეთოდები

საშემფასებლო საქმიანობაში გამოყოფენ ბიზნესის შეფასების **პრინციპების** სამ ჯგუფს, კერძოდ: **1)** ქონების მესაკუთრის წარმოდგენებზე დაფუძნებული პრინციპები; **2)** ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პრინციპები; **3)** საბაზრო გარემოს ზემოქმედებით განპირობებული პრინციპები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველი. ქონების მესაკუთრის წარმოდგენებზე დაფუძნებული პრინციპების ჯგუფი მოიცავს:

ა) სარგებლიანობის პრინციპები – ქონების უნარი დააკმაყოფილოს მესაკუთრის გარკვეული მოთხოვნილებები კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილზე წარმოადგენს ბიზნესის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. საკუთრების ნებისმიერი ობიექტის ღირებულების სიდიდის განმსაზღვრელ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს მისი **სარგებლიანობა.** ბიზნესს ღირებულება გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას შეუძლია გარკვეული სარგებლიანობის მოტანა როგორც მისი ფაქტიური, ასევე პოტენციური მესაკუთრისათვის. ბიზნესის სარგებლიანობა ეს არის ბიზნესის უნარი მოუტანოს მის მფლობელს გარკვეული შემოსავლები, შესაბამისად რაც უფრო მაღალია ბიზნესის სარგებლიანობა, მით უფრო მეტია მისი ღირებულება.

ბ) ჩანაცვლების პრინციპი ნიშნავს, რომ შესაფასებელი ობიექტის ღირებულების სიდიდე, არ უნდა აღემატებოდეს მყიდველისათვის ანალოგიური სარგებლიანობის მქონე ობიექტის შესყიდვის მინიმალურ ფასს, რადგანაც მყიდველი არ გადაიხდის ობიექტში იმაზე მეტ თანხას, რაც დაუჯდებოდა მას ანალოგიური სარგებლიანობის მქონე ობიექტის შეძენა. ჩანაცვლების ფარგლები განისაზღვრება მომხარებლის მოთხოვნილებებით და სურვილით.

გ) მოლოდინის პრინციპი – ესაა ბიზნესიდან მოსალოდნელი შემოსავლების ნაკადების სიდიდე, რომელიც შეიძლება მიიღოს ინვესტორმა ბიზნესში ფულის დაბანდების შემთხვევაში. იგი დამოკიდებულია არა მხოლოდ ბიზნესის წარსულ და ახლანდელ მდგომარეობაზე, არამედ ბიზნესიდან მოსალოდნელი შემოსავლების სიდიდეზე. ბიზნესის შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბიზნესიდან მოსალოდნელი შემოსავლების ნაკადების სწორ პროგნოზირებას, მათ სიდიდეს, სტაბილურობასა და ხანგრძლივობას, რაც პირდაპირ აისახება ბიზნესის ღირებულების სიდიდეზე.

მეორე. ქონების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული პრინციპები მოიცავს:

ა) წარმოების ფაქტორების პრინციპი გვიჩვენებს, თუ რა წილი უდევს ბიზნესის შემოსავლების ფორმირებაში წარმოების თითოეულ ფაქტორს (შრომა, მიწა, კაპიტალი, სამეწარმეო უნარები);

ბ) ნარჩენი პროდუქტიულობის პრინციპი გამოხატავს იმ შემოსავლების სიდიდეს, რომელიც მაგ: მიწაზე, კაპიტალის, შრომისა და მენეჯმენტის ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩება ქონების მესაკუთრეს, ამ შემთხვევაში რენტის სახით. შესაბამისად მიწის რენტა ამ დროს გვევლინება, როგორც ნარჩენი პროდუქტიულობის სიდიდე;

გ) ზღვრული შემოსავლიანობის პრინციპი – მიუთითებს რომ ბიზნესში ჩართული წარმოების ძირითადი ფაქტორების რაოდენობის ზრდის ტემპი, გარკვეული სიდიდის შემდეგ გადააჭარბებს ამ ფაქტორების გამოყენების შედეგად მიღებული შემოსავლების სიდიდის ზრდის ტემპს. შესაბამისად ღირებულების ნამატი გახდება უფრო ნაკლების სიდიდის, ვიდრე მის შექმნაზე გაწეული დანახარჯების სიდიდეა;

დ) დაბალანსებულობის პრინციპები – მდგომარეობს იმაში, რომ შესაფასებელი ობიექტის ღირებულება მაშინ არის მაქსიმალური, როდესაც მასში ჩართული წარმოების ფაქტორები ეკონომიკურად დაბალანსებულია, ანუ მაქსიმალური შემოსავლები საწარმოდან შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული წარმოების ფაქტორების რაოდენობა ოპ-

ტიმალური იქნება საწარმოს სიდიდის, საბაზრო მოთხოვნისა და სხვა ფაქტორების მიმართ;

მესამე. საბაზრო გარემოს ზემოქმედებით განპირობებული პრინციპები – ეს ჯგუფი მოიცავს:

ა) მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეებს შორის შესაბამისობის პრინციპი – შესაფასებელი ობიექტის ფასი იცვლება მასზე **მოთხოვნა-მიწოდების** სიდიდეების თანაფარდობის შესაბამისად, ე. ი. თუ მოთხოვნა მეტია მიწოდებაზე, ობიექტის ფასი, ე. ი. ღირებულება ამ შემთხვევაში იზრდება და პირიქით: როდესაც მიწოდება მეტია მოთხოვნაზე, მაშინ ობიექტის ფასი მცირდება ე. ი. მცირდება მისი ღირებულებაც. შესაფასებელი ობიექტის ღირებულება **სტაბილურია**, როდესაც ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების სიდიდეებს შორის არსებობს სრული თანაფარდობა. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით ეფექტიანად მუშაობს, როდესაც საქმე გვაქვს შეფასების ხანგრძლივვადიან პერიოდთან. მოკლევადიან პერიოდში მოთხოვნისა და მიწოდების სიდიდეები ხშირ შემთხვევაში დაუბალანსებელია, რაც არ იძლევა შეფასების ობიექტურ შედეგებს.

ბ) კონკურენციის პრინციპი – შესაფასებელი ობიექტების (მოძრავი, უძრავი ქონება, ინტელექტუალური საკუთრება და ა. შ.) ბაზარზე მყიდველსა და გამყიდველებს შორის წარმოიქმნება კონკურენცია. კონკურენციის წარმოშობის უმთავრესი მიზეზი მოგებაა. მოგების მისაღებად იბრძვის როგორც გამყიდველი, ასევე მყიდველი. კონკურენცია ზეგავლენას ახდენს შესაფასებელი ობიექტის ფასწარმოქმნის პროცესზე და მნიშვნელოვნად განაპირობებს ფასის სიდიდეს. მაგ: როდესაც მოსალოდნელია კონკურენციული ბრძოლის გამწვავება შეფასების პროცესში, ეს ფაქტორი შემოსავლების არაპირდაპირი შემცირებისა და რისკების გაზრდის მიზეზად, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს შესაფასებელი ობიექტის ღირებულების სიდიდეზე.

გ) ღირებულების ცვალებადობის პრინციპი – შეფასებელი ობიექტის ღირებულება მუდმივად იცვლება, რაც განპირობებულია ისეთი ფაქტორების ცვალებადობით, როგორიცაა: ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ამსახველი ფაქტორები.

დ) შესაბამისობის პრინციპი – განიხილავს შესაფასებელი ობიექტის შესაბამისობის საკითხს თანამედროვე საბაზრო მოთხოვნებთან. მაგ: თუ საწარმოების მატერიალური-ტექნიკური აღჭურვილობა, გამოყენებული მასალები, ნედლეული, სამუშაო ძალა და ა. შ. არ შეესაბამება შეფასების პერიოდისათვის არსებულ მოთხოვნებს, მაშინ ასეთი ობიექტის ღირებულება შეფასებული იქნება საშუალო საბაზრო ფასზე უფრო ნაკლები სიდიდით.

ე) ეკონომიკური განაწილების პრინციპი ეხება იმას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია შესაფასებელ ობიექტზე საკუთრებითი უფლებების ისეთნაირი დაყოფა ან შეერთება, რომლებიც იწვევენ ობიექტის საერთო ღირებულების გაზრდას.

ვ) ქონების საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენების პრინციპი გულისხმობს ქონების ყველაზე უფრო ეფექტიან გამოყენებას, რაც ფიზიკურად არის შესაძლებელი, სათანადოდ დასაბუთებულია, იურიდიულად ნებადართულია, ფინანსურად განხორციელებადია და განაპირობებს შესაფასებელი ქონების ყველაზე მაღალ ღირებულებას. აღნიშნული პრინციპი განსაკუთრებით აქტუალურია, როდესაც ობიექტის ღირებულების შეფასება ხდება რესტრუქტურიზაციის მიზნებიდან გამომდინარე.

გარდა ზემოთაღნიშნული პრინციპებისა, ბიზნესის შეფასებისას პროფესიონალმა შემფასებელმა უნდა გაითვალისწინოს შესაფასებელი ობიექტის **სასიცოცხლო ციკლი.** კერძოდ შემფასებელმა ზუსტად უნდა განსაზღვროს თუ რომელ სტადიაშია შეფასების მომენტისათვის შესაფასებელი ობიექტი.

როგორც ცნობილია, საშემფასებლო საქმიანობის პრაქტიკაში გამოიყენება ბიზნესის შეფასების სხვადასხვა **მიდგომები და მეთოდები.** შეფასების მიდგომა ნიშნავს საყოველთაოდ აღიარებულ ანალიტიკურ მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება თანამედროვე საშემფასებლო საქმიანობაში. **ბიზნესის შეფასების ძირითადი მიდგომებია: 1) შედარების, 2) შემოსავლების და 3) დანახარჯების მიდგომა.** თითოეული მიდგომა საშუალებას გვაძლევს ხაზი გავუსვათ შესაფასებელი ობიექტის განსაკუთრებულ მახასიათებლებს. **განვიხილოთ თითოეული მათგანი:**

1) შედარების მიდგომა – ეს მიდგომა ითვალისწინებს შესაფასებელი ანალოგიური ობიექტის გაყიდვებს და მასთან დაკავშირებულ საბაზრო მონაცემებს, ხოლო შესაფასებელი ობიექ-

ტის ღირებულების დადგენა ხდება უშუალოდ შედარების პროცესით. შესაფასებელი ობიექტი უდარდება ბაზარზე ანალოგიური ობიექტის ბოლოდროინდელ გაყიდვებს. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტიანია მაშინ, როდესაც არსებობს შესაფასებელი და შესადარებელი ობიექტების აქტიური ბაზარი. შეფასების სიზუსტე დამოკიდებულია შეგროვებული მონაცემების ხარისხზე, რადგან შემფასებელმა უნდა შეაგროვოს უტყუარი ინფორმაცია შესაფასებელი ობიექტის ანალოგიური ობიექტების ახლახან ჩატარებულ გაყიდვების შესახებ. **მონაცემები მოიცავენ:** სხვადასხვა ეკონომიკურ მახასიათებლებს, გაყიდვის დროს, ადგილმდებარეობას, გაყიდვის პირობებსა და დაფინანსების პირობებს. ასეთი მდგომის ქმედითობა მცირდება თუ: მსგავსი გარიგებების რაოდენობა მცირეა; მათი განხორციელების მომენტსა და შეფასების მომენტს ყოფს დროს ხანგრძლივი პერიოდი; ბაზარი არის ანომალურ მდგომარეობაში, რადგან სწრაფ ცვლილებებს ბაზარზე მივყავართ მაჩვენებლების დამახინჯებამდე.

შედარებითი მიდგომა დაფუძნებულია შენაცვლების პრინციპის გამოყენებაზე. შედარებისათვის არჩევენ შესაფასებელი ობიექტის მსგავს ობიექტებს. ჩვეულებრივ მათ შორის არსებობს განსხვავებები, ამიტომ საჭიროა მონაცემების შესაბამისი კორექტირება. შესწორებების შეტანას საფუძვლად უდევს ქონების გაუმჯობესებაში შეტანილი წელილის პრინციპი. **შედარების მიდგომის ფარგლებში განასხვავებენ შეფასების სამ მეთოდს, როგორიცაა:**

1. **კაპიტალის ბაზრის მეთოდი** – დაფუძნებულია ანალოგიური კომპანიების აქციათა საბაზრო ფასების გამოყენებაზე. ინვესტორი მოქმედებს რა შენაცვლების პრინციპის გათვალისწინებით, კომპანიაში ახორციელებს ინვესტირებას აქციების საბაზრო ფასის მიხედვით. იმ კომპანიების მონაცემები, რომელთა აქციები თავისუფალ გაყიდვაშია, შესაბამისი კორექტირების შემდეგ გადაიცევა კომპანიის ფასის გაანგარიშების მთავარ ორიენტირად.

2. **გარიგებათა მეთოდი** – ამ დროს ხდება მსგავსი კომპანიების აქციათა საკონტროლო პაკეტების შეძენის ფასების გაანალიზება.

3. **დარგობრივი კოეფიციენტების მეთოდი** – საშუალებას გვაძლევს გამოვიანგარიშოთ ბიზნესის საორენტაციო ღირებულება დარგობრივი სტატისტიკის ბაზაზე გაანგარიშებული მონაცემებით.

2) შემოსავლების მიდგომა: ამ დროს შესაფასებელი ობიექტის ღირებულების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორს შემოსავალი წარმოადგენს. რაც უფრო მეტია შემოსავალი, რომელიც მოაქვს შეფასების ობიექტს, მით უფრო დიდია მისი საბაზრო ღირებულების ოდენობა სხვა თანაბარი პირობების არსებობისას. ამ მიდგომის გამოყენების დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ბიზნესიდან მისაღები მოსალოდნელი შემოსავლების მიღების ხანგრძლივობას და თანმხლები რისკების ხარისხს ენიჭება.

შემოსავლების მიდგომა გულისხმობს შემოსავლების კაპიტალიზაციის და ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდების გამოყენებას, კერძოდ:

1. **შემოსავლების კაპიტალიზაციის მეთოდი.** კაპიტალიზაცია ერთმანეთთან აკავშირებს შემოსავალსა და გარკვეული ღირებულების ტიპს, ამ დროს ხორციელდება შემოსავლის თანხის გარდაქმნა ღირებულების საძიებელ სიდიდედ.

2. **ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი** – დაფუძნებულია მოცემული ბიზნესიდან იმ ფულადი ნაკადების პროგნოზირებაზე, რომლებიც შემდეგ დისკონტირდება ინვესტორის მიერ მოთხოვნილი შემოსავლის განაკვეთის შესაბამისი დისკონტის განაკვეთით. ამ დროს გაითვალისწინება ის შემოსავალი, რომელიც რამდენიმე პროგნოზულ წელზეა გათვლილი და მხედველობაში იღებს საპროგნოზო პერიოდის ბოლოს შეფასების ობიექტის გაყიდვით მიღებულ ამონაგებს.

3) დანახარჯების მიდგომა: აღნიშნული მიდგომა, შეფასების და ზემოთაღნიშნულ დანარჩენ მიდგომებთან შედარებით **ყველაზე მეტად გამოყენებადია.** იგი თანაბარად გამოიყენება როგორც კომპანიის აქტივების, ასევე არასტაბილური შემოსავლების მქონე ბიზნესის შეფასებისას. მოცემული მიდგომის გამოყენება მიზანშეწონილია სპეციალური სახის ბიზნესის (სასტუმროები, მოტელები და ა. შ.) **შეფასების და დაზღვევის** დროსაც. დანახარჯების მიდგომის გამოყენებისათვის საჭიროა შესაფასებელი აქტივების შესახებ შემდეგი სახის მონაცემების შეგროვება: ფასები მიწაზე, მშენებლობის დანახარჯები, ხელფასების დანახარჯები და ა. შ. შეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია დამოკიდებულია შესაფასებელი **ობიექტის სპეციფიკაზე.** მაგალითად: რთულია ხარჯვითი მიდგომის გამოყენება უნიკალური ობიექტების შეფასების

დროს, რომლებსაც გააჩნია ისტორიული ღირებულება და განსხვავებული, რთული ესთეტიკური მახასიათებლები. ხარჯვითი მიდგომა დაფუძნებულია შენაცვლებისა და საუკეთესოდ ეფექტიანად გამოყენების პრინციპზე.

დანახარჯების მიდგომა, ეფუძნება: 1. წმინდა აქტივებისა და 2. სალიკვიდაციო ღირებულების გაანგარიშების მეთოდებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. **წმინდა აქტივების მეთოდი** – ამ მეთოდის თანახმად ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება, როგორც საწარმოს ყველა აქტივის საბაზრო ღირებულების სიდიდესა და საწარმოს ყველა ვალდებულებების სიდიდეს შორის სხვაობა.

2. **საწარმოს სალიკვიდაციო ღირებულების მეთოდი** – ამ მეთოდის თანახმად ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება როგორც საწარმოს აქტივებისა და ჯამურ ღირებულებასა და მის ლიკვიდაციაზე გაწეულ დანახარჯებს შორის სხვაობა.

ამრიგად, ბიზნესის ღირებულების შეფასების **ორივე მიდგომა** ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. თითოეული მათგანი გულისხმობს ბაზარზე მოპოვებული სხვადასხვა სახის ინფორმაციის გამოყენებას. შეფასების სხვადასხვა მიდგომების და მეთოდების გამოყენებამ, მიუხედავად მათ შორის არსებული რიგი განსხვავებისა, სრულყოფილი კონკურენციის ბაზარზე **შეფასების ერთნაირი შედეგები** უნდა მოგვცეს.

ბიზნესის ღირებულების შეფასება ერთმანეთისაგან განსხვავებული **სტადიებისაგან** შემდგარი რთული და შრომატევადი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ **სტადიებს, კერძოდ:**

1) პრობლემის განსაზღვრა. შეფასების მოცემული სტადიაზე ხორციელდება: საწარმოს იდენტიფიკაცია, შეფასების საგნის გამოვლენა, შეფასების თარიღის განსაზღვრა, შეფასების ფუნქციებისა და მიზნების ფორმულირება და შეფასების შემზღუდველი პირობების შემკვეთისთვის გაცნობა.

2) შესაფასებელი ობიექტის წინასწარი დათვალიერება და შეფასებაზე ხელშეკრულების დადება. ეს სტადია შედგება შემდეგი ეტაპებისგან: ა) საწარმოს წინასწარი დათვალიერება და მისი ადმინისტრაციის გაცნობა. ბ) ინფორმაციის წყაროების განსაზღვრა გ) საწყისი ინფორმაციის შეგროვება, დ) ექსპერტ-შემფასებლების ჯგუფის შემადგენლობის განსაზღვრა. ე) შეფასების კალენდარული გეგმისა და შეფასებაზე დავალების შედგენა ვ) შეფასებაზე ხელშეკრულების მომზადება და მისი ხელმოწერა.

3) ინფორმაციის შეკრება და ანალიზი. შეფასების მოცემული სტადია შეიძლება დავყოთ შემდეგ ეტაპებად: ზოგადი მონაცემების შეკრება და სისტემატიზაცია; სპეციალური მონაცემების შეკრება და ანალიზი. ზოგადი მონაცემების წარმოდგენის ყველაზე გავრცელებული ხერხი – ეს მათი დაყოფაა იმ საბაზრო სექტორების მიხედვით, რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო, პროდუქტის სახეებად და ფასებად, საწარმოს ფინანსურ და ტექნიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობის ამსახველ მაჩვენებლებად და ა. შ.

4) საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი. საბაზრო კონიუნქტურა არის დროის კონკრეტული მომენტისათვის სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენით ბაზარზე ჩამოყალიბებული სიტუაცია. საბაზრო კონიუნქტურაზე **მუდმივად მოქმედი ფაქტორებია:** სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, მონოპოლიათა ზეგავლენა, სახელმწიფოს ჩარევა, ინფლაცია, სეზონურობა და ა. შ. საბაზრო კონიუნქტურაზე მოქმედ **დროებით ფაქტორებს** მიეკუთვნება: სოციალური კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები, პოლიტიკური კრიზისები და ა. შ. საბაზრო კონიუნქტურის პროგნოზისა და ანალიზის მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ციკლური ფაქტორების მოქმედების ხასიათსა და აქტივობის დადგენა, ციკლის ფაზების, ცალკეული ფაზაში ციკლის გადასვლის ვადებისა და პერსპექტივაში მისი დინამიკის განსაზღვრა. ბაზრის ციკლურობა არის ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებთან დაკავშირებული ბაზრის მოკლევადიანი და გრძელვადიანი მუდმივი მერყეობები, ეკონომიკური ციკლი შეიცავს ეკონომიკური აქტივობის აღმავლობის, ბუმის რეცესიის და დეპრესიის ფაზებს.

არსებობს მაჩვენებელთა გარკვეული ჯგუფი, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ **ეკონომიკური ციკლის ინდიკატორები,** ესენია:

წინმსწრები მაჩვენებლები – მაჩვენებლები, რომლებიც იწყებენ ვარდნას მანამდე, სანამ ეკონომიკა მიაღწევს აღმავლობის პიკს და იწყებენ ზრდას მანამდე, სანამ ეკონომიკა გაივლის ვარდნის ზონას.

თანმხვედრი მაჩვენებლები – ისეთებია, რომლებიც იცვლება ეკონომიკური აქტივობის შეცვლის პარალელურად, თანმხვედრი პარამეტრების კრებითი ინდექსი შედგება ოთხი მაჩვენებლისგან: პირადი შემოსავალი ტრანსფერტული გადასახდელების დაქვითვით; მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მომუშავეთა რაოდენობა; გადამამუშავებული მრეწველობის გაყიდვათა მოცულობა;

დაგვიანებული მაჩვენებლები – ისინი იწყებენ ცვლილებას ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე 4-9 თვით უფრო გვიან. დაგვიანებულ მაჩვენებლებზე კრებსითი ინდექსი შედგება შემდეგი **შვიდი მაჩვენებლისგან:** უმუშევართა რაოდენობა; საერთო ამონაგებში ხელფასზე განეული ხარჯების ხვედრითი წონა; კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთის საშუალო დონე; სავაჭრო-სამრეწველო საწარმოებისთვის სესხები; სამომხმარებლო კრედიტზე შემოსავლების თანაფარდობა: სამომხმარებლო ფასების ინდექსის ცვლილება; გაყიდვათა მოცულობისადმი საქონლის მარაგების თანაფარდობა. საბაზრო კონიუნქტურის შესწავლა ხორციელდება ისეთ მაჩვენებელთა საშუალებით, რომლებიც იძლევა საშუალებას რაოდენობრივად შევაფასოთ ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და განვსაზღვროთ ტენდენციები საბაზრო კონიუნქტურის განვითარებაში, ე. ი. შევადგინოთ პროგნოზი.

საბაზრო კონიუნქტურების შეფასების მაჩვენებლებია:

ა) მონაცემები სამრეწველო წარმოების შესახებ: მრეწველობის წილი მთლიანი შიდა პროდუქტში, საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების მაჩვენებლები, მწარმოებელთა ფასების ინდექსი, ხარჯები კაპიტალურ მშენებლობაზე, შეკვეთები ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე, უმუშევრობის დონე და ა. შ;

ბ) კაპიტალდაბანდებათა დინამიკა – საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, მომავალში თუ როგორ განვითარდება წარმოება დარგში ინვესტიციათა მოცულობა თუ იზრდება, მაშასადამე მოთხოვნა მის პროდუქციაზე მაღალია, შეკვეთების რაოდენობა იზრდება და წარმოება ფართოვდება. და პირიქით თუ კაპიტალდაბანდების მოცულობა მცირდება, მოთხოვნაც მცირდება, რამაც შეიძლება მიგვიყვანოს წარმოების შეკვეცამდე;

გ) ცნობები შეკვეთების შესახებ – ეს არის მაჩვენებლები, რომლებიც იძლევა საშუალებას შევაფასოთ პერსპექტივაში საწარმოო სიმძლავრეების დატვირთვა;

დ) სამუშაო ძალის გამოყენების მაჩვენებლები-სამუშაო კვირის საშუალო ხანგრძლივობა, უმუშევრობის დონე, ხელფასის ფონდი სიდიდე, სიცოცხლის ღირებულების ინდექსები და ა. შ;

ე) შიდა საქონელბრუნვის მაჩვენებლები – საცალო ვაჭრობის ბრუნვის მოცულობა, მონაცემები საქონლის მარაგების მოძრაობის შესახებ, კრედიტით გაყიდვითა მოცულობები, ინფორმაცია ტვირთების შიდა გადაზიდვებზე და ა. შ;

ვ) საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლები – ექსპორტსა და იმპორტის მოცულობა და გეოგრაფიული გადანაწილება, სავაჭრო ბალანსის დეფიციტი. პრაქტიკულად ყველა ცვლილება, რომელსაც განიცდის ქვეყნის ეკონომიკა კელავწარმოების ციკლის დროს, ასახვას პოულობს საგარეო ვაჭრობის დინამიკასა და სტრუქტურაში;

ზ) ფულად-საკრედიტო სფეროში მდგომარეობის მახასიათებელი მონაცემები – ფასიანი ქაღალდების ემისია, აქციათა კურსი, სააღრიცხვო პროცენტი, ვალუტის კურსი, მიმოქცევაში ფულის რაოდენობა, საბანკო დეპოზიტების მოძრაობის მაჩვენებლები;

თ) ფასები – საშუალო ფასები საქონლის ჯგუფებზე, წარმოების ფასების ინდექსი, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, ინდექს-დეფლიატორი. **ფასები წარმოადგენენ** ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, რომლის დინამიკაში აისახება მრავალი სხვა მონაცემების ცვლილებები.

5) შეფასების მეთოდების არჩევა – წინასწარ განსაზღვრული შესაფერისი ღირებულების საფუძველზე შესაფასებელი ობიექტის ფასის დასადგენად შემფასებელს უწევს შეფასების ერთი ან რამდენიმე მიდგომის გამოყენება. შეფასების მეთოდის არჩევა დამოკიდებულია შეფასების ობიექტის **თავისებურებებზე** და არსებულ საბაზრო **კონიუნქტურაზე**. შეფასების მეთოდი ნიშნავს საყოველთაოდ აღიარებულ ანალიტიკურ მეთოდოლოგიას, რომელიც გამოიყენება ბიზნესის შეფასებისას.

6) შეფასების სხვადასხვა მიდგომების საშუალებით მიღებულ შედეგთა შეთანხება. შეფასების ერთი, ან რამდენიმე მეთოდის გამოყენებით მიღებული შედეგები უნდა დაკორექტირ-

დეს ამ მეთოდების გამოყენებისას არსებული საბაზრო კონიუნქტურის გათვალისწინებით, რაც იძლევა საშუალებას სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით მიღებული ღირებულებითი მაჩვენებლები ერთმანეთთან და რეალობასთან თანხვედრაში იყოს;

7) **ბიზნესის ღირებულების შეფასების ანგარიშის მომზადება** – ერთდროულად გამოიყენება ორი ფორმა: 1) სრული ანგარიში და 2) კონკრეტული დასკვნა.

შეფასების ანგარიშის ძირითადი განყოფილებებია: შესავალი; მაკროეკონომიკური პარამეტრების აღწერა; დარგის დახასიათება; საწარმოს აღწერა, მისი ფინანსური და ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა; შესადარებულ საწარმოებზე მონაცემთა კვლევა; შეფასების მეთოდების არჩევა და გამოყენება; დასკვნა შეფასების შესახებ; დანართი.

მაკროეკონომიკური მაჩვენებლების აღწერა (ანუ ზოგადი ეკონომიკური განყოფილება)

მოცემულ ნაწილში აღიწერება მაკროეკონომიკური პარამეტრები, ისეთი ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ეროვნულ და რეგიონალ დონეებზე, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სანარმოს ფუნქციონირების შედეგებზე, მათი ტენდეციებსა და ბიზნესის განვითარების პერსპექტივებზე. კერძოდ:

დარგის დახასიათება. ამ შეფასების ანგარიშის მომხმარებლებს უნდა გააცნოს დარგის თავისებურებები, მისი მდგომარეობა აწყმოსა და მომავალში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოთხოვნის სიდიდეზე მომქმედ ფაქტორებსა და გასაღების ბაზრების მახასიათებლებს.

საწარმოს დახასიათება. მთავარი მიზანი საწარმო თავისებურებების გამოვლენა და საბაზრო ღირებულებაზე მათი ზეგავლენის დადგენაა. განიხილება შემდეგი ძირითადი საკითხები: საწარმოს ისტორია, გამოსაშვები საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი, გასაღების პირობები, რესურსების მომწოდებლები, პერსონალი, მენეჯმენტი, აქციებთან დაკავშირებით დადებული გარიგებები.

შესადარებელ საწარმოებზე მონაცემთა კვლევა. აღნიშნული თემა ეძღვნება იმ კრიტერიუმების ანალიზს, რომელთა მიხედვითაც განხორციელდა შესადარებელ საწარმოთა შერჩევა; ინფორმაციის წყაროთა ანალიზი; შესადარებელ საწარმოთა მოკლე აღწერა და მათი ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი.

შეფასების მეთოდების არჩევა და გამოყენება. კეთდება შეფასების არჩეული მეთოდების დასაბუთება, კერძოდ, აღიწერება არჩეული მეთოდების გამოყენებით მიღებული შეფასების შედეგები. ამავე დროს კეთდება არა მარტო შეფასების არჩეული მეთოდების დასაბუთება, არამედ ხდება მულტიპლიკატორების ამა თუ იმ სიდიდის არჩევაც, საწარმოს ლიკვიდურობაზე კორექტივების შეტანა, აქციათა საკონტროლო ან არასაკონტროლო პაკეტის სიდიდეში შესწორებათა შეტანა.

შეფასების თაობაზე დასკვნა – კეთდება შეფასების შესახებ ანგარიშის მოკლე აღწერა და შეიტანება საწარმოოს შეფასების შედეგები.

დანართები – ფიქსირდება განცხადებები შემფასებლის პირადი დაინტერესების არარსებობის შესახებ, სხვადასხვა მნიშვნელოვანი დაშვებები და მითითებები; ანგარიშის დაწერაში მონაწილე შემფასებლების პროფესიული მომზადებისა და აკადემიკური განათლების მახასიათებელი დოკუმენტების ასლები.

საინფორმაციო უზრუნველყოფა – ბიზნესის შეფასების პროცესის საფუძველია. საჭირო ინფორმაციის მოცულობის მისი მიღების წყაროების და მასზე გასანევი დანახარჯების წინასწარი ანალიზის გარეშე შეუძლებელია სწორად შევადგინოთ შეფასების ჩატარების გრაფიკი, განვსაზღვროთ სამუშაოთა ჩატარების მეთოდიკა და ჩამოვაყალიბოთ შეფასების **პროექტის ბიუჯეტი. ბიზნესის შეფასების პროცესისათვის აუცილებელი ინფორმაციის კლასიფიკაცია** შესაძლებელია: ა) წყაროების მიხედვით: იურიდიული; ფინანსური; ტექნიკური; კომერციული და ბ) მასშტაბების მიხედვით: მაკროეკონომიკური; მიკროეკონომიკური. მთლიანობაში ბიზნესის შეფასებისთვის **გამოსაყენებელი ინფორმაცია შეიძლება დავყოთ ორ ძირითად კატეგორიად: გარე ინფორმაცია და შიდა ინფორმაცია.** ბიზნესის შეფასების გარე ინფორმაცია შეიძლება ასახავდეს საწარმოს ფუნქციონირების პირობებს როგორც დარგის, ასევე მთლიანად

ეკონომიკის დონეზე. **ბიზნესის შეფასების თაობაზე** სამუშაოთა ჩატარებისთვის აუცილებელი ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: ა) საბუღალტრო ბალანსი; ბ) მოგებისა და ზარალის ანგარიშგება; გ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.

მითითებული წყაროები საფუძველია მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბაზო ღირებულების, ფინანსური რისკებისა და წმინდა მოგების ზუსტი მოცულობის დასადგენად. უფრო დეტალური ანალიზისთვის შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც საბუღალტრო ანგარიშგების სხვა ფორმები, ასევე მართველობითი აღრიცხვის მასალებიც.

ბიზნესის შეფასებისას გამოყენებული მონაცემების ერთობლიობა შესაძლებელია დავაჯგუფოთ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

პირველი ჯგუფი – ახასიათებს ბიზნესიდან მისაღები ფინანსური სარგებლის წყაროებს. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ: მოგება ან სხვა სახის ფულადი შემონატანები ოპერაციებიდან და ან ინვესტიციებიდან; აქტივების დაგირავება ან გაყიდვა და ბიზნესის გაყიდვა.

მეორე ჯგუფი – წარმოადგენს ბიზნესის ფინანსური მაჩვენებლებს გარკვეული რეტროს-პექტიული პერიოდის განმავლობაში (1-3 წლით) ასეთ მაჩვენებლებს მიეკუთვნება:

მოგება. ბიზნესის შეფასებაში აქტიურად გამოიყენება წმინდა მოგების სიდიდე, თუმცა ხშირად მიზანშეწონილია არა წმინდა მოგების სიდიდის, **არამედ ფულადი ნაკადების სიდიდის** გამოყენება. ბიზნესის მესაკუთრის განკარგულებაში შემომავალი ფულადი ნაკადები შედგენა არამატერიალური აქტივებისა და ძირითადი ფონდების საბალანსო ღირებულების მიხედვით აღრიცხული ამორტიზაციული გადარიცხვებისა და წმინდა მოგებისგან. ფულადი ნაკადების სიდიდე უფრო გამოყენებადია კაპიტალდაბანდებად დარგებში და მაღალი ინფლაციის პირობებში.

დივიდენდები. ბიზნესის შეფასების თანამედროვე თეორია და პრაქტიკა დივიდენდებს ანიჭებს უფრო ნაკლებ მნიშვნელობას, ვიდრე კომპანიათა შემოსავლიანობას.

აქტივები მნიშვნელოვანია სწორად გავიგოთ აქტივების როლი ბიზნესის შეფასებაში. ბიზნესის ნაწილის ფლობა ყოველთვის არ იძლევა აქტივების შესაბამისი პროპორციული წილის გამოყენების უფლებას, რადგანაც აქტივების ფლობა ხშირად მხოლოდ შემოსავლების ნაწილის მიღების უფლებას ნიშნავს.

მესამე ჯგუფი წარმოადგენს ბიზნესის **არაფინანსურ მაჩვენებლებს,** მათ მიეკუთვნება:

ბიზნესის ორგანიზაციულ – სამართებლივი ფორმა და მისი საწესდებო დებულებები. ბიზნესის ამ მახასიათებლების ზეგავლენა დაკავშირებულია მის ლიკვიდურობასთან პირდაპირ და ირიბად – ვინაიდან წესდებაში, როგორც წესი, ჩადებულია მესაკუთრის უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული გარკვეული მუხლებიც.

მეოთხე ჯგუფს მიეკუთვნება შემფასებლის მიერ გამოყენებული ინფორმაცია ფირმისათვის **გარე ფაქტორების შესახებ.** მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია:

ა) ქვეყნის ეროვნული ბანკისა და კომერციული ბანკების საპროცენტო განაკვეთების დონე, რომელიც ახასიათებს ქვეყნის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების მდგომარეობასა და მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკას.

ბ) რისკ-ფაქტორები მათ შორის მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, დარგობრივი, რეგიონული და ა. შ. მაკროეკონომიკური რისკის ფაქტორების მიხედვით ინფორმაციის ძირითადი წყაროებია: მთავრობის პროგრამები და სხვადასხვა საინფორმაციო სააგენტოების ან მიმოხილვები.

ამრიგად, ფასეულობისა და ღირებულების შეფასებაზე, ბაზრის ნებისმიერი სუბიექტი (ინვესტორი, მესაკუთრეები, კომპანიის მენეჯერები) გადაწყვეტილებას იღებს ეკონომიკური სარგებლის საფუძველზე. შესაბამისად, ბიზნესის შეფასება, რომელიც საკუთრებასთან მიმართებაში მისაღები ქმედებისგან, მისი გამოყენების ამა თუიმ ვარიანტის სარგებლის განსაზღვრას-მოიცავს, ხორციელდება მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით, **როგორიცაა:** ა) კომპანიის შეფასება ფილადი ნაკადების საფუძველზე; ბ) კომპანიის შეფასება აქტივების მიხედვით და სხვ.[40]

---

[40] **ცაავა გ., სიჭინავა ა., ხანთაძე გ., -კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია). გამომც, „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2016. -724გვ.**

დიდ ბრიტანეთში შეფასების სტანდარტები პირველად ჩამოყალიბებული იქნა მე-20 საუკუნის 70-იან წლებში. იმ პერიოდისათვის ბრიტანეთის უძრავი ქონების ბაზარზე დიდი ბუმი იყო, რასაც თავდაპირველად უძრავ ქონებაზე ფასების მკვეთრი ზრდა, ხოლო შემდგომ პერიოდში მკვეთრი დაცემა მოჰყვა. შეფასებათა ხარისხის შესახებ საკითხი გააქტიურებული იქნა იმ ადამიანების მიერ, რომლებმაც ბუმის პერიოდში შეიძინეს ან იჯარით აიღეს უძრავი ქონება, ხოლო შემდეგ რეცესიის პერიოდში აღმოჩნდნენ ფაქტის წინაშე. მათი საკუთრების ღირებულება დაეცა უფრო დაბალ ნიშნულამდე, ვიდრე ბუმის პერიოდში იყო. 1971 წელს **უძრავი ქონების სერთიფიცირებულ სპეციალისტთა სამეფო საზოგადოებამ ჩამოაყალიბა ქონების შეფასებაზე მოკლე სახელმძღვანელო.** ამას მოყვა 1976 წელს ე. წ. **„წითელი წიგნის“** გამოქვეყნება, რომელშიც 1981-1990 წლებში შეტანილ იქნა შესწორებები და დამატებები. 1980 წ. გამოქვეყნდა იმ საკითხების მომცველი **„თეთრი წიგნი“,** რომელზეც არ იყო საუბარი „წითელ წიგნში“. 1996 წელს ორივე წიგნი გაერთიანებულ იქნა და წარმოიქმნა ერთიანი **„შეფასებების სახელმძღვანელო“,** რომელიც მუდმივად განიცდიდა სრულყოფას. სახელმძღვანელო მოიცავს მთელ რიგ პრაქტიკულ დებულებებს, რომლებიც აუცილებელია შემფასებლებისათვის და რომლებსაც იყენებს თითოეული თავის დარგში.

დიდ ბრიტანეთში შემფასებლები იყენებენ 5 ბაზისურ მეთოდს, რომელთაგან თითოეულს თავის მხრივ გააჩნია სხვადასხვა ვარიაციები:

1. **შედარებითი მეთოდი** – გაანალიზდება უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სხვადასხვა გარიგებები, ბაზარ მაჩვენებლად მიღებული ფასის ან რენტის ოდენობის საფუძველზე ხორციელდება შესაფასებელი ობიექტის ღირებულების განსაზღვრა;

2. **ინვესტიციური მეთოდი** – საშუალებას გვაძლევს საბაზრო რენტის ოდენობიდან გამოვყოთ საკუთრების კაპიტალიზებული ღირებულება. კაპიტალიზაციისას გამოიყენება შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი, რომელიც ასახავს საკუთრებაზე არსებულ პოტენციურ რისკს და უნდა შეფასდეს.

3. **ყველაზე საუკეთესოდ გამოყენების მეთოდი** – ყველაზე ხშირად განაშენიანების ან რეკონსტრუქციის პოტენციური ადგილების შესაფასებლად. შემფასებლის ხელოვნება მდგომარეობს იმაში, რომ უნდა განსაზღვროს კონკრეტული მიზნისათვის საუკეთესო გამოყენება.

4. **მოგებათა მეთოდის** არსი დაკავშირებულია იმასთან, რომ ზოგიერთი სახის უძრავი ქონების ღირებულება მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება იმ ბიზნესის მომგებიანობით, რომელშიც ჩართულია იგი.

5. **შენაცვლების ღირებულების მეთოდი** – მოიცავს შენობის შეცვლის ღირებულებას, მაგრამ ამორტიზაციის გამოკლებით და ნაკვეთის ღირებულების დამატებით რადგან მშენებლობის ღირებულება არ არის იგივე, რაც შენობის ღირებულებითი შეფასება. ამიტომ ეს მეთოდი გამოიყენება მხოლოდ განსაზღვრულ საკმაოდ შეზღუდულ გარემოებებში.

აშშ-ში უძრავი ქონების შემფასებლებისათვის თავის დროზე დამახასიათებელი იყო პროფესიული მომზადების დაბალი დონე. ამჟამად შეფასებითი საქმიანობით დაკავებულნი არიან საკმაოდ ვიწრო სპეციალიზაციის კარგად მომზადებული კადრები. აშშ-ში უძრავი ქონების შეფასება სპეციალური მომზადებისა და უმაღლესი განათლების მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე სპეციალისტთა საქმიანობის კომპეტენციაში შედის. აშშ-ში, როგორც წესი, უძრავი ქონების შემფასებლები არ არიან დაკავებულნი ბიზნესის, პირადი ან ინტელექტუალური საკუთრების შეფასებით. აშშ-ში უძრავი ქონების შემფასებლები იყოფიან სპეციალისტთა კიდევ წვრილ ჯგუფებად. არსებობს სპეციალიზაცია შეფასების ადგილის, შეფასების ობიექტის მიხედვით. არსებობენ შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების შეფასების ან შემოსავლის არამომტანი ობიექტების შეფასების სპეციალისტები.

ფედერალური კანონების მიღებამ სავალდებულოდ აქცია შტატების ხელისუფლების მიერ შეფასებითი საქმიანობის **ლიცენზირება.** მანამდე საშემფასებლო საქმიანობა რეგულირდებოდა მხოლოდ **შემფასებელთა პროფესიული საზოგადოებების** მეშვეობით. ასეთი საზოგადოებები **აშშ**-ში მრავლადაა, მაგრამ საკმაოდ მაღალ პროფესიონალურ დონეზე მოქმედებდა მხოლოდ სამი მათგანი, კერძოდ:

• უძრავი ქონების შემფასებელთა ამერიკული ინსტიტუტი – შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების შეფასების თაობაზე;

• უძრავი ქონების შემფასებელთა საზოგადოება – შემოსავლის არამომტანი უძრავი ქონების შეფასების თაობაზე;

• შემფასებელთა ამერიკული საზოგადოება – მანქანებისა და მოწყობილობების შეფასების თაობაზე. შემდგომში პირველი ორი პროფესიული ორგანიზაცია გაერთიანდა შეფასების ინსტიტუტად.

საშემფასებლო საქმეში წარმატება, ან წარუმატებლობა დამოკიდებულია შემფასებლის უნარზე შეკრიბოს სწორი ინფორმაცია. შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების შეფასებისთვის მნიშვნელოვან საბაზრო ინფორმაციას ფლობს კომპანია Comps Inc. ეს კომერციული ფირმა გვთავაზობს ინფორმაციას სამრეწველო ობიექტების, საოფისე შენობების, სასტუმროების, საჭრო ობიექტების, აგრეთვე სპეციალიზირებული ობიექტების შესახებ. შემფასებლისთვის ინფორმაციის მიღების საშუალებას წარმოადგენს საბროკერო ფირმები. ეს ფირმები სპეციალიზდებიან შემოსავლის მომტანი უძრავი ქონების ბაზარზე და ფლობენ საძიებო ინფორმაციას ობიექტების გაყიდვის, გარიგებების, დაფინანსების, საიჯარო გადასახდელისა და ბაზარზე საიჯარო ხელშეკრულებების დადების პირობების შესახებ.

სააქციო კაპიტალის ღირებულების შეფასების ერთ-ერთ თანამედროვე **კონცეფციად** იქცა **ღირებულების ნამატის გაზომვა**. ამ მიდგომის შემოქმედია ამერიკული საკონსულტაციო-საშემფასებლო ფირმა **სტერნ სტუარდი** (Stern Stewart), რომელმაც შეიმუშავა და აქტიურად ნერგავს კომპანიათა შეფასების პროცედურაში საკუთარ მაჩვენებელს – „ეკონომიკურად დამატებით ღირებულებას" (Economic value added – EVA). Stern Stewart-ის კლიენტებია ისეთი მსხვილი კორპორაციები, როგორებიც არიან: Coca-cola, Monsanto, Proctor&Gamble, Siemens, IBM.

ამერიკელმა ეკონომისტებმა **რ. კაპლანმა** და **დ. ნორტონმა** შეიმუშავეს სამეწარმეო საქმიანობის შეფასების ახალი ხერხი სახელწოდებით „ბალანსირებული სიმრავლე". ისინი შეეცადნენ გვერდი აევლოთ ფირმის საქმიანობის წმინდა რაოდენობრივი შეფასებების ნაკლოვანებებისათვის, მოახდინეს რა საკუთარ მოდელში საექსპერტო სახით ფირმის ისეთი **არამატერიალური აქტივების განსაზღვრის ინტეგრირება**, როგორიცაა: მომხმარებლის დაკმაყოფილება ფირმის საქონლითა და მომსახურებით, ლოიალურობა, კომპანიის თანამშრომლების ეფექტიანი სწავლების უნარები და ა. შ. მსგავს **ინტეგრირებულ მიდგომას**, თავის მხრივ ხვდება კრიტიკა ტრადიციული შეფასებითი მაჩვენებლებისა და მეთოდიკების შემუშავებელთა მხრიდან. „ინტეგრატორებს" ბრალი ედებათ შეფასებითი პროცესის მეტისმეტად გართულებაში, სტანდარტებისგან განდგომაში, სუბიექტივიზმში. ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ აშშ-ში ცალკეული შემფასებლები და საკონსულტაციო ფირმები არიან ახალი მაჩვენებლებისა და შეფასებით საქმიანობაში **მეთოდიკების სრულყოფის გზების მუდმივ ძიებაში.**

კომპანიის ინვესტიციური ღირებულების შეფასების ალტერნატიული მეთოდები

კომპანიის შეფასება თავიდანვე დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მიმართულებით გვინდა შევაფასოთ და განვსაზღვროთ მისი მომავალი ბედი. ამიტომ ბიზნესის **შეფასების მიდგომა** საჭიროებს, რომ ნებისმიერი შეფასება გაკეთდეს კომპანიის ღირებულების განსაზღვრის თავიდანვე მითითებული პრინციპების საფუძველზე, რომელიც პრინციპში შესაძლებელია იყოს (შუალედური გადაწყვეტილებების გათვალისწინებით) **ორი მიდგომა:**

1. კომპანიის შეფასება როგორც მოქმედის (on-going-concern);

2. კომპანიის (სალიკვიდაციო) ღირებულების შეფასება.

თუ კომპანია ფასდება **როგორც მოქმედი**, მაშინ ბუნებრივია, ის უნდა შეფასდეს **შემოსავლიანობის მიდგომის** ფარგლებში. ეს მიდგომა გულისხმობს, რომ ბიზნესის საბაზრო ღირებულება განისაზღვრება **მომავალი შემოსავლიანობით**, რომელიც მიიღება ბიზნესის გაგრძელებით. ასევე, **შემოსავლიანობის მიხედვით** ბიზნესის (კომპანიის) შეფასება ხდება **შემოსავლების კაპიტალიზაციის** და წმინდა ფულის შემასავლების დისკონტირების მეთოდით. როცა მოსალოდნელია კომპანიის **მომავალი შემოსავლების მიმდინარესთან გატოლება**, და როცა **პროგნოზირებადია** მისი ზრდის ტემპები – გამოიყენება **შემოსავლების კაპიტალიზაციის მე-**

თოდი, რომლის **კოეფიციენტი** განისაზღვრება კომპანიის წმინდა შემოსავლის შეფარდებით კომპანიის ქონების ღირებულებასთან. **აღნიშნული კოეფიციენტი გვიჩვენებს კავშირს კომპანიის ქონების ღირებულებასა და ყოველწლიურად მიღებულ შემოსავლებს შორის,** რომელიც სამი სახისაა, კერძოდ:

1) საკუთარი სახსრების შემოსავლის კაპიტალიზაციის განაკვეთი – ასახავს შემოსავლის კაპიტალიზაციის დონეს საკუთარი სახსრებიდან;

2) კაპიტალიზაციის საერთო განაკვეთი – ასახავს მთლიანად კომპანიის ქონების შემოსავლის კაპიტალიზაციის დონეს;

3) ნასესხი სახსრების შემოსავლის კაპიტალიზაციის განაკვეთი – ასახავს ნასესხი სახსრების შემოსავლების კაპიტალიზაციის დონეს.

მიუხედავად იმისა, რომ რაც არ უნდა თეორიული მოგვეჩვენოს **დასაბუთებული საბაზრო ღირებულების სტანდარტი,** იგი უკვე გამოიყენება ძალიან ბევრ ქვეყანაში **დასაბეგრი ქონების გადასახადის** განსაზღვრისათვის კომპანიის ფინანსური აქტივების ნაწილში. **დასაბუთებული ღირებულების სტანდარტი** უფრო მეტად გამოიყენება **დასავლეთის პრაქტიკაში** მაშინ, როცა კონტრაგენტები აპროტესტებენ და სასამართლოში ჩივიან მათგან აქციების გამოსყიდვას ამავე კომპანიის მსხვილი აქციონერებისაგან, რადგანაც ადანაშაულებენ მათ აქციების ყიდვა-გაყიდვის სახელშეკრულებო ფასის მომზადებისას აღნიშნული სტანდარტის დარღვევაში. საქმე იმაშია, რომ უმრავლესობაში მყოფი აქციონერები არ აწვდიან კონტრაგენტებს იმ ინფორმაციას, რომელიც ასახავს კომპანიის სამომავლო საბაზრო პერსპექტივას და მისი ქონების ნამდვილ ღირებულებას, საიდანაც თავად განსაზღვრავენ ფირმის აქციებზე მაქსიმალურ დასაშვებ ფასს.

ინვესტიციური ღირებულების სტანდარტის მიხედვით, ბიზნესის შეფასება ხორციელდება კომპანიის ქონებისა და ბაზარზე პერსპექტივების შესახებ ინვესტორის ინფორმაციის საფუძველზე. მნიშვნელოვანია კონკრეტული ინვესტორის საქმიანი შესაძლებლობები და მისი გამოცდილება კომპანიის აქტივების ყიდვა-გაყიდვის სფეროში, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ბიზნესის მომავალი განვითარებისათვის.

კომპანიის ინვესტიციურ ღირებულებას, რომელიც განსაზღვრულია გარე ინვესტორის (მყიდველის) მიერ – **კომპანიის გარე ღირებულება** ჰქვია, ხოლო რომელიც განსაზღვრულია მისი მოქმედი მენეჯერების მიერ – კომპანიის ღირებულება **„როგორც არის".**

კომპანიის **შიდა (ფუნდამენტალური) ღირებულების სტანდარტი** მოითხოვს, რომ ბიზნესის შეფასება განხორციელდეს არა უბრალოდ დამოუკიდებელი ანალიტიკოსის ინფორმაციის საფუძველზე (რომელმაც უნდა გაითვალისწინოს შეფასებაზე მოქმედი ყველა ფაქტორი), არამედ იმის გათვალისწინებითაც, რომ აღნიშნული ანალიტიკოსი (შემფასებელი) არ არის იძულებული გამოითხოვოს ინფორმაცია შეფასებაში დაინტერესებული ერთ-ერთი მხარისგან (კომპანიის გამყიდველისგან ან მყიდველისგან), რაც მის დამოუკიდებლობას დააყენებდა ეჭვქვეშ.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება (Capital budgeting) – არის საინვესტიციო პროექტების იდენტიფიკაციის, ანალიზის და შერჩევის პროცესი, როდესაც შემოსავლების (ფულადი ნაკადების). მოგების მიღება მოსალოდნელია მომავალში და ეფუძნება კაპიტალდაბანდებების ალტერნატიული პროექტების შედარების ანალიზს.

როგორც წესი, კაპიტალური ინვესტიციის განხორციელება ისეთ აქტივებში ხდება, როგორიც არის აღჭურვილობა, შენობა, მინა, ახალი პროდუქციის გამოშვება და სხვ.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება მოიცავს: 1) საინვესტიციო საპროექტო წინადადებების განსაზღვრას (მიღებას), კომპანიის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში; 2) საინვესტიციო პროექტებისათვის ოპერაციული ფულადი ნაკადების (მუდმივ) შეფასებას (დაბეგვრის შემდეგ); 3) პროექტის მუდმივი ფულადი ნაკადების ზრდის შეფასებას; 4) პროექტების (წინადადების) შერჩევას, ღირებულების მაქსიმალურად გაზრდის პირობაზე დაფუძნებით; 5) საბოლოო შეფასების გაკეთებას.

როგორც დასრულებული ასევე მიმდინარე საინვესტიციო პროექტების საინვესტიციო წინადადებები იმის მიხედვით უნდა იქნეს განხილული, იძლევა თუ არა იგი ინვესტორის მიერ მოთხოვნილ თანაბარ ან მასზე დიდ მოგებას. კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირებისას **რისკი** მუდმივია. საინვესტიციო საპროექტო წინადადებები შესაძლოა გაჩნდეს სხვადასხვა წყაროებიდან.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების პროცესი, საინვესტიციო წინადადებების მიღება დაკავშირებულია კომპანიის ბიზნეს რისკთან, გამომდინარე აქედან საჭიროა პროექტის შეფასება და შერჩევა მოხდეს ალტერნატიული მეთოდებით.

განვიხილოთ პროექტის **შეფასების და შერჩევის ოთხი ალტერნატიული მეთოდი, კერძოდ:**

1. გამოსყიდვის პერიოდი (Payback period-PBP) – დროის პერიოდი, რომელიც საჭიროა საინვესტიციო ბიზნეს პროექტში ინვესტირებული თანხების ფულადი შემოსავლის მისაღებად. იმ საინვესტიციო წლების რაოდენობას, რომელიც საჭიროა საწყისი ფულადი ინვესტიციების დასაფარავად დაფუძნებული პროექტის მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე, პროექტის გამოსყიდვის პერიოდი (PBP) გვიჩვენებს.

2. უკუგების შიდა განაკვეთი (linternal rate of return-IRR) – ინვესტიციებზე შემოსავლის განაკვეთის შეფასების მეთოდი. საინვესტიციო წინადადებების **უკუგების შიდა განაკვეთი (IRR)** არის დისკონტის განაკვეთი, რომელიც ათანაბრებს მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების ახლანდელ ღირებულებას საწყის ფულად გადინებასთან. თუ პროექტის IRR დიდია ან ტოლია მოგების მოთხოვნილ განაკვეთზე, პროექტი უნდა იქნეს მიღებული.

ფულადი ნაკადების დისკონტირების მეთოდი უფრო მეტად იძლევა ობიექტურ საფუძველს საინვესტიციო პროექტის შეფასებისათვის და შერჩევისათვის. განსახილველი პროექტის „სიცოცხლის" თითოეულ პერიოდში, ეს მეთოდი ითვალისწინებს როგორც მოსალოდნელი ნაკადების სიდიდეს, ასევე მათი დროის მიხედვით განაწილებას. მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დროულობა არის მეტად მნიშვნელოვანი საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს, ამიტომ აქციონერები უპირატესობას იმ საინვესტიციო პროექტს ანიჭებენ, რომელიც უზრუნველყოფს ფულად შემოსავლებს შემდეგი 5 წლის განმავლობაში, ვიდრე პროექტს, რომელიც იძლევა იგივე ფულად ნაკადებს 6-დან 10 წლამდე.

პროექტის რისკის გამოანგარიშება შესაძლებელია დისკონტირების არჩევანის მიხედვით. **დისკონტირებული ფულადი ნაკადის სამი მთავარი მეთოდი არის –** უკუგების შიდა განაკვეთი (IRR), ახლანდელი წმინდა ღირებულება (NPV) და მოგებიანობის ინდექსი (PI).

უკუგების შიდა განაკვეთი (IRR) საინვესტიციო წინადადებისათვის არის დისკონტის განაკვეთი, რომელიც ტოლია მოსალოდნელი წმინდა ფულადი ნაკადების ახლანდელი ღირებულების (CF), საწყისი ფულადი გასაელით (ICO). თუ საწყისი ფულადი გასავალი ან ხარჯი წარმოშობილია ნულოვან დროს,

3. წმინდა ახლანდელი ღირებულება (Net present value -NPV) – წმინდა ნაღდი ფულის შემოსავლებს გამოკლებული პროექტის საწყისი ნაღდი ფულის გასავალი. წმინდა ახლანდელი ღირებულება არის დისკონტირებული ფულადი ნაკადის მიდგომა კაპიტალდაბანდების დაგეგმისათვის უკუგების შიდა განაკვეთის მეთოდის მსგავსად. საინვესტიციო წინადადებების წმინდა ახლანდელი ღირებულების (NPV) ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$NPV = \frac{CF_1}{(1+k)^1} + \frac{CF_2}{(1+k)^2} + \frac{CF_n}{(1+k)^n} - ICO \qquad (3.16)$$

სადაც, K არის მოგების მოთხოვნილი განაკვეთი და ყველა სხვა ცვლადი არის წინასწარ განსაზღვრული. **აქცეპტენსის კრიტერიუმი.** თუ წმინდა ახლანდელი ღირებულება არის ნული ან ნულზე მეტი, საინვესტიციო პროექტი არის მისაღები. თუ ფულადი შემოსავლების ახლანდელი ღირებულება აჭარბებს ხარჯების ახლანდელ ღირებულებას, ეს კიდევ ერთი საშუალება არის პროექტის აქცეპტენსის კრიტერიუმის გამოსახვის.

15.2 ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება კორპორაციულ მენეჯმენტში

როგორც შეფასების პრაქტიკა მომწმობს, საჯარო და კერძო კომპანიებში აქტივების შეფასება საჭიროა ინვესტორების ისეთი სხვადასხვა მიზნებისათვის, როგორიცაა: კომპანიათა შთანთქმისა და შერწყმისათვის პირობების დადგენა; „ყიდვასა და შენახვაზე" გადაწყვეტილე-

ბის მიღების შესაძლებლობა; ბაზარზე შესვლას წინაპირობა; სამსახურიდან გათავისუფლებული აქციონერების (დირექტორების) მფლობელობაში არსებული გასაყიდი აქციების შეფასება; ფისკალური მიზნები (მოგების გადასახადი, მემკვიდრეობის გადასახადი); ანგარიშსწორება განქორწინებისას და ა. შ. შესაბამისად, **კომპანიების და ფინანსური აქტივების შეფასებისას გამოიყენება სამი ძირითადი მიდგომა**[41] **(იხ. ნახ. 3.22 -კომპანიის შეფასებების მეთოდების სქემა), კერძოდ:**

1) **დივიდენდებზე დაფუძნებული მეთოდი – ემყარება აქციონერის მიერ მიღებულ უკუგებას;**
2) **აქტივებზე დაფუძნებული – ემყარება კომპანიის საკუთრებაში არსებულ მატერიალურ აქტივებს;**
3) **მოგებაზე/შემოსავალზე დაფუძნებული – ემყარება კომპანიის მიერ მიღებულ უკუგებას;**

კომპანიის რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა მხარეების შეხედულებებზე, კერძოდ:

1) შეფასების სხვადასხვა მეთოდები ხშირად მნიშვნელოვნად განსხვავებულ შედეგებს იძლევა;
2) შეიძლება ინვესტორის ინტერესებში შედიოდეს იმის დამტკიცება, რომ უფრო „მაღალი" ან უფრო „დაბალი" ღირებულებაა შესაფერისი;

საბოლოო მონაცემი დაინტერესებულ მხარეთა შორის მოლაპარაკებების საგანია.

საგულისხმოა, რომ ძირითადი კონკურენტი ფირმის შესყიდვა შესაძლოა კომპანიას აძლევდეს ბაზარზე დომინანტური მდგომარების დაცვის საშუალებას. ამიტომ, სავარაუდოა, რომ მიზანში ამოღებულ კომპანიას დარგის გარედან მოსულ პოტენციურ ინვესტორზე უფრო მაღალი ღირებულება მიანიჭოს. ამიტომ, რეალური ღირებულების დასადგენად საჭიროა დარგის სრული ანალიზი და არა შესაფასებელი კომპანიის იზოლირებულად შეფასება.

ბაზრის კაპიტალიზაცია = აქციის მიმდინარე ფასია X გამოშვებული აქციების რაოდენობაზე. ამასთან, გასათვალისწინებელია:

ა) კომპანიების აქციების ფასები საფონდო ბირჟაზე მუდმივად იცვლება მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად, ხოლომათ ცვლილებასთან ერთად იცვლებაბაზრის კაპიტალიზაციაც;

ბ) ამ გზით გამოთვლილი ღირებულება ყოველთვის არ ემთხვევა კომპანიების საბაზრო ღირებულებას, რადგან ნაჩვენებია, რომ ერთი კომპანიის მიერ მეორე კომპანიის „შთანთქმის „დროს პირველი კომპანია აცხადებს მეორე კომპანიის აქციების შესყიდვის ფასებს და (როგორც ხშირად ხდება) იხდის პრემიას „შთანთქმის" პროცესების დაწყებამდე არსებულ ფასთან შედარებით.

აქციების შეფასება-დივიდენდებით შეფასების მოდელი

„კორპორაციის (საწარმოს) დივიდენდური პოლიტიკა-ში" შეფასების მეთოდის საფუძველზე კომპანიის/აქციის ღირებულება წარმოადგენს აქციონერების მიერ მოთხოვნილი უკუგების განაკვეთით დისკონტირებული მოსალოდნელი სამომავლო დივიდენდების მიმდინარე ღირებულებას. კერძოდ:

$$P_0 = \frac{D}{r_e} \quad \text{ან} \quad P_0 = \frac{D_0(1+g)}{r_e - g}, \tag{3.17}$$

სადაც, იგულისხმება ან მუდმივი დივიდენდი, ან დივიდენდების მუდმივი ზრდა

r_e = აქციონერების მოთხოვნილი უკუგებაა, ათწილადებში გამოსახული

g = ზრდის წლიური განაკვეთია,

P_0 = კომპანიის ღირებულებაა, სადაც DD = კომპანის მთლიან დივიდენდს.


ეს მოდელი თეორიულად მისაღებია არაკონტროლირებდი ინტერესების შემთხვევაში, მაგრამ:

ა) შესაძლოა პრობლემა შეიქმნას სამომავლო ზრდის განაკვეთის შეფასებასთან დაკავში-

[41] წიგნი F 9 – ფინანსური მართვა. სრული ტექსტი. სახელმძღვანელო-ACCA, FTC Kaplan Limited. 2010. (ISBN9781847107329-ინგლისური გამოცემისთვის); საქართველო-ბაფი 2011. თავი 19 – „კომპანიების შეფასებები და ბაზრის ეფექტურობა", 491-522გვ.

რებით; ბ) იგი გულისხმობს მომავალში მუდმივ ზრდას, რაც, კომპანიების უმეტესობის შემთხვევაში, სწორი არ არის; გ) მოდელი ძალიან მგრძნობიარეა, მასში გამოყენებული დაშვებების ცვლილებების მიმართ; დ) კონტროლით დაინტერესებული პირებს იგი სთავაზობს მცირეოდენ უპირატესობებს ქვემომოყვანილ, შემოსავლებზე დაფუძნებულ, მეთოდებთან შედარებით. შეფასების დროს ამ მიდგომის გამოსაყენებლად უნდა შეგვეძლოს საკუთარი კაპიტალის ღირებულების დადგენა.

დივიდენდებით შეფასების მოდელის ძლიერი და სუსტი მხარეები



ნახ. 3.22. კომპანიის შეფასებების მეთოდების სქემა.

აქტივებზე დაფუძნებულ შეფასებებთან დაკავშირებული პრობლემები არსებითი სისუსტეები: ინვესტორები, ჩვეულებრივ, კომპანიას ყიდულობენ არა მისი აქტივების (საბალანსო ანგარიშგებაში მოცემული). არამედ იმ შემოსავლების/ფულადი ნაკადების გამო, რომელთა წარმოქმნაც ამ აქტივებს შეუძლია მომავალში;

თანმხლები სისუსტეები: საკითხისადმი აქტივების მიხედვით მიდგომისას აგრეთვე უგულებელყოფილია არასაბალანსო, არამატერიალური „აქტივები", მაგალითად: მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა; ძლიერი ხელმძღვანელი გუნდი; კომპანიის პროდუქციის კონკურენტუნარიანობა. ძალიან ხშირად, არასაბალანსო აქტივები უფრო ღირებულია, ვიდრე საბალანსო აქტივები.

როდის არის სასარგებლო აქტივებზე დაფუძნებული შეფასებების გამოყენება? (პასუხი – იხ. ცხ. 3-18, აქტივებზე დაფუძნებული საზომების ტიპების მახასიათებლები).

1) კომპანიის ყიდვა, აქტივების გაყიდვის მიზნით აქტივებზე დაფუძნებული შეფასებები სასარგებლოა ისეთ არასტანდარტულ სიტუაციებში, როდესაც კომპანიას ყიდულობენ მის დასაშლელად და მისი აქტივების გასაყიდად. კომპანიის დაშლის დროს აქტივები უნდა შევაფასოთ მათი სარეალიზაციო ღირებულებით

2) კომპანიის შთანთქმის დროს მინიმალური ფასის დადგენა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც კომპანიას შემოსავლების ზრდის ნაკლები პერსპექტივა აქვს, აქციონერებს უჭირთ დათანხმება, რომ კომპანია გაიყიდოს მისი აქტივების წმინდა ღირებულებაზე ნაკლებ ფასად. შთანთქმისათვის ნამოწყებულ ბრძოლაში სტანდარტული თავდაცვითი ტაქტიკაა საბალანსო აქტივების გადაფასება უფრო მაღალი ფასის მისაღებად. ჩვეულებრივ ფუნქციონირებადი საწარმოს შემთხვევაში, აქტივებს ვაფასებთ მათი ჩანაცვლების ღირებულებით.

3) იმ საინვესტიციო კომპანიის შეფასება, რომელიც უძრავ ქონებაში ახდენს ინვესტიციებს საინვესტიციო უძრავი ქონების საბაზრო ღირებულება ახლო კავშირშია სამომავლო ფულად ნაკადებთან და აქციების ღირებულებებთან, ე. ი. დისკონტირებული საიჯარო შემოსავალი განსაზღვრავს უძრავი ქონების და, შესაბამისად, **კომპანიის ღირებულებას.**

მოგებაზე/შემოსავალზე დაფუძნებული მეთოდები, კერძოდ, გამოიყენება ხმათა უმრავლესობის მქონე აქციონერობის შეფასების დროს:

ა) მესაკუთრეობა აკუთვნებს კონტროლის დამატებით სარგებელს, რომელიც არ აისახება დივიდენდებით შეფასების მეთოდის მოდელში;

ბ) ხმათა უმრავლესობის მქონე აქციონერებს შეუძლიათ დივიდენდების პოლიტიკაზე გავლენის მოხდენა და ამიტომ უფრო მეტად არიან შემოსავლებით დაინტერესებულნი.

ცხრ. 3-18. აქტივებზე დაფუძნებული საზომების ტიპების მახასიათებლები:

საზომი	ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
• საბალანსო ღირებულებები	• არა აქვს	• ისტორიული ღირებულების შეფასება
• წმინდა სარეალიზაციო ღირებულება – საფუძვლად გულისხმობს კომპანიის დაშლას (წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს გამოკლებული ვალდებულებები)	• მესაკუთრეებისთვის მინიმალურადაა მისაღები • აქტივებად დაშლა და გაყიდვა	• შეფასებასთან დაკავშირებული პრობლემები, განსაკუთრებით, სწრაფად გაყიდვის დროს • უგულებელყოფს გუდვილს
• ჩანაცვლების ღირებულება – ფუნქციონირებადი საწარმო	• მაქსიმალური, რაც მყიდველმა უნდა გადაიხადოს აქტივებში	• შეფასებასთანდაკავშირებული პრობლემები – გვაქვს მსგავსი აქტივები შედარებისთვის? • უგულებელყოფს გუდვილს

ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტის მეთოდი – კოტირება ხდება კოტირებული კომპანიისთვის და გამოითვლება შემდეგნაირად:

აქციის ფასი/შემოსავალი აქციაზე; **მისი გამოყენება შეიძლება არაკოტირებული კომპანიისთვის აქციების ღირებულების შესაფასებლად, როგორც:**

ა) კომპანიის ღირებულება = მთლიანი მოგება x ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი;

ბ) აქციის ღირებულება = შემოსავალი აქციაზე x ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი ასეთ დროს გამოიყენებენ მსგავსი კოტირებული კომპანიის ფასის შემოსავალთან შეფარდების კორექტირებულ კოეფიციენტს.

ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტით შეფასების პრობლემები.

შესაძლებელია, აუცილებელი იყოს მსგავსი კომპანიის ფასის შემოსავალთან შეფარდების **კოეფიციენტის კორექტირება,** რათა იგი უფრო ხელსაყრელი გახდეს, მაგალითად: თუ კომპანია, რომელსაც ვაფასებთ: კორექტირება 1. კერძო კომპანიაა და, ამდენად, მისი აქციები, შესაძლოა, ნაკლებად ლიკვიდური იყოს. 2. უფრო მეტად სარისკო კომპანიაა – ნაკლები კონტროლი, ნაკლებად კვალიფიციური ხელმძღვანელობა და ა. შ.; კორექტირება 3. აქვს უფრო მეტად დაცული ზრდის დონე.

ფასის შემოსავალთან შეფარდების ხელსაყრელი კოეფიციენტის მოძებნა. ფასის შემოსავალთან შეფარდების ხელსაყრელი კოეფიციენტის საბაზისო შერჩევისთვის აიღება მიახლოებით იმავე დარგში მოქმედ და იმავე სიდიდის კოტირებული კომპანიის ანალოგიური კოეფიციენტი. თუმცა, რადგან **აქციის ფასები** დიდადაა დამოკიდებული მოსალოდნელ სამომავლო შემოსავლებზე, ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი – რომელიც ემყარება ერთი წლის საანგარიშგებო შემოსავლებს – შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს ერთსა და იმავე სექტორში მოქმედი და მსგავსი სისტემატური რისკის მქონე კომპანიებისათვის. მაგალითად, ფასის შემოსავალთან შეფარდების მაღალი კოეფიციენტი შეიძლება მიუთითებდეს შემდეგზე:

ა) ზრდადი აქციები – აქციის ფასი შეიძლება მაღალი იყოს, ვინაიდან აქციისგან მოსალოდნელია შემოსავლების ზრდის უნყვეტი მაღალი განაკვეთები;

ბ) არაზრდადი აქციები – ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი დაფუძნებულია ბოლო საანგარიშგებო შემოსავლებზე, რომლებიც შესაძლოა გამონაკლისად დაბალი იყო, რადგან აქციის ფასი ეფუძნება სამომავლო შემოსავლებს, რომელიც მოსალოდნელია, რომ გარდაიქმნება „ნორმალურ“, შედარებით სტაბილურ, დონედ; საკონტროლო პაკეტის ყიდვის განაცხადი – აქციის ფასი გაზრდილია საკონტროლო პაკეტის ყიდვის შეთავაზების მოლოდინში;

მაღალ დონეზე უზრუნველყოფილი აქციები – უძრავი ქონებით დაკავებული კომპანიების აქციებს, ჩვეულებრივ, დაბალი შემოსავლიანობა აქვს, მაგრამ ეს აქციები მაინც ღირებულია შესყიდვისათვის, კაპიტალის ზრდის პერსპექტივისა და უზრუნველყოფის მაღალი დონის გამო.

ანალოგიურად, ფასის შემოსავალთან შეფარდების დაბალი კოეფიციენტი შეიძლება მიუთითებდეს, რომ: **მოსალოდნელია ზარალი** – მოსალოდნელია სამომავლო მოგების შემცირება მიმდინარე ონეებთან შედარებით;

აქციის ფასმა დაიწია – როგორც ადრე შევნიშნეთ, აქციის ფასები შეიძლება ძალიან მერყეევი იყოს – ისეთმა სპეციალურმა ფაქტორებმა, როგორიცაა გაფიცვა კონკრეტული კომპანიის საწარმოო ქარხანაში, შეიძლება დასწიოს აქციის ფასი და, შესაბამისად, ფასის შემოსავალთან შეფარდების კოეფიციენტი.

შედეგად, **მოდელის გამოყენების უმთავრესი სირთულეა** მსგავსი კომპანიის მოძებნა ზრდის მსგავსი პერსპექტივებით. შემდეგ სიძნელეს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საანგარიშგებო შემოსავლები ემყარება **დანახარჯთა ისტორიულ აღრიცხვას,** რომელიც, საზოგადოდ, აზრს მოკლებულს ხდის ორი კომპანიის შედარების მცდელობას. აგრეთვე მნიშვნელოვანია იმაში დარწმუნება, რომ „მსხვერპლი კომპანია“ ასახავს მომავლის შემოსავლების პერსპექტივებს. გონივრული არ იქნებოდა კომპანიის შეფასება არაბუნებრივად მაღალ შემოსავლებზე დაყრდნობით.

არამატერიალური აქტივების – ადამიანური რესურსების, როგორც აქტივის შეფასების თავისებურებები

რა არის ინტელექტუალური კაპიტალი და როგორ გამოიყენება ან კონვენტირდება ის ბიზნესში ღირებულებისა და მოგების სახით? ინტელექტუალური კაპიტალი არის არამატერიალური, უხილავი რესურსი, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია ქმნის ღირებულებას სხვადასხვა მხრივ. მისი შედეგია ახალი პროდუქტი, ახალი პროცესები თუ ინოვაციური მომსახურება.

ინტელექტუალური კაპიტალის **სტრუქტურა:** ცოდნა, გამოცდილება, იდეები, „ნოუ-ჰაუ", ტექნოლოგია, მართვის სისტემა, უნარები, ტექნოლოგიები, სავაჭრო ნიშანი და ა. შ. ისინი ფუნქციონალურად შეიძლება **სამ რგოლად** დავყოთ, კერძოდ:

1) **ცოდნისეული კაპიტალი** – მას მიეკუთვნება ის, რასაც ადამიანი სწავლის პროცესში იძენს და რჩება ცოდნის სახით; 2) **ქმედებითი კაპიტალი** – ეს არის ის უნარები, რომლებიც შეიძლება ადამიანმა მიიღოს გამოცდილებით თუ როგორ იმოქმედოს გარკვეულ სიტუაციაში; 3) გონითი კაპიტალი – ეს ის კაპიტალია, რომელიც რჩება პერსონალისაგან სანარმოში, ანუ ტექნოლოგიური პროცესები, საინფორმაციო, მმართველობითი სისტემები და ა. შ.

ინტელექტუალურ კაპიტალს დიდი როლი აკისრია ცოდნის ეკონომიკაში, როგორც სიმდიდრის შემქმნელს. XXI საუკუნეში შეკითხვა „რა უნდა გაკეთდეს" შეცვალა შეკითხვამ „ვინ უნდა გააკეთოს?" შესაბამისად, წარმატების უმნიშვნელოვანეს გარანტად ადამიანური ფაქტორი იქცა. ნებისმიერი ორგანიზაციის მიზანია, აღმოჩნდეს კონკურენტებზე თუნდაც ერთი ნაბიჯით წინ. ამ „ნაბიჯის გადადგმა" კი ადამიანურ რესურსს ძალუძს. **ადამიანური რესურსი** არის პოტენციალი, რომელიც სწორედ მართვის შემთხვევაში გადაიქცევა **არამატერიალურ აქტივად.** ამასთან, რაც უფრო მაღალია კადრის კომპეტენცია, მით უფრო იზრდება ამ **აქტივის ღირებულებაც.**

ეკონომიკის გლობალიზაციის კვალობაზე, კონკურენტუნარიანობის უმთავრეს პრიორიტეტებს განათლება, ცოდნა, კომპიუტერული ტენოლოგიები, მენეჯმენტული ინოვაციები წარმოადგენენ. აღნიშნულს მეცნიერთა უმრავლესობა აღიარებს, თუმცა, ცოდნის ეკონომიკის ძირეულად შესწავლა ჯერ კიდევ ბევრ კვლევას მოითხოვს.

ეკონომიკის ფილოსოფიის ქართველი მკვლევარის, აკადემიკოსი გიორგი მალაშხიას აზრით, „ადამიანისეული კაპიტალის კონცეფცია ადამიანისა და კაპიტალის ნიშანთვისებათა ერთგვარ სინთეზს ახდენს, ცდილობს შეიმეცნოს და აჩვენოს ადამიანი-ფაქტორის ფუნქციური ცოდნის, მეცნიერების, ინტელექტუალური საქმიანობის და ადამიანთან დაკავშირებული სხვა დანახარჯებთან კონტაქტში. დანახარჯები ადამიანზე განსაკუთრებით დოვლათშემქმნელ თვისებას იძენს. ამავე დროს, ადამიანის ბუნებრივ ნიჭთან, შემოქმედებით უნართან, მის ცოდნასა და გამოცდილებასთან სინთეზის შედეგად იგი განსაკუთრებული დაბანდებაა იმითაც, რომ ორმაგ შედეგს იძლევა – ეკონომიკურს და სოციალურს, ამიტომაც გამორჩეულად მაღალეფექტიანია"[42] **[გვ. 167].**

შესაბამისად, აქტუალურია ადამიანისეული კაპიტალის შეფასების საკითხი. მეცნიერები ცდილობენ განსაზღვრონ მისი პოტენციალის ხარისხობრივი მახასიათებლები. ძირითადად გამოიყოფა ორი მეთოდი, კერძოდ:

ადამიანური რესურსების შეფასების ხარჯვითი მეთოდის დროს მხედველობაში ვიღებთ სამუშაო ძალის კვალიფიკაციას, ცოდნის და გამოცდილების შეძენასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სარგებლიანობის მეთოდით კვალიფიკაციური სამუშაო ძალის ღირებულებების განსაზღვრა ხდება იმ სარგებლის ზომით, რომელსაც იგი მოუტანს ორგანიზაციას. იგივე შეხედულებები აქვთ: ე. ფლამოსტი, დ. ბეგი, ს. ფიშერი და რ. დორნბუში. მათი განმარტებით, ადამიანისეული კაპიტალი არის პიროვნების მიერ დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის მარაგი.

ადამიანისეულ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიციები პირობითად შეიძლება

---

[42] **იხ. Георгий Малашхия. Экономика человечная. Экономико-философские суждения. Санкт-Петербург-Тбилиси. 2009. С. 250. В книге собраны труды экономико-философского содержания, опубликованные в философских сборниках, изданных издательством „Петрополис" (Санкт-Петербург) и международным журналом „Homo Esperans". В монографии излагаются мысли автора относительно гуманизации экономики как гаранта будущего прогреснивного развития и выживания человечества. Издательство „Универсал", 2009. ISBN 978-9941-12-636-9**

პირდაპირ და ირიბ ინვესტიციებად დავყოთ. პირდაპირს მიეკუთვნება დანახარჯები ადამიანის განათლებასა და პროფესიულ გადამზადებაზე, ხოლო ირიბს – სამედიცინო მომსახურებაზე და სხვა სახის სოციალურ უზრუნველყოფაზე.

პრაქტიკა მოწმობს, რომ დღეს ბანკირები კომპანიებს მხოლოდ საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით აღარ აფასებენ. ისინი „არამატერიალურ" აქტივებს აქცევენ ყურადღებას და გამოყოფენ **ხუთ ფაქტორს**: 1. კორპორაციული სტრატეგიის რეალიზაცია; 2. ნდობა ხელმძღვანელობის მიმართ; 3. კორპორაციული სტრატეგიის ხარისხი; 4. ინოვაციებისადმი მიდრეკილება; 5. თანამშრომლების მოზიდვის უნარი.

კვლევები უჩვენებს, რომ საქართველოში დასაქმებულ ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა თავს იშვიათად გრძნობს ღირებულად და დაფასებულად. თანამედროვე წარმატებული კომპანიები აღიარებენ რა ცოდნას – კაპიტალად, „ხვდებიან", რომ ცოდნით მართვაზე უარის თქმა დაუშვებლად ძვირი დაუჯდებათ! რადგან, დღევანდელი პროდუქტის ღირებულების მზარდი ნაწილი წარმოადგენს მასშივე, ანუ პროდუქტში ჩადებული ცოდნის წილს და სულ უფრო მზარდი ხდება ამავე ცოდნის მოცულობა პროდუქტის თვითღირებულებაში.

კვლევები მოწმობს, რომ 1973 წელს ამერიკის ბუღალტერთა ასოციაციის (AAA) ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვის კომიტეტმა განსაზღვრა „ადამიანისეული რესურსების მონაცემების იდენტიფიკაციის და შეფასების პროცესი", რომელიც შემდგომ გადაეცემა როგორც ინფორმაცია დაინტერესებულ მხარეებს. ამერიკის შრომის ინსტიტუტის აზრით, ადამიანისეული რესურსების ბუღალტრული აღრიცხვა თავის თავში მოიცავს: თეორიული საფუძვლების განვითარებას, რომელიც ხსნის ადამიანთა ღირებულებების ბუნებასა და განმსაზღვრელ ფაქტორებს ოფიციალური ორგანიზაციების მხრიდან. ორგანიზაციისათვის ადამიანთა ღირებულებებისა და ფასეულობათა შეფასების საიმედო და დასაბუთებული მეთოდების შემუშავებას, შეფასების შემოთავაზებული მეთოდების ორგანიზაციული უზრუნველყოფის პროექტირებას.

თავი 16.

კორპორაციების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური ასპექტები

16.1. სავალუტო ბაზრების როლი კორპორაციის საერთაშორისო კავშირების განვითარების სტიმულირებაში

ფინანსური მენეჯმენტის როლი კორპორაციის საერთაშორისო კავშირების განვითარებაში სხვადასხვა მიმართულებების დაფინანსებისათვის წყაროების მოძიებასა და ფინანსური რესურსების მობილიზაციაში ვლინდება. ფინანსები უპირველეს ყოვლისა ზემოქმედებას ახდენენ საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციებზე. შესაბამისად, მსოფლიოში ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვების სტიმულირებას ახდენენ და კომპანიის (საწარმოს) საგარეო ეკონომიკური საქმიანობისაგან შედეგის ფორმირებას უზრუნველყოფენ.

საერთაშორისო კავშირების განვითარებაზე ფინანსების ზემოქმედების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის საბაზრო დარგების კორპორაციებში (საწარმოებში) **უცხოელი ინვესტორების მობილიზაცია.** უცხოური ინვესტიციები საქართველოს მსოფლიოს ეკონომიკაში ინვესტირებისათვის პირობებს უქმნიან და დამატებითი ეროვნული შემოსავლის შექმნისას უზრუნველყოფენ. საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ფინანსები, სავალუტო ურთიერთობები, როგორც ქართულ ეროვნული ფულადი ერთეულის სახით, ასევე უცხოურ ვალუტაში ფორმირებად რესურსებში იყრის თავს.

სავალუტო ფონდის ფორმირების მიზნობრივი დანიშნულება გააჩნია, რომელიც გამოიხატება: კორპორაციის ეკონომიკური დაინტერესებების ამაღლებაში საქონლის ექსპორტისა და მომსახურების განვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ, ფონდების განახლებისათვის კეთილსასურველი პირობების შექმნა და საერთაშორისო კავშირების მონაწილეთა სხვა ეკონომიკური ინტერესების დაკმაყოფილება. კომპანიის შუამავლების მონაწილეობის გარეშე ექსპორტ-იმპორტული ოპერაციების განხორციელების მიზნით შესაბამისი **კვოტები** და **ლიცენზიები** უნდა მიიღონ.

მსოფლიო სავალუტო ბაზარი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების საკორესპონდენტო კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმს. განასხვავებენ თავისუფალ სავალუტო ბაზარს, სადაც სავალუტო შეზღუდვები არ არსებობს და შეზღუდულ სავალუტო ბაზარს, სადაც დომინირებს სავალუტო შეზღუდვები. არსებობს აგრეთვე არალეგალური სავალუტო ბაზარიც.

სავალუტო ბაზარი არის უცხოური ვალუტისა და მისი საგადასახადო დოკუმენტების ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ურთიერთობათა მყარი სისტემა, რომელიც მოიცავს განსაზღვრულ რეგიონებსა და საერთაშორისო ვაჭრობისა და საერთაშორისო ვაჭრობისა და სავალუტო-საფინანსო კავშირებში ლოკალიზებული მნიშვნელოვანი რაოდენობის ცალკეულ კონკრეტულ ბაზრებს და მასთან ორგანულად დაკავშირებულ **ინფრასტრუქტურას,** სადაც ხორციელდება საგარეო-ეკონომიკურ ანგარიშსწორებათა, ტურიზმის, კაპიტალის და სამუშაო ძალის მიგრაციის და სხვა მიმდინარე ოპერაციათა ფართო სპექტრი, რომლებშიც გათვალისწინებულია მყიდველების, გამყიდველების, შუამავლების, საბანკო დაწესებულებებისა და ფირმების მიერ უცხოურ ვალუტათა გამოყენება. სავალუტო ბაზარი მოიცავს აგრეთვე **დაზღვევას,** მასში სავალუტო რისკის, სავალუტო რეზერვების ლიკვიდაციისა და სავალუტო ჩარევათა სხვადასხვა ღონისძიებებს. მისი განსაკუთრებული როლი დაკავშირებულია სავალუტო კურსის გაძლიერებულ მოძრაობასთან და ეროვნულ ფულადი ერთეულების მსყიდველობით უნარიანობის ცვლილებებთან.

სავალუტო ბაზრების მთავარ სუბიექტებს წარმოადგენენ **ტრანსნაციონალური ბანკები,** რომლებიც ფლობენ ფილიალთა ფართო ქსელს და რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული ტექნიკის თანამედროვე საშუალებებს. სავალუტო ბაზრებზე ამა თუ იმ ქვეყნის **ვალუტის როლი** განისაზღვრება მსოფლიო მეურნეობის სისტემაში მისი ადგილით. ნებისმიერი ქვეყნის ეროვნულ ვალუტას გააჩნია სხვა ქვეყნის ფულად ერთე-

ულში გამოხატული ფასი. ამდენად ეროვნული ფულადი ერთეული ვალუტის სახით იძენს საერთაშორისო ფასს, რაც სხვა არაფერია, თუ არა ვალუტის კურსი. სავალუტო კურსის დონე ისაზღვრება მეორე ქვეყნის ვალუტის კურსის დონით. სავალუტო კურსის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი ფაქტორია ეროვნული ვალუტის მსყიდველობით უნარიანობა და ინფლაციის ტემპები. ეს კი თავის მხრივ დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპებზე. თანამედროვე ღრმად ინტერნაციონალიზებულ მსოფლიოში პრესის მეშვეობით ყოველდღიურად ქვეყნდება სხვადასხვა სავალუტო კურსები, რომლებიც გამოიხატება ორი საშუალებით: სხვადასხვა ვალუტათა კურსი დოლარებში გამოხატული და ამერიკული ვალუტის ფასი სხვა ვალუტის ერთეულში გამოხატული. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ფასია 1,1740 აშშ-ის დოლარი, რაც იგივეს ნიშნავს, რომ აშშ-ის დოლარის ფასია 85, 18 ბრიტანული ოენსი, ანუ 0, 8518 გირვანქა სტერლინგი.

სავალუტო პარიტეტი, ან ოფიციალური სავალუტო კურსი წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნების ფულადი ერთეულების თანაფარდობას მათში მოცემული ოქროს შინაარსის მიხედვით, რაც ჩვეულებრივ წესდებოდა მოცემული ქვეყნის კანონმდებლობით და ფიქსირდებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდში, ამჟამად ოფიციალურმა ოქროს პარიტეტმა – ფულადი ერთეულების თანაფარდობამ – მისი ლითონური შემადგენლობის მიხედვით, დაკარგა რეალური ეკონომიკური მნიშვნელობა, რაც განპირობებულია ოქროს დემონეტიზაციით.

სავალუტო კურსის რეგულირებისათვის მსოფლიო პრაქტიკაში გამოყენებულია: **ფიქსირებული სავალუტო კურსი და მცურავი კურსი.**

სავალუტო სისტემის ერთ-ერთი ელემენტია **საერთაშორისო ლიკვიდობა**, რომელიც წარმოადგენს ცალკეული ქვეყნის ან მთელი ქვეყნების შესაძლებლობას შეუფერხებლად იქნეს განაღდებული მათი საგარეო ვალდებულებები საგადასახადო საშუალებებით. განასხვავებენ საერთაშორისო ლიკვიდობის ორგვარ – ვიწრო და ფართო გაგებას. ვიწრო გაგებით, საერთაშორისო ლიკვიდობა გვიჩვენებს ცალკეული ქვეყნის ან რეგიონის საგარეო მსყიდველობით უნარიანობის ღონეს, ხოლო საერთაშორისო ლიკვიდობა ფართო გაგებით გვიჩვენებს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მსყიდველობათ-უნარიანობის ხარისხის მთლიანობაში. ეროვნული სავალუტო სისტემის მახასიათებელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია **სავალუტო შეზღუდვები**, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისო რეგულირების ობიექტს საერთაშორისო სა-ვალუტო ფონდის სხვა რეგიონალური დაწესებულებების მეშვეობით.

საერთაშორისო სავალუტო-საკრედიტო სისტემების პრობლემათა სრულყოფილი ანალიზისათვის აუცილებელია ანგარიშსწორების ისეთი **საერთაშორისო საკრედიტო მექანიზმების** შესწავლა, როგორიცაა: აკრედიტივი, ინკასო, ჩეკი, თამასუქი, ურომლისოდაც შეუძლებელია დაკრედიტებისა და ანგარიშსწორების საერთაშორისო ნორმების პრაქტიკული განხორციელება.

სავალუტო პოლიტიკა არის ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისო დაწესებულებები მათი საპროგრამო მიზნობრივი მითითებების საფუძველზე. **სავალუტო ურთიერთობანი** – ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს შორის სამეურნეო კავშირების სხვადასხვა ფორმებს: საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, სამეცნიერო-ტექნიკურ გაცვლას, ტურიზმს, სახელმწიფო და კერძო გადარიცხვებს.

ცნობილი ქართველი ფინანსისტ-მეცნიერის, აკადემიკოსი გიორგი ცაავას აზრით, **„სავალუტო სისტემა წარმოადგენს ფულად ურთიერთობათა ერთობლიობას,** რომელიც მსოფლიო მეურნეობის წარმოების სხვადასხვა აგენტებს შორის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო-საანგარიშსწორებო ოპერაციების გამასაშუალებელ მექანიზმად გვევლინება.[43]

სავალუტო სისტემა, როგორც ერთიანი მსოფლიო მეურნეობის ეკონომიკური სისტემის ორგანული შემადგენელი ნაწილი, დაფუძნებულია ამ სისტემის კანონებზე, მაგრამ მას, როგორც დამოუკიდებელ ქვესისტემას, გააჩნია განვითარების შინაგანი კანონზომიერებანი. სავალუტო სისტემას გააჩნია **ეკონომიკური და ინსტიტუციონალური მექანიზმი.**

ეკონომიკური მექანიზმი მოიცავს ქვეყნებს შორის ფულად ანგარიშსწორებათა სისტემას

[43] ცაავა გ., გავაშელი შ., ცაავა თ., მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა. გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2009. -462გვ.

(საგადასახდელო ბალანსს). საერთაშორისო ფულადი სახსრების ერთობლიობას, აგრეთვე ერთმანეთთან ეროვნულ ვალუტათა შეთანაწყობის სისტემას (სავალუტო კურსისა და პარიტეტების სისტემას). ხოლო, **ინსტიტუციონალური მექანიზმი** თავის თავში მოიცავს სავალუტო ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც საგადასახადო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ემსახურება სავალუტო ბაზრები, ოქროს ბაზარი, საბანკო კრედიტების ბაზრები, სავალუტო ფონდები. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების **განვითარებას** ხელს უწყობს საკმაოდ დიდი რაოდენობის საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლთა ფუნქციები, მასშტაბები სისტემატურად ფართოვდება. მონოგრაფიაში დახასიათებულია საერთაშორისო და რეგიონალური მასშტაბით მოქმედი **ძირითადი ფინანსური** ორგანიზაციები და დაწესებულებები. კერძოდ:

1. საერთაშორისო სავალუტო ფონდი. საერთაშორისო სავალუტო ფონდი შეიქმნა 1944 წელს აშშ ინიციატივით და ცნობილია **„ბრეტინ-ვუდის"** სისტემის სახით.

ამ შეთანხმების არსი თავდაპირველად განისაზღვრა საერთაშორისო-საფინანსო კონცეფციაზე სავალუტო კურსის მერყეობის შერბილებით და სტაბილიზაციის ამოცანებით. კონცეფციაში მონაწილეობა მიიღო 44 ქვეყანამ, წარმოდგენილი საერთაშორისო სავალუტო სისტემის ორი ვარიანტი: კეინისის – დიდი ბრიტანეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. კონცეფციამ მოიწონა და მიიღო ამერიკული ვარიანტი. საერთაშორისო სავალუტო ფონდს მიღებული აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზირებული დანესებულების სტატუსი. ამჟამად საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრია 177 ქვეყანა.

პრაქტიკულად საერთაშორისო სავალუტო ფონდი სავალუტო-საკრედიტო ორგანიზაციაა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს შორის სავალუტო ურთიერთობას, მათ საგადამხდელო ბალანსს, მოკლევადიან სესხებს სავაჭრო ანგარიშსწორების მოსაგვარებლად და სხვა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრობა აუცილებელი პირობაა სახელმწიფოთა გაწევრიანებისათვის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკიდან შეღავათიანი კრედიტების ასაღებად. საერთაშორისო სავალუტო ფონდში გაწევრიანება შეუძლია ყველა ქვეყანას, რომელიც უზრუნველყოფს ამ ფონდის წესდების შესრულებას.

2. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი. რეკონსტრუქციის განვითარების საერთაშორისო ბანკი შეიქმნა 1945 წელს, საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი ქვეყნების გაერთიანების საფუძველზე, 1991 წლისათვის ამ ბანკში უკვე გაერთიანებული იყო 155 ქვეყანა. ამ ბანკის მთავარი ამოცანაა, ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების და განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების განვითარების ეკონომიკურ სტიმულირებას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას და საგადასახადო ბალანსის გაწონასწორებას. ბანკი ძირითადად გასცემს გრძელვადიან სესხებს კერძო კომერციულ საწყისებზე. სესხის მიღება შეუძლია, როგორც სახელმწიფოს, ასევე ფირმებსა და კორპორაციებს საკუთარი მთავრობის გარანტიით.

3. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ასოციაცია და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია. ეს ფაქტობრივად ბანკების ჯგუფია, რომლებიც ანაწილებენ ცენტრალური ბანკიდან მიღებულ სესხებს რეგიონების მიხედვით. განვითარების საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა 1960 წელს რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის გადაწყვეტილებით, ჩამორჩენილ და განვითარებად ქვეყნებისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემის მიზნით სესხი მიეცემა, როგორც წესი, მხოლოდ წევრ ქვეყანას, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია შეიქმნა 1956 წელს, საფინანსო რესურსები იქმნება კერძოდ კაპიტალზე დაყრდნობით, კრედიტის მისაღებად სამთავრობო გარანტია სავალდებულო არ არის.

4. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი. განვითარების და რეკონსტრუქციის ევროპული ბანკის დაარსების იდეა ჯერ კიდევ 1989 წელს გაჩნდა საფრანგეთის პრეზიდენტის **ფრანსუა მიტერანის** ინიციატივით. ბანკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური ბანაკის დაშლის შედეგად განთავისუფლებული ქვეყნებისათვის დახმარების გაწევა ეკონომიკური რეფორმების განხორციელების დასაჩქარებლად. დიდი შვიდეულის ეკონომიკურ კომისიას დაეკისრა აღმოსავლეთ ევროპაში დახმარების კოორდინაცია და ამით 1989 წელს ფაქტობრივად საფუძველი ჩაეყარა ევროგანვითარებული ქვეყნების ურთიერთობას აღმოსავლეთ ევროპის სუსტად განვითარებულ ქვეყნებთან აღმოსავლეთ-დასავლეთის თანამშრომლობისას. 1990 წლის მაისში, პარიზში შედგა სამთავრობათაშორისო შეთანხმების შესახებ

ხელის მოწერის ცერემონიალი რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის დაარსების თაობაზე. ის ფაქტობრივად ეხმარება აღმოსავლეთის და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებული ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საქმეში.

5. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი შეიქმნა 1930 წელს ჰააგის კონვენციით სააქციო სანყისებზე. თავდაპირველად შედიოდა 6 სახელმწიფო: ბელგია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი და იაპონია. თანამედროვე პირობებში მისი წევრია მსოფლიოს დიდი ქვეყნების უმრავლესობა. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის მიზანია ხელი შეუწყოს წევრი ქვეყნების ცენტრალურ ბანკებს შორის თანამშრომლობას. ბანკი ინახავს, ყიდის და ყიდულობს ოქროს როგორც საკუთარი, ისე ცენტრალური ბანკების სახსრებით. ბანკი ანაღდებს და ყიდის ზოგიერთი სახის ფასიან ქაღალდებს, ღებულობს დეპოზიტებს და ხსნის სადეპოზიტო-სასესხო ანგარიშების ცენტრალურ ბანკებში.

6. საერთაშორისო რეგიონალური ბანკები. საერთაშორისო რეგიონალური ბანკები შეიქმნა 60-იან წლებში, აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ინიციატივით. ამ ბანკების ძირითადი ამოცანებია: მათთვის ხელმისაწვდომი წყაროებიდან თავი მოუყარონ დროებით თავისუფალ საფინანსო რესურსებს ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრაციას და განვითარების ღონის გამოთანაბრებას.

7. ევროპის საინვესტიციო ბანკი. ევროპის საინვესტიციო ბანკი შეიქმნა 1958 წელს, მისი ძირითადი ამოცანაა ევროპის ნაკლებად განვითარებული რაიონების გამოთანაბრება, იძლევა გრძელვადიან კრედიტებსა და გარანტიებს, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო საკუთრების ფორმებსა და კორპორაციებზე. ეხმარება იმ ქვეყნებს, რომლებსაც საკუთარი რესურსებით არ ძალუძთ მსხვილი ობლიგაციებით მშენებლობა ან რეკონსტრუქცია, ერთობლივი საწარმოების შექმნა, ახალი დარგების განვითარება და სხვა.

8. გაერთიანებული ევროპული ფონდი. განვითარების ევროპული ფონდი შეიქმნა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის ქვეყნების ინიციატივით 1958 წელს და აკრედიტებს თანამეგობრობის წევრ ქვეყნებს. ფონდის ძირითადი დანიშნულებაა იმ დანაკარგების კომპენსაცია, რომელსაც განიცდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ექსპორტიორი ქვეყნები. სესხი მიეცემათ მხოლოდ ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრ ქვეყნებს.

9. ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებასთან შექმნილია სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო ფონდები, როგორიცაა: რეგიონალური განვითარების ევროპის ფონდი, სავალუტო თანამშრომლების ევროპის ფონდი და სხვა. ეს ფონდები მიზნად ისახავს თანამეგობრობის ქვეყნების ურთიერთეკონომიკური დახმარების ამოცანებს და ახორციელებენ სხვადასხვა შინაარსის საკრედიტო ოპერაციებს.

უკანასკნელ დროს მსოფლიოში შეიმჩნევა **ევროპული ბაზრების** დაახლოვების დინამიკური პროცესები. ინტენსიურად ფართოვდება **საფინანსო-საკრედიტო სისტემების ურთიერთკავშირები,** კონვენტირებადი ეროვნული ვალუტის მიმოქცევის მასშტაბები და სხვა. ამ პროცესებში გარკვეულ როლს ასრულებს არა მარტო საერთაშორისო საფინანსო საკრედიტო ინსტიტუტები, არამედ სხვა სახის ეკონომიკური ასოციაციები და ორგა ნიზაციები.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების **სრულყოფის** საკითხებს აწესრიგებს ბევრი სხვა დაწესებულება და ორგანიზაცია. საქართველოს რესპუბლიკა ზემოთ ჩამოთვლილ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან დღენიადაგ აფართოებს კონტაქტებს და აქტიურად თანამშრომლობს მათ საქმიანობაში.

ამრიგად, მსოფლიო ეკონომიკაში საგადამხდელო და საანგარიშსწორებო ოპერაციები სავალუტო სისტემის მეშვეობით ხორციელდება, ამიტომ საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მას მეტად მნიშვნელობა ენიჭება. საერთაშორისო სავალუტო სისტემა წარმოადგენს სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ფორმების ერთობლიობას, რომლის **კომპონენტებია:** ეროვნული ვალუტები, ეროვნული და კოლექტიური სავალუტო ფონდები, სავალუტო პარიტეტები და კურსები, საერთაშორისო ლიკვიდური აქტივები, საერთაშორისო ანგარიშსწორება და სავალუტო შეზღუდვები, სავალუტო ბაზრები, ოქროს მსოფლიო ბაზარი და ა. შ.

ვალუტების კურსები ყალიბდება მსოფლიო სავალუტო ბაზართა მრავალი ფაქტორის გავლენით. მათ პირობითად ყოფენ გრძელვადიან, საშუალოვადიან და მოკლევადიან ფაქტორებად. სახელმწიფო მოწოდებულია, დაარეგულიროს **ვალუტის კურსი.** მსოფლიო პრაქტიკაში

ცნობილია ვალუტის კურსის დარეგულირების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. თითოეული ქვეყნის ვალუტის კურსსა და სავალუტო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს საგადასამხდელო ბალანსისა და სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა. ქვემოთ განვიხილოთ მათი არსი და საგარეო ურთიერთობების განვითარების ასპექტები. საერთაშორისო ოპერაციების მონაწილენი ხშირად დამატებით სასესხო კაპიტალს საჭიროებენ, რომლის დაკმაყოფილება **საერთაშორისო კრედიტის** მეშვეობით ხორციელდება, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი საერთო პრინციპებზე ფუნქციონირებს, ექსპორტისა და იმპორტის დაკრედიტების ფორმები ჩვეულებრივისაგან რამდენადმე განსხვავებულია.

ექსპორტის დაკრედიტება შემდეგი ფორმით **ხორციელდება: ა) შეძენითი ავანსების ფორმით,** რომლებიც დამკვეთის ვალდებულებების უზრუნველყოფის ფორმას ემსახურება და და ექსპორტ კაპიტალს ადიდებს და **ბ)** საბანკო დაკრედიტების ფორმით ექსპორტიორის საქონლის ქვეშ კრედიტების, გზაში მყოფი საქონლის ქვეშ სესხების, საბანკო კრედიტების (არაუზრუნველყოფილები) სახით.

კომერციული ან ფირმისეული კრედიტების სახით **იმპორტის დაკრედიტებას** შემდეგი **ფორმით** ახორციელებენ: **ა) კრედიტი ღია ანგარიშის მიხედვით,** რომელთა მიწოდება შეთანხმების თანახმად რეგულარული მოწოდებისას და დავალიანების პერიოდულ დაფარვის შემთხვევაში ხორციელდება. რისკის შემცირებისათვის ასეთი ოპერაციები ჩვეულებრივად დაზღვეული უნდა იქნეს, და **ბ) სათამასუქო კრედიტი ფორმით,** როდესაც ექსპორტიორი გარიგების დამთავრებისთანავე იმპორტიორზე გადასაყვან თამასუქის ტრატტას წარუდგენს (წაუყენებს), რომელიც საქონლის მიღებისთანავე თამასუქის აქცეპტირებას ახორციელებს, ანუ მისი ვადაში გადახდის ვალდებულებას თავის თავზე იღებს.

საბანკო კრედიტი იმპორტთან მიმართებაში ჩვეულებრივად ექსპორტიორი თამასუქის გადასახდელად **აქცეპტური კრედიტის ფორმით ხორციელდება.** თუ კი გარიგებაში იმპორტიორის ბანკი, როგორც გარანტი ღებულობს მონაწილეობას, მაშინ კრედიტს **აქცეპტურ-რამბურსულს** უწოდებენ.

საგადასახდელო ბალანსი (balance of paument) არის ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც ასახავს თანაფარდობას მოცემული ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსავლებსა და სხვა ქვეყნებისთვის გადახდილ თანხებს შორის გარკვეულ მონაკვეთში. საგადასახდელო ბალანსი შედგება სამი მთავარი განყოფილებისაგან: **1)** მიმდინარე ოპერაციების ანგარიში (ბალანსი); **2)** კაპიტალის ოპერაციებთან დაკავშირებული ანგარიში (ბალანსი); **3)** ანგარიშსწორებები ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მიხედვით.

მსოფლიო რანგის ქართველი მეცნიერ-მკვლევარი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და ნოვატორი მეცნიერ-ეკონომისტი, აკადემიკოსი, ბატონი იაშა (იაკობ) მესხია განიხილავს რა, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის ფორმირების მეთოდოლოგიასა და პრაქტიკას, აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახდელო ბალანსი შედგება ორი ნაწილისაგან: 1. მიმდინარე ანგარიში; 2. კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში, სადაც ***მეთოდოლოგიური* სტანდარტები** შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: **1) საგადასახდელო ბალანსი** ასახავს რეზიდენტებისა და არარეზიდენტებს შორის განხორციელებულ ოპერაციებს; **2) ეკონომიკური ერთეული** ითვლება რეზიდენტად, თუ მისი ეკონომიკური ინტერესის ცენტრი და მუდმივი ადგილმდებარეობა არის ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მოქალაქეობა მხედველობაში არ მიიღება; **3)** ***ეკონომიკური ტერიტორია*** შედგება სახელმწიფო ადმინისტრაციული ტერიტორიისაგან, სადაც ადამიანები, საქონელი და კაპიტალი თავისუფლად მოძრაობენ და ემორჩილებიან ერთიან ფისკალურ და მონეტარულ ხელისუფლებას. იგი მოიცავს: საჰაერო სივრცეს, ტერიტორიულ წყლებს, ტერიტორიებს საერთაშორისო წყლებში, სადაც ქვეყანა სარგებლობს ექსკლუზიური უფლებებით, ტერიტორიულ ანკლავებს სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (საელჩოები, საკონსულოები, სამხედრო ბაზები, თავისუფალი ზონები და ა. შ.). ამავე დროს მოცემული ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიად არ ჩაითვლება სვა ქვეყნების ტერიტორიული ანკლავები, რომლებიც აღნიშნული ქვეყნის გეოგრაფიულ ტერიტორიაზე მდებარეობს და სხვ.[44].

---

[44] მესხია ი. საერთაშორისო ვაჭრობა. სახელმძღვანელო. -თბილისი, 2011. -476 გვ.

საგადასახდელო ბალანსის მუხლების შემადგენელი ნაწილებია:

1) საქონელი – მოიცავს ტრანზაქციებს, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ექსპორტ-იმპორტთან და გამოხატავს რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის საკუთრების ცვლილებას.

2) მომსახურება – მოიცავს ყველა სახის მომსახურებას, რასაც უწევენ რეზიდენტები არარეზიდენტებს და პირიქით (სატრანსპორტო მომსახურება: საჰაერო, საზღვაო, სარკინიგზო, საავტომობილო, მილსადენი და ა. შ.): ტურისტული, საკომუნიკაციო, ფინანსური, და ასევე სხვა მომსახურება;

3) შემოსავალი – მოიცავს ორი ტიპის ფულად ნაკადს: მუშაკთა შრომის ანაზღაურებას ხელფასისა და სხვა სარგებლის სახით. ეს ანაზღაურება ასევე მოიცავს გადასახადებს, რომლებსაც იხდის დაქირავებული მუშაკი მასპინძელ ქვეყანაში, რაც აღირიცხება როგორც საპირისპირო ჩანაწერი მიმდინარე ტრანსფერტების მუხლში. დაქირავებულის დანახარჯები მასპინძელ ქვეყანაში აღირიცხება, როგორც მოკორესპონდენტო ჩანაწერი ტურისტული მომსახურების მუხლში; საინვესტიციო შემოსავალს, რომელიც მოიცავს რეზიდენტის საგარეო ფინანსური აქტივების ფლობიდან მისაღებ შემოსავალს ან გადასახდელებს არარეზიდენტის მიმართ არსებულ ვალდებულებებზე. საინვესტიციო შემოსავალი მოიცავს შემოსავალს პირდაპირი ინვესტიციებიდან, სხვა ინვესტიციებიდან და სარეზერვო აქტივებიდან.

4) ტრანსფერტები – არის დამაბალნსებელი ჩანაწერი რეალური ან ფინანსური აქტივების ერთი ეკონომიკიდან მეორე ეკონომიკაზე ცალმხრივად გადაცემის დროს. იყოფა მიმდინარე და კაპიტალურ ტრანსფერტებად, რაც თავის მხრივ შედგება სამთავრობო და სხვა სექტორის ტრანსფერტებისგან. მიმდინარე ტრანსფერტია ჰუმანიტარული და ტექნიკური დახმარება, ხოლო კაპიტალური ტრანსფერტია კრედიტორების მიერ ვალის ჩამონერა, მიგრანტების ტრანსფერტები.

5) პირდაპირი ინვესტიცია – გულისხმობს ამა თუ იმ ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულის (პირდაპირი ინვესტორი) გრძელვადიან ინტერესს სხვა ეკონომიკის რეზიდენტ ერთეულში (პირდაპირი ინვესტორების საწარმო). ეს უკანასკნელი არის ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების ან ხმის უფლების 10%-ს ან მეტს (კორპორაციული საწარმოს შემთხვევაში). ან ექვივალენტურ ძალაუფლებას (არაკორპორაციული საწარმოს შემთხვევაში).

6) პორტფელის ინვესტიცია – შეიძლება იყოს აქციების სახით (როდესაც ინვესტორი ფლობს აქციების 10%-ზე ნაკლებს) ან სავალო ფასიანი ქაღალდების სახით, რაც, თავის მხრივს, იყოფა ობლიგაციებად და ფულადი ბაზრის ინსტრუმენტებად.

7) ფინანსური ნარმოებულები – ფინანსური ინსტრუმენტები, მიბმული კონკრეტულ ფინანსურ აქტივებზე ანუ ტრანზაქციები: სვოპი, ოფციონები, სადეპოზიტო გარანტიები და ა. შ.

8) სხვა ინვესტიციები – იყოფა სავაჭრო კრედიტებად, ნაღდ ფულად და დეპოზიტებად, სესხებად და სხვა აქტივებად და ვალდებულებებად;

9) სარეზერვო აქტივი – არის მონეტარული ხელისუფლების განკარგულებაში არსებული ფინანსური აქტივები და გამოიყენება საგადასახდელო ბალანსის რეგულირებისათვის.

ცხრ. 4.19.

ცხრ. 3.19. საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2005-2010 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)

	2005	2006	2007	2008	2009	2010
მიმდინარე ანგარიში	-709, 5	-1174, 6	-2009, 2	-2915, 1	-1210, 4	-1122, 1
ა. საქონელი	-1214, 2	-2019, 4	-2895, 8	-3833, 2	-2398, 8	-2572, 3
კრედიტი	1472, 4	1666, 5	2088, 3	2428, 0	1893, 6	2462, 2
დებეტი	-2686, 6	-3685, 9	-4984, 1	-6261, 2	-4292, 5	-5034, 5
ბ. მომსახურება	83, 5	158, 0	161, 3	22, 7	339, 7	534, 1
კრედიტი	715, 0	885, 0	1094, 1	1260, 4	1313, 6	1601, 5

დებეტი	-631, 5	-727, 0	-932, 8	-1237, 8	-973, 8	1067, 3
გ. შემოსავალი	62, 1	162, 8	37, 0	-165, 7	-118, 0	-183, 3
კრედიტი	263, 3	341, 1	481, 6	488, 6	422, 6	416, 0
დებეტი	-201, 2	-178, 4	-444, 6	-654, 3	-540, 7	-599, 4
დ. მიმდ. ტრანსფერტები	359, 0	523, 9	688, 5	1061, 2	966, 8	1099, 2
კრედიტი	413, 4	587, 0	768, 5	1142, 8	1037, 8	1184, 7
დებეტი	-54, 4	-63, 0	-80, 0	-81, 7	-71, 0	-85, 4
კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში	682, 8	1240, 6	2043, 2	2962, 8	1159, 6	1097, 6
კაპიტალის ანგარიში	58, 6	171, 2	127, 6	104, 8	182, 6	206, 0
კრედიტი	61, 6	172, 2	127, 9	104, 9	182, 6	206, 2
დებეტი	-2, 9	-1, 0	-0, 3	-0, 1	-1, 1	-1, 5
ფინანსური ანგარიში	624, 2	1069, 4	1915, 6	2858, 0	977, 1	891, 5
ა. პირდაპ. ინვესტიციები	542, 2	1185, 9	1674, 9	1523, 0	659, 4	542, 9
საზღვარგარეთ	89, 5	15, 8	-75, 3	-41, 0	1, 0	-5, 8
საზღვარგარეთიდან	452, 8	1170, 1	1750, 2	1564, 0	658, 4	548, 8
ბ. პორტფელის ინვესტიციები	15, 5	140, 3	21, 1	623, 6	12, 0	267, 0
აქტივები	13, 1	-2, 2	-12, 5	-2, 3	1, 1	-0, 6
პასივები	2, 4	142, 5	33, 6	625, 9	13, 2	267, 7
გ. ფინანსური წარმოებულები	0, 0	0, 0	1, 1	7, 8	5, 6	0, 7
აქტივები	0, 0	0, 0	1, 2	11, 1	11, 0	1, 7
პასივები	0, 0	0, 0	-0, 2	-3, 3	-5, 4	-0, 9
დ, სხვა ინვესტიციები	177, 1	181, 8	595, 5	834, 4	921, 4	288, 7
აქტივები	-16, 2	-51, 8	-202, 3	-266, 0	191, 4	-372, 9
პასივები	193, 3	233, 6	797, 9	1100, 3	730, 0	661, 6
ე. სარეზერვო აქტივები	-110, 6	-438, 6	-377, 0	-130, 8	-616, 4	-107, 9
წმინდა შეცდომები და გამოტოვებები	26, 7	-65, 9	-34, 0	-47, 6	50, 7	24, 5
განსაკუთრებული დაფინანსება – სულ	142, 5	116, 2	178, 7	1015, 0	-38, 8	95, 6

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2005-2010 წლებისათვის (იხ. ცხრ. 3.19). დინამიკის ანალიზით, უკანასკნელ წლებში საქართველოს მიმდინარე ოპერაციების ანგარიში დეფიციტურია. ამას მნიშვნელოვანწილად საქონლით საგარეო ვაჭრობა განსაზღვრავს, ამიტომაც იგი უარყოფითი სალდოთი ხასიათდება. საყურადღებოა, რომ 2010 წელს მიმდინარე ოპერაციების უარყოფითი სალდო მნიშვნელოვნად შემცირდა. მომსახურების ექსპორტმა 1 601, 6 მილიონ აშშ დოლარს მიაღწია, რაც 21, 9%-ით მეტი იყო წინა წელთან შედარებით. მნიშვნელოვანი დადებითი ბალანსით ტურისტული მეურნეობა გამოირჩეოდა, რომელმაც ბოლო წლებში ზრდის ტენდენცია შეიძინა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 2010 წლის მონაცემებით გაუმჯობესებისაკენ იხრება. კერძოდ, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანაფარდობამ მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ შეადგინა 9, 6%, რაც მნიშვნელოვნად მცირეა წინა წლებთან შედარებით, 2009 წელს იგი შეადგენდა 11, 3%, ხოლო 2008 წელს-22, 8%-ს. მომავალში საჭიროა ამ ტენდენციის შენარჩუნება. ამრიგად, საგადასახდელო ბალანსი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი სტატისტიკური დოკუმენტია, რომელშიც საკმაოდ ნათლად აისახება მისი არა მარტო საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილეობის აქტიურობა, არამედ სა-

შინაო ეკონომიკური მდგომარეობაც, რაც სახელმწიფოს სტრუქტურებს, საერთოდ ხელისუფლებას ბევრი საგულისხმო დასკვნის გაკეთების საშუალებას აძლევს.

16.2 სავალუტო რისკის ტიპები და მართვა

სავალუტო რისკის არსი (ქვემოთ მოცემულია სავალუტო რისკის სქემა, ნახ. 3.23). ცნობილია, რომ სავალუტო რისკი წარმოიქმნება იმ კომპანიებისთვის, **რომლებიც საგარეო ვაჭრობას ეწევიან.** კერძოდ:

ა) რხევადი სავალუტო კურსების სისტემაში:

უფლებამოსილი პირების მიერ, მათი მხრიდან ჩარევის გარეშე, ნებადართულია მოთხოვნა-მიწოდების ძალების მიერ სავალუტო კურსების უწყვეტი ცვლილება;

განსაზღვრული არ არის ვალუტის სამომავლო ღირებულება, სხვა ვალუტასთან მიმართებაში;

ზემოქმედება მოხდება საგარეო ვაჭრობის ღირებულებაზე.

ბ) უცხოური ვალუტის გაუფასურება და გამყარება. როდესაც ხდება უცხოური ვალუტის გაუფასურება და გამყარება როდესაც ხდება უცხოური ვალუტის **გაუფასურება,** იგი უფრო ნაკლებად ღირებულია ადგილობრივ ვალუტასთან მიმართებაში, კერძოდ:

1) შემოსავლები – არასასურველი მიმართულება – ნაკლებს მიიღებთ ადგილობრივ ვალუტაში;

2) გადახდები – სასურველი მიმართულება – ნაკლებს გადაიხდით ადგილობრივი ვალუტით, ხოლო უცხოური ვალუტის გამყარების შემთხვევაში, მისი ღირებულება ადგილობრივ ვალუტაში უფრო მეტია, კერძოდ: ა) შემოსავლები – სასურველი მიმართულება – მეტს მიიღებთ ადგილობრივ ვალუტაში; ბ) გადახდები – არასასურველი მიმართულება – მეტს გადაიხდით ადგილობრივ ვალუტაში.

გ) სავალუტო პრობლემები

ვალუტის გამყარების დროს კომპანიები ჩივიან, რომ თავიანთ პროდუქციას ვეღარ ყიდიან საზღვარგარეთ, ხოლო მუშებს აღელვებთ სამუშაოს დაკარგვის საშიშროება. ვალუტის გაუფასურების დროს უკვე მომხმარებლები არ არიან ბედნიერები, რადგან მათ ქვეყანაში ინფლაციის იმპორტი ხდება, ხოლო მათი საზღვარგარეთ ყოფნისას ფული ბევრად ნაკლები მოგზაურობის საშუალებას აძლევს.

დ) სავალუტო კურსების სისტემები

მსოფლიოს ისეთი წამყვანი ვალუტების კურსები, როგორიცაა: ამერიკული დოლარი; იაპონური იენი; დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი; ევროპული ევრო მუდმივად იცვლებიან ერთმანეთთან მიმართებაში. თუმცა, ვალუტათა მხოლოდ მცირე რაოდენობა იყენებს ამ სისტემას. სავალუტო კურსის უმთავრესი სისტემებია:

ა) ფიქსირებული სავალუტო კურსები;


ბ) თავისუფლად რხევადი სავალუტო კურსები;

გ) სავალუტო კურსები კონტროლირებადი რხევებით.

სავალუტო რისკის ტიპები:

ა) საოპერაციო რისკი. საოპერაციო რისკი არის ოპერაციის ჩატარებისა და შესაბამისი ანგარიშსწორების თარიღებს შორის დროის პერიოდში სავალუტო კურსის ცვლილების რისკი. ე. ი. ეს არის ვალუტის კონვერტაციისაგან წარმოქმნილი მოგება ან ზარალი; **ბ) ეკონომიკური რისკი.** ეკონომიკური რისკი არის, სავალუტო კურსების მოულოდნელი ცვლილებების გამო, საქმიანობის (ფულადი სახსრების სამომავლო ნაკადის მიმდინარე ღირებულება) ღირებულების ცვალებადობა. ეს არის საოპერაციო რისკის გრძელვადიანი ვერსია. იმ კომპანიისთვის, რომელიც ექსპორტს ეწევა, ამ რისკს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც: 1) ადგილობრივი ვალუტა გამყარდება იმ ვალუტასთან მიმართებაში, რომელშიც ეს კომპანია ვაჭრობს; 2) კონკურენტების ადგილობრივი ვალუტა გაუფასურდება იმ ვალუტასთან მიმართებაში, რომელშიც ეს კომპანია ვაჭრობს. **გ) გადაანგარიშების რისკი.** ეს არის რისკი იმისა, რომ სავალუტო კურსების ცვლილების გამო, საზღვარგარეთ არსებული შვილობილი კომპანიის საანგარიშგებო

მაჩვენებლები, გამოსახული ადგილობრივ ვალუტაში, მახინჯდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს (სათავო კომპანიის წარსადგენ ვალუტაში გადაანგარიშებისას). დ) **გადახდების ბალანსი, და ე) კაპიტალის დინება ქვეყნებს შორის.**



ნახ.3.23. საგალუტო რისკის მართვის სქემა.

სავალუტო კურსის უმთავრესი ფუნქციაა ერთ ვალუტაში გამოსახული ფასების სხვა ვალუტაში გადაანგარიშების საშუალებების უზრუნველყოფა, რაც იმაში გამოიყენება, რომ სავალუტო კურსი, გარკვეულწილად, დგინდება ამ ფასებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით. ეს მიიღება „ერთი ფასის კანონიდან". თუ ამ კანონს გამოვიყენებთ საერთაშორისო ოპერაციებისათვის, იგი გულისხმობს, რომ სავალუტო კურსები ყოველთვის ისე დაკორექტირდება, რომ მხოლოდ ერთი ფასი იარსებებს იმ ქვეყნებს შორის, რომელთა შორისაც შედარებით თავისუფალი ვაჭრობაა.

ამრიგად, მსყიდველუნარიანობის პარიტეტის თეორიის მოდელის მეშვეობით, სავალუტო კურსის დადგენის პროგნოზირება ხდება იმ ფაქტის საფუძველზე, რომ, როდესაც ქვეყანაში ინფლაციის უფრო სწრაფი დონეა, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, მაშინ ამ ქვეყანაში მოხდება მისი სავალუტო კურსის გაუფასურება. აქედან გამომდინარე, თუ შესაძლებელია ინფლაციის მაჩვენებლის წინასწარგანჭვრეტა, შესაძლებელი იქნება სავალუტო კურსის განსაზღვრაც. კომპანიისათვის, რამდენადაც სავალუტო რისკი მნიშვნელოვანია, ამისთანავე კომპანიამ უნდა იზრუნოს მის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად, რისკის (ან რისკის საფრთხის) ჰეჯირების მეთოდის გამოყენებით.

სავალუტო რისკის მართვის პრაქტიკული მეთოდები მოიცავს:

1) საქმიანობას ადგილობრივ ვალუტაში– ყველა მომხმარებელს დაჟინებით მოსთხოვოთ, რომ გადაგიხადოთ ადგილობრივ ვალუტაში, ხოლო თქვენ ყველა იმპორტზე ანგარიშსწორება მოახდინოთ ადგილობრივ ვალუტაში;

2) არაფრის გაკეთებას – ეს მეთოდი ვარგისია მცირე მოცულობის შემთხვევითი ოპერაციებისათვის და ახდენს საოპერაციო დანახარჯების ეკონომიას;

3) შენელებას, როდესაც იმპორტიორი ელის, რომ გადასახდელი ვალუტა გაუფასურდება, იგი შეიძლება შეეცადოს თანხის გადახდის გადავადებას;

4) შეთანადებას (დაბალანსებას) – როდესაც კომპანიას ფულადი შემოსავლები და გადახდები ერთდროულად აქვს ერთსა და იმავე უცხოურ ვალუტაში, მას შეუძლია მარტივად შეუსაბამოს ისინი ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელი იქნება გარიგებების დადება სავალუტო ბირჟაზე მხოლოდ მთლიანი ოპერაციებიდან შეუსაბამოდ დარჩენილ ნაწილზე.

5) უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშების გამოყენებას – როდესაც ფირმას რეგულარულად აქვს ფულადი შემოსავლები და გადახდები ერთსა და იმავე ვალუტაში, მან შეიძლება არჩიოს უცხოურ ვალუტაში საბანკო ანგარიშების გამოყენება. ეს მოქმედებს, როგორც შესაბამისობაში მოყვანის მუდმივი პროცესი. სავალუტო რისკის საფრთხე შემოისაზღვრება მხოლოდ ანგარიშზე არსებული წმინდა ნაშთით.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმისაწვდომია ჰეჯირების სხვა ფორმები ფორვარდული სავალუტო კონტრაქტები წარმოადგენს ჰეჯირების ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდს. ფორვარდული სავალუტო კონტრაქტები მრავალმხრივ გამოიყენება სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული საფრთხეების ჰეჯირებისათვის, რომლის უპირატესობებია:

ა) მოქნილობა, კონტრაქტით გათვალისწინებულ მოცულობებთან დაკავშირებით; ბ) შედარებით ადვილია გასაგებად და ორგანიზებისათვის. ნაკლოვანებებია: ა) საკონტრაქტო ვალდებულება, რომელიც უნდა შესრულდეს გარკვეული თარიღისათვის (გაურკვევლობის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იყოს ფორვარდული კონტრაქტი შესრულების თარიღის შერჩევის უფლებით); ბ) სავალუტო კურსების ხელსაყრელი ცვლილებების შემთხვევაში, სარგებლის მიღების შესაძლებლობა აღარ არსებობს.

16.3. საგარეო ვაჭრობა, როგორც საბაჟო-საგადასახადო ურთიერთობათა ფორმირების საფუძველი

თანამედროვე მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება და მასთან დაკავშირებული კატაკლიზმები ობიექტურად მოითხოვენ ინტეგრაციული პროცესების შემდგომ გაღრმავებას, რომელიც ეროვნული სამეურნეო ცხოვრების აღორძინების საწინდარია. შესაბა-

მისად, თანამედროვე ეპოქაში ფართოდ განვითარებულმა ტრანსნაციონალურმა ეკონომიკამ, რომელმაც ეროვნული სანარმოებიც კი გააერთიანა, ხელი შეუწყო **მსოფლიო ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციას.** ეს უკანასკნელი მოიცავს კაპიტალის გატანას, საგარეო ვაჭრობას, მეცნიერულ-ტექნიკურ გაცვლას. საკაცობრიო პრობლემებმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ფორმირების აუცილებლობა.

საგარეო ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მიერ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების განვითარების შეფასებისათვის ეროვნულ-ანგარიშიანობის (სტატისტიკის) პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების მატარებელი დოკუმენტები, როგორიცაა **საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსები.** სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება უწინარეს ყოვლისა, ასახვას პოულობს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებში. შესაბამისად, საგადამხდელო ბალანსის იმ ნაწილს, რომელიც ასახავს მხოლოდ **ექსპორტისა და იმპორტის** თანაფარდობას სავაჭრო ბალანსი ეწოდება. **სავაჭრო ბალანსი აქტიურია,** როცა ექსპორტი (საქონლის გატანა) აჭარბებს იმპორტს (საქონლის შემოტანას) და სავაჭრო ბალანსი **პასიურია** (დეფიციტურია), როცა იმპორტი აჭარბებს ქვეყნიდან გატანილ ნაწარმს – ექსპორტს.

საგადამხდელო ბალანსის ანგარიშსწორებები ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მიხედვით მოიცავს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის კომერციულ საქმიანობასთან. ამასთანავე, მას გარკვეული წელილის შეტანა შეუძლია საგადამხდელო ბალანსის აქტიური და პასიური სალდოს ჩამოყალიბებაში. საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შემდეგი ამოცანების გადაწყვეტაში, **როგორიცაა:**

1) ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე მონაცემების სრული და უტყუარი აღრიცხვა; 2) საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი საერთო მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზთან კავშირში; 3) ქვეყნის საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი; 4) საბაჟო საკანონმდებლო აქტების მომზადებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების, სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ოპერაციულ-კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად სათანადო ინფორმაციების მოპოვება და მიწოდება; 5) სავალუტო კონტროლის განხორციელება და სხვა, მნიშვნელოვანია საგარეო ვაჭრობის (საბაჟო სტატისტიკის) წარმოება, რომელიც დაკვირვებისა და შესწავლის საგნად გვევლინება **ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ბრუნვა,** ე. ი. საქონელთა ექსპორტ-იმპორტის რაოდენობრივ-ღირებულებითი შეფასება და მათი გეოგრაფიული მიმართულების მიხედვით აღრიცხვა (პრინციპით „საქონელი – ქვეყანა", „ქვეყანა – საქონელი"), რომელმაც ასახვა პოვეს საქართველოს საბაჟო კოდექსში. საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის წარმოების დოკუმენტურ საფუძველს შეადგენს ინფორმაცია, რომელიც ასახულია აღრიცხვის პირველად დოკუმენტში – სატვირთო საბაჟო დეკლარაციაში (სსდ – *ГТД – Грузовая Таможенная Декларация).* **განასხვავებენ სამი ტიპის დეკლარაციას:** 1. საექსპორტო საქონლის დეკლარაციას; 2. საიმპორტო საქონლის; 3. სატრანზიტო საქონლის დეკლარაციებს. ასევე ის **საქონელი, რომელიც თავდაპირველად შემოტანილი იყო როგორც სპეციალური იმპორტი.**

გაეროს სტატისტიკური კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად სასურველია საბაჟო სტატისტიკაში „საერთო" ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების, აღრიცხვის მეთოდის გამოყენება, რადგანაც „საერთო სისტემის" დროს აღირიცხება ყველა შემოსული საქონლის სრული მოცულობა.

საბაჟო სტატისტიკაში გამოიყოფა საქონელთა შემდეგი კატეგორიები:

1) ქვეყნის იმპორტი და 2) ქვეყნის ექსპორტი. ამასთანავე, **გამოყოფენ საქონლის სამ კატეგორიას:** ა) საქონელი, რომელიც ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკურ აღრიცხვაში ჩართვას; ბ) საქონელი, რომელიც ექვემდებარება საგარეო ვაჭრობის სტატისტიკიდან მის ამოღებას; გ) საქონელი, რომელიც ცალკე აღირიცხება.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის, მისი საერთაშორისო კავშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებლად გვევლინება საგარეო სავაჭრო **ბრუნვის ღირებულებითი შეფასება.** ასევე, ექსპორტისა და იმპორტის ღირებულება ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

მოწოდების კომერციული თავისებურებიდან გამომდინარე, ფასი ანგარიშფაქტურაში, რო-

მელსაც მიუთითებს გამყიდველი მყიდველს, ანალოგიურ საქონელზე განსხვავებულია, რამდენადაც საქონლის მოძრაობისას მისი მწარმოებლისგან მომხმარებლამდე – საწყის ღირებულებას ემატება ხარჯები მის გადაზიდვაზე, დაზღვევაზე და დანარჩენ ზედნადებ ხარჯებზე. ყველა საექსპორტო საქონელზე შესადარი ფასების მისაღებად აუცილებელია მათი დაყვანა ერთიან ბაზისურ ფასამდე. საქონლის მიწოდება ერთი ქვეყნიდან მეორეში იწარმოება საგარეო ვაჭრობის კონტრაქტით, რომელიც დაიდება სავაჭრო ტერმინების განმარტების წესების (**„ინკოტერმსის“) რეგლამენტით.**

მნიშვნელოვანია საგარეო ეკონომიკური კავშირების ანალიზისათვის მათი განვითარების ტენდენციებსა და განვითარების პერსპექტივების მაჩვენებელთა გამოსავლენად ისეთი მაჩვენებლის განსაზღვრა, როგორიცაა საქონელბრუნვის გეოგრაფიული განაწილება.

„ქვეყანა კონტრაგენტის“ სხვადასხვაგვარად გააზრების მიზეზია ის, რომ მაჩვენებლები, რომლებსაც აქვეყნებენ „ქვეყანა იმპორტიორი“ და ქვეყანა ექსპორტიორი“, შეუდარისობით ხასიათდებიან, **საერთაშორისო სტატისტიკაში** გამოიყენება **სამი ძირითადი მეთოდი,** რომელთა მეშვეობითაც ქვეყანა კონტრაგენტები დაჯგუფებულია შემდეგნაირად: 1) საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საქონლის დანიშნულების ქვეყანა; 2) ქვეყანა მყიდველი და ქვეყანა გამყიდველი; 3) ქვეყანა გადამტვირთავი და ქვეყანა მომწოდებელი. **საბაჟო სტატისტიკაში ქვეყნები კონტრაგენტებად ითვლებიან:** ა) შემოტანისას – საქონლის წარმოშობის ქვეყანა; ბ) გადატანისას – საქონლის დანიშნულების ქვეყანა.

საქართველოში ამჟამად ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებზე მონაცემების შეკრება, დამუშავება და გადმოცემა წარმოებს ორ რგოლიანი სისტემით – საბაჟო ორგანოების და საბაჟო დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის მიერ. საქართველოში საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტი და იმპორტი აღირიცხება ე. წ. **საგარეო ვაჭრობის აღრიცხვის საერთო სისტემით.** ამ შემთხვევაში აღრიცხვის ობიექტია ყველა საქონელი (ბრუნვაში მყოფი სავალუტო ფასეულობების გარდა), რომლის გატანა ან შემოტანა ამცირებს ან ზრდის ქვეყნის მატერიალურ რესურსებს. კონკრეტულად, **საერთო სისტემით აღრიცხული იმპორტი** მოიცავს ქვეყანაში შემოტანილი (გარდა დროებითი შემოტანის რეჟიმით შემოტანილის, საბაჟო საწყობში განთავსებულისა და განადგურების რეჟიმში განცხადებული საქონლისა) უცხოური საქონლის მთლიან მოცულობას, მიუხედავად მისი შემდგომი დანიშნულებისა – მოიხმარება ქვეყნის შიგნით თუ გათვალისწინებულია შემდგომი რეექსპორტისათვის.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკის ფორმირებისათვის საწყისი მონაცემების წყაროს წარმოადგენს ინფორმაცია, რომელსაც საქონლის საბაჟო გაფორმების დროს **დეკლარანტის** მიერ შევსებული **სატვირთო-საბაჟო დეკლარაცია** შეიცავს. კერძოდ: საანგარიშო პერიოდი; საქონლის ნაკადის მიმართულება (შემოტანა ან გატანა); წარმოშობის ქვეყანა შემოტანის დროს; დანიშნულების ქვეყანა გატანის დროს; პარტნიორი (მყიდველი, გამყიდველი) ქვეყანა; სტატისტიკური ღირებულება; საქონლის დასახელება და კოდი; ნეტო წონა; დამატებითი განზომილების ერთეულის დასახელება და კოდი; რაოდენობა დამატებითი განზომილების შესაბამისად; გარიგების ხასიათი. სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოება არის **საგარეო-სავაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მეთოდი.** სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას თან ახლავს რიგი დოკუმენტები (კონტრაქტი, საერთაშორისო-სატრანსპორტო ზედდებული, ანგარიშ-ფაქტურა, საქონლის წარმოების სერტიფიკატი, საქონლის ხარისხის სერტიფიკატი), რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან განხორციელდეს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ასახული ურთიერთშესადარი მონაცემების უტყუარობის კონტროლი.

საგარეო ვაჭრობის საბაჟო სტატისტიკაში საქონლის ექსპორტის და იმპორტის აღრიცხვა წარმოებს **ნატურალურ და ღირებულებით** გამოსახულებაში.

მსოფლიო სავაჭრო ბრუნვაში მყოფი საქონლის დიდი ნაწილი იზომება წონით ერთეულებში; ტონებში, ცენტნერებში, კილოგრამებში, ინგლისურ ფუნტებში. საქართველოში, აღრიცხვა წარმოებს ნეტო წონაში. განზომილების წონით ერთეულთან ერთად რაოდენობრივი აღიცხვის დროს გამოიყენება საქონლის ცალკეულის სახეობისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ზომის ერთეულები, მაგალითად: ლიტრი, ცალი, წყვილი, კვადრატული მეტრი, კუბური მეტრი და სხვა ერთეულები საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა, საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ღირებულებითი შეფასება საბაჟო

სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია. საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში გარიგებები ხორციელდება სხვადასხვა პირობებით და ამის მიხედვით გაყიდული (ნაყიდი) საქონლის ფასი შეიძლება იყოს სხვადასხვა. მაგალითად: ერთი და იგივე საქონელს მისი ყიდვის ადგილას ექნება სხვა ფასი, გაგზავნის ნავსადგურში სხვა (უფრო მაღალი), ხოლო მიღების ნავსადგურში კიდევ უფრო მაღალი ფასი, რადგან მწარმოებლიდან მომხმარებლამდე მოძრაობის პერიოდში საქონლის ღირებულება იზრდება ტრანსპორტირებისას, დაზღვევის და სხვა დამატებითი ხარჯების გამო. აქედან გამომდინარე ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის აღრიცხვა წარმოებს საქონლის **საბაჟო ღირებულებით.**

1999 წლის 6 ოქტომბერს საქართველო გახდა **WTO**-ს წევრი. საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის – **WTO**-ს შექმნის არსი და ამოცანაა ქვეყნებს შორის საბაჟო ბარიერების (უპირველეს ყოვლისა კი ტარიფების) დაწევა, გაუქმება და ამით მსოფლიო მასშტაბით საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის გაადვილება, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპის პრაქტიკაში საყოველთაო დანერგვა.

WTO-ს -ის მიზნების შესრულებით უპირველესად დაინტერესებულნი არიან განვითარებადი ქვეყნები, იმდენად, რამდენადაც **WTO**-ს პოლიტიკა მათ საშუალებას აძლევს თავისი საქონლით უფრო ადვილად შევიდნენ სხვა ქვეყნების შიდა ბაზარზე და ზოგჯერ, მოიპოვონ იქ მონოპოლური პოზიციები თავისი საქონლის მაღალი ხარისხისა და დაბალი ფასების ხარჯზე. რამდენადაც **WTO**-ს არ არის მხოლოდ განვითარებული ქვეყნების საერთაშორისო ორგანიზაცია, ის ვალდებულია თავისუფალი ვაჭრობის ზოგად პრინციპებს შეახამოს დანარჩენი განუვითარებელი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ნაციონალური ინტერესები. **WTO**-ს ასეთ (პროტექციონიზმის) პოლიტიკას ატარებს არა საერთოდ, ყველა განუვითარებელი, განვითარებული და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მიმართ, არამედ ინდივიდუალურად თითოეულ მათგანთან, თითოეულის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით. უდავოა, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრობას შეუძლია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის როგორც დაჩქარება, ისე დამუხრუჭება, იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად განავითარებს ქვეყანა თავის პრიორიტეტულ მიმართულებებს (სატრანსპორტო დერეფანი, ღვინის, მინერალური წყლების, ფერადი ლითონების, სუბტროპიკული კულტურების წარმოება, ტურიზმი და სხვ.)

ამრიგად, საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის ქართველ ექსპორტიორებს ხელისუფლების მხრიდან ესაჭიროებათ სერიოზული მხარდაჭერა, რათა ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ყველა არსებული შესაძლებლობა ევროკავშირის ბაზარზე ქართული ექსპორტის დამკვიდრებისთვის. ასევე, საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომიკის ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირის სივრცეში ბიზნესის დაბეგვრის ჰარმონიზების მიღწევა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან (WTO) მიმართებაში, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქვეყნის საბაჟო ორგანოების მართვის სრულყოფას და განამტკიცებს საქართველოს პოზიციებს **ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში.**

თანამედროვე ეპოქაში ფართოდ განვითარებულმა ტრანსნაციონალურმა ეკონომიკა, რომელმაც ეროვნული საწარმოებიც კი გააერთიანა, ხელი შეუწყო მსოფლიო ეკონომიკური კავშირების ინტენსიფიკაციას. Ეს უკანასკნელი მოიცავს კაპიტალის გატანას, საგარეო ვაჭრობას, მეცნიერულ-ტექნიკურ გაცვლას. საკაცობრიო პრობლემებმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ფორმირების აუცილებლობა.

როგორც უკვე აღინიშნა, თანამედროვე მსოფლიოში მრავალრიცხოვანია საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებსაც ამა თუ იმ ზომით თავიანთი წვლილი შეაქვთ ქვეყნებსშორისი ეკონომიკური კავშირებისა და თანამშრომლობის განვითარების ფასდაუდებელ საქმეში. მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო სისტემას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მსოფლიო ეკონომიკაში საგადამხდელო და საანგარიშსწორებო ოპერაციები, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებში მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

საგარეო ეკონომიკური კავშირების შემდგომი განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის მიერ საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთობების განვითარების შეფასებისათვის ეროვნულ-ანგარიშიანობის (სტატისტიკის) პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების არებელი დოკუმენტები, როგორიცაა **საგადამხდელო და სავაჭრო ბალანსები.**

სავაჭრო ურთიერთობებთან დაკავშირებული ანგარიშსწორება უწინარეს ყოვლისა, ასახვას პოულობს მიმდინარე ოპერაციების ანგარიშებში. შესაბამისად, საგადამხდელო ბალანსის იმ ნაწილს, რომელიც ასახავს მხოლოდ **ექსპორტისა** და **იმპორტის** თანაფარდობას **სავაჭრო ბალანსი** ეწოდება. **სავაჭრო ბალანსი აქტიურია,** როცა ექსპორტი სჭარბობს იმპორტს და სავაჭრო ბალანსი **პასიურია** (დეფიციტურია), როცა იმპორტი სჭარბობს ქვეყნიდან გატანილ ნაწარმს – ექსპორტს.

საგადამხდელო ბალანსის ანგარიშსწორებები ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების მიხედვით მოიცავს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის კომერციულ საქმიანობასთან. ამასთანავე, მას გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია საგადამხდელო ბალანსის აქტიური და პასიური სალდოს ჩამოყალიბებაში. საგარეო ვაჭრობის მდგომარეობის შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტაში, როგორიცაა: 1) ქვეყნის ექსპორტსა და იმპორტზე მონაცემების სრული და უტყუარი აღრიცხვა; 2) საგარეო ვაჭრობის სასაქონლო ნაკადის ძირითადი ტენდენციების, სტრუქტურისა და დინამიკის ანალიზი საერთო მაკროეკონომიკური სიტუაციის ანალიზთან კავშირში; 3) ქვეყნის საბაზრო კონიუნქტურის ანალიზი; 4) საბაჟო საკანონმდებლო აქტების მომზადებისა და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების, სახელმწიფოთაშორისი სავაჭრო მოლაპარაკებებისა და ოპერაციულ-კომერციული საქმიანობის უზრუნველსაყოფად სათანადო ინფორმაციების მოპოვება და მიწოდება; 5) სავალუტო კონტროლის განხორციელება და სხვა.

სატვირთო-საბაჟო დეკლარაციის წარმოება არის **საგარეო-სავაჭრო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი მეთოდი.** სატვირთო-საბაჟო დეკლარაციას თან ახლავს რიგი დოკუმენტები (კონტრაქტი, საერთაშორისო-სატრანსპორტო ზედდებული, ანგარიშ-ფაქტურა, საქონლის წარმოების სერტიფიკატი, საქონლის ხარისხის სერტიფიკატი), რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან განხორციელდეს სატვირთო-საბაჟო დეკლარაციაში ასახული ურთიერთშესადარი მონაცემების უტყუარობის კონტროლი.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის -WTO– ს ფუნქციებია:

ა) მრავალმხრივი სავაჭრო ხელშეკრულებების ზედამხედველობა და განხორციელება;

ბ) მრავალმხრივი სავაჭრო მოლაპარაკებების გამართვა;

გ) ქვეყნის შიგა სავაჭრო პოლიტიკის ზედამხედველობა;

დ) მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა.

მსოფლიო სავაჭრო სისტემის მთავარ პრინციპებიად გვევლინება:

1) ვაჭრობა დისკრიმინაციის გარეშე;

2) ქვეყნების ინტეგრაცია საერთაშორისო ბაზარზე;

3) კეთილსინდისიერი კონკურენციის წახალისება;

4) ეკონომიკური რეფორმებისა და განვითარებისთვის ხელშეწყობა.

იმავე დროს საბაჟო ტარიფები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს **საქართველოს** საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში **ინტეგრაციის დონეს.** კერძოდ, საქართველოს WTO-ში გაწევრიანების პირობად დადებულ იქნა მოთხოვნა რომ მოხდებოდა საქართველოს საბაჟო გადასახადების განაკვეთების მაქსიმალური ჰარმონიზაცია WTO-ს მოთხოვნებთან. გაწევრიანების თაობაზე გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებები. ასევე როგორც წესი საქართველო მოითხოვდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე გარკვეულ დათმობებს ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფებზე ბმულ ტარიფებში. საქართველო 1995 წლის 1 იანვრიდან GATT-ის წევრი იყო, 1996 წლის 26 ივნისიდან მოიპოვა WTO-ში დამკვირვებლის სტატუსი, 2000 წლის 14 ივნისიდან გახდა WTO-ს სრულუფლებიანი წევრი შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერით მიუხედავათ იმისა, რომ მთლიანობაში WTO-ში გაწევრიანების მოსალოდნელი დადებითი ფაქტორები იმდენად დიდია რომ ობიექტურად საქართველოს WTO-ში გაწევრიანებას სხვა გონიერი ალტერნეტივა არა აქვს. ასეთი უარყოფითი შედეგების თავიდან ასაცილებლად საქართველომ უაღრესად გონივრულად და ბოლომდე გათვლილად უნდა გამოიყენოს ის **შეღავათები,** რომელიც გაეწია საქართველოს WTO-ს მიერ და რომლითაც ქვეყანას შეუძლია დროებით გაზარდოს თავის მოქმედ 12% ტარიფებთან შედარებით განაკვეთებო ზოგიერთ საქონელზე ან **დააწესოს იმპორტის რაოდენობ-**

რივი შეზღუდვები, საგადასახადო ბალანსის საჭიროებიდან გამომდინარე და ოპტიმალურად გამოიყენოს მისთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის მინიჭებული **ადაპტაციის** უფრო გრძელვადიანი პერიოდი.

საგარეო ვაჭრობის საერთაშორისო წესების შემოღებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო **სავაჭრო პალატას. გაეროს წესდებით** მას აქვს საკონსტიტუციო ორგანოს სტატუსი, მაგრამ მისი მთელი რიგი რეკომენდაციები იმდენად ფასეულია, იმდენად უწყობს ხელს საერთაშორისო ვაჭრობას და ამარტივებს მას, რომ მთელი რიგი ქვეყნები და მოვაჭრე სუბიექტები საერთაშორისო სავაჭრო პალატის დოკუმენტებს აღიქვამენ როგორც საერთაშორისო წესებს და, ზოგჯერ ეროვნულ კანონებში აფიქსირებენ მათ ნორმებს. ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვების და მათი დაზღვევის წესები რეგულირდება **დარგობრივი საერთაშორისო კონვენციებით და შეთანხმებებით,** იგივე ეხება საერთაშორისო ვაჭრობის საბანკო უზრუნველყოფას. აქვე აღვნიშნავთ, რომ მანამდე საჭიროა ამთავითვე და შემდგომშიც გავმიჯნოთ და განვასხვავოთ ცნებები „მსოფლიო ბანკი" და „საერთაშორისო სავალუტო ფონდი", რაც ამ ინსტიტუტების მსგავსების გამო ხშირად აიგივებენ ან ერთმანეთში ერევიან.

„საერთაშორისო სავალუტო ფონდი" კი აკონტროლებს მსოფლიო სავალუტო სტაბილურობას, მეურვეობს ფონდის წევრი ქვეყნების ქცევას საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობებში და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ქვეყნებს ეროვნული ვალუტის გამყარებაში კრედიტების საშუალებით.

ურუგვაის რაუნდის მსვლელობისას ორგანიზაციული ხასიათის ცვლილებები განიცადა საბაჟო თანამშრომლობის საბჭომაც (Customs Cooperation Council) და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მსგავსად მას ეწოდა **მსოფლიო საბაჟო ორგანიზაცია** (World Customs Organisation). WTO-ში განევრიანების შედეგად აშშ-მ საქართველოს მოუხსნა ე. წ. **ჯექსონ-ვენიკის შესწორების** მოქმედება და მიანიჭა უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი მუდმივ ბაზაზე, შემდგომ კი – განზოგადებულ პრეფენციათა სისტემის (GSP) ბენეფიციარიეს სტატუსი, რომელიც დამატებით სატარიფო შეღავათებს ითვალისწინებს, საბაჟო ტარიფები კი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის დონეს.

ქვემოთ წარმოდგენილია **საბაჟო ტარიფების არსი და პოლიტიკის** ფორმირების ასპექტები, კერძოდ:

1. საბაჟო ტარიფები თითქმის ყოველთვის აქვეითებს კეთილდღეობის დონეს მოვაჭრე ქვეყნებში;

2. საბაჟო ტარიფები უმეტესად ამცირებს ყველა მოვაჭრე ქვეყნის, მათ შორის ამ ტარიფების შემოღების ინიციატორი სახელმწიფოს კეთილდღეობას;

3. როგორც წესი, მიზანთან, რომელსაც ტარიფების დაწესებით ვაღწევთ, შეიძლება სხვა გზითაც მივიდეთ, თანაც – უკეთესი შედეგებით;

4. თავისუფალი ვაჭრობის პილიტიკისგან **გადახრა** გამართლებულია შემდეგ შემთხვევებში:

ა) „ოპტიმალური ტარიფების" გამოყენება: იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნას ძალუძს მოახდინოს ზეგავლენა მსოფლიო ფასებზე, შეიძლება მოიძებნოს ტარიფის განაკვეთის დონე, რომელიც მას ნმინდა მოგებას მოუტანს;

ბ) ტარიფი, როგორც სუბოპტიმალური გადაწყვეტა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში შიდა პრობლემებია გადასაჭრელი, ტარიფების შემოღება შეიძლება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე ეკონომიკური პასიურობა;

გ) ცალკეული ნმინდა საგარეო-სავაჭრო პრობლემების გადაწყვეტისას საბაჟო ტარიფების შემოღება ზოგჯერ ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ ღონისძიებაზე ეფექტიანია;

დ) საბაჟო ტარიფი ყოველთვის ხელსაყრელია იმ საქონლის მწარმოებლთათვის, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დროს ერის ერთობლივი კეთილდღეობის დონე ეცემა.

როგორც ეკონომიკური **ლიტერატურის ანალიზი** მოწმობს, ამ საკითხის სათანადო დონეზე გადასაჭრელად, საჭიროა მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების უფრო სრული მოდელი, რომელიც ერთდროულად მოიცავს რამდენიმე დარგსა და **ბაზარს.** გაზომვის არსებული მეთოდების სრულყოფის ასპექტები გასული საუკუნის 50-იანი წლების დასასრულიდან ზოგი-

ერთმა ეკონომისტმა დაიწყო პრაქტიკაში საგარეო სავაჭრო ტარიფებითა და სხვა საჭირო შეზღუდვებით გამოწვეული დანაკარგების შეფასების სხვადასხვა მეთოდების გამოყენება იმის დასამტკიცებლად, რომ ტარიფის შემოღებით გამოწვეული დანაკარგები მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს, 1960 წელს გარი ჯონსონმა შემოგვთავაზა ამ სიდიდიდის გაზომვის ახალი ხერხი. რომლებიც ამტკიცებენ, რომ ტარიფით გამოწვეული წმინდა ეროვნული ზარალი უმნიშვნელო სიდიდეა, ამ დასკვნამდე მივიდნენ, მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მისი შეფარდების საფუძველზე. მთლიანი ეროვნული პროდუქტი წარმოადგენს უზარმაზარი სიდიდის ღირებულებით მაჩვენებელს, რომელთან შედარებითაც, სხვები უდავოდ „უმნიშვნელოდ" ჩანან. მაგალითად, აშშ-ის ზარალის შეფასება მეპ-ის სიდიდით, იმავდროულად შეადგენს მთელი იმპორტის 10-20%-ს.

მომხმარებლების დანაკარგები სჭარბობს წმინდა ეროვნულ დანაკარგებს. მომხმარებელთა დანაკარგები შეადგენენ a, b, c, d არეებს, მაშინ როდესაც წმინდა ეროვნულმა ზარალმა შეადგინა მხოლოდ (b+d) არეები. უფრო ხშირად სავაჭრო ბარიერები სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მატერიალურ მდგომარეობაზე; ამასთან, ერთობლივი ეფექტი შეიძლება მხოლოდ მოჩვენებით იყოს მცირე. შესაბამისად, სავაჭრო ბარიერების ზეგავლენა ქვეყნის შიგნით შემოსავლების გადანაწილების კუთხით უფრო მეტია, ვიდრე მისივე ზემოქმედება ერის კეთილდღეობაზე მთლიანად.

ცნობილია, რომ პროტექციონიზმი აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. ტარიფის შედეგების შეფასებისას ჩვეულებრივ იგულისხმება, რომ იგი არავითარ ზემოქმედებას არ ახდენს წარმოების ხარჯთა შემცირებისაკენ სამამულო მწარმოებელთა სწრაფვაზე და ზღვრული ხარჯების მრუდის ქვემოთ დაწევაზე. ბევრი მკვლევარი თვლის, რომ მწარმოებელთა ნებისმიერი დაცვა აქვეითებს ტექნოლოგიური სრულყოფის ძიების აღმძვრელ მოტივებს, რომელიც ხარჯების შემცირების საშუალებას მოგვცემდა. ასევე, შეიძლება შეუფასებელი დარჩეს ტარიფის გავლენა იმპორტის მოცულობის გაზომვაზე. ტარიფის გავლენის შეფასება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია მის თანმხლებ იმპორტის მოცულობის შემცირების სიდიდეზე. მაგრამ ეს უკანასკნელი ხშირად ხელოვნურად არის შემცირებული.

ქვემოთ მოყვანილია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის **პიტერ ლინდერტის** ფასების შეცვლაზე იმპორტის რეაგირების მუდმივი **შეუფასებლობის რამდენიმე მიზეზი, კერძოდ:**

„1) იმპორტის ფასისმიერი ელასტიკურობის ჩვეულებრივი სტატისტიკური შეფასებები, როგორც წესი, მოკლევადიანია, რომელიც გრძელვადიანზე დაბალია;

2) ჩვეულებრივ, ეს მაჩვენებლები ეფუძნება მსხვილი სასაქონლო ჯგუფების ანალიზს, რომელსაც მივყავართ ურთიერთშენაცვლების მაღალკოეფიციენტიანი ცალკეული სპეციფიკური პროდუქტების იმპორტის ფასისმიერი მგრძნობიარობის შეუფასებლობამდე;

3) საიმპორტო ფასების ნამდვილი დონის დადგენის პროცედურა ხშირად არაკორექტულია, რაც კვლავ ინვევს იმპორტის ფასისმიერი (და სატარიფო) ელასტიკურობის ხელოვნურ შემცირებას; და ბოლოს,

4) ელასტიკურობის ჭეშმარიტი მნიშვნელობის დადგენის სირთულე დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორების ერთდროულ გათვალისწინებასთან, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს იმპორტის ფასებსა და მოცულობაზე ტარიფების ზეგავლენის შეუფასებლობა".[45]

[45] იხ. ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა (თარგმნილი ინგლისურიდან), თბილისი., 2001.

თავი 17.


კორპორაციული ფინანსური რისკების მენეჯმენტის თავისებურებანი და მისი ოპტიმიზაციის გზები საქართველოში

17.1. კორპორაციის მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში

„კომპანიის საუკეთესო სტრატეგია არის ის,
რომელიც გამოხატავს მის უნიკალურ თავისებურებებს".
მაიკლ პორტერი

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსური მენეჯმენტის პროცესში რისკის ფაქტორის **კონცეფციის** გათვალისწინება კორპორაციის ფინანსურ მართვასთან დაკავშირებული კონკრეტული გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა (იხ. მონოგრაფიის **თავი 16.2- „**საკალტო რისკების ტიპები და მართვა"). მართვის პროცესში რისკის შეფასებისათვის არსებითად მნიშვნელოვანია შემდეგი **ინსტრუმენტარების**, როგორიცაა: ფინანსური რისკის დონის შეფასების, ფინანსური, ოპერაციების შემოსავლიანობის საჭირო დონის ფორმირებისა და ფულადი სახსრების ღირებულების შეფასების მეთოდური ინსტრუმენტების **განხილვა**. მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების სისტემაში გამოყოფენ მმართველობით ოპერაციასა და მმართველობით პროცედურებს.


მმართველობითი ოპერაცია არის მმართველობითი ინფორმაციის დამუშავების პროცესი, რომელიც შემოედინება სანარმოს სტრუქტურული დანაყოფიდან (იხ. ნახ. 3.24).



ნახ. 3.24. მმართველობითი ოპერაციის სქემა.

მმართველობითი პროცედურა დასახული მიზნის მისაღწევად თანმიმდევრულად ურთიერთდაკავშირებული მმართველობითი ოპერაციებისა და დოკუმენტების კომპლექსს შეადგენს (იხ. ნახ. 3.25).

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს **რისკის ფაქტორის** გათვალისწინებას. ფინანსური ქცევა სამეურნეო რისკის პირობებში დამოკიდებულია მმართველობით ხელოვნებაზე, მენეჯერის უნარზე – გაბედულად შეარჩიოს ყველაზე ხელსაყრელი **ალტერნატივა**, სრულად გამოიყენოს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება და **ინტუიცია**. მოვლენები, რომელსაც მენეჯერი აწყდება თავის საქმიანობაში, შეიძლება მისგან უმართავიც იყოს და მოულოდნელიც. ინფორმაციული გაურკვევლობის პირობებში მას ერთგვარი რისკის გაწევაც უნდა შეეძლოს. როგორც უკვე აღინიშნა, **რისკის მიზეზი** შეიძლება იყოს ბაზარზე ფასების მოულოდნელი ზრდა ან შემცირება; სახელმწიფოს მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტების შემოღება, რომელიც ცვლის საწარმოს პოლიტიკას; სტიქიური მოვლენები, სოციალური ძვრები და ა. შ



ნახ. 3.25. მმართველობითი პროცედურის სქემა

ეკონომიკურ ლიტერატურაში განასხვავებენ რისკის შემდეგ სახეებს, როგორიცაა:

1. საწარმოო რისკი – განპირობებულია ნარმოების პირობების შეცვლით; **2. საბაზრო რისკი** – გამოწვეულია პროდუქციასა და წარმოების ფაქტორებზე ფასების მოულოდნელი ცვლილებით. **3. ფინანსური რისკი** – დაკავშირებულია წარმოების აქტივების ფინანსურ უზრუნველყოფასთან. სასესხო კაპიტალის ზრდა, ფულადი სახსრების გაუთვალისწინებელი მოძრაობა ქმნის ვალების დროული დაფარვის საფრთხეს. **4. შეუთავსებლობის, ანუ დაძველების, რისკი** ისეთ სიტუაციას გულისხმობს, როცა წარმოების ტრადიციული ხერხები და მეთოდები ახლად დანერგილ ტექნოლოგიებს არ შეესაბამებიან. **5. უბედური შემთხვევის გამო ზარალის რისკში** იგულისხმება მოსალოდნელი ზარალი ხანძრის, სტიქიურ უბედურებათა, გაქურდვის, ავარიების და ა. შ. შემთხვევებში, რომლებიც რისკის გაწევის საკმაოდ გავრცელებული მიზეზებია. **6. იურიდიული რისკი** დაკავშირებულია ქვეყანაში საკანონმდებლო ნორმებისა და სამთავრობო პროგრამების მოულოდნელ ცვლილებასთან. **7. რისკის სუბიექტური ფაქტორი** წარმოიშობა ადამიანის ხასიათის, ქცევის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მმართველობითი გადაწყვეტილების **ანალიზიდან** გამომდინარე, ნაშრომში **შემოთავაზებულია რჩევები,** შესაძლო ქმედებების ვარიანტები, რითაც შესაძლებელი იქნება **რისკის გაკონტროლება** და უარყოფითი ზემოქმედების შემცირება (იხ. ცხრ. 3.20).

ფინანსური რისკის შემცირების ერთ-ერთ არსებით ელემენტად **დაზღვევა** შეიძლება განვიხილოთ, როგორც შესაძლებელ მნიშვნელოვან დანაკარგთა თავიდან აცილების გზა მცირე დანახარჯების გაწევის სანაცვლოდ. არსებობს დაზღვევის სხვადასხვა სახეები: **1. ქონების დაზღვევა; 2. სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან დაზღვევა; 3. სიცოცხლის დაზღვევა; 4. ჯანმრთელობის დაზღვევა და სხვ.**

I. კონკრეტული ფინანსური ოპერაციების მიხედვით შემოსავლიანობის საერთო (საჭირო) დონის, რისკის ფაქტორის გათვალისწინებით განსაზღვრისათვის შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

$$RD_n = A_n + RP_n, \qquad (3.18)$$

სადაც **RDn** – არის შემოსავლიანობის საერთო დონე კონკრეტული ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის მიხედვით და რისკის ფაქტორის გათვალისწინებით; **An** – არის შემოსავლიანობის ურისკო ნორმა ფინანსურ ბაზარზე; **RPn** – არის რისკზე პრემიის დონე კონკრეტულ ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის მიხედვით.


ფინანსური ოპერაციების შემოსავლიანობის საჭირო დონის, რისკის ფაქტორის გათვალისწინებით ფორმირების ზემოთ ჩამოყალიბებული მეთოდური ინსტრუმენტარიები", კაპიტალური აქტივების ფასისებრ მოდელზეა" აგებული, რომელიც **გ. მარკოვიცის** და **უ. შარპის** მიერ არის დამუშავებული. აღნიშნული მოდელის **გრაფიკული ინტერპრეტაცია** „ბაზრის საიმედოების წრფის" გრაფიკს (იხ. ნახ. 3.26.) წარმოადგენს.

ცალკეული წერტილები „ბაზრის საიმედობის წრფეზე" ფასიანი ქაღალდების მიხედვით შემოსავლიანობის შესაბამის დონეზე მიუთითებენ (რისკზე პრემიის გათვალისწინებით). იგი სისტემატიური რისკის დონიდან დამოკიდებულებაში **ბეტა-კოეფიციენტის** მეშვეობით არის განსაზღვრული. განვიხილოთ პრაქტიკული ასპექტი – **ამოხსნა: გავიანგარიშოთ რისკზე პრემიის დონე** აქციების სამი სახეობის მიხედვით, რომელთა საწყისი მონაცემები და გაანგარიშების შედეგები ქვემოთმოყვანილ ცხრილშია მოცემული (იხ. ცხრილი 3.20). გაანგარიშების შედეგები

მიუთითებენ, რომ რისკზე პრემიის დონე ბეტა-კოეფიციენტის ზრდის, ანუ სისტემატური რისკის დონის პროპორციულად იზრდება.

ცხრ. 3.20 რისკის უარყოფითი შედეგების შემცირების ხერხები

რისკის ჯგუფი	რისკის სახეობა	რისკის უარყოფითი შედეგების შემცირების ხერხები
კომერციული	1. რეალიზაციის დაბალი მოცულობები	ბაზრისა და მომხმარებელთა სეგმენტის შერჩევაში უფრო მეტი ანალიტიკური მუშაობა
	2. გასაღების ქსელის არაეფექტური მუშაობა	შუამავლების ზედმიწევნით შერჩევა
	3. ახალი პროდუქტის უშედეგო გამოტანა ბაზარზე	ბაზრის წინასწარი ტესტირება, საცდელი გაყიდვები, ცვლილებების შეტანა პროდუქტში
	4. ხელშეკრულების პირობების არასრულად შესრულება	პარტნიორების ზედმიწევნით შერჩევა, მათი შესწავლა, საბანკო და აუდიტორული ცნობების მოპოვება
	5. კონკურენტების მოქმედება	კონკურენტების შესაძლო მოქმედებათა წინასწარ განჭვრეტა
	6. ცვლილებები ეკონომიკაში, პროდუქტზე მოთხოვნის დაცემა	კონიუნქტურის პროგნოზირება, მარაგების შემცირება, ლიკვიდურობის დონის ამაღლება პროდუქციის რეალიზაციის სიჩქარის გაზრდის ხარჯზე.
	7. რესურსებზე ფასების ცვლილება	ფასების ზედმიწევნით პროგნოზირება, რისკის ხარისხის შემცირება ჰეჯირების გზით
ფინანსური	1. მიწოდებულ საქონელზე გადაუხდელობის რისკი	ხელშეკრულებაში წინასწარი გადახდის-ავანსის (100%) ჩართვა, ანგარიშსწორებაში აკრედიტივის ფორმის გამოყენება
	2. ფინანსური რესურსების არაოპტიმალური განაწილების რისკი პროდუქციის წარმოების დაგეგმვისას	საწარმოს პრიორიტეტული მიმართულებების ზედმიწევნით გაანალიზება, წარმოებული პროდუქციის რენტაბელობის წინასწარი შეფასება
	3. მსხვილმაშტაბიან პროექტებში ინვესტიციების რისკი	წინასაკონტრაქტო პერიოდში ანალიტიკური მუშაობა, რისკების გადანაწილება პროექტში სხვა ფირმების ჩართვის ხარჯზე
შიდასაწარმო	1. თანამშრომელთა უკმაყოფილება	სოციალური პროგრამების შემუშავება, კოლექტივში ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა
	2. კომერციული და სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის გაჟონვა	თანამშრომელთა, განსაკუთრებით სამეცნიერო-კვლევით სფეროში დაკავებულთა ზედმიწევნით შემოწმება, დოკუმენტაციის მოძრაობის კონტროლი, უცხო პირთა დაშვების შეზღუდვა ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტალურ უბნებში
	3. ხელმძღვანელთა შეცდომები	ხელმძღვანელთა ზედმიწევნით შერჩევა, მათი საქმიანობის ეფექტური მოტივაცია და სტიმულირება, პროფესიული მომზადება და გადამზადება, საქმიანობის ძვირადღირებულ მიმართულებებზე ხელმძღვანელობის დუბლირება, კონტროლის ორგანიზაცია.



ნახ. 3.26. „ბაზრის საიმედობის წრფის“ გრაფიკი.

ცხრილი. 3.21

აქციის ვარიანტები	შემოსავლიანობის საშუალო ნორმა საფონდო ბაზარზე	შემოსავლიანობის ურისკო ნორმა საფონდო ბაზარზე	ბეტა-კოეფიციენტი აქციების მიხედვით	რისკზე პრემიის დონე (ფორმულის მიხედვით განსაზღვრული)
აქცია 1	12, 0	5, 0	0, 8	5, 6
აქცია 2	12, 0	5, 0	1, 0	7, 0
აქცია 3	12, 0	5, 0	1, 2	8, 4

2. რისკზე პრემიის საჭირო თანხის განსაზღვრისას შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

$$RPs=SIxRPn, \quad (3.19.)$$

სადაც: RPs– არის რისკზე პრემიის თანა კონკრეტული ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის მიხედვით ნამდვილი (დღევანდელი) ღირებულებით;

SI – არის კონკრეტული ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის ღირებულება (კოტირებადი ღირებულება);

RPn – არის რისკზე პრემიის დონე კონკრეტული ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის მიხედვით (ათწილადებში).

II. ფინანსური ოპერაციების შემოსავლიანობის საჭირო დონის ფორმირების მეთოდური ინსტრუმენტარიები რისკის ფაქტორის გათვალისწინებით – საწარმოს ფინანსური საქმიანობის მართვის პროცესში აღნიშნული ორი მაჩვენებლის (შემოსავლიანობისა და რისკის დონეების) ზუსტად რაოდენობრივი პროპორციულობის უზრუნველყოფის შესაძლებლობას იძლევა.

3. რისკზე პრემიის საჭირო დონის განსაზღვრისას შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

$$RP_n = (\overline{R_n} - A_n)x\beta, \quad (3.20)$$

სადაც: *RPn* – არის კონკრეტული ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის მიხედვით რისკზე პრემიის დონე; $\overline{R_n}$ – არის ფინანსურ ბაზარზე შემოსავლიანობის საშუალო დონე; An – არის ფინანსურ ბაზარზე შემოსავლიანობის ურისკო ნორმა; ß – არის ბეტა-კოეფიციენტი, რომელიც კონკრეტული ფინანსური (საფონდო) ინსტრუმენტის მიხედვით სისტემატიური რისკის დონის მახასიათებელია.

III. ფულადი სახსრების ღირებულების, რისკის ფაქტორის გათვალისწინებით შეფასების მეთოდური ინსტრუმენტარიები – ფულადი სახსრების როგორც სამომავლო, ასევე მათი ნამდვილი (დღევანდელი) ღირებულების გაანგარიშებების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა რისკზე პრემიის საჭირო დონის უზრუნველყოფით.

4. ფულადი სახსრების სამომავლო ღირებულების რისკის ფაქტორის გათვალისწინებით შეფასებისას – შემდეგი სახის ფორმულა გამოიყენება:

$$S_R = Px[(1 + A_n)x(1 + RP_n)]^n, \quad (3.21)$$

სადაც: Sr – არის ანაბრის (ფულადი სახსრების) სამომავლო ღირებულება, რომელიც რისკის ფაქტორს ითვალისწინებს; P – არის ანაბრის საწყისი თანხა; An – არის შემოსავლიანობის ურისკო ნორმა ფინანსურ ბაზარზე (ათწილადებში); RPn – არის რისკზე პრემიის დონე

კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის (ფინანსური ოპერაციის) მიხედვით (ათწილადებში): n – არის ინტერვალების რაოდენობა, რომელთა მიხედვით დროის საერთო განპირობებულ პერიოდში თითოეული კონკრეტული გადახდა ხორციელდება.

5) ფულადი სახსრების ნამდვილი (დღევანდელი) ღირებულების რისკის ფაქტორის გათვალისწინებით შეფასებისას შემდეგი ფორმულა გამოიყენება:

$$P_R = \frac{S_R}{[(1 + A_n)x(1 + RP_n)]^n} \qquad (3.22)$$

ფინანსური რისკების დონის შეფასების ექსპერტული მეთოდები – გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კი კორპორაციაში (საწარმოში) ეკონომიკურ-სტატისტიკური მეთოდებით გაანგარიშების განხორციელებისათვის საჭირო **ინფორმაციული მონაცემები არ არსებობს.** აღნიშნული მეთოდები კვალიფიცირებული სპეციალისტების (სადაზღვევო, ფინანსური, ინვესტიციური მენეჯერების) **გამოკითხვას ეფუძნება,** რომელიც შემდგომში ამ გამოკითხვის შედეგების მათემატიკურ დამუშავებას ითვალისწინებს.

საექსპერტო შეფასების პროცესში თითოეულ ექსპერტს შესაძლო რისკის დონის შეფასების შესაძლებლობას ეძლევა, რომელიც განსაზღვრულ ბალურ (ქულები) სკალაზე იქნება დაფუძნებული, მაგალითად: რისკი არ არის: 0 ქულა; რისკი უმნიშვნელოა: 10 ქულა; რისკი საშუალო დონეზე დაბალია: 30 ქულა; რისკი საშუალო დონისაა: 50 ქულა; რისკი საშუალო დონეზე მაღალია: 70 ქულა; რისკი მაღალია: 90 ქულა; რისკი ძალიან მაღალია: 100 ქულა

ფინანსური რისკის დონის ანალოგების მიხედვით შეფასების მეთოდები – კომპანიის ცალკეული უფრო მეტად მასიური ფინანსური ოპერაციების რისკების დონის განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. ამასთან, შედარების მიზნით, ასეთი ფინანსური ოპერაციების განხორციელების როგორც საკუთარი, ასევე საგარეო გამოცდილებაც შეიძლება იქნას გამოყენებული.

17.2. ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმები

კორპორაციის (კომპანიის) განვითარების სტრატეგიების შემუშავებისას გასათვალისწინებელია გლობალურ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლისა და **ელექტრონული ბიზნესის განვითარების ანალიზი.** კერძოდ, სტრატეგიის სხვადასხვა ვარიანტის კონკურენციის ცხრა ყველაზე გავრცელებული პირობისათვის: 1) ახლად ფორმირებად დარგებში; 2) მოქმედ, ცვალებად ბაზარზე; 3) მომწიფებულ დარგში ზრდის დაბალი ტემპებით; 4) დარგი, რომელიც იმყოფება უძრაობის ან ვარდნის ეტაპზე; 5) მტკიცედ სეგმენტირებულ დარგში; 6) კომპანიის სწრაფი ზრდის პირობებში; 7) დარგის კომპანია-ლიდერებისათვის; 8) ლიდერის მიმდევარი კომპანიებისათვის; 9) სუსტი კონკურენტული პოზიციების ან კრიზისში მყოფი კომპანიებისათვის.

განვიხილოთ ზოგიერთი მათგანი: 1. სტრატეგიები ახლად ფორმირებად დარგში კონკურენციისათვის

ახლად ფორმირებადი ანუ ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი დარგების რიცხვს განეკუთვნება ინტერნეტში მუშაობის ხელშემწყობი უსადენო მოწყობილობების ინდუსტრია – დიდი შესაძლებლობების მქონე ტელევიზორების წარმოება, მოხუცთა მომსახურება, დისტანციური განათლება, ელექტრონული საბანკო მომსახურება. ფორმირებად დარგებში მეტი წილი კომპანიებისა ახლად იწყებენ მუშაობას: ისინი სრულყოფენ ტექნოლოგიებს, არჩევენ და ამზადებენ პერსონალს, იძენენ საწარმოო სიმძლავრეებს, აფართოებენ საქმიანობის მასშტაბებს, ეძებენ გავრცელების წყაროებს და იბრძვიან მომხმარებელთა ერთგულების მოსაპოვებლად.

ფორმირებად დარგებში კომპანიის ბიზნესმოდელი და სტრატეგია ექსპერიმენტულ ხასიათს ატარებს, რაც ნიშნავს, რომ ერთი მხრივ თითქოს წარმატების მომტანმა ბიზნესკონცეფციამ ან სტრატეგიამ შეიძლება მარცხი განიცადოს, სავარაუდო მოგების მიღების გარეშე. კომპანიის წინაშე ხშირად წარმოიქმნება პროდუქციის დიზაინთან ან საწარმოო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული პრობლემა. სწორედ ამიტომ ფორმირებადი დარგებისთვის კონკურენტული სტრატეგიების შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ **ზოგიერთი სპეციფიკური თავისებურებები:**

ა) რამდენადაც ბაზარი ახლა ყალიბდება და მისი ხასიათი ჯერ არის შესწავლილი, რთულია მისი მომავალი ფუნქციონირების, ზრდის ტემპების და მოცულობის წინასწარ პროგნოზირება.

არასაკმარისი სტატისტიკური მონაცემების გამო, გაყიდვების მოცულობის და მოგების გათვლა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. მხოლოდ **სავარაუდო ანალიზის** გაკეთება არის შესაძლებელი, თუ რა დრო დასჭირდება პროდუქციას მოხმარებელთა შორის უპირატესობის მოსაპოვებლად და ეს უკანასკნელები რა თანხას გადაიხდიან მასში. მაგალითად, ციფრულ ვიდეოდისკებს (DVD) იმაზე უფრო მეტი დრო დასჭირდათ ბაზარზე ადგილის დასამკვიდრებლად, ვიდრე პროგნოზირებული იყო.

ბ) ტექნოლოგიები და „ნოუ-ჰაუ" ფორმირებად დარგებში ძირითადად დაცულია პატენტების და სხვა საშუალებებით, რადგანაც ისინი შემუშავებულია ინოვაციური კომპანიების მიერ; პატენტი და უნიკალური ტექნოლოგიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კონკურენტული უპირატესობის მოპოვებაში. ზოგჯერ ერთმანეთისგან განსხვავებული კომპანიები პარალელურად ან ერთობლივი მუშაობის პროცესში ქმნიან რამდენიმე ალტერნატიულ ტექნოლოგიურ მიდგომას.

გ) რთულია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ტექნოლოგიური მიდგომა აღმოჩნდება უფრო წარმატებული ან პროდუქციის რომელი სამომხმარებლო თვისება მოახდენს გადამწყვეტ ზეგავლენას ყიდვის პროცესში. სანამ ბაზარი ნათელს არ შეიტანს ამ საკითხებში, მნიშვნელოვანი განსხვავება ხარისხსა და სხვადასხვა სავაჭრო ნიშნის სამომხმარებლო თვისებებში ნარჩუნდება. ამიტომ ყველა კომპანია ცდილობს სწორედ მისმა ტექნოლოგიებმა, პროდუქტის დიზაინმა, მარკეტინგმა და გავრცელების მეთოდებმა მოიპოვონ ფართო აღიარება.

დ) დარგში შესვლის ბარიერები შედარებით დაბალია დამწყები კომპანიებისთვისაც კი. დიდ და ცნობილ კომპანიებს, რომლებიც ეძებენ ახალ სამეწარმეო შესაძლებლობებს და გააჩნიათ მძლავრი რესურსული ბაზა და კონკურენტული შესაძლებლობები, დარგში შესვლა ურჩევნიათ მაშინ, როდესაც აშკარაა ზრდის პერსპექტივები, ან მაშინ, როცა მათი განვითარება საფრთხეს უქმნის კომპანიის უკვე არსებულ ბიზნესს. მაგალითად, ბევრი სატელეფონო კომპანია, რომლებმაც გაითვალისწინეს უსადენო კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების პოტენციური საფრთხე, შეუდგა ფიჭური კავშირის ბაზრების ათვისებას.

შესაბამისად, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი კომპანიების ნინაშე დგება ორი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ამოცანა:

1. სახსრების მოძიება სასტარტო ოპერაციების დასაფინანსებლად სავარაუდო მოგების მიღებამდე;

2. სეგმენტების და კონკურენტული უპირატესობის შერჩევა, რომლებზეც კონცენტრაცია ხელს შეუწყობს პირველი გზამკვლევის უპირატესობის სრულ რეალიზებას. აქ შეიძლება როგორც დანახარჯებით ლიდერობის დიფერენციაციის სტრატეგიის გამოყენება. ფოკუსირებული სტრატეგია გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის კონკურენტული რესურსები და შესაძლებლობები შეზღუდულია, ან დარგში ინოვაციური და ტექნოლოგიური მიდგომები ძალზე ბევრია (ბაზრის სეგმენტები) და არ იძლევა მთლიანად ყველაზე კონცენტრაციის საშუალებას.

დარგში აქამდე არსებული „თამაშის წესების" გაუქმება საშუალებას მისცემს მონაწილეებს განახორციელონ ექსპერიმენტი სხვადასხვა **სტრატეგიასთან** მიმართებაში. რესურსების მძლავრი ბაზის, ოპტიმალური ბიზნეს-მოდელის და წარმატებული სტრატეგიის მქონე კომპანიებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა დააწესონ – დარგში თამაშის წესები და დაიპყრონ ლიდერის პოზიცია.

ამგვარად, ფორმირების პროცესში მყოფ დარგებში წარმატების მისაღწევად აუცილებელია **შემოქმედებითი მიდგომა, რისკის განევის უნარი, სამომხმარებლო უპირატესობის ინტუიციური აღქმა,** სწრაფი რეაგირება ახლად შემუშავებულ პროდუქციასა და არასტანდარტულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, სტრატეგიების შემუშავების ერთ-ერთი **უმთავრესი ამოცანაა – ფორმირებადი დარგების საფრთხეების და შესაძლებლობების გამოვლენა,** ამ მიზნით კომპანიებს ეძლევათ **შემდეგი რეკომენდაციები:**

1. შეეცადეთ უმოკლეს დროში მოიპოვოთ ლიდერობა დარგში – ამაში დაგეხმარებათ შემოქმედებით სტრატეგიასთან შესაბამისობაში მოყვანილი არასტანდარტული და ზომიერად რისკიანი ინიციატივები; ოპტიმალური არჩევანი – საქონლის ფართო და ფოკუსირებული დიფერენციაციის სტრატეგია ტექნოლოგიური ან სხვა უპირატესობის საფუძველზე.

2. მოახდინეთ ტექნოლოგიების და საქონლის დიზაინის სრულყოფა, მისი სამომხმარებლო თვისებების გამრავალფეროვნება.

3. დარგობრივი სტანდარტების ფორმირების და ყველაზე პერსპექტიული ტექნოლოგიების გამოვლენის შემდეგ სწრაფად დაიწყეთ მათი დანერგვა (დარგობრივი სტანდარტების კანონმდებელთა რიცხვი საკმაოდ მიმზიდველია, მაგრამ თუკი ვერ შეძელით მათი მიღება, არ არის სავალდებულო დაუინებით მიყვეთ საკუთარ ტექნოლოგიებს და დიზაინის სტილს, განსაკუთრებით მაშინ, როცა დარგში ბევრი კონკურირებადი ტექნოლოგიაა მაღალია კვლევებზე გაწეული დანახარჯები, ხოლო ტექნოლოგიების განვითარების მიმართულება სწრაფად და მოულოდნელად იცვლება).

4. მთავარ მიმწოდებლებთან შექმენით სტრატეგიული კავშირები – გამოცდილების, ტექნოლოგიური შესაძლებლობების, მნიშვნელოვანი მასალების მიღების მიზნით.

5. შეერწყით კომპანიებს ან გახდით მათი სტრატეგიული პარტნიორები, რომელებსაც გააჩნიათ თანამდევი და დამატებითი ტექნოლოგიები – ეს მოგცემთ შესაძლებლობას მოიგოთ კონკურენტული ბრძოლა ტექნოლოგიებში ლიდერობის საფუძველზე.

6. შეეცადეთ მოახდინოთ ახალგამკვლევის უპირატესობის რეალიზება – ტექნოლოგიური პერსპექტივების ნაადრევი დანერგვა, პარტნიორული კავშირების დამყარება წამყვან მიმწოდებლებთან, საქონლის დიზაინის სრულყოფა, ასორტიმენტის გაუმჯობესება, გასაღების ეფექტიანი არხების შექმნა, სწავლება/გამოცდილების ეფექტი.

7. მოიზიდეთ მომხმარებლების ახალი სეგმენტი, შესთავაზეთ საქონლის მოხმარების ახალი შესაძლებლობები, აითვისეთ ახალი გეოგრაფიული რეგიონი (სტრატეგიული კავშირების და ერთობლივი საწარმოების საშუალებით, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური მდგომარეობა არ იძლევა დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობას).

8. დაეხმარეთ მომხმარებელს, რომელიც პირველად ყიდულობს ამა თუ იმ საქონელს, რათა უკეთ გაეცნოს მის სამომხმარებლო თვისებებს. პროდუქციის პოპულარობის ზრდასთან ერთად, სარეკლამო კამპანიის აქცენტი გადაიტანეთ გაცნობიდან მისი ხშირად მოხმარების აუცილებლობაზე. იბრძოლეთ სავაჭრო ნიშნის ცნობადობისათვის.

9. იზრუნეთ ფასების შემცირებაზე, რაც ხელს შეუწყობს ფასის მიმართ მგრძნობიარე მყიდველის მოზიდვას. საბაზრო წილის და დარგში ლიდერობისათვის ბრძოლის პირველ ეტაპზე მოპოვებული მოკლევადიანი წარმატება სასურველია გაერთიანდეს მყარი კონკურენტული უპირატესობის შექმნის გრძელვადიან სტრატეგიასა და სტაბილური კონკურენტული მდგომარეობის მიღწევასთან.

ამრიგად, ახალგაზრდა კომპანიებს სწრაფად მზარდ ბაზრებზე აქვთ **სამი მთავარი ამოცანა:** 1) ბიზნესის სწრაფად გაფართოების სტრატეგიის შემუშავება; 2) კონკურენტებისგან დაცვა და მათი გამოგონებების გამოყენება საკუთარი სარგებლობის მიზნით; 3) გრძელვადიანი კონკურენციის სტრატეგიის შემუშავება; **კომპანიებს, რომლებიც კვალდაკვალ** მიჰყვებიან ლიდერებს, შეუძლიათ გაიმყარონ პოზიციები, თუკი დირექტორთა საბჭოში ჩართავენ კომპეტენტურ სპეციალისტებს, დაქირავებენ მენეჯერებს, რომლებსაც გააჩნიათ კომპანიის მართვის გამოცდილება დაარსების და მისი აღმავლობის ეტაპზე, მოახდენენ ძალების მობილიზებას კონკურენტული ბრძოლის ახალ მეთოდებზე, აუცილებლობის შემთხვევაში ღირებული ტექნიკური ცოდნის, გამოცდილების და რესურსული ბაზის მქონე კომპანიებთან შერწყმას ან შთანთქმას.

კომპანიის სტრატეგიები უძრაობის ან დაცემის ეტაპზე მყოფ დარგებში

უძრაობის ან დაცემის ეტაპზე მყოფ დარგებში კომპანიებმა უნდა დაისახონ მიზანი რომელიც შეესაბამება დარგის შესაძლებლობებს. კერძოდ, როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, **პრიორიტეტულია** ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა **ფულადი ნაკადების მოძრაობა ან ინვესტიციების უკუგება,** და არა გაყიდვების მოცულობა ან ბაზრის წილის ზრდის ტემპი, რომელიც ახასიათებს განვითარებადი დარგის კომპანიას. ძლიერ კომპანიებს შეუძლიათ დაიკავონ სუსტი კომპანიების ბაზრის წილი, ხოლო შთანთქმა ან ბაზრიდან წასვლა დარჩენილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გაზარდონ ბაზრის საკუთარი წილი.

როგორც წესი, წარმატების მოპოვების მიზნით, **დარგის უძრაობის და დაცემის ეტაპებზე კომპანიები ირჩევენ შემდეგ კონკურენტულ სტრატეგიებს:**

1. **ფოკუსირებული სტრატეგია** დარგის ყველაზე პერსპექტიული სეგმენტების მოპოვების

მიზნით. უძრაობის ან დაცემის ეტაპზე მყოფი ბაზრები, ისევე, როგორც სხვა დანარჩენი, შედგება უამრავი სეგმენტისა და საბაზრო ნიშებისგან. ხშირად ერთი ან რამდენიმე სეგმენტი ახდენს ზრდის მაღალი ტემპების დომინირებას, მიუხედავად იმისა, რომ დარგი მთლიანობაში იმყოფება დაცემის ეტაპზე. ენერგიული კომპანია, რომელიც მოღვაწეობს ასეთ სეგმენტში და უპირატესობას ფლობს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, შეძლებს თავიდან აიცილოს გაყიდვების მოცულობის და მოგების შემცირება, დამატებით მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.

2. საქონლის მკვეთრი დიფერენციაცია განახლების და ხარისხის გაუმჯობესების ხარჯზე. ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება და საქონლის ახალი მოდიფიკაციის შეთავაზება ხელს შეუწყობს ახალი სწრაფად მზარდი სეგმენტების შექმნას ან მოახდენს მომხმარებელთა სტიმულირებას გაყიდვების მოცულობის გაზრდის მიზნით. პროდუქციის ახალი წარმატებული მოდიფიკაციის შემუშავება საშუალებას იძლევა არ მოხდეს ძალდატანებითი კონცენტრაცია კონკურენტების მიერ დადგენილ ფასებზე. გარდა ამისა, ხარისხის დიფერენციაციის სტრატეგიის დადებით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ კონკურენტებს გაუჭირდებათ მისი კოპირება.

3. დანახარჯების შემცირება, დარგში დანახარჯების მიხედვით ლიდერობის მოპოვება.

კომპანიებს დარგის უძრაობის და დაცემის ეტაპებზე შეუძლიათ გაზარდონ ინვესტიციების უკუგება და მოგების დონე, თუ გამოიყენებენ დანახარჯების შემცირების ნოვატორულ მეთოდებს: კომპანიის ფასეულობების ჯაჭვიდან გაირიცხოს ზედმეტი ან არაეფექტიანი რგოლები, აუტსორსინგი, რომელიც უფრო იაფი იქნება, როდესაც სრულდება დამოუკიდებელი კომპანიების მიერ; ელექტრონული ტექნოლოგიების საფუძველზე შიდა ბიზნეს-პროცესების შეცვლა, რაც მკვეთრად შეამცირებს ხარჯებს; არასრულად დატვირთული საწარმოო სიმძლავრეების კონსოლიდაცია; რეალიზაციის მოცულობის გაზრდის მიზნით გავრცელების არხების გაფართოება, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს ეკონომიას მასშტაბებზე; მაღალი დანახარჯების და მცირე გაყიდვების მოცულობის მქონე სავაჭრო პუნქტების დახურვა; არაპოპულარული პროდუქციის წარმოებაზე უარის თქმა.

ზემოთ აღნიშნული სტრატეგიები ერთმანეთს არ გამორიცხავს. პროდუქციის ინოვაციური ვერსიის შეთავაზება უზრუნველყოფს სწრაფადმზარდი საბაზრო სეგმენტების შექმნას. წარმოების ეფექტიანობის ამაღლება იძლევა ფასების შემცირების და ფასის მიმართ მგრძნობიარე მომხმარებელთა სეგმენტის შექმნის შესაძლებლობებს. აღსანიშნავია, რომ სამივე მოცემული სტრატეგია არის **სტანდარტული კონკურენტული სტრატეგიის ვარიანტები, ადაპტირებული უძრაობის და დაცემის ეტაპებზე** მყოფ დარგებთან. შედარებით უფრო მიმზიდველია ის დარგები, სადაც გაყიდვების მოცულობა იწევს გაცილებით ნელა და ცოცვით, მოთხოვნილებების უმნიშვნელოვანესი პოტენციალი და მოგების ნიშა ნარჩუნდება.

აქვე ჩამოვთვლით ყველაზე გავრცელებულ სტრატეგიულ შეცდომებს, რომლებსაც კომპანია უშვებს დარგის უძრაობის და დაცემის ეტაპებზე: უაზრო საფასო ომში ჩათრევა კონკურენტის განადგურების მიზნით; დიდი რაოდენობის ფულადი სახსრების ამოღება მცირე დროში (რაც უარყოფით ზეგავლენას ახდენს ზოგადად კომპანიის ეფექტიანობაზე); მდგომარეობის სწრაფად გამოსწორების იმედით ზედმეტი ოპტიმიზმი და გაუმართლებელი მაღალი ხარჯები სხვადასხვა საქმიანობაზე.

სტრატეგიები სეგმენტირებულ დარგებში კონკურენციისათვის

ზოგიერთ დარგში მოქმედებს ასობით ან ათასობით წვრილი და საშუალო კომპანია, რომელთაგან არც ერთი არ ფლობს ბაზრის მნიშვნელოვან წილს. კონკურენტული ვითარება სეგმენტირებულ დარგებში გამოირჩევა დარგობრივი ლიდერების არარსებობით, რომლებსაც უნდა გააჩნდეთ მნიშვნელოვანი საბაზრო წილი და ცნობადი სავაჭრო ნიშანი. **დარგების ტიპური სეგმენტირება** – კინო, გამომცემლობა, ლანდშაფტური არქიტექტურა და მებაღეობა, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები, სუპერმარკეტი, საბანკო მომსახურება, ჯანდაცვა, კატალოგებით ვაჭრობა, პროგრამული უზრუნველყოფა, ბეჭდვითი სამუშაოს შესრულება ინდივიდუალური შეკვეთით, სამზარეულოს ავეჯის დამზადება, სატვირთო გადაზიდვები, ავტომანქანების შეკეთება, რესტორნები და სწრაფი კვების ობიექტები, შიდა აუდიტი, ტანსაცმლის წარმოება და გაყიდვა, სასტუმროს ბიზნესი, ავეჯის წარმოება.

ჩვეულებრივ, ძლიერ **სეგმენტირებულ დარგებში** სიმწიფის ფაზაში შესვლა ან ზრდის ტემპების შენელება აძლიერებს კონსოლიდაციის პროცესებს, რაც იწვევს სუსტი ან არაეფექტიანი კომპანიების გაძევებას წარმოების ერთდროული კონცენტრაციიდან რამდენიმე მსხვილ კომპანიაზე. თუმცა არის დარგები, რომლებიც დარჩებიან დანაწევრებული, რადგანაც მათში მოქმედ არც ერთ კომპანიას არ გააჩნია შესაბამისი რესურსები ან კომპეტენცია ბაზრის მნიშვნელოვანი ნილის მოპოვების მიზნით.

კონკურენტული ბრძოლა სეგმენტირებულ დარგებში შეიძლება იყოს როგორც ზომიერი, ასევე საკმაოდ მკაცრი. შესვლის დაბალი ბარიერები ქმნის ახალი კონკურენტების გამოჩენის საფრთხეს. საქონელ-შემცვლელი ხდება კონკურენტული გარემოს მნიშვნელოვანი ფაქტორი, თუმცა ყოველთვის არა. სეგმენტირებულ დარგებში კომპანიები შედარებით მცირე ზომის არიან, ამიტომ შესაძლებელია სწორედ ისინი აღმოჩნდნენ მსხვილი მიმწოდებლების და კომპანია-მომხმარებლების ზეგავლენის ქვეშ; ამის თავიდან აცილების მიზნით, ისინი ერთიანდებიან სხვადასხვა ასოციაციაში, ერთობლივი მოლაპარაკებების წარმოების, მიწოდების პირობების გაუმჯობესების და პროდუქციის გაყიდვების მიზნით.

სეგმენტირებულ დარგებში ოპტიმალურია კონკურენციის შემდეგი სტრატეგიები:

1) ***კომპანიის სტანდარტული დანაყოფების შექმნა.*** ეს მიდგომა ხშირად გამოიყენება საცალოდ ვაჭრობასა და რესტორნის ბიზნესში მათი მრავალრიცხოვანი სავაჭრო პუნქტებით. კომპანია ქმნის სტანდარტულ სავაჭრო პუნქტებს ხელსაყრელი ადგილმდებარეობით და მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალურად ეფექტიანი ექსპლუატაციის მიზნით, ასეთ სტრატეგიულ მიდგომას იყენებს რესტორანი tricon Globa;

2) ***დანახარჯებით ლიდერობის მოპოვება.*** თუ საფასო კონკურენცია საკმარისად ინტენსიურია და იწვევს მოგების შემცირებას, კომპანიებს შეუძლიათ შეარჩიონ მინიმალური დანახარჯების სტრატეგია, მათ შორის ზედნადები ხარჯების შემცირება, შრომისნაყოფიერების ამაღლება დაბალი ანაზღაურების პირობებში, მოქნილი პოლიტიკა კაპიტალური აქტივების შეძენის და კორპორაციული აქტივების ფორმირება მაქსიმალურად ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. კომპანიების, რომლებიც წარმატების მისაღწევად იყენებენ ამ სტრატეგიას, აქვთ შესაძლებლობა რეგულარულად შეამცირონ ფასები, ამასთანავე, შეინარჩუნონ დარგში არსებულ საშუალოზე მაღალი მოგება. საცალოდ მოვაჭრეების უმრავლესობა, რომლებიც იყენებენ ელექტრონულ მომსახურებას, კონკურირებენ დაბალი ფასების ხარჯზე, ამავე სტრატეგიას იყენებენ სუპერმარკეტები, ავტოგასამართი სადგურები და ავტონაწილების რეგიონული მოვაჭრეები.

3) ***სასაქონლო სპეციალიზაცია.*** თუკი სეგმენტირებული დარგი ჩართავს მომსახურების ან პროდუქციის მრავალფეროვან სპექტრს, მაშინ ერთი სახის საქონელსა ან მომსახურებაზე კონცენტრაცია შეიძლება საკმაოდ ეფექტიანი აღმოჩნდეს. ავეჯის ინდუსტრიაში ზოგიერთი კომპანია სპეციალიზდება ერთი სახის ავეჯის წარმოებაზე, მაგალითად, რკინის საწოლები, დაწნული ავეჯი; ბაღის და აგარაკის ავეჯი, ავტომანქანების შეკეთების სახელოსნოები სპეციალიზდებიან გადაცემის, ძარის შეკეთებასა და ზეთის სწრაფად შეცვლაზე.

4) ***სამომხმარებლო სპეციალიზაცია.*** კომპანიას შეუძლია თავისი არჩევანი ამა თუ იმ მომხმარებლების მომსახურებაზე გააკეთოს, მაგალითად, ფასების მიმართ მაღალ მგრძნობიარობის მომხმარებელზე ან იმათზე, ვინც ირჩევს საქონლის სპეციფიკურ სამომხმარებლო თვისებებს, სპეციალურ მომსახურებას და ა. შ. ზოგიერთი რესტორანი სპეციალიზდება მომსახურების გატანაზე, ზოგიერთი – სპორტული შეჯიბრებების კვებით მომსახურებაზე.

5) ***გეოგრაფიული სპეციალიზაცია.*** თუ სეგმენტირებულ დარგში კომპანია ვერ ახერხებს მოიპოვოს დარგობრივი ბაზრის დიდი წილი, მას ხელი არ ეუშლება მოიპოვოს ლიდერობა გეოგრაფიულ ბაზრებზე. ძალების კონცენტრირება მცირე რეგიონის მომსახურებაზე იწვევს ეფექტიანობის ამაღლებას, შემკვეთისათვის პროდუქციის სწრაფად მიწოდებას, მომსახურების გაუმჯობესებას, რეგიონში სავაჭრო ნიშნის ცნობადობის გაზრდას, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს მასობრივი რეკლამისთვის. ამასთან, კომპანია თავიდან იცილებს დანახარჯების გაზრდის საფრთხეს, რაც გარდაუვალია განსაკუთრებით დიდი ტერიტორიების მომსახურების შემთხვევაში. სუპერმარკეტები, ბანკები, დღე-ღამის უნივერმაღები, სპორტული ტანსაცმლის მაღაზიები აქტიურად ითვისებენ არჩეულ გეოგრაფიულ რეგიონებს და კარგ შედეგსაც აღწევენ.

კომპანია, რომელიც დაინტერესებულია გაყიდვების მოცულობის და მოგების სწრაფი ზრდით, ვალდებულია განახორციელოს სამი დონის **სტრატეგიული ინიციატივების პორტფელი, კერძოდ:**

I დონე. სტრატეგიული ინიციატივები არსებული ბაზრის პოზიციების გამყარების მიზნით. მათ მიეკუთვნება: კომპანიის პროდუქციის ნაირსახეობათა გაფართოება, აუთვისებელ გეოგრაფიულ რეგიონებზე გასვლა, ბაზრის წილის მოპოვების მიზნის კონკურენტების წინააღმდეგ შეტევა. მიზანი – ზრდის ყველა შესაძლებლობის რეალიზაცია, რომელიც წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე ბიზნესს.

II დონე. სტრატეგიული ინიციატივები არსებული რესურსების და კონკურენტული შესაძლებლობების გაფართოების მიზნით, ზრდის პერსპექტივების მქონე ახალი ბიზნესისსფეროების ათვისების საფუძველზე. მზარდმა კომპანიებმა აქტიურად უნდა გამოიყენონ ახალ პერსპექტიულ ბიზნეს სფეროში შესვლის შესაძლებლობა, განსაკუთრებით თუ ამას ხელს უწყობს გამოცდილება, ინტელექტუალური კაპიტალი, ნოუ-ჰაუ და კომპანიის სხვა კონკურენტული შესაძლებლობები. იმ დრომდე, სანამ კომპანიის მიმდინარე საქმიანობა უზრუნველყოფს ზრდის შესაძლებლობებს, პირველ რიგში განიხილება პირველი დონის ინიციატივები, ხოლო დარგის სიმწიფის ეტაპზე, როდესაც ზრდის შესაძლებლობები მცირდება, წინა პლანზე გამოდის მეორე დონის ინიციატივები.


III დონე. ამ მომენტისათვის არარსებული ბიზნესის შექმნის სტრატეგიული ინიციატივები. ამ კატეგორიაში შედის სამეცნიერო კვლევებსა და ცდებში სახსრების ინვესტირება გრძელვადიანი პერსპექტივით; შიდა ვენჩურული (სარისკო) ფონდების შექმნა დამწყები კომპანიების ინვესტირებისათვის მომავალის დარგებში; მცირე ზომის ახალი კომპანიების შესყიდვა, მათი პროდუქციის ან ტექნოლოგიების გამოყენების მიზნით, რაც შეავსებს კომპანიის არსებულ ბიზნესს;

ნახაზ 3.27-ზე წარმოდგენილია სტრატეგიის სამი დონე. მსგავსი კონკურენტული ინიციატივების ნაკრების რეალიზება ნამდვილად არ არის მარტივი. კომპანიების უმეტესობა ძირითად ყურადღებას ამახვილებს პირველი დონის ინიციატივებზე, ამასთანავე, ეპიზოდურად ატარებს მეორე და მესამე დონის ღონისძიებებს. **თუმცა, 30 მსოფლიო ლიდერი მზარდი კომპანიის კვლევამ,** აჩვენა, რომ მათ სტრატეგიულ გეგმაში შედიოდა სამივე დონის ინიციატივები.

გრძელვადიანი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიას უნდა გააჩნდეს სტრატეგიების მთელი ნაკრები, არსებული ბიზნესისთვის მოკლევადიანი განვითარების სტრატეგიით დაწყებული და გრძელვადიანი მოქმედებებით დასრულებული, რომლებიც გამიზნული იქნება უახლოეს 5-10 წელინადზე.

ურთიერთდაკავშირებული **მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი პროექტების** სახით სტრატეგიების შემუშავება კომპანიას უქმნის შესაძლებლობას – გადაწყვიტოს თავისი შიდა პრობლემები და დაცული იყოს მოულოდნელობებისგან, ამავდროულად ხელს უშლის დარგში ახალი კონკურენტების გამოჩენას.

მრავალდონიანი სტრატეგიების რისკები. კომპანიის ზრდისკენ მიმართული **მრავალდონიანი დიფერენცირებული სტრატეგიის** რეალიზაცია სხვადასხვა რისკთან არის დაკავშირებული. ცხადია, კომპანიას არ შეუძლია მოახდინოს ყველა წარმოშობილი შესაძლებლობის რეალიზება, რადგანაც ეს საფრთხეს უქმნის არსებული შეზღუდული რესურსების გაფანტვას. ძალისხმევის კონცენტრირება საშუალო და გრძელვადიან ინიციატივებზე გამოიწვევს კომპანიის მხრიდან საკუთარი საბაზისო კომპეტენციების სრულყოფის შეწყვეტას და იძულებული გახდება კონკურენტული ბრძოლა აწარმოოს ისეთ დარგებში, სადაც მას გააჩნია შესაბამისი რესურსები და გამოცდილება. გარდა ამისა, საკუთარი თავისთვის კონკურენტული უპირატესობის გარანტირება მომავალი ბიზნესისა და პროდუქციის ჯგუფებში, დამატებით სირთულეებს წარმოქმნის, თუ მომავალი საქმიანობა არაფრით არ უკავშირდება მიმდინარეს და კომპანიის რესურსული ბაზის ძირითად უპირატესობებს. ხშირად, გრძელვადიანი სტრატეგიული პროექტები არარეალურია, ყველა დათესილი მარცვალი როდის იძლევა მოსავალს.



ნახ. 3.27. სტრატეგიის სამი დონე კომპანიის სწრაფი და მყარი ზრდის უზრუნველყოფისათვის.

სტრატეგია არაკონკურენტუნარიანი დაკრიზისულ ვითარებაში მყოფი კომპანიებისათვის

თუ კომპანია დაცემის ეტაპზეა და კარგავს კონკურენტულ პოზიციებს, ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილია ოთხიდან ერთ-ერთი სტრატეგიის არჩევა. საკმარისი ფინანსური რესურსების მქონე კომპანიას შეუძლია კრიზისიდან გამოსვლის პროცესში გამოიყენოს შეტევითი სტრატეგია: რადიკალურად შეამციროს დანახარჯები ან მოახდინოს საქონლის ორიგინალური დიფერენციაცია. ასეთ საქმეში ცოდნისა და კაპიტალის დაბანდებით, კომპანია შეძლებს შეცვალოს მდგომარეობა და უახლოესი 5 წლის განმავლობაში შევიდეს ლიდერების რიცხვში. კომპანიას ასევე შეუძლია ისარგებლოს აქტიური თავდაცვის სტრატეგიით საკუთარი ძველი სტრატეგიის რამდენიმე ელემენტის გამოყენებით. ამასთანავე, მოუწევს რთული ბრძოლა გაყიდვების მოცულობის, საბაზრო წილის და კონკურენტული პოზიციის არსებულ დონეზე შესანარჩუნებლად. კომპანიას შეუძლია აირჩიოს დაუყოვნებელი გასვლის სტრატეგია და გავიდეს ბაზრიდან, ან გაყიდოს ბიზნესი, ან შეაჩეროს ოპერაციები, თუ არ გამოინახება მყიდველი. ბოლოს, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს ბოლო ტაიმის სტრატეგია, მინიმალურ დონეზე მოახდინოს სახსრების რეინვესტირება ბიზნესში და მოკლევადიან პერსპექტივაში მიაღწიოს მოგების მაქსიმიზაციას, ამასთანავე, დაიწყოს ბაზრიდან გასვლისთვის მზადება.

17.3. კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი

17.3.1 კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა

კორპორაციის საწარმოს ფინანსური კრიზისის **დიაგნოსტიკა** წარმოადგენს მიზნობრივი ფინანსური ანალიზის სისტემას, რომელიც მიმართულია კორპორაციის კრიზისული განვითარების შესაძლო ტენდენციებისა და ნეგატიური შედეგების გამოვლენისაკენ. ფინანსური კრიზისის **დიაგნოსტიკა** იყოფა ორ ძირითად: **1)** ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკის სისტემა; **2)** ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის სისტემად.


განვიხილოთ თითიოეული მათგანი:

1. **ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკა,** რომელიც კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური განვითარების კრიზისული პარამეტრების რეგულარული შეფასების სისტემას ახასიათებს, ხორციელდება მისი ფინანსური აღრიცხვის მონაცემების საფუძველზე ანალიზის


სტანდარტული ალგორითმების მიხედვით, რომლის ძირითადი მიზანია კომპანიის კრიზისული განვითარების ნიშნების ადრეული აღმოჩენა და მისი კრიზისული მდგომარეობის მასშტაბების წინასწარი შეფასება.

კორპორაციის (კომპანიის) ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკა ხორციელდება შემდეგი ძირითადი ეტაპების მიხედვით, რომლის ძირითადი არსი განხილულია ქვემოთ (იხ. ნახ. 3.28), კერძოდ:

ა) „კრიზისული სივრცის" დაკვირვების ობიექტების განსაზღვრა, რომელიც ახდენს კომპანიის ფინანსური კრიზისის წარმოშობის საფრთხის რეალიზაციას. ბიზნეს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თანამედროვე ეკონომიკურ პირობებში კომპანიის ფინანსური საქმიანობის პრაქტიკულად ყველა ასპექტი შეიძლება ახდენდეს მისი გაკოტრების საფრთხის გენერირებას. შესაბამისად „კრიზისული სივრცის" დაკვირვების სისტემა უნდა აიგოს ამ საფრთხის გენერირების ხარისხის გათვალისწინებით ამ კრიტერიუმების შედარებით არსებითი ობიექტების გამოყოფის გზით (იხ. ნახ. 3.29);



ნახ.3.28.კომპანიის ფინანსური კრიზისის ექსპრეს-დიაგნოსტიკის განხორციელების ალგორითმი.



ნახ.3.29. კომპანიის „კრიზისული სივრცის" დაკვირვების ძირითადი ობიექტების სქემა.

ბ) კომპანიის ფინანსური კრიზისის წარმოქმნის მუქარების (საფრთხის) შეფასების ინდიკატორების სისტემის ფორმირება. ასეთი ინდიკატორები ყალიბდება „კრიზისული სივრცის" დაკვირვების ყოველი ობიექტის მიხედვით. ფორმირების

პროცესში ყველა ინდიკატორი-მაჩვენებელი იყოფა რაოდენობრივ (გამოხატული აბსოლიტურ სიდიდეებში) და სტრუქტურულ მაჩვენებლებად (გამოხატული შეფარდებითი მაჩვენებლებით) ფინანსური კრიზისის წარმოქმნის საფრთხეების შეფასების ამ ინდიკატორებიდან ძირითადები წარმოდგენილია ცხრილ3.22-ში, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს მისი ფინანსური საქმიანობისა და დიაგნოსტიკის მიზნების გათვალისწინებით.

გ) სტრატეგიული მეთოდებით განხორციელებული კომპანიის კრიზისული ფინანსური განვითარების ცალკეული მხარეების **ანალიზის** საფუძველია ფაქტიური მაჩვენებელი-ინდიკატორების შედარება საგეგმო (ნორმატიულ) მაჩვენებლებთან და გადახრის სიდიდის გამოვლენა დინამიკაში. **ნეგატიური** გადახრების სიდიდის ზრდა დინამიკაში ახასიათებს კრიზისული მოვლებების ზრდას კომპანიის ფინანსურ საქმიანობაში, რაც მისი ფინანსური კრიზისის წარმოქმნის გენერირებას ახდენს. კორპორაციის **კრიზისული ფინანსური განვითარების** ცალკეული მხარეების ანალიზის პროცესში გამოიყენება შემდეგი სტრატეგიული მეთოდები:

1) ჰორიზონტალური (ტრენდული) ფინანსურიანალიზი;

2) ვერტიკალური (სტრუქტურული) ფინანსური ანალიზი;

3) შედარებითი ფინანსური ანალიზი;

ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკა კორპორაციის **კრიზისული ფინანსული მდგომარეობის მასშტაბების შეფასებისას იყენებს სამ პრინციპულ მახასიათებელს:** 1) მსუბუქი ფინანსური კრიზისი; 2) ღრმა ფინანსური კრიზისი; 3) კატასტროფული ფინანსური კრიზისი.

კორპორაციის კომპანიის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბების წინასწარი შეფასების ასპექტები „ფინანსური სივრცის" დაკვირვების ცალკეული ობიექტების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით შემოთავაზებულია ცხ. 3.22-ში.

ამრიგად, ექსპრეს-დიაგნოსტიკის სისტემა უზრუნველყოფს კორპორაციის (საწარმოს) კრიზისული განვითარების ნიშნების წინასწარ აღმოჩენას და შესაძლებელს ხდის მიღებული იქნას ოპერეტიული ღონისძიებები მათ გასანეიტრალებლად. მისი წინასწარ გამაფრთხილებელი ეფექტი განსაკუთრებით თვალშისაცემია მსუბუქი ფინანსური კრიზისის სტადიაზე, ხოლო კრიზისული ფინანსური მდგომარეობის სხვა მასშტაბების პირობებში იგი აუცილებლად უნდა შეივსოს **ფუნდამენტური** დიაგნოსტიკის სისტემით.

2. ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის სისტემა, რომელიც კორპორაციის კრიზისული ფინანსური განვითარების პარამეტრების შეფასების სისტემას ახასიათებს, ხორციელდება ფაქტორული ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების საფუძველზე.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტალური დიაგნოსტიკის **ძირითადი მიზნებია:**

ცხრილი 3.22 – კომპანიის ფინანსური კრიზისის წარმოქმნის საფრთხის შეფასება

„კრიზისული სივრცის" დაკვირვების ობიექტები	ინდიკატორი– მაჩვენებლები	
	რაოდენობრივი	სტრუქტურული
1	2	3
1. კომპანიის წმინდა 2. ფულადი ნაკადები	1. წმინდა ფულადი ნაკადების სიდიდე კომპანიაში მთლიანად. 2. წმინდა ფულადი ნაკადების სიდიდე კომპანიაში საოპერაციო საქმიანობის მიხედვით.	1. წმინდა ფულადი ნაკადების საიმარისობის კოეფიციენტი 2. ფულადი ნაკადების ლიკვიდურობის კოეფიციენტი. 3. ფულადი ნაკადების ეფექტიანობის კოეფიციენტი. 4. წმინდა ფულადი ნაკადების რეინვესტირების კოეფიციენტი
2. კომპანიის საბაზრო ღირებულება	კომპანიის წმინდა აქტივების ოდენობა საბაზრო ღირებულებით	1. კომპანიის საბაზრო ღირებულება 2. კომპანიის ღირებულება მოგების კაპიტალიზაციის კოეფიციენტის მიხედვით
3. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა	1. კომპანიის საკუტარი კაპიტალის სიდიდე 2. კომპანიის ნასესხები კაპიტალის სიდიდე	1. ავტონომიის კოეფიციენტი 2. ფინანსირების კოეფიციენტი (ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი) 3. გრძელვადიანი ფინანსური დამოუკიდებლობის კოეფიციენტი

4. კორპორაციის კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შემადგენლობა სასწრაფო დაფარვის მიხედვით	1. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების ოდენობა 2. მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების ოდენობა 3. ფინანსური კრედიტის სიდიდე 4. მიმდინარე ვალდებულებების სიდიდე 5. სასაქონლო (კომერციული) კრედიტის სიდიდე	1. გრძელვადიანი და მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების დამოკიდებულების კოეფიციენტი 2. მოზიდული ფინანსური და სასაქონლო კრედიტების დამოკიდებულების კოეფიციენტი 3. გადაუდებელი ფინანსური ვალდებულებების კოეფიციენტი მათ საერთო ოდენობაში 4. საკრედიტო დავალიანების მიმოქცევის პერიოდი
5. კორპორაციის აქტივების შემადგენლობა	1. არასაბრუნავი აქტივების სიდიდე 2. საბრუნავი აქტივების სიდიდე 3 მიმდინარე დებიტორული დავალიანების სიდიდე მთლიანად მ. შ. გადავადებულის 4. ფულადი აქტივების სიდიდე	1. აქტივების მანევრირების კოეფიციენტი 2. მაღალლიკვიდირებული აქტივებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 3. გადახდის მზა საშუალებებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი 4. მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 5. აბსოლუტური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი 6. დებიტორული და კრედიტორული დავალიანების ურთიერთდამოკიდებულების კოეფიციენტი. 7. დებიტორული დავალიანების მიმოქცევის პერიოდი 8. საოპერაციო ციკლის ხანგძლივობა
6. კომპანიის მიმდინარე ხარჯების შემადგენლობა	1. დანახარჯების საერთო სიდიდე 2. მუდმივი მიმდინარე ხარჯების სიდიდე	1. მიმდინარე ხარჯების დონე პროდუქციის საერთო რეალიზაციაში 2. მიმდინარე ცვალებადი ხარჯების დონე 3. საოპერაციო ლევერიჯის კოეფიციენტი
7. ფინანსური ოპერაციების კონცენტრაციების დონე მაღალი რისკის ზონაში		3. კრიტიკული რისკის დონე 4. კატასტროფული რისკის დონე

ა) კომპანიის ფინანსური განვითარების კრიზისული პარამეტრების შეფასების შედეგების გაღრმავება, რომელიც მიღებულია ექსპრეს-დიაგნოსტიკის პროცესში;

ბ) კომპანიის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბების მიღებული წინასწარი შეფასების დადასტურება;

გ) ცალკეული ფაქტორების განვითარების პროგნოზირება, რომელებიც ახდენენ კომპანიის ფინანსური კრიზისის საფრთხის და მისი ნეგატიური შედეგების გენერირებას.


ცხრილი3.23 კორპორაციის (კომპანიის) კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბების წინასწარი შეფასება

„კრიზისული სივრცის" დაკვირვების ობიექტები	კომპანიის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბები		
	მსუბუქი ფინანსური კრიზისი	ღრმა ფინანსური კრიზისი	კატასტროფული ფინანსური კრიზისი
1	2	3	4
1. წმინდა ფულადი ნაკადი	ფულადი ნაკადის ლიკვიდურობის შემცირება	წმინდა ფულადი ნაკადის უარყოფითი მნიშვნელობა	წმინდა ფულადი ნაკადის მკვეთრად უარყოფითი მნიშვნელობა
2. კომპანიის საბაზრო ღირებულება	კომპანიის საბაზრო ღირებულების სტაბილიზაცია	კომკოპანიის საბაზრო ღირებულების შემცირების ტენდენცია	კომპანიის საერთო ღირებულების მკვეთრი შემცირება
3. კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა	ავტონომიის კოეფიციენტის შემცირება	ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტის ზრდა და ეფექტის შემცირება	ფინანსური ლევერიჯის ძალზე მაღალი კოეფიციენტი და ეფექტის არარსებობა
4. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შემადგენლობა დაფარვის სისწრაფის მიხედვით	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების სიდიდის და ხვედრითი წილის გადიდება	გადაუდებელი ფინანსური ვალდებულებების მაღალი კოეფიციენტი	გადაუდებელი ფინანსური ვალდებულებების ძალზე მაღალი კოეფიციენტი
5. კომპანიის აქტივების შემადგელობა	აბსოლუტური გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის შემცირება	აბსოლუტური და მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტების არსებითი შემცირება	აბსოლუტური გადახდისუნარიანობა ფულადი აქტივების არარსებობოს გამო
6. კომპანიის მიმდინარე დანახარჯების შემადგენლობა	ცვალებადი ხარჯების დონის ზრდის ტენდენცია	საოპერაციო ლევერიჯის მაღალი კოეფიციენტი ცვალებადი ხარჯების დონის ზრდის ტენდენციის პირობებში	საოპერაციო ლევერიჯის ძალზე მაღალი კოეფიციენტი მიმდინარე დანახარჯების საერთო დონის ზრდის ტენდენციის პირობებში
7. ფინანსურ ოპერაციების კონცენტრაციის დონე მაღალი რისკის ზონებში	კაპიტალის დაბანდების კოეფიციენტის ზრდა კრიტიკული რისკის ზონაში	კაპიტალის უპირატესი დაბანდება კრიტიკული რისკის ზონაში	კაპიტალის დაბანდების მნიშვნელოვანი წილი კატასტროფული რისკის ზონაში


დ) კომპანიის იმ შესაძლებლობების შეფასება და პროგნოზირება, რომლებიც ახდენენ ფინანსური კრიზისის ნეიტრალიზაციას შიდა ფინანსური პოტენციალის ხარჯზე.

ამრიგად, კომპანიისფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის განხორციელების ალგორითმი იმ ძირითადი ფაქტორების სისტემატიზაციაა, რომლებიც განაპირობებენ კომპანიის კრიზისულ ფინანსურ განვითარებას. ფაქტორული ანალიზი და პროგნოზირება შეადგენს ფინანსური კრიზისის **ფუნდამენტალური დიაგნოსტიკის** საფუძველს.

ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის განხორციელების ალგორითმი იხ. ნახ. 3-30.



ნახ.3.30. ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკის განხორციელების ალგორითმი.



ნახ.3.31.კორპორაციის კრიზისული ფინანსური განვითარების გარე ფაქტორების სისტემა.


კვლევისა და შეფასების პროცესში ეს ფაქტორები იყოფა ორ ძირითად ჯგუფად:

ა) ფაქტორები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული კორპორაციის საქმიანობაზე (გარე ან ეგზოგენური ფაქტორები);

ბ) ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულია კომპანიის საქმიანობაზე (შიდა ანუ ენდოგენური ფაქტორები).

განვიხილოთ თითოეული მათგანი: ა) კრიზისული ფინანსური განვითარებისა და გარე ფაქტორები ანალიზის დროს თავის მხრივ, იყოფა სამ ჯგუფად (იხ, ნახ 3.32):

1) ქვეყნის საერთო განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები. ამ ფაქტორების შემადგენლობაში განიხილება მხოლოდ ისინი, რომლებიც ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენენ მოცემული ეკონომიკის საქმიანობაზე, ე. ი ახდენენ მისი ფინანსური საფრთხის ფორმირებას;



ნახ.3.32. – კორპორაციის კრიზისული ფინანსური განვითარების შიდა ფაქტორების სისტემა.

2) საბაზრო ფაქტორები. ამ ფაქტორების განხილვისას იკვლევენ ამ კომპანიის როგორც სასაქონლო როგორც ნედლეულის და მასალების, ასევე გამოშვებული პროდუქციის, ასევე ფინანსური ბაზრის განვითარების ტენდენციებს;

3) სხვა გარე ფაქტორები.

ბ) კრიზისული ფინანსური განვითარების შიდა ფაქტორები ანალიზის დროს ასევე იყოფა სამ ჯგუფად კომპანიის ფულადი ნაკადების ფორმირების თავისებურებაზე დამოკიდებულებით (იხ ნახ. 3.32), კერძოდ:

1) საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები;

2) საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები;

3) ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფაქტორები.

კომლექსური ფუნდამენტალური ანალიზი კორპორაციის კრიზისული ფინანსური განვითარების ცალკეული ფაქტორების გავლენის შეფასების სპეციალური მეთოდების გამოყენებით ხორციელდება ასეთი ანალიზის საფუძველია ცალკეული ფაქტორების ნეგატიური გავლენის ხარისხის გამოვლენა კომპანიის ფინანსური განვითარების სხვადასხვა ასპექტებზე.

ასეთი ფუნდამენტალური ანალიზის განხორციელებისას გამოიყენება შემდეგი ძირითადი მეთოდები, კერძოდ:

ფინანსური კოეფიციენტების სრული კომპლექსური ანალიზი. ამ ანალიზის განხორციელებისას არსებითად ფართოვდება „კრიზისული სივრცის" ობიექტების წრე, ასევე ფინანსური კრიზისის შესაძლო საფრთხის ინდიკატორი მაჩვენებლების სისტემა.

1) **კორელაციული ანალიზი.** ეს მეთოდი გამოიყენება ცალკეული ფაქტორების გავლენის ხარისხის განსაზღვრისათვის საწარმოს კრიზისული ფინანსური განვითარების ხასიათზე. რაოდენობრივად ამ გავლენის ხარისხი შეიძლება გაიზომოს კორელაციის ერთი ან მრავალფაქტორული მოდელების მეშვეობით. ასეთი შეფასების შედეგების მიხედვით ხორციელდება ცალკეული ფაქტორების რანჟირება კომპანიის ფინანსურ განვითარებაზე მათი ნეგატიური ზემოქმედების ხარისხის მიხედვით.

2) **„სვოტ" ანალიზის** ძირითადი შინაარსი მდგომარეობს კომპანიის ძლიერი და სუსტი მხარეების ხასიათის კვლევაში ცალკეული შიდა (ენდოგენური) ფაქტორების ჭრილში, ასევე ცალკეული გარე (ეგზოგენური) ფაქტორების ნეგატიური გავლენის კვლევაში, რომლებიც განაპირობებენ კომპანიის კრიზისულ ფინანსურ განვითარებას.

3) **„ალტმანის ანალიტიკური მოდელი".** იგი წარმოადგენს კომპანიის გაკოტრების საფრთხის ინტეგრალური შეფასების ალგორითმს, რომელიც ემყარება კომპანიის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის დიაგნოსტირების მნიშვნელოვანი მაჩვენებლების კომპლექსურ აღრიცხვას.

გაკოტრებული კომპანიების კვლევის საფუძველზე ე. **ალტმანმა** განსაზღვრა ცალკეული ფაქტორების მნიშვნელობათა კოეფიციენტი გაკოტრების **ალბათობის ინტეგრალურ შეფასებაში.** ალტმანის მოდელს აქვს შემდეგი სახე:

$$Z=1.2.\ X_1+1.4.\ X_2+3.3.\ X_3+0.6.\ X_4+1.0.\ X_5. \qquad (3.23)$$

სადაც, Z – გაკოტრების საფრთხის დონის ინტეგრალური მაჩვენებელი („ალტმანის ანგარიში");

X_1 – დამოკიდებულება საბრუნავ აქტივებსა (მუშა კაპიტალი) დასაწარმოს მთელ აქტივებს შორის; X_2 -კაპიტალის რენტაბელობის დონე; X_3-აქტივების შემოსავლიანობის დონე; X_4 -საკუთარ და ნასესხებ კაპიტალებს შორის დამოკიდებულების კოეფიციენტი; X_5– აქტივების ბრუნვადობა (ბრუნვათა რიცხვში).

კომპანიის გაკოტრების საფრთხის დონე **„ალტმანის მოდელის"** მიხედვით ფასდება შემდეგი სკალით (იხ. ცხ. 3.23)

ცხრილი 3.23

„Z" მაჩვენებლის მნიშვნელობა	გაკოტრების ალბათობა
1.8-მდე	ძალზე მაღალი
1.81 – 2.70	მაღალი
2, 71 – 2.99	შესაძლო
3.00 და მეტი	ძალზე დაბალი

ამ მოდელის გამოყენების შედარებითი სიმარტივის მიუხედავად ფინანსური კრიზისისა და გაკოტრების საფრთხის შეფასებაში, ჩვენს ეკონომიკურ პირობებში იგი სათანადო ობიექტური შედეგის მიღების საშუალებას არ იძლევა. ეს განპირობებულია ცალკეული მაჩვენებლების აღრიცხვაში განსხვავებით, მათ ფორმირებაზე ინფლაციის გავლენით, ცალკეული აქტივების საბალანსო და საბაზრო ღირებულებას შორის არსებული განსხვავებით და სხვა ობიექტური მიზეზებით, რომლებიც განსაზღვრავენ იმ მაჩვენებლების მნიშვნელობათა კოეფიციენტებს კორექტივების აუცილებლობას, რომლებიც მოტანილია ალტმანის მოდელში და კომპანიის კრიზისული მდგომარეობის შეფასების რიგი სხვა მაჩვენებლების აღრიცხვაში.

კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის განვითარების პროგნოზირება ცალკეული ფაქტორის ნეგატიური ზემოქმედების გათვალისწინებით ხორციელდება ცალკეული სპეციალური ცალკეული მრავალფაქტორული რეგრესიული მოდელების შემუშავების საფუძველზე. ამ მიზნით გამოიყენება სვოტ-ანლიზის და სხვა მეთოდების ანალიტიკური აპარატი, რომელიც ადრე თანმიმდევრულად გვქონდა განხილული მონოგრაფიის 3-16 თავში ანალიზის **პრინციპების გაცნობისას.** პროგნოზირების პროცესში გაითვალისწინება ის **ფაქტორები,** რომლებიც არსებით ნეგატიურ გავლენას ახდენენ ფინანსურ განვითარებაზე და ახდენენ მიმდინარე პერიოდში კორპორაციის ფინანსურ, კრიზისის საფრთხის განვითარებას.

ფინანსური კრიზისის ნეიტრალიზაციის მიმართ ორგანიზაციის შესაძლებლობების **პროგ-**

ნოზირება შიდა ფინანსური პოტენციალის ხარჯზე განისაზღვრება ორგანიზაციას რამდენად სწრაფად და რაოდენობით შეუძლია: ა) უზრუნველყოს წმინდა ფულადი ნაკადის ზრდა; ბ) შეამციროს ფინანსური ვალდებულების საერთო სიდიდე; გ) მოახდინოს თავისი ფინანსური ვალდებულებების რესტრუქტურიზაცია მათი მოკლევადიანი ფორმიდან გრძელვადიან ფორმაში გადაყვანის გზით; დ) შეამციროს მიმდინარე ხარჯების დონე და საოპრაციო ლევერიჯის კოეფიციენტი; ე) შეამციროს ფინანსური რისკების დონე თავის საქმიანობაში; ვ) დადებითად შეცვალოს სხვა ფინანსური მაჩვენებლები ცალკეული ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედების მიუხედავად.

ამრიგად, კორპორაციის შესაძლებლობების განზოგადოებული შეფასება ფინანსური კრიზისის ნეიტრალიზაციის თვალსაზრისით მოკლევადიანი პერსპექტიულ პერიოდში შესაძლებელს ხდის მიღებული იქნას ფირმის მოკლევადიანი ფინანსური კრიზისის შესაძლო ნეიტრალიზაციის კოეფიციენტის პროგნოზული დინამიკა.

კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბის საბოლოო განსაზღვრა კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბის იდენტიფიკაცია უნდა მოიცავდეს გაკოტრების ფუნდამენტალური დიაგნოსტიკის ანალიტიკურ და საპროგნოზო შედეგებს და უნდა განსაზღვროს კორპორაციის ფინანსური წონასწორობის აღდგენის შესაძლო მიმართებები.

ცხრილ 3.24-ში მოტანილია კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბების მახასიათებლების **კრიტერიუმები**, ასევე მათი რეაგირების შედარებით ადეკვატური ხერხები. (შესაბამისი დამცავი ფინანსური მექანიზმების სისტემის ჩათვლით).

ცხრ. 3.24-კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბების შეფასება და მათზე რეაგირების ხერხები.


კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის მასშტაბები	რეაგირების ხერხები
მსუბუქი ფინანსური კრიზისი	მიმდინარე ფინანსური მოქმედების ნორმალიზაცია
ღრმა ფინანსური კრიზისი	ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმების სრული გამოყენება
კატასტროფული ფინანსური კრიზისი	გარე სანაციის ეფექტიანი ფორმების ძიება (წარუმატებლობის შემთხვევაში ლიკვიდაცია)

ამრიგად, ფინანსური კრიზისის ფუნდამენტური დიაგნოსტიკა შესაძლებელს ხდის მიღებული იქნას კორპორაციის კრიზისული ფინანსური მდგომარეობის სრული სურათი და მოხდეს მისი სამომავლო ფინანსური გაჯანსაღების ფორმებისა და მეთოდების კონკრეტიზირება.

17.3.2 კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი

ფინანსური სტრატეგიების მართვის სისტემაში მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილიზაციის **შიდა მექანიზმების** ფართოდ გამოყენება, რამდენადაც სტრატეგიული მექანიზმების წარმატებული გამოყენება შესაძლებელს ხდის არა მარტო მოხსნას გაკოტრების საფრთხის ფინანსური სტრესი, არამედ მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს კორპორაციას ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე დამოკიდებულებისგან და აჩქარებს მისი ეკონომიკური განვითარების ტემპებს. კორპორაციის **ფინანსური სტაბილიზაციის ალგორითმი** იხ. ნახ. 3.34-ში.

1. **გადახდისუუნარობის თავიდან აცილება.** რა მასშტაბითაც არ უნდა ფასდებოდეს კორპორაციის კრიზისული მდგომარეობის მასშტაბები დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით. შედარებით გადაუდებელი ამოცანა მისი ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებათა სისტემაში არის მისი გადახდისუნარიანობის აღდგენა, კორპორაციის გადაუდებელი ფინანსური ვალდებულებების მიხედვით იმისათვის, რომ მოხდეს გაფრთხილება გაკოტრების პროცედურის აღმოცენებისთვის.



ნახ.3.34. კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის ალგორითმი.

2. ფინანსური მდგრადობის (წონასწორობის) აღდგენა. თუმცა კომპანიის გადახდისუუნარობა შეიძლება თავიდან იქნას აცილებული მოკლე პერიოდის განმავლობაში რიგი ავარიული ფინანსური ოპერაციების განხორციელების ხარჯზე; გადახდისუუნარობის **გენერირებადი მიზეზები** შეიძლება უცვლელი დარჩეს, თუკი კორპორაციის ფინანსური მდგრადობის უსაფრთხო დონე არ იქნება აღდგენილი. ეს შესაძლებელს გახდის თავიდან იქნეს აცილებული ფინანსური კრიზისის განახლების საფრთხე არა მარტო მოკლევადიან, არამედ უფრო ხანგრძლივ დროის მონაკვეთში.

3. ფინანსური წონასწორობის აღდგენა გრძელვადიან პერიოდში. სრული ფინანსური სტაბილიზაცია მიიღწევა მხოლოდ მაშინ, როცა კორპორაცია უზრუნველყოფს ხალნგრძლივ ფინანსურ წონასწორობას მისი ეკონომიკური განვითარების პროცესში, ე. ი. შექმნა წინაპირობები გამოყენებული კაპიტალის ღირებულების სტაბილური შემცირებისათვის და თავისი საბაზრო ღირებულების მუდმივი ზრდისთვის. ეს ამოცანა მოითხოვს ეკონომიკური განვითარების ტემპების დაჩქარებას კორპორაციის **ფინანსურ სტრატეგიაში** ცალკეულ პარამეტრებში გარკვეული კორექტივების შეტანის საფუძველზე. ფინანსური სტრატეგიამ, რომელიც კორექტირებულია არახელსაყრელი ფაქტორების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს კორპორაციის საოპერაციო საქმიანობის მდგრადი განვითარების მაღალი ტემპები გაკოტრების საფრთხის იმავდროული ნეიტრალიზაციის ფონზე, მომავალ პერიოდში.

კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის ყოველ ეტაპს შეესაბამება განსაზღვრული **შიდა მექანიზმები,** რომლებიც **კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკაში** მიღებულია დაიყოს **ოპერატიულ, ტაქტიკურ** და **სტრატეგიულ** მექანიზმებად (იხ. ცხრ. 3.25).

1. ფინანსური სტაბილიზაციის ოპერატიული მექანიზმი, რომელიც ემყარება „ზედმეტის განთესვის" პრინციპს, წარმოადგენს კორპორაციის „დამცავ" რეაქციას არახელსაყრელ ფინანსურ განვითარებაზე და მოკლებულია რომელიმე შემტევ მმართველობით გადაწყვეტილებას. ფინანსური სტაბილიზაციის **ოპერატიული მექანიზმი** წარმოადგენს ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც მიმართულია, ერთის მხრივ კორპორაციის მიმდინარე შიდა და გარე ფინანსური ვალდებულებების სიდიდის შემცირებისაკენ მოკლევადიან პერიოდში და მეორეს მხრივ, იმ ფულადი აქტივების გადიდებისაქენ, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ვალდებულებების დაფარვას. ამ მექანიზმს საფუძვლად უდევს „ზედმეტის მოცილების" პრინციპი, რომელიც განსაზღვრავს, როგორ მისი მიმდინარე მოთხოვნების სიდიდის შემცირების აუცილებლობას, ასევე ცალკეული სახის ლიკვიდური აქტივების შემცირებასაც მათი ფულად ფორმაში სასწრაფოდ კონვერსიის მიზნით.

ცხრილი 3.25. კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმები

ფინანსური სტაბილიზაციის ეტაპები	ფინანსური სტაბილიზაციის შიდა მექანიზმები		
	ოპერატიული	ტაქტიკური	სტრატეგიული
1.გადახდისუუნარობის თავიდან აცილება	ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემყარება პრინციპს „ზედმეტის განთესვა“		
2. ფინანსური მდგრადობის აღდგენა		ღონისძიებების სისტემა, რომელიც ემყარება პრინციპს „საწარმოს შეკუმშვა“	
3. ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფა გრძელვადიან პერიოდში			ღონისძიებების სისტემა,რომელიც ემყარება „მდგრადი ზრდის მოდელის“ გამოყენებას

განვიხილოთ თითოეული მათგანი

ფინანსური სტაბილიზაციის ოპერატიული მექანიზმის შესაბამისი მიმართულების შერჩევა ნაკარნახევია კორპორაციის რეალური გადახდისუუნარობის ხასიათით, რომლის **ინდიკატორია მიმდინარე წმინდა გადახდისუნარიანობის კოეფიციენტი.** ადრე განხილული ტრადიციული მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტისგან განსხვავებით იგი მოითხოვს როგორც საბრუნავი აქტივების შემადგენლობის კორექტირებას, ასევე მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების კორექტირებასაც.

საბრუნავი აქტივების შემადგენლობიდან გამოირიცხება მისი შემდეგი არალიკვიდური ნაწილი (მოკლევადიან პერიოდში): უიმედო დებიტორული დავალიანება; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების არალიკვიდური აქტივები.

მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების შემადგენლობიდან გამოირიცხება მათი ის შიდა ნაწილი, რომელიც შეიძლება გადატანილი იქნას ფინანსური სტაბილიზაციის დასრულების პერიოდში, ესენია: გადახდის დაქვემდებარებული ანგარიშსწორებები დივიდენდების და პროცენტების მიხედვით, ანგარიშსწორებები ქალიშვილ კომპანიებთან (ფილიალებთან).

ამ კორექტივების გათვალისწინებით წმინდა მიმდინარე **გადახდისუუნარობის კოეფიციენტი გაითვლება ფორმულით:**

$$КЧТП = \frac{ОА - ОАН}{КФО - КФО_{во}}, \quad (3.24)$$

სადაც КЧТП-წმინდა მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტია მისი კრიზისულიგანვითარების პირობებში; ОА – მთელი საბრუნავი აქტივების სიდიდე; $ОА_{н}$ – არალიკვიდური საბრუნავი აქტივების სიდიდე (მოკლევადიან პერიოდში); КФО – მთელი მოკლევადიანი (მიმდინარე) ფინანსური ვალდებულებების სიდიდე; $КФО_{во}$ – შიდა მიმდინარე ვალდებულებების სიდიდე, რომელთა დაფარვა შეიძლება გადადებული იქნას მისი ფინანსური სტაბილიზაციის დასრულებამდე.

კორპორაციის წმინდა მიმდინარე გადახდისუნარიანობის კოეფიციენტის გათვალისწინე-

ბით მისი ფინანსური სტაბილიზაციის ოპერატიული მექანიზმის მიმართულებების ძირითადი შინაარსი ფულადი აქტივების და მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების **დაბალანსებულობის უზრუნველყოფა**, რაც მიიღწევა სხვადასხვა მეთოდებით, რომლებიც ნაკარნახევია კორპორაციის **რეალური ფინანსური მდგომარეობის პირობებით.** კერძოდ:

1. *ლიკვიდური საბრუნავი აქტივების ნაწილის ფულად საშუალებებად კონვერსიის დაჩქარება*, რაც უზრუნველყოფს დადებითი ფულადი ნაკადის ზრდას მოკლევადიან პერიოდში, რომელიც მიიღწევა შემდეგ იმ **ძირითადი ღონისძიებების გატარების შედეგად:**

ა) მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების პორტფელის ლიკვიდაცია;

ბ) მიმდინარე დებიტორული დავალიანების ინკასაციის დაჩქარება;

გ) მყიდველთათვის სასაქონლო (კომერციული) კრედიტის გაცემის პერიოდის შემცირება;

დ) ფასდაკლების სიდიდის გაზრდა რეალიზებულ პროდუქციაზე ნაღდი ანგარიშსწორების განხორციელებისას;

ე) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მარაგების ძნელადლიკვიდური სახეების გადაფასება მოთხოვნის ფასების დონემდე მათი შემდგომი რეალიზაციის უზრუნველყოფით და სხვა.

2. *არასაბრუნავი აქტივების ნაწილობრივი დეინვესტირების დაჩქარება*, რაც უზრუნველყოფს მოკლევადიან პერიოდში დადებითი ფულადი ნაკადის ზრდას, მიიღწევა შემდეგი **ძირითადი ღონისძიებების შედეგად:**

ა) საინვესტიციო პორტფელის გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტების მაღალლიკვიდური ნაწილია რეალიზაცია;

ბ) უკანბრუნებითი ლიზინგის ოპერაციების განხორციელება, რომლის პროცესშიც საკუთრებაში ადრე შეძენილი ძირითადი საშუალებები მიეყიდება ლიზინგის გამცემს მათი ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების იმავდროული გაფორმებით;

გ) გამოუყენებელი მოწყობილობის დაჩქარებული გაყიდვა მოთხოვნის ფასებში შესაბამის ბაზრებზე;

დ) მონყობილობის არენდა, რომელიც ადრე გამიზნული იყო შესაძენად ძირითადი საშუალებების განახლების პროცესში და სხვა.

3. *მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებების სიდიდის დაჩქარებული შემცირება*, რომელიც უზრუნველყოფს უარყოფითი ფულადი ნაკადის სიდიდის შემცირებას მოკლევადიან პერიოდში, მიიღწევა შემდეგი **ძირითადი ღონისძიებების შედეგად:**

ა) თამასუქების გაცემა მოკლევადიანი დავალიანებების ცალკეული სახეების მიხედვით, რომლებიც უნდა დაიფაროს მიმდინარე პერიოდში;

ბ) მომწოდებლების მიერ სასაქონლო (კომერციული) კრედიტის გასაცემი პერიოდის გადიდება;

გ) ცალკეული ფორმების მიხედვით მიმდინარე შიდა დავალიანების ანგარიშსწორების გადავადება კორპორაციის ანგარიშსწორების მიხედვით.

ამგვარად, ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ჩაითვლება მიღწეულად, თუკი თავიდან იქნება აცილებული კორპორაციის **მიმდინარე გადახდისუუნარობა**, ე. ი. ფულადი სახსრების შემოსვლის სიდიდე გადააჭარბებს გადაუხდელი ფინანსური ვალდებულებების სიდიდეს მოკლევადიან პერიოდში. ეს იმას ნიშნავს, რომ **გაკოტრების საფრთხე**, რომელიც გენერირდება კომპანიის ფინანსური კრიზისით, დროის მოცემულ მიმდინარე მონაკვეთში ლიკვიდირებულია, თუმცა ატარებს, როგორც წესი, გადავადებულ ხასიათს.

2. ფინანსური სტაბილიზაცის ტაქტიკური მექანიზმი, იყენებს რა ცალკეულ დამცავ ღონისძიებებს, უპირატესად წარმოადგენს „შემტევ" ტაქტიკას, რომელიც მიმართულია ფინანსური განვითარების არახელსაყრელი ტენდენციების გარდატეხაზე და კორპორაციის ფინანსური განვითარების ფარგლებიდან გასვლაზე. ფინანსური სტაბილიზაციის ტაქტიკური მექანიზმი წარმოადგენს ღონისძიებების სისტემას, რომელიც მიმართულია კომპანიის ფინანსური წონასწორობის წერტილის მიღწევაზე მომავალ პერიოდში. ფინანსური წონასწორობის პრინციპული მოდელი:

$$ЧП_{о}+АО+ДАК+ДСФР_{п}=ДИ_{ск}+ДФ+ПУП+СП+ДК+ДРФ, \quad (3.25)$$

სადაც: $ЧП_{о}$ – წმინდა საოპერაციო მოგება: АО – საამორტიზაციო ანარიცხების თანხა; ДАК –

სააქციო (საპაიო) კაპიტალის ზრდის სიდიდე აქციების დამატებითი ემისიის დროს (საპაიო შენატანების სიდიდის გადიდება საწესდებო კაპიტალში); $\Delta СФР_{П}$ – საკუთარი ფინანსური რესურსების ზრდა სხვა წყაროების ხარჯზე; $\Delta И_{ск}$ – ინვესტიციების სიდიდის ზრდა, რომელიც ფინანსდება საკუთარი წყაროების ხარჯზე; ДФ – დივიდენდური ფონდის სიდიდე (პროცენტის გადახდის ფონდი საწარმოს მეპატრონეების დაბანდებულ კაპიტალზე); ПУП – დაქირავებული მუშების მოგებაში მონაწილეობის პროგრამის სიდიდე (გადახდები მოგების ხარჯზე); СП – საწარმოს სოციალური, ეკოლოგიური და სხვა გარეშე პროგრამების სიდიდე, რომლებიც ფინანსირდებიან მოგების ხარჯზე; ΔК – სხვაობა მიმდინარე პერიოდში გადახდისათვის გათვალისწინებულ ძირითადი ვალის სიდიდესა და ამავე პერიოდში სავარაუდოდ მისაღებ კრედიტის სიდიდეს შორის; ΔРФ – კომპანიის სარეზერვო (სადაზღვევო) ფონდის სიდიდის ზრდა.

როგორც 3-25. ფორმულიდან ჩანს, მისი მარჯვენა ნაწილი შეადგენს კომპანიის საკუთარი ფინანსური რესურსების ფორმირების ყველა წყაროს, ხოლო მარცხენა ნაწილი – შესაბამისად ამ რესურსების გამოყენების ყველა მიმართულებას. ამიტომ გამარტივებული სახით კომპანიის **ფინანსური წონასწორობის მოდელი,** რომლის მიღწევასაც ცდილობს კრიზისულ სიტუაციაში, შეიძლება წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახით:

$$ОГ_{СФР} = ОП_{СФР}, \qquad (3.26)$$

სადაც: $ОГ_{СФР}$ – საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების შესაძლო სიდიდე;

$ОП_{СФР}$ – საკუთარი ფინანსური რესურსების მოხმარების საჭირო სიდიდე.

მიუხედავად იმისა, თუ რა ღონისძიებებიც არ უნდა გატარდეს, კომპანია ფინანსური სტაბილიზაციის ტაქტიკური მექანიზმის გამოყენების პროცესში, ყველა ისინი მიმართული უნდა იყოს შემდეგი უტოლობის შენარჩუნებაზე:

$$ОГ_{СФР} > ОП_{СФР}, \qquad (3.27)$$

თუმცა რეალურ პრაქტიკაში საკუთარი ფინანსური რესურსების ოდენობის გენერირების არსებითი შესაძლებლობები (უტოლობის მარცხენა მხარე) კრიზისული განვითარების პირობებში **შეზღუდულია.** ამიტომ კომპანიის ფინანსური წონასწორობის წერტილის მიღწევის უზრუნველყოფის ძირითადი მიმართულება კრიზისულ პირობებში არის საკუთარი ფინანსური რესურსების **მოხმარების სიდიდის შეკვეცა** (უტოლობის მარჯვენა მხარე). ასეთი შემცირება დაკავშირებულია კორპორაციის როგორც საოპერაციო, ასევე საინვესტიციო საქმიანობის სიდიდის შემცირებასთან და ამიტომ მას ახასიათებენ ტერმინით **„კომპანიის შეკვეცა“,** რომელიც ზემოთ მოყვანილი უტოლობის უზრუნველყოფის პირობებში უნდა ხორციელდებოდეს საკუთარი ფინანსური რესურსების ზრდის უზრუნველყოფის ღონისძიებების ფონზე. კომპანია რაც უფრო მეტად შეძლებს ამ უტოლობის შესაბამისი ფულადი ნაკადების დადებითად უზრუნველყოფას, მით უფრო ჩქარა მიაღწევს იგი ფინანსური წონასწორობის წერტილის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის პროცესში.

საკუთარი ფინანსური რესურსების გენერირების სიდიდის გადიდება, რომელიც უზრუნველყოფს უტოლობის მარცხენა ნაწილის ზრდას, მიიღწევა შემდეგი **ძირითადი ღონისძიებების** გატარების ხარჯზე:

ა) კომპანიის ფასისმიერი პოლიტიკის ოპტიმიზაცია, რაც უზრუნველყოფს საოპერაციო შემოსავლის დამატებით სიდიდეს;

ბ) მუდმივი ხარჯების სიდიდის შემცირება (მმართველობითი პერსონალის შემცირებისა და მიმდინარე რემონტზე ხარჯების შემცირების ჩათვლით);

გ) ცვალებადი ხარჯების დონის შემცირება (ძირითადი და დამხმარე ქვედანაყოფების კომპანიის პერსონალის შემცირების ჩათვლით; შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით და ა. შ.);

დ) ეფექტური საგადასახადო პოლიტიკის განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს საგადასახადო გადახდების მინიმიზაციას კომპანიის შემოსავლებისა და მოგების სიდიდის მიმართ (რაც მიმართულია კომპანიის წმინდა მოგების სიდიდის ზრდაზე);

ე) ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების დაჩქარებული ამორტიზაციის გატარება საამორტიზაციო ნაკადის გაზრდის მიზნით;

ვ) მაღალი ცვეთის გამო გამოთავისუფლებული ან გამოუყენებელი ქონების თავისდროული რეალიზაცია;

ზ) ეფექტიანი საემისიო პოლიტიკის განხორციელებააქციების დამატებითი ემისიის (ან დამატებითი საპაიო კაპიტალის მოზიდვის) გზით.

საკუთარი ფინანსური რესურსების მოხმარების საჭირო ოდენობის შემცირება, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთ მოტანილი უტოლობის მარცხენა ნაწილის შემცირებას, მიიღწევა შემდეგი **ძირითადი ღონისძიებების** გატარების შედეგად:

ა) კომპანიის საინვესტიციო აქტივობის შემცირება მისი ყველა ფორმის მიხედვით;

ბ) საოპერაციო არასაბრუნავი აქტივების განახლების უზრუნველყოფა უპირატესად მათი არენდის (ლიზინგის) ხარჯზე;

გ) კომპანიის კრიზისული ფინანსური განვითარების ადექვატური დივიდენდური პოლიტიკის გატარება წმინდა მოგების გადიდებისმიზნით, რაც წარიმართება სანარმოო განვითარებაზე;

დ) დაქირავებული მუშაკების მოგებაში მონაწილეობის პროგრამის სიდიდის შემცირება (კრიზისული განვითარების პერიოდსი არსებითად უნდა შემცირდეს პრემიალური გაცხადების სიდიდე ამ წყაროს ხარჯზე);

ე) კომპანიის გარე სოციალურ და სხვა პროგრამებზე უარის თქმა, რომელიც მისი მოგებიდან ფინანსდება;

ვ) სარეზერვო და სხვა სადაზღვევო ფონდებში გადარიცხვების შემცირება, რომლებიც ფინანსირდებიან მისი მოგების ხარჯზე და სხვა.

ამრიგად, ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ჩაითვლება მიღწეულად, თუკი კომპანია გავა **ფინანსური წონასწორობის ზღვარზე,** რაც გათვალისწინებულია კაპიტალის ფინანსური სტრუქტურის მიზნობრივი მაჩვენებლებით და უზრუნველყოფს მის სათანადო ფინანსურ სიმყარეს.

3. ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი წარმოადგენს ფინანსური განვითარების „შემტევ" სტრატეგიას, რომელიც უზრუნველყოფს აუცილებელი ფინანსური პარამეტრების ოპტიმიზაციას და რომლებიც ექვემდებარებიან კორპორაციის მთლიანი ეკონომიკური ზრდის დაჩქარების მიზნებს.

ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი. ეს არის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია კორპორაციის მიღწეული ფინანსური წონასწორობის მხარდაჭერაზე გრძელვადიან პერიოდში. ეს მექანიზმი ემყარება კომპანიის მდგრადი ზრდის მოდელის გამოყენებას, რომელიც უზრუნველყოფს მის **ფინანსურ სტრატეგიას** ძირითადი პარამეტრებით.

მდგრადი ზრდის მოდელის კლასიკური ვარიანტი შემოთავაზებული იქნა ამერიკელი მკვლევარის **რ. პიგინსონის მიერ 1977 წელს.** შედეგად ამ მოდელმა მიიღო სხვადასხვა მოდიფიკაცია, რომლებიც შემოთავაზებული იქნა სხვადასხვა ეკონომისტების **მიერ.**[46]

მდგრადი ზრდი მოდელს აქვს სხვადასხვა **მათემატიკური ვარიანტები** კომპანიის ფინანსური სტრატეგიის გამოყენებული საბაზო მაჩვენებლების მიხედვით. ამასთანავე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყველა ეს საბაზო მაჩვენებელი რაოდენობრივად და ფუნქციონალურად ურთიერთდაკავშირებულია. **ძირითადი საძიებო მაჩვენებლის** გათვლის შედეგები – რომელიც მოცემული კომპანიის შეიძლება პროდუქციის რეალიზაციის სიდიდის ზრდის ტემპი იყოს, რჩება უცვლელი (კომპანიის მდგრადი ზრდის მარტივი მოდელის სქემა იხ. ნახ. 3.35).

ნახ. 3.35-ზე მოტანილი მოდელიდან, რომელიც დაყოფილია მის შემადგენელ ელემენტებად, შეიძლება დავინახოთ, რომ პროდუქციის რეალიზაციის სიდიდის ზრდის შესაძლო ტემპი, რომელიც **არ არღვევს კომპანიის ფინანსურ წონასწორობას,** გულისხმობს შემდეგი **ოთხი კოეფიციენტის** მოტანას, რომლებიც მიღწეულია მისი წონასწორობითი მდგომარეობის დროს **ანტიკრიზისული** მართვის წინა ეტაპზე:


1) პროდუქციის რეალიზაციის რენტაბელობის კოეფიციენტი;

2) წმინდა მოგების კაპიტალიზაციის კოეფიციენტი;

---

[46] იხ. ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ., რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. სახელმძღანელო. თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია". 2007. -567 გვ.

3) აქტივების ლევერიჯის კოეფიციენტი (იგი ახასიათებს „ფინანსურ ბერკეტს", რომლითაც კორპორაციის საკუთარი კაპიტალი აყალიბებს აქტივებს, რომლებიც გამოიყენება მის სამეურნეო საქმიანობაში



ნახ.3.35. მდგრადი ზრდის მარტივი მოდელის სქემა

4) აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტი.

შესაბამისად, კორპორაციის ფინანსური **სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმის მიხედვით** შეიძლება **შემდეგი დასკვნების გამოტანა:**

1. უკრიზისო განვითარების მასქიმალური პერიოდი კორპორაციის მიღწეული ფინანსური ნონასწორობის პირობებში განისაზღვრება პროდუქციის რეალიზაციის ზრდის ტემპების შესაბამისობის პერიოდით იმ მნიშვნელობასთან, რომელიც გათვლილია მდგრადი აკონომიკური ზრდის მოდელის მიხედვით.

ნებისმიერი გადახრა ამ მაჩვენებლის გათვლილი მნიშვნელობიდან იქვევს კორპორაციის ფინანსური წონასწორობის დაკარგვას.

2. კორპორაციის მდგრადი ზრდა მიიღწევა მისი **ფინანსური განვითარების შემდეგი პარამეტრებით:**

ა) პროდუქციის რეალიზაციის რენტაბელობის კოეფიციენტი;

ბ) მოგების განაწილების პოლიტიკით (წმინდა მოგების კაპიტალიზაციის კოეფიციენტით გამოხატული);

გ) კაპიტალის სტრუქტურის ფორმირების პოლიტიკით (რომელიც გამოხატულია ლევერიჯის კოეფიციენტით); ან შესაბამისად აქტივების დაფინანსების პოლიტიკით (ასახული აქტოვების ლევერიჯის კოეფიციენტით);

დ) აქტივების შემადგენლობის ფორმირების პოლიტიკით. (აქტივების ბრუნვადობის კოეფიციენტით გამოხატული).

კომპანიის ფინანსური სტრატეგიის ნებისმიერი ჩამოთვლილი პარამეტრების ცვლილებისას შეიძლება მიღწეული იქნას მისი ეკონომიკური განვითარების მისაღები ტემპები ფინანსური წონასწორობის პირობებში.

3. **მდგრადი ზრდის მოდელის ყველა პარამეტრი** ცვალებადია დროში და კორპორაციის ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად უნდა **კორექტირდებოდეს** მისი განვითარების შიდა პირობების გათვალისწინებით, ასევე სასაქონლო და ფინანსური ბაზრების კონიუქტურის ცვლილებების და გარე

გარემოს სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

შესაბამისად კორპორაციის **ფინანსური სტრატეგიის პარამეტრებში** ანტიკრიზისული მართვის პროცესში შეიტანება საჭირო კორექტივები, რაც განპირობებულია პროდუქციის რეალიზაციის სიდიდის შესაძლო ზრდის ტემპებით.

ამგვარად, ფინანსური სტაბილიზაციის ამ ეტაპის მიზანი ჩაითვლება მიღწეულად, თუკი კორპორაციის (კომპანიის) მდგრადი განვითარების დაჩქარებული ტემპების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება მისი საბაზრო ღირებულების შესაბამისი ზრდა გრძელვადიან პერიოდში.

ნაწილი მესამე. „თანამედროვე მიკროეკონომიკური მეწარმეობრივი (კორპორაციული) საქმიანობის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები“

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ლევერიჯი, აქტივებზე უკუგების კოეფიციენტი, მოგებიანობის კოეფიციენტი, ლიკვიდურობის კოეფიციენტი, შიდა და გარე საფრთხეები, კონკურენციული ძალის შეფასება, რესურსული პოტენციალის ანალიზი, სტრატეგიული დაგეგმვა, განვითარების პროგნოზირება, ფინანსური სტრატეგია, ფინანსური სტრატეგიის შეფასების პარამეტრები, დივერსიფიცირებული კომპანიის კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება, „საგადასახადო მინიმიზაცია“, „საგადასახადო ოპტიმიზაცია“, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, შიდა მონიტორინგის სისტემა, ბიზნესის ღირებულების შეფასება: ფულადი ნაკადებისა და აქტივების მიხედვით, საერთაშორისო სავალუტო სისტემა, სავალუტო კურსები, მსყიდველუნარიანობის პარიტეტის თეორიის მოდელი, ბიზნესის დაბეგვრის ჰარმონიზაცია, მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაცია (WTO), კონკურენციის სტრატეგია, ფინანსური წონასწორობა და მდგრადობა.

დასკვნა. თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური საქმიანობის მაღალეფექტიანი მართვის მიღწევა შესაძლებელი იქნება სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაზე და მის უნარიან გამოყენებაზე მენეჯერთა მიერ. რეზერვების ძიების უნიშვნელოვანესი იარაღი იყო და არის ეკონომიკური ანალიზი, ამდენად ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა მაღალორგანიზებული ანალიზური შემაფასებელი სისტემის ფუნქციონირებას სანარმოს საქმიანობის შედეგების ობიექტური შეფასებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. **ეკონომიკური ანალიზი,** რომელიც საბუღალტრო აღრიცხვის ბაზაზე წარმოიშვა მასთან უპირველესად არის დაკავშირებული, რამდენადაც სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ინფორმაციის ძირითად წყაროდ სწორედ ოპერატიული-ტექნიკური (მმართველობითი აღრიცხვის) და ბუღალტრული აღრიცხვის (ფინანსური აღრიცხვის) ინფორმაცია გვევლინება.

სტრატეგიული მენეჯმენტის ძირითადი ინსტრუმენტებია: SWOT-ანალიზი, ფასეულობათა ჯაჭვის, დანახარჯებისა და კონკურენტუნარიანობის ანალიზი, რომლის საშუალებითაც გამოვლინდება კომპანიის მდგომარეობის პლიუსები და მინუსები. აჩვენებს, თუ რამდენად მყარია კომპანიის პოზიცია ბაზარზე და საჭიროებს თუ არა არსებული სტრატეგია მოდიფიცირებას. იმისათვის, რომ შეფასდეს, რამდენად წარმატებულად ხდება არსებული სტრატეგიების რეალიზება, უპირველეს ყოვლისა, მენეჯერმა უნდა გაათვიცნობიეროს სტრატეგიის არსი და უნდა განსაზღვროს: 1) კომპანიის ადგილი კონკურენტებს შორის; 2) კომპანიის კონკურენციის საზღვრები არსებულ დარგში, რომლებზეც ფირმა არის ორიენტირებული. 3) კომპანიის ფუნქციონალური სტრატეგია წარმოების, მარკეტინგის, ფინანსების, ადამიანური რესურსების სფეროში და ამასთან ერთად, კომპანიას შეუძლია მოახდინოს გარკვეული ცვლილებები; 4) სტრატეგიის თითოეული შემადგენლის– კონკურენტებთან შედარებით საკუთარი მდგომარეობის შეცვლის ყოველი ნაბიჯის, ასევე ცალკეული ფუნქციონალური მიდგომის რაციონალურობის შეფასება და სხვა.

კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის **ანალიზის მეთოდიკის გამოყენებისას** გასათვალისწინებელია, რომ: 1) ფინანსური კოეფიციენტები – კორპორაციის მუშაობის ეფექტურობის შეფასებას ემსახურება, მაგრამ იგი ყოველთვის არ იძლევა მსჯელობის შესაძლებლობას კონკურენტებთან შედარებით მისი წარმატებული საქმიანობის შესახებ, 2) დასკვნის გაკეთებამდე შესაბამისი კოეფიციენტის მრიცხველისა და მნიშვნელის მონაცემები უნდა იქნეს გაანალიზებული, 3) კორპორაციის კოეფიციენტების კონკურენტების ანალოგიურ მნიშვნელობებთან შედარებისას, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენებამ შედარების შედეგებზე შეიძლება იქონიოს გავლენა. 4) კოეფიციენტის მნიშვნელობა აზრს იძენს მხოლოდ დარგობრივ სტანდარტთან, აგრეთვე კორპორაციის გასული პერიოდის განმავლობაში საქმიანობის შესაბამის კოეფიციენტებთან, ან გეგმიურ მაჩვენებლებთან შედარებისას.

სტრატეგიული განვითარების ვარიანტის შერჩევა დიდ სირთულეებს უკავშირდება, მაგრამ კორპორაციული მართველობითი პროცესების სრულყოფა წარმატებით არის შესაძლებელი,

თუ იქნება მენეჯერების მიერ გამოყენებული საზღვარგარეთის ბიზნესპრაქტიკაში კარგად აპრობირებული 6 ოქროს წესი. კერძოდ: 1) გაარკვიეთ, რისი მიღწევა გსურთ და რატომ? 2) გაითვალისწინეთ წარმატების მიღწევის რვა აუცილებელი ფაქტორი; 3) ეფექტიანად დაგეგმეთ და ეფექიანად მართეთ მათი დაგეგმვის პროცესები; 4) როგორ შეუწყობს ხელს ორგანიზაცია პროექტის პრაქტიკაში განხორციელებას?; 5) ნათლად წარმოიდგინეთ, რის შეცვლა არის საჭირო და ცვლილების განსახორციელებლად გამოიყენეთ შესაფერისი მოქმედების სტილი ოქროს წესი: 6) ორგანიზაციამ უნდა შეისწავლოს, რატომ ეწინააღმდეგებიან ცვლილებებს და გაატაროს სათანადო ღონისძიებები.

ეკონომიკური და მმართველობითი მართვის პროცესი განსაზღვრულ კანონზომიერებებს ემორჩილება, რომლებიც ახასიათებენ მართვის ორგანოთა სისტემასა და სტრუქტურას, ადამიანური რესურსების მენეჯმენტს, მენეჯერის ფუნქციებისა და შემსრულებელზე ზემოქმედების მეთოდებს. შესაბამისად, არსებობს წარმოების გაძლოლის მენეჯმენტის ეფექტური ორგანიზაციის რიგი სპეციფიკური კანონზომიერებისა და მათი მოქმედების პრინციპების, წესების ერთობლიობა, რომელთა დაცვითა და პრაქტიკაში გატარებით მიიღწევა წარმატებული მენეჯმენტი.

ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა უნდა ჩაითვალოს წარმატებით დასრულებულად, თუკი მიღწეულია ყველა ძირითადი სტრატეგიული მიზანი კორპორაციის ფინანსური განვითარების ყოველი დომინანტური სფეროს მიხედვით რომელის მიღწევის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მონოტორინგის განხორციელება წარმოადგენს.

ეკონომიკური ორგანიზაციის (კორპორაციის) სტარატეგიის მართვის სისტემის პრინციპების საფუძველზე შემუშავებული ფინანსური სტრატეგია შესაძლებელს ხდის მოხდეს ეკონომიკური სუბიექტის ფინანსური საქმიანობის თავისდროული ადაპტირება მისი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობების სამომავლო კარდინალურ ცვლილებებთან, მისი სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიზნების რეალიზაციის მისაღწევად.

ეკონომიკური ორგანიზაციის განვითარების მართვის სრულყოფა დიდ სირთულეებს უკავშირდება. სტრატეგიული არჩევანის გაკეთება და მართვის სტილის შეცვლა კორპორაციის საქმიანობის მმართველობით პროცესში შესაძლებელია თუ დავიცავთ მაღალგანვითარებული ქვეყნების სამეწარმეო **პრაქტიკაში აპრობირებულ მეთოდებს.** შესაბამისად, ეკონომიკის მიკროდონეზე სტრატეგიული მენეჯმენტის ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმების სრულყოფილი სისტემის ფორმირება და ეკონომიკური სუბიექტების (მეწარმეების) პრაქტიკულ საქმიანობაში **ბიზნეს–გეგმის დამკვიდრება,** მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში თავისუფალი მეწარმეობის, საბაზრო ურთიერთობათა შემდგომ განვითარებას, განამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საძირკველს, მყარად და მაღალი ტემპებით განვითარებადი ეკონომიკის სახით.

ბიზნეს-სტრატეგია მიმართულია ბაზარზე, კომპანიის გრძელვადიანი კონკურენტული პოზიციების მოპოვებასა და გამყარებაზე. **ბიზნეს–სტრატეგიის შემუშავებას განაპირობებს: 1.** აუცილებელია მოხდეს რეაგირება მოცემულ დარგში მომხდარ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თუ სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებზე. **2.** კონკურენტუნარიანი სამოქმედო გეგმისა და საბაზარო მიდგომების შემუშავება, რაც მოგვცემს კონკურენტულ უპირატეოსობას სხვა კომპანიებთან მიმართებაში. **3.** აუცილებელი ცოდნისა და წარმოების საშუალებების დაგროვება. **4.** ფუნქციონალური განყოფილებების სტრატეგიული ინიციატივების გაერთიანება. **5.** კომპანიის კონკრეტული სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტა.

კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა (კსფ) არის ფინანსური მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი **ფუნქცია** ორგანიზაციის (ბიზნესის დარგის) განვითარების ერთიან სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში, მეურნე სუბიექტების ფინანსურ-სამეწარმეო საქმიანობის სასურველი შედეგის მისაღწევად კანონიერი საგადასახადო დატვირთვის (წნეხის) ოპტიმიზაციის ხერხების, არა „საგადასახადო მინიმიზაციის", არამედ „საგადასახადო ოპტიმიზაციის" გამოყენებით, ორგანიზაციის (კომპანიის) საინვესტიციო მიმზიდველობის ასამაღლებად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადების რიცხოვნება საკმაოდ მცირეა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მოქმედ გადასახადებთან შედარებით, სადაც საგადასახადო სისტემის ერთერთი დამახასიათებელი თავისებურება არის გადასახადე-

ბის მრავალფეროვნება. საქართველოში კი **გადასახადების შემცირება მიზნად** ისახავდა საგადასახადო სისტემის **ლიბერალიზაციას**. გადასახადების სახეობების შემცირება ძირითადად განხორციელდა სხვადასხვა გადასახადების საგადასახადო ბაზების გაერთიანების ხარჯზე. რამედენიმე სახეობის გადასახადმა ასახვა ჰპოვა ერთ გადასახადში (მაგალითად, ქონების გადასახადი). ამიტომ მხოლოდ გადასახადების რაოდენობის შემცირებით არ შეიძლება საუბარი მთლიანად საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციაზე.

აუდიტორული საქმიანობა მნიშვნელოვანი ბერკეტია კომპანიების, ფინანსური დაწესებულებების თვითრეგულირების, კონტროლის, საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების და მიუკერძოებელი შემოწმებისა. შესაბამისად, აუდიტორული საქმიანობა ხელს უწყობს ამ ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობის სრულყოფას და განვითარებას, რაც თავისთავად საფუძველია ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის, მისი ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ ზრდისა და ამაღლებისა.

განვითარებული სუბიექტის (ორგანიზაციის) შიდა კონტროლის სისტემა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც დირექტორთა საბჭოს მიერ მოწოდებული და ორგანიზაციაში აღმასრულებელი მენეჯმენტის მიერ პრაქტიკაში დანერგილი პრინციპების, პროცედურების, მეთოდებისა და ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მმართველობას გარკვეული ორგანიზაციული მიზნების მიღწევაში ეხმარება. პრაქტიკაში შიდა კონტროლის ორგანიზაციული ღონისძიებები და პროცედურები შეიძლება უშუალოდ ინტეგრირებული იყოს სამუშაო პროცესების ორგანიზაციის საქმიანობის ადმინისტრირებასა და რეგულირებასთან, ან შიდა მონიტორინგის სისტემასთან.

ბიზნესის ღირებულების შეფასება, რომელიც საკუთრებასთან მიმართებაში მისაღები ქმედებისგან, მისი გამოყენების ამა თუ იმ ვარიანტის სარგებლის განსაზღვრას მოიცავს. ფასეულობისა და ღირებულების შეფასება ხორციელდება მეთოდოლოგიური საფუძვლების გამოყენებით, როგორიცაა: ა) კომპანიის შეფასება ფილადი ნაკადების საფუძველზე; ბ) კომპანიის შეფასება აქტივების მიხედვით და სხვ. ბაზრის ნებისმიერი სუბიექტის (ინვესტორი, მესაკუთრეები, კომპანიის მენეჯერები) გადაწყვეტილების ეკონომიკური სარგებლის საფუძველზე მისაღებად.

მსოფლიო ეკონომიკაში საგადამხდელო და საანგარიშსწორებო ოპერაციები **სავალუტო სისტემის** მეშვეობით ხორციელდება. **საერთაშორისო სავალუტო სისტემა** წარმოადგენს სავალუტო ურთიერთობათა ორგანიზაციის ფორმების ერთობლიობას, რომლის კომპონენტებია: ეროვნული ვალუტები, ეროვნული და კოლექტიური სავალუტო ფონდები, სავალუტო პარიტეტები და კურსები, საერთაშორისო ლიკვიდური აქტივები, საერთაშორისო ანგარიშსწორება და სავალუტო შეზღუდვები, სავალუტო ბაზრები, ოქროს მსოფლიო ბაზარი და ა. შ. სადაც, **ვალუტების კურსები ყალიბდება** მრავალი ფაქტორის (გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი) გავლენით. პირდაპირი, და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. თითოეული ქვეყნის ვალუტის კურსსა და სავალუტო პოლიტიკაზე დიდ გავლენას ახდენს საგადასამხდელო ბალანსისა და სავაჭრო ბალანსის მდგომარეობა.

მსყიდველუნარიანობის პარიტეტის თეორიის მოდელის მეშვეობით, სავალუტო კურსის დადგენის **პროგნოზირება** ხდება იმ ფაქტის საფუძველზე, რომ, როდესაც ქვეყანაში ინფლაციის უფრო სწრაფი დონეა, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაში, მაშინ ამ ქვეყანაში მოხდება მისი სავალუტო კურსის გაუფასურება. აქედან გამომდინარე ინფლაციის მაჩვენებლის წინასწარგანჭვრეტად, მის აღმოსაფხვრელად ან შესამცირებლად, კომპანებმა უნდა უზრუნველყონ სავალუტო **რისკის** (ან რისკის საფრთხის) **ჰეჯირების მეთოდის** გამოყენებით.

საგარეო ვაჭრობის განვითარებისათვის, ევროკავშირის ბაზარზე ქართული ექსპორტის დამკვიდრებისთვის, და ასევე საქართველოს საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების ეკონომიკის ზრდის მისაღწევად მნიშვნელოვანი იქნება ევროკავშირის სივრცეში **ბიზნესის დაბეგვრის ჰარმონიზების** მიღწევა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციასთან (WTO) მიმართებაში, რაც მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ქვეყნის საბაჟო ორგანოების მართვის სრულყოფას და განამტკიცებს საქართველოს პოზიციებს **ევროკავშირში ინტეგრირების პროცესში.**

კომპანიების განვითარების სტრატეგიის ფორმირების პროცესში წარმატების მისაღწევად აუცილებელია **შემოქმედებითი მიდგომა, რისკის განევის უნარი, სამომხმარებლო უპირა-**

ტესობის ინტუიციური აღქმა, სწრაფი რეაგირება ახლად შემუშავებულ პროდუქციასა და არასტანდარტულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, სტრატეგიების შემუშავების ერთ-ერთი **უმთავრესი ამოცანაა – ფორმირებადი დარგების საფრთხეების და შესაძლებლობების გამოვლენა. შესაბამისად,** კომპანიებს სწრაფად მზარდ ბაზრებზე შესაღწევად უნევთ **სამი მთავარი ამოცანის გადაჭრა,** როგორიცაა 1) ბიზნესის სწრაფად გაფართოების სტრატეგიის შემუშავება; 2) კონკურენტებისგან დაცვა და მათი გამოგონებების გამოყენება საკუთარი სარგებლობის მიზნით; 3) გრძელვადიანი კონკურენციის სტრატეგიის შემუშავება. შესაბამისად, ფინანსური სტაბილიზაციის მიზანი – ჩაითვლება მიღწეულად, თუკი კომპანია გავა **ფინანსური ნონასწორობის ზღვარზე,** რაც გათვალისწინებულია კაპიტალის ფინანსური სტრუქტურის მიზნობრივი მაჩვენებლებით და უზრუნველყოფს მის სათანადო ფინანსურ სიმყარეს.

საქართველოში საბანკო ბიზნესის მენეჯმენტის სრულყოფის ფინანსური მექანიზმი

თავი 18.

თანამედროვე საბანკო-საკრედიტო სისტემის ფინანსური მენეჯმენტი

18.1 საბანკოს სისტემის წარმოშობის და განვითარების მიმოხილვა

თანამედროვე საბანკო საქმე – ეს არის ძალიან ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციის შედეგი რომელიც მრავალსაუკუნოვან პერიოდს მოიცავს. ბანკების ყველაზე ადრეულ წინამორბედებად მიჩნეულია ტაძრები, რომლებშიც ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII-VIII საუკუნეებში ხდებოდა საქონლის, ხორბლის, ბეწვეულის და სხვა მატერიალური ფასეულობების შენახვა, თავდაპირველად ეს პირველ რიგში უსაფრთხოების და ხალხის მიერ ნდობით იყო გამოწვეული. ძვ. წელთ. აღ. 1704-1662 წწ. ბაბილონსა და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები (მაგ; ხამურაბის კანონების კრებული) მოწმობენ, რომ მაშინაც იყო ვაქსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონით რეგულირდებოდა. სახსრების შენახვისთვის კანონი ითვალისწინებდა გადასახადს. სესხები გაიცემოდა არა მხოლოდ ფულადი ფორმით, არამედ ცალკეული საქონლის სახით (მაგ: ხორბლით, ფინიკით, ზეთით და ა. შ.). გარე ვაჭრობის განვითარებამ ასევე იმოქმედა **ძველ საბერძნეთში** პირველი „ბანკების" ტრაპეზიტების, (ძვ. ბერძნულიდან ითარგმნება როგორც „ადამიანი მაგიდასთან") გაჩენაზე. ტრაპეზიტებს ძირითადათ ქალაქის ბაზრებში ჰქონდათ სპეციალური მაგიდები სადაც ისინი ახორციელებდნენ **ბაბილონის** მზგავსად საკრედიტო, შემნახველ, ყიდვა-გაყიდვის, საშუამავლო ოპერაციებს. ტრაპეზიტების საქმიანობა საკმაოდ გავრცელებული და პოპულარული იყო ჩვ. წ. აღ-მდე V-III საუკუნეების საბერძნეთში და შემდეგ უკვე ძველ რომში, სადაც საბანკო საქმემ დიდ წარმატებას მიაღწია. იმ ხალხმა, რომლებიც ჩართულები იყვნენ ფულად ოპერაციებში, დაიწყო ეგრეთ ნოდებული ასოციაციების შექმნა, რომლებიც უკვე სახელმწიფო ორგანოებთანაც თანამშრომლობდნენ და ახორციელებდნენ მოსახლეობიდან სახელმწიფო გადასახადების აკრეფვას, ასევე ყველა სხვა საკრედიტო თუ შემნახველ ოპერაციებს. ასოცოაციის წევრები აგვარებდნენ მემკვიდრეობის და საქორწინო კონტრაქტების საქმეებსაც. ძველ რომში არსებობდა დაახლოებით 50 ასეთი მსხვილი ასოციაცია, რის გამოც კონკურენციის დონე საკმაოდ მაღალი იყო და ასოციაციის წევრები ყველა გზას იყენებდნენ ხალხის მოსაზიდად. ასოციაციები ხსნიდნენ ფილიალიებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში. სახელმწიფო მხარში ედგა ასეთ ასოცოაციებს და ეხმარებოდა მათ კრიზისულ სიტუაციებში, ასევე, არეგულირებდა საპროცენტო განაკვეთს კრედიტებზე. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო სრული მნიშვნელობით საბანკო საქმიანობა.

საბანკო საქმის ნამდვილი განვითარება იწყება დაახლოებით XII-XIII საუკუნეებში **იტალიაში**, თავად სიტყვა **ბანკი** წარმოდგება იტალიური „banco" -დან რაც გადამცვლელის სკამს, **ფულად მაგიდას** ნიშნავს. ეს განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული საკრედიტო ურთიერთობების აუცილებლობასთან, რაც გამოწვეული იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებით. საქონელბრუნვის ზრდამ გამოიწვია საბანკო მომსახურეობაზე სულ უფრო დიდი მოთხოვნა როგორც მაღალი ასევე დაბალი ფენის წარმომადგენლებში. პირველი ბანკი, უკვე როგორც სპეციალიზებული საკრედიტო საანგარიშსწორებო ინსტიტუტი 1407 წელს იტალიაში, გენუაში აღმოცენდა („ბანკა დი სან ჯორჯიო"). ამ დროს გაჩნდა პირველი ვექსილი. თვითონ ტერმინი „კომერციული ბანკი" საბანკო საქმის საწყის ეტაპზევე აღმოცენდა, ამ ტერმინმა შეიძინა „საქმიანი" ხასიათის აღმნიშვნელი შინაარსი, ანუ ბანკი, რომელიც სამეურნეო საქმიანობის ყველა სფეროს ემსახურება. გენუა და ვენეცია აწარმოებდნენ ვაჭრობას

ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე თავის მეზობელ ქვეყნებთან. ვაჭრები თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენდნენ ბანკებში შენახული ოქროს ფულის საშუალებით. ბანკების ქვითრებს ოქროს შენახვაზე ეწოდებოდა ბანკნოტები ანუ საბანკო საგადასახდელო ბილეთები.

ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარების შემდგომი სტადია ხასიათდებოდა ეროვნული ბაზრების, სასაქონლო დაკრედიტების და სათამასუქო მიმოქცევის სწრაფი ზრდით და ალმოცენებით. დაიწყო კომერციული ბანკების მასობრივი შექმნა და საბანკო ბილეთების გამოშვება. იმდროინდელი კომერციული ბანკები და მათი ბანკნოტები ეროვნული ფულად-საკრედიტო სისტემისა და ცენტრალური ბანკების პირველ სახეს წარმოადგენდა.

ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარების მომდევნო ეტაპზე საგადასახდელო ბილეთების გამოშვება მსხვილმა კომერციულმა ბანკებმა დაიწყეს. ეს პროცესი იყო ევროპის ყველა ქვეყანაში ცენტრალური საემისიო ბანკების შექმნის საფუძველი, რის ინიციატორებადაც სახელმწიფოები მოგვევლინა, რომლებიც დაინტერესებულები იყვნენ მიეღოთ სესხები ომებისა და ტერიტორიული ექსპანსიის საწარმოებლად და საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დასამყარებლად.

კომერციული ბანკების საგადასახდელო ბილეთების ცენტრალური საემისიო ბანკების **ბანკნოტებად** გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს საწარმოების სათამასუქო და ნაღდი ფულადი ბრუნვის გაფართოება წარმოადგენდა. ცენტრალური ბანკების ბანკნოტების გამოშვებამ გააფართოვა ფულადი მიმოქცევის მასშტაბები და უზრუნველყო ნაღდი ფულის აუცილებელი მასის გაფართოებული კვლავწარმოება. შემდეგ ეტაპზე ცენტრალური საემისიო ბანკების ბანკნოტებმა მიმოქცევიდან გამოდევნა კომერციული ბანკების საგადასახდელო ბილეთები. ეს პროცესი მსხვილი ინდუსტრიული სახელმწიფოების, მათი ეროვნული ბაზრების და მეურნეობის მსოფლიო სისტემის ჩამოყალიბებას ეფუძნებოდა. ცენტრალური ბანკები მსხვილ საკრედიტო ცენტრებად გადაიქცნენ. ამ ეტაპზე უკვე გაიმიჯნა კომერციული და ცენტრალური ბანკების ფუნქციები. კომერციულმა ბანკებმა შეწყვიტეს საგადასახდელო ბილეთების გამოშვება და დაიწყეს დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ფართომასშტაბიანი მობილიზაცია. ისინი ახორციელებდნენ უნაღდო ანგარიშსწორებას, საწარმოების დაკრედიტებას და საკასო მომსახურებას. ცენტრალური ბანკები გადაიქცნენ ბანკთა ბანკებად მიიღეს რა ეროვნული ბანკნოტების ემისიის, კომერციული ბანკების რეზერვების მოზიდვის, მათი თამასუქების პორტფელის რეფინანსირების, სახელმწიფო ხარჯების დაკრედიტების მონოპოლიური უფლება. შედეგად მსოფლიოს ყველა ინდუსტრიულ ქვეყანაში ჩამოყალიბდა ორსაფეხურიანი ფულად-საკრედიტო სისტემა, შემდგარი ცენტრალური და კომერციული ბანკებისგან.

ცენტრალური (ეროვნული) ბანკის როლი ეკონომიკაში

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში დღესდღეობით მოქმედებს **ბანკების ორი პრინციპულად განსხვავებული ტიპი – ცენტრალური და კომერციული.** ცენტრალური (ეროვნული) ბანკი ეს არის ფულად-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ორდონიანი საბანკო სისტემის ზედა საფეხურზე იმყოფება, ის ქვეყნის **„ბანკთა ბანკის"**, ქვეყნის საანგარიშსწორებო ცენტრის და ეკონომიკის რეგულირების ორგანოს ამოცანებს ასრულებს. შესაბამისად, იგი მარეგულირებელ, მაკონტროლებელ და საინფორმაციო-გამოკვლევით ფუნქციებს ასრულებს. ცენტრალური ბანკის კომერციულ ბანკებთან ურთიერთობა ადმინისტრაციულ პრინციპებს ემყარება. **კომერციული ბანკი** – ეს არის ტიპიური საწარმო, რომლის შემოსავლები იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად მოემსახურება ის კლიენტებს. მისი ძირითადი **ფუნქციებია** დროებით თავისუფალი სახსრების აკუმულაცია, მოზიდული სახსრების განთავსება და კლიენტურის საანგარიშსწორებო-საკომისიო მომსახურება.

კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე ცენტრალურ და კომერციულ ბანკებს შორის ფუნქციათა მკვეთრი დანაწევრება არ არსებობდა. კომერციული ბანკები ბანკნოტების გამოშვებას ფართოდ იყენებდნენ როგორც კაპიტალის მობილიზაციის ერთ-ერთ წყაროს. საკრედიტო სისტემის განვითარებასთან ერთად ბანკნოტების ემისიის ცენტრალიზაციის პროცესი რამდენიმე მსხვილ კომერციულ ბანკში დამკვიდრდა. ამის შედეგად ბანკნოტების გამოშვების მონიპოლიური უფლება საბოლოოდ ერთი ბანკის პრეროგატივა გახდა. თავდაპირველად ასეთ ბანკებს **ემისიურ ბანკებს** უწოდებდნენ, ხოლო შემდგომ მათი ფუნქციები ბევრად გაიზარდა და პრაკტიკაში დამკვიდრდა ცნება – **ცენტრალური ბანკი.**

პირველი ცენტრალური ბანკები საკმაოდ ადრეულ პერიოდში წარმოიშვა (ინგლისი – 1634 წელი, შვედეთი – 1668 წელი), მაგრამ მათი საყოველთაო გავრცელება და თანამედროვე მნიშვნელობა მხოლოდ XX საუკუნეში შეიძინეს. მეოცე საუკუნის დასაწყისამდე ემისიური ბანკები კერძო იყო, მეორე მსოფლიო ომის წინ დაიწყო მათი ნაციონალიზაციის პროცესი, რაც დაკავშირებული იყო კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირველ ეტაპთან და სახელმწიფო – მონოპოლისტური რეგულირების გაფართოებასთან. 1938 წელს სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა კანადის ბანკი, 1939 წელს გერმანიის რეიხს ბანკი, 1942 წელს იაპონიის ბანკი, 1946 წელს ინგლისის და საფრანგეთის ბანკები. ზოგიერთი ქვეყნის ბანკები თავიდანვე ემისიურ ცენტრებად იქნენ დაფუძნებული, მაგალითად 1913 წელს აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემა, მრავალი ლათინო-ამერიკული სახელმწიფოს ცენტრალური ბანკი.

თანამედროვე პირობებში უმეტეს ქვეყნებში ცენტრალური ბანკები თავისი არსით სახელმწიფო ბანკებს წარმოადგენენ იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი ფორმალურად სახელმწიფოს არ მიეკუთვნება. ცენტრალური ბანკი დღეს ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს საფინანსო-საკრედიტო სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

ქვეყნის ცენტრალური ბანკი („ბანკთა-ბანკი“) არის ქვეყნის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი გამტარებელი, რომელიც მიმართულია ფულადი მიმოქცევის სტაბილიზაციაზე. მისი უპირველესი მოვალეობა ეკონომიკაში არის დაიცვას ფულის ღირებულება და მსყიდველობითუნარიანობა, შექმნას ნორმალური პირობები ფინანსური ბაზრების ფუნქციონირებისათვის.

ცენტრალური ბანკების აღმოცენება დაკავშირებულია საბანკო ემისიის ცენტრალიზაციისა და ქვეყანაში ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის აუცილებლობასთან, საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობასთან მთელი სახალხო მეურნეობის ფარგლებში, აგრეთვე ეროვნული ვალუტების დაცვისა და მდგომარეობის უზრუნველყოფის აუცილებლობასთან. ცენტრალური ბანკის როლი ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში მისი განვითარების კვალობაზე ძლიერდება, რადგან სწორედ ფულის, ფულად-საკრედიტო მექანიზმის საშუალებით მიმდინარეობს განვითარების რეგულირება.

ცენტრალური ბანკის პოლიტიკა თავისი ფუნქციების რეალიზაციაში ახამებს:

მთავრობის პოლიტიკის ინტერესებს რომლებიც მიმართულია ეკონომიკის აღმავლობაზე, უმუშევრობის შემცირებაზე და დასაქმების გაფართოებაზე; სამრეწველო ინტერესებს, მიმართულს ინვესტიციური შესაძლებლობების სტიმულირებაზე; აგრეთვე პირველ რიგში საკუთარ ინტერესებს – საფინანსო სისტემის მდგრადობის ამაღლებას.

ცენტრალური ბანკის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს: 1) ბანკნოტების ემისია; 2) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება; 3) ფულად-საკრედიტო ინსტიტუტების რეფინანსირება; 4) სავალუტო პოლიტიკის განხორციელება; 5) საკრედიტო ინსტიტუტების საქმიანობის რეგულირება; 6) მთავრობის ფინანსური აგენტის ფუნქცია; 7) საგადასახადო-საანგარიშსწორებო ურთიერთობების ორგანიზაცია.

ქვეყნის **საგადასახადო სისტემის** ორგანიზაციაში **ცენტრალური ბანკის სამ ძირითად ამოცანას წარმოადგენს: 1)** ფინანსური სისტემის სტაბილურობის მხარდაჭერა; 2) საგადასახადო სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; 3) ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება.

ცენტრალური ბანკის ძირითადი ფუნქციებია: 1) ეკონომიკის ფულად-საკრედიტო რეგულირება; 2) საკრედიტო ფულის ემისია; 3) საკრედიტო დაწესებულებების საქმიანობაზე კონტროლი; 4) სხვა საკრედიტო დაწესებულებების საკასო რეზერვები და შენახვა; 5) კომერციული ბანკების რეფინანსირება; 6) მთავრობის საკრედიტო-საანგარიშსწორება მომსახურება; 7) ოფიციალური ოქრო-სავალუტო რეზერვების შენახვა ცენტრალური ბანკების იურიდიული სტატუს ყოველი კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით განისაზღვრება.

ჩვენს ქვეყანაში ამ სფეროში ძირითად **ნორმატიულ აქტს** წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ. ამ კანონის II მუხლის თანახმად „ეროვნული ბანკის **ძირითადი ამოცანაა**: ეროვნული ვალუტის მსყიდველობითი უნარის, ფასების სტაბილურობის მიღწევა და შენარჩუნება, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების, აგრეთვე საფინანსო-საკრედიტო სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნა-

რიანობის და საბაზრო ურთიერთობებზე დაფუძნებული მყარი ფუნქციონირების უზრუნველყოფა". {..... } მოგების მიღება არ წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობის მიზანს. ამით ის სავსებით განსხვავდება კომერციული ბანკისგან, რადგან ამ უკანასკნელის მიზანი სწორედ რომ მოგებაშია. საქართველოს კანონში „კომერციული ბანკების შესახებ" კომერციული ბანკი განმარტებულია როგორც საკრედიტო დაწესებულება, რომელიც მოგების მიზნით ეწევა საბანკო საქმიანობას.

კომერციული ბანკები წარმოადგენენ დამოუკიდებელ საბაზრო ორგანიზაციულ სტრუქტურებს და ხასიათდებიან ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაღალი დონით. მათი უმთავრესი მიზანია რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება მიღებული საბანკო კაპიტალის წრებრუნვისა და მოზიდული სახსრების გამოყენების შედეგად. კომერციული ბანკების საქმიანობა მრავლის მომცველია.

ბანკების შემოსავლებს წარმოადგენს: ა) პროცენტები; ბ) საზღაური მიღებული კლიენტებისგან საანგარიშსწორებო და საკასო მომსახურებისთვის; გ) საკომისიო მომსახურებისათვის სხვა ბანკებტან საკორესპონდენტო ურთიერთობების მიხედვით და საწარმოების, ორგანიზაციების, მოქალაქეებისათვის გაწეული მომსახურებისათვის; დ) შემოსავლები ფაქტორინგული და სალიზინგო ოპერაციებიდან, კლიენტებისატვის გაცემული აკრედიტივებისთვის და გარანტიებისთვის; ე) შემოსავლები რომლებიც დაკავშირებულია ნაღდი უცხოური ვალუტის გაყიდვასტან და ვალუტისგან, რომელიც იმყოფება ანგარიშებზე და ანაბრებზე; ვ) შემოსავლები სატრასტო, საინფორმაციო საკონსულტაციო და სხვა მომსახურებიდან; ზ) შემოსავლები სხვა საწარმოების საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობიდან, ბანკის კუთვნილ აქციებზე, ობლიგაციებზე და სხვა ფასიან ქაღალდებზე დივიდენდები და პროცენტები.

ყოველწლიურად მსოფლიოში კომერციული ბანკები სულ უფრო მეტ ახალ პროდუქტს ქმნიან კლიენტების მოსაზიდად და მეტი შემოსავლის მისაღებად. კარგად მოფიქრებული პროდუქტი კი ნამდვილად იზიდავს სულ უფრო მეტ კლიენტს რაც ბანკის მთავარ მიზანს წარმოადგენს.

საბანკო ხარჯებია: დარიცხული და გადახდილი პროცენტები ორგანიზაციების ანგარიშებზე, ანაბრებზე და დეპოზიტებზე, ასევე სხვა ბანკებიდან მიღებული საკრედიტო რესურსებისათვის; ხარჯები ბანკის შენახვისთვის (საარენდო გადასახადები, შენობების, მოწყობილობების და იბვენტარის ექსპლუატაცია) სხვა ბანკების მომსახურების და საკორესპონდენტო ურტიერთობებისათვის გადახდილი დანახარჯები; საოპერაციო, საკანცელარიო და საფოსტო-სატელეგრაფო ხარჯები, ასევე ფულადი სახსრების და ფასეულობების გადაზიდვის და შენახვის ხარჯები; საზღაური სხვა ბანკებს საანგარიშსწორებო-საკასო მომსახურებისათვის; ხარჯები რომლებიც დაკავშირებულია უცხოური ვალუტით ოპერაციების განხორციელებასთან; ხარჯები რეკლამაზე, საინფორმაციო და აუდიტორული მომსახურებისთვის; ხარჯები ბანკის თანამშრომელთა შენახვაზე (ხელფასები და მივლინებები).

კომერციული ბანკის **მოგება** იქნება მისი საქმიანობის შედეგების მიხედვით, როგორც სხვაობა ფაქტობრივად მიღებულ შემოსავლებსა და განხორციელებულ დანახარჯებს შორის. უპირველეს ყოვლისა მიღებული საბალანსო მოგებიდან ბანკი იხდის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესიტა და მოცულობით გადასახადებს ბიუჯეტში, შემდგომ კი ბანკის მოგება გამოიყენება წესიტ, დადგენილი აქციონერების საერთო კრების მიერ. მოგებიდან ანარიცხებით იქმნება სარეზერვო და სხვა ფონდები. დარჩენილი მოგება აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება მიმართულ იქნას ბანკის საწესდებო კაპიტალის შესავსებად და გამოყენებულ იქნეს აქციონერთათვის დივიდენდების გასაცემად. **კომერციული ბანკების სპეციფიკა** იმაში მდგომარეობს, რომ მისი რესურსების უმეტესი ნაწილის ფორმირება არა საკუთარი სახსრების, არამედ ძირითადათ **მოზიდული** სახსრების ხარჯზე ხორციელდება. კომერციული ბანკის რესურსები განისაზღვრება როგორც ბანკის განკარგულებაში არსებული საკუთარი და მოზიდული სახსრების ერთობლიობა და მის მიერ მათი აქტიური ოპერაციების განხორციელებისათვის გამოყენების შესაძლებლობა. საკუთარი სახსრები არის ბანკის საწესდებო ფონდისა და მისი სხვა ფონდების ერთობლიობა, რომელიც ფინანსური მდგომარეობის, კომერციული და სამეურნეო საქმიანობის უზრუნველყოფისატვის, ასევე ბანკის მიერ მიმდინარე და გასულ წლებში მიღებული მოგების ხარჯზე იწმნება.

კომერციული ბანკები ახორციელებენ უაღრესად მნიშვნელოვან **მომსახურებას** ეკონომი-

კის ყველა სექტორისათვის იმით, რომ ისინი უზრუნველყოფენ დანაზოგთა აკუმულაციას და მათ შემდგომ გამოყენებას სხვადასხვაგვარი ეკონომიკური და სოციალური საჭიროებისათვის. კომერციული ბანკების ძირითადი ფუნქციებია საიმედო მსესხებლებზე კრედიტის გაცემა. კრედიტის გაცემით ბანკები მნიშვნელოვან სამსახურს ეწევიან. კრედიტის მეშვეობით ფართოვდება წარმოებები, იზრდება კაპიტალი და მიიღწევა ცხოვრების უფრო მაღალი დონე. სესხები ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკისათვის, ისინი აგრალური სფეროს, ვაჭრობის მრეწველობის და სხვა დარგების დაფინანსებას ახორციელებენ.

მსოფლიო მაღალგანვითარებული ქვეყნების **საბანკო სტრუქტურა** განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად სხვა ქვეყნების საბანკო სისტემებთან შედარებით **აშშ-ში საბანკო სისტემას** გააჩნია რიგი თავისებურებები, რომლებიც ვლინდება, როგორც ცენტრალური ასევე კომერციული ბანკების საქმიანობაში.

იაპონიას აქვს ერთ-ერთი ახალგაზრდა საბანკო კანონმდებლობა, რომელიც აგებულია ამერიკული ნიმუშის მიხედვით. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან მიიღო მნიშვნელოვანი განვითარება.

გერმანიაში ცენტრალური ბანკი „დოიჩე ბუნდესბანკი" შეიქმნა 1957 წელს. ცენტრალური ბანკი ითვლება სახელმწიფო იურიდიულ პირად. ის არ ეკუთვნის ფედერაციის ხელისუფლების ორგანოებს, არ ემორჩილება არც კანცლერს, არც ფედერაციის მინისტრს არამედ მხოლოდ კანონს. გერმანიაში უპირატესობა აქვს უნივერსალურ საბანკო სისტემას.

დიდ ბრიტანეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო საქმის განვითარება. 200 წელზე მეტია ინგლისური ბანკები წამყვან როლს თამაშობდნენ მსოფლიოში, ლონდონი დღესაც უმნიშვნელოვანესი და უმსხვილესი საფინანსო ცენტრია. **ინგლისის ბანკი** – მსოფლიოს ყველაზე ძველი ცანტრალური ბანკია, რომელიც 1634 წელს შეიქმნა. თავიდან ინგლისის ბანკი არ იყო წმინდა საემისიო ბანკი. დიდი მოცულობით იგი ასრულებდა კომერციული ბანკის ფუნქციებს, რომელსაც მრავალრიცხოვანი კერძო კლიენტურა ყავდა. 1844 წელს ინგლისის ბანკმა ბანკნოტების ემისიის მონოპოლია მიიღო. **ინგლისის ბანკი ბანკებს** ყოფს სამ ჯგუფად: 1) დეპოზიტური ბანკები; 2) სააღრიცხვო სახლები; 3) აქცეპტური სახლები, საზღვარგარეთული ბანკები, სხვა ბანკები.

შვეიცარიაში საბანკო საქმე ცოტა მოგვიანებით განვითარდა ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში. შვეიცარიის საბანკო სისტემა განასხვავებს ბანკების 5 ჯგუფს: 1) კანტონალური ბანკები; 2) გროსბანკები; 3) რეგიონული ბანკები, შემნახველი სალაროები; 4) სასესხო კანკები და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობები; 5) სხვა ბანკები.

იტალიის საბანკო საქმე ყველაზე ძველია მსოფლიოში. მრავალი ცნება და ტერმინი, რომელიც დღესაც იხმარება საერთაშორისო საბანკო პრაქტიკაში, იტალიური წარმოშობისაა, მაგალითად: „ბანკი", „ლომბარდი", „ინდოსამენტი" და სხვა. **მსოფლიოს ოთხი უძველესი ბანკი** სწორედ იტალიაში წარმოიშვა („ბანკო დი ნაპოლი", ბანკო და სანტო სპირიტო", „ინსტიტუტო-ბანკარიო სან პაულო დი ტურინო", „მონტე დეი პაში და სიენა". იტალიის ცენტრალური ბანკი დაფუძნდა 1893 წელს.

ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე ათასობით კომერციული ბანკი არსებობს მთელს მსოფლიოში, **კონკურენციის დონე** ამ ბანკებს შორის საკმაოდ მაღალია, ყველა მათგანი სხვადასხვა ხერხს მიმართავს კლენტების მოსაზიდათ, მილიონები იხარჯება საბანკო პროდუქტების სარეკლამო აქციებზე. ბევრი კომერციული ბანკი ვერ უძლებს ასეთ კონკურენციას და წყვეტს ბაზარზე არსებობას ან რომელიმე სხვა უფრო მსხვილი ბანკის საკუთრებაში გადადის.

საბანკო სისტემის ევოლუცია და განვითარება საქართველოში

როგორც მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს და საკრედიტო დაწესებულებებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს – **იბერიასა** და **კოლხეთს**, სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები ზარაფხებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით გააჩნდათ ჯერ კიდევ ძვ. წთ. აღ-ით VI საუკუნეში. VIII ს-ის საქართველოში უკვე არსებობდნენ ფართო საკრედიტო ორგანიოზაციები, რომელთაც ორტაღი ეწოდებოდა. ეს ორგანი-

ზაციები გასცემდნენ კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ. ე. წ „ოქროს ხანაში" საქართველოში სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ვერცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი ჰქონდა. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, დავით აღმაშენებელს ორიგინალური გადაწყვეტილება მიუღია: საქართველოს მიწა-წყალზე **რვალს – „თეთრი"** ვერცხლად მიიღებოდესო (**რვალი** – სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული). თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, დავით აღმაშენებლმა სავალუტო რეფორმა – ეროვნული ვალუტის დევალვაცია მოახდინა და მკაცრი სავალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიზაინის მქონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა. ამ **სავალუტო რეფორმამ**, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა – საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეუწყო ხელი[47] XI-XIII საუკუნეებში საქართველო ჩაბმული იყო **მსოფლიო ვაჭრობაში**, ვითარდებოდა საკრედიტო დაწესებულებები, მაგრამ XIII ს-ის მეორე ნახევარში საქართველო განუწყვეტლივ ბრძოლებში იყო ჩართული და ისტორიული წყაროებიდან ვეღარ ვიღებთ ინფორმაციას იმდროინდელი საკრედიტო დაწესებულებების შესახებ. მოგვიანებით XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში უკვე საზარაფო დაწესებულებები არსებობდა, რომლებიც საკრედიტო-საანგარიშსწორებო ოპერაციებს ასრულებდნენ და ჭრიდნენ ფულს არამარტო საქართველოში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც.

XX საუკუნის 80-იან წლებში საბანკო სისტემის რეფორმის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკების განყოფილებები თვითანაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნებით. ეკონომიკის ტრანსფორმაციას თან ცენტრალიზებული მატერიალური მარაგის სისტემის ლიკვიდაცია მოჰყვა. ამან საშუამავლო და სავაჭრო ორგანიზაციების ფართო ქსელი წარმოშვა, რამაც საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნილება გაზარდა. საქართველოს ეკონომიკას ეფექტიანი და საკრედიტო საანგარიშსწორებო მომსახურების საჭიროება გაუჩნდა.

1995 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ ეფუძნებოდა მსოფლიოს წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და „საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის" მიერ დადგენილ „ეფექტური საბანკო ზედამხედველობის 25 ძირითად პრინციპს", რომლის მიზანი იყო ქვეყანაში არსებული კომერციული ბანკების გარდაქმნა-ჩამოყალიბება სტაბილურ საბანკო ინსტიტუტებად და მთლიანობაში, საბანკო სისტემის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ამავე პერიოდიდან საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შეფასებაც ეფუძნება საყოველთაოდ ცნობილ და მრავალ ქვეყანაში აპრობირებულ **CAMEL-ის სარეიტინგო სისტემას.**

2000-2006 წლებში საბანკო სისტემა მზარდი ტემპით ვითარდებოდა. **საქართველოს საბანკო სისტემა** თავის მომხმარებელს სთავაზობს თითქმის ყველა სახის საბანკო მომსახურებას, რომლებიც სადღეისოდ არსებობს განვითარებულ ქვეყნებში. ამ წლებში ბანკების რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე 32-იდან 17 ერთეულამდე ჩამოვიდა, საბანკო სისტემის მთლიანი აქტივები 726 მლნ. ლარიდან 4 228 მლნ. ლარამდე გაიზარდა. ჩვენს ქვეყანაში კომერციული ბანკი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საბანკო საქმიანობის სახით განსაზღვრულ, საქმიანობის ყველა ან გარკვეულ სახეობას მხოლოდ საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში.

2011 წლის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მ. შორის 16 – საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 2 – უცხოური ბანკის ფილიალით. საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით წლის დასაწყისთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 111.3 მლნ ლარით, ანუ 1.1 პროცენტით გაიზარდა და 10675.5 მლნ ლარი შეადგინა. საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 1718.7 მლნ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 16.1 პროცენტია. უცხოური კაპიტალის მონაწილეობამ ბანკების მთლიან განაღდებულ საწესდებო კაპიტალში 81.0 პროცენტი შეადგინა.

---

[47] ვ. მოსიაშვილი ფ. ლომაძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე (ლექციების კურსი), თბილისი, 2009.

2011 წლის იანვარ-თებერვალში მოქმედი ბანკების შემოსავლები 33.8 პროცენტით გაიზარდა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 289.7 მლნ ლარი შეადგინა. მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში კომერციული ბანკების წმინდა მოგების საერთო თანხამ 10.7 მლნ ლარი შეადგინა. კომერციულ ბანკებს შორის საკმაოდ დიდი კონკურენციაა, ამიტომ ყველა ბანკის მენეჯმენტი ცდილობს ყველა ხერხებით კლიენტების მოზიდვას და მათ საუკეთესო მომსახურებას სთავაზობს. ბაზარზე შემოდის ახალი საბანკო პროდუქტები, ფართოვდება ფილიალების ქსელი და დღეისთვის პრაქტიკულად ვერ შევხვდებით ადამიანს რომელსაც არ უსარგებლია ამა თუ იმ საბანკო მომსახურებით.

18.2. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტი

ბანკის საქმიანობა მიმდინარეობს მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში, ეს ყველაფერი გავლენას ახდენს საკრედიტო ორგანიზაციის საერთო ეკონომიკურ სიმყარეზე. აქედან გამომდინარე ბანკის ძირითადი ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებზე, ბანკის საფინანსო -ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურ შეფასებაზე, ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფის და საბანკო ფინანსური ტექნოლოგიების სრულყოფაზე. **კომერციული ბანკის მდგრადობას** არსებულ საბაზრო გარემოში განსაზღვრავს **რამდენიმე ფაქტორი,** კერძოდ: 1) კომერციული ბანკის კაპიტალური სიმყარე; 2) ბანკის კომერციული სისიდე; 3) კომერციული ბანკის სიმყარე; 4) ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სიმყარე; 5) კომერციული ბანკის ფინანსური სიმყარე.

ფინანსური ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი **მიზანია** იმის განსაზღვრა თუ რომელი მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბანკის ფინანსური ანგარიშების ანალიზის დროს. მენეჯერებს საშუალება უნდა ჰქონდეთ გამოავლინონ ბანკის მნიშვნელოვანი შიდა პრობლემები და გამონახონ მათი გადაწყვეტის ხერხები.

***ბანკის მოგებიანობის** ძირითადი მაჩვენებლებია:* **1) მოგება საკუთარ კაპიტალზე (ROE); 2) მოგება აქტივების კაპიტალზე (ROA); 3) წმინდა საპროცენტო მარჟა; 4) წმინდა არასაპროცენტო მარჟა; 5) ბანკის ოპერაციული მოგების წმინდა მარჟა; 6) წმინდა მოგება სპეციალური ოპერაციების ჩატარებამდე; 7) წმინდა მოგება გაანგარიშებული ერთ აქციაზე.**

მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომერციული ბანკების საქმიანობის **რეიტინგულ შეფასებას.** რეიტინგი – ეს არის რამდენიმე ბანკის საქმიანობის შეფასების მეთოდი. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, ფულად საკრედიტო პოლიტიკის და ფედერალური სარეზერვო სისტემის მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელების ჩარჩოებში ფართოდ გამოიყენება კომერციული ბანკების **ფინანსური მდგომარეობის რეიტინგული შეფასების სისტემა CAMEL -ი, რომელიც შედგება:**

C (capital adequacy) – კაპიტალის ადეკვატურობა, შესაბამისობა. სისტემა იძლევა ბანკის კაპიტალის სიდიდის შეფასებისას მისი საკმარისობის თვალსაზრისით, მეანაბრეთა ინტერესების დაცვისათვის; **A (asset quality) – ბანკის აქტივების ხარისხი;** განსაზღვრავს აქტივებისა და ბალანსგარეშე ანგარიშების დაბრუნების შესაძლებლობას, ასევე პრობლემური კრედიტების ბანკის საერთო ფინანსურ მდგომარეობაზე ზემოქმედებას; **M (management) – მენეჯმენტი;** იძლევა ბანკის მენეჯმენტის მეთოდების შეფასებას მისი საქმიანობის ეფექტიანობის, მუშაობის ჩამოყალიბებული წესის, კონტროლის მეთოდებისა და კანონით დაწესებული წესების გათვალისწინებით; **E (earnings) – შემოსავლები ანუ რენტაბელობა;** აფასებს ბანკის რენტაბელობას მისი შემოსავლების საკმარისობის მიხედვით, საბანკო საქმიანობის გაფართოების პერსპექტივებისატვის; **L (liquidity) – ლიკვიდურობა;** განსაზღვრავს ბანკის ლიკვიდურობის დონეს მისი საკმარისობის თვალსაზრისით, როგორც ჩვეულებრივი, ასევე გაუთვალისწინებელი ვალდებულებების შესრულებისათვის.

CAMEL-ის მეთოდის მიხედვით კაპიტალის ანალიზის შემთხვევაში საკვანძო საკითხია აკმაყოფილებს თუ არა ბანკის კაპიტალის საკმარისობის მოთხოვნას. კაპიტალის ანალიზის კონცეფცია გამოიყენებს **ბაზელის საერთაშორისო სტანდარტებს,** კაპიტალის შეფასებისას **CAMEL -ის სისტემის** მიხედვით გამოიყენება შემდეგი მითითება: **რეიტინგი 1 (მყარი) –** ბანკე-

ბი რომლებიც კაპიტალის მიხედვით შედიან ლიდერების რიცხვსი. რომელთა ძირითადი და ერთობლივი კაპიტალის საკმარისობის მაჩვენებელი სჭარბობს საჭირო 4%-ს და 8%-ს. **რეიტინგი 2 (დამაკმაყოფილებელი)** – ბანკები რომლებიც კაპიტალის მაჩვენებლების წყალობით განეკუთვნებიან საუკეთესო ბანკების პირველ ნახევარს; **რეიტინგი 3 (საშუალო)** – ბანკები რომლებსაც აქვთ კაპიტალის საშუალო მაჩვენებლები სხვა ბანკებთან შედარებით; **რეიტინგი 4 (ზღვრული)** – ბანკები რომელთა აქტივების მდგომარეობა აღიარებულია როგორც სუსტი, რომლებიც განეკუთვნებიან ცუდი ბანკების ბოლო მესამედს. **რეიტინგი 5 (არადამაკმაყოფილებელი)** – ბანკები რომელთა კაპიტალის საბაზო და ერთობლივი მაჩვენებლები არ შეესაბამება მოთხოვნებს.

სუსტი ან ცუდათ მართვადი ბანკისათვის ყველაზე გავრცელებული პრობლემაა **აქტივების ხარისხი.** აქტივების ხარისხის **ანალიზი** საშუალებას იძლევა განისაზღვროს ბანკის სიცოცხლისუნარიანობა. **CAMEL-ის სისტემის** გამოყენებით აქტივების ხარისხის ანალიზის შედეგია საბანკო რეიტინგების განლაგება საბანკო ზედამხედველობის მიზნისათვის, იმ გამონაკლისის გარდა, როდესაც ამას მოჰყვება საზედამხედველო ღონისძიებები, თუ ბანკის მდგომარეობა აღმოჩნდება სუსტი. **აქტივების ხარისხის რეიტინგის** განლაგება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით-კლასიფიცირებული აქტივების საშუალო შეწონილი ღირებულება /კაპიტალი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ძირითადი ასევე ერთობლივი. კლასიფიცირებული აქტივების საშუალო შეწონილი ღირებულება წარმოადგენს საერთო სუბსტანდარტული აქტივების ღირებულების 20% თანხას, პლუს საეჭვო აქტივების საერთო ღირებულების 50%, პლუს საერთო ზარალის 100%.

თითოეულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს თავისი **ლიკვიდობის** შენარჩუნება მოცემულ დონეზე, როგორც მისი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე, ასევე საქმიანობის შედეგების პროგნოზირებისა და შემდგომში საწესდებო კაპიტალის, სპეციალური დანიშნულების ფონდებისა და რეზერვების, ნასესხები საშუალების მოზიდვას, აქტიური ოპერაციების განხორციელების სფეროში დასაბუებული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით.

ბანკი ითვლება **ლიკვიდურად** თუ მისი ფულადი სახსრების ჯამი საშუალებას იძლევა დროულად შესრულდეს **ჰასიევის** მიხედვით ვალდებულება. ლიკვიდობის რეზერვი საჭიროა ფაქტობრივად ნებისმიერი ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილებისათვის, კერძოდ: 1) კრედიტის მიხედვით ხელსაყრელი ხელშეკრულების გაფორმება; 2) ანაბრების მოულოდნელი ამოღებისას სახსრების შევსება; 3) კრედიტზე სეზონური და გაუთვალისწინებელი მოთხოვნილებების კომპენსირება და სხვა.

ბანკის აქტივები მისი ლიკვიდობის მიხედვით შეიძლება **დაიყოს სამ ჯგუფად:**

1) ლიკვიდური სახსრები, რომლებიც მუდმივ მზადყოფნაშია, ანუ პირველი კლასის ლიკვიდური სახსრები (სალარო, სახსრები საკორესპონდენტო ანგარიშებზე, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები);

2) ბანკის განკარგულებაში არსებული ლიკვიდური სახსრები, რომლებიც შეიძლება გადაიქცეს ფულად საშუალებად, ბირჟაზე დარეგისტრირებული პირობითად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები;

3) არალიკვიდური აქტივები – ეს არის ვადაგადაცილებული კრედიტი და არასაიმედო ვალები, ბანკის კუთვნილი შენობა-ნაგებობები.

ამრიგად, ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ფასდება სპეციალური მაჩვენებლების გაანგარიშებით, რომლებიც ასახავენ აქტივებისა და პასივების თანაფარდობას, აქტივების სტრუქტურას. ლიკვიდურ სახსრებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის ბანკმა შეიძლება მოიზიდოს ის შეთავაზების პოტენციური წყაროებიდან. როგორც წესი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა: კლიენტებისაგან ანაბრების შემოსვლა, ადრე აღებული სესხის დაფარვა, შემოსავლები არასადეპოზიტო საბანკო მომსახურებიდან,

ფულად ბაზრებზე აღებული სესხებიდან, ბანკის აქტივების გაყიდვა. ლიკვიდობის ოპტიმალური დონის შენარჩუნება ბანკის მართვაში მუდმივი პრობლემაა და ყოველთვის მიმართულია მისი მოგებიანობის ზრდისაკენ. ბანკისათვის შედარებით გავრცელებულ ლიკვიდურ აქტივებს წარმოადგენს სახაზინო თამასუქები, ეროვნული ბანკის სესხები, სხვა ბანკებში დეპოზიტები, ბანკის აქცეპტები. ბანკი არის ლიკვიდური როდესაც მას შეუძლია მიიღოს ლიკვიდური სახსრები მისაღებ ფასად, საჭირო ოდენობით, დროის აუცილებელ მომენტში.

ლიკვიდობის მართვისათვის მენეჯერებმა უნდა გააკონტროლონ ბანკის ყველა განყოფილება, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სახსრების გამოყენებასა და მოზიდვაზე, უნდა განსაზღვრონ როდის გეგმავენ მსხვილი მეანაბრეები და კრედიტების მომხმარებლები სახსრების მოხსნას ანგარიშიდან ან ანაბრების გაზრდას. ეს ეხმარება ხელმძღვანელს დაგეგმოს ლიკვიდური სახსრების დეფიციტის ან სიჭარბის წარმოქმნის დროს თავისი საქმიანობა. ბანკის მოთხოვნილებები ლიკვიდურ სახსრებზე და მათ განთავსებაზე გადაწყვეტილება მუდმივად უნდა ანალიზდებოდეს ლიკვიდური სახსრების დეფიციტისა და სიჭარბისაგან თავის დაღწევისათვის. ლიკვიდობის მართვისათვის მენეჯერმა ყურადღებით უნდა შეისწავლოს ყველა ფაქტორი და მოახდინოს სარეზერვო სახსრების ალტერნატიული წყაროების სწორი არჩევანი.

კომერციული ბანკის მოგება წარმოადგენს მისი განვითარების და წარმატების შინაგან წყაროს, სწორედ ამიტომ **მოგების მართვა – საბანკო მენეჯმენტის მთავარი** შემადგენელი ნაწილია, რომლის უპირველესი მიზანია მოგების მაქსიმიზაცია დასაშვები რისკებისა და ლიკვიდობის უზრუნველყოფის პირობებში. შესაბამისად, შეიძლება გამოვყოთ **ბანკის მოგების მართვის სისტემის** შემდეგი **ძირითადი ელემენტები:**

1) ბანკის ქვედანაყოფების განსაზღვრა, რომლებიც მონაწილეობენ მოგების მართვის პროცესში;

2) შემოსავლების, ხარჯებისა და ბანკის მოგების დაგეგმვა;

3) საბანკო საქმიანობის მოგებიანობის დონის შეფასების მეთოდების გამოყენება;

4) მოგების მიმდინარე მართვის მეთოდების განსაზღვრა.

მოგების მართვის პროცესში მონაწილეობას ღებულობენ: ბანკის სხვადასხვა ქვედანაყოფები, მაგალითად სასესხო-საკრედიტო ოპერაციების, ფასიანი ქაღალდების, სადეპოზიტო ოპერაციების და საოპერაციო განყოფილებები. **ბანკის მოგების მართვის სისტემის** მთავარ ელემენტს წარმოადგენს მოგებიანობის დონის შეფასების ხერხები ანუ შემოსავლების, ხარჯების და მოგების ფორმირების წყაროების **სტრუქტურული ანალიზი,** მათი ზრდის ტემპისა და დინამიკის ანალიზი, საქმიანობის შედეგების შეფასება ფინანსური კოეფიციენტების გამოყენებით, ბანკის მოგებიანობისა და შემოსავლიანობის მაჩვენებლების **ფაქტორული ანალიზი.**[48]

როგორც ნებისმიერი ორგანიზაციის საქმიანობა, კომერციული ბანკის საქმიანობაც დაკავშირებულია დიდ რისკებთან. **რისკი** გამოიხატება როგორც შიდა ისე გარე გარემოებების შეთანხმებისა და კონცენტრირებაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მოგების დაკარგვა, მნიშვნელოვანი ზარალი, ლიკვიდობის დაკარგვა და გაკოტრებაც კი. რისკების მიღება საბანკო საქმიანობის საფუძველია. ბანკის მენეჯერები წარმატებას აღწევენ მხოლოდ მაშინ, როცა მათ მიერ მიღებული რისკები გონივრულია, კონტროლირებადია და იმყოფება მათი ფინანსური შესაძლებლობებისა და კომპეტენციის ფარგლებში. თავისი საქმიანობის პროცესში ბანკები აწყდებიან მრავალი სახის რისკს, რომლებიც ერთიმეორისგან განსხვავდება წარმოშობის ადგილისა და დროის მიხედვით, შიდა და გარე ფაქტორების შეთავსებით. წარმოშობის სფეროს მიხედვით **რისკები შეიძლება დაიყოს ორ დიდ ჯგუფად:**

1) გარე რისკები – განისაზღვრება ქვეყანაში პოლიტიკური ან ეკონომიკური სიტუაციით, რომელიც ზემოქმედებას ახდენს ყველა ბანკზე მათი სიდიდის ან სპეციალიზაციის მიუხედავად;

2) შიდა რისკები – განპირობებულია თვით ბანკის საქმიანობით და პრინციპებით, რომელიც საფუძვლად უდევს საბანკო პოლიტიკის გატარებას.

---

[48] იხ. **Мишкин, Фредерик С. Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, 7-е издание: Пер. с англ. -М.: ООО „И. Д. Вильямс", 2013. – 880с.** В одном из самых популярных зарубежных учебников в области финансов рассматривается влияния денежно-кредитной политики на деятельность финансовых рынков и финансовых учреждений, объём производства товаров и услуг в экономике страны, развитие международной торговли, прибыль предприятий и благосостояние граждан.

18.3. სამეცნიერო სტატია: ლიპარტია ზ.; ბასილაია კ. – „კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების ასპექტები“.

(იხ. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. შრომების კრებული, ტომი. 3. თბ. 2014წ. გვ. 161-173.)

საქართველოს საბანკო-საფინანსო სისტემა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი ბევრად უფრო განვითარებულია სხვა სფეროებთან შედარებით, რაც გამოიხატება როგორც მის სტაბილურობასა და მდგრადობაში, ისე ბანკების მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრსა და უცხოური კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაში.

მსოფლიო კრიზისის პირობებში 2008 – 2010 წლები საკმაოდ მძიმე იყო ქართული საბანკო სისტემისთვისაც. საქართველოს საბანკო სექტორი 2010 წელს იდგა რამდენიმე გამოწვევის წინაშე. მთავარი გამოწვევა იყო 2009 წლის ზარალიანი ტრენდის დაძლევა და შეუქცევად მოგებაზე გასვლა. 2009 წელი საბანკო სექტორისათვის უმძიმესი გამოდგა, რაც დაკავშირებული იყო 2008 წლის რეცესიული პრობლემების მემკვიდრეობასთან. მართალია, ქვეყანამ მიიღო სოლიდური და საერთაშორისო დახმარება, რამაც საბოლოო ჯამში სისტემის ზარალის შემცირება გამოინვია, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკის ხელშეწყობით მოხდა რისკების მართვის გაუმჯობესება და ლიკვიდურობის მართვა.

*არანაკლებ სერიოზული გამოწვევა იყო **ინფლაცია**, რაც მსოფლიოში მიმდინარე და ეკონომიკურ კატაკლიზმებს უკავშირდება. ის გამოწვეულა, რომელიც დაკავშირებულია პირველ რიგში ენერგომატარებლებზე და ძირითადად სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდასთან, ენდოგენური ფაქტორების სახით, ბუნებრივია, ქვეყნის სამომხმარებლო ბაზარზეც აისახება და, შესაბამისად, სამომავლოდაც მთავარი გამოწვევა იქნება.*

***კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტი** მოიცავს საკრედიტო რესურსების მოძრაობის უწყვეტობისა და თანადროულობის უზრუნველსაყოფად ბანკის მიერ მიღებული მმართველობითი ღონისძიებების სისტემას, რომლის **მიზანია** ბანკის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფა, კლიენტების რესურსებისა დამათი შემოსავლიანობის დაცვა, ბანკის ლიკვიდობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა და ა. შ., ხოლო მაკრო დონეზე კომერციული ბანკების მიზნად გვესახება ბიზნესის აქტივობის ამაღლება საკრედიტო რესურსების გამოყენების მიმართულებით.*

***ბანკის ფინანსური პოლიტიკა** ძირითადად მოიცავს აქტივებისა და პასივების კომპლექსური მართვას, რომელიც მოკლე და გრძელვადიან პედიოდში სხვადასხვა მიზნებს ისახავს, თუმცა მთლიანობაში იგი მიმართულია: 1) წმინდა საპროცენტო შემოსავლისა და საბაზრო ღირებულების გადიდებისაკენ; 2) ბანკის დანახარჯების კონტროლისა და სესხების ხარისხის შენარჩუნებისაკენ; 3) ლიკვიდურობის უზრუნველყოფისა და საკმარისი კაპიტალის შექმნისაკენ; 4) ბალანსგარეშე საქმიანობის მართვისაკენ.*

*საგულისხმოა, რომ როცა საბანკო-ფინანსური მენეჯმენტის არაეფექტურად განხორციელების პირობებში საბანკო-საკრედიტო დაწესებულებაც ზარალობს და მისი კლიენტიც. თუ ეს პროცესი დიდხანს გრძელდება, მაშინ იწყება **ფინანსური კრიზისი**, რასაც ხშირ შემთხვევაში ისინი ლიკვიდაციამდე მიჰყავს.*

შესაბამისად, ხარისხიან, ეფექტურ საბანკო ფინანსურ მენეჯმენტს თავისი სწორი ფინანსური პოლიტიკით შეუძლია წინ აღუდგეს ნეგატიურ მიკრო და მაკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედებას. კომერციული ბანკის საქმიანობა შეიძლება ნამდვილად წარმატებული იყოს მაშინ, თუ იგი ბრმად კი არ მისდევს გარემოს ცვლილებებს, არამედ სათანადო პოლიტიკის დამუშავებით ანეიტრალებს უარყოფით ფაქტორებს და მაქსიმალურად იყენებს დადებით ფაქტორებს.

*ბანკის **ფინანსური პოლიტიკა** საერთო საბანკო სისტემის პოლიტიკის ნაწილია და როგორც უკვე აღინიშნა, იგი ძირითადად მოიცავს აქტივების და პასივების მართვას. აქტივების მართვის სფეროში **საბანკო ფინანსური მენეჯმენტის ამოცანებს** მიეკუთვნება:*

*შემოსავლიანობის უზრუნველყოფა; ლიკვიდურობის უზრუნველყოფა; **აქტივების** მაღალი ღირებულების დაცვა; ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური საბანკო ოპერაციების ჩამოყალიბება. **პასივების** მართვის სფეროში ბანკის ამოცანები მდგომარეობს შემდეგში: არ იქნეს დაშვებული*

არაშემოსავლიანი რესურსების მოზიდვა; „იაფი" საკრედიტო რესურსების მოძიება და მოზიდვა; „მდგრადი" საკრედიტო რესურსების მოძიება და მოზიდვა; საეჭვო რესურსების ნინასწარი ანალიზი და ბანკში მათი მოზიდვის თავიდან აცილება; საკმარისი საკრედიტო რესურსების მოზიდვა.

***კვლევები** მიუთითებენ, რომ საბანკო საქმის პრაქტიკაში დიდი ხანია გავრცელდა აქტივების და პასივების **კომპლექსური მართვა**, ანუ მისი ერთ პორტფელად მართვა (ბალანსის არა ცალკეული ნაწილების, არამედ მთელი ბალანსის კოორდინირებული მართვა).*

*აქტივებისა და პასივების მართვის **ინსტრუმენტარიუმის** გამოყენებით ხორციელდება შემდეგი მაჩვენებლების გამოთვლა და ანალიზი, როგორიცაა: წმინდა საპროცენტო მარჟა; საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ მგრძნობიარე აქტივებისადა პასივების დისბალანსი (" გეპი"); ვალის ხანგრძლივობა (" დიურაცია").*

ბანკის ფინანსური მენეჯმენტი უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ფაქტორს (საპროცენტო განაკვეთების, შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის ცვლილებები, აქტივებისა და პასივების თანაფარდობითი ცვლილება და ა. შ.), რომლებიც მოქმედებენ წმინდა საპროცენტო მარჟაზე და უზრუნველყოფდეს მის ფიქსირებულ დონეზე შენარჩუნებას.

კომერციულ ბანკებში ფინანსური მენეჯმენტის მიერ „გეპ" – მოდელის მართვის მიზანია მისი გამოყენება პროცენტული რისკის შესამცირებლად. საპროცენტო მარჟის ცვლილებას განსაზღვრავენ, როგორც ბანკის მგრძნობიარე აქტივების და პასივებს შორის სხვაობას.

*კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტი მოიცავს აქტივებისა და პასივების დაფარვის საშუალოშეწონილი ვადების (ვალის ხანგრძლივობის) **ანალიზს**, რათა მათ შორის დისბალანსი ნულის ტოლი იყოს ე. წ. „დიურაცია" განსაზღვრა ფორმულით: აქტივების პორტფელის შემოსულობათა ღირებულების მიხედვით შეწონილი ვადის დაფარვა ტოლია **პასივების** პორტფელის გადახდა ღირებულების მიხედვით შეწონილი დაფარვის ვადა გამრავლებული აქტივების მთლიანი სიდიდეზე და შეფარდებული პასივების მთლიანი სიდიდესთან.*

*დაფარვის მეტი საშუალოშეწონილი ვადა გულისხმობს მეტ მგრძნობელობას საპროცენო განაკვეთის ცვლილების მიმართ. თუ ბანკის აქტივების დაფარვის საშუალოშეწონილი ვადა დაბალანსებული არ არის ღირებულებით შეწონილი პასივების მოქმედების ვადასთან, მაშინ ბანკს **საპროცენტო რისკი** ემუქრება.*

*ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი-ფინანსისტი **ჯოზეფ სინკი** დიურაციის შესახებ აღნიშნავს, რომ „დიურაცია შეიძლება წარმოიდგინოთ როგორც ეფექტური დრო დაფარვამდე. იგი იძლევა პასუხს კითხვაზე თუ რამდენი დრო დასჭირდება ინვესტორს შეძენილი კაპიტალის საბაზრო (დაყვანილი) ღირებულების დასაბრუნებლად, ანუ რა სიდიდის საშუალო დრო არის საჭირო ყველა ძირითადი თანხისა და პროცენტის მისაღებად (**იხ. Синки Дж. Финансовый менеджмент в колерческом банке и в индустрии финансовых услуг/ Джозеф Синки-мл.; Пер. с англ. – М.: Альпина Бизнес Букс, -2007. -; 351გვ.)** ".*

კომერციული ბანკის (საბანკო-საფინანსო დაწესებულების) ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობა იმ ფინანსური შედეგით უნდა შეფასდეს, როგორიცაა: კომერციული ბანკის ლიკვიდობა; გადახდისუნარიანობა; საკუთარი კაპიტალის საკმარისობა (ნორმატივთან შედარებით); რენტაბელობის დონე; საკრედიტო აქტივების კოეფიციენტი; საკრედიტო პორტფელის მდგომარეობის მაჩვენებლები და ა. შ.

ცნობილია, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების (მათ შორის საქართველოშიც) სამწუხაროდ კომერციული ბანკების ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობის შეფასების ერთიანი, უნიფიცირებული, სისტემური მეთოდიკა არ არსებობს. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ წარმოვადგენთ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ ეფექტიანობის შეფასების შემოთავაზებულ მიდგომებს და ნაშრომის დასკვნით ნაწილში გამოვყოფთ ჩვენს თვალსაზრისს მაჩვენებელთა, თუ რომელ ჯგუფს ვანიჭებთ უპირატესობას ეკონომიკური ეფექტიანობის (ქმედითუნარიანობის) შესაფასებლად.

*ამერიკელი მეცნიერი – **ბოსტონის უნივერსიტეტის** ფინანსების პროფესორი **ზვი ბოდი** და **ჰარვარდის** უნივერსიტეტის პროფესორი, ნობელის პრემიის ლაურიატი ეკონომიკის დარგში (1997) **რობერტ მერტონი** უპირატესობას ანიჭებენ ფინანსური შედეგების ანალიზისა და სამომავლო საქმიანობის პროგნოზირებისას, შემდეგი **ფინანსური კოეფიცენტების:***

*ა) ბანკის აქციონერულ (საკუთარი) კაპიტალს – **ROE**, რომელიც ტოლია წმინდა მოგება/აქციონერულ კაპიტალთან;*

*ბ) აქტივების რენტაბელობის მაჩვენებლებს – **ROA**, რომელიც ტოლია მოგება გადასახადების და პროცენტების გადახდამდე/აქტივების ჯამთან;*

გ) ლიკვიდობის მაჩვენებლებიდან – მყისიერი (მომენტალური) ლიკვიდობის მაჩვენებელს, რომელიც ტოლია ფულად სახსრებს დამატებული დებიტორული დავალიანება შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან;

დ) მიმდინარე ლიკვიდობის მაჩვენებელს, რომელიც ტოლია საბრუნავი აქტივები შეფარდებული მოკლევადიან ვალდებულებებთან. (იხ. Боди, Зви, Мертон, Роберт. Финансы.: Пер. с англ.: Уч. пос. -М.: Издательский дом „Вильямс", 2013. -592с. Эта книга является базовым учебником по курсу финансов, в которой рассматриваются вопросы, затрагивающие все аспекты современной финансовой науки. Глава 3.6. С. 127-134").

კვლევის შედეგები მიუთითებენ იმაზე, რომ თვით უცხოელი მეცნიერებიც კი კომპანიის (მ. შ. ბანკის) ფინანსური მართვის ეფექტიანობას ერთიანი მაჩვენებლებით არ აფასებენ, ხშირად კი ერთი და იგივე მაჩვენებელს სხვადასხვანაირი მეთოდებით ანგარიშობენ.

*საბანკო საქმეში საკუთარი კაპიტალის **ანალიზისას** საჭიროა, დადგინდეს ნეტო-საკუთარი კაპიტალის მოცულობა. ეს ის კაპიტალია, რომელიც ბანკმა შეიძლება გამოიყენოს შემოსავლიან აქტივებში განსათავსებლად და საგანგებო სიტუაციაში წარმოშობილო დანაკარგთა დასაფარავად. ამიტომ საკუთარი კაპიტალიდან სახსრების დიდი მობილიზაცია ბრუნვის გარეშე აქტივებში დაუშვებელია (ნეტო საკუთარი კაპიტალი ტოლია საკუთარ კაპიტალს მინუს ძირითად საშუალებებში დაბანდებული სახსრები მინუს არამატერიალური აქტივები და მინუს მატერიალური აქტივები).*

*კომერციული ბანკის **აქტიური ოპერაციების ანალიზი** მოიცავს საკრედიტო პორტფელის ანალიზს. ამ სფეროში აფასებს შემდეგ მაჩვენებლებს: 1. საკრედიტო აქტივების კოეფიციენტს; 2. დასაკრედიტებლად რესურსების გამოყენების კოეფიციენტს; 3. სესხების ხარისხის კოეფიციენტს; 4. კრედიტის ბრუნვადობის კოეფიციენტს; 5. კრედიტის საშუალო ვადის (კრედიტის ბრუნვადობა დღეებში) კოეფიციენტს. საკრედიტო **აქტივების კოეფიციენტს ე. ჟარკოვსკაია** ანგარიშობს **ფორმულით**, რომელიც ტოლია გაცემული კრედიტების ჯამს გამოკლებული ბანკთაშორისი კრედიტები და შეფარდებული წმინდა აქტივებთან. თუ საკრედიტო აქტივების კოეფიციენტი მეტია 0.6-ზე, ეს ნიშნავს, რომ ბანკი აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას ეწევა, თუ ნაკლებია 0.4-ზე, მაშინ – კონსერვატიულ პოლიტიკას, ხოლო თუ 0.5-0.6 მაშინ ოპტიმალურ პოლიტიკას. **დასაკრედიტებლად რესურსების გამოყენების კოეფიციენტის** საანგარიშოდ ჟარკოვსკაია იყენებს ფორმულას, რომელიც ტოლია გაცემული კრედიტების ჯამს გამოკლებული ბანკთაშორისი კრედიტები და შეფარდებული კლიენტურის ბაზის სიდიდესთან. თუ აღნიშნული კოეფიციენტი მეტია 0.9-1.2-ზე, ეს ნიშნავს, რომ ბანკი ეწევა აგრესიულ საკრედიტო პოლიტიკას, თუ კოეფიციენტი ტოლია 0.7-0.9-ის, მაშინ ოპტიმალურ პოლიტიკას, ხოლო თუ ნაკლებია 0.6-ზე მაშინ კონსერვატიულ პოლიტიკას. სესხების ხარისხის კოეფიციენტს ანგარიშობს შემდეგი ფორმულით: სესხების ხარისხის კოეფიციენტი ტოლია ბანკების და კლიენტების ვადაგადაცილებული დავალიანება შეფარდებული გაცემული კრედიტების მოცულობასთან.*

მდგომარეობა მაშინ ითვლება დამაკმაყოფილებლად, თუ ეს მაჩვენებელი არ არის 0, 95-ზე დაბალი კრედიტების ბრუნვადობის კოეფიციენტს ანგარიშობს შემდეგნაირად, რომელიც ტოლია სასესხო ანგარიშებზე საკრედიტო ბრუნვა შეფარდებული სესხებზე დავალიანებათა საშუალო ნაშთზე, ხოლო კრედიტის ბრუნვის საშუალო ვადას ანგარიშობს, როგორც სესხებზე დავალიანებათა საშუალო ნაშთი გაყოფილი კრედიტის ერთდღიანი დაფარვა შეფარდებული პერიოდის დღეთა რიცხვთან.

*გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ფინანსისტი, **აკადემიკოსი გ. ცაავა** კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის **შესაფასებლად** გამოყოფს ფინანსური კოეფიციენტების ორ ჯგუფს: მაჩვენებლები, რომლებიც მთლიანობაში საკრედიტო ორგანიზაციის აქტივებისა და პასივების სტრუქტურისა და ლიკვიდობის **შეფასების** შესაძლებლობას იძლევა; მაჩვენებლები, რომლებითაც საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის **ეფექტურობის შეფასება** ხორციელდება და იგი ძირითადად პირველი ჯგუფის ფინანსური კოეფიციენტების დეტალიზაციას და გა-*

შიფვრას ემსახურება. აკადემიკოსი გ. ცაავას აზრით, რომელშიც იგი იმოწმებს რუს მეცნიერ ა. ტიუტნიკს, „კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის სრული სურათის შექმნისა და წარმატებული ანალიზისათვის საანგარიშო კოეფიციენტების სრული ნაკრების გამოყენება არის მიზანშეწონილი". (იხ. ცაავა გ., ხანთაძე გ. საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა). გამომცემლობა, „დანი" 2015. -გვ.) ". კერძოდ, ბანკის აქტივების (A) და პასივების (P) ხარისხის შესაფასებლად იგი უპირატესობას აძლევს შემდეგ ფინანსურ კოეფიციენტებს:

კოეფიციენტი A_1 – საკრედიტო ორგანიზაციის აქტივების საერთო მოცულობაში შემოსავლიანი აქტივების ხვედრითი წილის დამახასიათებელი მაჩვენებელია და მისი ოპტიმალური მნიშვნელობა 0.75-დან 0.85-მდე დიაპაზონში მერყეობს.

კოეფიციენტი A_2 – საკრედიტო ორგანიზაციის შემოსავლიანი აქტივების ფასიან პასივებთან თანაფარდობის მახასიათებელია და მისი მნიშვნელობა მიზანშეწონილია 1-ზე მეტი იყოს.

კოეფიციენტი A_3 – საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გაცემული კრედიტების საერთო მოცულობის მის ვალდებულებებთან თანაფარდობით გაიანგარიშება და იგი ბანკის საკრედიტო აქტიურობის მახასიათებელია. აღნიშნული კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0.53-დან 0.78-ის ფარგლებში მერყეობს. როცა მისი მნიშვნელობა ზედა ზღვარს ე. ი. 0.78-ს აჭარბებს, მაშინ საკრედიტო პოლიტიკა ზედმეტად აგრესიულად ითვლება, ქვედა ზღვარზე ნაკლები მნიშვნელობა კი გაუმართლებლად ფრთხილ საკრედიტო პოლიტიკაზე მიანიშნებს.

კოეფიციენტი A_4 – საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გაცემული კრედიტების საერთო მოცულობის მთლიან კაპიტალთან თანაფარდობის მაჩვენებელია და იგი ბანკის მიერ განხორციელებული საკრედიტო პოლიტიკის რისკიანობის შეფასების შესაძლებლობას იძლევა თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა 8-ზე მეტია, მაშინ კეთდება დასკვნა, რომ ბანკს საკრედიტო საქმიანობის განსახორციელებლად საკუთარი კაპიტალი არ არის საკმარისი.

კოეფიციენტი A_5 – საკრედიტო ორგანიზაციის მიერ გაცემული კრედიტების დაუბრუნებელი ნაწილის კრედიტების საერთო მოცულობასთან თანაფარდობის მაჩვენებელია. ეს კოეფიციენტი გამოხატავს ბანკში ვადაგადაცილებულ კრედიტების ხვედრით წილს და იძლევა ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის შეფასების შესაძლებლობას.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლები ახასიათებენ კომერციული ბანკის აქტივების დონეს და მათი გამოყენების ხარისხს. რაც შეეხება პასივების (P) ხარისხის შეფასებას, მას აკადემიკოსი გ. ცაავა ახორციელებს შემდეგი კოეფიციენტებით, როგორიცაა:

კოეფიციენტი P_1 – კომერციული ბანკის კაპიტალის სიდიდის მისი აქტივების საერთო მოცულობასთან თანაფარდობას გულისხმობს და იგი კომერციული ბანკის ფინანსური მდგომარეობის მახასიათებელია. მისი მნიშვნელობის ოპტიმალური სიდიდე 0.08-0.15-მდეა. თუ კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.08-ზე ნაკლებია, ეს იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ბანკი გაკოტრდეს.

კოეფიციენტი P_2 – გვიჩვენებს კომერციული ბანკის ვალდებულებების მის აქტივების საერთო მოცულობასთან თანაფარდობას და იგი ბანკის საიმედოობის დონის შეფასების შესაძლებლობას იძლევა. ამ კოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა 0.2-დან 0.35-მდე დიაპაზონში უნდა მერეყეობდეს.

კოეფიციენტი P_3 – გვიჩვენებს კომერციული ბანკის მოთხოვნამდე ვალდებულებების შეფარდებას მის მთლიან აქტივებთან. აღნიშნული მაჩვენებელი ბანკის არამდგრადობის ხარისხს გამოხატავს. მისი მნიშვნელობა სასურველია 0.2-დან 0.4-ის დიაპაზონში მერყეობდეს. ამაზე უფრო ნაკლები მნიშვნელობა კომერციული ბანკის მდგრადობის ნაკლებ რისკზე მიუთითებს.

კოეფიციენტი P_4 – გამოიანგარიშება კომერციული ბანკის ბალანსზე რიცხული ვადიანი ვალდებულებების შეფარდებით მისი აქტივების საერთო მოცულობასთან. ოეფიციენტის ოპტიმალური მნიშვნელობა მიზანშეწონილია 0.1-დან 0.3-მდე ფარგლებში მერყეობდეს. ამასთან, განხილულ შემთხვევაში ბანკის მდგომარეობის მინიმალურ რისკს უკვე აღნიშნული მაჩვენებლის მაქსიმალური მნიშვნელობა შეესაბამება.

კომერციული ბანკების ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად და მისი ფინანსური მენეჯმენტის ქმედითუნარიანობის დასახასიათებლად გამოჩენილი მეცნიერი და პრაქტიკოსი ბანკირი გ. ცაავა იყენებს მიმდინარე და სწრაფი (ვადიანი) ლიკვიდობის, აქტივების და აქციონერული (საკუთარი) კაპიტალის რენტაბელობის და საერთო გადახდისუნარიანობის კოეფიციენტებს. როგორიცაა:

1) ბანკის ვალდებულებათა შეზღუდვა, რომელიც ტოლია ბანკის კაპიტალი შეფარდებული ბანკის ვალდებულებებთან;

2) ანაბრებით კრედიტის უზრუნველყოფა, რომელიც ტოლია კრედიტების ჯამი შეფარდებული საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრებისა და დეპოზიტების მთლიან თანხასთან;

3) ანაბრებით უზრუნველყოფა, რომელიც ტოლია ლიკვიდური აქტივების ჯამი შეფარდებული საანგარიშსწორებო, მიმდინარე ანგარიშების, ანაბრებისა და დეპოზიტების მთლიან თანხასთან;

4) წილი აქტივების საერთო ჯამში, რომელიც ტოლია ლიკვიდური აქტივები შეფარდებული აქტივების საერთო ჯამსა და კრედიტებს გამოკლებული სხვა გადასახდელები ბანკის სასარგებლოდ;

5) ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც ტოლია ბანკის მოკლევადიანი ლიკვიდური აქტივები შეფარდებული ბანკის მოკლევადიან ვალდებულებებთან და ბანკის საშუალოვადიანი მყარი პასივები შეფარდებული ბანკის საშუალო და გრძელვადიან აქტივებთან.

საგულისხმოა, რომ პროფესიონალი ფინანსისტები მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ ბანკის მოგების და რენტაბელობის მაჩვენებლებს და აღნიშნავენ, რომ „აუცილებელია სისტემატურად იქნეს გაანალიზებული ბანკის მიერ მიღებული მოგება.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პროფესორი ლ. ქოქიაური ბანკების ფინანსურ მენეჯმენტში პირველხარისხოვან მნიშვნელობას აძლევს მიმდინარე, ელვისებურ და გრძელვადიანი ლიკვიდობის, საერთო ლიკვიდობის და ფასიან ქაღალდებზე წარმოებული ოპერაციების ლიკვიდობის კოეფიციენტებს. აგრეთვე, აქტივების გამოყენების ეფექტიანობის კოეფიციენტს, რომელიც ტოლია შემოსავლის მომტან ანგარიშებზე არსებული საშუალო ნაშთები შეფარდებული მთელი აქტივების ანგარიშზე არსებული საშუალო ნაშთები. აქტივების შემოსავლიანობის დონეს, რომელიც ტოლია შემოსავლის მომტანი ნეტო აქტივები შეფარდებული შემოსავლის მომტან ბრუტო აქტივებთან, საკუთარი კაპიტალის რენტაბელობას, რომელიც ტოლია მოგება შეფარდებული კაპიტალთან და აქტივების რენტაბელობა, რომელიც ტოლია მოგება შეფარდებული აქტივებთან (იხ. წიგნი ქოქიაური ლ. – საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. 1-2. თბილისი. გამომცემლობა – „ტექნიკური უნივერსიტეტი". 2010. – 742-751გვ.)".

საქართველოს კომერციულ ბანკებს ფინანსური კოეფიციენტების ნორმატივებს უწესებს ეროვნული ბანკი. მყისიერი ლიკვიდობის ნორმატივე 20%-ის დონეზეა. მიმდინარე ლიკვიდობის ნორმატივის მინიმალურად დასაშვები მნიშვნელობა 70%-ის დონეზე. გრძელვადიანი ლიკვიდობის მაქსიმალურად დასაშვები დონე 120%-ია დაწესებული, საერთო ლიკვიდობის ნორმატივის მინიმალური მნიშვნელობა – 20%.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ქვეყანა ბანკის ლიკვიდობის შესაფასებლად სხვადასხვა მაჩვენებელს იყენებს. არც ზევიდან ნორმატივების დაწესებაა ყველა ქვეყანაში მიღებული. უცხოელი ექსპერტები თვლიან, რომ ბანკის ლიკვიდობის სრულად გაზომვა ფინანსური კოეფიციენტებით შეუძლებელია. ამიტომ მათთან (აშშ, იაპონია) იგი თანდათან ეფუძნება აქტივების და პასივების მიხედვით წარმოქმნილ ნაღდი ფულის ნაკადებს.

დასკვნა, კომერციული ბანკების ლიკვიდობის მართვა რთული და კომპლექსური ამოცანაა. მეტისმეტი ლიკვიდობა უარყოფითად მოქმედებს ბანკის შემოსავალზე. ამიტომ ხანმოკლე პერიოდში ბანკისთვის მომგებიანია ლიკვიდობის შენარჩუნება მინიმალურ დონეზე და ნორმატივის მინიმალურ ზღვარზე მუშაობა გრძელვადიან პერიოდში უკეთესი ვარიანტია ლიკვიდობის შედარებით უფრო მაღალი დონის შენარჩუნება, რაც მართალია, შეაფერხებს მაღალი შემოსავლიანობის მიღწევას, მაგრამ სამაგიეროდ ხელს შეუწყობს ბანკების ფინანსური მდგომარეობის განმტკიცებას.

საბანკო ბიზნესპროცესების რეინჟინერინგის კონცეფცია და ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტი

19.1. თანამედროვე საბანკო ბიზნესპროცესების რეინჟინირინგი

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის არსებულმა ტემპებმა ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის გატარების აუცილებლობაც დააჩქარა. გლობალური ეკონომიკური სისტემისათვის დამახასიათებელია მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავება და აგრეთვე მსოფლიო ბაზრებზე მაღალი კონკურენცია. იმისათვის, რომ საქართველო გახდეს კონკურენტუნარიანი ქვეყანა, საჭიროა რადიკალური ცვლილებების მოხდენა ბიზნეს-პროცესებში, მათი შესრულების ტექნიკა-ტექნოლოგიაში, მეთოდებსა და მიდგომებში, ორგანიზაციასა და მართვაში. ნებისმიერი ქვეყნის კომპანიამ, მთელი ძალისხმევა უნდა მოახმაროს ბიზნეს-პროცესების მუდმივ განახლებას, რომლის მიღწევის ყველაზე საუკეთესო გზა არის **ბიზნესპროცესების რეინჟინირინგი,** რომლის მართვაში **იმიტაციური მოდელების** გამოყენებაა რეკომენდირებული[49].

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან მეთოდურ მიმართულებას, რომელიც სწავლობს მართვის სისტემების პროცესული ორგანიზაციის საკითხებს და იძლევა მათი აგების გადაწყვეტას, წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი (**ბპრ**) **(Business Process Reengineering).** პირველად ტერმინი – „ბპრ" შემოღებული იქნა **მ. ჰამერის** მიერ. რომელიც გვთავაზობს ახალი ბიზნეს-პროცესების შექმნას „სუფთა ფურცლიდან".

მეორე მიდგომა BPR – ბპრ-ს გატარებასთან დაკავშირებით, წარმოიქმნა მეთოდის „სუფთა ფურცლიდან" მისამართით გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების ანალიზის შედეგად. მის ავტორად ითვლება **თომას დეივენპორტი.** მისი აზრით, ვიდრე ახალი ბპრ-ების პროექტირებას შევუდგებით, უნდა შევისწავლოთ და თვალნათლივ წარმოვიდგინოთ არსებული ბიზნეს-პროცესები.

რეინჟინირინგის კონცეფციის სათავეებს მართვის თეორიებთან მივყავართ, რომლებიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში დამუშავდა, როდესაც **ტეილორმა** შესთავაზა მენეჯერებს პროცესული რეინჟინირინგის მეთოდების გამოყენება საქმიანობის ორგანიზაციის პროცესების დასამუშავებლად, ან/და ასეთი პროცესების მწარმოებლობის ოპტიმიზაციისათვის გარდაქმნა.

XX საუკუნის დასაწყისში, ფაიოლმა დაამუშავა რეინჟინირინგის **კონცეფცია,** რომლის თანახმადაც, ეს არის საქმიანობის განხორციელება, დასახული ამოცანების შესაბამისად, ყველა ხელმისაწვდომი რესურსებიდან ოპტიმალური უპირატესობის მისაღწევად. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს დროში ტექნოლოგიური რესურსები შეიცვალა, ამ კონცეფციას თავისი მნიშვნელობა და პოპულარობა არ დაუკარგავს.

ბიზნეს-პროცესების მართვაში **რევოლუცია** შემოიტანა თანამედროვე **საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში** მიღწევებმა, რომლებიც ბიზნეს-პროცესების ინჟინირინგის და რეინჟინირინგის განხორციელების საშუალებას იძლევა.

მ. ხამერისა და დ. ჩამპის განსაზღვრების თანახმად, ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი განისაზღვრება, როგორც „საწარმოს საქმიანობის ძირითად მაჩვენებლებში ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად ბიზნეს-პროცესების (ბპ) ფუნდამენტალური გადააზრება (ახლებურად გააზრება) და რადიკალური გადაპროექტირება". მეტიც, **ჯ. ხარინგტონი, კ. ესელინგი და ხ. ნიმვეგენი** მას – „პროცესის ინოვაციას უწოდებან, რადგანაც მისი წარმატება მასზე მომუშავე გუნდის ინოვაციურ და შემოქმედებით უნარზეა დამოკიდებული".

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი უზრუნველყოფს შემდეგი **ამოცანების** გადაწყვეტას:

---

[49] იხ. ცაავა გიორგი. ფინანსური ინჟინერია: ლექციების კურსი. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2013. -665 გვ.

1) შესასრულებელი ფუნქციების ოპტიმალური თანმიმდევრობის განსაზღვრა;

2) სხვადასხვა ბიზნეს-პროცესებში რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია;

3) ადაპტირებული ბიზნეს-პროცესების აგება;

4) კლიენტებსა და პარტნიორებთან ურთიერთქმედების რაციონალური სქემების განსაზღვრა.

განვიხილოთ ბიზნეს-პროცესების **თავისებურებანი,** რომელთათვისაც ტარდება **რეინჟინირინგი, კერძოდ:**

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი ხორციელდება საინჟინრო მეთოდების გამოყენებისა და კონსალტინგური ფირმებსა და კომპანიის სპეციალისტების ერთობლივი გუნდების მიერ განხორციელებული ბიზნეს-პროცესების მოდელირების თანამედროვე პროგრამულ-ინსტრუმენტალური საშუალებების გამოყენების საფუძველზე.

ბიზნესის რეინჟინირინგი ითვალისწინებს **აზროვნების ახალ წესს.** ეს შეხედულება უკავშირდება კომპანიის აგებას, როგორც საინჟინრო საქმიანობას. კომპანია ან ბიზნესი განიხილება როგორც ისეთი რამ, რაც შეიძლება იყოს აგებული, დაპროექტებული და გადაპროექტებული საინჟინრო პრინციპებთან შესაბამისობაში.

ამასთან, არ შეიძლება ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის გაიგივება ლოკალური ამოცანების გადაწყვეტასთან. თუმცა, ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება წარმოადგენდეს ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის **შედეგებს:** ბიზნეს-ავტომატიზაციას; პროგრამული უზრუნველყოფის რეინჟინირინგის ორგანიზაციული სტრუქტურის რეორგანიზაციას; ხარისხის გაუმჯობესებას.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის უმნიშვნელოვანესი **პრინციპებია:** 1) „პროცესის ჰორიზონტალური შეკუმშვა"; 2) „პროცესის ვერტიკალური შეკუმშვა" 3) „პროცესის პარალელურობა" 4) პროცესის შესრულების მრავალვარიანტულობა, 5) მცირდება შემოწმების რაოდენობა, მინიმიზირდება შეთანხმებების რაოდენობა; 6) „უფლებამოსილი მენეჯერი" უზრუნველყოფს კლიენტთან კონტაქტის ერთიან წერტილს; 7) ჭარბობს შერეული ცენტრალიზებულ-დეცენტარლიზებული მიდგომა.

ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის **წარმატების ძირითად პირობებს** წარმოადგენს:

1. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ამოცანის სწორი გაგება;

2. კომპანიის თანამშრომელთა მოტივაცია, ზრდისაკენ სწრაფვა;

3. კომპანიის საქმიანობის კარგად დაყენებული მართვა;

4. რეინჟინირინგის გატარებაში კონსალტინგური ორგანიზაციის რეორგანიზაციის გამოცდილებისა და თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

ბიზნეს-პრაქტიკაში განიხილება ადმინისტრაციული **ბიზნეს-პროცესის გაუმჯობესების ექვსი ფაზა:**

1) ორგანიზაცია: პროცესის გაუმჯობესების ორგანიზაცია; 2). დოკუმენტირება: მიდგომის არჩევა; 3). ანალიზი: გაუმჯობესებისათვის შესაძლებლობების განსაზღვრა; 4) პროექტირება: ახალი ადმინისტრაციული ბიზნეს-პროცესის პროექტირება; 5) დანერგვა: მომავლისთვის მიმართულ გადაწყვეტილებათა რეალიზაცია; 6) მართვა: ადმინისტრაციული ბიზნეს-პროცესების მართვა მუდმივი გაუმჯობესებისათვის.

ორგანიზაციის ფარგლებში მომხდარი ბიზნეს-პროცესების დაყოფა შესაძლებელია ორ დიდ ჯგუფად: საწარმოო და ადმინისტრაციული ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება. კერძოდ, საწარმოო ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება მიმართულია მომსახურებისა და საქონლის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების გასაუმჯობესებლად. **ადმინისტრაციული** ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება კი ორიენტირებულია ყველა დამხმარე პროცესის გაუმჯობესებაზე, მაგალითად: ახალი პროდუქტის დამუშავება, შეკვეთების დამუშავება და კრედიტორებთან ანგარიშსწორება.

ბიზნეს-პროცესების გაუმჯებესებაზე ძალების კონცენტრირებამ ორგანიზაციის ყველა სფეროში **შეაღწია. ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესების კონცეფცია და მეთოდები** მიმართულია მეტისმეტად სწრაფ გაუმჯობესებაზე ერთეული ბიზნეს-პროცესის ფარგლებში. სამუშაო ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებაზე ძირითადი პროცესების ფარგლებში მიმდინარე ღო-

ნისძიებათა განსაზღვრაზე, გაგებასა და გაუმჯობესებაზე ყურადღების კონცენტრირებით იწყება. ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებას ხარჯების, ციკლის ხანგრძლივობისა და შეცდომების დონის შემცირებისაკენ მივყავართ.

ამგვარად, ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესების კონცეფცია ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც დამუშავებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების გაუმჯობესების ჩასატარებლად. ეს მეთოდოლოგია დაფუძნებულია **ოთხ მიდგომაზე, კერძოდ:**

1) სწრაფი ანალიზის გადაწყვეტილების მეთოდიკა (FAST);

2) პროცესის ბენჩმარკინგი;

3) პროცესის გადაპროექტირება;

4) პროცესის რეინჟინირინგი.

ბიზნეს-პროცესის გაუმჯობესება არის მეთოდოლოგია, რომელიც დამუშავებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების სრულყოფის ნაბიჯ-ნაბიჯ გასატარებლად, წარმოებითი **ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება მიმართულია საქონლისა და მომსახურების წარმოებისათვის;** ადმინისტრაციული ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება მიმართულია ყველა ისეთი დამხმარე პროცესის სრულყოფისაკენ, როგორებიცაა: ახლი პროდუქტის დამუშავება, შეკვეთების დამუშავება და ანგარიშგება კრედიტორებთან.[50]

ბიზნეს-პრაქტიკაში არსებობს რიგი ინსტრუმენტებისა და მეთოდიკებისა, რომლებიც ეფექტურნი არიან ისეთი პროცესის ცვლილების მართვისას, როგორიცაა, შრომითი პროცესისაგან უარყოფითი შეგრძნებების მართვა, ცვლილებების **რუკის შედგენა და სინერგიზმი*** მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ თითოეულ პროგრამას ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესებისათვის უნდა ჰქონდეს **ძალზე დაწვრილებითი** (დეტალური) გეგმა ცვლილებების მართვისა და ეს პროგრამა ეფექტურად უნდა განხორციელდეს. ორგანიზაციული ცვლილებებით მართვის პროცესი უნდა დაინერგოს ბევრად ადრე, ვიდრე დაიწყება პროცესის ცვლილება.

კონცეფცია – „ექვსი სიგმისთვის" დამახასიათებელი თავისებურება აღმოჩნდა მისი მჭიდრო კავშირი კომპანიის მუშაობის **ფინანსურ შედეგებთან.** მოცემული კონცეფციის ბიზნეს-პროცესების მართვაში ყველაზე **ახალმოდურ მიმართულებებს** შორის, რომლებიც წარმოიქმნა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში პოპულარულია **„ექვსი სიგმა".** ესაა მიდგომა ბიზნესის სრულყოფისათვის, რომელიც ცდილობს, იპოვოს და გამორიცხოს შეცდომათა მიზეზები ან დეფექტები ბიზნეს-პროცესებში, მომხმარებლისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვან გამომყვან პარამეტრებზე ყურადღების მიპყრობის გზით.

კვლავწარმოების კრიტერიუმების მიხედვით, მიღებულია ორგანიზაციების შემდეგი კლასიფიკაცია (იხ. ცხრ. 4.1.).

ცხრ. 4.1. კვლავწარმოების პროცესების გავლენა ორგანიზაციების კონკურენტუნარიანობაზე

მანძილი განაწილების ცენტრსა და დაშვების საზღვარს შორის	დეფექტების რიცხვი მილიონზე	დაბალი ხარისხის ღირებულება	კონკურენტუნარიანობის დონე
6 სიგმა	3,4	<10% – გმ-დან	მსოფლიო კლასი
5 სიგმა	233	10-15 – გმ-დან	
4 სიგმა	6210	15-20 – გმ-დან	საშუალო დარგების მიხედვით
3 სიგმა	66807	20-30 – გმ-დან	
2 სიგმა	308537	30-40 – გმ-დან	არაკონკურენტუნარიანია
1 სიგმა	*690000*		

[50] **რუსუდან ქუთათელაძე, ზურაბ ლიპარტია სტატია – „ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის მექანიზმში სერვისული ორგანიზაციების პროდუქტების გამოყენების საკითხისთვის".** სამეცნიერო ურნალი. ბიზნეს-ინჟინერინგი", სტუ, თბილისი. N 3, 2013. 9-19გვ.

* **სინერგიზმი** – მექანიზმი, როდესაც იგი მისივე ნაწილების დამოუკიდებელი ეფექტების ჯამზე მეტ ეფექტს იძლევა.

კონცეფცია „ექვსი სიგმა“ აგებულია **შუხარტი-დემინგის ციკლის სქემით,** კერძოდ:

პირველი ეტაპი – „დაგეგმე“ – მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, წარმატების მისაღწევად საკვანძო პარამეტრების გამოვლენა, სრულყოფის გეგმა, პროექტის არჩევა და გუნდის შექმნაა. **მეორე ეტაპი – „აკეთე“** – მოიცავს სწავლებას და ვარჯიშს, პლიოტ დანერგვას. **მესამე ეტაპი – „შეამოწმე“** – არის გაუმჯობესების გაზომვა, ეფექტურობის შემოწმება და პროექტების ანალიზი და გადამოწმება. **მეოთხე ეტაპი – „დანერგე“** – გულისხმობს დანერგვის კორექტირებას, სრულყოფის უწყვეტობას, სტანდარტიზაციას, მომხმარებელთა შესწავლას, ბენჩმარკინგს, გადაპროექტირებას.

საგულისხმოა, რომ **საქართველოს ბიზნეს-პრაქტიკაში ისეთი ინსტრუმენტები,** როგორიცაა **„ექვსი სიგმა“,** ხარისხის მართვა ICO 9000, მარკეტინგული სტრატეგიული კვლევები, მარკეტინგული საპროექტო ექსპერტიზა, მართვის მარკეტინგული სტრუქტურა და სხვ. **აქტიურად** უნდა იყოს გამოყენებული. სამწუხაროდ, მცდელობები ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის (ბპრ) მიდგომების გამოყენებისა, წარმოების მართვის მარკეტინგული პრინციპების ათვისების გარეშე არანარმატებულია. გამოცდილება უჩვენებს, რომ იმ პირობებში, სადაც გამოჩნდა ბპრ მიდგომა, მარკეტინგული კვლევები და მართვის მეთოდები, დიდი ხანია ჩვეულებრივ ინსტრუმენტებად იქცენ.

ბიზნესის სამართავად გამოყენებული მოდელები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად. ამ შემთხვევაში, უმაღლეს დონეზე განლაგდებიან სტრატეგიული, ფუნდამენტური მოდელები, რომლებიც გლობალურ წესებს აღწერენ. ისინი ოპერირებენ მცირე რაოდენობით მაღალაგრეგირებული მაჩვენებლებით (ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლით) და შეადგენენ **სტრატეგიული მართვის საფუძველს.** თავის მხრივ, **სტრატეგიული მოდელები,** იმ შეკითხვების მიხედვით, რომლებზეც უნდა პასუხობდნენ, შეიძლება დაიყოს კატეგორიებად:

ა) ფინანსური მართვის მოდელი (ბიზნესის ხედვა ფინანსური საშუალებების მოძრაობის თვალთახედვიდან);

ბ) მარკეტინგული მოდელი (გარემოს გავლენის შეფასება ბაზრის განსახილველ ბიზნესზე);

გ) წარმოების მართვის მოდელი;

დ) ლოგისტიკით მართვის მოდელი (მომარაგებით და გასაღებით).

ამ კატეგორიებს შეიძლება მივაკუთვნოთ **რიგი სხვა მოდელები.** მათ **ასაგებად დასავლეთში მიღებულია პოპულარული მართვის კონცეფციები, როგორიცაა:**

პირველი– MRP (Manufacturing Resource Planning), DRP (Distribution Resource Planning), DRP (Distribution Resource Planning), ERP (Enterprise Resource Planning), CSRP (Costumer Synchronized Resource Planning);

მეორე დონეზეა – ტრანზაქციონიზმი – მოდელი, რომელიც პასუხს აგებს გლობალური პრინციპების ოპერატიულ რეალიზებაზე.

მრავალი მოდელის გამოყენებას მივყავართ მათი კლასიფიკაციის აუცილებლობასთან. ობიექტების დასაბუთებული კლასიფიკაცია წარმოადგენს მათ პირობით დაჯგუფებას მოცემული ნიშნებით და განსაზღვრული მიზნის შესაბამისად. სხვადასხვა მიზნებისას ერთი და იგივე ობიექტები შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვაგვარად. კლასიფიკაცია არ წარმოადგენს თვითმიზანს, ის ნაკარნახევია თეორიისა და პრაქტიკის მოთხოვნით. **მოდელების მიზანშეწონილი კლასიფიკაცია** უზრუნველყოფს მოხერხებულობას მოდელირების მეთოდების არჩევას და სასურველი შედეგების მიღებას. იმ **უმნიშვნელოვანეს ნიშნებს,** რომლებითაც ტარდება **მოდელების კლასიფიკაცია,** მიეკუთვნება:


1. ფუნქციონირების კანონი და ორიგინალის თვისებებისა და ურთიერთობების დამახასიათებელი თავისებურებები;

2. საფუძვლები, მოდელის თვისებების და ურთიერთობების გარდასაქმნელად ორიგინალის თვისებებსა და ურთიერთობებში.

პირველი ნიშნით მოდელები იყოფიან: ლოგიკურ, მატერიალურ, სემანტიკურ (ვერბალურ) მოდელებად (იხ. ნახ. 4.1.).

ლოგიკური მოდელები ფუნქციონირებენ ლოგიკის კანონებით ადამიანის ცნობიერებაში ან კომპიუტერში, რომელიც მუშაობს ადამიანის მიერ ჩაწერილი პროგრამის მართვის ქვეშ. მა-

ტერიალური მოდელები ფუნქციონირებენ ბუნების ობიექტური კანონების შესაბამისად. სემანტიკურები ან ვერბალურები წარმოადგენსმოდელირების ობიექტის სიტყვიერ აღწერილობებს. ის გამოიყენება მოდელირების საწყის ეტაპზე, ექსპერტების მიერ პერსონალის გამოკითხვისას, აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით.



ნახ. 4.1. მოდელების კლასიფიკაცია.

საჩვენებელი მოდელები გამოხატავენ ორიგინალის თვისებებს თვალსაჩინო ნიმუშების დახმარებით, რომელთაც გააჩნიათ პირველსახეები მატერიალური სამყაროს ობიექტებს შორის. სიმბოლური მოდელები გამოხატავენ მოდელირებული სისტემის თვისებებს პირობითი ნიშნების ან სიმბოლოებს დახმარებით. საჩვენებელი მოდელები ითავსებენ ორივე მოდელის ნიშნებს. ფუნქციური, გეომეტრიული და ფუნქციურ-გეომეტრიული მოდელები შესაბამისად, ასახავენ მხოლოდ ფუნქციურ, მხოლოდ სივრცობრივ და ერთდროულად ორიგინალის ფუნქციურ და სივრცობრივ თვისებებს.

მეორე ნიშნით, მოდელები იყოფიან **პირობით, ანალოგიურ და მათემატიკურ** მოდელებად. **პირობითი** მოდელები გამოხატავენ ორიგინალის თვისებებს და ურთიერთობებს მიღებული პირობების ან შეთანხმების საფუძველზე. ასეთ მოდელებს ორიგინალთან მსგავსება შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ. **ანალოგიურ** მოდელებს გააჩნიათ ისეთი მსგავსება ორიგინალთან, რომელიც ანალოგიაზე დასკვნის საფუძველზე, საკმარისია ორიგინალზე გადასასვლელად. **მათემატიკური მოდელები** უზრუნველყოფენ ორიგინალზე გადასვლას, ფიქსაციას და მისი თვისებების კვლევას მათემატიკური მეთოდების დახმარებით. მათემატიკური მოდელები ფლობენ მნიშვნელოვან ღირსებებს – მკაფიობას, მკაცრი დედუქციის შესაძლებლობას, შემოწმებადობას. თუმცა, მთელ რიგ შემთხვევებში, მათემატიკური მოდელების აგებისას (მაგ. ფოლადის წარმოების პროცესის აღწერისთვის) შეიძლება წარმოიქმნას გადაულახავი სიძნელეები.

მესამე ნიშნით, დროის ფაქტორის აღრიცხვის თვალთახედვიდან გამოყოფენ სტატიკურ, იმიტაციურ, დინამიურ მოდელებს. **სტატიკური მოდელები** აღწერენ სისტემის შინაარსობრივ მხარეს, რომელიც დროში არ იცვლება. **იმიტაციური მოდელები** სისტემის ქცევის მოდელირების საშუალებას იძლევიან, შემავალი საწყისი ინფორმაციიდან გამომდინარე. **დინამიურ მოდელებს** დროში სისტემის ქცევის მოდელირება შეუძლიათ, ითვალისწინებენ რა მისი განვითარების ფაქტორს. მისი საშუალებით მოდელირებენ მოვლენების ნაკადებს. იმიტაციური მოდელირების უპირატესობა ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის განხორციელებაში ალტერნატიული გადაწყვეტილებების სწრაფად მიღებაში გამოიხატება.

რეინჟინირინგის პროცესში გადასაწყვეტი ამოცანები, როგორც წესი, მაღალი სირთულით და დიდი პასუხისმგებლობით ხასიათდებიან. თუ ამ საკითხს ისტორიულ რეტროსპექტივაში განვიხილავთ დავინახავთ, რომ მრავალმა კონსალტინგურმა ფირმამ, ინფორმაციული სისტემების შემუშავების **CASE**-ტექნოლოგიებიდან გამომდინარე, რეინჟინირინგისადმი თავისი მიდგომები დააფუძნეს.

რეინჟინირინგის გატარებაში ძირითადად ორი ტიპის სპეციალისტები მონაწილეობენ: 1. რეკონსტრირებადი ბიზნესის სპეციალისტები, 2. ინფორმაციული სისტემების შემმუშავებლები.

ტექნოლოგიების ნამდვილად წარმატებული და ნოვატორული დანერგვა არის უნიკალური შემოქმედებითი პროცესი: კომპანიის მმართველები და ტექნოლოგიები ეცნობიან რა ინფორმაციული ტექნოლოგიების მეთოდებს, თვითონ აგნებენ იმ შესაძლებლობებს, თუ როგორ მოახდინონ მისი დანერგვა (გამოყენება) საკუთარ ბიზნესში.

ამ სიძნელეთა გადასალახად, ამჟამად ცოდნის ინჟინერიის მეთოდებს იყენებენ. მათი დახმარებით, ჯერ ერთი, შეიძლება მოდელებში ბიზნეს-პროცესების, კერძოდ სამუშაო პროცედურების შესახებ მენეჯერების ცუდად ფორმალიზებული ცოდნის უშუალო წარდგენა, და მეორე, იქმნება საბოლოო მომხმარებლის ინტელექტუალური ინტერფეისის შესაძლებლობა.

ზოგადი სახით, **იმიტაციური მოდელირების სისტემა** წარმოადგენს რთული სისტემის დისკრეტული და უწყვეტი კომპონენტების აქტიურობის მართვის პროგრამის კომპლექსს და შემმუშავებელს აძლევს მოდელის სტრუქტურის დავალების, მისი კვანძების მდგომარეობის ცვლილებების და სხვადასხვა პროცესების ფუნქციონირების პრინციპების ფორმალიზებული აღწერის საშუალებას.

პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ინტერაქტიურ რეჟიმში იმიტაციური მოდელის კონსტრუირებაში გვეხმარება, **იმიტაციური მოდელირების სისტემად (პაკეტად)** იწოდება. იმიტაციური მოდელირება წარმოადგენს მაღალდონიან ინფორმაციულ ტექნოლოგიას და შეიცავს იმიტაციურ მოდელს, დაფუძნებულს მისი ფუნქციონალური სტრუქტურის დეკომპოზიციაზე და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისას მოდელის ექსპლუატაციაზე.

იმიტაციური მოდელირების ინსტრუმენტები ანუ მოდელირების ენები, დიდი ხნის წინ წარმოიშვნენ. XX ს. 70-იან წლებში აღინიშნა მათი სწრაფი განვითარება, როცა წელიწადში რამდენიმე „ენა" იბადებოდა. ამჟამად დომინირებს რამდენიმე ენა. ყველაზე ფართოდ გამოყენებული იმიტაციური მოდელირების ენები და მათი **რეალიზების ინსტრუმენტები იყოფა სამ ჯგუფად:** 1. უწყვეტი დინამიური სისტემების იმიტაციური მოდელირების ენები; 2. დისკრეტული სისტემების იმიტაციური მოდელირების ენები; 3. უნივერსალური ენები.

90-იანი წლების ბოლოს არსებული **იმიტაციური მოდელირების თაობის** ტიპიურ წარმომადგენლებად შეიძლება შემდეგი პაკეტები დავასახელოთ: **Process Charter, Powersin, Ithink, Extend+BPR, Rethink.** დროითი, სივრცითი და ფინანსური დინამიკის იმიტაციისათვის უნივერსალური მოდელირების იმიტაციური მოდელირების შექმნის მცდელობამ მეცნიერები მიიყვანა **Piligrim** სისტემის შემუშავებამდე.

19.2 ინოვაციებისა და ცვლილებების მენეჯმენტი საბანკო-საფინანსო ბიზნესში

ბანკის კლიენტებთან ურთიერთობები ეფუძნება პარტნიორობის პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ბანკი ცდილობს არა მარტო შეინარჩუნოს, არამედ გაზარდოს საკუთარი კლიენტების კაპიტალი მათზე ახალი მომსახურების შეთავაზებით, რომელიც უზრუნველყოფს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის გაფართოებას, დანახარჯების შემცირებას, საქმიანი აქტიურობის განვითარებას და მისი შემოსავლების გაზრდას.

ახალი საბანკო მომსახურების სახეების შემოღების მიზეზს წარმოადგენს საბანკო და ფინანსურ ინსტრუმენტებს შორის კონკურენცია. **ბანკის მენეჯერების მიზანს** წარმოადგენს ისეთი ინოვაციების შემოღება რომლებიც ბანკს კონკურენტუნარიანს გახდიან ბაზარზე და მისი კლიენტების რაოდენობას გაზრდიან. ამისტვის მენეჯერებმა ახალი საბანკო მომსახურეობა უნდა შემოიღონ, ეს არის კლიენტისთვის მოგების მისაღებად გაწეული საქმიანობა, რომელსაც მოაქვს დამატებითი საკომისიო შემოსავალი.

საბანკო სფეროს სიახლეები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად: 1) ტექნოლოგიური და 2) სასაქონლო. **ტექნოლოგიურ ინოვაციებს** მიეკუთვნება ფულადი საშუალებების ელექტრონული გზავნილები, საბანკო ბარათები. ხოლო **საბანკო ინოვაცია,** ანუ ახალი საბანკო პროდუქტისა და მომსახურების ერთობლიობა – ეს არის ბანკის საქმიანობის სინთეზური გაგება, რომელიც მიმართულია დამატებითი შემოსავლების მიღებისაკენ.

მსოფლიო პრაქტიკაში ჩვეულებრივ გამოყოფენ **საბანკო ინოვაციების შემდეგ სახეებს:** საბანკო პროდუქტები ახალ სეგმენტზე (ინვესტიციები უძრავ ქონებაში, სადაზღვევო ბიზნესი, ფინანსური ლიზინგი, სატრასტო ოპერაციები და სხვა.) ინოვაციები ფულად-საფინანსო ბაზრის ახალ სფეროებში (ფასიანი ქაღალდების, ოფციონების, არაკოტირებული ფასიანი ქარალდების ბაზრები); ნაღდი ფულის მართვა და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ფინანსური შუამავლების მომსახურება (დეპოზიტური სერტიფიკატები, საფინანსო ბაზრის დეპოზიტური ანგარიშები და სხვა); ახალი პროდუქტები სასესხო კაპიტალის ბაზრის ტრადიციულ სეგმენტებზე.

კომერციული ბანკები დაინტერესებულნი არიან თავიანთი მომსახურების მეთოდიკის **მოდერნიზებით,** რათა მიაღწიონ საოპერაციო ხარჯებისა და ფასების ისეთ დონეს, რომელიც უზრუნველყოფს მათ კონკურენტულ პოზიციას. ახალი საბანკო პროდუქტებისა და მომსახურების შემუშავება – ეს არის ბანკის საქმიანობის სტრატეგიის ცვლილებების პროცესი[51].

საბანკო ინოვაციების შემუშავების სტრატეგია შეიძლება ორიენტირებული იყოს მოთხოვნაზე ან ახალი პროდუქტის შეთავაზებაზე. ამ პროცესში შესაძლებელია წარუმატებლობაც, რომელიც დაკავშირებულია სტრატეგიის არჩევასთან, ინოვაციების განვითარების წყაროების არარსებობასთან, ხელმძღვანელობის დაუინტერესებლობასთან, ბაზრის შეუსწავლებლობასთან, რეკლამის ნაკლებობასთან და სხვ.

მრავალი მარკეტოლოგი, რომლებიც შეისწავლიან საბანკო მომსახურების ბაზარს შეჩერდნენ ისეთ მარკეტინგულ სვლაზე, როგორიცაა არატრადიციული საქონლის შემუშავება და საბანკო საქმიანობაზე პერსპექტიული ორიენტაცია.

საბანკო ინოვაციების შემუშავების **პროცესი** შედგება **შემდეგი ეტაპებისგან:**

1) ახალი იდეების შემუშავება ექსპერტების შეფასებების დახმარებით;

2) ბანკის ახალი მომსახურების სტრატეგიის ანალიზი;

3) ბანკის კლიენტების მოთხოვნის გამოკვლევა და ანალიზი;

4) ბანკის შესაძლებლობების შეფასება.

საბანკო ინოვაციების შემუშავება დაკავშირებულია მათი დანერგვის ეკონომიკური მიზანმიმართულობის შეფასებასა და ახალ მომსახურებასა და საქონელზე ტარიფების დაწესებასთან. ამ ტიპის ამოცანის გადასაწყვეტად **ბანკის ფინანსური მენეჯმენტისთვის** აუცილებელია ახალი მომსახურების შემუშავების **ეფექტიანობის შეფასების მეთოდიკის** გამოყენება. ის უნდა მოიცავდეს: ინოვაციების დანერგვის აუცილებლობის დასაბუთებისა და მსგავსი მომსახურების რეინტინგული შეფასების მეთოდებს; ახალი მომსახურების ეფექტიანობის განსაზღვრას; მიღებული შედეგების კრიტერიუმების დონესთან შედარების მეთოდებს.

რეინჟინირინგის თემის შემუშავება გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყეს. ამ მიმართულებით კვლევებში გარღვევა მოახდინა ბიზნესპროცესების კონცეფციის **შემმუშავებლის მ. ჰამერის სტატიამ,** „სამუშაოს ტრადიციული მეთოდების რეინჟინირინგი: მოახდინეთ მათი არა ავტომატიზება, არამედ უარყავით", რომელიც გამოაქვეყნა 1990 წელს ჟურნალში „Harvard Business Review". ავტორების მ. ჰამერისა და ჯ. ჩამპის ავტორობით 1993 წელს პირველად გამოვიდა წიგნი „კორპორაციის რეინჟინირინგი: ბიზნესში რევოლუციის მანიფესტი", სადაც კორპორაციის რეინჟინირინგის კონცეფციაა წარმოდგენილი. მ. ჰამერი ბიზნესპროცესების რეინჟინირინგს განიხილავს როგორც რევოლუციას ბიზნესში. ამ საკითხზე უცხოეთში ათეულობით სტატიებია გამოცემული. დღეისთვის ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგით ხელმძღვანელობს მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი მსხვილი კომპანია. ეს არის თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის ახალი, პრაქტიკულად გამოუკვლეველი მიმართულება. რეინჟინირინგი თავის თავში გულისხმობს ბიზნეს-პროცესების სიღრმისეულ გარდაქმნას, ვიდრე ყველა სხვა სახის ხერხი და საშუალება. რეინჟინირინგის თანახმად დღეისთვის ყველა ორგანიზაციის

---

[51] **Синки Дж. Финансовый менеджмент в комерческом банке и в индустрин финансовых услуг/ Джозеф Синки-мл.; Пер. с англ. – М.: Альпина Бизнес Букс, -2007. – 1018 с. В этой книге рассмотрены важнейшие тенденции в банковском деле и в финансовой индустрии– глобализация, секьютиризация, внедрение информационных технологий. Через всю книгу проходит мысль о ключевой роли финансовых инноваций и управления риском в финансовом менеджменте банков. Приводятся конкретные примеры применения новых финансовых технологий и инструментов для управления рисками, увеличениястоимости банка.**

ფუნქციონირების პირობები იმდენად შეიცვალა, რომ მათი ნორმალური არსებობისა და კონკურენტუნარიანობის ერთადერთი პირობა ოპერაციების განხორციელების შიდა პროცესებისა და ტექნოლოგიების სრული გარდაქმნის აუცილებლობა გახდა. ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგის კონცეფცია განმარტება, როგორც არსებული ბიზნეს-პროცესების ცვლილებების შემდეგ ძირითად ხერხებს შორის ყველაზე უფრო რადიკალური. ამ ხერხებს შორის მოიაზრება: ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესება; ბიზნეს-პროცესების გარდაქმნა; ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი.

განასხვავებენ **პირდაპირ და უკურეინჟირინგს.** პირველი გულისხმობს ახალი საწარმოს დაპროექტებას, მეორე კი უკვე მოქმედი საწარმოს რეორგანიზაციას. რეინჟინირინგის დროს ძირითადი აქცენტი კეთდება იმაზე თუ რა უნდა გააკეთოს ორგანიზაციამ, ხოლო შემდეგ როგორ უნდა გააკეთოს ეს კარგად, ბიზნეს-პროცესების, სტრუქტურისა და ტექნოლოგიის გამოკვლევისა და რაციონალიზაციის გზით. რეინჟინირინგის მთავარი ობიექტია არა ორგანიზაცია, არამედ მისი ბიზნეს-პროცესები, მთავარი მიზანი კი არა მუშაობის ძველი ხერხების გაუმჯობესებაა, არამედ ძველის მთლიანად უარყოფა და ეფექტიანობის ძირითადი მაჩვენებლების მრავალჯერადი გაუმჯობესების მიღწევის მიზნით რადიკალურად ახლის შექმნა.

მსოფლიო საბანკო გამოცდილება ცხადყოფს, რომ რიგ საკითხთა უმეტესობა, რომელსაც დღეს საქართველოს საკრედიტო ორგანიზაციები აწყდება, შეიძლება დაძლეულ იქნას თუ საბანკო სექტორში მოხდება მენეჯმენტის მოწინავე თეორიის გამოყენება. ამ თეორიას განეკუთვნება ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგი. სამწუხაროდ საქართველოს საკრედიტო ორგანიზაციებში რეინჯინირინგის გამოყენების მეთოდოლოგია ჯერჯერობით არ შექმნილა, არ არის ნათარგმნი ლიტერატურაც.

თანამედროვე ბანკის მენეჯმენტი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა. მენეჯმენტის წარმატება დამოკიდებულია და შედგება **სტრატეგიული დაგეგმვისა** და ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურისაგან. რთული და განუსაზღვრელი გარე გარემოსადმი ბანკის უყურადღებობამ შეიძლება გამოიწვიოს საკმაოდ დიდი დანაკარგები.

ბიზნეს-პროექტების რეინჟირინგი საშუალებას იძლევა კარდინალურად გაუმჯობესდეს ბანკის საქმიანობის შედეგი, რადგანაც მოიცავს საკვანძო ბიზნეს პროცესების რადიკალურ ცვლილებებს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ სტრუქტურას, ტექნოლოგიას, მუშაობის მეთოდებს. რეინჟინირინგის მიზანია კომერციული ბანკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება კლიენტებთან მისი მუშაობის მეთოდების ცვლილების ხარჯზე. საბანკო ბპრ-ის დანერგვის პროცესში მნიშვნელოვანია **სტრატეგიული დაგეგვის** განვითარება და სრულყოფა.

საბანკო ბიზნეს პროცესების რეინჟინირინგი, რომელიც ბევრ ქვეყანაში წარმატებით განხორციელდა მოიცავს 9 ეტაპს, კერძოდ:

1) ბიზნესის განვითარების მიმართულების განსაზღვრა;

2) პროექტის მასშტაბისა და საბოლოო მიზნების განსაზღვრა;

3) პროცესის პროექტირება ბანკის სტრუქტურისა და საკადრო პოლიტიკის განსაზღვრა;

4) ტექნოლოგიური მხარდაჭერა;

5) ინფრასტრუქტურის განსაზღვრა; ბანკის შიდა პოლიტიკის და მოქმედი კანონმდებლობის ზემოქმედების შეფასება;

6) პროექტის განხორციელებისათვის ძალების მობილიზება; პროექტის დანერგვა.

შესაბამისად, საბანკო ბიზნესის განვითარებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება საბანკო მენეჯმენტის ფუნდამენტალური პრინციპების ცოდნა და გამოყენება. კომერციული ბანკებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს საბანკო მენეჯმენტის და მისი ყველა შემადგენელი ნაწილის ხარისხის ამაღლება. ბანკები იძულებულები არიან მუდმივად ისწრაფვოდნენ თავისი კლიენტებისთვის ახალი პროდუქტისა და მომსახურეობის შეთავაზებისთვის, ასევე უნდა სთავაზობდნენ მათ სტაბილურობას და საიმედოობას. საბანკო მენეჯმენტის ეფექტიანი განვითარებისთვის საჭიროა მისი კარგად შესწავლა და შემდეგ უკვე მისი საქმეზე გამოყენება. საბანკო მენეჯმენტს კომერციულ ბანკში ყოფენ ფინანსურ მენეჯმენტად და პერსონალის მართვის მენეჯმენტად, რაც გამოწვეულია ობიექტის სტრუქტურით, რომელზეც მიმართულია მენეჯმენტის მმართველობითი გავლენა.

ფინანსური მენეჯმენტი მოიცავს: აქტივ-პასივების მართვას; ლიკვიდობის მართვას; სა-

კუთარი კაპიტალის მართვას; საბანკო რისკების მართვას; საკრედიტო პორტფელის მართვას; შიდასაბანკო კონტროლის ორგანიზაციას. ხოლო, **პერსონალის მართვა მოიცავს:**

1. შრომის ანაზღაურების და ორგანიზაციული სისტემის ადმინისტრირებას;

2. პერსონალის შერჩევის და დალაგების ორგანიზებას;

3. პერსონალის მომზადების სისტემის ორგანიზებას.

ბანკი უპირველესად წარმოადგენს საზოგადოებრივ ინსტიტუტს, რომელშიც თავმოყრილია მრავალი კრედიტორის ანაბრები, სწორედ ამიტომ ორიენტირებულია არა მხოლოდ მოგებაზე, არამედ აღებული ფულადი სახსრების შენახვის უზრუნველყოფაზე, მან მეანაბრეთა საიმედოობა და ნდობა უნდა მოიპოვოს. ბანკის მომგებიანობით დაინტერესებულნი არიან ასევე ბანკის კლიენტები რადგან ფინანსური ნარმატება მოწმობს იმ ორგანიზაციის საიმედოობაზე და მდგრადობაზე, რომელთანაც მათ აქვთ თანამშრომლობა. საბანკო მენეჯმენტის მიზნები განპირობებულია თვითონ ბანკის ფუნქციონირების მიზნებით.

ზოგადად, საბანკო მენეჯმენტი შედგება სამი ბლოკისაგან: ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტი; ფინანსური მენეჯმენტი; საბანკო ინოვაციების და ცვლილებების მენეჯმენტი.

სტრატეგიული მენეჯმენტი – ეს არის ბანკის საქმიანობის მართვის სტრატეგია. მასში შედის ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავება და კონკურენციის დროს ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღების უნარი. სტრატეგიული მენეჯმენტი – არის ორგანიზაციის სტრატეგიის შემუშავების გზით კონკურენტუნარიანობის და გადაწყვეტილებების ეფექტიანობის უზრუნველყოფის თეორია და პრაქტიკა, რომლის დროსაც ამ სამუშაოების შესრულებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის ხელმძღვანელებს. სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ფაიოლმა გააკეთა სტრატეგიის ცნების კონკრეტული ფორმულირება. „მართო – თვლიდა ის – ნიშნავს საწარმოს მიზნისაკენ წაყვანას, ცდილობდე უკეთესად იყენებდე მის რესურსებს". მისი აზრით, **სტრატეგია** მდგომარეობს შემდეგში: განჭვრიტო; გააკეთო; განაგო; შეათანხმო; გააკონტროლო.

სტრატეგიული მენეჯმენტი ემყარება **სტრატეგიული მოდელების** შემუშავებას, რომელთა ფარგლებშიც ხდება მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემებისა და გადაწყვეტილებების ფორმულირება. ასეთი მოდელები იძლევა ორგანიზაციის მიმდინარე და შესაძლოა მომავალი საქმიანობის შედეგების რაოდენობრივ და ხარისხობრივ შეფასებას. საკუთარი ბიზნესის განვითარებისათვის ორგანიზაციის მიერ გატარებული მოქმედებების მიმართულებები და ხასიათი უშუალო დამოკიდებულებაში იქნება შესაბამის ბიზნეს სივრცეში მის სტრატეგიულ პოზიციებზე. ამ პოზიციების სწორი შეფასება ქმნის შესაძლებლობას საქმიან სფეროში განისაზღვროს ქცევის მიმართულებები და მიზნები.

ბანკის სტრატეგიაში შედის ასევე კონკურენტული სტრატეგია. **კონკურენტული სტრატეგია** ეს არის ბანკის უმაღლესი დონის მენეჯერების მიერ განსაზრერული გრძელვადიანი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ფინანსური მომსახურების ბაზრის არჩეულ სეგმენტებზე კონკურენტული პოზიციების გაძლიერებისაკენ. საბანკო კონკურენცია არის ფინანსური მომსახურების ბაზრის შესაბამის სეგმენტებზე საკრედიტო ორგანიზაციების მეტოქეობის უწყვეტი პროცესი. ბანკის კონკურენტული სტრატეგიის შერჩევაში არსებობს რამდენიმე **მიდგომა:** 1) აგრესიული 2) შეტევითი 3) პასიური კონკურენციები. ბანკში ყველა დონის მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ ბანკის ერთიანი **სტრატეგიული ხედვა.**

გამოყოფენ **სტრატეგიული დაგეგმვის** შემდეგ მნიშვნელოვან **ეტაპებს:** მისიის არჩევა; სტრატეგიული მიზნის განსაზღვრა; ბანკის საწყისი მდგომარეობის ანალიზი; ბანკის სტრატეგიაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; რისკებისა და შესაძლებლობების შეფასება; ბიზნეს პორტფელის განვითარების სტრატეგია; სტრატეგიული ცვლილებები; შესაძლო ფინანსური შედეგები.

ბანკის მისია არის ბანკის უმთავრესი ამოცანა, რომელიც განასხვავებს მას სხვა კონკურენტებისგან. ბანკის მისიის ფორმირების დროს აუცილებელია ბანკის რეალური პოტენციალის გათვალისწინება.

სტრატეგიული მენეჯმენტის ერთ-ერთი უმთავრესი **ამოცანაა პროფესიონალთა გუნდის შექმნა** პერსონალის ყველა დონეზე. ბანკის ფუნქციონირება შეუძლებელია, თუ მისი თანამშრომლები აუცილებელი უნარ-ჩვევების გარდა არ ფლობენ კანონებს, არ ირჩევენ განსაზღვრულ დამოკიდებულებას თავიანთი სამუშაოს, ბანკის, კლიენტურის, კოლეგების მიმართ.

ამრიგად, თანამედროვე ბანკის მენეჯმენტი მეწარმეობრივი საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე რთული სფეროა. მენეჯმენტის წარმატება დამოკიდებულია და შედგება სტრატეგიული დაგეგმვისა და ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურისაგან. რთული და განუსაზღვრელი გარე გარემოსადმი ბანკის უყურადღებობამ შეიძლება გამოიწვიოს საკმაოდ დიდი დანაკარგები. შესაბამისად, **ბიზნეს-პროცესების რეინჟირინგი** საშუალებას იძლევა კარდინალურად გაუმჯობესდეს ბანკის საქმიანობის შედეგი, რადგანაც მოიცავს საკვანძო ბიზნეს პროცესების რადიკალურ ცვლილებებს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, ტექნოლოგიას და მუშაობის მეთოდებს. რეინჟინირინგის მიზანია კომერციული ბანკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება კლიენტებთან მისი მუშაობის მეთოდების ცვლილების ხარჯზე.

მმართველობითი აუდიტი საბანკო ბიზნესის კონტროლის სისტემაში

ნებისმიერი ქვეყნის **ფინანსური პოლიტიკის მთავარი ამოცანაა** – შესაბამისი ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების ესა თუ ის პროგრამა. ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციისა და მისი ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებისათვის ფინანსური მექანიზმი გამოიყენება, რომელიც ეკონომიკური მექანიზმის შემადგენელი ნაწილია.

სავალდებულო აუდიტის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს შესაბამისი საჯარო დაწესებულებების ხელმძღვანელობას., რომელსაც უშუალოდ ახორციელებს შიდა საფინანსო კონტროლის სამსახური ან სახელმწიფო სექტორის აუდიტორი. შიდა საფინანსო კონტროლმა უნდა მოიცვას შიდა პრევენციული და მიმდინარე საფინანსო კონტროლი და ამ შემთხვევაშიც, პასუხისმგებლობა დაეკისრება საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელობას. საფინანსო ზედამხედველობა უნდა განახორციელონ შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ და უნდა მოიცვას საფინანსო კონტროლის სისტემის საკანონმდებლო რეგულირება, ამ სისტემაზე ზედამხედველობა, საჯარო დაწესებულებების საფინანსო რევიზია და საფინანსო ადმინისტრირება.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სისტემის ჩამოსაყალიბებლად საჭიროა როგორც მთელი რიგი ნორმატიული აქტების მიღება, ასევე ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, როგორიცაა, შიდა საფინანსო კონტროლის სამსახურების და საქართველოს კონტროლის პალატასთან შესაბამისი კადრების მოსამზადებელი ცენტრის შექმნა, რითაც საფუძველი ჩაეყრება სახელმწიფო სექტორის აუდიტორთა, შიდა საფინანსო კონტროლის მოსამსახურეთა მომზადება-ლიცენზირების პროცესს. მმართველობითი აუდიტის – შიდა საფინანსო კონტროლის საკითხები განხილულია: ნაწ. II – თავი 9; ნაწ. III – თავი IV-ში.

ფინანსური კონტროლის სპეციფიკური ფუნქციებია: 1) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოვლენა; 2) დარღვევა-ნაკლოვანებათა გამომწვევი მიზეზების ანალიზი, კონტროლის ობიექტების საქმიანობის კორექცია; 3) საფინანსო დარღვევათა პრევენცია; 4) სამართალდაცვა.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ეფუძნება **იმ პრინციპებს**, რომლებიც ასევე დამახასიათებელია მართვისათვის, მაგრამ ეს პრინციპები ხასიათდებიან იმ თავისებურებებით, რასაც თავად ფინანსური კონტროლის ფუნქციები ითვალისწინებენ. ფინანსური კონტროლის ძირითადი პრინციპებიდან უნდა გამოიყოს: გეგმიურობის, სისტემურობის, უწყვეტობის, დემოკრატიული ცენტრალიზმის, კანონიერების, პასუხისმგებლობის, ობიექტურობის, საჯაროობისა და ეფექტიანობის პრინციპები.

ცნობილია, რომ **საბანკო სისტემა**, საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესში სახელმწიფო წნეხისგან ოპტიმალურად გამოთავისუფლდა და იგი ეკონომიკის ფინანსური კონტროლის მართვაში აქტიურ ინსტრუმენტად გარდაიქმნა. ამასთანაავე, როგორც საბანკო სისტემის პრობლემების კვლევის შედეგები მიუთითებენ, ფრიად აქტუალურია ბანკის უსაფრთხოების არსებული მდგომარეობის შედარება მათი ფუნქციონირების თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

ბანკის ძირითადი ფუნქციების განსახორციელებლად მნიშვნელოვანია კონტროლის ყოვლისმომცველი სისტემის შექმნა კომერციულ ბანკებში, რომელიც ბანკისათვის ძირითადი ფინანსური ოპერაციებისა და მომსახურების განხორციელებისადმი დადგენილი სავალდებულო და სარეკომენდაციო ნორმატივებისა და ლიმიტების დაცვას, ასევე ლიცენზიებისა და საიდუმლოებების დაცვის, საბანკო საქმეში გამოყენებაადი ავტომატიზირებული სისტემის გაფართოებისა და ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების მექანიზმების სრულყოფას უზრუნველყოფს.

საბანკო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოება არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ხდება რესურსების ყველაზე უფრო ეფექტური გამოყენება კომერციული ბანკების უსაფრთხოების თავიდან ასაცილებლად და მათი სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. კომერციული ბანკებისთვის საკუთარი **ფინანსური უსაფრთხოების** დაცვის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია საბანკო ბიზნესის არა მარტო წარმატებული მართა, არამედ მისი პერსპექტიული განვითარებაც არაპროგნოზირებადი კონიუნქტურის პირობებში. შესაბამისად, უსაფრთხოების

მართვა წარმოადგენს შიდა საბანკო მენეჯმენტის ერთ-ერთ აუცილებელ ელემენტს, რომელიც უნდა განხორციელდეს მთლიანი მმართველობითი სისტემის ფარგლებში.

მმართველობითი აუდიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს შექმნას შიდა კონტროლის სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორების, ბანკებისა და მათი კლიენტების ინტერესების დაცვას ბანკის თანამშრომლების მიერ კანონმდებლობის, კონტროლის დაწესების, ინტერესთა კონფლიქტების მოგვარების და საიმედოობის ისეთი დონის უზრუნველყოფის გზით, რომელიც შეესაბამება ბანკის მიერ ჩასატარებელი ოპერაციების შინაარსისა და საბანკო საქმიანობის რისკების მინიმიზაციას.

მმართველობითი აუდიტი უნდა განვახორციელოთ როგორც ბანკის სისტემა მეანაბრეთა ინტერესების დაცვისათვის, ბანკის საქმიანობაში კონკრეტული შედეგების მიღწევისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის. ბანკებში შიდა კონტროლის (აუდიტის) ორგანიზაციის ძირითად საკითხებს უმთავრესად ორგანიზაციის ძირითად საკითხებს უმთავრესად ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ნორმატიული აქტები – დებულებები და მითითებები განსაზღვრავს.

ბანკში **შიდა აუდიტის სისტემის ძირითად** დანიშნულებას წარმოადგენს შემონმების შემდეგი მიმართულებით ნარმართვა, კერძოდ: 1) მოქმედი კანონმდებლობის დაცვა; 2) საკრედიტო ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობა მისი განვითარების გეგმასთან; 3) ფინანსური და სამმართველო ინფორმაციის სარწმუნოობა, ოპერატიულობა და კონტროლი; 4) ბანკის ლიკვიდურობის, რენტაბელობისა და მდგრადობის შენარჩუნებისათვის გატარებულ ღონისძიებათა რაციონალურობა.

ბანკის საქმიანობის აუდიტის სისტემა მოიცავს **მონიტორინგულ** მოწყობას ბანკის მუშაობის ყველა უბანზე, მათი საქმიანობის შედეგების შესაფასებლად და საბანკო ბიზნესის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნის სტრატეგიული გეგმის ფორმირებისათვის გადაწყვეტილების მისაღებად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს კომერციული ბანკის ფინანსური უსაფრთხოების დაცვა.

შიდა საბანკო აუდიტის (კონტროლის) მოქმედი სისტემა მოიცავს მიმდინარე და მომდევნო ცონტროლს ბანკებში და შიდა კონტროლის ორგანიზებას, რომელთა ეფექტიანი სისტემის (სპეციალური ქვედანაყოფის) უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია საბანკო რისკების გამოვლენისა და შეფასების სისტემის შექმნა ბანკში. ასევე, მნიშვნელოვანია ხარისხიანი შიდა კონტროლის ჩასატარებლად სრული და სარწმუნო ინფორმაციის არსებობა, როგორც საკუთრივ ბანკში, ისე კონკურენტ ბანკებში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

შიდა კონტროლის სამსახურის წარმატებული საქმიანობისათვის აუცილებელია შემდეგი დოკუმენტების არსებობა, როგორიცაა: გადაწყვეტილებების მიღების პროცედურების, ბანკის ქვედანაყოფებსა და თანამშრომლებს შორის ფუნქციებისა და უფლებამოსილების განაწილების, სახსრების მოზიდვისა და მისი განთავსების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და სხვა.

რისკების კონტროლის დროს რეკომენდირებულია როგორც ადმინისტრაციული, ისე ფინანსური კონტროლის ჩატარება, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს ერთი მხრივ, წინასწარი, მიმდინარე და შემდგომი კონტროლის წესებით, მეორე მხრივ, სამ ძირითად დონეზე: ინდივიდუალურ, (თანამშრომლის დონე), მიკრო და მაკრო დონეზე.

ინდივიდუალურ (თანამშრომლის) დონეზე გამოყოფენ **იმ რისკებს**, რომლებიც ცალკეული მუშაკების არამართლზომიერი ან არაკომპეტენტური გადაწყვეტილებებით შეიძლება იყოს გამოწვეული (ფასეულობათა დატაცება, ბანკის დაკავშირება კრიმინალურ ეკონომიკასთან და სხვა). ამ შემთხვევაში კონტროლის ძირითადი ობიექტია ცალკეული მუშაკი, მისი მისი მოტივაცია და კომპეტენტურობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ინდივიდუალურ დონეზე მისი განხორციელებული **წინასწარი კონტროლი** მოიცავს კადრების შერჩევასა და განწესებას; მიმდინარე კონტროლის რეჟიმში ამოწმებენ მუშაკის მიერ თავის მოვალეობათა შესრულების ხარისხს, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტაპზე ახორციელებენ მუშაკის მიერ ჩატარებული ოპერაციების შედეგების რეგულარულად განხილვას ხელმძღვანელის მიერ.

მიკრო დონეზე გამოყოფენ რისკებს, რასაც მმართველი გუნდის გადაწყვეტილებები აყალიბებს, როგორიცაა: საკრედიტო, საბაზო საპროცენტო, საოპრაციო, ლიკვიდობისა და კაპიტალის შემცირების, რეპუტაციის დაკარგვის, სამართლებრივი რისკები და სხვა. მიკრო დონეზე აუდი-

ტის ძირითადი ობიექტია ბანკში გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი და ტექნიკის შესაბამისობა ბანკის მიზნებთან. კონტროლის წინასწარ ეტაპზე აუდიტის სამსახური ამზადებს დასკვნას დასახული მიზნების რეალობის შესახებ და წინადადებებს დასახული მიზნების მიღწევისათვის (მისაღწევად) აუცილებელი ორგანიზაციული გადაწყვეტილებების შესახებ. მიმდინარე კონტროლის ეტაპზე შიდა კონტროლის სამსახური ატარებს რეგულარულ კომპლექსურ და თემატურ შემოწმებას, აკონტროლებს რისკების ოპტიმიზაციის წესების დაცვას, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტაპზე ხორციელდება რისკების ანალიზი და მართვის პრაქტიკის შეფასება.

მიკროდონეზე გამოყოფენ იმ რისკებს, რომლებსაც განაპირობებს ბანკის საქმიანობის მაკროეკონომიკური და ნორმატიულ-სამართლებრივი პირობები. მაკრო დონეზზე წინასწარი კონტროლის ეტაპზე მმართველობითი აუდიტის სპეციალური ქვედანაყოფის სამსახური ამოწმებს მონაცემთა საწყისი ბაზის შემადგენლობას, სისრულესა და განახლების თავისდროულობას; მიმდინარე კონტროლის ეტაპზე ანალიზისა და პროგნოზირების ამოცანების შესრულება ბანკში მენეჯერებისა და ქვედანაყოფების მიერ ხორციელდება, ხოლო მომდევნო კონტროლის ეტტაპზე აუდიტის პროცესში ანალიტიკური სამსახურების დასკვნებისა და რეალური ვითარების მონაცემთა შედარება და ანალიზის შედეგების საფუძველზე წინადადებ ები ის შემუშავება ხდება ბანკის უმაღლეს მენეჯერთათვის.

ინვესტორებისა და კლიენტების ინტერესების დაცვის მიზნით საბანკო პრაქტიკაში გამოიყენება ე. წ. კომპლაენის (complaisacnce -თავაზიანობა, ზრდილობა) – კონტროლის საშტატო თანამდებობა, რომელიც აკონტროლებს, თუ როგორ იცავენ ბანკის თანამშრომლები კანონმდებლობას ფინანსური ბაზრების შესახებ და ამ ბაზრებზე პროფესიული საქმიანობის სტანდარტებს.

ამრიგად, მიმდინარე საბანკო კონტროლს ახორციელებენ საბანკო ოპერაციების ყოველდღიური გატარების პროცესში საალრიცხვო საოპერაციო აპარატის მუშაობის ორგანიზების ყოველ უბანზე. დოკუმენტბრუნვის ორგანიზების დროს ოპერაციების კანონიერების შემოწმება და დოკუმენტების გაფორმების სისწორის დაცვა, ხოლო კლიენტებისაგან ფულადი საანგარიშსწორებო საბუთების მიღების დროს ამოწმებენ სახსრების არსებობას კლიენტის ანგარიშსწორების ანგარიშზე, აუცილებელი რეკვიზიტების შევსების სისწორეს, შესრულებული ოპერაციების კანონიერებას, კლიენტის მისამართზე შემოსული ფულადი სახსრების ჩარიცხვისას ამოწმებენ საბუთის უტყუარობას, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირრების სახსრების უნაღდო გადარიცხვებზე ანაბრების დასასესხო ანგარიშის გახსნისა და კრედიტის დაფარვის ვალდებულებათა შედგენის სისწორეს და სხვა.

შიდა საბანკო კონტროლის სისტემაში ასევე მნიშვნელოვანია მომდევნო კონტროლის ორგანიზება, რომლის ძირითად ამოცანებად გვევლინება: აღრიცხვისა და დოკუმენტ მიმოქცევის საქმის დაყენების შემოწმება; სააღრიცხვო-საოპერაციო აპარატის მუშაკებზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების სისწორის დადასტურება; შესრულებული ოპერაციების კანონიერებისა და მათი გაფორმების სისწორის შემოწმება. მომდევნო შემოწმება ტარდება თემატური გეგმის შესაბამისად. მომდევნო კონტროლის განხორციელებისას შერჩევით სწავლობენ იმ დოკუმენტებს, რომლებიც მიმდინარე კონტროლით არ შეუმოწმებია ბანკის მთავარ ბუღალტერს (მის მოადგილეებს) ამ დროს დგინდება ოპერაციების კანონიერება, მათი გაფორმებისა აღრიცხვაში ასახვის სისწორე.

მომდევნო კონტროლის წესით კეთდება რევიზია. შემოწმებისა და რევიზიის შედეგებს განიხილავს კომერციული ბანკის ხელმძღვანელი, რასაც მოჰყვება გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის და მომავალში მათი წარმოშობის თავიდან აცილების ღონისძიების შემუშავება და რეალიზაცია.

როგორც უკვე აღინიშნა, ყოველ კომერციულ ბანკში მიმდინარე და მომდევნო კონტროლის გარდა, მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, უნდა ფუნქციონირებდეს შიდა აუდიტის სისტემა. აუდიტის მიერ შეგროვებული ინფორმაციის ღირებულება დამოკიდებულია მისი დამოუკიდებლობის დონეზე, აუდიტორების კომპეტენციაზე და აუდიტის მასშტაბზე. შიდა აუდიტის სამსახური შეიძლება უშუალოდ დაექვემდებაროს ბანკის მმართველს ან დამფუძნებელს, რომლის მუშაობა უნდა წარიმართოს ბანკის მმართველის მიერ სპეციალურად დადგენილი გეგმების შესაბამისად, რომელშიც აუცილებლად ითვალისწინებენ კომერციული ბანკის ფილიალების, განყოფილებების და ქვედანაყოფების შემოწმების ჩატარებას.

ბანკის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების პროგრამათა ძირითადი ნაწილები მოიცავს: ბანკის ჩამოყალიბების კანონიერების: საწესდებო კაპიტალის; სარეზერვო და სხვა ფონდების ფორმირების ვადიანობის, სისწორისა და კანონიერების; აღრიცხვასა და ანგარიშგებაში საანგარიშგებო ოპერაციების გატარების კანონიერებისა და სასრწმუნეობის; დაკრედიტებისა და საკასო ოპერაციების განხორციელების სისწორესა და კანონიერების; სსაგარეო-ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების მართლზომიერებისა და სისწორის; ბანკის ძირითადი სახსრების და სხვა აქტივების გატარებისა და ასახვის სისწორის და აღრიცხვაში ბანკის შემოსავლებისა და გასავლის ასახვის სისრულის, სისწორისა და სარწმუნოების მაჩვენებელთა შემოწმებას აუდიტორები აფასებენ საბუღალტრო და ადმინისტრაციული კონტროლის მასშტაბს.

შესაბამისად, **სააუდიტო პროგრამამ** უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული პროგრამის ეფექტურობა და დაადასტუროს, რომ ბანკის ყველა განყოფილებაში დანერგილია ადეკვატური კონტროლი და საგარანტიო პროგრამა. შიდა აუდიტი უნდა ჩატარდეს საყოველთაოდ მიღებული საერთაშორისო საბანკო და საბუღალტრო პრაქტიკასთან შესაბამისობაში და ნლიური ანგარიშგება შიდა კონტროლის ანგარიშგების შესახებ წარდგენილი უნდა იქნას ეროვნულ (ცენტრალურ) ბანკში.

საბანკო კონტროლი ეფუძნება „საბანკო საქმიანობაზე ეფექტიანი ზედამხედველობის საბაზო პრინციპებს". ზედამხედველობამ უნდა უზრუნველყოს საბანკო ოპერაციების ჯეროვნად შესრულება და საიმედოობა, რათა ბანკების კაპიტალი და რეზერვები საკმარისი იყოს მათ მიერ დაკავებული სარისკო ოპერაციების მხარდასაჭერად. მკაცრი და ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობა ემსახურება საერთო კეთილდღეობას და ეფექტიან მაკროეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად ნებისმიერ ქვეყანაში ფინანსური სტაბილურობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ეროვნული ბანკის ერთ-ერთი ძირითადი მიზნისა და ფუნქციის უზრუნველსაყოფად სტაბილურ ბაზარზე დამყარებული ფინანსური სისტემის ლიკვიდურობის, გადახდისუნარიანობის და სათანადო ფუნქციონირების მისაღწევად აუცილებელია საბანკო დაწესებულებათა ფინანსურ მდგომარეობათა შესახებ ადეკვატური და მაღალი ხარისხის ინფორმაციები. შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო სექტორის შემმოწმებლის ფუნქციის შესასრულებლად შეიქმნა. „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობა-რეგულირების მეთოდური სახელმძღვანელო" (1999), რომელშიც განხილულია საკითხები საბანკო დაწესებულებების ინსპექტირების პროგრამისა და მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც CAMEL (" ქემელის") სახელით არის ცნობილი. იგი ეფუძნება **ხუთი** მთავარი კომპონენტის – ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის, აქტივების ხარისხის, ბანკის მენეჯმენტის, მოგება-შემოსავლიანობისა და ლიკვიდობის შეფასებას.

საბანკო საქმიანობის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მთავარი მიზანია საბანკო ბიზნესის მაქსიმალურად სტაბილური ფუნქციონირების მიღწევა, მისი სამომავლო განვითარების პრიორიტეტების ფორმირება მიუხედავად ობიექტური და სუბიექტური რისკ-ფაქტორებისა. ასევა, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა საბანკო მენეჯმენტის აუცილებელი ელემენტების განვითარებით მთლიანი მმართველობითი სისტემის ფარგლებში.

შესაბამისად, ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნების მთავარი პრინციპია ეკონომიკური სისტემის შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლი და ბალანსირება.

ფინანსური უსაფრთხოების შენარჩუნებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შიდა და გარე ფაქტორები.

ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიას შეიძლება გააჩნდეს ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილი კონცეფციის ფორმა:

პირველი: აქტიური წინმსწრები უკუზემოქმედების კონცეფცია. ეს კონცეფცია არის ბანკის მიერ არჩეული მზარდი განვითარების სტრატეგიის მიმართულება, რომელიც გულისხმობს უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნას შესაძლო საფრთხეების პროფილაქტიკისა და უკუზემოქმედების ყველა შესაძლო აქტიური მეთოდები. არჩევანის მთავარი კრიტერიუმია ამა თუ იმ მეთოდის მაქსიმალური ეფექტურობა, ამასთან მათი გამოყენების ეთიკურობის პირობები ხდება მეორეხარისხოვანი. განსახილველი კონცეფციის რეალიზაციისას დაიშვება საბანკო შპიონაჟი, საკუთარი პერსონალის ლოიალობაზე კონტროლის არალეგიტიმური მეთოდები და სხვა. **რეკომენდაციები გამოყენებისათვის:** მსხვილი ბანკებისათვის, რომლებიც ორი-

ენტირებულნი არიან მაღალრენტაბელური სანარმოების (დარგების) მომსახურებაზე ან რომლებიც მუშაობენ ხისტი ზეწოლის პირობებში კრიმინალური სტრუქტურების მხრიდან.

მეორე: პასიური დაცვის კონცეფცია. ეს კონცეფცია არის ლოგიკური შედეგი ბანკის მიერ არჩეული სტრატეგიისა და გამომდინარეობს მისი პასიური კონკურენტული სტრატეგიიდან. იგი გულისხმობს ბანკის პრიორიტეტულ ორიენტაციას დაცვაზე სახელმწიფოს, კერძოდ კი სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების მხრიდან. ეს საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შეიზღუდოს საკუთარი უსაფრთხოების სამსახურები და მათ ინსტრუმენტარში შენარჩუნდეს პოტენციური საფრთხეების პროფილაქტიკისა და მათთვის წინააღმდეგობის გასაწევი ინსტრუმენტარის მინიმალური ნაკრები. **რეკომენდაციები გამოყენებისათვის:** მცირე ზომის ბანკებისათვის, რომლებიც მუშაობენ მცირე ბაზრებზე ან სახელმწიფოს უშუალო პატრონაჟის ქვეშ.

მესამე: ადეკვატური პასუხის კონცეფცია. ეს კონცეფცია არის ბანკის მიერ არჩეული შეზრუდული ზრდის სტრატეგიის ლოგიკური შედეგი და მისგან გამომდინარე შემტევითი კონკურენტული სტრატეგიისა. იგი გულისხმობს უსაფრთხოების სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნას პოტენციური საფრთხეების თავიდან აცილების ყველა ლეგიტიმური მეთოდებისა და ინსტრუმენტების ერთობლიობა. გამონაკლისის სახით დაიშვება არალეგიტიმური მეთოდების გამოყენებაც, ოღონდ ისეთი კონკურენტების მიმართ, რომლებმაც პირველებმა გამოიყენეს ასეთი სახის მეთოდები ბანკთან საბრძოლველად.

საბანკო საქმიანობის უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი კონცეპტუალური ხედვის მესამე ვარიანტი არის კომპრომისული პირველ და მეორე კონცეფციებს შორის, არბილებს მათ რადიკალურ ნაკლოვანებებს, თუმცა არ იძლევა მათი უპირატესობების სრულიად გამოყენების საშუალებას. თანამედროვე პირობებში გამოიყენება მეტი წილი ბანკების მიერ.

ამრიგად, ბანკის უსაფრთხოების სისტემის ფორმირების, ექსპლოატაციისა სა განვითარებისას აუცილებელია დაცულ იქნა ზოგიერთი ზოგადი მეთოდური მოთხოვნები და მიდგომები:

პირველი უმთავრესია სისტემური მიდგომის გამოყენება უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემისადმი. აქ იგულისხმება, რომ დაუშვებელია უსაფრთხოების სამსახურის ძალისხმევის კონცენტრირება მხოლოდ რამოდენიმე საფრთხეზე და დანარჩენის უგულველყუფა.

მეორე მეთოდური მიდგომით განისაზღვრება პოტენციური საფრთხეების თავიდან აცილების ღონისძიებათა პრიორიტეტი, ანუ პროფილაქტიკური სამუშაოები. იგი არ მოითხოვს დამატებით დასაბუთებულობას, ვინაიდან გულისხმობს საფრთხის დადგომის არდაშვებას, მაშინ, როდესაც სხვა მეთოდები გულისხმობენ საფრთხეების დადგომის შედეგების განეიტრალებას და დამნაშავეების დასჯას.

მესამე მოთხოვნა უსაფრთხოების სისტემის ორიენტირება კომფიდენციალური ინფორმაციის პრიორიტეტულ დაცვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ სხვა ობიექტების დაცვაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიების როლი საბანკო საქმიანობაში დღითი დღე მაღლდება, შედეგად ინფორმაციის გაჟონვას შეუძლია დიდი ზიანის მიყენება ბანკისათვის და მის მიერ კონკურენტუნარიანობის დაკარგვაზე.

მეოთხე მოთხოვნაა ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მისი ყველა სტრუქტურული ერთეულის უშუალო მონაწილეობა მათი კომპეტენციისა და პასუხისმგებლობის ფარგლებში. საკუთარი პერსონალისაგან გამომდინარე საფრთხეების თავიდან აცილება პრაქტილულად შეუძლებელია უსაფრთხოების სამსახურის ძალით. ამიტომაც აქ ძალზედ მნიშვნელოვანია იდეოლოგიური მუშაობა და შესაბამისი მეთოდების შესწავლა დამნაშავეობის თავიდან აცილების მიზნით.

მეხუთე მოთხოვნაა უსაფრთხოების სამსახურის ურთიერთქმედება მენეჯმენტის სხვა რგოლებთან. აღნიშნული მოთხოვნა უნდა რეალიზებულ იქნას როგორც ოპერატიული მართვის, ისე სტრატეგიული მართვის დონეზე.

მეექვსე მოთხოვნა არის უსაფრთხოებაზე გაწეული ხარჯების თანაფარდობა საფრთხის რეალურ დონესთან. იგი დაკავშირებულია გონივრული საკმარისობის პრინციპთან. მართვის სისტემის საბოლოო ეფექტურობის პოზიციებიდან გამომდინარე დაუშვებელია საქმიანობის ამ მიმართულებაზე სახსრების ეკონომია, მაგრამ ასევე არ არის მიზანშეწონილი ისეთი ხარჯების გაღება, რომლებიც თავის თავს ვერ ანაზღაურებენ.

მეშვიდე მოთხოვნაა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მკაცრად განსაზ-

ღვრული უფლებები და პასუხისმგებლობები. ბანკის სხვა თანამშრომლების საქმიანობა ხშირად დგას თავისი უფლებამოსილების აღმატების შესაძლებლობების ზღვარზე. შედეგად მაღალია ალბათობა ბანკის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებისა და სამოქალაქო დავების აღძვრის შესაძლებლობებისა, რომლებიც შეეხება მოქმედი სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებს.

ამრიგად, კომერციული ბანკების ფინანსური რესურსების, ფულადი ნაკადების მართვა და ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფა გვევლინება საბანკო მენეჯმენტის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად, რომელის წარმატებული განხორციელება უსაფრთხოების ზოგადი თეორიის საფუძველზე დასაბუთებული ალგორითმის გამოყენებით არის შესაძლებელი.

კონტროლის მექანიზმების განვითარებამ, ორგანიზაციების მისწრაფებამ თვითრეგულირებისაკენ მოითხოვა, რომ ობიექტურად შეფასებულიყო ეკონომიკური საქმიანობის ეფექტიანობა, რამაც ბიძგი მისცა კონტროლის ახალი ინსტრუმენტის აუდიტორული საქმიანობის შექმნას და დანერგვას პრაქტიკაში. აუდიტორული საქმიანობა, როგორც არასახელმწიფოებრივი კონტროლის საყოველთაოდ აღიარებული და ცხოვრებაში პრაქტიკით შემოღებული ფორმა, ფართო მასშტაბურ გამოყენებას პოულობს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობათა პრინციპებზე მოწყობის პირობებში.

ამჟამად შემუშავებული ძირითადი პრაქტიკული დებულებებიდან გამომდინარეობს, რომ შიდა აუდიტორმა ყოველდღიურ საქმიანობაში უნდა გაითვალისწინოს, კერძოდ:

1) აუდიტორები არ უნდა მოქმედებდნენ, როგორც შიდა კონტროლის სისტემის ნაწილი. მაგალითად, აუდიტორის მიერ ბალანსის აქტივის მუხლის შემოწმება არ უნდა ჩაენაცვლოს აღნიშნული აქტივის მართვაზე პასუხისმგებელი თანამშრომლების მიერ ჩატარებულ შემოწმებას. თავისი არსით შიდა აუდიტი წარმოადგენს შიდა კონტროლის სისტემის მაკონტროლებელ სტრუქტურას, ანუ ე. წ. „კონტროლის კონტროლს“.

2) აუდიტორებმა უნდა დაიცვან იმ კონკრეტულ სფეროში მოქმედი წესები და მოთხოვნები, რომლის აუდიტსაც ატარებენ. შიდა აუდიტი წარმოადგენს ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის გაწეულ მომსახურებას. აუდიტორები უნდა გაუფრთხილდნენ აუდიტორის საპატიო სახელს და გააცნობიერონ, რომ მათ მიერ შესრულებულმა სამუშაომ ორგანიზაციის საქმიანობაში შესაძლოა გარკვეული შეფერხებები გამოიწვიოს და რომ აუდიტორები არ არიან პოლიციელები. აუდიტორებმა ასევე მნიშვნელოვანია გაითვალისწინონ, რომ მათი, როგორც ინსპექტორის როლი ძალზე სწრაფად შეიძლება საეჭვო გახდეს, ხოლო მათი მხრიდან ზედმეტი და უადგილო თავგამოდება აუდიტორთა მიერ შეთავაზებული მომსახურების უგულებელყოფის საფუძველი.

3) აუდიტორი ვალდებულია, ხელმძღვანელობას აცნობოს ყველა იმ პირადი ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე, რომელმაც შეიძლება მათი აუდიტის პროცესში მონაწილეობის მიზანშეწონილობა კითხვის ქვეშ დააყენოს. იგულისხმება ვითარება, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს კონკრეტულ სფეროში ჩასატარებელ აუდიტორულ შემოწმებას. მაგალითად, შესაძლოა აუდიტორს დაევალოს ისეთი სფეროს აუდიტის ჩატარება, სადაც მისი მეგობარი ან ნათესავია დასაქმებული.

4) კონფიდენციალურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით აუდიტორის ვალდებულებაა, მკაცრად დაიცვას საიდუმლოება. სავსებით დასაშვებია, რომ აუდიტორული შემოწმებისას აუდიტორებს საიდუმლო დოკუმენტებთან მოუხდეთ შეხება, განსაკუთრებით ცენტრალური ბანკის აუდიტის დროს შესაძლოა მათ ხელთ აღმოჩნდეს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები.

5) აუდიტორმა მკაცრად უნდა დაიცვას ეთიკური ნორმები. აუდიტორის მიერ მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს პირადი დაინტერესების მიზნით. ამიტომ აუცილებელია, შემუშავდეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც დაავალდებულებს აუდიტორებს, წინასწარ აცნობონ მთავარ აუდიტორს მათი მონაწილეობის შესახებ აქციების მართვის ან სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ ოპერაციებში. ასევე უნდა არსებობდეს წესი, რომლითაც აიკრძალება მესამე პირისგან საჩუქრის მიღება და შესამოწმებელ სუბიექტებთან მათი წინადადებების დაკმაყოფილებაზე შეთანხმება.

რისკების მართვასა და კონტროლის პროცედურებში შიდა აუდიტის სამსახურის ძირითადი ფუნქცია არის ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების მართვის პროცესის ადეკვატურობის

შეფასება და შეძლებისდაგვარად ამ პროცესის მხარდაჭერა. ორგანიზაციაში შიდა აუდიტის სამსახურის არსებობა არ წარმოადგენს მენეჯმენტის მიერ განხორციელებული კონტროლის ღონისძიებების არც დამატებით და არც მის ჩამნაცვლებელ ფუნქციას. რისკების მართვა და ადეკვატური კონტროლის სისტემის შექმნა ორგანიზაციის ხელმძღვანელობის უშუალო პასუხიმგებელობაა, რომელიც მან შიდა აუდიტზე დაყრდნობის გარეშეც უნდა განახორციელოს.

საგულისხმოა, რომ ყველა ტიპის რისკი მხედველობაშია მისაღები. განსხვავებულია მხოლოდ საქმიანობის სფეროები, რომელშიც წარმოიქმნება რისკის ესა თუ ის კატეგორია.

შიდა აუდიტორების ინსტიტუტი შიდა კონტროლს შემდეგნაირად მოიაზრებს: შიდა კონტროლი არის მმართველობის პროცესის ნაწილი. აღნიშნული გულისხმობს ბანკის ხელმძღვანელობის ისეთ ქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფს გარკვეული ღონისძიებების დაგეგმვას, ორგანიზებასა და განხორციელებას, რათა მიღებულ იქნეს სათანადო რწმუნება, რომ სრულდება ოპერაციებისა და პროგრამების დასახული მიზნები და ამოცანები; რესურსები ეკონომიურად და ეფექტიანად გამოიყენება; ინფორმაცია საიმედო და სრულია; პოლიტიკის, გეგმების, პროცედურების, კანონების, ბრძანებებისა და დებულებების მოთხოვნები დაცულია; არსებობს შიდა კონტროლის სხვადასხვა სახეები, რომლებსაც შიდა აუდიტორების პრაქტიკაში შეიძლება შეხვდეთ.

როგორც უკვე აღინიშნა, ცენტრალურ ბანკში რისკების მართვისთვის გამოიყენება შიდა კონტროლის შემდეგი **მექანიზმები:**

1. თანამშრომლებზე კონტროლი საკმარისი და შესაბამისი გამოცდილება; ადეკვატური პროფესიული მომზადება; კადრების საკმარისი რაოდენობა; ღია ურთიერთობები.

2. ოპერაციების შესრულებაზე კონტროლი უფლებამოსილებათა დელეგირება; დროის ლიმიტი; აუცილებელია ორი ხელმონერა ფულადი სახსრების გადარიცხვაზე; შემაჯამებელი მაჩვენებლების შემოწმება ციფრების უტყუარობის დასადასტურებლად.

3. კონტროლი გარიგებათა დადებაზე გარიგების დადების ოპერაციათა გამიჯვნა ანგარიშსწორების აღრიცხვის ოპერაციებისაგან; ანგარიშსწორების ინსტრუქციების შემოწმება SWIFT-ის სისტემის საშუალებით; გარიგებათა ლიმიტები; ვარიფიკაციის პროცედურების გამიჯვნა ანგარიშსწორების პროცედურისაგან; ანგარიშგება დადგენილი ლიმიტების დარღვევის განსაკუთრებულ შემთხვევებთან დაკავშირებით; დილერთა სატელეფონო საუბრების ჩაწერა.

4. ფასეულობათა კონტროლი ფასეულობათა საცავში დაშვების ორმაგი კონტროლი, როგორც წესი, ხორციელდება ორი გასაღების მეშვეობით, რომლებიც ინახება სხვადასხვა პირებთან; რეგულარული ინვენტარიზაცია და საბალანსო მონაცემებთან შედარება; ფასეულობათა დაცვის ოპერაციების გამიჯვნა მათი აღრიცხვისაგან; საცავის ვიდეოთვალთვალი.

5. კომპიუტერული სისტემების კონტროლი ინფორმაციის დამატებითი ასლების შექმნა ცენტრალურ კომპიუტერში შენახული ინფორმაციის დაკარგვის შემთხვევისათვის; ძირითადი საცავისაგან დაშორებული დამხმარე საცავის არსებობა ხანძრის გაჩენის შემთხვევისათვის; სისტემების საჭირო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა, რათა ტექნიკოსებს აპარატურის გაუმართაობის ადვილად გამოვლენის საშუალება მიეცეთ; ელექტროენერგიის შეუფერხებელი მიწოდება კრიტიკულად მნიშვნელოვანი სისტემებისათვის; პაროლის გამოყენება კომპიუტერულ სისტემაში დასაშვებად; პროგრამის შეცვლის პროცესზე მკაცრი კონტროლის დაწესება; შიფრის გამოყენება ქსელში არასანქცირებული შეღწევის რისკის შესამცირებლად; ფიზიკური კონტროლის დაწესდება კომპიუტერების საცავში შესვლაზე.

ამრიგად, კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ბანკის ხელმძღვანელობის მოვალეობაა. მიუხედავად ამისა, აუდიტორებს შეუძლიათ ამა თუ იმ ოპერაციისათვის გამიზნული კონტროლის კონკრეტული მექანიზმების რეკომენდაციის სახით შეთავაზება. მენეჯერების მიერ შემუშავებულ კონტროლის მექანიზმებზე ზეგავლენას ახდენს დირექტორთა პოზიციაც. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ქმედითი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბება სწორედ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ზემდგომი რგოლებიდან უნდა მოდიოდეს. ცენტრალური ბანკის შემთხვევაში ესაა ბანკის მმართველი ან მის სტატუსთან გათანაბრებული პირი.

6. დანაკარგების აღბათობა და არსებითობა. ზარალის თავიდან ასაცილებლად გამიზნული შიდა კონტროლის ნებისმიერი პროცედურა თავისთავად უკავშირდება გარკვეულ ხარჯებს. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ კონტროლის ძვირადღირებული ღონისძიებები მიიმართოს მაქსიმალური რისკის შემცველი ოპერაციისაკენ. ეს არ გულისხმობს მაინცდამაინც იმ ოპერაცი-

ებს, რომელთა არასწორად წარმოების დიდი ალბათობა არსებობს. ამდენად, მნიშვნელოვანია არამარტო ალბათობის სიდიდე, არამედ შესაძლო დანაკარგის მოცულობაც. მაგალითად, საკმაოდ მაღალი ალბათობა არსებობს იმისა, რომ თანამშრომელმა მოითხოვოს გაბერილი ხარჯების კომპენსაცია, თუმცა ამასთან დაკავშირებული ფულადი დანაკარგი, შესაძლოა, არც თუ დიდი ოდენობის იყოს. მეორე მხრივ, ალბათობა იმისა, რომ ბანკის მიერ გაგზავნილი ვალის დაფარვის შეტყობინებებს ვინმე ხელში ჩაიგდებს და შეცვლის, საკმაოდ დაბალია, თუმცა ბანკისათვის დანაკარგების თვალსაზრისით არსებითია. ამრიგად, გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რომელი მიმართულებით უნდა განხორციელდეს კონტროლის ძვირადღირებული ღონისძიებები, დამოკიდებულია როგორც რისკის მოხდენის ალბათობაზე, ისე შესაძლო დანაკარგის ოდენობაზეც. ქვემოთ მოყვანილ 4.2 ცხრილში ასახულია ზემოაღნიშნული ორი ცვლადის ურთიერთმიმართების მატრიცა:

ცხ. 4.2

დანაკარგის მაღალი ალბათობა	მაღალი რისკის სფერო	მაღალი რისკის სფერო	საშუალო რისკის სფერო
დანაკარგის საშუალო ალბათობა	მაღალი რისკის სფერო	საშუალო რისკის სფერო	დაბალი რისკის სფერო
დანაკარგის დაბალი ალბათობა	საშუალო რისკის სფერო	საშუალო რისკის სფერო	დაბალი რისკის სფერო

ეფექტური შიდა აუდიტის საწარმოებლად აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურმა ეფექტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები. რომელიც იწყება შიდა აუდიტის მუშაობის დაგეგმვით. როგორც წესი, გეგმა კეთდება წლის დასაწყისში და მასში დეტალურად არის გაწერილი თუ რომელმა თანამშრომელმა, რა ვადებში რომელი სტრუქტურული ერთეული უნდა შეამოწმოს. შიდა აუდიტის სამსახურის შეზღუდული რესურსების პირობებში შეუძლებელია მთლიანად ყველა ოპერაციისა და პროცესის შემოწმება. აქედან გამომდინარე აუცილებელია მაქსიმალურად სარისკო პროცესების გამოვლენა.

შიდა აუდიტის საქმიანობაში შედარებით ახალი ფუნქციაა-**დისტანციური კონტროლი.** ეს არის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მიერ საბანკო ოპერაციების ყოველდღიური კონტროლი, სარისკო და თაღლითური ოპერაციების გამოვლენის მიზნით. დისტანციური კონტროლის მოქმედი სქემის აწყობა ძალიან რთულია, თუმცა ის საშუალებას აძლევს შიდა აუდიტის სამსახურს ოპერატიულად გამოავლინოს საეჭვო გარიგებები და ოპერატიულად მოახდინოს მათზე რეაგირება. ეს თავის მხრივ ძლიერი პრევენციული საშუალებაა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია აუდიტორული შემოწმების პროგრამის სწორად შედგენა. შემოწმების პროგრამა აკეთებს შემოწმების სტრუქტურიზებას და სტანდარტიზაციას. შიდა აუდიტის სამსახურის უფროსმა იცის თუ რას და რატომ ამოწმებენ მისი აუდიტორები. ასევე ნებისმიერ დროს შეიძლება იმის დასაბუთება თუ რატომ დასჭირდა შემოწმებას ამდენი დრო ან რატომ არ შემოწმდა ესა თუ ის კონკრეტული ოპერაცია.

აუდიტორული შემოწმების **რეპორტი** არის აუდიტის საქმიანობის საბოლოო შედეგი. არასწორად ფორმირებული რეპორტი ფაქტიურად არაეფექტურს ხდის მთლიანად შიდა აუდიტის სამსახურს. რეპორტის მომხმარებელი არის როგორც ბანკის უმაღლესი მენეჯმენტი ისე შემოწმებული სტრუქტურული ერთეული. აქედან გამომდინარე, რეპორტი უნდა იყოს დაწერილი გასაგები ენით, იყოს საკმაოდ დეტალური და ამავდროულად საკმაოდ ზოგადი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ რეპორტის ორ ნაწილად – დასკვნებად და დანართებად დაყოფის შემთხვევაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია აუდიტორული შემოწმების შედეგად მიცემული რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი. იმისათვის, რომ რეკომენდაცია შესრულდეს, აუცილებელია თვითონ რეკომენდაცია იყოს გასაგები, შესრულებადი, საკმაოდ კონკრეტული, ჰყავდეს პასუ-

ხისმგებელი შემსრულებელი და ჰქონდეს შესრულების კონტრეტული ვადა. აუცილებელია მუშაობის სქემის ისე აწყობა, რომ უშუალოდ შემსრულებელს დაევალოს რეკომენდაციების შესრულება მისი ხელმძღვანელობის მიერ და ასევე ცალასახად განისაზღვროს რეკომენდაციის შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირი.


შესაბამისად, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პროცესების ეფექტურად წაძღოლა არის წინაპირობა შიდა აუდიტის სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირებისა. შიდა აუდიტის სამსახური თანამედროვე ქართულ ბანკში უნდა იყოს მუდმივად განვითარებადი და ინოვაციების დანერგვისკენ მიმართული. მხოლოდ ესეა შესაძლებელი ბანკების დაცვა მათ წინაშე მდგარი რისკებისგან.

შიდა აუდიტის სამსახურის აღნიშნული ფუქნციების და მოვალეობების შესასრულებლად აუცილებელია ცალსახად განისაზღვროს შიდა აუდიტის სამსახურის სტატუსი და დაქვემდებარება მთლიანად ბანკის სტრუქტურაში. ეს სტატუსი ცალსახად განსაზღვრულია ეროვნული ბანკის შესაბამისი ნორმატივებით, იერარქიული სტუქტურის უკეთ გასაგებად და მასში შიდა აუდიტის სამსახურის ადგილის საჩვენებლად.

შიდა აუდიტის სამსახურის იერარქიული სტრუქტურა დამოკიდებულია: 1) მიზნებზე, რომლის მიღწევაც სურს შიდა აუდიტის სამსახურს 2) სამსახურის თანამშრომლების რაოდენობაზე; 3) სამსახურის თანამშრომლების კვალიფიკაციაზე.[52]

როგორც წესი, შედარებით პატარა აუდიტის სამსახურებში მუშაობენ უნივერსალური აუდიტორები, რომლებსაც შეუძლიათ ბანკის მრავალი სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის შემოწმება. შედარებით დიდ სამსახურებში კი, როგორც წესი, მუშაობენ რომელიმე კონკრეტულ საკითხზე სპეციალიზებული აუდიტორები. მთლიანად ყველა საბანკო ოპერაციის შემოწმება და ყველა პროცესის მუდმივად კონტროლი შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში ბანკის თითოეულ თანამშრომელს უნდა ჰყავდეს ერთი აუდიტორი, რაც ეკონომიკურად არაეფექტურ და წამგებიან პროცედურად გვევლინება.

რეალურად შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების რაოდენობა შეადგენს ბანკის თანამშრომლების რაოდენობს დაახლოებით 1%-ს. ეს მაჩვენებელი რა თქმა უნდა განსხვავებულია სხვადასხვა ბანკებისთვის. შემოთავაზებულია, საშუალო ზომის შიდა აუდიტის სამსახურის ერთ-ერთი ეფექტური სტრუქტურის მაგალითი. (იხ. ნახ. 4-2).



ნახაზი. 4.2. შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა

[52] ლიპარტია ზ. „შიდა კონტროლის სისტემის მოდელირება საბანკო ბიზნესის ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების მექანიზმში". / საერთაშორისო ჟურნალი – „სოციალური ეკონომიკა"..... საუკუნის აქტუალური პრობლემები. სტუ, თბილისი, N 3– 2011. – 78-83გვ.

შესაბამისად, შიდა აუდიტის სამსახურის მუშაობის დაგეგმვა შიდა აუდიტორული საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია, რადგანაც სწორ დაგეგმვაზეა დაფუძნებული შემდგომი აუდიტორული პროცესის განხორციელება და სწორი ფუნქციონირება. საქართველოში გამოიყენება აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის ერთ-ერთი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ილებენ ბანკის ფილიალების და სხვა სტრუქტურული ერთეულების რაოდენობას და გეგმას იმის მიხედვით ადგენენ, რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის მუშაობა 1 ან მაქსიმუმ 2 წელიწადში ერთხელ მაინც შემოწმდეს. ასეთი დაგეგმარება ეფექტურია შედარებით პატარა მასშტაბების მქონე ორგანიზაციებში, რომლებიც შედგება მაქსიმუმ 20-25 ფილიალისგან. შედარებით დიდ ორგანიზაციებში იგივე მეთოდის გამოყენება არაეფექტურია, რადგან მოითხოვს ბევრად მეტი ადამიანური რესურსების გამოყენებას.

დიდი ორგანიზაციებში (დღევანდელ ქართულ რეალობაში კი არიან ბანკები, რომელთა ქსელი 50 ფილიალს აჭარბებს) გამოყენება ალტერნატიული მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია ბანკში მიმდინარე პროცესების ანალიზზე და მათი რისკების მიხედვით შეწონვაზე. პროცესების რისკის მიხედვით შეწონვისთვის, პირველ რიგში უნდა დავყოთ ბანკში მიმდინარე პროცესები სხვადასხვა ჯგუფებად.

საქართველოს კომერციული ბანკების უმეტესობაში გამოიყოფა შემდეგი პროცესები:

1) საკრედიტო საქმიანობა – ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, რომელიც ბანკის აქტივების 60%-დან 90%-მდე შეადგენს. საკედიტო საქმიანობა თავის მხრივ იყოფა: კორპორატიული კლიენტების დაკრედიტება; საშუალო საწარმოების დაკრედიტება; მცირე ბიზნესების დაკრედიტება; ფიზიკური პირების საცალო დაკრედიტება;

2) საოპერაციო საქმიანობა – ეს პროცესი საკმაოდ მრავალისმომცველია და საკრმაოდ მაღალ საოპერაციო რისკებთან არის დაკავშირებული.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესებისა, რომლებიც უშუალოდ კლიენტურის მომსახურებას ეხება, ბანკში არის მთელი რიგი სათაოს ფუნქციები და ე. წ „შიდა ოფისური" პროცესები, რომლებიც თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია და შესაბამისად მაღალი რისკის მატარებელი. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ, **ხაზინის მიერ წარმოებული** ოპერაციები, რომლებსაც არ აქვთ უშუალო შეხება ბანკის კლიენტურასთან, მაგრამ ამავდროულად **სავალუტო რისკის** მატარებელია, რაც თავის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს დღევანდელ არასტაბილურ ეკონომიკურ ვითარებაში.

აუცილებლად გასათვალისწინებელია მაღალი რისკის სფეროებში შიდა კონტროლის მექანიზმის **ადეკვატურობა**. თუმცა, ეს არ არის მარტივი. ამისათვის აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურმა გაანალიზოს თუ რა კონტროლის მექანიზმები აქვს შემუშავებული ბანკს არსებული რისკებისგან დასაცავად. დაგეგმვის ეტაპზე შიდა კონტროლის სისტემის ანალიზის ერთ-ერთი ეფექტური და ხშირად გამოყენებადი საშუალებაა კითხვარების შევსება. მსგავსი კითხვარი მოიცავს ყველა იმ სარისკო მომენტს, რომელიც შიდა აუდიტის სამსახურმა გამოავლინა შემომწმებების დაგეგმვის წინა ეტაპებზე. ამასთან შესამოწმებელი ობიექტი ვალდებულია უპასუხოს კითხვარში დასმულ შეკითხვებს. მისი პასუხებიდან გამომდინარე შიდა აუდიტის სამსახური უკვე საბოლოოდ განსაზღვრავს შესასწავლ სფეროში რისკის მოცულობას.

პროცესების რისკების მიხედვით შეწონვის და რისკის დაზღვევის ფაქტორების გათვალისწინების შემდეგ შიდა აუდიტის სამსახურმა უნდა განსაზღვროს თუ რა მოცულობის სამუშაოს ჩატარებაა შესაძლებელი მის ხელთ არსებული დროითი თუ ადამიანური რესურსების გათვალისწინებით და ამის შემდეგ შეამოწმოს ბანკისათვის ყველაზე მაღალი რისკის მატარებელი პროცესები.

დისტანციური მონიტორინგი პირველ რიგში აკვირდება მასიურ პროდუქტებს, სადაც, როგორც წესი, კლიენტურის დიდი რაოდენობის გამო დაბალია კონტროლის შესაძლებლობა. ასეთ მაღალი რისკის ოპერაციებს განეკუთვნება:

1. ოპერაციები პლასტიკური ბარათებით; 2. ოპერაციები სალაროში; 3. სამომხმარებლო სესხები; 4. იპოთეკური სესხები; 5. განვადებები; 6. ოვერდრაფტები მიმდინარე ანგარიშებზე; 7 ლომბარდული სესხები; 8. ოპერაციები ბანკის თანამშრომლების ანგარიშებზე; 9. ოპერაციები კლიენტთა მიმდინარე ანგარიშებზე. შიდა აუდიტის სამსახური, მის მიერ შექმნილი პროგრამული ფილტრების საშუალებით ახდენს საეჭვო ოპერაციების იდენტიფიცირებას და შემდგომ რეაგირებას.

თაღლითური ოპერაციების დამახასიათებელი ნიშნები და მათი პოვნის გზები საკმაოდ განსახვავებულია ერთმანეთისგან. როგორც წესი ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც ანალოგიურ ოპერაციათა დიდი მასივიდან გამოირჩევიან რაიმე პარამეტრებით. დიდია ალბათობა, რომ სწორედ ეს ოპერაცია წარმოადგენს თაღლითურ ოპერაციას. როგორც წესი, ამ რისკებს უნდა აკონტროლებდნენ თვითონ დეპარტამენტები, თუმცა ქართულ რეალობაში ხშირ შემთხვევაში ეს კონტროლის მექანიზმი არ არსებობს. რის გამოც შიდა აუდიტის სამსახურს უწევს ამ ფუნქციის შეთავსება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დისტანციური კონტროლის საშუალებით საეჭვო ოპერაციების გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია იყოს რამდენიმე სახის რეაგირება:

1. ფილიალიდან ოპერაციის დამადასტურებელი საბუთების დედნების მოთხოვნა;

2. ადგილზე გასვლა და მოულოდნელი შემოწმება.

ამრიგად, შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ შესრულებული საქმიანობის შედეგად უნდა შეფასდეს ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა, აგრეთვე, ფინანსური დირექტორის მუშაობის ხარისხი. კერძოდ: დამოუკიდებლობის, პროფესიული უზრუნველყოფის, სამუშაოს მასშტაბის, აუდიტორული სამუშაოს შესრულებისა და შიდა აუდიტორული სამსახურის მართვის საკითხები. კერძოდ: გამოავლინოს სარისკო მომენტები და მისცეს ისინი გამოსასწორებლად რეკომენდაციაში. გამოავლინოს მაღალი რისკის სეგმენტები და უნდა აკონტრლოს შესაძლო თაღლითობები. უნდა გაანალიზდეს თუ რამდენად ეფექტურია რეკომენდაცია და როგორ უნდა გაკონტროლდეს მისი შესრულება, ფინანსური კონტროლის გარემოსა და მისი შესაძლო გაუმჯობესების შესახებ. ასევე, უნდა იძლეოდეს კონტროლის სისტემის თითოეული ასპექტის ჭეშმარიტი მნიშვნელობის მშვიდად განხილვის საშუალებას მთლიანი ბანკის კონტექსტში.

თავი 21.

საბანკო ბიზნესის ფინანსური რისკების მართვის მექანიზმის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში

21.1. საბანკო-საკრედიტო ფინანსური რისკების მართვის სისტემა

რისკი (**risque** ფრანგ. – მოსალოდნელი საფრთხე, საშიშროება) ცხოვრებისეული მოვლენაა, რომლის ცალსახა გაგება არ არსებობს. რისკის მოვლენებისადმი დამახასიათებელი ასპექტებიდან შეიძლება გამოვყოთ: 1) ხდომილებათა შესაძლო პრაქტიკული რეალიზაციების შემთხვევითი ხასიათი (განუსაზღვრელობის არსებობა); 2) ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა არსებობა; 3) ცნობილია ან შეიძლება განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგების ალბათობები; 4) დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობა (ფინანსური რისკ-მენეჯმენტი, საკითხები იხ. მონოგრაფიის მესამე ნაწილის თავი 17-ში).

რისკის სიტუაცია განუსაზღვრელობის ნაირსახეობაა, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს არასრულ ან არაზუსტ წარმოდგენას სხვადასხვა პარამეტრის მნიშვნელობების შესახებ მომავალში. რისკის სიტუაციაში, განუსაზღვრელობისაგან განსხვავებით არსებობს ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არაკონტროლირებადი ფაქტორების ალბათური მახასიათებლების შესახებ.

როგორც უკვე აღინიშნა, ფინანსურ მენეჯმენტში **რისკს** განიხილავენ, როგორც ეკონომიკურ კატეგორიას სამი შემდეგი შესაძლო **ეკონომიკური შედეგით**: უარყოფითი (ზარალი, წაგება), ნულოვანი და დადებითი (მოგება, სარგებელი). ეკონომიკურ რისკს რეალურად არსებული განუსაზღვრელობა განაპირობებს. ამაში ვლინდება მისი ობიექტური მხარე. რაც შეეხება სუბიექტურ მხარეს, იგი დაკავშირებულია ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა შესაძლო შედეგების ალბათობათა გაანგარიშებასთან და აგრეთვე იმ გარემოებასთან, რომ საქმიანობის პროცესში ადამიანთა ურთიერთობას გამოკვეთილად სუბიექტური ხასიათი აქვს.

მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება თითქმის ყოველთვის რისკის პირობებში ხდება. ნებისმიერი ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია არა რისკის თავიდან **აცილება** (**რაც პრაქტიკულად შეუძლებელია**), არამედ მისი განჭვრეტა და მინიმალურ დონემდე დაყვანა.

რისკების კლასიფიკაცია საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს, მათი კლასიფიკაცია გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე უნდა მოხდეს. შედეგების მიხედვით განასხვავებენ ა) სუფთა და ბ) სპეკულაციურ რისკებს. კერძოდ:

სუფთა რისკის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მას პრაქტიკულად ყოველთვის თან ახლავს დანაკარგები. მისი მიზეზი შეიძლება იყოს სტიქიური უბედურება, ფირმის ხელმძღვანელთა არაქმედობა და ა. შ. სუფთა რისკებისათვის დამახასიათებელია გამოვლინების გარკვეული სტაბილურობა დროში, რის გამოც მათ ზოგჯერ სტატისტიკურ რისკებსაც უწოდებენ. ასეთი რისკების ანალიზისა და შეფასების პროცესში ფართოდ გამოიყენება ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდები.

სპეკულაციურ რისკებს შეიძლება თან ახლდეს როგორც დანაკარგები, ისე დამატებითი მოგებაც. სპეკულაციური რისკების გამოვლინებას განუსაზღვრელი ხასიათი აქვს, მათი ანალიტიკური შეფასებები იცვლება დროში, რის გამოც მათ დინამიურ რისკებსაც უწოდებენ. აღნიშნულის მიზეზი შეიძლება იყოს ვალუტის კურსისა და ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებები, ინვესტიციების პირობათა შეცვლა და სხვა.

ცნობილია, საბანკო საქმიანობის სფეროს რისკის სახეები, როგორიცაა: – საწარმოო რისკი; კომერციული რისკი; ფინანსური რისკები. ხოლო, **რისკები წარმოქმნის ძირითადი მიზეზის** მიხედვით ისინი იყოფა შემდეგ **კატეგორიებად,** როგორიცაა: ბუნებრივი; ეკოლოგიური; პოლიტიკური; სატრანსპორტო, ქონებრივი, სავაჭრო რისკები და სხვა.


როგორც უკვე აღინიშნა, **რისკის მართვა,** მოიცავს რისკების კლასიფიკაციას, იდენტიფიკაციას, ანალიზსა და შეფასებას, მისგან დაცვის გზების ძიებას, რაც ნიშნავს რისკის კომპრომისული ზომის გამომუშავებას, მთლიანობაში **რისკების მართვის ეფექტიანი სისტემის ფორმირებაა.**

რისკის მართვის პროცესის საწყის ეტაპს **ანალიზი** წაროადგენს **(იხ. ნახ. 4.3.)**, რომლის **მიზანია** აუცილებელი ინფორმაციის მოძიება ობიექტის თვისებების, სტრუქტურისა და არსებული რისკების შესახებ. **რისკის ანალიზი** ორ ურთიერთშემავსებელ მომენტს: თვისებრივსა და რაოდენობრივს გულისხმობს. **შესაბამისად,** რისკის მართვა დინამიკური პროცესია უკუკავშირით: მიღებული გადაწყვეტილებები პერიოდულად უნდა გაანალიზდეს და გადაიხედოს. არჩეული სტრატეგიის კონტროლი და კორექტირება უნდა მოხდეს მენეჯერებისაგან მიღებული ახალი ინფორმაციის საფუძველზე. ზემოთ ჩამოთვლილი ეტაპების შინაარსი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სამეწარმეო საქმიანობის სპეციფიკასა და შესაძლო რისკების ხასიათზე.

როგორც უკვე აღინიშნა, რისკის მართვის თეორიასა და პრაქტიკაში შემუშავებულია რიგი **ფუძემდებლური პრინციპები,** რომელთაგანაც ძირითადია:

1. არ შეიძლება იმაზე მეტის გარისკვა, ვიდრე ამის შესაძლებლობას საკუთარი კაპიტალი იძლევა; 2. აუცილებელია ვიფიქროთ რისკის შესაძლო შედეგებზე; 3. არ შეიძლება დიდი რისკის გაწევა მცირე შედეგის მისაღებად და სხვ.

პირველი პრინციპის რეალიზაცია ნიშნავს, რომ, სანამ ინვესტორი განახორციელებს კაპიტალდაბანდებას, მან უნდა განსაზღვროს მაქსიმალური მნიშვნელობა იმ დანაკარგებისა, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მოცემულ რისკს, და შეადაროს იგი კაპიტალდაბანდების მოცულობას. გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ დანაკარგების მაქსიმალური მნიშვნელობისა და საკუთარი ფინანსური რესურსების ოპტიმალური თანაფარდობა 3,3-ს შეადგენს, ხოლო თუ აღნიშნულო ფარდობა 0, 7-ის ტოლია, ასეთი რისკი ინვესტორს გაკოტრებამდე მიიყვანს.



ნახ. 4.3. რისკის მართვის პროცესის სქემა.

მეორე პრინციპის რეალიზაცია გულისხმობს, რომ, იცის რა ინვესტორმა შესაძლო დანაკარგებისა და მათი ალბათობების მნიშვნელობები, მან უნდა მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილებათაგანი: განახორციელოს ინვესტიცია და თავის თავზე აიღოს რისკი, უარი თქვას რისკზე თუ სხვა პიროვნებებზე გადაანაწილოს იგი.

მესამე პრინციპის რეალიზაცია ნიშნავს, რომ სანამ ინვესტორი განახორციელებს რისკის შემცველ ქმედობებს, აუცილებელია მან ერთმანეთს შეადაროს მოსალოდნელი უკუგება და შესაძლო დანაკარგები რომელთაც ადგილი ექნება რისკის ხდომილების დადგომის შემთხვევაში. თუ შესაძლო დანაკარგები მნიშვნელოვნად აღემატება მოსალოდნელ უკუგებას, მან არ უნდა გასწიოს რისკი.

რისკის ხარისხის შემცირების ყველაზე გავრცელებულ და ეფექტიან ხერხს რისკის სხვა ინდივიდებზე გადატანა (გადანაწილება) წარმოადგენს. **რისკის გადატანის სამი ძირითადი მეთოდი არსებობს** – დივერსიფიკაცია, დაზღვევა და ჰეჯირება, რომლებიც ვრცლად არის განხილული წინამდებარე მონოგრაფიის **მე-19 თავში** – „ფინანსური ინჟინერინგის პროცესების მართვა".

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტრადიციულად გამოყოფენ რისკის ორ განმარტებას. **პირველი** ეყრდნობა რისკის მიზეზებს და მათ გაურკვევლობას. **მეორე** განმარტება ეყრდნობა თვითონ რისკზე ზემოქმედებას. აქედან რისკი არის ნეგატიური გადახრები დასახული მიზნიდან. შესაბამისად, ეკონომიკური ლოგიკით, რისკი კომპენსაციას საჭიროებს. ამიტომ სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „რისკს" განმარტავენ თანაფარდობით: რისკი – შემოსავალი ან რისკი – მოგება. ასევე, ძირითადად **გამოარჩევენ: სოციალურ, ეკონომიკურ, პროფესიულ, სამედიცინო, ბიოლოგიურ და სხვა სახის რისკებს.**

სოციალური რისკები ძირითადად დაკავშირებულია შრომის უნარის დაკარგვასთან, ხოლო **ეკონომიკური რისკები** ძირითადად ბიზნესის წარუმატებლობით მთავრდება. კერძოდ, ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეებს საქმიანობის პროცესში რისკების სხვადასხვა სახეობებთან უწევთ ურთიერთობა, რომლებიც ერთმანეთისაგან წარმოქმნის დონის, წარმოშობის სფეროს, შიდა და გარე ფაქტორების ხასიათის, პროგნოზირებისა და მინიმიზაციის შესაძლებლობების, სამეურნეო საქმიანობის შედეგებზე ზემოქმედების ხარისხის და სხვა მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

შესაბამისად, რისკი ზეგავლენას ახდენს ფინანსურ მართვაზეც, რეზერვების წარმოქმნასა და მათ დეფიციტზე, რის გათვალისწინება აუცილებელია, რათა მომზადებული შევხვდეთ რეზერვების დეფიციტს რისკით ხიფათის დადგომის შემთხვევაში. უნდა გავითვალისწინოთ რეზერვების შექმნა სამეწარმეო საქმიანობის შეუფრხებლად ჩატარებისათვის, ასევე საჭიროა ყურადღების მიქცევა ქონებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევაზე. გასათვალისწინებლია ის, რომ განუსაზღვრელი სიტუაციისას **რისკ-მენჯმენტში** მართვის ობიექტი ადამიანი ან ადამიანთა სპეციალური ჯგუფია, რომელიც მართვის ობიექტის მიზანმიმართულ ფუნქციონირებაზე ზემოქმედებას ახორციელებს. ამ შემთხვევაშიც რისკ-მენეჯმენტი იყენებს სარისკო გადაწყვეტილების მიღების ევრისტიკული წესების საკუთარ სისტემასაც. ეს მაშინაც შეიძლება ეფექტიანი აღმოჩნდეს თუ კი დადგინდება, რომ გამოსავალი არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში გვირჩევენ კიდევაც, რომ უნდა ვიმოქმედოთ ინტუიციურად კონკრეტული სიტუაციის მიხედვით. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ საბაზრო ეკონომიკაში ნებისმიერი სუბიექტის (მონაწილის) ამოცანაა არა რისკისაგან თავის არიდება, არამედ რისკის შეფასება, რაც მძიმე მდგომარეობაში არ უნდა აყენებდეს მას, განუსაზღვრელობა და რისკზე წასვლა მისი ღრმა ანალიზის შედეგია.

საბანკო ბიზნესის, როგორც მაღალი რისკების დარგის, მართვის გამოვლენა

როგორც უკვე აღინიშნა, საბანკო სისტემა **საბაზრო ინფრასტრუქტურის ყველაზე** აუცილებელ და საბაზრო ეკონომიკის ერთ – ერთ ურთულეს სფეროს წარმოადგენს, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ეკონომიკის ნებისმიერ დარგზე. ბანკი არის ავტონომიური, დამოუკიდებელი, კომერციული დაწესებულება, **რაც მისი არსის მთავარ არგუმენტს წარმოადგენს.** ბანკის პროდუქტს, უპირველეს ყოვლისა, საგადასახადო სახსრების ფორმირება, აგრეთვე კრედიტების, გარანტიების, გრანტების, თავდებების, კონსულტაციების, ქონების მართვის სახით მრავალფეროვანი მომსახურების გაწევა, ბანკის საკომისიო მწარმოებლურ ხასიათს ატარებს.

ბანკი საკრედიტო ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელსაც ერთობლიობაში ძირითადი საბანკო ოპერაციების განხორციელების განსკუთრებული უფლებები გააჩნია, კერძოდ:

1) ფიზიკური და იურიდიული პირების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბრებისა და დეპოზიტების სახით;

2) მსესხებელსა და გამსესხებელს შორის შუამავლობა, მოზიდული სახსრების სახელითა და საკუთარი ხარჯებით განთავსება, დაბრუნებადობის, ფასიანობისა და ვადიანობის პირობების დაცვა;


3) კონტრაჰენტებს შორის ანგარიშსწორებაში, ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის საბანკო ანგარიშების გახსნასა და მომსახურებაში შუამავლობა;

4) მიმოქცევის საკრედიტო საშუალებების შექმნა.

შესაბამისად, საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა ნებისმიერი ქვეყნის საბანკო სისტემისათვის კვლავაც აქტუალური რჩება. საკრედიტო გარიგების ეფექტიანობა, რომლის შესახებ დაბანდების რენტაბელობის მაჩვენებლების, ბანკის საკრედიტო პორტფელში პრობლემური კრედიტების დონისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ხშირად როგორც გარე გარემოს ფაქტორებისაგან, ისე საკრედიტო რისკის მართვის მეთოდების ერთობლიობაზეა დამოკიდებული. გამომდინარე იქიდან, რომ გარე ფაქტორებიდან თავის არიდება პრაქტიკულად შეუძლებელია, ბანკების პირველი რიგის ამოცანა უნდა გახდეს მართვის მეთოდების სისტემის დამუშავება, რომელიც, შიდა შესაძლებლობების გათვალისწინებით, პოტენციური საკრედიტო რისკის ადეკვატური იქნება.

საკრედიტო რისკის ძირითად სახეობას დეფლოტი წარმოადგენს, რაც კონტრაქტორების მიერ თავისი ვალდებულებების ვადაში ან მთლიანი მოცულობით შესრულების შეუძლებლობაში ან უნდობლობაში გამოიხატება. კომერციული ბანკის საკრედიტო რგოლების ორგანიზაციული სტრუქტურა საერთო სახით მოიცავს: საკრედიტო კომიტეტს; კომერციული და სამომხმარებლო სესხებისგანყოფილებას; მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანლიზის განყოფილებას; საკრედიტო პორტფელის ხარისხის კონტროლის განყოფილება.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე, **საბანკო საკრედიტო რისკის მართვის პრობლემა,** როგორც მართვის ობიექტზე ირიბი და პირდაპირი ზემოქმედების ღონისძიებების სისტემის სახით განიხილება (იხ. ნახ. 4.4.). **საბანკო-საფინანსო სფეროების თვალსაჩინო მოღვაწე, პროფესორი, ქალბატონი ლია ელიავა** საბანკო საკრედიტო რისკის მართვის სისტემის სრულყოფის პრიორიტეტებს აყალიბებს, საქართველოში თანამედროვე ფინანსური გამონვევების სისტემური ანალიზის საფუძველზე.[53]



ნახ. 4.4. საბანკო საკრედიტო რისკის მართვის სისტემის სქემა.

[53] იხ. ლია ელიავა, საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამონვევები, თბილისი, 2015, 388გვ.

კრედიტების ანალიზსა და მათ დაჯგუფებას ხარისხის მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს. **კრედიტის ხარისხი** უნდა გავიგოთ როგორც მოცემული სესხისათვის დამახასიათებელი საკრედიტო რისკის დონე. საკრედიტო რისკის მაჩვენებლებისაგან განსხვავებით, კრედიტის ან ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხი ის რეალური მაჩვენებელია, რომელსაც უკვე გაცემული კრედიტის მიხედვით განსაზღვრავენ.

სხვადასხვა საკრედიტო დანაყოფებსა და მათ თანამშრომლებს შორის მიზნებისა და ამოცანების ოპტიმალური განაწილება შეუძლებელია საბანკო საკრედიტო რისკის ეფექტიანი მართვის სტრუქტურის ჩამოყალიბების გარეშე. საბანკო საქმიანობის არსიდან გამომდინარე, როგორც მოსალოდნელი ისე მოულოდნელი რისკი არის პოტენციური მოვლენა, რომელმაც შეიძლება ნეგატიური გავლენა იქონიოს ბანკის მოგებასა და კაპიტალზე. იმისათვის, რომ განხორციელდეს რისკის მართვის პროცესი, ბანკმა, უპირველეს ყოვლისა, ზუსტად უნდა განსაზღვროს რისკები, აღიაროს და გაერკვეს მისთვის დამახასიათებელ ყველა რისკში, რომელმაც შეიძლება თავი იჩინოს მის მიერ რაიმე ახალი საქმის განხორციელებისას, მათ შორის ნებისმიერი რისკი, რომელიც მასთან დაკავშირებულ თუ სხვა მონათესავე საწარმოებს ახასიათებთ.

ბანკები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მუშაობისას, თავისთავზე **არამარტო შიდა** რისკების ნაირსახეობის, **არამედ გარეშე რისკების ზემოქმედებასაც** განიცდიან, რაც ყველგან ერთნაირი არ არის.

კომერციული ბანკების საქმიანობაში **სხვადასხვა რისკების** დიდი რაოდენობა არსებობს, მათ შორის:

1) ემიტენტის ლიკვიდურობის რისკი – დარწმუნებულობა ან დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბანკის აქტივები შეიძლება საბაზრო ან მასთან დაკავშირებულ ფასებში იქნეს გაყიდული;
2) სისტემური რისკი რისკი, რომელიც ბანკის მუშაობაში ცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში;
3) საპროცენტო რისკი – ფინანსური აქტივების შემოსავლებისა და ფასების ცვალებადობა, რომელიც პროცენტული განკვეთების დონის ცვლილების შედეგად არის გამოწვეული, ანუ რისკი იმისა, რომ მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებამ შეიძლება მუშა აქტივებზე შემოსავალს გადააჭარბოს;
4) საბაზრო რისკი – წარმოიშობა მაშინ, როდესაც შიდა რესურსების (საკუთარი კაპიტალის) ღირებულება გარეშე ბაზარზე კაპიტალის ღირებულებაზე უფრო მაღალია;
5) ეკონომიკური რისკი – გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკები, რომელთაც კონკურენტუნარიანი ბანკის პოზიცია საპროცენტო განკვეთის ან იდენტური გარე საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად განიცდის;
6) პორტფელური რისკი – აქტივების პორტფელის კონცენტრაციის რისკები საქმიანობის ერთ მიმართულებაში;
7) გადახდისუნარიანობის რისკი – წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკს საანგარიშსწორებო სახსრები არ გააჩნია და მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრები გამოიყენება;
8) სტრატეგიის რისკი – წარმოიშობა ბანკის მიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადეკვატურად განსაზღვრისა და ბაზრის იმ სექტორის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელზედაც მუშაობა სურს;
9) საბაზრო კონიუქტურის რისკი – საბანკო მომსახურეობების ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებზე არათავისდროული რეაქციის რისკი;
10) მიმდინარე ოპერაციების ეფექტიანობის რისკი – მიმდინარე ოპერაციების არაეფექტიანობის რისკი, რაც კორექტული ინფორმაციის და ბანკის საქმიანობის მოგებიანობის ოპერატიულად განსაზღვრის აუცილებლობას საჭიროებს.

საკრედიტო რისკის მინიმიზებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს მისი შეფასების მეთოდების გარკვევას ყოველი ცალკეული სესხის (მსესხებლის) მიხედვით და მთლიანად ბანკის (საკრედიტო პორტფელის) დონეზე. მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებას უწოდებენ მისი ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესწავლასა და შეფასებას.

საკრედიტო რისკის შეფასებას სამუშაოს ბანკში **სამ ეტაპად** ატარებენ. პირველ ეტაპზე ახდენენ მსესხებლის საქმიანობის ხარისხობრივ მაჩვენებელთა შეფასებას, მეორეზე – რაოდენობრივ მაჩვენებელთა, ხოლო ბოლო ეტაპზე – კრებსითის შეფასებას, პროგნოზის მიღებას და საბოლოო ანალიტიკური დასკვნის ჩამოყალიბებას.

როგორც ცნობილია, მსესხებლის საკრედიტო რისკის შეფასებისთვის საჭირო **ინფორმაციის ძირითადი წყაროებია:** ფინანსური ანგარიშგება, მსესხებლის მიერ მოწოდებული ცნობები, მოცემულ კლიენტებთან სხვა პირების მუშაობის გამოცდილება, ადგილობრივი ინსპექციის მონაცემები, სესხის მიღების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მქონე დასაკრედიტებელი გარიგების სქემა. **ხარისხობრივი ანალიზის რეალიზაციის ეტაპებია:** მსესხებლის რეპუტაციის შესწავლა; კრედიტის მიზნის განსაზღვრა; ძირითადი ვალისა და მისი პროცენტების დაფარვის წყაროების განსაზღვრა; მსესხებლის იმ რისკების შეფასება, რომელთაც ბანკი ირიბად იღებს თავის თავზე. მსესხებლის რეპუტაციას მეტად გულდასმით სწავლობენ. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია კლიენტის **საკრედიტო ისტორიის, ე. ი. სასეხო დავლიანებაზე კლიენტის მუშაობის გამოცდილების შესწავლა.** ყურადღებით სწავლობენ იმ ცნობებსაც, რომლებიც ინდივიდუალური მსესხებლის საქმიან და პიროვნულ თვისებებს ახასიათებენ. ამ დროს ადგენენ, არსებობს თუ არა სესხების გადაუხდელობისა და ჯეროვნად გამფორმებული თამასუქების პროტესტის ფაქტორები.

მსესხებლის კრედიტუნარიანობის განსაზღვრა სესხის გაცემის შესაძლებლობის განსაზღვრაში ბანკის საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. მსესხებლის კრედიტუნარიანობის ანალიზი გულისხმობს მის შეფასებას ბანკის მიერ სესხის მიცემის შესაძლებლობისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, საკრედიტო ხელშეკრულების დადების, საკრედიტო ხელშეკრულებისა და ამ სესხის დაბრუნების ალბათობის განსაზღვრას. ამ მიზნით იყენებენ: ფინანსურ კოეფიციენტებს, ფულადი ნაკადის ანლიზს, საქმიანი რისკის შეფასებას.

მაგალითად, აშშ-ში პოტენციური **მსესხებლის კრედიტუნარიანობის შეფასებისა** და საკრედიტო რისკის მინიმიზაციის მიზნით იყენებენ მიდგომას, რომელსაც **„5 C"** უწოდეს. მას საფუძვლად უდევს რისკის შეფასების **შემდეგი კრიტერიუმები:** კლიენტის რეპუტაცია – Customer character; გადახდისუნარიანობა – Capacity to pay; კაპიტალი – Capital; სესხის უზრუნველყოფა – Collateral; ეკონომიკური კონიუქტურა და მისი პერსპექტივები – Current businccs conditions and goodwill.

არსებობს კლიენტების **კრედიტუნარიანობის ანალიზისადმი სხვა მიდგომებიც.** ამ ანალიზს საფუძველად უდევს ისეთი ინფორმაციის შეგროვება, რომელიც ყველაზე უფრო სრულად ახასიათებს კლიენტს.

ფინანსური რისკის მინიმიზაციის მიმართულებები მართვის მექანიზმში

ცნობილია, რომ თანამედროვე ეტაპზე, **საბანკო რისკის მენეჯმენტის სტრუქტურა** შედგება შემდეგი ერთეულებისაგან:

სამეთვალყურეო საბჭო – პასუხისმგებელია რისკების იდენტიფიცირებასა და კონტროლზე. სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია რისკის მართვაზე. რისკის სტრატეგიების პრინციპების შემუშავებაზე.

აუდიტის კომიტეტი – ასევე მთლიანადაა პასუხისმგებელი რისკის სტრატეგიისა და განსახორციელებელი პრინციპების, პოლიტიკისა და შეზღუდვების შემუშავებაზე. იგი პასუხისმგებლია რისკის ფუნდამენტურ პრობლემებზე და მონიტორინგს უწევს რისკის მართვასთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს.

ბანკის ხაზინა – პასუხისმგებლია ბანკის აქტივებსა და ვალდებულებებზე და მთლიანად ფინანსურ სტრუქტურაზე. თანაც პასუხისმგებლია ბანკის დაფინანსებისა და ლიკვიდობის რისკებზე.

შიდა აუდიტი – ბანკში რისკის მართვის პროცესის აუდიტი ხდება ყოველწლიურად შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს, როგორც პროცედურათა ადეკვატურობას, ისე მოცემულ პროცედურებთან ბანკის შესაბამისობას. შიდა აუდიტი განიხილავს ყველა სახის შეფასებას მენეჯმენტთან და აუდიტის კომიტეტს გადასცემს მოძიებულ მტკიცებულებებსა და რეკომენდაციებს.

საბანკო რისკების შეფასება ხდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომლებიც ასახავს სავარაუდო ზარალს ბიზნესის ჩვეულებრივი კურსით მსველელობისას და მოულოდნელ ზარალსაც,

რომლის განსაზღვრაც ხდება სტატისტიკური მოდელებით. ბანკი ახორციელებს ყველა ტიპის რისკის მონიტორინგსა და შეფასებას.

როგორც ცნობილია, საქართველოს საბანკო სისტემა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მთავარი მამოძრავებელი ძალაა. იგი ბევრად უფრო განვითარებულია სხვა სფეროებთან შედარებით, რაც გამოიხატება როგორც მის სტაბილურობასა და მდგრადობაში, ისე ბანკების მიერ შემოთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრში და უცხოური კომპანიების მიერ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობაში.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა ძალიან მძიმე შედეგი გამოიღო, რადგანაც საბანკო სისტემა მოიცვა ვადაგადაცილებულმა **იპოთეკურმა სესხებმა.** კრიზისმა გამოიწვია საბანკო სისტემის ლიკვიდურობის გაუარესება, ასევე უძრავი ქონების ბაზარზე ფასების ვარდნა, რის გამოც ბანკები ვერ ახერხებდნენ სესხის უზრუნველყოფად გირაოში ჩადებული უძრავი ქონების დროულ რეალიზაციას იმ ფასად, რომელიც საკმარისი იქნებოდა კრედიტის მთლიანად დასაფარად, ანუ ბანკებს „ბალასტის" სახით აღმოაჩნდათ თავიანთ ბალანსზე დაგროვილი უძრავი ქონება. მან კი გამოიწვია საბანკო სფეროს და **უძრავი ქონების ბაზრის კრიზისი,** რომელიც ძალიან მალე ჯერ მთლიანად საფინანსო კრიზისში, ხოლო მოგვიანებით მსოფლიო ფინანსურ კრიზისში გადაიზარდა, ისეთ კრიზისში, რომელიც მსოფლიოს **1933 წლის „დიდი დეპრესიის" შემდეგ არ ახსოვს.**

მსგავსი შეცდომები იქნა დაშვებული **საქართველოს საბანკო სისტემაში,** განსაკუთრებით კი 2008 წლის პირველ ნახევარში, როცა ძალიან ლიბერალური მიდგომა იყო გამოყენებული ქართული ბანკებიდან კრედიტის გამოსტანად. როგორც აშშ-ს ბანკებს, საქართველოს საბანკო სისტემაში მოქმედ ბანკებსაც ჰქონდათ საზღვარგარეთიდან უწყვეტი საკრედიტო ხაზებით მიღებული იაფი რესურსები, რის გამოც საბანკო სისტემა გაჯერებული იყო ჭარბი ლიკვიდობით.

საფინანსო კრიზისის **შესარბილებლად** საკრედიტო რისკის მართვის კუთხით გააქტიურდა ბანკების საქმიანობა. პირველ რიგში ეს გამოიხატა **ლიმიტების დანესებაში:** ბანკებმა უარი თქვეს დაკრედიტების ძველ ტემპებზე და სამომხმარებლო ბაზრის ბევრი პროდუქტი, როგორიცაა: განვადება და საკრედიტო ბარათები საერთოდ ამოიღეს ხმარებიდან. განსაკუთრებული კონტროლი დაწესდა ხელფასის საფუძველზე გაცემულ სამომხმარებლო სესხებზე, რომლებიც დღესდღეობით, უმეტესად, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიცემა თუ ფიზიკურ პირს ბანკებში ერიცხება ხელფასი, რადგანაც ვადაგადაცილების შემთხვევაში მოხდეს კლიენტის ხელფასის დაყადაღება.

სერიოზული პრობლემები გააჩნია საქართველოს კომერციულ ბანკებს **საოპერაციო რისკის მართვაში. საოპერაციო რისკების მართვა უშუალო კავშირშია კადრების შერჩევასთან.** აქ დაშვებული ნაკლოვანებები მძიმე ფინანსურ შედეგს იძლევა. ასევე განსახილველია ლიკვიდობის რისკის შეფასება და კონტროლი, რომელიც საბანკო რისკების მართვის დეპარტამენტის ერთ – ერთი მთავარი ფუნქციაა. ამ რისკთან უშუალო კავშირშია ბანკის საქმიანობა, ვინაიდან იგი ვერ უზრუნველყოფს აღებული ვალდებულებების შესრულებას, რამაც შეიძლება სავალუტო კრიზისი გამოიწვიოს. აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად ბანკებმა უნდა შეიმუშავონ ღონისძიებათა პაკეტი მოსახლეობის **ნდობის** აღსადგენად, რათა არ იყვნენ დამოკიდებულნი უცხოური საბანკო ინსტიტუტების საკრედიტო ხაზებზე. ამის განხორციელება კი მათ მიზნობრივი სარეკლამო პოლიტიკათა და ახალი ინოვაციური პროდუქტების დანერგვით უნდა მოახერხონ. ქვეყნის ბანკები უკვე ჩართულნი არიან პროცესში, რაც რამდენიმე ბანკში მეანაბრეებზე ფულადი თანხის მოგების გათამაშებით გამოიხატება, („საქართველოს ბანკი", „თიბისი ბანკი" და სხვა.). ზოგიერთი მათგანი კი მეანაბრეებზე ბინებსაც ათამაშებს.

ლიკვიდობის რისკის მართვის პრობლემებს ქმნის საქართველოში, როგორც უკვე აღინიშნა, **ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების დაბალი დონე და ბანკის რისკის ინსტრუმენტებით ვაჭრობის ბაზრის ფაქტიურად არარსებობა.** ქართული ბანკები ნაკლებად იყენებენ უცხოურ პრაქტიკაში აპრობირებულ **რისკების მართვის ინსტრუმენტებს,** როგორიცაა: ჰეჯირება, სესხებით ვაჭრობა, დერივატივებით ბაზარზე მუშაობა და სხვა. ამის მიზეზი კი აღნიშნული ინსტრუმენტების ბაზრის განუვითარებლობაში მდგომარეობს, ან თუ არსებობს – ძალიან სუსტია და მასზე განხორციელებული ოპერაციები ვერ ახდენენ რეალურ გავლენას საბანკო რისკების მართვის შედეგებზე.

ქვეყანაში აუცილებელია საბანკო ზედამხედველობის გააქტიურების და ბანკების საქმიანობის ადრეული **დიაგნოსტიკის სისტემის** შექმნა, რომელიც გულისხმობს საბანკო ზედამხედველობის ყველა ასპექტის სრულყოფას, კერძოდ, ამჟამად საქართველოს ბანკებისათვის პრო-


ბელმურია ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის საკითხი. კერძოდ, თანდათანობით ინერგება ანგარიშსწორების საერთაშორისო სტანდარტები საქართველოს ბანკებში ერთიან კომპიუტერულ სისტემაში მათი ჩართვის საფუძველზე. ქვეყნის ეროვნული ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა საბანკო სისტემისადმი ნდობის უზრუნველყოფასთან ერთად, მოსახლეობის დანაზოგების დაცვა.

კომერციული ბანკების რისკების მართვის მექანიზმი ბაზელის კომიტეტის მოთხოვნათა გათვალისწინებით გულისხმობს: საბანკო რისკების გამოვლენასა და მათ დროულ იდენტიფიცირებას, კონტროლის დანესებასა და მართვას; საკრედიტო დაბანდებების დასაშვები მოცულობის და საკრედიტო კონცენტრაციების განსაზღვრას; საკრედიტო **ლიმიტების ფორმირებას კონცენტრირებული** საკრედიტო პორტფელის რეგულირებით.

რისკის მართვის პროცესი **რეგულირდება** მენჯმენტის სხვადასხვა დონეზე. ვერტიკალური პროცესი გულისხმობს კოორდინირებას ბანკის გლობალურ მიზნებსა და ბიზნეს – გადაწყვეტილებებს შორის. რისკის მართვის ჰორიზონტალური პროცესი კი გულისხმობს რისკისა და შემოსავლების შედეგების შედარებას დასახულ მომგებიანობასთან. **რისკის მართვის ჰორიზონტალური პროცესები სამ ნაწილად იყოფა:** 1. შემოსავლების დირექტივების განსაზღვრა; 2. შემოსავლების გადანყვეტილებების მიღება; 3. შემოსავლის მონიტორინგი.

საბანკო სფეროში რისკის მართვა უწყვეტი პროცესია. აღნიშნული ორგანიზაციული სტრუქტურა თანდათან შეიცვალა რისკის მართვის ახალი მეთოდების დანერგვით. რისკის მართვის **ახალმა ტექნოლოგიებმა,** რომლებიც მართვის პროცესში ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართვას გულისხმობს, მოახდინა რისკ – მენჯმენტის პროფილის ცენტრალიზება და მოვალეობათა გადანანილება რისკის ამღებ ბიზნეს – სტრუქტურებს შორის. ბიზნეს – სტრუქტურებისგან რისკის კონტროლის ფუნქციის გამოყოფამ გამოიწვია რისკების მართვის სპეციალური სამსახურის ჩამოყალიბება, რომელმაც დააწესა მკაცრი მეთვალეყურეობა სკრედიტო, საბაზრო, საპროცენტო რისკების მართვაზე.

ბანკის რისკის პოლიტიკის ფარგლებში შეგვიძლია გამოვყოთ რისკის დაძლევის შემდეგი ღონისძიებები: რისკის თავიდან აცილების; რისკის შემცირება, მისი რეგულირების; კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმება და მიმდინარე კონტროლის უზრუნველყოფის; რისკის დაზღვევა და გირაოს გამოყენების; რისკის განაწილების; რისკის გაბნევის და სხვ. რისკის შეზღუდვა ცენტრალური ბანკის მიერ დანესებული ნორმატივებით, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს კომერციული ბანკის აქტივების რისკის კოეფიციენტებს.



ნახ.4.5. საკრედიტო რისკის დაძლევის სქემა.

ცენტრალური ბანკის მითითებით კომერციულ ბანკში შესაძლოა შეიქმნას სესხებზე მოსალოდნელი დანკარგების დასაფარავი **რეზერვი**. მას მხოლოდ მაშინ იყენებენ, თუ საჭირო გახდა კლიენტების მიერ გადაუხდელი სასესხო დავალიანების დაფარვა ძირითადი ვალის ნაწილში. რისკის დაძლევის ღონისძიებათა შემუშავებისას უნდა ითვალისწინებეს იმას, რომ რისკი ორ ფაზას გაივლის: ფარულს და ღიას. ყოველ მადგანს თავისი ღონისძიებები ესაჭიროება. შემოთავაზებულია **რისკის დაძლევის პროცესის სქემა** (იხ. ნახ. 4.5).

ამრიგად, საიმედო და სტაბილური საქმიანობა პირდაპირაა დამოკიდებული **რისკების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე,** რომლის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს, დეტალურად და თანმიმდევრულად აკონტროლოს საბანკო რისკების შემცირების ღონისძიებები.

საბანკო საკრედიტო რისკის დაზღვევა (ჰეჯირება)

ცივილიზებული სადაზღვევო ურთიერთობების ფორმირების ერთ – ერთი უმთავრესი პირობაა სადაზღვევო მომსახურების სფეროს **სახელმწიფოებრივი რეგულირების** ჩამოყალიბება. ამ უკანსკნელის ძირითადი მიზანია, ერთის მხრივ – ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე მოქმედი სადაზღვევო ორგანიზაციების ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ – სადაზღვევო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გატარება. საბანკო საკრედიტო რისკის დაზღვევა სამეწარმეო რისკების დაზღვევის ნაირსახეობას წარმოადგენს თავის მხრივ, ეს უკანასკნელი ქონებრივი დაზღვევის ქვედარგს წარმოადგენს, რომელიც კომპლექსში პირად დაზღვევასთან და პასუხისმგებლობის დაზღვევასთან ერთად, მთელ მსოფლიოში განხორციელებადი სადაზღვევო ბიზნესის მომსახურების სფეროს აყალიბებს.

თანამედროვე პირობებში უცხოეთში საბანკო რისკების **დაზღვევას** ათობით სახელმწიფო და კერძო სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ. მათ შორის ყველაზე ცნობილია: **„ჰერმესი“** (გერმანია), **„ლლოიდი“** (დიდი ბრიტანეთი), **„ნსმ“** (ჰოლანდია), **„პარისი“** (საფრანგეთი), **„სიგნა“** (აშშ), **მსოფლიო ბანკის შესაბამისი სტრუქტურა.**

თანამედროვე ეკონომიკაში **საბანკო რისკების დაზღვევა** შემდეგი **ძირითადი მიმართულებით** არის წარმოდგენილი: 1. საფინანსო საკრედიტო რისკის დაზღვევა; 2. რისკების დაზღვევა, რომლებიც დაკრედიტებასთან ირიბად არის დაკავშირებული; 3. რისკების დაზღვევა, რომლებიც ქონების დაკრგვასთან არის დაკავშირებული; 4. რისკების დაზღვევა, რომლებიც ბანკის პერსონალთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, მსოფლიო ფინანსური ბაზრების ინტერნაციონალიზაცია, მათ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, რომელსაც რიგი სახელმწიფოების ეკონომიკაში მასშტაბური კრიზისებიც ახლავს თან, საკრედიტო რისკისაგან დაცვის ახალი, არატრადიციული, მექანიზმებისა და ხერხების მოძიებას უწყობენ ხელს. საბანკო რისკების დაზღვევა ბანკის კლიენტებისათვის დამატებითი მომსახურების საქმიანობას წარმოადგენს შესაბამისად, საქართველოში ანაბრებისა და დეპოზიტების დაზღვევის ფონდის, ცალკე ან ეროვნული ბანკის შემადგენლობაში ჩამოყალიბება, ქვეყანაში საკუთარი, დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზაციის, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, სავლდებულო რეზერვების ნორმტივის მკვეთრად შემცირებისა და სხვა მრავალი დადებითი შედეგების საწინდარი გახდება.

21.2. საპროცენტო რისკის მართვის (ჰეჯირების) მეთოდები

როგორც განვითარებული ქვეყნის პრაქტიკა მოწმობს, ფინანსური მენეჯერი ახდენს სახსრების მოზიდვას, მათ უნდა გააკეთონ არჩევანი ფიქსირებული საპროცენტო (ობლიგაციების ემისიის გზით), ან მცოცავი (ცვლადი) საპროცენტო განაკვეთით სესხის აღებას შორის (შესაძლოა, საბანკო სესხების მეშვეობით), და ასეთ დროს არსებობს გარკვეული რისკი მცოცავ განაკვეთებიანი და ფიქსირებულ განაკვეთებიანი სესხების დაბალანსებაზე ან მათ შერევაზე განაწყვეტილების მიღებაში.

ძალიან დიდი მოცულობის ფიქსირებულ-განაკვეთიანი სესხის შემთხვევაში, **იქმნება საფრთხე,** რომ მომავალში გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთები შეიძლება შემცირდეს, ხოლო

ძალიან დიდი მოცულობის „მცოცავგანაკვეთიანი" სესხის შემთხვევაში, იქმნება მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთების გაზრდის საფრთხე. დამატებით, კომპანიების წინაშეა რისკი, რომ იმ მომენტიდან, როდესაც კომპანია დაადგენს სესხის აღების ან ინვესტირების საჭიროებას, იმ მომენტამდე, როდესაც დაიდება შესაბამისი გარიგება, შეიძლება შეიცვალოს საპროცენტო განაკვეთები. **შესაბამისად, ფინანსური მენეჯერები** შეიმუშავებენ რისკების მართვისა და შემცირებისსაშუალებებს. ქვემოთ ინტერპრეტირებულია **საპროცენტო რისკის მართვის სისტემა** (იხ. ნახ. 4.6.).

როგორც ცნობილია, ზოგიერთი კომპანია სესხის ასაღებად ახორციელებს ობლიგაციების ემისიას. თუ კომპანია აკეთებს სამომავლო პროგნოზს ობლიგაციების ემისიის გზით სესხის აღების საჭიროებაზე, ობლიგაციების ემისიის რეალურად განხორციელებამდე მას ექმნება **საპროცენტო რისკის საფრთხე.**

ზოგიერთ ინვესტიციას საპროცენტო შემოსავლები მოაქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთებით (მაგ.: ფულადი სახსრები ბანკის სადეპოზიტო ანგარიშზე), ხოლო ზოგიერთი მოკლევადიანი ინვესტიციის ღირებულება იზრდება ან კლებულობს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებასთან ერთად. ზოგიერთ კომპანიას ინვესტიციები ისეთ ობლიგაციებში აქვს განხორციელებული, რომლებიც იყიდება საფონდო ბირჟებზე, მაგ., სამთავრობო და კორპორაციული ობლიგაციები. მათი ღირებულებები იცვლება გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებთან ერთად.

განვიხილოთ:

ა) განსხვავება საპროცენტო განაკვეთებში/საპროცენტო საფრთხის არსი

საპროცენტო რისკი მიეკუთვნება საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვლილებების და, ამგვარად, კომპანიის წმინდა ფულადი ნაკადის შემცირების რისკს.

ბ) შემოსავლიანობის მრუდის ანალიზი საპროცენტო განაკვეთებისა და დაფარვამდე ვადების შესაბამისობის სტრუქტურა მიუთითებს სასეხო ფასიანი ქაღალდის ან ობლიგაციის შემოსავლიანობის (უკუგების) ცვლილებას, ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე ვადის ცვლილების შესაბამისად, შემოსავლიანობის მრუდი წარმოადგენს სესხების შემოსავლიანობის მათ დაფარვამდე ვადებთან ურთიერთდამოკიდებულების ანალიზს (იხ. ნახ. 4.7) შემოსავლების მრუდის სქემა.

არსებობს შემოსავლიანობის მრუდის სამი სხვადასხვა ფორმა, კერძოდ::


1) შემოსავლიანობის ნორმალური მრუდი – ობლიგაციებს დაფარვამდე უფრო გრძელი პერიოდით აქვთ უფრო მაღალი შემოსავლიანობა, ვიდრე მოკლევადიან ობლიგაციებს, ვადების ზრდასთან დაკავშირებული რისკის გამო;

2) შემოსავლიანობის ამობრუნებული მრუდი – მოკლევადიანი შემოსავლიანობა უფრო მაღალია, ვიდრე გრძელვადიანი შემოსავლიანობა, რაც მოსალოდნელი რეცესიის (ეკონომიკის ვარდნის) ნიშანს წარმოადგენს;

3) შემოსავლიანობის ბრტყელი (ან ამოზნექილი) მრუდი – გრძელვადიანი და მოკლევადიანი შემოსავლიანობა მიახლოებით ერთნაირია, რაც აგრეთვე წარმოადგენს ეკონომიკის გარდამავალი ფაზის მაჩვენებელს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე შემოსავლიანობის მრუდის **დახრილობაც.**


შემოსავლიანობის მრუდის ფორმა დროის ნებისმიერ წერტილში წარმოადგენს შემდეგი სამი ერთობლივად მოქმედი თეორიის **შედეგს (იხ. ნახ. 4.8), როგორიცაა:**

1) ლიკვიდობის უპირატესობის თეორია. ინვესტორები, ჩვეულებრივ, უპირატესობას ანიჭებენ უფრო ლიკვიდურ (დაფარვამდე დარჩენილი მოკლე ვადის მქონე) ინვესტიციებს. ფულად რესურსებზე უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უარის თქმის სანაცვლოდ საჭიროა მათი კომპენსაცია.



ნახ. 4-6 საპროცენტო რისკის მართვის სისტემა.


საპროცენტო განაკვეთები სესხებზე საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



ნახ. 4.7. საპროცენტო განაკვეთების არახელსაყრელი ცვლილებები.

2) მოლოდინის თეორია. შემოსავლიანობის ნორმალური ზრდადი მრუდი გამოხატავს მოლოდინს, რომ ინფლაციის დონე და, ამიტომ, საპროცენტო განაკვეთებიც, მომავალში გაიზრდება.

3) ბაზრის სეგმენტაციის თეორია. ბაზრის სეგმენტირების თეორია გულისხმობს, რომ ბაზრის მოკლევადიან და გრძელვადიან სეგმენტებზე განსხვავებული მოთამაშეები მოქმედებენ.



ნახ. 4.8. შემოსავლიანობის მრუდის სქემა

თუ ბაზრის გრძელვადიან სეგმენტზე მოწოდება იმის გამო გაიზრდება, რომ მთავრობას დასჭირდა მეტი ფულადი რესურსების სესხად აღება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ფასის დაცემა და შემოსავლიანობის ზრდა და შედეგად შეიძლება მოჰყვეს ზრდადი შემოსავლიანობის მრუდი.

შემოსავლიანობის მრუდის მნიშვნელობა

ფინანსებზე პასუხისმგებელმა ხელმძღვანელმა პერსონალმა სესხის აღებაზე ან ფულადი რესურსების დეპოზიტზე განთავსების გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიკვლიოს შემოსავლიანობის მრუდის მიმდინარე ფორმა, ვინაიდან ეს ფორმა გამოსახავს საპროცენტო განაკვეთების სამომავლო ცვლილებებზე ბაზრის მოლოდინს.

მაგალითად, ნორმალური ზრდადი შემოსავლიანობის მრუდი გულისხმობს, რომ მომავალში საპროცენტო განაკვეთები გაიზრდება. ამიტომ ხელმძღვანელმა პერსონალმა უნდა: ა) ისურვოს, რომ თავიდან აიცილოს გრძელვადიანი სესხი ცვლადი განაკვეთით, ვინაიდან შესაძლებელია საპროცენტო ხარჯების შედარებითი ზრდა სესხის პერიოდში; ბ) შეარჩიოს მოკლევადიანი სესხი ცვლადი განაკვეთით ან, სანაცვლოდ, გრძელვადიანი სესხი ფიქსირებული განაკვეთით.

განვიხილოთ საპროცენტო რისკების ჰეჯირების საკითხები ხელშეკრულებები ფორვარდულ განაკვეთებზე (FRAS)

ფორვარდულ განაკვეთებზე ხელშეკრულებების მიზანს წარმოადგენს:

შეუნარჩუნოს კომპანიას მიზნობრივი საპროცენტო განკვეთი და მოახდინოს საპროცენტო განაკვეთების როგორც არახელსაყრელი, ასევე ხელსაყრელი ცვლილებების ჰეჯირება. შესაბამისად კომპანია იღებს ჩვეულებრივ სესხს, მაგრამ ბანკთან დამოუკიდებლად დებს ხელშეკრულებას ფორვარდულ განაკვეთებზე: ა) სესხზე პროცენტის გადახდა ხდება ჩვეულებრივად; ბ) თუ საპროცენტო განაკვეთი უფრო მაღალია, ვიდრე სახელშეკრულებო **ფორვარდული განაკვეთი**, ბანკი კომპანიას უხდის განსხვავებას; გ) თუ საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალია, ვიდრე სახელშეკრულებო ფორვარდული განაკვეთი, კომპანია ბანკს უხდის განსხვავებას.

გარანტიები საპროცენტო განაკვეთებზე (IRGS)

გარანტია საპროცენტო განაკვეთზე წარმოადგენს ოფციონს ხელშეკრულებაზე ფორვარდულ განაკვეთებზე. იგი კომპანიას უფლებას აძლევს, დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დადგენილ ფასად იყიდოს ხელშეკრულება ფორვარდულ განაკვეთებზე.

გადაწყვეტილების მიღების წესები:

ა) არახელსაყრელი ცვლილების შემთხვევაში → **დაცვის მიზნით განახორციელე ოფციონი**

ბ) ხელსაყრელი ცვლილების შემთხვევაში → **გააუქმე ოფციონი**

გარანტია საპროცენტო განაკვეთზე უფრო ძვირია, ვიდრე ხელშეკრულება ფორვარდულ განაკვეთებზე, ვინაიდან საჭიროა იმ მოქნილობისთვის გადახდა, რომელიც ხელსაყრელი ცვლილების შემთხვევაში უპირატესობის მიღების საშუალებას იძლევა.

თუ ხაზინადარს სჯერა, რომ **საპროცენტო განაკვეთები** გაიზრდება:

იგი ფორვარდულ განაკვეთებზე ხელშეკრულებას გამოიყენებს, რადგან ეს უფრო იაფი საშუალებაა საპროცენტო განაკვეთების პოტენციური არახელსაყრელი ცვლილების **ჰეჯირებისათვის.**

თუ ხაზინადარმა დარწმუნებით **არ იცის**, როგორ შეიცვლება საპროცენტო განაკვეთები: მან შეიძლება მოინდომოს უფრო ძვირად ღირებული საპროცენტო განაკვეთზე გარანტიის გამოყენება, რათა, საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში, ჰქონდეს სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

ფიუჩერსები საპროცენტო განაკვეთებზე

ფიუჩერსების საპროცენტო განაკვეთებზე გამოყენებას **შედეგად** მოჰყვება:

ა) კომპანიისთვის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაფიქსირება;

ბ) საპროცენტო განაკვეთების ჰეჯირება (როგორც ხელსაყრელი, ასევე არახელსაყრელი ცვლილებების შემთხვევაში);

ფიუჩერსები შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სესხებზე, ასევე ინვესტიციების საპროცენტო განაკვეთების დასაფიქსირებლად.

როგორ მუშაობს ფიუჩერსი. ფორვარდულ განაკვეთებზე ხელშეკრულების მსგავსად,

სესხის მიღება ჩვეულებრივი გზით ხდება. შემდეგ, განცალკევებული ოპერაციის სახით, ხდება მოსახერხებელი ფიუჩერსული კონტრაქტის დადება.

ფიუჩერსული კონტრაქტი არის პირობა. მაგალითად: თუ თქვენ გაყიდით ფიუჩერსულ კონტრაქტს, გექნებათ კონტრაქტი ფულადი სახსრების სესხად აღებაზე – ის, რასაც თქვენ ყიდით, არის პირობა პროცენტის გადახდაზე. თუმცა, **ფიუჩერსული კონტრაქტით სესხის მიღება** მხოლოდ წარმოსახვითია. ჩვენ ვხურავთ პოზიციას საპირისპირო გარიგების დადებით, რეალური სესხების დაწყებამდე. ე. ი. კონტრაქტის ამოწურვამდე. ეს ნიშნავს პოზიციების დახურვის მიზნით ფიუჩერსების შესყიდვას; თუ თქვენ მანამდე გაყიდული გქონდათ ფიუჩერსები, კონტრაქტები ერთმანეთს **გააბათილებს**. ე. ი. ჩვენ ერთი და იმავე მოცულობის ფულად სახსრებზე გვექნება როგორც სესხის აღების, ასევე დეპოზიტზე განთავსების კონტრაქტები.

ერთადერთი წარმოქმნილი ფულადი ნაკადი იქნება მიღებული ან გადახდილი წმინდა პროცენტი. ე. ი. მოგება ან ზარალი ფიუჩერსულ კონტრაქტზე.

ფიუჩერსების ფასები იცვლება (იხ. ნახ. 4.9.) საპროცენტო განაკვეთების საპირისპიროდ, შემდეგი მიზეზების გამო:

საპროცენტო განაკვეთები იზრდება		**საპროცენტო განაკვეთები ეცემა**	
სესხი ძვირდება	ზარალი ზედმეტი საპროცენტო დანახარჯების გამო	სესხი იაფდება	მოგებული ფულადი სახსრები საპროცენტო დანახარჯების ეკონომიიდან.
ფიუჩერსების ფასები ეცემა	პოზიციის გახსნის მიზნით ყიდი კონტრაქტს ერთი ფასით და შემდეგ ყიდულობ უფრო დაბალი ფასით, პოზიციის დახურვის მიზნით – მიიღებ მოგებას	ფიუჩერსების ფასები იზრდება	პოზიციის გახსნის მიზნით ყიდი კონტრაქტს ერთი ფასით და შემდეგ ყიდულობ უფრო მაღალი ფასით, პოზიციის დახურვის მიზნით – მიიღებ ზარალს
წმინდა პოზიცია	**საპროცენტო დანახარჯი ეფექტურადაა დაფიქსირებული**	წმინდა პოზიცია	**საპროცენტო დანახარჯი ეფექტურადაა დაფიქსირებული**

ნახ.4.9.ფიუჩერსული ფასების ცვლილების სქემა.

საბაზისო რისკი

ფიუჩერსების გამოყენებით მიღებულმა მოგებამ ან ზარალმა, შესაძლოა, სრულად ვერ შეძლოს საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ფულადი ეფექტის სრული კომპენსირება. ე. ი. შეიძლება ჰეჯირება იყოს არასრულყოფილი. ამას **საბაზისო რისკი** ენოდება.

პირველი მიზეზი საბაზისო რისკის წარმოქმნისა არის ის, რომ **ფიუჩერსული კონტრაქტის ფასი** შეიძლება განსხვავდებოდეს მოცემული თარიღისთვის არსებული **სპოტ-ფასისაგან**

და ეს განსხვავება წარმოადგენს ბაზისს. იგი გამოწვეულია ბაზარზე მოქმედი ძალებით. გამონაკლისს წარმოადგენს ფიუჩერსის ბოლო თარიღი, როდესაც ბაზისი ნულის ტოლია.

მეორე მიზეზი, რის გამოც შეიძლება **პეჯირება** არასრულყოფილი იყოს ის არის, რომ პროდუქტი, რისი პეჯირებაც ხდება (იქნება ეს ვალუტა თუ პროცენტი) უნდა დამრგვალდეს კონტრაქტების მთელ რიცხვამდე, რაც იწვევს ცდომილებას.

ოფციონები. მსესხებლებმა შეიძლება დამატებით შეიძინონ ოფციონებიფიუჩერსულ კონტრაქტებზე. ეს მათ საშუალებას მისცემს ფიუჩერსული კონტრაქტი დადონ მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, ხოლო საბაზრო განაკვეთების მათ სასარგებლოდ ცვლილების შემთხვევაში უარი თქვან მათზე.

სვოპები. სვოპი საპროცენტო განაკვეთზე წარმოადგენს შეთანხმებას, რომლის ძალითაც მხარეები თანხმდებიან ცვლადი საპროცენტო გადახდების ნაკადის გაცვლაზე ფიქსირებული საპროცენტო გადახდების ნაკადზე და პირიქით. ასეთ დროს ძირითადი თანხის გაცვლა არ ხდება.

რისკების მართვის სხვა პრაქტიკული საშუალებები. ფულადი ნაკადის დაბალანსება საპროცენტო რისკის თავიდან აცილების ეფექტური, მაგრამ არაპრაქტიკული საშუალებაა. **ფულადი ნაკადის დაბალანსების პრინციპია** საპროცენტო რისკის თავიდან აცილება, ყველანაირი წმინდა ფულადი ნაკადის თავიდან აცილებით. **პორტფელის ფულადი ნაკადი** დაბალანსებულია, თუ: ფულადი რესურსების ყოველი სამომავლო შემოსავალი დაბალანსებულია იმავე თარიღის მაკომპენსირებელი ფულადი რესურსების გასავლით და შემოსავლით. ასეთ შემთხვევაში, მომავლის ყოველი თარიღისათვის წმინდა ფულადი ნაკადი ნულის ტოლია და არ არსებობს საპროცენტო რისკის არანაირი საფრთხე. ვინაიდან ეს აშკარად მიუწვდომელია, იგი კომპანიების საერთო მიზანია, რომლის მიღწევასაც ისინი ცდილობენ.

აქტივებისა და ვალდებულებების მართვა

პრობლემები ჩნდება მაშინ, როდესაც საპროცენტო განაკვეთები ვალდებულებებზე დაფიქსირებულია ისეთ პერიოდებში, რომლებიც განსხვავდება მათი მაკომპენსირებელი აქტივების შესაბამისი პერიოდებისაგან დავუშვათ, კომპანია იღებს 6%-ს აქტივზე, რომლის საფუძველია ვალდებულება, რომელზეც კომპანია იხდის 4%-ს. აქტივის ვადა ორ წლიწადში იწურება, მაშინ, როდესაც ვალდებულების ვადა 10 წელია. ორი წლის შემდეგ ფირმამ უნდა მოახდინოს აქტივებიდან მიღებული შემოსავლების **რეინვესტირება**. საპროცენტო განაკვეთების დაწევის შემთხვევაში, ფირმას მოუწევს რეინვესტირება 3%-ად. დარჩენილი რვა წლის განმავლობაში იგი მიიღებდა 3%-ს ახალ აქტივებზე და გააგრძელებდა 4%-ის გადახდას საწყის ვალდებულებებზე ამგვარი პრობლემების თავიდან აცილების მიზნით, კომპანიები ცდილობენ თავიანთი აქტივებისა და ვალდებულებების ვადების შესაბამისობაში მოყვანას.

ნაწილი მეოთხე. „საბანკო ბიზნესის მენეჯმენტის სრულყოფის ფინანსური მექანიზმი საქართველოში“. რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: საბანკო ბიზნესი, ინოვაციებისა და ცვლილებების მენეჯმენტი, „ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის მექანიზმი, საბანკო საქმიანობის ფინანსური უსაფრთხოება, მმართველობითი აუდიტი, რისკის მართვის ფუძემდებლური პრინციპები, საპროცენტო რისკის მართვა, საპროცენტო რისკის საფრთხე, საბანკო საკრედიტო რისკის დაზღვევა (ჰეჯირება), ფინანსური რისკის მინიმიზაციის მიმართულებები.

დასკვნა. საბანკო ბიზნესი მიმდინარეობს მუდმივად ცვალებად ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციაში. შესაბამისად, კომერციული ბანკის ძირითადი ყურადღება გამახვილებული უნდა იყოს: ორგანიზაციულ-ეკონომიკურ ღონისძიებებზე, ბანკის საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის კომპლექსურ შეფასებაზე, ინფორმაციულ-ანალიტიკური უზრუნველყოფისა და საბანკო ფინანსური ტექნოლოგიების სრულყოფაზე.

კომერციული ბანკის მდგრადობას არსებულ საბაზრო გარემოში განსაზღვრავს **რამდენიმე ფაქტორი,** კერძოდ: 1) კომერციული ბანკის კაპიტალური სიმყარე; 2) ბანკის კომერციული სისიდე; 3) კომერციული ბანკის სიმყარე; 4) ბანკის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სიმყარე; 5) კომერციული ბანკის ფინანსური სიმყარე.

ფინანსური ბანკის უმთავრესი **მიზანია** იმის განსაზღვრა თუ რომელი მეთოდები შეიძლება გამოყენებულ იქნას ბანკის ფინანსური ანგარიშების ანალიზის დროს. მენეჯერებს საშუალება უნდა ჰქონდეთ გამოავლინონ ბანკის მნიშვნელოვანი შიდა პრობლემები და გამონახონ მათი გადაწყვეტის ხერხები.

ბანკის მოგებიანობის ანალიზის ფინანსური **კოეფიციენტებია**: 1) მოგება საკუთარ კაპიტალზე (ROE); 2) მოგება აქტივების კაპიტალზე (ROA); 3) წმინდა საპროცენტო მარჟა; 4) წმინდა არასაპროცენტო მარჟა; 5) ბანკის ოპერაციული მოგების წმინდა მარჟა; 6) წმინდა მოგება სპეციალური ოპერაციების ჩატარებამდე; 7) წმინდა მოგება გაანგარიშებული ერთ აქციაზე.

მენეჯმენტის სისტემის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომერციული ბანკების საქმიანობის **რეიტინგულ შეფასებას.** ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში, ფულად საკრედიტო პოლიტიკის და ფედერალური სარეზერვო სისტემის მარეგულირებელი ფუნქციის განხორციელების ჩარჩოებში ფართოდ გამოიყენება კომერციული ბანკების **ფინანსური მდგომარეობის რეიტინგული შეფასების სისტემა CAMEL -ი, რომელიც შედგება: C (capital adequacy) – კაპიტალის ადეკვატურობა, A (asset quality) – ბანკის აქტივების ხარისხი; M (management) – მენეჯმენტი; E (earnings) – შემოსავლები ანუ რენტაბელობა; L (liquidity) – ლიკვიდურობა. შესაბამისად, CAMEL -ის მეთოდის** მიხედვით კაპიტალის ანალიზის შემთხვევაში საკვანძო საკითხია აკმაყოფილებს თუ არა ბანკის კაპიტალის საკმარისობის მოთხოვნას. კაპიტალის ანალიზის კონცეფცია გამოიყენებს **ბაზელის საერთაშორისო სტანდარტებს,** კაპიტალის შეფასებისას **CAMEL -ის სისტემის** მიხედვით გამოიყენება შემდეგი მითითება: **რეიტინგი 1 (მყარი); რეიტინგი 2 (დამაკმაყოფილებელი); რეიტინგი 3 (საშუალო); რეიტინგი 4 (ზღვრული); რეიტინგი 5 (არადამაკმაყოფილებელი).**

ბიზნეს-პროცესების გაუმჯობესების კონცეფცია ეს არის მეთოდოლოგია, რომელიც დამუშავებულია ადმინისტრაციული და დამხმარე პროცესების გაუმჯობესების ჩასატარებლად. ეს მეთოდოლოგია დაფუძნებულია **ოთხ მიდგომაზე, კერძოდ:** 1) სწრაფი ანალიზის გადაწყვეტილების მეთოდიკა (FAST); 2) პროცესის ბენჩმარკინგი; 3) პროცესის გადაპროექტირება; 4.) პროცესის რეინჟინირინგი.

შიდა აუდიტორული სამსახურის მიერ შესრულებული საქმიანობის შედეგად უნდა შეფასდეს ბანკის შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობა და ეფექტიანობა, აგრეთვე, ფინანსური დირექტორის მუშაობის ხარისხი.

საიმედო და სტაბილური საქმიანობა პირდაპირაა დამოკიდებული **რისკების მართვის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე,** რომლის დანიშნულებაა კოორდინაცია გაუწიოს, დეტალურად და თანმიმდევრულად აკონტროლოს საბანკო რისკების შემცირების ღონისძიებები.

ნაწილი მეხუთე.

მოკლე ეკონომიკურ-ფინანსური ენციკლოპედიური ლექსიკონი

წინამდებარე „მოკლე ეკონომიკურ-ფინანსური ენციკლოპედიური ლექსიკონი" მომზადებულია ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფიის სფეროში ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტების მიერ გამოცემული, განმარტებითი თუ ტექნოლოგიური ლექსიკონების შესაბამისად.[54] კერძოდ:

1) პროფესორი **ლამარა ქოქიაური** – შემდგენელი და რედაქტორი. „ფინანსები. ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი". ტომი I: წიგნი 1. – 1122 გვ.; წიგნი 2. – 972 გვ. თბილისი. სტუ. 2014.
2) ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი.საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპოდენტის **ავთანდილ სილაგაძის** საერთო რედაქციით. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია", ბილისი, 2005.-822 გვ.
3) თანამედროვე ფინანსური ლექსიკონი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამა. თბილისი. 2002.-240 გვ.
4) მ.ზუბიაშვილი, ა. მარუაშვილი, ა. მღვედლაძე. „მენეჯმენტი ლექსიკონი-ცნობარი". სახელმძღვანელო.სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი. 2010. -132გვ.
5) მოსიაშვილი ვ. ჭელიძე მ. – „ფინანსები". თბილისი. გამომცემლობა „დანი". 2016.
6) Dictionary of Economics. Oxford University Press. 1997.
7) A Dictionary of Finance. From international to personal finance. Oxford University Press. Market House Books, 1993.
8) Экономическая энциклопедия. Научное. / Гл. Редактор **Абалкин Л.И.** Издательство „Экономиа"; Ин-т экон. РАН; М. 1999. -1055 с.

აბანდონი (Abandon. АБАДОН) – 1. უფლებაზე ან საკუთრებაზე ნებაყოფლობითი უარი. 2. დამზღვევისათვის დაზღვეულ ქონე-ბაზე მზღვეველის სასარგებლოდ უფლების ჩამორთმევა, სადაზღვევო ანაზღაურების მიღების მიზნით დადებულისა დაზღვევო ხელშეკრულებით დათქმული სადაზღვევო თანხის ფარგლებში. აბანდონი ფართოდ გამოიყენება საზღვაო დაზღვევაში: გემის ან სხვა სატრანსპორტო საშუალებების უგზო-უკვლოდ დაკარგვა; დაზღვეული ქონების სრული დაღუპვა; დაზღვეული ქონების დაზიანების თავიდან აცილების ან დაზღვეული ტვირთის დანიშნულების ადგილზე მიტანის ეკონომიკური მიზანშეუწონლობა; სატრანსპორტო საშუალებების, ან მათზე არსებული ტვირთის გადაცემა (თუ ისინი ასეთ საშიშროებისგან დაზღვეულნი არიან).

აბაზი (Abaz. Абаз) – სპარსეთის შაჰის – აბასის სახელიდან წარმოიშვა და ძველად ეწოდებოდა კავკასიაში გავრცელებულ ძველ ალმოსავლურ წვრილ მონეტას.

აბესაძე რამაზ ბორისის ძე (დაბ. 1952 წ) ეკონ.მეცნ.დოქტორი (2000). პროფესორი (2002). დაამთავრა თსუ საინფორმო ეკონომიკის ფაკ-ტი (1974). იგი საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნ. მუშაკი (1974-1991); ლაბორატორიის (1991-1997) და განყ. გამგე (1997-2000); 2002 წლიდან – დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. თსუ-ს ეკონომიკის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი.

ძირითადი შრომები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების ეფექტიანობა საქართველოში". (1987 წ) „ენერგოეკო-ლოგიური ბაზრის ფორმირებისა და მისი მაკროეკონომიკური რეგულირების თეორიული პრობლემები". (1999 წ.)„ეკონომიკური განვითარების ენერგოეკოლოგიური ფაქტორი და ენერგეტიკული ბაზრის ფორმირების მაკროეკონომიკური მექანიზმი". (2004) „ეკონომიკური განვითარების თეორია, (2016.) „ეკონომიკური განვითარება", (2015.) "ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი", (2014). „მოსახლეობის ცხოვ-რების დონე. სიღარიბე და უმუშევრობა საქართველოში" (2013) და სხვ.

„აბლაბუდას თეორემა" (Cobweb theorem. Теорема Аблабуда) – ალ. მარშალის ბაზრების თეორიის ძირითადი პოსტულატი, წონასწორობის ზოგადი ტენდენციის დასადგენად.

აბონენტი (Abonent. Абонент) – ხელის მოწერა, პირი ან დაწესებულება, რომელიც საავანსო გადასახადის შემდეგ ღებულობს უფლებას, განსაზღვრულ სააბონენტო ვადაში ისარგებლოს საინფორმაციო-გამოთვლითი ქსელით, აუდიტორულ და იურიდიულ ფირმებში საკონსულტაციო მომსახურებით, ბიბლიოთეკით, ტელეფონით და ა.შ.

აბრალავა ანზორ გრიგოლის ძე – (დაბ. 1958 წ). ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი (2005 წ). პროფესორი. საქ. ეკონ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა სპის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1980 წ). იყო თბილისის საავიაციო-საწარმოო გაერთიანების ინჟინერი, განყოფილების გამგე; მთავარი ინჟინრის მოადგილე (1980-1991); გენერალური დირექტორის მოადგილე (1999 წ); თბილისის ისნის რაიონის საკრე-ბულოს გამგეობის თავმჯდომარე (19991 წ); საერო ინსტიტუტ „გაენათის" დოცენტი (1992-2000) საქართველოს პარლამენტის წევრი, ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე (1999-2004). 2006 წლიდან დღემდე პოლიტიკური მოძრაობის „სოლიდარობა" (უფლებამონაცვლე პოლიტიკური მოძრაობის „XXI საუკუნე") თავმჯდომარე. მონაწილეობდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში – პოლონეთში, ლიტვაში, საფრანგეთში, საქართ-ველოში (სტატიები გამოქვეყნებულია შესაბამის შრომების კრებულებში).

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 7 წიგნი და 50-მდე სამეცნიერო სტატია ქართულ და უცხოურ გამოცემებში: „საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები" (თანაავტ. -1995); „გზა მაღალტექნოლოგიური ეკონომიკისაკენ". (2001); „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია" (2005) „ეკო-

ნომიკის პრინციპები" (თანაავტ-2009) და სხვ.

აბსენტეიზმი (Absenteeism. Абсентеизм) – 1. სამსახურიდან დათხოვნა სამუშაოს არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო. 2. წარმოების ფინანსური მართვის გამოცალკევება მისი ტექნოლოგიური ასპექტებისაგან.

აბსოლუტური უპირატესობა (Absolute Advantage. Абсолютное преимущество) – 1. უპირატესობა, რომელიც აქვს მწარმოებელს სხვებთან შედარებით მაღალი შრომის მწარმოებლურობის საფუძველზე. ერთეული პროდუქციის წარმოებაზე ნაკლები რესურსების გამოყენების შედეგად. 2. უპირატესობა რომელიც აქვსერთ ქვეყანას სხვებთან შედარებით.თუ მას, გამომდინარე თავისი ბუნებრივი (Naturaladventage) ან შეძენილი (Acquired Adventage) უპირატესობიდან (ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, მოწინავე ტექნოლოგია, კვალიფიციური სამუშაო ძალა და ა.შ.), შეუძლია უფრო ეფექტიანად ანარმოოს (ერთეულ დანახარჯზე მეტი პროდუქცია მიიღოს) ესა თუ ის საქონელი.

აბსოლუტური უპირატესობის თეორია (Theory of Absolute Adventage. Теория абсолютного преимущества) – თეორია, რომლიც მიხედვითაც A კოეფიციენტი განსაკუთრებით საინტერესოა მომწოდებლებისთვის. მის საკმარის დონედ მიღებულია მნიშვნელობა – 0,2. ქვეყანას, რომელსაც აქვს ბუნებრივი (ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები) ან შეძენილი (მოწინავე ტექნოლოგია, კვალიფიციური სამუშაო ძალა და ა.შ.) უპირატესობები, შეუძლია უფრო ეფექტიანად აწარმოოს ესა თუ ის საქონელი (ე.ი.გამოუშვას ერთეულ დანახარჯზე მეტი პროდუქცია), ვიდრე B ქვეყანას. არ არის აუცილებელი ასეთი სახის აბსოლუტური უპირატესობა ნიშნავდეს იმას, რომ A ქვეყანას შეუძლია წარმატებით მოახდინოს ამ საქონლის ექსპორტი B ქვეყანაში, ვინაიდან B ქვეყანა შეიძლება ფლობდეს შეფარდებით უპირატესობას, მოცემულ საქონლის წარმოებაში. აბსოლუტური უპირატესობის თეორია პირველად დააშუშავა ა.სმიტმა ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ".

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute Liquidity Ratio. Абсолютный коэфициэнт ликвидпости) – გამოხატავს ფულადი სახსრების თანხის და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების დამოკიდებულებას მოკლევადიან დავალიანებებთან. იგი ახასიათებს საწარმოს უნარს, სწრაფად დაფაროს თავის მოკლევადიანი დავალიანება (ბალანსის ლიკვიდობა)

აბსოლუტური პრიორიტეტის წესი (Absolute Priority Rule. Правила абсолютного приоритета) – პრინციპი. რომლის მიხედვითაც, კრედიტორების უფლებები უნდა დაკმაყოფილდეს სრულად. კაპიტალში აქციონირების წილის სრულ დაფარვამდე, კორპორაციის ლიკვიდაციის და რეორგანიზაციის დროს. ეს წესი პირველად იქნა გამოყენებული აშშ–ს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეში – „ნორტენ პასიფიკი, ბიადის წინააღმდეგ".

აბსოლუცია (Absolution. Абсолютность) – სასამართლოს დადგ-ენილება განსასჯელის სასჯე-ლისგან, პასუხისმგებლობისგან, ვალებისგან და ა.შ.გათავისუფლების შესახებ.

აგენტი (Agent. Агент) – პირი ან კომპანიის, ფირმის წარმომადგენელი, რწმუნებული, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს სხვა პირის ან კომპანიის საქმიან დავალებას. აგენტი განსხვავდება მოსამსახურის ან დამოუკიდებელი მეიჯარისგან. იგი შუამავალია, რომელიც ერთმანეთს აკავშირებს საქონლის და მომსახურების მყიდველებსა და გამყიდველებს. ამისთვის იგი გარკვეული გარიგების მიხედვით, განსაზღვრული რაოდენობის თანხას იღებს. განიხილავენ ორი სახის აგენტს: 1. სპეციალური, როდესაც მარწმუნებელს შეუძლია შეასრულოს მხოლოდ ერთი ან მეტი სპეციალური დავალება; 2. აგენტი ფართო რწმუნებით, როდესაც მას შეუძლია შეასრულოს მარწმუნებლის მიერ დავალებული ყველა საქმე.

აგენტი ფისკალური (Fiskalinyy Agent. Фискальный агент) – 1. გადასახადების აგენტი; 2. მთავრობის ან სახელმწიფო დაწესებულების აგენტი, რომელიც წარ-

მართავს ობლიგაციების გამოშვებასა და დაფარვას, აწარმოებს ანგარიშებს, ანაღდებს ჩეკებს, ახდებს ანგარიშწორებებს, და ა.შ. ჩვეულებრივ ასეთი ოპერაციები ევალება ცენტრალურ ბანკს.

აგენტი ყიდვის (Agent of buying. Агент продаж) – ფირმის პროფესიონალი წარმომადგენელი, რომელიც ფირმის ინტერესებით შეისყიდის საქონელს.

აგენტის თამასუქი (Agency Bill. Вексель агента) – (იხ. INHAND BILL – სამამულო თამასუქი).

აგლომერაცია (Aglomerare. Агломерация) – იმ ფირმების, დაწესებულებების დასახლებების (უპირატესად ქალაქის ტიპის) და ა.შ. სივრცობრივი თვალსაზრისით კომპაქტური განლაგება, რომლებიც დაჯგუფებულნი არიან წარმოებრივი, კულტურული, რეკრეაციული და სხვ. კავშირებით.

აგრარები (Agrarius – მიწის. Аграрии) – სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან დაკავშირებული, მასში მონაწილე მუშაკები.

აგრეგატები ფულადი მასის (Monetary Agregat. Агрегат денежный) – ფულადი მასის მოცულობის და სტრუქტურის მაჩვენებლები. ფულისა და ფულადი საშუალების სახეები, დაჯგუფებული ლიკვიდობის ხარისხის და შემცირების ზომების რანჟირების (სიმაღლის) მიხედვით. ფულადი აგრეგატების უნიფიცი-რებული სისტემა არ არსებობს.

აგრეგირება (Agregation. Агрегаты) – 1. პრინციპი, რომლის შესაბამისადაც ყველა პოზიცია იმ ფიუჩერსებზე, რომლებსაც ფლობს და აკონტროლებს ერთი მოვაჭრე (ან შეთანხმებულად მოქმედი მოვაჭრეების ჯგუფი), ერთიანდება ერთიანი საანაგარიშგებო პოზიციის განსაზღვრის და სპეკულაციური ლიმიტების დაცვი-სთვის. 2. ცალკეული ერთეულების ან მონაცემების გაერთიანება ერთ მაჩვენებელში. მაგალითად, ინდივი-დუალურ საქონლის და მომსახურების ფასების საფუძველზე, ფასების ერთიანი დონის ჩამოყალიბება ან პროდუქციის ყველა ერთეულის აგრეგირება, რეალურ წმინდა ეროვნულ პროდუქტებში. 3. ეკონომიკური მაჩვენებლების გაერთიანება, დაჯგუფება კონკრეტული ნიშნის მიხედვით, განზოგადებული, ერთობლივი მაჩვენებლების მისაღებად.

აგრეგირება ბაზრის (Agregation Market. Аррерирование рынка) – ბაზრის სეგმენტაციაია საპირისპირო ქმედება ან სტრატეგია. რომლის მეშვეობით ფირმა მთელ ბაზარს განიხილავს ერთგვაროვანი სფეროს სახით და ახდენს მაკროეკონომიკური ღონისძიებების სტანდარტიზებას.

აგრესიული საინვესტიციო პოლიტიკა – (Aggressive investing policy. Агрессивная инвестиционная политика) – მიეკუთვნება საინვესტიციო რისკების სფეროს, საპროცენტო განაკვეთის რისკებს, ყიდვითუნარიანობის რისკებს, ფიზიოლოგიურ რისკებს, საბაზრო რისკებს და ა.შ. ტერმინი გამოიყენება მეტად მაღალი დონის ინვესტიციური რისკების მქონე ინვესტორების დასახასიათებლად. ეს ტერმინი გამოიყენება იმ სუბიექტთან მიმართებაში, რომელიც ახასიათებს ინვესტორის უნარს, გაუძლოს სხვადასხვა სახეების ინვესტიციური რისკების უფრო მაღალ დონეებს. იგი აგრეთვე, გულისხმობს, ვარიანტული პორტფელის არსებობას თანმიმდევრული აგრესიული პოზიციებისთვის, ინვესტიციური რისკების სხვადასხვა ტიპებთან მიმართებაში, ვინაიდან, ფასიანი ქაღალდების არც ერთი სახეობა არ წარმოადგენს აბსოლუტურად აგრესიულს (ან თავდაცვითს).

ადამ სმიტი (Adam Smith Адам Смит) (1723–1790), შოტლანდიელი ეკონომისტი და ფილოსოფოსი, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ედინბურგში კითხულობდა ლექციებს ლიტერატურასა და სამართალში. იყო გლაზგოს უნივერსიტეტის ლოგიკის და მორალური ფილოსოფიის კათედრების გამგე. 1778 წელს მიიღო შოტლანდიის საბაჟო კომისრის თანამდებობა.

ადამიანური რესურსების დაგეგმვა (Human resoures planning. Планирование =человеческих ресурсов) – ორგანიზაციის ადამიანურ რესურსებზე მოთხოვნისა და კანდიდატების ვაკანტურ თანამდ-ებობებთან მოსალოდნელი შესაბამისობის პროგნოზირება.

ადამიანური ურთიერთობები (Humajn relation. Человеческие отношения) – შრომითი ურთიერთობების კონცეფცია, რომელიც ორიენტირებულია არაფორმალური და ნდობითი ურთიერთოდების დამყარებაზე, მხარეებს შორის მუდმივი თანამშრომლობის და სოციალური საკითხების განვითარებაზე.

ადგილობრივი გადასახადები (local tax. Местные налоги) – საგადასახადო კოდექსით დაწესებული და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ შემოღებული გადასახადები – ქონების გადასახადი.

ადგილობრივი მოსაკრებელი (local fee. Местные платежи) – აუცილებელი გადასახდელი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც ფიზიკური და იურიდიული პირები იხდიან კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის ან სარგებლობის უფლებისათვის, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ მომსახურების გაწევისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო (local self-governmant. Местное самоуп-равление) – ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების მიზნით, კანონით დადგენილი წესით შექმნილი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (გამგეობა/მერია) ორგანოები.

ადენდუმი, დამატება (Ader. Дополнение) – დამატებითი დოკუმენტი. გაიცემა სადაზღვევო ხელშეკრულებასთან ერთად. მასში აისახება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების ცვლილებები.

ადმინისტრაციული პრინციპები (Administrative Principles. Административные принципы) – მენეჯმენტის კლასიკური მიმართულების ერთ–ერთი სფერო, რომლის მიმდევრები ძირითად ყურადღებას აქცევენ არა ცალკეულ მუშაკებს, არამედ ორგანიზაციას მთლიანად და მმართველობით ფუნქციებს, როგორიცაა: დაგეგმვა; ორგანიზაცია; გუნდური ჯაჭვი; ცალკეული მუშაკების შრომის ნაყოფიერების კოორდინაცია და კონტროლი.

ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტები (The budgets of autonomous republicsю Бюджеты автономных республик) – აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ნაერთი ბიუჯეტები, რომლებიც მოიცავს მათ რესპუბლიკურ და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს, მათი შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

აკრედიტივი (Accreditives. Аккредитив) – ორგანიზაციების, სანარმოების უნაღდო ანგარიშწორების განსაკუთრებული ფორმა მეურნე პარტნიორებთან. სამოქალაქო სამართლის შესაბამისად, აკრედიტივი შეიძლება იყოს დაფარული (დეპონირებული) და დაუფარავი (გარანტირებული), გამოთხოვითი და გამოუთხოვადი; რეგულირდება სამეურნეო სამართლის კანონმდებლ–ობის საფუძველზე.

ალგორითმი (Algoritmi. Алгоритм) – პროგრამა, რომელიც განსაზღვრავს ქცევის წესებს და მოქმედებების თანმიმდევრობას, მივყავართ სასურველ შედეგამდე; წესების სისტემა თეორიული და პრაქტიკული ამოცანების ეფექტური გადაწყვეტისათვის.

ალფრედ მარშალი (Alfred Marshall Альфред Маршалл) (1842–1924) (1842–1924) ინგლისელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის კემბრიჯის სკოლის ფუძემდებელი. დიდი ბრიტანეთის რიგ უნივერსიტეტებში ასწავლიდა პოლიტიკურ ეკონომიას.

ამონაგები (sales. отдача) არის გაყიდული პროდუქტების საერთო ღირებულება შესაბამის ფულად ერთეულში. იგი განისაზღვრება, როგორც გაყიდული ერთეულის რაოდენობა გამრავლებული თითოეული ერთეულის ფასზე.

ამორტიზაცია (defrection. Амортизация) – შრომის იარაღების ღირებულების ნაწილ-ნაწილ, მათი ცვეთის შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულებაში გადატანის პროცესი, ხოლო ამ გზით დაგროვილი თანხა ამორტიზაციის ფონდია, რომლის ერთი ნაწილი გამოიყენება გაცვეთილი მატერიალური აქტივების (ძირითადი ფონდების) აღდგენისათვის (შეკეთებისათვის), ხოლო მეორე ნაწილი – ახლის შესაძენად.

ანალიზი (SWOT. ССВО) – არის სტრატეგიული ანალიზის სახეობა, რომლის საშუალებით კონკრეტული კომპანიის საქმია-

ნობის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საშიშროებები განისაზღვრება.

ანალიტიკური მოდელი, (Analytical model Аналитическая модель) – მოდელი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ინინასწარმეტყველოს განსაზღვრული შედეგები ფუნდამენტური კანონების ან პრინციპების საფუძველზე.

ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები (Incorporating events after the reporting date Некорректируемые явления после отчётного периода) – მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში.

ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები (events after the reporting date Последующие явления после отчётного периода) – ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც ხდება ანგარიშგების თარიღის შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ხდება ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.

ანგარიშები (Reports Отчёты) – სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში და ერთიანი სავალუტო ანგარიში საქართველოს ეროვნულ ბანკში, სახელმწიფო ხაზინის ანგარიშები კომერციულ ბანკებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არაკომერციული (არამომგებიანი) ერთეულების ანგარიშები კომერციულ ბანკებში.

ანდერაიტერი (Andanterior Андерайтер) – პიროვნება, რომელიც უფლებამოსილია სადაზღვევო კომპანიის მიერ მიიღოს რისკები დაზღვევაზე ან გადაზღვევაზე და პასუხმიგებელია მზღვეველის სადაზღვევო პორტფელის ფორმირებაზე.

ანტუან ოგიუსტენ კურნო (Antoine Ogiusten Kurno Антуан Огюстен Курно) (1801-1877) ფრანგი მათემატიკოსი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი. მათემატიკის პროფესორი ლიონში (1934 წლიდან) გრენობლისა და დიჟონის აკადემიების რექტორი. კურნომ პირველმა შემოიტანა მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციები და წარმაოდგინა ფასი, როგორც ამ ფუქნციების არგუმენტი, ჩამოაყალიბა მოთხოვნის კანონი. მიკროეკონომიკურ თეორიაში ცნობილია ოლიგოპოლიის კურნოს მოდელი.

ანუიტეტი (Annuity Аннуитет) სახელმწიფო გრძელვადიანი, სასწრაფო სესხი ვალისა და გადასახდელი პროცენტის ყოველწლიური დაფარვით.

არაგაცვლითი ოპერაცია (Non-exchange operation Необменная операция) – ოპერაცია, რომლის დროსაც ერთეული ან იღებს ღირებულებას მეორე ერთეულისგან მიახლოებითი ღირებულების უშუალოდ გაცემის გარეშე, ან გადასცემს სხვა მხარეს ღირებულებას, უშუალოდ მისგან მიახლოებითი ღირებულების მიღების გარეშე.

არასაოპერაციო შემოსავლები (Non-operational earnings Внеоперационные доходы) – შემოსავლები, რომლებიც ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს.

არასაოპერაციო ხარჯები (Non-operational costs Внеоперационные расходы) – ხარჯები, რომლებიც ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს.

არაფულადი მუხლი – მუხლი, რომელიც არ არის ფულადი.

არბიტრაჟი (Arbitration. Арбитраж) – დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ამა თუ იმ ზომით არეგულირებს შრომით ურთიერთობებს და გამოაქვს გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხება დამქირავებლის და დაქირავებული მუშაკების ინტერესებს. ითვლება, რომ შრომითი ურთიერთობების სფეროში არბიტრაჟის ფართო უფლებამოსილება ენინააღმდეგება მენარმეობის თავისუფლების პრინციპებს.

არბიტრი (Arbitre. Арбитр) – პირი, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება შრომითი კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ რომელიმე ფორმით. ზოგიერთ შემთხვევაში მის გადაწყვეტილებას არა აქვს სავალდებულო ხასიათი.

არსებითი შეცდომები (Essential errors Существенные ошибки) – მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში გამოვლენილი ისეთი შეცდომები (გამოტოვება, დამახინჯება), რომ ერთი ან მეტი გასული პერიოდის ფინანსური ანგარიშგებები ვეღარ ჩაითვლება საიმედო ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის.

არამატერიალური აქტივი (intangible assest. Нематериальные активы) – ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი, რომელსაც პირი იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მინოდების/მომსახურების გაწევისათვის. არამატერიალურ აქტივს მიეკუთვნება საავტორო უფლება, ლიცენზია, იჯარის უფლება, ფრანჩაიზი, პატენტი, სავაჭრო ნიშანი, გუდვილი, კომპიუტერული პროგრამა, იმპორტისა და ექსპორტის სპეციალური უფლებები.

არაპირდაპირი გადასახადი (indirect tax. Непрямые налоги) – გადასახადი (დღგ. აქციზი და სხვა), რომელიც დგინდება მინოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების ფასზე დანამატის სახით, რომელსაც იხდის მომხმარებელი ამ გადასახადით გაზრდილი ფასით საქონლის და მომსახურების შეძენისას. არაპირდაპირი გადასახადის ბიუჯეტში გადახდის ვალდებულება ეკისრება საქონლის მინოდებლის ან მომსახურების გამწევს.

არენდა (rent. Аренда)– ქონების დაქირავება, სათანადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ერთ-ერთი მხარე – არენდის გამცემი აძლევს მეორე მხარეს – არენდის ამღებს ქონების დროებით სარგებლობაში გარკვეული ქირის გადახდით.

არტურ სესი პიგუ (Arthur Ses Pigu Артур Сесв Пигу) (1877–1959 – ინგლისელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგე კემბრიჯის უნივერსიტეტში. იყო სავალუტო კომიტეტის საშეამოსავლო გადასახადების სამეფო კომისიის წევრი. ა. პიგუს ძირითადი ნაშრომები ეძღვნება სატარიფო პოლიტიკის, ეკონომიკის ციკლური განვითარების, სახელმწიფო ფინანსების პრობლემებს.

აუდიტორი (Auditor; independent accountant. Аудитор) – 1. მუშაკი, რომელიც ასრულებს დამოუკიდებელი ეკონომიკური სუბიექტის როლს და ბუღალტრული ანგარიშგების შემოწმების და საწარმოს კონსულტირების სამუშაოებს. 2. რომელიმე აუდიტორული ფირმის მუშაკი, რომელიც ასრულებს შესაბამის სამუშაოებს.

აუტსაიდერი, (Outsider Аутсайдер)– – სადაზღვევო კომპანია, ბროკერი, ფირმა და ა.შ., რომელიც არ არის შესაბამის სადაზღვევო კომპანიების (მონოპოლიური გაერთიანების) წევრი და გამოდის მათ კონკურენტად.

აუდიტი (audit. Аудит) – სამეურნეო, საფინანსო-კომერციული სისტემის საბუღალტრო ანგარიშების სპეციალისტთა (აუდიტთა) მიერ შემოწმება (რევიზია) იმ მიზნით, თუ რამდენად შეესაბამება საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაცია და საქმის წარმოება დადგენილ წესებსა და ნორმატივებს.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები-ასს (international standarts on auditing. Международные стандарты аудита) – გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დროს და ასევე აუდიტთან დაკავშირებული მომსახურებისათვის.

აუქციონი (auction. Аукцион) – ვაჭრობის განსაკუთრებული სახე, რომელიც იმართება სხვადასხვა ადგილას ისეთი საქონლის საჯარო გაყიდვის მიზნით, რომელსაც განსაკუთრებული თვისებურება ახასიათებს (ფერწერული ტილოები, ვალუტა, სამკაულები, ფასიანი ქაღალდები და სხვ.). აუქციონით ვაჭრობის დროს კონკურენციაში მონაწილეობენ მყიდველები. საბოლოოდ ვლინდება ისეთი მყიდველი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასს შეთავაზებს გამყიდველს.

ასიგნება (assign. Ассигнация) – ფისკალური წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება.

ასოციაცია (association. Ассоциация) – შეერთება, გაერთიანება, კავშირი, რომელიც გარკვეული ეკონომიკური (სამეურნეო, საფინანსო, კომერციული და სხვა) მიზნების მიღწევისათვის ყალიბდება.

ასათიანი როზეტა შალვას ასული (1939) – ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993). პროფესორი (1994). საქ.ეკონ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი, (1996 წ. – დღემდე) აკადემიკოსმდივანი. **რუსეთის** საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის (საქ. განყოფ.) ნამდვილი წევრი (2007 წ.). **დაამთავრა** თსუ ეკონ. ფაკ. (1962). თსუ-ს ეკონომიკის ფაკ. პროფესორი (1993 წ.- 2006), სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკ.პროფესორი. (2007 წ.-დღემდე.) 2012 წლიდან თსუ-ს ეკონ.ინს-ის მეცნ. კონსულტანტი.

2014 წლიდან თსუ-ს რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი. ნიუ-იორკის მეცნ. აკადემიის წევრი (1999); იუნესკოს გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს მეცნიერის წოდება (2017).

სხვა საქმიანობა: გამომც. „სიახლის" პრეზიდენტი (1993 წლიდან) ჟურნალი: „ეკონომიკის", „სოციალური ეკონომიკის", „ეკონომისტის", „ახალი ეკონომისტის" სარედაქციო საბჭოს წევრი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი (1996წ.) საქ.მეც. ეროვნ. აკადემიის ეკონომიკის ექსპერტი (2017).

ჯილდოები: საქ.ეკონ.საზოგადოების სამეცნიერო (1988 წ.) და თსუ-ს საიუბილეო სამეცნ. პრემია (1994). ღირსების ორდენი (1999წ.) საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნ. (2008 წ.) და პაატა გუგუშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია (2013წ.) საქართველოს საპარტრიარქოს საპატრიო სიგელი (2014); ივ.ჯავახიშვილის სახ. მედალი (2014წ.) საპატრიო დიპლომი სტუ-ში სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობისთვის (2014 წ.); რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნ. აკადემიის ოქროს მედალი ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ვერნანდსკის სახელობის ოქროს მედლით ეკონომიკურ მეცნიერებათა განვითარებაში მიღწეული წარმატებებისთვის.

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი (ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე): „მომსახურეობა და საბაზრო სისტემა" (1993 წ), „ფული და ფულადი სისტემები" (1996): „საქართველოს ეკონომიკა, წარსული აწმყო, მომავალი" (2002). „საქართველოს ეკონომიკა ახალი ეპოქა (2009); „გლობალიზაცია, რელიგიურ ეთიკაზე აგებული ეკონომიკური თეორია და საქართველო" (2012); „ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების სახელმწიფო რეგულირება და საბიუჯეტო ფედერალიზმის განვითარება საქართველოში (2013); „თანამედროვე ეკონომიკის მცირე ენციკლოპედია" (2014); „XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი" (2015). „სახელმძღვანელო. თბ. (2017) და სხვ.

აქვიზიტორი (acquisitor. Аквизитор) – სადაზღვევო კომპანიის აგენტი (სადაზღვევო აგენტი, ბროკერი), რომელიც მოიზიდავს და აფორმებს ახალ სადაზღვევო ხელშეკრულებას.

აქსელერატორი (აქსელერაციის პრინციპი) (accelerere. Принцип акселерации) – ეკონომიკური მოდელი, რომლის საფუძველზეც ინვესტიციების მოცულობა და დინამიკა დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონლის მოცულობასა და დინამიკაზე.

აქტივი (Asset Активы) – წარსული ეკონომიკური მოვლენის შედეგად ერთეულის მიერ მიღებული კონტროლირებადი რესურსი, რის საფუძველზეც მოსალოდნელია ორგანიზაციაში მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემოსვლა.

აქცია (Action. Акция) – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ამტკიცებს მისი მფლობელის უფლებას, მიიღოს მოგების ნაწილი დივიდენდის სახით, მონაწილეობდეს სააქციო საზოგადოების ამრთვაშიდა მიიღოს ქონების ნაწილი სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ.

აქცეპტი (acceptus. Акцепт) – 1. პირის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე სხვა მხარის (ოფერტის) შემოთავაზების შესაბამისად. 2. გადასაგზავნი თამასუქის (ტრატის) გადამხდელის (ტრასტის) მიერ ვალდებულების აღება, გაანაღდოს თამასუქი მასში მითითებული დროის დადგომისას. 3. ბანკის თანხმობა გადასაზგზავნ თამსუქზე მითითებული თანხის გადახის გარანტიაზე. 4. სამეურნეო ორგანიზაციებს შროის უნაღდო ანგარიშწორების ერთ-ერთი ფორმა.

აქციზი (Accis-accider. Акциз) – ირიბი გადასახადი, რომელიც შედის მასობრივი მოხმარების საქონლისა და მოსმახურების ფასში და ანაზღაურდება მყიდველის მიერ (მაგალითად, შაქარზე, ჩაიზე, თამბაქოს ნაწარმზე).

აქტივი (asset. актив)в актив – ნებისმიერი ფასეულობა, რომელიც კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს. მატერიალურ აქტივებს მიეკუთვნება მატერიალური ფა-

სეულობები (ნაღდი ფული, პროდუქციის მარაგი, მინის ნაკეთები, შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა-დანადგარები და სხვ.).

აქტივების შემოსავლიანობა, ანუ მოგებისა და აქტივების თანაფარდობა (RIA. Доходность активов) – არის კომპანიის ერთობლივი აქტივების შემოსავლიანობა, რომელიც სუფთა მოგების (გადასახადის დაბეგვრის შემდეგ) ერთობლივ აქტივებთან თანაფარდობით გაინგარიშება.

აქცია (share. Акция) – სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებული გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი სახსრების მოზიდვის მიზნით, რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის სააქციო საზოგადოების წევრობას, რაც აქციონერს წილობრივი მფლობელობის (მეწილე) უფლებას ანიჭებს და იგი სააქციო კომპანიის მოგების წილს დივიდენდის სახით იღებს.

აქციები, რომლებიც მიმოქცევაშია (Shares outstanding. Акции, которые находятся в обращении) გამოსაშვები (ნებადართული) აქციების რაოდენობა, გამოშვებული აქციების რაოდენობა, რომლებიც მესაკუთრეებს უკვე ხელზე აქვთ მიღებული.

აქციონერები (The shareholders. Акционеры) – არიანკომპანიის მფლობელები, რომლებზეც კომპანიის მიერ გამოშვებული ერთი ან რამდენიმე ჩვეულებრივი ან პრივილეგირებული აქციების მესაკუთრეებს წარმოადგენენ და რომლებიც დირექტორთა საბჭოს ირჩევენ.

აქციონერული კაპიტალი (Stocckholders; equity. Акционерный капитал)– кка – არის კომპანიის საერთო აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის სხვაობა, რომელიც კომპანიის აქციონერების საკუთრებას წარმოადგენს.

აქცეპტი (acceptance. Акцепты) – ისეთ წინადადებებზე თანხმობაა, რომელშიც შეთავაზებულია ისეთი პირობები რომელთა მიხედვით უნდა წარიმართოს მხარეთა შორის შეთანხმება.

ბ (B)

ბალანსი (balance. Баланс) – ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა ფულადი გამოხატულებით, რომელიც ქვეყნის მასშტაბით აღნიშნავს კვლავწარმოების ტემპსა და მაჩვენებლებს, წარმოებისა და განაწილების პროპორციებს. მაგალითად, კორპორაციის (საწარმოს) ბალანსი წარმოადგენს მაჩვენებელთა სისტემას, რომელიც დაჯგუფებულია კრებსითი უწყისის სახით და წარმოების განგარგულებაში მყოფი საშუალებების შედგენილობასა და ფინანსურ მდგომარეობას ასახავს გარკვეული თარიღისათვის. არსებობს აქტიური, პასიური, სავაჭრო, საგადამხდელო, საანგარიშსწორებო და სხვა სახის ბალანსები, რომლის მთავარი შინაარსი მაინც აქტივისა და პასივის წონასწორობასთან არის დაკავშირებული.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები – ბასს (International Accounting Standards. Международные стандарты бухгалтерского учёта) мк – ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომისიის მიერ დამტკიცებული და საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის დადგენილებით სამოქმედოდ შემოღებული სტანდარტები.

ბანკი (bank. Банк) – საფინანსო-საკრედიტო დაწესებულება, რომელიც თავს უყრის ფულად სახსრებს და იძლევა სესხს (კრედიტებს), აწარმოებს ფულად ანგარიშსწორებას კლიენტებს შორის, აგრეთვე ფულის ნიშნების და ფასიანი ქაღალდების ემისიას. ამ ფუნქციების მიხედვით ბანკები იყოფა: საემისიო, კომერციულ, საინვესტიციო, შემნახველ, საექსპორტო, საერთაშორისო, სახელმწიფო და სხვა ბანკებად.

ბანკების დეპოზიტები ეროვნულ ბანკში (Bank deposits at the National Bank of. Банковские депозиты в международном банке) – შედგება სავალდებულო რეზერვებისა და ეროვნულ ბანკში კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშებზე რიცხული ნაშთებისაგან.

ბარტერი (barter. Бартер) – გაცვლა-გამოცვლა. საქონელგაცვლა, საქონლის უვალუტო, მაგრამ ეკვივალენტური გაცვლა, რომელსაც საფუძვლად უდევს საქონელზე მსოფლიო ან სახელშეკრულებო ფასები.

ბასარია რევაზ ვლადიმირის ძე (1932) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1994 წ), პროფესორი (1994 წ) .დაამთავრა ქ.მოსკოვის საფინანსო ინსტიტუტი (1956) და ს.კ.კ.პ. -ს უმაღლესი პარტიული სკოლა (1968). იგი

იყო საქართველოს კომ. პარტიის ც.კ. განყოფილების გამგის მოადგილე (1974-1976), საქართველოს სტატისტიკის სახ.კომიტეტის თავ-რე. (1976-91 წ.) 1991 წლიდან საქ. ფინ.სამ. არსებული ფინანსების ს-კ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, თსუ-ს სოხუმის ფილიალის პროფესორი(1994წლიდან).

ძირითადი შრომები: „გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები" (თანაავტ. 1995), „ეკონომიკური თეორიის საფუძვლები (თანაავტ. 1996), საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები (2001), „გადასახადი: სიკეთე თუ უბედურება?" (2003); „ეკონომიკის პრინციპები„:ნაწ.1.„მიკროეკონომიკა"; ნაწ.2. „სახელმძ. (თანაავტ. 2017) და სხვ.

ბარათაშვილი ევგენი შალვას ძე – (დაბ. 1949 წ.) ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (2006 წლიდან დღემდე) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნ. და საერთაშორისო საინჟინრო აკადემიების აკადემიკოსი. დაამთავრა მოსკოვის საინჟინრო ეკონომიკური უნივერსიტეტი (1972) არასამეწარმეო ორგანიზაცია „საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიული კვლევის ცენტრის", თავმჯდომარე (2006 წლიდან) 1999-2006 წლებში მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში და სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედ. უნივერსიტეტში.

ძირითადი შრომები: „მენეჯმენტის საფუძვლები", „ისრაელის ეკონომიკის განვითარების ეტაპები", „სამეცნიერო–ტექნოლოგიური განვითარების პრობლემები საქართველოში", „საქართველოს გეოპოლიტიკური გარემომისი ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი", „საერთაშორისო ტრანსნაციონალური კორპორაციები მსოფლიო მეურნეობის ლიდერები", „საქართველო მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი: პრობლემები, პერსპექტივები", „ეკონომიკური განვითარების თანამედროვე თეორიები", „განვითარების ეკონომიკა და ტექნოლოგიური პროგრესი", „რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა". „მენეჯმენტი და ადმინისტრირება" და სხვ.

ბასარია ვლადიმერ რევაზის ძე (1972 წ.) – ეკონ. მეცნ. აკად. დოქტორი (2002) საქართველოს პარლამენტის სპეციალისტი (2013 წლიდან დღემდე), დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. (1994) მუშაობდა საქ.საგადასახადო სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე. ეწეოდა საბუღალტრო აუდიტორულ საქმიანობას. სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ახორციელებს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. არის ერთი მონოგრაფიის („გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება") ორი სახელმძღვანელოს (თანაავტ.) და 30-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ბასილაია კობა დევეხის ძე (დაბ. 1975 წ.) ეკონ.მეცნ.აკად.დოქტორი (2001 წ). სოხუმის სახ.უნივერსიტეტის ეკონ. და ბიზნესის ფაკ-ის ასოც.პროფესორი. (2006წ. დღემდე) სოხუმის სახ.უნივერსიტ. აკადემიური საბჭოს წევრი (2017 წლიდან). დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს სოხუმის ფილიალის ეკონ. და მართვის ფაკ-ტი (1998 წ.)

სამუშაო გამოცდილება: „სს გაერთიანებული ქართული ბანკის აფხაზეთის რეგიონალური ფილიალის" მთ.ბუღალტერი (2003-2006), „სს ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯიას" საბურთალოს სერვისცენტრის უფროსი (2006-2009); საქ.ფინანს. სამინისტრ. შემოს. სამსახ.აუდიტ.დეპარტ. უფროსი (2009-2010 წწ). აუდიტის დეპარტ. მესამე სამმართ. უფროსი (2011-2012); 2012 წლიდან დღემდე – აუდიტის დეპარტა-მენტის ხარისხის კონტროლის სამმ-ართველოს მთ.ექსპერტი. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი ნაშრომი.

ბედიანაშვილი გივი – (დაბ. 1953) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი: თსუ-ს საერთ. ბიზნესის (2014 წლიდან), ევროპის უნივერს-ის (2015 წ.), საქ. საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნივერს-ის მონვეული პროფესორი. საქ. ეკონ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი (2013 წლიდან),

იქვე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2017 წლიდან). დაამთავრა თსუ-ს საინჟინრო ეკონომიკური ფაკულტეტი – „ეკონომიკური კიბერნეტიკა“ (1975 წ), რუსეთის მეცნ. აკად-ის ცენტრ. ეკონ. -მათემატ. ინსტ. ასპირანტურა (1981 წ.), ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1981), დოქტორანტი (1992 წ).

სამსახურებრივი გამოცდილება: გლობალიზაციის ეკონ. და სოც. პრობლემების კვლევის ინსტიტუტის დირექტორი (2015 წ. -დღემდე); ინვესტიც. და საერთაშორისო ბაზრების ექსპერტი (2010-2013); მმართველი კომპ-ის – „დოსტოიანე“ (ქ. მოსკოვი) – ბიზნეს რისკების ანალიზისა და ინვესტიც. სტრატეგიების დეპარტ. დირექტორი (2007-2009); საერთ. ბიზნეს გარემოს და ფინანს. ბაზრების ექსპერტი (1997-2000 წწ). ჟურნალ „ფინანსური დირექტორი“-ს (ქ. მოსკოვი) მთ. ანალიტიკოსი (2001-2002 წწ.) საქ. მეცნ. აკად. – ის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის სოც. ეკონ. განვით. პროგრამების ლაბორატ.-ის ხელმძ. (1985-89 წწ.). საქ. სახელ. საგეგმვო კომიტეტის სამ. კვ. ინსტ.-ის მიკროსისტემ. სექტ. გამგე (1984-85 წწ.), რუსთავის რაიონთასორისი სოც. ეკონ. პრობლ. განყოფ. გამგე (1981-84), მეცნ. თანამშრომელი (1975-77).

სამეცნ. კვლევითი სფეროები: „საერთ. და გლობალური ბიზნესი“; „ფინანსური ეკონომიკა“; „ფინანსური ბაზრების სიტემური პროგნოზირების პრობლემატიკა“; „ცოდნის ეკონომიკისა და ინოვაციური სამენ. პოლიტიკის ფორმირების პრობლემატიკა“. სოც-ეკონ სისტემების გრძევად. განვით. სისტემური ანალიზისა და სტრატეგ. შემუშ. პრობლემატიკა“ და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი. ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. 25-ზე მეტი საერთ. კონფ. და სიმპოზ. მონაწილე და სერთიფიკატის მფლობელი.

ბერიძე თეიმურაზ არჩილის ძე (დაბ.1956წ.) ეკონ.მეცნ.დოქტორი (1992); პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1978). საქ. მეცნ.აკად.ეკონ.ინს-ტის უფროსი, წამყვანი და მთავარი მეცნ. თანამშრომელი. განყოფილების გამგე, დირექტორის მოადგილე, თსუ-ეკონ. კათედრის პროფესორი (1993 წლი-დან); საქ.სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის თავმ-რე (1996-2005).

ძირითადი შრომები: „ცენტრალიზმი და დამოუკიდებლობა ეკონომიკაში“ (რუსულ ენაზე, 1981 წ.) „რეგიონული ეკონომიკის ეფექტიანობა (პოლიტეკონომიური ასპექტი) (1987წ.) „სუვენერიტეტის ეკონომიკური საფუძვლები: ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთქმედების ახალი ასპექტები“ (1993 წ.) და სხვ.

ბერულავა გიორგი ვახტანგის ძე (დაბ. 1966. წ) ეკონ. მეცნ. დოქტორი (2000); პროფესორი (1988). დაამთავრა ქ.ვოროშილოგრადის მანქანათმშენებლობის ინს.-ტი. მუშაობდა: საქ.ეკონ.სამინ. ს/კ პრობლემების ინსტიტუტის სოხუმის განყ.1993 წლიდან საქ.მეცნ.აკადემიის ეკონ-ომიკის ინსტ.-ში 1996 წლიდან სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თსუ სოხუმის ფილიალში. ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი (2009-დღემდე).

საქმიანობა საზღვარგარეთ – პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სმელის ბიზნეს ადმინისტრირების სკოლა, მარკეტინგის დეპარტამენტი, **ფულბრაიტის მოწვეული მკვლევარი.**

გრანტები და ჯილდოები: „მომსახურების დარგის ეფექტიანობა და სამრეწველო ფირმების საექსპორტო საქმიანობა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში“. (2011) „ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გავლენა მეღვინეობის დარგზე საქართველოში: (2008) ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების გავლენა ფირმების ტრანსაქციულ ქცევაზე საქართველოში. პროექტის ხელმძღვანელი. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი (2007) პრეზიდენტის I-ხარისხის სტიპენდია, მაისი 2001; პრეზიდენტის II – ხარისხის სტიპენდია, მაისი 1999.

ძირითადი შრომები: „მარკეტინგის პრობლემები და მისი გამოყენების თავისებურებანი საქართველოს ეკონომიკაში“ (1998) „ფირმის მარკეტინგული მოდელი“ (1999 წ.). „მარკეტინგული ორიენტაციის როლი დინამიკურ ბაზრებზე“ (2000); „ფირმის თეორიისადმი მარკეტინგული მიდგომები“ (2002). და სხვ.

ბიუჯეტი (budget. Бюджет) – ხარჯთაღრიცხვა. სახელმწიფოს, საწარმოს, დაწესებულების შემოსავალ-გასავლის ნუსხა, რომელიც დგება გარკვეული ვადით (კვარტალი, წელი).

ბიუჯეტის გადასახდელები (budget tax. Бюджетные налоги) – მოიცავს: ხარჯებს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა (ნაშთის დაგროვების გარდა) და ვალდებულებების კლებას.

ბიუჯეტის მთლიანი სალდო (Budgetary balance. Баланс бюджета) – საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების ცვლილებას შორის სხვაობა.

ბიუჯეტის საოპერაციო სალდო (Operating Budget Balance. Разность операционного бюджета) – სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებსა და ხარჯებს შორის სხვაობა.

ბიუჯეტის შემოსავლები (Revenues. Доход бюджета) – გადასახადები, გრანტები და სხვა შემოსავლები.

ბიუჯეტის შემოსულობები (Budgets incomes. Поступления бюджета) – შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით) და ვალდებულებების ზრდა.

ბონუსი (bonus. Бонус) – დამატებითი შეღავათი, რომელსაც გამყიდველი აძლევს მყიდველს. მინუსი გარიგებითა და ცალკე შეთანხმებით განისაზღვრება.

ბრუტო (bruto. Брутто) – იტალიური წარმოშობის სიტყვა. საქონლის მთლიანი წონა შეფუთვიანად, ჭურჭლიანად (საპირისპიროა ნეტო) ნიშნავს აგრეთვე ერთობლივ შემოსავალს ხარჯების გამოუკლებლად.

ბურდიაშვილი რატი (დაბ. 1971) ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი, საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის წევრი.

პროფესიული გამოცდილება: საქართველოს ექსიმბანკი: სპეციალისტი, აღრიცხვა-ანგარიშგების დირექციის დირექტორი (1992-1995) სს „გაერთიანებული ქართული ბანკი": ცენტრალური ფილიალის მთავარი ბუღალტერი, გენერალური დირექტორის თანაშემწე აღრიცხვა-ანგარიშგების დარგში (1995-2001) აუდიტორული კომპანია „რანგი": პარტნიორი, დირექტორი (1999-დღემდე) საკონსულტაციო კომპანია „რატი შილდელი": პარტნიორი, დირექტორი (2004-დღემდე); საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საფინანსო და საბანკო ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი.

ძირითადი შრომები: „ფინანსური აღრიცხვა" (2013), „ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი" (თანავტ.-2017) და სხვ.

ბარტერული ოპერაცია (Barter operation Бартернаяоперация) – ორ ერთეულს შორის თანაბარი ღირებულების არაფულადი აქტივების ან მომსახურების გაცვლა.

ბიზნეს-დაგეგმვა(Business planning Бизнес-план) – 1. მეწარმეობის, საინვესტიციო პროექტების რეალიზაციის, საწარმოთა განვითარების ღონისძიებების სისტემის შემუშავებისა და განხორციელების პროცესი დროის განსაზღვრულ პერიოდში. 2. ესაა დოკუმენტი, რომელიც იძლევა მომავალი საწარმოს ძირითადი ასპექტების აღწერილობას, აანალიზებს ყველა რისკს, განსაზღვრავს ამ პრობლემების გადაწყვეტის გზებს. ბიზნეს დაგეგმვის სტრუქტურა საკმაოდ სტანდარტულია და ჩვეულებრივ მოიცავს რამდენიმე განყოფილებას: შესავალს, საწარმოს და მათი პროდუქციის აღწერილობას, ბაზრისა და კონკურენტების ანალიზს, მარკეტინგულ გეგმას, წარმოების, ორგანიზაციულ, საფინანსო, საინვესტიციო გეგმებს. თან ერთვის დანართი.

გ (G)

გადასახადი (tax. Налог) – არის სავალდებულო ფულადი შენატანი ბიუჯეტში, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) დადგენილი წესით.

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (კოდი) (Taxpayer Identification Number. трпИдентификационный номер налогоплательщика – Индивидуальный налоговый – საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელისათვის კოდექსის 101-ე მუხლის შესაბამისად მიკუთვნებული ნომერი.

გამოთანაბრებითი ტრანსფერი (Calculating equalization trasnper. Выравнивающий

трансфер) – თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები, ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

გამსახურდია გივი გრიგოლის ძე – (1937-2006) ქ. თბილისში. ეკონ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1961). იგი იყო 1961 წლიდან თსუ ასპირანტი, კაბინეტის გამგე, დოცენტი. არის ფინანსებისა და კრედიტის კათედრის გამგე (1994–2006). საქ.რესპ. კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1990-1991).

ძირითადი შრომები: „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე" (1995წ). „ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში". (1997) და სხვ.

გამოსყიდული აქციები (treasury stak. Не купленные акции) – არის კომპანიის მიერ გაყიდული აქციები, რომლებიც შემდეგ აქციონერებიდან გამოსყიდული იქნა კომპანიის საფინანსო განყოფილებაში მათი შემდგომი შენახვის მიზნით. აღნიშნული აქციები შეიძლება კომპანიაში უსაზღვროდ ხანგრძლივი ვადის განმავლობაში დარჩეს, ხელმეორედ იქნას შეთავაზებული ინვესტორებზე ან საერთოდ ბიზნესიდან იქნას ამოღებული. ასეთი სახის აქცია ხმის მიცემის ან დივიდენდების მიღების უფლებას არ ეძლევა.

გაუნაწილებელი მოგება (retained earnings. Не распределённая прибыль) – არის მოგება, რომელიც რეინვესტირდება ბიზნესში და იგი აქციონერებზე დივიდენდების გადახდის შემდეგ არის დარჩენილი. იგი სააქციო კაპიტალის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მას სხვა სახელწოდებაც გააჩნია – მიღებული მეტობა.

გაუფასურება (depreciation. ухудшение Обесценивание) – არის შემცირება, რომლის სიდიდე საკუთრების მიმდინარე ღირებულების შეფასების საფუძველზე განისაზღვრება, იგი მისი გამოყენების შედეგად მისი ხარისხის გაუარესების გამო და დროთა განმავლობაში დაძველების შედეგად არის შემცირებული. მიუხედავად იმისა, რომ გაუფასურება სახსრების გამოყოფას არ საჭიროებს, იგი ბიზნესის განხორციელების დანახარჯებად ითვლება.

გაუნაწილებელი მოგება (Retained earnings. Чистая прибыль) – არის კომპანიის კაპიტალის სახეობა, რომელიც კომპანიის სუფთა მოგებას წარმოადგენს, რომელიც დივიდენდის სახით აქციონერებს შორის არ განანილებულა.

გლობალიზაცია (Globalization. Глобализация) – არის პროცესი, რომელიც ხასიათდება, ერთი მხრივ, ეროვნულ ბაზრებს შორის საზღვრების მოშლით, მათი რეგულირების ერთიანი პრინციპების დამკვიდრებით, ხოლო მეორე მხრივ – კომპანიების მიერ ფილიალების საერთაშორისო ქსელის შექმნით.

გელაშვილი თინა ალექსანდრეს ასული (1967) ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, პროფესორი (2006). დაამთავრა საქართველოს აგრარული ინსტიტუტის ეკონ.ფაკულტ. (1991). მუშაობდა 1991-92 წწ. სამცხე-ჯავახეთის შრომის რეგიონ. ბირჟაში მთ.ბუღალტრად. 1992-95 წწ. თსუ მესხეთის ფილიალის ეკონ.მეცნ.კათედრის მასწავლებელი. 1995-97 წწ. ეკონ.ფაკულტ.დეკანის მოადგილე. 1997-2000 წწ. სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი. 2000-2005 წწ. მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე. 2003-2005 წწ. მესხეთის ფილიალის ეკონ.მეცნ. კათედრის გამგე.

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი ნაშრომი.მ.შ. სახელმძღ. „ფინანსური ანგარიშგების აუდიტი" (2007); „უძრავი ქონების მარკეტინგი" (2007); „აუდიტის საფუძვლები" (2011); „სოციალურ-ეკონომიკური სტატისტიკა" (2012); და სხვ

გოგილაშვილი ოთარ (1938). ტექნიკისა და პედაგოგიკის მეცნიერ. დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი. საქართველოს ტექნიკის ფილოსოფთა ასოციაციის პრეზიდენტი.საქართველოს განათლების აკადემიის აკადემიკოსი.

დაამთავრა თბილისის მე-60 საშუალო სკოლა ოქროს მედლით (1956)." საქ. პოლიტ. ინსტიტუტი (1961). 1965-1968 წლებში სწავლობდა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში. წლების განმავლობაში არჩეული იყო

საბჭოთა კავშირში ტექნიკურის საგნების სწავლების სასწავლო-მეთოდური საბჭოს წევრად. 1992–2007 წლებში იყო თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტის რექტორი. მუშაობდა საქართველოს ტექნიკურ და ილიას უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. 3 სახელმძღვანელო საქართველოში. იგი არის მრავალი საერთაშორისო კონგრესების და კონფერენციების ორგანიზატორი და მონაწილე. მათ შორის **ფილოსოფოსთა მეოცე - 1998წ.** ქ. ბოსტონი **(აშშ)** და **ოცდამეერთე**-ქ. სტამბული **(თურქეთი)** 2003 წ. კონგრესების მომხსენებელი.

გოგოხია რევაზ (რეზო) კაკის ძე (დაბ. 1936 წ) ეკონ.მეცნ. დოქტორი (1988), პროფესორი (1989 წლიდან), ეკონ. მეცნ. და ბიზნესის მეცნ. აკადემიების აკადემიკოსი. საერთაშორისო ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" მთავარი რედაქტორი. წარჩინებით დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1958). 1961-1964 წწ. იყო საქ. მეც.აკად.ეკონ. ინსტიტუტის ასპირანტი. ეკონ.მეცნ. კანდიდატი (1965); საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი (1965-1977). ი. ჯავახიშვილის თსუ-ს ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, პროფესორი (1978-2008). ეკონ. ფაკ.დეკანის მოადგილე. (1980-81 წწ). საქ. მეცნ. აკადემიის სოც. ეკონ. პრობლემების ლაბორატორიის გამგე. (1982-86 წწ.) საქ. სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის **მინისტრის** პირველი მოადგილე (1991-1992 წწ.). თსუ-ს **სოხუმის ფილიალის** საერთაშორისო ეკონ. ურთიერთობათა კათედრის გამგე. (1995-2002 წწ.) ასევე, თსუ-ს ზუგდიდის ფილიალის ეკონ. დისციპლინათა კათედრის ხელმძღვანელი (2001-2004 წწ.) განსაკუთრებით დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარებაში: საქ. მეცნ. აკად. ჟურნალ „მაცნეს" ეკონომიკის სექტორის მდივანი; ჟურნალ „ეკონომისტის" განყოფილების გამგე. საერთ. სამეც.პრაქტ. ჟურნ. „სოციალური ეკონომიკის" მთავარი რედაქტორი (1999-2009). დაჯილდოებულია ი.ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

ძირითადი შრომები: მისი მეცნ. კვლევის ძირითადი სფეროა ეკონომიკური თეორიის, საბაზრო ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის ეკონ.პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 7 მონოგრაფია, 6 სახელმძღვანელო (თანაავტორობით). როგორიცაა: „სოფლის მეურნეობრივი წარმოების ინტენსიფიკაცია" (1975 წ). „ეკონომიკური ინტერესები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში". (1981წ) „საბაზრო ეკონომიკა" (1986წ). და სხვ.

განსაკუთრებული მუხლები (Special articles, Дополнительныестатьи) ისეთი მოვლენებისა და გარიგებების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები და გადასახდელები, რომლებიც აშკარად განსხვავდება ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობისგან, რომელთა გამეორებას არ ექნება ხშირი და რეგულარული ხასიათი და რომლებიც ორგანიზაციის კონტროლის ან ზეგავლენის მიღმა რჩება.

გაცვლითი ოპერაცია, (Exchange operation Операцияобмена) – - ოპერაცია, რომლის დროსაც ერთი ერთეული მეორე ერთეულისთვის უზრუნველყოფს აქტივს/მომსახურებას ან ფარავს ვალდებულებას და სანაცვლოდ მეორე მხარეს უშუალოდ გადასცემს მიახლოებით იგივე ღირებულებას (ძირითადად, საქონლის, მომსახურების ან აქტივის გამოყენების შესაძლებლობის სახით).

გრძელვადიანი აქტივი/ვალდებულება (Long-term asset / liability Обменныеоперации) – ყველა სხვა აქტივი/ვალდებულება, რომელიც არ არის მოკლევადიანი.

გრანტი (grant. Грант) – დონორი სახელმწიფოების, საერთაშორისო ორგანიზაციების ან კერძო პირების მიერ უსასყიდლოდ გაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით.

გრიგალაშვილი ლევან – (დაბ. 1954) ეკონ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი. ევრორეგიონული სასწ. უნივერსიტ. საპატიო დოქტორი; დაამთავრა ი.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს სააღრიცხ. ეკონ.ფაკ. წარჩინებით. (1977წ). **პროფესიული გამოცდილება:** თსუ-ს აღრიცხვის, კონტროლისა და ეკონომიკური ანალიზის სამეცნ. საწარმოო-სასწავლო გაერთიანება (1978 – 1985); საქ. ეკ. სამინისტრო, განყოფ. გამ-

გე (1985); საქ.ფინანსთა სამინისტრო: განყოფილების, სამმართველოს უფროსი, დეპარტ. დირექტორი (1985-2002); საქართ. სახ. ქონების მართვის სამინისტრო – სოც. და საწარმოო ინფრასტრუქტ.სამსახურის უფროსი (2002); თბილისის სასწ. უნივერსიტ.- პროფესორი (2010-2012); სუხიშვილის სასწ. უნივერსიტ. – პროფესორი (2011-2012); საქ. ტექნიკური უნივერსიტეტი – ასოც. პროფესორი; პროფესორი (2013 – 2017 წწ).

სამეცნიერო შრომები: მონოგრაფიები – 2; სამეცნიერო სტატიები – 50 სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელ-მძღვანელოები. სხვა სასწავლო მეთოდური საშუალებები და ლიტერატურა – 25.

გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები (Long-term assets and liabilities. Долгосрочные активы и обязательства) – არის კომპანიის მიერ დაბანდებები და სახსრების წყაროები რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია.

გუგუშვილი პაატა ბესარიონის ძე – (დაბ. 1905-1987). ეკონ.მეცნ.დოქტორი, საქ. მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტი (1961 წ.) აკადემიკოსი (1974წ) დაამთავრა თბილისის სახ.უნივერსი-ტეტის სოც. ეკონ. ფაკულტეტი. ეკონომისტ-ფინანსისტის სპეცია-ლობით (1927 წ.). იქვე, 1930 წელს დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა, სადაც მიენიჭა დოცენტის სამეცნ.-პედაგოგიური წოდება. **უპირველესი პიროვნება, რომელსაც დისერტაციის დაუცველად მიენიჭა ეკონ. მეცნ. კანდ-იდატის სამეცნ.ხარისხი** (1936 წ.) და საქართველოში პირველი ეკონ.მეცნ. დოქტორის აკადემიური ხარისხი (1940 წელს). პ.გუგუშვილის ინიციატივით და აქტიური ძალისხმევით საქართ-ველოს მეცნ. აკადემიის სისტემაში შეიქმნა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელსაც ხელ-მძღვანელობდა 1944-1976 წლებში. ამავე ინსიტუტთან არსებული სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციების დაცვის სპეციალიზირებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (1948-74 წწ.). ჟურნალ საქართველოს ეკონომისტის მთ.რედაქტორი (1958 წლიდან).

ძირითადი შრომები: აკადემიკოს პ.გუგუშვილის გამოქვეყნებულია 500 ზე მეტი სამეცნი.ნაშრომი, რომელთაგან 50-ზე მეტი ცალკე წიგნადაა გამოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფიების შვიდტომეული – „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება მე-19, მე-20 სს". (1949-1984 წწ.); „ქართული წიგნი" (1629-1929 წწ.); „ქართული ჟურნალ-ისტიკა"; „საქართველოს მოსახლეობა 160 წლის 1800-1960"; „საქართველოს სსრ აღწარმოების საკითხები" (1973 წ.) „სოციოლოგიური ეტიუდები ტომი 1. (1970 წ.) ტომი 2 (1971 წ.) და სხვ.

გუდვილი (Goodwill. Гудвил) – ფართო გაგებით უპირატესობას ნიშნავს, რომელთაც კომპანია უკვე არსებული საწარმოს შეძენისას ღებულობს.

დ (d)

დათაშვილი ვახტანგი – დაიბადა 1956. ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1990). სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორი (2006 წლიდან). ჟურნ. – „სოციალური ეკონომიკა-XXI საუკუნის აქტუალური პრობლემების მთავარი რედაქტორი (2008 წლიდან დღემდე). დაამთავრა თსუ -ს ეკონ. ფაკ. (1983). თბილისის ჰუმან.-ეკონომ. უნივ-ის იურიდიული ფაკ. (1997).

სამუშაო გამოცდილება: ასპინძის რაიონის პრეფექტი (1990-1991); თბილისის ევროპული უნივერსიტეტის პრორექტორი (2000-2005), რექტორი 2007-2012.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) (Value Added Tax. Налог на добавочную стоимость) – არაპირდაპირი, მრავალსაფეხურიანი გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას საქონელის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ყველა სტადიაზე.

დავიდ რიკარდო, David Ricardo, Давид Рикардо (1772-1823) ინგლისელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის წარმოამდგენელი. ეწეოდა დამოუკიდებელ კომერციულ საქმიანობას და ბირჟაზე თამაშით უზარმაზარი ქონება დააგროვა. 1815 წლიდან ხდება მიწათმფლობელი და იწყებს მეცნიერულ მოღვაწეობას. დ. რიკარდომ გამოავლინა მო-

გების ნორმის შემცირების ტენდენცია, შეიმუშავა მიწის რენტის ფორმირების თეორია.

დანახარჯ-მეთოდი (Cost-Method Затратный метод) – ინვესტიციის აღრიცხვის მეთოდი, როდესაც ინვესტიციის აღიარება ხდება თვითღირებულებით.

დარიცხვის მეთოდი (Accrual method Метод начисления) – ეკონომიკური მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე, მიუხედავად იმისა, არის თუ არა გადახდილი/მიღებული ფულადი სახსრები ან მოხდება თუ არა მომავალში გადახდა/მიღება.

დაფინანსება, (Funding Финансирование) – საბიუჯეტო სახსრების გამოყოფის გზით, ორგანიზაციის უზრუნველყოფა აუცილებელი ფინანსური რესურსებით.

დეპოზიტები (Deposits Депозиты) – ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში ორგანიზაციის ანგარიშებზე დროებით განთავსებული ფულადი შენატანები.

დებეტი (Debit. Дебет) – საბუღალტრო დავთრის (ანგარიშის) მარცხენა გვერდი, რომელშიც შეიტანება მოცემული ანგარიშის ყველა ნაღდი შემოსავალი, აგრეთვე ყველა ვალი და დანახარჯი, რომლებიც ამ ანგარიშზე აღირიცხება (საპირისპიროა კრედიტი).

დებიტორი (Debettor дебитор) – მოვალე, ე.ი. პირი ან დაწესებულება, რომელიც ვალდებულია გარკვეულ მომენტამდე დაფაროს აღებული ვალი (კრედიტი).

დევალვაცია (Devaluation. Девальвация) – ქაღალდის ფულის ინფლაციის შედეგად ვალუტის სტაბილიზაციის მეთოდი, ფულის რეფორმა.

დელეგირებული უფლებამოსილება (Delegated authority. Делегированые полномочия)– სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელსაც ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული.

დერივატივები (derivatives. Дпроизводные) – არის სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტების ფართო ნაკრები, რომელთა ღირებულება ნაწილობრივ სხვა ფასიანი ქაღალდის (საბაზისო ფასიანი ქაღალდის) ღირებულებითა და მახასიათებლებით განისაზღვრება. დერივატების მაგალითად შეიძლება ოფციონები, სვოპები და ფიუჩერსები იქნას დასახელებული.

დეფლატორი (Deflator. Дефлятор) – ფასების ინდექსი, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ წელს გამოშვებული საქონლის ღირებულების ფარდობას საბაზისო წლის ფასებში გამოსახულ ღირებულებასთან.

დეფლაცია (deflation дефляция) – არის ეკონომიკური მდგომარეობა, რომლისათვისაც საქონლისა და მომსახურების ფასების შემცირება არის დამახასიათებელი. იგი თავისი ბუნებით ინფლაციის საპირისპიროა და მას ნაღდი ფულის მყიდველობითი ღირებულების ამაღლებისაკენ და მიმოქცევაში ფულის რაოდენობის მნიშვნელოვანი შემცირებისაკენ მივყავართ.

დეპოზიტი (Deposit.Депозит) – ფულადი თანხა (ანაბარი) ფასიანი ქაღალდები ან სხვა სახის ფასეულობანი, ჩაბარებული საკრედიტო დაწესებულებაში დროებით შენახვის მიზნით, კრედიტორისათვის გადასაცემად, შემნახველ ბანკებში ვადიანი ან უვადო ანაბრები.

დივიდენდი (Dividend. дивиденд) მოგების ნაწილია, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წლის (სამეურნეო წლების) შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გაყიდვისას („მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53^1 მუხლის შესაბამისად) ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა საწესდებო და საემისიო კაპიტალის ქონებისა და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა შენატანის სახით.

დივერსიფიკაცია (Diversification. Диверсификация) – არის რისკის შემცირების მეთოდი, რომლის განხორციელება შესაძლებელია: დაბანდებების დანაწევრების გზით და ერთ მსესხებელზე ან ურთიერთდაკავშირებული მსესხებლების ჯგუფზე ზედმეტი კონცენტრაციის აღმოფხვრის ხარჯზე რისკის ფაქტორის ზემოქმედების შეზღუდვით. ხეჯირებისაგან განსხვავებით სწორი დივერსიფიკაცია, როგორც რისკის შემცირების ღონისძიება, პორტფელში ისეთი პროექტების ჩართვაზეა ორიენტირებული, ერთ-ერთ რომელთაგანშიც წარმატება ან წარუმატებლობა, მეორის წარმატებაზე ან წა-

რუმატებლობაზე მინიმალური ხარისხით არის დამოკიდებული.

დირექტორთა საბჭო (Board of Directors. Совет директоров) – არის კომიტეტი, რომელიც კომპანიის აქციონერების (მფლობელების) მიერ კომპანიის მუშაობაზე კონტროლის გახორციელების მიზნით არის არჩეული.

დისკონტი (discount скидка) – არის ნომინალზე დაბალი ფასი. საობლიგაციო დისკონტი – არის ობლიგაციის ნომინალური ღირებულების მეტობა მის მიმდინარე საბაზრო ღირებულებაზე. ობლიგაციები, რომლებიც 100-ზე ქვემოთ (ნომინალზე ქვემოთ) იყიდება, ამბობენ, რომ იგი დისკონტით იყიდება.

დოლარიზაციის კოეფიციენტი (Dollarization ratios. Коэфициет долларизации) – კომერციულ ბანკებში განთავსებული უცხოური ვალუტის დეპოზიტების მოცულობის შეფარდება დეპოზიტების საერთო ოდენობასთან.

დოტაცია (subsidy. Дотация) – ზარალის დასაფარავად საწარმოებისა და დაწესებულებების დახმარება.

დურაცია (Duration. Дурация (ხანგრძლივობა)) – არის ისეთი სახის მაჩვენებელი, რომელიც ობლიგაციის დაფარვის ვადის დადგომამდე დარჩენილ ვადას და ინვესტორის მიერ ფულადი სახსრების ნაკადების მიღების გრაფიკს ითვალისწინებს. მისი გაანგარიშება პერიოდული გადასახადების წმინდა მიმდინარე შეწონილი ღირებულების ობლიგაციის ფასზე გაყოფის გზით გაინგარიშება, სადაც ობლიგაციის ფასი განსაზღვრულია როგორც სამომავლო ფულადი ნაკადის წმინდა მიმდინარე ღირებულება.

ე (E)

ებიტი (Ebiti. ЭБИТ) – არის პროცენტისა და მოგების გადასახადით დაბეგვრამდე დარჩენილი მოგება (შემოსავალი).

ევრო (Evro. Евро) – ევროპის მონეტარულ კავშირში შემავალი ქვეყნების ერთიანი ევროპული ვალუტა, რომელიც უზრუნველყო-ფილია ამ კავშირში შემავალი ქვეყნების სავალუტო რეზერვებით. ქვს ანგარიშსწორების და საკრედიტო ფუნქციები. 1 ევრო შედგება 100 ცენტისაგან.

ეკიუ (Equ. Экю) – ფულის ერთეული, რომელიც იყო ევროპის სავალუტო სისტემის საფუძველი (1979 წლიდან). მასტრიხის ხელშეკრულებების თანახმად ეკიუ, შემდგომი უნდა ყოფილიყო სრულიად დამოუკიდებელი ვალუტა. 1999 წლის 1 იანვრიდან ეკიუს ნაცვლად მიმოქცევაშია ევრო.

ეკვივალენტი (Equivalent. Эквивалент) – ერთმნიშვნელოვანი, თანაბარძალიანი, თანაბარღირებულების, ტოლფასი რისამე.

ეკონომიკა (Economy. Экономика) – ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და მეურნეობის მართვას ნიშნავს. არის წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარების ამა თუ იმ საფეხურს შეესაბამება. ეკონომიკა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მდგომარეობას ახასიათებს მისი ეფექტიანობის ზრდის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ევგენი ევგენის ძე სლუცკი, Евгений Евгеньевич Слуцкий (18801948) რუსი ეკონომისტი, მათემატიკოსი და სტატისტიკოსი. კიევის კომერციულ ინსტიტუტში ასწავლიდა მათემატიკურ სტატისტიკასა და პოლიტიკურ ეკონომიას. მუშაობდა სსრკ ცსს-ში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსი-ტეტთან არსებულ მათემატიკისა და მექანიკის ს/კ ინსტიტუტში (1928 წლიდან).

ეკონომიკური ერთეული (Economic unit Экономическая единица) – სახელმწიფო ერთეულების (შემდგომში – ერთეულები) ჯგუფი, რომელიც შედგება ერთი მაკონტროლებელი და ერთი ან ერთზე მეტი კონტროლირებული ერთეულისაგან. წინამდებარე წესში გამოიყენება მხარჯავი დაწესებულების განსაზღვრისთვის, რომლის ვალდებულებას კონსოლიდირებული (ნაერთი) ანგარიშგების მომზადებაზე განსაზღვრავს მოქმედი კანონმდებლობა.

ეკონომიკური მოვლენა (Economic event Экономическое явленве) – ოპერაცია და სხვა მოვლენა, რომელიც ასახავს ღირებულების შექმნას, გარდაქმნას, გაცვლას, გადაცემას ან ანულირებას.

ელიავა ლია – ეკონომიკის აკადემიური დოქტორი. ქუთაისის უნივერსიტეტის პროფესორი, რექტორი (2016წ.).

დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი და საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით, აგრეთვე საფინანსო იურიდიული აკადემია ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობით. სხვადასხვა დროს მუშაობდა სსრკ სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ტექნოლოგიური ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, თბილისის საფინანსო იურიდიულ აკადემიაში, საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის სამსახურში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ.გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტში, საქართველოს ეროვნულ ბანკში. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკ-ის ფინანსებისა და საბანკო მიმართულების ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, კითხულობს ლექციებს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ექსპერტის სტატუსით ხშირად გამოდის ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში, აგრეთვე ტელევიზიით საბანკო საქმის აქტუალურ საკითხებზე.

ერთი დონის სახელმწიფო ერთეულები (State level of one level Одноуровневые государственные единицы) – ერთი დონის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ერთეულები.

ერთობლივი კონტროლი (Joint control Совместный контроль) – ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის უფლების განაწილება იურიდიული ძალის მქონე ხელშეკრულებით.

ერთობლივი საქმიანობა (Joint activities Совместная деятельность) – ორი ან მეტი მონაწილე მხარის ვალდებულება, ნარმართონ ერთობლივად კონტროლირებული საქმიანობა, სავალდებულო შეთანხმების საფუძველზე.

ერნესტ ენგელი (1821-1896) (Ernest Engel Эрнест Энгель) – გერმანელი სტატისტიკოსი, საქსონიის (1850-1858), შემდგომ კი პრუსიის (1860-1882) სტატისტიკური ბიუროს დირექტორი, საერთაშორისო სტატისტიკის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი (1885). იკვლევდა მუშათა ოჯახების ბიუჯეტის სტრუქტურას. ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია „ენგელის კანონი" და „ენგელის მრუდი".

ელექტრონული საბანკო მომსახურება (Electronic Banking Services. Электронное банковское обслуживание) – დაშორებული კლიენტების ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით მომსახურებას ითვალისწინებს. ელექტრონულ საბანკო მომსახურეობას შეიძლება მივაკუთვნოთ: მომსახურება პლასტიკური ბარათით, კლიენტის ადგილზე მომსახურეობა – სისტემა „ბანკი-კლიენტი", ავტომატური მომსახურეობა ტელეფონის მეშვეობით, მომსახურეობა ინტერნეტის გამოყენებით და სხვა.

ემბარგო (Embargo. Эмбарго) – სახელმწიფოს მიერ საქონლის, მომსახურების, ვალუტისა და სხვა ფასეულობის ქვეყანაში შემოტანის ან გატანის აკრძალვა.

ემისია (Emissions. Эмиссия) – ფულისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გამოშვება.

ეროვნული ვალუტა (National Currency. Национальная валюта) – სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ქვეყნის ფულადი ერთეული.

ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში (Currency in circulation. Нац.валюта в обращении) – ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გაშვებული ნაღდი ფული.

ეტალონი (Etalon. Эталон) – განზომილების საგულდაგულოდ დამზადებული ნიმუში, რომელიც მიმოქცევაში მყოფი ამავე განზომილების შესამოწმებლად იხმარება. მაგალითად, მეტრი სიგრძის გასაზომად, ფულის ნიშანი – ღირებულების გაზომვისათვის და სხვ.

ექსპორტი (Export. Экспорт) – ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საზღვარგარეთ გატანა.

ექსკლუზიური უფლებამოსილება (Exclusive authority. Эксклюзивные полномочия) – თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, რომელსაც იგი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით.

ვ (v)

ვალდებულება (Liability. Обязанность) – სეს-

ხების აღებასთან და მათი ძირითადი ნაწილის დაფარვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ვალუტა (Currency. Валюта) – ეროვნული ფულის ნიშანი. უფრო ხშირად უცხო ქვეყნის ფულის ნიშანს ეწოდება.

ვადაგადაცილებული დავალიან-ებები (Delayed liabilities Просроченные обязанности) – წინა წლებში წარმოქმნილი ყველა სახის კრედიტორული დავალიანება, გარდა გრძელვადიანი ვალდებულებებისა.

ვაშაკიძე ომარ შალვას ძე (1933-2008) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1989). დაამთავრა საქ.სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1955 წელს). მუშაობდა სოფლის მეურნეობის ს/კ ინსტიტუტში (1959-64) და ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ს/კ ინსტიტუტში. (1964-94). 1994 წლიდან იყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემის ს/კ ინსტიტუტის განყოფილების გამგე.

ძირითადი შრომები: „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და წარმოების ეფექტიანობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში (1982); „პირადი დამხმარე მეურნეობა საქართველოში და მისი პერსპექტივები (1988 წ) და სხვ.

ვეშაპიძე შოთა ალექსის ძე (დაბ. 1954 წ.) ეკონ.მეცნ.დოქტორი (2000). საქ.ეკონ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ ვაჭრობის ეკონომიკსა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტი. (1977). „ტექინფორმის“ ეკონომიკური განათლების სექტორის გამგე (1985-1987). თსუ-ს პროფესორი. (2002-2006). სტუ-ს პროფესორი. (2007-დან დღემდე).

ძირითადი შრომები: „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია და თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები. (1999), მსოფლიო ეკონომიკა (2007) და სხვ.

ვილფრედო პარეტო (1848-1923) – (Wilfredo Pareto Вильфредо Парето იტალიელი ეკონომისტი და სოციოლოგი. პოლიტიკური ეკონომიის ლოზანის სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორი. იკვლევდა ეკონომიკური კრიზისების, რენტის, ფულისა და პროცენტის პრობლემებს, სცადა ყველა ეკონომიკურ ფაქტორთა ურთიერთდამოკიდებულების მათემატიკური დასაბუთება.

ზ (Z)

ზარანდია ჯანდრი (დაიბადა 1944 წ) ეკონომიკურმეცნიერებათაა აკადემიური დოქტორი.პროფესორი. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი.

დაამთავრა საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს სოხუმის ფილიალის ეკონომიკური ფაკულტეტი.

1986-1989 წლებში იყო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი სწავლების პრორექტორი და ხელმძღვანელობდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომპლექსის მშენებლობას ქ.სოხუმში. 1989-2005 წლებში იყო თსუ-ს **სოხუმის ფილიალის დირექტორის მოადგილე.**

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მ.შ. 2 მონოგრაფია: „საქართველოს რეგიონული ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხები“; საქართველოს რეგიონების კონკურენტუნარიანობის კომპლექსური შეფასება. სახელმძღვანელოები: „საქართველოს რეგიონული განვითარების ეკონომიკა“; რეგიონალიზმი: თეორია და პრაქტიკა „ინოვაციური მენეჯმენტი“ და სხვ.

თ (T)

თავისუფალი ნაშთი (free balance. Свободный баланс) – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები აკრედიტივების, მიზნობრივი კრედიტებისა და გრანტების ნაშთის გამოკლებით.

თაკალანძე ლარისა – ეკონომიკურ მეცნიერებათა აკად. დოქტორი (1998) პროფესორი (2009 წლიდან) **სოხუმის სახელმწ. უნივერსიტ. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი** (2009 წლიდან დღემდე).

ჯილდო, ტიტული, საპატიო წოდება: აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი (2014); ჩერნიგოვის ეროვნული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის **საპატიო დოქტორი (უკრაინა),** მენეჯმენტის რეგიონული აკადემიის წევრ-კო-

რესპონდენტი (ყაზახეთი), 2011 წლიდან; საჯარო ადმინისტრირების მეცნიერებათა დოქტორების ასოციაციის წევრი 2016 წლიდან (უკრაინა).

ტრეინინგი – აკრედიტ. საგან. ტრეინინგპროგრამა: ფინანსური მენეჯმენტი და ფინანსური ანალიზი. სერთ. ფინანსურ მენეჯერთა ინსტ. ბათუმი (საქართველო) – ლონდონი (ბრიტანეთი) (2012); ქალთა მცირე მეწარმეობის მხარდაჭ. ნაციონალურ და ლოკალურ დონეზე" (2012).

ძირითადი შრომები: „მენეჯმენტი და ადმინისტრირება", სახელმძღ., (თანაავტ. – 2007; 2011); „სოციალური ეკო-ნომიკა" (თანაავტ. 2008); **მონოგრაფია;** საბაზრო ურთიერთობები სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში (2009); **მონოგრაფია;** „მენეჯმენტის საფუძვლები", სახელმძღ. (თანაავტ. – 2010) „ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და ადმინისტრირება", სახელმძღ. (თანაავტ. 2010) ეთიკა და სოციალური პასუხისმგ-ებლობა საერთაშორისო ბიზნესში 2016) და სხვ.

თვიური ინფლაცია (Monthly inflation. Месячная инфляция) – მოცემული თვის სამომხმარებლო ფასების (ტარიფების) ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა თვის შესაბამისი მაჩვენებლის მიმართ.

თოდუა გივი გრიგოლის ძე (1936-2005) გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1970).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობის კურსდამთავრებული ეკონომისტი 1959-61 წლებში მუშაობდა ქ. სოხუმის სახელმწიფო ბანკში, 1961-64 წწ. აფხაზეთის ფინანსთა სამინისტროში უფროსი რევიზორის თანამდებობაზე. 1964-1980 წლებში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქ.სოხუმი) „წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლისა და ანალიზის კათედრის გამგე (1980-89 წლის აპრილამდე), ხოლო ივ.ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალის **ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანი (1989-93 წწ).** იქვე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის **კათედრის გამგე (1998-2005).**

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი ნაშრომი. მათ შორის 3 მონოგრაფია, 4 სახელმძღვანელო.

თოდუა გრიგოლ სიმონის ძე (1928-2009) – ეკონ. მეცნ, დოქტორი (1968) ,პროფესორი.

დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1951).მუშაობდა: თელავის სახ. პედ-ინსტ-ის დოცენტი (1954-1957); საქ. მეც. აკადმიის ეკონ. ინსტ-ს მეცნ. თანამშ. (1957-1960); სახელმწიფო პედ-ინსტ-ის (ქ. თბილისი) პროფესორი (1960-1969); თსუ-პოლიტეკონომიის კათედრის პროფესორი (1971-1988): ეკონ. ფაკ-ის დეკანი (1977-1982); საერთაშორისო კათედრის გამგე (1993-2004), შეთავსებით თსუ-ს სოხუმის ფილიალში პროფესორად (1996-2006).

ძირითადი შრომები: „ეკონომიკურ კატეგორიათა დიალექტიკური კავშირურთიერთობის აქტუალური პრობლემები(რუს. ენაზე - 1979)"; „X!X ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები (ნაწ.1-1983; ნაწ.11-1987)"; „ა. სმიტიდა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის აქტუალური საკითხები (2000) და სხვ.

თორსთეინ ვებლენი (1857-1929) Thorstcyon Weblean Торстеион Веблен – ამერიკელი ეკონომისტი და სოციოლოგი, ასწავლიდა ჩიკაგოს (1891-1906) სტენფორდის (1096-1909) კოლუმბიის (1910-1917) უნივერსიტეტებში. ჩამოაყალიბა ინსტიტუციონალიზმის ძირითადი დებულებები.

ი (i)

იაშვილი გენადი – (დაბ. 1947 წ) – ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1999 წ.) სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკ. პროფესორი, საჯარო მმართველობის და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (2011 წ), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი-აკადემიკოსი (2012 წ.) დაამთაავრა ქ. ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1971წ), იქვე, 1974 წელს

დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გავლილი აქვს სტაჟირება **გერმანიის** წამყვან უნივერსიტეტებში და ფირმებში.

ძირითადი შრომები: ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, გამოგონების, მეთოდური ნაშრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს აეტორი. მრავალი საერთაშორისო კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე.

იდენტური საქონელი (Identical goods. Одинаковый товар) – სხვადასხვა საქონელი, რომლებსაც აქვთ ერთნაირი მახასიათებლები, კერძოდ, ფიზიკური მახასიათებლები, ხარისხი, რეპუტაცია ბაზარზე, წარმოშობის ქვეყანა და მწარმოებელი.

იმპორტი (import. Импорт) – ქვეყანაში უცხოური წარმოების საქონლის შემოტანა.

ინვესტიცია (Investment. Инвестиция) – (გერმანულად – **Investition**) ყველაზე ფართო გაგებით წარმოებაში კაპიტალის გრძელვადიან დაბანდებას ნიშნავს. ინვესტიცია არის კაპიტალის განთავსების ნებისმიერი ინსტრუმენტი, კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის გათვლილი ხერხი მოგების მიღების მიზნით. იგი მოიცავს ასევე ფასიანი ქაღალდების (აქციების, ობლიგაციების) შეძენას ფინანსურ შედეგებზე გათვლით.

ინოვაციები (Innovations. Иновации) – (იტალიურიდან inovatione – სიახლეთა დანერგვა) თანამედროვე ლიტერატურაში გაიხილება როგორც შრომისა და მართვის ორგანიზების ახალი ფორმები, ტექნოლოგიების ახალი სახეობები, ინვესტიციები ნოვაციებში.

ინკასო (collection. Коллекции) – კლიენტის დავალებით მესამე პირისგან ბანკის მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტების საფუძველზე კუთვნილი თანხის მიღება, რისთვისაც ბანკს გარკვეული სარგებელი ეკუთვნის.

ინსაიდერი (insider. Инсайдер) – არის კომპანიის თანამშრომელი ან ხელმძღვანელი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ადამიანი, რომელსაც საზოგადოებისათვის დახურულ კორპორაციულ ინფორმაციასთან ხელი მიუწვდება.

ინფლაცია (inflation. Инфляция)Инфляция – არის ისეთი ეკონომიკური სიტუაცია, რომლის დროს საქონელზე და მომსახურებაზე ფასები მატულობს. ინფლაცია ნაღდი ფულის მყიდველობითი შესაძლებლობის შემცირებასთან არის დაკავშირებული და მას ბრუნვაში ფულის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდისკენ მივყავართ. ხშირად იგი ხელისუფლების ორგანოების მიერ ზედმეტად მაღალი ხარჯების შედეგია.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, (Individual financial statements Индивидуальный финасовый счёт) – ფინანსური ანგარიშგება, წარდგენილი კონტროლებული ერთეულის მიერ.

იოზეფ ალიოზ შუმპეტერი (1883-1950) (Joseph Aliyoz Schumpeter Иозеф Алиоз Шеумпетер) ავსტრიელი ეკონომისტი. XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ეკონომისტი. ბონისა და ჰარვარდის უნივერსიტეტების პროფესორი. მისი შრომები ეძღვნებაეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ციკლის თეორიას.

იოჰან გუსტავ კნუტ ვიქსელი (1851-1926) (Johann Gustav Knut Wixel Иоган Густав Кнут Виксель), შვედი ეკონომისტი, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა ქ. ლუანდის უნივერსიტეტში, პირველმა გამოიყენა მარჟინალური ანალიზი საზოგადოებრივ სექტორში, შეიმუშავა კაპიტალისა და სარგებლის განაკვეთის ზღვრული სარგებლიანობის თავისებური ვარიანტი. მისმა ნაშრომმა „სოციალისტური სახელმწიფო“ და თანამედროვე საზოგადოება (1905) იდეური საფუძველი მოამზადა „სოციალიზმის შვედური მოდელისთვის“. ძირითადი ნაშრომებია: „ფასეულობა, კაპიტალი და რენტა“ (1893), „საზოგადოებრივი ფინანსების თეორიის გამოკვლევა (1896) „ლექციები პოლიტიკურ ეკონომიკაში I და II ნაწილი (1901-1906).

იოჰან ჰენრიხ ფონ თიუნენი (1785-1850) **(Johann Henrich von Tununen Иохан Геприх фон Тиунени)** გერმანელი ეკონომისტი. საფუძველი დაუდო მარჟინალურ ანალიზს. აქვს ნაშრომები რენტის, მიწის ტერიტორიის ორგანიზაციის, ზღვრული სარგებლიანობის საფუძველზე განანილების თეორიებზე.

იპოთეკა (Mortgages. Ипотека) – უძრავი ქონების გირაო, რომლის საფუძველზე შეიძლება კრედიტის მიღება. თუ კრედიტის ამღებმა ნაკისრი ვალდებულება არ შეას-

რულა, მაშინ კრედიტორის სასარგებლოდ წყდება მისი მოთხოვნა რეგისტრირებული გირაოს ღირებულების ფარგლებში.

ირვინგ ფიშერი (1867-1947) (Irving Fisher Ирвинг Фишер) ამერიკელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი. 1893-1935 წწ. იელის უნივერსიტეტში ასწავლიდა პოლიტიკურ ეკონომიას. საერთაშორისო ეკონომიკური საზოგადოების დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი.

კ (k)

კაკულია რევაზ შალვას ძე (1936) ეკონ. მეცნ. დოქტორი 1993), პროფე-სორი. საქ. ეკონ. მეცნ.აკად.აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ ეკონ. ფაკულტ. (1959). მუშაობდა: საქ. კ.პ.ცკ-ს ინსტრუქტორი (1962-72 წ.); საქოს ფინანსთა (1972-79) და სოფლის მეურნეობის (1979-85) მინისტრის მოადგილე. 1991 წლიდან საქ. ეკონ. და სოც. პრობლემების ს/კ ინსტიტუტის დირექტ. მოადგილე.

ძირითადი შრომები: „საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები (1995 წ) „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია. თანაავტ. (2000 წ.) „ფინანსების ზოგადი თეორია" (2001 წ) „ფინანსური ეკონომიკა (2007) და სხვ.

კალანდია ირაკლი დოტოს ძე – (დაბ.1947), ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი (1997 წ), **საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.** საქართველოს საველე წერეთლის სახ. **ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.** (2005-2011 წწ.) საქ.განათლების მეცნიერებათა აკად. **აკადემიკოსი.** საქ.ტექნიკური უნივერსიტეტის **პროფესორი** (2012 წლიდან დღემდე), **ა.შ.შ-ს ბიოგრაფიის ინსტიტუტის მიერ დასახელებულია 2000 წლის ადამიანად. სამეცნ. ინტერესების სფერო:** მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და კულტურის ურთიერთობების პრობლემები. საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მონაწილე (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი) **ძირითადი შრომები:** გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ. რუსულ და ინგლისურ ენებზე. „ცივილიზაცია, კულტურა, პროგრესი". თბ, 2000 ნ.მონოგრაფია, „პერსონალის მართვის ფსიქო-სოციალური ასპექტები" (2017): „მეხსიერების ფენომენი" (2017). „პიროვნების ფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი" და სხვ.

კალკულაცია (Calculation. Калькуляция) – გამოთ ვლა. ეკონომიკაში იყენებენ პროდუქციის (ან მომსახურების) თვითღირებულების გაანგარიშებისათვის დანახარჯთა ყოველი მუხლის გამოთვლისა და განაწილების გზით.

კაპიტალი (capital. Капитал) – ქონება, სიმდიდრე, თანხა, ფასეულობა, ფული. მეწარმეობის (ამხანაგობების, სააქციო საზოგადოებების, კორპორაციების) პირობებში ძირითადი და საბრუნავი საშუალებათა საერთო ღირებულება. ძირითადად განარჩევენ გამოშვებულ, გადახდილ, სარეზერვო, გადაუხდელ, ნომინალურ, საწესდებო კაპიტალს, აგრეთვე საკუთარ და სესხით აღებულ კაპიტალს.

კაპიტალის ანგარიში (capital ecount. Счёт капитала) – საგადამხდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ნაწილი, რომელიც ძირითადად კაპიტალურ ტრანსფერებს მოიცავს.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში (capital end finacial ecount. Счёт капитала и финансов) – საგადამხდელო ბალანსის ნაწილი, რის ხარჯზეც უნდა დაფინანსდეს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი. იგი მოიცავს ორ ანგარიშს: კაპიტალისა და ფინანსურ ანგარიშებს.

კაპიტალური ტრანსფერი (capital transfer. Капитальный Трансфер) – საგადამხდელო ბალანსის კაპიტალის ანგარიშის ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ძირითად კაპიტალთან და ვალის პატიებასთან.

კაპიტალიზაცია (capitalization. Капитализация) – არის ბიზნესში ინვესტირებული ყველა ფული, მათ შორის სააქციო კაპიტალი, გრძელვადიანი სავალო ვალდებულებები (ობლიგაციები), გაუნაწილებელი მოგება და სხვა სარეზერვო ფონდები.

კაპიტალური მოგება (capital gain Прирост капитала) – არის მოგება, რომელიც ფასიანი ქაღალდების, უძრავი ქონების, საკუთრების ან ანალოგიური აქტივების,

გაცვლის ან გაყიდვისაგან არის მიღებული. თანამედროვე პირობებში ქვეყნებში მომქმედი საგადასახადო წესების თანახმად, აღნიშნული მოგება გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება.

კაპიტალის შემოსავლიანობა (return on equity, ROE. Доходность капитала) – არის კომპანიაში შემოსავლიანობის კოეფიციენტი ინვესტიციებზე, რომელიც ამ კომპანიამ აქციონერულ კაპიტალზე მიიღო. იგი განისაზღვრება როგორც სუფთა შემოსავალი გაყოფილი სააქციო კაპიტალის საშუალო სიდიდეზე.

კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება (Capital budgeting. Бюджетирование капиталовложений) – არის საინვესტიციო პროექტების იდენტიფიკაციის, ანალიზის და შერჩევის პროცესი, როდესაც შემოსავლების (ფულადი ნაკადების), მოგების მიღება მოსალოდნელია მომავალში და ეფუძნება კაპიტალდაბანდებების ალტერნატიული პროექტების შედარების ანალიზს.

კაპიტალი (Equity, Капитал) – აქტივებისა და ვალდებულებების მთლიან თანხებს შორის სხვაობა.

კაპიტალ-მეთოდი, (Capital method, Капитальный метод) – ისეთი სააღრიცხვო მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინვესტიციის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას ინვესტირებული ერთეულის კაპიტალში არსებული ინვესტორის წილის შეძენის შემდგომი ცვლილების შესაბამისად.

კარლ მენგერი, Carl Manger Карл Менгер (1840-1921) ავსტრიელი ეკონომისტი. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი (1879-1903). ზღვრული სარგებლიანობის თეორიის და პოლიტიკური ეკონომიის ავსტრიულ ისკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი, რომლის ძირითადი პოსტულატები წარმოადგინა თავის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის დასაბუთება“.

კარლ ჰენრიხ მარქსი (მორდეხაი ლევი) Carl Henrique Marx Карл Маркс გერმანელი ეკონომისტი, ფილოსოფოსი, მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის ფუძემდებელი.

კვარაცხელია მურმან სარდიონის ძე (1952 წ.) ეკონ. მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი. საქ.ეკონ.მეცნ.აკად.წევრი. **აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი** (1991 წლიდან), დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი (1976); 1977-83 წწ. მუშაობდა საქ. მეცნ. აკად. ეკონ. და სამართ. ინსტ-ში. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1981 წ.) ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტს დოცენტი (1981-85 წწ.), 1986 წლიდან საქ.სუბრტროპიკული ინსტიტუტის დოცენტი (ქ.სოხუმი). 1994 წლიდან თსუ-ს სოხუმის ფილიალის, შემდგომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი, თსუ-ს პ.გუგუშვილის ეკ-ონ.ინს-ტის უფრ. მეცნ.თანამშრომელი.

ძირითადი შრომები: „აუდიტის საფუძვლები“. მეთოდური სახელმძღ. (თანაავტ. 1997); „ი.ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში“ თბილისი, 2012 და სხვ.

კილასონია გივი (1932-2015) ფიზიკის მეცნ. დოქტორი. პროფესორი, მეცნიე-რების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ბიზნესისა და აფხაზეთის მეცნ. ეროვნ. აკადემიების აკადემიკოსი, სრულიად საქართველოს საზოგადოება „კოლხეთის“ პრეზიდიუმის წევრი. მუშაობდა საქართველოს სუბტრობიკული მეურნეობის ინსტიტუტში (ქ.სოხუმი), კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის გამგე (1972 წლიდან). სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტის რექტორი (1989-2015 წწ.).

ძირითადი შრომები: „გზა მშვიდობისა ფერმერო“ (1996); „ფერმერის მეგზური“ (1999); ფილოსოფიურ-პუბლიცისტური ნააზრევის „ეჰეი, ვინა ხარ შენ, ადამიანო?!“ წერილების ავტორი (2006-2008 წწ) და სხვ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (Consolidated financial statements Консолидированне финансовой отчётности) – ეკონომიკური ერთეულის ანგარიშგება, რომელიც წარდგენილია როგორც ერთი ერთეულის ანგარიშგება.

კონტროლი, (Control, Контроль) – უფლებამოსილება მართოს სხვა ერთეულების ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა, ფულადი ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით.

კორადო ჯინი, Corrado Gin, Корадо Джини (1884-1965) იტალიელი სტატისტიკოსი, სოციოლოგი, ეკონომისტი და დემოგრაფი. კალიარის (1910), პადეუს (1913), რომის (1925-1955) უნივერსიტეტების პროფესორი. სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტის დამაარსებელი და პირველი დირექტორი (1926-1932). შეიმუშავა შემოსავლისა და სიმდიდრის შეფასების მეთოდები, მათი დიფერენციაციის მაჩვენებლები (ჯინის კოეფიციენტი). წარმოადგინა საზოგადოების განვითარების თეორია.

კონტროლირებული ერთეული (Controlled unit Контрольная единица) – ერთეული რომელიც იმყოფება სხვა ერთეულის (მაკონტროლებელი ერთეულის) კონტროლის ქვეშ.

კუზნეცი საიმონ (Kuzneets Simon Кузнец Саймон) (აშშ) ეკონოკიკური ზრდის ემპირიულად დასაბუთებული გაგებისთვის, რამაც მიგვიყვანა ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურის განვითარების პროცესის ახალ, უფრო ღრმა გაგებამდე.

კალენდარული სპრედი (Calendar spread.К Расписание) – არის ოფციონების შეძენისა და გაყიდვის საინვესტიციო სტრატეგია ერთი და იგივე საბაზო ფასიან ქაღალდზე, როდესაც აღნიშნულ ოფციონებს გამოყენების ერთნაირი ფასი, მაგრამ დაფარვის სხვადასხვა ვადები გააჩნია.

კალენდარული წელი (Calendar year. Календарный год) – დროის მონაკვეთი ერთი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ხოლო ახალ რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელებისათვის – პირველ წელს რეგისტრაციის თარიღიდან იმავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

კაპიტალის ბაზარი (Capital Market. Рынок капитала) – არის გრძელვადიანი (ერთ წელზე მეტი ვადიანი) სავალო ფინანსური ინსტრუმენტებისა და აქტივების ბაზარი.

კაპიტალური ზარალი (capitale loss Убыток капитала) – არის ზარალი, რომელიც ფასიანი ქაღალდების, უძრავი ქონებისა და სხვა მსგავსი აქტივების გაყიდვის ან გაცვლის შედეგად არის მიღებული. ზოგჯერ აღნიშნული ზარალი შეიძლება გადასახადების თანხის შესამცირებლად იქნას გამოყენებული.

კლირინგი (Clearing. Клиринг) – უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა, მაგალითად, საერთაშორისო ვაჭრობაში, როდესაც ქვეყნებს შორის დავალიანებანი ურთიერთშემხვედრი საგადასახადო ვალდებულებათა საშუალებებით იფარება.

კომპენსაცია (Compensation. Компенсация) – პირის მიერ გაწეული მომსახურებისათვის ან მისივე ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება, გასამრჯელო, სარგებელი, საფასური, საზღაური, ჯილდო.

კომერციული ბანკი (comercial bank. Коммерческий банк) – არის უნივერსალური საკრედიტო დაწესებულება, რომელიც ქვეყნის ეროვნული (ცენტრალური) ბანკის მიერ დადგენილი წესით და მოგების მიღების მიზნით ეწევა საბანკო საქმიანობას.

კონვერტირებადი პრივილეგირებული აქცია (convertible preferred stockюконвертируемые привилегированные акции) – აქცია, რომელიც მფლობელის თანხმობით შეიძლება ჩვეულებრივ აქციებში იქნას კონვერტირებული.

კომერციული ბანკების საკორესპოდენტო ანგარიშები ეროვნულ ბანკში (Commercial Banks' correspondent accounts with the National Bank of. Кореспондентские счета комерческих банков в национальном банке) – გამოიყენება კლიენტთა სახელით ბანკთაშორისი ანგარიშსწორების განსახორციელებლად.

კორპორაცია (Corporation. Корпорация) – აქციონერთა საზოგადოების ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა, რომელიც საერთო ეკონომიკური ინტერესების მიხედვით იქმნება. კაპიტალის კონცენტრაციის გზით, თანამედროვე კორპორაციები უდიდეს მაშსტაბს აღწევენ და მონოპოლიურ პირობებს წარმოშობენ.

კრედიტი (Credit. Кредит) – დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე ფულადი თანხების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულებაა.

კრედიტუნარიანობა (solvency. Кредитоспособность) – მსესხებლის მიერ საკრედიტო ხელშეკრულების პირობების შესრულების შესაძლებლობისა და სურვილის მახასიათებელია.

კრედიტის ლიკვიდურობა (Credit liquidity. Ликвидация кредита) – არის ფულადი სახსრების მოდინების ხარისხი საკრედიტო ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში. რაც საპროცენტო განაკვეთის და პროცენტების გადახდის გრაფიკისა და დავალიანების ძირითადი თანხის დაფარვის სიდიდით განისაზღვრება.

კრედიტის სტრუქტურა (Credit Structure. Структура кредита) – არის კრედიტის ძირითადი სტრუქტურული პარამეტრების განსაზღვრა, რომელიც მოიცავს: მოცულობას; დაფარვის გრაფიკს; მონოტორინგისადმი მიდგომას; უზრუნველყოფას; დოკუმენტაციის ჩამონათვალს; ფასს.

კურატაშვილი ალფრედ ანზორის ძე (1941)- ეკონ. მეცნ. დოქტორი(1990), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონ. ფაკ.(1962). იყო 1972-1991 წწ. – თბილისის სახ. კონსერვატორიის დოცენტი, პროფესორი, საზოგად. კათედრის გამგე(1986-1991წწ). საქ. მეცნ. აკადემიის ეკონ. ინტ-ის მთ. მეცნ. თანამშრომელი (1991-1992). სტუ-ს პროფესორი 2009 წლიდან დღემდე.

ძირითადი შრომები: „სამეურნეო ანგარიში საზოგადოებრივ კვება-ში“ (რუს. ენაზე-1976 წ.); „სოციალურ-ეკონომიკური კანონების თეორია„(1982) და სხვ.

კუტუბიძე კოკა შალვას ძე (1949) – ფილოსოფიის მეცნ.კანდიდატი (1982). პროფესორი დაამთავრა: თსუ-ს ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (1973 წ.) ასპირანტურა (1977წ.); ილ. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა ინსტ-ის გერმანული ენის ფაკ. (1989); თბილისის ბიზნესისა და მარკეტინგის უმაღლესი სკოლა (1995). მუშაობდა: ეკონომიკისა და მართვის ინსტ-ში მეცნიერ-მუშაკად (1974-1978); საქ. სახელმწიფო სამედიცინო ინსტ-ში ფილოსოფიის კათედრის დოცენტად (1978-1992) საქართველოს კონტროლის პალატაში მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობზე (1992-2004); სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის კაედრის გამგედ (2005 წლიდან).

ძირითადი შრომები: „შრომა მეცნიერულ –ტექნიკური რევოლუციის პირობებში“ (1983); „ცივილიზაცია, კულტურა, პროგრესი“ (1999); გარდა-მავალი საზოგადოება: სახელმწიფო სუვერენიტეტი და გლობალური ინტერესები“ (2002); „სოციალური პოლიტიკის ფორმირების პრობლემები გარდამავალ პერიოდში“ (2003) და სხვ.

ლ (l)

ლეონ მარი ესპრი ვალრასი (Leon Marie Versace of Spain Леон Мари Эспри Валрас) – (1834-1910) ფრანგი ეკონომისტი. ეკონომიკაში მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, „ლოზანის სკოლის“ ფუძემდებელი, ლოზანის უნივერსიტეტის პროფესორი (1870–1892). ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. საერთო ეკონომიკური წონასწორობის სისტემის – სახალხო მეურნეობის პირველი მათემატიკური მოდელის ავტორი.

ლემონჯავა პარმენ ბეგის ძე (1936) – **ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990), პროფესორი. საქ. ეკონ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ. (1960). იყო 1972-1978 წლებში სპი-დოცენტი,1978 წლიდან თსუ-ს ეკონომიკური თეორიის კათედრის დოცენტი, პროფესორი-2006წ., სტუ-ს პროფესორი დღემდე.**

ძირითადი შრომები: „ეკოლოგიის ეკონომიკური პრობლემები „(1987); „ბუნების გამოყენები ეკონომიკა“ (1993); „ეკონომიკური განვითარების პრობლემები“ (2002); „ეკონომიკის პრინციპები“ (2009) და სხვ.

ლიზინგი (Leasing. Лизинг) – არის სამეწარმეო საქმიანობის ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება ქონების გადაცემა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის განსაზღვრული საზღაურით, ვადითა და პირობებით, ლიზინგის მიმღების მიერ ქონების გამოსყიდვის უფლებით, ან მის გარეშე.

ლიკვიდურობა (Liquidity. Ликвидность) – არის სახსრების მისაღები ფასებით და საჭირო მომენტში მისი გამოყენების შესაძლებლობა.

ლიკვიდური აქტივები (Liquid Assets. Ликвидные активы) – არის ნებისმიერი აქტივი,

რომელიც სამ შემდეგ პირობას აკმაყოფილებს: 1) ფასისმიერ სტაბილურობას; 2) ბაზარზე თავისუფალ მიმოქცევადობას; 3) ბრუნვადობას. მაღალ ლიკვიდურ აქტივებს: ორგანიზაციების სალაროში ნაღდი ფულის, მოთხოვნამდე ანგარიშებზე ნაშთების, კონვერტირებადი ვალუტისა, ასევე მიეკუთვნებათ ადვილად რეალიზებადი ფასიანი ქაღალდები. იკვიდური აქტივები მაღალ ლიკვიდურ აქტივებთან ერთად საკრედიტო საბანდებებსაც მოიცავენ, რომელთა დაფარვა უახლოესი 30 დღის განმავლობაში არის გათვალისწინებული. აკლებად ლიკვიდურ აქტივებს მიეკუთვნება გრძელვადიანი ფინანსური დაბანდებები (გრძელვადიანი კრედიტები, წილები, აქციები), შენობები და ნაგებობები.

ლიკვიდური ნორმატივები (Liquid standards. Ликвидные нормативы) – არის ნორმატივები, რომლებიც ლიკვიდურობის კოეფიციენტებზეა დაფუძნებული და იგი მოკლევადიანი ვალდებულებების მიხედვით ბანკის პასუხისმგებლობის შესაძლებლობას ითვალისწინებს.

ლომთათიძე ზაურ (ზურაბ) ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი; საქართველოს მიკრობიოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარე. დაამთავრა სოხუმის შოთა რუსთაველის I საშუალო სკოლა და თბილისის სახ. უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. სწავლობდა მოსკოვის მ. ლომონისოვის სახ. უნივერსიტ. ასპირანტურაში. წლების მანძილზე მუშაობდა მოსკოვის მიკრობიოლოგიის ინსტიტუტში, საქართველოში ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილების გამგედ, ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს მიკრობი-ოლოგიის და ვირუსოლოგიის და სოხუმის უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის, გენეტიკის და ბიოტექნოლოგიის კათედრის გამგედ, ბიოლოგიის მიმართულების ხელმძღ.

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 250-მდე სამეცნიერო შრომა საქართველოსა და უცხოეთში. მიღებული აქვს გამოგონებაზე 10 მოწმობა და პატენტი. არის 4 მონოგრაფიის და 2 სახელმძღ. ავტორი, მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების სამეცნ-იერო ხელმძღ. და სხვ.

ლორთქიფანიძე რევაზ (დაბ. 1965) – მეცნიერებათა დოქტორი (1999) პროფესორი (2010). 1989 წელს დაასრულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა, 1986 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო–ეკონომიკური ფაკულტეტი (წარჩინებით). 1981 წელს ბათუმის №1 საშუალოს სკოლა (ოქროს მედლით). **პროფესიული გამოცდილება:** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავარი სპეციალისტობიდან დაწინაურდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვის სამმართველოს უფროსამდე (2001-2009). 2013 წელს აირჩიეს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1997-1998), აჭარის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე (1993-1996), აჭარის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე, როგორც მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი (1993-1994), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტობიდან დაწინაურდა უფროს მეცნიერმუშაკად (1986-1993).

ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრობის სერთიფიკატი, ევროკავშირის პროექტის სერთიფიკატი. საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ გაცემული მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი; მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით რუსეთის მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარჩინების დიპლომი; და სხვ. ინფორმაცია მის შესახებ შესულია ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში (2005), როგორც ახალგაზრდა მეცნიერებათა დოქტორს (1999), მიენიჭა გრანტი – საქართველოს პრეზიდენტის პირველი ხარისხის სტიპენდია, გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ნომინაციაში „ყველაზე ინტელექტუალური" (2006).

სამეცნიერო შრომები: 150-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი, მ. შ. 30 წიგნადი

შრომაა ეკონომიკაში. **კვლევის სფეროებს წარმოადგენს** ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული საფუძვლები, მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, აშშ ეკონომიკა, ეკონომიკური კონკურენცია და ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობა (განავითარა ევროკავშირის ექსპერტთა ფორმულირება), ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობა, სავალუტო სისტემა და სხვ.

მ (M)

მაკონტროლებელი ერთეული (Controlling unit Контролирую щаяединица) – ერთეული, რომელიც აკონტროლებს ერთ ან მეტ კონტროლირებულ ერთეულს.

მალაშხია გიორგი მამანტის ძე (1934) – ეკონ. მეცნ. დოქტორი (1997), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (1997-2006 წწ.) სტუ-ს პროფესორი (2007-დან დღემდე). საქართველოს სსრ. სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (1975 წ.)

ძირითადი შრომები: „ავტომატი-ზაცია და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები" (1984); „მეტაეკონომიკა **ეკონომიკის ფილოსოფია**" 1995.); „ეკონომიკურ-ფილოსოფიური ესეები" (2001 წ.) „გადასა-ხადების არსებობის საფუძველი და საერთო ნორმა" (2001); „Метатеория прибыли (что в самом деле есть прибыль)" (2007); „Экономическое эссе." Тбилиси (2013) და სხვ.

მარკოვიცი ჰარი (აშშ) შარპი უილიამ (აშშ) მერტორი მილერ (აშშ)(Markovi Harry, Маркови Гарри) – „ფინანსური ეკონომიკური თეორიის განვითარებისთვის.

მარშანია ლორიკ ბესარიონის ძე (1933-2016). – ეკონ.მეცნ.დოქტორი (1987). პროფესორი 1988. აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტი(1957).ასპირანტურა (1962); იყო საქ. მეცნ. აკად-თან არსებული დ.გულიას სახ. ინ-ტის მეცნ.მუშაკი (1963-1964). 1964-1972 წწ. – საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინ-ტის (ქ. სოხუმი) დოცენტი, პრორექტორი სამეცნ. მუშაობის დარგში. საქ. მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახალხო მეურნეობის მართვის ინ-ტის **რექტორი (1985-1991),** აფხაზეთის ა/რ მინისტრთა საბჭოს თავ-რის პირველი მოადგილე (1992-2002). დაჯილდოებულია ვახტანგ გორგას-ლის პირველი ხარისხის ორდენით (1997). არჩეული იყო აფხაზეთისა და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატად, არის საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

ძირითადი შრომები: „ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები საქართველოს სოფლის მეურნეობაში. თბ. 1986. (რუსულ ენაზე). „საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკა". თბ. 1998 წ. (რუსულ ენაზე). „აფხაზეთის ა/რ აგროსამრეწველო კომპლექსის ალორძინებისა და განვითარების პერსპექტივები. 2003 წ. და სხვ.

მატერიალური აქტივი (Assets. Материальные активы) – აქტივი, რომელიც არ არის არამატერიალური აქტივი.

მაქს ოტო ლორენცი (Max Otto Lorenz Макс Ото Лорен) (1876-1959) – ამერიკელი სტატისტიკოსი და ეკონომისტი. იყო ბერლინგტონის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებელი. ასწავლიდა ეკონომიკას ვისკონსინის უნივერსიტეტში (1901 წლიდან), 1906 წელს მიიღო დოქტორის ხარისხი. 1907-1911 წწ. იყო მიმოწერის ამერიკული ბიუროს აგენტი. სარკინიგზო ტრანსპორტის ეკონომიკის ბიუროს სტატისტიკოსი. 1911 წლიდან სახელმწიფო კომერციის კომისიის ნამდვილი წევრია, ხოლო 1917-1944 წწ. – ბიუროს უფროსი. მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებაა შემოსავლების სტატისტიკა, შემოიტანა შემოსავლების განაწილების შეფასების ახალი მექანიზმი, რომელიც „ლორენცის მრუდის" სახელითაა ცნობილი.

მეკავშირე ერთეული (Liaison unit Посредническая единица) – ერთეული, ამხანაგობის ტიპის არაკორპორაციული ერთეულის ჩათვლით, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და ამავე დროს იგი არ არის არც კონტროლირებული ერთეული, არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მესამე პირის გადახდები (Third party payments Платежи третьего лица) – უცხოური კრედიტებითა და გრანტებით განსა-

ხორციელებელი ინვესტიციური პროექტების ფარგლებში, დონორების მიერ ხაზინის ანგარიშების გაუვალად პროექტის განმახორციელებლებზე თანხების გადარიცხვა.

მესხია იაკობი (იაშა) – (1946-2016). ეკონ. მეცნ. დოქტორი, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი და პრეზიდენტი (2015-2016) ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, და სხვა სამეცნიერო გაერთიანებების წევრი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში და ღირსების ორდენის კავალერი.

ძირითადი შრომები: ქართულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული აქვს 400-მდე სამეცნიერო ნაშრომი. „რეგიონული ეკონომიკური პროგნოზირების საკითხები (მოსკოვი 1983); „ეკონომიკური რეფორმა საქართველოში“ (1996); „საქართველოს საფინანსო პოლიტიკის თანამედროვე პრობლემები“ (1999 წ); „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“ (2003); „ინფლაციის გლობალიზაცია – მსოფლიო ეკონომიკის ახალი დაავადება“ (ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2008, N12.) „საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების ინდიკატორების პროგნოზი“ (2009); „საერთაშორისო ვაჭრობა“ (2011); „ბიზნესის საფუძვლები“ (2011); „საერთაშორისო ფინანსები“ (2012) და სხვ. 15-მდე სამეცნიერო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი და ჟურნალების „გადასახადებისა“ და „ფინანსური კონტროლის“ მთავარი რედაქტორი.

მილტონ ფრიდმენი (Milton Friedman Милтон Фридман) (დაბ.1912) – ამერიკელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელი. იგი ეკონომიკურ თეორიაში მონეტარული მიმართუ-ლების აღიარებული ლიდერია.

მიმდინარე (სპოტ) გაცვლითი კურსი (Current (SPOT) exchange rate Действующий валютный курс) – ვალუტის გაცვლითი კურსი დაუყოვნებელი მინოდებისას.

მისაბიშვილი შოთა ვლადიმირის ძე (1921-2007) – 1947 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი. ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტო-რი – 1966 წლიდან. გამოქვეყნებული აქვს – 5 მონოგრაფია, 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მისი მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულებები: სოციალური შემეცნების მითოლოგია; ერთეულისა და ზოგადის დიალექტიკა; პოლიტიკა და ჰერმენევტიკა და სხვ.დაუდგრომელი ხასიათის მქონე ბატონი შოთა 1996 წელს აფხაზეთიდან დევნილ მეცნიერთა მონაწილეობითა და მხარდაჭერით აყალიბებს აფხაზე-თის მეცნიერებათა აკადემიას, მას ირჩევენ ამ აკადემიის პრეზიდენტად. იგი დაჯილდოებულია დიდი ივანე ჯავახიშვილის მედლით და ღირსების ორდენით.

მოკლევადიანი აქტივი/ვალდებულება (Short term asset / liability Краткосрочные активы/обязательства) – საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვ-რული აქტივი/ვალდებულება, რომელთა გამოყენება (მოხმარება)/ დაფარვა მოსალოდნელია ანგარი-შგების თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში.

მოსიაშვილი ვალერი (დაბ. 1975) ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (2002); საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემია „ქალდეა“, ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი; საერო აკადემია „ფაზისი“, ნამდვილი წევრი. აკადემიკოსი. დაამთავრა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური აკადემია (წარჩინებით). კვალიფიკაცია-ეკონომისტის, სპეციალობა – ფინანსები და საბანკო საქმე. (1994) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემებისს ინსტიტუტის ასპირანტურა (2000წ).

პროფესიული გამოცდილება: საქ. ეკონ. სამინისტრ.არსებული ეკონ.და სოც. პრობლემებისს უმცროსი მეცნიერ-მუშაკიდან წამყვანმეცნიერ მუშაკამდე (1996-2006); პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის „აღმაშენებელი“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2004-2009); სტუ-ს

პროფესორი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (სეუ) პროფესორი (2009-2011) სეუ-ს ბიზნესის მართვის ფაკ-ის დეკანი. სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკ-ის ფინანსებისა და საბანკო საქმის დეპარტამენტის პროფესორი. (2013 წლიდან დღემდე).

ძირითადი შრომები: „ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორია-ები" (2009) „საბანკოსაქმის საფუძვლ-ები (თანაავტორ.2013); საბანკო საქმე" (თანაავტორ. 2014) „ფინანსები" (სახე-ლმძ.), თანაავტორ. (2016) ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები (სახელმძ.). თბ. (2017) „რისკოლოგია: ეკონომიკური, ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკების მენეჯმენტი", სახელმძ. – თბილისი (2018) და სხვ.

მომსახურების აღდგენითი ღირებულება (Service restorative value Восстановительная стоимость) – რეალურ ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას (აქტივის გამოყენების დარჩენილი პოტენციალის მიმდინარე დისკონტირებულ ღირებულებას) შორის უდიდესი.

მნიშვნელოვანი გავლენა (Significant influence Значительное влияние) – ინვესტორის მიერ ინვესტირებული ერთეულის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის მიღების უფლება, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

მცირეფასიანი აქტივი (Low cost asset Малоценный актив) – 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა, ინვენტარი და მოწყობილობა.

მეორადი კაპიტალი (Secondary capital. Вторичный капитал) – არის პრივილეგირებული აქციების ჯამი, რომელსაც მიმოქცევის შეზღუდული ვადა გააჩნია, ასევე სუბსიდირებული ფასიანი ქაღალდები და ვალდებულებები, სავალო ინსტრუმენტები, პირველადი კაპიტალის გაუთვალისწინებელ აქციებში კონვერტირებადი ვალდებულებები.

მთლიანი მოგება (gross profrts. Валовая прибыль) – არის მოგება, რომელიც ძირითადი საწარმოო ოპერაციებისაგან არის მიღებული (რომლებიც გაყიდვებთან და სხვა ხარჯებთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვამდეა განსაზღვრული) და აგრეთვე გადასახადები, რომლებიც შემდგომში გამოიქვითება.

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები (სარეზერვო აქტივები) (Gross international reserves. Всемирные резервы) – მაღალლიკვიდური უცხოური აქტივები, რომელსაც ფლობს ეროვნული ბანკი და რომელიც გამოიყენება საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან სხვა მიზნით საჭიროების მიხედვით.

მთლიანი ეროვნული პროდუქტი (Gross National Product. Национальный валовый продукт (НВП)) – დროის მოცემულ პერიოდში ქვეყნის მოქალაქეების მიერ (როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე უცხოეთში) წარმოებული საბოლოო საქონელისა და მომსახურების ღირებულება.

მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) (Gross Domestic Product. Внутри Валовый Продукт ВВП)) – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანაში წარმოებული საბოლოო საქონელისა და მომსახურების ღირებულება.

მიზნობრივი ტრანსფერი (Targeted Transfer. Целевой трансфер) – თვითმმართველი ერთეულისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრები.

მიმდინარე ანგარიში (Current Account. Текущий счёт) – საგადამხდელო ბალანსის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობას, შემოსავლებსა და მიმდინარე ტრანსფერებს.

მიმდინარე ტრანსფერები (Targeted transfer. Текущие трансферы) – საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს სხვა ქვეყნის მთავრობებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და სხვა სახის დახმარებებს (გრანტები) და მუშაკთა გზავნილებს.

მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი (current ratio. Коэфициет приведённой (текущей) стоимоств) – არის საბრუნავი სახსრებისა და მოკლევადიანი ვალდებულებების თანაფარდობა. ბიზნესის უმეტესი სახეობებისათვის კარგ მაჩვენებლად ისეთი კოეფიციენტი ითვლება, როდესაც

საბრუნავი სახსრები თუნდაც ორჯერ აჭარბებს მოკლევადიან ვალდებულებებს.

მომსახურების ანგარიში (Customer Account. Обслужи-ваемый счёт) – საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს მომსახურების ექსპორტ-იმპორტს.

მონეტარული ოქრო (Monetary Gold. Монетное золото) – მოიცავს მხოლოდ იმ ოქროს, რომელსაც ინახავს ეროვნული ბანკი და რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ოფიციალური რეზერვების ნაწილს.

მონეტიზაციის კოეფიციენტი (Monetization ratio. Коэфициент монетизации) – ეკონომიკაში ფულის რაოდენობის მაჩვენებელი, განისაზღვრება 2 ფულადი აგრეგატის მთლიან შიდა პროდუქტთან თანაფარდობით.

მოკლევადიანი დაგეგმვა (Short-term planning. Краткосрочное планирование) – არის კომპანიის მოკლევადიანი მიზნების განსაზღვრის პროცესი და სტრუქტურული ქვედანაყოფების მიხედვით დაყოფილი მათი რეალიზაციის გრაფიკი. მას ზოგჯერ მოგების დაგეგმვასაც უწოდებენ.

მოგების გადახდის კოეფიციენტი (payout ratio. Коэфициент оплаты прибыли) – არის შემოსავლების წილი, რომლებიც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაიცემა. მაგალითად, კომპანიის მიერ დივიდენდების გადასახადი შემოსავლის თითოეულ 1,0 დოლარზე 0,25 დოლარის ტოლია, ნიშნავს რომ მოგების გადასახადის კოეფიციენტი 25%-ია.

მოგების მარჟა (profit margin; Коэффициент прибыли) – არის კომპანიის რენტაბელობა, რომელიც მოგებისა და შემოსავლების თანაფარდობით განისაზღვრება. მოგების მარჟის განსაზღვრისას სამი უფრო მეტად საერთო მახასიათებელს წარმოადგენს: საოპერაციო მოგების მარჟა, გადასახადის გადახდამდე მიღებული მოგების მარჟა და სუფთა მოგების მარჟა.

მოგების გადასახადი (Income Tax. Налог на прибыль) – მისი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი მოგება, განისაზღვრება, როგორც სხვაობა გადასახადის გადამხდელის ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდები (Funds for future generations and sustainable development. Фонды будущего поколения и стабильного развития) – ბიუჯეტგარეშე ფონდები, რომელთა შექმნის, მართვის, დაფინანსებისა და განკარგვის წესი განისაზღვრება „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მსგავსი საქონელი (resembling goods. Идентичные товары) – სხვადასხვა საქონელი, რომლებიც არ არიან იდენტურნი, მაგრამ აქვთ მსგავსი მახასიათებლები და შედგებიან მსგავსი კომპონენტებისაგან, რაც მათ საშუალებას აძლევს, გაახორციელონ ერთი და იგივე ფუნქციები და იყვნენ კომერციულად ურთიერთშემცვლელნი.

მუშაკთა შრომის ანაზღაურება (საგადამხდელო ბალანსში გატარების მიზნით) (Workers' wages. Оплата труда работников) – აისახება საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშში, როგორც საზღვარგარეთ მომუშავე, ასევე ქვეყანაში უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებულ რეზიდენტ და არარეზიდენტ მუშაკთა შრომის ანაზღაურება.

მწარმოებელთა ფასების ინდექსი (მფი) (Producer Price Index. Индекс цен производителей) – ადგილობრივი მწარმოებლების მიერ საკუთარ პროდუქციაზე დადგენილი ფასების დონის საშუალო ცვლილება საბაზისო წელთან შედარებით.

მხარჯავი დაწესებულება (Spending facility. Затратное учреждение) – დაწესებულება, რომლისთვისაც ბიუჯეტით გათვალისწინებულია ასიგნება და რომელიც პასუხისმგებელია მის მართვაზე.

ნ (N)

ნაერთი ბიუჯეტი (Consolidated Budget. Сводный бюджет) – მოიცავს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს.

ნასესხობის სპეციალური უფლებები (SDR Специальное кредитование) – მთლიანი საერთაშორისო რეზერვების ნაწილი,

რომლებიც შექმნილია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ და განაწილებულია წევრ-ქვეყნებს შორის ოფიციალური რეზერვების სტატუსით.

ნაშთი (Balance. Баланс) – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე გარკვეული პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები.

ნაშთის ცვლილება (Changes in the balance. Изменения в балансе) – შესაბამისი ბიუჯეტის ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრების გამოყენება ან დაგროვება.

ნაყოფია ბესარიონ ზურაბის ძე (დაბ. ქ. სოხუმი – 1955 წ.). ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002); პროფესორი (2003). საქ. ეკონ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი (2011), იქვე აფხაზეთის განყ-ის ხელმძღვანელი. აფხაზეთის მეცნ. ეროვნ. აკად. ნამდვილი წევრი (1996 წ – დღემდე). დაამთავრა საქ. სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი – აგრომელიორაციის ფაკულტ. (1977 წ.) და სოხუმის აკად. ი. ვეკუას სახელობის ინსტიტუტი – ფინანსები და საბანკო საქმის სპეციალობით (1999) **პროფესიული გამოცდილება:** აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრი (1992-1993), აფხაზეთის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი (1993-96 წწ.), აფხაზეთის ფინანსთა მინისტრი (1996-2004 წწ.). **პედაგოგიური საქმიანობა:** საქ. სუბტროპ. მეურნ. ინსტიტუტი (1987-93 წწ.); თბილისის სახ. უნივერსიტ. პროფესორი (2007 წ. -დღემდე), ევრორეგიონული სასწ. უნივერსიტ. პროფესორი (2012 წ.-დღემდე); მოწვეული პროფესორი: თბილისის ჰუმანიტარულ-სასწავლო უნივერსიტ. (2012 – დღემდე) და ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი (2012-დღემდე). **ძირითადი შრომები:** მონოგრაფია: 1. მეწარმეობის ეკონომიკა ახალ სახელმწ. ეკონ. სივრცეში (მოსკოვი 2002 წ. რუსულ ენაზე); 2. აგროეკონომიკსა და აგრობიზნესის საკითხები (2003 წ.). სახელმძღვანელო – „ბიზნესის საფუძვლები" (2010); ლექციების კურსი: 1. საბანკო საქმე (2012 წ.) 2. საქ. სახ. ბიუჯეტი (2013 წ); 3. საჯარო ფინანსები (2010); საფინანსო და საკრედიტო სისტემის რეინჟინერინგი (2016) და სხვ. **ჯილდოები:** ვახტანგ გორგასალის მესამე ხარისხის ორდენი (2002 წ.); აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი (2012 წ.).

ნებაყოფლობითი უფლებამოსილება (Voluntary accreditation. Добровольные полномочия) – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება ყველა იმ საკითხზე, რომელიც კანონის თანახმად არ განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას ან არ არის აკრძალული მისთვის.

ნაერთი (კრებსითი) დოკუმენტი (Compound document Сводный документ) – პირველადი დოკუმენტების ნაერთი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის დამადასტურებელ მაგროვებელ ინფორმაციებს (მაგროვებელი და საანგარიშსწორებო უწყისები და სხვ.)

ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება (Net (clear) realization value чистая реализационная стоимость) – ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შეფასებით დადგენილი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისათვის, გაყიდვის, გაცვლის და განაწილებისათვის შეფასებით დადგენილი საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

ნეტო (Net. Нетто) – წმინდა. იხმარება საქონლის წმინდა წონის (შეუფუთავად, უჭურჭლოდ) აღსანიშნავად (საპირისპირო ბრუტო), ე.ი. შესაფუთი მასალის წონის გარეშე.

ნომინალი (Nominalю Номинал) – დადგენილი, დაფიქსირებული ფასი.

ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (Nominal Gross Domestic Productю Номинальный сводный продукт) – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების მოცულობა გამოხატული მიმდინარე (საბაზრო) ფასებში.

ნულიფიკაცია (Nullification. Обнуление) – გაუქმება, მოსპობა. სახელმწიფოს მიერ გაუფასურებული ეროვნული ფულის ძალადაკარგულად გამოცხადება.

ო (O)

ობლიგაცია (bound. Облига-ция) – მთავრობის

ან კომერციული ორგანიზაციის მიერ სესხის აღების მიზნით გამოშვებული, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფასიანი ქაღალდი.

ოვერდრაფტი (Overdraft) Овердрафт – მოკლევადიანი სესხი, რომელსაც ბანკი, როგორც წესი, საიმედო კლიენტებს აძლევს გარკვეული საბანკო პროცენტის პირობებში.

ოთინაშვილი რამაზ გიორგის ძე (დაბ. 1966) – ეკონ.მეცნ. დოქტორი (2003); საქ.ტექნ. უნივერსიტ. ბიზნესტექნოლოგიების ფაკ. პროფესორი (2006 წლიდან); საქ. ეკონ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტი 1990 წელს. იგი, ათი წლის განმავლობაში სამეცნ. პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სახ. უშიშროების აკადემიაში, სადაც საქ.პირველად მისი ინიციატივით გაიხსნა „ეკონ. უსაფრთხოების პრობლემების სამეცნ. კვლევითი ლაბორატორია"; სასწ. პროცესში დანერგა ახალი ანტიკრიმინალური დისციპლინა – „ეკონომიკური უსაფრთხოება". არის 100-ზე მეტი სამეცნ. გამოკვლევისა და საერთ. შრომის, მონოგრაფიის ავტორი. კვლევის სფეროა „ჩრდილოვანი ურთიერთობები და კორუფცია". ძირითადი შრომები: „ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები" (სტუ. 2005 წ.) „ჩრდილოვანი ეკონომიკა" (2002) და სხვ. რომელთაც საფუძვლად უდევს აღნიშნულ სფეროში ქართველი და საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოკვლევები.

ოქროს წილი (Gold share Долязолота) – ისეთი ტიპის აქციები, რომლებიც მფლობელს ისეთ განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან უფლებებს ანიჭებს, რომელიც ზოგადად აღემატება მფლობელის საკუთრების წილიდან და მმართველობითი ორგანოს წარმომადგენლობიდან გამომდინარე უფლებებს.

„ოფციონი" (Option. Опция) – ვალდებულების შესრულების საშუალების, ფორმის, მოცულობის ამორჩევის უფლება, რომელიც ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობებით ენიჭება ერთ-ერთ მონაწილე მხარეს ან ხელშეკრულებით (კონტრაქტით) განპირობებულ გარემოებათა გამო ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის უფლება.

პ (P)

პაი (Pai. Пай) – ეწოდება კოოპერატივის საწესდებო კაპიტალში მეპაიეს წილს.

პაპავა გიორგი ვლადიმერის ძე (დაბ. 1923) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1973), პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1951 წ.) საქ. მეცნ. ერონვ. აკად. ეკონ. ინ-ტის უმცროსი – შემდეგ უფროსი მეცნ. თანამშრომელი (1958-62; 1996-1997); 1962 წლიდან თსუ უფრ. მასწავლებელი, დოცენტ, პროფესორი. საქ. ეკონ. სამინისტროსთან არსებული ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემათა კვლევითი ინს-ტის მთ. მეცნ. თანამშრომელი (1994-1996).

ძირითადი შრომები:" ეკონომიკური ანალიზისა და წარმოების საბოლოო შედეგების მარკეტინგული მართვის მეთოდოლოგია" (რუსულ ენაზე 1992); „სამრენველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა" (1998 წ.); „ეკონომიკური ანალიზის პერიოდონტული მეთოდი (სამრეწველო მეწარმეობრივი ფირმის მაგალითზე" (2001 წ.) და სხვ.

პაპავა ვლადიმერ გიორგის ძე (დაბ. 1955 წ.) ეკონ.მეცნ.დოქტორი (1989) პროფესორი. საქ.მეცნ.აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. საქ.სახელმწიფო პრემიის საურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში (2004); საქ. მეცნ. აკადემიის ეკონომიკის ინს-ტის უმც. მეცნ. თანამშრომელი (1977-1982); უფრ.მეცნ. თანამშრომელი (1982-1987); წამყვანი მეცნ.თანამშრომელი (1987-1991); დირექტორი (1991-1996). თსუ-დოცენტი, პროფესორი (1982-1995 წწ.) 1994-2000 წწ. – საქ. ეკონომიკის **მინისტრი**. საქართველოს პარლამენტის წევრი, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავ-რის მოადგილე.

ძირითადი შრომები: „საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა და დარგთაშორისი მოდელები (რუსულ ენაზე 1988წ.); „საქართველო საბაზრო ეკონომიკის გზაზე" (ქართულ და რუს.ენაზე1995 წ.); „საერთაშორისო საგალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები" (2000წ.); „პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა" (2002წ.) „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები" (2004წ.) და სხვ.

პაპასქუა იური დიმიტრის ძე (დაბ. 1956) დამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი (1978 წ.); მოსკოვის საკავშირო სტანდარტიზაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1991 წ). **საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს** გააჩნია სერთიფიკატები: „ზოგად აუდიტში"; „საბანკო აუდიტში"; „საბირჟო, სპეციალურ სახელმწიფო ფონდებსა და საინვესტიციო ინსტიტუ-ტების აუდიტში; „სადაზღვევო ორგანიზაციათა აუდიტში" (2010-2011 წწ.); რეგისტრირებულია აუდიტორთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში(SARAS–A-966457); საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის „უძრავი ქონების შეფასების სერთიფიკატი" (2017 წ.). **ლონდონის** სერთიფიცირებულ მენეჯერთა ინსტიტუტის დიპლომი ტუტერობაზე და სერთიფიკატი სწავლების მოდულში: „დანახარჯებისა და პროდუქციის თვითღირებულების აღრიცხვა" (2012 წ.).

სამუშაო გამოცდილება: საქართველოს კონტროლის პალატის მთავარი კონტრო-ლიორი, აფხაზეთის ა/რ კონტროლის პალატის პრეზიდიუმის წევრი (2002-2007 წწ.); სოხუმის სახელმწიფო უნივერსი-ტეტის პროფესორი (2005 წ.-დან დღემდე); სამეცნ. პრაქტიკული **ჟურნალის „ბიზნესი და კანონმდებლობა" მთავარი რედაქტორი.** (2007 წ.-დღემდე).

ძირითადი შრომები: 56 სამეცნიერო ნაშრომი, 70-ზე მეტი ეკონომიკური კვლევების პუბლიკაციები. 15 წიგნის სამეცნიერო რედაქტორი. მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში.

პარტნიორი (partner. Партнёр) – პარტნიორი, აქციონერი, კომანდიტი, კომოპლემენტარი. კოოპერატივის წევრი „მეწრმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

პასივი (liabilities. Пасив) – უმოქმედო. წარმოების ვალებისა და ვალდებულებების ერთობლიობა (საპირისპიროა აქტივი).

პატენტები (Patents. Патенты) – არის ექსლუზიური უფლებაგანსაზღვრული პროდუქციის წარმოებაზე ან ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რომელიც გაიცემა სახელმწიფო ორგანოს მიერ.

პირდაპირი ინვესტიცია (Direct Investment. Прямая инвестиция) – სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში ან ერთობლივი და უცხოური საწარმოების საწესდებო ფონდში ჩადებული თანხა, რეინვესტირებული მოგება და სხვა დაბანდებები.

პირდაპირი გადასახადი (Direct Payment. Прямой налог) – გადასახადი, რომელსაც ამოიღებს სახელმწიფო უშუალოდ გადასახადის გადამხდელის შემოსავლიდან და ქონებიდან. მას განეკუთვნება საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, გადასახადი მემკვიდრეობისა და ჩუქებისათვის, ქონების გადასახადი და ა. შ.

პარადიგმა (Paradigma. Парадигма) – 1. წინადადებების, კონცეფციების, ჰიპოთეზების, მოდელების, თეორიების გამარტივებული ნაკრები. 2. ცენტრალური იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს კონცეფციის აგებას. 3. საწყისი პოზიცია (ცნება. მოდელი) პრობლემის წამოჭრისას, მათ ახსნასა და გადაწყვეტაში.

პასუხისმგებლობის ცენტრი (responsibility center. Центр ответственности) – ორგანიზაციის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვან-ელობს ინდივიდი და წარმართავს მის საქმიანობას.

პირვანდელი ღირებულება, (The original value Первичная стоимость) – თანხა, რომლითაც აქტივი აისახება თავდაპირველად, მიღების და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული დანახარჯებით.

პაჭკორია ჯემალ სერაპიონის ძე (1938-2001 წწ.) ეკონ.მეცნ.დოქტორი (1995 წ.) პროფესორი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1963); თსუ ეკონ.ფაკ-ტის ასისტენტი, დეკანის მოადგილე, დოცენტი. 1991 წლიდან არის ქ.ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ზოგად ეკონომიკური დისციპლინების კათედრის გამგე, პრორექტორი. **ძირითადი შრომები:** „ეკონომიკსი თუ ერთიანი პოლი-ტიკური ეკონომია?" (1994 წ.) და სხვ.

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი (Prima-

ry bookkeeping document Документ первичного учёта) – ცალკეული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი.

პროპორციული კონსოლიდაცია (Proportional consolidation Пропорциональная консолидация) – ისეთი სააღრიცხვო მეთოდი, რომლის თანახმად სრულუფლებიანი მონაწილის წილი ერთობლივად კონტროლირებული ერთეულის აქტივებში, ვალდებულებებში, შემოსავალსა და ხარჯებში გაერთიანებულია სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსგავს მუხლში ან წარდგენილია ცალკე მუხლად – სრულუფლებიანი მონაწილის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

პირველადი კაპიტალი (Tier 1 Capital. Первичный капитал) – არის ჩვეულებრივი აქციები, უვადო პრივილეგირებული აქციები, გაუნაწილებელი მოგება, სავალდებულო რეზერვები, აქციებში კონვერტირებადი სავალო ვალდებულებები, სესხებზე შესაძლო დანაკარგებისაგან ზარალის საკონვენსაციო რეზერვები და შვილობილ კომპანიებში კონსოლიდირებული აქციების ცალკეული პაკეტი.

პირი (Person. Лицо) – ფიზიკური პირი, ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საწარმოო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

პროგნოზირებული ასიგნება (Projected allocations. Прогнозируемое ассигнование) – ვალის მომსახურებასა და დაფარვასთან დაკავშირებული ასიგნება.

პროცენტი (Percent. Процент – სავალო ვალდებულებებთან (გარდა საქონლის მიწოდებით ან მომსახურების გაწევით წარმოშობილი სავალო ვალდებულებებისა), მათ შორის, კრედიტებთან (სესხებთან), დეპოზიტებთან, ანაბრებთან, ობლიგაციებთან დაკავშირებული გადასახდელი. აგრეთვე დისკონტის სახით მიღებული შემოსავალი და არასახელმწიფო საპენსიო ფონდიდან მიღებული პროცენტი.

პორტფელი (Portfolio. Портфель) – არის აქტივების ჯგუფი, რომელიც მოიცავს: კრედიტებს; დისკონტურ ფასიან ქაღალდებს; საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს. გამოიყოფენ საინვესტიციო პროდუქტების პორტფელს და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელს.

პორტფელის ინვესტიცია (Portfolio Investment. Портфель инвестиций) – ისეთი დაბანდებები სანარმოს საწესდებო კაპიტალში, რომელიც იძლევა ხმების 10 პროცენტზე ნაკლებს, აგრეთვე, იმ სახის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას.

ჟ

ჟან-ბატისტ სეი (1767-1832) Jean-Baptiste Se Жан-Батист Се – ფრანგი ეკონომისტი. სამსაზური დაიწყო სადაზღვევო საზოგადოებაში. მონაწილეობდა საფრანგეთის რევოლუციაში. 1799 წლიდან ფინანსთა კოლეგიაში ტრიბუნთა წევრია. 1805-1813 წწ ენეოდა სამეწარმეო საქმიანობას. 1819 წლიდან ხელოვნებისა და ხელოსნების კონსერვატორიაში სამრენველო ეკონომიკის პროფესორია.

ჟირატი (Girat; Жират) – პირი, რომელსაც გადაეცემა თამასუქი.

ჟირო ბანკი (Giro Bank; Жиро банк) – *ისეთი ბანკი, რომელსაც* საანგარიშსწორებო ოპერაციებს იმ კლიენტებს შორის ანარმოებს, რომლებსაც აღნიშნულ ბანკში გახსნილი აქვთ მიმდინარე ანგარიშები

რ (R)

რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (Real Gross Domestic Product. Реальный внутри валовый продукт) – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების მოცულობა გამოხატული მუდმივ, რომელიმე საბაზისო წლის ფასებში.

რეზიდენტი (Residents. Резидент) – რეზიდენტი ფიზიკური პირი, ან რეზიდენტი იურიდიული პირი (საქართველოს საწარმო ან საქართველოს ორგანიზაცია).

რეტროსპექტული გადაანგარიშება (Retrospective calculation Ретроспективный перерасчёт) – ფინანსური ანგარიშგების ელემენტების აღიარების, შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების იმგვარად შესწორება, თითქოს წინა პერიოდის შეცდომები არც დაშვებულა.

რეტროსპექტული გამოყენება (Retrospective use ретроспективное использование) –

ოპერაციების, სხვა მოვლენებისა და პირობების მიმართ ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის იმგვარი გამოყენება, თითქოს ეს პოლიტიკა ყოველთვის გამოიყენებოდა.

როგავა გივი (1932-2017) – ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემი-ური დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი. აფხაზე-თის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

დაამთავრა 1954 წელს-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილო-სოფიის ფაკულტეტი წარჩინებით, 1962 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია – ფილოლოგიის ფაკულტეტი.

ძირითადი ნაშრომები: 100-ზე მეტი **სამეცნიერო ნაშრომი,** მათ შორის 8 მონოგრაფია, 8 სახელმძღ. და ლექციების კურსი. უმთავრესი ნაშრომებია: „მიზანი, როგორც ფილოსოფიური კატეგორია (1992); „როგორ ებრძოდნენ რელიგიასა და ეკლესიას საქართველოში" (1994); რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში (1801-1917 წწ). „რელიგია და ეკლესია საქართველოში". XIX-XX საუკუნეებში 2002. რელიგია და ეკლესია აფხაზეთში (2007); ფილოსოფია და ისტორია (2011), აფხაზეთი და აფხაზები საეკლესიო ეტიუდები (2011); ფილოსოფია ნაწილი 1. (2004) „ფილოსოფიის საფუძვლები (2009): „კონფლიქტის სოციოლოგია (2013) „პიროვნების სოციოლოგია (2013).

როლანდ ჰარი ქოუზი (დაბ.1910) – ამერიკელი ეკონომისტი ასწავლიდა ქ.დანდის ეკონომიკურ სკოლაში, ლივერპულის უნივერსიტეტში ლონდონის ეკონომიკურ სკოლაში. 1951 წლიდან გადავიდა ა.შ.შ.-ში კერშოდ, ვირჯინიის უნივერსიტეტში. რ. ქოუზის ნაშრომებმა საფუძველი დაუდო ეკონომიკურ მეცნიერებაში ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: ტრანსაქციისა და საკუთრების უფლების ეკონომიკური თეორიები.

როტი ელვინ (აშშ) – განაწილების თეორიის შემუშავებისა და საბაზრო დაეგგმვაში მისი პრაქტიკული გამოყენებისთვის.

როიალტი (Royalties. Роялт):

ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და ტექნოგენური წარმონაქმნების გადამუშავების პროცესში წიაღით სარგებლობის უფლების საფასური;

ბ) საავტორო უფლებების, პროგრამული უზრუნველყოფის, პატენტის, ნახაზის, მოდელის, სავაჭრო ნიშნის, ან სხვა ინტელექტუალური საკუთრების გამოყენებისათვის, ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

გ) სამრეწველო, სავაჭრო ან სამეცნიერო-კვლევითი მოწყობილობის გამოყენებისათვის, ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

დ) ნოუ-ჰაუს გამოყენებისათვის მიღებული შემოსავალი;

ე) კინოფილმების, ვიდეოფილმების, ხმის ჩანაწერების ან ჩაწერის სხვა საშუალებათა გამოყენებისათვის, ან გამოყენების უფლების სხვა პირზე გადაცემისათვის მიღებული შემოსავალი;

ვ) ამ ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით ტექნიკური დახმარების გაწევისათვის, ან ამ უფლებათა გამოყენებაზე უარის თქმით მიღებული შემოსავალი.

რევალვაცია (revaluation. Ревальвация) – ეროვნული ვალუტის კურსის ოფიციალური ამაღლება.

ს (S)

საავტორო უფლებები (author's Copyrights. Авторские права) – არის მთავრობის მიერ ტექსტის მფლობელზე (ავტორზე) გაცემული ექსკლუზიური უფლება.

სააღრიცხვო დოკუმენტაცია (Accounting documentation. Учётная документация) – პირველადი დოკუმენტები (მათ შორის, პირველადი საგადასახადო დოკუმენტები), ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზედაც განისაზღვრება გადასახადებით დაბეგვრის ობიექტები, დაბეგვრასთან დაკავშირებული ობიექტები და დგინდება საგადასახადო ვალდებულებები.

სააქციო კაპიტალის მულტიპლიკატორი (JSC Animator. Мультипликатор акционерного капитала) – არის კომპანიის ერთობლივი აქტივების მის სააქციო კაპიტალთან თანაფარდობა.

საანგარიშგებო ვალუტა (Calculating currency Валютарасчёта) – ვალუტა, რომელშიც ხდება ანგარიშგების წარდგენა.

საანგარიშგებო პერიოდი (Reporting period Отчётныйпериод) – პერიოდი, რომლისთვისაც მზადდება ანგარიშგება.

სააღრიცხვო პოლიტიკა (Accou-nting policy Учётнаяполитика) – ერთეულის მიერ ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს გამოყენებული გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების, წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობ-ლიობა.

საბალანსოღირებულება (Carrying amount Балансоваястопмость) – თანხა, რომლითაც აქტივი/ვალდებულება ასახულია ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში პირვანდელი/შეძენის ღირებულების შემდგომი კორექტირებების (ცვეთის, გადაფასების და ა. შ) გათვალისწინებით.

საბოლოოსავალუტოკურსი (Final exchange rate Конечныйвалютныйкурс) – ანგარიშგების თარიღისათვის არსებული სპოტ გაცვლითი კურსი.

სავალუტოკურსი, (exchange rates Курсвалюты) – ორი ვალუტის ერთიმეორეზე გაცვლის კოეფიციენტი.

საინვესტიციოსაქმიანობა (Investment Activities Инвестиционная деятельность) – გრძელვადიანი აქტივებისა და სხვა ინვესტიციების შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტებს.

საკასო მეთოდი (Cash method Кассовыйметод) – ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, როცა ეკონომიკური მოვლენა აისახება მხოლოდ მაშინ, როცა ხდება ფულადი სახსრების მიღება ან გადახდა.

საკუთარიკაპიტალი, (Own capital Частныйкапитал) – ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივების ღირებულებასა და ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილ ვალდებულებების ღირებულებას შორის სხვაობა.

საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა (Creating capital with own funds Создание капитала собственными средствами) არაფინანსური აქტივების წარმოება საკუთარი მოხმარებისათვის.

საკურსსხვაობა(Course difference Разницакурсов) – სხვაობა, რომელიც მიიღება ერთი ვალუტის მოცემული რაოდენობის ერთეულების გადაანგარიშებისას სხვა ვალუტაში, სხვადასხვა გაცვლითი კურსის გამოყენებით.

სამუშაოვალუტა Working currency Рабочаявалюта – ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც ერთეული ეწევა საქმიანობას.

სამუელსონი პოლ (აშშ) (Samuelson Paul Самуэлсон Пол) მეცნიერული შრომისთვის რომელმაც განავითარა სტატისტიკური და დინამიკური ეკონომიკური თეორია.

საოპერაციოსაქმიანობა (Operational Activities Операционное дело) ორგანიზაციის მიმდინარე საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან.

სართანია ვახტანგ შალვას ძე – (დაბ. 1948 წ.) -ეკონ. მეცნ. დოქტორი (2002 წ), პროფესორი, საქ. ეკონ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი. დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტის ეკონ. ფაკულტ. (1977), ასპირანტურა (1980), იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1981).

პროფესიული გამოცდილება: საქ. სსრ მეცნ. და ტექნიკის სახ. კომიტ. მართვის ინსტ. უფრ. მეცნ. მუშაკი, სექტორის ხელმძღვ. ალ. პუშკინის სახ. პედ. ინსტ. პრორექტორი (1983-92), ს. საბა. ორბელიანის სახ. პედ. უნივერსიტ. რექტორი (1992-2005); პოლიტოლოგ. კათედრის გამგე (1988-97) იუნესკოს მშვიდობის კულტურისა და დემოკრატიის კათედრის გამგე (1998). იყო საქ. ერ. ბანკის საბჭოს წევრი. საქ. საპატრ. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართ. უნივერსიტ. პროფესორი და ფაკულტეტის დეკანი (2006 წ.-დღემდე).

ძირითადი შრომები: „დარგთაშორისი წარმოების მართვა და კონტროლი" (თანაავტორ. მოსკოვი 1984, რუსულ ენაზე); „განათლების ეკონომიკა (2001), განათლება და მეცნიერება – საქ. ეკონომიკა (2012) და სხვ.

საფინანსოსაქმიანობა (Financial activity Финансоводело) – ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებით

განხორციელებული საქმიანობა, რომლის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება ერთეულის კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

სრულუფლებიანი მონაწილე (Plenipotentiary participant Полнопра-вный участник) ერთობლივი საქმიანობის მონაწილე მხარე, რომელსაც აქვს ერთობლივი კონტროლის უფლება ერთობლივ საქმიანობაზე.

სხვადასხვადონისსახელმწიფოერთეულები (State level of different levels Финансированиегосударственныхединицразногоуровня) – სხვადასხვა დონის ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ერთეულები.

საბალანსო ანგარიშგება (balance sheet. Балансовая отчётность) – არის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მიუთითებს კომპანიის აქტივების, (თუ რას ფლობს კომპანია), მისი ვალდებულებების (რა დავალიანება გააჩნია მას) მოცულობებს და მათ სხვაობას, რომელსაც კომპანიის სუფთა ღირებულება ანუ აქციონერული კაპიტალი ეწოდება.

საბანკო დეპოზიტები (Bank Deposits. Банковские депозиты) – კერძო პირის ან საწარმოს ანგარიში კომერციულ ბანკში, რომელთა გამოყენება შესაძლებელია მოთხოვნისთანავე ან ბანკის წინასწარი გაფრთხილების პირობით.

საბაჟო გადასახადი (Customs duty. Таможенные выплаты) – საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადი, რომელიც ამოიღება ქვეყნის საბაჟო ტერიტორიიდან გატანილ ან შემოტანილ საქონელსა და მომსახურებაზე. საქართველოს შემთხვევაში, საბაჟო გადასახადისაგან გათავისუფლებულია საქონლის ექსპორტი, აგრეთვე, იმ საქონლის იმპორტი, რომელიც დაკავშირებულია სტიქიური უბედურებისა და კატასტროფის ლიკვიდაციასთან, ჰუმანიტარულ დახმარებებთან, გრანტებთან და სხვა.

საბალანსო ღირებულება აქციის (book value) Балансовая стоимость акции – არის აქციის ღირებულება, რომელიც მიმოქცევაშია გამოშვებული. განისაზღვრება როგორც აღნიშნული აქციების შესაბამისი აქციონერული კაპიტალის გაყოფილი მიმოქცევაში გაშვებული აქციების საშუალო რიცხვზე.

საბიუჯეტო (ფისკალური) წელი (Budget Year. Бюджетный год) – კალენდარული წელი.

საბიუჯეტო ცირკულარი (Budget Circular. Бюджетный циркуляр) – დოკუმენტი, რომელიც ატყობინებს მხარჯავ დანესებულებას მისთვის განსაზღვრული კადრებისა და ასიგნებების ზღვრული მოცულობების შესახებ.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია (Classification of the budget. Классификация бюджета) – მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, ასევე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას.

საბიუჯეტო ორგანიზაცია (Budget Organization. Бюджетная организация) – მხარჯავი დანესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, ბიუჯეტის შესრულებასა და ანგარიშგებას.

საბიუჯეტო პროცესი (Budget Process. Бюджетный процесс) – ბიუჯეტის პროექტის მომზადება, წარდგენა, განხილვა, დამტკიცება, ბიუჯეტის შესრულება, ანგარიშგება და კონტროლი.

საბიუჯეტო სისტემა (Budget System. Бюджетная система) – ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ვალდებულებათა შესრულების მიზნით ფინანსური რესურსების მობილიზაციისა და გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების, საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის, საბიუჯეტო პროცესისა და შესაბამისი ბიუჯეტების ერთობლიობა.

საგადასახადო აუდიტი (Tax audit. Налоговый аудит) – საგადასახადო შემოწმება, რომელიც ხორციელდება სსკ-ის 48-ე მუხლით განსაზღვრული საგადასახადო ორგანოს – შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის საგადასახადო შემოწმებების სამმართველოს აუდიტორების მიერ.

საგანგებო ბიუჯეტი (Emergency Budget. Чрезвычайный бюджет) – საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიება-

თა მიზნობრივი დაფინანსებისათვის განკუთვნილი მთავრობის მიერ პრეზიდენტთან შეთანხმებით წარმოდგენილი ბიუჯეტი, რომელიც შეიძლება დამტკიცოს პარლამენტმა ქვეყანაში ან მის ცალკეულ რეგიონებში საგანგებო მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში.

საგარეო ღირებულება (extrinsic value. Внешняя стоимость) – არის ოფციონის ფასსა და მის საფუძველში ჩადებული ფასიანი ქაღალდის ღირებულებას შორის სხვაობა. აღნიშნული ტერმინი ფასში დაკლების მნიშვნელობის ეკვივალენტურია.

საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურა (Foreign Economic Activity Commodity Nomenclature. Товарная номенклатура международно-экономической деятельности) – სასაქონლო კლასიფიკაციის კოდების სისტემა, რომელიც მიღებულია „საქონლის აღწერილობისა და კოდირების სისტემის ჰარმონიზაციის შესახებ" საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.

საგადასახადო დავალიანება (Tax arrears. Налоговая задолженность) – სხვაობა გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ჯამურ საგადასახადო ვალდებულებასა და მის მიერ ცალკეული გადასახადების მიხედვით ზედმეტად გადახდილი თანხების ჯამს შორის.

საგადამხდელო ბალანსი (Balance of Payments. Видимый баланс) – საზღვარგარეთიდან მიღებულ ყველა შემოსავალსა და გასავალს შორის სხვაობა. ასახავს დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქვეყანასა და საზღვარგარეთს შორის განხორციელებულ ყველა ეკონომიკურ ოპერაციას – საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაკადების მოძრაობას.

საგადასახადო შემოწმების აქტი (Auditors report. Акт налоговой проверки) – აუდიტორების მიერ სსკ-ის 267 ე მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი და მათი ხელმოწერით დამოწმებული ანგარიში, რომელიც წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს.

საგარეო სავაჭრო ბალანსი (წმინდა ექსპორტი) (Foreign trade balance.Баланс международной торговли) – ექსპორტსა და იმპორტს შორის სხვაობა.

საგარეო სავაჭრო ბრუნვა (Foreign Trade. Международно-дный товарооборот) – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში განხორციელებული საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის ჯამი.

სადეპოზიტო ვალდებულებები (Deposit liabilities. Депозитные обязательства) – მოიცავს რეზიდენტი და არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების (საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარდა) მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებულ დეპოზიტების ნაშთებს.

საემისიო კაპიტალი (Issued capital. Эмиссионный капитал) – სხვაობა საწარმოს მიერ აქციების პირველადი განთავსებიდან მიღებულ ან მისაღებ თანხასა და ამ აქციების ჯამურ ნომინალურ ღირებულებას შორის, აგრეთვე სამეწარმეო საზოგადოების დაფუძნებისას არაფულადი შესატანის ღირებულების მეტობა დათქმულ თანხაზე „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად.

საერთაშორისო გადაზიდვა (International shipments. Международные перевозки) – ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ტვირთების გადატანა ან მგზავრთა გადაყვანა, რაზედაც გამოწერილია ერთიანი სატრანსპორტო დოკუმენტი გაგზავნის, დანიშნულებისა და სატრანზიტო ქვეყნების საბაჟო ტერიტორიებისათვის, ერთი ან რამდენიმე საზღვრის გადაკვეთით, ნებისმიერი გაგზავნის საბაჟოდან დანიშნულების საბაჟომდე, გაგზავნისა და სხვა ქვეყნის ერთი ან რამდენიმე შუალედური საბაჟოს გავლით.

სავალუტო კურსი, ვალუტის გაცვლითი ოპერაციები (Exchange rates, currency exchange operations. Валютный курс, операции по обмену валют) – არის ერთი ვალუტის (მაგალითად ლარის) მეორე ვალუტაზე (მაგალითად დოლარზე, რუბლზე, ევროზე) საკომისიოს აღებით გაცვლა.

„სავალო ინსტრუმენტი" (Monetary Instrument. Долговой инструмент) – ნებისმიერი მიმოქცევადი სავალო საბუთის და ამ საბუთის ეკვივალენტური სხვა ნებისმიერი ინსტრუმენტი, აგრეთვე ნებისმიერი მიმოქცევადი საბუთი, რომელიც იძლევა სხვა

სავალო ინსტრუმენტის შეძენის უფლებას ხელმოწერის ან გაცვლის გზით; მიმოქცევად სავალო ინსტრუმენტს შეიძლება ჰქონდეს სერტიფიკატების ან საბუღალტრო ჩანაწერების ფორმა.

სავალუტო რისკი (Currency risk. Валютный риск) – აქტივების ფორმირებისა და უცხოეთის სახელმწიფოების ვალუტების გამოყენებით სახსრების ნყაროების მოზიდვისას წარმოიშობა. სავალუტო რისკის ძირითად შემადგენელს ნარმოადგენენ: გაცვლითი კურსის ცვლილებების რისკი, უცხოური გაცვლითი კურსის გაუთვალისწინებელი ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში დაბანდების გაუფასურების რისკი; კონვერტირების რისკი, რომელიც გაცვლითი ოპერაციების გახორცილების შეზღუდვასთან არის დაკავშირებული.

სავალდებულო რეზერვები (მინიმალური) (Mandatory reserves. Минимальные резервы) – კომერციული ბანკების საერთო აქტივების ნაწილი, რომელიც ექვემდებარება ეროვნულ ბანკში სავალდებულო შენახვას.

სავალუტო კურსი (Currency risk. Курс валюты) ფასი, რომლითაც ერთი ქვეყნის ეროვნული ვალუტა გადაიცვლება მეორე ქვეყნის ვალუტაზე.

„საკრედიტო დაწესებულება" (Credit facility. Кредитное учреждение) – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოსახლეობისაგან იღებს ფულად ანაბრებსა და გადახდის სხვა საშუალებას, აგრეთვე თავისი სახელით გასცემს კრედიტებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

საკრედიტო პორტფელი (Credit portfel. Кредитный портфель) – არის ბანკის მთლიანი საკრედიტო დაბანდება.

საინვესტიციო რისკი (Investment Risk. Инвестиционный риск) – არის ფასიანი ქაღალდებისა და სხვა საინიციატივო აქტივების საბაზრო ღირებულების ცვლილების რისკი.

საინვესტიციო შემოსავლები (Investment Income. Инвести-ционные доходы) – საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს შემოსავლებს პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციებიდან.

საინფორმაციო ტექნოლოგიები (st) (Information Technology. Информационные технологии) – არის ტექნოლოგიები, რომლებიც ინფორმაციების მომზადებასთან (შექმნა), გადაცემასთან და დამუშავებასთანაა დაკავშირებული და მათი მოძიება კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური მოწყობილობების მეშვეობით ხორციელდება.

სალდო (Balance. Сальдо) – სხვაობა, შემოსავლისა და გასავლის ჯამებს შორის, რომელიც ანგარიშის დახურვის შემდეგ საბუღალტრო დავთრის ახალ გვერდზე გადაიტანება.

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (სფი) (Consumer Price Index. Потребительский ценновой индекс) – ინფლაციის დონის მაჩვენებელი, ზომავს ფიქსირებული სამომხმარებლო კალათის პროდუქციაზე ფასებისა და ტარიფების ცვლილებას საბაზისო წელთან შედარებით.

სამომხმარებლო კალათა (Consumer basket. Потреби-тельская корзина) – მოიცავს იმ საქონელსა და მომსახურებას, რომელსაც შეიძენს ტიპიური მომხმარებელი. საქართველოს შემთხვევაში, იგი ითვალისწინებს 282 დასახელების საქონელსა და მომსახურებაზე სამომხმარებლო ფასებსა და ტარიფებს.

საოპერაციო მოგების მარჟა (operating profit margin. Маржа операционной прибыли) – არის კომპანიის ოპერაციების რენტაბელობა მის მიერ გადასახადების გადახდამდე. საოპერაციო მოგების მარჟა საოპერაციო მოგების გაყიდვებიდან ამონაგებზე გაყოფით განისაზღვრება.

სარეზერვო ფული (M1) (Reserve Money. Резервные деньги) – ეროვნული ბანკის მიერ მიმოქცევაში გამოშვებული ნაღდი ფული (0) დამატებული კომერციული ბანკების დეპოზიტები ეროვნულ ბანკში.

სარჩიმელია როლანდ ალექსანდრეს ძე. (1933-2017 წწ). ეკონ. მეცნ. დოქტორი. (1998); პროფესორი. დაამთავრა სპი ელექტრონული ფაკულტეტი (1957); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მოღვაწე-ობდა (1973-2002 წწ); თსუ დოცენტი (1970-1995); სტუ-ს დოცენტი (1989-1995)

ძირითადი ნაშრომები: „ოპტიმიზაციის ეკონომიკურ მათემატიკური მოდე-

ლების გამოყენების საკითხები (1986 წ); „ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელები შეზღუდ-ვათა ცვლილებების პირობებში (1989); „ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები (თანაავ-ტორობით (2004) „რისკის ელემენტები (2003) და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (Agricultural land Сельскохозяйственные земли)

ა) სახნავი, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბები და საძოვრები;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული ან გამოსაყენებლად ნებადართული წყლის ფონდისა და ტყის ფონდის მიწები;

გ) საკარმიდამო, საბაღე, საბოსტნე და სააგარაკო ნაკვეთები;

დ) დასახლებული პუნქტების ფარგლების გარეთ მდებარე მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ენერგეტიკის, თავდაცვის, დაცული ტერიტორიებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო მიწის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით;

ე) ქალაქის, დაბის, სოფლის, კურორტისა და სხვა ტიპის დასახლებათა ფარგლებში მდებარე მინის ის ნაკვეთები, რომელთა მიზნობრივი დანიშნულება არ არის შეცვლილი და რომელთა სასოფლო სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება ნებადართულია კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;

ვ) სამელიორაციო ქსელებით დაკავებული მიწები;

ზ) სხვა მიწა, რომელიც „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ითვლება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად.

სასაქონლო – მატერიალური ფასეულობები (Commodity – material values. Товарно-материальные ценности) – პირის მიერ ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში გამოყენებული ნედლეული, მასალები, ნახევარფაბრიკატები, მარაგ-ნაწილები, ტარა და მზა პროდუქცია (საქონელი) ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები (Common – state tax. Основные-государственные налоги) – საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, საბაჟო გადასახადი.

სახაზინო თამასუქი (treasury bill. Государственный вексель) – არის ქვეყნის მთავრობის ვალდებულება აღნიშნული საბუთის გაცემის თარიღის შემდეგ ერთ წელზე ნაკლები დაფარვის თარიღით. სახაზინო თამასუქზე არანაირი სახის პროცენტები არ გადაიხდება, მაგრამ იგი დაფარვის ვადამდე ინვესტორს ფასდაკლებით მიეყიდება.

სახელმწიფო ბიუჯეტი (State Budget. Бюджет страны) – საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების შემოსულობების, აგრეთვე მისი ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით გასაწევი გადასახდელების და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი (state budget deficit. Дефицит бюджета страны) – უარყოფითი მთლიანი სალდო.

სახელმწიფო ბიუჯეტის პროფიციტი (State budget surplus. Профицит бюджета страны) – დადებითი მთლიანი სალდო.

სახოკია გიორგი ამირანის ძე(1949) ეკონ. მეცნ. აკადემიური დოქტორი, პროფესორი. ბიზნესის მეცნ. აკადემიის წევრი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ.ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობით.1974 წლიდან მუშაობდა საქ.სხვადასხვა მეურნეობებში მთავარ ბუღალტრად და ეკონომისტად, ხოლო 1980 წლიდან რესპუბლიკის საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანების„საქ. სოფლქიმიის“ საფინანსო-საბუღალტრო სამმართველოს უფროსად. 1993წლიდან საქ. კონტროლის პალატის, შემდგომ გენერალური ინსპექციის მთავარი კონროლიორი.1990 წლიდან დღემდე თსუ-ს, სტუ-სა და სხვა უნიევრ. ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. ძირითადი შრომები: „ფინანსური კონტროლის საფუძვლები (თანაავტ-.2006); „სასამართლო-საბუღალტ-როექსპერტიზა“ (თანავტ. 2010); „ბუღალტრული აღ-

რიცხვა და აუდიტი" (თანაავტ.: 2010, 2014, 2016წწ.) და სხვ.

სატრასტო (fiduciaruli) მომსახურებები (Trust Services. Трастовое обслуживание) – არის კლიენტის ქონების მართვა შესაბამისი ქონების დაცვისა და ღირებულების გადიდების მიზნით.

საქართველოს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდები (The President and the Government Reserve Funds. Резервные фонды президента и правительства Грузии) – იქმნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში. ორივე ფონდის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ფიქსირებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2 პროცენტს.

საქონელი და მომსახურება (Goods and Services. Товар и обслуживание) – ოფისის ხარჯები, მივლინებები, შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება, წარმომადგენლობითი ხარჯები, კვების ხარჯები, სამედიცინო ხარჯები და სხვა საქონელი და მომსახურება.

საქონლის ანგარიში (Report on commodities. Товарный счёт) – საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს საქონლის ექსპორტ-იმპორტს.

საშემოსავლო გადასახადი (Income Tax. Подоходный налог) – მისი დაბეგვრის ობიექტია დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.

სვოპი (Svop. Обмен) – არის გადასახადების ნაკადების გაცვლა დადგენილი პირობების ფარგლებში, გარკვეული დროის განმავლობაში. მაგალითად, სვოპი პროცენტული განაკვეთებით – არის ვარიანტი, როდესაც ერთი მხარე თანხმდება ფიქსირებული პროცენტი გადაიხადოს მეორე მხარის მიერ კორექტირებული პროცენტის მიღების სანაცვლოდ.

სისწორის მტკიცება (Correctness of the claim. Точное утверждение) – არ არსებობს აღურიცხავი აქტივები, ვალდებულებები, ოპერაციები და მოვლენები (მუხლები), რომლებიც გამჟღავნებული არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

სილაგაძე ავთანდილ ნოდარის ძე (დაბ.1954 წ.). ეკონ. მეცნ.დოქტორი (1989), პროფესორი (1990); საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკ-ტი (1977). თსუ სახალხო მეურნეობისადა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის მასწავლებელი(1980-1981), დოცენტ (1981-1989); საქ.სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992); საქ.სახ.ქონების მართვის **მინისტრი** (1992-1998). თსუ პრორექტორი ეკონ.განათლების დარგში, ეკონ.განათლებისა და სამეცნიერო მუშაობის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე. 2003 წ. არჩეული იქნა საქართველოს პარლამენტის წევრად.

ძირითადი შრომები: „ეკონომიკური ციკლურობა თანამედროვე სმკ პირობებში" (რუსულ ენაზე 1991); „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი (1996); "ეკონომიკური აზრის ისტორიის ზოგიერთი საკითხები (2001); "სწავლული ეკონომისტები – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტ-ორები საქართველოში (თანაავტ. 2004); „მეცნიერების პერპერტუმ-მობილე" (2005 წ.) და სხვ.

სოციალური უზრუნველყოფა (Social Security. Социальное обеспечение) – ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით.

სპრედი (Spread СПРЕД) – არის ორ მნიშვნელობას შორის სხვაობა; აღნიშნული ტერმინი უფრო ხშირად მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ფასებს შორის სხვაობით აღწერისათვის გამოიყენება.

სპეციალური ტრანსფერი (Special Transfer. Специальный трансфер) – თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის ეკოლოგიური და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციოდ, აგრეთვე სხვა გადასახდელების დასაფინანსებლად გამოყოფილი სახსრები.

სუბსიდიები (Subsidies. Супсидии) – საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფოს მიერ მიმდინარე მიზნებისათვის გაცემული სახსრები.

სუფთა პროცენტული მარჟა (Net Interest Margin. Чистая процентная маржа) – არის კომპანიის პროცენტულ შემოსავლებსა და პროცენტულ ხარჯებს შორის სხვაო-

ბა გაყოფილი, ან ერთობლივ აქტივებზე, ან კომპანიის შემოსავლიან აქტივებზე.

სხვა ინვესტიციები (საგადამხდელო ბალანსში გატარების მიზნით) (Other Investments. Другие инвестиции) – საგადამხდელო ბალანსის ფინანსური ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს ყველა მოკლე და გრძელვადიან გატარებებს (სავაჭრო კრედიტები, სესხები, სხვა აქტივები და ვალდებულებები), პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციების, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და სარეზერვო აქტივების გარდა.

სხვა შემოსავლები (Other Income. Другие доходы) – შემოსავლები ჯარიმებიდან, სანქციებიდან, მოსაკრებლებიდან, საურავებიდან და ა.შ.

სხვა ხარჯები (Other Expenses. Другие расходы) – ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, აგრეთვე ჯარიმები, საურავები, საკომისიოები და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელები.

ტ (T)

ტარგეტირება (Target. Таргетирование) – ფულადი სისტემის მიზნობრივი ორიენტირების დადგენა, ფულის მასის ნამატის რეგულირება. იყენებენ ცენტრალური ბანკები.

ტარიფი (ფრანგ. Tarif. Тариф) – გადახდის განაკვეთი სხვადასხვაგვარი მომსახურებისათვის.

ტარიფი საბაჟო (Customs Tariff. Таможенный тариф) – საქონლის ჩამონათვალი, რომლისგანაც გადაიხდება ბაჟი, მოცემული საქონლის ერთეულზე საბაჟო გადასახადის განაკვეთის ჩვენებით.

ტაქსა (Taxsa.Такса) – ტარიფების, ფასების, ანაზღაურების მკაფიოდ დადგენილი დონე.

ტელეშოპინგი (Teleshoping. Телешопинг) – საცალო ვაჭრობა ტელეკომუნიკაციების საშუალებებით; საქონლის დაკვეთა ნიმუშის მიხედვით, ტელეფონით, სახლში მიტანით.

ტემპი ინფლაციის (rate of inflation. Темпы инфляции) – ფასების საერთო დონის ზრდის წლიური ტემპი დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, გამოხატული პროცენტებში.

ტენდერი (Tend. Тендер) – 1). ღია ტიპის კონკურენტული ვაჭრობა ან დახურული მონაწილეთა შეზღუდული რაოდენობისათვის, დაკვეთების განლაგების კონკურსული ფორმა; 2). წერილობითი წინადადება, განცხადება ფასიან ქაღალდებზე ხელმონერის შესახებ, კონტრაქტის დადების ან საქონლის მიწოდების შესახებ; 3). საქონლის ფასი, რომელსაც მწარმოებელი კონკურენტებს სთავაზობს.

ტექნოპოლისი (Technopolis. Технополис) – თავისუფალი ეკონომიკური ზონის ერთერთი ფორმა, რომელიც იქმნება იმისათვის, რათა გააქტიურდეს, დაჩქარდეს ინოვაციური პროცესები, ხელი შეუწყოს ტექნიკურ-ტექნოლოგიური სიახლეების სწრაფ და ეფექტიან გამოყენებას.

ტრანსანტი (Trasat. Трансант) – გადასაგზავნი თამასუქის გადამხდელი, მოვალე.

ტრასტი (Trust. Траст) – იურიდიული დოკუმენტი (ქმედება), რომლის მიხედვით ერთი პირი მეორეს ანდობს საკუთრების მართვის იურიდიულ ფუნქციას; საკუთრების ნდობითი მართვის პროცესი.

ტრენინგი (Trening. Тренинг) – ნვრთნა, ნვრთნის რეჟიმი.

ტინბერგენი იან(ჰოლანდია) (Tinbergen Ian Тинбенген Ян). ფრიში რაგნარ (ნორვეგია) „დინამიკური მოდელების განვითარებისა და გამოყენებისათვის ეკონომიკური პროცესების ანალიზში".

უ (U)

უიმედო ვალი (Bad debts. Безнадёжный долг) – საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის შედეგად გადასახადის გადამხდელის მიერ აღიარებული მოთხოვნა, ან მისი ნაწილი, რომლის გადახდის ვადა გასულია და რომელიც არ იქნა ანაზღაურებული მიმდინარე საგადასახადო წლის ბოლომდე.

უილიამ სტენლი ჯევონსი (William Stanley Gevons УилямСтенлиДжевонс)(1835–1882) – ინგლისელი ეკონომისტი, სტატისტიკოსი და ფილოსოფოსი. პოლიტიკური ეკონომიის მათემატიკური სკოლისა და ზღვრული სარგებლიანობის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

უმცირესობისწილი (Minority share Доля меньшинства) – კონტროლირებული ერთეულის ნამეტისა და დეფიციტის და კა-

პიტალის ის ნაწილი. რომელიც წარმოადგენს კონტროლირებული ერთეულის კაპიტალის წილს. რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ეკუთვნის მაკონტროლებელ ერთეულს.

უცხოურირერთეული (Foreign unit Иностранная единица) – ერთეული. რომელიც არის კონტროლირებული ერთეული. მოკავშირე ერთეული. ერთობლივი საქმიანობა. ან ანგარიშმგები ერთეულის ფილიალი. რომლის საქმიანობაც დაფუძნებულია ან ხორციელდება ანგარიშმგები ერთეულის ქვეყნიდან ან ვალუტიდან განსხვავებულ ქვეყანაში ან ვალუტაში.

უცხოური ვალუტა. (Foreign currency Иностраннаявалюта) – ნებისმიერი ვალუტა. რომელიც განსხვავდება ერთეულის სამუშაო ვალუტისგან.

უზურა (Usus. Взятка) – ქრთამი.

უზურფრუქტი (Ususpruct. Узурфрукт) – სხვისი ნივთით მუდმივი სარგებლობისა და მისგან შემოსავლის მიღების უფლება მთლიანობისა და სამეურნეო დანიშნულების შენარჩუნების პირობით.

უიმედო საგადასახადო დავალიანება (Loss of tax arrears.Безнадёжный налоговый долг) – ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებით ან სანქციებით, თუ გადასახადის გადამხდელის/საგადასახადო აგენტის ქონების მიმართ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარების შედეგად დადგინდა, რომ მას არ გააჩნია ქონება ან აქტივები, რომ მისი ქონება და აქტივები იმდენად მცირეა, რომ ვერ ფარავს არბიტრაჟის სასამართლოს ხარჯებს.

უნცია (Uncia. Унция) – 1) წონითი ერთეული (27 გრამი) და რომის მონეტა; 2) ტროიას უნცია – ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების თანამედროვე ჭონითი ერთეული (31.1 გრამი).

ურთიერთდამოკიდებულება (Relationship. Взаимоо-тношения) – სსკ-ის მე-19 მუხლით განსაზღვრული დამოკიდებულება, ასევე აუდიტორის და შესამოწმებელი პირის ურთიერთობა, როდესაც აუდიტორი შესამოწმებელ პირთან დაკავშირებულია პირადი ქონებრივი ინტერესით ან არის შესამოწმებელი პირის შვილობილი კომპანიის, ფილიალის ან წარმომადგენლობის მუშაკი, ან თანამესაკუთრე.

უფლებელისა და ვალდებულებების მტკიცება (Assertion of rights and obligations. Утверждение полномочий и обязательств) – აქტივებს ფლობს, ან აკონტროლებს შესამოწმებელი პირი, ხოლო ვალდებულებები შესამოწმებელი პირის მოვალეობებია (საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით).

უცხოური აქტივები (Foreign asset. Иностранные активы) – მოიცავს მონეტარულ ოქროს, ნასესხობის სპეციალურ უფლებებს (შღ), უცხოურ ვალუტას.

უცხოური ვალდებულებები (Foreign Liabilities. Иностранные обязательства) – მოიცავს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის რესურსების გამოყენებას და სხვა უცხოურ ვალდებულებებს.

უცხოური ვალუტა (Foreign Currency. Иностранная валюта) – უცხოური ბანკნოტები და მონეტები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ნომინალური ღირებულება და გამოშვებულია უცხოური ცენტრალური ბანკების ან მთავრობების მიერ.

უტილიზაცია (Utilits. Утилизация) – რესურსების გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებით; მეორეული რესურსების, წარმოებისა და მოხმარების ნარჩენების გამოყენება.

ფ (F)

ფაილოძე ნინო დაიბადა 1960 წ. ტექნიკ. მეცნ. აკად. დოქტორი (2006). ბიზნეს-ტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი (2006 წლიდან დღემდე). სტუ-ს „საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების დეპარტამენტის" მთავარი სპეციალისტი (1991-2016), უფროსის მოადგილე (2016 წლიდან დღემდე). ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) წევრი (2014). მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის წევრი (2015),

მრავალი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე-სერტიფიკატის მფლობელი: (აშშ აიოვას სახ. უნივერს. (2009), ჩეხეთი (2013), გერმანია (2013), ესპანეთი (2014), ქ. ბოსტონი ჰარვარდის უნივერ.

(2015), ქ. ლონდონი (2016), ეგვიპტე 2017წ, Tempus Project-ში მონაწილე TEMPUS-1-2013 (2017) და სხვ.

დაამთავრა საქ. პოლიტექნ. ინსტ-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1982), სტუ-ს ჰუმანტექნ. ფაკულტეტი საერთ. ეკონ. სპეციალობით (2006).

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი: პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადება გადამზადებისთვის ქართულ და უცხოურ ენებზე. „საბუღალტრო საქმე" (თანაავტორობით – 2008, 2010, 2013, 2014 წწ.) „მმართველობითი აღრიცხვა" (2009) და სხვა მედოლოგიურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოები.

ფასის ზღვრული (Price limit. Предельная цена) – ფასის მაქსიმალურად დასაშვები გაზრდა ან შემცირება ბაზარზე ვაჭრობის ციკლის, სეზონის განმავლობაში; ბროკერის მიერ შემზღუდავი პირობებით შეკვეთილი ფასი.

ფასი კონტრაქტული (Price contractual. Цена по контракту) – ფასი, რომელიც ფიქსირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვის გარიგებაში (კონტრაქტში) მათ რიცხვში, საგარეო ვაჭრობის ოპერაციებისას. იგი შესაძლოა იყოს: 1)მტკიცე, კონტრაქტის ხელმოწერის მომენტში განსაზღვრულ დონეზე ფიქსირებული; 2) შემდგომი ფიქსაციის ფასი, რომელიც მხარეებს შორის შეთანხმებულ ვადებში დგინდება; 3) მცოცავი, რომელიც შეთანხმებული სქემის მიხედვით იზრდება.

ფასიანი ქაღალდები (Securitie. Ценые бумаги) კაპიტალის მოზიდვის მიზნით გამოშვებული ფინანსური დოკუმენტი, რომელშიც აისახება მისი მფლობელის გარკვეული ქონებრივი უფლებები.

ფაქტორინგი (Factoring. Факторинг) – სავაჭრო საკომისიო სახეობა, რომელიც შეხამებულია კლიენტის საბრუნავი კაპიტალის დაკრედიტებასთან, მოიცავს კლიენტის დებიტორული დავალიანების ინკასირებას, დაკრედიტებას და საკრედიტო და სავალუტო რისკის გარანტიებს.

ფინანსები კორპორაციული (Corporate Finance. Корпоративные финансы) – ფინანსური ოპერაციების ერთობლიობა, რომელბსაც ახორციელებენ კომპანიები, კორპორაციები ფინანსური რესურსების მოზიდვისა და მათი ეფექტური გამოყენებისათვის – ფინანსირების მეთოდების, ინვესტიციური პროექტების განხორციელების, ლიკვიდურიბის მართვის, რისკებისაგან დაცვის და ა.შ. ჩათვლით.

ფინანსური რისკი (Financial risk. Финансовые риски) – არის კომპანიის რისკების ერთ-ერთი ძირითადი ჯგუფი. იგი მოიცავს რისკებს, რომლებიც მოცულობებში, შემოსავლიანობაში, აქტივებისა და პასივების ღირებულებასა და სტრუქტურაში გაუთვალისწინებელ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

ფინანსური ლიზინგი (Financial Leasing. Финансовый лизинг) – არის ლიზინგური ხელშეკრულება ვადით, რომელიც მიახლოვებით აქტივების მომსახურების ვადის ტოლია. საოპერაციო ლიზინგისაგან განსხვავებით აქტივის ტექნიკურ მომსახურეობას ლიცენზიანტი იღებს თავისთავზე. ლიცენზიარის სახით მოცემული პრაქტიკის ჩარჩოებში, როგორც წესი, საფინანსო ინსტიტუტები გამოდიან.

ფინანსური ანგარიში (Financial Reports. Финансовый счёт) – საგადამხდელო ბალანსის კაპიტალისა და ფინანსური ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებს და სარეზერვო აქტივებს.

ფინანსური წარმოებულები (Financial derivatives. Финансовые учреждения) – ისეთი ფასიანი ქაღალდები, როგორიცაა: ოპციონები, ფიუჩერსები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები და სხვა.

ფინანსური აქტივები (Financial Assets. Финансовые активы) – სესხების გაცემასთან და მათ დაფარვასთან, ანგარიშებზე ფულის დაგროვებასთან და გამოყენებასთან, ასევე ფასიანი ქაღალდების შეძენასთან და მის გაყიდვასთან დაკავშირებული ოპერაციები.

ფინანსური ანგარიშგება (Financial Statement Финансовая отчётность) – ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის და მისი საქმიანობის შედეგების სტრუქტურირებული ასახვა დროის განსაზღვრული მომენტისათვის.

ფინანსურიინსტრუმენტი, (Financial instru-

ment Финансовый инструмент) ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი ერთეულის ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე ერთეულის ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ნგარიშგება (ბალანსი) (Reporting on Financial Position (Balance) Отчётность о финансовом положении) – ფინანსური ანგარიშგების ნაწილი, რომელიც მოიცავს ფინანსური აქტივების, არაფინანსური აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის მონაცემებს ანგარიშგების თარიღისათვის.

ფრანსუა კენე (1694-1774) **François Cain Франсуа Кенс** – ფრანგი ეკონომისტი, ფიზიოკრატთა სკოლის ფუძემდებელი. მეფის კარის ქირურგი. (1736 წლიდან).

ფრენსის ისიდრო ეჯუორთი (1845-1926) Francis Eustro Echort Френсис Исидро Еджуорт – ინგლისელი ეკონომისტი და სტატისტიკოსი, პოლიტიკური ეკონომიის მათემატიკური სკოლის წარმომადგენელი. ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი (1903 წლიდან), ლონდონის „კინგს-კოლეჯის“ (1888-1891) და ოქსფორდის (1891-1922) უნივერსიტეტის პროფესორი. სტატისტიკის სამეფო საზოგადოების პრეზიდენტი (1912-1914). ფ.ეჯუორთმა შეისწავლა სარგებლიანობის გაზომვის, ეკონომიკური წონასწორობის განსაზღვრისა და ინდექსთა თეორიის პრობლემები. ერთ-ერთმა პირველმა შემოიტანა „განურჩევლობის მრუდების“ ცნება.

ფრიდრიხ ავგუსტ ჰაიეკი (1899-1992) Friedrich August Hayek Фридрих Август Гаэки ინგლისელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის ავსტრიული სკოლის წარმომადგენელი. ავსტრიის ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორი (1927-1931). ლონდონის (1931-1950) ჩიკაგოს (1950-1962), ფრაიბურგის (1962-969) უნივერსიტეტების პროფესორი. 1970 წლიდან ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-კონსულტანტი. მისი ძირითადი შრომები ეძღვნება ფულის, კაპიტალის, საქმიანი აქტივობის ციკლის თეორიებს.

ფრიდრიხ ფონ ვიზერი (1857-1926) Friedrich von Weser Фридрих фон Визер – ავსტრიელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის ავსტრიული სკოლის წარმომადგენელი და **ზღვრული სარგებლიანობის თეორიის** ერთ-ერთი შემმუშავებელი. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი (1903 წლიდან) ავსტრო-უნგრეთის ვაჭრობის (კომერციის) მინისტრი (1917-1918). განსაკუთრებული დამსახურების გამო მიენიჭა პარლამენტის ზედა პალატის მუდმივი წევრობა. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომებია: ეკონომიკურ ფასეულობათა წარმოშობისა და ძირითად კანონთა შესახებ“, „ბუნებრივი ფასეულობა“, „საზოგადოებრივი მეურნეობის თეორია“.

ფულად სახსრებზე კონტროლი (Control over cash funds Контроль над денежными средствами) – ორგანიზაციის უფლება გამოიყენოს ფულადი სახსრები დამატებითი შემოსულობების მიღების მიზნით ან საკუთარი მიზნებისთვის, სხვა ფორმით მიიღოს მისგან ეკონომიკური სარგებელი და შესაძლებლობა არ დაუშვას ან არეგულიროს სხვა ერთეულების წვდომა ფულად სახსრებზე.

ფულადიმუხლი (Cash Article Денежная ставка) – არსებული ვალუტის ერთეული, ასევე მისაღები ან გადასახდელი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც გამოხატულია ვალუტის ერთეულის ფიქსირებული ან განსაზღვრადი რაოდენობით.

ფულადი სახსრები (Cash funds Наличные деньги) – ნაღდი ფული, ანგარიშებზე არსებული ნაშთები და დეპოზიტები ეროვნულ და უცხოურ ვალუტებში, ასევე, ფულადი ექვივალენტების სახით არსებული მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ფულადი სახსრების წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება (Cash flow statement Отчёт о денежном движении) – ფინანსური ანგარიშგების ნაწილი, საანგარიშგებო პერიოდში ფულადი სახსრების წყაროების და გამოყენების შესახებ.

ფულადი სახსრების ნაკადები (Cash flows

Денежные потоки) – ფულადი სახსრების შემოდინება/გადინება.

ფულადი სახსრების ნაშთის წმინდა ცვლილება (Net change of cash balance Изменение сальдо денежных средств) – ფულადი სახსრების პროფიციტს/დეფიციტს დამატებული დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები.

ფულადი სახსრების პროფიციტი/დეფიციტი (Profit / Deficit of Cash Flows Профицит/дефицит денежных средств) – წმინდა ფულად სახსრებს საოპერაციო საქმიანობიდან დამატებული წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან (დადებითი ნიშნით „პროფიციტი", უარყოფითი ნიშნით „დეფიციტი").

ფირმა სტოკისტი (STOCK FIRM. Фирма Стокист) – ექსპორტ-იმპორტის მომსახურე ფირმა.

ფირმა ვენჩურული (Venture firm. Венчурная фирма) – წვრილი ან საშუალო საინვესტიციო ფირმა, რომელიც დაკავებულია მეცნიერული გამოკვლევებით, საინჟინრო დამუშავებითა და მათი დაკრედიტებით.

ფიუჩერსები (Futures. Фьючерсы) – არის გარიგებები, რომლებიც საბირჟო საქონლის (საქონლური ფიუჩერსები) ან ფულადი სახსრების (ფინანსური ფიუჩერსები) მიწოდებაზე სტანდარტულ კონტრაქტებთან მიმართებაში უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაცემას ითვალისწინებს.

ფიუჩერსული ოპერაციები (Options on Futures. Фьючерсные операции) – ნედლეულის, ოქროს, საფინანსო და საკრედიტო ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის სწრაფი გარიგებები ბირჟებზე გარიგების დადების მომენტისათვის ფიქსირებული ფასით, ოპერაციის გარკვეული დროის შემდეგ შესრულებით.

ფიქსირებული ასიგნება (Fixed allocations. Фиксированное асигнование) – პროგნოზირებული ასიგნების გარდა ყველა სხვა ასიგნება.

ფორვარდები (Forwards. Форварды) – არის გარიგებები, რომლებიც საქონელთან ან ფულად სახსრებთან მიმართებაში, რომელთაც მიწოდების განვადებული ვადები აქვთ დადგენილი, უფლებებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაცემას ითვალისწინებს.

ფორფეტირება (porpertable. Форфетирование) – საგარეო ვაჭრობის გარიგებების დროს ექსპორტის დაკრედიტება მიმწოდებლის მიერ ბრუნვის გარეშე კომერციული თამასუქების სხვა სავალო ვალდებულებების შეძენის გზით. ამ ოპერაციის დროს გარანტად გამოდის იმპორტიორი ქვეყნის ბანკი;

ფულადი ბაზარი (Money Market. Денежный рынок) – არის მოკლევადიანი (ერთ წლამდე) საფინანსო ინსტრუმენტების ბაზარი.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა (Monetary politic. Денежно-кредитная политика) – ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, რომელიც საბანკო და საფინანსო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებაზე კონტროლს ითვალისწინებს და იგი ხელს უწყობს ფულის მიწოდებისა და საკრედიტო რესურსების დონის საერთო-ეროვნული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში.

ფულის ბრუნვის სიჩქარე (Money rotational speed. Скорость оборота денег) – უჩვენებს დროის მოცემულ მონაკვეთში საშუალოდ რამდენჯერ გამოიყენება ანგარიშსწორებისათვის ფულის თითოეული ერთეული.

ფულის მულტიპლიკატორი (Money Animator. Денежный мультипликатор) – ფართო ფულის (M M2-ის ან M M3-ის) შეფარდება არეზერვო ფულთან. სადაც: M2 ფართო ფული-ეროვნული ვალუტა მიმოქცევაში დამატებული კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში, საბანკო და სამთავრობო სექტორების დეპოზიტების გარეშე; M3 ფართო ფული მიმოქცევაში არსებულ ეროვნულ ვალუტასა და კონერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტების (M2) და კომერციულ ბანკებში უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების საერთო თანხა.

ქ (Q)

ქებაძე ნოდარ (1937-2008) საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს თავმჯდომარე (1995 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე). საქართველოს საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრირების გლობალური პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის, საბაზრო მექანიზმის უმნიშვნელოვანესი

პრობლემის – ფინანსური კონტროლის ახალი მექანიზმის – **აუდიტორული საქმიანობის ქვეყანაში დამკვიდრება-განვითარებისთვის მეთოდურ-პრაქტიკული საფუძვლების ფორმირების აქტიური მონაწილე და წარმმართველი. ავტორი, ქვეყანაში, ერთ-ერთი პირველი მონოგრაფიისა – „აუდიტის საფუძვლები“ (თბ., 2005 წ.).**

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (The Basic Data and Directions. Документ об основной информации и направления страны – მოიცავს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მონაცემებსა და მიმართულებებს.

ქონება (Property. Имущество) – ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა შეუზღუდავად შეძენა და რომელთა ფლობა, განკარგვა და რომლებით სარგებლობა შეუძლიათ პირებს.

ქონების გადასახადი ფიზიკური პირისათვის (Property Tax for Individuals. Имущественный налог физического лица) – დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული ან ლიზინგით აღებული უძრავი ქონება, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა, ძირითად საშუალებად აღრიცხული აქტივები და არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის საკუთრებაში არსებული მიწა და სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

ქონების გადასახადი საქართველოში იურიდიული პირებისთვის (საწარმოსათვის) (Property tax for legal entities. Имущественный налог юридического лица) – დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა, არამატერიალური აქტივები, აგრეთვე მის საკუთრებაში არსებული მიწა და სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

ქოქიაური ლამარა გიორგის ას. (დაბ. 1948) ეკონ. მეცნ. დოქტორი. (2003) პროფესორი (2004) დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი (1975) თსუ „ფინანსების, ფულის მომოქცევსა და კრედიტის ასპირანტი“ (1979-1986 წწ) 1986-2003 გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.

ძირითადი შრომები: „ინვესტიციების ბაზარი: თეორია, პოლიტიკა, პრაქტიკა (2003) „ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე: ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული) (2009); „ფინანსები“ (ენციკლოპედიური განმარტებითი ლექსიკონი) ტომი 1, 2 წიგნად. (2014 წ) და სხვ.

ქუთათელაძე რუსუდან გურამის ას დაიბადა 1962 წ. ტექნიკ. მეცნ. აკად. (2006) და ეკონ. მეცნ. აკად. დოქტორი (2011). სტუს, ჰუმ-ტექნ. ფაკ-ის დეკანი (2006-2011), შემდგომ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკ. დეკანი (2011-2016), ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი (2017 წლიდან დღემდე), პროფესორი (2006 წლიდან დღემდე). ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (2010), პოლიტიკური მენეჯმენტის საერთ. აკადემიის აკადემიკოსი (2015). სტუ-ს სამეცნ. შრომების კრებულის და 7 სოციალურ-ეკონომიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დაამთავრა საქ. პოლიტექნ. ინსტ-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი (1984), საერო ინსტ-ი "გაენათი" (1996),

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი; მათ შორის **მონოგრაფია:** „ოპტიკური სიგნალებით წარმოდგენილი ინფორმაციის გარდაქმნა-დამუშავების მეთოდები და საშუალებები“ (2006); „პოსტსაბჭოური საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა და უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროს სრულყოფის გზები (2012) და სხვ.

სახელმძღვანელო: „ინოვაციური მენეჯმენტი“ (2008), „აუდიტის საფუძვლები“ (თანაავტორ.) (2009); „საინოვაციო მენეჯმენტი“ (თანაავტ. – 2009; 2011; 2015) და სხვ.

ღ (GH)

ღირებულება (Cost. Стоимость) – 1) საქონლის ფასი; 2) ფულადი სახსრების დანახარჯი საქონლის შესაძენად მომსახურე-

ბის შესასრულებლად, სიკეთის დოვლათის მისაღებად; 3) საქონელში განივთებული შრომა (საცვლელი ღირებულება).

ღირებულება დისკონტირებული (Discounted value. Дисконтная стоимость) – ინვესტიციების რენტაბელობის შეფასებისას – მომავალში მოსალოდნელი შემოსავლის თანხას გამოაკლდება სარგებელი კაპიტალზე, როგორც რთული სარგებლის საფუძველზე „კომპენსაცია ლოდინი-სათვის".

ღირებულება ემისიური (Cost of Emission. Эмиссионая стоимость) – ფასიანი ქაღალდების ფასი მისი პირველადი გავრცელებისას, რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ნომინალურ ღირებულებას.

ღურწკაია კარლო იპოლიტეს ძე (1941) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1988) პროფესორი (1989), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტი(1965). ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1968) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ეკონომიკურ თეორიისა და მარკეტინგის კათედრის გამგე (1989-2006 წწ); ამჟამად სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტს საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი.

ძირითადი შრომები: „აგრარული შრომის გარდაქმნა ინდუსტრიალური შრომის ნაირსახეობად" (რუსულ ენაზე) მოსკოვი,1987; „ბიზნესის საფუძვლები"; (თანაავტ.) 2006: „საერთაშორისო ბიზნესი". სტუ. 2011; 2017 წ.; ეკონომიკის პრინციპები, ლექციების კურსი, სტუ., 2007; და სხვ.

თარგმანი და რედაქტორული მოღვაწეობა: „ეკონომიკსი", პირველად თარგმნილი ქართულ ენაზე, 4 წიგნად, სტუ, თბილისი.2000; პოლ ა. სამუელსონი, ვილიამ დ. ნორდაუსი "ეკონომიკა" (economics). მეთხუთმეტე გამოცემა. პირველად ქართულ ენაზე N 1 წიგნი ბისნესის სამყაროში (სრული თარგმანი) 4 ტომად სტუ, თბ. 2000; ასევე: მსოფლიოში ცნობილი ამერიკული სახელმძღვანელოს, კ. მაკონელისა და ს. ბრიუს – „ეკონომიკსის" თარგმნა და გამოცემა 4 ტომად; ს. ფიშერის, რ. დორნბუშის და რ. შმალენზის –„ეკონომიკის" თარგმნა და გამოცემა ოთხ ტომად; უილიამ ბომოლი, ალენ ბლაინდერი – „ეკონომიკსი: პრინციპები და პოლიტიკა (სამ ტომად). სტუ, თბილისი 2006.

ღურწკაია თინათინ იპოლიტეს ას. (და. 1946 წ.) – დაამთავრა: ივ.ჯავახიშვილის თსუ-ს ეკონომიკის ფაკ-ტი (1969 წ) და თბილისის საინჟინრო-პუმანიტარული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკ-ტი (2004 წ). მუშაობდა საქ. კომუნალური მეურნეობის სამინისტროს თბომეურნეობის სამმართველოს საფინანსო განყოფილების გამგედ (1969-76 წწ). შემდგომ, 1976 წლიდან დღემდე საქართველოს ფინანსთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე: სამინისტროს მთავარი საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი ეკონომისტი, განყ.უფროსი, სამმართველოს უფროსის მოადგილე; შემოსავლების დაგეგმვის დეპარტ. რესპ. ბიუჯეტის შემოსავლების დაგეგმვისა და შესრულების სამმართველოს უფროსი; მაკროეკონომიკური პროგნოზირების დეპარტ.სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკის სამმართველოს უფროსი, მთ. სპეციალისტი. მონაწილეობდა საერთაშორისო სემინარებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში, როგორიცაა: „ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების – გერმანია, „შლესვინგ-ჰოლშტაინის მხარის გამოცდილება საბიუჯეტო მოწყობის მიმართულებით" (1993 წ); საფრანგეთის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სემინარი თემაზე – „პერსონალის მართვა", ქ. ანკარა, თურქეთი; საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქვეყნის გაერთ. ინსტ. – „სახელმწიფოს ფინანსების სტატისტიკის 2001 წლის მეთოდოლოგია", ავსტრალია. მოპოვებული აქვს საქ.ფინანსთა სამინისტროს სასწ.ცენტრის „ფინანსური აღრიცხვა და აუდიტის" კურსის სერთიფიკატი (2004 წ.); ევროკავშირის სახელმწიფო ფინანსების მართვის რეფორმების მხარდამჭერი პროექტის – „შემოსავლების პროგნოზირება, ეკონომიკა და ხარჯების ეფექტიანობის ანალიზი" (2013 წ). მოხსენება საუნივერსიტეტო კონფერენ-

ციაზე – „საქართველოს ეკონომიკა ახალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში“.

ყ (Y)

ყადაღა (Seizure припадок) – სასამართლო ორგანოების მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირის კუთვნილიქონების გამოყენების აკრძალვა.

ყავრელიშვილი როინ აპოლონის ძე – (დაბ. 1969 წ.) ისტორიის მეცნ. აკად. დოქტორი („მსოფლიო ისტორია და წყაროთმცოდნეობა“) (2002); სამცხე-ჯავახეთის სახ. უნივერსიტ.პროფესორი (2012 წლიდან – დღემდე); **თურქეთის არდაგანის** სახ. უნივერსიტ. მოწვეული პროფესორი (2011 წლიდან-დღემდე); იქვე ქართული ენისა და ლიტერატური განყ.გამგე. (2013-2014 წწ.). დაამთავრა: ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ახალციხის ფილიალი. (1995 წ.) **პროფესიული გამოცდილება:** თსუ-ს ჯავახიშვილის ახალქალაქის ფილიალის დირექტორი (2005-2007 წწ.) იქვე, – კოლეჯის რექტორი (2007-2012 წწ.); ახალციხის სახ. სასწ. უნივერსიტ. ასოც. პროფ. (2001-2012 წწ.); მრავალი სამეცნიერო გრანტების (პროექტების) ძირით. შემსრულებელი (2003-2016 წწ.). მრავალი საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო საბჭოს წევრი და **საქართველოს წარმომადგენელი. სამეცნ. ინტერესების სფერო:** ქართულ-თურქული ურთიერთობების კვლევა, თურქეთის ისტორია, წყაროთმცოდნეობა; წიგნების თარგმნები. **ძირითადი შრომები:** გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნ.ნაშრომი. ქართულ, თურქულ და რუსულ ენებზე. მათ შორის თარგმნები: „ქართული ენის თვითმასწავლებელი თურქულენოვანი მოსახელობისთვის“, თბილისი, 2003 წ. „დ. შალიკაშვილის თურქული დღიურები“ (საქ. წარმომადგ. თურქეთში, 27 დეკ. 1920- 20 მარტი 1927წ.) თარგმნილი თურქულიდან ქართულ ენაზე. ტრაპიზონი, 2013; აფხაზეთი / საქართველო: ისტორია, პოლიტიკა, კულტურა (ავტორები: ჯემალ გამახარია; ლია ახალაძე) თარგმნილი ქართულიდან თურქულ ენაზე (2016 წ). „სამცხე-ჯავახეთის სამზარეულო“ (მ. ბერიძე, რ.ყავრელიშვილი, თარგმნილი ქართულიდან თურქულ ენაზე). ახალციხე – არტაანი 2016 წ. და სხვ.

ყიდვა განვადებით (Buy on credit. Покупка в рассрочку) – ყიდვა საზღაურის ნაწილ-ნაწილ დაფარვით.

ყიდვითი უნარი ფულის (Ability to Purchase. Покупательная способность денег) – 1) ფულის ერთეულის გაცვლის უნარი საქონლისა და მომსახურების გარკვეულ რაოდენობაზე, რომელიც შეიძლება შეძენილ და შესყიდულ იქნეს ქვეყნის ფულის ერთეულით; 2) მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნა ყველა სახეობის ფართო მოხმარების საგნებსა და მომსახურებაზე.

ყუფუნია გურამი (1937 წ) – ეკონ.მეცნ. დოქტორი. საქ. ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (2006 წლიდან დღემდე). **პროფესიული გამოცდილება:** ეკონ. და სოც. პრობლემების სამეცნ-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. (1990 წლიდან 2006 წლამდე.) **ძირითადი შრომები:** მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და სახელმძღვანელოების ავტორი („საქართველოს ეკონომიკა“ – სახელმძღვანელო. თბ. 2010). ასევე, სამეცნიერო ნაშრომების მეცნიერ – რედაქტორი. (მაგ: „ეკონომიკური აზროვნების დეფიციტი“ – ავტ.ვ.ადვაძე. თბ. – 2005) „კრეატიული ეკონომიკა და განვითარება“ ავტ. გ.ჯოლია თბ. 2015. და სხვ.

შ (SH)

შარია გრიგოლ (გრიშა) იროდის ძე (1936-2017 წწ) – აფხაზეთის რეგიონულ მეცნ. აკად. პრეზიდენტის თანაშემწე (1996 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე).

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1950 წელს). მუშაობდა საქ.მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ – საგანმანათლებლო კომიტეტის უფროს ინსპექტორად (1950-53 წწ.). საქ.წიგნის აფხაზეთის გამგის მოადგილე (1953-1975 წწ.) შემდგომ, მ. გორკის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილში. (1975-1986 წწ.) და 1989 წლიდან თსუ-ს სოხუმის ფილიალის სასწავლო ნაწილის პრაქტიკული სწავლების

მიმართულების ხელმძღვანელი.

შეთანხმება (Agreement. Согласованность) – გენერალური ტარიფებსა და ვაჭრობაზე (GATT – General Agrecment on Tariffs end Trade. СГТТ – Соглашение на генеральных тарифов и торговлю) – 1948 წლიდან მოქმედი მრავალმხრივი შეთანხმება, რომელიც ამჟამად დაახლოებით 90 წევრ ქვეყანას მოიცავს. შეთანხმებას აქვს წესი, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს წევრი – ქვეყნები სავაჭრო ურთიერთდამოკიდებულებაში.

შეთანხმება ტრასტული (Agreement trastuli. Трастовое соглашение) – შეთანხმება ბანკა და ცლიენტს შორის, რომლის მიხედვით ბანკი თავად ზრუნავს კლიენტის სახსრების მართვაზე.

შემოსავლიანობა (vield. До Урожайность) – არის წლიური შემოსავალი ინვესტიციაზე (დივიდენდების ან პროცენტების სახით), რომელიც ღირებულებიდან ან მიმდინარე ფასებიდან პროცენტის სახით არის გამოხატული.

შემოსავლების ანგარიში (Revenue Account. Счёт доходов) – საგადამხდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის ნაწილი, რომელიც მოიცავს მუშაკთა შრომის ანაზღაურებას და საინვესტიციო შემოსავლებს.

შემოსავალი ეროვნული (National Income. Национальный доход) – ფულადი ერთეულით გაანგარიშებული წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით ახლად შექმნილი მთლიანი პროდუქტი. ვეყნის ეროვნული შემოსავალი = მთლიან ეროვნულ პროდუქტს – ამორტიზაციის ანარიცხები (ძირითადი კაპიტალის ცვეთა). ასევე ეროვნული შემოსავალი განისაზღვრება, როგორც წლის მანძილზე ყველა შემოსავლის (ხელფასი, მოგება, რენტა) ჯამი.

შემმოწმებელი (alternative auditor. Проверка) – საგადასახადო (ალტერნატიული) აუდიტის ჩამტარებელი აუდიტორები.

შერჩევითი ერთობლიობის რეპრეზენტაციულობა – ზოგიერთი შერჩევითი ერთობლიობის თვისება, რომელიც აუდიტორს საშუალებას აძლევს, მის საფუძველზე გამოიტანოს სწორი დასკვნები მთელი გენერალური ერთობლიობის თვისებებზე.

შესაბამისობის ტესტი (Compliance Test. Тест соответствия) – რომლის მიზანია გამოავლინოს მტკიცებულება, რომ შიდა აუდიტის პროცედურები ხორციელდება დადგენილი ნორმების შესაბამისად.

შენგელია თემურ ხუტას ძე (დაბ. 1960 წ.) ეკონ.მეცნ.დოქტორი (1998წ.) პროფესორი (1999 წლიდან). საქ.ეკონ. მეცნ.აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი (1982 წელს); მუშაობდა: აფხაზეთის ა/რ სახ.უნივერსიტეტში (ქ. სოხუმი). (1982-1989 წწ); შემდგომ თსუ სოხუმის ფილიალში – ეკონ.ფაკ.-ის დეკანი (1989-2007). 2005 წლიდან საქ.ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი. თსუ-ს ეკონომიკის ფაკ.-ის საერთაშორისო ფინანსების კათედრის გამგე. რომის ბიზნესისა და ეკონომიკის საერთაშორისო აკადემიის (IABE) ნამდვილი წევრი. იტალია (2015 წლიდან).

ძირითადი შრომები: „ინოვაციური პროცესები: პოლიტიკა რეგულირება, ეფექტიანობა" (1997 წ); „საერთაშორისო მარკეტინგი" (1997 წ.), „მაკროეკონომიკური ანალიზის ონტოლოგია (კლასიკოსებიდან კეინსელებისაკენ) (2001) წ. „საერთაშორისო ეკონომიკა" თანაავტ. ი.კოზის. უკრაინულ ენაზე. კიევი (2012) „გლობალური ბიზნესი" სახელმძ. (2013), „საერთაშორისო მენეჯმენტი" (2013), „მსოფლიო ეკონომიკა" თანაავტ. კატივიცი, პოლონეთი, 2013. „მაკროეკონომიკური ანალიზის ანთოლოგია მონოგრაფია (2013), „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები" სახ. 2 ნაწილად. (2017). და სხვ. მრავალი საერთ.კონფ. მომხსენებელი და გრანტის მფლობელი.

შენგელია რევაზ (დაბ. 1953 წ.) ეკ.მეცნ.კანდიდატი (1983 წლიდან). საქ. ტექნ. უნივერ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგ. და სოც.მეცნ.ფაკულტეტის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტ. პროფესორი. (2013 წლიდან დღემდე) ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი; სოც. ეკ. მეცნ. საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი; საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის წევრი საქ. ეკონ. და ფინანსთა სამინისტრ. ჟურნალ „ეკონომიკის" (გამოდის 1918 წლიდან) მთ. რედაქტორის მოადგილე (1985-1993 წწ.), ხოლო საერთ. რეცენზ. და რეფერ.სამეცნ. ჟურნალ „ეკონომიკის" მთ. რე-

დაქტორი: 1993წ. – დღემდე. **დაამთავრა** ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი (1979). სამუშაო გამოცდილება: თსუ პოლიტეკონომიის კათედრა. მასწ.(1983-1985წწ) სტუ. დოცენტი 1987-1995 წწ. საქ. სახელმწ. აგრარული უნივერსიტ. ეკ. დისციპლინების კათედრა. 1995-2000 წწ. სტუ-ს ეკონ. თეორიისა და მარკეტინგის საფუძ. კათედრის დოცენტი 2005-2006 წწ.

ძირითადი შრომები: სულ: 140-ზე მეტი სამეცნ. ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია: 4 (2013; 2017 წ.); 1 დამხმარე სახელმძღვანელო (2013 წ.). და სხვ.

შეუმჩნევლობის რისკი (The risk of invisibility. **Невидимые риски**) – რისკი იმისა, რომ აუდიტორის მიერ აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შემცირების მიზნით ჩატარებული პროცედურები ვერ გამოავლენს არსებულ უზუსტობას, რომელიც შეიძლება არსებითი იყოს, ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად (ასს-200).

შეფასების მტკიცება (Evaluation of the claim. **Реальная оценка**) – აქტივები ან ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისი კუთვნილი (საბალანსო) ღირებულებით.

შიდა ანგარიშგება (interim report. Внутренняя отчётность) – არის კომპანიის ანგარიშგება, ჩვეულებრივად ყოველკვარტალური, რომელშიც ბიზნესის საქმიანობის შედეგების (მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშგება) მოცემული პერიოდისათვის, აგრეთვე მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა (საბალანსო ანგარიშგება) არის წარმოდგენილი. წლის განმავლობაში კომპანია, როგორც წესი, სამ შიდა და ერთ წლიურ ანგარიშგებას აქვეყნებს.

შიდა კონტროლის სისტემა (Internal Control System. Внутренняя контрольная система) – პროცედურული პროცესი, რომელიც დააპროექტეს, დანერგეს და ამუშავებენ მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები, ხელმძღვანელობა და სხვა პერსონალი, რათა უზრუნველყონ დასაბუთებული რწმუნება იმისა რომ მიღწეულია სამეურნეო სუბიექტების მიზნები, რომელიც ეხება ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საიმედოობას, ოპერაციების მწარმოებლურობასა და ეფექტიანობას, ასევე მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობას (ასს 315 პ. 4 –გ).

შრომატევადობა (Productivity. Трудоёмкость) – შრომის, სამუშაო დროის დანახარჯები ერთეულის წარმოებაზე. შრომატევადობა მწარმოებლურობის (ნაყოფიერების), ერთ მუშაკზე პროდუქციის გამომუშავების უკუპროპორციულია.

შრომის ანაზღაურება (Salary. Оплата труда) – თანამდებობრივი სარგო, წოდებრივი სარგო, პრემია, დანამატი, ჰონორარი და კომპენსაცია.

ჩ (CH)

ჩათვლა (Counting. Зачёт) – ორი ან მეტი იურიდიული ან ფიზიკური პირის ურთიერთვალდებულებების, გადასახდელების დაფარვა, ურთიერთჩათვლა.

ჩამოფასება (sales. Уценка) – საქონლის მფლობელის გამყიდველის მიერ თავდაპირველი ფასის შემცირება.

ჩამოწერა (Download. Списание) – ფირმის საქონლური ან ფულად ფასეულობათა მიკუთვნება გამოუყენებლად, ბალანსიდან მისი ამოღებით, საბალანსო აღრიცხვიდან მოხსნით.

ჩანტლაძე ვასილ გიორგის ძე (1905-1996) ეკონ. მეცნ. დოქტორი(1958), პროფესორი(1959), საქ. მეცნ. აკად. აკადემიკოსი(1979). დამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკ-ტი (1927წ). მოღვაწეობდა თსუ-ში 1930 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე: იყო ფინანსებისა და კრედიტის კათედრის დოცენტი (1930-1958), პროფესორი, გამგე (1958-1996). ძირითადი შრომები: „სამეურნეო ანგარიშიანობა და დაკრედიტება (1931); „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები“ (1959);“ ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები„(1966);„ფინანსებისთეორიის საკითხები“ (რუს. ენაზე-1979); „შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები“ (1992) და სხვ.

ჩარტიზმი (Chartism. Чартизм) საბაზრო კონიუნქტურის ტექნიკური ანალიზის ერთ-ერთი მეთოდი, დანერილებითი, გრაფიკებისა და შეხედულებათა სისტემის საფუძველზე მოძრაობის „სურათის“ განმეორებითობის შესახებ; 2) ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის ბრუნვის ინ-

ვესტიციური ანალიზისა და პროგნოზირების მეთოდების სახესხვაობა.

ჩეკი (Chek. Чек) – ფასიანი ქაღალდების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა, რომელიც დადგენილი ფორმის ფულად დოკუმენტს წარმოადგენს.

ჩიქავა ლეო ლეონტის ძე (1928-2015წწ) ეკონ. მეცნ. დოქტორი. (1968). პროფესორი. საქ.მეცნ.აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. (1997). 1955 წლიდან საქ.პოლიტ.ინსტიტუტის დოცენტი, პროფესორი, პოლიტეკონომიის კათედრის გამგე (1974-1983), საქ.მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინ-ტის დირექტორის მოადგილე (1983-90); დემოგრაფიის და სოციოლოგიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი (1990-1996).

ძირითადი შრომები: „კვების მრეწველობის ადგილი და როლი შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში" (1965); „არამატერიალური წარმოების სფეროს პოლიტეკონიკური ასპექტები" (1987); „დემოგრაფიული კატეგორიები და კანონები" (2002); „ინოვაციური ეკონომიკა" (2006). „დასაქმება და უმუშევრობა საქართველოში" (2012). და სხვ.

ჩიკვილაძე მიხეილ პარმენის ძე (1948) ეკონომიკურ მეცნ. აკადემიური დოქტორი. დაამთავრა თსუ-ს დაგეგმვის ფაკ. მუშაობდა საქარ. კონტროლის პალატის თავმჯდომარის პირველი მოადგილე (1991-1998), საქ. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარე (1998-2001) და საგადასახადო შემოსავლების მინისტრის მოადგილე (2001-2002). 2002 წლიდან თსუ ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორი.

ძირითადი შრომებში გამოკლეული აქვს საგადასახადო და ფინანსური კონტროლის პრობლემები.

ჩუქება (give. Дарение) – ქონების ფასეულობის ოსასყიდლოდ გადაცემა სხვა პირის საკუთრებაში, რომელიც უნდა გაფორმდეს დოკუმენტურად სანოტარო კანტორაში იურიდიული დოკუმენტის (ნაჩუქრობის) შედგენის სახით.

ც (C)

ცაავა გიორგი თომას ძე (1946 წ.) ეკონ. მეცნ. დოქტორი (2003 წ.) ტექნიკურ მეცნ. აკადემიური დოქტორი (1985); სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკ. პროფესორი. აფხაზეთის მეცნ. ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ბიზნესისა და ეკონ. მეცნ. აკადემიების აკადემიკოსი.

დაამთავრა სოხუმის ინდუსტრ. ტექნიკუმის სამშენ. ფაკულტ. (1964), საკავშირო პოლიტექ.ინსტ. სამშენებლო ფაკ. (მოსკოვი, 1974). თსუ-ს სოხუმის ფილიალის ეკონომიკის ფაკულტეტი (2000წ.) საკავშირო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურა (მოსკოვი, 1982 წ), ფინანსების ს.მ.ს.კ. ინსტიტუტის დოქტორანტურა. (2003 წ.)მუშაობდა აფხაზეთის ა/რ კომუნ. მეურნ. სამინისტროს საპროექტო ორგანიზაციაში ინჟინერ-დამპროექტებლად. 1975-1976 წწ. აფხაზეთის ა/რ პარტიის კომიტეტში ინსპექტორად. 1979-2006 წწ. საქართველოს საბანკო სისტემაში („მშენბანკის", „მრეწვმშენბანკის", „ინდუსტრიაბანკის" და 1995 წლიდან თბილისში სს. „გაერთიანებული ქართული ბანკის" აფხაზეთის რეგიონალურ ფილიალში მმართველის თანამდებობაზე.

ძირითადი შრომები: გამოცემული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო – კვლევითი ნაშრომი. სახელმძღვანელოები: „ფინანსები, ფულის მიმოქცევა" „ფინანსური ინჟინერია, კრედიტი". (1999) „საბანკო საქმე ლექციების კურსი" (2005); „ფინანსური მენეჯმენტი" (თანაავტ. 2006); „მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა" (2009); „საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები". (თანაავტ.2009): „ფინანსური მენეჯმენტი". (2009); „საჯარო ფინანსები (თეორია და მეთოდები)" (თანაავტ. – 2013); „საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა)", (თანაავტ. – 2014), „ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი." (2016) კორპორაციული ფინანსები" (თანაავტ,-2017) მონოგრაფია: „ტ.1. „საბანკო მენეჯმენტი", ტ2. „ფინანსური მენეჯმენტი". (2002). ირვინგ ფიშერის – მიმოქცევაში ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულაში კორექტივის შეტანის შესახებ (2016): „ეკონომიკური ნორმატივების სრულყოფის საკითხისათვის: ო ქ -

რ ო ს კვეთას პროპორცია ბუნებაში, ფერწერაში, არქიტექტურაში, მშენებლობაში, ეკონომიკაში, ბიზნესში, ფინანსურ და საბანკო მენეჯმენტში" და სხვ.

ცალკეული სამეურნეო ოპერაციის აღრიცხვის წესების დაცვის შემოწმების მეთოდი (Accounting rules of operation of certain agricultural inspection method. Метод оценки соблюдения правил учёта отдельных хозяйственных операций – რომელიც აუდიტორს საშუალებას აძლევს, კონტროლი განახორციელოს შესამოწმებელი პირის საბუღალტრო პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოზე.

ცენტრი ობშორული (Offshore Financial. – Офш. финансы) ფინანსური ცენტრების, ბაზრების ზონების სადაც შეღავათიანი საგადასახადო კონტროლია. ასეთი ცენტრებია: პანამაში, კვიპროსში, ჰონ კონგში, ბერმუდში.

ციკლი სასიცოცხლო საქონლისა (Life cycle of goods. Жизненный цикл товара) – დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში საქონელს აქვს სიცოცხლისუნარიანობა, მიმოქცება ბაზარზე, სარგებლობს მოთხოვნით, შემოსავალი მოაქვს მწარმოებლისა და გამყიდველისათვის.

ძ (Z)

ძაძამია რევაზ (დაბ. 1956) ეკონ.მეცნ. აკად. დოქტორი. დაამთავრა საქ.აგრარული უნივერსტ. ეკონ.ფაკ. (1982); იქვე ასპირანტურა (1985). საქ. პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ-ის) დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1998-2006 წწ; 2016 წლიდან დღემდე) და საქ. პროფესიონალ ბუღალტერთა (ბაფის) ინსტიტუტის დირექტორი (2000 წლიდან დღემდე).

სამეცნიერო შრომები: ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში 80-ზე მეტი ნაშრომის, მ.შ „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება". (2002) „მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტი (მსს 2005); „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება" საქ.ბაფი. (2008). სტანდარტების ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული – „აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების სახელმძღვანელო (ნიუ-იორკი, აშ.შ. 2009) – თარგმნილი და გამოცემული საქ. ბაფის მიერ (თანარედაქტორი ლ. ჭუმბურიძე – თბ., 2010); წიგნის – **P7 ACCA – აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება"** რომელიც გათვალისწინებულია ბუღალტერთა და აუდიტორთა პროფესიული სერთიფიცირებისთვის გამოცემული ინგლისის სერთიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) BPP Learining media ltd (2010) მიერ თარგმნილი და გამოცემული საქ. ბაფის მიერ. (თანარედაქტორი ლ. ჭუმბურიძე – თბ., 2011). ასევე, წიგნების ACCA: P2 „კორპორაციული ანგარიშგება (2008 წ) თარგმნილი საქ.ბაფის მიერ (2009); F9 :ფინანსური მართვა" (2010 წ), თარგმნილი (2011 წ.) და **„ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2 ნაწილად 2010 წ. თარმგნილი თარგმნის რედაქტორი (თანარედაქტორები ლ. ჭუმბურიძე, ბ. ალავერდაშვილი).**

ძირითადი საშუალება (main fool. Основные средства) – მატერიალური აქტივი, რომელსაც პირი 1 წელზე მეტი ხნით იყენებს საქონლის წარმოების, საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის, იჯარით გადაცემისა და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები (Costs for repair of fixed assets. Расходы на ремонт основных средств) – ხარჯები, რომლებიც ამაღლებს ძირითადი საშუალებების ამოსავალ (თავდაპირველ, ნორმატიულ) მწარმოებლურობას (მათ შორის, შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია – რეკონსტრუქცია) მათი სასარგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით და მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად; მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება მათი მწარმოებლურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად, გარდა მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯებისა, რომლებიც გაიწევა ძირითადი საშუალებების ამოსავალი მწარმოებლურობის აღდგენის ან შენარჩუნების მიზნით.

ძირითადი ეკონომიკური გარემო (Basic economic environment Основное экономическое) გარემო, რომელშიც ერთეული

ფუნქციონირებს, წარმოქმნის და ხარჯავს ფულად სახსრებს.

წ (W)

წარმომადგენლობითი ხარჯი (Reprezentation expenses. Представительные расходы) – პირის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯი, რომელიც მოიცავს:

ა) პირის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) პროტოკოლით გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;

ბ) საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;

გ) სუვენირების შეძენის ხარჯებს;

დ) სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს.

წელი (გარდა კალენდარული წლისა) (Year. Год) – დროის მოინაკვეთი, რომელიც შედგება ნე ბისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვისაგან.

წერტილი ზარალიანობისა (Profit Point. Точка убыточности) – ზარალისა –საქმიანი აქტივობის დონე, რომლის დროსაც წარმოების მთლიანი ამონაგები მის ცვალებად ხარჯებს ვერ ფარავს.

წესი მონეტარული (Monetary Rule. Монетарное правило) – წესი, რომლის თანახმად ფულის მასა მიმოქცევაში ყოველწლიურად უნდა იზრდებოდეს იმ ტემპებით, რომელიც რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის პოტენციური ტემპის ტოლი იქნება. განვითარებული იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც განვითარებული ეკონომიკა აქვთ, ეს ტემპი ნელიწადში დაახლოებით 3-5%-ს უდრის.

წილობრივი ინსტრუმენტი (Equity tool, Долевойинструмент) – ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ადასტურებს ერთეულის აქტივებში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი წილის

წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა (The creation of clear obligations Образование чистого обязательства) – ვალდებულების წარმოქმნით მიღებულ ფულად სახსრებს მინუს ვალდებულების დაფარვით გამოწვეული გასავლები.

წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან (Net money from investments in non-financial assets Чистые финансовые средства от вложенных внефинансовые активы) არაფინანსური აქტივების (გარდა სხვა მატერიალური მარაგებისა) რეალიზაციით მიღებულ ფულადი სახსრების შემოსულობებსა და არაფინანსური აქტივების (გარდა სხვა მატერიალური მარაგების) შეძენაზე გადახდილ ფულადი სახსრების გასავლებს შორის სხვაობა.

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან (.Net cash from operating activities Чистые финансовые средства от-операцио-нноййдеятельности) – საოპერაციო საქმიანობის შედეგად ფულადი სახსრების შემოსავლებიდან, ამავე საქმიანობისათვის ფულადი სახსრების ხარჯების გამოკლების შემდეგ დარჩენილი თანხა – საოპერაციო სალდო.

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან Net money from financial activities Чисты ефинансовые средства от финансовойдеятельности) – ფინანსური აქტივების წმინდა მიღებით ფულადი სახსრების შემოსულობებსა და წმინდა ვალდებულების წარმოქმნით მიღებულ ფულადი სახსრების შემოსულობების ჯამი.

წმინდა ღირებულება (Net value Чистаястоимость) – ეკონომიკური საქმიანობით მიღებული აქტივების გარდა, ყველა აქტივის მთლიან ღირებულებასა და ეკონომიკური საქმიანობით წარმოქმნილი ვალდებულებების გარდა, ყველა ვალდებულების მთლიან ღირებულებას შორის სხვაობა.

წლიური კრება (annval meeting аннулирование встречи) – არის აქციონერების კრება, რომელიც, როგორც წესი, ერთი და იგივე დროს იმართება, რომ კომპანიის დირექტორთა საბჭო იქნას არჩეული და კომერციული ბიზნესის სხვა საკითხები იქნას განხილული.

წლიური საბიუჯეტო კანონი (Annual Budget Law. Годовой бюджетный закон) – საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონი.

წლიური ინფლაცია (Annual Inflation. Годовая

инфляция) – მოცემული თვის სამომხმარებლო ფასების (ტარიფების) ინდექსის პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამისი თვის მაჩვენებლის მიმართ.

წმინდა აქტივები (Net Assets. Чистые Активы) – სხვაობა კომპანიის აქტივებსა და მის ვალდებულებებს შორის.

წმინდა უცხოური აქტივები (Net foreign assets. Чистые иностранные активы) – ასახავს სხვაობას საბანკო სისტემის, მათ შორის ეროვნული ბანკის უცხოურ მოთხოვნებსა და ვალდებულებებს შორის.

წრებრუნვა ფულისა, კაპიტალისა (Circulation of money, capital. Кругооборот денег, капитала) – ფულადი სახსრების მოძრაობა წარმოებისა და მიმოქცევის სფეროში, რომლის განმავლობაში ისინი გაივლიან მთელ ციკლს.

ჭ (Ch)

ჭარბწარმოება (Surplus. Перепроизводство) – საქონლის მარაგის ზრდა მისი რეალიზაციის უუნარობის შედეგად, მასზე შემცირებული მოთხოვნის გამო. ჭარბწარმოება ეკონომიკაში კრიზისული დაცემის მიზეზია, რომლის აღკვეთა შესაძლებელია მოთხოვნის სტიმულირებით ან მიწოდების შემცირებით.

ჭერი ფასებისა (Ceiling prices. Потолок цен) – საქონელსა და მომსახურებაზე კანონმდებლობით დაწესებული ფასების მაქსიმალური დონე, რომელიც წესდება იმ მიზნით, რომ შეიზღუდოს ფასების ზრდა და უზრუნველყოს მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების მოთხოვნა ფასების შეზღუდვით.

ჭითანავა ნოდარ ამბროსის ძე (დაბ.1936 წ.) ეკონ. მეცნ.დოქტორი (1993), პროფესორი. საქ.სოფლის მეურნეობათა მეცნიერებათა, საქართველოს ეკონ.მეცნიერებათა და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიების აკადემიკოსი.

დაამთავრა: საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. (1963); უმაღლესი პარტიული სკოლა (ქ.-მოსკოვი 1968). პარტიული მოღვაწეობა 1959-1990 წწ. (რაიკომის, საოლქო კომიტეტის, პარტიის ცკ-ის მდივანი) და სამთავრობო თანამდებობანი: საქ. სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი; საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმ-რის პირველი მოადგილე. თავმჯდომარე (1991-92 წწ.) საქ. სოფლის მეურნეობის მინისტრი. 1993-2004 წწ. – ეკონომი-კური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტის დირექტორი. სოხუმის უნივერსიტეტისა (1994-2006) და სდასუ-ს პროფესორი (2007-2016).

ძირითადი შრომები: გარდამავალი პერიოდის სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები; ნაწ I – ნაწ VIII. (1997–2006). თბ. „ესპასკი„; „სოციალური ეკონომიკა" ნაწ 1. (თანაავტორობით) (2008). საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები (2012); და სხვ.

ჭუმბურიძე ლავრენტი (დაბ. 1956) ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი (2014), საქ. პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (ბაფ-ის) დამფუძნებელი და თავმჯდომარის მოადგილე (1998-2004), აღმასრულებელი დირექტორი (2002 წლიდან დღემდე). საქ. ბაფის რეფერირებული პრაქტიკული **ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვა"** მთ. რედაქტორი.

დაამთავრა ივ.ჯავახიშვილის თსუ-ს სააღრიცხვო-ეკონომიკური ფაკულტეტი (1979 წ.). საქმიანობა: თსუ აღრიცხვის, კონტროლისა და ანალიზის სამეცნ. გაერთ. „ეკონომისტი" (1979-81), საქ. ფინანსთა სამინისტროს აღრიცხვა-ანალიზის სამეცნ. გაერთიანების უფროსი მეცნ. თანამშრომ. (1981-85 წ). **საქ. ეკონომიკის სამინისტროს სამეცნ. კვლევითი ინს-ტის ბუღ. აღრიცხვისა და ანგარიშგების განყოფილების უფროსი მეცნ. თანამშრომელი** (1985-90), განყ. გამგე (1990-2000 წწ.), საქ. პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის თავ-რე. (1999-2012 წწ.), აუდიტრული საქმიანობის საბჭოს კოლეგიის წევრი (1995-2012 წწ.).

ძირითადი შრომები: ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროებში 70-ზე მეტი ნაშრომის, მ.შორის ხუთი სახელმძღვ. („ბუღალტერია" (თანაავტორ. 1995) და 3 მონოგრაფიის (მ.შ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება". 2014წ.) ავტორი. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ გამოცემული – „აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტების

სახელმძღვანელო (ნიუ-იორკი, აშ.შ. 2009) თარგმნილი და გამოცემული საქ. ბაფის მიერ თარმგნის რედაქტორი (თანარედაქტორი რ.ძაძამია. (თბ., 2010); „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) 2 ნაწილად 2010 წ. თარგმნის რედაქტორი (თანარედაქტორები რ.ძაძამია ბ.ალავერდაშვილი).

ხ (X)

ხაზინა (ლათ. Fiscus. – **ხაზინა სახელმწიფო** (State Fiscus. Государственная казна) – სახელმწიფო ბიუჯეტის ფულადი სახსრები.

ხარჯები – ფულად ფორმაში გამოსახული ხარჯები, რომლებიც განპირობებულია სხვადასხვა სახის ეკონომიკური რესურსების ხარჯვით პროდუქციის წარმოებისა და მიმოქცევის პროცესში.

ხარაიშვილი ეთერი დიმიტრის ასული – (დაბ. 1953 წ.) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1999); ივ.ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს პროფესორი (2000 წლიდან-დღემდე); საქ.ეკონ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (2001), ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (2017 წლიდან). ბუნების ისტორიის ევროპული აკადემიის ნამდვილი წევრი (2013 წლიდან). დაამთავრა თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი (1974), ასპირანტურა (1978), ეკონ. მეცნ. კანდიდატი (1981).

ადმინისტრაციული გამოცდილება: თსუ-ს მიკროეკონომიკის კათედრის ხელმძღ; ეკ. ფაკულტ. დეკანის მოადგილე (1996-2006), იქვე ხარისხის უზრუნველყ. სამსახ. უფროსი. (2015 წ.-დღემდე).

ძირითადი შრომები: „მენეჯერული ეკონომიკა“ (თანააავტ. 2015); „მიკროეკონომიკა (თანააავტ: 2010; 2011; 2014; 2016 წწ.) „დარგობრივი ბიზნესის ეკონომიკა (2010) „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა: მიკრო-მეზო და მაკრო ეკონომიკური ანალიზი“ (თანააავტ. 2009); „ფირმის ფინანსური ეკონომიკა (2009) „რეგიონული ეკონომიკა (2009) და სხვ. მრავალი საერთაშორისო სემინარებისა და ტრენინგის კურსის სერთიფიკატის მფლობელი (1997-2017), – უცხოეთის ქვეყნები: ინგლისი, ირლანდია, საფრა-ნგეთი, კანადა,თურქეთი, პოლონეთი, გერმანია და სხვ. **თანამშრომლობს სამეცნ. საერთაშ. ცენტრებთან** – საერთაშ. კონფერენციებსა და კონკურსებზე (2011-2017 წწ.). დოქტორანტების ხელმძღვანელობა: დაცული 10 სადოქტორი ნაშრომი.

ხარებავა რევაზ პარმენის ძე (დაბ. 1938 წ) – ეკონ. მეცნ. დოქტორი (1983), სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (2006 წლიდან დღემდე). აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიების აკადემიკოსი. **დაამთავრა** ქ.მოსკოვის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი (1965). იგი იყო 1966-1978 წწ. – საქ. სუბრტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მასწავლებელი, დოცენტი 1978-1983 წწ. – სსრკ მეცნ. აკადემიის შორეული აღმოსავლეთის ინსტიტუტის უფრ. მეცნ. მუშაკი 1983-1989. სოხუმის. სახ. უნივერსიტეტის სახ. მეურნეობის დაგეგმვის კათედრის გამგე. 1989-1993 წწ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალის პირველი პრორექტორი; 1993-2005 წლებში რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის უნივერსიტეტის ვოლგის ჰუმანიტარული ინსტიტუტის დირექტოის მოადგილე. იქვე ვოლგის ეკონომიკისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის პრორექტორი.

ძირითადი შრომები: „შესასყიდი ფასები და კოლმეურნეობათა ეკონომიკა“, სოხუმი 1975 წ (რუს. ენაზე), „საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება აგრარულ სექტორში, ვოლგოგრადი 1999 წ (რუს.ენაზე), „წარმოების დივერსიფიკაციის მართვის თეორიის გავნითარება, ვოლგოგრადი, 2001 წ (რუს.ენაზე). „ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები“, 2012 და სხვ.

ხარჯები ავანსებული (Costs Advance. Авансированые расходы) – მომავლისათვის წინასწარ გადახდილი ხარჯები.

ხარჯები დარიცხული (Accrued Expenses. Начисленные рассходы) – წარმოებული მაგრამ ჯერ კიდეე აუნაზღაურებელი ხარჯები ბალანსის შედგენისა, რომლის შედეგადაც საწარმოს მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოექმნება.

ხარჯები დაცული (Costs are. Защищённые расходы) – ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების გარკვეული მუხლები, რომელბიც მიეკუთვნება დაფინანსებას მთლიანი მოცულობით.

ხარჯები ზედნადები (Overhead costs. Накладные расходы) – ხარჯები, რომლებიც თან სდევს ძირითად წარმოებას და დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალის შენახვისა და ექსპლუატაციის, მართვის, ორგანიზაციის მომსახურების და ე.წ. არამწარმოებლური დანახარჯები, დანაკარგები და სხვ.

ხარჯები ზღვრული (Marginal costs. Предельные расходы) – წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია საქონლის წარმოებისა და გაყიდვის ერთი ერთეულით გაზრდისათვის.

ხარჯები მუდმივი (Costs of. Постоянные расходы) – ანგარიშგებაში ცალკე სტრიქონით გამოყოფილი მმართველობით ხარჯები, ძირითადი მწარმოებრივი კაპიტალის ამორტიზაცია, დანახარჯები, მოწყობილობათა მოვლა-შენახვისა, რემონტის ხარჯები და სხვ. ასევე გადასახადები, რომელიც შედის პროდუქციის თვითღირებულებაში და არაა დამოკიდებული პროდუქციის მოცულობაზე.

ხარჯები საგადასახადო (Tax Expenditures. Налоговые расходы) – სახელმწიფოს ხარჯები, კანონით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათების დაწესების შედეგად.

ხარჯთაღრიცხვა (Budgeting. Расходный учёт) – საწარმოეიბს, ორგანიზაციების ფულადი სახსრების შემოსავალ-გასავლის (ხარჯის) დოკუმენტირებული გეგმა (ფინანსური გეგმური აქტი). საწარმოებში დგება წარმოების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც დაყოფილია დანიშნულებისა და ცალკეული ელემენტების მიხედვით.

ხელაია გედევან გიორგის ძე (1927) ეკონ. მეცნ.დოქტორი(1984),პროფესორი საქ. ეკონ. მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. დაამთავრა თსუ ეკონ-ის ფაკ. (1949). მუშაობდა: პროფესორი თსუ-ში (1955-88), ქ. გორის სახელმწიფო ეკონომიკის ინსტიტ. რექტორი(1989-2004), თსუ-ს ფინანსებისა და კრედიტის კათედრის პროფესორი (2005 წლიდან).

ძირითადი შრომები: „სოფლის მეურნეობის კრედიტი და მისი განვითარების ძირითადი ეტაპები“ (რუს. ენაზე-1964); „ფულის მომოქცევისა და კრედიტის ზოგიერთი საკითხი“ (1993); „ფული, ბანკები და ბირჟები“ (1996) და სხვ.

ხელფასი რეალური (real wage. Реальная зарплата) – განისაზღვრება ფულადი ხელფასის განაკვეთის გაყოფით ხელფასით შესასყიდი პროდუქტების ფასების საერთო დონეზე. რეალური ხელფასი მცირდება ინფლაციის არსებობის დროს, თუ ინფლაცია ხელფასის გადიდებით, ინდექსაციით არ კომპენსირდება.

ხელშეკრულება (Agreement.Договор) – კონტრაქტი, ორი ან რამდენიმე პირის ნებაყოფლობითი შეთანხმება (ეკონომიკური სუბიექტების ნებაყოფლობითი შეთანხმება).

ჯ (J)

ჯალაღონია დავით ვაჟას ძე (1962) ეკონ. მეცნ. აკადემიური დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროფესორი; ამავე ფაკულტეტის დეკანი; აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი); 1984 წელს დაამთავრა აფხაზეთის სახლმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი სპეციალობით „სამეურნეო საქმიანობის საბუღალტრო აღრიცხვა და ანალიზი“. 1999 წელს სრულიად რუსეთის აგრალური აკადემიის ეკონომიკის ს. კ. ინსტიტუტის ასპირანტურა. ჟურნალ „გადასახადების“ მთავარი რედაქტორი, ჟურნალების „ბიზნესი და კანონმდებლობა“ და „ახალი ეკონომისტი“-ს სარედაქციო საბჭოს წევრი.

სამეცნიერო შრომები: გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხო ენებზე. კვლევის ძირითადი მიმართულებებია საბუღალტრო აღრიცხის და დაბეგვრის პრობლემები. მათ შორის სახელმძღვანელოები: „ბუღალტრული აღრიცხვის განმარტებითი ლექსიკონი (2001); „ბუღალტრული აღრიცხვა ბასს-ი პრაქტიკაში (2003) (თანაავტორობით); „ბუღალტრული აღრიცხვა (2006) (თანაავტორობით); „ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით“ ნაწილი1 2011. სამეცნიერო სტატია: „ბუღალტრის პროფესიული სერთიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში“. (თანაავტორობით, 2017; „ტრანს-ენგურის სა-

ვაჭრო გზა ქართულ – აფხაზურ ურთიერთობებში" (2017) და სხვ.

ჯამაგირი (Wages. Жалование) – დაქირავებული მუშაკების შრომის ანაზღაურების ფორმა, ჩვეულებრივ გაიცემა ყოველთვიურად.

ჯარიმა (გერმ. Strafe. Штраф) – დამნაშავის ფულადი დასჯა ფულის განსაზღვრული რაოდენობის გადახდევინებით; მატერიალური ზემოქმედების ზომა იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც მიუძღვით დანაშაული კანონების, ხელშეკრულების, მოქმედი წესების დარღვევაში. ჯარიმას ახდევინებენ მაკონტროლებელი ორგანოები.

ჯახაია ლეონიდე გრიგოლის ძე (დაბ.1937წ.) – ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. **ძირითადი შრომები:** „ზოგადი სოციოლოგიის შესავალი (სოციოლოგიის ძირითადი ცნებები). (2005). „უმაღლესი განათლების თანამედროვე პრობლემები: (2012) და სხვ.

ჯოან ვაიოლეტ რობინსონი (1903–1983) ინგლისელი ეკონომისტი. კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი (1965–1971). მისი კვლევის ძირითადი მიმართულებებია: კაპიტალისა და ეკონომიკური ზრდის თეორია, საერთაშორისო ვაჭრობის საკითხები.

ჯონ ბეითს კლარკი (1847-1938) ამერიკელი ეკონომისტი, პოლიტიკური ეკონომიის ამერიკული სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. ამერიკის რიგი კოლეჯის ეკონომიკის პროფესორი (1877 წლიდან) კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი (1895-1923), მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზღვრული მწარმოებლურობის თეორიის შემუშავებაში. ასევე მან პირველმა, შესწავლი პროცესშ პოლიტიკური ეკონომია დაყო სტატისტიკურ და დინამიკურ ნაწილებად. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომებია „სიმდიდრის ფილოსოფია" „სიმდიდრის განაწილება".

ჯონ მეინარდ კეინზი (1883-1946) – ინგლისელი ეკონომისტი და საზოგადო მოღვაწე. XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ეკონომისტი. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად XX ს. 20-იან 30-იან წლებში მოღვაწეობდა ინგლისის სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებებში. ჯ.მ. კეინზმა საფუძველი დაუდო ეკონომიკური აზრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას – **კეინზიანელობას.** ძირითადი ნაშრომია „დასაქმების, პროცენტისა და ფულის საერთო თეორია (1936).

ჯონ რიჩარდ ჰიქსი (1904-1989) (დიდი ბრიტანეთი) – ინგლისელი ეკონომისტი. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ლონდონის ეკონომიკის სკოლაში, მანჩესტერის და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. ჯ.ჰიქსის მთავარი შრომები ეძღვნება მოხმარებისა და ფულის თეორიებს, ეკონომიკურ ზრდას. განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა მისმა ნიგნმა „ღირებულება და კაპიტალი" (1939). 1972 წელს ჯ. ჰიქსი გახდა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი.

ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873) – ინგლისელი ეკონომისტი. ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე. პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის წარმომადგენელი. 1832-1958 წწ. მსახურობდა ოსტინდოეთის კომპანიაში. 1865-1868 წწ. ინგლისის თემთა პალატის წევრია. განსაკუთრებული სვლილი მიუძღვის ეკონომიკურ თეორიაში პოზიტივიზმის დამკვიდრებაში.

ჯორჯ ჯოზეფ სთიგლერი (1911-1991). ამერიკელი ეკონომისტი. 1933 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტში მიიღო დოქტორის ხარისხი. მოღვაწეობდა აიოვას, მინესოტას, ბრაუნის, კოლუმბიის, ჩიკაგოს უნივერსიტეტებში. ჯ. სთიგლერის ძირითადი ნაშრომები ეძღვნება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების, საბაზრო სტრუქტურების კვლევის, ეკონომიკური მოძღვრების ისტორიის პრობლემებს. განსაკუთრებით ცნობილია მისი სახელმძღვანელო – „ფასების თეორია". ჯ.სთიგლერმა 1982 წ. მიიღო ნობელის პრემია ეკონომიკაში.

ჯგუფი ფინანსური (Group Financial. Финансовая группа) – რამდენიმე საწარმოს, ორგანიზაციის პირისაგან შემდგარი ჯგუფი, რომლებსაც გაერთიანებული აქვთ თავიანთი ფინანსური რესურსები საერთო მიზნებისა და ინტერესებისათვის, რო-

მელთა თავმოყრა ხდება მსხვილი ინვესტირების განსახორციელებლად, რესურსების გამოყენების მობილურობის ასამაღლებლად, ფინანსური მდგომარეობის განსამტკიცებლად.

ჯიბუტი მიხეილ ჭიჭიკოს ძე – (დაბ. 1954წ) ეკონ. მეცნ. დოქტორი (1990) პროფესორი (1990) საქ. ეკონ.მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი. (2016 წლიდან). დაამთავრა: ქ. მოსკოვის მ.ვ.ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1977); თსუ ასპირანტურა (1980), დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია (1980). საქ. მეცნ.აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი და წამყვანი მეცნ. თანამშრომელი, განყოფილების გამგე (1981-1992), თსუ დოცენტი (1980-1990) პროფესორი (1990 წ.). საქ. **ეკონომიკის მინისტრი** – მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1992-93), **საქ. პარლამენტის წევრი** (1992 და 1995-1999), საფინანსო საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. **მინისტრის** მოადგილე (2001-2002). 2002 წლიდან არის საქ. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის თავმჯდომარე.

ძირითადი შრომები: „სამეურნეო მექანიზმი: არსი, სტრუქტურა, განვითარების პერსპექტივები", თბ. „მეცნიერება". 1985 წ. „მსოფლიო ეკონომიკური აზრის ისტორია" ტ 1. მოსკოვი. „მისლი". 1997 წ. (რუს.ენაზე. თანაავტ.). „საქართველოს ფინანსური ბაზარი ეკონომიკის რეფორმირების პროცესში. „შრომები". 2002 წ. „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი". თბ. 2003. (თანაავტ.). და მრავალი სხვ.

ჯიქია მერაბ ჯანიკოს ძე (დაიბადა 1960 წ.) ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (1988), პროფესორი.დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ- ს ეკონომიკის ფაკ. (1985). მუშაობდა აფხაზეთის მ.გორკის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდგომ თსუ-ს სოხუმის ფილიალში ეკონომიკის ფაკ-ის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანალიზისა და კონტროლის კათედრის" დოცენტად, კათედრის გამგედ (1986-1993 წწ). თსუ-ს ეკონ. ფაკულტ. „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის" კათედრის ასოცირ. პროფესორი 1995 წლიდან დღემდე. ძირითადი შრომები: „ეკონომიკური ანალიზი" (თანაავტ. 2010წ.); „ფინანსური ანალიზი(საერთაშირისოსტანდარტების მიხედვით)" (2011) და სხვ.

ჯოლია გურამ (დაბ. 1948) – ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (1979) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტის პროფესორი. **დაამთავრა** ივ.ჯავახიშვილის თსუ-ს სპეციალობა – „სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა და ვაჭრობის ორგანიზაცია". **წარჩინებით.** (1973 წ.) **პროფესიული გამოცდილება:** თბილისის ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს საინჟ.-ეკონომ. ფაკ. დოცენტი (1979-84) **„ცეკავშირის"** ვაჭრობის სამმართველოს განყოფილების გამგე **„ცენტრო-სოიუზის"** მოსკოვის კომერც. ინსტ. თბილისის ფილიალის ეკონომ. ფაკ. დოცენტი (1989-1991). საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის დოცენტი (2001-2006), იქვე, საერთაშორისო ეკონომიკისა და ტურიზმის კათედრის გამგე (2006-2010), ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი (შეთავსებით) (2007-2012 წწ.), 2013 წლიდან დღემდე საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტის **პროფესორი.**

სამეცნიერო ინტერესის სფერო: საერთაშორისო ეკონომიკა; მოლაპარაკების ხელოვნება; ინტერნეტ-ეკონომიკა; ცოდნის ეკონომიკა; საზოგადოების კრეატიული განვითარება. დამსახურებები, ჯილდოები, სერტიფიკატები.

ძირითადი შრომები: გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის სახელმძ.: „ქვეყანათმცოდნეობა (ევროპა)" (2006) „ბიზნესეტიკეტი და მოლაპარაკების ხელოვნება", (2006); „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები" (2008; 2015) „ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება" (წიგნი II) (2011); „ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი" (ლექციების კურსი) 2011 მოლაპარაკების თეორია და პრაქტიკა (2014) და სხვ.

ჰარიზმა (ბერძ. **Charisma** –ღვთაებრივი ნიჭი) **Харизма** – ხელმძღვანელი პირის თვისებები, მისი უნარი, დაიყოლიოს თავისი მომხრეები.

ჰარმონიზაცია გადასახადებისა (Harmonization of taxes. Гармонизация налогов) – გადასახადების სისტემატიზაცია და უნიფიკაცია, იმ ქვეყნების საგადასახადო სისტემებისა და საგადასახადო პოლიტიკის კოორდინაცია, რომლებიც საერთაშორისო რეგიონულ დაჯგუფებებში შედის.

ჰეჯი (Hedge. Хедж) – სასწრაფო ოპერაცია, გარიგება, რომელიც დგება გამყიდველებისა და მყიდველების მოცემულ საქონელზე საბაზრო ფასის შესაძლო ცვლილებებისაგან დასაზღვევად. დაზღვევა მიიღწევა ძირითადად ვაჭრობის ხელშეკრულებასთან ერთად დამატებითი ფიუჩერსული კონტრაქტებით (გრძელი, მოკლე და წმინდა ჰეჯები).

ჰეჯირება (Allows customers to hedge. Хеджирование. Страхование от инфляции) – (რისკის დამცველი სხვადასხვა ხერხისა და მეთოდის აღმნიშვნელი ტერმინი.) არის სავალუტო, საკრედიტო და რიგი რისკის სხვა სახეობების შემცირების მეთოდი, რომელსაც ინვესტორის მიერ რისკის პოზიციის განსაზღვრული ფაქტორებისადმი მიმართებაში საპირდაპირო პოზიცია აქვს დაკავებული. თუ კი რისკის ფაქტორი თავისთავს გამოავლენს, მაშინ ერთ-ერთი დაბანდების შემოსავლიანობა შემცირდება, ხოლო მეორესი კი – გაიზრდება. ჰეჯირების ტიპიურ მაგალითს წარმოადგენს ძირითად გარიგებასთან ერთად დამატებით გარიგების დადება მესამე მხარესთან ისე, რომ რისკის ფაქტორების ზემოქმედების შემთხვევაში, რომელსაც ძირითად გარიგებაში დანაკარგამდე მივყავართ, კომპანია მის კომპენსირებას დამატებითი გარიგების შემოსავლიანობის გადიდების ხარჯზე განახორციელებს. ჰეჯირებაში ფართედ გამოიყენება ფიუჩერსები, სვოპები და ოფციონები.

ჰიპერინფლაცია (ლათ. Inflatio) **Гиперинфляция** – ფულის მკვეთრი, სწრაფი გაუფასურება მისი ყიდვითი უნარის სწრაფი შემცირება, რაც ფასების მნიშვნელოვანი ზრდით ხასიათდება.

ჰოლდინგი, ჰოლდინგ-კომპანია (Xholding Холдинг) – კორპორაცია, კომპანია, მეთაური საწარმო, რომელიც მართავს ან აკონტროლებს სხვა საწარმოების, კომპანიების საქმიანობას. კომპანია, რომლია აქტივები შემადგენლობაში შედის სხვა კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტი. კომპანია დაკავებულია მხოლოდ საკუთარი აქტივების მართვით.

ჰომეოსტასიზი (Homeostasis, Гомеостаз) – ეკონომიკური სისტემის მისწრაფება და უნარყ, შეინარჩუნოს წონასწორობის მდგომარეობა, რომელიც სისტემის მდგრადობას, სტაბილურობას და კონსერვატიულობას ახასიათებს.

ჰონორარი (ლათ. Honorarium) **Гонорар** – ფულადი ანაზღაურება, რომელსაც უხდიან ლიტერატურული, მუსიკალური, მეცნიერული ნაწარმოებების, გამოგონების ავტორს (საავტორო უფლება) აგრეთვე, მემკვიდრეებს ნაწარმოებების პუბლიკაციისა და გამოყენებისათვის.

ჰრიზოგედონიზმი (Hrisoge-donizm. Гризогедонизм) – ეკონომიკური მოძღვრება, რომლის თანახმად ქვეყნის სიმდიდრე დაგროვებული ძვირფასი ლითონების, პირველ რიგში, ოქროს რაოდენობაზეა დამოკიდებული.

ჰურტი (HURTY. ГУРТ) – მონეტის, მედლის გვერდითი ზედაპირი

Summary
Financial Management Philosophy: Theory, Practice and Strategy.
Monography. 2017.

A feature of the current stage of development of the economy of the Republic of Georgia is the formation of market relations in its various fields. The process of forming the new enterprises is proceeding rapidly, as is the improvement of the work of already existing and organization of various forms of ownership. An important task is the problem of management, attracting investments in existing and developing enterprises. The increase in production efficiency is inextricably related with the application of the most appropriate forms of economic management in the conditions of market relations, with the introduction of progressive organizational and legal forms of functioning of industry, as well as other branches of the economy of the Republic of Georgia in transition to a market economy.

The monograph contains material on theory, practice and strategic financial management in accordance with the current level of their development and the requirements of their economic reality.

In the first Part –"Theoretical-Conceptual and Methodological Approaches of the Modern Financial Management" reviewed: Socio-economic aspects of scientific principles of the modern management; The Globalization and Socio-Economic Problems of Regional Development of the Developing Country;Place and Role of Financial Management System in Management of Financial Policy Realization (Chapter 1-3).

In the second Part-"Administration of State (Public) Budget and Taxation in Georgia is offered: State Budget-Taxation System, as the National Economy Regulatory Mechanism; Problems of Development of Financial Institutions in Georgia; Assessment of the Territorial-Resource Potential of the Country and Formation of Regional Policy; Financial Management of the Investment Process in the Process of EU Integration; Financing Mechanism of Development Small and Medium Business in Georgia – ethodological-practical aspects of state financial control of Georgia (Chapter 4-9)

In the third Part – „Fundamentals of Financial Management of Modern Microeconomic Entrepreneurial (Corporate) Activities" Presented: Basic Principles and Methodological Foundations of Corporate Management of Corporate (Entrepreneurial) Activities;

System of Modern Strategic Financial Management Analysis Methods; Peculiarities of strategic

planning and development forecasting in the corporate management system; The Characteristics of Corporate Tax Planning Modern At the modern stage of Georgia; Internal Audit of Corporate Financial Controlling Institute; Methods for Assessment of the Value of the Business (Company) use of Financial Management Mechanism; Financials Aspects of Corporations External Economic Activities; Corporate Financial Risk Management Peculiarities and ways to minimize it in Georgia (Chapter 10-17).

In the fourth Part – „Financial mechanism of Banking Business Management Improvement in Georgia" reviewed: Characteristics of Financial banking modern credit system in Georgia;. The concept of Banking Business Recycling (PPR) and the Bank's Strategic Management; Aspects the Improvement of Management Audit of Banking Business Financial Safety Mechanism; Priority Directions of Banking Business Financial Risk Management Mechanism's in Georgia (Chapter 18-21).

In the fifth Part is presented the „Economic – Financial Short Dictionary".

As you know, a lot of practical problems in finance management in companies (enterprises) require for their solution to the corresponding theoretical foundation of finance, which have relevance in the current time over which employs several hundred scientists and economists from around the world.

The methodology of corporate finance is based on the principles of effective use of financial instruments whose characteristics change over time, at what these changes are taking into account the uncertainties and risks.

The theory of corporate finance, as science took shape and was developed in the XX century. West, since this formed the main premise: foundations were laid general economic theory, the pro and the level of organization of society have reached the point of the highest development in the form creation of the industrial economy, which is based on large-scale industrial production and owners create an effective system of legal institutions and market infrastructure, there developed a sys national and international financial markets and financial intermediaries.

Now we can say that the world formed the main scientific schools in the areas of corporate f based on the achievements of modern economics, as well as the specifics of the market economy in d countries. These include market and continental schools.

Market School (also known as the Anglo-American) is based on the position of the sparseness of (owners of equity and debt are the holders of shares and bonds) at a relatively low participation of ow the management and control of cash flow. In the financial markets and a strong legal basis fc participation, it is generally sufficient to ensure the transparency of financial information and fi decisions. Market School is based on the principle of ownership, as the protagonist of the corporate s an open market system is a shareholder, the company provides the necessary financial resources (ec the company). In such a system as a strategic objective to maximize market valuation stands capit goal was the highest recognition in the market theory of finance and has played an important role development of corporations around the world.

In the stock market development and dissemination of capital to maximize the welfare of ow reflected in the growth of the market value of the shares and depends on many factors: time income, of debt, dividend policy, the financial market, etc. However, the growth of wealth (capitalization) holders of shares of a company is not always responsible macroeconomic objectives of socio-ec development of the national and world economy. It has long been noted that investment decisions car based on data of the stock market since the financial sector is not fully show the actual ec performance and picture constantly distorting effects of market participants. Bankruptcy largest bank of the most developed countries of the West, the decline in the real estate and stock markets aro world 2008-2009. clearly demonstrated a one-sided principle owner.

Continental School of Finance "bound" of the financial system where there is a relatively dissociation of capital, institutions, social and professional protection based on the so-called prin party, which recognizes that in addition to shareholders, there are a number of other groups: f institutions, workers and employees of the company , buyers of finished products, suppliers of raw m services, etc., society with a legitimate right to participate in the activities of the company.

In a related market-based principles, the transformation has led to the formation of the prin maximization of social responsibility. Social responsibility, which is based on the premise that the c does not operate in a social vacuum, and constantly interact with all social structures, relationships w adjusted over time as a result of changes in the social and economic environment.

Certain developments in the theory of corporate finance were still in the period of the classical and after that, and Keynesianism. At that time, formed the conceptual apparatus and methodolog future consists of neoclassical theory Finance, which to date is the working theory applied fi worldwide.

Start building the neoclassical theory of finance has been put in the first half of XX century works: F. Knight ("The concept of the relationship of risk and return," 1921.) I. Fisher ("Concepts value of money", 1930.), J. Williams ("Concept of the cost of capital and the concept of cash flow," etc. It is believed that the neoclassical theory has been generally formed from 1952 to 1973. Abov starts from the output of H. Markowitz, "The Principles of portfolio formation" (1952) and ends development of option pricing models F. Black, M. Shelesom and R. Merton. The most significant a in the development of the neoclassical theory of finance in this period are a portfolio theory, develop Markowitz in 1952, capital asset pricing model, the literature better known by the acronym CAPM Assets Pricing Model), formed by William Sharpe, J. . Litnerom and J. Mossinom in 1964, Cc

information efficiency of the capital market, launched Yu Famoy in 1965, the theory of capital structure and dividend irrelevance theory proposed by F. Modigliani and M. Miller in 1958-1961gg., price theory Option formed F.Blekom, M. Scholes and Robert Merton in 1973

The contribution of scientists referred to the theory of neoclassical finance was highly regarded public. Six of them G. Markowitz, William Sharpe, F. Modelyani, M. Miller, M. Scholes and Robert Merton, later won the Nobel Prize.

At the core of neoclassical theory is the notion of a perfect capital market, which featured a collection of instruments and a lot of investors to participate in the process of selling and buying. Perfect capital market – is a model market, for which the following postulates: the number of market participants is large enough so that none of them can influence market prices, all market participants have equal access to the market transaction costs in transactions of purchase and sale of financial instruments no taxes, no information costs, so that all market participants have the same set of information, all market participants have the same (homogeneous) expectations about the future and there is no risk of bankruptcy for the market and economic subjects, has issued financial instruments.

In addition to the concept of a perfect capital market based on the hypothesis of the neoclassical theory of the rationality of capital market participants. According to this hypothesis, all market participants are rational, preferring more income less, and less risk to more ceteris paribus.

Based on the concept of perfect capital markets, rational investors and the normality of the distribution function of the random variables, which are the earnings yields, G. Markowitz developed the theory of the portfolio, up to now which is the main guide for the investment decisions for all financiers and economists. Breakthroughs in portfolio theory was related to the risk.

Further development of the theory of Mr. Markowitz was conducted by J. Tobin, who formed the theory of the mixed portfolio comprising securities with certain and uncertain cash flows.

The ideas of Markowitz to make an investment decision with respect to the securities portfolio with uncertain streams were the basis of the theory of value of financial instruments, which made significant progress in its development through the work of William Sharpe, and later J. and J. Litnera Mosin.

Capital Asset Pricing Model CAPM was derived from the model of W. Sharpe G. Markowitz. The basic idea of the model W. Sharpe is the returns of risky financial instruments in yield without risk of financial instruments and risk premium estimated uncertainty of cash flow tool. As no risk of financial instruments are considered debt instruments (bonds), which have a certain cash flow. The risk margin of uncertainty is formed as a product of excess returns on the stock market and the bond market beta estimated factor correction tool. An important role in this model performs so-called market portfolio of risky securities, as is often assumed portfolio, the relevant stock index. Excess return on the stock market is an additional yield that has the stock market on average compared to the bond market and the resulting risk of uncertainty of cash flows generated by the shares. This interpretation of the model in the future will get an empirical way to assess the risks of any uncertain financial instruments with the release of components of risk and appropriate adjustment without risk bets. This approach was later called cumulative yield calculation method, which is used in violation of the postulates of a perfect market.

Another interpretation of model W. Sharpe was associated with the development of two of the components of risk: systematic and unsystematic. The first is due to the global nature of the factors that affect the courses of a global nature, impact on the course each and every market.

The second factor is due to the corporate nature and impact on the course a particular security. Beta coefficient in this case the sensitivity of the estimated yield of the securities to the systematic risk. This interpretation of model W. Sharpe was used in the construction of multi-factor models to predict stock returns.

Special achievements in the field of multivariate modeling stock returns specialists attribute B. Rosenberg and B. Marat, who in the 1970's. have developed a multi-factor model BARRA. For over forty years, these models have been successfully used by traders in the stock markets. They are a product that is designed to set up 40 years ago and is still existing company BARRA.

The transformation of the CAPM in a coherent microeconomic theory mankind owes Mossinu J. and J. Litneru. These scientists have concluded valuation model modifications CAMP. Model in the form W. Sharpe is a modification of CAMP in terms of profitability.

CAMP alternative pricing models of financial instruments with uncertain cash flow is the pricing model of the arbitration (Arbitrage Pricing Theory, APT), developed for the first time S. Ross in 1976 Unlike CAMP arbitration model is based on a smaller number of initial postulates. Chief among them is the assumption that each investor is seeking to use any emerging market opportunity to increase the profitability of their portfolio without increasing risk. These opportunities arise from time to time on the market in the form of arbitrage situations, for which a violation of parity in market prices for the same type of asset. Implement arbitrage by using arbitration portfolio construction procedure which was developed by S. Ross.

In the hypothesis of information efficiency highlighted two concepts associated with a perfectly efficient market, and cost effective. Under perfect information Effectiveness is a market that is, having a high degree of information efficiency, instantly displays all of the information in the prices of financial instruments. Of course, ideally efficient market information is a kind of abstraction. But this concept allows to realize different hypotheses about the meaning of information efficiency of the capital market. If a company has an interior (fair) value, the price of its stock, formed a perfect market information efficiency, multiplied by the number of issued shares (market capitalization), will exactly match that amount and vice versa.

Concept of the ideal information efficiency opposed the notion of economic information efficiency of the capital market, which is defined as the degree of information efficiency of the real market with the time lag in the reaction of the prices of financial instruments on the incoming information. Considering the real stock markets, we have to deal with their economic information efficiently.

In accordance with the hypothesis of information efficiency of the capital market, the stronger the economic efficiency of the market information closer to the ideal, the more accurate stock prices (market capitalization) represent the fair (internal) value of the investee.

Next, key in the neoclassical finance theory called the theory of capital structure, for assessing the impact of the financing structure of companies in their market value. The problem of choosing and optimizing the financing of enterprises has always been one of the most difficult. The approach to the capital structure in terms of its sources is important to make financial decisions, because it allows to answer the fundamental question of financial management: how to get funding?

In a developed stock market term goals of the company as owners of wealth becomes more concrete form and is formulated as maximization of share price or market capitalization. Therefore, in the second half of the XX century. have active research in search of factors affecting capitalization. American economists F. Modigliani and M. Miller tasked to study the influence of the financing structure. In 1958, they published his work "The price of capital, finance and the theory of investment", which is considered a turning point in the development of the theory of capital. Fundamental discovery F. Modigliani and M. Miller, was that it provided there is a perfect capital market and the lack of opportunities for arbitrage transactions of the company can not obtain additional income, going from one to the other funding schemes.

They introduced the concept of equivalent companies (companies of a class), with the same rating and are in the same price range. Also, made a number of theories about the impact of capital structure on the market capitalization, the most important of which is the first theorem, which states: "The market value of a company is independent of its capital structure and determined by the rate of capitalization of expected income in the company of her class."

This theorem is obtained in the literature of the theorem M & M. This theorem was of exceptional importance for the development of the theory of corporate finance since made an important contribution to understanding the effect of the earth on the cost of financing the company.

Developing the theory of capital structure, F. and M. Miller Madilyani proposed in 1963 a modification of his early theory, introducing the tax on profits. In 1977, M. Miller included in the calculation of the value of income tax on the owners of capital (shareholders and bondholders). In the development and improving the theory of capital structure was attended by many authors. Modified theory of M & M was called the

theory of compromise between saving from the reduction of taxes and financial expenses (interest payments for the debt). It is proved that the value of the company grows with the size of liveridzha through tax savings to a certain point, when reaching the optimal structure. A further increase in the share of debt reduces the value of the firm due to costs associated with the risk.

The studies Madilyani F. and M. Miller came to the following conclusions. First, the presence of a certain amount of debt is favorable for the company. Second, the adverse impact on the cost of an excessive amount of debt. Third, each company has its own optimal proportion of debt capital.

Similar studies were conducted by F. Modigliani and M. Miller in the company's dividend policy. Scientists have developed a model and proved that in the perfect market, rational economic actors and constant capital expenditure budget choice of dividend policy does not affect the value of the company. This theory is called the theory of dividend irrelevance.

J. Lintner in 1956 drew attention to the fact that the dividend policy is useful information for investors. Investors tend to have income today, and not expect a prosperous future. Therefore, financial managers try to maintain stability dmvidendnyh payments to support the share price. Ideologist of this approach to the choice of dividend policy is also M. Gordon. His main argument is expressed winged words: "A bird in the hand is better than two in the bush" and is that investors based on the principle of minimizing the risk will always prefer the current possible future dividends, as well as a possible increase in share capital. Moreover, the current level of dividend payments to reduce the uncertainty of investors about the viability and profitability of investment in the enterprise. Investors are less satisfied with rate of return on investment, increase the demand for the shares, which leads to an increase in market valuation of the share capital. Conversely, if the dividend is not paid, the uncertainty increases, increases and reasonable rate of return for shareholders, which leads to a decrease in market valuation of the share capital.

The further development of the financial market, the complexity of its structure, appearance and mass rasprostronennyh derivatives (forwards, futures, options and swaps) have created the need for the continued development of the theory of value of financial instruments.

The appearance of such a financial instrument as an option, to put financiers need to expand the model of the equipment used to describe them. It turned out that the option to model the behavior of known models of cash flows with certain and uncertain cash payments are not enough. A new model – cash flow from contingent cash payments, with which began to describe the cash flows generated by the options.

Valuation model cash flows due to cash payments was developed in 1973 by F. Black and M. Scholes, dubbed the Black-Scholes and lay the foundations of the theory of option pricing.

It put five-factor model for option pricing. These factors are: the spot price of the underlying asset (stock), strike (the cost of the asset as supplied under the contract), the time to perform the contract, without risk interest rate and the variance of the market price of the underlying asset. The significance of option pricing model can not be overstated. Her appearance brought a new, organized by level of trade in these contracts. In 1973, the Chicago Board of Trade founded the Chicago Board Options Exchange, creating the organized market for trading in options on registered shares.

Option pricing model was the basis of a new trend in the financial science – financial engineering. It creates an opportunity for the design of new financial instruments with characteristics of the target, allowing for a theoretical estimate of the cost of the prior art, but do not have a complex financial structure of objects and strategies with them. It adopted the financiers of all countries.

Further development of the theory of finance related to the formation of a new direction in economic theory-institutionalism. It was created on the basis of a critical approach to the neoclassical finance and requires consider the institutional structure of society.

A necessary condition for decision-making, according to this theory, is the account of norms, standards and regulations established by the constitutional, property and contract law, taxation, accounting, etc.

The focus of the theory of institutionalism is paid by receiving extra benefits from the operation of these institutions through the selection and signing of certain types of contracts. The system of public institutions intended to facilitate the work of the market and, according to supporters of this theory, optimize the use of

society's resources and reduce risks. In modern science, these postulates were the basis of several areas of applied economics. In particular, in corporate finance – is tax planning, accounting and financial policies, the law of contracts, billing system, etc.

Neoinstitutsionalistskoy impact theory, modern apologists in finance are, Robert Merton, E. Lo, R. Schiller and others, reflected in the fact that the criterion of saving on transaction costs later widely used in deciding on the optimal organizational forms the company and its financial structure (creation of holding companies, groups, and other corporate entities). The idea of the impact of institutions on the distribution of information in the market and internally reflected and further developed in other fundamental theories of corporate finance – agency theory and the theory of asymmetric information.

Agency theory focuses on the resolution of the problem the separation of ownership and control. It arose from the fact that the owners rarely able to run their own businesses and are forced to delegate their powers to manage salaried professionals – managers. Salaried managers (or agents), with responsibility for the adoption of essential management solution company, oyuladayut large amount of information about the company and are not always in line with the goal of maximizing wealth owners (or principals). The result is a so-called "agency conflicts". Another source of such conflicts is the differentiation of the interests of owners and creditors. The main provisions of agency theory was developed in the works of M. and W. Meckling Dzhessinga in 1976. and Yu Famy in 1980 are dedicated to the study of the forms and methods of smoothing this type of conflict in the interests of the owners. For Resolving Conflict uses mechanisms that encourage managers to act in the interests of shareholders and the interests of creditors: incentives, constraints, penalties. Incentives for managers may be incentive-based performance and effectiveness of the organization in the form of options to acquire shares in the company or in the form of premium shares. Neoinstitutsionalistskoy development theory in the direction of the development of incentive mechanisms (mechanism design) was initiated by Nobel Laureate L. Hurwitz in 1973

In the midst of the crisis of 2008 to 2009. U.S. judicial authorities have decided that the bank Morgan Stanley and two major rating agency Moody `s Investors Service and Standard & Poor` s (S & P) should act as defendants in class action investors. Financial companies are accused of trying to hide it from the clients degree of risk associated with investments in securities backed by risky mortgages. As well as tools for smoothing agent conflicts in countries widely used system of internal policies and codes of conduct. Code of Conduct – a set of rules to comply with the recommended securities market and to protect investors' rights, as well as improving other aspects of corporate governance.

The theory of asymmetric information is based on the assumption that some market participants are more aware of the quality of tradable goods than the rest of its participants. Founder of the theory of asymmetric information is Kenneth Arrow, who published the first work devoted to this problem, in 1963, in 1970, George Akerlof, developed a model of markets with asymmetric information, and showed that in such a market price of the product may be reduced and ultimately market comes to collapse.

The annex to the financial markets information asymmetry is observed in the ratio of managers and investors who buy shares in this company. Managers know much more about the prospects of the company than investors. In accordance with the theory of George Akerlof, should reduce the asymmetry, to ensure the growth of share prices, and ultimately to increase the wealth of shareholders. The simplest way to reduce this is to inform the public about the state of the company. But experience shows that the simple information has only limited value. Experts have proposed in this case to develop and use a system of positive signals for the investment community. Signals are certain corporate actions, urging investors to good prospects for the future development of the company. For example, such a signal may be increasing the size of the dividend. With increasing dividend payments to investors management shows that there is the expectation of a stable high or increasing net income, thus encouraging the purchase of shares at a higher price.

Mechanisms to reduce the information asymmetry is currently playing a very important role in the corporate finance and are widely used by managers, both foreign and Russian companies.

One of the postulates of the neoclassical theory of finance, who has been criticized by many academic economists are rational economic actors. In all the neoclassical theory of economic actors to take rational

decisions. The annex to the financial markets, this means that, first, all market participants are "right" and equally perceive incoming information, and secondly, they take the "right" internally consistent solutions, corresponding to the maximum subjective expected utility. By the early 1970's. Many scientists have noticed that the rationality of the financial markets is often broken, so the neo-classical theory of corporate finance is not always accurately reflect reality. Solving the problem of nationality of the financial markets was proposed by the theory of behavioral finance. It is believed that the impetus for the emergence and development of this theory was the work of psychologists, A. Tversky, D. Kahneman, which were published in 1974 i1979's. Currently, dozens of scientists around the world are working to between psychology and market behavior of economic agents. In 2002, D. Kahneman for his research in the field of behavioral finance has received the Nobel Prize.

The main achievement of the behavioral finance due to the realization that in finance, as in other fields of human endeavor, people make decisions under the influence of emotions, existing stereotypes, errors in estimates and outright errors. In behavioral finance deals with a number of characteristics of the behavior of market participants, otrazhfyuschih irrational behavior, here are some of them:

Following is the one thing, but a very convincing proof of the insolvency of the neoclassical theory of finance can be considered as the global financial crisis that began in the U.S. in 2008, and global reach. Responsibility for the crisis lies with the academic economists of some American universities, which advised the U.S. government on financial matters. The Nobel Prize in Economics in 2008 and a famous American columnist P. Krugman in his article pointed out that scientific advisers overly relied on the validity of the neo-classical financial theories based on rational investors, perfect market, and the hypothesis of the information efficiency of the market.

It is not possible to adequately respond to the signs of an impending crisis that emerged in the U.S. housing market and the OTC market of credit default swaps.

Special criticism by P. Krugman hypothesis was subjected to information efficiency of capital markets, according to which the efficient market emerging market asset prices, coinciding with the fair (internal) value. The disadvantage of such a view on the pricing discount the significance of the speculative component stock prices. A striking example of this is an underestimation of the stock "bubble", which arose in the system of NASDAQ in 2000, the market shares of Internet companies.

Thus excessive, faith neoclassical Financiers in markets and the need for its underestimation of government regulation led to the crisis, demonstrating once again the dangers of inappropriate use of theories, and the need to develop new ones. More accurately describe reality.

Резюме

Философия финансового менеджмента: теория, практика, стратегии.
Монография. 2017.

Особенностью современного этапа развития экономики Республики Грузия является формирование рыночных отношений в различных её сферах. Бурно протекает процесс формирования новых предприятий, а также совершенствование работы уже действующих и организации различных форм собственности. Важной задачей является проблема управления, привлечения инвестиций в действующие и развивающиеся предприятия. Повышение эффективности производства неразрывно связанно с применением наиболее целесообразных в условиях рыночных отношений форм хозяйствования, с внедрением прогрессивных организационно-правовых форм функционирования промышленности, а также других отраслей экономики Республики Грузия на переходном этапе к рыночной экономики.

В Монографий изложен материал по теории, практики и стратегического финансового управления в соответствии с современным уровнем их развития и требованиями их экономической реальности.

В первой части-"Теоретическо-концептуальные и методологические подходы современного финансового управления" излагаются: Социально-экономические аспекты научных принципов современного менеджмента; глобализация и социально-экономические проблемы регионального развития развивающейся страны; место и роль системы финансового управления в управлении реализации финансовой политики страни (Главы 1-3).

В второй части-„Управление государственным (общественным) бюджетом и налогообложением в Грузии" рассматриваются: система государственного бюджета и налогообложения, как механизм регулирования народного хозяйства; проблемы развития финансовых институтов в Грузии; оценка территориально-ресурсного потенциала страны и формирование региональной политики; финансовое управление инвестиционным процессом в процессе интеграции в ЕС; механизм финансирования развития малого и среднего бизнеса в Грузии; Методологические и практические аспекты государственного финансового контроля Грузии (Главы 4-9).

В третьей части–„Основы финансового управления современной микроэконо-мической – предпринимательской (корпоративной) деятельностью» предлагается: основные принципы и методологические основы корпоративного управления корпоративной (предпринимательской) деятельности; система современных методов стратегического управления финансовым менеджментом; особенности прогнози-рования стратегического планирования и развития в системе корпоративного управления; характеристики корпоративного налогового планирования на стадии современной Грузии; институт внутреннего аудита корпоративного финансового контроля; использование методов оценки стоимости бизнеса (компании) в механизме финансового управления; Финансовые аспекты внешнеэкономической деятельности корпораций; управление корпоративными финансовыми рисками. особенности и его минимизация в Грузии (Главы 10-17).

В четвертой части – „Совершенствование управления финансового механизма в банковском бизнесе Грузии" изложенны: характеристики финансового менеджмента в современной банковско-кредитной системе Грузии; концепция банковского реинжиниринга (PPR) и стратегического управления банком; аспекты совершенст-вования управленческого аудита в механизме финансовой безопасности банковского бизнеса; приоритетные направления в механизме управление финансовыми рисками банковского бизнеса в Грузии (Главы 18-21).

В пятой части приводится – „Экономико-финансовый краткий энциклопедический словарь".

Как известно, множество прикладных проблем в управление финансами в компаниях (на предприятиях), требуют для своего решения соответствующей тео-ретической основы финансов, которые обладают актуальностью и в текущий момент, над которыми несколько столетий трудятся учёные-экономисты со всего мира.

Методология финансового менеджмента базируется на принципах эффективного применения финансовых инструментов, характеристики которых меняются во времени, при чём эти изменения происходят при учёте факторов неопределённости и риска.

Теория финансов, как наука оформилась и получила развитие в XX в. в западных странах, так как для этого сложились основные предпосылки: были сформированы основы общей экономической теории, производство и уровень организации общества достигли точки наивысшего развития в виде создания индустриальной экономики, в основе которой лежат крупное промышленное производство и акционерная форма собственности, сформирована эффективная система правовых институтов и рыночной инфраструктуры, возникла развитая система национальных и международных фондовых рынков и финансовых посредников.

В настоящее время можно говорить о том, что в мире сложились основные научные школы в области корпоративных финансов, базирующиеся на достижениях современной экономической науки, а также специфике развития рыночной экономики в различных странах. К ним можно отнести рыночную и континентальную школы.

Рыночная школа (называемая также англо-американской) опирается на положение о распылённости капитала (владельцы собственного и заёмного капитала представлены держателями акций и облигаций) при относительно слабом участии собственников в управление и контроле над денежными потоками. В условиях развитых финансовых рынков и сильной правовой базе такого участия, как правило, достаточно для обеспечения прозрачности финансовой информации и финансовых решений. Рыночная школа базируется на *принципе собственника*, поскольку главным действующим лицом корпоративного сектора в открытой рыночной системе является акционер, обеспечивающий предприятие необходимыми финансовыми ресурсами (собственным капиталом предприятия). В такой системе в качестве стратегической цели выступает *максимизация рыночной оценки капитала компании*. Именно эта цель получила наибольшее признание в рыночной теории корпоративных финансов и сыграла важную роль в развитии корпораций разных стран.

В условиях развитого фондового рынка и распылённости капитала максимизация благосостояния собственников выражается в росте курсовой стоимости акций и зависит от большого количества факторов: времени получения доходов; использование заёмного капитала; дивидендной политики; ситуации на финансовом рынке и др. Однако рост благосостояния (капитализации) держателей акций той или иной компании далеко не всегда отвечает **макроэкономическим целям** социально-экономического развития национальной и мировой экономики. Уже давно было отмечено, что при принятии инвестиционных решений нельзя опираться на данные фондового рынка, поскольку финансовый сектор не в полной мере отображает реальные экономические показатели и картина постоянно искажается действиями участников рынка. Банкротства крупнейших банков ряда наиболее развитых стран Запада, спад на рынках недвижимости и фондовых рынках по всему миру 2008-2009 гг. однозначно продемонстрировали некоторую односторонность принципа собственника.

Континентальная школа корпоративных финансов в «связанной» финансовой системе, где имеется относительно слабое дробление капитала, развитые институты социальной и профессиональной защиты опирается на так называемый ***принцип участника,*** который признаёт, что кроме акционеров, существует ряд других групп: финансовые институты; рабочие и служащие компании; покупатели готовой продукции; поставщики сырья, материалов, услуг и др.; общество, имеющих законные права на участие в деятельности компании.

В связанной рыночной системе трансформация принципа участника привела, к формированию ***принципа максимизации социальной ответственности предприятия.*** Социальная ответственность, которая основывается на предпосылке, что предприятие функционирует не в

социальном вакууме, а постоянно взаимодействует со всеми общественными структурами, взаимоотношения с которыми корректируются через какое-то время в результате изменений в социальной и экономической среде.

Отдельные разработки в области теории финансов велись ещё в период господства классической теории, а за тем и кейнсианства. В это время формируется понятийный аппарат и складывается методология будущей **неоклассической теории финансов**, которая до настоящего момента является **рабочей теорией**, применяемой финансистами всего мира.

Начало формирования **неоклассической теории финансов** было заложено в первой половине XX в. в работах: **Ф. Найта** («Концепцию взаимосвязи риска и доходности», 1921г.); **И. Фишера** («Концепции стоимости денег во времени», 1930г.); **Дж. Уильямса** («Концепции стоимости капитала и концепции денежного потока», 1938г.) и др. Принято считать, что неоклассическая теория была в целом сформирована с 1952 по 1973г.

Вышеупомянутый период начинается с выхода работы Г. Марковица «О принципах формирования портфеля» (1952г.) и завершается разработкой модели оценки стоимости опционов Ф. Блэком, М. Шелесом и Р. Мертоном. Наиболее значимыми достижениями в развитии неоклассической теории финансов в этот период являются теория формирования портфеля, разработанная **Г. Марковицем** в 1952 г.; модель оценки капитальных активов, в литературе больше известная под аббревиатурой *CAPM(Capital Assets Pricing Model)*, сформированная У. Шарпом, Дж. Литнером и Ж. Моссином в 1964 г.; гипотеза информационной эффективности рынка капитала, выдвинутая Ю. Фамой в 1965 г.; теория структуры капитала и теория иррелевантности дивидентов, предложенные Ф. Модильяни и М. Миллером в 1958-1961гг.; теория ценообразования опционов, сформированная Ф.Блэком, М. Шолесом и Р. Мертоном.

Вклад упомянутых учёных в развитие теории неоклассических финансов был высоко оценён общественностью. Шестеро из них Г. Марковиц, У. Шарп, Ф. Модельяни, М. Миллер, М. Шолес и Р. Мертон, впоследствии стали лауреатами Нобелевской премии.

В основе неоклассической теории лежит представление о совершенном рынке капитала, на котором обращается множество финансовых инструментов и множество инвесторов участвует в процессе их купли и продажи. ***Совершенный рынок капитала*** – это модельный рынок, для которого справедливы следующие постулаты: количество участников рынка достаточно велико, так что никто из них не может влиять на рыночные цены; все участники рынка имеют равный доступ на рынок трансакционные издержки при совершении сделок купли-продажи финансовых инструментов отсутствуют налоги; отсутствуют информационные издержки, так что все участники рынка обладают одинаковым набором информации; все участники рынка имеют одинаковые (гомогенные) ожидания относительно будущего; отсутствует риск банкротства для участников рынка и экономических субъектов, выпустивших в обращение финансовые инструменты.

Помимо концепции совершенного рынка капитала в основе неоклассической теории лежит ***гипотеза о рациональности*** участников рынка капитала. Согласно этой гипотезе, все участники рынка действуют рационально, предпочитая больший доход меньшему, а меньший риск большему при прочих равных условиях.

На основе представлений о совершенном рынке капитала, рациональности инвесторов и нормальности функции распределения случайных величин, которыми являются доходности ценных бумаг, Г. Марковиц разработал теорию портфеля, до текущего момента являющуюся главным руководством для принятия инвестиционных решений для всех финансистов и экономистов. Новаторским прорывом в теории портфеля оказалось отношение к риску. Дальнейшее развитие теории Г. Марковица было проведено **Дж. Тобином**, который сформировал ***теорию смешанного портфеля,*** включающего ценные бумаги с определёнными и неопределёнными денежными потоками.

Идеи Г. Марковица по принятию инвестиционного решения в отношении портфеля ценных бумаг с неопределёнными потоками были положены в основу теории стоимости таких финансовых

инструментов, которая значительно продвинулась в своём развитии благодаря работам **У. Шарпа, а позднее Дж. Литнера и Ж. Моссина.**

Модель оценки финансовых активов CAPM была выведена У. Шарпом из модели Г. Марковица. Основная идея модели У. Шарпа состоит в оценки доходности рискового финансового инструмента через доходность без рисковых финансовых инструментов и надбавку за риск неопределённости денежного потока оцениваемого инструмента. В качестве без рисковых финансовых инструментов рассматриваются долговые финансовые инструменты (облигации), обладающие определённым денежным потоком. Надбавка за риск неопределённости формируется как произведение сверх доходности рынка акций над рынком облигаций и бета-коэффициента оцениваемого инструмента. Важную роль в этой модели выполняет так называемый рыночный портфель рисковых ценных бумаг, в качестве которого чаще всего принимается портфель, соответствующий фондовому индексу. Сверх доходность рынка акций представляет собой дополнительную доходность, которую имеет рынок акций в среднем по сравнению с рынком облигаций и обусловленную риском неопределённости денежных потоков, создаваемых акциями. Эта интерпретация модели в дальнейшем позволила получить эмпирический способ оценки рисков любых неопределённых финансовых инструментов с выделением компонентов риска и с соответствующей корректировкой без рисковой ставки. Такой подход получил в дальнейшем название *кумулятивного метода* расчёта доходности, который применяется в условиях нарушения постулатов совершенного рынка.

Другая интерпретация модели У. Шарпа была связана с выделением двух составляющих компонент риска: систематического и несистематического. Первый обусловлен факторами глобального характера, воздействующими на курсы глобального характера, воздействующими на курсы всех без исключения бумаг.

Второй обусловлен факторами корпоративного характера и воздействует на курсы конкретной ценной бумаги. Бета-коэффициент в этом случае характеризует чувствительность доходности оцениваемой ценной бумаги к систематическому риску. Эта интерпретация модели У. Шарпа была использована при построение многофакторных моделей прогнозирования доходностей акций.

Особые успехи в области многофакторного моделирования доходностей акций специалисты приписывают Б. Розенбергу и В. Марату, которые в 1970-х гг. разработали такую многофакторную модель *BARRA*. Уже более сорока лет подобные модели с успехом применяются трейдерами на фондовых рынках. Они представляют собой продукт, который разрабатывается в созданной 40 лет назад и существующей до сих пор компании *BARRA*.

Превращение модели ***CAPM*** в стройную микроэкономическую теорию человечество обязано Ж. Моссину и Дж. Литнеру. Эти учёные получили вывод стоимостной модификации модели *CAMP*. Модель в варианте У. Шарпа представляет собой модификацию *CAMP* в терминах доходности.

Альтернативной *CAMP* моделью оценки стоимости финансовых инструментов с неопределёнными денежными потоками является ***модель арбитражного ценообразования (Arbitrage Pricing Theory, APT)***, разработанная впервые С. Россом в 1976 г. В отличие от *CAMP* арбитражная модель основывается на меньшем количестве исходных постулатов. Среди них главным является предположение о том, что каждый инвестор стремится использовать любую возникающую на рынке возможность увеличить доходность своего портфеля без увеличения риска. Такие возможности время от времени возникают на рынке в виде арбитражных ситуаций, для которых характерно нарушение паритета рыночных цен на один и тот же вид актива. Реализовать арбитражную возможность можно с помощью арбитражного портфеля, процедура построения которого была разработана С. Россом.

В гипотезе информационной эффективности выделяются ещё два понятия, связанные с идеально эффективным рынком и экономически эффективным. Под *идеальной информационной эффективностью* понимается такой рынок, который, обладая сильной степенью информационной эффективности, мгновенно отражает все группы информации в ценах на финансовые инструменты. Конечно, идеально информационно эффективный рынок представляет собой некую абстракцию. Но это понятие позволяет осознать другой смысл гипотезы об информационной эффективности рынка

капитала. Если у компании есть некоторая внутренняя (справедливая) стоимость, то цены на её акции, сформированные идеальным информационно эффективным рынком, помноженные на количество выпущенных акций (рыночная капитализация компании), будут в точности соответствовать этой стоимости, и наоборот.

Понятию идеальной информационной эффективности противопоставляется понятие *экономической информационной эффективности* рынка капитала, под которой понимается степень информационной эффективности реального рынка с учётом временного лага в реакции цен финансовых инструментов на поступающую информацию. Рассматривая реальные рынки ценных бумаг, мы имеем дело с их экономической информационной эффективностью.

В соответствии с гипотезой информационной эффективности рынка капитала, чем сильнее экономическая информационная эффективность рынка приближается к идеальной, тем точнее курсы акций (рыночная капитализация компании) отражают справедливую (внутреннюю) стоимость компании-эмитента.

Следующая, ключевая в неоклассических финансах теория, называемая *теорией структуры капитала*, касается оценки влияния структуры финансирования компаний на их рыночную стоимость. Проблема выбора и оптимизации источников финансирования деятельности предприятий всегда являлась одной из наиболее сложных. Подход к структуре капитала с точки зрения его источников важен именно для принятия финансовых решений, поскольку позволяет ответить на основной вопрос управления финансами: откуда получить финансовые ресурсы?

В условиях развитого фондового рынка понятие цели компании как роста благосостояния собственников приобретает более конкретный вид и формулируется как максимизация цены акций или рыночной капитализации компании. Поэтому во второй половине XX в. стали проводиться активные исследования в области поиска факторов, влияющих на капитализацию. Американские экономисты Ф. Модильяни и М. Миллер поставили задачу изучить влияние структуры финансирования. В 1958 г. они опубликовали Свою работу «Цена капитала, корпоративное финансирование и теория инвестиций», которая считается поворотным пунктом в развитии теории капитала. Фундаментальное открытие Ф. Модильяни и М. Миллера заключалось в том, что при условии существования совершенного рынка капитала и отсутствия возможности проведения арбитражных сделок компании не могут получить дополнительный доход, переходя от одной схемы финансирования к другой.

Они ввели понятие эквивалентных компаний (компаний одного класса), имеющих одинаковый рейтинг и находящихся в одной ценовой нише. Кроме того, сформулировали ряд теорем о влиянии структуры капитала на рыночную капитализацию, важнейшей из которых является первая теорема, которая гласит: «Рыночная стоимость компании не зависит от структуры её капитала и определяется нормой капитализации ожидаемого дохода в компаниях её класса».

Эта теорема получила в литературе название теоремы *M&M*. Эта теорема имела исключительное значение для развития теории корпоративных финансов, поскольку сделала важный вклад в понимание влияния земного финансирования на стоимость компании.

Развивая теорию структуры капитала, Ф. Мадильяни и М. Миллер предложили в 1963 г. модификацию своей ранней теории, вводя в рассмотрение налог на прибыль компании. В 1977 г. М. Миллер включил в расчёт стоимости компании подоходный налог с владельцев капитала (акционеров и держателей облигаций). В развитии и совершенствовании теории структуры капитала принимали участие многие авторы. Модифицированная теория *M&M* получила название теории компромисса между экономией от снижения налоговых выплат и финансовыми затратами (процентными выплатами за заёмный капитал). В ней доказано , что стоимость компании растёт вместе с величиной левериджа за счёт экономии на налоге до определённого момента, когда достигается оптимальная структура. Дальнейший рост доли заёмного капитала приводит к снижению стоимости фирмы за счёт издержек, связанных с риском.

В результате исследований Ф. Мадильяни и М. Миллер пришли к следующим выводам. Во-первых, наличие некоторой доли заёмного капитала оказывается благоприятным для компании. Во-вторых, неблагоприятно сказывается на стоимости компании чрезмерный объём заёмного капитала. В-третьих, для каждой компании существует своя оптимальная доля заёмного капитала.

Аналогичные исследования были проведены Ф. Модильяни и М. Миллером в области дивидендных политик компаний. Учёные разработали модель и доказали, что в рамках совершенного рынка, рациональных экономических субъектов и постоянства бюджета капитальных вложений выбор дивидендной политики не влияет на стоимость компании. Эта теория получила название *теории иррелевантности дивидендов*.

Дж. Линтнер в 1956 г. обратил внимание на то, что дивидендная политика несёт полезную информацию для инвесторов. Инвесторы стремятся иметь доходы сегодня, а не ожидать процветания в будущем. Поэтому финансовые менеджеры стараются поддерживать стабильность дивидендных выплат, чтобы поддержать курс акций. Идеологом такого подхода к проблемам выбора дивидендной политики является также и М. Гордон. Основной его аргумент выражается крылатой фразой: «**Лучше синица в руке, чем журавль в небе**» и состоит в том, что инвесторы исходя из принципа минимизации риска всегда предпочтут текущие дивиденды возможным будущим, равно как возможному приросту акционерного капитала. Кроме того, текущие дивидендные выплаты уменьшают уровень неопределённости инвесторов относительно целесообразности и выгодности инвестирования в данное предприятие. Инвесторы, удовлетворяясь меньшей нормой доходности на инвестированный капитал, повышают спрос на акции, что приводит к возрастанию рыночной оценки акционерного капитала. Напротив, если дивиденды не выплачиваются, неопределённость возрастает, возрастает и приемлемая для акционеров норма доходности, что приводит к снижению рыночной оценки акционерного капитала.

Дальнейшее развитие финансового рынка, усложнение его структуры, появление и массовое распространение производных финансовых инструментов (форвардов, фьючерсов, опционов и свопов) создали потребность в продолжение развития теории стоимости финансовых инструментов.

Появление такого финансового инструмента, как **опцион**, поставило финансистов перед необходимостью расширения модельного инструментария, используемого для их описания. Оказалось, что для моделирования поведения опциона известных моделей денежных потоков с определёнными и неопределёнными денежными выплатами уже недостаточно. Появилась новая модель – денежный поток с обусловленными денежными выплатами, с помощью которой стали описывать денежные потоки, порождаемые опционами.

Модель оценки стоимости денежных потоков с обусловленными денежными выплатами была разработана в 1973 г. Ф. Блэком и М. Шолесом, получив название *модели Блэка-Шолеса* и заложив основу *теории ценообразования опционов*.

В ней положена пятифакторная модель для определения цены опциона. Этими факторами являются: спотовая стоимость базисного актива (акции), страйк (стоимость актива при поставке по контракту), время до исполнения контракта, без рисковая процентная ставка и дисперсия рыночной цены базисного актива. Значимость модели оценки опциона невозможно переоценить. Её появление вывело на новый, организованный уровень торговлю этими контрактами. В 1973 г. Торговый совет Чикаго основал Чикагскую опционную биржу, создав тем самым организованный рынок для торговли опционами на зарегистрированные акции.

Модель оценки стоимости опционов послужила базой возникновения нового направления в финансовой науке – **финансовой инженерии**. Она создала возможности для конструирования новых финансовых инструментов с целевыми характеристиками, позволила проводить теоретическую оценку стоимости известных ранее, но не обладающих сложной финансовой конструкцией объектов и стратегий с ними. Её приняли на вооружение финансисты всех стран.

Дальнейшее развитие теории корпоративных финансов связано с формированием нового направления в экономической теории –*институционализма*. Он создавался на основе критического

подхода к неоклассическим финансам и предписывает учитывать институциональной структуры общества.

Необходимым условием принятия решений, согласно этой теории, является учёт норм, стандартов и правил, установленных конституционным, имущественным и контрактным правом, системой налогообложения, бухгалтерским учётом и др.

Основное внимание в теории институционализма уделяется получению фирмой дополнительной выгоды от функционирования данных институтов посредством выбора и заключения тех или иных видов контрактов. Система общественных институтов призвана облегчить работу рынка и, по мнению приверженцев этой теории, способствовать оптимальному использованию ресурсов общества и снижению рисков. В современной науке эти постулаты легли в основу нескольких направлений прикладной экономической науки. В частности, в корпоративных финансах – это налоговое планирование, разработка учётной и финансовой политики, контрактное право, система расчётов и др.

Влияние *неоинституционалистской* теории, современными апологетами которой в области финансов являются, Р. Мертон, Э. Ло, Р. Шиллер и др., выразилось в том, что критерий экономии на трансакционных издержках в последствии нашёл широкое применение при принятии решения о выборе оптимальной организационной формы предприятия и его финансовой структуры (создании холдингов, групп и других корпоративных структур). Идея о влиянии общественных институтов на распределение информации на рынке и внутри компании нашла своё отражение и дальнейшее развитие в других основополагающих теориях корпоративных финансов – теории агентских отношений и теории асимметричной информации.

Теория агентских отношений нацелена на разрешение проблемы отделения собственности и контроля. Она возникла в связи с тем, что собственники крайне редко способны самостоятельно управлять своими компаниями и вынуждены делегировать свои полномочия по управлению наёмным специалистам – менеджерам. Наёмные менеджеры (или агенты), в компетенцию которых входит принятие существенных решений по управлению предприятием, обладают большим объёмом информации о предприятии и действуют далеко не всегда в соответствии с целью максимизации благосостояния собственников (или принципалов). В результате возникают так называемые «агентские конфликты». Другим источником такого рода конфликтов является дифференциация интересов собственников и кредиторов. Основные положения теории агентских отношений были разработаны в трудах М. Джессинга и У. Меклинга в 1976г. и Ю. Фамы в 1980 г. Они посвящены изучению форм и способов сглаживания такого рода конфликтов в интересах собственников. Для разрешения возникающих конфликтов используются механизмы, побуждающие менеджеров действовать в интересах акционеров и в интересах кредиторов: стимулы, ограничения, наказания.

Стимулами для менеджеров могут являться системы стимулирования на основе показателей эффективности и результативности деятельности организации в виде опционов на приобретении акций предприятия или в виде наградных пакетов акций. Развитие неоинституционалистской теории в направлении разработки механизмов стимулирования (*mechanism design*) было инициировано нобелевским лауреатом Л. Гурвицем в 1973 г.

В разгар кризиса 2008-2009гг. судебные власти США постановили, что банк *Morgan Stanley* и два крупных рейтинговых агентства *Moody's Investors Service и Standard & Poor's (S&P)* должны выступить ответчиками по коллективному иску инвесторов. Финансовые компании обвиняются в том, что пытались скрыть от клиентов степень опасности, связанную с вложениями в ценные бумаги, обеспеченные рискованными ипотечными кредитами.

Также в качестве инструментов сглаживания агентских конфликтов в развитых странах широко используется система внутренних регламентов и кодексов корпоративного поведения.

Кодекс корпоративного поведения – свод правил, рекомендованных к соблюдению участникам рынка ценных бумаг и направленных на защиту прав инвесторов, а также на улучшение иных аспектов корпоративного управления.

Теория асимметричности информации основывается на предположении о том, что часть участников рынка в большей степени осведомлена о качествах торгуемого товара, чем остальные его участники. Основоположником теории асимметричности информации считается К. Эрроу, опубликовавший первую работу, посвящённую этой проблеме, в 1963 г. В 1970 г. Дж. Акерлоф разработал модель рынка с асимметричной информацией и показал, что на таком рынке цена товара может Снижаться и в конечном итоге рынок приходит к коллапсу.

В приложение к финансовым рынкам асимметричность информации наблюдается в отношение менеджеров компаний и инвесторов, покупающих акции этой компании. Менеджеры значительно больше знают о перспективах развития компании, чем инвесторы. В соответствие с теорией Дж. Акерлофа, следует снижать асимметричности, чтобы обеспечить рост курсов акций, а в конечном итоге увеличить богатство акционеров. Простейшим способом такого снижения является информирование общественности о состоянии компании. Но опыт показывает, что простое информирование имеет лишь ограниченную ценность. Специалисты предложили в таком случае разработать и использовать систему позитивных сигналов для инвестиционной общественности. Сигналы представляют собой некоторые корпоративные действия, убеждающие инвесторов в хороших перспективах будущего развития компании. Например, таким сигналом может оказаться повышение размера дивиденда. При повышение дивидендных выплат менеджмент показывает инвесторам, что существует ожидание стабильно высокой или растущей чистой прибыли, побуждая тем самым к покупке акций по более высокой цене.

Механизмы снижения информационной асимметрии в текущий момент играют очень важную роль в управлении корпоративными финансами и широко применяются менеджерами как зарубежных, так и российских компаний.

Одним из постулатов неоклассической теории финансов, который подвергался критике многими учёными-экономистами, является рациональность экономических субъектов. Во всех неоклассических теориях экономические субъекты принимают рациональные решения. В приложение к финансовым рынкам это означает, что, во-первых, все участники рынка «правильно» и одинаково воспринимают поступающую информацию, во-вторых, они принимают «правильные» внутренне непротиворечивые решения, соответствующие максимуму субъективной ожидаемой полезности.

К началу 1970-х гг. многие учёные заметили, что рациональность участников финансовых рынков часто нарушается, поэтому неоклассические теории корпоративных финансов не всегда правильно отражают реальность. Решение проблемы нациопальности участников финансовых рынков было предложено в рамках *теории поведенческих финансов*. Считается, что толчком к появлению и развитию этой теории послужили работы психологов А. Тверски и Д. Канемана, которые были опубликованы в 1974 и1979 гг. В настоящее время десятки учёных по всему миру занимаются проблемой между психологией и рыночным поведением экономических субъектов. В 2002 г. Д. Канеман за исследования в области поведенческих финансов получил Нобелевскую премию.

Основное достижение поведенческих финансов связано с пониманием того, что в области финансов, как и в других сферах человеческой деятельности, люди принимают решения под влиянием эмоций, существующих стереотипов, ошибок в оценках и откровенных заблуждений. В поведенческих финансах рассматривается целый ряд характеристик поведения участников рынков, отражфющих нерациональность их поведения, приведём только некоторые из них:

Ниже указывается об одном, но очень убедительным подтверждением несостоятельности неоклассических теорий финансов можно считать мировой финансовый кризис, разразившийся в США в 2008 г. и охвативший весь мир. Ответственность за этот кризис возлагается на учёных-экономистов некоторых американских университетов, которые консультировали правительство США по финансовым вопросам. Нобелевский лауреат по экономике 2008 г. и известный американский колумнист П. Кругман в своей статье указал, что научные консультанты чрезмерно полагались на

справедливость неоклассических финансовых теорий, базирующихся на рациональности инвесторов, совершенном рынке и гипотезе об информационной эффективности рынка.

Это не позволило адекватно отреагировать на признаки надвигающегося кризиса, появившиеся на рынке недвижимости США и на внебиржевом рынке дефолтных свопов.

Особой критике со стороны **П. Кругмана** была подвергнута гипотеза информационной эффективности рынка капитала, согласно которой эффективный рынок формирует рыночные цены на активы, совпадающие с их справедливой (внутренней) стоимостью. Недостатком такого взгляда на ценообразование является недооценка значимости спекулятивной составляющей цены акций. Ярким примером такой недооценки является фондовый «пузырь», возникший в системе НАСДАК в 2000 г. на рынке акций интернет компаний.

Таким образом, чрезмерная вера неоклассических Финансистов в силу рынка и недооценка необходимости его государственного регулирования привели к кризису, ещё раз продемонстрировав опасности, которые таит применение неадекватных теорий, и необходимость в разработке новых. Более точно описывающих реальность.

ბიბლიოგრაფია, Bibliography, Библиография
ა) ტექსტში გამოყენების რიგითობის მიხედვით:

1. **ბასარია ვლ., ბასარია რ. ეკონომიკის პრინციპები.** სახელმძღვანელო ეკონომიკურ თეორიაში ორ ნაწილად: მიკროეკონომიკა და მაკროეკონომიკა. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. „საქართველოს აკადემიური გამომცემლობა „ თბილისი, 2017.-გვ.362.
2. **პოლ სამუელსონი "ეკონომიკსი",** პირველად თარგმნ. ქართულ ენაზე ეკონ.მეცნ. დოქტორის, პროფესორ კ.ი.ღურწკაიას მიერ. გამოიცა 4 წიგნად, სტუ, თბილისი.2000.
3. **პაპავა გ. „ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია".** პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი. 2011.-323 გვ.
4. **როზეტა ასათიანი. XX საუკუნის მსოფლიო ეკონომიკის კონცეპტუალური ანალიზი და საქართველოს ეკონომიკური პორტრეტი.** თბილისი, გამომცემლობა „სიახლე."2017.-140 გვ.(4,97.)
5. **მერაბ ჯიქია. ფინანსური ანალიზი (საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით).** ლექციების კურსი. გამომცემლობა „მერიდიანი." თბილისი, 2011. -284 გვ.
6. **კაკულია რ. ფინანსური ეკონომიკა.** თბილისი, 2007. გვ. 5-6.
7. **ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება,** „ინოვაცია", თბ.,2007. – გვ. 39-40.
8. P. F. Drucker. The Practice of Management.Butterworth-Heinemann, 2007 – Business & Economics – p. 155. (8,38გვ.)
9. Георгий Папава. Методология познания качеств реалий смешаной рыночной экономики паралогизмы, Стокгольм, CA&CC PressR, 2009, стр. 344.
10. Ансофф И. Новая корпоративная стратегия Санкт-Петербург. 1999.(10,407გვ.).
11. წყარო: ჯ. რ. ჰეკმანისა და გ. რ. ოლდჰემის ვორკ რედესინდის ადაპტირებული ვერსია, (გვ. 161-162).
12. გოგოხია რ. საბაზრო ეკონომიკა. თბილისი, 1996
13 ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ესპსკი, შრომების კრებული ტ ნ.,თბილისი, 2005.
14. Ohmae K., The Borderles s World 1990. – (gv. 41).
15. ეთერია ე., „გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა". გამომც. :"უნივერსალი". თბ., 2009. გვ. 303.
16. **ლომთათიძე ზ** – აფხაზეთის მეცნ.ეროვნული აკადემიისა და საქ. მეცნ. ეროვნული აკადემიის აჭარის ა/რ რეგიონული სამეცნიერო ცენტრის ერთობლივი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის – „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა საკითხები – ისტორია და თანამედროვეობა", 2016 წლის 10-12 ივნისის მასალები. გვ. 6-7.
17. **ჯალაღონია დავით,** იქვე (იხ N16). – „ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა საკითხები – ისტორია და თანამედროვეობა", 2016 წლის 10-12 ივნისის მასალები. გვ. 135-140.
18. **ბარათაშვილი ე, ზარანდია ჯ, „**საქართველოს რეგიონული ეკონომიკა", თბილისი, (2007) გვ 41.
19. **გიორგი ცაავა.** საბანკო და ფინანსური მენეჯმენტი. მონოგრაფია: ორ ტომად. თბილისი. „სს პირველი სტამბა".2002. (ტომი 2. -129 გვ.).
20. Алан Рот, Александр Захаров,Яков Миркин, Ричард Бернард, Пётр Баренбойм, Брукели Борн. Основы государственного регулирования финансового рынка.- М.: ЗАО"Юридический Дом"Юстицинформ", 2002.- 512с. Авторы предлагаемого пособия ставят перед собой задачу выявить место и роль государственных органов в регулировани рынков на разных этапах развития национальных экономических систем.
21. ნ. ჭითანავა – „საქართველოს ეკონომიკის მეტამორფოზები და პერსპექტივები". თბილისი. ივერიონი. 2012 წ.

22. ბარათაშვილი ე, აბრალავა ა, ზარანდია ჯ, ფარესაშვილი ნ, იაშვილი გ, იაშვილი თ, „სტრატეგიული მენეჯმენტი. თბ. 2013.
23. ქოქიაური ლ. ქოქიაური ნ. „ინოვაციები". მონოგრაფიული სახელმძღვანელო. სტუ. „ტექნიკური უნივერსიტეტი". თბილისი. 2015. – 688 გვ.
24. გენადი იაშვილი, სტატია – „სტატეგიული დაგეგმვის თეორიული საფუძვლები მცირე ბიზნესში". საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და საქართველო" – მასალები. თბილისი. გამომცემლობა „ევროპული უნივერსიტეტი", 2011. – 387-391 გვ.
25. ჭუმბურიძე ლ. – „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება". მონოგრაფია. გამომცემლობა „დანი". თბილისი. 2014. – 274 გვ.
26. ჯალაღონია დ.,პაპასქუა ი. – სტატია. „ბუღალტრის პროფესიული სერთიფიცირების ძირითადი აქცენტები ახალ რეგულაციაში". მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის კრებული. თბილისი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 29-30 სექტემბერი 2017. გვ. 169-173.
27. ლიპარტიაზ., ზარანდია ც., გელაშვილი.მ. „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი".სახელმძღვანელო. ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2011წ.- 306 გვ.
28. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (ფასს), 2010წლის 1 იანერის მდგომარეობით. ორ ნაწილად.თარგმნილი საქართველოს ბაფი-ს მიერ. გამომცემლობა, შპს„დანი" თბილისი, 2011. -1448გვ.
29. **ილია ჭავჭავაძე , ტომი 5.** გამომცემლობა „საქართველო", თბილისი. 1987.-399გვ.
30. **პაპავა გ. ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგია. თბილისი,** პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.-323 გვ.
31. Зви Боди,Мертон Роберт. Финансы.: Пер. с англ.: Уч.пос.- М.: Издательский Дом „Вильямс" 2013.- 592с.
32. ლიპარტია ზ. – „კორპორაციების ფინანსური მართვის მექანიზმის სრულყოფის საკითხისათვის". **სტატია. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. ტომი 12,** გამომცემლობა „უნივერსალი", თბილისი, 2015. გვ 136-145.
33 **Друкер, Питер Ф. Задачи меджмента в XXI веке.**: Пер. с англ.: Уч. Пос.- М.: Издательский дом „Вильямс", 2007. – 288с. Эта книга классика современного меджмента, посвящена глобальным проблемам, с которыми столкнётся мировая экономика и всё человечество в XXIвеке.
34. **ბაღათურია გ. ბაღათურია ო.** სტატია- **„efeqtiani menejmentis principebi peter drukeris mixedviT".** „საერთაშორისო სამეცნიერო ურნალი „ხელისუფულება და საზოგადოება". (ისტორია, თეორია, პრაქტიკა) N4. თბილისი, 2008. გვ 54-64.
35. ლიპარტიაზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ. კორპორაციული ფინანსები: **სახელმძღვანელო.ტომი 2.-„კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგიები",** გამომცემლობა „უნივერსალი".თბილისი, 2013.-554გვ.
36. **რევაზ ხარებავა** „ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. სახელმძღვანელო. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი. 2012. – 632. გვ.
37. ***ლიპარტია ზ, მაისურაძე ნ,*** *სტატია:* „სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვისა და კონტროლინგის პრიორიტეტები საქართველოს სამთო-მომპოვებელი დარგის RMG – ის კომპანიების მაგალითზე". ურნალი „გადასახადები" N10-11. 2014 წ. გვ 81-93.
38. **მოსიაშვილი ვ.ჭელიძე მ. ფინანსები.** (სახელმძღვანელო) თბილისი, გამომ-ცემლობა"დანი",2016.-540გვ.(თემა 10-საქართველოს საგადასახადო სისტემა.267-285გვ.)
39. **ლიპარტია ზ.,ზარანდია ც.,გელაშვილი მ.** მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი. სახელმძღვანელო ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 2011.-306გვ.
40. **ცაავა გ.,სიჭინავა ა., ხანთაძე გ.,**-კორპორაციული ფინანსები (ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგია). გამომც,"ტექნიკური უნივერსიტეტი",2016.-724გვ.
41. **წიგნი F 9 ფინანსური მართვა. სრული ტექსტი. სახელმძღვანელო-ACCA,FTC Kaplan** Limited.2010.(ISBN9781847107329-ინგლისური გამოცემისთვის); საქართველო-ბაფ 2011.თავი 19- „კომპანიების შეფასებები და ბაზრის ეფექტურობა", 491-522გვ.

42. **Георгий Малашхия. Экономика человечная. Экономико-философские суждения. Санкт-Петербург-Тбилиси. 2009. С.250.**
43. ცაავა გ., გავაშელი შ., ცაავა თ., მონეტარული პოლიტიკა და მსოფლიო სავალუტო სისტემა. გამომცემლობა „უნუვერსალი", თბილისი, 2009.-462გვ.
44. მესხია ი. საერთაშორისო ვაჭრობა. სახელმძღვანელო.-თბილისი, 2011.-476 გვ.
45. ლინდერტი პ. საერთაშორისო ეკონომიკა (თარგმნილი ინგლისურიდან) თბილისი.,2001
46. ცაავა გ.,აბრამია თ., ცაავა დ.,რისკოლოგია: ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი. სახელმძღანელო. თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია". 2007.-567 გვ.
47. ვ. მოსიაშვილი ფ. ლომაძე ფ. ქოქოსაძე, საბანკო საქმე (ლექციების კურსი), თბილისი, 2009.
48. **Мишкин, Фредерик С. Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков, 7-е издание: Пер. с англ. –М.: ООО „И.Д. Вильямс", 2013.- 880с.**
49. ცაავა გიორგი-ფინანსური ინჟინერია: ლექციების კურსი. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი",2013. -665 გვ.
50. **რუსუდან ქუთათელაძე, ზურაბ სტატია „ბიზნესპროცესების რეინჟინირინგის მექანიზმში სერვისული ორგანიზაციების პროდუქტების გამოყენების საკითხისთვის".სამეცნიერო ურნალი ,ბიზნეს-ინჟინერინგი", სტუ,თბილისი. N 3, 2013. 9-19გვ.**
51. **Синки Дж. Финансовый менеджмент в комерческом банке и в индустрии финансовых услуг/ Джозеф Синки-мл.; Пер. с англ.- М.: Альпина Бизнес Букс, -2007.- 1018 с.**
52. **ლიპარტია ზ. „შიდა კონტროლის სისტემის მოდელირება საბანკო ბიზნესის ეკონომიკური უსაფრთხოების რეგულირების მექანიზმში". / საერთაშორისო ჟურნალი- „სოციალური ეკონომიკა" -XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. სტუ, თბილისი, N 3- 2011.- 78-83გვ.**
53. ლია ელიავა, საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამოწვევები, თბილისი, 2015, 388გვ.
54. ნაწილი მეხუთე. მოკლე ეკონომიკურ-ფინანსური ენციკლოპედიური ლექსიკონი

ბ) ანბანური თანმიმდევრობით გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., არევაძე ნ., სარჩიმელია რ., მელაშვილი მ. „ეკონომიკური განვითარების და პროგნოზირების პრობლემები". საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. გამომც. „უნივერსალი", თბილისი. 2004.-220გვ.
2. აბრალავა ა. „ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია". თბ. 2005.
3. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი. თბ.: „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009;
4. ასათიანი ვლ., ცაავა გ. – „კომერციული ბანკის საქმიანობის ფინანსური ანალიზი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა)". – თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2014. 500 გვ.
5. ასათიანი რ. საით მიდის საქართველო? სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალური ანალიზი. მონოგრაფ. თბილისი, გამომც.. „სიახლე"2014.
6. ბარათაშვილი ე, აბრალავა ა, ბახტაძე ლ, კაკულია რ – „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა". სახელმძღვანელო. თბ. 2015. -398 გვ.
7. ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეჯბაია ბ., მესხიშვილი დ., „თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები". სახ. „უნივერსალი". თბ. 2011. გვ. 245
8. ბასარია ვ., ბასარია რ., „გადასახადი: სიკეთე თუ უკეთურება?" თბ., 2003
9. ბასილაია კ., ლიპარტია ზ. – ფინანსური კონტროლი: სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2012. – 400 გვ.

10. ბაღათურია გ, ბაღათურია ო. – „სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მართვისა და ბიზნესის ამოცანებში". ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი, 2015. – 272 გვ.
11. ბახტაძე ლ. კაკულია რ. ჩიკვილაძე მ. საგადასახადო საქმე. სახელმძღვანელო. ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2007.
12. ბინაძე ბ., ლიპარტია ზ., ციმინტია კ. მიკროეკონომიკა. გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 2004.-334გვ.
13. ბერიძე რ., საბანკო მენეჯმენტი, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2009;
14. ბლანკი ი.ა. ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები, ტომი 1, ქართული თარგმნილი ლ. ქოქიაურის მიერ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2008.
15. ბურკაძე ვ. ლიპარტია ზ., აგროსამრეწველო ბიზნესის განვითარების ორგანიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის შემუშავება, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, თბ., 1998, #6, გვ. 68-69
16. ბუცხრიკიძე გ., უძრავი ქონების ადმინისტრაციული მართვის პრინციპები, გამომცემლობა „უნივერსალი", თბ., 2010;
17. გაბიძაშვილი ბ., სილარიბის პორტრეტი საქართველოში, „უნივერსალი", თბ., 2006;
18. გამსახურდია გ. – ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში. – თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი", 1997. – 218 გვ.
19. გამსახურდია გ., საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., 1999;
20. გარეთ რ. ჯონსონი; ჯენიფერ მ. ჯორჯი,"თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები"; საქ. საზოგადოებრივი საქმეთა ინსტიტუტი (GIPA); თბ. 2006.
21. გელაშვილი მ. „საინვესტიციო პოლიტიკა" თბ.2010.
22. გელაშვილი თ., „ფინანასური უსაფრთხოებისა და მდგადობის პრინციპები და ამოცანები საფინანსო–საკრედიტო დაწესებულებებში".სტატია, ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერს. კონფერენციის მასალები. 2011 წ.- 148-151გვ.
23. ვანიშვილი მ., ფარულავა დ. ფინანსების საფუძვლები. თბ., 2015.
24. ვანიშვილი მ., ნოზაძე მ. ფინანსების თეორია ქართული პრაქტიკით.თბ.,2009.
25. ვეშაპაიძე შ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ., 2008.
26. ზარანდია ც., ბარბაქაძე გ., სახოკია გ., „აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი", თბ., 2009.
27. თოდუა გ. გ. ბუღალტრული აღრიცხვის თეორია (საერთაშორისო სტანდარტებით) სახელმძღვანელო .გამომცემლობა „უნივერსალი". თბილისი,2002._184გვ.
28. ინგოროყვა ა., ცაავა გ., „ფინანსური მენეჯმენტი"(სახელმძღვანელო) ტომი 2., სტუ, თბ., 2011.- 702.
29. ინგოროყვა ა., ცაავა გ. – „ფინანსური მენეჯმენტი: თეორია, მეთოდები და პრაქტიკა. (სახელმძღვანელო),ტომი1.„ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ფინანსების მართვა". თბილისი, გამომცემლობა „გრაალი", 2011. – 470 გვ.
30. კაკულია ე. – ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა: სახელმძღვანელო, სოხუმის სახ. უნივ., – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2010. – 464 გვ.
31. კაკულია რ., ბახტაძე ლ., ჯიბუტი ა. – საჯარო ფინანსები: სახელმძღვანელო. – თბილისი, თსუ გამონცემლობა, 2010. – 350 გვ."
32. კაკულია მ. სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში, თბილისი., 2001;
33. კოვზანაძე მ., კონტრაძე გ., – თანამედროვე საბანკო საქმე. თეორია და პრაქტიკა. თბილისი. გამომცემლობა შპს „სეზანი". 2014. – 548 გვ.
34. ლემონჯავა პ. , აბრლავა ა. ეკონომიკის პრინციპები.გამომც. „დანი",თბილისი,20092
35. ლიპარტია ზ., „ეკონომიკური ანალიზი", ნაწილი 1., ეკონომიკური ანალიზის თეორია, თბ., 2003.
36. ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ე., `ეკონომიკური ანალიზი~, ნაწ. II – მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი თბ., უნივერსალი, 2007.

37. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ. – კორპორაციული ფინანსები: თეორია, პრაქტიკა, სტრატეგია, ორ ტომად, სახელმძღვანელო. ტ.1. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი".2012 წ.- გვ. 520.
38. ლიპარტიაზ.,გელაშვილიმ.,„კომერციული ბანკის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტრატეგიის კონცეფციალური ასპექტები". სტატია, ახალციხის სახ. სასწავლო უნივერსიტეტის კონფერენციის მასალები. 2011 წ. გვ. 162-164
39. ლიპარტია ზ., ქვაჩაკიძე შ. სტატია „საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ხარისხის კონრტოლის მონიტორინგის საკითხისათვის". საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული. ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება". (ისტორია, თეორია, პრაქტიკა). 2015. 71-77. გვ.
40. მალაშხია გ. მეტაეკონომიკა (ეკონომიკის ფილოსოფია).თბილისი,1995.
41. მალაშხია გ., „გადასახადების არსებობის საფუძველი და საერთო ნორმა". 2001.
42. მესხია ი. – საერთაშორისო ფინანსები: სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი". – 531 გვ.
43. მექვაბიშვილი ე. ეკონომიკის გლობალიზაცია : მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები,თბილისი 2009.
44. მოსიაშვილი ვ, ჭელიძე მ. საბანკო საქმის საფუძვლები. თბ.2013.
45. პაპავა გ., სამრეწველო ფირმის ორგანიზაცია და მართვა ორ ტომად, თბ., 1998;
46. პაპასკირი რ. ფინანსური მენეჯმენტის მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები საქართველოს სამშენებლო ბიზნესში. მონოგრაფია. გამომცემლობა „უნუვერსალი". თბილისი, 2012.-164.
47. პაპასკირი რ. საბანკო მენეჯმენტი და კორპორაციულ ფინანსები.სალექციო კურსი.გამომც. „უნივერსალი". თბილისი,2012.-236გვ.
48. საქართველოს საბაჟო კოდექსი .თბ., 2012.
49. სარჩიმელია რ. რისკის ელემენტები, თბ., 2003, 132 გვ.;
50. სახოკია გ., ანანიძე ჯ., გიორგიძე ბ. – „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი". გამომცემლობა „გეორგიკა". თბილისი. 2016. – 826 გვ.
51. სვირავა გელა, სვირავა გიორგი, „ბიზნესის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების რეგიონული ასპექტები". გამომც. „უნივერსალი". თბ. 2011–228
52. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები თბილისი, ინივაცია, 2010.
53. სილაგაძე ა.,კახნიაშვილი ჯ.,მექვაბიშვილი ე.,მიკროეკონომიქსი, თბ., თსუ გამომცემლობა, 2008.-306გვ.
54. ტერაშვილი ნ., „საგადასახადო პრაქტიკის აქტუალური საკითხები". თბ. 2005
55. ფაილოძე ნ., ალანია ჯ., ლიპარტია ზ., კეკენაძე ვ. ,ხუციშვილი ო., სულაშვილი გ. „საბუღალტრო საქმე" ტომი 1. (მესამე შევსებული გამოშვება) გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი" თბილისი 2013. – გვ 354.
56. „ფინანსური მართვა". წიგნი F9. ACCA სახელმძ. KAPLAN PUBLISHED. თარგმნილი საქართველოს ბაფის მიერ. თბილისი. 2011.
57. ფოფხაძე გ., ფინანსური მენეჯმენტი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009. 305 გვ.;
58. ქებაძე ნ." აუდიტის საფუძვლები". თბილისი. 2005.-358გვ.
59. ქოქიური ლ. – ფინანსები, ინვესტიციები, საბანკო საქმე: ენციკლოპედიური ტერმინოლოგია (ინგლისურ-რუსულ-ქართული). – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი", 2009. – 1080 გვ.
60. ქუთათელაძე რ., ლიპარტია ზ.," საქართველში ბიზნესის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მეთოდოლოგიურ–პრაქტიკული ასპექტები," საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები" , თბილისი 2011 წ, №7–8, 7–15 გვ.
61. ღურწკაია კ. „საერთაშორისო ბიზნესის აქტუალური საკითხები". თბილისი, 2017.
62. ღურწკაია კ. ღურწკაია კ. „მაკროეკონომიკა", თბ. 2007.
63. ღურწკაია კ., ეკონომიკის პრინციპები, ლექციების კურსი, სტუ., თბ., 2007;

64 ღურწკაია კ, ღურწკაია თ. „საერთაშორისო ბიზნესი". სტუ. თბილისი. 2011.
65. ყუფუნია გ. „საქართველოს ეკონომიკა". გამომცემლობა: "ეროვნული მწერლობა", თბილისი. 2009. 260გვ.
66. ჩანტლაძე ვ. -შოთა რუსთაველის ეკონომიკური შეხედულებები. თბ., გამომც. „მეცნიერება", 1992.-305გვ.
67. ჩიბურდანიძე ლ., საბანკო საქმე, გამომცემლობა „თბილისი", თბ.,2008, 155 გვ.;
68. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ. – „ფინანსური მენეჯმენტი". გამომცემლობა: „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია.", თბილისი, 2006. – 992 გვ.
69. ცაავა გ., ინგოროყვა ა.,ჩხაიძე ზ., „საბანკო ინფორმაციული სისტემები დატექნოლოგიები". – თბ., საგამომც. სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი",2009. –400 გვ.
70. ცაავა გ. – „ფინანსური მენეჯმენტი". – თბილისი, საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009. – 205 გვ.
71. ცაავა გ., ხანთაძე გ. – „საჯარო ფინანსები (თეორია და მეთოდები)", სახელმძღვანელო (თანაავტორთან). – თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2013. – 430 გვ.
72. ცაავა გ., ხანთაძე გ. – „საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა)", (სახელმძღვანელო). თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2014. – 600 გვ..
73. ცაავა გ. – „ფულის თეორიის ევოლუცია და ირვინგ ფიშერის – მიმოქცევაში ფულადი მასის გაანგარიშების ფორმულაში კორექტივის შეტანის შესახებ: ლექციის კონსპექტი". – თბილისი, გამომცემლობა „დანი", 2016. – 30 გვ.
74. ცაავა გ. „ EKONOMIKURI NORMATIVEBIS SRULYOFIS SAKITXISATVIS : O Q R O S KVETAS PROPORCIA BUNEBASI, FERWERASI, ARQITEQTURASI, MSENEBLOBASI, EKONOMIKASI, BIZNESSI, FINANSUR DA SABANKO MENEJMENTSI". – TBILISI, GAMOMC „DANI", 2016. – 152 GV.
75. ცაავა გ. ბურდიაშვილი რ. მოსიაშვილი ვ. – „ფული, ფულის მიმოქცევა და კრედიტი. სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელო. თბილისი, გამომც. „დანი". 2017. – 670 გვ.
76. ძიმციეიშვილი ნ., ბაქრაძე გ. – „მმართველობითი აღრიცხვა" (ფინანსური ინფორმაცია მმართველებისთვის) გამომცემლობა „წიგნის სახელოსნო". თბილისი. 2012. 202 გვ.
77. ძაძამიარ., ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, საქ.ბაფი. თბ. 2008.
78. ძაძამია რ., „ფინანსური აღრიცხვა და ანგარიშგება". თბილისი 2002.
79. ჯალაღონია დ. „ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით" ნაწ. 1. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი. 2011.
80. ხარიტონაშვილი ჯ. პროტექციონისტული ეკონომიკური დოქტრინის ევოლუცია, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008;
81. ხელაია გ. ფული, ბანკები და ბირჟები – თბ. გამომც. „სამთავისი", 1996.-400გვ.
82. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი უმცროსი, „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები", მე-12 გამოცემა, თარგმნ. ინგლ. გამომც. „საქართველოს მაცნე". 635.
83. ჯოლია გ., „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები", სტუ, თბ., 2008. გვ. 684.
84. P. F. Drucker. Management Challenges for the 21st Century. 1999, p.145.
85. Tom Copeland, Tim Koller, Jack Murrin, „VALUATION", measuring&managing the value of copanies, third edition, john wiley&sons, inc. 2000.
86. Stephen R. Covey – „The 7 Habits of Highly Effective People". 1988.
87. Greg Manwik – „Macroeconomics", 7th Edition 2009.
88. Алиев В.Г. и друг., Региональные проблемы переходной экономики – вопросы теории и практики. М.:"Экономика,"Баку, 2002;
89. Бартон Т. Шенкир У. Уокер П. Риск- Менеджмент. Практика ведущий комп.-М.; „Вильямс" 2007
90. Беридзе Т.А., Исмайлов Э.М., Папава В.Г. Центральный Кавказ и экономика Грузии. Баку, изд. „Нурлак", 2004.- 240 с.
91. Бригхем Ю.Эрхард М.С. Финансовый менеджмент „Питер", 2007. –426.

92. Брейли Р. Мойерс. С. Принципы корпоративных финансов/Пер с англ.-М: ЗАО «Олимп-Бизнес»2007.
93. Буренин А.Н. Рынок ценных бумаг и производимых финансовых инструментов-М:НТО им С.И.Вавилова 2009.
94. Валдаицев В.А. Оценка бизнеса. М. 2009.
95. Гранберг А.Г.Основи региональной экономики МГУ 2001
96. Грязнова Л.Т,. Федотова М. А., Оценка бизнеса, М. «Финанси и статистика», 2006.
97. Экономический анализ /Под.ред.Н.В.Войтоловский.,А.П. Калиничий/-.СПБ.,1999.
98. Жарковская, Елена Павловна. Финансовый анализ деятельности коммерческого банка: учебник . 2-изд., стер. – М. : Издат. „Омега-Л", 2011, -325с.
99. Корпоративные финансы: Учебник для вузов/Под ред. М.В.Романовского, А.И. Вострокнутовой. СПБ.:Питер, 2011.-592 с.
100. Липартия З.Ш. Стратегическое планирование. **монография.** Сухумский филиал ТГУ им. Ив.Джавахишвили. Изд. Тбилисского унив. Тб.1998.
101. Макконелл К.Р., Брю С.Л. Экономикс: принципы, проблемы и политика, т. 1, М.: Республика. 1992, с.
102. Малашхия Г. Метатеория прибыли (что в самом деле есть прибыль) Тб. 2007. с85
103. Малашхия Г. Экономическое эссе. Тбилиси 2013.-72с.
104. Международные экономические отношения, Под. ред. А. Н. Евдокимовой. М. 2007.
105. Никитина Т.В. Страхование комерческих и финансовых рисков, М. 2002;
106. Овчиникова С.Г. Зоны свободново предпринимательства. СПБ. 1998.
107. **Основы философии в вопросах и ответах.** Учебное пособие. Издательский дом. „феникс". 1997. – 448 с.
108. Поик Р., Нил Б. Корпоративние финанси и инвестирование, перев. с англ., 4-ое изд. СПБ:Питер, 2006;
109. Портер М. Конкуренция : перевод с англ.М: Вильямс, 2002.
110. Публикация ООН, Мировое экономическое положение и перспективы на 2010 год,
111. Савицкая Г.В. Экономический анализ. 13-е изд. М:Новое знание 2007
112. Стоянова Е. финсовый менеджемент. Росийская практика.М.: «Перспектива»1995.
113. СухаревО.С.,Теория эффективности экономики:Монография._2-е изд. Исправле-нное-М.: Курс: Инфра-М., 2014. -368 с.
114. Уорд М. Хасси. Доналд С. Любик „Основы мирового налогово кодекса"США. 1996.
115. Харебава Н.Р.Межбюджетные отношения в механизме развития регионов. учебное пособие, Волгоград, 2005
116. Фишер С., Дорнбуш Р., Шмалензи Р. Экономика. М.: Дело. .1993. С.
117. Фаэй Л., Рэндэлл Р. Управление стратегией на уровне рынка //курс MBA по стратегическому менеджменту: /Пер.с англ. М: „Альпина Паблишер", 2002.
118. Шарп У. Ф., Александер Г. Д., Бейли Д. В., Инвестиции, М.: Инфра-М. 1997;
119. Шеремет А.Д, Негашев Е.В. Методика финансового анализа. М., 2005
120. Шумпетер Й. Теория экономического развития – М.: Прогресс, 1982;
121. www.un.org/ru/development/surveys/docs/wess2010.pdf

ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობარი:

პროფესორი ზურაბ შალვას ძე ლიპარტია
70 წლისაა

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი – აკადემიკოსი, საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის (საქართველოს ბაფი) საპატიო წევრი, საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის წევრი, შრომის ვეტერანის მედალოსანი (1987) და ღირსების ორდენის კავალერი (2013).

დაიბადა 1947 წლის 5 აგვისტოს, სოფელ რუხში (ზუგდიდის რ.), სადაც 1964 წელს წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა დიდი-ჯიხაიშის (სამტრედიის რ.) სასოფლო-სამეურნეო საცდელ ტექნიკუმში (დირექტორი პოლიკო ბექას ძე მიქაძე – საქ. სსრ. დამსახურებული მასწავლებელი) გააგრძელა. 1966 წელს მიენიჭა ბუღალტერ-მგეგმავის კვალიფიკაცია და წარჩინების დიპლომით შრომით საქმიანობას შეუდგა. უმაღლესი განათლების მისაღებად გაემგზავრა ქ. ლენინგრადში – „ჩრდილოეთის დედაქალაქში“ (ამჟამად ქ. სანკტ-პეტერბურგი) სადაც, 1972 წელს წარმატებით დაამთავრა სატყეო-ტექნიკური აკადემია და მიენიჭა ინჟინერ-ეკონომისტის კვალიფიკაცია. 1972-73 წლებში მუშაობდა ქ. ლენინგრადის საკავშირო ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო ინსტიტუტის მართვის ლაბორატორიის უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც ხდება **ეკონომიკის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი.**

საქართველოში მთავარი **„ენგურჰესმშენის“** სამრეწველო სანარმოთა გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში (1973-1987 წწ). მუშაობის პერიოდში გამოვლინდა მისი პროფესიული და კომპეტენტური საქმიანობის მაღალი უნარი, რაც დასტურდება მიღებული სამთავრობო ჯილდოებით (შრომის ვეტერანის მედალი) და მაშინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით (შ. კაპანაძის წიგნი – „ძლეული მთები“, თბ., 1978).

მაღალი კვალიფიკაციისა და პრაქტიკული გამოცდილების მქონე ეკონომისტი ზურაბ ლიპარტია **1987 წლის სექტემბრის** თვიდან დღემდე აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის (1989), ამჟამად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას წარმატებით ახორციელებს, სადაც განვლო გზა მეცნიერი მუშაკიდან სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობამდე.

1992-1993 წლებში მშობლიურ აფხაზეთში, რუსეთ-საქართველოს ომის პერიოდში, სოხუმის უნივერსიტეტის კოლეგა-მეგობრებთან ერთობლივად მთელი ძალისხმევით მონაწილეობდა ქ. სოხუმის დაცვის პროცესში, ხოლო 1993 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის უგუნური გადაწყვეტილების შედეგად, როდესაც ქ. სოხუმის საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში განახლდა სასწავლო პროცესი, 16 სექტემბრიდან მტერმა საომარი მოქმედებები ვერაგულად გააგრძელა, რასაც მოჰყვა ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ აფხაზეთის დატოვება. მაგრამ ბატონი **ზურაბი არ ტოვებს სოხუმს...** თავის მეუღლესთან ქალბატონ გალინასთან (ქ. სოხუმის მე-15 საშუალო სკოლის პედაგოგი) და ვაჟიშვილ ლევანთან (სოხუმის უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი) ერთად ოკუპირებული ტერიტორიიდან, დიდი წვალებისა და ტანჯვის შედეგად, ღმერთის წყალობით და მეგობარ-მეზობლების (მათ შორის აფხაზების) დახმარებით შეძლო **მრავალდღიანი ტყვეობიდან თავის დაღწევა.**

ზურაბ ლიპარტიას დაცული აქვს **საკანდიდატო დისერტაცია (1993) ქ. სანკt-peterburgis ეკონომიkisa და ფინანსebis saxelmwifo უნივერსიტეტში თემაზე: „საქართველოs აგრო სამრეწველო სექტორში იჯარული ურთიერთობების სრულყოფის ძირითადი მიმართულებები“.** ხოლო, საქართველოს აგრო-სამრეწველო კომპლექსის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილებისა და მეწარმეობის განვითარების ორგა-

ნიზაციულ-ეკონომიკური მექანიზმის ფორმირების ინტერპრეტაციები, აგრო-სამრეწველო ფირმის (საწარმოს) მართვის ეროვნული მოდელის შექმნის, მისი სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროგნოზირების ორიგინალური მეთოდოლოგიის ასპექტები აისახა მის **სადოქტორო დისერტაციაში** თემაზე: „აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოთა საქმიანობის სტრატეგიული დაგეგმვა“, რომელიც წარმატებით იქნა დაცული ქ. სანკტ-პეტერბურგის ეკონომიკისა და ფინანსების სახელმწიფო უნივერსიტეტის სპეციალიზირებულ სადოქტორო დისერტაციების საბჭოზე (1999წ., ოქტომბერი) და 2000 წლის 21 მაისის **რუსეთის უმაღლესი სატესტაციო კომისიის** გადაწყვეტილებით, ბატონ ზურაბ ლიპარტიას მიენიჭა **ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.**

ბატონი ზურაბი **2000 წლის** დეკემბრიდან არჩეული იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სოხუმის ფილიალის** ეკონომიკის ფაკულტეტის „ბუღალტრული აღრიცხვა, ანალიზი და კონტროლის“ **კათედრის პროფესორად. (რექტორი – პროფესორი ოთარ ჟორდანია, ეკონომიკის ფაკ. დეკანი – პროფესორი თემურ შენგელია) 2002-2004 წლებში ამავე ფაკულტეტის მეთოდურ საბჭოს** ხელმძღვანელობდა. **2005-2006** წლებში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე **„ბუღალტრული აღრიცხვის, კონტროლისა და აუდიტის“** საგანმანათლებლო პროგრამას **(კათედრას) უძღვებოდა.**

(რექტორი – პროფესორი რევაზ (ივერი) კაკუბავა, დეკანის მ/შ დოცენტი მამუკა თორია). 2009 წლიდან დღემდე არის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **ფინანსებისა და საბანკო საქმის მიმართულების პროფესორი. (რექტორი – პროფესორი ჯონი აფაქიძე, (2007-2017 ივლისი), 2017 წლის 24 ივლისიდან – რექტორი პროფესორი ზურაბ ხონელიძე, დეკანი – პროფესორი დავით ჯალაღონია)** იყო ფაკულტეტის სამაგისტრო და **სადოქტორო პროგრამების კოორდინატორი (2013-2015).**

ქ. სოხუმში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **სოხუმის ფილიალის ფუნქციონირების** პერიოდში, **1989-1993** წლებში **ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის პირველ მოადგილედ გვეელინება. (რექტორი – პროფესორი ფელიქს ტყებუჩავა, დეკანი – პროფესორი გივი თოდუა)**

ბატონი ზურაბი, საკუთარ ქვეყანაში **იძულებით გადაადგილებული პირის** დამამცირებელი სტატუსის მატარებელი, სხვადასხვა პერიოდში, აქტიურ შეთავსებით სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას ანხორციელებს **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში** 1998 წლიდან დღემდე დოცენტის, პროფესორის თანამდებობაზე, სადაც 2009 წლიდან დღემდე მოწვეული პროფესორის თანამდებობა უკავია **სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე,** არის ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის „საბუღალტრო აღრიცხვის მოდულის“ ხელმძღვანელი. ასევე 2000-2007 წლებში პროფესორის თანამდებობა უკავია **საქართველოს საბაჟო აკადემიაში.** იგი 1997-2002 წლებში **სოხუმის საერო მენეჯერების ინსტიტუტში (რექტორი, პროფესორი ბატონი გივი კილასონია)** ეკონომიკის კათედრას ხელმძღვანელობდა და აფხაზეთიდან დევნილი მრავალი სტუდენტ-ახალგაზრდობა აზიარა **მენეჯერის** პროფესიას.

პროფესორი ზურაბ ლიპარტია 2007 წლის ოქტომბრიდან-2013წლის ივლისამდე **პარალელურად აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას წარმატებით ანხორციელებდა ახალციხის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტში** (ამჟამად სსიპ– **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივესიტეტი),** სადაც ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტზე ხელმძღვანელობდა „აღრიცხვა, კონტროლისა და აუდიტის მენეჯმენტის“ **სამაგისტრო** და „საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის“ საბაკალავრო პროგრამებს. 2008-2010 წლებში არჩეული იყო ახალციხის **ინსტიტუტის პირველი აკადემიური საბჭოს წევრად.** სადაც ჰქონდა დიდი პატივი აღნიშნული ინსტიტუტის რექტორის, სრული პროფესორის, ქალბატონ თინა გელაშვილის საშვებულებო პერიოდში – **2008 წლის ივლის-აგვისტოს თვეებში, რექტორის მოვალეობა შეესრულებინა.** 2008 წლის 9 აგვისტოდან საქართველოში, **ცხინვალში განვითარებული სამარი მდგომარეობიდან გამომდინარე საგანგებო მდგომარეობის პირობებში** ახალციხის ინსტიტუტის თანამშრომლები, ბატონ ზურაბის ხელმძღვანელობით **საგანგებო რეჟიმში მუშაობდნენ.** მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობით გაწეული სამსახურისათვის რექტორის ბრძანებით გამოეცხადა **მადლობა.**

ბატონი ზურაბი, სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად აქტიურ სამეწარმეო-ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა. 1997-2008 წლებში მოპოვებული აქვს **„აუდიტისა“ და „პროფესიონალი ბუღალტრის“ – საერთაშორისო სერტიფიკატები.** პრაქტიკულად საქმიანობდა საქართველოს **ბაფ-ის** მიერ ორგანიზებულ პროფესიონალ ბუღალტერთა გადამზადებასა და სერტიფიცირებაში, ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმების განსახორციელებლად. მან **სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში ასობით აღრიცხვის დარგის მუშაკი, მრავალი ფინანსისტი და ეკონომისტი, მათ შორის აფხაზეთიდან მრავალი დევნილი პროფესიონალი ადამიანი აზიარა „ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს“ (ბასს-ი).** პრაქტიკული დახმარება გაუწია რეგიონის საწარმოებს სამეწარმეო პრაქტიკაში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დასამკვიდრებლად.

აფხაზეთის ა/რ მეცნიერებათა ეროვნული და საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (აკადემიკოსი) ზურაბ ლიპარტია სამეცნიერო საქმიანობას შემდეგი ძირითადი მიმართულებით წარმართავს, კერძოდ:

ა) საქართველოს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მათი სამომავლო განვითარების გზების (პრიორიტეტების) კვლევა-ძიებანი;

ბ) ეროვნული აღრიცხვა-ანგარიშიანობისა და აუდიტის (კონტროლის) სისტემის საერთაშორისო სტანდარტების ინტერპრეტაციებისა და მათი საქართველოს სამეურნეო-სამეწარმეო პრაქტიკული დამკვიდრებისათვის მეთოდურ-პრაგმატული საქმიანობის warmarTva სათანადო სასწავლო ლიტერატურის შექმნით;

გ) კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური მენეჯმენტის სრულყოფის სტრატეგიული პრიორიტეტების ფორმირება და შესაბამისი მეთოდურ-პრაქტიკული სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების გამოცემა.

2004 წელს პროფესორ ზურაბ ლიპარტიას ორგანიზატორობით ჩატარდა **პირველი საერო უმაღლესი სასწავლებლების** სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: **„აფხაზეთის რეგიონის აღმშენებლობისა და აღორძინების პრიორიტეტები პოსტკონფლიქტურ სივრცეში“,** სადაც ქართველი რჩეული მეცნიერებისა და გამოცდილი პრაქტიკოსების მიერ წარდგენილი ნაშრომების მეცნიერული მიდგომების, კონცეპტუალური ხედვის პრაგმატული გამოყენება, **დეოკუპაციის შემდგომ პერიოდში აფხაზეთის ერთიან საქართველოში** საზოგადოებრივი ცხოვრების მზარდი განვითარების უნიკალური საფუძველი იქნება.

ბატონი ზურაბი არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი რამოდენიმე სადისერტაციო საბჭოს წევრი. პროფესორ ზ. ლიპარტიას **მეცნიერული ხელმძღვანელობით** მომზადდა და წარმატებით დაცული **იქნა 10 სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.** მათ შორის: 1) **სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში -2 დოქტორი** (ბიზნესის აკადემიური დოქტორები: ბატონი ლავრენტი ჭუმურიძე; ქალბატონი ნანა მაისურაძე); **საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში-8 დოქტორი** (აქედან: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის-1 (ქალბატონი ელისო ლანჩავა) **ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიზნობრივი პროგრამით – 3 ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი** (ქალბატონები: ნანა ჯღარკავა, მაია გელაშვილი და ბატონი როინ თათეშვილი). ასევე, მისი რეცენზირებით (ოპონირებით) შესრულდა 21 სადოქტორო დისერტაცია. მისი ხელმძღვანელობით **სამაგისტრო პროგრამების** ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობების: **ფინანსებისა და აღრიცხვა-აუდიტის მენეჯმენტის მიმართულებით მაგისტრების მომზადდა 43 მაგისტრი** (მათ შორის: **სსუ-ში-18; სტუ-ში-12; ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში– 13),** რომლებიც დასაქმებულნი არიან საქართველოს სხვადასხვა საფინანსო-საკრედიტო და საკონტროლო სფეროებში.

2002-2007 სასწავლო წლებში **აფხაზეთის ა/რ მეცნიერთა აკადემიასთან არსებული შპს–** უმაღლესი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების **(„აესა“ -ს) დირექტორად ყოფნის პერიოდში 100-მდე კვალიფიცირებული ეკონომისტი და იურისტი მომზადდა.** პროფესიული კვალიფიკაცია აიმაღლა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებში (ბასს) 50-ზე მეტმა მსმენელმა.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას მისი **სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 30 წლიანი**

პერიოდის განმავლობაში 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული მშობლიურ და რუსულ ენებზე. მათ შორის: **6 მონოგრაფია, 12 სახელმძღვანელო** (7 თანაავტორობით), მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნეტის ვებ გვერდზე არის განთავსებული. რომლებიც სტუდენტ-ახალგაზრდების მიერ მაღალი პროფესიული განათლებისა და პრაქტიკული ცოდნის უნარ-ჩვევების გამომუშავების საშურ საქმეს ემსახურება. კერძოდ: „ფირმის ეკონომიკა და ბიზნეს-გეგმა“ (1995)“, აუდიტის საფუძვლები“ (1997)“, სტრატეგიული დაგეგმვა“ (1998)“, სტატისტიკა“ – 2 წიგნად (2001, 2009 წწ.). „მიკროეკონომიკა“ (2004)“, ეკონომიკური ანალიზი“ – 2 წიგნად (2003, 2007 წწ.)“, ფინანსური მენეჯმენტი“ (2006), „კორპორაციული ფინანსების მართვა“ (2009). „საბუღალტრო საქმე“ ტ. 1 (2008, 2010, 2013). „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“ (2011). „ფინანსური კონტროლი“ (2012), „კორპორაციული ფინანსები“ ტ. 1. (2012) და ტ. 2 (2013). „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“ (2017) და სხვ.

პროფესორ ზურაბ ლიპარტიას **სამეცნიერო რედაქტორობით** გამოცემულია 20-ზე მეტი სახელმძღვანელო და სასწავლო-პრაქტიკული მასალები: კ. ღურწკაიას რედაქტორობით თარგმნილი პ. სამუელსონის „ეკონომიკისი“ – 4. ტომად (1998); თ. გოლეთიანის „სანარმოს ეკონომიკის პრაქტიკუმი“ (2002); გ. თოდუას „ბუღალტრული აღრიცხვის თეორია ბასს-ით“ (2004); ბ. ბიწაძის „კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები“ (2006); ნ. ძიმციშვილის „ფინანსური ანგარიშგება“ (2007); გ. ცაავას „რისკოლოგია“ (2006); თ. გელაშვილი, ც. ზარანდია „ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“ (2007); თ. გელაშვილი, გ. ბუცხრიკიძე „მიწის მარკეტინგი“ (2007); ტ. კიკვაძის „შესავალი მენეჯერულ ეკონომიკაში“ (2008); გ. ფოფხაძის „ფინანსური მენეჯმენტი“ (2010); ე. კაკულია „ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა“ (2010); თ. გელაშვილი, კ. ხუციშვილი „აუდიტის საფუძვლები“ (2010);, რ. თათეშვილი „საგადასახადო საქმე“ (2011);. ლ. ჭუმბურიძე „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირება“ (2014): ლ. ელიავა“ საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამოწვევები“ (2015); ნ. მაისურაძე „კორპორაციის სტრატეგიული მართვის სრულყოფის მექანიზმი (საქართველის სამტო-მომპოვებელი კომპანიების“ MGR“-ის მაგალითზე „(2016); ცაავა, ა. სიჭინავა, ხანთაძე გ. „კოსპორაციული ფინანსები“ (2017) და სხვა.


პროფესორ ზ. ლიპარტია არის მრავალი სახელმძღვანელოსა და სამეცნიერო **ნაშრომების რეცენზენტი**: ი. მესხია, დ. ჯალაღონია „ბუღალტრული აღრიცხვა ბასს-ით“ (2006); გ. ცაავა „საბანკო საქმე“ (2005); ე. ბარათაშვილი „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ (2007); ბ. ბიწაძე „კორპორაციული მენეჯმენტის საფუძვლები“ (2009) ი. მესხია“ საერთაშორისო ფინანსები“ (2012). ვ. მოსიაშვილი, ჭელიძემ. „ფინანსები“ (2016); დ. ჯალაღონია „ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით“. ნაწილი 1. (2011); ნ. ძიმციშვილი, გ. ბაქრაძე“ მმართველობითი აღრიცხვა (ფინანსური ინფორმაცია მმართველებისათვის)“ 2012 და სხვა.


პროფესორი ზურაბ ლიპარტია არის რამოდენიმე სამეცნიოერო **შრომების კრებულის (აფხაზეთის ეროვნულ მეცნიერებათა და სსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სა-გამომცემლო-სარედაქციო საბჭოს წევრი), საერთაშორისო რეფერირებადი და** რეცენზირებადი **ჟურნალების: „ეკონომიკა“** (მთავარი რედაქტორი პროფესორი რევაზ შენგელია): **„სოციალური ეკონომიკა – XXI საუკუნის პრობლემები“** (მთავარი რედაქტორი პროფესორი ვახტანგ დათაშვილი); **„ბუღალტრული აღრიცხვა“** (მთავარი რედაქტორი ბატონი ლავრენტი ჭუმბურიძე); **„გადასახადები“ -ს** (მთავარი რედაქტორი სრული პროფესორი დავით ჯალაღონია) სარედაქციო კოლეგიის წევრი.


პროფესორი ზურაბ ლიპარტია არჩეულია **საზოგადოებრივი აკადემიების „ფაზისი“**-ს (პრეზიდენტი, **აკადემიკოსი ბატონი ნუგზარ ნადარაია**) და საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის **„ქალდეა“** -ს (პრეზიდენტი, **პოეტ-აკადემიკოსი ბატონი ვაჟა ეგრისელი**) აკადემიკოსად და ვიცე-პრეზიდენტად. არის საზოგადოება **„ზუგდიდელის“** წევრი და მშობლიური სოფელ რუხის (ზუგდიდის რაიონი) **„საპატიო“ მოქალაქე.** არჩეულია **სათავად-აზნაურო გვარის „ლიპარტია-ლიპარტიანის“ საზოგადოების პრეზიდენტად.**

ბატონი ზურაბი იუბილარია, 70 წელიწადი მძიმე შრომაში, ძიებისა და შემოქმედებით ბრძოლაში აქვს გატარებული. თავს ბედნიერად თვლის, ჰყავს დიდებული მეუღლე, შვილები,

მრავალგზის ბაბუაც არის და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური განვითარებისათვის ბრძოლაში, სანუკვარი ოცნების, მშობლიურ აფხაზეთში ღირსეულად დაბრუნების აღსასრულებლად.









დანართი 1.

სტრატეგიული ბიზნეს-გეგმის ნიმუში

ორგანიზაციის დასახელება
მისამართი
ტელეფონი, ფაქსი, E-მაილ

I. რეზიუმე

1. ბიზნესის ძირითადი მიმართულებები .....
2. ბაზრის ზოგადი დახასიათება, სეგმენტის განსაზღვრა
.....
3. ბიზნესის პოტენციური შესაძლებლობები ერთიდან ხუთ წლამდე პერიოდისათვის, რეალიზა-ციის სტრატეგიები .....
.....
4. საქონლის (მომსახურების) კონკურენციული უპირატესობები
.....
5. გაყიდვების მოცულობების, მოგების, ინვესტიციების რენტაბელობის დონის, და სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური მახასიათებლების პროგნოზი
6. ფინანსური საშუალებები (კრედიტები, ინვესტიციები) .....
.....
7. საშუალებების გამოყენების ვარიანტები .....
.....
8. კრედიტის დაბრუნების ვადები. საშუალებების დაბრუნების სქემა

II. ზოგადი დახასიათება

1. ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, ადგილმდებარეობა .....
2. წარმატებული წარსული გამოცდილების გამოყენების საშუალებები მომავალში
3. დარგის დახასიათება (მზარდი, სტაბილური და ა.შ.), დარგობრივი გაყიდვების დინამიკა .....
.....
4. თქვენი ბიზნესის სუსტი და ძლიერი მხარეები, განსხვავება სხვა ორგანიზაციებთან შედარებით .....
5. მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები
.....
6. წინა წლების ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა (გაყიდვათა მოცულობა, მოგება და ა.შ)
.....
7. თქვენს ბიზნესთან დაკავშირებული საკანონმდებლო, საგადასახადო და სხვა სახის შეზღუდვები .....

III. საქონლისა და მომსახურეობების დახასიათება

1. წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) სახეობები, თითოეულ მათგანზე გაყიდვების პროცენტი:

ა)
ბ)
გ) .....
და ა.შ.

2. პროდუქციის სპეციფიკა, განმასხვავებელი ნიშნები, უნიკალურობა
.....
3. პროდუქციის წარმოების გაუმჯობესების მიმართულებები .....
4. პატენტების, სამარკო ნიშნების, ექსკლუზიური უფლებებისა და სხვა ინტელექტუალური საკუთრების არსებობა .....

ახალი პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა .....

6. მომხმარებლის მოსაზრებების გათვალისწინება ახალი პროდუქტის შემუშავებისას ან მოდერნიზაციისას .....
7. დიზაინისა და შეფუთვის თავისებურებანი
8. გაყიდვისშემდგომი მომსახურობა .....

..... IV. გასაღების ბაზრები

1. ბაზრების განვითარების ტენდენციები (მზარდი, მუდმივი, კლებადი)
2. თითოეული ბაზრის მოცულობა, თქვენი წილი ამ ბაზრებზე .....
3. ბაზრების თქვენი სეგმენტი, მათი დახასიათება (მყიდველთა მიახლოებითი რაოდენობა, შემოსავლის დონე და ა.შ) .....

.....

4. პროდუქციის (მომსახურების) მოდიფიკაციის საშუალებები და მათი გზები

.....

5. ყველაზე მიმზიდველი მყიდველები .....

.....

6. გაყიდვების მოცულობის პროგნოზი ექვს თვეზე (წელზე). მისი თანაფარდობა წინა წელთან შედარებით .....
7. მყიდველთა მოთხოვნილებების შეცვლის პერსპექტივები ყოველ სეგმენტზე. ამ ტენდენციათა გათვალისწინება ორგანიზაციის საქმიანობაში

V. კონკურენცია და სხვა გარე ფაქტორები

1. მდგომარეობა ბაზარზე: ორგანიზაციის საქმიანობა მონოპოლურია თუ არსებობენ კონკურენტი ორგანიზაციები?

.....

2. ძირითად კონკურენტთა ჩამონათვალი, მათი წილი ბაზარზე .....

.....

3. კონკურენტების პროდუქცია: ძირითადი ტექნიკური და ეკონომიკური მაჩვენებლები, ხარისხი, დიზაინი, ფასები და ა.შ. .....
4. კონკურენტთა საბაზრო სტრატეგიები, მათი სუსტი და ძლირი მხარეები

.....

5. თქვენი უპირატესობები კონკურენტებთან მიმართებაში .....

.....

6. არსებული და სავარაუდო კონკურენტების მხრიდან შესაძლო მოქმედებები, თქვენი დაცვის მექანიზმები .....
7. სხვა ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ თქვენს სამეწარმეო საქმიანობაზე .....

VI. მარკეტინგის სტრატეგია

1. თქვენს ორგანიზაციაში მარკეტინგის ძირითადი მიზნები (კონკურენტულ ბაზრებზე შეღწევა, ახალი პროდუქციის გამოშვება და სხვ) .....

.....

2. თქვენი ორგანიზაციის მარკეტინგის სტრატეგია .....

.....

3. ფასწარმოქმნის სტრატეგია, ძირითადი მიდგომა .....

.....

4. პროდუქციისა და მომსახურეობის ფასები, მათში მოთხოვნის, ხარჯების, კონკურენტუნარიანობის ასახვის ხარისხი .....

.....

5. მომხმარებელთა მხრიდან ფასების ზრდაზე ან კლებაზე რეაქციის შეფასება (მოთხოვნის ელასტიურობა) .....
6. ორგანიზაციის ფასების პოლიტიკა .....
7. პროდუქციის განაწილების სქემა
8. პროდუქციის გასაღების ორგანიზაცია, შუამავლების გამოყენება (ძირითადი შუამავლების დასახელება) .....

9. შუამავლებთან თანამშრომლობის ფორმები .....
10. პროდუქციის ბაზარზე წინსვლის ღონისძიებები, ხარჯები რეკლამაზე, რეკლამის სახეები ....
.....
11. გაყიდვების სტიმულირების მეთოდები, შესაბამისი ხარჯები .....
.....
12. სერვისული მომსახურებების სახეები .....
13. ორგანიზაციაზე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების გზები .....
.....

VII. საწარმოო გეგმა

1. პროდუქციის წარმოების ადგილი .....
2. ორგანიზაციის ადგილმდებარეობა ბაზართან, მომწოდებლებთან, სამუშაო ძალებთან და სხვ. სიახლოვის თვალსაზრისით. .....
3. აუცილებელი საწარმოო სიმძლავრეები .....
4. საქმიანობისათვის აუცილებელი ძირითადი საშუალებები .....
.....
5. დანადგარებისა და ფართის იჯარა, მათი პირობები
.....
6. წარმოების საწყისს სტადიაზე შესაძლო სიძნელეები და მათი დაძლევის გზები .....
.....
7. ნედლეულის, მასალების, მაკომპლექტებლების მომწოდებლები, ფასები. მათი რეპუტაცია, გამოცდილება .....
8. შესაძლო საწარმოო კოოპერაცია .....
9. წარმოების, ნედლეულის მოწოდების ლიმიტები .....
10. წარმოების სქემა .....
11. წარმოების ეკოლოგიური და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხარისხის კონტროლი .....
12. საწარმოო დანახარჯები, მათი შეცვლის დინამიკა .....

VIII. ორგანიზაციული გეგმა

1. ორგანიზაციის სტრუქტურა .....
2. თქვენი ბიზნესის საკვანძო სფერო (ქვედანაყოფები) .....
.....
3. საკადრო პოლიტიკა .....
4. შრომის ანაზღაურების სისტემის აგების პრინციპები .....
5. სუსტი ადგილები მართვაში, მათი დაძლევის გზები .....
6. თქვენი კონსულტანტები და აუდიტორები .....

IX. იურიდიული გეგმა

1. ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა .....
2. ძირითადი მესაკუთრეები, მათი წილი ორგანიზაციის კაპიტალში .....
3. ორგანიზაციის კაპიტალის ფორმირების საშუალებები .....
4. ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი ძირითადი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები .....

X. რისკების შეფასება და მათი მართვა

1. სავარაუდო რისკების ჩამონათვალი ალბათობების მითითებით და შესაძლო ზარალი .....
.....
2. რისკების პროფილაქტიკისა და ნეიტრალიზაციის ორგანიზაციული ზომები .....
.....
3. რისკების დაზღვევის პროგრამა .....
.....

XI. ფინანსური გეგმა

1. ფინანსური დოკუმენტაცია; რეალიზაციის მოცულობების პროგნოზი და მოგება; ფინანსური შემოსავლებისა და გასავლების ბალანსი; აქტივებისა და პასივების ბალანსი .....

2. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (გადახდისუნარიანობა, ლიკვიდურობა და ა.შ) .....
.....
XII. დაფინანსების სტრატეგია
1. წარმოდგენილი პროექტის რეალიზაციისათვის აუცილებელი ფინანსური საშუალებები .....
.....
2. ჩადებული საშუალებების დაბრუნების ვადები და ინვესტორების შემოსავლები. მოგება .....

დანართი 2

ლიტერატურული ნარკვევი: ბიზნეს– კარიერის ფორმირებაზე დიდი ქველმოქმედი ენდრიუ კარნეგის მიღწევების მაგალითზე.

„ადამიანი, რომელიც მდიდარი კვდება, კვდება შერცხვენილი!“
ენდრიუ კარნეგი (1835–1919)

„ფოლადის ადამიანი“ და დიდი ქველმოქმედი[1]

კომპანია „ფოლადის ტრესტის“ დამაარსებელი შოტლანდიელი ენდრიუ კარნეგი, საკუთარი, „სიმდიდრის სახარების“ წყალობით, მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი და ყველაზე სახელგანთქმული ქველმოქმედი გახდა.

იგი ღარიბი ფეიქრის ოჯახში, 1835 წლის 25 ნოემბერს, შოტლანდიის ქალაქ დანფერმლაინში სწორედ იმ დროს დაიბადა, როცა სამრეწველო რევოლუცია მრავალი ადამიანი გააკოტრა. ოჯახი პრობლემებს დედის წყალობით გაუმკლავდა, როცა ფეხსაცმელებს კერავდა, პატარა ენდრიუ კი მას ეხმარებოდა. ოჯახის დიასახლისი საკუთარი შვილების უკეთეს მომავალზე ოცნებობდა, ამიტომაც ოჯახი ამერიკაში გადასახლდა. მაშინ ენდრიუ 12 წლის იყო. მამამ ქსოვილების ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა, ბიჭუნა მამას მხარში ამოუდგა, იგი კვირაში 1.2 დოლარს იღებდა.

ენდრუის სკოლაში სწავლის შესაძლებლობა არ გააჩნდა, ამიტომაც თვითგანათლებას გაძლიერებული ძალისხმევით მოჰკიდა ხელი. პიტსბურგის ტელეგრაფში კურიერად მუშაობისას მისალოცი ტელეგრამების მიტანა თეატრში უწევდა. ენდრიუ ცდილობდა სპექტაკლის დაწყების დროს მისულიყო, რომ შექსპირის რომელიმე პიესის სანახავად მიეწვიათ. გატაცებული იყო კითხვით, ეცნობოდა წიგნებს პოლიტიკაზე, ისტორიაზე, მეცნიერებაზე. ჯერ კიდევ ჭაბუკობისას კარნეგი წერილებს „ნიუ-იორკ ტრიბუნის“ და სხვა გაზეთების რედაქციებში აგზავნიდა, საკუთარ მოსაზრებებს სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის მონობის გაუქმებაზე გამოთქვამდა. გაზეთებში თანამშრომლობას შემდგომშიც აგრძელებდა. პატარა კერნეგიმ ბავშვობიდანვე სახელი პატიოსნებით გაითქვა. შიკრიკად მუშაობის დროს„ ენდრიუმ ქუჩაში 500 დოლარი იპოვნა და მისსავე პატრონს დაუბრუნა„. ეს თანხა იმ დროს მისი რვა წლის ხელფასს უტოლდებოდა!

ცოტა ხნის შემდეგ , პენსილვანიის რკინიგზაში ტელეგრაფისტის ადგილი მიიღო, ერთ-ერთმა პირველმა შეისწავლა სატელეგრაფო სიგნალის გარჩევა ხმის მიხედვით. მალე პიტსბურგის რკინიგზის უფროსის თანაშემწე და პირადი ტელეგრაფისტი გახდა. თვეში ხელფასის სახით 35 დოლარი დაუნიშნეს. *„მაშინ არ ვიცოდი, ამდენი ფული სად წამელო“*, – იხსენებდა კარნეგი შემდგომში.

ენდრიუ დანინაურებას შესაძლებლობას ხელიდან არასდროს უშვებდა. იგი დასავლეთ პენსილვანიის რკინიგზის უფროსის – ტომ სკოტის პირადი ტელეგრაფისტი და მდივანი გახდა. მისი ხელმძღვანელობით კარნეგი მეწარმეობასა და მართვის მეცნიერებას ეუფლებოდა. რკინიგზაში 12 წლის მუშაობის შემდეგ, კარნეგი უფროსი გახდა და ტომ სკოტმა იგი მეწარმეთა სამყაროში შეიყვანა.

1856 წელს ენდრიუ კარნეგიმ საფინანსო ინვესტიციების გასაოცარი სამყარო აღმოაჩინა: მან ადგილობრივ ბანკში კრედიტი აიღო. 217 დოლარი და 50 ცენტი Woodruff Sleeping Car Company-ში დააბანდა, რომელიც საძილე ვაგონების პატენტების მფლობელი იყო. ზუსტად ორი წლის შემდეგ, ამ აქციებიდან ენდრიუს ყოველწლიურად 5000 დოლარი შემოსავალი ჰქონდა. ეს კი პენსილვანიის სარკინიგზო კომპანიაში მიღებულ ხელფასთან შედარებით სამჯერ მეტი იყო.

პარალელურად გრძელდებოდა კარნეგის კარიერული წინსვლა: 1859 წელს კომპანიის დასავლეთ განყოფილების მმართველად დანიშნეს, ხოლო მისი „მფარველი" – თომას სკოტი დააწინაურეს. კარნეგის წლიურმა ხელფასმა 1500 დოლარს მიაღწია. დედასთან ერთად პრესტიჟულ ჰოუმვუდში დასახლდა. ორი წლის შემდეგ, კარნეგიმ Woodruff Sleeping Car Company- დან მიღებული დივიდენდები (11.000 დოლარი) მთლიანად ქალაქ ტიტუსვილის (პენსილვანიის შტატი) ახლად დაწყებულ სანავთობო ბიზნესში დააბანდა. პირველივე წელიწადს ინვესტიციამ საგრძნობი მოგება მოიტანა და დაბანდებული 11000 დოლარის სანაცვლოდ 17868 დოლარი მიიღო, უკვე 28 წლის ასაკში, ენდრიუ კარნეგის საერთო შემოსავალმა 42 ათასი დოლარი შეადგინა: აქედან თითქმის ნახევარი სანავთობო ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი იყო, 2400 დოლარი – პენსილვანიის რკინიგზაში მიღებული ხელფასი, ხოლო 13000 – დივიდენდები Piper and Schiffler Company, the Adams Express Company და the Central Trasportation Comany-ში დაბანდებული ინვესტიციებიდან.სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ, კარნეგიმ პენსილვანიის სარკინიგზო კომპანიის მმართველის პოსტი დატოვა და ხიდების მშენებლობის საკუთარი ფირმა Keystone Bridge დაარსა .სასტარტო ინვესტიციებისათვის საჭირო თანხის ნახევარი 80 000 დოლარი თომას სკოტმა **ასესხა**. შემდეგი ნაბიჯი იყო კომპანია Keystone Telegraph -ის შექმნა. კარნეგიმ ორსვლიანი გეგმა წარმატებით განახორციელა: საჩვენებელი ტენდერის შემდეგ პენსილვანიის რკინიგზამ Keystone Bridge -ს ყველა არსებული ხის ხიდების რკინით შეცვლის შეკვეთა მისცა, ხოლო Keystone Telegraph -მა პენსილვანიის სარკინიგზო ხაზის მთელ სიგრძეზე სატელეგრაფო კაბელების გაჭიმვაზე ნებართვა მიიღო. ორივე კომპანიის ინვესტორებმა საკუთარი კაპიტალი ელვისებური სისწრაფით გაასამმაგეს. რის შემდეგაც მთავარი კონკურენტების – Pacific Telegraph და Atlantic Telegraph „შთანთქმა" ტექნიკის საქმე იყო. 1872 წელს კარნეგიმ დიდი ბრიტანეთში ჰენრი ბესსემერის ფოლადჩამომსხმელი ქარხნები მოინახულა. თავისი პირველი „რკინის"კომპანია Freedom Iron მან ჯერ კიდევ 1861 წელს შექმნა, მაგრამ მხოლოდ ბესსემერის ფოლადის წარმოების საწარმოო პროცესის გაცნობის შემდეგ, შოტლანდიელმა მაგნატმა ფოლადჩამომსმელმი ბიზნესი საკუთარი იპერიის მთავარ ქვაკუთხედად აქცია. იმ პერიოდში კარნეგი ხშირად იმეორებდა: *„ყველა კვერცხი ჩაალაგე ერთ კალათაში და ყურადღებით ადევნე თვალი. ეს არის ბიზნესში ფულის კეთების ერთადერთი ხერხი".*

სამი წლის შემდეგ, კარნეგიმ პირველი საკუთარი ფოლადჩამომსხმელი ქარხანა – Edgar Thomson Works აამუშავა. ეს სახელი კომპანიის პენსილვანიის რკინიგზის მმართველის საპატივცემულოდ სიურპრიზის სახით უწოდა! შემდეგი სიურპრიზი პენსილვანიის სარკინიგზო კომპანიამ მოაწყო, რომელმაც Edgar Thomson works- ს 2000 ფოლადის რელსის დამზადება შეუკვეთა! შემდგომმა მოვლენებმა კარნეგის უპრეცედენტო გამდიდრებას ხელი შეუწყო: 1881 წლს კარნეგიმ ჰენრი კლეი ფრიკის კოქსის კომპანიის საკონტროლო პაკეტი შეიძინა, ხოლო 1883 წელს, მთავარი კონკურენტი ფოლადჩამომსხმელ ბიზნესში კომპანია Homestead Works საკუთარ ბიზნეს შემოუერთა. 1889 წელს ენდრიუ კარნეგის პირადმა წლიურმა შემოსავლებმა ყველა **გადასახადის** დაფარვის შემდეგ, იმ დროისთვის არნახული თანხა – 25 მილიონი დოლარი შეადგინა! 1899 წელს, **კარნეგის ფოლადჩამომსხმელი კომპანიები** ერთ გიგანტურ კონცერნში Carnegie Steel გაერთიანდა, რომლის ფოლადის საერთო წარმოების მოცულობამ დიდი ბრიტანეთისას გადააჭარბა!

ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენების შედეგად კარნეგიმ ფოლადის ხარისხი კიდევ უფრო გააუმჯობესა, ხოლო **თვითღირებულება** შეამცირა. მან ბიზნესში ანგარიშგების ახალი სისტემა შემოიღო, რის შედეგადაც შესაძლებლობა მიეცა ფასები უფრო ზუსტად და სისტემატურად ეკონტროლებინა. იგი ხშირად იმეორებდა კიდეც: *" თვალი ადევნეთ ფასებს და მოგება საკუთარ თავზე თვითონ იზრუნებს".* ერთხელ, ახალი ფოლადჩამომსხმელი ქარხნის შემოწმების დროს შეამჩნია, რომ მისი ჩარლზ მ. შვაბი (შემდგომში ცნობილი ფინანსისტი) რაღაცით შეწუხებული იყო. აქ საწარმოო პროცესი ფოლადის თვითღირებულების 50 ცენტით შემცირების საშუალებას იძლეოდა. კარნეგის შეკითხვაზე მან უპასუხა, რომ იცოდა ფოლადის თვითღირებულების ერთი დოლარით შემცირების საშუალება, ამისთვის საჭირო იყო ამ ქარხნის დანგრევა და მის ადგილზე სხვა პროექტით ახალი ქარხნის აშენება. კარნეგისაგან შვაბმა გასაოცარი პასუხი მიიღო: *„ჰოდა, დაანგრიეთ იგი!"*

კარნეგი ამტკიცებდა , რომ პარტნიორებად ბრწყინვალე ადამიანების, მეცნიერებისა და **ფინანსების ჯადოქრების** არჩევა მისი წარმატების მთავარი საიდუმლო იყო. იგი სამუშაოდ სა-

უკეთესობს: შვაბის ან „კოქსის მეფის" – ჰენრი ფრიკის მსგავს ადამიანებს იწვევდა. კარნეგი ხუმრობდა ხოლმე: *„ჩემის საფლავის ეპიტაფია ასეთი უნდა იყოს: აქ განისვენებს ადამიანი, რომელიც საკუთარ თავზე მეტად ჭკვიანებს იზიდავდა!"* იგი პარტნიორებზე, თანაშემწეებზე ზრუნავდა. მიაჩნდა, რომ ისინი მისთვის უფრო ფასეული „შენაძენი" იყო, ვიდრე მადანი ან ქარხნები ერთად აღებული. ზოგიერთი მისი ხელქვეითი მილიონერი გახდა.

კარნეგი დედაზე იმდენად იყო მიჯაჭვული, რომ მის სიცოცხლეში ოჯახი არ შეუქმნია. მხოლოდ 45 წლის ასაკში, დედის გარდაცვალების შემდეგ დიდი ხნის ნაცნობ ლუიზა ვიტფილდზე დაქორწინდა, რომელიც მასზე 21 წლით უმცროსი იყო. მეუღლე არასოდეს შეწინააღმდეგებია ქმრის საქველმოქმედო მოღვაწეობას. ექვსი თვე მათ შოტლანდიაში გაატარეს, შემდეგ 40 ათასი აკრი მიწის ნაკვეთი შეიძინეს და სკაიბოს ციხესიმაგრე ააშენეს. ეს ადგილი ამ ოჯახის უსაყვარლეს რეზიდენციად გადაიქცა.

35 წლის ასაკში კარნეგი ხშირად იმეორებდა, რომ ყველა საქმეს ჩამო –შორდებოდა, როცა 50 ათას დოლარს დააგროვებდა, თუმცა, ამის გაკეთება მხოლოდ მაშინ შეძლო, როცა 65 წლის ასაკში, საკუთარი ფოლადცამომსხელი კომპანია 1901 წელს ჯონ პ. მორგანის „ფოლადის ტრესტს" 480 მილიონ დოლარად მიჰყიდა, რაც დღევანდელი **შეფასებით 5.8 მილიარდ დოლარს** უტოლდებოდა! ამ საქმიანი გარიგების შემდეგ, შეიქმნა სუპერგიგანტი US Steel, ხოლო კარნეგიმ 5 მილიონი მაშინვე საკუთარი მუშებისთვის შექმნილ საპენსიო და საქველმოქმედო ფონდში ჩაირიცხა. იგი მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მან საკუთარი ქონება უდიდესი შრომისა და მონდომების შედეგად დააგროვა, **ენდრიუ კარნეგი მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ქველმოქმედი გახდა.**

იგი ამტკიცებდა, რომ „არ არსებობს იმაზე უფრო დამამცირებელი კერპთთაყვანისმცემლობა, ვიდრე ფულის კულტია". მისი **„სიმდიდრის სახარება"** 1889 წელს **„ჩრდილოამერიკულ მიმოხილვაში"** დაიბეჭდა, იგი მაშინვე ქველმოქმედების მთავარი პროგრამა გახდა.

კარნეგი ადამიანის ცხოვრებას ორ ნაწილად ყოფდა: სიმდიდრის დაგროვებისა და მისი დარიგების პერიოდებად. მან 2811 საჯარო ბიბლიოთეკა გახსნა, ეკლესიებს აჩუქა 7689 ორღანი (საეკლესიო მუსიკალური საკრავი), ააშენა **„კარნეგი–ჰოლი"** ნიუ-იორკში, შექმნა კარნეგის ინსტიტუტი ვაშინგტონში, დაარსა **კარნეგის ფონდი** 125 მილიონიანი საწყისი კაპიტალით. ეს გახლდათ პირველი საქველმოქმედო ფონდი. 10 წლის განმავლობაში, საქველმოქმედო მიზნებისთვის ენდრიუ კარნეგიმ 350 მილიონზე მეტი დახარჯა. ამ სამუშაომ იგი ძლიერ გადაღალა, რაც აღიარა კიდეც. *„ქველმოქმედება – უძძიმესი პროფესიაა".* – წერდა იგი 1913 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში. შემდგომ წლებში, კარნეგი მშვიდობისთვის მებრძოლი გახდა, ჰააგაში მშვიდობის სასახლე ააშენა. ყველაზე უჩვეულო საჩუქარი მან ვუდრო ვილისონის (1913-1921 წლებში ამერიკის 28-ე პრეზიდენტი იყო. მან კარნეგი ნიუ-ჯერსიში ჩაიყვანა, სადაც სასწავლო დანესებულებისთვის მისაძღვნელი საჩუქრის თაობაზე უნდა ემსჯელათ (ორღანი კარნეგის ყველაზე საყვარელი „სასაჩუქრე ვარიანტი" იყო, მაგრამ იგი უნივერსიტეტმა მანამდე ჰენრი ფრიკისგან მიიღო, რომელიც კარნეგის ყოფილი პარტნიორი, შემდეგ კი ბიზნესში მეტოქე გახდა). კარნეგი სპორტსმენებისთვის დახმარების იდეით დაინტერესდა. ფეხბურთს სპორტის უხეშ სახეობად თვლიდა, გადაწყვიტა საჩუქარი უფრო არისტოკრატული სახეობისთვის მიეძღვნა. მან ნიჩბოსნებს არა რბოლისთვის განკუთვნილი რვაადგილიანი ნავი გადასცა, რაც ჩვეულებრივი საჩუქრი იქნებოდა, არამედ ტბა, რომელსაც ამჟამად **კარენგის ტბა** ეწოდება. ეს არის წყალსაცავი მდინარეზე საუნივერსიტეტო ქალაქთან ახლოს. კარნეგი მხურვალე პატრიოტი იყო. მან რამდენიმე **წიგნი** შექმნა, მათ შორის **„დემოკრატიის ზეიმი"**(1886), რომელშიც აქებდა თავის მეორე სამშობლოს, აკრიტიკებდა ევროპულ მონარქიას. გამოსელისთანავე ამ წიგნის 40 000 ეგზემპლარი გაიყიდა, რომლის გარეკანზე გამოსახული იყო გადმობრუნებული სამეფო გვირგვინი – დაგმობის ნიშანი. 1908 წელს მეფე ედუარდმა მას ბრიტანეთის ლორდის ტიტული შესთავაზა, კარნეგიმ ასეთ პატივზე უარი განაცხადა, სხვაგვარად მას ამერიკის მოქალაქეობის დათმობა მოუწევდა.

ენდრიუ კარნეგი არ გახლდათ აზარტული ადამიანი, ერიდებოდა უოლ-სტრიტზე სპეკულაციებს. სამაგიეროდ ძალიან დიდ თამაშში მონაწილეობდა, იგებდა კიდეც იმ დროს, როცა მთელ ქონებას სასწორზე დებდა, რადგანაც ამერიკის ეკონომიკურ მომავალს დაუკავშირდა. ეკონომიკური კრიზის დროს ფულს საკუთარ ქარხნებში მაინც აბანდებდა. აღმავლობის დროს კი ეს

კაპიტალდაბანდებები მას საშუალებას აძლევდა წარმოება გაეფართოვებინა, პასუხობდა დროის მოთხოვნებს. ქვეყნის ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდებოდა კარნეგის ქონებაც.

ენდრიუ კარნეგი 1919 წლის 11 აგვისტოს, ლენოქსში მასაჩუსეტის შტატში 84 წლის ასაკში გარდაიცვალა მას მეუღლე და ერთი ქალიშვილი დარჩა. შოტლანდიელი ჯადოქარის ნათესავებმა კი მისი ანდერძის თანახმად მხოლოდ **„ნამცეცები" – 25 მილიონი დოლარი** მიიღეს!

ენდრიუ კარნეგის საქველმოქმედო საქმიანობის ძირითადი ფონდები:

ენდრიუ კარნეგის მიერ საქველმოქმედო მიზნებისთვის გაღებულმა თანხამ 350 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მისი ქონების 90%-ს შეადგენს! მან ბრიტანეთის იმპერიაში 62 მილიონი, ხოლო ამერიკაში 288 მილიონი დოლარი დახარჯა. მისი **ძირითადი საქველმოქმედო ფონდებია:**

1. კარნეგის ფონდი შოტლანდიის (ედინბურგის) უნივერსიტეტებისათვის, რომელიც 1901 წელს დაარსდა. მისი დანიშნულებაა შოტლანდიის 4 უნივერსიტეტის განვითარება და სრულყოფა, ამ უნივერსიტეტებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა;
   1903 წელს შექმნილი საქველმოქმედო ფონდი ემსახურება საგანმანათლებო და კულტურული დანესებულების შექმნას დანფერმლაინში;
3. 1913 წელს დანფერმლაინში დაარსებული ბრიტანეთის ფონდი საქველმოქმედო მიზნებისთვის შეიქმნა, რაც ბიბლიოთეკების, თეატრების, უფასო საბავშვო ცენტრების, მშენებლობას გულისხმობდა;
4. 1896 წელს, პიტსბურგში კარნეგის ინსტიტუტი დაარსდა, მისი დანიშნულება იყო ამ ქალაქის კულტურული და საგანმანათლებლო დანესებულებათა გაუმჯობესება და განვითარება;
5. ვაშინგტონში, 1902 წელს დაარსებული კარნეგის ინსტიტუტი სხვადასხვა დარგებში სამეცნიერო კვლევებს აფინანსებს;
6. კარნეგის გმირთა ფონდი დაარსდა 1904 წელს. მისი დანიშნულებაა იმ ადამიანთა გამოვლენა, რომლებიც მოღვაწეობენ მშვიდობის დასამყარებლად. ვინც საკუთარ სიცოცხლეს რისკავს გმირულ ვითარებებში, გადაარჩინა სხვისი სიცოცხლე. მათი დამსახურებების აღიარება ხდება მედლების, მატერიალური გრანტების, პენსიების, აგრეთვე სწავლისთვის საჭირო სახსრების, გადაცემის გზით;
7. ასეთივე ფონდი გმირებისთვის განთავსებულია დანფერმლაინში;
8. კარნეგის სწავლების განვითარების ფონდი დაარსდა ნიუ-იორკში, 1905 წელს. მისი დანიშნულებაა კოლეჯების პროფესორებისთვის უფასო პანსიონში განთავსება;
9. მშვიდობის საერთაშორისო ფონდი დაარსებულია 1910 წელს. მისი დანიშნულებაა ხალხებს შორის ურთიერთგაგების დამყარება ფართო გაგებით, ინფორმაციის გავრცელება (უპირატესად პუბლიკაციების სახით) მშვიდობის შესანარჩუნებლად;
10. კარნეგის კორპორაცია ნიუ-იორკში 1911 წელს დაარსდა. იგი კარნეგის ყველაზე დიდი ფონდია. მიმართულია *„ცოდნისა და აშშ-ში მცხოვრებ ხალხებს შორის ურთიერთგაგების განვითარებისკენ"*. 1917 წლიდან კანადაში და ბრიტანეთის კოლლონიებში, ეს ფონდი ეხმარება კოლეჯებს, უნივერსიტეტებს, ბიბლიოთეკებს, აგრეთვე აფინანსებს გამოკვლევებს, სტაჟირებას იურისპრუდენციის, ეკონომიკის, მედიცინის დარგებში.

კარნეგის ერთ-ერთი მთავარი ინტერესი იყო უფასო საჯარო ბიბლიოთეკების დაარსება, იმისთვის რომ ყოველ ადამიანს თვითგანათლების შესაძლებლობა მიცემოდა. იმ დროისთვის მსოფლიოს მასშტაბით მხოლოდ რამდენიმე ბიბლიოთეკა ფუნქციონირებდა. მან 1881 წლიდან საკუთარი იდეის რეალიზება დაიწყო. კარნეგის კორპორაციამ ამ მიზნის განსახორციელებლად 56 მილიონი დოლარი დახარჯა. მფარველობდა ტასკეჯის ინსტიტუტს, რომელიც ამჟამად უნივერსიტეტია. მან ფული გაიღო პაააგაში (ნიდერლანდები) მშვიდობის პალატის შესაქმნელად, სადაც ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო სასამართლო ფუნქციონირებს. მთელი სიცოცხლის მანძილზე ენდრიუ კარნეგი მსოფლიოში აღიარებული ადამიანი გახლდათ.

მის ნაშრომთაგან უმთავრესია **„სამყაროს გარშემო“** (1881 წელი), **„ამერიკული ჰალსტუხი ინგლისში“**(1883 წელი), **„მოზეიმე დემოკრატია“** (1886 წელი, განმეორებით წიგნი გამოიცა 1893 წელს), **„სიმდიდრის სახარება“** ესეების კრებული (1900 წელი), **„ჯეიმს უიატი“** (1908 წელი), **„ავტობიოგრაფია“**(1920 წელი).

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში ენდრიუ კარნეგის საქველმოქმედო საქმიანობას **ამერიკის უმდიდრესმა ოჯახებმა მიბაძეს**. 1940 წლისთვის, საკუთარი საქველმოქმედო ფონდები 12 დინასტიას გააჩნადა: მათ შორის იყვნენ როკფელერები, ფორდები, რეინოლდსები, მელონები, მაკკორმიკები, დიუპონები... სადღეისოდ, საქველმოქმედო ფონდებს ძლიერი სტრუქტურები აქვთ თანამშრომელთა და კონსულტანტთა ფართო შტატებით . მათი საქმიანობა მრავალი წლის განმავლობაში წინასწარ იგეგმება, ანგარიშზე 350 მილიარდ დოლარზე მეტი ირიცხება, ყოველწლიურად კი გრანტების სახით 18 მილიარდ დოლარს გასცემენ. თანამედროვე მსოფლიოში **ქველმოქმედების ტრადიცია** კი სიღარიბეში გაზრდილმა შოტლანდიელმა ენდრიუ კარნეგიმ დაამკვიდრა, რომელმაც სიმდიდრე უდიდესი შრომის შედეგად დააგროვა.



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	კორპორაციების ფინანსური სტრატეგიები
სასწავლო კურსის კოდი	BUSS D 313
სასწავლო კურსის სტატუსი	ბიზნესის ადმინისტრირება. დოქტორანტურა. არჩევითი სასწავლო კურსი
ECTS – სასწავლო კურსის კრედიტები	6 კრედიტი – 150 სთ. საკონტაქტო – 35 სთ, მათ შორის ლექცია – 15 სთ, სამუშაო ჯგუფი – 15 სთ, შუალედური გამოცდა – 2 სთ, დასკვნითი გამოცდა – 3 სთ. დამოუკიდებელი მუშაობა – 115 სთ
სასწავლო კურსის ფორმატი	სულ სემესტრში: ლექცია – 15 სთ და სამუშაო ჯგუფი – 15 სთ; კვირაში: ლექცია – 1 სთ და სამუშაო ჯგუფი – 1 სთ.
ლექტორი	ლიპარტია ზურაბი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. ტელ: 599–18–45–21 el: zlipartia@yahoo.com ბასილაია კობა, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. ტელ: 577-05-36-06 el: k.basilaia@yahoo.com სტუდენტებთან საკონსულტაციო დღეები: ოთხშაბათი 14:00 – 15.00
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის მიზანს წარმოადგენს სტუდენტს საფუძვლიანად შეასწავლოს კორპორაციული ფინანსური სტრატეგიების თეორიისა და პრაქტიკის აქტუალური საკითხები. კერძოდ: ფინანსური კაპიტალის ადგილი და როლი თანამედროვე ეკონომიკაში; ფინანსური მართვის პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში; საინვესტიციო პროცესის თანამედროვე კონცეფციები და გარემოს შეფასება; ფასეულობაზე ორიენტირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების დასაბუთება; თანამედროვე კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები; მიკროეკონომიკური საქმიანობის სტრატეგიული ანალიზი და ფინანსების მართვის განსაკუთრებული ფორმები; კორპორაციის სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარების მართვის სისტემა; კაპიტალის დაფინანსების წყაროების მართვა; კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა; საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი პრობლემები; ფინანსური რისკების მინიმიზაციის სტრატეგიები; ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმები; საქართველოში ექსპორტის დაფინანსების ფორმები და სადაზღვევო

	მარკეტინგი; საქართველოში ბიზნეს-სექტორების (დარგების) ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველ-მყოფელი სტრატეგიები და სხვ.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობა არ აქვს
სასწავლო კურსის შინაარსი	**(იხ. დანართი 1)**
სავალდებულო ლიტერატურა	ლექტორის რიდერი (ფინანსური მენეჯმენტის ფილოსო-ფია. მონოგრაფია, 2017). 2. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა ნ., ბერიშვილი ხ., „კორპორაციული ფინანსები: თეორია, პრაქტიკა, სტრატეგია" (მეორე გამოცემა). სახელმძღვანელო: ტ. 1. თბ. 2012.(თემა: 4; 9;11;14); ტ.2- „კორპორაციული ფინან-სების მართვის სტრატეგიები., გამომცემლობა „უნივერ-სალი" თბ. 2013. (თემა: 17;20;21;22; 23; 24; 25;26;28;29; 30) 3. ცაავა გ. სიჭინავა ა, ხანთაძე გ, კორპორაციული ფი-ნანსები სახელმძღვანელო. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბლისი. 2017. (თემა:4;8;10;13;15). 4. ცაავა გ., ბურდიაშვილი რ.,მოსიაშვილი ვ.-„ფული, ფუ-ლის მიმოქცევა და კრედიტი", სასწავლო-პრაქტიკული სა-ხელმძღვანელო. თბილისი, გამომცემლობა: „დანი". 2017. (თავი: 7;10:13;14).
დამატებითი ლიტერატურა	1. ელიავა ლ. „საქართველოს თანმედროვე ფინანსური გამოწვევები". მონოგრაფია თბ.2015 2.ინგოროყვა ა. ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი, ორ ნა-წილად. თბილისი, 2011. 3. კაკულია ე., „ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა", თბ. 2010. 4. ფინანსური მართვა., წიგნი F9 ACCA სახელმძ. KAPLAN PUBLISHED თარგმ. საქ. ბაფ-ის 2011. გვ. 635. 5. ქუთათელაძე რ.,ლიპარტია ზ. სტატია- „საქართველო-ში ბიზნესის უსაფრთხო და მდგრადი განვითარების უზ-რუნველყოფის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები". ჟურნალი „ეკონომიკა",თბილისი, 2011.N 7-8. 6.ხარებავა რ. ფირმის ეკონომიკური სტრატეგიები. სა-ხელმძღვანელო. თბილისი. 2012. 7. პაპასკირი რ. „ფინანსური მენეჯმენტის მდგომარეობა და მისი სრულყოფის გზები საქართველოს სამშენებლო ბიზნესში". მონოგრაფია. გამომცემლობა „უნივერსალი" თბილისი 2012 8. Ансов И. Новая корпоративная стратегия, СПб. Питер, 1999. 9. Бригхэм Ю: Хьюстон Дж. Финансовый менеджмент. Экспресс-курс, изд. / Пер. с англ. СПб. Питер, 2011. 10. Papava v., „Economy of the Post-Comunist Capitalism under the Financial Crisis". Studies in Economic and Finance, Vol. 27, No. 2,2010. 11. Steve Suranovic, „International Finance Theory end Policy", 2010.

	12.Бодри, Зви, Мертон, Роберт. Б75 Финансы. : Пер. с англ. : Уч. пос. – М. : Издательский дом „Вильямс“, 2013. – 592с. 13.Джозефер Синки. Финансовый менеджмент в комерческом банке и в индустрий финансовых услут/ Перевод с анг. М.2007.- 1020с. 14.финансы: Учебник для вузов/Под ред. М.В.Романовского, А.И. Вострокнутовой. СПБ.:Питер, 2011. -592. ინტერნეტ-რესურსები www.rs.ge; www.nbg.gov.ge www. mof.ge www.worldbank.org
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** სტუდენტმა ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე მიიღო თანამედროვე კორპორაციული ფინანსების მართვის სისტემისა და ფინანსური სტრატეგიების ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტების; ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებების; ფინანსების მართვის განსაკუთრებული ფორმების; კორპორაციის სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების მართვის სისტემის; კაპიტალის დაფინანსების წყაროების მართვის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; გაცნობიერებული აქვს კორპორაციების ფინანსური რისკების მინიმიზაციის სტრატეგიები, ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმები, საქართველოში ბიზნეს-სექტორების (დარგების) ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სტრატეგიები. შეუძლია მიღებული ცოდნის ხელახალი გააზრება და ფინანსების მართვის სფეროს განახლებული ფარგლების გაცნობიერება; **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** სტუდენტმა შეიძინა ფინანსური ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს სფეროებში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის უნარი, ასევე დოქტორანტს შეუძლია საქართველოს საგადასახადო ადმინისტრირების პროცესის მართვა და სისტემის სრულყოფის ძირითადი პრობლემების გამოვლენა; საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რაც კორპორაციული ფინანსური სტრატეგიების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია გლობალიზაციის ჭრილში დარგის, კორპორაციის (ფირმის) განვითარების სტრატეგიების მოდელირება და მათი განხორციელების პროცესების მართვა. **დასკვნის უნარი** კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტს განუვითარდა კორპორაციული ფინანსური სტრატეგიების ფორმირების ახალი და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების

	კრიტიკული ანალიზის უნარი, რითაც შესაძლებელი ხდება კორპორაციული ფინანსური სტრატეგიული მართვის პრობლემებისა და ბიზნესის მდგრადი განვითარების მექანიზმების სრულყოფის, გლობალიზაციის ჭრილში რისკების მართვის სტრატეგიების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. **კომუნიკაციის უნარი** სტუდენტს შეუძლია ფინანსური ბაზრის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემური საკითხების, თანამედროვე ფინანსური სისტემის ფორმირების პრინციპებისა და მართვის მექანიზმების შესწავლის საფუძველზე მიღებული ახალი ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე, ბიზნესის ორგანიზაციის, საგადასახადო დაგეგმვის, კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტის სტრატეგიებზე სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე. **სწავლის უნარი** სტუდენტს შეუძლია ახალი იდეებისა და პროცესების განვითარება სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის: კორპორაციის საინვესტიციო-საფინანსო სტრატეგიების ფორმირების სისტემების კვლევების პროცესში; ფინანსური მენეჯმენტის ორგანიზაციული კონცეფციის, ფინანსური მენეჯერის სტრატეგიული ფუქციების ფორმირების, საგარეო ვაჭრობის დაფინანსებისა და ექსპორტის სახელმწიფო დაზღვევის, კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმის სრულყოფის უზრუნველსაყოფად; **ღირებულებები** სტუდენტს გათავისებული აქვს საკუთარი პროფესიული პასუხისმგებლობა, კორპორაციების საქმიანობისა და ფუნქციების, პრინციპების, საკუთრების ფორმებისა და სტრუქტურის ორგანიზებულად წარმართვა, ასევე ბიზნესის გარემოს დაცვითი და საზოგადოებრივი ვალდებულებები; შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.
სწავლა/სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსის ათვისებისათვის გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study), დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდები. სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი.
შეფასების კრიტერიუმები	სტუდენტის ცოდნა ფასდება **100 ქულიანი** სისტემით და ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: ➢ **შუალედური შეფასებები: 0 – 60 ქულა, მათ შორის:** ❖ **სამუშაო ჯგუფი (დისკუსიაში მონაწილეობა 0-20 ქ,**

	პრაქტიკული სამუშაო (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study)) 0-30 ქულა სტუდენტის აქტიურობა სამუშაო ჯგუფში ფასდება დისკუსიაში მონაწილეობით და პრაქტიკული მუშაობით (კონკრეტული სიტუაციის (Case study) გარჩევა). სტუდენტს სასწავლო კურსის განმავლობაში შეუძლია 10-ჯერ მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში. თითოეული მონაწილეობა ფასდება 0-2 ქულით. 10X2=20 ქულას. **სულ 20 ქულა.** სტუდენტს სასწავლო კურსის განმავლობაში შეუძლია 5-ჯერ მიიღოს მონაწილეობა კონკრეტული სიტუაციის გარჩევაში (case study). ფასდება 0-2 ქულით. 5X2=10 ქულა. **სულ 10 ქულა.** ჯამში შეფასება **30 ქულა.** **დისკუსიაში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმებია:** **2 ქულა** _ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია განსახილველ საკითხთა მკაფიოდ ფორმულირება, დასმულ კითხვებზე სწორი და ლოგიკური პასუხის გაცემა. **1,5 ქულა** – სტუდენტს თავისუფლად შეუძლია განსახილველ საკითხთა მკაფიოდ ფორმულირება, დასმულ კითხვებზე სწორი და ლოგიკური პასუხის გაცემა, თუმცა შეინიშნება არარსებითი შეცდომები. **1 ქულა** _ სტუდენტს უჭირს განსახილველ საკითხთა ფორმულირება, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, შეინიშნება არსებითი შეცდომები. **0,5 ქულა** – დისკუსიის დროს სტუდენტის მიერ შეინიშნება განსახილველ საკითხთა გადმოცემის მცდელობა გარკვეული მიმართულებით. **0 ქულა** – სტუდენტს არ გააჩნია პასუხი. **პრაქტიკული სამუშაო (კონკრეტული სიტუაციის (case study)) შეფასების კრიტერიუმებია:** **2 ქულა** – სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, კონკრეტული სიტუაციის გარჩევა უნაკლოდ არის შესრულებული. სტუდენტს შეუძლია ფინანსური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციური ანალიზი. თავისუფლად პოულობს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას; **1,5 ქულა** – სტუდენტი კარგად ფლობს განვლილ მასალას; კონკრეტული სიტუაციის გარჩევა შესრულებულია არაარსებითი შეცდომებით. სტუდენტს შეუძლია ფინანსური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციური ანალიზი, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების პოვნა, თუმცა უჭირს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება; **1 ქულა** – სტუდენტი საშუალო დონეზე ფლობს განვლილ მასალას; კონკრეტული სიტუაციის გარჩევა შესრულებულია გარკვეული შეცდომებით. სტუდენტს

	უჭირს ფინანსური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციური ანალიზის ჩატარება და პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების პოვნა. არ შეუძლია საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება; **0,5 ქულა**– სტუდენტი არადამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს განვლილ მასალას. შეინიშნება კონკრეტული სიტუაციის გარჩევის მცდელობა გარკვეული მიმართულებით; **0 ქულა**– სტუდენტი მოუმზადებელია, კონკრეტული სიტუაცია არ არის გარჩეული. **შუალედური შეფასებების ჯამური მინიმალური კომპეტენციის ზღვარია – 15 ქულა** **შუალედური გამოცდა – 0-30 ქულა;** სასწავლო კურსის განმავლობაში შუალედური გამოცდა ტარდება ერთჯერ წერითი ფორმით. გამოცდაზე სტუდენტის ცოდნა შეფასდება: 3 თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხით პროგრამული მასალიდან, თითოეული 0-10 ქულა. სულ 0-30 ქ. **10 – ქულიანი თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხის შეფასების კრიტერიუმები:** **10 –** საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. **9 –** საკითხი ზუსტად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **8 –** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. **7 –** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი საშუალოდ საშუალო დონეზე ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; დამაკმაყოფილებლად აქვსვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **6 –** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია სრულყოფილი არ არის; სტუდენტი საშუალო დონეზე ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. **5 –** პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია სრულყოფილი არ არის; სტუდენტი საშუალო დონეზე ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

	4 – პასუხი არასრულია: ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. 3 – პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია არსებითი შეცდომებით. სტუდენტს ცუდად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება არსებითი შეცდომები. 2 – პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. 1-პასუხი ნაკლოვანია, სტუდენტი ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, ან არ არის შესაბამისი; პასუხი მნიშვნელოვნად მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალიდან არცერთი ნაწილი არაა მართებული. 0 -პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული. ➢ **დასკვნითი შეფასება (წერითი) 40 ქულა. 4 თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხი, თითო 0-10 ქულა.** (შეფასების სისტემა იხ. ზემოთ) **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს – 20 ქულას.** **საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.** შეფასების სისტემა უშვებს: **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა.ა) (A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა; **ა.ბ) (B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **ა.გ) (C) კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ა.ე) (E) საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:** **ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა** – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; **ბ.ბ) (F) ჩაიჭრა** – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.**

კვირა	საათების რაოდენობა	სასწავლო კურსის შინაარსი (შესასწავლი საკითხების, აქტივობებისა და შეფასების ფორმების მითითებით)
1	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- ფინანსური კაპიტალის ადგილი და როლი თანამედროვე ფინანსურ ეკონომიკაში.** შესავალი ფინანსურ მენეჯმენტში; თანამედროვე ფინანსების ევოლუცია და ფინანსების კონცეფციების დახასიათება; ფინანსური კაპიტალი, მისი ადგილი და როლი თანამედროვე ეკონომიკაში: კაპიტალის ღირებულება და სტრუქტურა. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
2	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – ფინანსების მართვის პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში.** საქართველოს ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობის შეფასება; ფინანსების მართვის ელემენტები და საფინანსო პოლიტიკა; ფინანსების მართვის პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ ქვეყნებში მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
3	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საინვესტიციო პროცესის მართვის კონცეფციები და საინვესტიციო გარემოს შეფასება.** საინვესტიციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეფციები; საინვესტიციო პროცესის დახასიათება, ინვესტირება კაპიტალურ აქტივებში; კაპიტალ-დაბანდებების ბიუჯეტირების პროცესი და საინვესტიციო კლიმატი: საინვესტიციო აქტივობის მაჩვენებელთა სისტემა. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
4	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია-ფასეულობაზე ორიენტირებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების დასაბუთება.** სტრატეგიული გადაწყვეტილებები როგორც კორპორაციის ფასეულობის ზრდის წყარო; ფასეულობის სტრატეგიული მართვის ალგორითმი. **სამუშაო ჯგუფი: პრაქტიკული სამუშაო** (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა
5	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – თანამედროვე კორპორაციის (ფირმის) ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებები.** ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციონირების ორგანიზაცია და მართვის მექანიზმების სრულყოფის საკითხები ტრანსფორმაციული ეკონომიკის პირობებში.ტრანსეროვნული კორპორაციების ფინანსური მენეჯმენტი. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
6	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- მიკროეკონომიკური (კორპორაციული) საქმიანობის სტრატეგიული ანალიზი.** თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის მეთოდების სისტემა. ფინანსური ანალიზის კოეფიციენტების გამოყენება კორპორციის ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში. **სამუშაო ჯგუფი: პრაქტიკული სამუშაო** (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა
7	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1	**ლექცია- თანამედროვე კორპორაციის ფინანსების მართვის განსაკუთრებული ფორმები.** ფინანსური ინჟინირინგის პროცესი; კორპორაციების ანტიკრიზისული ფინანსური მართვა; კორპორაციის რესტრუქტურიზაციის ფორმები, შერწყმა (შთანთქმა) და

	სთ	სხვა. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
8	2 სთ	**შუალედური გამოცდა /წერითი ფორმით/**
9	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – კორპორაციის სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარების მართვის სისტემა.** სტრატეგიული დაგემვის პრინციპები, ელემენტები, მეთოდები და პროცესი. ფინანსური სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი. **სამუშაო ჯგუფი: პრაქტიკული სამუშაო** (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study))
10	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – კორპორაციული კაპიტალის დაფინანსების წყაროების მართვა.** კორპორაციული კაპიტალის დაფინანსების წყაროების მართვის საფუძვლები; საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირების თავისებურებები; კორპორაციის დივიდენდური პოლიტიკა; მოზიდული კაპიტალის მართვა. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
11	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია -კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა.** დივერსიფიცირებული კომპანიის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების პრინციპები და შეფასების პარამეტრები; კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
12	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საგადასახადო ურთიერთობები და საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი პრობლემები.** საგადასახადო სისტემის მეთოდოლოგიური ასპექტები; საგადასახადო ადმინისტრირების პროცესი; საგადასახადო შემოწმების მეთოდების სრულყოფის ძირითადი პრობლემების გამოვლენა. **სამუშაო ჯგუფი:პრაქტიკული სამუშაო** (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა
13	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – კორპორაციის ფინანსური რისკების მინიმიზაციის სტრატეგიები .** კორპორაციის ფინანსური რისკების მინიმიზაციის სტრატეგიები; ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმები; **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
14	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმები.** კორპორაციის ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა; კორპორაციის დავალიანების რესტრუქტურიზაციის მართვა; კორპორაციების გაკოტრების პირობებში სალიკვიდაციო პროცედურების ფინანსური უზრუნველყოფა. **სამუშაო ჯგუფი: პრაქტიკული სამუშაო** (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა
15	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია საქართველოში ექსპორტის დაფინანსების ფორმები და სადაზღვევო მარკეტინგი.** ექსპორტის დაფინანსების ფორმები; ექსპორტის სახელმწიფო დაზღვევა და დაფინანსება;საბაჟო-საბარიფო სისტემის ფორმირების თავისებურებანი საქართველოში. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
16	ლექცია – 1 სთ	**ლექცია – საქართველოში ბიზნეს-სექტორების (დარგების) ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სტრატეგიები.** ქვეყნის რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების

	სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	პრიოპიტეტები.ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ და საინვესტიციო სტრატეგიებში ინეგრაციული ფაქტორების გამოვლენა. დარგის.შიდა რეგიონული ინსტიტუტების სტრატეგიული განვითარების კონცეფციების მიმოხილვა. **სამუშაო ჯგუფი: დისკუსია**
17	3 სთ	დასკვნითი გამოცდა / წერითი ფორმით/
18 -19		დამატებითი გამოცდა
	სულ – 35 სთ	
სასწავლო კურსში FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.		

სასწავლოკურსისდასახელება	საერთაშორისო ფინანსების განვითარების თეორიები
სასწავლოკურსისკოდი	**BUSS D 312**
სასწავლოკურსისსტატუსი	ბიზნესის ადმინისტრირება. დოქტორანტურა. არჩევითი სასწავლო კურსი
ECTS – სასწავლოკურსის კრედიტები	*6 კრედიტი – 150 სთ.* *საკონტაქტო – 35 სთ, მათ შორის ლექცია – 15 სთ, სამუშაო ჯგუფი – 15 სთ, შუალედური გამოცდა – 2 სთ, დასკვნითი გამოცდა – 3 სთ.* ***დამოუკიდებელიმუშაობა – 115 სთ***
სასწავლო კურსის ფორმატი	სულ სემესტრში: ლექცია – 15 სთ და სამუშაო ჯგუფი – 15 სთ; კვირაში: ლექცია – 1 სთ და სამუშაო ჯგუფი – 1 სთ.
ლექტორი	ლიპარტია ზურაბი, სოხუმისსახელმწიფოუნივერსიტეტისპროფესორი. ტელ: 599184521 el: zlipartia@yahoo.com პაპასკირი რუსუდან, სოხუმისსახელმწიფოუნივერსიტეტისასოცირებულიპროფესორი. ტელ: 599855230 el: rusiko-p@mail.ru სტუდენტებთან კონსულტაციის საათები: ხუთშაბათი 13:00-14:00
სასწავლო კურსის მიზანი	კურსის **მიზანს** ნარმოადგენს სტუდენტს მისცეს ფუნდამენტალური ცოდნა საერთაშორისო ფინანსების თეორიის, პრაქტიკის აქტუალურ საკითხებსა და თანამედროვე ფინანსური სისტემის ფორმირების პრინციპების შესახებ. ასევე ,გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების მართვის მექანიზმებისა და ინსტრუმენტების შესახებ. კვლევის **საგანია**: გლობალური სტრატეგიული კონკურენციის თეორიის. თანამედროვე ფინანსური გამოწვევების და მენეჯმენტის კონცეფციურ-მეთოდოლოგიური ასპექტები; ფინანსურ სისტემაში კაპიტალურ აქტივებში ინვესტირების საერთაშორისო პროცესების ეფექტიანობის შეფასების მეთოდურ-პრაქტიკული ასპექტები; ფინანსური გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ფინანსური ბაზრისა და ანგარიშწორების თავისებურებები; მსოფლიო სავალუტო სისტემისა და საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვის, დაბეგვრის პრობლემები; ტრანსნაციონალური ჯგუფის საგადასახადო ოპტიმიზაციის საკითხები და სხვა ინფრასტრუქტურის შესახებ უახლოეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება.

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობა არ აქვს
სასწავლო კურსის შინაარსი	*(იხ. დანართი 1)*
სავალდებულო ლიტერატურა	ლექტორის რიდერი. (ფინანსური მენეჯმენტის ფილოსოფია. მონოგრაფია. თბ., 2017.) მოსიაშვილი ვ, ჭელიძე მ, ფინანსები (სახელმძღვანელო) თბილისი, გამომც. „დანი" – 2016.- 540 გვ;თემა 16(429-525); ელიავა ლ. „საქართველოს თანამედროვე ფინანსური გამოწვევები" მონოგრაფია გამომც. უნივერსალი თბ.2015 ჯოლია გ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები სტუ, თბ., 2008. 7. Y. kozak, G. Shlemovich, T. Sporck International Finance. 5th Edition, Kiev, Chisinau-Katowice-New York-Tbilisi: CUL, 2015 (ელ ვერსია); Piet Sercu, „International Finance: Teory into Practice, Princeton university Press". 2009. (ელ ვერსია):
დამატებითი ლიტერატურა	აბრალავა ა.ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. მონოგრაფია. თბ., 2015 ვეშაპიძე შ. მსოფლიო ეკონომიკა. თბ., 2008. ინგოროყვა ა. ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი, ორ ნაწილად. თბილისი, 2011.; კაკულია ე. ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა. სოხუმის სახ. უნ., თბ., 2010. კაკულია მ., „სავალუტო სისტემის განვითარების პრობლემები საქართველოში". თბ. „სეპსკი", 2001; ლიპარტია ზ. და სხვ. კორპორაციული ფინანსები ტ> 2.თბ.2013.(თავი:21; 27) ლინდერტი პიტერ ჰ. საერთაშორისო ეკონომიკა.თბ.2000. მესხია ი. საერთაშორისო ფინანსები, თსუ, თბილისი, 2012. მესხია ი., „საერთაშორისო ვაჭრობა", თბ. 2011; ფინანსური მართვა., ნიგნი F9 ACCA სახელმძ. KAPLAN PUBLISHED თარგმ. საქ. Bბაფ-ის 2011. (თავი 19.გვ. 491-522) ღურწკაია კ. ღურწკაია თ.,საერთაშირისო ბიზნესი.თბ.2011. Kovzanadze I. Sistemic and borderline Banking Crises. Lessons Learned for future prevention, Universe,Inc, New York. 2010; Keith Pilbeam. International Finance. Palgrave Macmilian. 2012 Papava V. Economic Transformation and the Impacts of the Global financial Crisis in the Southern Caucasus. In Mustafa Aydin. Ed. Non Traditional Security. Threats and Regional Cooperation in the Southern Caucasus. Amsterdam: IOS Press,2011; Peter Isard, „Globalization end the International Financial System", Gambridge, 2008. Steve Suranovich, „International Finance Theory end Policy", 2010. Международные экономические отношения. Учебник под редакц. проф. В.Е.Рыбалкина. М.,2006 Федякина Л.Н. „Международные финансы". – СПБ. : 2005. ინტერნეტ მისამართები: https://www.oecd.org/finance/Problems-Intl-Financial-System-2014.pdf

	http://www.globalissues.org/article/768/global-financial-crisis https://www.bis.org/publ/cgfs50.pdf
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** სტუდენტმა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ანალიზის, ფინანსების თეორიისა და პრაქტიკის განზოგადების საფუძველზე მიიღო უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა საერთაშორისო ფინანსური სისტემისა და ფინანსური ბაზრის თავისებურებების შესახებ. გაცნობიერებული აქვს მ. პორტერის გლობალური სტრატეგიული კონკურენციის თეორია და თანამედროვე ფინანსური კონცეფციები; საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის, თანამედროვე მსოფლიო სავალუტო სისტემისა და საერთაშორის ფინანსების მენეჯმენტის ძირითადი კონცეპტუალური საკითხები; საერთაშორისო ინვესტიციების თავისებურებები და განხორციელების სტრატეგიები;საერთაშორისო,საბანკო ანგარიშსწორების სისტემის არსი;სახელმწიფოთა სახელშკრულებო ურთიერთობებისადა კომერციული გარიგებეის მახასიათებლები; საერთაშორისო საკრედიტო ბაზრის პრინციპები,კრედიტის ფორმები და ლიცენზიური ურთიერთობების მოტივები; საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვისა და დაბეგვრის პრობლემები; ტრანსნაციონალური ჯგუფის საგადასახადო ოპტიმიზაციის საკითხები და საქართველოს საგადასახადო ბალანსის ფორმირების ძირითადი პრინციპები. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** სტუდენტმა შეიძინა საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობების სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის უნარი, ასევე საერთაშორისო ფინანსების თეორიის კურსის გავლით ფლობს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რაც საერთაშორისო ფინანსების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია გლობალიზაციის ჭრილში დარგის, კორპორაციის, საერთაშორისო ფინანსური ურთიერობების განვითარების სტრატეგიების მოდელირებადა მათი განხორციელების პროცესების მართვა. **დასკვნის უნარი** კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტს განუვი-

თარდა ფინანსური ურთიერთობების სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, რითაც შესაძლებელი ხდება საერთაშორისო ფინანსების მართვის პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური ფინანსური პოლიტიკისა და სამართლის სისტემის ფორმირების საკითხების, საერთაშორისო ფინანსური სისტემის მდგრადობისა და რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიების შემუშავების შესახებ, ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება.

კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს შეუძლია საერთაშორისო ფინანსების, საერთაშორისო სავალუტო ბაზრის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემური საკითხების, თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის ფორმირების პრინციპებისა და მართვის მექანიზმების შესწავლის საფუძველზე მიღებული ცოდნისა და ახალი ცოდნის ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა. ასევე, საერთაშორისო სავალუტო–საკრედიტო ბაზრის, საერთაშორისო საბანკო ბიზნესის ორგანიზაციის,საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და ფინანსური აღრიცხვის,საგარეო–ეკონომიკურ საქმიანობათა საგადასახადო დაგეგმვის, საერთაშორისო ფინანსური სისტემის რისკების შეჯირების სტრატეგიებზე სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე.

სწავლის უნარი

საერთაშორისო ფინანსური სისტემის მართვის პრობლემების გადაჭრის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე სტუდენტს შეუძლია ქვეყანაში, ახალი იდეებისა და პროცესების განვითარება სწავლისა და საქმიანობის სფეროების, მათ შორის, საერთაშორისო ფინანსური ბაზრის თავისებურებების გამოვლენა, სავალუტო და კაპიტალის ბაზრის სისტემების კვლევების პროცესში.

ღირებულებები

საერთაშორისო ფინანსების განვითარების თეორიების შესწავლით სტუდენტს შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად თანამედროვე, ინოვაციური მეთოდებისა და შეხედულებების შემუშავება. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიომეურნეობრივ ინტეგრაციის სისტემაში ეროვნული ეკონომიკის ადგილისა და როლის კურსის მიზან-ამოცანებიდან გამომდინარე, მონაწილეობს მთლიანად

	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის ღირებულებების ჩამოყალიბებაში.
სწავლა/სწავლების მეთოდები	სასწავლო კურსის ათვისებისათვის გამოიყენება ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, შუალედური და დასკვნითი გამოცდები. სწავლის პროცესში გამოიყენება სწავლის შემდეგი მეთოდები: დისკუსია/დებატები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, შემთხვევების შესწავლა (Case study),გონებრივი იერიშის მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ელექტრონული სწავლება.
შეფასების კრიტერიუმები	სტუდენტის ცოდნა ფასდება **100** ქულიანი სისტემით და ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს: ➢ **შუალედური შეფასებები: 0 – 60 ქულა, მათ შორის:** ❖ **სამუშაო ჯგუფი (დისკუსიაში მონაწილეობა 0-20 ქ. პრაქტიკული მუშაობა (კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study)) 0-10 ქ; სულ 0-30 ქულა** სტუდენტის აქტიურობა სამუშაო ჯგუფში ფასდება დისკუსიაში მონაწილეობით და პრაქტიკული მუშაობით (კონკრეტული სიტუაციის (Case study) გარჩევა). სტუდენტს სასწავლო კურსის განმავლობაში შეუძლია მაქსიმუმ 10-ჯერ მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში. თითოეული მონაწილეობა ფასდება 0-2 ქულით. 10X2=20 ქულას. **სულ 20 ქულა.** სტუდენტს სასწავლო კურსის განმავლობაში შეუძლია 5-ჯერ მიიღოს მონაწილეობა კონკრეტული სიტუაციის გარჩევაში (case study). ფასდება 0-2 ქულით. 5X2=10 ქულა. **სულ 10 ქულა.** ჯამში შეფასება **30 ქულა.** **დისკუსიაში მონაწილეობის შეფასება:** **2 ქულა** _ სტუდენტს თავისუფლად შეუძლია განსახილველ საკითხთა მკაფიოდ ფორმულირება, დასმულ კითხვებზე სწორი და ლოგიკური პასუხის გაცემა. **1,5 ქულა** – სტუდენტს თავისუფლად შეუძლია განსახილველ საკითხთა მკაფიოდ ფორმულირება, დასმულ კითხვებზე სწორი და ლოგიკური პასუხის გაცემა, თუმცა შეინიშნება არაარსებითი შეცდომები. **1 ქულა** _ სტუდენტს უჭირს განსახილველ საკითხთა ფორმულირება, დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა, შეინიშნება არსებითი შეცდომები. **0,5 ქულა** – დისკუსიის დროს სტუდენტის მიერ შეინიშნება განსახილველ საკითხთა გადმოცემის მცდელობა გარკვეული მიმართულებით. **0 ქულა** – სტუდენტს არ გააჩნია პასუხი.

პრაქტიკული მუშაობის (კონკრეტული სიტუაციის (case study))შეფასების კრიტერიუმებია:

2 ქულა – სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს განვლილ მასალას, კონკრეტული სიტუაციის გარჩევა უნაკლოდ არის შესრულებული. სტუდენტს შეუძლია ფინანსური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციური ანალიზი. თავისუფლად პოულობს პრობლემის გადაჭრის ოპტიმალურ გზებს და არგუმენტირებულად ასაბუთებს საკუთარ პოზიციას;

1,5 ქულა – სტუდენტი კარგად ფლობს განვლილ მასალას; კონკრეტული სიტუაციის გარჩევა შესრულებულია არაარსებითი შეცდომებით. სტუდენტს შეუძლია ფინანსური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციური ანალიზი, პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების პოვნა, თუმცა უჭირს საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება;

1 ქულა – სტუდენტი საშუალო დონეზე ფლობს განვლილ მასალას; კონკრეტული სიტუაციის გარჩევა შესრულებულია გარკვეული შეცდომებით. სტუდენტს უჭირს ფინანსური მეთოდების გამოყენებით სხვადასხვა სიტუაციური ანალიზის ჩატარება და პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების პოვნა. არ შეუძლია საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულად დასაბუთება;

0,5 ქულა- სტუდენტი არადამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს განვლილ მასალას. შეინიშნება კონკრეტული სიტუაციის გარჩევის მცდელობა გარკვეული მიმართულებით;

0 ქულა– სტუდენტი მოუმზადებელია, კონკრეტული სიტუაცია არ არის გარჩეული.

შუალედური შეფასებების ჯამური მინიმალური კომპეტენციის ზღვარია – 15 ქულა

შუალედური (წერითი) გამოცდა – 0-30 ქულა;

3 თეორიული სამუშაო, თითოეული 0-10 ქულა. **სულ 0-30 ქ.**

10 – ქულიანი თეორიული სამუშაოს შეფასება:

10 – საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა.

9 – საკითხი ზუსტად არის გადმოცემული; ტერმინო-

	ლოგია დაცულია. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას, საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **8** – პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია;საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ გავლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა. **7** – პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი საშუალოდ საშუალო დონეზე ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; დამაკმაყოფილებლად აქსვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **6** – პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია სრულყოფილი არ არის; სტუდენტი საშუალო დონეზე ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. **5** – პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია სრულყოფილი არ არის; სტუდენტი საშუალო დონეზე ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. **4** – პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა. **3** – პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია არსებითი შეცდომებით. სტუდენტს ცუდად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება არსებითი შეცდომები. **2** – პასუხი ნაკლოვანია, ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი; პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **1**-პასუხი ნაკლოვანია, სტუდენტი ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, ან არ არის შესაბამისი; პასუხი მნიშვნელოვნად მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალიდან არცერთი ნაწილი არაა მართებული.

	0 -პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული. ➢ **დასკვნითი შეფასება (წერითი) 40 ქულა. 4 თეორიული სამუშაო, თითო 0-10 ქულა.(შეფასების სისტემა იხ. ზემოთ)** **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს – 20 ქულას.** **საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს.** შეფასების სისტემა უშვებს: **ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:** **ა.ა)(A) ფრიადი–** შეფასების 91-100 ქულა; **ა.ბ) (B) ძალიან კარგი–** მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; **ა.გ)(C) კარგი–** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; **ა.დ)(D) დამაკმაყოფილებელი–** მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; **ა.ე)(E) საკმარისი–** მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. **ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:** **ბ.ა)(FX) ვერ ჩააბარა–** მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; **ბ.ბ)(F) ჩაიჭრა–** მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. **დანარჩენი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში.**

დანართი I

კვირა	საათების რაოდენობა	*სასწავლო კურსის შინაარსი* *(შესასწავლი საკითხების, აქტივობებისა და შეფასების ფორმების მითითებით)*
1	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები მსოფლიომეურნეობრივ სისტემაში.** საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების არსი, პრინციპები და თავისებურებები.საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტები და სუბიექტები. შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე დაფუძნებული მსოფლიომეურნეობის განვითარების მნიშვნელობა და ფაქტორები. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიეერთობების ადგილი და როლი ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.დ.დ

2	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები** **პროტექციონიზმი და თავისუფალი ვაჭრობა(მერკანტილიზმი, ფიზიოკრატები). აფსოლუტური და შედარებითი უპირატესობების თეორია (ა. სმითისა და დ. რიკარდოს მოძღვრებანი). წარმოების ფაქტორთა თანაფარდობისა. საქონლის სასიცოცხლო ციკლისთეორია. მ. პორტერი თეორია. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების თანამედროვე ნოვაციები და შეხედულებები (მ. პორტერის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ფაქტორების-'ადამიანური კაპიტალის' გადიდება.)** **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study)
3	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- საერთაშორისო ფინანსური სისტემის გლობალიზაცია და ფინანსური ბაზრის თავისებურებები** გლობალიზაციის მიმდინარე ტენდენციები.გლობალური სტრატეგიული კონკურენციის თეორია.საერთაშორისო ფინანდების თეორიულ-კონცეფციური საფუძვლები. ფინანსური პოლიტიკისა და სამართლის სისტემის რეალიზაციის მექანიზმი. საერთაშორისო ფინანსური ბაზარი: სტრუქტურა და თავისებურებები. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები: ძირითადი მიზნები და ამოცანები. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.
4	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიული კონცეფციები და განვითარების მახასიათებლები** ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ეტაპები.ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპაში და ევროკავშირის მმართველობითი ინსტიტუტების საქმიანობის შედეგები.ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები აზიაში, ამერიკასა და აფრიკაში. პარტნიორობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის (მიზნები და სფეროები). **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study)
5	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საერთაშორისო ვაჭრობის თავისებურებები და ფინანსების თეორიები** საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენციები, პრობლემები და თავისებურებები. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO) საერთაშორისო ვაჭრობის სამართლებრივი პრინციპები. საერთაშორისო ვაჭრობის სახელმწიფო- სავაჭრო ურთიერთობის მეთოდები და წყაროები. ექსპორტის დაფინანსების ფორმები. ექსპორტის სახელმწიფო დაზღვევა და დაფინანსება. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.

6	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – ფასწარმოქმნის თავისებურებები მსოფლიო ბაზარზე** საფასო პოლიტიკა და ფასწარმომქმნელი ფაქტორები. მსოფლიო ბაზრების ტიპოლოგია.ფასწარმოქმნის მეთოდები. საგარეო-სავაჭრო ფასები სანედლეულო რესურსებზე ფასების საერთაშორისო რეგულირების საკითხები. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.
7	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- საერთაშორისო სავალუტო სისტემა და საერთშორისო ორგანიზაციები საფინანსო სფეროში** საერთაშორისო სავალუტო სისტემა. რ.მანდელის თეორიული დასაბუთება ერთიანი ევროპული ვალუტის (EURO-1999 წლიდან) შექმნის შესაძლებლობისა და აუცილებლობის შესახებ. საერთაშორისო სავალუტო ბაზარი. საერთაშორისო და რეგიონული სავალუტო-საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციები. **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა.
8	2 სთ	**შუალედური გამოცდა /წერითი ფორმით/**
9	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საერთაშორისო ინვესტიციების ბაზარი.** საერთაშორისო ინვესტიციების პრინციპები და თავისებურებები. საერთაშორისო ინვენსტიციების ბაზარი და ინვესტიციური მენეჯმენტი.საერთაშორისო ინვესტირების რისკების: საქვეყნო, სავალუტო და ფასიანი ქაღალდების ჰეჯირება. საერთაშორისო საინვესტიციო კომპანიები და ფონდები. **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study)
10	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საერთაშორისო ანგარიშსწორების თავისებურებები** საერთაშორისოანგარისსწორების არსი, სუბიექტები, სახეები და ფორმები; ანგარიშსწორების აკრედიტივისა და საინკასო ფორმა. ანგარიშსწორების სხვა სახეები. საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბალანსების სახეები. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.
11	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – სახელმწიფოთა სახელშეკრულებო ურთიერთობების საფუძვლები და საერთაშორისო კომერციული გარიგებების მახასიათებლები.** ხელშეკრულების სტრუქტურა და სახელმწიფოთა ეკონომიკური ურთიერტობების სამართლებრივი პრინციპები. საგარეო-ეკონომიკური კავშირების სახელმწიფო ორგანოები საქართველოში. საერთაშორისო კომერციული გარიგებების იურიდიული საფუძველი – ხელშეკრულების სამართლებრიცი წყაროები. საერთაშორისო გარიგებები. შემხვედრი საერ-

		თაშორისო სავაჭრო ოპერაციები. **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (კომერციული ხელშეკრულების შინაარსი)
12	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია- ტრანსნაციონალური კომპანიების გლობალური ბიზნეს სტრატეგიები.** გლობალური ბიზნესის ეკონომიკური საფუძველი,სტრუქტურა და თავისებურებები. გლობალური ბიზნესის მოტივები და ბიზნეს-მეთოდები. კონკურენტული სტრატეგიები. ეკონომიკური ურთიერთობების მართვის მეთოდები. პროდუქციის ბაზარზე გატანის სტრატეგიები. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.
13	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – ტექნოლოგია და ინფორმაცია – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის განსაკუთრებული ობიექტი.** ტექნოლოგიებისა და ინფორმაციების საერთაშორისო გაცვლის ფორმები და მექანიზმები (სამართლებრივი,ფინანსური,ინსტიტუციური,ტექნიკური). ელექტრონული ვაჭრობა: ინტერნეტი (ექსტრანეტი); ელექტრონული ბიზნესი; ელექტრონული მარკეტინგი;ელექტრონული შესყიდვა (ონლაინ რეჟიმი) და ელექტრონული კომერციის სხვა ფორმები (ტელემარკეტინგი,ტელემაღაზიები,ტელერეკლამა,ელექტრონული კატალოგები და სხვ.) **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.
14	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საერთაშორისო საკრედიტო ბაზარი.** საერთაშორისო საკრედიტო ბაზრის პრინციპები და ფუნქციები. საერთაშორისო კრედიტის ფორმები და სინდიფიცირებული დაკრედიტება. ლიცენზიებით საერთაშორისო ვაჭრობა (ლიცენზიური ურთიერთობის მოტივები – ფრანჩაიზინგი). სალიცენზიო გასამსჯელო (პაუშალური გადასახდელი და როიალტი). ლიზინგური ურთიერთობების სახეობები და შეთანხმების უპირატესობები. **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (ლიზინგის სუბიექტები და ხელშეკრულების სტრუქტურა)
15	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია – საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვისა და დაბეგვრის პრობლემები** საერთაშორისო ფინანსური აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით და დაბეგვრის მახასიათებლები. ორმაგი საერთაშორისო დაგებვრის პრობლემები. იურიდიული პირების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობათა დაბეგვრა. ტრანსნაციონალური ჯგუფის საგადასახადო ოპტიმიზაცია. **სამუშაო ჯგუფი** – საკითხების განხილვა, დისკუსია.

16	ლექცია – 1 სთ სამუშაო ჯგუფი – 1 სთ	**ლექცია -საქართველოს საგადასახდელო ბალანსი** საგადასახადო ბალანსის ფორმირების ძირითადი პრინციპები. ბალანსის არსი და სტრუქტურა. ბალანსის მუხლების კლასიფიკაცია და ბალანსზე მოქმედი ძირითადი ფაქტორები; ბალანსის წონასწორობის მდგომარეობა. ბალანსის სახელმწიფო რეგულირების მეთოდები. **სამუშაო ჯგუფი** – კონკრეტული სიტუაციის გარჩევა (Case study)
17	3 სთ	**დასკვნითი გამოცდა /წერითი ფორმით/**
18 -19		**დამატებითი გამოცდა**
სულ – 35 სთ		
სასწავლო კურსში **FX**-ისმიღებისშემთხვევაში ინიშნებადამატებითიგამოცდადასკვნითიგამოცდისშედეგებისგამოცხადებიდანარანაკლებ 5 დღეში.		

დანართი №4
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2012 წელი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	ფინანსური ეკონომიკა
სასწავლო კურსის კოდი	ECON D 306
სასწავლო კურსის სტატუსი	ბიზნესის ადმინისტრირება. დოქტორანტურა, მეორე სემესტრი, არჩევითი.
ECTS - სასწავლო კურსის კრედიტები	6 ECTS - 150 საათი. 35 საკონტაქტო, მათ შორის: ➢ ლექცია - 15 საათი; ➢ სემინარი/დისკუსია - 15 საათი; ➢ შუალედური შეფასება - 2 საათი; ➢ ფინალური შეფასება - 3 საათი. 115 დამოუკიდებელი მუშაობისათვის, მათ შორის: ➢ ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება - 65 საათი; ➢ არგუმენტირებული ნაშრომის მომზადება - 20 საათი; ➢ შუალედური გამოცდისათვის მომზადება - 10 საათი; ➢ ფინალური გამოცდისათვის მომზადება - 20 საათი.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია/სემინარი : 1+1
ლექტორი	ლიპარტია ზურაბი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ტელ: **599–18–45–21** el: **zlipartia@yahoo.com** კონსულტაციების დღეები: **სამშაბათი; 12.00-14.00**
სასწავლო კურსის მიზანი	*კურსის მიზანს წარმოადგენს სტუდენტს შეასწავლოს ფინანსური ეკონომიკის თეორიის, პრაქტიკის პრობლემური საკითხები, თანამედროვე ფინანსური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პრინციპები და მართვის მექანიზმების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის მიღება; ქვეყანაში ფინანსების მართვის პრობლემების გადაჭრის ახალი ცოდნის მიღება; საფინანსო პოლიტიკის ფორმირება–რეალიზაციის საკითხებში ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად გააზრება–მიღება გლობალიზაციის ჭრილში ფინანსური სისტემის მდგრადობისა და რისკების მართვის სტრატეგიების ფორმირების უზრუნველსაყოფად.*
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	ეკონომიკური თეორია
სასწავლო კურსის შინაარსი	იხილეთ დანართი 1
სავალდებულო ლიტერატურა	1. კაკულია რ., *ფინანსური ეკონომიკა*, თსუ, თბ., 2007. 2. ჯეიმს ს. ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი–უმცრ. *ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები*. მეთორმეტე გამოცემა (თარგმ. ინგლისურიდან ე. გეგეშიძის საერთო რედაქციით), "საქართველოს მაცნე", თბ., 2008. 3. ლიპარტია ზ., და სხვ. „კორპორაციული ფინანსები" სახელმძღვანელო 2 ტომად, თბ. 2012. 4. ცაავა გ., ბიწაძე ბ., ლიპარტია ზ. *ფინანსური მენეჯმენტი*. თბ., აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 2006.

დამატებითი ლიტერატურა	1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ. *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბ., 2010. 2. ბასილაია კ., ლიპარტია ზ., ფინანსური კონტროლი", თბ. 2012. 3. კაკულია ე. ,,ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა", სახელმძღვანელო. გამომც. ,,უნივერსალი" 2010. 4. ინგოროყვა ა. ცაავა გ. ფინანსური მენეჯმენტი, ორ ნაწილად, თბილისი, 2011. 5. ლიპარტია ზ. *კორპორაციული ფინანსების მართვა.* ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 2009. 6. მესხია ი., გველესიანი ე. რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა,თბ., ინოვაცია, 2010. 7. ფინანსური მართვა., წიგნი F9 ACCA სახელმძ. KAPLAN PUBLISHED თარგმ. საქ. ბაფ-ის 2011. გვ. 635. 8. ფოფხაძე გ. *ფინანსური მენეჯმენტი.* აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, 2009. 9. ჯონსონი გარეთ რ., ჯორჯი ჯენიფერ მ. *თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები,* "GIPA", თბ., 2006. 10.. Бригхем Ю.Эрхард М.С. Финансовий менеджмент „Питер", 2007. 11. Корпоративные финансы: Учебник для вузов/Под ред. М.В.Романовского, А.И. Вострокнутовой. СПБ.:Питер, 2011. -592. 12. O. Stephen A. Ross, Randolph W. Westerfield, Brdfold D Jordan, Fundamantals of corporate Finanse; 2000.
სწავლის შედეგები	სწავლების შედეგები (მოსალოდნელი ცოდნა და უნარ-ჩვევები): კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს განუვითარდა შემდეგი დარგობრივი სპეციფიკური და ზოგადი კომპეტენციები: დარგობრივი კომპეტენცია: • ცოდნა და გაცნობიერება *სტუდენტმა თანამედროვე ფინანსური ეკონომიკის სისტემის ფორმირების პრინციპებისა და მართვის მექანიზმების შესახებ მიიღო უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა; ფინანსური ეკონომიკის, როგორც თანამედროვე განვითარების უმაღლესი ფორმის, ძირითადი თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტებისა და პრაქტიკის საკითხების ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივი გადაფასების გზით ცოდნის განახლებული გაცნობიერებით სტუდენტს შეუძლია გლობალიზაციის ჭრილში ფინანსური სისტემის მდგრადობისა და რისკების მართვის სტრატეგიების ფორმირება, ქვეყანაში ფინანსების მართვის პრობლემების გადაჭრის, საფინანსო პოლიტიკის ფორმირებისა და რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ასევე, გაცნობიერებული აქვს ფინანსური ეკონომიკის სისტემაში კორპორაციული საქმიანობის, კაპიტალურ აქტივებში ინვესტირების განსაკუთრებული სფეროებისა და საერთაშორისო პროცესების ეფექტიანობის შეფასების მეთოდიკა და პრაქტიკული ასპექტები, რომელთა ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით შეუძლია ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერება.* • ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი *სტუდენტმა შეიძინა ფინანსური ეკონომიკის სფეროში ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვის,*

	განხორციელებისა და მონიტორინგის უნარი, ასევე ფინანსური ეკონომიკის კურსის გავლით ფლობს ეკონომიკის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ანალიტიკურ მეთოდებსა და მიდგომებს, რაც ფინანსური ეკონომიკის თეორიის, პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული და აისახება საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში. აუცილებლობის შემთხვევაში მას შეუძლია გლობალიზაციის ჭრილში დარგის, კორპორაციისა და საერთაშორისო ფინანსური ურთიერობების განვითარების სტრატეგიების მოდელირება და მათი განხორციელების პროცესების მართვა. ზოგადი კომპეტენცია • დასკვნის უნარი კურსის შესწავლის შემდეგ სტუდენტს განუვითარდა ფინანსური ეკონომიკის სფეროში ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების მიდგომების კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, რიტაც ხდება ქახალი მეთოდოლოგიის შემუშავება/განვითარების ხელშეწყობა, ფინანსების მართვი პრობლემებისა და საფინანსო პოლიტიკის ფორმირება–რეალიზაციის საკითხების, გლობალიზაციის ჭრილში ფინანსური სისტემის მდგრადობისა და რისკების მართვის სტრატეგიების გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. • კომუნიკაციის უნარი სტუდენტს შეუძლია ფინანსური ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის პრობლემური საკითხების, თანამედროვე ფინანსური ეკონომიკური სისტემის ფორმირების პრინციპებისა და მართვის მექანიზმების შესწავლის საფუძველზე მიღებული ცოდნისა და ახალი ცოდნის ურთიერთკავშირში დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა, ასევე ფინანსური სისტემის მდგრადობისა და მართვის სტრატეგიებზე სამეცნიერო საზოგადოებასთან თემატურ პოლემიკაში ჩართვა უცხოურ ენაზე. • სწავლის უნარი ქვეყანაში ფინანსების მართვის პრობლემების გადაჭრის უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე სტუდენტს შეუძლია ახალი იდეებისა და პროცესების განვითარება სწავლისა და საქმიანობის, მათ შორის, ფინანსური ეკონომიკის სისტემაში კვლევების პროცესში. • ღირებულებები ფინანსური ეკონომიკის კურსის შესწავლით სტუდენტს ღირებულებათა დამკვიდრების გზების კვლევა და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება. ფინანსური ეკონომიკის მიზან-ამოცანებიდან გამომდინარე მონაწილეობს მთლიანად სადოქტორო პროგრამის ღირებულებების ჩამოყალიბებაში.
სწავლისა და სწავლების მეთოდები	დისკუსია–დებატები, რაც ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში, რაც მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით არ შემოიფარგლება. ეს მეთოდი

	უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. *პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. ეს მეთოდი დასმულ პრობლემას იყენებს ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყისს ეტაპად.* *ევრისტიკული მეთოდი ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.* *შემთხვევის ანალიზის მეთოდი* გულისხმობს ლექციის ახსნის პროცესში დოქტორანტებთან ერთად კონკრეტული შემთხვევების განხილვას, თეორიული მასალის უფრო თვალსაჩინოდ და საფუძვლიანად წარმოჩენის მიზნით. *გონებრივი იერიშის მეთოდი* გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავდებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს დოქტორანტების მხრიდან პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. *დემონსტრირების მეთოდი* გულისხმობს ინფორმაციის ვიზუალურად წარმოადგენას. შედეგების მიღწევის თვალსაზრისით მიზანშწეონილია მასალის ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით დემონსტრირება, რაც ხორციელდება როგორც პროფესორი, ისე სტუდენტის მიერ. *ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.* სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სწავლების სინთეზის პროცესი გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. *ახსნა-განმარტებითი მეთოდი* ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში. *ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება* მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
	შეფასების სისტემა: მაქსიმალური ქულების რაოდენობა, რაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს, არის 100. ეს ქულები გადანაწილებული იქნება შემდეგი პროპორციით: აქტივობა - 30 ქულა; შუალედური გამოცდა - 30 ქულა; საბოლოო გამოცდა – 40 ქულა.

შეფასების კრიტერიუმები	1. აქტივობის 30 ქულა ითვალისწინებს : • სემინარი 10 ქულა **9-10 ქულა:** პასუხი სრულია. საკითხი ზუსტად, ამომწურავად და ლოგიკური თანმიმდევრობით არის გადმოცემული. ტერმინოლოგია ადეკვატურია. სტუდენტი სრულყოფილად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა. **7-8 ქულა:** პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი; ტერმინოლოგია ადეკვატურია. საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული. არსებითი შეცდომა არ არის დაშვებული. სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას. საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. **5-6 ქულა:** პასუხი არასრულია: საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია რიგ შემთხვევაში არაადეკვატურია. სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები. **3-4 ქულა:** პასუხი არასრულია. ტერმინოლოგია მცდარია. საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება რამდენიმე არსებითი ხასიათის შეცდომა. **1-2 ქულა:** პასუხი ნაკლოვანია. ტერმინოლოგია ან გამოყენებული არ არის, ან არაადეკვატურია. პასუხი არსებითად მცდარია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. **0 ქულა:** პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული. 2. არგუმენტირებული ნაშრომის პრეზენტაცია - 20 ქულა; არგუმენტირებული ნარკვევის შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: ➢ ნაშრომის შინაარსი (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა) მოწმდება: დასმული პრობლემის აქტუალობა და კვლევის მიზანი; ➢ ანალიზის სიღრმე და კვლევის ხარისხი (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა) მოწმდება: ავტორის მიერ ყველა იდეის სრულად განვითარება. საკითხის სიღრმისეულად და ამომწურავად შესწავლა. არგუმენტაციის სიზუსტე, კონკრეტულობა და კომპლექსურობა; სამეცნიერო ლიტერატურის შესაბამისობა საკვლევ თემასთან. ➢ ნაშრომის სტრუქტურა (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა) მოწმდება: არის თუ არა ნაშრომი კარგად ორგანიზებული. ➢ პრეზენტაცია (მაქსიმალური შეფასება 5 ქულა) მოწმდება: ფორმალური მხარე (ფორმატი), რომელშიც შესაძლებელია გაერთიანდეს: რეგლამენტის დაცვა, მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე და სხვ. შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათ არგუმენტირებული დასაბუთება და

სხვ.; პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი აუდიტორიასთან და სხვ.

2. შუალედური გამოცდა 0–30 ქულა

1) ტესტები (10 საკითხი) 0-10 ქულა

- პასუხი სწორია 1
- პასუხი არასწორია 0

2) საკითხი პროგრამული მასალიდან 0- 8 ქულა

- პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 7-8 ქულა
- პასუხი სწორია, მაგრამ არაამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 5- 6 ქულა
- პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 3-4 ქულა
- პასუხი ფრაგმენტულია 1-2 ქულა
- პასუხი არასწორია 0 ქულა

3) 1 ამოცანა 0- 12 ქულა

- ამოცანა სრულად და ამომწურავად არის ამოხსნილი; 10-12 ქულა
- ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, არსებითი შეცდომა არ არის; 7-9 ქულა
- ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები; 4-6 ქულა

ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება არსებობით შეცდომები; 1-3 ქულა

- ამოცანა არ არის ამოხსნილი/ არასწორად არის ამოხსნილი 0 ქულა

3. დასკვნითი გამოცდა 0–40 ქულა

1) ტესტები (20 საკითხი) 0-20 ქულა

- პასუხი სწორია 1
- პასუხი არასწორია 0

2) არგუმენტირებული ნაშრომი (კოლოქვიუმი) 0-20-ქულა

შეფასების კრიტერიუმები:

16-20 ქულა - არგუმენტირებულ ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა ნათელი და დამოუკიდებელია; ნაშრომის მთავარი

იდეები ორიგინალურია და სხვა ავტორთაგან ნასესხებს არ ჰგავს; ავტორის მიზანი ნათელია, არგუმენტაცია ზუსტი, კონკრეტული და კომპლექსური; მსჯელობა თანმიმდევრულია; ნაშრომი კარგად ორგანიზებული; დოქტორანტი მაღალ დონეზე ფლობს პრეზენტაციის ტექნოლოგიას.

11-15ქულა - არგუმენტირებულ ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა ნათელია, მაგრამ გარკვეულწილად, დამოუკიდებელი არ არის; ნაშრომის მთავარი იდეები ნაწილობრივ ორიგინალურია, ზოგჯერ სხვა ავტორთაგან ნასესხებს ჰგავს; მსჯელობა თანმიმდევრულია, თუმცა შეიძლებოდა უფრო სპეციფიური ყოფილიყო; ნაშრომი არ არის კარგად ორგანიზებული; დოქტორანტი ნაწილობრივ ფლობს პრეზენტაციის ტექნოლოგიას.

6-10 ქულა - არგუმენტირებულ ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობა არასრულია; დამოუკიდებელი არ არის; ნაშრომის მთავარი იდეები, ძირითადად, სხვა ავტორთაგან არის ნასესხები; დოქტორანტის მსჯელობა ხშირად არათანმიმდევრულია, არგუმენტაცია ხშირად მოკლებულია კონკრეტიკას; ნაშრომი არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული; დოქტორანტი ცუდად ფლობს პრეზენტაციის ტექნოლოგიას.

1-5 ქულა - არგუმენტირებულ ნაშრომში წარმოდგენილი საკითხების ირგვლივ მსჯელობა მცდარია, ნაკლოვანია, გაუგერებულია შეცდომებით. გადმოცემულია შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები.

0 ქულა - არგუმენტირებულ ნაშრომი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არ არის რეალიზებული.

შეფასების სტრუქტურა (ქულა)

ქულები	შეფასება	ნიშანი
91-100	ფრიადი	A
81-90	ძალიან კარგი	B
71-80	კარგი	G
61-70	დამაკმაყოფილებელი	D
51-60	საკმარისი	E
41-50	ვერ ჩააბარა	FX
0-40	ჩაიჭრა	F

სასწავლო კურსის შინაარსი

კვირა	განსახილველი თემა	ლექცია/სემინარი/დისკუსია	საკ.	დამ.
I	თემა#1 შესავალი ფინანსურ ეკონომიკაში	სილაბუსის გაცნობა, სტუდენტის ზოგადი დონის შემოწმება ლექცია: ფინანსური ეკონომიკა, როგორც თანამედროვე ეკონომიკის განვითარების უმაღლესი ფორმა; ფინანსური ეკონომიკის არსი და როლი თანამედროვე სამეურნეო ცხოვრებაში; თანამედროვე ფინანსების ევოლუცია; თანამედროვე ფინანსური ეკონომიკის კონცეფციური საფუძვლები და მათი რეალიზაციის მექანიზმი.	1	
		სემინარი თემაზე: ფინანაური ეკონომიკის არსი და როლი თანამედროვე ცხოვრებაში, კონცეფციები და მიდგომები	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		4
II	თემა#2 გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის განვითარების ასპექტები			
		ლექცია: გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის განვითარების დიალექტიკა; გეოფინანსები: რეალური და ვირტუალური ფინანსური ნაკადების შეფასება და მათი რეგულირების პრობლემების დახასიათება.	1	
		სემინარი თემაზე: გლობალიზაციისა და ფინანსური ეკონომიკის განვითარების ასპექტები	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		5
III	თემა #3 ფინანსური ეკონომიკა და ფინანსების მართვის პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში			
		ლექცია: ფინანსური ეკონომიკა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შეფასება; ფინანსების მართვის პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე ტრანსფორმაციის პროცესში; ფინანსების მართვის ელემენტები და საფინანსო პოლიტიკა.	1	
		სემინარი თემაზე: ფინანსური ეკონომიკა და საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შეფასება	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		4
IV	თემა#4 გლობალიზაცია და განვითარებადი ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემები			
		ლექცია: ფულის თეორიები და ფულადი რთიერთობების ევოლუცია თანამედროვე ეკონომიკაში; გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკის პრობლემები მსოფლიო ფინანსური კრიზისის ფონზე; ეკონომიკის მობილიზაციის პრობლემები და ქვეყნის ანტიინფლაციური პოლიტიკა.	1	
		სემინარი თემაზე: ეკონომიკის მობილიზაციის პრობლემები და ქვეყნის ანტიინფლაციური პოლიტიკა.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება	-	5

		ძირითადი ლიტერატურა: 1-4		
V	თემა #5 ფინანსური სისტემის მდგრადობისა და რისკების მართვის სტრატეგია			
		ლექცია: ფინანსური სისტემის მდგრადობის ინდექსების დახასიათება; რისკების მართვის სტრატეგია; რისკის და მენეჯმენტის ალტერნატივები კაპიტალდაბანდებების სფეროში.	1	
		სემინარი თემაზე: ფინანსური სისტემის მდგრადობისა და რისკების მართვის სტრატეგია	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		4
VI	თემა #6 ფინანსური ეკონომიკა, როგორც შრომაზე ფულის ძალაუფლების გაძლიერების ეტაპი			
		ლექცია: შრომა, როგორც ფულის მოპოვების ფორმა; საერთაშორისო ფინანსური ოლიგარქიის ფუნქციონირების თანამედროვე მეთოდები; დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ფინანსური სისტემა.	1	
		სემინარი თემაზე: დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ფინანსური სისტემა.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		4
VII	თემა #7 საკუთრებითი ურთიერთობები ს თავისებურებან ი ფინანსურ ეკონომიკაში			
		ლექცია: საკუთრებითი ურთიერთობების არსი და თავისებურებების გარდამავალ ეკონომიკაში; საკუთრებითი ურთიერთობების თავისებურებები ფინანსურ ეკონომიკაში; მესაკუთრეთა (აქციონერთა) საზოგადოების მართვის პრინციპები და სისტემის ელემენტები.	1	
		სემინარი თმაზე: საკუთრებითი ურთიერთობების თავისებურებანი ფინანსურ ეკონომიკაში	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		5
VIII	შუალედური გამოცდისთვის მზადება			10
	შუალედური გამოცდა		2	
IX	თემა № 8 კაპიტალის ღირებულება და ფინანსური ეკონომიკა	ლექცია: ფინანსური კაპიტალის როლი და ადგილი თანამედროვე ეკონომიკაში; მოთხოვნილი მოგება და კაპიტალის ღირებულება; კაპიტალის სტრუქტურა და დივიდენდური პოლიტიკა	1	
		სემინარი თემაზე: კაპიტალის ღირებულება და ფინანსური ეკონომიკა	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		4
X	თემა #9 საინვესტიციო პროცესი ფინანსური ეკონომიკის პროცესში	ლექცია: ინვესტირება კაპიტალურ აქტივებში; კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირების მეთოდები; კაპიტალდაბანდების ბიუჯეტირება და ფულადი ნაკადების შეფასება.	1	
		სემინარი თემაზე: საინვესტიციო პროცესი ფინანსური ეკონომიკის პროცესში	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება	-	4

		ძირითადი ლიტერატურა: 1-4		
XI	თემა #10 ფინანსური მენეჯმენტის მისადაგება საქართველოს ფინანსური ეკონომიკის სისტემასთან			
		ლექცია: ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები და ორგანიზაცია საქართველოში; ფინანსური ანალიზის მახასიათებლები; დაგეგმვისა და კონტროლის ინსტრუმენტები ფინანსური ეკონომიკის პირობებში.	1	
		სემინარი თემაზე: დაგეგმვისა და კონტროლის ინსტრუმენტები ფინანსური ეკონომიკის პირობებში.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		4
XII	თემა № 11 თანამედროვე კორპორაციის (ფირმის) ფინანსური მენეჯმენტი	ლექცია: ფინანსური მენეჯმენტის არსი და ამოცანები ფინანსური ეკონომიკის სისტემაში; კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი ტრანსფორმაციულ ეკონომიკაში; ფინანსური მენეჯმენტის ფუნქციონირების ორგანიზება და მექანიზმების დახასიათება;	1	
		სემინარი თემაზე: თანამედროვე კორპორაციის (ფირმის) ფინანსური მენეჯმენტი	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		5
XIII	თემა#12 კორპორაციის საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტი	ლექცია: საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტის მომოხილვა; მიმდინარე აქტივების (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) დაფინანსება; ნაღდი ფულის და ლიკვიდური ფასიანი ქაღალდების მართვა; დებიტორული დავალიანების მართვა და მოკლევადიანი დაფინანსება.	1	
		სემინარი თემაზე: კორპორაციის საბრუნავი კაპიტალის მენეჯმენტი	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1-4		5
XIV	თემა#13 კორპორაციის აქტივების დაფინანსების მართვა	ლექცია: გრძელვადიანი და სამუალოვადიანი ფინანსირება; კორპორაციული ფასიანი ქაღალდების ბაზარი და ტრადიციული ანდერრაიტინგი; გრძელვადიანი სასესხო ინსტრუმენტები; ვადიანი სესხები და ლიზინგები;	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება		4
		სემინარი თემაზე: კორპორაციის აქტივების დაფინანსების მართვა	1	
XV	თემა#14 ფინანსური ეკონომიკის მენეჯმენტის განსაკუთრებული ფორმები	ლექცია: ფინანსური მენეჯმენტი მესამე ათასწლეულში; კონვერტირებადი ფასიანი ქაღალდები, გაცვლადი ობლიგაციები და ვარანტები, ფინანსური ინჟინერინგის პროცესში; ორგანიზაციების ანტიკრიზისული ფინანსური მართვა, შერწყმა და კორპორაციული რესტრუქტურიზაციის ფორმები. ძირითადი ლიტერატურა: 1-4	1	
		პრეზენტაცია	1	10

		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება		4
XVI	თემა#15 საერთაშორისო ფინანსური მენეჯმენტი	ლექცია: სავალუტო ურთიერთობების როლი კორპორაციის საერთაშორისო კავშირების განვითარებაში; ვალუტის კურსი და სავალუტო სისტემის მენეჯმენტის ინსტრუმენტები; საერთაშორისო საფინანსო ტრანზაქციების სტრუქტურა.	1	
		პრეზენტაცია	1	10
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება		4
	ფინალური გამოცდისთვის მომზადება			20
XVII -XIX	ფინალური გამოცდა		3	
XX-XIX	დამატებითი გამოცდა			
საათების რაოდენობა, სულ - 150, მათ შორის:			35	115

სილაბუსის ავტორი *პროფესორი ზ. ლიპარტია*
პროგრამის ხელმძღვანელი *პროფესორი დ. ჯალაღონია*
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დ. ჯალაღონია

დანართი №5
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2012 წელი

ს ი ლ ა ბ უ ს ი

სასწავლო კურსის დასახელება	ფინანსების სტრატეგიული მართვა
სასწავლო კურსის კოდი	BUSS M206
სასწავლო კურსის სტატუსი	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. მეორე სემესტრი. სავალდებულო.
ECTS-სასწავლო კურსის კრედიტები	6 ECTS.; ანუ 150 50 საკონტაქტო, მათ შორის: ➢ ლექცია - 30 საათი; ➢ პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა- 15 საათი; ➢ შუალედური შეფასება - 2 საათი; ➢ ფინალური შეფასება - 3 საათი. 100 დამოუკიდებელი მუშაობისათვის, მათ შორის: ➢ ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება 30 საათი; ➢ სამინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება - 30 საათი; ➢ შუალედური შეფასებისათვის მომზადება - 15 საათი; ➢ ფინალური გამოცდისათვის მომზადება - 25 საათი.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია/პრაქტიკული : 2+1
ლექტორი	ლიპარტია ზ. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი. ტელ: 599 18 45 21 კონსულტაციების დღეები: ორშაბათი, ხუთშაბათი 13. 16.00
სასწავლო კურსის მიზანი	ფინანსების სტრატეგიული მართვის კურსის მიზანია: სამეწარმეო-ეკონომიკური სუბიექტის ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითადი პრინციპებისა და მექანიზმების შესწავლა; ბიზნეს საქმიანობის პროცესების სტრატეგიული მართვის ძირითადი ელემენტების-სტრატეგიული ანალიზის, არჩევანისა და განხორციელების მოთოლოდოგიურ-პრაქტიკული ინსტრუმენტების გაცნობიერება; სტრატეგიული განვითარების დაგეგმვა-პროგნოზირება; ფინანსური მართვისა და კონტროლის ინსტრუმენტების გამოყენების უნარის გამომუშავება ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსების ეფექტიანი მმართველობის უზრუნველსაყოფად.
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	წინაპირობის გარეშე.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხილეთ დანართი 1
სავალდებულო ლიტერატურა	1. ლიპარტია ზ., გელაშვილი მ., ჯღარკავა მ., ბერიშვილი ხ., „კორპორაციული ფინანსები": თეორია, პრაქტიკა, სტრატეგიები, სახელმძღვანელო 2 ტომად. ტ. 2: „კორპორაციული ფინანსების მართვის სტრატეგიები", თბ., „უნივერსალი", 2013. – 555 გვ. 2. ჯეიმს ს. ვან ჰორნი, ჯონ მ. ვაჰოვიჩი; ,,ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები", 12 გამოც., გამომცემლობა, ,,საქართველოს მაცნე", 2008.

	3. ცაავა გ. ბიწაძე. ლიპარტია ზ, „ფინანსური მენეჯმენტი" ,სახელმძღვანელო, სოხუმის უნივერსიტეტი, გამომც. „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია, თბ. 2006. 4. ფინანსების სტრატეგიული მართვა (საერთაშორისო პრაქტიკა) ACCA სახელმძღვანელო, პროფესიული სერთიფიცირება, , წიგნი 3.7. საქართ. ბაფ–ი, თბ. 2003.
დამატებითი ლიტერატურა	1. ლიპარტია ზ. კორპორაციული ფინანსების მართვა გამომცემლობა „უნივერსალი"თბილისი, 2009წ. 2. კაკულია ე. „ფინანსები და საინვესტიციო პოლიტიკა", სახელმძღვანელო. გამომც. „უნივერსალი" 2010. 3. ინგოროყვა ა., ცაავა გ., „ფინანსური მენეჯმენტი" ორ ტომად„ ტ. 2: „საწარმოს ფინანსების მართვა", თბ. „გრაააალი". 2011. –702 გვ. 4. ლიპარტია ზ.შ. სტრატეგიული დაგეგმვა. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერს. სოხუმის ფილიალი (რუსულ ენაზე) თბ. უნივერსიტეტის გამომც, თბ; 1998. 5. ბარათაშვილი ე., საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები, გამომც. „უნივერსალი", 2012. –205 გვ. 6. Richard A. Brealey, Stewart C. Mayers Principles of corporate finance Mcgraw-Hill College; 5 Sub edition (July 1996) 7.Mr Denzil Watson, Antony Head Corporate Finance: Principles and Practice Financial Times/ Prentice Hall; 3 edition (4 Dec 2003) ! 8. Корпоративные финансы: Учебник для вузов/Под ред. М.В.Романовского, А.И. Вострокнутовой. СПБ.:Питер, 2011. -592. 9. Просветов Г.И. Бизнес-планирование: Задачи и решения, М.: Издат. „АЛЬФА-Пресс," 2008. –256 с.
სწავლის შედეგები	სწავლების შედეგები ფინანსების სტრატეგიული მართვის კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს განუვითარდა ზოგადი და *დარგობრივი კომპეტენციები.* • დარგის ცოდნა და გაცნობიერება კურსის შესწავლით სტუდენტმა შეიძინა კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტის პროცესთან დაკავშირებული საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა. ასევე, ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპების, სტრატეგიული ანალიზისა და განვითარების პრიორიტეტების ფორმირებისათვის აუცილებელი რაოდენობრივი და მათემატიკური მეთოდების გაცნობიერება. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი ფინანსების სტრატეგიული მართვის შესწავლით მიღებული ცოდნით და გამომუშავებული უნარით სტუდენტს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ გარემოში სტრატეგიული ანალიზის წარმოება, ინვესტიციების კაპიტალური ბიუჯეტირება და შეფასება, განსაზღვრავს კორპორაციის რაციონალურ სტრუქტურას, ადგენს კორპორაციის დივენდურ პოლიტიკას, ახდენს ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციას, გამოიყენებს მათ განვითარების სტრატეგიულ ამოცანათა დამოუკიდებლად დაგეგმვ-პროგნოზირებისათვის, უზრუნველყოფს ფინანსური სტრატეგიის განხორციელების

	მონიტორინგს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. *ზოგადი კომპეტენციები* დასკვნის უნარი სამეწარმეო-ეკონომიკური სუბიექტის ფინანსების სტრატეგიული მართვის ძირითადი პრინციპებისა და მექანიზმების შესწავლით და გამომუშავებული უნარით სტუდენტი დამოუკიდებლად ახდენს განკუთვნილი მონაცემების და სიტუაციების კრიტიკულ ანალიზს სამეცნიერო კვლევისა და ბიზნესის განვითარებისათვის შესაბამისი მექანიზმების, ინსტრუმენტების გამოყენებით. ამასთან ერთად, გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო პრინციპების დასაბუთებასა და დაცვას. კომუნიკაციის უნარი ფინანსების სტრატეგიული მართვის კურსის სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნით სტუდენტს შეუძლია საკუთარი დასკვნებისა და არგუმენტების საფუძველზე შევიდეს დისკუსიაში და მონაწილეობა მიიღოს აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კამათში ქართულ და უცხოურ ენებზე, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და უკავშირდება ადგენს საქმიან დოკუმენტს ფინანსური ტერმინოლოგიის გამოყენებით, საგნით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე აკეთებს შესაბამის დასკვნას, იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. სწავლის უნარი ფინანსური მართვისა და კონტროლის ინსტრუმენტების შესწავლით სტუდენტს გამომუშავებული აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღებისა და ფინანსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფის უნარი, შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება, შეუძლია დამოუკიდებლად, მისთვის ხელმისაწვდომი ლიტერატურის გამოყენებით აიმაღლოს ცოდნა. ღირებულებები კურსის შესწავლით სტუდენტს შეუძლია ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა, აქვს გამომუშავებული მორალური ნორმები და სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც აუცილებელია, კერძოდ ბიზნესის, და ზოგადად, საზოგადოების განვითარებისათვის.
სწავლებისა და სწავლის მეთოდები	ინტერაქტიული ლექციები; პრაქტიკული მეცადინეობა; ჯგუფური აქტივობა; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; ქეისების განხილვა-ანალიზი.
შეფასების კრიტერიუმები	შეფასების სისტემა: მაქსიმალური ქულების რაოდენობა, რაც სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს, არის 100. ეს ქულები გადანაწილებული იქნება შემდეგი პროპორციით: აქტიურობა 0-30

	ქულა; შუალედური გამოცდა 0-30 ქულა; დასკვნითი გამოცდა 0-40 ქულა. 1. აქტიურობა 0–30 ქულა • პრაქტიკული მეცადინეობა 0-30 ქულა 1) ტესტები (10 საკითხი) 0-10 ქულა - პასუხი სწორია 1 - პასუხი არასწორია 0 2) ამოცანის ამოხსნა 0-10 ქულა ამოცანა სრულად და ამომწურავად არის ამოხსნილი; 8-10 ქულა ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, არსებითი შეცდომა არ არის; 6-7 ქულა ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები; 3-5 ქულა ამოცანა შეცდომითაა განხილული, აღინიშნება არსებითი შეცდომები/უზუსტობები 1-2 ქულა; ამოცანა არ არის ამოხსნილი 0 ქულა 3) ქეისების განხილვა, ამოხსნა 0- 10 ქულა ქეისი სრულად და ამომწურავად არის განხილული/ამოხსნილი; 8-10 ქულა ქეისი ნაწილობრივ არის განხილული/ამოხსნილი, არსებითი შეცდომა არ არის 6-7 ქულა ქეისი ნაწილობრივ არის განხილული/ამოხსნილი, აღინიშნება მცირე უზუსტობები 3-5 ქულა ქეისი შეცდომითაა განხილული, აღინიშნება არსებითი შეცდომები/უზუსტობები 1-2 ქულა; ქეისი არ არის განხილული/ამოხსნილი/არასწორად არის შესრუ- ლებული 0 ქულა 2. შუალედური გამოცდა 0–30 ქულა 1) ტესტები (10 საკითხი) 0-10 ქულა - პასუხი სწორია 1 - პასუხი არასწორია 0 2) საკითხი პროგრამული მასალიდან 0- 8 ქულა - პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 7-8 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არაამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 5- 6 ქულა - პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 3-4

	ქულა - პასუხი ფრაგმენტულია 1-2 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა 3) 1 ამოცანა 0- 12 ქულა - ამოცანა სრულად და ამომწურავად არის ამოხსნილი; 10-12 ქულა - ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი. არსებითი შეცდომა არ არის; 7-9 ქულა - ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები; 4-6 ქულა ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი. აღინიშნება არსებობით შეცდომები; 1-3 ქულა - ამოცანა არ არის ამოხსნილი/ არასწორად არის ამოხსნილი 0 ქულა 3. დასკვნითი გამოცდა 0–40 ქულა 1) ტესტები (20 საკითხი) 20 ქულა - პასუხი სწორია 1 - პასუხი არასწორია 0 2) საკითხი პროგრამული მასალიდან 0-8 ქულა პასუხი ზუსტი და ამომწურავია, ტერმინოლოგია მართებულია 7-8 ქულა - პასუხი სწორია, მაგრამ არაამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დაცულია 5- 6 ქულა - პასუხი არაა ამომწურავი, ტერმინოლოგიის სიზუსტე დარღვეულია 3–4 ქულა - პასუხი ფრაგმენტულია 1-2 ქულა - პასუხი არასწორია 0 ქულა 3) 1 ამოცანა 0- 12 ქულა - ამოცანა სრულად და ამომწურავად არის ამოხსნილი; 10-12 ქულა - ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, არსებითი შეცდომა არ არის; 7-9

	ქულა - ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები; 4-6 ქულა ამოცანა ნაწილობრივ არის ამოხსნილი, აღინიშნება არსებობით შეცდომები; 1-3 ქულა - ამოცანა არ არის ამოხსნილი/ არასწორად არის ამოხსნილი 0 ქულა ცოდნის შეფასების სისტემა: დადებითი შეფასება: • (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების– 91% და მეტი; • (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; • (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%; • (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-0%; • (E) საკმარისი –მაქსიმალური შეფასების 51-60 %; უარყოფითი შეფასებები: • (Fx) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%; • (F) ჩაიჭრა -მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები; (Fx) უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტებს აქვთ უფლება ხელახლა გავიდნენ საბოლოო დასკვნით გამოცდაზე. (F) უარყოფითსი შეფასების მქონე სტუდენტები ვალდებულნი არიან სასწავლო კურსი ხელახლა გაიარონ. ყველა უარყოფითად შეფასებული სტუდენტი იყოფა ორ ჯგუფად. სტუდენტი, რომელსაც გამოცდის ჩასაბარებლად დამატებით ესაჭიროება მუშაობა და არსებობს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ სტუდენტი დამატებითი გამოცდისათვის დადგენილ ვადაში დამოუკიდებლად შეძლებს ხარვეზების გამოსწორებას, და დააგროვებს ქულებს 41-დან 50-ის ჩათვლით, შეფასდება Fx-ით. სტუდენტი, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ვადაში სავარაუდოდ ვერ შეძლებს გამოცდის ჩაბარებას, ესაჭიროება მნიშვნელოვანი სამუშაოს ჩატარება და დააგროვებს 41 ქულაზე ნაკლებს, შეფასდება F-ით. სტუდენტს, რომელიც მიიღებს შეფასებას Fx ან არ გამოცხადდება საბოლოო გამოცდაზე, დაენიშნება საბოლოო გამოცდის ჩაბარების დამატებითი ვადა, თუმცა არაუადრეს ძირითადი გამოცდის ჩაბარებიდან 10 კალენდარული დღისა. განმეორებითი საბოლოო გამოცდა შეიძლება დაინიშნოს ერთხელ და ამ გამოცდის შედეგების გათვალისწინებით შეფასება Fx არ იწერება. სტუდენტისათვის, რომელიც მიიღებს შეფასებას F, სავალდებულოა სასწავლო კურსის თავიდან გავლა.

სასწავლო კურსის შინაარსი:

კვირა№	განსახილველი თემა	ლექცია–პრაქტიკული	საკონტაქტო	დამოუკიდებელი
1	შესავალი ფინანსურ–სტრატეგიულ მართვაში	სილაბუსის გაცნობა, სტუდენტის ზოგადი დონის შემოწმება ლექცია: ფინანსური მენეჯმენტის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების განვითარება და ამონაცები. სტრატეგიული მართვის შესავალი. სტრატეგიის სხვადასხვა დონეები და სტრატეგიული პროცესი. ფინანსური სტრატეგიის არსი და მნიშვნელობა ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა: სტრატეგიული მართვის შესავალი	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა: 1)გვ. 16-28; 2) გვ. 1-13; 3). გვ. 19-33; 4). გვ. 13-26 სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4.)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
2	მიკროეკონომიკური–კორპორაციული საქმიანობის ანალიზის საფუძვლები	ლექცია: ეკონომიკური ანალიზის რილო და მნიშვნელობა ფინანსურ მართვამი; ანალიზის ეტაპები, ფაქტორები და კვლევის მეთოდები	2	
		პრაქტიკული მეცადიენობა/ჯგუფური აქტივობა: კორპორაციის ეკონომიკური ანალიზის თეორიულ–მეთოდოლოგიური საფუძვლების განხილვა.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა 1).52-75 გვ. 3). გვ. 591-620. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
3	მიკროეკონომიკური ანალიზის მეთოდების სისტემა	ლექცია: ანალიზის სისტემურობა და პროცედურების გამოყენება ფინანსური მართვის პროცესში; თანამედროვე ეკონომიკური ანალიზის მეთოდების სისტემა.	2	
		პრაქტიკული მეცადიენობა/ჯგუფური აქტივობა: კორპორაციის (საწარმოს) მმართველობითი ანალიზის მეთოდიკა	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება. ძირითადი ლიტერატურა; 1). გვ.80-102 3). გვ. 275-286. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2

4	სტრატეგიული ანალიზის კონცეფციები და კონკურენტული უპირატესობის შეფასება.	ლექცია: სტრატეგიული ანალიზის მეთოდების ადაპტირება კოპორაციის დაგეგმვის სისტემაში; კონკურენციის ანალიზის მეთოდები და დარგში სიტუაციის შეფასება; რესურსული პოტენციალისა და კონკურენციული უპირატესობის შეფასება.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: სტრატეგიული ანალიზში ფინანსური კონცეფციების გამოყენებისა და კონკურენტული უპირატესობის შეფასება.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება. ბირითადი ლიტერატურა -1).გვ.105-130. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
5	სტრატეგიული დაგეგმვა კორპორაციის განვითარების მართვის სისტემაში	ლექცია: სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპები, ელემენტები და მეთოდები; ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმვის ამოცანები და პროცესი; დარგის განვითარების პროგნოზირების თავისებურებანი; სტრატეგიული დაგეგმვა კორპორაციის მდგრადი ფუნქციონირების მექანიზმში.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: ფინანსების სტრატეგიული დაგეგმვის ინსტრუმენტი–ბიზნეს გეგმა მართვის სისტემაში.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ბირითადი ლიტერატურა 1). გვ. 135-161. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
6	სტრატეგიული არჩევანი და ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა	ლექცია: დივერსიფიცირებული კომპანიის სტრატეგიის შემუშავება; ფინანსური განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები; ფინანსური სტრატეგიის შემუშავების პრინციპები და შეფასების პარამეტრები; ფინანსური სტრატეგიის რეალიზაციის მართვა.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: სტრატეგიული ფინანსური დაგეგმვა–პროგნოზირება და მართვა.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ბირითადი ლიტერატურა 1). გვ. 165-205. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
7	საგადასახადო ურთიერთობები ს არსი და საქართველოს საგადასახადო სისტემა	ლექცია: საგადასახადო ურთიერთობების არსი; საქართველოს საგადასახადო სისტემის ბირითადი მაჩვენებლები; საგადასახადო საქმის საზღვარგარეთული გამოცდილება;	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: საქართველოს საგადასახადო კოდექსის განხილვა;	1	

		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა - 1).210-225. გვ. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
8	შუალედური გამოცდა	შუალედური გამოცდა მომზადება:		15
		შუალედური გამოცდა (წერითი ფორმით)	2	
9	საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები	ლექცია: საერთაშორისო კორპორაციული საგადასახადო სისიტემის მახასიათებლები; საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის პრობლემების გამოვლენა; საბიუჯეტო–საგადასახადო მექანიზმი რეგიონული განვითარების სისტემაში.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: საქართველოს საგადასახადო სისტემის ძირითადი პრობლემების გამოვლენა.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა 1) . გვ. 226-242. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
10	კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა და ფინანსური კონტროლინგი	ლექცია: კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა; ფინანსური კონტროლინგის სისტემის ძირითადი მახასიათებლები;	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: ფინანსური კონტროლინგის სისიტემის განიხლვა.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა 1). გვ. 243-260. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი(1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
11	ფინანსური ინჟინირინგის პროცესების მართვა	ლექცია: თანამედროვე ბიზნესპროცესების რეინჟინირიგი და მისი სრულყოფის მიმართულებები; ფინანსური ინჯინირინგის ინსტრუმენტები, პროდუქტები, სტრატეგიები; საპროცენტო და სავალუტო რისკის მართვის ჰეჯირება.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: სერვისული ორგანიზაციების პროდუქტების გამოყენება რეინჟინირინგის პროცესების მართვაში.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა - 1). გვ. 265-281. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2

12	ბიზნესის ღირებულების შეფასება და ბაზრის ეფექტიანობის კონცეფციური ასპექტები	ლექცია: ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასების თანამედროვე მდგომარეობა და მისი სრულყოფის მიმართულებები; ღირებულების შეფასების მეთოდები მართვის მექანიზმში; ბაზრის ეფექტიანობის დახასიათება;	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: ღირებულების შეფასებისა და ბაზრის ეფექტიანობის ასპექტები.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა 1) გვ. 285-305. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
13	კორპორაციები ს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური ასპექტები	ლექცია: სავალუტო ბაზრების როლი კორპორაციის საერთაშორისო კავშირების (საგარეო ვაჭრობის) განვითარების სტიმულირებაში; საგარეო ვაჭრობა როგორც საბაჟო–საგადასახადო ურთიერთობათა ფორმირების საფუძველი; საქართველოს საბაჟო–სატარიფო სისტემის ფორმირების თავისებურებანი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში.	2	
		პრაქტიკული მეცადინეობა/ჯგუფური აქტივობა: სავალუტო პოლიტიკისა და საბაჟო ტარიფების გავლენა მომხმარებლებზე და მწარმოებლებზე	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა [1] გვ. 310-340. სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
14	კორპორაციის ფინანსური რისკების მინიმიზაციის სტრატეგიები	ლექცია: კორპორაციის მმართველობითი გადაწყვეტილებების ფორმირება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში; ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმები; ფიმნანსური რისკის მინიმიზაციის პრიორიტეტული მიმართულებები; საქართველოს ეკონომიკაში ინფლაციის პირობებში საინვესტიციო პროცესების მართვა.	2	
		პრაქტიკული მეცადინება/ჯგუფური აქტივობა: ფინანსური რისკის მინიმიზაციის პრიორიტეტული მიმარტულებები კომერციული ბაკების რისკების მართვის მექანიზმში.	1	
		ინფორმაციის მოძიება და მასალის დამუშავება ძირითადი ლიტერატურა [1] გვ. 350–399 სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2

15	კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი	ლექცია: კორპორაციის ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა; ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი; ფინანსური სანაციის პროცესში კორპორაციის დავალიანების რესტრუქტურიზაციის მართვა.	2	
		პრაქტიკული მეცადინება/ჯგუფური აქტივობა: კორპორაციის რეორგანიზაციის ფინანსური ასპექტები და გაკოტრების პროცედურების ფინანსური უზრუნველყოფა.	1	
		ძირითადი ლიტერატურა [1] გვ. 407-450 სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		საშინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
16	საქართველოში ბიზნესსექტორების ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სტრატეგიები	ლექცია: საქართველოში ფინანსური ბაზრების განვითარების ძირითადი მიმართულებები; ბიზნესის მდგრადი განვითარების მართვა.	2	
		პრაქტიკული მეცადინება/ჯგუფური აქტივობა: საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები.	1	
		ძირითადი ლიტერატურა [1] გვ. 407-450 სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი (1-4)		2
		სამინაო დავალება/პრეზენტაციის მომზადება		2
17-18	დასკვნითი გამოცდისათვის მომზადება			15
	დასკვნითი გამოცდა		3	
20-21	დამატებითი გამოცდა			
	საათების რაოდენობა, სულ - 150, მათ შორის:		50	100

სილაბუსის ავტორი: *სრული პროფესორი ზ. ლიპარტია*

პროგრამის ხელმძღვანელი: *სრული პროფესორი დ. ჯალაღონია*

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი: *სრული პროფესორი დ. ჯალაღონია*

სარჩევი:

სამეცნიერო რედაქტორებისაგან 7
რეცენზის მაგიერ 9
წინათქმა 11
შესავალი 12

ნაწილი პირველი. თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის თეორიულ-კონცეფციური და მეთოდოლოგიური მიდგომები

თავი 1. თანამედროვე მენეჯმენტის მეცნიერული პრინციპების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები 21
1.1. მმართველობითი აზროვნების ევოლუციისა და მენეჯმენტის ძირითადი თეორიების მახასიათებლები 21
1.2. მენეჯმენტის ფილოსოფია და ეკონომიკური სუბიექტის მართვის საფუძვლები 25
1.3. სამეცნიერო სტატია: „დროის მენეჯმენტის ძირითადი საკითხები“ (ინგლისურ ენაზე: „Main Principles of Time-Management“) 32
თავი 2. გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე განვითარებადი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები 35
2.1. რეგიონული კონკურენტუნარიანობის ფორმირების ასპექტები ეკონომიკური გლობალიზაციის კონტექსტში 35
2.2. რეგიონის კონკურენტუნარიანობის შეფასების ინდექსები ეკონომიკურ უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის კონტექსტში 42
2.3. სამეცნიერო სტატია: პროფ. ზურაბ ლიპარტია; პროფ. როლანდ სარჩიმელია „საქართველოს რეგიონებში ფუნქციონირებადი ფირმების პატრიოტული საფუძვლებით წარმართული კონკურენცია და მისი ინერცია“ 44
თავი 3. ფინანსური მენეჯმენტის სისტემის ადგილი და როლი ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის რეალიზაციის მართვაში 51
3.1. ფინანსური მენეჯმენტის თეორიულ-კონცეფციური და მეთოდოლოგიური ასპექტები 51
3.2. ფინანსების არსი, ფუნქციები და ფინანსური პოლიტიკა 56
პირველი ნაწილის რეზიუმე 61

ნაწილი მეორე. სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა და ტერიტორიულ-რესურსული პოტენციალის ადმინისტრირება საქართველოში

თავი 4. სახელმწიფო ფინანსურ-ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ეროვნული ეკონომიკის რეგულირების მექანიზმი 63
4.1. სახელმწიფო (საჯარო) საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა 63
4.2. საქართველოს რეგიონების განვითარების მაჩვენებელთა სისტემის დახასიათება 68
თავი 5. ფინანსური ინსტიტუტების განვითარების პრობლემები საქართველოში 73
5.1. თანამედროვე ფინანსური ბაზრის სტრუქტურისა და განთავსების ორგანიზაცია საქართველოში 73
5.2. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემები საქართველოში 84
თავი 6. ქვეყნის ტერიტორიულ-რესურსული პოტენციალის შეფასებისა და რეგიონული პოლიტიკის ფორმირების ასპექტები 94
6.1. საქართველოს ტერიტორიულ-რესურსული პოტენციალის ფაქტორული ანალიზი 94
6.2. საქართველოს ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების მართვა 100
6.3. საქართველოში რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების მოდელირება 104
თავი 7. საინვესტიციო პროცესის ფინანსური მენეჯმენტის თავისებურებანი ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში 109

7.1. საინვესტიციო საქმიანობის მართვის თანამედროვე კონცეფციები 109
7.2. საინოვაციო მენეჯმენტის მოდელირება 115
7.3. საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მიღების მექანიზმები 118
თავი 8. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ფინანსური მექანიზმი 125
8.1. საქართველოში ბიზნესის (კომპანიების) მდგრადი განვითარების სტრატეგიები 125
8.2. საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პოლიტიკის ფინანსური მექანიზმი 128
თავი 9. საქართველოს სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული ასპექტები 135
9.1. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარემო და ორგანიზაცია 135
9.2. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის თანამედროვე მდგომარეობა განვითარებულ ქვეყნებში 143
9.3. სახელმწიფო ფინანსური კონტროლის განვითარება საქართველოში 147
მეორე ნაწილის რეზიუმე 157

ნაწილი მესამე. თანამედროვე მიკროეკონომიკური (კორპორაციული) ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები

თავი 10. მეწარმეობრივი საქმიანობის ფინანსური მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები და მეთოდოლოგიური საფუძვლები 159
10.1. კორპორაციული ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული სისტემა 159
10.2. კორპორაციული ფინანსების მართვის ორგანიზაციული საფუძვლები 164
10.3. საწარმოს (კორპორაციული) ფინანსური მენეჯმენტის ინფორმაციული წყაროების (ანგარიშგების) ფორმირების ასპექტები 171
თავი 11. თანამედროვე ფინანსური მენჯმენტის სტრატეგიული ანალიზის მეთოდების სისტემა 178
11.1. მიკროეკონომიკური ანალიზის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლები 178
11.2. რესურსული პოტენციალის ანალიზი და კონკურენციული უპირატესობის შეფასება 187
11.3 ფინანსური ანალიზის კოეფიციენტების გამოყენება კორპორაციის ფინანსური მდგომარეობის შეფასებაში 199
თავი 12. სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროგნოზირების თავისებურებანი კორპორაციული მენეჯმენტის სისტემაში 204
12.1. კორპორაციის ფინანსური სტრატეგიის შემუშავების პრინციპები და შეფასების პარამეტრები 204
12.2. სტრატეგიული დაგეგმვა კორპორაციის მართვის სისტემაში 211
12.3. დივერსიფიცირებული კომპანიის კორპორაციული სტრატეგიის შემუშავება 219
12.4. კორპორაციის სტრატეგიული ფინანსური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები 221
თავი 13. საგადასახადო სისტემის სრულყოფის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე საქართველოში 223
13.1. კორპორაციის საგადასახადო დაგეგმვა ფინანსური სტრატეგიული დაგეგმვის ჭრილში 223
13.2. საქართველოს საგადასახდო სისტემა 228
13.3. საზღვარგარეთის საგადასახადო სისტემის ძირითადი თავისებურებები 230
13.4. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის ძირითადი პრობლემის გამოვლენა 235
თავი 14. კორპორაციული ფინანსური მართვის პროცესებში შიდა აუდიტის გამოყენების ასპექტები 239
თავი 15. ბიზნესის (კომპანიის) ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება ფინანსური მენეჯმენტის მექანიზმში 247
15.1. ბიზნესის ღირებულების შეფასების პრინციპები და მეთოდები 247
15.2. ღირებულების შეფასების მეთოდების გამოყენება კორპორაციულ მენეჯმენტში 257

თავი16. კორპორაციების საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ფინანსური ასპექტები 264
16.1. სავალუტო ბაზრების როლი კორპორაციის საერთაშორისო კავშირების განვითარების სტიმულირებაში 264
16.2 სავალუტო რისკის ტიპები და მართვა 271
16.3. საგარეო ვაჭრობა, როგორც საბაჟო-საგადასახადო ურთიერთობათა ფორმირების საფუძველი 273
თავი17. კორპორაციული ფინანსური რისკების მენეჯმენტის თავისებურებანი და მისი მინიმიზაციის გზები საქართველოში 280
17.1. კორპორაციის მმართველობითი გადაწყვეტილების ფორმირება რისკისა და განუსაზღვრელობის პირობებში 280
17.2. ფინანსური რისკების ნეიტრალიზაციის შიდა მექანიზმები 284
17.3. კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი: 290
17.3.1 კორპორაციის (საწარმოს) ფინანსური კრიზისის დიაგნოსტიკა 290
17.3.2 კორპორაციის ფინანსური სტაბილიზაციის სტრატეგიული მექანიზმი 298
მესამე ნაწილის რეზიუმე 305

ნაწილი მეოთხე. საქართველოში საბანკო ბიზნესის მენეჯმენტის სრულყოფის ფინანსური მექანიზმი
თავი18. თანამედროვე საბანკო-საკრედიტო სისტემის ფინანსური მენეჯმენტის მახასიათებლები საქართველოში 309
18.1 საბანკოს სისტემის ნარმოშობის და განვითარების მიმოხილვა 309
18.2. კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტი 315
18.3 სამეცნიერო სტატია: ლიპარტია ზ.; ბასილაია კ. – „კომერციული ბანკის ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის შეფასების ასპექტები". 318
თავი 19. საბანკო ბიზნესპროცესების რეინჟინერინგის კონცეფცია და ბანკის სტრატეგიული მენეჯმენტი 323
19.1. თანამედროვე საბანკო ბიზნესპროცესების რეინჟინირინგი 323
19.2 ინოვაციებისა და ცვლილებების მენეჯმენტი საბანკო-საფინანსო ბიზნესში 328
თავი 20. მმართველობითი აუდიტი საბანკო ბიზნესის კონტროლის სისტემაში 333
თავი 21. საბანკო ბიზნესის ფინანსური რისკების მართვის მექანიზმის პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოში 344
21.1. საბანკო-საკრედიტო ფინანსური რისკების მართვის სისტემა 344
21.2. საპროცენტო რისკის მართვის (ჰეჯირების) მეთოდები 352
მეოთხე ნაწილის რეზიუმე 358

ნაწილი მეხუთე.
მოკლე ეკონომიკურ-ფინანსური ენციკლოპედიური ლექსიკონი 360
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 420
რეზიუმე რუსულ ენაზე 427

ბიბლიოგრაფია, Bibliography, Библиография: 436
ა) ტექსტში გამოყენების რიგითობის მიხედვით 436
ბ) ანბანური თანმიმდევრობით გამოყენებული და საორიენტაციო ლიტერატურა 438
ავტორის ბიოგრაფიული მოკლე ცნობარი (ზურაბ ლიპარტია – 70 წლისაა) 443

დანართები:
დანართი 1.სტრატეგიული ბიზნეს-გეგმის ნიმუში 448
დანართი 2. ლიტერატურული ნარკვევი: ბიზნეს- კარიერის ფორმირებაზე დიდი ქველმოქმედი ენდრიუ კარნეგის მიღწევების მაგალითზე. 451
დანართი 3. სილაბუსი 456

SHORT CONTENT:

Introduction 12

Part one. Theoretical-Conceptual and Methodological Approaches of the Modern Financial Management 21

Chapter 1. Socio-economic aspects of scientific principles of the modern management 21

Chapter 2. The Globalization and Socio-Economic Problems of Regional Development of the Developing Country 35

Chapter 3. Place and Role of Financial Management System in Management of Financial Policy Realization 44

Part Two. Administration of State (Public) Budget and Taxation in Georgia 63

Chapter 4. State Budget-Taxation System, as the National Economy Regulatory Mechanism 63

Chapter 5. Problems of Development of Financial Institutions in Georgia 73

Chapter 6. Assessment of the Territorial-Resource Potential of the Country and Formation of Regional Policy 84

Chapter 7. Financial Management of the Investment Process in the Process of EU Integration 109

Chapter 8. Financing Mechanism of Development Small and Medium Business in Georgia 125

Chapter 9. Methodological-practical aspects of state financial control of Georgia 135

Part three. Fundamentals of Financial Management of Modern Microeconomic Entrepreneurial (Corporate) Activities 159

Chapter 10. Basic Principles and Methodological Foundations of Corporate Management of Corporate (Entrepreneurial) Activities 159

Chapter 11. System of Modern Strategic Financial Management Analysis Methods 178

Chapter 12. Peculiarities of strategic planning and development forecasting in the corporate management system 204

Chapter 13. The Characteristics of Corporate Tax Planning Modern At the modern stage of Georgia 223

Chapter 14. Internal Audit of Corporate Financial Controlling Institute 239

Chapter 15. Methods for Assessment of the Value of the Business (Company) use of Financial Management Mechanism 247

Chapter 16. Financials Aspects of Corporations External Economic Activities 264

Chapter 17. Corporate Financial Risk Management Peculiarities and ways to minimize it in Georgia 280

Part fourth. Financial mechanism of Banking Business Management Improvement in Georgia 309

Chapter 18. Characteristics of Financial banking modern credit system in Georgia 309

Chapter 19. The concept of Banking Business Recycling (PPR) and the Bank's Strategic Management 323

Chapter 20. Aspects the Improvement of Management Audit of Banking Business Financial Safety Mechanism 333

Chapter 21. Priority Directions of Banking Business Financial Risk Management Mechanism's in Georgia 344

Part five. Economic – Financial Short Dictionary 360

Summary (in English and Russian) 360

Bibliography 436

Autobiographical Reference 443

Attachments 448

КРАТКОЕ СОДЕРЖАНИЕ:

Предисловие научных редакторов 7
Предисловие рецензентов 9
Введение (посвящается, предисловие) 12
Часть первая.Теоретически-концептуальные и методологические подходы современного финансового менеджмента 21
Глава 1. Социально-экономические аспекты научных принципов современного менеджмента ...21
Глава 2. Глобализация и социально-экономические проблемы регионального развития развивающейся страны 35
Глава 3. Место и роль системы финансового управления в реализации финансовой политики 44

Часть вторая.Управление государственным бюджетом и налогообложением в Грузии 63
Глава 4. Система государственного бюджета и налогообложения, как механизм регулирования национального хозяйства 63
Глава 5. Проблемы развития финансовых институтов в Грузии 73
Глава 6. Оценка территориально-ресурсного потенциала страны и формирование региональной политики 84
Глава 7. Финансовый менеджмент инвестиционного процесса при интеграции в ЕС 109
Глава 8. Финансовый механизм развития малого и среднего бизнеса в Грузии 125
Глава 9. Методологические и практические аспекты государственного финансового контроля Грузии 135

Часть третья. Основы финансового управления современной микроэконо-мической – корпоративной предпринимательской деятельностью 159
Глава 10. Основные принципы и методологические основы финансового менеджмента корпоративной (предпринимательской) деятельностью 159
Глава 11. Система методов анализа современного стратегического финансового менеджмента ... 178
Глава 12. Особенности стратегического планирования и прогнозирования развития в системе корпоративного управления 204
Глава 13. Характеристики налогового корпоративного планирования на стадии современной Грузии 223
Глава 14. Характеристики внутреннего аудита корпоративного финансового контроля 239
Глава 15. Использование методов оценки стоимости бизнеса (компании) в механизме финансового управления 247
Глава 16. Финансовые аспекты внешнеэкономической деятельности корпораций 264
Глава 17. Особенности менеджмента корпоративных финансовых рисков и пути их минимизации в Грузии 280

Часть четвертая. Финансовый механизм совершенствования механизма менеджмента банковского бизнеса в Грузии 309
Глава 18. Характеристики финансового менеджмента в современной банковско- кредитной системе Грузии 309
Глава 19. Концепция банковского реинжиниринга (PPR) и стратегический менеджмент банка ... 323
Глава 20. Управленческий аудит в системе контроля банковского бизнеса 333

Глава 21. Приоритетные направления в механизме управление финансовыми рисками банковского бизнеса в Грузии 344

Часть пятая. Краткий Экономико – финансовый толковый словарь 360
Резюме (на английском и русском языках) 360
Библиография 436
Автобиографический справочник 443
Приложения 448

იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით

გადაეცა წარმოებას

ტექნიკური რედაქტორი: **ბესიკ შერაზადიშვილი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლევან ლიპარტია; გიორგი ლომიძე**

კორექტორი: **ნანა ყანდაშვილი**
ყდის დიზაინერი: **ირაკლი უშვერიძე**

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; universal@internet.ge